საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

მონოგრაფიების სერიიდან

გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები

https://doi.org/10.36073/978-9941-28-893-7

საგამომცემლო სახლი
„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

მონოგრაფიების სერიიდან

გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები

თბილისი
2022

უაკ 339.15

გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები

VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

გურგენიძე დავით – სტუ-ის რექტორი (თავმჯდომარე);
კლიმიაშვილი ლევან – სტუ-ის ვიცე-რექტორი;
კოპალიანი კარლო – სტუ-ის კანცლერი;
გასიტაშვილი ზურაბ – სტუ-ის რექტორის მოადგილე;
გახოკიძე ჯემალ – სტუ-ის სპიკერი;
ქუთათელაძე რუსუდან – სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი.

კონფერენციის სარედაქციო საბჭო:

ქუთათელაძე რუსუდან – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი;
ბარათაშვილი ევგენი – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი;
აბრალავა ანზორ – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი;
იაშვილი გენადი – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი;
ბერიაშვილი მამუკა – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი;
კოჭლამაზაშვილი ლელა – პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი;
გრიგალაშვილი ლევან – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი;
ბურდიაშვილი რატი – პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი;
სულაშვილი გიორგი – ასოც. პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი;
სოფრომაძე ზაზა – ასოც. პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი;
ყურაშვილი გუგული – პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი;
ჰუტერი შტეფან – პროფესორი, დოქტორი, ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი, ეკონომიკური მეცნიერების ფაკულტეტის დეკანი;
ჰაუზერი ვილჰელმ – ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის პროფესორი;
ფეჰერვოლგუი ბიეტა – პანონიის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
ცუპონი ვიქტორია – პანონიის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორი;
ლომანი გეორგ – მაგდენბურგის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი;
ქოქრაშვილი ქეთევან – პროფესორი, სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი;
ჩხეიძე მაია – პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი;
შონია ნანა – პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
თაკალანძე ლარისა – პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ჩიკვილაძე ნინო – ასოც. პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი;

ჟურნალში წარმოდგენილი მასალები იბეჭდება ავტორისეული რედაქციით

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2022

ISBN 978-9941-28-893-7
http://www.gtu.ge

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.
წიგნში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები.
ავტორის/ავტორთა პოზიციას შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემლო სახლის პოზიცია.

Georgian Technical University
Faculty of Business Technologies

FROM A SERIES OF MONOGRAPHS

Globalization and Current Challenges in Business

Tbilisi
2022

UDC 339.15

GLOBALIZATION AND CURRENT CHALLENGES IN BUSINESS

VI INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

ORGANISATION COMMITTEE:

Gurgenidze Davit – Rector of GTU, academic (Chairman)
Klimiashvili Levan – Vice Rector of GTU
Kopaliani Karlo – Chancellor of GTU
Gasitashvili Zurab – Deputy Rector of GTU
Buachidze Zaza – Manager of the Faculty of Business Technologies at GTU
Kutateladze Rusudan – Dean of the Faculty of Bisines Technologies at GTU

EDITORIAL COMMITTEE:

Kutateladze Rusudan – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Baratashvili Evgeni – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Abralava Anzor – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Iashvili Genadi – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Beriashvili Mamuka – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Kochlamazashvili Lela – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Grigalashvili Levan – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Burdiashvili Rati – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Sulashviil Giorgi – Associate Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Sopromadze Zaza – Associate Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Kurashvili Guguli – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Hütter Steffen – Professor at University of Technology and Economics in Saarland
Wilhelm Houzer – Professor at University of Technology and Economics in Saarland
Fehérvölgyi Beáta – Professor at University of Pannoia, Faculty of Business and Economics, Dean of Faculty
Csizmadiáné Czuppon Viktória – Professor at University of Pannoia, Hungary, Faculty of Business and Economics
Georg Loman – Emeritus Professor, University of Magdeburg
Kokrashvili Ketevan – Professor at GTU, the Faculty of Law and International Relations
Chkheidze Maia – Professor at GTU
Shonia Nana – Professor at Akaki Tsereteli State University
Takalandze Larisa – Professor of at Sokhumi State University, Speaker
Cikviladze nino – Associate at GTU, the Faculty of Business Technologies

The Presented materials are printed according to the authors original way

© Publishing House „Technical University“, 2022
ISBN 978-9941-28-893-7
http://www.gtu.ge
All rights reserved. No part of this publication may be reproduced (will this be a text, photo, illustration or otherwise) in any form or by any means (electronic or mechanical) without the prior written permission of publisher.
Piracy is punished according to the law.
Author(s) are responsible for the accuracy of all the facts provided in the book.
The position of author(s) might not be coinciding with the position of the Publishing House.

შინაარსი

აბულაძე ვასილ, გელაშვილი ოთარ
გლობალიზაცია და საქართველოს სატრანსპორტო სისტემის განვითარების პერსპექტივები 17

ამყოლაძე გურამ, კოჩაძე შოთა
მსხვილ ენერგოკომპანიებში ელექტროენერგიის აღრიცხვის ინტელექტუალური მრიცხველების გამოყენების მენეჯმენტის ამოცანები 21

ამყოლაძე გურამ, კოჩაძე შოთა
მსხვილ ენერგოკომპანიებში ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებისა და მენეჯმენტის ეფექტიანობის ამოცანები 25

ართმელაძე არჩილ
ნავთობის ინდუსტრიის გლობალური გამოწვევები და ტენდენციები COVID-19 და რუსეთ უკრაინის კონფლიქტის ფონზე 29

არჯევანიძე თამარ
საკონტრეილერო გადაზიდვის მენეჯმენტის პრობლემები საქართველოს რკინიგზაზე 33

ბალახაშვილი ჟანა, ქაჯაია თამარ, ალადაშვილი მაია
პირველადი ჯანდაცვის პრობლემები საქართველოში 37

ბარათაშვილი ევგენი, ჯიქია ლალა, სირაძე მაია
ცვლილების მეთოდები, მიდგომები, მოდელები და ინსტრუმენტები ბიზნეს პროცესებში 41

ბაღათურია მარინა, ბერუაშვილი მანანა
ინოვაციური მართვის დანერგვის პერსპექტივები საქართველოში 44

ბერიკაშვილი ლია, ზედგინიძე საბა
ტრადიციული და არატრადიციული კონკურენცია: წინააღმდეგობა 47

გელიაშვილი ნინო
ევროპა და ევროპული ღირებულებები ქართველი ხალხის არჩევანია 52

გორშკოვი თეიმურაზ
ქალაქებში სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესების რამდენიმე საკითხი 56

ებრალიძე ალექსანდრე, ყურაშვილი გუგული
გადაწყვეტილების მიღების თავისებურებები ექსტრემალური მენეჯმენტის პირობებში 59

კავთიძე ედუარდი, თუმანიშვილი არჩილ
ევრორეგიონები და მათი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა 63

კავთიძე ედუარდი, ლაგვილავა გიორგი
ორგანიზაციის პერსონალის მენეჯმენტი მრავალეთნიკურ გუნდში 66

კაპანაძე მაია, ჭინჭარაული გიორგი
საქართველოს ეკონომიკის სახელმწიფო მენეჯმენტის პრობლემები 70

კერესელიძე შალვა, კერესელიძე ლევანი, კერესელიძე დავით
ცოდნის მართვის პრაქტიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში 75

კოღუაშვილი პაატა, მაისურაძე ინა
რეგიონის აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიისთვის 79

კოღუაშვილი პაატა, ბაღათურია გეგა
რა უნდა გაიზიაროს საქართველომ საჯარო-კერძო პარტნიორობის ევროპული გამოცდილებიდან 84

კუტიბაშვილი ბელა
ნარჩენების ეფექტური მართვის მოდელის დანერგვის გამოწვევები საქართველოში 89

ლაზვიაშვილი ნინო, ლაზვიაშვილი ოთარ
ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება და კომპანიის ეკონომიკური ეფექტიანობა 93

ლობჯანიძე გელა, ართმელაძე არჩილ
ბიზნესში ციფრული ტექნოლოგიების მსოფლიო მიღწევები და მათი დანერგვის აქტუალური ასპექტები საქართველოში 97

ლორთქიფანიძე რევაზ, რობაქიძე მაკა
ეკონომიკური მოწყობის „ატომური ბალანსის“ ფიზიკურ-ტექნიკური დასაბუთება 102

მაზიაშვილი ნინო, მეტრეველი შორენა
კერძო საკუთრება საქართველოში და ეკონომიკური თავისუფლების დონე 105

მარტიაშვილი მაია, ქუთათელაძე ლაშა, ქუთათელაძე გიორგი
ბიზნესის ღირებულების შეფასება-სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად 109

მამალაძე ირინე, აილოღლი აიდინ
COVID-19- ის გავლენა დასაქმებაზე, შემოსავლებსა და სიღარიბის დონეზე საქართველოში 113

მაჭარაშვილი თამარ
საქართველოს მდგომარეობა კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით 2017-2021 წლებში 119

ნანობაშვილი გიორგი
საქართველოს რკინიგზის სატრანზიტო გადაზიდვების ზრდის მიმართულებები 122

ნიკოლაიშვილი აკაკი
სასოფლო-სამეურნეო დაზღვევაში ფერმერთა გაუთვითცნობიერებლობის პრობლემები საქართველოში 126

ოთინაშვილი რამაზ, შარაშიძე ხვიჩა, ბედინაშვილი ვარაზ
რეგიონების საინვესტიციო პროცესების სტიმულირების მნიშვნელოვანი ასპექტები 130

რაქვიაშვილი ანა
მეცნიერება, როგორც სისტემური კრიზისის დაძლევის მძლავრი ინსტრუმენტი 135

რევაზიშვილი რევაზ
შშმ პირების სპორტის მენეჯმენტი საქართველოში 140

როსტიაშვილი თამარ, ლეკიაშვილი თამარ
ბიზნესის გლობალიზაციის გავლენა ორგანიზაციის მმართველობით გადაწყვეტილებებზე 144

როსტიაშვილი თამარ, ქერაშვილი ხათუნა
ეპიდვითარება, როგორც განათლების მენეჯმენტის მთავარი სიტუაციური ფაქტორი თანამედროვე ეტაპზე 149

სულაშვილი გიორგი, ფოჩხიძე დარეჯან
ბიზნესგარემო საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები 153

ფახურიძე მურად
ადამიანური რესურსების ინოვაციური სამუშაო, როგორც სკოლის ინოვაციური საქმიანობის ეფექტური მართვის ფაქტორი 157

ფიფია ასმათი
სამუშაო სივრცეში რისკების მართვის აქტუალური პრობლემები 160

ქუთათელაძე რუსუდან, კობიაშვილი ანა
ექსპერტული სისტემის მოდელი ენერგეტიკის ინჟინერიისთვის 165

ღამბაშიძე თამარ, გურგენიძე სოფია
ორგანიზაციული ცვლილებებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების დაძლევის გზები 170

ყანდაშვილი თეიმურაზ, ატრუშბა რაულ
სამშენებლო პროდუქციის, როგორც საქონლის, თავისებურებები 175

შენგელია ნინო
სოფლის მეურნეობის გაციფრების პოლიტიკა ევროკავშირში..... 179

შენგელია ქეთევან, მაღლაკელიძე ნინო
ბიზნესის გამოწვევები და გლობალური პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე..... 183

ცოფურაშვილი გოჩა
მიზნობრივი მოდელირებული პროგრამები და კოგნიტური რუკების შედგენის მნიშვნელობა რეგიონულ-დარგობრივ ჭრილში 187

ჭიპაშვილი ანა
მიწის ადმინისტრირება, როგორც ეკონომიკური განვითარების საშუალება 193

ხარაიშვილი ოლღა, როყვა ქეთევან
სიმინდის წარმოების პერსპექტივები და ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება..... 197

ხარხელაური ხათუნა, ქაჯაია თამარ, ჯინჭველაშვილი ვახტანგ
ფირმის კონკურენტუნარიანობის ძირითადი სტრუქტურული ელემენტები..... 201

ხუჭუა ნინო
ორგანიზაციული კულტურის საანალიზო კლასიფიკაცია..... 209

ჯანხოთელი მირანდა
კონკურენციის შედეგების და წარმოების ფაქტორების ურთიერთქმედება ჯანდაცვის მენეჯმენტში 212

ბაღათურია გიორგი, ბღარაშვილი ნანა
არჩევნებში მოქალაქეთა სავალდებულო მონაწილეობის რამდენიმე ასპექტი..... 216

ბარაბაძე ანა
როგორ აშუქებს „ანტივაქსერეულ დაჯგუფებებს“ ქართული და უცხოური მედია..... 220

ბეჟაშვილი ანა
ინტერნეტი, როგორც გლობალიზაციის ნაწილი და მისი გავლენა კულტურის განვითარებაზე 223

ბოკუჩავა ნანა
თვითაგრესია, როგორც ვიქტიმური ქცევის პრედიქტორი..... 227

გველესიანი გივი
ეთიკის და ქცევის ნორმები საჯარო სამსახურში..... 233

ზარიძე ნინო
საპრეზიდენტო არჩევნების გაშუქება ქართულ მედიაში..... 238

თაბაგარი მაია
პოსტპანდემიური ჟურნალისტიკის გამოწვევები და შესაძლებლობები..... 241

კილაძე მაკა
საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ტენდენციები დემოკრატიის პირობებში 245

კუპრაშვილი ჰენრი
ეროვნული უშიშროების თეორიის კვლევის მეთოდოლოგიის ზოგიერთი ასპექტი 250

მამულაშვილი მარიამ, ფიფია ნიკოლოზ
საკონსტიტუციო კონტროლის თეორიულ-პრაქტიკული ასპექტები საქართველოში 254

მიროტაძე გიორგი
პანდემიის (კორონავირუსი COVID 19-ის) გავლენა სასამართლო მენეჯმენტზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში 259

მეტრეველი ლია
ტერორიზმი, როგორც ჯგუფური დევიაციის ფორმა 264

მულაძე თამრიკო
ვირტუალური სამყაროს დეტალები, როგორც გლობალიზაციის ახალი გამოწვევა 270

ნატროშვილი ნინო
მულტიმედია ტექსტის გამოყენების შემთხვევათა ანალიზი რადიო „თავისუფლების“ მულტიმედია პროექტებში 273

ომანაძე ნინო
ნდობა და მისი მნიშვნელობა პერსონალის მართვის პროცესში 277

ოსაძე ივანე, ფიფია ასმათი
ევროპელი ავტორები XVII საუკუნის საქართველოს სავაჭრო ურთიერთობის შესახებ 280

სახვაძე გიორგი, სამხარაძე რომან, კიკნაძე მზია
ადამიანურ ფაქტორზე გათვლილი კიბერ-შეტევების კრიტიკული ანალიზი 286

სულაბერიძე გიორგი
თანამგზავრული დაკვირვებების მეთოდიკის შემუშავება საყრდენი გეოდეზიური ქსელების უზრუნველყოფის მიზნით 291

ფხაკაძე გიორგი, ბაბუნაშვილი თეიმურაზ
კრეატიული და შემოქმედებთი ქალაქები - მმართველობის სტილი და განხორციელების გარემოს შექმნა..... 295

ყოჩიაშვილი თეონა
საქართველოს იმიჯის ფორმირების ასპექტები ბრიტანულ პრესაში (გაზეთ „გარდიანის“ მასალების მიხედვით)..... 300

შამუგია რუსუდან
თანამედროვე ტექნოლოგიების როლი საჯარო მმართველობაში 306

ლაშა ჩეკურიშვილი
პირველადი ანტინარკოტიკული ღონისძიებების გამოწვევები და პრობლემების დაძლევის წინაპირობები 311

ხალვაში ფატი
საპარლამენტო კონტროლი საჯარო მმართველობის სისტემაში 317

ხვადაგიანი მარიკა
დასაქმების პრობლემები საქართველოში და მმართველობითი ორგანოების როლი მათ გადაწყვეტაში 322

ჯანაშია ლაშა
ტრანსნაციონალური დანაშაულის გავლენა საქართველოს ეკონომიკასა და შრომით ბაზარზე..... 328

ჯიბლაძე მარიამ
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სასამართლო სისტემის გამოწვევები 332

ბიბილური ანი
ციფრული ბარათი - კომერციული ბანკების ინოვაციური პროდუქტი 337

გრიგალაშვილი ლევან, აბაშიძე გოჩა
საწარმოთა სახელმწიფო რეგულირების ფინანსური ასპექტები..... 340

გრიგალაშვილი ლევან, ნატრიაშვილი ნინო
კომპილაციური გარიგების მნიშვნელობა მცირე და საშუალო ბიზნესში..... 349

დუშუაშვილი თათული
მშენებლობის სექტორის ფინანსური მდგრადობის შეფასება საქართველოს მაგალითზე 353

მოხევიშვილი თამარ, ცაავა გიორგი
საბანკო მომსახურეობების ხარისხის მართვის თეორიული საფუძვლები 357

ჟვანია გიორგი
შიდა აუდიტის სტანდარტების დანერგვა საქართველოში..... 361

ფაილოძე ნინო, ნაჰრენდორფი გუდრუნ, ტარუაშვილ ნინო, ჟვანია გიორგი
შიდა აუდიტორული საქმიანობა 364

ფეჰერვოლგი ბიატა, ცუპონი ვიქტორია, ჩაჩავა ნინო, სულაშვილი მალხაზ, ნადირაძე გოჩა
მდგრადი საჯარო შესყიდვები და ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი ტენდერი..... 3 68

რუსუდან ქუთათელაძე, ლია მოწყობილი
მმართველობითი აღრიცხვის აგება სეგმენტების მიხედვით 372

ჩეჩელაშვილი მაია, თოფურია გიორგი
კრიპტოვალუტა და ბლოკჩეინის ტექნოლოგია 377

ცაავა გიორგი, კვარაცხელია მარიამ
პერსპექტიული ინოვაციური ტექნოლოგიების მიმოხილვა საბანკო დარგში..... 382

შოთა ჭანტურია
საკრედიტო რისკის მართვა კომერციულ ბანკებში 385

ჯიქია ლალა, კუტუბიძე შალვა, სირაძე მაია
ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების ზოგიერთი აქტუალური საკითხის შესახებ თანამედროვე პირობებში 392

აქიმიშვილი ნინო
სტუმართმასპინძლობის განვითარების ასპექტები 396

ბარკალაია ბესიკ, აქიმიშვილი ნინო
ტურიზმში ბუნებრივი რესურსების გამოყენების ძირითადი პრინციპები 400

გალახვარიძე ნაირა
საწარმოების ზეგავლენა გარემოზე-ეკოლოგიური პასპორტი 404

გოგიტიძე გიორგი, ნადარეიშვილი ნანა
ველნეს ტურიზმის შესაძლებლობები აჭარის მთიან ზონაში..... 409

ვასაძე მანანა, ექვთიმიშვილი თამარ
სამედიცინო ტურიზმის განვითარება საქართველოში 413

ვეკუა ელზა
მარკეტინგის კონცეფცია საგანმანათლებლო ბიზნესში..... 417

თავზარაშვილი მარიამ
მარკეტინგული კვლევის მნიშვნელობა ბიზნესში 423

თალაკვაძე თამარ
ბრენდის სამომხმარებლო გამოცდილება..... 426

თოფჩიშვილი მარინე, მაზმიშვილი არჩილ
ციფრული მარკეტინგი – რეკლამის მართვის თანამედროვე მექანიზმი 429

კავთიძე ედუარდ, ჭელიძე ლიზი
ინტერნეტ რეკლამის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები 433

კოჭლამაზაშვილი ლელა, ნოღაიდელი ნატალია
ენერგოეფექტური ტექნოლოგიები როგორც ინოვაციური ბრენდი 436

კოჭლამაზაშვილი ლელა, ქობლიანიძე თამარ, ციმაკურიძე ვლადიმერი
საზოგადოებასთან ურთიერთობა საბანკო სფეროში 439

მამფორია ნანი, ლეჟავა მარიამ, უჩავა დავით, მაზმიშვილი გიგა
ქართული ეკლესია-მონასტრები აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე 445

მურჯიკნელი შოთა
სტარტაპ ეკოსისტემის განვითრების ხელშემწყობი ფაქტორები საქართველოში 450

ნოზაძე თამარ
აგროტურიზმის ძირითადი შესაძლებლობები საქართველოში 453

ტარყაშვილი ირაკლი, მეტრეველი მარინა
"GOOGLE"-ის გავლენა ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის პროდუქტის გაყიდვებზე საქართველოში 456

ქინქლაძე რუსუდან, გულისაშვილი ნანა
მარკეტინგის ანტომატიზაცია და მისი გავლენა ბიზნესის განვითარებაზე 461

ქუთათელაძე რუსუდან, ჯორბენაძე ზურაბ
გაყიდვიდან ნეირომარკეტინგამდე მოძრაობის დიალექტიკა 468

ხმიადაშვილი ნინო
მომხმარებელზე ორიენტირებული ტექნოლოგიების მნიშვნელობა სასტუმრო მომსახურების ხარისხის
განსაზღვრისათვის 472

ჯორბენაძე ზურაბ, დევიძე თამარ
მარკეტინგისა და რელიგიის თანხვედრის ალგორითმის საკითხისათვის 475

CONTENTS

Abuladze Vasil, Gelashvili Otar
Globalization and prospects for the development of Georgia's transport system 17

Amkoladze Guram, Shota Kochadze
Tasks of electricity accounting smart meters usage management in the large energy companies 21

Amkoladze Guram, Shota Kochadze
Tasks of innovative technologies usage and management efficiency in the large energy companies 25

Artmeladze Archil
Global challenges and trends in the oil industry in the wake of the COVID19 and Russia-Ukraine conflict..... 29

Arjevanidze Tamar
Problems of Contrailer Shipping Management in Georgian Railway..... 33

Balakhashvili Jana, Kajaia Tamar, Aladashvili Tamar
Primary Health Care Problems in Georgia 37

Baratashvili Evgeni, Jikia Lala, Siradze Maia
Methods, approaches, models and tools for change in business processes..... 41

Bagaturia Marina Beruashvili Manana
Prospects for the introduction of innovative management in Georgia..... 44

Berikashvili lia, Zedginidze Saba
Traditional and Non-traditional Competition: Resistance 47

Geliashvili Nino
Europe and European Values are Georgian people's Choice 52

Gorshkov Teimuraz
Some Issues of improving the transport system in cities..... 56

Ebralidze Alexsandre, Kurashvili Guguli
Peculiarities of decision making in the conditions of extreme management 59

Kavtidze Eduard, Tumanishvili Archil
Euroregions and their cross-border cooperation..... 63

Kavtidze Eduard, Lagvilava Giorgi
Organization Personnel Management in Multi Ethnical Team..... 66

Kapanadze Maia, Chincharauli Giorgi
Problems of the state management of the Georgian economy..... 70

Kereselidze Shalva, Kereselidze Levan, Kereselidze Davit
Knowledge Management Practices in Foreign Countries..... 75

Koguashvili Paata, Maisuradze Ira
For the development strategy of the agricultural sector in the region..... 79

Koguashvili Paata, Bagaturia Gega
What should be considered for Georgia from European Public Private partnership experience 84

Kutibashvili Bella
Challenges of Introducing an Effective Waste Management Model in Georgia 89

Lazviashvili Nino, Lazviashvili Otar
Stimulation of innovative activities and economic efficiency of the company 93

Lobjanidze Gela, Artmeladze archil
World advances in digital technologies in business and current aspects of their implementation in Georgia 97

Lortkipanidze revaz, robaqidze Maka
Physical-Technical Justification of the "Atomic Balance" for the Economic Arrangement 102

Maziashvili Nino, Metreveli Shorena
Private property in Georgia and the level of economic freedom 105

Martiashvili Maia, Kutateladze Lasha, Kutateladze Giorgi
Business Value Evaluation- To Make Strategic Decisions 109

Mamaladze irine, Ailogli Aidin
COVID-19 Impact on Employment, Income and Poverty Level in Georgia 113

Matcharashvili Tamar
Conditions of Georgia according to Corruption Perception Index in 2017-2021 119

Nanobashvili George
Directions of growth of transit rail transportation of Georgia 122

Nikolaishvili Akaki
Problems of farmers' ignorance in agricultural insurance in Georgia 126

Otinashvili Ramaz, Sharashidze, Bedinashvili Varaz
Important aspects of stimulating investment processes in the regions 130

Rakviashvili Ana
Science, as a Powerful Tool for Overcoming the Systemic Crisis 135

Revazishvili Revaz
Sports Management of Persons with Disabilities in Georgia 140

Rostiashvili Tamar, Lekiashvili Tamar
The Impact of Business Globalization on Organizational Governance Decisions 144

Rostiashvili Tamar, Kerashvili Khatuna
Epidemiological situation as a major situational factor of the Education management at the modern stage 149

Sulahsvili Giorgi, Pochkhidze Darejan
Business environment in Georgia and the prospects of its development 153

Pakhuridze Murad
Innovative work of human resources as an efficient managing factor of school 157

Pipia Asmat
Current problems of workplace risk management 160

Kutateladze Rusudan, Kobiashvili Ana
Expert System Model for Power Engineering 165

Gambashidze Tamar, Gurgenidze Sofia
Ways to overcome negative attitude toward organizational change 170

Kandashvili Teimuraz, Atrushba Raul
Peculiarities of Construction Products as Goods 175

Shengelia Nino
Policies to promote digitalization of the agricultural sector in the EU 179

Shengelia Ketevan, Maglakelidze Nino
Usiness Challenges and Impact of the Global Pandemic on the Georgian Economy 183

Tsopurashvili Gocha
Target modeled applications and cognitive The importance of mapping in the regional-sectoral context 187

Chipahsvili Ana
Land administration as a means of economic development 193

Kharaishvili Olga, Rokva keteven
Perspectives of corn production and evaluation of economic efficiency 197

Kharkhelauri Khatuna, kajaia Tamari, Jinchvelashvili Vakhtang
The main structural elements of a firm's competitiveness 201

Khuchua Nino
Analytical classification of organizational culture indicators 209

Jankhoteli Miranda
Interaction of competition results and production factors in healthcare management 212

Bagaturia Giorgi, Bgarashvili Nana
Several Aspects of Mandatory Participation of Citizens in Elections 216

Barabadze Anna
How Georgian and foreign media cover "anti-vaccine groups" 220

Bejashvili Ana
The internet, as part of globalization and its impact on cultural development 223

Bokuchava Nana
Self-aggrandizement as a Predictor of Victim Behaviour 227

Gvelesiani Givi
Norms of ethics and behavior in public service 233

Zaridze Nino
Coverage of the presidential elections in the Georgian media 238

Tabagari Maia
Media Challenges and Opportunities in Pandemic Conditions 241

Kiladze Maka
Trends in the formation of public opinion in a democracy 245

Kuprashvili Henri
Some Aspects of National Security Theory Research Methodology 250

Mamulashvili Mariam, Nikoloz Phiphia
Theoretical-practical aspects of constitutional review in Georgia 254

Mirotadze Giorgi
Impact of the pandemic (coronavirus COVID 19) on judicial management in the administration of justice 259

Metreveli Lia
Terrorism as a form of group Deviation 264

Muladze Tamriko
Details of the virtual world as a new challenge to globalization 270

Natroshvili Nino
Multimedia text case analysis in Radio Liberty's multimedia projects 273

Omanadze Nino
Trust and its importance in the personnel management process 277

Osadze Ivane, Pipia Asmat
European authors on the trade relations of Georgia in the XVII century 280

Sakhvadze Giorgi, Samkharadze Roman, Kiknadze Mzia
Critical analysis of cyber-attacks targeting the human factor 286

Sulaberidze Giorgi
Creating of satellite observation methodology for the provision of support reference geodetic networks 291

Pkhakadze Giorgi, Babunashvili Teimuraz
Creative and creative cities - governance style and creation of implementation environment 295

Kochiahsvili Teona
Aspects of Georgia's image formation in the British press (according to the Guardian) 300

Shamugia Rusudan
The role of modern technologies in public administration 306

Chekurishvili Lasha
Preconditions for overcoming problems and causes for primary anti-narcotic events 311

Khalvashi Phati
Parliamentary control in the system of public administration 317

Khvadagiani Marika
Employment problems in Georgia and the role of governing bodies in solving them 322

Janashia Lasha
The Impact of Transnational Crime on the Georgian Economy and Labor Market 328

Jibladze Mariam
Access to Information and the Challenges of the Judiciary 332

Bibiluri Ani
Digital Card - An Innovative Product Of Commercial Banks 337

Grigalashvili Levan, Abashidze Gocha
Financial aspects of state regulation of enterprises 340

Grigalashvili Levan, Natriashvili Nino
The usefulness of the compilation transaction in small and medium businesses 349

Dushuashvili Tatuli
The financial sustainability of the construction sector in the case of Georgia 353

Mokhevishvili Tamar, Tsaava Giorgi
Theoretical Foundations of Banking Service Quality Management 357

Jvania Giorgi
Introducing the Internal Audit Standards in Georgia 361

Pailodze Nino, Nahrendorf Gudrun, Taruashvili Nino, Jvania Giorgi,
Internal Auditing activity 364

Fehérvölgyi Beáta, Viktória, Csizmadiáné Czuppon, Chachava Nino, Sulashvili Malkhaz, Nadiradze Gocha
Sustainable public procurement and the Most Economically Advantageous Tender 368

Kutateladze Rusudan, Motskobili Lia
Building management accounting by segments..... 372

Chechelashvili Maia, Topuria Giorgi
Cryptocurrency and Blockchain Technology 377

Tsaava Giorgi, Kvaratskhelia Mariam
Overview of Perspective Innovative Technologies in Banking..... 382

Chanturia Shota
Credit risk management in commercial banks..... 385

Jikia Lala, Kutubidze Shalva, Siradze Maia
Some current financial accounting on the issue in modern terms..... 392

Akimishvili Nino
Aspects of Hospitality Development 396

Barkalaia Besik, Akimishvili Nino
Basic Principles for the Use of Natural Resources in Tourism..... 400

Galakhvaridze Naira
Environmental Impact of Enterprises-Ecological Passport 404

Gogitidze Giorgi, Nadareishvili Nana
Wellness tourism opportunities in the mountainous zone of Adjara 409

VAsadze Manana, Ekvtimishvili Tamar
Development of Medical Tourism in Georgia..... 413

Vekua Elza
The concept of marketing in the educational business 417

Tavzarashvili Mariam
Significance of marketing research in business..... 423

Talakvadze Tamar
Brand's Customer Experience 426

Topchishvili Marine, Mazmishvili Archil
Digital marketing - a modern mechanism for advertising management 429

Kavtidze Eduard, Tchelidze Lizi
The current state of the Internet advertising market and development prospects 433

Kochlamazashvili Lela, Nogaideli Natalia
Energy efficient technologies as an innovative brand 436

Kochlamazashvili Lela, Koblianidze Tamar, Tsimakuridze Vladimer
Public Relations in Banking 439

Mamporia Nani, Lejhava Mariam, Uchava Davit, Mazmishvili Giga
Georgian churches and Monasteries on the occupied territory of Abkhazia 445

Murjikneli Shota
Factors contributing to startup ecosystem development in Georgia 450

Nozadze Tamar
Basic opportunities of agritourisme in Georgiea 453

Tarkashvili Irakli, Metreveli Marina
“ The impact of Google's on tourism and hospitality product sales in Georgia 456

Kinkladze Rusudan, Gulisashvili Nana
Marketing automation and its impact on business development 461

Kutateladze Rusudan, Jorbenadze Zurab
The dialectic of the movement from sales to neuromarketing 468

Khmiadashvili Nino
The importance of customer-oriented technologies for determining the quality of hotel service..... 472

Jorbenadze Zurab, Devidze Tamar
Marketing and religion matching algorithm 475

გლობალიზაცია და საქართველოს სატრანსპორტო სისტემის განვითარების პერსპექტივები

აბულაძე ვასილ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დოქტორანტი

გელაშვილი ოთარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ გლობალიზაციაში ჩართვისათვის აუცილებელია ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის ეფექტიანად გამოყენება, რაშიც მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საქართველოს სატრანსპორტო სისტემას, მისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაციის განხორციელებით. ტრანსპორტი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომლის ეფექტიანი მუშაობა წინაპირობაა ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისათვის, ვინაიდან არ არსებობს დარგი ან სოციალური სფერო, რომლის ფუნქციონირებაში ჩართული არ იყოს ტრანსპორტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია საავტომობილო ტრანსპორტი, რომელიც ჩვენნაირი გეოგრაფიის მქონე ტერიტორიის ქვეყნებისათვის მთავარ სატრანსპორტო ფუნქციას ასრულებს.

სტატიაში განხილულია გლობალიზაციის გათვალისწინებით საქართველოს სატრანსპორტო სისტემის განვითარების პერსპექტივები და განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საავტომობილო ტრანსპორტის პრიორიტეტული განვითარების მნიშვნელობაზე, მაგრამ გასათვალის-წინებელია საავტომობილო პარკის რაოდენობის გაზრდის უარყოფითი შედეგებიც, რაც იწვევს გარემოზე უარყოფით ზეგავლენას და დღეისათვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით სტატიაში განხილულია „მწვანე ავტომობილის“ პერსპექტივები და ამ კუთხით შემოთავაზებულია მსოფლიო გამოცდილება. დასაბუთებულია მისი ეკონომიკური ეფექტიანობა, რისთვისაც მნიშვნელოვანია გადასახადების ლიბერალიზაცია, სამეურნეო სამართლიანობის უზრუნველყოფა, თავისუფალი კონკურენციის ხელშეწყობა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და სხვა.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია; ეკოლოგიურობა; ეკონომიკა; ეფექტიანობა; სატრანსპორტო სისტემა.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო ჩართულია ეკონომიკურ გლობალიზაციაში და გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანაა, ვინაიდან ამ პროცესს ხელს უწყობს მისი გეოპოლიტიკური მდებარეობაც, რამდენადაც საქართველო ევროპა-აზიის გზასაყარზე იმყოფება და წარმოადგენს სატრანსპორტო ხიდს ევროპის, კავკასიის და აზიის სახელმწიფოებისათვის.

ცნობილია, რომ გლობალიზაცია არის ბიზნესის ინტეგრაცია გეოგრაფიული და ორგანიზაციული საზღვრების გაუთვალისწინებლად, რომელიც იწვევს ქვეყნების ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებუ-ლების გაზრდას და მეურნეობრიობის პირობების დაახლოებას. გეოპოლიტიკურმა ასპექტებმა საქარ-თველო გლობალურ ინტერესთა სფეროში მოაქცია და სხვადასხვა სახელმწიფოებმა დაიწყეს თანამშრომლობა, რამაც გამოიწვია ჩვენი ქვეყნის მსოფლიო ინტეგრაციისკენ ჩართულობა და ამ პროცესებში საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი კონკურენტუნარიანობის ამაღლება. სწორედ ამიტომაც, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა წარმოადგენს ქვეყნის გეოეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს საფუძველს, რათა საბოლოოდ აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებში.

საქართველოს ბუნებრივი მდებარეობა და მასზე გამავალი სატრანზიტო გზები არის კარგი უპირატესობა შუა აზიის სატრანსპორტო დერეფნისათვის, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს უფრო ეფექტურად, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოს სატრანსპორტო სისტემის განვითა-რებას. საქართველოს წამყვანი პოზიცია რეგიონში განპირობებულია გეოგრაფიული მდებარეობით. მას

აქვს შავ ზღვაზე გასასვლელი და წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის საკვანძო სივრცეს დასავლეთისკენ. ამასთან როგორც დასავლეთის ქვეყნები, ასევე აზიის სახელმწიფოები და ზოგადად მსოფლიოს ეკონომიკა, დაინტერესებულია სატრანზიტო გზების დივერსიფიკაციით-ალტერნატიული რამდენიმე სატრანზიტო დერეფნის არსებობით, იმ მიზნით, რომ ყოველთვის იყოს თავისუფალი კონკურენცია. ამასთან, პოლიტიკური კლიმატის ცვლილებამ მნიშვნელოვნად არ იმოქმედოს ეკონომიკის ფუნქციონირებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით აქტუალურია გლობალიზაციის პირობებში საქართველოს სატრანსპორტო სისტემის განვითარების პერსპექტივები და მისი ჩართულობა მსოფლიო სატრანსპორტო სისტემის ფუნქციონირებაში.

დღევანდელი ეკონომიკა და მათ შორის სატრანსპორტო კავშირები განუყოფელია გლობალიზაციისაგან. გლობალიზაცია ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდის შედეგია და დღეისათვის აღნიშნული საკითხი აქტუალურია, ვინაიდან საზოგადოების გარკვეული ნაწილი ემხრობა მას, ხოლო ნაწილს აქვს განსხვავებული პოზიცია. ამის მიხედვით მოხდა საზოგადოების ფორმალური დაყოფა ე.წ. გლობალისტებად და ანტიგლობალისტებად. გლობალისტები საუბრობენ იმ ეკონომიკურ და ტექნიკურ მიღწევებზე, რომლებიც თან ახლავს ამ პროცესს, ანტიგლობალისტები კი ძირითადად მიუთითებენ ისეთ ფაქტებზე, რომლებიც გლობალიზაციის დროს შესაძლოა დაიკარგოს პატარა ქვეყნების კულტურა და თვითმყოფადობა.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სატრანსპორტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება, რამდენადაც არ არსებობს სამეურნეო თუ სოციალური სფეროს არც ერთი დარგი, რომლის ნორმალური მუშაობა და განვითარება არ იყოს ტრანსპორტზე დამოკიდებული. ტრანსპორტი ამ დარგების ფუნქციონირების ტექნოლოგიური ნაწილია. სატრანსპორტო სისტემისა და მისი სახეების ჰარმონიულ განვითარებას განსაკუთრებით დიდ როლს ანიჭებს ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის აუცილებელია სატრანსპორტო სისტემის განვითარება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათელს ხდის სატრანსპორტო სისტემაში შემავალი დარგების, კერძოდ კი-საავტომობილო ტრანსპორტის პრიორიტეტული განვითარების აუცილებლობას, ვინაიდან ქვეყნის მასშტაბით საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის გადაზიდული ტვირთის 80 % -ზე და გადაყვანილი მგზავრების 50 %-ზე მეტი.

თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო საქართველო შეიძლება გახდეს კავკასიის სატრანსპორტო-ლოგისტიკური ცენტრი (ჰაბი), რომლის ფუნქციასაც ნაწილობრივ იგი დღესაც ასრულებს, მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპების ზრდის გამო, საქართველოს სატრანსპორტო სისტემის მნიშვნელობა განუხრელად იზრდება არა მარტო კავკასიის რეგიონისათვის, არამედ შუა აზიის სახელმწიფოებისთვისაც. აღნიშნული დიდ მოთხოვნეს უყენებს ტრანსპორტის დარგების ფუნქციონირებას და განსაკუთრებით საავტომობილო ტრანსპორტს, მაგრამ აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის საავტომობილო პარკი მნიშვნელოვნად მოძველებულია (მისი 46% არის 11 და მეტი წლოვანების) მეორადი ავტომობილების სახით და ქალაქებში გარემოს დაბინძურების 70 %-ზე მეტი მათზე მოდის. აღნიშნული უარყოფითად აისახება ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და უფრო იზრდება რაც მეტია გარემოს დაბინძურების ხარისხი. ამიტომ ტრადიციული ნავთობური წარმოშობის თხევადი საწვავების ჩანაცვლებას ელექტროენერგიით, როგორც საავტომობილო ტრანსპორტზე ალტერნატიული სახის ენერგიის გამოყენებას, აქვს არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური მნიშვნელობაც. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება საქალაქო საავტომობილო სატრანსპორტო სისტემას, რომელშიაც ფუნქციონირებს დიდი რაოდენობით სატრანსპორტო საშუალებები. ელექტრომობილების ექსპლუატაციის სტატისტიკური მონაცემების ანალიზისა და ტექნიკური ექსპერტების შეფასებებით, მათი საექსპლუატაციო ხარჯები თითქმის 2-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე მოცემული კლასის შიგაწვის ძრავიანი ავტომობილებისათვის. ელექტრომობილების ექსპლუატა-ციის ხარჯები იყოფა მუდმივ და ცვალებად ხარჯებად. ცვალებადი ხარჯების ჯგუფი მოიცავს ელექტრომობილების დიაგნოსტიკის, ტექნიკური მომსახურების და რემონტის, საავტომობილო საბურავების აღდგენის და რემონტის, წამყვან

ხიდებში, სიჩქარეთა ცვლის კოლოფში შემზეთი და სხვა საექსპლუატაციო მასალების და ელექტრომობილების ამორტიზაციის ხარჯებს. ელექტრომობილების საექსპლუატაციო მუდმივ ხარჯებს მიეკუთვნება: ზედნადები ხარჯები; ელექტრომობილების აღსადგენად საამორტიზაციო გადარიცხვები; მძღოლების ხელფასები; დარიცხული სოციალური დაზღვევა; საპენსიო ფონდის ხარჯები (საჭიროების შემთხვევაში) და სხვა. ჩვენს მიერ შემოთავაზებულია აღნიშნული ხარჯების გაანგარიშების ორიგინალური მეთოდიკა, რომელიც ადასტურებს საავტომობილო ტრანსპორტზე ელექტროენერგიის ალტერნატიული სახის ენერგიად გამოყენების აუცილებლობას, როგორც ეკოლოგიურად სუფთა და იაფი საწვავის სახე და განხილულია ელექტრომობილების ექსპლუატაციის ეფექტიანობა და გამოყენების პერსპექტივები. ჩატარებული თეორიული კვლევების ანალიზიდან ჩანს, რომ ჩვეულებრივ შიგაწვის ძრავიან ავტომობილებთან შედარებით ელექტრომობილების ექსპლუატაცია გაცილებით მომგებიანია და მას დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიც საქართველოა, რომელსაც ნავთობური წარმოშობის საწვავი არ გააჩნია და იგი სრულად იმპორტირებულ საწვავზეა დამოკიდებული.

აღნიშნულის გათვალისწინებით მნიშველოვანია ქვეყანას გააჩნდეს საავტომობილო ტრანსპორტის პერსპექტიული განვითარების გეგმა, სადაც გაწერილი იქნება ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. მნიშვნელოვანია ევროკავშირის მიდგომები ჩვენი ქვეყნის და ზოგადად რეგიონის სატრანსპორტო სისტემის მიმართ.

კავკასიის რეგიონისადმი დაინტერესების კონკრეტული გამოხატულებაა ევროკავშირის ცნობილი ტრასეკას პროექტი, რომელიც წარმოადგენს ევროპა-აზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფანს თავისი მრავალი განშტოებებით და რომლის ერთ-ერთი ხაზი ჩვენს ქვეყანაზეც გაივლის, რაც სტაბილურობისა და ეკონომიკური აღმავლობის გარანტი იქნება.

ტრასეკას პროექტი საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების ისეთ ფაქტორადაა მიჩნეული, რომელმაც არსებითად უნდა განსაზღვროს ქვეყნის მეურნეობრივი განვითარების სტრატეგიული მიმართულებები. პროექტით პრაქტიკულად საუბარია ისტორიული „აბრეშუმის დიდი გზის“ საქართველოს განშტოების მოდერნიზებულ ვარიანტზე და რომლითაც მოხდება სხვადასხვა დანიშნულების ტვირთების გადაზიდვა. ჩვენი ქვეყნის სატრანსპორტო სექტორი დღეისათვის საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რასაც ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს.

საქართველოს სატრანსპორტო სისტემის განვითარება წარმოუდგენელია ინფრასტრუქტურის და საკანონმდებლო ბაზის განვითარების გარეშე. დღეისათვის მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა აღმოსავლეთ-დასავლეთ საავტომობილო მაგისტრალზე მისი გამტარუნარიანობის ამაღლებისათვის. აქედან გამომდინარე აუცილებელი ხდება საქართველოს სატრანსპორტო სისტემის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის შემუშავება, რაც განაპირობებს მისი ეკონომიკის სწრაფ განვითარებას. ბუნებრივია ამ შემთხვევაში გაიზრდება მოთხოვნილება სატრანსპორტო გადაზიდვებზე ქვეყნის ეკონომიკის მხრიდან, მათ შორის უპირველესად სახმელეთო გადაზიდვებზე.

ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა მისი სატრანსპორტო სისტემის განვითარება, რომლის ეფექტიანი ფუნქციონირება წინაპირობაა მოსახლეობის სატრანსპორტო ინტერესების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის ტვირთების გადაზიდვებისა და მგზავრების გადაყვანის კუთხით.

დასკვნა

საქართველოს ბუნებრივი მდებარეობა და მასზე გამავალი სატრანზიტო გზები არის კარგი უპირატესობა როგორც შუა აზიის, ასევე ჩინეთის რესპუბლიკის სატრანსპორტო დერეფნისათვის, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს უფრო ეფექტურად, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოს სატრანსპორტო სისტემის განვითარებას. საქართველოს წამყვანი პოზიცია რეგიონში განპირობებულია გეოგრაფიული მდებარეობით. მას აქვს შავ ზღვაზე გასასვლელი და წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის საკვანძო სივრცეს დასავლეთისკენ. ამასთან როგორც დასავლეთის ქვეყნები, ასევე აზიის სახელმწიფოები და ზოგადად მსოფლიოს ეკონომიკა, დაინტერესებულია სატრანზიტო გზების

დივერსიფიკაციით, რაც გამოიხატება ალტერნატიული რამდენიმე სატრანზიტო დერეფნის არსებობით, იმ მიზნით, რომ ყოველთვის იყოს თავისუფალი კონკურენცია. ამასთან ერთად, პოლიტიკური კლიმატის ცვლილებამ მნიშვნელოვნად არ იმოქმედოს ეკონომიკის ფუნქციონირებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით აქტუალურია გლობალიზაციის პირობებში საქართველოს სატრანსპორტო სისტემის განვითარების პერსპექტივები და მისი ჩართულობა მსოფლიო სატრანსპორტო სისტემის ფუნქციონირებაში.

აუცილებლად ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ გლობალიზაცია გულისხმობს ბიზნესის, ტრანსპორტის, ფინანსური ნაკადებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ინტეგრაციას და იგი გარდაუვალი და შეუქცევადი შედეგია იმ ბუნებრივი პროცესებისა, რომელსაც ადგილი აქვს ეკონომიკაში.

ამრიგად, განხილულია საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტზე ელექტროენერგიის ალტერნატიული სახის ენერგიად გამოყენების მნიშვნელობა, როგორც ეკოლოგიურად სუფთა და იაფი საწვავის სახე და განხილულია ელექტრომობილების ექსპლუატაციის ეფექტიანობა და გამოყენების პერსპექტივები.

აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიებათა გატარება მნიშნელოვნად აამაღლებს საქართველოს სატრანსპორტო სისტემის ინფრასტრუქტურის სრულყოფას, მის მენეჯმენტს და უზრუნველყოფს, როგორც მაკროეკონომიკურ, ისე მიკროეკონომიკურ და სოციალური ეფექტის მიღებას და უზრუნველყოფს მისი ეკონომიკის აქტიურ ჩართულობას მსოფლიო ეკონომიკის გლობალურ პროცესებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ო. გელაშვილი, ნ. წილოსანი, ვ. აბულაძე. სატრანსპორტო კომპანიების ეფექტიანობის ამაღლება საწვავეკონომიურობისა და ეკოლოგიურობის მართვის მეთოდების გამოყენებით. სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“ თბილისი, №1(44), 2019, გვ. 5-18.
2. რ. ასათიანი. გლობალიზაცია ეკონომიკური თეორია და საქართველო, თბ. 2010.
3. ე. მექვაბიშვილი. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბ., 2009.
4. გ. აბესაძე, თ. აბესაძე. გლობალიზაცია და საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის თავისებურებები, თბილისი, 2011.
5. ს. პავლიაშვილი, ზ. გარაყანიძე. საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი – პრობლემები და პერსპექტივები, თბილისი, 2014.
6. ო. გელაშვილი. ავტომობილების საწვავის საექსპლუატაციო ხარჯის ფორმირების მეთოდოლოგიური ანალიზი. V ქართულ-პოლონური საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის ,,სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია'' შრომები, ქუთაისი, 2019, გვ. 133-141.

Globalization and prospects for the development of Georgia's transport system

Vasil Abuladze
PhD student of Georgian Technical University

Otar Gelashvili
Professor of Georgian Technical University

Summary

In order for Georgia to be included in the world economic globalization, it is necessary to make effective use of the country's geopolitical location. The Georgian transport system can play an important role here by improving its infrastructure and harmonizing its legal framework. Transport is one of the important fields of economic development of the country. Its effective work is a precondition for the development of other sectors of the national economy, as there is no sector or social sphere in the functioning of which transport is not involved. Especially noteworthy is road transport, which serves as the main transport function for countries with a geography like ours.

The article discusses the prospects for the development of Georgia's transport system, taking into account globalization. Particular attention is paid to the importance of priority development of road transport. However, the negative consequences of increasing the number of motor vehicles should also be taken into account, which causes a negative impact on the environment and is a big problem today. Considering the issue discussed, the article discusses the perspectives of the "Green Car" and offers world experience in this regard. Its economic efficiency is justified, for which it is important to liberalize taxes, ensure economic justice, promote free competition, improve the legal framework and etc.

მსხვილ ენერგოკომპანიებში ელექტროენერგიის აღრიცხვის ინტელექტუალური მრიცხველების გამოყენების მენეჯმენტის ამოცანები

ამყოლაძე გურამ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

კოჩაძე შოთა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია თანამედროვე ენერგეტიკის განვითარების ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის საკითხები და ამ დიდი პრობლემის გადაჭრის საქმეში ენერგოკომპანიების მენეჯმენტის როლი და მნიშვნელობა.

ენერგოკომპანიების მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჭკვიანი ქსელებისა და ინტელექტუალურ ავტომატიზებულ პროგრამულ-ტექნიკურ საშუალებათა სისტემის მოქნილ მუშაობასა და იმას, თუ რამდენად სწორად და ზუსტადაა ავტომატიზებული ინტელექტუალური მრიცხველების მუშაობა.

ამ ინოვაციური ტექნოლოგიების, საქმიანობისა და მენეჯმენტის ეფექტიანობის ძირითადი შემფასებელია აღრიცხული ელექტროენერგიის რაოდენობა. ამ სიდიდის სიზუსტეში დაინტერესებული მხარეებია: სახელმწიფოს ბიუჯეტი, გადაცემის სისტემის და დისპეტჩირების ლიცენზიატი, ელექტროენერგიის ბაზრის კომერციული ოპერატორი, გენერაციის ობიექტები, გამანაწილებელი კომპანიები, პირდაპირი მომხმარებლები, მოსახლეობა.

ენერგოკომპანიის მენეჯმენტის ეფექტიანობას განსაზღვრავს დადგენილი გეგმისა და მიზნების დროულად და ეფექტიანად განხორციელება, რის შედეგადაც ენერგოკომპანია საკუთარი საქმიანობის განვითარებისათვის იყენებს მიღებული მოგების მენეჯმენტს. წარმატების მიღწევაში კი დიდი როლი ენიჭება ენერგოკომპანიებში ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, განაწილებისა და მოხმარების პროცესების ძირითად შედეგს, სწორად და ზუსტად აღრიცხული ელექტროენერგიის რაოდენობას. ამიტომ ენერგოკომპანიის მენეჯმენტის ყურადღების ცენტრშია ჭკვიანი ქსელები და მოწყობილობები და ინტელექტუალური მრიცხველები.

საქართველოს ენერგოსისტემაში მოქმედებს ინოვაციურ პროგრამულ-ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსი, რომელშიც გამოიყენება ენერგოსისტემის საქმიანობის პარამეტრების მონაცემთა დაგროვება, კონტროლი და მენეჯმენტი. ესაა დისპეტჩერიზაციის ობიექტში მოქმედი პირველი დონის SCADA.

მეორე დონეს განეკუთვნება გადაცემის ობიექტებში მოქმედი SCADA, რომელიც კონკრეტულ ქვესადგურში ან გადამცემ ელექტრულ ქსელში ახდენს რეჟიმული პარამეტრების დაგროვებას, მონიტორინგსა და მართვას.

მესამე დონის SCADA განაწილების ენერგოკომპანიის ან გენერაციის კონკრეტულ ობიექტში მოქმედებს და ახდენს მონაცემთა შეგროვებას, კონტროლსა და მართვას.

საკვანძო სიტყვები: ენერგოკომპანია, ინოვაცია, მენეჯმენტი, ჭკვიანი ქსელი, ინტელექტუალური მრიცხველი, ენერგოსისტემა.

ძირითადი ტექსტი

ენერგოკომპანიების ძირითადი ფუნქციების: ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემისა და დისპეტჩირების განაწილებისა და მოხმარების ეფექტიანობის შეფასების ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს ელექტროენერგიის აღრიცხვის სიდიდე. ამ მაჩვენებლის შემოწმება ხდება რამდენიმეჯერ, დაწყებული გენერაციით და დამთავრებული უკანასკნელი მომხმარებლით.

ეს მაჩვენებელი მეტად მნიშვნელოვანი სიდიდეა და მას გაზომვის ადგილისდა მიხედვით დიდ ყურადღებას აქცევენ; ამ სიდიდის რაოდენობაზეა დამოკიდებული მრავალი ფაქტორი და ის სხვადასხვანაირად განისაზღვრება.

გენერაციის ობიექტის გამომსვლელ სალტეზე მრიცხველიდან აღებული სიდიდე გვიჩვენებს

დროის მოცემულ მონაკვეთში წარმოებული ელექტროენერგიის რაოდენობას, რომელიც მიეწოდება გადაცემა-დისპეტჩირების ობიექტს. ელექტროენერგიის ეს აღრიცხული სიდიდე წარმოადგენს გენერაციის ობიექტის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის მოცულობას, რომელიც მიეწოდება ელექტროენერგიის ბაზარს, როგორც საქონელი, რომლის ღირებულებაა გენერაციის ობიექტის მნიშვნელობისდა მიხედვით სემეკის მიერ დადგენილი ტარიფი. აქვე შევნიშნავთ, რომ აღირიცხება ასევე გენერაციის ობიექტის მიერ საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებული ელექტროენერგიის რაოდენობა და ხდება გენერაციის ელექტრულ სისტემაში ელექტროენერგიის დანაკარგების აღრიცხვა. ამ სამივე მაჩვენებლის ჯამი არის წარმოებული ელექტროენერგიის სრული სიდიდე.

ელექტროენერგიის აღრიცხვის შემდეგი ობიექტია გადაცემის სისტემა, რომელიც კომპლექსური ობიექტია და ამ სისტემის გადამცემი ხაზების გამოყენებით ხდება ელექტროენერგიის გადაცემა გამანაწილებელ კომპანიებსა და პირდაპირ მომხმარებლებზე. აქ აღრიცხვა ხდება როგორც გადამცემი ობიექტის შესასვლელ, ასევე გამოსასვლელ სალტეებზე. აქაც აღირიცხება ელექტროენერგიის დანაკარგები და გამანაწილებელ კომპანიებზე გადაცემული სიდიდე. გადაცემის ობიექტს, ამ და დისპეტჩირების ფუნქციების შესასრულებლად სემეკის მიერ დადგენილია შესაბამისი ტარიფები. აქ ასევე ხდება ელექტროენერგიის ექპოსრტ-იმპორტის აღრიცხვა.

აღრიცხვის შემდგომი პროცესია გამანაწილებელ კომპანიებზე გადაცემული ელექტროენერგიის აღრიცხვა მათ შესასვლელ და გამოსასვლელ სალტეებზე ელექტროენერგიის დანაკარგების ჩათვლით. გამანაწილებელ კომპანიებს ელექტროენერგიის განაწილებისათვის სემეკის მიერ დადგენილი აქვს შესაბამისი ტარიფები. და ბოლოს, აღრიცხვის საბოლოო ადგილია ელექტროენერგიის მომხმარებლების აღმრიცხველ მოწყობილობაზე აღრიცხული ელექტროენერგიის სიდიდე.

ელექტროენერგიის აღრიცხვის ამ პროცესში ჩართულია დაინტერესებული მხარეები, რომელთა ინტერესები ძირითადად ეხება ეკონომიკური სარგებლის მიღებასა და შესაბამისად, მათი მოთხოვნები ძირითადად ელექტროენერგიის წარმოებითაა დაწყებული და საბოლოო მომხმარებლით დამთავრებული. პროცესში ჩართულ ობიექტებზე ელექტროენერგიის ზუსტი, ხარისხიანი და საიმედო აღრიცხვის ჩატარებაში დაინტერესებული მხარეებია:

სახელმწიფო ბიუჯეტი, ელექტროენერგეტიკის დარგი, ქვეყნის ეკონომიკა, ელექტროენერგიის ბაზარი, ენერგეტიკული ბირჟა, გენერაციის ობიექტები, გადაცემა-დისპეტჩირების ლიცენზიატები, გამანაწილებელი ენერგოკომპანიები, მომხმარებლების მთელი სისტემა, მოსახლეობა. თითოეულ ამ დაინტერესებულ მხარეს თავისი კერძო მოთხოვნები და ინტერესები გააჩნია. როგორც გამოვკვეთეთ, დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებიდან უპირველესად მიგვაჩნია სახელმწიფო ინტერესები, რომელსაც გამოხატავს გადაცემის ლიცენზიატი და კომერციული ოპერატორი. მათი მიდგომა აღრიცხვიანობის ხარისხისა და სიზუსტისადმი განსაკუთრებულია, და სახელმწიფო ცდილობს, ეს პრობლემა იყოს მოგვარებული, მოწესრიგებული და ექვემდებარებოდეს კონტროლს. ამ მოთხოვნის განხორციელების მიზნით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2014 წლის 17 აპრილის „ქსელის წესების დამტკიცების შესახებ“ №10 დადგენილებით განსაზღვრულია ინოვაციური ობიექტების – პროგრამულ-ტექნიკურ საშუალებათა სისტემის, ჭკვიანი ქსელებისა და ინტელექტუალური მრიცხველების გამოყენებისა და დანიშნულების წესები, საქმიანობათა სახეები, მრიცხველთა სხვადასხვა დონისა და სახეების მიერ ინფორმაციის შეგროვების, მონიტორინგისა და მართვის ფუნქციების შესრულების წესები. მოცემული წესების განხორციელებასა და კონტროლს ახორციელებს ენერგოკომპანიათა მენეჯმენტი.

საქართველოს ენერგოსისტემაში მოქმედებს ინოვაციურ პროგრამულ-ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსი, რომელშიც გამოიყენება ენერგოსისტემის საქმიანობის პარამეტრების მონაცემთა დაგროვება, კონტროლი და მენეჯმენტი. ესაა დისპეტჩერიზაციის ობიექტში მოქმედი პირველი დონის SCADA.

მეორე დონეს განეკუთვნება გადაცემის ობიექტებში მოქმედი SCADA, რომელიც კონკრეტულ ქვესადგურში ან გადამცემ ელექტრულ ქსელში ახდენს რეჟიმული პარამეტრების დაგროვებას, მონიტორინგსა და მართვას.

მესამე დონის SCADA განაწილების ენერგოკომპანიის ან გენერაციის კონკრეტულ ობიექტში მოქმედებს და ახდენს მონაცემთა შეგროვებას, კონტროლსა და მართვას.

ენერგოკომპანიის მენეჯმენტის დანიშნულებაა ორგანიზება გაუწიოს ელექტრო-ენერგიის სრულ აღრიცხვას, რისთვისაც გამოიყენება შემდეგი სახის მრიცხველები: მოცემული დადგენილებით განსაზღვრულია თითოეული მათგანის დანიშნულება.

– საანგარიშსწორებო – მრიცხველი, რომლითაც ხორციელდება ელექტრო-ენერგიაზე (სიმძლავ-რეზე) ფინანსური ანგარიშსწორება;

– საკონტროლო – მრიცხველი, რომელიც გამოიყენება საანგარიშსწორებო მრიცხველის საკონ-ტროლოდ, ზოგ შემთხვევაში მის შესაცვლელად;

– ელექტროენერგიის (სიმძლავრის) კონტროლისა და აღრიცხვის ავტომატი-ზებული სისტემა (ესკაა), პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების კომპლექსი, რომელშიც შედის აღრიცხვის გამზომ-გამოთვლითი კომპლექსი, მონაცემთა აღრიცხვის, შეკრებისა და გადაცემის მოწყობილობები და მათი დანიშნულებაა ელექტროენერგიის ავტომაზირებული აღრიცხვა;

– კომერციული აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემა (კაას) – ესაა პროგრამულ-ტექნიკურ ობი-ექტთა სისტემა, რომლის მეშვეობით ხდება ისეთი მონაცემების შეკრება და აღრიცხვა, რაც აუცილებ-ლადაა საჭირო ელექტროენერგიით (სიმძლავრით) საბითუმო ვაჭრობის ერთიანი ანგარიშსწორებისათ-ვის. ამასთან ხდება მათ შორის ორმხრივი პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მოცულობების დადგენა.

საინტერესოა, რომ საკომუნიკაციო/ქსელური მოწყობილობები და საკომუნი-კაციო/ინტერფეისის სადენები გამოიყენება მხოლოდ აღრიცხვისა და ელექტროენერგიის აღრიცხვის მიზნებისათვის.

დაინტერესებულ მხარეთა შორის მომხმარებლების მოთხოვნები და ინტერესები მნიშვნელოვანია, რომელთა მოთხოვნების გარანტირებულად დაკმაყოფილება წარმოადგენს ენერგოკომპანიათა მენეჯმენტის განსაკუთრებულ ამოცანას. მომხმარებელთაგან გამორჩეული ადგილი უჭირავს პირდაპირ მომხმარებელს, რომლის ყოველწლიური მოთხოვნის მოცულობა 60 მლნ კვტ.სთ. ესაა უწყვეტად მოქმედი საწარმოები და მთავრობამ გაითვალისწინა მათი მოთხოვნები, სპეციალური დადგენილებით მოახდინა მათი სტატუსის დადგენა და შესაბამისი დებულებების საფუძველზე დაადგინა მათთვის ელექტროენერგიის მიწოდების რეგულირების წესი. ამ ობიექტებში იმოქმედებს ინტელექტუალური მრიცხველები.

„ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წ. 16 აპრილის დადგენილებით გათვალისწინებული მომხმარებლები საქართველოს მთავრობის 2021 წ. 31 მაისის №244 დადგენილებით უნდა დარეგისტრირდნენ პირდაპირ მომხმარებ-ლებად არსებულ საბითუმო ბაზარზე და ვალდებული არიან დადგენილი წესით მოიყვანონ წესრიგში საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძები, ხოლო განაწილების ლიცენზიატი დადგენილ დროში ვალდებულია მიაწოდოს პირდაპირი მომხმარებლის მრიცხველის ჩვენებები გადამცემი სისტემის ოპერატორს და მომხმარებელს.

საბოლოო არასაყოფაცხოვრებო მსხვილი მომხმარებლის სემეკის 2020 წ. 28 დეკემბრის №80 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის მსხვილი მომხმა-რებლის კრიტერიუმებისა და სტატუსის განსაზღვრის წესის“ მიხედვით ელექტროენერგიის მრიცხველები უნდა მოწესრიგდეს 35/110, 6/10 და 0,4 კვ ძაბვაზე.

ენერგოკომპანიის მენეჯმენტი თავისი არსით მოწოდებულია ენერგეტიკული პროცესების შეუფე-რხებლად მიმდინარეობის თვალსაზრისით მჭიდრო კავშირი დაამყაროს კომპანიის ყველა რგოლთან, მოქნილად მართოს ეს კონტაქტები, ოპერატიულად გამოიყენოს ჭკვიანი ქსელი და ინტელექტუალური მრიცხველები და სისტემები.

დასკვნა

მსხვილი ენერგოკომპანიების ინოვაციური განვითარების საქმეში დიდი როლი ენიჭება ჭკვიან (გონიერ) ქსელებსა და ინტელექტუალურ პროგრამულ-ტექნიკურ საშუალებათა სისტემას.

ენერგეტიკა, თავისი არსით, ქვეყნის ეკონომიკურ დარგებს შორის ყოველთვის წიმსწრები დარგია და იგი პრიორიტეტულად ვითარდება და წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველს. ენერგოკომპანიების ბაზარზე ორიენტირებამ, ასევე განახლებადი ენერგოწყაროების ქსელში ინტეგრა-ციის აუცილებლობამ განაპირობა ენერგოკომპანიების მენეჯმენტის გააქტიურება, ჭკვიანი (გონიერი)

ქსელებისა და ინტელექტუალურ ავტომატიზებულ პროგრამულ საშუალებათა ინოვაციური სისტემების დანერგვის დაჩქარება და მათი გამოყენების არეალის გაფართოება, და არა მარტო ენერგოკომპანიების საწარმოებში (გენერაცია, გადაცემა-დისპეტჩირება, განაწილება, მოხმარება).

ინოვაციების დანერგვის მაგალითები გვაქვს ზოგიერთ ენერგოკომპანიაში (მაგ., სს „თელასი“) და მიღებული შედეგების ანალიზით განიხილება ამ ჭკვიანი ქსელებისა და ინტელექტუალურ ობიექტთა (მრიცხველები და სხვ.) მთელი საქართველოს მასშტაბით დანერგვა მოითხოვს მნიშვნელოვან ხარჯებს, სამაგიეროდ საქართველოს ენერგოსისტემა იქნება ევროპულ ენერგოსისტემათა განვითარების ერთ-ერთი წარმატებული სისტემა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ამყოლაძე, მ. ლომსაძე-კუჭავა, ჯ. დუგლაძე. „ინოვაციური პროცესები და ინოვაციური ასპექტები“, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2016.
2. ე. ბარათაშვილი, ლ. ქოქიაური. „მენეჯმენტის პრინციპები“. თბილისი, 2010.
3. ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე. „საინოვაციო მენეჯმენტი“, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2009.
4. გ. ამყოლაძე, მ. ლომსაძე, ჯ. დუგლაძე. „ენერგოკომპანიებში ინოვაციური პროცესების ორგანიზება“. ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, №6, თბილისი, 2013.
5. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა. gse.com.ge
6. ესკო. esco.ge

Tasks of electricity accounting smart meters usage management in the large energy companies

Guram Amkoladze
Professor of Georgian Technical University

Shota Kochadze
PhD student of Georgian Technical University

Summary

The work deals with the issues of introduction of modern power engineering development innovative technologies and the role and importance of energy company management in solution of this major problem.

The assessment of energy company management efficiency to the great extent depends on a smooth operation of the smart grids and the system of intellectual automated software and hardware tools, as well as on the fact how correctly and precisely the smart meters operation is automated.

The efficiency of these innovative technologies, related activity and management is mainly estimated by the quantity of measured (accounted) electricity. The accuracy of this value is the object of interest of the following parties: national budget, transmission system and dispatching licensee, electricity market commercial operator, generation facilities, distributing companies, direct consumers, population.

The energy company management efficiency is determined by timely and effective implementation of established plans and goals, resulting from which the energy company manages the obtained profit for development of its own activity. The major role in obtaining success belongs to main results of electricity generation, transmission, distribution and consumption processes that is why the smart grids and devices and smart meters are in the focus of energy company management attention. The Georgian energy system makes use of a complex of software and hardware tools, which uses the accumulation, control and management of energy company activity data. It is a first level SCADA acting in the dispatching facility.

The second level includes SCADA acting in the transmission facilities, which carries out accumulation, monitoring and management of operating parameters in the specific electric substation or transmitting electric network.

The third level SCADA acts in the specific facility of energy distributing or generation company and performs data accumulation, control and management.

Key words: energy company, innovation, management, smart grid, smart meter, energy system.

მსხვილ ენერგოკომპანიებში ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებისა და მენეჯმენტის ეფექტიანობის ამოცანები

ამყოლაძე გურამ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

კოჩაძე შოთა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში დახასიათებულია მსხვილ ენერგოკომპანიებში ჭკვიანი ქსელებისა და ინტელექ-ტუალურ-ავტომატიზებულ პროგრამულ-ტექნიკურ საშუალებათა სისტემის დანერგვისა და გამოყენების მენეჯმენტი. გაანალიზებულია ინოვაციათა დანერგვის ეფექტიანობა, განხილულია ელექტროენერგეტიკის ობიექტებში გატარებული და დღესაც მოქმედი ინოვაციები, მოცემულია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, გარჩეულია სხვადასხვა ენერგოკომპანიის განვითარების პერსპექტივები და გეგმები. განხილულია ენერგოკომპანიათა ძალისხმევა ინოვაციათა დანერგვის, გამოყენებისა და იმ ამოცანების, სირთულეებისა და გამოწვევების შესახებ, რომელთა გადალახვა მეტად დაძაბულ შრომას მოითხოვს. დახასიათებულია ენერგოკომპანიათა მენეჯმენტი, მისი ამოცანები, ინოვაციათა დანერგვის საქმეში მათი როლი და მნიშვნელობა, მოცემულია მენეჯმენტის ეფექტიანობის შესაფასებელი ფაქტორები, შეთავაზებულია ინოვაციათა შექმნის, დანერგვისა და კვლევის საქმეში პროფესიული კადრების მოსამზადებლად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის გამოცდილების გამოყენება, კერძოდ, „ენერგეტიკის მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამით სპეციალისტების მომზადება. დასკვნაში მითითებულია რეკომენდაციები, რომელთა გატარება უფრო ეფექტიანს გახდის ენერგოკომპანიათა მენეჯმენტის საქმიანობას.

ჭკვიანი ქსელებისა და ინტელექტუალური ხელსაწყოების გამართული მუშაობისათვის აუცილებელია შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა, საქმიანობათა მიმართულებების მიხედვით განაწილება, ადამიანური რესურსების მომზადება და სწავლება, არსებული კადრების გადამზადება ან კვალიფიკაციის ამაღლება. ინოვაციების შექმნა, გამოკვლევა, გამოყენება, დანერგვა საკმაოდ რთული, შრომატევადი და მრავალი გაურკვეველი მოვლენის გადალახვისა და დაძლევის საქმეა, შესაბამისად, საინოვაციო პროცესი მოითხოვს მაღალორგანიზებული, გამოცდილი და ერთგული სპეციალისტების გუნდის არსებობას. ენერგოკომპანიათა მენეჯმენტს თავის საქმიანობაში, რომელიც ინტელექტუალურ-ავტომატიზებულ პროგრამულ-ტექნიკურ საშუალებათა ინოვაციური სისტემის დანერგვას ითვალისწინებს, დიდი ძალისხმევა სჭირდება მოამზადოს შესაბამისი მომზადების დონის სპეციალისტები. მიგვაჩნია, რომ ინოვაციური პროცესების სამართავად, ინოვაციების გამოსაკვლევად, ინოვაციების დასაპროექტებლად, შესაქმნელად, დასანერგად და სამართავად საჭიროა ისწავლებოდეს ინოვაციური მენეჯმენტი, ინოვაციური პროცესების მართვა და ელექტრომომარაგების სისტემაში ავტომონიური მართვის თეორია.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, მენეჯმენტი, ენერგოკომპანია, ჭკვიანი ქსელი, ინტელექტუალური საშუალებები, პროფესიული კადრები.

ძირითადი ტექსტი

ელექტროენერგეტიკის ობიექტებში ინოვაციური ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება წარმოადგენს არა მარტო ენერგოკომპანიებისა და ელექტროენერგეტიკის, არამედ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველს. ენერგოკომპანიების ინტელექტუალურ პროგრამულ-ტექნიკურ საშუალებათა სისტემისა და გონიერი ქსელების პოტენციალის მეშვეობით ფორმირდება სტრატეგიული განვითარების მიზნები და იკვეთება ისეთი ორიენტირები, რომელთა ძირითად არსს წარმოადგენს ენერგეტიკის სრული პოტენციალის მომგებიანად გამოყენება და ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში არა მარტო ასოცირება, არამედ პარალელური საქმიანობა.

დღევანდელამდე ელექტროენერგეტიკაში მიმდინარეობდა საინოვაციო მოღვაწეობა, დამოუკი-დებლობის აღდგენიდან საქართველოს ენერგეტიკული სისტემა დიდი და რთული გამოწვევების წინაშე

დადგა, მაგრამ მეცნიერთა, ენერგეტიკოსთა და სამთავრობო წრეებმა, ფინანსურმა ინსტიტუტებმა, ბიზნესმენებმა და მეწარმეებმა ერთობლივი ძალისხმებით შექმნეს ენერგეტიკის განვითარების პროგრამა და ამ გეგმა-პროგრამის მენეჯმენტმა წარმართა მთელი რიგი ინოვაციური პროცესები, რომელთა მეშვეობით საქართველოს ენერგეტიკის ენერგოკომპანიების მენეჯმენტი არ ჩამოუვარდება ევროპის ქვეყნების ენერგოსისტემის ენერგოკომპანიათა მენეჯმენტს. ასეთი ინოვაციური პროცესებიდან გამოვყოფთ შემდეგს: 1. ენერგოკომპანიებში ევროპისა და ამერიკის კომპანიათა, ე.წ. უცხოური მენეჯმენტის საქმიანობა საქართველოს ენერგოკომპანიებში, რამაც დანერგა დასავლური მენეჯმენტის გამოცდილება და მსოფლმხედველობა, რაზედაც გაიზარდა და დაოსტატდა დღევანდელ ენერგოკომპანიებში დასაქმებული მენეჯერები. ენერგეტიკაში თანამედროვე მენეჯერების მომზადების საქმეში 1991 წლიდან ჩაირთო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტრანსპორტის ეკონომიკის, ორგანიზაციისა და მართვის კათედრა (რექტორი, აკადემიკოსი გ. ჩოგოვაძე, კათედრის გამგე, პროფ. გ. ამყოლაძე); 2. საქართველოს სინამდვილეში მართლაც დიდი სიახლეა ელექტროენერგიის ბაზრის შექმნა, რომელმაც ძირითადად შეცვალა წარმოდგენა ყოფილ საბჭოურ „უფასო“ ელექტროენერგიაზე; 3. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს – საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) – ჩამოყალიბება. ამ ინოვაციურმა მიდგომებმა საქართველოში დასავლური მენეჯმენტის კონცეფციები დაამკვიდრა, სიახლე იყო ის, რომ ელექტროენერგიის მწარმოებელს აღარ გააჩნია რეალიზაციის უფლება, მოქმედებს პირდაპირ მომხმარებელზე რეალიზაციის პროცესი, მაგრამ ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები სრულდება ინოვაციური ორგანოს – კომერციული ოპერატორის მეშვეობით (მათ შორის, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებიც); 4. ელექტროენერგიაზე (წარმოება, გადაცემა-დისპეტჩირება, განაწილება) ფასებს არა სახელმწიფო, არამედ დამოუკიდებელი ორგანო – სემეკი ადგენს, თანაც 13 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრის მქონე გენერატორებზე; 5. უკვე შექმნილია ენერგეტიკული ბირჟა და სხვა ნოვაციები.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების დონის გათვალისწინებით, ქვეყნის პოლიტიკური მმართველობის ინტერესების შესაბამისად აუცილებელია ევროპის ენერგოსისტემათა ასოციაციაში გაერთიანება და ამით ამ გაერთიანების საქმიანი მმართველური და მენეჯერული გამოცდილების შესწავლა, შეთვისება და ამის შესაბამისად პარალელურ რეჟიმში საქმიანობის წარმართვა; თავისთავად, ყველა ამ პროგრამული და მოწინავე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შესწავლა, ათვისება და დანერგვა; ამ საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით სხვადასხვა სახის ენერგოკომპანიათა პროფესიული კადრების გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და სწავლება სხვადასხვა სახის ტრენინგების ორგანიზება და შესაბამისი სპეციალისტების მოზიდვა.

ამ ინოვაციური ტექნოლოგიებიდან ზოგიერთი უკვე წლების მანძილზე მოქმედებს საქართველოს ენერგოკომპანიებში. დღესდღეობით კი საქმე გვაქვს ჭკვიან ქსელებთან, მათ დანერგვასა და გამოყენებასთან, რომელთა ეფექტიანად დანერგვა შეუძლებელია, თუ დანერგილი არ იქნა ინტელექტუალური მოწყობილობები – სხვადასხვა სახის მრიცხველების სახით.

დანერგვის პროცესი მეტად რთული საქმეა და თანაც ძვირადღირებული. სს „თელასის“ გადაწყვეტილებით უკვე დაწყებულია ინტელექტუალური ქსელების დანერგვა მთელ სისტემაში, მაგრამ მხოლოდ სამფაზა აბონენტებთან – კომერციულ მომხმარებლებთან. ეს სისტემა უკვე მოქმედებს და რა მიღწევები აქვს სს „თელასის“ მენეჯმენტს? პასუხი ჭკვიანი ქსელის განსაზღვრაშია, კერძოდ მას აქვს შესაძლებლობა განახორციელოს თვითმონიტორინგი, ქსელის ნებისმიერი მონაწილის საქმიანობისდა შესაბამისად წარადგინოს ანგარიში დანიშნულებისამებრ, შეუძლია ელექტროენერგიის დანაკარგებზე, სარგებლიანობაზე, ამონაგებზე, გენერაციასა და გადაცემაზე სრული, ზუსტი, სწორი ინფორმაციის მიწოდება.

მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასება შესაძლებელია შემდეგი მიმართულებებით:

– ჭკვიანი ქსელი ორგანიზებული უნდა იყოს თანამედროვე და საიმედო ელექტრულ ქსელში;

– მოცემული ქსელი აღჭურვილი უნდა იყოს თანამედროვე პროგრამულ-ტექნიკური საშუალებებით;

– საკომუნიკაციო, საინფორმაციო და კომპიუტერული სისტემები მუდმივად გამართულად უნდა მუშაობდეს;

– კვალიფიციურ პერსონალს მიღებული უნდა ჰქონდეს პროფესიული ცოდნა ჭკვიან ქსელებზე,

ინტელექტუალურ მრიცხველებზე, ავტომატიზებულ პროგრამულ-ტექნიკურ საშუალებათა სისტემაზე;

– მენეჯმენტმა მუდმივად უნდა აწარმოოს კონტროლის ფუნქცია, როგორც ტექნოლოგიების დასანერგად, ასევე მომსახურე პერსონალის მუშობის ხარისხის ასამაღლებლად;

– ინტელექტუალური ხელსაწყოებისა და ჭკვიანი ქსელების საიმედო მოქმედე-ბისათვის საბაზისო სადგურების მოწყობა და ორგანიზება, რაც იძლევა მონაცემების შეგროვების შესაძლებლობას აღრიცხვის ნებისმიერი წერტილიდან დღევანდელი მდგომარეობით ქ. თბილისის მასშტაბით;

– ყველა ინტელექტუალურმა ხელსაწყომ რომ აღრიცხოს და გადასცეს ინფორმაცია, აუცილებ-ლობას წარმოადგენს მონაცემების სპეციალური გრაფიკით ორგანიზება და მართვა (ერთ საბაზისო სადგურს შეუძლია ინფორმაცია შეაგროვოს ინტელექტუალური აღრიცხვის 1000 ხელსაწყოდან. ჭარბი რაოდენობის ინფორმაციის შესაგროვებლად ახდენენ დამატებითი საბაზისო სადგურის დაყენებას. საერთოდ სადგურების რაოდენობა მენეჯმენტის მიერ განისაზღვრება დაგეგმვის მეშვეობით);

– ელექტრონული კომერციული აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემის ეკაას წარმატებით შესაქმნელად კვალიფიციური სპეციალისტების სწავლების, საპროექტო-სამეცნიერო სამუშაოების ორგანიზება, კონტროლი და მართვა.

[1] მიხედვით, ინტელექტუალური ხელსაწყოს მომსახურებისათვის საჭიროა შემდეგი კვალიფი-კაციის პერსონალი:

– გამშვებ-გამმართველი ინჟინერი – სპეციალისტი, რომელიც ახდენს სისტემის მდგომარეობის კონ-ტროლისა და მონიტორინგის სტაბილურ გამოკითხვას, სულ 26 ადამიანი (1 – აღრიცხვის ყოველ 25000 წერტილზე);

– ინჟინერ-მემონტაჟე – სპეციალისტი, რომელიც ახდენს მწყობრიდან გამოსული მოწყობილობის შეცვლას, სულ 128 ადამიანი (1 – აღრიცხვის ყოველ წერტილზე);

– აღრიცხვის კომერციული ავტომატიზებული სისტემის შექმნისათვის აუცილებელი იქნება ინტელექტუალური ხელსაწყოების საჭირო რაოდენობა.

ენერგოკომპანიის მენეჯმენტის ამოცანას წარმოადგენს სწორად განსაზღვროს და დაგეგმოს შერჩეულ ადგილებში ხელსაწყოების ეკონომიკურად მიზანშეწონილი რაოდენობა.

მიგვაჩნია, რომ ინოვაციური პროცესების სამართავად, ინოვაციების გამოსაკვლევად, ინოვაციების დასაპროექტებლად, შესაქმნელად, დასანერგად და სამართავად საჭიროა საქართველოს ტექნიკური უნივერ-სიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტზე ელექტროინჟინერთა მომზადების პროგრამაში მოქმედ დისციპლინებთან ერთად ისწავლებოდეს ინოვაციური მენეჯმენტი, ინოვაციური პროცესების მართვა, ელექტრომომარაგების სისტემაში ავტომონიური მართვის თეორია, უკეთესად მიგვაჩნია ენერგეტიკის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადება, რომლის პროგრამაში აღნიშნულთან ერთად ენერგოკომპანიებისთვის აუცილებელი დისციპლინები შეისწავლება, როგორიცაა მენეჯმენტი, მარკეტინგი, პერსონალის მართვა, პროფესიული უნარები, გადაწყვეტილების მიღების თეორია, საქმიანი ურთიერთობების მართვა, დაგეგმვის, ორგანიზაციისა და კონტროლის, ასევე მოტივაციის თეორიები, ლიდერობა, ფინანსური მენეჯმენტი, ექსტრემალური მენეჯმენტი, კრეატიული მენეჯმენტი და სხვ. ამ ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი მოკლე ვადაში ჩაერთვება ენერგოკომპანიის საწარმოო, საინჟინრო, ტექნოლოგიურ, მენეჯერულ, საინოვაციო, საინვესტიციო-საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაში.

დასკვნა

ჭკვიანი ქსელებისა და ინტელექტუალური ხელსაწყოების სისტემის დანერგვა დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან. სპეციალისტების წინასწარი გათვლებით, იგი შეფასებულია 100-120 მლნ ლარად. მიგვაჩნია, რომ ინოვაცია, პირველ რიგში, მსხვილ რენტაბელურ საწარმოებში უნდა დაინერგოს. დანერგვის პროცესი მთლიანად საქართველოს მასშტაბით შეიძლება 10 წლამდე გაგრძელდეს. დღესდღეობით ინოვაციის დანერგვა დაწყებულია სს „თელასში“ სამფაზა აბონენტებთან – კომერციულ მომხმარებლებთან. არჩევანი გამოწვეულია მათი ინტერესით. ინოვაცია საშუალებას იძლევა დაიზოგოს დიდი რაოდენობის ელექტროენერგია. მათ აუცილებლად დაუწესდებათ დროის შესაბამისი საათობრივი ტარიფები. მოსახლეობის გადახდისუნარიანობის დონის გამო მრავალ მომხმარებელ-თათვის შეუძლებელი იქნება ძვირადღირებული ხელსაწყოების შეძენა, თუ არა და საკმაოდ ეფექტიანი

იქნებოდა მათი ჩართვა ინოვაციურ სისტემაში, რადგანაც ისინი თავად გამოითვლიან, როდისაა ნაკლებად დატვირთული რეჟიმი, ჩაერთვებიან და დაზოგავენ საკმაო რაოდენობის ელექტროენერგიას.

წარმატებულად მიგვაჩნია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „ენერგეტიკის მენეჯმენტის“ სპეციალობით სპეციალისტთა გამოშვება, რომელთა დასაქმება ინოვაციების დანერგვისა და გამოყენების პირობებში დიდად წაადგებოდა ენერგოკომპანიებს არა მარტო ინოვაციების დანერგვის, ასევე მისი ეფექტიანად და მომგებიანად გამოყენების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. კრამარენკო, შ. კოჩაძე. „ტექნიკური გადაწყვეტილებები სს „თელასის“ ეკაას კავშირის არხების ოპტიმალური ვარიანტის განსაზღვრა“. „ენერგომერა“, თბილისი, 2021.
2. შ. კოჩაძე. „მსხვილ ენერგოკომპანიებში ჭკვიანი ქსელების დანერგვის ეფექტიანობის ანალიზი, პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“. ჟურნ. „ენერგია“. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, №2(98), თბილისი, 2021.
3. გ. ამყოლაძე, მ. ლომსაძე-კუჭავა, ჯ. დუგლაძე. „ინოვაციური პროცესები და ინოვაციური ასპექტები“, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2016.
4. ე. ბარათაშვილი, ვ. დათიაშვილი, გ. ნაკაიძე, რ. ქუთათელაძე. „ინოვაციური მენეჯმენტი“. „ევროპული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2008.
5. გ. ამყოლაძე, დ. ბოკუჩავა, თ. დევიძე. „პერსონალის მენეჯმენტი“, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2017.
6. საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების 2020-2030წწ. გეგმა. თბილისი, 2020.

Tasks of innovative technologies usage and management efficiency in the large energy companies

Guram Amkoladze
Professor of Georgian Technical University

Shota Kochadze
PhD student of Georgian Technical University

Summary

The work describes the introduction and usage management of smart grids and smart-automated software and hardware tools in the large energy companies. The efficiency of innovations adoption is analyzed, innovations already implemented and currently acting in the electrical energy industry are considered, their beneficial and negative impacts are given, development prospects and plans of different energy companies are reviewed. There are discussed the energy companies efforts related to innovations adoption, use and those tasks, difficulties and challenges, overcoming of which requires very hard work. The energy companies management, its tasks, their role and importance in the innovation adoption are characterized, management efficiency estimating criteria are given, and there is offered the use of experience accumulated at the faculty of power engineering and telecommunication of Georgian Technical University regarding training of professional personnel engaged in innovation creation, adoption and investigation, in particular, training of specialists according to the Bachelor's Programme of "Power Engineering Management". In the conclusion the recommendations are given, carrying out of which will make the energy companies management activity even more effective.

Smooth operation of smart grids and smart devices requires invitation of appropriate qualified specialists, their distribution according to lines of activity, human resources preparation and training, retraining and skill upgrading of available personnel. Creation, research, use and adoption of innovations is quite a complicated, labor-intensive work requiring negotiation and overcoming of many unclarified phenomena, therefore, the innovation process needs formation of team of highly organized, experienced and devoted specialists. We suppose that the innovative management, innovation processes management and autonomous management theory of electricity supply system has to be studied for management of innovation processes, and research, designing, creation, adoption and management of innovations.

Key words: innovation, management, energy company, smart grid, smart tools, professional personnel.

ნავთობის ინდუსტრიის გლობალური გამოწვევები და ტენდენციები COVID-19 და რუსეთ უკრაინის კომფლიქტის ფონზე

ართმელაძე არჩილ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დოქტორანტი

აბსტრაქტი

ალბათ მსოფლიომ ბოლო 2 წელში გაანალიზა, თუ რა დიდი დარტყმა მიაყენა covid-19-ა, არა მხოლოდ ნავთობგაზის ინდუსტრიას, არამედ ყველა დეტალს მისი შეზღუდვებითა და გამოწვეული პრობლემებით, მაგრამ ყველაფერი, როდესაც გადალახული გვეგონა და ვიწყებდით გამოღვიძებას მსოფლიოს ახალი თავსატეხი გამოუჩნდა, რუსეთ უკრაინის ომის სახით. ორივე ფაქტი ძლიერ დარტყმას აყენებს ბოლო დროს ნავთობგაზის ინდუსტრიას. ამ ყველაფრის გაგრძელება სავალალო შედეგს მოიტანს მსოფლიო ეკონომიკისათვის. ბოლო ასწლეულებზე დაკვირვებით ბარელის ფასი პიკს მიუახლოვდა და ჯერ-ჯერობით მსოფლიო ვერ ახდენს მის რეგულირებას. პანდემიის პერიოდში მოხდა ჯერ 0 და შემდეგ უარყოფითი ნიშნულისაკენ გადასვლა ბარელის ფასის, ეხლა კი მაქსიმუმზე ავიდა და ექსპერტების ვარაუდით კიდე უფრო გაიზრდება. ამ ყველაფერში ერთადერთი გამოსავალი და ნათელი წერტილია OPEC-ის წევრების ახალი შეთანხმების მიღწევა და როგორც პანდემიის დროს გამოინახა ფასების რეგულირების ხერხი, ასევე ეხლა უნდა მოხდეს მათი ბალანსი. OPEC-ს შეუძლია ნავთობის ინდრუსტრიაში ფასების და მოპოვების რეგულირებით შეაჩეროს რუსეთის მხრიდან მსოფლიოს მანიპულირება შავი ოქროს და გაზის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: ნავთობი, გაზი, OPEC, მოპოვება, ბარელი, COVID-19, რუსეთი.

ძირითადი ტექსტი

ნავთობგაზის ინდუსტრიაში გლობალური გამოწვევბი და ტენდენციები ყველაზე მეტად მსოფლიო ვირუსის COVID-19-ის და რუსეთ უკრაინის ომის დროს ფიქსირდება. კორონავირუსთან ბრძოლა უპირველეს ყოვლისა ჯანმრთელობის კრიზისია. ზედმეტია იმის თქმა, რომ კრიზისზე რეაგირებას უზარმაზარი ეკონომიკური შედეგები აქვს. ზოგიერთმა ქვეყანამ შემოიღო ფართო სპექტრის ჩაკეტვისა და იზოლაციის ზომები გავრცელების შესაჩერებლად. შედეგად, ბიზნესი იხურება და უმუშევრობა იზრდება.

ცენტრალური ბანკები იყვნენ პირველი სამთავრობო უწყებები, რომლებმაც უპასუხეს ნავთობის შემოსავლებზე დამოკიდებულ ბევრ ქვეყანაში არსებულ კრიზისს. მაგალითად: ემირატებისა და საუდის არაბეთის ცენტრალურმა ბანკებმა გამოაცხადეს მცირე და საშუალო საწარმოების (SMEs) მხარდაჭერა, საერთო ჯამში $40 მილიარდი. კანადის ბანკმა გამოაცხადა დაახლოებით 30 მილიარდი დოლარის საკრედიტო ხაზები. ომანის მთავრობამ გამოაცხადა 20 მილიარდი დოლარი თავისი ბანკების მხარდასაჭერად. ნიგერიის ცენტრალურმა ბანკმა შექმნა 136 მილიონი დოლარის გამოყოფილი საკრედიტო ხაზი. ირანის ცენტრალურმა ბანკმა კომერციულ ბანკებს უბრძანა, დაბალპროცენტიანი სესხები გასცენ ათ ბიზნესს, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ კოროვირუსული დაავადების გამო, მათ შორის რესტორნები, ტექსტილის კომპანიები და ჩირის მაღაზიები. და. ა.შ. [1]

Covid-19-ის ინფექციამ სრულიად შეცვალა მსოფლიოს დღის წესრიგი და ახალი თვალით დაგვანახა რეალობა. პანდემიის უარყოფითმა ეფექტებმა თითქმის ყველა სექტორსა თუ სფეროში შეაღწია, სადაც თავისი წარუშლელი კვალი დატოვა ეკონომიკური და ფინანსური ზარალის სახით. ერთ-ერთი ამის კარგი მაგალითი გახლავთ ნავთობის ბაზარი და ამ ბაზარზე მიმდინარე მოვლენები.

ჯერ კიდევ 2020 წლის იანვრის ბოლოს 1 ბარელის ფასი დაახლოებით 60$ ღირდა, ხოლო მას შემდეგ რაც კორონა ვირუსი აქტიურ ფაზაში შედიოდა მარტი აპრილის მონაცემებით 1 ბარელი 22$ დაეცა, რადგან მსოფლიო ვირუსის დადასტურების შემდეგ დაიწყეს ქვეყნებმა შეზღუდვები გადაადგილებები და ა.შ. რამაც გამოიწვია მსოფლიოს პარალიზება, როგორიცაა ავიარეისები, სარკინიგზო მიმოსვლა, სხვადასხვა მსოფლიო დონის ღონისძიებების შემცირება. ამ ყველაფერმა გამოიწვია ნავთობის მარაგების დაგროვება და ამერიკული კომპანიები დადგნენ ძალიან რთული

სიტუაციის წინაშე, თითქმის ყველა ნავთობმომპოვებელ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ამერიკაში, საცავების გადავსება გამოიწვია. ამ ყველაფრის ფონზე ამერიკული ნავბთობის ფასი(WTI) 0 დოლარს, შემდეგ კი უარყოფით ნიშნულსაც გაუტოლდა. ნავთობ მწარმოებლები იქეთ უხდიდნენ თანხას მყიდველებს, რათა წაეღოთ ნავთობი და რეზერვები არ გადავსებულიყო. ამის მთავარი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ტექნიკის გაჩერება, რომლითაც ნავთობის მოპოვება ხორციელდებოდა, კომპანიებს უფრო მეტი უჯდებოდათ. არც ერთ ნავთობ მომპოვებელ კომპანიას არ უღირდა ნავთობის მოპოვების შეჩერება, რადგან უფრო დიდ ხარჯებთან იყო ეს დაკავშირებული.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია (OPEC) ნავთობის მოპოვებისა და შესაბამისად მიწოდების შემცირებას განიხილავდა, რაც უზრუნველჰყოფდა ფასების სტამილურებას. 6 მარტს, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გაიმართა OPEC-ის შეხვედრა, სადაც არა წევრი ქვეყნებიც იმყოფებოდნენ, როგორიცაა რუსეთი. შეხვედრა ითვალისწინებდა მოპოვების შემცირებას და ფასების რეგულაციას, მაგრამ რუსეთი წავიდა საკითხის წინააღმდეგ, შესაბამისად შეთანხმება ვერ შედგა და ნავთობის ფასი ერთბაშად 10% დაეცა, ამ ყველაფერს კი დაემატა საუდის არაბეთის ნავთობის მოპოვების გაზრდა და ფასების დაცემა ნავთობზე, ამ ყველაფერმა 30%-ით გამოიწვია ფასების კლება. შესაბამისი ქმედებით რუსეთი დღეში 100-150 მილიონის ოდენობით ზარალს ნახულობდა და იმ პერიოდისთვის რუსული ნავთობის ფასი 20%-ით გაუტოლდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით კი ბიუჯეტის დასაბალანსებლად რუსეთს ნავთობის ფასების დაახლოებით 40 დოლარი/ბარელზე ნიშნული ესაჭიროებოდა, რაც გარკვეულ წილად რუსეთის ეკონომიკას ასუსტებდა. საბოლოოდ 2020 წლის გაზაფხულისთვის ამერიკული ნავთობის ფასი მინუსებში წავიდა, ხოლო ევროპული ბრენტის ტიპის ნავთობი 16-17 $ გაუსწორდა. ეს ყველაფერი ამავდროულად ურტყამდა ამერიკის ნავთობის ინდუსტრიას და სასწრაფო იყო OPEC-ის წევრების შეხვედრა და გადაწყვეტილების დროული მიღება. 9-10 აპრილს გაიმართა, OPEC-ს შეხვედრა, სადაც ისტორიულად დიდი რაოდენობის ნავთობის შემცირების შეთანხმება მიიღეს. 1 მაისიდან-30 ივნისამდე მსოფლიოზე ნავთობის მიწოდება ყოველდღიურად 9.7 მილიონი ბარელი/დღეში შემცირდებოდა, შემდგომი 6 თვის განმავლობაში კი, ანუ ივლისიდან დეკემბრამდე მიწოდება 7,7 მილიონი ბარელით შემცირდებოდა, ხოლო მომდევნო 16 თვე, 2022 წლისთვის მიწოდება 5.9 მილიონი ბარელით შემცირდებოდა დღეში. თუმცა ეს შეთანხმება შეიძლება გადახედილიყო 2021 წლის აპრილამდე, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე. ამ ისტორიული გადაწყვეტილების შედეგად, თითოეულმა ნავთობ მომპოვებელმა მოაწერეს ხელი წარმოების რაოდენობის შემცირებას, რადგან ნავთობის ინდუსტრია არ ჩამოშლილიყო მსოფლიოს თავზე. კერძოდ: ნორვეგიამ, აზერბაიჯანმა, ყაზახეთმა, ქუვეითმა, საუდის არაბეთმა, არაბთა გაერთიანებულმა საამირომ და ომანმა განახორციელეს მოპოვების შემცირება და ნავთობის ფასების რეგულირება მსოფლიო ბაზარზე. [2]

პანდემიის პიკიდან დღემდე ყოველი აპრილის თვის მონაცემები მსოფლიო საფონდო ბირჟიდან ესე გამოიყურება ბარელის ფასთან მიმართებაში:

ცხრილი 1 [3]

წ/თვე	2020/04	2021/04	2022/04
ბარელის ფასი	25$	67$	105$

როგორც ვნახეთ OPEC-ის შეთანხმებამ იმუშავა და ნავთობის ფასი 2020 წლისთვის დასტაბილურდა მსოფლიო ბაზარზე, 2021 წლისთვის ეტაპობრივად მსოფლიო უბრუნდებოდა ჩვეულ რიტმს, მართალია შეზღუდვები სრულად არ იყო მოხსნილი, მაგრამ ვაქცინის შემოღებამ გახსნა უმეტესი ქვეყნის საზღვრები და ისევ ამუშავდა მსოფლიო. ამ ყველაფერმა გამოიწვია ნავთობის ფასების რეგულირება და მეტიც 2021 წლის მეორე პერიოდისთვის ნავთობის ფასმა მომატებაც დაწყო, ეს შედეგი ექსპერტების ვარაუდით გამოიწვია 2020 წელს რეკორდულად შემცირებამ ნავთობის მოპოვების, რაც OPEC-ის წევრ ქვეყნებს შორის შეთანხმების შედეგად მოხდა. გასულ წელს როდესაც ნავთობის ფასი დაახლოებით 70$ მიუახლოვდა ქვეყნებმა დაიწყეს ფიქრი მოპოვების გარზდაზე და ფასის

დარეგულირებაზე, მაგრამ ამ ყველაფერს დროებით ხელი შეუშალა საუდის არაბეთსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის არსებულმა უთანხმოებამ, რამაც პროცესი გააჭიანურა. OPEC-ის წევრებს შეთანხმებისამებრ 2021 წლის აგვისტოს ბოლოდან დღე-ღამეში 2 მილიონი ბარელით უნდა გაეზარდათ მოპოვება დეკემბრამდე, რათა დარეგულირებულიყო ფასები. ომიკრონის შტამის შემდეგ გაჩნდა ვარაუდი, რომ ნავთობის მოთხოვნა ისევ შემცირდებოდა შეზღუდვების ნიადაგზე, მაგრამ მოხდა პირიქით და წინა წელთან შედარებით მოთხოვნა გაიზარდა 1.1 მილიონი ბარელით/დღეში 99 მილიონ ბარელამდე. 2022 წელს ნავთობზე მსოფლიო მოთხოვნილება იქნება საშუალოდ 100,1 მილიონი ბარელი/დღეში 2022 წლის პირველ კვარტალში, ხოლო შემდეგ მოხდება მისი შემცირება 100 მილიონ ბარელამდე/დღეში მეორე კვარტალში - ნაკლები ჩვეულებრივ სეზონურ კლებასთან შედარებით. შემდეგ ისინი ვარაუდობენ მსოფლიო მოთხოვნილების ზრდას საშუალოდ 101,5 მილიონ ბარელამდე წლის მეორე ნახევარში.

2021 წელს რუსული ნავთობის იმპორტი ჩინეთში 4,5%-ით შემცირდა და შეადგინა 79,64 მლნ ტონა. მეორე ადგილზეა რუსეთი, ჩინეთში ნავთობის წამყვან მიმწოდებლებს შორის. პირველ ადგილზეა საუდის არაბეთი, რომელმაც 12 თვეში ჩინეთს 87,56 მილიონი ტონა მიჰყიდა 43,93 მილიარდ დოლარად (ზრდა 3,1%-ით და 56,54%-ით შესაბამისად). შემდეგ არის ერაყი (54,07 მლნ ტონა 26,42 მლრდ დოლარად), ომანი (44,81 მლნ ტონა 22,45 მლრდ დოლარად) და ანგოლა (39,15 მლნ ტონა 19,79 მლრდ დოლარად). ჩინეთის საბაჟო მონაცემების თანახმად, 2021 წელს ჩინეთმა შეამცირა ნავთობის შესყიდვები საზღვარგარეთიდან - ეს მაჩვენებელი ბოლო 12 თვის განმავლობაში 5,4%-ით შემცირდა და შეადგინა 512,9 მლნ ტონა. თუმცა, ღირებულების მიხედვით ამ ენერგომატარებლის იმპორტი 44,2%-ით გაიზარდა 257,3 მლრდ დოლარამდე.

მსოფლიო ვირუსს 2022 წლის თებერვალში დაემატა რუსეთ უკრაინის კონფლიქტი და ფაქტიურად ომი. რუსეთი ნავთობის და გაზის დიდ რაოდენობას აწვდის ევროპას, 2021 წელს მოპოვებული რუსული ნავთობის თითქმის 11 მილიონი ბარელიდან/დღეში, ევროპამ განახორციელა დაახლოებით 4 მილიონი ბარელის იმპორტი დღეში“. ფაქტიურად რუსეთი ევროპას ნატობს აწვდის მილსადენი „დრუჟბა”-ს მეშვეობით, რომელიც გადის უკრაინის ტერიტორიაზე.(უნგრეთში, სლოვაკეთში და ჩეხეთში).

მარტში აშშ პრეზიდენტმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის თანახმადაც რუსული ნავთობის და გაზის შეტანა აიკრძალა. BP-მ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ის არ გააფორმებს ახალ კონტრაქტებს რუსული ნავთობისა და გაზის შესაძენად. ომის დაწყებამდე 1 ბარელის ფასი 95-99% მერყეობდა, ხოლო ომის დაწყებიდან ეგრევე 140$ ნიშნულზე ავიდა, ამას დაემატა აშშ-ს უარი რუსულ ნავთობის შეძენაზე, რაც წარმოადგენს 670 ათასი ბარელი/დღეში. რუსული ნავთობის ჩანაცვლებაზე და ალტერნატიულ გზებზე დაიწყეს ფიქრი ქვეყნებმა. ირანი და ვენესუელა ერთ-ერთი კანდიდატები არიან მსოფლიოს მიაწოდონ ნავთობი და მოიხსნან შეზღუდვები. ირანმა გამოთქვა სურვილი და მზადყოფნა ევროპას მიაწოდოს ნავთობი და აღიდგინოს კავშირები, ასევე ირანი ფიქრობს მისი ნავთობის მიწოდებით დასტაბილურდება ფასები. ასევე ამ დროს ლიბიამ განაცხადა რომ ის 5-7 წელში რუსეთს სრულად ჩაანაცვლებდა ევროპის ბაზარზე, მაგრამ ამ ეტაპზე ეს შეუძლებელია, რადგან საუდის არაბეთის შემდეგ რუსეთი მეორე ქვეყანაა ნავთობის იმპორტის მხრივ და ის 3 მილიონი ბარელი ნავთობის ექსპორტს ახორციელებდა. დიდი შვიდეულის ქვეყნებმა OPEC-ს მიმართეს ნავთობის მოპოვების გაზრდასთან დაკაშირებით, რადგან ევროპას არ შეექმნას პრობლემა ნავთობის მიწოდებაზე და რუსეთის სანქციებზე. ამ სიტუაციის ფონზე საუდის არაბეთმა გადაწყვიტა 13 მილიონ ბარელამდე გაზარდოს დღე/ღამეში ნავთობის მოპოვება.

ამ ყველაფერს დაემატა გერმანიის გადაწყვეტილება, რომ ეტაპობრივად შეამციროს რუსული ნავთობის და გაზის მიღება და 25% შემცირებას ვარაუდობენ. რუსეთი მაინც აფიქსირებს საჯარდ იმ მოსაზრებას, რომ მსოფლიო განიცდის კოლაფს თუ შეაჩერებენ ნავთობის და გაზის იმპორტს რუსეთიდან. ეს დააზიანებს ყველას, რადგან რუსეთი ერთ ერთი მხსვილი იმპორტიორია ნახშირწყლების სექტორში. ევროკავშირი სანქიებს უმზადებს რუსეთს, ხოლო ამ დროს ლიბია მოულოდნელად ფორსმაჟორს აცხადებს და ნავთობის მოპოვებას ანელებს, განაცხადა, რომ მას არ შეუძლია ევროპისთვის ნავთობის მიწოდება დიდი რაოდენობით, რადგან რესურსი არ გააჩნია. ლიბია ამ დროს რუსულ წისქვილზე ასხამს წყალს და ამას აანალიზებს სრულად. [4]

დასკვნა

მცირედი წარმოდგენილი ფაქტებით საბოლოოდ არის შესაძლებლობა იმის, რომ რუსეთს დაუწესდეს სანქციები, ევროპამ და ამერიკამ გამონახონ ალტერნატიული იმპორტიორი ნავთობის და გაზის ინდუსტრიაში, მსოფლიო გადაეწყოს ახალ ბაზარზე. თუ რა თქმა უნდა მოხდება OPEC-ის წევრი ქვეყნების და არა წევრი ყვექნების მიერ ნავთობის მოპოვების გაზრდა, ეს დაეხმარება მსოფლიოს ისევ დარეგულირდეს ნავთობის ფასები მიუხედავად რუსეთ უკრაინის ომისა. ეს მიცემს საშუალებას გამოჩნდეს ნათლად ალტერნატიული ბაზრები. მსოფლიომ სხვადასხვა ქვეყნებმა გაინთავისუფლოს რუსეთის მანიპულაციებისაგან თავი და მიეცეს ქვეყნებს შანსი თავის გამოსაჩენად და მათი ბუნებრივი რესურსების მსოფლიოსათვის შესათავაზებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://resourcegovernance.org/blog/coronavirus-oil-crash-economies-how-governments-respond-ru
2. https://geoeconomics.ge/?p=12937
3. https://quote.rbc.ru/ticker/181206
4. http://oilnews.ge/?lang=1

Global challenges and trends in the oil industry in the wake of the COVID19 and Russia-Ukraine conflict

Archil Artmeladze
PhD student of Georgian Technical University

Summary

Perhaps the world has analyzed in the last 2 years what a huge blow covid-19a has inflicted, not only on the oil and gas industry, but on every detail with its limitations and problems, but everything we thought was over and we began to wake up to a new world puzzle, Russia-Ukraine war. Both facts have dealt a severe blow to the oil and gas industry recently. Continuation of all this will have disastrous consequences for the world economy. Observations in recent centuries have brought the price of a barrel close to its peak, and so far the world has not been able to regulate it. During the pandemic, the price of a barrel went up to 0 and then to a negative level, and now it has reached the maximum and experts predict that it will increase even more. The only solution and a clear point in all this is to reach a new agreement with the members of OPEC, and just as they found a way to regulate prices during the pandemic, so now their balance must be struck. OPEC can stop Russia's manipulation of black gold and gas by regulating prices and extraction in the oil industry.

Keywords: oil, gas, OPEC, extraction, barrels, COVID-19, Russia.

საკონტრეილერო გადაზიდვის მენეჯმენტის პრობლემები საქართველოს რკინიგზაზე

არჯევანიძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია მულტიმოდალური გადაზიდვის სახეობა საკონტრეილერო გადაზიდვა რკინიგზის ტრანსპორტის მეშვეობით, მისი ორგანიზაციული და ტექნიკური საშუალებების გამოყენების სირთულეები. როგორც ვიცით საქართველოში სატვირთო გადაზიდვები, მათ შორის სატრანზიტო გადაზიდვები რკინიგზით, მეტად აქტუალურია და დაკავშირებულია მის გეოპოლიტიკურ მდებარეობასთან, შესაბამისად სატრანსპორტო სფეროს დინამიური განვითარება აუცილებელია იმ გამოწვევებიდან გამომდინარე, რასაც მსოფლიო ტენდენცია ითვალისწინებს. ეს არის ეფექტური ტვირთის გადაზიდვის სახეობა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. საგზაო ტრანსპორტის განვითარებამ ტრანსპორტის ევროკომისია დაარწმუნა, რომ გარემოზე ზემოქმედების მაღალი მაჩვენებლის გამო ტრანსპორტირება გზებიდან სხვა რეჟიმზე უნდა გადაიყვანოს. მიუხედავად იმისა, რომ არცერთი ტრანსპორტოს სახეობა არ არის ეკოლოგიურად უსაფრთხო, აუცილებელია მულტიმოდალური ტრანსპორტის მოთხოვნის რაციონალური დაგეგმვა და მართვა.

მოწინავე ინდუსტრიული სახელმწიფოები, განსაკუთრებით ევროკავშირის წევრი ქვეყნები, დაინტერესებულები არიან სატრანსპორტო-სატრანზიტო გზების დივერსიფიკაციით, რამაც საქართველოზე დადებითად უნდა იმოქმედოს. გამიზნული სატრანსპორტო პოლიტიკის გატარებით, რეგიონის ეკონომიკური განვითარებით, უახლესი პოლიტიკური მოვლენების გაანალიზებით შესაძლებელია სატრანსპორტო მენეჯმენტის აქტუალური საკითხის გადაჭრა, როგორიცაა ფასები, სიჩქარე, სატრანსპორტო მომსახურების სიმარტივე, საიმედოობის მაღალი დონე.

საკონტრეილერო გადაზიდვაში იგულისხმებას კომბინირებულ გადაზიდვა. რათქმაუნდა ასეთი გადაზიდვები სირთულეებთან არის დაკავშირებული, როგორც ორგანიზაციული ისე ტექნიკური საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით, მაგრამ მეორეს მხრივ, - ეს არის ერთ-ერთი ახალი ნაბიჯი განვითარებადი ქვეყნის სატრანსპორტო სისტემის გასაუმჯობესებლად.

საკონტრეილერო გადაზიდვების განხორციელების პრობლემები ამჟამად დგას საქართველოს რკინიგზის წინაშეც და ის უნდა გადაწყდეს არა მხოლოდ უცხოური გამოცდილების საფუძველზე, არამედ საკუთარი პირობებისა და ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით. ნაშრომში გაანალიზებულია იმ შეფასების პარამეტრები რომლებიც განსაზღვრავს საკონტრეილერო-სარკინიგზო გადაზიდვების დანერგვის პრობლემებს მენეჯმენტის პოზიციებიდან. ვინაიდან აღნიშნული გადაზიდვის სახეობა დაკავშირებული ორი ტიპის სახმელეთო ტრანსპორტის ურთიერთ-თანამშლომლობასთან, განსაზღვრულია როგორც საავტომობილო (ტრაილერების), ასევე რკინიგზის ტრანსპორტის მახასიათებლები. გამოყოფილია თითოეული სატრანსპორტო საშუალების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი, საკონტრეილერო გადაზიდვა, მოდალური გადაზიდვა, რკინიგზა.

ძირითადი ტექსტი

საკონტრეილერო გადაზიდვა არის კომბინირებული მოდალური გადაზიდვა. ტრანსპორტირების აღნიშნული საშუალება გულისხმობს სპეციალური სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის დატვირთვას კონტრეილერებით - ტვირთითა და მისაბმელებით, ან ნახევრადმისაბმელების გადაადგილებას. რათქმაუნდა ასეთი მოდალური გადაზიდვები სირთულეებთან არის დაკავშირებული, როგორც ორგანიზაციული ისე ტექნიკური საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით, მაგრამ მეორეს მხრივ, - ეს არის ერთ-ერთი ახალი ნაბიჯი განვითარებადი ქვეყნის სატრანსპორტო სისტემის გასაუმჯობესებლად.

იმისათვის, რომ მოვახდინოთ აღნიშნული სახეობის გადაზიდვის ანალიზი საჭიროა მრავალი

პარამეტრის გათალისწინება. მაგალითად, მოძრავი შემადგენლობის მრავალსახეობა, რომლებიც განსხვავებულია და შესაბამის ეკონომიკურ პრობლემებს უყენებს სხვადასხვა ქვეყანას მათი საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების დონის შესაბამისად.

ასევე განსხვავებაა დასატვირთი საშუალებების მრავალსახეობის მიხედვით, რომელსაც უცხოელი ავტორები სხვადასხვა ქვეყანაში ძირითადი გადასატვირთი ორი ტიპის სახეობით განსაზღვრავენ. ესენია ჰორიზონტალური და ვერტიკალური, მაგრამ საწყის ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელსაც საკონტრეილერო გადაზიდვების დანერგვა მოითხოვს მისი ინვესტირებაა, როგორც ტექნიკური საშუალებების, ისე სტრატეგიის შემუშავების და პრაქტიკაში დანერგვის სახით.

საკონტრეილერო საშუალებების რკინიგზით ტრანსპორტირების ეკონომიკური შეფასებისას და მისი პარამეტრების კლასიფიკაციისათვის გასათვალისწინებელია ლოგისტიკური სისტემის მონაწილეთა უპირატესობების დადგენა. მხედველობაში მიიღება ისეთი სუბიექტები, როგორიცაა სახელწიფო, ტვირთის მფლობელები, საგზაო ტრანსპორტის მფლობელები, ან ლოგისტიკური კომპანიები და რკინიგზა.

ეკონომიკური თვალსაზრისით საკონტრეილერო სარკინიგზო გადაზიდვის სახეობა უნდა გახდეს ეფექტური საშუალება, როგორც ტვირთმფლობელთათვის, ასევე სხვა ზემოთჩამოთვლილი სუბიექტებისათვის. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან და აბრეშუმის გზის პროექტის აქტუალობიდან გამომდინარე, აქტიურად არის ათვისებული სატრანსპორტო მაგისტალი როგორც საავტომობილო, ასევე რკინიგზის ტრანსპორტის მეშვეობით.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ქმნის ხელსაყრელ პირობებს ეკონომიკის სატრანსპორტო სექტორის დაჩქარებული განვითარებისათვის. ბოლო დროს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები კიდევ უფრო ზრდის საქართველოს სატრანზიტო დერეფნის გამოყენების აქტუალურობას.

საქართველოს ტრანსპორტის მდგომარეობაზე წარმოდგენას ქმნის ცხრილში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები.

ცხრილი 1.

ტვირთის გადატანა საერთო სარგებლობის ტრანსპორტის სახეების მიხედვით (ათასი ტონა)[1]

წლები	სულ	მათ შორის		
		სარკინიგზო	საავტომობილო	საჰაერო
2015	44 247.1	14 142.7	30 082.0	22.4
2016	42 318.9	11 881.7	30 412.9	24.3
2017	41 507.4	10 672.5	30 747.4	87.5
2018	41 226.2	9991.5	31 085.6	149.1
2019	42 433.5	10 860 .6	31 427.5	145.4
2020	42 916.9	10 909.3	31 773.2	234.4

სარკინიგზო გადაზიდვების მოცულობა დინამიკაში შემცირებულია, რაც უამრავი შიდა და გარე ფაქტორებით აიხსნება, მათგან კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მულტიმოდალურ გადაზიდვებში საქართველოს რკინიგზის ნაკლები ინტეგრაცია.

ასეთი კომბინირებული რეჟიმით გადაზიდვის ფუნქციონალური ვარგისიანობა ფასდება, როგორც აღვნიშნეთ მრავალი კრიტერიუმით: მაგალითად გადაზიდვის მანძილის გათვალისწინებით. აქ მოიაზრება გამგზავნი და დანიშნულების ობიექტი, ქვეყნების მიუხედავად; სატრანსპორტო მარშუტების ხელმისაწვდომობა და განვითარების დონე; მიწოდების დრო; მომსახურების ხარისხი; გადაზიდვის ღირებულება და ა.შ.[2].

აღსანიშნავია ასევე ტვირთის გადაადგილების უსაფრთხოების გათვალისწინების ფაქტორები, ენერგეტიკული ინტენსივობა, მომსახურების ხარისხი და სახელმწიფო რეგულირების მხარდაჭერის

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სტატისტიკური წელიწდეული 2021. თბ. 2022. გვ. 197.
[2] Development of international rail freight corridors. [Online], Available: http://mirinitiative.com/projects/white-book/joaquinotero/thedevelopment-of-international-rail-freight-corridors-achallenge-for-spanish-railways.html. [1 July 2018], 2018.

საკითხები.

ვინაიდან საქართველო ევროპის ასოცირებული ხელშეკრულების კონტრაგენტია, როგორც ასოცირებული წევრი ვალდებულია შეასრულოს სატრანსპორტო ქსელების განვითარების მოთხოვნები, სადაც ეკოლოგიური საკითხი მეტად ხაზგასმულია, რაც დაწვრილებით გულისხმობს ეკოლოგიურად სუფთა მწვანე ტექნოლოგიების მასიურ ათვისებას. აღნიშნული ინტეგრაცია კი წარმოუდგენელია სატრასპორტო სისტემის მოდერნიზაციის, აღჭურვილობის და ტექნოლოგიის გაუმჯობესების გარეშე[1]. დღეისათვის აქტიურად არის ათვისებული ჩვენი ქვეყნის სატრანსპორტო ქსელის მიერ ისეთი კომბინირებული გადაზიდვის სახეობა, როგორიცაა საკონტეინერო გადაზიდვები „კარიდან კარამდე". მაგალთად მხოლოდ ბათუმის პორტში გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობა 99187 იყო[2].

სარკინიგზო საავტომობილო მატარებლის ტრანსპორტირების განვითარების პროექტით ივარაუდება რომ ასეთი სახეობით ტრასპორტირების უდიდესი ეფექტურობა მიიღწევა მხოლოდ იმ მიმართულებით, სადაც ყოველთვის არის მძიმე მანქანების მოძრაობის მაღალი მაჩვენებელი, მანძილის სიდიდე და ძნელად გადასაადგილებელი გეოგრაფიული არეალი.

საქართველოში საკონტრეილერო გადაზიდვების ტრანსპორტირება მსგავსია საავტომობილო გადაზიდვისა, რომელიც არაერთხელ განხორციელებულა რკინიგზის მეშვეობით. თუმცა თუკი შევადარებთ საგზაო საკონტრეილერო გადაზიდვების ვითარებას, განსხვავდება და ნათლად დავინახავთ, რომ საქონლის უმეტესი ნაწილი სამანქანო გზით გადაიზიდება სატარიფო ღირებულების არაკონკურენტუნარიანობის გამო სარკინიგზო გადაზიდვებთან შედარებით.

დღესდღეობით რკინიგზის ტრასპორტით სამანქანო გადაზიდვებმა გამოავლინა, რომ საჭიროა სარკინიგზო პლატფორმების ტექნიკური მახასიათებლების დაკმაყოფილება, თუმც რკინიგზათა შორის შეთანხმების (ППВ) თანახმად ვაგონების უზრუნველყოფის პრობლემა დღის წესრიგში არ დგას.

როგორც მრავალი ქვეყნის გამოცდილება ცხადყოფს საკონტრეილერო ტრანსპორტორების განვითარება შეუძლებელია სახელმწიფო საკანონმდებლო მხარდაჭერის სისტემის შემუშავების გარეშე. კერძოდ ასეთი რეგულირება შემუშავებულ იქნა საფრანგეთში, შვეიცარიაში და ა. შ. არც საქართველოა გამონაკლისი და 2020 წლის სექტემბერში შემუშავბეული იქნა საკანონმდებლო ინიციატივა გზათსაფასურის გადახდისაგან გათავისუფლებულიყვნენ საავტომობილო გადამზიდავები რკინიგზით სარგებლობის შემთვევაში.

აღნიშნული ოპერაციის განხორციელება მოითხოვს გარკვეული ტერმინალების და ობიექტების ინფრასტრუქტურულ უზრუნველყოფას. ეს პრობლემა ჩვენს შემთვევაში ინდუსტრიაში არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე მოითხოვს გარკვეული ინვესტიციების მოზიდვას.

ასევე გამოსაკვეთია საგზაო გადამზიდავების ინტერესიც, სადაც უნდა გავითვალისწინოთ კონკურენტული ტარიფი. აქ მნიშვნელოვანია რომ საგზაო გადაზიდვების ჯამური ღირებულება საკონტრეილერო გადაზიდვისთვის უნდა იყოს დაბალი ვიდრე მისი ხარჯების ჯამური ოდენობა ჩვეულებრივი საგზაო ტრანსპორტირებისას[3].

დასკვნა

საკონტერილერო გადაზიდვის დასანერგად რკინიგზის ტრანსპორტით აუცილებელია პარალელების გავლება საკონტეინერო გადაზიდვებთან და შესაბამისად რაციონალური სქემების შემუშავება არსებული სატრანსპორტო ჯაჭვის ასამოქმედებლად. ამ სქემის ძირითადი მოთხოვნა არის სატრანსპორტო დროის შემცირება, სარკინიგზო ტვირთების ბრუნვის ზრდა, სატრანზიტო საავტომობილო გზის განტვირთვა, ეკოლოგიური გარემოს გაჯანსაღება, ინფრასტრუქტურულად და ეკონომიურად სასურველი მოდელის შერჩევა, ინტერმოდალური ტრანსპორტირების საქართველოს ბაზარზე ეფექტური გამოყენებისათვის შესაფერისი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების დადგენა და ეკონომიკური ანალიზი.

[1] Lucia Knapcikova, Rob Konings. EUROPEAN RAILWAY INFRASTRUCTURE: A REVIEW. Received: 23 Aug. 2018 Accepted: 14 Sep. 2018.
[2] https://www.batumiport.com/ge/generaluri_direqtoris_mimartva/statistika/
[3] Основные железнодорожные направления и перспективные транспортные потоки между странами Европы и Азии. // Бюллетень ОСЖД, 19%. №3, с. 10-18.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Шобанов Андрей Витальевич. Исследование экономической эффективности железнодорожных контрейлерных перевозок в международном сообщении. Москва 2000 г.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სტატისტიკური წელიწდეული 2021. თბ. 2022. გვ. 197.
3. Development of international rail freight corridors. [Online], Available: http://mirinitiative.com/projects/white-book/joaquinotero/thedevelopment-of-international-rail-freight-corridors-achallenge-for-spanish-railways.html. [1 July 2018], 2018.
4. Lucia Knapcikova, Rob Konings. EUROPEAN RAILWAY INFRASTRUCTURE: A REVIEW. Received: 23 Aug. 2018 Accepted: 14 Sep. 2018.
5. https://www.batumiport.com/ge/generaluri_direqtoris_mimartva/statistika/
6. Основные железнодорожные направления и перспективные транспортные потоки между странами Европы и Азии. // Бюллетень ОСЖД, 19%. №3, с. 10-18.

Problems of Contrailer Shipping Management in Georgian Railway

Tamar Arjevanidze
PhD student of Georgian Technical University

Summary

The article discusses the type of multimodal shipping contrailer transportation by rail, as well as the difficulties of its organizational and technical aspects. As a known fact, freight transportation, including transit shipping by rail, is very relevant in Georgia and is related to its geopolitical location. Therefore, the dynamic development of the transport sector is necessary due to the challenges of the global trend. Contrailer shipment is a modern method of efficient cargo transportation. The development of road transport has convinced the European Commission of Transport that due to the high environmental impact, transportation should be shifted from roads to another mode. Although none of the modes of transport is environmentally safe, rational planning and management of multimodal transport demand is essential.

Leading industrialized countries, especially EU member states, are interested in diversifying transport routes, which should have a positive impact on Georgia. By pursuing a targeted transport policy, economic development of the region, analysis of the latest political developments, it is possible to solve the current issue of transport management, such as prices, speed, ease of transport services, high level of reliability. In this regard, the evaluation parameters, which identify the managerial problems of the introduction of counter-rail transport, are analyzed in the paper.

Contrailer shipping means combined transportation. Of course, such shipments are fraught with difficulties in terms of the use of both organizational and technical means, but on the other hand, it is one of the new steps to improve the transport system of a developing country.

The problems of contrailer transportation are currently facing the Georgian Railway and it should be solved not only on the basis of foreign experience, but also taking into account its own conditions and the perspective of industry development. The paper analyzes the evaluation parameters that identify the problems of introduction of contrailer shipments from management positions. As the type of shipping related to the interoperability of the two types of land transport, the characteristics of both road (trailers) and rail transport are defined.

In order to introduce contrailer transport by rail, it is necessary to draw parallels with container shipping and consequently, to develop rational schemes for the implementation of the existing transport chain. The main requirements are reduction of transport time, increase of rail freight traffic, unloading of transit road, improvement of ecological environment, selection of infrastructurally and economically desirable model, and establishment of technological transportation in the Georgian market.

Keywords: Management, Container shipping, Modal shipping, Railway

პირველადი ჯანდაცვის პრობლემები საქართველოში

ბალახაშვილი ჟანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ- პროფესორი

ქაჯაია თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ალადაშვილი მაია
ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიაში - „პირველადი ჯანდაცვის პრობლემები საქართველოში- განხილულია ზოგადად დღევანდელი სამედიცინო მომსახურების როლი მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში და ის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის ამ როლის შესრულებას.

სტატიაში გამახვილებულია ყურადღება, პირველადი ჯანდაცვის სისუსტეზე და მის უუნარობაზე, გადაჭრის პრობლემებზე და გამოსწორების ხარვეზებზე. რაც იმას ნიშნავს, რომ ეს საფრთხე მარტო საქართველოს ჯანმრთელობის სფეროს არ უდგას, მაგრამ ის განსაკუთრებით მწვავე საკითხად გვევლინება საქართველოს მაგვარ დაბალშემოსავლიან ქვეყნებში.

სტატიაში განხილულია ყველა ის პროგრამები და ინიციატივები, რაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და კერძო ფონდების მიერ განხორციელდა პირველადი ჯანდაცვის ფუნქციონირების გამოსასწორებლად. დეტალურად განხილულია უშუალოდ საქართველოზე ჩატარებული კვლევებიც და გამოკვეთილად ჩანს პირველადი ჯანდაცვის პრობლემები და ხარვეზები. პერსონალის (ძირითადად, ექიმების) დაბალი კვალიფიკაცია, პაციენტების უნდობლობა, სწორი მოტივაციის არქონა, პირველადი ჯანდაცვის სტრატეგიის არარსებობა და მრავალი სხვა.

ჩემი შეხედულებით, დაუყონებლივ უნდა დაიწყოს პირველადი ჯანდაცვის ექიმების (და ექთნების) კვალიფიკაციის უწყვეტი ამაღლება, დაინერგოს სწორი მოტივაცია და მიდგომები მსგავსი პრობლემის გადასაჭრელად.

ადამიანის ჯანმრთელობა არის მისი სრული ფიზიკური და სულიერი კეთილდღეობა. ჯანმრთელობის დაცვა საზოგადოების მხრიდან აღიქმება, როგორც ცხოვრების დონისა და ხარისხის აუცილებელი შემადგენელი კომპონენტი, რომელიც მთავარ როლს ასრულებს სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში და უზრუნველყოფს შრომითი რესურსების კვლავწარმოებას.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ორი სისტემისგან შედგება:

1. პოლიკლინიკები და ამბულატორიები ანუ პირველადი ჯანდაცვა.
2. სტაციონალური კლინიკები (საავადმყოფოები).
3. მოცემული სტატია ეხება მხოლოდ პირველადი ჯანდაცვის პრობლემებს და ხარვეზებს და მათი მოწესრიგების რეკომენდაციებს.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვა; ოჯახის ექიმი; სუსტი პირველადი ჯანდაცვა; სამედიცინო მომსახურება.

ძირითადი ტექსტი

პირველად ჯანდაცვას ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციულ მოწყობაში განსაკუთრებული როლი ეკისრება [1, გვ. 12]. მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხი, სამედიცინო სერვისისადმი მათი ხელმისაწვდომობა, რადგან, ოჯახის ექიმი ახდენს პაციენტის დაავადების პირველად შეფასებას. საზღვარგარეთის კვლევები ადასტურებს, რომ როდესაც ოჯახის ექიმი კოორდინაციას უწევს პაციენტის სამედიცინო მომსახურებას, ამით მცირდება ძვირადღირებული სამედიცინო მომსახურების მოხმარება. უცხოურ პრესაში ასეთ დროს სახელდება ჰოსპიტალური მკურნალობის 35%-ით, ხოლო გადაუდებელი დახმარების 50%-ით შემცირება [3]. ოჯახის ექიმმა კარგად

იცის პაციენტის სამედიცინო ისტორია [4. გვ. 102]. ეს ცოდნა მას საშუალებას აძლევს, მართოს პაციენტის დაავადება, მოახდინოს სამედიცინო ხარჯების მინიმუმამდე შემცირება და სამედიცინო მომსახურების უწყვეტობა. საქართველოს ჯანდაცვის სტაციონარებში პაციენტთა მიმართვიანობა 2013-2017 წლებში გაიზარდა 3-ჯერ (300%), პირველად ჯანდაცვის დაწესებულებებში კი, მხოლოდ 30%-ით, რომ საქართველოს ჯანდაცვისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მხოლოდ 43,3% დაიხარჯა პირველად ჯანდაცვაზე, 56,7% კი - სტაციონარებზე და ა. შ. [5. გვ. 18].

პრობლემური პირველადი ჯანდაცვა არ არის მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი. ეს პრობლემა ყველა დაბალშემოსავლიან და განვითარებად ქვეყანას უდგას. ამ პრობლემის შესახებ 2019 წლის დასაწყისში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოხსენებაში აღინიშნა. მან დაასახელა გლობალური ჯანდაცვის ათი ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხე, [6. გვ. 4]. ეს საფრთხეებია:

1. ჰაერის დაბინძურება და კლიმატის ცვლილება.
2. არა გადამდები დაავადებები.
3. გლობალური პანდემია.
4. სუსტი და მოწყვლადი გარემოცვა.
5. ანტიკრიზისული რეზისტენტობა.
6. ემბოლია.
7. სუსტი პირველადი ჯანდაცვა.
8. ვაქცინაციისაგან თავის არიდება.
9. დენგის დაავადება.
10. აივ/შიდსი

დაბალშემოსავლიან განვითარებად ქვეყნების პირველად ჯანდაცვაში არსებული არასასურველი მდგომარეობის გამო, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას („ჯანმო“) უხდება არა ერთი წამოწყების გატარება ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ერთ-ერთი ასეთი იყო 2015 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და ბილ და მელინდა გეითსების ფონდის ერთობლივი ძალისხმევით შემუშავებული პირველადი ჯანდაცვის გაუმჯობესების ინიციატივა - PHCPI (Primary Health Care Performance Initiative), რომლის მიზანი იყო დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში პირველადი ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესების დაჩქარება [3. გვ. 9]. აღნიშნული ინიციატივის აქტივობები გამომდინარეობდა პირველადი ჯანდაცვის კონცეპტუალურ ჩარჩოდან, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ძლიერი პირველადი ჯანდაცვის შექმნისთვის საჭირო კომპონენტებს [5. გვ. 10].

იმავე 2018 წელს, ჯანდაცვის სისტემების კვლევის მეხუთე გლობალურ სიმპოზიუმზე (Fifth Global Symposium for Health Systems Research) (HSR 2018) ერთ-ერთი მთავარი სადისკუსიო თემა იყო პირველადი ჯანდაცვის სისტემა და აქაც შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები [5. გვ. 15]:

- დისკუსიისა და ხელმძღვანელობის პლატფორმის შექმნა;
- მართვის და რეგულაციების იურიდიული ჩარჩოს განვითარების მხარდაჭერა;
- მონაცემების შეგროვების და ანალიზის გაუმჯობესება;
- სახელმწიფო და კერძო სექტორის კავშირების პოლიტიკის შესწავლა და სხვა.

პირველადი ჯანდაცვის მუშაობის გასაუმჯობესებლად მსგავსი ტიპის ღონისძიებები ხორციელ-დებოდა საქართველოშიც. პირველადი ჯანდაცვის რეფორმირება საქართველოში 2000 წლიდან დაიწყო [8]. ამ პერიოდიდან საქართველოს სოფლებში დაიწყო ამბულატორიების მშენებლობის და რეაბილიტა-ციის პროცესი, ექიმების და ექთნების გადამზადება. რაიონული ცენტრების და დიდი ქალაქებისთვის დაიწყო პირველადი ჯანდაცვის, ამბულატორიული და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისების ინტეგრაცია და ა. შ. დღეს საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში პირველადი ჯანდაცვის სისტემა საოჯახო მედიცინის ცენტრების მეშვეობით ფუნქციონირებს, ხოლო სოფლად პირველადი ჯანდაცვის ფუნქციას სოფლის ექიმის ინსტიტუტი ახორციელებს [8. გვ. 82].

შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად საქართველოში პერიოდულად ტარდებოდა კვლევები, მუშავდებოდა რეკომენდაციები და იქმნებოდა კონცეფციები. მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევა, რომელიც მხოლოდ საქართველოს პირველად ჯანდაცვას შეეხო [5].

აღნიშნულ კვლევაში, რომელიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქების მოსახლეობაში ჩატარდა, პირველადი ჯანდაცვის სისუსტის მიზეზად რესპოდენტებმა დაასახელეს შესაბამის სამინისტროებში პირველად ჯანდაცვის მუშაობაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტის ნაკლებობა, ჯანდაცვის სამინისტროში თანამდებობის პირების ხშირი ცვლა, დასახელდა ოჯახის ექიმების დაბალი კვალიფიკაციაც [5. გვ. 28]. ექთანთა მწვავე დეფიციტი. საქართველოში ექიმების რაოდენობა აჭარბებს ექთნების რაოდენობას. 2019 წლის სტატისტიკით საქართველოში 31700 ექიმი და 19600 ექთანია, ანუ ერთ ექიმზე მოდის 0,6 ექთანი [10]. მაშინ, როდესაც ევროპის ქვეყნებში საშუალოდ ერთ ექიმზე მოდის 4-5 ექთანი [11].

აღსანიშნავია ასევე მეცნიერების თ. ვერულავას და რ. ჯორბენაძის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. კვლევა ჩატარდა 456 რესპოდენტზე. კვლევით დადგინდა, რომ რესპოდენტთა უმეტესი ნაწილი, კერძოდ, 55% (253 რესპოდენტი) უპირატესობას ანიჭებს საჭიროების შემთხვევაში არა პირველადი ჯანდაცვის ოჯახის ექიმთან მიმართვას, არამედ, პირდაპირ ექიმ-სპეციალისტთან მიმართვას.

ჯანდაცვა რთული სისტემაა. პაციენტებს უფლება აქვთ აირჩიონ კლინიკაც და ექიმიც, მაგრამ პაციენტებმა არ იციან სამედიცინო დახმარების რომელი სახე და რომელი ექიმია მათი მკურნალობისთვის ყველაზე ეფექტური. პაციენტი ამის ცოდნას არ ფლობს. ამიტომ აუცილებელია პაციენტი რაც შეიძლება მეტად იყოს ინფორმირებული, ანუ ჩართული სამედიცინო სერვისის მიღების პროცესში.

დასკვნა

სტატიაში ჩვენ შევისწავლეთ პირველადი ჯანდაცვის მდგომარეობა საქართველოში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დამოკიდებულება და ინიციატივები ჯანდაცვის ამ რგოლის გასაუმჯობესებლად, ცალკეული კვლევები შედეგები და გამოვიტანეთ დასკვნა, რომ საქართველოს პირველადი ჯანდაცვა საჭიროებს მაღალ კვალიფიციური ღონისძიებების გატარებას. პირველადი ჯანდაცვა იყოს შედარებით ხელმისაწვდომი და სანდო. გამოკითხულ მოსახლეობის 91% უარყოფითად აფასებს პირველადი ჯანდაცვის ექიმების კვალიფიკაციას და მათ დამოკიდებულებას პაციენტების მიმართ.

ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად უნდა დაიწყოს უწყვეტი პროფესიული განათლება. როგორიცაა გადამზადების კურსები. საქართველოში არის საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრები, მაგრამ ისინი ფასიანია და ექიმებს და ექთნებს ფინანსურად არ მიუწვდებათ მათზე ხელი [13. გვ. 167]. რაც შეეხება პაციენტებთან დამოკიდებულების გამოსწორებას, ამისათვის საჭიროა ექიმები მეტი ყურადღებით მიუდგნენ ამა თუ იმ საკითხს რადგან არ მოხდეს მსგავსი პრობლემების წინ წამოწევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მოკლე მიმოხილვა. 2018.
2. Aoun A. Al Hayek S., El. Jabbour F. (2018). the Need for a New Model of th Physician-Patient Relationship: A Challenge for Modern Medical Practice. fom Med Prin Care Rev; 20(4): 379-384.
3. **Gerade C.** (2011). From Patient Advocate to Gorlekeeper: Understnnd: nge the Effewcts of the NHS Reforms. Br j Gen Pract 61(592): 655-656.
4. **მიქავა ნ., გაბრიჭიძე ს.** „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ წლიური ანგარიში. თბ., 2019.
5. Ten Threats to Global Hea ith in 2019. http://www.who.int/emergencles/ten-threats-to-global-health-in-2019.
6. „ჯანმო“-ს 2018 წლის ანგარიში - A Vision for Health Care in the Rage and the Systainable Development Goals. 2018.
7. **Chirovani I., Sulaberidze L.** (2017). Primary Health Cre Systems, Case Study From Georgia, Geneva: World Health Organization.
8. **ვერულავა თ.** პირველადი ჯანდაცვის „მეკარიბჭეობა“ და მიმართვიანობა. ჟ. „ეკონომისტი“. #1. 2020.
9. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის ინფორმაცია (www.geostat.ge).
10. **ვერულავა თ.** ექთანთა საქმიანობის გარემოს მახასიათებლები და სამუშაოთი

კმაყოფილება საქართველოში, ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია. 2015. 1(1),

11. **როსტიაშვილი თ.** პირველადი ჯანდაცვა - თანამედროვე ჯანდაცვის პრიორიტეტული მიმართულება, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული - „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი. თბ., 2020. ტ. I.

Primary Health Care Problems in Georgia

Zhana Balakhashvili, Assistant Professor
Georgian Technical University

Tamari Kajaia, Associate Professor
Georgian Technical University

Tamar Aladashvili, Associate Professor o
I. Gogebashvili Telavi State University

Summary

"Primary Health Care Problems in Georgia „- discusses in general the role of current medical services in ensuring the health of the population and the problems that prevent this role from being fulfilled. The article focuses on the weaknesses and inability of primary health care, the problems to be solved and the shortcomings to be corrected. This means that this threat is not only in the field of health of Georgia, but it is a particularly acute issue in low-income countries like Georgia.

The article discusses all the programs and initiatives that have been implemented by various international organizations and private foundations to improve the functioning of primary health care. Studies conducted directly in Georgia are also discussed in detail, and the problems and shortcomings of primary health care are clearly visible. Low qualifications of staff (mainly doctors), distrust of patients, lack of proper motivation, lack of primary health care strategy and many more.

In my view, continuous training of primary care physicians (and nurses) should be started immediately, and the right motivation and approaches to solve a similar problem should be introduced.

ცვლილების მეთოდები, მიდგომები, მოდელები და ინსტრუმენტები ბიზნეს პროცესებში

ბარათაშვილი ევგენი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ჯიქია ლალა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სირაძე მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დოქტორანტი

აბსტრაქტი

რეფორმირება არის განვითარების სტრატეგიის განხორციელება ფორმალიზებული პროცედურების გამოყენებით, რომლებიც განაწილებულია ეტაპებისა და მეთოდების, მიხედვით და მიზნად ისახავს ურთიერთობების და კავშირების ახალი კომპლექსის შექმნას. რეფორმის თეორიის საგანია ეკონომიკური გარდაქმნების ეფექტური მეთოდების შექმნა, განვითარება და გავრცელება მიკრო, მეზო და მაკრო დონეზე.

რეფორმის თეორიის სამიზნე ობიექტს წარმოადგენს ტრანსფორმაციისა და განვითარების საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ ეკონომიკური სუბიექტები, ეროვნული ეკონომიკის სტრუქტუ-რული ელემენტები. ამ პოზიციებიდან რეფორმის თეორია წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების პროცესების, როგორც დინამიური თანმიმდევრული ობიექტური პროცესის სპეციალურ სამეცნიერო გაგებას, რომელზეც ზემოქმედებაც შესაძლებელია და აუცილებელია ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

რეფორმა არის მენეჯმენტის მიერ მიღებული ზომებისა და გადაწყვეტილებების ერთობლიობა, რაც მიზნების მისაღწევად სპეციფიკური ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას იწვევს.

პრაქტიკული თვალსაზრისით, რეფორმის თეორია წარმოადგენს ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის პროცესების მართვის პრინციპების, მეთოდებისა და ფორმების, ამ პროცესების ორგანი-ზაციული სტრუქტურითა და მისი პერსონალის მეშვეობით განმახორციელებელი ხელმძღვანელობის ერთობლიობას. მენეჯმენტის ნებისმიერი სხვა დარგის მსგავსად, რეფორმის თეორია მოიცავს განხორციელების ოთხ ძირითად ეტაპს:

1. ინფორმაციული და მეთოდური ტრენინგი
2. პირობებისა და ორგანიზების განსაზღვრა
3. აღსრულება
4. ლიდერობა და კონტროლი

რეფორმების სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური სისტემების წინაშე მდგარი მიზნების ფორმირების პროცესს. რეფორმის მიზნებში იგულისხმება სასურველი მდგომარეობა ან სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შესაბამისი გარდაქმნებისა და ცვლილებების შედეგები მომავლის გარკვეულ მომენტში.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს ინჟინერინგი , ბიზნესი, ორგანიზაციული სტრუქტურები...

ძირითადი ტექსტი

ზოგადად რეფორმას, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ საქმინაობას, ეკონომიკური პროცესების მართვის მიზნით აქვს შემდეგი მახასიათებელი ნიშნები:

- შუალედური გრძელვადიანი პერსპექტივებისკენ სწრაფვა
- რეფორმირებადი სისტემის განმსაზღვრელ, საკვანძო მიზნებზე ორიენტაცია,
- დასახული მიზნების ორგანული კავშირი მათ მისაღწევად საჭირო რესურსების მოცულობასა და სტრუქტურასთან
- მრავალი გარე ფაქტორის რეფორმირებად ობიექტზე ზემოქმედების გათვალისწინება,

იქნება ეს დადებითი თუ უარყოფითი და ზომების შემუშავება

- ადაპტაციური ხასიათი ანუ რეფორმების პროცესში გარე და შიდა გარემოში ცვლილებების პროგნოზირებისა და მათთვის გარდაქმნის პროცესის მისადაგება.

რეფორმირებას რომელიც განიხილება, როგორც ეკონომიკური სისტემის მართვის შესაბამისი სუბიექტის პრაქტიკული საქმიანობის პროცესი, გააჩნია საკუთარი შინაარსი, რომელიც ვლინდება განხორციელების პროცედურებში და რომელთა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ხდება მრავალი კრიტერიუმის მიხედვით, რომლებიც ნაჩვენებია დიაგრამა 1_ზე.



დიაგრამა 1

- გლობალური
- მაკროეკონომიკური 1.მოკლევადიანი 1.ექსპერიმენტი 1.რადიკალური
- მეზოეკონომიკური 2. საშუალოვადიანი 2. აპრობაცია 2.მაკორექტირებელი
- მიკროეკონომიკური 3. გრძელვადიანი

რეფორმების კონცეფცია, როგორც წესი მიესადაგება მსხვილ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს, ხოლო ფირმისა და საწარმოს დონეზე ცვლილებების განსასაზღვრად გამოიყენება მოდერნიზაციის, რესტრუქტურიზაციის კატეგორიები.

საწარმოს შიდა რეფორმას აქვს ეკონომიკური ურთიერთობების შეცვლის გარკვეული მახასიათებელი, რაც ეფუძნება იმ ფაქტს რომ საწარმოში არ მოქმედებს გაცვლის მნიშვნელოვანი მექანიზმები და ღირებულებების გადაცვლა ხორციელდება შეგნებული ქმედებებისა და მენეჯერული გადაწყვეტილებების საფუძველზე. ხელმძღვანელი გააზრებულად აყალიბებს შიდა წარმოების საქმიანობის პერსონალს, სტრუქტურასა და ძირითად მიმართულებებს, შესაბამისად საწარმოს მართვის სისტემა ემყარება მაპროექტებელ და გეგმიურ გადაწყვეტილებათა კომპლექსს.

საწარმოები უფრო სუსტ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ბაზრის სხვა მონაწილეებთან შედარებით, კერძოდ ეროვნული სამრეწველო საწარმოები მთლიანობაში იმპორტირებულ პროდუქციასთან კონკურენტულ ბრძოლაში აგებენ. ამავდროულად საწარმოს მენეჯმენტის უნარი შეიმუშავოს და განახორციელოს სხვადასხვა ღონისძიებები შიდა საქმიანობისა და მხარეებთან ურთიერთქმედების გასაუმჯობესებლად, იძლევა შემდეგ მნიშვნელოვან უპირატესობების მიღწევის საშუალებას:

- საწარმოს ადაპტაციური შესაძლებლობების ზრდა
- ორგანიზაციაში მოქმედებათა კოორდინაციის თვისებრივი განვითარება
- რესურსების უფრო რაციონალური განაწილება
- სტრატეგიული პრობლემების მოგვარებაზე კონცენტრირება
- პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება

- ინფორმაციისა და ანალიტიკური მხარდაჭერისადმი ახალი მოთხოვნები
- კონტროლ მონიტორინგის სისტემების განვითარება

საწარმოების ფორმირება ვლინდება მხოლოდ მის ხელმძღვანელთა ნებისა და გაცნობიერების საშუალებით და რეალიზდება მხოლოდ მათი შემოქმედებითი და აქტიური მიდგომით, მაგრამ უპირ-ველს ყოვლისა ობიექტური ხასიათის მიზეზებით არის განპირობებული.

დასკვნა

ბიზნესის ცვლილებების პრობლემატიკა წარმოადგენს აქტიური კვლევევბის ფართო სპექტრს. სამეცნიერო წყაროების განხილვა გვიჩვენებს რომ კონკრეტული ემპირიული ცდების შედარების საფუძველზე შეიმჩნევა ახალი თეორიის შექმნის მცდელობა, რომელშიც გაერთიანდება ინსტრუმენტული კონცეფციის მთელი სპექტრი. გამოჩნდება ნაშრომები, რომელიც წარმატებული ცვლილებების ჩატარების პრობლემის ცალკეული ასპექტისადმია მიძღვნილი. იმისათვის, რომ ბიზნესის გარდაქმნის ძალისხმევა არ აღმოჩნდეს უშედეგო აუცილებელია მიზნის ნათელი წარმოდგენა, რაც დაკავშირებულია მოქმედებებთან, ლიდერობასთან, მიმართულებების მიმცემ ცვლილებებთან და პროექტის მართვის კარგ უნართან. საჭიროა ცვლილებების პროგრამის დეტალური მართვა, რაც იძლევა სტეიკჰოლტერების ჩართვის და მხარდაჭერის გარანტიას. ასევე ბიზნესში ჩართული მუშახელის შეხედულებების ემოციური რეაქციისადმი თვალყურის დევნებას, რადგან გადარჩენისათვის ბიზნესისთვის აუცილებელია მის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების ბუნების გააზრება და მათზე რეაგირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ascari a.rock M. Dutta (1995) Reenginering and organizational change: lessons from a comparative analysis of company experiencees// european management journal
2. Beckman t. 2009. Applying ai to bussines reengineering. Tutorial world congress of expert systems.
3. Carucci R. A. pasmore W 2002. DrivingChange Through Advocacy// Mercer Management Journal 52-59
4. 4.Cornell 2006. Aspects of the management of change//journal of management in medicine
5. Dooley j.2008. A whole person/ systemic Approach to organization change management 2008.
6. DE Brabandere 2015. The forgotten Half of change/ article adaptedfrom authores new book: The forgotten half of change: Achieving Creater Creativity Through Changes in perception, Dearbon Tread publishing, THE Boston Consulting Group

Methods, approaches, models and tools for change in business processes

Baratashvili Evgeni
Professor at Georgian Technical University

Jikia Lala
Associated Professor at Georgian Technical University

Siradze Maia
PhD student at Georgian Technical University

Summary

Reform is the implementation of a development strategy using formalized procedures, which are distributed according to stages, methods, performance technologies, and aims to create a new complex of relationships and connections, as well as a program to transition to this model. The subject of reform theory is the creation, development and dissemination of effective methods of economic transformation at the micro, meso and macro levels.

The target object of the reform theory is the activity of transformation and development carried out by economic entities, structural elements of the national economy, the entire national economy of the country in the long run, based on strategic goals and objectives. From these positions, the theory of reform is a special scientific understanding of economic development processes as a dynamic consistent objective process, which can be influenced and necessary to ensure economic growth.

ინოვაციური მართვის დანერგვის პერსპექტივები საქართველოში

ბაღათურია მარინა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ბერუაშვილი მანანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

დღეს მსოფლიოში არსებული ინოვაციურ-ტექნოლოგიური პროგრესიდან გამომდინარე, ორგანიზაციები საერთაშორისო თუ შიდა ეკონომიკური საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის იყენებენ ინოვაციური მართვის თანამედროვე ტენდენციებს და მიდგომებს, ინოვაციური მართვის დანერგვა და შემდგომ მათი სათანადოდ გამოყენება ორგანიზაციის წარმატებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. დღეს, როდესაც მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი თვალსაჩინოა და ყველასთვის ნათელი , სწორედ ინოვაციური მართვის თანამედროვე მიდგომები თამაშობენ დიდ როლს ტოპ კომპანიების წარმატების მიღწევაში.

შეუძლებელია დღეს თანამედროვე ტექნოლოგიების სწორად გამოყენება თუ კომპანია არ იყენებს და არ ნერგავს ინოვაციური მენეჯმენტის პრინციპებს და მიდგომებს თავიაანთ საწარმოში.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს განხორციელებული პროგრამები მნიშვნელოვანია ქვეყნის ყველა მიმართულების განვითარებისთვის.

საქართველოში ინოვაციური მართვის და ინოვაციების ხელშეწყობის მთავარ წყაროს წარმოადგენს ქვეყნის მთავრობის პოლიტიკა და მისი აქტიური ჩართულობა. ხელისუფლება აქტიურად ცდილობს ქვეყანაში ინოვაციის და ტექნოლოგიური განვითარების დონის ამაღლებას და ამისთვის ცდილობს განახორციელოს ინოვაციური ტექნოლოგიური მიმართულებების ფორმირება.ეკონომიკური განვითარებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, როგორც ქვეყნის ინოვაციური განვითარება, ისე საზოგადოებაში ინოვაციური მართვის და ინოვაციების შესახებ ფორმირება. ამისთვის ქვეყანაში აუცილებელია ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მუდმივი ჩართულობა, საჭირო ინფრასტრუქტურის და ეკოსისტემის ფორმირება, რადგან საქართველოში არსებულ კომპანიებს და მეცნიერ მუშაკებს შეექმნათ ისეთი ინოვაციური გარემო, სადაც განახორციელებენ თავიანთ იდეებს და პროექტებს. ერთ-ერთ მნიშნელოვანი გადაწყვეტილება რაც ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ მიიღო არის ტექნოპარკების აშენება და რეალიზებაში მოყვანა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. ინოვაციების ხარჯზე ხდება თანამედროვე ბაზრის განახლება, წარმოების ხარისხის გაუმჯობესება, საქონლის მომსახურების გაფართოება , საწარმოში ახალი მეთოდის დანერგვა და ფორმირება.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური მართვა, ინოვაციური პროექტები, სტარტაპ საქართველო

ძირითადი ტექსტი

საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინოვაციური მართვის გარემოს შექმნა.ნებისმიერი სახით წარმოდგენილი ინოვაცია ქვეყანაში არსებული კომპანიებისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან გადადგმულ ნაბიჯს წარმატების და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. ქვეყანაში ინოვაციური პროექტები ხელს უწყობენ ქვეყნის მოსახლეობის ფორმირებას, ინოვაციურ მართვას და ეკონომიკური ზრდის განვითარებას.

საქართველოში ინოვაციური მართვის და ინოვაციების ხელშეწყობის მთავარ წყაროს წარმოადგენს ქვეყნის მთავრობის პოლიტიკა და მისი აქტიური ჩართულობა. ხელისუფლება აქტიურად ცდილობს ქვეყანაში ინოვაციის და ტექნოლოგიური განვითარების დონის ამაღლებას და ამისთვის ცდილობს განახორციელოს ინოვაციური ტექნოლოგიური მიმართულებების ფორმირება.

ქვეყანაში ინოვაციური მართვის დანერგვასა და მის განვითარებაზე არ შეიძლება არ აღინიშნოს, „საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ", რომელიც მთავრობამ 2016 წელს დაამტკიცა. კანონის

გათვალისწინებით შეიქმნა ისეთი ხელშემწობი ინფრასტრუქტურის განვითარება როგორიცაა: სამეცნიერო/ტექნოლოგიური პარკი, ბიზნესინკუბატორი, ბიზნესამაჩქარებელი, ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი, ინოვაციების ლაბორატორია და ინოვაციების ცენტრი. [1]

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, როგორც ქვეყნის ინოვაციური განვითარება, ისე საზოგადოებაში ინოვაციური მართვის და ინოვაციების შესახებ ფორმირება. ამისთვის ქვეყანაში აუცილებელია ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მუდმივი ჩართულობა, საჭირო ინფრასტრუქტურის და ეკოსისტემის ფორმირება, რადგან საქართველოში არსებულ კომპანიებს და მეცნიერ მუშაკებს შეექმნათ ისეთი ინოვაციური გარემო, სადაც განახორციელებენ თავიანთ იდეებს და პროექტებს. ერთ-ერთი მნიშნელოვანი გადაწყვეტილება რაც ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ მიიღო არის ტექნოპარკების აშენება და რეალიზებაში მოყვანა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს განხორციელებული პროგრამები მნიშვნელოვანია ქვეყნის ყველა მიმართულების განვითარებისთვის:

ერთ-ერთ პროექტს წარმოადგენს „სტარტაპ მეგობრული“, ამ პროექტის მიზანია მსოფლიოში წამყვან ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომელიც ხელს შეუწყობს სტარტაპების შესაბამის კვალიფიციურ მომსახურებას და შეთავაზებას.

„სტარტაპ ბითსი“ წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების მეტ ჩართულობას და გათვიცნობიერებას, ამ პროექტის ფარგლებში წარმატებული კომპანიების მენეჯერები და წარმატებული სტარტაპერები თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ დამსწრე საზოგადოებას, რომელიც იწვევს მათ დაინტერესებას და მეტ ჩართულობას ინოვაციურ საქმიანობაში.

სტარტაპ საქართველო, ეს პროექტი წარმოადგენს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ღონისძიებათა ნაკრებს. ამ პროექტს სათავეში უდგანან და აფინანსებენ საერთაშორისო ექსპერტები Sillicon Valley-დან, ეს პროექტი საშუალებას აძლევს საქართველოს მოქალაქეებს მოიპოვონ დაფინანსება თავიანთ ინოვაციურ პროექტებზე. [2]

როდესაც ვსაუბრობთ საქართველოში ინოვაციური გარემოს შექმნასა და მის წარმატებით დანერგვაზე არ შეიძლება დაგვავიწყდეს ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც გულისხმობს ,,აწარმოე საქართველოში''. ამ პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას და განვითარებას, ასევე სხვადასხვა სტარტაპების და ბიზნესის დაფინანსებას, რომელიც ეხმარება მცირე თუ საშუალო მეწარმეებს აწარმოონ და შექმნან პროდუქტი.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში ინოვაცია და ინოვაციური მართვა წარმოდგენილია კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად. ბოლო წლების განმავლობაში ინოვაციური საქმიანობის შემაფერხებელი პრობლემები მეტად იჩენს თავს, ეს არის საზოგადოების მხრიდან ინოვაციის როლის ბოლომდე ვერ გაგება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ყველა სფეროს და ორგანიზაციების განახლებისთვის ინოვაციური მართვა და ინოვაციების ხელშეწყობა. სწორედ ინოვაციების ხარჯზე ხდება თანამედროვე ბაზრის განახლება, წარმოების ხარისხის გაუმჯობესება, საქონლის მომსახურების გაფართოება , საწარმოში ახალი მეთოდის დანერგვა და ფორმირება.

ჩამოთვლილი პროექტები ხელს შეუწყობს ქართული საზოგადოების მეტად ჩართულობას ინოვაციურ მართვასა და განვითარებაში. ხელს შეუწყობს საქართველოში არსებული კომპანიების პოპულარიზაციას და მათ როლს ჩვენი ეკონომიკის განვითარებისთვის, ასევე უნდა ითქვას რომ სახელმწიფომ უნდა გაზარდოს ინვესტიციები კვლევებსა და ყველა საჭირო ღონისძიებებზე.

---

[1] საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ , 22 ივნისი 2016წ
https://matsne.gov.ge/en/document/view/3322328?impose=parallelRu&fullscreen=1&publication=0

[2] საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
https://gita.gov.ge/geo/static/145

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ , 22 ივნისი 2016წ
   https://matsne.gov.ge/en/document/view/3322328?impose=parallelRu&fullscreen=1&publication=0
2. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
   https://gita.gov.ge/geo/static/145

Prospects for the introduction of innovative management in Georgia

Bagaturia Marina assistant professor of GTU

Beruashvili Manana assistant professor of GTU

Summary

The article pays special attention to the main features of innovative management, its goals and functions. Through the idea that a new innovative product is created, or another kind of novelty, which later takes on a commercial look and even becomes practically usable. Detailed information will be provided on the role of the organization in developing innovative management, its implementation and subsequent successful use in all industries, Modern trends in innovation management and its role as one of the most important tools in the business development process will be discussed. In the article there is determine how the Georgian society understand the concept of innovation and the importance of innovative management of enterprise activity. In the paper, relevant conclusions are drawn and precise recommendations are issued on the directions of developing innovative enterprise.

The aim of the article is to show and increase the essence, importance and role of innovative management for the population of Georgia and organizations in the country, to introduce its application in practice, etc. It is very important for Economy of business, in order to make people more eager to achieve the results that accompany the introduction and use of innovative management tools is one of the important economic consequences.

ტრადიციული და არატრადიციული კონკურენცია: წინააღმდეგობა

ბერიკაშვილი ლია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ზედგინიძე საბა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატია ეძღვნება ტრადიციული და არატრადიციული კონკურენციის ორი ტიპის შედარებას. ავტორები თვლიან, რომ ჩვეულებრივი და ტრადიციული კონკურენტების გარდა, კონკურენციის ცვალებადი ხასიათი ბიზნეს მოდელებისათვის სულ უფრო მეტ პრობლემას ქმნის. ავტორთა აზრით, კომპანიამ უნდა განახორციელოს სპეციალური ქმედებები, რათა ჩაწვდეს ამ საფრთხეებს და განჭვრიტოს მათი გამოჩენის მიმართულებები და სფეროები. სტატიის ავტორები აღნიშნავენ, რომ საეჭვო სისუსტეების ირგვლივ ეკოსისტემაში აქტივობის დონე შეიძლება იყოს არატრადიციული კონკურენტების მიერ შეფერხების/შეღწევის რისკის მაჩვენებელი. ამ კონტექსტში, „აქტივობა“ შეიძლება ნიშნავდეს სახსრების შემოდინებას, მთავრობის ყურადღების, სპეციალიზებული პრესის ლიტერატურის, დაწყების აქტივობას ან საზოგადოებრივ აზრს/განწყობას. მაგალითად, კარგად დაფინანსებული სტარტაპების დიდი რაოდენობა ეკოსისტემის ღირებულების ჯაჭვის კონკრეტულ ეტაპზე შესვლას, სავარაუდოდ, მიუთითებს სუსტ წერტილზე.

ამდენად, ნაშრომის დასასრულ ავტორები აკეთებენ დასკვნების იმისა თაობაზე, რომ სტატიაში მათ მიერ წარმოდგენილი სამპუნქტიანი პროცესი საშუალებას მისცემს ორგანიზაციებს, მოამზადონ საკუთარი ბიზნესი და პერსონალი - Si vis pacem para bellum. დღევანდელი ბიზნეს გარემო იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ ერთჯერადი ანალიზის შედეგების გამოყენების სასარგებლო ვადამ მხოლოდ რამდენიმე თვე შეიძლება შეადგინოს. ჭკვიანი ორგანიზაცია შეეცდება ყველა პოტენციური ინსტრუ-მენტისა და რესურსის გამოყენებას, რათა აღმოაჩინოს და გაანეიტრალოს არატრადიციული კონკურენ-ციის ყოველგვარი გამოვლინება. ამგვარად, ასეთი ბიზნესის მზად იქნება მოულოდნელობებისგან წარმოქმნილი სერიოზული საფრთხეების დასაძლევად სტრატეგიის შემუშავებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ტრადიციული და არატრადიციული კონკურენცია; მოულოდნელობა; ინოვაციური ტექნოლოგიები.

ძირითადი ტექსტი

ტექნოლოგიის განვითარება - ორთქლის ძრავებიდან ელექტროენერგიამდე, შიდა წვის ძრავებიდან კომპიუტერულ ჩიპებამდე - მუდმივად ჩქარდება. დღეს ახალი ტექნოლოგიები სწრაფად და აგრესიულად შემოდის, ყოველწლიურად ათობით ინოვაცია ჩნდება, რაც გავლენას ახდენს არსებულ კონკურენტულ ლანდშაფტზე.

1. არატრადიციული კონკურენცია. ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინოვაცია, რა თქმა უნდა, არის ინტერნეტი. მიუხედავად იმისა, რომ ის მხოლოდ 30 წლისაა, სწორედ ის გახდა ბიზნეს მიდგომებში მომხდარი ფუნდამენტური ტექნოლოგიური ცვლილებების შთაგონების წყარო. დღეს მსოფლიოში ათი ყველაზე „ძვირფასი“ კომპანიადან შვიდი დაფუძნებულია ციფრულ პლატფორმებზე, ვებსაიტებზე და აპებზე, რომლებიც ჩვენი ყურადღებისთვის კონკურენციაში იმყოფებიან ერთმანეთთან . Alibaba, Alphabet, Amazon, Facebook და სხვა კომპანიები გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა კლასიკურიდან ციფრულ ბიზნესამდე, ეხმარებოდა რა ეკონომიკური სხვა ქცევით ალგორითმებზე დაფუძნებული ქცევის ცვლილებას.

ასეთი სერვისები (მაგალითად, საბანკო საქმე, შოპინგი, გართობა) დღეს მრავალი ადამიანის საქმიანობის განვითარებისათვის სასურველ მიმართულებას წარმოადგენს. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ისინი აღწევენ ისეთ ინდუსტრიებში, როგორიცაა საავტომობილო მშენებლობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და ჯანდაცვა. ჩნდება ახალი კონკურენტები, რომლებმაც ოდესღაც სტაბილურ ბაზრებზე შეღწევის გზით გამოიწვიეს დეზორგანიზაცია.

ბიზნეს სკოლების სახელმძღვანელოები სავსეა იმ კომპანიების ქეისებით, რომლებმაც დატოვეს არატრადიციული კონკურენციის ბაზარი ინოვაციური ტექნოლოგიების, ცვალებადი სამომხმარებლო მოთხოვნისა და წესების გამო (მაგალითად, პეიჯერები,VHS-კასეტები, ვიდეო მაგნიტოფონები, სხვა).

მაგრამ ასეთი დასკვნების გაკეთება მხოლოდ მოვლენათა კვალდაკვალ შეიძლება, კონკრეტული ტენოლოგიების განვითარების პროგნოზირება შეუძლებელია. არატრადიციულ კონკურენციასთან დაპირისპირებული კომპანიებისათვის დღეს გაცილებით აქტუალურია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეძლებენ იმ „მოულოდნელობების“ განსაზღვრას, რომლებიც მათ ბიზნეს-მოდელებს „დააძვე-ლებს“ და გამოუსადეგარს გახდის.

2. „მოულოდნელობების“ გამოვლენა. ვინმეს შეიძლება უცნაურადაც კი მოეჩვენოს იმის იდენტიფიცირების მცდელობა, რაც, პრინციპში, შეუცნობელია. მიუხედავად ამისა, კონკურენციის შემდგომი ზრდა მიგვითითებს, რომ ორგანიზაციებს აუცილებლად მოუწევთ საკუთარ ბიზნეს-მოდე-ლებში პრობლემების მზარდ რიცხვთან ბრძოლა. ასეთი არატრადიციული კონკურენცია საფრთხის ქვეშ აყენებს მოქმედი კომპანიების არსებობას. ორგანიზაციებმა უნდა მოახდინონ თვითდისციპ-ლინირება, რათა ჩატარდეს პერიოდული სწავლება ამ საფრთხეთა გამოჩენის სფეროების შესახებ.

ვთვლით, რომ არატრადიციული კონკურენციის მიზეზით წარმოქმნილი პრობლემების წინსწრებისათვის არსებობს სამეტაპიანი პროცესი:

1. კომპანია არ უნდა „ჩაიციკლოს“ საკუთარ პროდუქციის წარმოების ჯაჭვზე;
2. კომპანიამ უნდა სცადოს სუსტი მხარეების ძლიერად ქცევა; სცადოს აბსურდული წინადადებების განხორციელებაც კი პრინციპით „რატომაც არა?“;
3. კომპანიამ უნდა გამოიყენოს სუსტი მხარეების ანალიზი და სცადოს მის შედეგებზე სტრატეგიის დამყარება.

3. არ „ჩავიციკლოთ“ ღირებულების წარმოების ჯაჭვზე. კონკურენციის ანალიზის პროცესში კომპანიებმა შეიძლება დაუშვან შეცდომა იმ შემთხვევაში, როცა ყურადღების კონცენტრირებას ანალოგიური აქტივების, ან კლიენტების, ან გამოშვებული პროდუქციის, ანდა ინტელექტუალური ქონების მფლობელ კონკურენტებზე მოახდენენ. კონკურენტებს, ბევრი მსგავსების მიუხედავად, შესაძლოა გააჩნდეთ განსხვავებული წარმოების, ლოჯისტიკისა და გასაღების ჯაჭვები, ანდა უფრო ინოვაციური პროდუქცია.

მაგალითად, მაიკლ პორტერმა, რომელიც პირველი იყო ღირებულების შექმნის ჯაჭვის იდეის პოპულარიზაციის საქმეში, შენიშნა, რომ *Tesla*-ს, ავტომობილების ტრადიციულ მწარმოებლებთან შედარებით, გააჩნდა კონკურენტული უპირატესობის წყარო აკუმულატორების ტექნოლოგიის ევოლუციის, მომხმარებელთა მოსალოდნელი მოთხოვნილებებისა და გარემოზე დატვირთვის შემცირების თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ ღირებულების ჯაჭვის ანალიზისადმი მიდგომა იძლევა წარმოდგენას ბაზარზე კონკურენციის დინამიკაზე, მას არ შეუძლია ახალი კონკურენტებისგან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას წარმოების გარეთ. კონკურენტების ანალიზი უნდა სცდებოდეს უშუალო ბაზრისა და კონკურენტი ფირმების ფარგლებს. რიჩარდ ნორმანი და რაფაელ რამირესი 2003 წელს ამტკიცებდნენ, რომ ღირებულების ჯაჭვის კონცეფცია მოძველებულია და შეეფერება ნელ ცვლილებას და ხაზოვან სამყაროს.

ამ მიზეზის გამო ვფიქრობთ, რომ ორგანიზაციებმა უნდა დაინახონ ღირებულების ჯაჭვების მიღმა მიმდინარე მოვლენები და მთელ ეკოსისტემებში ეძიონ პოტენციური საფრთხეები.

ეკოსისტემა გულისხმობს ორგანიზაციების ქსელს - მ. შ. მომწოდებლებს, დისტრიბუტორებს, კლიენტებს, კონკურენტებს, სამთავრობო უწყებებს და ა.შ. - რომლებიც ჩართულია კონკრეტული პროდუქტის ან მომსახურების მიწოდებაში კონკურენციისა და თანამშრომლობის გზით.

ვფიქრობთ, ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა:

ა) ეკოსისტემის დაინტერესებული მხარეების ანალიზი ტიპის, მიზნისა და ბიზნეს მოდელის მიხედ-ვით. ეკოსისტემაში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკეთ გასაგებად და კონკურენციის დინამიკის დასადგენად, ორგანიზაციებმა ანალიზის პროცესში უნდა უპასუხონ სამ ფუნდამენტურ კითხვას:

- ეკოსისტემაში დაინტერესებული მხარეები

- ტიპი: კომპანია დიდი ხნის დაარსებულია, დამწყებია თუ ესაა არაკომერციული ორგანიზაცია, მაგალითად ასოციაცია, სამთავრობო სააგენტო ან საჯარო უნივერსიტეტი?
- სფერო: კომპანია ტრადიციული მოთამაშეა, მეზობელი ბიზნეს სექტორიდან მოდის თუ სრულიად განსხვავებული სფეროდან?
- რა მიზნები აქვთ ამ დაინტერესებულ მხარეებს? მათი მიზნები შეიძლება იყოს ძალიან განსხვავებული და შეიძლება დაკავშირებული იყოს, მაგალითად, მონაცემთა შეგროვებასთან, ნდობასთან, შედეგებთან (საუკეთესო პროდუქტი/მომსახურება) ან ინტელექტუალურ საკუთრებასთან.

- როგორ მუშაობენ ისინი საკუთარ გარემოში? როგორია მათი ბიზნეს მოდელი? არის ეს ტრადიციული თუ დესტრუქციული/ინოვაციური მიდგომა?

ბ) ეკოსისტემის მოწყვლადობის იდენტიფიცირება და არატრადიციული კონკურენციის ჰიპოთეტური წყაროების შექმნა.

თითოეული ტიპის დაინტერესებული მხარის მიზნისა და ბიზნეს მოდელის ანალიზი ხელს უწყობს „სუსტი წერტილების“ იდენტიფიცირებას, რომლებზეც შესაძლებელია ჰიპოთეზების აგება. ეს არ არის მხოლოდ კომპანიის სისუსტეები, არამედ ეკოსისტემის ელემენტებია, სადაც შეიძლება წარმოიშვას არატრადიციული კონკურენცია.

ქვემოთ მოცემულია სისუსტეების ანალიზის მაგალითები:

- მნიშვნელოვანი კლიენტების კამპანია. მაგალითი არის ის, თუ როგორ შეაფერხა ონლაინ კინოთეატრებმა ფილმების გაქირავების ბიზნესი, უზრუნველყოს უკეთესი სერვისი, ვიდრე DVD-ის გაქირავების მაღაზიები კონკურენტულ ფასად, შეუზღუდავი გაქირავებისთვის უცვლელი გადასახადით;
- CAPEX / OPEX მნიშვნელოვნად შემცირების შესაძლებლობა. ონლაინ ბაზრები სულ უფრო მეტად ეყრდნობიან რობოტიკასა და ავტომატიზაციას, რათა შეამცირონ ხარჯები და გაზარდონ მათი სადისტრიბუციო საშუალებების ეფექტურობა;
- კონკურენტის შესვლის რისკი ფუნდამენტურად განსხვავებული საოპერაციო შეზღუდვებით. მაგალითად, ნიკელის მომპოვებელ კომპანიებს რამდენიმე განვითარებადი ბაზრიდან აქვთ შეზღუდული გარემოსდაცვითი/მარეგულირებელი შეზღუდვები თავიანთ საქმიანობაზე, აქვთ წვდომა სუბსიდირებულ ან უფასო ენერგიაზე და არ მოეთხოვებათ გარკვეული ROI/მომგებიანობის მიზნების შესრულება მათი საკუთრების სტრუქტურის გამო. ეს მათ საშუალებას აძლევს, გაყიდონ ნიკელი უფრო დაბალ ფასებში, რაც საფრთხეს უქმნის კომპანიებს მკაცრი რეგულაციების მქონე ქვეყნებიდან;
- არსებული წესების გვერდის ავლა. მაღალრეიტინგული კომპანიების სწრაფი გაჩენა ქრესტომატიული მაგალითია. არიან კომპანიები, რომლებიც შემოდიან მაღალრეგულირებადი ტაქსების ინდუსტრიაში და ამტკიცებენ, რომ მათ მომსახურებაზე შესაბამისი კანონმდებლობა არ ვრცელდება;
- სუსტი დაცვა/ინტელექტუალური საკუთრებისდაცვა. CAR-T კიბოს თერაპია ამჟამად მიმდინარეობს საავადმყოფოებში კლინიკურ კვლევებში ფარმაცევტული ინდუსტრიის მხარდაჭერის გარეშე;
- ღირებულების შექმნის სხვადასხვა მიზნები. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ტექნოლოგიური სტარტაპების სამყარომ დაინახა არაპროპორციული ფოკუსირება ზრდაზე, ინვესტორები არ ახდენენ ზეწოლას კომპანიების მომგებიანობაზე. ასეთი კომპანიებისთვის, მოქმედი ინდუსტრიული კომპანიებისგან განსხვავებით, ეს ქმნის სრულიად განსხვავებულ დინამიკას

გ) ჰიპოთეზების რაოდენობრივი ანალიზით დადასტურება.

საეჭვო სისუსტეების ირგვლივ ეკოსისტემაში აქტივობის დონე შეიძლება იყოს არატრადიციული კონკურენტების მიერ შეფერხების/შეღწევის რისკის მაჩვენებელი. ამ კონტექსტში, „აქტივობა“ შეიძლება ნიშნავდეს სახსრების შემოდინებას, მთავრობის ყურადღების, სპეციალიზებული პრესის

ლიტერატურის, დაწყების აქტივობას ან საზოგადოებრივ აზრს/განწყობას. მაგალითად, კარგად დაფინანსებული სტარტაპების დიდი რაოდენობა ეკოსისტემის ღირებულების ჯაჭვის კონკრეტულ ეტაპზე შესვლას, სავარაუდოდ, მიუთითებს სუსტ წერტილზე.

4. პრინციპის „რატომაც არა?“ მიღება და სისუსტის შესაძლებლობად ქცევა. სისუსტეების დასადგენად, ეკოსისტემის დინამიკის უფრო ღრმა გაგებისთვის, ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს სურვილი, დაუპირისპირდეს საკუთარ ორთოდოქსიზმს. პრაქტიკაში, ეს ნიშნავს სტერეოტიპული აზროვნების დაძლევას იმის შესახებ, თუ „როგორ კეთდება აქ საქმეები“. ასეთი ორთოდოქსიები შეიძლება დაკავშირებული იყოს კონკრეტული ორგანიზაციის ან მთელი ინდუსტრიის კულტურასთან.

აუცილებელია ორთოდოქსობის გამოწვევის გზების დაძლევა იმისთვის, რომ მომზადებულნი ვიყოთ, როცა საქმე არასასიამოვნო ჭეშმარიტებასთან შეხვედრაზე მიდგება. ამის მიღწევის ერთერთი ქმედითი გზაა პრინციპი "რატომაც არა?". ამ პრინციპს ძალუძს სტერეოტიპული აზროვნების დაძლევა.

სუსტი მხარეების შესაძლებლობებად ქცევა. სუსტი მხარეების გამოვლენა, განსაკუთრებით არატრადიციულ კონკურენტულ ურთიერთობებში, იძლევა პოტენციურ შესაძლებლობათა რეგულარული გადახედვის შესაძლებლობას. თუმცა ყოველი სიტუაცია უნიკალურია, ამგვარმა მიდგომამ შესაძლებელია სუსტი მხარეების შესაძლებლობებად აქციოს.

5. სუსტი მხარეების ანალიზის შედეგების სტრატეგიული დაგეგმვისთვის გამოყენება. ეკოსისტემაში სისუსტეები განსაზღვრავს ყველაზე სავარაუდო ანდა მნიშვნელოვან მოულოდნელობას. ეკოსისტემაში სისუსტეების გამოვლენის შემდეგ დასტურდება ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ სცენარის დაგეგმვა წარმოადგენს საუკეთესო გზას სტრატეგიული არჩევანის დასასაბუთებლად. განვითარების სცენარის სისუსტეების ანალიზზე დაფუძნებული დაგეგმვა გულისხმობს სავარაუდო მომავლის ხედვას.

არატრადიციული კონკურენციის შედეგები: რა უნდა აკეთოს შემდეგმა ბიზნესმა? კლასიკური კონკურენციის მოდელი ასწავლის, რომ კომპანიები კონკურენციში იმყოფებიან, ყიდიან რა ანალოგიურ საქონლისა და მომსახურების ნაკრებებს მკაფიოდ განსაზღვრულ სფეროებში. ამისათვის კომპანიამ შეიმუშავა კონკურენტული უპირატესობები, მიისწრაფოდა რა მასშტაბის ეკონომიისაკენ, ანდა ეფექტურობისა და ხარისხის ამაღლებისაკენ. მაგრამ ეს განმარტება მოძველდა, ვინაიდან ბიზნესში კონკურენტებთან ბრძოლა გულსხმობს ახალ მეთოდებს.

დასკვნა. ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი სამპუნქტიანი პროცესი საშუალებას მისცემს ორგანიზაციებს, მოამზადონ საკუთარი ბიზნესი და პერსონალი - Si vis pacem para bellum. დღევანდელი ბიზნეს გარემო იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ ერთჯერადი ანალიზის შედეგების გამოყენების სასარგებლო ვადამ მხოლოდ რამდენიმე თვე შეიძლება შეადგინოს. ჭკვიანი ორგანიზაცია შეეცდება ყველა პოტენციური ინსტრუმენტისა და რესურსის გამოყენებას, რათა აღმოაჩინოს და გაანეიტრალოს არატრადიციული კონკურენციის ყოველგვარი გამოვლინება. ამგვარად, ასეთი ბიზნესის მზად იქნება მოულოდნელობებისგან წარმოქმნილი სერიოზული საფრთხეების დასაძლევად სტრატეგიის შემუშავებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Crafts Nicholas. Globalization and Growth in the Twentieth Century, IMF Working Paper, WP-00-04, IMF, 2012
2. Dan Vasile. Industrial and competitive strategies and structures, All Educational Publishing House. Bucharest, 1997
3. Dunning J. Multinational Enterprises and the Global Economy, Addison – Wes-ley, 2014
4. Held David, Mc Grew Anthony, Goldblatt David and Perraton Jonathan. Global changes: politics, economy and culture Polirom Publishing House, Iaşi, 2001
5. Hill Charles. International Business: Competing in the Global Marketplace, McGraw-Hill Companies; 2-nd edition, 1998.
6. Hugues Kirsty, European Competitiveness, Cambridge University press, pg. 5, 1998.
7. Reichheld, Frederick F. (December 2003). “One Number You Need to Grow”. Harvard Business Review.
8. Rajagopal. (2007) Marketing Dynamics: Theory and Practice. New Delhi, India: New Age

International. Retrieved April 5, 2010
9. Porter Michael, From competitive advantage to corporate strategy, Harvard Business Review, no 3,1987
10. Vrountas T. Contextual Advertising 101: How it Works, Benefits & Why It's Necessary for Relevant Ads/Publications. Instapage.com, 2020. URL: https://instapage.com/blog/contextual-advertising
11. Kammerer M. The Value of Contextual Advertising on Today's Internet/ Publications.Buysellads.com, 2019. URL: https://content.buysellads.com/articles/the-value-of-context-on-todays-internet
12. Joe Pulizzi, Content Inc.: How Entrepreneurs Use Content to Build Massive Audiences and Create Radically Successful Businesses; September 8, 2015
13. Doug J. Chung "How to Really Motivate Salespeople", April 2015; https://hbr.org/2015/04/how-to-really-motivate-salespeople
14. Abbamonte K. How to Develop a B2B Marketing Strategy (Instead of a List of Tactics)/ Blog. Leadfeeder.com, 2020.
15. Vrountas T. Contextual Advertising 101: How it Works, Benefits & Why It's Necessary for Relevant Ads/Publications. Instapage.com,2020.

Traditional and Non-traditional Competition: Resistance

Lia Berikashvili
Associate Professor of Georgian Technical University

Saba Zedginidze
PhD Student of Georgian Technical University

Summary

The article is dedicated to comparing the two types of traditional and non-traditional competition. The authors believe that in addition to the usual and traditional competitors, the changing nature of competition poses an increasing problem for business models. According to the authors, the company should take special actions to address these threats and identify areas and areas of their occurrence.

The article is dedicated to comparing the two types of traditional and non-traditional competition. The authors believe that in addition to the usual and traditional competitors, the changing nature of competition poses an increasing problem for business models. According to the authors, the company should take special actions to address these threats and identify areas and areas of their occurrence. The authors of the article point out that the level of activity in the ecosystem around questionable vulnerabilities may be an indicator of the risk of delay/penetration by non-traditional competitors. In this context, "activity" can mean inflow of funds, government attention, specialized press literature, start-up activity, or public opinion/mood. For example, the large number of well-funded startups entering a particular stage of the ecosystem value chain is likely to point to a weak point.

Thus, at the end of the paper, the authors make the conclusion that the three-point process presented by them in the article will allow organizations to prepare their own business and staff - Si vis pacem para bellum. Today's business environment is evolving so fast that the useful life of using the results of a single analysis can be only a few months. A smart organization will try to use all potential tools and resources to detect and neutralize any manifestations of unconventional competition. Thus, such a business will be ready to develop a strategy to overcome the serious threats posed by the unexpected.

Keywords: traditional and non-traditional competition; Surprise; Innovative technologies.

ევროპა და ევროპული ღირებულებები ქართველი ხალხის არჩევანია

გელიაშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში - **„ევროპა და ევროპული ღირებულებები ქართველი ხალხის არჩევანია“** , - საქართველოს სწრაფვა ევროპისკენ ისტორიულ კონტექსტში არის განხილული, მოტანილია საქართველოს ურთიერთობის მაგალითები შუა საუკუნეების რომის სახელმწიფოსთან, საფრანგეთთან, გერმანიასთან, რუმინეთთან და სხვებთან. „აზიაში ევროპის შემობიჯებას“ ელოდებოდნენ „ცისფერყანწელები“ - ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი და სხვები. „დასავლეთის ცივილიზაციის ცეცხლოვანი ეტლის ჩვენს საზღვრებთან მოახლოვებას“ - წინასწარმეტყველებდა დიდი კონსტანტინე გამსახურდიაც.

ქართველი ხალხის ევროპული არჩევანი უკვე ჩვენს სტრატეგიულ მიზნად იქცა. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, ჩვენი ქვეყანა თანმიმდევრულად განაგრძობს წინსვლას ამ მიმართულებით. საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობა ნიშნავს სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული ინსტიტუტების საბოლოოდ ჩამოყალიბებას და უსაფრთხო, თავისუფალი, სამართლიანი გარემოს ფარგლებში საქართველოს მოქალაქეების განვითარებისათვისა და კეთილდღეობისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნას.

ისტორიულად, საქართველო, როგორც ევროპული ცივილიზაციის ნაწილი, ყოველთვის მიისწრაფოდა და მიისწრაფვის ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობისკენ. მცირე სახელმწიფოებისათვის მნიშვნელოვანი იყო და ახლაც არის რეალურად არათანაბარ საწყისებზე დაფუძნებულ საერთაშორისო სისტემაში პარტნიორის მხარდაჭერა. ღირებულებებსა და საერთო ინტერესებზე დაფუძნებულმა ევროპულმა ერთობამ მკაფიოდ წარმოაჩინა ევროკავშირის გლობალური მნიშვნელობა.

წინამდებარე სტატიაში ნათქვამია, რომ ეს დღე დადგა საქართველოში. საქართველომ აირჩია ევროპა და ევროპული ღირებულებები. წინა პლანზე დგას ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების საკითხიც, მაგრამ ევროკავშირის შესახებ სიღრმისეული ცოდნის ნაკლებობაა საქართველოში - სტუდენტებშიც, პოლიტიკოსებშიც, მეწარმეებშიც და სხვებშიც. ისინი ევროპის მთელ რიგ ტერმინებში ვერ ერკვევიან, ან ერკვევიან ზედაპირულად.

სტატიის ავტორი საჭიროდ მიიჩნევს ამ საკითხზე ტელეგადაცემების სერიის მოწყობას.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, ევროპული ღირებულებები და ფასეულობები, ევროკავშირი და საქართველო, სუპრანაციონალიზმი, ეროვნული კომპეტენციები.

ძირითადი ტექსტი

საქართველო ისტორიულადაც და დღესაც მუდმივად მიისწრაფოდა ევროპისკენ, აღიარებდა მის ფასეულობებს და ღირებულებებს და ცდილობდა ეცხოვრა ევროპული წესებით. დღეს, საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების საკითხი უფრო რეალური გახდა.

წინამდებარე სტატია ეძღვნება ამ საკითხს და შეახსენებს სტუდენებს, რომ მათ არ დაიშურონ ძალისხმევა ევროპის სესახებ ცოდნის გასაღრმავებლად.

დღეს საქართველოს და ქართველი საზოგადოების არჩევანს წარმოადგენს ევროპაში ინტეგრაცია და იმ ღირებულებებისა და ფასეულობების იმპლემენტაცია, რომელიც გააჩნია ევროპას. ეს არ არის ახალი.

ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღრიცხვამდე, ქართველი ხალხის ისტორიულ მიწაზე, ევროპული ღირებულებების და ფასეულობების ნაკვალევი ჩანს, რაც გამოიხატება ძველი ბერძნული კოლონიებით. საქართველოს მიწაზე არაერთი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები იქნა აშენებული, ესენია: პიტიუნტი (ბიჭვინთა), დიოსკურია (სოხუმი), გიენოსი (ოჩამჩირე), ფაზისი (ფოთი). ყველას კარგად მოეხსენება, რომ ბერძნული კულტურა გახდა საფუძველი ევროპული ღირებულებებისა და ფასეულობების. ჩვენ კი მათთან ურთიერთობა ჯერ კიდევ ადრეულ ეპოქაში დავიწყეთ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართველები ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობაში იყო ევროპასთან. იმპერიები, რომლებიც ევროპის კონტინენტზე იქმნებოდა, ყოველთვის ირჩევდნენ საქართველოს, როგორც მეგობარ ქვეყანას და სტრატეგიულ

დასაყრდენს.

ქართველ ხალხს ძალიან ბევრი საერთო აქვს ევროპელებთან. ქართველების და ევროპელების ბედი არაერთხელ გადაიკვეთა ისტორიის სხვადასხვა პერიოდში და თუ ჩავუღრმავდებით, მიხვდებით, რომ საქართველო დამოუკიდებლობის პერიოდში ყოველთვის იყო და რჩებოდა ევროპული ღირებულებებისა და ფასეულობების ერთგული. მნიშვნელოვანი გარდატეხა საქართველოში და ევროპის კულტურულ-რელიგიურ დაახლოებაში გამოიწვია რელიგიამ, რომელმაც ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ევროპაში და საქართველოში გავრცელდა, ეს გახლავთ ქრის-ტიანობა. აქვე მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ პირველ საეკლესიო კრებაში, რომელიც ნიკეაში გიმართა და „ნიკეის პირველი საეკლესიო კრების“ სახელით არის ცნობილი, ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართველები ახლო ურთიერთობაში იყვნენ ევროპელებთან და მის ღირსეულ ნაწილს წარმოადგენდნენ.

მარტო ის ფაქტი, რომ II საუკუნეში რომის იმპერატორს ქართლის მეფის ფარსმან ქველის მონუმენტური ძეგლი აღუმართავს მარსის მოედანზე, ხომ უსაფუძვლოდ არ მოხდებოდა. შემდეგ თამარაშვილის მოღვაწეობა იტალიაში, სულხან-საბა ორბელიანისა საფრანგეთსა და იტალიაში და ა. შ. ევროპული იდენტობის მშვნებლობის ამ გზაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული და რუმინული კულტურების ინტეგრირება ანთიმოზ ივერიელის მეშვეობით (1708-1716 წ.წ.).

„ანთიმოზ ივერიელი იყო სულიერი ხიდების მშენებელი საქართველოსა და ევროპას შორის. მას არ სჭირდებოდა განსაკუთრებული მტკიცებულებების მოტანა, რომ საქართველო ევროპის განუყოფელი ნაწილია“ [1, გვ. 10].

შემდეგ იყო რუსეთის იმპერიის მიერ ჩვენი ქვეყნის 200 წლით ანექსია და იმ მძიმე ვითარების მიუხედავად, რაც მაშინ საქართველოში იდგა, საქართველოს ევროპისკენ მისწრაფება არ ჩამქრალა.

ევროპული სოციალურ-პოლიტიკური იდეების და ფასეულობების გარდუვალი მიღების მზაობას ვხედავთ „ცისფერყანწელების“ პირველ მსოფლიო ომის პერიოდის 1915-1916 წ.წ. გამოსვლებში. ამ თვალსაზრისზეა ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი და სხვები.

„ჩვენში მზადაა ნიადაგი მოდერნიზმისთვის, - წერდა ტ. ტაბიძე, - ...აშკარაა, წინა აზიაში ევროპა შემოაბიჯებს და ჩვენ უნდა დავხვდეთ შეჭურვილი ეროვნული შემეცნებით...“ [2. გვ. 178].

იგივე აზრს აფიქსირებდა ექსპრესიონისტი კონსტანტინე გამსახურდიაც. აი, ამონაწერი მისი ნაშრომიდან: „საქართველოს დიდი ამოცანები მოელის წინ. დასავლეთის დიდი ცივილიზაციისა და კულტურის ცეცხლოვანი ეტლი უახლოვდება ჩვენი სამშობლოს საზღვრებს...“ [3. გვ. 453-454].

1991 წლიდან, როდესაც საქართველომ ნანატრი დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქართველებმა კვლავ დაიწყეს ძიება თავისი მეგობრის (ევროპის) და დღემდე ვცდილობთ, რომ ევროპამ მიგვიღოს, როგორც მისი დიდი ხნის მეგობარი, რომელიც 200 წლის განმავლობაში უსამართლოდ იყო დატყვევებული სასტიკი სისტემის მიერ. 2003 წელს ჩატარებულმა რეფერენდუმმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ქართველი ხალხის არჩევანი, რომ მათ სურთ ევროპული ოჯახის ნაწილად იქცნენ.

საქართველოს მისწრაფება ევროკავშირისკენ მისი იმ მიმზიდველობით არის გამოწვეული, რომელიც მას გააჩნია. ეს არის „ის უდავო გარემოება, რომ ევროკავშირმა უზრუნველყო მოქალაქეების მშვიდობა, კეთილდღეობა და პროგრესი, მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვა“ [4. გვ. 87]. მშვიდობის თვალსაზრისით, ევროკავშირმა შეძლო მიეღწია იმისთვის, რომ ყველაზე ხანგრძლივი ვადით თავიდან აეცილებინა ომი. ამ მიღწევისთვის იგი 2012 წელს ნობელის პრემიით დაჯილდოვდა.

ევროკავშირის მოქალაქეების კეთილდღეობას საფუძველი შეუქმნა ევროპის ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებამ, რომელშიც თავისუფლად მოძრაობს საქონელი და მომსახურება (საქონლის ბაზარი), ფულადი კაპიტალი (ფულის და ფასიანი ქაღალდების ბაზარი), ადამიანები (შრომის ბაზარი). ამ ბაზრებზე ევროკავშირის ყველა ქვეყნის ყველა მოქალაქეს შეუძლია ჩართვა ბარიერების გარეშე.

თავისი მოქალაქეებისთვის ერვოკავშირმა შექმნა ადამიანის უფლებების დაცვის თანასწორი პირობები. ევროკავშირი მკაცრად იცავს მოქალაქეთა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. ევროკავშირმა დიდი ხანია უარყო სასჯელის უმაღლესი ზომა - სიკვდილი, აგრეთვე, წამება და ადამიანების ტრეფიკინგი.

ევროკავშირში მომხმარებელთა უფლებების დასაცავად შექმნილია ელექტრონული პლატფორმა („Consumer rights Tool“), რომლის გამოყენებით ადამიანები ნებისმიერ სადაო საკითხს ადვილად აგვარებენ.

ჩვენს მიერ ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეთა ყოფა-ცხოვრების ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ შედეგებისა, რაც ევროკავშირს აქვს, მაგრამ სრულიად საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რატომ მიისწრაფის საქართველო ევროკავშირისკენ.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ცხოვრობს მხოლოდ 505 მლნ კაცი, ანუ მსოფლიო მოსახლეობის 7,3%, მათი ცხოვრების სტანდარტიდან გამომდინარე, მსოფლიო არენაზე მოწინავე პოზიციები არიან სულადობრივი მთლიანი შიდა პროდუქტით, ადამიანური განვითარების ინდექსით, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობით, შრომის ანაზღაურებით, საცხოვრებელი პირობებით და ა. შ. [5. გვ. 211-212].

ჩვენს იდენტობას ევროპასთან აღაირებენ თვით ევროკავშირის წარმომადგენლები. პოლონეთის თავ-დაცვის ყოფილი ატაშე ჟილ გალე წერს: „თქვენ ყველანი ისტორიული, კულტურული და გეოპოლიტიკური განზომილებით სამართლიანად ხართ დარწმუნებული ევროპასთან თქვენს იდენტობაში. თქვენი სისტემური კავშირები ევროპასთან ბერძნულ-რომაული იმპერიებით თარიღდება და თქვენ თქვენს მომავალს ევროპასთან მჭიდრო ასოცირებაში ხედავთ. თქვენი ეს სურვილი ლეგიტიმურია...“ [6. გვ. 43].

თავისი ფუნქციონირების შედეგებით და ადმინისტრირების მექანიზმებით ევროკავშირს მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება. ევროკავშირი მმართველობის უნიკალური სისტემაა. ეს იმაში გამოიხატება, რომ მის წევრმა ქვეყნებმა ნებაყოფლობით მოახდინეს ზოგიერთი ეროვნული კომპეტენციების და უფლებამოსილების დელეგირება ევროკავშირის ინსტიტუტებზე და ჩათვალეს, რომ უმჯობესია ამ საკითხებზე გადაწყვეტილება ერთპიროვნულად კი არ მიიღონ, არამედ, ევროკავშირის ჩართულობით.

ევროკავშირი და მისი ინსტიტუტები სუპრანაციონალური ბუნების არიან. ტერმინი „სუპრანაცი-ონალური“ ნიშნავს ზეეროვნულს, ანუ ეროვნულ ინტერესებზე მაღლა მდგომს [7. გვ. 16]. თუ ევროკავშირის შექმნამდე მასში შემავალი ქვეყნები მხოლოდ ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ, ევროკავშირში შესვლის შემდეგ, ანუ სუპრანაციონალური მმართველობის პირობებში, მათ წინაშე დაისახა ეროვნულზე აღმატებული მიზანი, რომ გაერთიანებული ევროპა ქცეულიყო მშვიდობის, განვითარების და კეთილდღეობის სივრცედ.

ტერმინი „სუპრნაციონალიზმი“ ტერმინ „ნაციონალიზმის“ საწინააღმდეგოა. მართალია, განვლილმა პერიოდმა დაადასტურა, რომ ევროკავშირმა მასში გაერთიანებულ ქვეყნებს მნიშვნელოვან წილად შეუნარჩუნა ეროვნული ელემენტები, ამასთან, გამოჩნდა ისიც, თუ როგორი სინერგია მოიტანა ამ ორ დიამეტრულად განსხვავებული კონცეფციების („სუპრანაციონალიზმი“ და „ნაციონალიზმი“ გვაქვს მხედველობაში) შეერთებამ.

კი, ჩვენ გვინდა ვიყოთ ევროკავშირის წევრი, კი, ოდითგანვე, ჩვენ ვაღიარებთ ევროკავშირის ფასეულობებს და ღირებულებებს, მაგრამ, ვართ მზად ევროკავშირთან სასაუბროდ, კერძოდ, ეროვნული მნიშვნელობის ზოგიერთ საკითხზე გადაწყვეტილების ნებაყოფლობით დათმობისთვის? ევროკავშირის შესახებ ცოდნის ნაკლებობაა საქართველოში. კი ქართული საზოგადოების გარკვეულ ფენებში თანდათან იზრდება ევროკავშირის მიმართ ინტერესი, მაგრამ, ეს არ არის საკმარისი. საჭიროა ევროკავ-შირის უმაღლესი სტანდარტები გაიცნობიეროს ყველამ - სტუდენტებმა, მეწარმეებმა, პოლიტიკოსებმა, სახელმწიფო მოხელეებმა და საერთოდ ყველამ.

ჩვენი აზრით, ქართული სახელმწიფოსთვის ეს მნიშვნელოვანი საკითხი სიღმისეულად უნდა იცოდეს ყველამ. ამის ორგანიზება შეიძლება ტელეგადაცემათა სერიების მოწყობით.

დასკვნა. აღწერითი მეთოდით ჩატარებული კვლევით, რომელიც გამოიხატა ევროპასა და ევროპულ ღირებულებებზე არსებულ ლიტერატურის გაცნობაში, აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოსახლეობას, თვით პოლიტიკოსებსაც კი, არა აქვთ ევროკავშირზე სიღრმისეული ცოდნა. ეს კი, აუცილებელია ევროკავშირში გაწევრიანების გასააზრებლად. ამის უზრუნველსაყოფად საჭიროა ამ საკითხზე მოეწყოს ტელეგადაცემათა სერია და ამის შესახებ, მოსახლეობას ეცნობოს წინასწარ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველო და ევროპული სამყარო - ფილოსოფიურ-კულტურული დიალოგი. ტ. II. თსუ. 2017. გვ. 10.
2. **ტაბიძე ტ.** ცისფერი ყანწებით. თბ., 1986. გვ. 178.
3. **გამსახურდია კ.** თხზულებანი 10 ტომად. ტ. VII. 1983. გვ. 453-454.
4. შვიდი ნაბიჯი ევროკავშირის გასააზრებლად. თბ., 2021. გვ. 87.
5. **ფუტკარაძე რ.** ეკონომიკის ინტეგრაცია და ევროპული ღირებულებები. მოხსენება საერთაშორისო ინტერდისციპლინარულ კონფერენციაზე - „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“. თსუ. თბ., 16-18 ივნისი. 2014. გვ. 211-212.
6. **გალე ჟ.** ევროპის როლი რუსეთ-საქართველოს კრიზისში. მოხსენება საერთაშორისო ინტერდისციპლინარულ კონფერენციაზე - „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“. თსუ. თბ., 16-18 ივნისი. 2014. გვ. 43.
7. შვიდი ნაბიჯი ევროკავშირის გასააზრებლად. თბ., 2021. გვ. 16.

Europe and European Values are Georgian people's Choice

Nino Geliashvili
Doctoral of Georgian Technical University

Summary

Georgia's aspirations towards Europe are discussed in a historical context, examples of Georgia's relations with the medieval Roman state, with France, Germany, Romania and others are given there. The " Tsisperkantselebi" , T. Tabidze, P. Iashvili and other people were waiting for the "step of Europeans in Asia". "The approach of Western civilization chariot of fire near our borders," was predicted by the great person- Constantine Gamsakhurdia.

The European choice of the Georgian people has already become our strategic goal. From the day of gaining independence, our country has consistently continued to move in this direction. For Georgia, EU membership means the eventual establishment of democratic institutions based on the rule of law and the creation of new opportunities for the development and well-being of Georgian citizens within a secure, free and fair environment.

Historically, Georgia, as a part of European civilization, has always aspired and is striving for full membership in the European family. It was and is still important for small states to have partner support in an international system based on a really unequal basis. A European Union based on values and common interests has made clear the global importance of the European Union.

In the above-mentioned article it is said that this day has come in Georgia. Georgia has chosen Europe and European values. Georgia's accession to the EU is also at the forefront, but there is a lack of in-depth knowledge about the EU in Georgia - among students, politicians, entrepreneurs and others. They do not know a number of European terms, or they understand them superficially.

The author of the article considers it a necessary to arrange a series of TV programs on this issue.

Key words: The European Union, European costs and values, EU and Georgia, Supernationalism; National competencies.

Некоторые вопросы совершенствовани транспортной системы в городах

Горшков Теймураз
Грузинский технический университет, профессор

Резюме

Решение транспортных проблем в агломерациях влияет не только на экономическую и социальную, но также оказывает влияние на экологическую ситуацию. Необходимо рассматривать взаимосвязь экологических аспектов с вопросами развития транспорта – определять и обозначать цели и задачи экологически устойчивым развитием транспортной системы в городах.

Проблемы экологии, охраны здоровья населения городов в последние годы заняли ведущее место в повестке дня большинства национальных правительств и общественных организаций. Одним из главных «исполнителей» в решении этих проблем является транспорт, который существенно влияет на формирование комфортных, экологически устойчивых и безопасных условий жизни в городах.

В последние годы мы все более сталкиваемся также с проблемами как перегруженность транспортных коммуникаций, которая увеличивает транспортные риски и прямые экономические потери, ещё более ухудшает экологическую обстановку.

Все перечисленные проблемы имеют отношения, в первую очередь, к городам и городским агломерациям, где проживает большая часть населения, где сосредоточена основная экономическая деятельность и где в наибольшей степени сконцентрирован транспорт.

В последнние годы стало очевидным, что задачи для решения вопросов совершенствования транспортных систем в городах для окружающей среды и здоровья населения многогранна и требует координации и усилий многих заинтересованных сторон.

В статье рассматривается одно из современных решений в области улучшения окружающей среды – эко вождение, это более разумное вождение с меньшим потреблением топлива. Оно представляет собой новую культуру вождения, максимально использующую современные технологии, повышая при этом дорожную безопасность. Важная составляющая совершенствования транспортных систем в городах -- эко вождение внесет важный вклад в защиту окружающей среды и снижение уровня загрязнения (снижение уровня шума, снижение эксплуатационных расходов, сокращение потребления топлива и т.д.).

Ключевые слова: экология, транспортная система, устойчивое развитие, социальное положение человека, грузы, пассажиры, транспортные проблемы.

Основной текст

Транспортная система крупных городов играет огромную роль в их жизнеобеспечении – при этом, транспортные средства и объекты транспортной инфраструктуры оказывают негативное влияние на городскую среду проживания и естественно – на здоровье населения.

Основным направлением совершенствования городской транспортной системы общепризнано – обеспечение и удовлетворение потребностей жителей городов в передвижении грузов и пассажиров с учетом минимизации побочных явлений от её деятельности. Побочные явления влекут за собой внешние издержки – которые представляют собой прямые затраты на создание и функционирование городской транспортной инфраструктуры, так и косвенные затраты связанные с ухудшением качества городской среды обитания с сопутствующими последствиями – негативным влиянием на здоровье населения городов, так и разрушением жилищного фонда города, в т.ч. памятников и исторических достопримечательностей.

Описанное положение показывает, что совершенствование транспортых потребностей агломераций влияет не только на социально – экономическую ситуацию, но носит и экологический характер. Необходимо отметить, что на данном этапе в большинстве случаев, при принятии организационно—управленческих и градостроительных решений по совершенствованию транспортных систем в городах косвенные затраты связанные с функционированием транспорта не учитываются в должном объеме.

Развитие транспортой системы городов на основе принципов её постоянного совершенствования должно обеспечивать интересы экономики, населения и окружающей природной среды, что предопределяет необходимость учета не только экономического и социального аспектов, но также и экологического аспекта.

Управление экологически устойчивым развитием транспортной системы должно обеспечивать:

---- улучшение качества городской среды обитания;

---- тенденцию положительных эффектов деятельности транспорта;

---- снижение отрицательных последствий деятельности транспорта.

Основоопределяющим условием обеспечения качества городской среды обитания является снижение техногенной нагрузки, которое влечет за собой снижение внешних издержек от транспорта (обеспечивает экономический, экологический и социальный эффекты), а её интенсивность – определяет качество жизни населения города.

Обеспечение равных возможностей доступности к объектам городской транспортной инфраструктуры не только повышает качество жизни населения, но и создает условия обеспечения социальных и экономиеских эффектов.

Обеспечение безопасности передвижения по городу также является важным фактором повышения качества жизни населения и уменьшения внешних издержек от деятельности транспорта.

В основе концепции решений по совершенствованию транспортной системы в городах лежит необходимость выполнения – реализации следующих основных стратегий:

---- избегать необязательные перемещения;

---- обеспечивать (как по времени, так и в пространстве) необходимый вид транспорта;

---- совершенствовать транспортные технологии, транспортную логистику;

---- унифицировать транспортные средства.

Как видно, именно вопросы по решению и управлению «транспортным спросом» позволит как снизить нагрузку на городскую среду, так и снизить потребление ресурсов транспортной системы города.

Увеличение плотности улично – дорожной сети приводит к увеличению площади заасфальтированных поверхностей удерживающих высокую температуру и что способствует усилению воздействий вредных веществ на здоровье человека. Поэтому развитие улично – дорожной сети должно быть направлено на её оптимизацию с целью уменьшения пробега транспортных средств, но наиболее эффектным и »дешевым» решением для уменьшения пробега (т.е. искоренения перепробега) транспортных средств являются мероприятия по снижению транспортного спроса – одновременно уменьшится нагрузка на сеть.

Основная часть передвижений в городах осуществляется во время трудовых поездок и поэтому необходимо обеспечить возможность совершения ежедневных маятниковых передвижений теми видами транспорта, которые наиболее эффективно используют природные, пространственные и энергетические ресурсы, снижают техногенную нагрузку на среду обитания. В агломерациях это предопределяет переход к мультимодальной транспортной системе, основные передвижения в которой совершаются на общественном пассажирском транспорте.

Отметим, что различные виды общественного пассажирского обладают различными показателями удельных выбросов, которые существенно зависят от заполненности транспортных средств (2). Необходимо также здесь константировать тот факт, что при задачах уменьшения выбросов вредных веществ транспортные средства городского общественного транспорта лучше поддаются регулированию, чем личный автотранспорт.

З а к л ю ч е н и е

Также необходимо совершенствовать транспортные технологии, системы управления транспортными средствами и оборудованием объектов транспортной инфраструктуры с целью снижения удельных выбросов. В настоящее время использование более совершенных двигателей внутреннего сгорания, гибридных и электромобилей, а также транспорта на газовом топливе снижает выбросы вредных веществ с отработавшими газами, но никак не влияет на выбросы связанные с истиранием шин автотранспорта и дорожного полотна. Загрязнение воздуха твердыми частицами в результате истирания дорожных покрытий, износа шин и деталей автомобилей представляет фактор, которому уделяется недостаточное внимание при разработке мероприятий по снижению воздействия автотранспорта на окружающую среду и здоровье человека.

В последнее время, одним из возможных способов снижения воздействий от выбросов является эковождение, которое позволяет экономить 8-12% топлива, сократить выбросы на 5-20%, снизить уровень шума, повысить безопасность движения и т.д. Однако существенного снижения выбросов твердых частиц, представляющих наибольшую опасность для здоровья человека, возможно только при уменьшении пробега транспортных средств.

Как видно, только комплексный подход к решению экологических проблем городов, учитывающих взаимосвязь вышеуказанных аспектов, позволит совершенствовать транспортную систему в городах.

Л и т е р а т у р а:
1. Sustainable urban transport: Avoid-Shift-Improved (A.S.I) UEL. 2020
2. Sustainable Transport: A. Sourabook for Policy-makers in Doveloping Cities, URL. 2014
3. Транспортное планирование и моделирование. Сб. трудов, 2017, С-Петербург

Some Issues of improving the transport system in cities

Teimuraz Gorshkov
Professor of Georgian Technical University

Summary

The solution of transport problems in agglomerations affects not only the economic and social situation, but also affects the environment. It is necessary to consider the relationship of environmental aspects with the development of transport - to define and designate goals and objectives for the environmentally sustainable development of the transport system in cities.

Problems of ecology, health protection of the population of cities in recent years have taken a leading place on the agenda of most national governments and public organizations. One of the main "performers" in solving these problems is transport, which significantly affects the formation of comfortable, environmentally sustainable and safe living conditions in cities.

In recent years, we are also increasingly facing problems such as congestion of transport communications, which increases transport risks and direct economic losses, and further worsens the environmental situation.

All of these problems are related, first of all, to cities and urban agglomerations, where the majority of the population lives, where the main economic activity is concentrated, and where transport is most concentrated.

In recent years, it has become apparent that the challenge to address the issues of improving transport systems in cities for the environment and public health is multifaceted and requires the coordination and efforts of many stakeholders.

The article discusses one of the modern solutions in the field of improving the environment - eco-driving, which is a smarter driving with less fuel consumption. It represents a new driving culture that makes the most of modern technology while improving road safety. An important component of the improvement of transport systems in cities, eco-driving will make an important contribution to protecting the environment and reducing pollution (reducing noise levels, reducing operating costs, reducing fuel consumption, etc.).

Keywords: ecology, transport system, sustainable development, social status of human, cargo, passengers, transport problems.

გადაწყვეტილების მიღების თავისებურებები ექსტრემალური მენეჯმენტის პირობებში

ებრალიძე ალექსანდრე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ყურაშვილი გუგული
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ძირითადი თაავისებურებანი ექსტრემალური მენეჯმენტის (ექსტრიმმენეჯმენტის) პირობებში. აღნიშნულია, რომ თანამედროვე პირობებში შეუძლებელი ხდება ბიზნეს კომპანიების მართვა ტრადიციული მეთოდებით. თანამედროვე ბიზნეს გარემო ძირითადად ხასიათდება ექსტრემალური პირობებით, გარემო პირობების სწრაფი და მუდმივი ცვლილებებით, არაპროგნოზირებადობით, გამწვავებული კონკურენციით, მაღალი რისკით და მთელი რიგი მოულოდნელობებით ბიზნესის მართვის პროცესში. ასეთ შემთხვევებში ექსტრიმმენჯერი ვერ გამოიყენებს სტანდარტულ შაბლონებს და საჭირო ხდება არასტანდარტული და კრეატიული გადაწყვეტილებების მიღება. ექსტრემალურ პირობებში გადაწყვეტილების მიღება ხასიათდება რამდენიმე მნიშვნელოვანი პრინციპით. ეს არის: ექსტრიმ-მენეჯერების ქარიზმატულობის პრინციპი. შეგნებული რისკის პრინციპი (სარისკო წინდახედულობის პრინციპი), იმპროვიზაციის პრინციპი. ანთროპოცენტრიზმი, აგრეთვე მინიმიზაციის პრინციპი და ტრადიციული და ნოვაციური მართვის მეთოდების გამოყენების პროცესში ბალანსის მიღწევის პრინციპი და სხვ. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების მთლიანად ორგანიზაციის სტრატეგიულ მენეჯერისა და, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ტოპ-მენეჯმენტის მოვალეობა ხდება, ვინაიდან მხოლოდ მათ შეუძლიათ უარყონ შაბლონური და სტანდარტული პრაქტიკული გადაწყვეტილებები და მიიღონ კრეატიული გადაწყვეტილება, რაც შეიძლება სრულიად არასტანდარტული იყოს და ყოველ ჯერზე უკავშირდებოდეს სხვადასხვა მაღალალბათურ რისკფაქტორების მოქმედებას. ამ დროს აუცილებელია ექსტრემალური სიტუაციის ექსპრეს-შეფასება და მისი სისტემური დაკრეატიული მონიტორინგი, წამოყენებული კრეატიული იდეებისა და შესაბამისი ინოვაციური მმართველობითი გადაწყვეტილებების სინქრონიზირებული გენერირება და იმპლემენტაცია, შედეგების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილებების კორექტირება. ამავე დროს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ლიდერმა შეიძლება მიმართოს გადაწყვეტილების მიღების როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ მეთოდს. როგორც ირკვევა, ექსტრემალურ პირობებში საუკეთესო შედეგებს იძლევა ლიდერის ერთპიროვნული გადაწყვეტილება კოლეგების მოსაზრებების მხოლოდ გაცნობით და არა მათი დარწმუნებით და ხმების მიმხრობით.

საკვანძო სიტყვები: ექსტრიმმენეჯმენტი; არასტანდარტული გადაწყვეტილება; სისტემური კრეატიული აზროვნება; გადაწყვეტილების მიღების მოდელები.

ძირითადი ტექსტი

ნუ ელი, რომ ზღვა ოდესმე დამშვიდდება,
ჩვენ უნდა ვისწავლოთ ცურვა ძლიერი ქარის დროსაც.
არისტოტელე ონასისი

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების არნახული მიღწევებით, რაც თავის მხრივ სრულიად ახლებურ მოთხოვნებს უწესებს როგორც ზოგადად მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკას, ისე ბიზნესპროცესების ეფექტიან მართვას. დღევანდელობისთვის დამახასიათებელი ექსტრემალური პირობები ბიზნესპროცესების წარმატებული მართვისთვის მოითხოვს გადაწყვეტილებების მიღებას გარემო პირობების სწრაფად ცვლად და არაპროგნოზირებად ვითარებაში. გამწვავებული კონკურენციისა და მსოფლიო პოლიტიკურ-

ეკონომიკური კრიზისის პირობებში მხოლოდ ისეთი ბიზნესორგანიზაციები გადარჩებიან და მოახერხებენ საქმიანობის გაგრძელებას, რომლებიც მომზადებულნი შეხვდებიან გარემო პირობების ახალ გამოწვევებს, რაც ნათლად დაადასტურა კოვიდ-19 პანდემიის დროს მიმდინარე მოვლენებმა და დღეს, ახალ გამოწვევებს ქმნის რუსეთის ომი უკრაინასთან. ამასთან, თუ ზოგადი მენეჯმენტის ჩვეულებრივი მიდგომა გულისხმობს კომპანიის საქმიანობისა თუ სტრუქტურის ცვლილებებს ბიზნესვითარების ცვლილებების კვალდაკვალ, სტრატეგიული მენეჯმენტის უახლესი მიმდინარეობა, რომელიც გამოხატულია ექსტრემალური მენეჯმენტის (ექსტრიმენეჯმენტის) სახით, გადაუდებელ აუცილებლობად მიიჩნევს კომპანიის წინასწარ მზადყოფნას მოსალოდნელი ცვლილებებისადმი და დაუყოვნებლივ, მყისიერ რეაგირებას წარმოქმნილ ექსტრემალურ პირობებზე. ამრიგად ექსტრიმმენეჯმენტი არის გაურკვეველ, არაპროგნოზირებად პირობებში მიმდინარე ნებისმიერი ბიზნესპროცესის მოქნილი და დინამიური მოდელი, რომელიც ხასიათდება მაღალი სისწრაფით და მიზანმიმართულებით. მენეჯერები, რომლებიც მოსალოდნელ საბოლოო შედეგების მიღწევის მიზნით მოქმედებენ მაღალი რისკისა და გარემო პირობების ძლიერი ზეწოლის პირობებში, შეძლებენ წარმატებით გადალახონ თითქოსდა დაუძლეველი წინაღობები ექსტრიმმენეჯმენტის პრაქტიკული რჩევების გამოყენებით.

ქვემოთ განხილულია ექსტრიმმენეჯმენტის ძირითადი პრინციპები და ღირებულებები, ინსტრუ-მენტები და პრაქტიკა, რომლებიც განაპირობებენ სათანადო მმართველობითი გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებასა და ორგანიზაციის ეფექტიან მართვას ექსტრემალურ - მუდმივი ცვლილებებისა და გაურკვევლობის პირობებში.

რა არის ექსტრიმმენეჯმენტი?

ექსტრიმმენეჯმენტი წარმოადგენს მენეჯმენტის განსაკუთრებულ სახეობას, რომელიც ძირითადად გამოყენებულ უნდა იქნას ბიზნესპროცესების მართვის არასტანდარტულ ვითარებაში, როდესაც გარემო პირობები არ არის მკაფიოდ გასაზღვრული, იცვლება სწრაფად და, ფაქტობრივად, არაპროგნოზირებადია საგანგებო და კრიზისულ სიტუაციებში. ასეთ შემთხვევებში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობს ისეთ გარემოში, რომელიც ხასიათდება ქაოსით, შემთხვევითობით, გარემოს განუსაზღვრელობით და მუდმივად მიმდინარე ცვლილებებით, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და იმპლემეტაციის სისწრაფის აუცილებლობით.

ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის უშუალოდ ორგანიზაციის სტრატეგიულ მენეჯერს (CEO) და, განსაკუთრებულ შემთხვევებში, მთლიანად ტოპ-მენეჯმენტს, რომელთაც ხელეწიფებათ უარყონ მზა შაბლონური და ტიპური პრაქტიკული რეკომენდაციები. მხოლოდ მათი აქტიური მონაწი-ლეობით ხორციელდება კრეატიული გადაწყვეტილების მიღება, რაც შეიძლება სრულიად არასტან-დარტული იყოს და ყოველ ჯერზე უკავშირდებოდეს სხვადასხვა მაღალალბათურ რისკფაქტორების მოქმედებას. ამ დროს აუცილებელია ექსტრემალური სიტუაციის ექსპრეს-შეფასება და მისი სისტემურ-კრეატიული მონიტორინგი, წამოყენებული კრეატიული იდეებისა და შესაბამისი ინოვაციური მმართველობითი გადაწყვეტილებების სინქრონიზირებული გენერირება და იმპლემენტაცია, შედეგების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილებების კორექტირება.

ცხადია, ასეთ პირობებში შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება საშუალო რგოლის ან ოპერატიული დონის მენეჯენენტის მიერ. ასეთ ექსტრემალურ პირობებში, მათთვის, როგორც წესი, წარმოიქმნება მენეჯერული დილემა - თავი შევიკავოთ გადაწყვეტილების მიღებისგან, თუ ვეცადოთ გადაწყვეტილების მიღება და მართვის განხორციელება, რომელიც, მაღალი ალბათობით, შესაძლოა არასწორი იყოს (ჭაობში აღმოჩენილი ადამიანის მსგავსად - სჯობს გაუნძრევლად იყო და დაელოდო დახმარებას, თუ იმოქმედო და უფრო სწრაფად ჩაიძირო ჭაობში, თანახმად მერფის კანონისა „თუ არსებობს პრობლემის გადაჭრის ორი ალტერნატივა და მათგან ერთს მივყავართ კატასტროფამდე, მაშინ ადამიანები უფრო მეტად ასეთ გადაწყვეტილებას ირჩევენ“).

გადაწყვეტილების მიღება ექსტრიმმენეჯმენტის პირობებში

ექსტრემალურ პირობებში გადაწყვეტილების მიღება ხასიათდება რამდენიმე მნიშვნელოვანი პრინციპით. ეს არის: ექსტრიმ-მენეჯერების *ქარიზმატულობის პრინციპი.* ქარიზმატული მენეჯერები არამხოლოდ ხელმძღვანელობენ გუნდს, არამედ, როგორც ნამდვილი ლიდერები, მათთან ერთად

ანხორციელებენ ექსტრემალურ გარღვევას; *შეგნებული რისკის პრინციპი* (სარისკო წინდახედულობის პრინციპი), რომელიც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების თანმხლები მოსალოდნელი რისკის შეფასებას; მენეჯერის *იმპროვიზაციის* პრინციპი. სხვა ძირითადი პრინციპებია *ანთროპოცენტრიზმი* (anthropocentrism), რომლის მიხედვითაც ადამიანი არის უმაღლესი არსება, იგი წარმოადგენს სამყაროს ცენტრსა და საბოლოო მიზანს. ამდენად ექსტრიმმენეჯმენტი უნდა ემსახურებოდეს ადამიანების ინტერესებს, რომლებიც წარმოადგენენ წარმატებისა და პრობლემების შემოქმედებითად გადაწყვეტის მთავარ მიზანს; აგრეთვე *მინიმიზაციის პრინციპი* და ტრადიციული და ნოვაციური მართვის მეთოდების გამოყენების პროცესში *ბალანსის* მუდმივად ძიებისა და მიღწევის პრინციპი და სხვ.

ექსტრიმმენეჯმენტში საუკეთესო გამოსავალი შესაძლებელია იყოს გადაწყვეტილების მიღება მართვის პროცესში ყველა მონაწილეთა აქტიური ჩართვით, მაგ., ისეთი მეთოდებით, როგორცაა *კონსენსუსის მეთოდი*; *კენჭისყრაზე დაფუძნებული მეთოდები*; *ბრეინსთომინგი; დელფოსის მეთოდი*; *სცენარების შედგენის მეთოდი* (კომპლექსური მეთოდი, სადაც გამოიყენება სხვადასხვა ექსპერტული მეთოდი); *კარნეგის მოდელი* (გადაწყვეტილების მიღება რამდენიმე მენეჯერის კოალიციის საფუძველზე); *ინკრემენტული მოდელი* (მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება თანდათან (incrementally) თუ არის სათანადო დრო); *„სანაგვე ყუთის“* მოდელი (გადაწყვეტილება მიიღება ოთხი, ერთმანეთზე გარკვეული დოზით დამოკიდებული ნაკადის შერწყმის შედეგად). *ვრუმისა და იეტონის* გადაწყვეტილების მიღების მოდელი (The Vroom-Yetton Decision Model) ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება განისაზღვრება ხელმძღვანელობის სხვადასხვა სტილით.

საზოგადოდ, ექსტრემალურ პირობებში სტრატეგიული მენეჯერისთვის არსებობს დიდი ცდუნება გამოიყენოს ე.წ. ავტორიტარული მოდელი, როდესაც ლიდერი ღებულობს მის მიერ შერჩეულ გადაწყვეტილებას, სხვებთან შეთანხმების გარეშე. ხშირად, ყველაზე ეფექტიანია ის მოდელი, როდესაც გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებს ლიდერი კოლეგების მოსაზრებების მხოლოდ გაცნობით და არა მათი დარწმუნებით და ხმების მიმხრობით.

დასკვნა

გადაწყვეტილების მიღება ექსტრემალური მენეჯმენტის პირობებში საბოლოო ანგარიშით ეყრდნობა ორგანიზაციის მართვისა და აზროვნების პრინციპულად ახალ სტილს - *სისტემურ კრეატიულ აზროვნებას*, რომელიც არ არის შემოსაზღვრული შაბლონებით და სტანდარტებით. მხოლოდ სისტემური კრეატიული აზროვნებით არის შესაძლებელი არასტანდარტული გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში ახალი ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენებით და, საბოლოო ანგარიშით, ორგანიზაციის ეფექტიანი მართვა მუდმივად მიმდინარე ცვლილებების პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Doug DeCarlo. eXtreme Project Management. Using Leadership, Principles, and Tools to Deliver Value in the Face of Volatility. Published by Jossey-Bass. **2004.**
2. History of Project Development. https://www.ukessays.com/essays/business/historical-developments-on-project-management-business-essay.php
3. Drucker, P. Management's New Paradigms, Forbes, 1998..
4. Saveri A., Rheingold H. Institute for the Future. Rapid Decision Making for Complex Issues: How Technologies of Cooperation Can help. August, 2005.
5. http://www.rheingold.com/cooperation/decisionmaking.pdf
6. ბარათაშვილი ე., ქოქიაური ლ. მენეჯმენტის პრინციპები. თბ.: 2010 .
7. ებრალიძე ა. გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე გამოწვევები პროექტის მენეჯმენტის ამოცანებში. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, თბ. 2021
8. Евгения Мищенко Принятие решений в кризисных бизнес-ситуациях.Сценарное моделирование. https://textarchive.ru/c-1284710-pall.html

Peculiarities of decision making in the conditions of extreme management

Ebralidze Alexander
Doctoral student of Georgian Technical University

Kurashvili Guguli
Professor of Georgian Technical University

Summary

The paper discusses the main features of managerial decision-making in the context of extreme management. It is noted that in modern conditions it becomes impossible to manage business companies by traditional methods. The modern business environment is mainly characterized by extreme conditions, rapid and permanent changes environmental conditions, unpredictability, fierce competition, high risk and a number of surprises in the business management process. In such cases, Extreme Manager will not be able to use standard templates and will need to make non-standard and creative decisions. Decision making in extreme conditions is characterized by several important principles. These are: the principle of charisma of extreme managers; the principle of conscious risk (the principle of risky ence), the principle of improvisation; anthropocentrism, as well as the principle of minimization and the principle of achieving balance in the use of traditional and innovative management methods, etc. In this case, the decision-making is the responsibility of the strategic manager of the organization as a whole and, in special cases, the top management, as only they can reject stereotypes and standard practical decisions and make creative decisions that may be completely non-standard and each time linked to different high risk factors. At this time, it is necessary to express-analysis of the extreme situation and its systematic creative monitoring, synchronize the generation and implementation of creative ideas and relevant innovative management solutions, evaluate the results and, if necessary, correct the made decisions. At the same time, in the decision-making process, the leader can apply both individual and collective decision-making methods. As it turns out, the best results in extreme conditions are given by the leader's one-man decision only by knowing the opinions of colleagues and not by their conviction and support of votes.

Keywords: Extreme Management; Non-standard decision; Systemic creative thinking; Decision making models.

ევრორეგიონები და მათი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა

კავთიძე ედუარდი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თუმანიშვილი არჩილ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ცივი ომის შემდგომი ეპოქიდან მოყოლებული, მსოფლიო რუკამ ბევრი ცვლილება განიცადა. გაჩნდა ახალი საზღვრები, სხვებმა კი დაკარგეს ტრადიციული მნიშვნელობა. საზღვრების იდეა ევროკავშირის ინტეგრაციამ გადაიტანა ახალ განზომილებაში, გაჩნდა მათი განსხვავებული აღქმა. ისტორიულად საზღვრები იყო ტერიტორიის იდენტობის სიმბოლო და აყალიბებდა სახელმწიფოს სუვერენიტეტს. მეორეს მხრივ, ჩვენ ვხედავთ, რომ საზღვრების ცნება კარგავს თავის ტრადიციულ მნიშვნელობას მას შემდეგ, რაც ევროკავშირისა და ერთიანი ბაზრის იდეა დაიბადა. ერთიანმა ბაზარმა და შენგენის ზონამ ადამიანებს თავისუფლად გადაადგილების საშუალება მისცა ევროკავშირში. ერთი ქვეყნიდან მეორეში და ერთი საზღვრიდან მეორეზე გადასვლა ევროკავშირის ფარგლებში აღარ არის ბარიერი და პრობლემა. რა თქმა უნდა, საზღვრები აგრძელებს არსებობას, მაგრამ აშკარაა, რომ გლობალიზაციამ ისინი მნიშვნელოვნად შეამსუბუქა. ქვეყნებს შორის საქონლის, იდეების, კაპიტალისა და ხალხის ვაჭრობიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლის შემდეგ, ადგილობრივი და საერთაშორისო ხელისუფლებები იმუშავებენ შესაბამის პოლიტიკასა და პროექტებს ბარიერების შესამსუბუქებლად. თავდაპირველად მშვიდობისა და უსაფრთხოების კონცეფციით წახალისებულმა ევროპულმა ქვეყნებმა დაიწყეს თანამშრომლობა ერთიანი ბაზრის მეშვეობით, რაც ემსახურებოდა ეკონომიკურ ზრდასა და დამატებითი ინვესტიციების გაცვლას ქვეყნების ფინანსურ ბაზრებს შორის.

საზღვრისთვის ერთი კონკრეტული განმარტების ცნების მიცემა რთულია, რადგან ის არის ფართო საგანი, რომელიც შეიძლება გაანალიზდეს სხვადასხვა ასპექტში. მოკლე განმარტებით, პარკერი აღწერს საზღვრებს, როგორც „ხაზებს კონკრეტულ სივრცეში, რომელიც ყოფს პოლიტიკურ და/ან ადმინისტრაციულ ერთეულებს“. ის ანაწილებს ხუთ ძირითად კომპონენტს, რომლებიც მიუთითებენ საზღვრებზე: პოლიტიკური, ეკონომიკური, გეოგრაფიული, კულტურული და დემოგრაფიული. იმის გასაგებად, თუ რა განაპირობებს ორ სფეროს შორის დაყოფის სიღრმეს, აუცილებელია ისტორიული ფონის და საზღვრების ამ ხუთი კატეგორიის ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, ევრორეგიონები, გლობალიზაცია, ევროკავშირის ინტეგრაცია, ერთიანი ბაზარი, საზღვრისპირა რეგიონები

ძირითადი ტექსტი

გლობალიზაციის ზრდასთან ერთად, ბევრი საზღვარი დაინგრა, რამაც ხელახლა განსაზღვრა მათი ცნება. მაგრამ ისინი განაგრძობენ არსებობას და აყალიბებენ ეროვნული სახელმწიფოების ტერიტორიას. ევროკავშირმა საპირისპირო მიმართულებით უბიძგა საზღვრების ნგრევას, ერთიან ბაზარსა და შენგენის ზონაში ხალხისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილების დაშვებით და საერთო თანამშრომლური მიდგომით გარე საზღვრებთან.

საზღვრების ჩვეული იდეისა და ფუნქციის დაკარგვამ ხალხის მოლოდინი შეცვალა. ეკონომიკურ კონტექსტში, მზარდ გლობალურ ბაზარზე, მათ აქვთ შესაძლებლობა შეიძინონ და მოიხმარონ პროდუქტები, რომლებიც აკმაყოფილებს მათ საჭიროებებს უფრო ეფექტური გზით. ამან გაზარდა ზეწოლა კომპანიებსა და მწარმოებლებზე, რომ მეტი იმუშაონ და გამოიგონონ ახალი მეთოდები ან ტექნოლოგიები ხარჯების შესამცირებლად. გლობალიზაციამ და საზღვრების ნგრევამ საერთო კრიზისი და შოკი მოიტანა. ბოლო ათწლეულებში მსოფლიომ განიცადა ფინანსური კრიზისი, მიგრაციული კრიზისი და ეკოლოგიური კატასტროფები. თუმცა, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობაზე მუშაობამ შეიძლება ხელი შეუწყოს ამგვარი კრიზისისგან გამოწვეული დაბრკოლებების გადალახვას.

საზღვრები აღნიშნავს საკვანძო პუნქტს, როგორც სუვერენიტეტის მაჩვენებელს თანამედროვე სახელმწიფოებში. ისინი ინარჩუნებენ მიწასა და რესურსებს, რომლებსაც აქვთ სიმბოლური და სტრატეგიული მნიშვნელობა. ხალხის მიერ შექმნილი საზღვრები აყალიბებს მათ ტერიტორიას, რომლის ფარგლებშიც მათ ააშენეს საზოგადოება. ამრიგად, სახელმწიფოს ისტორია, კულტურა, პოლიტიკა და მისი ფუნქციონირება აისახება იმ სივრცეში, რომელსაც შემოფარგლავენ საზღვრები.

ახალ გლობალიზებულ სამყაროსთან ერთად საზღვრების, როგორც ფიქსირებული ხაზის ხედვა ეჭვქვეშ დადგა, ხოლო ტერიტორიული სივრცის განსაზღვრას ძირითადად სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ გააგრძელონ თავიანთი საზღვრების შენარ-ჩუნება და სუვერენიტეტის განსაზღვრა, საზღვრების შემსუბუქება ტრანსსასაზღვრო თანამშრომ-ლობითა და ტრანსნაციონალური სივრცეებით ეხმარება მათ გაცვალონ იდეები, პროფესიონალები და კაპიტალი, განვითარდნენ ეკონომიკურად და შეინარჩუნონ სახელმწიფო უსაფრთხოება.

ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა გულისხმობს ხალხისა და ადგილობრივი ინსტიტუტების გაერთიანებას, რათა იმუშაონ ორმხრივ მიზნებსა და პროექტებზე, მიუხედავად იმისა, რომ საზღვრებით არიან გაყოფილი. ამ თანამშრომლობის მთავარი მიზანია საზღვრების გამიჯნული კონცეფციის დანგრევა და ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში განვითარების წახალისება. ევროპის საბჭომ 1980 წლის მადრიდის კონვენციით განსაზღვრა ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, როგორც: „[…] ნებისმიერი შეთანხმებული ქმედება, რომელიც შექმნილია ორი ან მეტი მხარის იურისდიქციის ფარგლებში ტერიტორიულ თემებსა და ხელისუფლებას შორის მეზობლური ურთიერთობების გასაძლიერებლად და ამ მიზნით დადებული ნებისმიერი შეთანხმება“.

ევრორეგიონი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ორი ან მეტი სახელმწიფოს ტერიტორია, რომლებსაც აქვთ საზღვრისპირა თანამშრომლობა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მონაწილეებისა და ინსტიტუტების მობილიზებას საზღვარზე პერიფერიული ზონების ინტეგრაციისა და განვითარების მისაღწევად. ევრორეგიონებში ინიციატივებისა და პროგრამების განხორციელება მიიღწევა სხვადასხვა სტრუქტურებისა და სამართლებრივი ინსტრუმენტების მეშვეობით. რამდენიმე ასპექტი მიუთითებს ამ სტრუქტურების მრავალფეროვნებაზე, რომლებიც გავლენას ახდენენ თანამშრომლობის შესრულებაზე. ზოგადად, ევრორეგიონები განსხვავდება ადმინისტრაციული სტრუქტურით, სამართლებრივი ინსტრუ-მენტებით, თანამშრომლობის მასშტაბით და ინიციატივის სასურველი მიზნებით. მათი ადმინის-ტრაციული სტრუქტურა მოიცავს:

• თითოეული საზღვრისპირა სახელმწიფოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების გაერთიანებას

• ასოციაციებს ექსპერტებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად

• კერძო ან საჯარო კანონმდებლობის შესაბამისად მიღწეულ შეთანხმებებს

საზღვრისპირა მხარეები აფორმებენ სხვადასხვა პოლიტიკური ხასიათის შეთანხმებებს ინიციატივების განსახორციელებლად, რაც დამოკიდებულია მათ შესაბამის ურთიერთობებსა და პოლიტიკურ მიმართულებაზე. მაგრამ არ არსებობს ტიპიური იურიდიული ინსტრუმენტები. ისინი განსხვავდება მონაწილე სახელმწიფოებისა და მათი ერთობლივი შეთანხმებების მიხედვით. (ევროპის სასაზღვრო რეგიონების ასოციაცია) .

სასაზღვრო რეგიონი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ტერიტორია, სადაც ხდება პოლიტიკური, კულტურული, ფულადი და სოციალური ხასიათის გარიგება. ამავდროულად, ეს არის ტერიტორია ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის, რომლებსაც აქვთ საკუთარი სუვერენული ტერიტორიული ხაზები. რეგიონების ერთი ნაწილი იყენებს შესაძლებლობას გააუმჯობესოს თავისი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა მეზობლებთან ძლიერი კომუნიკაციით და თანამშრომლობით, ძირითადად ეს ხდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. ამის საუკეთესო მაგალითია ერთიანი ვალუტით ევროთი ერთიანი ბაზრის შექმნა და შენგენის ზონაში სასაზღვრო კონტროლის გაუქმება. ოთხი თავისუფლების, კერძოდ: მუშახელის, მომსახურების, კაპიტალისა და საქონლის თავისუფალმა მოძრაობამ ხაზი გაუსვა ევროინტეგრაციის მნიშვნელობასა და ძალას.

ევრო რეგიონული თანამშრომლობის სხვადასხვა პოლისები, იმისთვის რომ ხელი შეუწყოს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას, უნდა ხელმძღვანელობდნენ ევროკავშირის მექანიზმებით.

საზღვრისპირა თანამშრომლობის მხარეთა მოტივაციისთვის გამოიყენება სხვადასხვა მოტივი და თითოეული მათგანი, როგორც წესი, დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე. თანამშრომლობის პროცესში ზოგიერთი სირთულე გამოწვეულია ბუნებრივი საზღვრებით, როგორიცაა მთები ან მდინარეები და ზღვები. სხვა შემთხვევაში, ამ პრობლემებს წმინდა ადმინისტრაციული ხასიათი აქვს. სხვა მიზეზები შეიძლება იყოს მოსახლეობის სიმჭიდროვე, გადაადგილება სახელმწიფოს ცენტრისკენ საზღვრისპირა ტერიტორიებიდან. საზღვრის, როგორც ბარიერის წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორც ევროკავშირის პრაქტიკამ აჩვენა, ერთ-ერთი საუკეთესო გზა არის საერთო ბაზრის შექმნა ვიწრო ბარიერებით. ბიზნესის განვითარება გამოიწვევს ეკონომიკის სწრაფ ზრდას მოკლევადიანი მასშტაბით, რაც უნდა გადაიზარდოს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობაში და ამ უკანასკნელმა უნდა გამოიწვიოს საზოგადოების გაერთიანება და მათ შორის არსებული საზღვრების აღმოფხვრა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Donnan, H., & Wilson, T. M. (1999). Borders, Frontiers of Identity, Nation and State. New York: Berg.
2. Durà, A., Camonita, F., Berzi, M., & Noferini, A. (2018). Euroregions, Excellence and Innovation across EU borders. A Catalogue of Good Practices. Barcelona: Department of Geography, UAB
3. Hataley, T., & Leuprecht, C. (2018). Determinants of. Journal of borderlands studies. doi:10.1080/08865655.2018.1482776
4. Parker, B. J. (2006). Toward an Understanding of Borderland Processes. American Antiquity, 71(1), 77-100.
5. Polner, M. (2011). Coordinated border management: from theory to practice. World Customs Journal, V(2), 49-65.
6. Sousa, L. D. (2012). Understanding European Cross-border Cooperation: A Framework for Analysis. Journal of European Integration. doi:10.1080/07036337.2012.711827
7. Association of European Border Regions (AEBR). (2000). Practical Guide to Cross-border Cooperation. Gronau: European Commission
8. European commission. (2015). Retrieved march 2016, from European commission website: http://ec.europa.eu/regional_policy/en/policy/what/history/

Euroregions and their cross-border cooperation

Kavtidze Eduardi
Associated-professor of Georgian Technical University

Tumanishvili Archil
PhD student of Georgian Technical University

Summary

Since the post-Cold War era, the world map has undergone a number of transformations. New borders have emerged, while others have lost its traditional meaning. With the globalization rising, many borders have collapsed and re-defining the notion of them. But they continue to exist and shape the territory of a nation-state. EU integration took the idea of borders into a new dimension and their different perceptions emerged. Historically, borders were a symbol of the identity of the territory and formed the sovereignty of the state. On the other hand, we see that the concept of borders is losing its traditional meaning since the idea of the EU and the single market was born. Following the economic benefits of trade in goods, ideas, capital and people between countries, local and international governments started to work on appropriate policies and projects to alleviate barriers. Initially encouraged by the concept of peace and security, European countries began to cooperate through the single market, which served economic growth and the exchange of additional investment between the countries' financial markets.

ორგანიზაციის პერსონალის მენეჯმენტი მრავალეთნიკურ გუნდში

კავთიძე ედუარდი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ლაგვილავა გიორგი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

აბსტრაქტი

თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს (საწარმოს, ორგანიზაციას, ფირმას და ა.შ.), როგორც მოგეხსენებათ, აქვს საკუთარი სპეციფიკური კულტურა, თუნდაც ეს გამოხატული იყოს მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობით. ამასთან, საწარმოს კულტურა არ შეიძლება გავიგოთ, როგორც მონოლითური ბლოკი. სინამდვილეში, ყველა მსხვილ ორგანიზაციაში არსებობს თამაშის წესების, ნორმების, პრინციპების, დაშვებებისა და ფანტაზიების მთელი რიგი საკუთარ თავზე და სხვებზე, მეტნაკლებად ფარული რეჟიმების და დიფერენცირების ფრთხილად გაშენებული რიტუალების შესახებ, რომელთა მიხედვითაც ცალკეული ჯგუფები განსაზღვრავენ მათ მოქმედებას. ამავდროულად, ამ ჯგუფების სტრუქტურების მატარებლები არიან მსგავსი ინტერესების გამომხატველი პირები.

გარკვეული ორგანიზაციების მულტიეთნიკურ კოლექტივებში ვლინდება ეროვნული მახასიათებლები, ტრადიციები, ადამიანების ქცევის ნორმები, რომლებიც წარმოქმნილი ინტერეთნიკური ურთიერთობებით ახდენს გავლენას ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებზე.

მრავალეროვნული კოლექტივი მოითხოვს განსაკუთრებულ მენეჯმენტს, ლიდერების მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას სხვადასხვა ეთნიკური თემების წარმომადგენლებს შორის მასში არსებული ურთიერთობების დარეგულირების თვალსაზრისით.

მრავალეროვნული ან პოლიეთნიკური კოლექტივები განსხვავდება სხვა კოლექტივებისგან მათი სოციალური ორგანიზაციით. მათში სტრუქტურის ფორმირების განყოფილება არ არის უშუალოდ გარკვეული კონკრეტულად ერთი ეროვნების ადამიანისა, არამედ იმავე ეროვნების ადამიანთა ჯგუფისა, რომელშიც ყალიბდება ეთნოჯგუფის თვითშეგნება, სადაც რეგულარულად იწყება საერთო ინტერესებისა და მისწრაფებების გამოჩენა.

როგორც ადმინისტრაციული ზემოქმედების ობიექტი, აუცილებელია ეთნიკური მიკროჯგუფის განხილვა, როგორც მრავალეროვნული კოლექტივის სოციალური სტრუქტურის საწყისი ნაწილი. ეს უკანასკნელი იგივე ეროვნების ხალხთა ასოციაციაა, რომელსაც ახასიათებს ერთი ენა, საერთო ეროვნული ფსიქოლოგიური მახასიათებლები, კულტურული ერთგვაროვნება და ეთნოჯგუფის იდენტურობა, ჯგუფებში შიდა ნორმების და პრინციპების არსებობა.

საკვანძო სიტყვები: მრავალეთნიკური გუნდი, ორგანიზაციის პერსონალი, პერსონალის მართვა, ეთნიკური მიკროჯგუფი, მენეჯერის როლი, ეთნიკური ურთიერთქმედება.

ძირითადი ტექსტი

მრავალეროვან კოლექტივში შეიძლება არსებობდეს რამდენიმე ასეთი მიკროჯგუფი; მათი წარმომადგენლები მენეჯმენტის ერთსა და იმავე გადაწყვეტილებებზე რეაგირებენ სხვადასხვა ფორმით. ვინაიდან მთელი გუნდის ეფექტური საქმიანობა მოითხოვს სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესების ერთიანობას შრომითი საქმიანობის სფეროში, მრავალეროვნული გუნდის ხელმძღვანელის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ყველა მიკროჯგუფის წევრების მიზანმიმართული მონაწილეობა პრობლემის გადაჭრის ზოგად არხში. ორგანიზაციის ძირითადი ამოცანები, კოლექტიური ღირებულებების განმტკიცება და მკაფიო კოლექტიური მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრა.

მენეჯერის როლი საკმაოდ აქტიურად ვლინდება მრავალეროვნულ გუნდში (ერთეულში) და ურთიერთობებში, რომლებიც დაკავშირებულია ერთი ეროვნების წარმომადგენლებს შორის სტაბილური კავშირების განხილვისას ძირითადი ჯგუფის ფარგლებში და მთელი საწარმოს ან პროფესიული საზოგადოების მასშტაბით. ეს არის გარკვეული ჯგუფთაშორისი ეთნიკური ურთიერთობები. ეს

ურთიერთობა მტკიცდება, რადგან მულტინაციონალურ თემებს შორის ინფორმაციის გაცვლა ხდება პოლიტიკურ და სამრეწველო საკითხებზე.

სოციოლოგიური გამოკვლევები აჩვენებს, რომ სწორედ ასეთი კავშირების გააქტიურება შეიძლება იყოს წინააღმდეგი გარკვეული ხახუნებისა და კონფლიქტებისა სხვადასხვა ეთნიკური თემების წარმომადგენლებს შორის.

ეროვნებათაშორისი ურთიერთობა ან გუნდში ინტერეთნიკური ურთიერთობა არის მრავალ-ფეროვანი კონტაქტები ეთნიკურ მიკროჯგუფებს შორის, რაც იწვევს ინდივიდუალური და სოციალური მახასიათებლების ინდივიდუალურ წარმომადგენელთა შეცვლას, აგრეთვე მათი გარკვეული თვისებების ინტეგრაციას, მათ შორის გუნდის საერთო ინტერესების და ორგანიზაციული სტრატეგიული მიზნების.

გუნდში არსებობს ეთნიკური ურთიერთქმედების სამი ძირითადი ტიპი:

- ერთი ეთნიკური მიკროჯგუფის ცალმხრივი გავლენა მეორეზე, როდესაც ერთი მიკროჯგუფი აქტიური და დომინანტია;

- დახმარება - როდესაც ორი ან მეტი ეთნიკური ჯგუფი თანაბარ პირობებში აღწევს ერთიანობას კოლექტიურ მიზნებში (დახმარების უმაღლესი ფორმაა თანამშრომლობა);

- წინააღმდეგობა - როდესაც მრავალეროვნული კოლექტივის ერთი ეთნოჯგუფი ხელს უშლის სხვის მოქმედებას, ბლოკავს მის ძალისხმევას, ერევა წარმოების ან სხვა შედეგების მიღებაში.

ეროვნებათაშორისი გავლენა შეიძლება განსხვავდებოდეს მკაცრი ტირანიიდან მსუბუქიდან და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეიძლება დასრულდეს ეთნოჯგუფის ნორმების და ინტერესების დაკარგვით კოლექტივში, ან შეიძლება დასრულდეს დისკრიმინაციით ეთნიკური ჯგუფების შრომითი ურთიერთობებში თანაბარი უფლებების ჩამორთმევით.

ცნობილი ფსიქოლოგი დ. უზნაძე აღნიშნავდა, რომ დამოკიდებულება ხდება ჩვენი ცნობიერების შინაარსის წარმმართველი და განმსაზღვრელი ფაქტორი, ხოლო აქტივობის პროცესში ხდება დამოკიდებულების ობიექტურობა, მიმართვა კონკრეტულ ობიექტებზე და ხდება შეგნებული. სოციალური დამოკიდებულების ყველაზე სტაბილური და უნიკალური სახეა ეროვნული დამოკიდებულება. ის თავისი შინაარსით მეტად კონსერვატიულია; შეიცავს გამოხატულ და კარგად განსაზღვრულ სურათებს; თაობიდან თაობას გადაეცემა; ყოველთვის შუამავლობს პირის ქმედებებსა და ქცევას, როგორც კონკრეტული ეთნიკური საზოგადოების წარმომადგენელს.

ორგანიზაციის მრავალეთნიკურ კოლექტივში პერსონალის მენეჯმენტის ელემენტების, ორგანი-ზაციაში ინტერეთნიკური ურთიერთობების განვითარების თავისებურებებისა და გზების გათვა-ლისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მრავალი თვალსაზრისით ეროვნული დამოკიდებულება განისაზღვრება ეთნიკური ჯგუფის სპეციფიკური სტაბილური იდეებით კოლექტივში, ასევე ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციული ზემოქმედების ობიექტად აუცილებელია ეთნიკური მიკროჯგუფის განხილვა, როგორც მრავალეროვნული კოლექტივის სოციალური სტრუქტურის საწყისი ნაწილი.

როგორც კულტურული ინტელექტი, ასევე ემოციური ინტელექტი მოიცავს შესაძლებლობებს, რომლებიც ხელს უწყობენ ეფექტურ პიროვნულ ურთიერთქმედებას. ემოციური დაზვერვა ძალზე მნიშვნელოვანია ლიდერობის ეფექტურობისთვის და ფოკუსირებულია ემოციების გამოვლენაზე და რეგულირებაზე, ხოლო კულტურული ინტელექტი უფრო ფართო ყურადღებას ამახვილებს საკუთარი თავის და სხვების შემეცნებაზე, ემოციებსა და მიზნებზე, და ნათლად გამოხატავს ინტერკულტურულ ურთიერთობებს.

მნიშვნელოვანია, რომ კულტურული ინტელექტი წარმოადგენს მუშაობის მთავარ პროგნოზი-რებას, როდესაც სამუშაო კონტექსტი მრავალფეროვანია, მულტიკულტურული გუნდებისათვის, ხოლო ემოციური ინტელექტი უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც სამუშაო კონტექსტი უფრო ერთგვაროვანია.

მულტინაციონალური გუნდების მუშაობაში სერიოზული პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა ყურადღების გამახვილება ეფექტური მუშაობის შემდეგ კომპონენტებზე:

- შესაძლებლობების მაქსიმალურად გაზრდა ინდივიდუალური განსხვავებებისგან გუნდში (პირადი თვისებები, განათლება, უნარები, გამოცდილება, სქესი და ასაკი, კულტურული და ეროვნული მახასიათებლები);

- გუნდური ურთიერთობების დამყარება ერთმანეთის საუკეთესო მხარეებზე დაყრდნობით, სინერგიული ეფექტის გათვალისწინებით;
- გუნდის თითოეული წევრის ეროვნული მახასიათებლების გამოვლენისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ერთმანეთთან კონსტრუქციული კავშირების დამყარება.

ჩვენი აზრით, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა გუნდის შესაქმნელად საჭიროა მინიმუმ:

- იცოდეთ ერთმანეთის ენა და კულტურა;
- კონსულტანტებისგან კონკრეტული რეკომენდაციების მიღება საკითხების გადაჭრის ეროვნული თავისებურებებისა და თანამშრომელთა საქმიანი ქცევის შესახებ;
- ადაპტაციის ზომების სისტემის შემუშავება და დანერგვა, რომელიც მიზნად ისახავს პერსონალის გუნდური მუშაობის ცოდნისა და უნარების სწავლებას.

იმისათვის რომ, მრავალეთნიკურ გუნდში ორგანიზაციამ მიაღწიოს წარმატებას, აუცილებელია თითონ ორგანიზაციამ და მენეჯერმა აღიაროს კულტურული განსხვავებები და ღია დისკუსიის ჩარჩო შექმნან. ეს მოიცავს: ღია იყოს დიალოგისთვის და უნდა იცოდეთ გუნდის წევრებისა და მათი კულტურული განსხვავებების შესახებ, გუნდთან მუშაობა, იმსჯელოთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამ განსხვავებებმა გამოიწვიოს მუშაობის სხვადასხვა გზა ან გუნდთან მიდგომა და როგორ შეიძლება ამან გავლენა იქონიოს გუნდის ერთად მუშაობაზე. ამ განსხვავებების ასახვის შესაძლებლობა გუნდს უფრო ეფექტურს გახდის. შემდეგი ეტაპი არის სხვადასხვა კულტურული ჯგუფების წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციის რაოდენობისა და რეგულარობის ზრდა. რეგულარული შეხვედრები შეიძლება მნიშვნელოვანი მომენტი იყოს გუნდის წევრებისთვის ინფორმაციისა და ცოდნის გაზიარების დროს, ერთმანეთის გამოცდილებისგან სწავლისა და ხალხის ინფორმირებისთვის ორგანიზაციული და გუნდის განვითარებისა და განახლებების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ დამყარდეს საერთო ენა, რომლის მეშვეობითაც კომუნიკაცია შეიძლება მოხდეს რეგულარული სიხშირით. პირისპირ შეხვედრები ყველა გუნდის ნდობისა და კარგი სამუშაო ურთიერთობების განმტკიცების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია გლობალური გუნდებისათვის.

ყოველთვის უნდა გავაანალიზოთ თუ როგორ მუშაობს გუნდი ერთად და უნდა განვსაზღვროთ შეხვედრების მონაწილეობისა და კომუნიკაციის სტრატეგიები. ეს შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა ინსტრუმენტებს, დაწყებული განსხვავებების გადაჭრის სტრატეგიებიდან ან კონფლიქტის კონსტრუქციული მოგვარებით, დამთავრებული სტრატეგიებით დაბალანსებული მონაწილეობით განსაკუთრებით იქ, სადაც ენობრივი ხარვეზია, გუნდის თითოეული წევრის კომფორტის დონე შეიძლება განსხვავდებოდეს შეხვედრებზე. შეხვედრების კომუნიკაციის წესების განსაზღვრა, როგორც ჩართულობის, ისე მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა., ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, თბ., 2014;
2. ბარათაშვილი ე. ,აბრალავა ა., მენეჯმენტი და ადმინისტრირება თბ. 2007;
3. Triandis H.C. Culture and social behavior. N.Y. etc., «McGraw-Hill», 1994
4. Leading a Multicultural Team https://www.ccl.org/articles/leading-effectively-articles/leading-a-multicultural-team/

Organization Personnel Management in Multi Ethnical Team

Kavtidze Eduardi
Associated-professor of Georgian Technical University

Lagvilava Giorgi
PHD in Business Administration

Summary

National stereotypes exist as the stereotypes of national conduct and stereotypes of perception. Thanks to stereotypes of national conduct (stable, schematic models of conduct) the situations are split into types and ethnic micro group choses the answer to managerial impact into organization. The leader`s knowledge on specific properties of conduct allows to preliminarily determine the actions and responses of staff individuals and representatives of ethnic micro groups.

National stereotypes of perception are stable images, those which were worked out among representatives of some particular ethnic societies and are revealed in relations between the components of cognitive and emotional evaluations. During the perception of other culture and people of different race, some particular keys exist, by means of which the human freely perceives the representatives of his / her circle, but the keys are not operational whilst the representatives of other culture are about to be perceived

საქართველოს ეკონომიკის სახელმწიფო მენეჯმენტის პრობლემები

კაპანაძე მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ჭინჭარაული გიორგი
პროფესორი, სესტ უნივერსიტეტის რექტორი

აბსტრაქტი

ნაშრომში თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტში განხილულია, საქართველოს ეკონომიკის სახელმწიფო მენეჯმენტის პრობლემები, ნაჩვენებია სახელმწიფოს როლი საბაზრო ეკონომიკით განპირობებული ეკონომიკის არამდგრადობის, უთანასწორობის, არაეფექტიანობის რეგულირებაში ისეთი ბერკეტების დახმარებით როგორიცაა: ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, საგადასახადო სისტემა, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა ღონისძიებები.

ასევე განხილულია სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო; საბიუჯეტო-საგადასახადო; სოციალური, საგარეო ეკონომიკური და სხვა სახის პოლიტიკების როლი(ეკონომიკის სახელმწიფო მენეჯმენტში) ეკონომიკის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებაში.

ეკონომიკის სახელმწიფო მენეჯმენტისა და სახელმწიფო წარმოების აუცილებლობას ქმნის ის გარემო, რომ ბაზარს არ შეუძლია, დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნები და უზრუნველყოს ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება, რადგანაც, არსებობს: ა) არასრულყოფილი კონკურენცია და საბაზრო ძალაუფლება; ბ) გარეგანი ეფექტები და გ) საზოგადოებრივი პროდუქტი. ყველა ეს მოვლენა ბაზრის არასრულყოფილების მაჩვენებელია. ამდენად სახელმწიფომ კორექტირება უნდა მოახდინოს ბაზრის არასრულყოფილებაში და ეკონომიკის პროგრესული მენეჯმენტით უზრუნველყოს რესურსების უფრო ეფექტიანი და რაციონალური წარმოება, განაწილება, გაცვლა და გამოყენება.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მენეჯმენტის აუცილებლობა გამოწვეულია საბაზრო ეკონომიკით განპირობებული ეკონომიკის არამდგრადობით, უთანასწორობითა და არაეფექტიანობით, რაც აისახება მონოპოლიების ბატონობაში, რესურსების არარაციონალურ განაწილებაში, ჭარბ ან შეკვეცილ წარმოებაში და ა.შ. ე.ი. ყოველივე იმაში, რაც აფერხებს ეკონომიკის განვითარებას. ამ მხრივ საქართველოში საქმე არასახარბიელოდ გამოიყურება. ეკონომიკაში მონოპოლიები ბატონობენ, რაც კონკურენციას ზღუდავს და ასევე აფერხებს წვრილი და საშუალო წარმოების განვითარებასაც. მაგალითად, მონოპოლიური მდგომარეობის გამო „ავერსისა“ და პსპ-ს მოგება 2000-3000%-ს აჭარბებს. მათ სხვა სფეროებშიც აქვთ მონოპოლიები. ანალოგიური მდგომარეობაა სპირტიანი სასმელების წარმოებაში, ნავთობპროდუქტების რეალიზაციაში და ა.შ.

წარმოების რესურსების არარაციონალურ გამოყენებაზე, რომ არაფერი ვთქვათ, მათი დიდი ნაწილი საერთოდ არ გამოიყენება კერძოდ მოსახლეობის 72%-ი დაუსაქმებელია, ანალოგიური მდგომარეობაა მიწის და სხვა რესურსების მხრივაც.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო მენეჯმენტი,საბაზრო ძალაუფლება, გარე ეფექტი, საზოგადოებრივი პროდუქტი, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკის სახელმწიფო მენეჯმენტისა და სახელმწიფო წარმოების აუცილებლობას ქმნის ის გარემო, რომ ბაზარს არ შეუძლია, დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნები და უზრუნველყოს ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება, რადგანაც, არსებობს: ა) არასრულყოფილი კონკურენცია და საბაზრო ძალაუფლება; ბ) გარეგანი ეფექტები და გ) საზოგადოებრივი პროდუქტი. ყველა ეს მოვლენა ბაზრის არასრულყოფილების მაჩვენებელია. ამდენად სახელმწიფომ კორექტირება უნდა მოახდინოს ბაზრის არასრულყოფილებაში და ეკონომიკის პროგრესული მენეჯმენტით უზრუნველყოს რესურსების უფრო ეფექტიანი და რაციონალური წარმოება, განაწილება, გაცვლა და გამოყენება.

საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მენეჯმენტის

აუცილებლობა გამოწვეულია საბაზრო ეკონომიკით განპირობებული ეკონომიკის არამდგრადობით, უთანასწორობითა და არაეფექტიანობით, რაც აისახება მონოპოლიების ბატონობაში, რესურსების არარაციონალურ განაწილებაში, ჭარბ ან შეკვეცილ წარმოებაში და ა.შ. ე.ი. ყოველივე იმაში, რაც აფერხებს ეკონომიკის განვითარებას.

ამ მხრივ საქართველოში საქმე არასახარბიელოდ გამოიყურება. ეკონომიკაში მონოპოლიები ბატონობენ, რაც კონკურენციას ზღუდავს და ასევე აფერხებს წვრილი და საშუალო წარმოების განვითარებასაც. მაგალითად, მონოპოლიური მდგომარეობის გამო „ავერსისა“ და ჰსპ-ს მოგება 2000-3000%-ს აჭარბებს. მათ სხვა სფეროებშიც აქვთ მონოპოლიები. ანალოგიური მდგომარეობაა სპირტიანი სასმელების წარმოებაში, ნავთობპროდუქტების რეალიზაციაში და ა.შ.

წარმოების რესურსების არარაციონალურ გამოყენებაზე, რომ არაფერი ვთქვათ, მათი დიდი ნაწილი საერთოდ არ გამოიყენება კერძოდ მოსახლეობის 72%-ი დაუსაქმებელია, ანალოგიური მდგომარეობაა მიწის და სხვა რესურსების მხრივაც.

სამამულო წარმოების რეგულირებაზე მსჯელობაც არ შეიძლება რადგან საქართველოში მოხმარე-ბულ პროდუქტების 85%-ი უცხოური წარმოებისაა და ა.შ. ისმება კითხვა რატომ გააუქმეს ანტიმო-ნოპოლიური სამსახური, რატომაა

შეზღუდულიa კონკურენციული სააგენტოს ფუნქციები; რატომ არაა დადგენილი მონოპო-ლიურად მაღალი და დაბალი ფასები; მიწის რესურსების გამოუყენებლობაზე რატომ არ დგინდება გადასახადები და ა.შ.

ამ პრობლემების გადაწყვეტა კერძო ბაზარს არ შეუძლია. ამდენად, სახელმწიფომ აღნიშნული მოვლენების რეგულირება უნდა მოახდინოს: ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით, საგადასახადო სისტემით, სახელმწიფო შესყიდვებით და სხვა ღონისძიებებით. როგორ უკვე მივუთითეთ საქარ-თველოში ანტიმონოპოლიური პოლიტიკა მოისუსტებს; ასევე საგადასახადო ნორმები. მეცნიერულად დაუსაბუთებელია (მაგალითად აქციზი ნავთობ პროდუქტებზე), სახელმწიფო შესყიდვების ტენდერები ძირითადად არასამამულო წარმოებულ პროდუქტებზე ცხადდება და ა.შ.

სახელმწიფოში კერძო ბაზრის ფუნქციონირების შედეგად ყოველთვის წარმოიქმნება ეკონომიკური დისპროპორციები წარმოებასა და მოხმარებას, ტერიტორიულ ერთეულებსა და დარგებს შორის და ა.შ. რომელთა დაძლევისათვის სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია, როგორც რეგულირების თვალსაზრისით, ისე სახელმწიფო წარმოების განხორციელებით. მიუხედავად ამისა საქართველოში ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი ფაქტიურად არ არსებობს. ბუნებრივი მონოპოლიები, რომლებიც სახელმწიფოს საკუთრებას უნდა წარმოადგენდეს კერძო პირების საკუთრებაშია. მაგალითად წყალკანალი, თელასი და ა.შ. გარდა ამისა, სახელმწიფოში არსებობენ უმუშევრები, ომის ვეტერანები და სხვა ამგვარი კატეგორიის მოსახლეობა, რომელთა სასიცოცხლო უზრუნველყოფა ასევე სახელმწიფო ჩარევის აუცილებლობას მოითხოვს. ამდენად ამ მიმართულებითაც სახელმწიფო შესყიდვებისა და ტრანსფერების საშუალებით მნიშვნელოვან ზეგავლენას უნდა ახდენდეს რესურსების განაწილებაზე. სახელმწიფო ხარჯების საშუალებით უნდა ხორციელდებოდეს კერძო მოხმარების პროდუქტების, რესურსების გადანაწილება, საზოგადოებრივი მოხმარების პროდუქტებისაკენ.

საქართველოში ამ მხრივ ჯერჯერობით არასახარბიელო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ქვეყანაში ფაქტობრივად არ ხორციელდება ჭარბი სოფლის მეურნეობისა და სხვა პროდუქტების შესყიდვა. სახელმწიფო შესყიდვების სახელმწიფო სამსახური კი როგორც უკვე მივუთითეთ სამამულო პროდუქტებთან მიმართებაში ფიქტიურ წარმონაქმნად გვევლინება, რაც შეეხება სატრანსფერო გადასახადებს, რომელთა საშუალებითაც სახელმწიფო ცვლის კერძო პროდუქტის სტრუქტურას, წინა წლებში „საქართველოში, ბიუჯეტში სოციალური დაცვისა და სოციალური დაზღვევის ღონისძიებებზე გეგმით გათვალისწინებულმა ხარჯებმა მშს-ის 3,8%-ი შეადგინა.

თუ საქართველოს სოციალური ორიენტაციის დონეს მსოფლიო მასშტაბით შევაფასებთ, აღმოჩ-ნდება, რომ ამ მაჩვენებლით, „საქართველოს არა მარტო განვითარებულ, არამედ ბევრ განვითარებად ქვეყანასაც ჩამორჩება.“

საქართველოში ეკონომიკური საქმიანიბის სფეროში წარმოქმნილი იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც ბაზრის ფუნქციონირების შედეგად ვერ დაიძლევა, სახელმწიფოს აქვს

მენეჯმენტის ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა: ფულად-საკრედიტო, საბიუჯეტო-საგადასახადო, სოციალური, საგარეო ეკონომიკური და სხვა სახის პოლიტიკები, რომელთა ეფექტიანობა საქართველოში არცთუ სახარბიელოა.

საქართველოში არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მაჩვენებელი იყო ფულის ინფლაცია, რამაც პიკს მიაღწია კუპონების დროს, 2021 წლის ინფლაციის დონე 13%-ით პროგნოზირდებოდა. საშუალო დონე 4,2% იყო. დღევანდელ პირობებში საქართველოში ფულის ინფლაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის გახლავთ, რომ სახელმწიფო მეტს ხარჯავს, ვიდრე იწარმოება. ასეთი სიტუაციის დასაძლევად სახელმწიფომ ზედმეტი ხარჯების ლიკვიდაცია უნდა მოახდინოს, რომელიც შეიძლება განხორციელდეს, როგორც სახელმწიფო ხარჯების შემცირებით, ისე გადასახადების გაზრდით, კერძო ხარჯების შემცირების მიზნით და ა.შ.

მიუხედავად ამისა 2022 წელს დაგეგმილია ხელფასების 10%-ით ზრდა სახელმწიფო სექტორში, რაც სხვა თანაბარ პირობებში ინფლაციას გაზრდის.

ასევე ლარის კურსის გამყარებისათვის სახელმწიფოს შიგნით, მიმოქცევაში უნდა აიკრძალოს უცხოური ვალუტის გამოყენება. ვინაიდან საქართველოში წარმოებული და შემოტანილი ძვირადღირებული პროდუქტების რეალიზაცია ძირითადად მიმდინარეობს უცხოურ ვალუტებში, საინფორმაციო საშუალებების მიხედვით ლარს მხოლოდ 25% უკავია საქართველოს ბაზარში, რაც ლარის კურსს აქვეითებს და ინფლაციურს ხდის. ანალოგიურად ითქმის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე მოქმედ სხვა ფაქტორებზე.

საქართველოში სახელმწიფო საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ფუნქციონირებაც მოისუსტებს, ვინაიდან არარაციონალურად წყდება სახელმწიფო შემოსავლების და ამ შემოსავლების განაწილების საკითხი. ამ პოლიტიკით სახელმწიფო უნდა წყვეტდეს მრავალ სოციალურ პრობლემას, აუმჯობესებდეს ეკოლოგიურ მდგომარეობას და ა.შ. გადასახადების, სუბსიდირებისა და სხვა ხარჯების გზით ზეგავლენას უნდა ახდენდეს შრომით აქტივობაზე, ინფლაციაზე, უმუშევრობაზე. ფაქტიურად კი სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, უმუშევრობის დონე 2021 წლის მესამე კვარტალში წინა პერიოდთან შედარებით 2,5%-ით გაიზარდა და 19,5%-შეადგინა. მილიონობით ღარიბია, ნახევარ მილიონამდე ღატაკი და ა.შ.

ხშირად საქართველოში საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა ობიექტურ მოთხოვნებს არ ითვალისწინებს და დამუშავებულია სუბიექტური მოსაზრებებით დაუსაბუთებლად, ხელოვნურად გაზრდილია საგადასახადო განაკვეთები და საბიუჯეტო ხარჯები, რაც ერთ-ერთი დესტაბილიზაციის ფაქტორია. რაზეც უკვე მივუთითეთ ნავთობპროდუქტებზე აქციზის დაწესებით და ისიც მაღალი განაკვეთით. ანალოგიურია სალიცენზიო მოსაკრებლები და სხვა საგადასახადო განაკვეთები.

საქართველოში სოციალური პოლიტიკაც სავალალო მდგომარეობაშია. სახელმწიფო საგადასახადო სისტემისა და სხვადასხვა სოციალური პროგრამების საშუალებით შემოსავლების გადანაწილებას რაციონალურად ვერ ახორციელებს რადგან სათანადოდ არ არის დაცული სოციალური სამართლიანობის, თანასწორობის და სოლიდარობის პრინციპები. სოციალურ დაცვაზე გაჭირვებულთა და მრავალშვილიანთა დახმარებისათვის, ინვალიდებისა და მოხუცებულთათვის და ა.შ. განსაზღვრული ხარჯები მცირდება. კერძოდ 2021 წელს 2020თან შედარებით 335 მილიონი ლარით შემცირდა.

ანალოგიურად დასაქმების პოლიტიკაც უარეს მდგომარეობაშია და ა.შ. რის გამოც მოსახლეობის დიდი ნაწილი ემიგრაციაშია, ქვეყნის მოსახლეობა კი თითქმის 3 მილიონამდეა დასული.

ქვეყანაში როცა დიდია უმუშევრობა, მის დაძლევას კერძო სექტორი ვერ უზრუნველყოფს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა გაატაროს გარკვეული ღონისძიებები, კერძოდ, შეამციროს გადასახადები. კერძო სექტორის ხარჯების სტიმულირებისათვის, რათა წარმოება გაფართოვდეს და დასაქმება გაიზარდოს; ასევე სახელმწიფომ უნდა გაზარდოს საკუთარი ხარჯები სახოგადოებრივი პროდუქტის წარმოებაზე, რაც გამოიწვევს დასაქმების ზრდასაც. ანალოგიურად ითქმის სხვა სახის სოციალურ საქმიანობაზე.

საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკით საქართველოს სახელმწიფო არაეფექტიანად არეგულირებს საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას. კერძოდ საერთაშორისო სავალუტო და სასაქონლო მიმოქცევას,

კადრების მომზადებას, სახელმწიფოთაშორისი საწარმოების შექმნას და ა.შ. სხვაზე, რომ არაფერი ვთქვათ პროტექციონული პოლიტიკის არ ქონის გამო სამამულო წარმოება ნადგურდება. ეს მაშინ, როცა ა.შ.შ; იაპონია და სხვა განვითარებული ქვეყნები ამ პოლიტიკას აღმატებით ხარისხში იყენებენ.

განხილული ეკონომიკის სახელმწიფო მენეჯმენტის მექანიზმები ურთიერთ კავშირში იმყოფებიან. ერთის ცვლილება იწვევს სხვების ცვლილებებსაც. ხშირად ეს პოლიტიკები მუშავდება არაობიექტური, „ნაყიდი" კანონმდებლობის საფუძველზე და არ ასახავს ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო ობიექტურ მოთხოვნას. ბუნებრივია, ყოველივე ეს ანგრევს და ხელს უშლის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ყოველივე აღნიშნულს თუ განვაზოგადებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ სახელმწიფოს როლი ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებაში, ბაზრის ნაკლოვანებათა სრულყოფაში ერთობ დიდია, მაგრამ სახელმწიფოც მთლიანად ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის პრობლემის გადაჭრას და რესურსების რაციონალურ განაწილებას. უფრო მეტიც, ზოგჯერ სახელმწიფოს არასწორი ჩარევა ეკონომიკურ საქმიანობაში შეიძლება დესტაბილიზაციის ფაქტორი გახდეს.

მაშასადამე, ეკონომიკური საქმიანობის მენეჯმენტის განხორციელებისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს საბაზრო და სახელმწიფო მექანიზმების არსებული მდგომარეობა, ეკონომიკური საქმიანობის კორდინაციის პროცესში, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

დასკვნა

საქართველოში ჯერ კიდევ სათანადოდ არ ხდება ეკონომიკის სახელმწიფო მენეჯმენტით რეგულირება. უამრავი პრობლემაა სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის დაგეგმვის, ორგანიზაციას, მოტივაციასა და კონტროლში. რომელთა დაძლევა უნდა მოდხეს ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით როგორიცაა: ფულად-საკრედიტო, საბიუჯეტო-საგადასახადო, სოციალური, საგარეო-ეკონომიკური და სხვა სახის პოლიტიკები. რომლებიც თავის დასაყრდენს პოულობენ რაციონალურ ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაში, საგადასახადო სისტემაში, სახელმწიფო შესყიდვებში და სხვა ღონისძიებებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. saqarTvelos konstitucia, Tb., 2011.
2. აბრალავა.ა. ბარათაშვილი ე. ; მენეჯმენტი და ადმინისტრირება.თბ.2007
3. ბარათაშვილი ე; ქოქიაური ლ. ; მენეჯმენტის პრინციპები. თბ.2010.
4. ვანიშვილი მ.; ჟღენტი კ. მენეჯერული ეკონომიკა.თბ.2015
5. კაპანაძე.მ; ჭინჭარაული გ. პირველი საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია.კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები თემა:კონკურენციის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. გვ.307-310 შრომების კრებული. თბ2017
6. კაპანაძე.მ.; ჭინჭარაულიგ. კონკურენციის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. მეორე საერთაშორისო კონფერენცია - კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები. თბ.2018.
7. ხარხელი.მ.; მენეჯმენტის საფუძვლები.თბ.2015
8. WinWarauli,გ.; ekonomikuri Teoria, Tb., 2005.
9. Молишев М.А.; Теория и механизмы современного государственного управления.Санкт-Петербург 2011.

Problems of the state management of the Georgian economy

Maia Kapanadze
Associate Professor of Georgian Technical University

Giorgi Chincharauli
Professor, The Nacional Social- Technological University Rektor

Summary

In the theoretical and practical aspect, the paper discusses the problems of state management of the Georgian economy. The role of the state in regulating the instability, inequality and inefficiency of the market economy economy with the help of such levers as: antitrust law, tax system, is shown.

State-monetary credit is also discussed; Budget-tax; The role of social, foreign economic and other policies (in the state management of the economy) in improving the smooth running of the economy.

The necessity of state management and state production of the economy is created by the environment that the market can not meet the needs of society and ensure the efficient functioning of the economy, because there is: a) imperfect competition and market power; B) external effects and c) public product. All these events are an indicator of market imperfection. Thus the state must correct the imperfections of the market and ensure the more efficient and rational production, distribution, exchange and use of resources through progressive management of the economy.

The need for state management of the economy is caused by the instability, inequality and inefficiency of the market economy due to market economy, which is reflected in the domination of monopolies, irrational distribution of resources, overproduction or underproduction, and so on. Ie In everything that hinders the development of the economy.

The need for state management of the economy is caused by the instability, inequality and inefficiency of the market economy due to market economy, which is reflected in the domination of monopolies, irrational distribution of resources, overproduction or underproduction, and so on. Ie In everything that hinders the development of the economy. In this regard, the case in Georgia looks unfavorable. The economy is dominated by monopolies, which restricts competition and also hinders the development of small and medium-sized production. For example, due to the monopoly situation, the profit of "Aversi" and PSP exceeds 2000-3000%. They have monopolies in other areas as well. The situation is similar in the production of alcoholic beverages, in the sale of petroleum products, etc.

Not to mention the irrational use of production resources, a large part of them are not used at all, in particular 72% of the population is unemployed, the situation is similar in terms of land and other resources.

keywords: State management, market power, external effects, public product, budget-tax policy, monetary policy.

ცოდნის მართვის პრაქტიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში

კერესელიძე შალვა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კერესელიძე ლევანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

კერესელიძე დავით
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი

აბსტრაქტი

სტატიაში - **„ცოდნის მართვის პრაქტიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში“** - ახნილია ცოდნის არსი, მისი განსხვავება ინფორმაციისგან, ჩამოთვლილია ცოდნის წყაროები და ა. შ.

ცოდნის მართვა შედარებით ახალი ტერმინია და მისი წარმოშობა კერძო სექტორის ორგანიზაციებშია, ის არის კონცეფცია, რომლისთვისაც არ არსებობს უნივერსალური განსაზღვრება, მისი მთავარი მახასიათებელი ემყარება კარგად საქმის კეთებას, ორგანიზაციაში თანამშრომელთა ცოდნა არის ყველაზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი კაპიტალი. კომპანიის სიძლიერე და წარმატება პირდაპირ კავშირშია ადამიანის ცოდნასთან, ცოდნის სწორი მიღება და მართვა კომპანიას საშუალებას აძლევს ნებისმიერ სფეროში მოოპოვოს უპირატესი მდგომარეობა. ცოდნა არის ის ფუნდამენტური რესურსი, რაც ადამიანს ეხმარება სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. ორგანიზაციული ცოდნა არის არამატერიალური აქტივი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზაციის განვითარების პროცესში.

დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ სწრაფ განვითარებაზე , რათა მაღალი კონკურენციის პირობებში მოიპოვონ უპირატესობები. ცოდნის მართვა ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს მინიმალურ დროში, მინიმალური დანახარჯებით მიაღწიოს მაქსიმალურ შედეგს. ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში კი აუცილებელია უპირატესობა მიენიჭოს ადამიანურ რესურსებს, ადამიანის ცოდნას და ამ ცოდნის სწორ მართვას.

სტატიაში ცოდნის შესახებ სხცადასხვა მეცნიერთა შეხედულებებია მოტანილი და ორი განსხვავებული პოზიციაც დაფიქსირებული. სტატიის ავტორები მხარს უჭერენ მეორე პოზიციას, რომელიც ცოდნას ადამიანთა ეკონომიკურ აქტივად აღიარებენ.

სტატიაში წარმოდგენილია ცოდნის მართვის იაპონიის, ჩინეთის, ამერიკის და ევროპის პრაქტიკა და გაკეთებულია დასკვნა იაპონია-ჩინეთის კოლექტიურობის, ამერიკის - ინდივიდუალობის და ევროპის შერეულ (ჰიბრიდული) მიდგომების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ცოდნის მართვა, ცოდნის იაპონური მართვა, ცოდნის ამერიკული მართვა, ცოდნის ჩინური მართვა, ცოდნის ევროპული მართვა.

ძირითადი ტექსტი

ცოდნა ღრმა ცნებაა. მცოდნედ ის ადამიანი მიიჩნევა, რომელიც სრულყოფილად ფლობს ინფორმაციას და ამასთან, არის მოაზროვნე. ცოდნის რაობის გაგებას კაცობრიობა უძველესი დროიდან ცდილობს. სოკრატეს მიხედვით „ცოდნა და სიკეთე განუყოფელია“. პლატონის მიხედვით „ცოდნა ხასიათდება მტკიცებულებათა არსებობით, ჭეშმარიტებითა და სუბიექტური დამაჯერებლობით“. გერმანელი მეცნიერის კ. ვიგრუს აზრით, „ცოდნა არის თვალსაზრისის, კონცეფციისა და მეთოდოლოგიის ერთობლიობა.

თანამედროვე მეცნიერები ცოდნის არსს ორი განსხვავებული პოზიციიდან იხილავენ [1. გვ. 147]:

1. ცოდნა არის ადამიანთა მიერ რაციონალური არჩევანის განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაცია.
2. ცოდნა არის ეკონომიკური აქტივი, ანუ განსაკუთრებული რესურსი და სპეციფიკური პროდუქტი.

ჩვენ მეორე პოზიცია მიგვაჩნია უფრო სწორად, რადგან ცოდნა მართლაც მცოდნე ადამიანთა ეკონომიკური აქტივია, სიმდიდრეა და როგორც ქართველი მეცნიერი ლ. ქოქიაური აღნიშნავს „ცოდნა დიდი ფასეულობაა და ბუნებრივ რესურსებთან, გიგანტურ საწარმოებთან და ბანკებში სოლიდურ ანგარიშებთან შედარებით გაცილებით მეტ ძალას ფლობს [2. გვ. 11].

თანამედროვე მსოფლიო ცოდნის შექმნის და მისი ინტენსიური გამოყენების ერაშია. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, რომელი ქვეყანა როგორ, რა წესებით და მეთოდებით მართავს ცოდნას, და, ამართლებს თუ არა მათი არჩევანი. განხილვის სუბიექტი იქნება არა ერთი ადიმიანი ან ადამიანთა ჯგუფი, არამედ, მთლიანად ქვეყანა.

იაპონია. ზოგადად მენეჯმენტი ქვეყნის კულტურას და მის ისტორიულ თავისებურებებს და ტრადიციებს ეფუძნება. ასეა იაპონიაშიც.

იაპონია ცოდნის ეკონომიკის ქვეყნად ითვლება. ცოდნის ეკონომიკა ეს არის ცოდნის წარმოებაზე, განახლებაზე, ცირკულაციაზე, განაწილებასა და გამოყენებაზე დაფუძნებული ეკონომიკა. იგი ქმნის, იყენებს და ავრცელებს ცოდნას განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. ესაა ეკონომიკა, რომელიც ამდიდრებს მეურნეობის ყველა დარგსა და ეკონომიკური პროცესის თითოეულ მონაწილეს. იაპონელებმა შექმნეს მრავალი მაღალი ტექნოლოგია - პირველი მაგნიტოფონი - 1951 წელს, მაგიდის კალკულატორი - 1964 წელს, ფერადი ტელევიზორი - 1968 წელს, ვიდეოკამერა - 1980 წელს, კომპიუტერის დისკეტა - 1980 წელს, ბრტყელეკრანიანი ტელევიზორი - 1998 წელს და მრავალი სხვა.

იაპონიის მენეჯმენტის თავისებურებაა უწყვეტი სწავლების ორგანიზაცია. იაპონელები დარწმუნებული არიან, რომ უწყვეტი სწავლება ოსტატობის სრულყოფის საფუძველია. ისინი ოსტატობის ამაღლებას თავის მოვალეობად თვლიან. შემოქმედებთი აქტივობა იაპონელთა ძლიერი მხარეა [3].

იაპონელები დისციპლინირებულნი არიან. მათ ქვეყნის საერთო კეთილდღეობის მისაღწევად საკუთარი თავის გაწირვაც კი შეუძლიათ. საკუთარი ცოდნის სრულყოფას, ისინი, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნისთვის თვლიან საჭიროდ.

იაპონელები ახალი იდეების სწრაფად ამთვისებლები არიან. ეს იდეა შეიძლება სხვა ქვეყნის იყოს და არა იაპონიის. ისინი მას ყიდულობენ და შემდეგ სრულყოფენ. ფაქტიურად არსებული ცოდნის სრულყოფას ახდენენ.

იაპონელები სიამოვნებით იცვლიან პროფესიას, როცა ეს საჭიროა. მათ „პროფესიათა პროტფელი“ აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ფლობენ არა ერთ, არამედ რამდენიმე პროფესიას. ამ გზით მათში ახალ-ახალი ცოდნა გროვდება.

ამერიკის შეერთებული შტატები. ცოდნის მართვის ამერიკული სტილი ეფუძნება ამერიკელთა გერგილიანობას, გამჭრიახობას, ენერგიულობას, ორგანიზატორულ უნარს, კომპეტენტურობას. ეს თვისებები დღევანდელმა ამერიკელებმა მემკვიდრეობით მიიღეს მათი ემიგრანტი წინაპრებისგან, რომელთაც ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, ამ ქვეყნის ტერიტორია და სიმდიდრეები სწორედ თავიანთი გამჭრიახი გონებით კარგად აითვისეს.

განსაკუთრებით გამოვყოფთ ამერიკელების გერგილოანობას და ორგანიზატორობის უნარს. ერთიც და მეორეც საქმის სწორად არჩევაში და მის აუცილებლად ბოლომდე მიყვანის დაუოკებელ ძალისხმევაში ვლინდება. ამერიკელებს აქვთ საქმის დეტალებში ჩაწვდომის ინტერესი, მშვენივრად ეხერხებათ მოგების და ხარჯების დათვლა, საქმის ორგანიზების მეთოდის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება.

საქმის ორგანიზებას ამერიკელი გულდასმით იწყებს და მის ყველა ნიუანსს ითვალისწინებს - ფინანსურს, საკადროს, დროის რესურსს, მატერიალურ-ტექნიკურს, სამართლებრივს და სხვა. ამ პროცესში ინფორმაციის გაცნობით მისი ცოდნა იზრდება, და, ამ ცოდნის ასე კომპლექსური დაგროვება და შემდეგ გამოყენება ეფექტური ხდება.

ამერიკელები კომპეტენტურები არიან. მათი ინდივიდუალური შესაძლებლობები მაღალია და ამიტომ უკეთესი სამსახურის ძიებაში ხშირად იცვლიან სამუშაო ადგილს (განსხვავებით იაპონელებისგან). თითოეული ამერიკელი დიდ ყურადღებას უთმობს თავის განათლებას, რომლის მეშვეობით მას ცოდნა უგროვდება, რომელიც სამსახურში მიღებისას, მისი შეფასების პირველი კრიტერიუმია.

ამერიკელების სწორედ ამ თვისებების გამო, მათი ქვეყანა მსოფლიოს ლიდერია.

ჩინეთი. უძველეს წლებში ჩინეთი მსოფლიოს ერთ-ერთი მაღალცივილიზებული ქვეყანა იყო. შემდეგ წლებში, როცა ჩინეთი სოციალისტური გახდა, მისი ეკონომიკა უკიდურესად დაეცა, მანამ, სანამ, იგი არ შემობრუნდა საბაზრო ეკონომიკისკენ. დღეს ჩინეთი ისე განვითარდა, რომ მომავალში მსოფლიო ლიდერად მოიაზრება. ჩინეთის დღევანდელი წინსვლა მისი იმ ცოდნით და ტრადიციებითაცაა გამოწვეული, რომელ;იც მას უძველესი წლებიდან მოყვება. აღნიშნული ჩინეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ეს ცოდნა ჩინეთში სისტემატურად ღრმავდება და ვითარდება [4]. ჯერ კიდევ უძველეს ჩინეთში ჩამოყალიბებული ფილოსოფიური წარმოდგენები დღესაც ძლიერ ზეგავლენას ახდენს ჩინელების დამოკიდებულებაზე ოჯახთან, სამუშაოსთან, ბიზნესთან, სახელმწიფოსთან.

ჩინური საზოგადოება უნივერსალურ წესრიგზეა დამყარებული. ოჯახი მათთვის საბაზო ეკონომიკური ერთეულია. მმართველობით ქმედებები მკაცრი და მიუკერძოებელია. ხელმძღვანელს (ოჯახში, ფირმაში, სახელმწიფოში) არა მხოლოდ ძალაუფლება ეძლევა, არამედ, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობაც.

თანამედროვე ჩინელები განსაკუთრებულ აქცენტს ცოდნაზე აკეთებენ, ზრუნავენ დავალების ხარისხიანად შესრულებისთვის. დასავლეთისგან განსხვავებით, ჩინეთში არსებობს კომპლექსური ცნება - „ცხოვრების მართვა“. იგი ეფუძნება იმ რწმენას, რომ არა მარტო ადამიანთა კოლექტივები, არამედ, ცალკეული ადამიანებიც კი, თავიანთი ცხოვრების და ბედის მმართველები თვითონ არიან.

ჩინელების მენეჯმენტი, მისი პრინციპები და მიდგომები პრინციპულად განსხვავდება დასავ-ლეთის ქვეყნების მენეჯმენტისგან. ჩინური მენეჯმენტი არის კოლექტიური ორიენტაციის, დასავლური კი, ინდივიდუალური ორიენტაციის. თუმცა, ათწლეულების განმავლობაში ჩინეთში ჩამოყალიბდა მენეჯმენტის ჰიბრიდულ-ჩინურ-დასავლური ფორმა. ჩინელები უკვე იყენებენ დასავლური მენეჯმენტის ზოგიერთ მიდგომებს, მაგრამ, ძირითადად ემყარებიან ეროვნულ კონცეფციებს [5].

ევროპა. ცოდნის ევროპულ მენეჯმენტს იაპონურ და ამერიკულ მენეჯმენტებს შორის შუალედური პოზიცია უკავია. თუმცა, ევროპის ქვეყნებს ამ საკითხში სხვადასხვა მიდგომები აქვთ. მაგალითად, გერმანია ორიენტირებულია სტრატეგიული შედეგების მიღწევაზე. ქვეყანაში შექმნილია ე. წ. „ბრძენთა საბჭო“ (მასში ხუთი ექსპერტი შედის). ყოველწლიურად „ბრძენთა საბჭო“ ახალი წლის დადგომამდე გადასცემს ქვეყნის კანცლერს მათ მიერ შესრულებულ ნაშრომს სათაურით: „ექსპერტთა დასკვნა მიმდინარე წელს ქვეყნის მეურნეობის განვითარების შესახებ“. მასში მოცემულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შესაძლო გზების ობიექტური ანალიზი, შემოთავაზებულია ღონისძიებები და დასაბუთებულია შედეგები. ეს ნაშრომი არის გამორჩეულად მაღალი რანგის ხუთი ეკონომისტის ცოდნის შედეგი. იგვე ხდება კომპანიაშიც.

ცოდნის მართვის გერმანიის პრაქტიკა გავრცელდა დანიაში, ავსტრიაში, შვედეთში და სხვაგან [6].

ევროპაში გამორჩეული ადგილი დიდ ბრიტანეთს უკავია. იგი მაღალტექნოლოგიური პროდუქციის მწარმოებელია (ექსპორტში 26%) [7]. ასეთ ტექნოლოგიების შექმნას კი, ახალ-ახალი ცოდნა და მისი გონივრული მართვა სჭირდება. დიდი ბრიტანეთი, ძირითადად, ინტელექტუალურ პროდუქტებს აწარმოებს, რომელთაც იგი ცვლის მატერიალური წარმოების პროდუქტებზე, რადგან მას ბუნებრივი რესურსები მცირე აქვს.

დასკვნა

წინამდებარე სტატიაში მიმოხულული ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემაჯამებელი დასკვნა ზოგადად მენეჯმენტის და მათ შორის ცოდნის მენეჯმენტის შესახებ. იგი იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკა-ევროპის ქვეყნები უპირატესობას აძლევენ ინდივიდუალიზმს, აზიის ქვეყნები კი - კოლექტიურობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯოლია გ. კრეატიული განვითარება: განათლება, ცოდნა, ქმედება, მონოგრაფია. თბ., 2016.
2. ქოქიაური ლ. ინტელექტუალური კაპიტალი. თბ., „სტუ“. 2011.
3. The and Science of Business Intelligence Analusis. Ct. JAI Press Inc. 2016.

4. Котляров Н. П. Архетипические алгоритмы управления «по-китаиски». ж. «МЭ и МО». №4. 2008. ვ3. 98.
5. Chen C. C., Lee Y. N. Leadership and Management in China. Cambridge: “Cambridge University Press”. 2008.
6. Кнорринг И/ Теория, политика и искуство управления. М., 2001. ვ3. 346.
7. Зиненко И. Измерения знании. 2003. http://www.smart-edu.com

Knowledge Management Practices in Foreign Countries

Kereselidze Shalva
Associated professor of Georgian Technical University

Kereselidze Levan
Asistent- professor of Georgian Technical University

Kereselidze Davit
Doctor of Business Administration

Summary

The article **- "Knowledge Management Practices in Foreign Countries"** - reveals the essence of knowledge, its difference from information, lists the sources of knowledge and more.

The article presents the views of different scientists on knowledge and also states two different positions. the authors of the article support the second position, which recognizes knowledge as an economic asset of human beings.

Knowledge management is a relatively new term and its origin is in private sector organizations, it is a concept for which there is no universal definition, its main feature is based on doing a good job, the knowledge of employees in the organization is the most important and valuable capital. The strength and success of the company is directly related to human knowledge, the correct acquisition and management of knowledge allows the company to gain a superior position in any field. Knowledge is a fundamental resource that helps a person make the right decision. Organizational knowledge is an intangible asset that plays an important role in the development process of an organization.

In today's globalization, organizations are actively working for rapid development in order to gain advantages in the face of high competition. Knowledge management allows organizations to achieve maximum results in a minimum amount of time, with minimal costs. In the conditions of rapid development of technologies, it is necessary to give priority to human resources, human knowledge and proper management of this knowledge.

The article presents the practice of knowledge management in Japan, China, America and Europe and draws a conclusion about the Japanese-Chinese collectivity, American-individuality and mixed (hybrid) approaches of Europe.

Keywords: knowledge management; Japanese knowledge management; American Knowledge Management; Chinese knowledge management; European knowledge management.

რეგიონის აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიისთვის

კოღუაშვილი პაატა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მაისურაძე ინა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში აღნიშნულია, რომ ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში იზრდება ტერიტორიული ფაქტორების როლი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში, რაც გამოწვეულია ქვეყნის რეგიონული განვითარების დისბალანსით, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება თანამედროვე პირობებში.

ავტორები აღნიშნავენ, რომ პრაქტიკული გამოცდილების შესაბამისად, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შედეგად, სოფლის მეურნეობის სფეროში საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც კი შესაძლებელია მიღწეული იქნეს კონკურენციის დონის შენარჩუნება და გაზრდა, საკუთრებისა და არჩევანის თავისუფლების ეფექტიანი დაცვა. ყველა განვითარებულ ქვეყანაში, სახელმწიფო სხვადასხვა ეკონომიკური და ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით ახორციელებს სოფლის მეურნეობის მუდმივ და სტაბილურ მხარდაჭერას უფრო მონოპოლიზებული სამრეწველო სექტორიდან შემოსავლების გადანაწილებით.

გარდა ამისა, ავტორთა მიერ შესწავლილი განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეკონომიკის აღორძინება წარმატებული გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაეფუძნება განვითარებული, მაღალტექნოლოგიური სოფლის მეურნეობის სექტორს, რომლის როლი არა მხოლოდ ეროვნული მეურნეობისთვის სახსრების მოპოვებაში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ გახდეს ერთგვარი მულტიპლიკატორი, რომელიც ხელს შეუწყობს მთლიანად ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ჩატარებული გამოკვლევის შეჯამების სახით, ავტორები ასკვნიან, რომ საქართველოს რეგიონებში აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება. გარდა ამისა, რეგიონებში აგროსასურსათო სექტორის ეფექტიანი განვითარების აუცილებლობა წარმოადგენს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ელემენტს, რომლის შედეგად მიღწეული იქნება ქვეყნის ეკონომიკური, სასურსათო და ეროვნული უსაფრთხოება (უშიშროება).

მიმდინარე ეტაპზე სოფლის მეურნეობის სექტორის ფუნქციონირება, სასურსათო ბაზრებზე წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მოთხოვნები საჭიროებს აგროსასურსათო სექტორის გარდაქმნას მაღალტექნოლოგიურ დარგად და ახალი, ეფექტიანი მიმართულებების ჩამოყალიბებას.

საკვანძო სიტყვები: აგრარული სფერო, რეგიონი, რეგიონული ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში და მის ყველა რეგიონში ამჟამად ერთერთ პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს აგრარული სექტორის ყოვლისმომცველი სისტემური კრიზისიდან გამოყვანა და მისი განვითარების უზრუნველყოფა, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის ცხოვრების დონეს. იგი წარმოადგენს ძირითად რგოლს ბოლო დროს გამწვავებული და მოსაგვარებელი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

რეგიონის აგრარული სფეროს ეფექტიანი განვითარების აუცილებლობა, როგორც მისი ეკონომიკური საქმიანობის სისტემა-შემქმნელი ფაქტორი, ეკონომიკური პროცესების რეგიონალიზაციის მიმდინარე პირობებში, წარმოადგენს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ელემენტს, ხოლო შიდა აგროსასურსათო სექტორის ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის

გაზრდა ხდება სურსათით უზრუნველყოფის წინაპირობა, რომლის შედეგად მიღწეულ იქნება ქვეყნის ეკონომიკური, სასურსათი და ეროვნული უსაფრთხოება (უშიშროება).

შედეგები და მათი განსჯა. თანამედროვე პირობებში სოფლის მეურნეობის სექტორის ფუნქციონირება, სასურსათო ბაზრებზე წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მზარდი მოთხოვნები და ქართული ეკონომიკის მსოფლიო სივრცეში ინტეგრაცია მოითხოვს სოფლის მეურნეობის სექტორის გარდაქმნის ახალ, უფრო ეფექტიან მიმართულებებს.

საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესები გავლენას ახდენს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლების აუცილებლობაზე, მისი შიდა რეზერვების ეფექტიანად გამოყენებისა და კონკრეტული ეკონომიკური სისტემის ფარგლებში საქმიანობის სრულყოფით. კერძოდ, ეს უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობის სექტორში საქმიანობის გაუმჯობესებით და გრძელვადიან პერიოდში შესაბამისი პირობების ჩამოყალიბებით.

საქართველოში და შესაბამისად მის ყველა რეგიონში ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა ქვეყნის აგრარული სექტორის კრიზისიდან გამოყვანა და მისი განვითარების უზრუნველყოფა. იგი განსაზღვრავს მოსახლეობის ცხოვრების დონეს და წარმოადგენს ძირითად რგოლს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

აგრარული სექტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რეგიონებში, რომლებიც წარმოადგენენ სასურსათო პროდუქტების სტრატეგიულ მიმწოდებლებს, როგორც შიდა, ასევე მსოფლიო სასურსათო ბაზრებზე.

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის შემუშავებული სტრატეგიების ძირითად შინაარსს, რომელიც უზრუნველყოფს სასურსათო და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ უშიშროებას (უსაფრთხოებას), წარმოადგენს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპების განხორციელება და რეგიონის სოფლის მეურნეობის სფეროში ღრმა სტრუქტურული გარდაქმნების და კონკურენტუნარიანი საწარმოების კომპლექსის შექმნა, რომლებიც ყველაზე ეფექტიანად იყენებენ ხელსაყრელ ფაქტორებს და მდგრადი ეკონომიკური განვითარების წინაპირობებს. რეგიონის აგრარულმა სექტორმა უნდა უზრუნველყოს:

1. სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება;
2. მაღალტექნოლოგიური სოფლის მეურნეობისა და სასურსათო წარმოების განვითარება;
3. გარემოსდაცვითი (ნიადაგდაცვითი) ღონისძიებების განხორციელება.

სოფლის მეურნეობა მჭიდრო კავშირშია კაცობრიობის პროდუქტიული ძალების განვითარებასთან და საწარმოო ურთიერთობებთან, მისი ევოლუციური განვითარების მთელ ისტორიულ გზაზე.

სხვადასხვა თეორიული შეხედულებებისა და კონცეპტუალური პრინციპების კრიტიკულმა ანალიზმა სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარების ბუნებისა და ევოლუციის შესახებ, საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა რეგიონის სოფლის მეურნეობის სფეროს ცნება, რომელიც ეკონომიკური ტრანსფორმაციის თანამედროვე პირობებში უნდა ჩაითვალოს ტერიტორიულ ფორმაციად, რომელიც წარმოადგენს ერთიან ბუნებრივ-გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელშიც ხდება დაბალანსებული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის რეპროდუცირება (წარმოება, განაწილება, მიმოქცევა, მოხმარება) მისთვის დამახასიათებელი სპეციალიზაციით, რეგიონებს შორის შრომის გადანაწილებით, ინფრასტრუქტურის განვითარებით და გარემომცველი გარემოს დაცვით, მოსახლეობის რეპროდუქციისთვის ნორმალური წინაპირობების შესაქმნელად (იხ.ნახ. 1).

აგრარული სფერო, როგორც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ფუნდამენტური რგოლი და სახელმწიფოს აგრარული და რეგიონული სოფლის მეურნეობის პოლიტიკის განხორციელების ობიექტი, არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებით და უნდა მოიცვას რეგიონული, რეგიონთაშორისი და საერთაშორისო ტრანსფორმაციის ვექტორების მთელი სპექტრი, მისი განვითარების პერსპექტიული მიმართულებების შემუშავების მიზნით.

საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკის შესწავლით დადგინდა, რომ სახელმწიფოს, როგორც ძირითადი რეგულატორის გავლენით, სოფლის მეურნეობის სფეროში შესაძლებელია კონკურენციის დონის არა მარტო შენარჩუნება და გაზრდა, არამედ საკუთრებისა და არჩევანის თავისუფლების უფლებების დაცვაც.



ნახაზი 1. რეგიონის აგრარული სფერო

ჩვენი აზრით, რეგიონებისა და მთლიანად ქვეყნის მდგრადი განვითარება შესაძლებელია სოფლის მეურნეობის სექტორის ფუნქციონირებისათვის შემდეგი პირობების შექმნით:

- სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- სარესურსო ბაზების დაცვა: მიწის და წყლის რესურსები, მინერალური სასუქების მარაგები, მათი წარმოებისთვის საჭირო რესურსები;
- სოფლის მეურნეობის სფეროს ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ქვეყანა, რომელიც არ ასტიმულირებს საკუთარი სოფლის მეურნეობის განვითარებას და არ აწარმოებს საკმარისი რაოდენობის სურსათს, ხდება სხვა სახელმწიფოების კონიუნქტურაზე დამოკიდე-ბული. სოფლის მეურნეობა არეგულირებს ოპტიმალურ დონეზე ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, მის წონასწორობას და, ამავე დროს, უზრუნველყოფს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებას, რომელიც წარმოადგენს მისი ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელ ნაწილს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნიკურმა დეგრადაციამ, ძირითადი ფონდების უმეტესი ნაწილის დაკარგვამ, სოფლის მეურნეობის საწარმოების მძიმე ფინანსურმა მდგომარეობამ, რომლის დროსაც ნახევარზე მეტი მათგანი გახდა წამგებიანი, ფაქტობრივად გამოიწვია აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანობის და საქართველოს სასურსათო დამოუკიდებლობის დაკარგვა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დეკონცენტრაციამ და ნატურალიზაციამ, რომელიც ნეოლიბერა-ლური რეფორმების დროს მოხდა, განაპირობა ის ფაქტი, რომ სოფლებში დამკვიდრდა დაბალპრო-დუქტიული (10%-ზე ნაკლები), ნატურალურ-პატრიარქალური წარმოების წესი.

ამჟამად საქართველო, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ბუნებრივი პოტენციალი, დამოკიდე-ბულია ისეთი პროდუქტების იმპორტზე, როგორიცაა ხორცი, შაქარი, სასურსათო დანიშნულების მარცვლეული, ნაწილობრივ რძის პროდუქტები და მცენარეული ზეთი.

დაწყებული გარდაქმნების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის, შესაბამისად, მათი შესატყვისი მექანიზმების და აგრარულ სფეროში შემდგომი გარდაქმნების ლოგიკის არარსებობა, ქვეყნის აგროკომპლექსის რეგულირებაში სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობა, იწვევს საქართველოს აგრარული სფეროს მთლიან ნგრევას. ეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, საჭიროა სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი და დაცული ინსტიტუტების შექმნა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს წარმოების ფაქტორების ბაზრის წარმოქმნას, ეფექტიან ფუნქციონირებას და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას.

გაჭიანურებული კრიზისიდან გამოსვლის აუცილებლობა იწვევს ქვეყანაში აგრარული რეფორმის განხორციელების აუცილებლობას, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს საქართველოში სოფლის მეურნეობის სფეროში დაგროვილ გამოცდილებას, ასევე ამ სექტორის განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ხელშეწყობისა და რეგულირების საუკეთესო პრაქტიკას.

რეფორმის შედეგების და განვითარების კონცეფციის სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი მომენტების შეფასება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფება. ამჟამად, საქართველოს წინაშე დგას ამოცანა: განისაზღვროს აგრარული და სამრეწველო პოლიტიკების შინაარსი, რათა უზრუნველეყოს მათი განხორციელება და ქვეყნის ეკონომიკური და სასურსათო უსაფრთხოება.

გლობალური კონკურენციის პირობებში აუცილებელია ქართული სოფლის მეურნეობის დაცვის მიზნობრივი სტრატეგიის შემუშავება, კერძოდ:

- აგროსასურსათო სექტორში თანამედროვე ინდუსტრიული ბაზის აღდგენა და შექმნა;
- ქვეყნის რეგიონებში სოფლის მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირების მართვის ოპტიმალური პირობების განსაზღვრა;
- აგრარული ბაზრების და მათი რეგულირების ეფექტიანი სისტემების განვითარება;
- რეგიონების სოფლის მეურნეობის სექტორისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის გაზრდა და სასურსათო ბაზრების რეგულირება;
- სოფლის მეურნეობაში ფასების დისპარიტეტის გამოთანაბრება;
- აგროსასურსათო წარმოებაში რესურსული პოტენციალის რაციონალური გამოყენების გზების განსაზღვრა და აუცილებელი მოქმედებები როგორც დარგში, ასევე წარმოების ტერიტორიულ სტრუქტურაში;
- მიწათსარგებლობის რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობის სექტორში;
- საკანონმდებლო უზრუნველყოფა და ორგანიზაციული პირობების შექმნა ვერტიკალური და ჰორიზონტალური საწარმოო კოოპერაციისათვის;
- სურსათის იმპორტის რაციონალიზაცია და ამის საფუძველზე აგროსასურსათო სექტორის ეფექტიანობის ამაღლება;
- ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ადეკვატური დონის უზრუნველყოფა;
- აგროსასურსათო სექტორის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
- საქართველოს სასურსათო ბაზრის გამოსვლა მსხვილი საერთაშორისო სასურსათო კორპორაციების გავლენის სფეროდან;
- შიდა ბაზრის დასაცავად ღონისძიებების სისტემის შემუშავება და საგარეო ბაზრებზე შესვლის ზომების გატარება;
- საცხოვრებელი გარემოს ინფრასტრუქტურული მოწყობა და სოფლის გარემოში ღირსეული საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა;
- კვების ხარისხისა და მოხმარების მოცულობის ამაღლება, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე.

ამ ამოცანების გადასაჭრელად, აუცილებელია აგროსასურსათო სექტორის ქვეყნის ძირითად პრიორიტეტულ დარგად აღიარება, სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის სოცკულტურული განვითარების სტრატეგიის და რეგიონებში აგრარული დარგების მიზნობრივი მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

დასკვნა

საქართველოს რეგიონებში აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

რეგიონებში აგროსასურსათო სექტორის ეფექტიანი განვითარების აუცილებლობა წარმოადგენს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ელემენტს, რომლის შედეგად მიღწეული იქნება ქვეყნის ეკონომიკური, სასურსათო და ეროვნული უსაფრთხოება (უშიშროება).

მიმდინარე ეტაპზე სოფლის მეურნეობის სექტორის ფუნქციონირება, სასურსათო ბაზრებზე წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მოთხოვნები საჭიროებს აგროსასურსათო სექტორის გარდაქმნას მაღალტექნოლოგიურ დარგად და ახალი, ეფექტიანი მიმართულებების ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოღუაშვილი პ., კუნჭულია თ. (2010) საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრატეგიისათვის. ჟურნ. „სსმმ მოამბე“. N28.
2. კოღუაშვილი პ., (2011) საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგიისათვის.
3. ქუთაისის უნივერსიტეყი. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული.
4. ჭითანავა ნ., (2012) საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის თავისებურებები და განვითარების პერსპექტივების ახალი სტრატეგიების ფორმირების ლოგიკა. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“ N4 (22).
5. ჭითანავა ნ. (2013) საქართველოს აგრარული მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგია. ჟურნ. “ბიზნესი და კანონმდებლობა“, N1.
6. ხარაიშვილი ე., (2018) სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები საქართველოსა და ისრაელში: ინოვაციური მიდგომები და მოდელები. სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი ,,სტუდენტური კვლევები და პროექტები“, N1-2.
7. Kharaishvili, E., Gechbaia, B., & Mushkudiani, Z. (2019). The trends of producing agro-food products and export innovative marketing strategy in Georgia. Economics. Ecology. Socium, 3(3), 1-10. URL:https://ees-journal.com/index.php/journal/article/view/107

For the development strategy of the agricultural sector in the region

Paata Koguashvili
Professor of Georgian Technical University

Ina Maisuradze
PhD student of Georgian Technical University

Summary

The article notes that in economic transformation, the role of territorial factors in the development of the national economy is increasing, which is caused by the imbalance of regional development of the country, which is especially acute in modern conditions.

The authors point out that because of the state's regulatory role, even in a market economy in agriculture, it is possible to maintain and increase the level of competition, effectively protecting property and freedom of choice. In all developed countries, the state, through various economic and financial instruments, provides permanent and stable support to agriculture by redistributing revenues from the more monopolized industrial sector.

In addition, the experience of developed countries studied by the authors shows that economic revival will be successful only when it is based on a developed, high-tech agricultural sector, whose role is not only to raise funds for the national economy but, above all, to become a kind of multiplier. Which will contribute to the socio-economic development of the regions of the country.

Summarizing the research, the authors conclude that implementing the agrarian sector development strategy in the regions of Georgia should ensure economic growth and improve the living standards of the population. In addition, the need for effective development of the agrarian food sector in the regions is an important element of the socio-economic development of the regions, because of which the country's economic, food, and national security (security) will be achieved.

At the current stage, the functioning of the agricultural sector, and the requirements for increasing the quality and competitiveness of products produced in the food markets require the transformation of the agri-food sector into a high-tech sector and the establishment of new, effective directions.

Keywords: agrarian sector, region, regional economy, agriculture, economy.

რა უნდა გაიზიაროს საქართველომ საჯარო-კერძო პარტნიორობის ევროპული გამოცდილებიდან

კოლუაშვილი პაატა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ბაღათურია გეგა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური სისტემები თანამედროვე პერიოდში წარმოადგენენ არა სუფთა საბაზრო, არამედ შერეულ ეკონომიკას. მათში კერძო მეწარმეობა თავსდება სახელმწიფო რეგულირებასთან, მაგრამ ამავდროულად ცალკეულ ქვეყნებში მნიშვნელოვნად განსხვავდება კერძო ბიზნესში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი და ფორმები.

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა (სკპ) არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოცდილი გზა კერძო ბიზნესის სოფლის მეურნეობის სექტორში მოსაზიდად და სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის წარმოების რისკების გასაზიარებლად.

ამჟამად მთელს მსოფლიოში არსებობს ტენდენციები სკპ-ს მექანიზმების გამოყენების გაფართოების შესახებ. სკპ-ს ტექნოლოგიების გამოყენება განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში შესაძლებელს ხდის სახელმწიფოსა და ბიზნესის ინტერესების მრავალფეროვანი სპექტრის განხორციელებას. სოფლის მეურნეობის სფეროში ყველაზე გავრცელებული ფორმაა სხვადასხვა დონის ბიუჯეტებით დაფინანსებული მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და განხორციელება, ასევე კერძო ინვესტიციების მოზიდვა.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის საფუძველზე სოფლის მეურნეობის განვითარების უცხოური გამოცდილება და განვითარების პერსპექტივები საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო, პარტნიორობა, ბიზნესი, მეცნიერება, ტექნოპარკი.

ძირითადი ტექსტი

დღეისათვის სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა (შემდგომში სკპ) ქვეყნების უმრავლესობაში ხდება სულ უფრო მოთხოვნადი მექანიზმი გრძელვადიანი ამოცანების გადასაწყვეტად [7]: სახალხო მეურნეობის სხვა-დასხვა სფეროებში. ასეთი მექანიზმის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ბიუჯეტზე დატვირთვის შემცირება და პროექტის მართვის ნაკლებად ბიუროკრატიული და მეტად მოქნილი სისტემის გამოყენება [8; 9; 10]. ხოლო ბიზნესისათვის - ეს არის პრეფერენციების და გარანტიების მიღება, აგრეთვე სახელმწიფო აქტივების ხანგრძლივი მართვის შესაძლებლობა, ხშირ შემთხვევაში, შეღავათიანი პირობებით. ამასთან, სკპ პროექტები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში ეჯახება სპეციფიკურ სირთულეებს, შესაბამისად მათი სტრატეგიებიც უნდა პასუხობდნენ ეკონომიკის ყოველი სექტორის ინდივიდუალურ თავისებურებებს (3).

სკპ-ს რეალიზებადი პროექტების რაოდენობით ევროპულ ქვეყნებში პირველ ადგილს იკავებს დიდი ბრიტანეთი, შემდეგ მოდიან გერმანია და საფრანგეთი. გაფორმებული კონტრაქტების ღირებულებით მოწინავეა იტა-ლია.

სკპ-ს უფლებრივ რეგულირებაზე დამოკიდებით ყველა ქვეყანა შეიძლება გავყოთ შემდეგ ბლოკებად (2): პირველი აერთიანებს პოლონეთს, გერმანიას, რუმინეთს, უნგრეთს, ჩეხეთს, საბერძნეთს, სამხრეთ კორეას, ბრაზილიას, იაპონიას, ლატვიას, არგენტინას, ყირგიზეთს, მოლდოვას, უკრაინას და საქართველოს, სადაც წარმოდგენილია სპეციალური, სკპ-ს მარეგულირებელი კანონები. მეორე ბლოკი - ეს გახლავთ შემდეგი ქვეყნები: დიდი ბრიტანეთი, იტალია, ბელგია, ჩინეთი, აშშ, ბულგარეთი, სლოვაკეთი, ხორვატია, ლიტვა, ინდოეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და უზბეკეთი, სადაც არის ნორმატიული სამართლებრივი აქტები, რომლებიც აძლიერებენ სკპ-ს ძირითად პრინციპებს, აგრეთვე კანონიერი აქტები, რომელიც ეხება სკპ -ს. მესამე ბლოკი - ეს გახლავთ ფედერაციული სახელმწიფოების რიგი, სადაც მისაღებია მხოლოდ რეგიონალური დონის კანონები სკპ-ს შესახებ. მეოთხე ბლოკი მოიცავს სომხეთს, ავსტრიას, ისრაელს, სირიას, შვედეთს, თურქმენეთს და ესტონეთს. მოცემულ ქვეყნებში არ

არსებობს სკპ -ს შესახებ საკანონმდებლო აქტები.

სახელმწიფოს და ბიზნეს-საზოგადოების ურთიერთქმედების მექანიზმები რიგ ქვეყნებში აქტიურად გამოიყენება, წარმატებულად ფუნქციონირებენ და მუდმივად სრულყოფილდებიან. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ ევროპული ქვეყნები - დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია.

საინტერესოა დიდი ბრიტანეთის გამოცდილება, რადგანაც იგი თავისი არსით იყო ბიზნესის და სახელმწიფოს ასეთი ურთიერთობების ტიპის დამფუძნებელი. ასე, „კერძო ფინანსური ინიციატივის" განვითარების მიზნებით, ჯერ კიდევ 1992 წელს დამკვიდრდა სკპ -ს ფუნქციონირების სხვადასხვა მეთოდი. კერძო სექტორმა შეძლო საკუთარი სახსრებით ობიექტების აშენება, შემდეგში გარკვეული დროის შემდგომ მათი ექსპლუატირება, მოცემული ექსპლუატაციით შემოსავლის მიღებით, ხოლო მისი დანახარჯები შემდგომ კომპენსირდებოდა ან ამ შემოსავლის ხარჯზე, ან საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე [8].

დიდმა ბრიტანეთმა პირველი სერიოზული პროექტი განახორციელა 1981 წელს. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობა მდგომარეობდა ლონ-დონის ნავსადგურების გადაწყობაში. პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ შეიქმნა პროგრამა „კერძო ფინანსური ინიციატივა" (Private Finance Initiative, PFI). მოცემული პროგრამის არსი მდგომარეობდა კერძო სექტორისათვის მშენებლობის (ექსპლუატაციის, რეკონსტრუქციის) დაფინანსების ფუნქციის გადაცემაში. მოცემული საწარმოების ფორმირებისას აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წილი საწესდებო კაპიტალში შეადგენს 50-დან 85% -მდე (9).

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მექანიზმების გამოყენება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის - ობიექტური და აქტუალური პროცესია. სახელმწიფოს და ბიზნესის ერთობლივი მონაწილეობა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსებაში პრინციპულად მნიშვნელოვანია. სოფლის მეურნეობის რეგუ-ლირების ზომების საბოლოო მიზანი, მათ შორის სკპ მექანიზმის საშუალებით, უნდა გახდეს მოცულობით საკმარისი და ხარისხით დამაკმაყოფილებელი სოფლის მეურნეობის პროდუქციის უზრუნველყოფა და სასოფლო-სამეურნეო დარგში სხვადასხვა მომსახურებების გაწევა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობაში შესაბამისი ინსტიტუტების და ინსტრუმენტების განვითარების საფუძველზე თანმიმდევრულად უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის კომპლექსური მექანიზმი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთქმედების ეკონომიკურად და ორგანიზაციულად სტრუქტურირებულ სისტემას, რომელიც მიმართულია ეკონომიკის მოდერნიზაციის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაზე, სამამულო სოფლის მეურნეობის კონკურენტ-უნარიანობის ზრდაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობაში უზარმაზარი კაპიტალი ჩაიდო, პირველ რიგში, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გამო. ასე, კერძოდ, სახელმწიფოს მხარდაჭერა სოფლის მეურნეობის ფერმერებს ევროპულ კავშირში აღწევს 1053 დოლარს ჰექტარზე. პოსტ-საბჭოურ სივრცეში ეს მაჩვენებელი არ აღემატება 25-35 დოლარს ჰექტარზე. ამასთან 2015 წელს სოფლის მეურნეობაზე დანახარჯები, მაგალითად რუსეთში, შეადგენს სულ რაღაც 1-2% ბიუჯეტის ჯამური ხარჯებიდან და 0,23% მშპ -დან (9). სკპ განვითარების შესახებ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გადახედვა ეკონომიკის ინოვაციური განვითარების დაჩქარების მიზნით საშუალებას იძლევა გამომჟღავნდეს ფორმების პერსპექტიული მიმართულებები და მათი რეალიზაციის მექანიზმი სახელმწიფოს, წარმოების და მეცნიერების ინტერესების გათვალისწინებით.

მსოფლიო გამოცდილების ანალიზი ცხადყოფს იმას, რომ სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის შეფარდებითი როლი ინოვაციურ პოლიტიკაში სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა, მაგრამ ვლინდება მისი ზემოქმედების ცხადი ტენდენცია ინოვაციური აქტივობის პროცესის ზრდაზე. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის ეფექტური ინსტრუმენტი, განისაზღვრება, ერთის მხრივ, ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითა-რებით ბიზ-ნესის ინტერესების გათვალისწინებით და ბიზნესის აქტიური ჩართულობით, მეორეს მხრივ, სახელმწიფო საკუთრების და საბიუჯეტო დანახარჯების გამოყენების ეფექტურობის ზრდით,

მათ შორის მიმართულების ინოვაციების მხარდასაჭერად; მესამე, კერძო სექტორის სტიმულირებით სამეწარმეო აქტივობის განვითარებაზე სფეროებში, რომლებსაც გააჩნია ხარისხიანი ეკონომიკური ზრდის უდიდესი პოტენციალი. აღნიშნული მიმართულებები პოულობენ თავის კონკრეტულ ანარეკლს ფედერალური ბიუჯეტის დანახარჯებში, საკანონმდებლო ინიციატივებში და ახალი პროგრამების შემუშავებაში ინოვაციური პარტნიორობის განვითარების სფეროში (5).

მაგალითად, ავსტრალიაში კერძო სამეცნიერო-კვლევითი სექტორის დონის ამაღლების მიზნით და ინოვაციური სისტემის მრავალ სუბიექტს შორის კავშირების გაუმჯობესების მიზნით მთავრობამ შემოიღო რიგი ღონისძიებები, დაწყებული მრეწველობაში ჩატარებული კვლევების მხარდაჭერით (მაგა-ლითად, კონკურენტული გრანტები, საგადასახადო წახალისებები), გაგრძელებული მრავალეროვნული ფირმების წახალისების პროგრამებით სამეცნიერო-კვლევითი ბაზის შემუშავებისათვის (5).

სკპ-ს ჩარჩოებში ინვესტიციების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს ბიუჯეტი ან კერძო ბიზნესის საკუთარი კაპიტალი. ამ დროს სახელმწიფო ინვესტიციებში ძირითადი მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად სხვადასხვა ქვეყანაში ირჩევენ სხვადასხვა მიდგომებს.

უცხოურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ პარტნიორობების სტიმულირებისათვის ინსტიტუციური ცვლილებები განსაკუთრებით აუცილებელია სახელმწიფო კვლევით ორგანიზაციებში, თუმცა, სოფლის მეურნეობაში ინოვაციური სისტემების განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისით საუბარი უნდა მიდიოდეს მთლიანი სისტემის სოციალური კაპი-ტალის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

როგორც აჩვენეს რიიტაპმა (1995 წ.) და Mal (2002 წ.), სოციალური კაპიტალი მოიცავს ინდივი-დუუმების შესაძლებლობას ჯგუფში ჩამოაყალიბონ ნდობის, თანამშრომლობისა და საერთო მიზნების ურთიერთობები. შესაბამისად, იგი მჭიდრო კავშირშია კოოპერაციულ და ინტერაქტიულ ურთიერთო-ბებთან, რომლებიც ფუნდამენტურია ინოვაციური სისტემების ეფექტური ფუნქციონირებისთვის (5).

უცხო ქვეყნების გამოცდილება სკპ-ს განვითარებასთან მიმართებაში აუცილებელია გამოიყენოს საქართველოს მთავრობამ იმ ტიპის პროდუქციის პოპულარიზაციისათვის, მათ შორის წარმოებულის ასკ -ში, რომლისთვისაც ქვეყანაში არსებობს კონკურენტული უპირატესობები (7).

სკპ -ს ყველაზე გავრცელებულ ფორმას აგრარულ სექტორში წარმოადგენს სამიზნე პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, რომელთა დაფინანსების წყაროებს წარმოადგენენ სხვადასხვა დონის ბიუჯეტები, აგრეთვე კერძო ინვესტიციების მოზიდვა. სკპ -ს განვითარებისთვის საქარ-თვე-ლოში აუცილებელია ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესება სკპ-ს სფეროში, სკპ-ს სფე-როში კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, რეგიონალური და მუნიციპალური პროექტების სუბსიდირების მექანიზმების გაუმჯობესება, სკპ პროექტების დაფინანსებისას გარეგიუჯეტული ფონდების როლის გაძლიერება, სკპ-ს პროექტებში მოზიდული დაფინანსების სახელმწიფო გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმების შექმნა.

სკპ სოფლის მეურნეობაში ამჟამად განვითარების საწყის ეტაპზეა, სპეციფიკურ მაღალრისკიან თავისებურებებთან დაკავშირებით დარგისათვის საჭიროა საქართველოს ასკ -ს კონკურენტ-უნარიანობის ზრდის და სოფლის მეურნეობის წარმოებაში ინვესტიციის განხორციელებისას კერძო ბიზნესის და სახელმწიფოს ურთიერთქმედების მიმართულებების მექანიზმების დეტალური ანალიზი. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია მეთოდური და ორგანიზაციული მიდგომების შემუშავება სოფლის მეურნეობაში სკპ მექანიზმის გამოყენებისათვის (1-6).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში შესაბამისი ინსტიტუტების და ინსტრუმენტების განვითარების საფუძველზე თანმიმდევრულად უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის კომპლექსური მექანიზმი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთობების ეკონომიკურად და ორგანიზაციულად სტრუქტურირებულ სისტემას, რომელიც მიმართულია ეკონომიკის მოდერნიზაციის აქტუალური საკითხების გადაწყვეტაზე, სამამულო სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ზრდაზე.

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ჩატარებული კვლევებიდან?

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულია მოსახლეობის 53%, მაგრამ მათი წილი შეადგენს ეროვნული შემოსავლის მხო-ლოდ 8,9%. ამ შეუსაბამობის ძირითადი მიზეზია სოფლის

მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის არარსებობა. შედარებისათვის მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს: წინა წლებში საქართველოში ფუნქციონირებდა 57 საკონსერვო ქარხანა, დღეს კი მხოლოდ 4; ჩაის მრეწველობა წარმოდგენილი იყო 200 ფაბრიკით, ამჟამად ფუნქციონირებს 3-4 მცირე საწარმო; ეთეროვან ზეთებს აწარმოებდა 28 მეურნეობა-ქარხანა, დღეს – არცერთი და ა.შ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს გადამამუშავებელი მრეწველობის რეაბილიტაცია, რაც შექმნის მოთხოვნილებას სოფლის მეურნეობის ნედლეულზე.

სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება შეუძლებელია ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნისა და დანერგვის გარეშე (7).

ქვემოთ ნაჩვენებია სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის სავარაუდო სქემა მეცნიერებას, განათლებასა და ბიზნესს შორის. მეცნიერება თავის თავზე იღებს ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნას, განათლება – განათლების მე-2 და მე-3 საფეხურებზე სწავლებისას ჩართოს სწავლების პროცესში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლები, ბიზ-ნესი ახდენს ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას. სახელმწიფო ამ ურთიერთობებში გამოდის როგორც ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშემწყობი და პროექტის რეალიზაციის მაკონტროლებელი და რეგულატორი მხარე (7).



ნახ. 1. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა მეცნიერებას, განათლებასა და ბიზნესს შორის (შედგენილია ავტორის მიერ)

დასკვნა

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება იმით, რომ სახელმწიფო თანდათანობით ამცირებს თავის პასუხისმგებლობას სამეურნეო საქმიანობის ისეთ მიმართულებაში, როგორიცაა ინოვაციურ სექტორი. იგი ტრადიციულად სახელმწიფოს განკარგვაში იმყოფებოდა. მრავალი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტში არ მოიპოვება სახსრების საჭირო მოცულობები, ზოგჯერ კი კეთილი ნებაც, რათა უზრუნველყოფილ იქნეს უბრალო და, მით უფრო, გაფართოებული საინოვაციო და ინფრასტრუქტურული აღწარმოება. ამ პირობებში გამოიყენება საჯარო-კერძო პარტნიორობის (სკპ) კონცეფცია, რომელიც გულისხმობს მეცნიერების, განათლებისა და წარმოების ინტეგრაციას ტექნოპარკების სახით და წარმოადგენს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების პროგრესულ ფორმას ინოვაციური ტექნიკისა და ტექნოლოგიების წარმოებაში დასანერგად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ბაღათურია, საქართველოს კვების მრეწველობა. საექსპორტო პოტენციალი და მისი ამოქმედების ინოვაციური ტექნოლოგიები. თბილისი, 2018. 140 გვ.;
2. გ. ბაღათურია. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა: დღევანდელი მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2020, №2. გვ. 25-33;
3. გ. ბაღათურია სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის განვითარების პერსპექტივები ინოვაციურ სფეროში. ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2020, №1. გვ. 43-51;
4. გ. ბაღათურია. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის დაფინანსება. ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2020, №2. გვ 33-39;
5. გ. ბაღათურია სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის თეორიული საფუძვლები. ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2020, №1. გვ 36-43;
6. გ. ბაღათურია. სოფლის მეურნეობის განვითარების უცხოური გამოცდილება. ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2021, №3. გვ 45-51;
7. გ. ბაღათურია სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა. რეალიზაციის ფორმები აგროსამრეწველო კომპლექსში. მონოგრაფია. თბილისი, შპს „ბენე“. ციფრული პოლიგრაფიის ოფისი. 131 გვ.
8. პ. კოღუაშვილი, გ. ბაღათურია. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა აგრარულ სფეროში. ჟურ. ეკონომისტი, N3, 2021წ.
9. Иванова З.А. Развитие сельского хозяйства на основе механизма государственно-частного партнёрства. М., Канд. Дисс. 2014.
10. Троцук И. В. Типы сельских территорий и риски муниципальной реформы: возможные сценарии развития сельской России // Крестьяноведение. Теория. История. Современность. Ученые записки. 2012. Вып. 7. М.: Издательский дом «Дело», 2013;

What should be considered for Georgia from European Public Private partnership experience

Paata koguashvili
Professor of Georgian Technical University

Gega Bagaturuia
PhD student of Georgian Technical University

Summary

The economic systems of developed countries in the modern period are not a pure market, but a mixed economy. In them, private enterprise is placed in line with state regulation, but at the same time, the degree and forms of state intervention in private business differ significantly in individual countries. World experience shows that public-private partnership (PPP) is one of the most experienced ways to attract private business to the agricultural sector and share production risks between the state and the investor. There are currently trends around the world in expanding the use of SCP mechanisms. The use of CPS technologies in the practice of developed countries makes it possible to implement a diverse range of state and business interests. The most common form of agriculture is the development and implementation of targeted programs funded by various levels of budgets, as well as attracting private investment. This paper discusses the foreign experience of development of agriculture on the basis of public-private partnership and development prospects in Georgia.

Key Words: Public; Partnership; Techno park; Science; Business

ნარჩენების ეფექტური მართვის მოდელის დანერგვის გამოწვევები საქართველოში

კუტიბაშვილი ბელა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სტატია ეძღვნება საქართველოში ნარჩენების მართვის ეფექტური მოდელის დანერვის შესაძლებლობებს. საერთაშორისო დონეზე საქართველო არის „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებსა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ ბაზელის კონვენციის მხარე. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულმა პოლიტიკურმა ჩარჩომ უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახიფათო და სხვა სახის ნარჩენების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო მართვას. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება არის ბაზელის კონვენციის მხარეთა კონფერენციების დოკუმენტებით რეკომენდებული ერთ-ერთი მექანიზმი, რომელსაც შეუძლია აღნიშნული პროცესის ხელშეწყობა ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის შეგროვებასა და/ან დამუშავებაში მწარმოებლების ჩართვისა და წახალისების საშუალებით.

სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეზე მწარმოებლის გაფართოვებული ვალდებულების მოდელის დანერგვის შესაძლებლობები და გამოწვევები.

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ნარენების სეპარირებული შეგროვება, აღდგენას და რეციკლირების სამართლებრივი რეგულირების დადგენა. მწარმოებლების რესტრის წარმოება და განახლება, გასცეს ლიცენზიები ნარჩენების მართგაში ჩართული ობიექტებისათვის.

საქართველოს პირობებისათვის მისაღებია მესამე მწარმოებლის გაფართოვებული ვალდებულებას (EPR) მოდელი - რომელიც უფრო ეფექტურია ცალკეული სახეობების ნარჩენების მართვაში. ამ მოდელის მართვის პრინციპი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ნარჩენების მართვის ხარჯი შესულია პროექტის ფასში, რომელიც მომხმარებელი იხდის და პასუხისმგებლობა ნარჩნების მართვაში მწარმოებელზე გადადის. სწორედ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებას (EPR) მიზანია პროდუქციის მთლიანი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში პროდუქციის გარემოზე ზემოქმედების ვალდებულების დაკისრება მის მწარმოებელზე.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემას საქართველოში დანერგვა უზრუნველყოფს ცირკულარული ეკონომიკურ მოდელზე საბოლოოდ გადასვლას და ნარჩრენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიური მოდელის დანერგვას, რომელიც საბოლოო ჯამში 2030 წლისათვის ქვეყანას საშუალებას მისცემს ნარჩენების მართვის შესაბამის პარამეტრებზე გასვლას.

ძირითადი ტექსტი

საზოგადოების განვითარება დამოკიდებულია ბუნებისა და მისი რესურსების რაციომალურ გამოყენებაზე. ამიტომ, აუცილებელია თანამედროვე ინდუსტრიული წარმოება ოპტიმალურად შეუთავსდეს წარმოების ეკოლოგიზაციას, რაც გულისხმობს ბუნების დაცვას, მისი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და გაუმჯობესებულ კვლავწარმოებას. ამ მიზნით, კვლავწარმოების პროცესი მოითხოვს ინდუსტრიის ნარჩენების ეფექტური მართვის მოდელის დანერგვას, რათა არ დაირღვეს ეკოლოგიური სისტემის ნორმალური ფუნქციონირება, არ დაეკარგოს მას თვითაღდგენის უნარი, რადგან ეს უკანასკნელი საზოგადოების ნორმალური არსებობის, განვითარებისა და ფუნქციონირების აუცილებელი ბუნებრივი პირობაა.

„ნარჩენების მართვის კოდექსის“ (2014) მიზანს წარმოადგენს ეროვნულ დონეზე ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება. საქართველოს მთავრობამ ნარჩენების მართვის სფეროში შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნების შესასრულებლად, დაამტკიცა „ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია“ (2016-2030). ეროვნულ დონეზე მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) სისტემის დანერგვა „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მოთხოვნაა, რომლის თანახმადაც აღნიშნული მექანიზმი ქვეყანაში ამოქმედდა 2019 დეკემბრიდან.. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების

დანერგვის უზრუნველსაყოფად, ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები და კონკრეტული ქმედებები შემდეგი სახის ნარჩენების მართვისათვის.

საკვანძო სიტყვები: ნარჩენების მართვა, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება, ნარჩენ-ების შეგროვება, ნარცენების გადამუშავება.

ძირითადი ტექსტი

საქართველო არის „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებისა და მის განვითარებაზე კონტროლის შესახებ“ ბაზელის კონვენციის მხარე, გამომდინარე აქედან საქართველომ უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა სახის ნარჩენების გარემოსდაცვის თვალსაზრისით უსაფრთხო მართვა. ბაზელის კონვენციით ნარჩენების მართვის ერთ–ერთი რეკომენდირებული მექანიზმია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების უზრვუნველყოფა, რომლის მიზანიც წარმოადგენს ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის შეგროვება, დამუშავება მწარმოებლის აქტიური ჩართულობით. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება ასევე აღიარებულია ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითაების ორგანიზაციის (OECD) მიერ.

ბაზელის კონვენციის და OECD–ის რეკომენდაციებით გათვალისწინებით საქართველოს აქვს ვალდებულება დანერგოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება, როგორც შერჩეული სახეობის ნარჩენების მართვის ეფექტიანი საშუალება.

მწარმოებლის გაფარსოებული ვალდებულება (EPR) არის საშუალება რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების მართვას და მიზნად ისახავს პროდუქციის ხმარებიდან ამოღებას შემდეგ მასალების დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებას. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემა აღიარებს შემდეგ დაინტერესებულ მხარეებს: მწარმოებლები და იმპორტირება, დისტრიბუტორები, ნარჩენების მართვაში ჩართული ორგანოები (შემროვებლები, გადამამუშავებლები, მუნიციპალი-ტეტების ორგანოები, გარემოსდაცვითი ზედამხედველების უწყებები და ა.შ.

განვითარებად ქვეყნებში მათ შორის საქართველოშიც მწარმოებლის გაფართოებული ვალდებე-ლება (EPR) სისტემის დანერგვამ შეუძლია ხელი შეუწყოს ნარჩენების მართვის სექტორში კერძო ინვესტირების მოზიდვას. საქართველოში მწარმოებლს გაფართოებული ვალდებულების (EPR) დანერგვა საშუალებას მოგვცემს შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები, მათ შორის ასეთი სამუშაო ადგილები, სადაც შესაძლებელია დავასაქმოთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

ნარჩენების მართვის მოდელში დაფინანსებას შესაძლო მექანიზმებს განეკუთვნება „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპით. აქ შესაძლებელია განვითხილოთ რამდენიმე მოდელი, კერძოდ:

პირდაპირი გადახდა – ამ მოდელის დროს გამოიყენება კერძო სექტორში ნარჩენების მწარმოებელი ობიექტები, მომსახურების კომპანიები და სხვა. ნარჩენების გადატანის და განთავსების საფასურს უხდის ნარჩნების მართვაში ჩართული კომპანიებს. ეს მოდელი მარტივად ასამოქმედებელი და მონიტორინგის თვალსაზრისითაც ავდილად გასახორიციელებელია.

მეორე გადახდა სახელმწიფო ქონების (სახელმწიფო მუნიციპალიტეტი) საშუალებით. - ეს მოდელი წარმოებით გამოიყენება მუნიციპალური ნარჩენებს დასაფინანსბლად მოსახლეობა იხდის დასუფთავების გადასახადს სახელმწიფოს ბიუჯეტში და სახელმწიფო ან მუნიციპალური ორგანოები უზრუნველყოფენ საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვას.

მესამე მწარმოებლის გაფართოვებული ვალდებულებას (EPR) მოდელი - რომელიც უფრო ეფექტურია ცალკეული სახეობების ნარჩენების მართვაში. ამ მოდელის მართვის პრინციპი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ნარჩენების მართვის ხარჯი შესულია პროექტის ფასში, რომელიც მომხმარებელი იხდის და პასუხისმგებლობა ნარჩნების მართვაში მწარმოებელზე გადადის. სწორედ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებას (EPR) მიზანია პროდუქციის მთლიანი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში პროდუქციის გარემოზე ზემოქმედების ვალდებულების დაკისრება მის მწარმოებელზე.

საქართველოში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებას (EPR) სისტემის დანერგვისათვის აუცილებელია ცენტრალური რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების აქტიური თანამშრომლობა თითეული უწყების როლი და პასუხისმგებლობები კონკრეტულად უნდა იქნეს

გამოკვეთილი.

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, აღდგენას და რეციკლირების სამართლებრივი რეგულირების დადგენა. მწარმოებლების რესტრის წარმოება და განახლება, გასცეს ლიცენზიები ნარჩენების მართგაში ჩართული ობიექტებისათვის.

გარემოზე ზედამხედველობის სააგენტო ვალდებულია შეამოწმოს მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციები და ნარჩენების მარაგში ჩართული კომპანიები და მიიღოს შესაბამისი ეკონომიკური და ადმინისტრაციული სანქციები. შესაბმისად სხვა მონიტორინგის სამსახურები (საგადასახადო, საბაჟო და ა.შ.) უნდა აკონტროლებდნენ უზრუნველყოფენ თუ არა დისტრიბუტორები მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას (EPR), მწარმოებლის (იმპორტიორის) გაფართოებულ ვალდებულებას (EPR) პროდუქციასთან დაკავშირებით. მათ შორის ბაზარზე გასული პროდუქციის რაოდენობას.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებას (EPR) შესრულების მიზნით მწარმოებლები ვალდებულნი არიან შესაბამისი ორგანოებს მიაწოდონ ინფორმაცია მათ მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის რაოდენობის შესახებ. ამასთან ერთად პროდუქციის შესაბამისი ეტიკეტებით მომხმარებელს მიაწოდონ ინფორმაცია როგორ და სად უნდა განათავსონ ნარჩენები.

საქართველოსთვის მეტად საინტერესოა საფრანგეთის გამოცდილება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) ტანსაცმელზე, თეთრეულზე და ფეხსაცმელზე. 2008 წელს საფრანგეთში ნარჩნების მდგრადი მართვის სფეროში ევროპის გარმოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად ჩამოყბალიბდა მწარმოებლის გაფართეობული ვალდებულება (EPR) სქემა ტანსაცმლის, თეთრეულის და ფეხსაცმლის მწარმოებლებისათვის, დისტრიბუტორებისა და იმპორტიორებისათვის. აღნიშნული რეგულაციის მიზანია აიძულოს ბიზნესი, რომ ბაზარზე მათი განვითარებასთან ერთად იზრუნოს მათი ხმარებიდან ამოღებაზეც. ამ დარგში აკრედიტებულ კომპანია Eco TLC-ს მწარმოებლები მომსახურებისათვის ყოველწლიურად უხდიან გადასახადს.

Eco TLC-ის შეგროვილი თანხებს იყენებს ნარჩენების რეციკლირების ახალი მეთოდების ასათვისებლად. მწარმოებლების მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის რაოდენობისა და ზომის მიხედვით ტანსაცმელსა და საოჯახო თეთრეულის ერთ ერთეულზე (დღგ–ს ჩაუთვლელად) გმომდინარე ზომიდან შეადგენს 0,00132–დან 0,0588 ევროს. ასეთი განაკვეთები მოქმედებს ფეხსაცვლის დროსაც. [1]

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) სისტემის დაფინანსებას საფუძვლად უდევს პრინციპი „დამბინძურებელი იხდის“. ნარჩენების წარმომქმნელის პირდაპირ პასუხისმგებლობას დროს ფინანსური სქემა ასე გამოიყურება (იხ. სქემა 12)



სქემა 12. ნარჩენების წარმომქმნელის პასუხისმგებლობის სისტემაში ფინანსური ნაკადების სქემა

წყარო: სქემა შედგენილია ავტორის მიერ

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემას საქართველოში დანერგვა უზრუნველყოფს ცირკულარული ეკონომიკურ მოდელზე საბოლოოდ გადასვლას და ნარჩრენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიური მოდელის დანერგვას, რომელიც საბოლოო ჯამში 2030 წლისათვის ქვეყანას საშუალებას მისცემს ნარჩენების მართვის შესაბამის პარამეტრებზე გასვლისა. ამ მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია ცენტრალური დ ადგილობრივი დონეზე მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) სისტემის დანერგვა და სტრუქტურული ერთეულების ფორმირება. ამასთან ერთად შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს საქართველოს „ნარჩენების მართვის კოდექსში“. დაიხვეწოს ამ კოდექსში გარკვეული მუხლების მოქმედების სპეციფიკა და

[1] Eco TLC-ს Mettrurs en Marche'. წყარო: http://www.ecotec.fr/page-297-information-in-english.html

კანონქვემდებარე აქტები.

ცირკულარული ეკონომიკურ მოდელზე გადასვლა საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ქვეყნის მიერ მდგრადი განვითარების 17 მიზნის მიხედვით 2030 წლისათვის დასახული პარამეტრების მიღწევას და ქვეყანაში საზოგადოების ცხოვრების დონის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და გაეროს ქარტიის ფუნდამენტურ პრინციპის „არავინ დარჩეს განვითარების პროცესის მიღმა“ მოთხოვნების დანერგვას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს „ნარჩენების მართვის კოდექსი“ თბ. 2014
2. ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია 2016-2030 თბ. 2015
3. 2019 წლის 19 მაისის დირექტივა 2010/30/EU ეტიკეტირების და პროდუქციის შესახებ სტანდარტული ინფორმაციის საშუალებით ენერგიის მომხმარებელ პროდუქციაზე ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარების მითითების შესახებ.
4. ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებსა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“, მუხლი 4
5. ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებსა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“
6. Eco TLC-ს Mettrurs en Marche'. წყარო: http://www.ecotec.fr/page-297-information-in-english.html

Challenges of Introducing an Effective Waste Management Model in Georgia

Bella Kutibashvili
PhD studentof Georgian Technical University

Summary

The presented article is dedicated to the possibilities of introducing an effective model of waste management in Georgia. At the international level, Georgia is a party to the Basel Convention on the Control of Transboundary Movements of Hazardous Wastes and their Disposal. Therefore, Georgia's national policy framework should create conditions that ensure the safe management of hazardous and other wastes from an environmental point of view. Extended Manufacturer Commitment is one of the mechanisms recommended by the Basel Convention Documents, which can facilitate this process by involving and encouraging manufacturers to collect and / or process decommissioned products.

The article analyzes the opportunities and challenges of introducing a model of extended producer liability in Georgia at the state and municipal level.

The Ministry of Environment and Agriculture should ensure the separation of waste collection, recovery and legal regulation of recycling. Produce and update a register of manufacturers, issue licenses to facilities involved in waste management.

The third-party Extended Commitment (EPR) model - which is more efficient in the management of certain types of waste - is acceptable for Georgian conditions. The management principle of this model is based on the fact that the cost of waste management is included in the project price that the user pays and the responsibility for waste management passes to the producer. It is the Extended Commitment of the Manufacturer (EPR) that aims to impose on the manufacturer the obligation to impact the product over the entire life cycle of the product.

The introduction of the Extended Manufacturer Commitment (EPR) system in Georgia will ensure the final transition to a circular economic model and the introduction of a modern technological model of waste management, which will finally allow the country to meet the relevant waste management parameters by 2030.

ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება და კომპანიის ეკონომიკური ეფექტიანობა

ლაზვიაშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ლაზვიაშვილი ოთარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

აბსტრაქტი

ნებისმიერი სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სახის საქმიანობა ტრადიციულად დაკავშირებულია პროექტის შესრულებასთან. ბოლო პერიოდში პროექტის ცნება ფართოდ გავრცელდა მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებზე, როგორიცაა: ხელოვნება, ჯანდაცვა, განათლების სისტემა და სხვა. ინოვაციური პროექტის ცნება განიხილება სამ ასპექტში: ინოვაციური საქმიანობის მიზნობრივი მართვის ფორმა, ინოვაციების განხორციელების პროცესი და მიზნის მისაღწევად შემუშავებული დოკუმენტების კომპლექტი. როგორც მიზნობრივი მართვის ფორმა, ინოვაციური პროექტი წარმოადგენს რესურსებით, ვადებით, შემსრულებლებით ურთიერთგანპირობებულ და ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებათა რთულ სისტემას, რომელიც ემსახურება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებში კონკრეტული მიზნის მიღწევას.

ინოვაციური საქმიანობა, უფრო მეტი მოცულობით, ვიდრე სამეწარმეო საქმიანობის სხვა სფეროები, დაკავშირებულია რისკთან, ვინაიდან პრაქტიკულად არ არსებობს სრული გარანტია ინოვაციური მეწარმეობის წარმატებული შედეგის მისაღწევად. პროექტებზე გადაწყვეტილების მიღების სირთულეები გამოწვეულია, პირველ რიგში, გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ხარისხით, თუ რა პირობებში განხორციელდება პროექტი და, მეორეც, ალტერნატიული პროექტის ვარიანტების შედარებითი შეფასების შესაძლო შეუსაბამობა. პროექტის სამომავლო პირობების გაურკვევლობა იწვევს ინვესტორის რისკის გაჩენას და მისი შემცირების ზომების მიღების აუცილებლობას. პროექტების შედარებითი შეფასების შეუსაბამობა სხვადასხვა კრიტერიუმის შესაბამისად, საჭიროებს შედარებული პროექტების დამატებით ანალიზს ერთ-ერთი მათგანის საბოლოო შერჩევისთვის.

ინოვაციური საქმიანობა მაღალი რისკით ხასიათდება. ინოვაციურ საქმიანობას, როგორც რისკის კვლევის (შეფასების) ობიექტს, აქვს მრავალი მახასიათებელი. მთავარი განპირობებულია განხორციელების შედეგების მნიშვნელოვანი დაშორებით, რაც მათ შეფასებას უკიდურესად ართულებს. ამიტომ, ინოვაციური საქმიანობის გაანალიზებისას, უფრო გონივრულია რთული მოდელების აშენებიდან გადასვლა რისკის ფაქტორების დეტალურ ძიებასა და აღწერაზე და თითოეული მათგანის შემცირებისა და მართვის ძირითადი მიმართულებების შემუშავებაზე.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ინოვაციური პროცესები, ინოვაციური პროექტი, სტიმულირება, კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკური ეფექტიანობა.

ძირითადი ტექსტი

ინოვაციების განხორციელება, როგორც პროცესი, არის ერთობლიობა განსაზღვრული თანმიმდევრობით შესასრულებელი სამეცნიერო, ტექნოლოგიური, საწარმოო, ორგანიზაციული, ფინანსური და კომერციული ღონისძიებებისა, რომლებსაც მივყავართ ინოვაციებამდე. ამასთანავე, ინოვაციური პროექტი არის კომპლექტი ტექნიკური, ორგანიზაციულ-დაგეგმვითი და საანგარიშო-საფინანსო დოკუმენტაციისა, რომელიც აუცილებელია პროექტის მიზნების რეალიზაციისათვის.

ინოვაციური პროექტის ძირითადი ელემენტებია:

- მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება, რომელმაც უნდა ასახოს პროექტის ძირითადი დანიშნულება;
- ინოვაციური პრობლემების გადაწყვეტისა და დასმული ამოცანების რეალიზაციის საპროექტო ღონისძიებების კომპლექსი;
- საპროექტო ღონისძიებების შესრულების ორგანიზაცია, ანუ მათი დაკავშირება რესურ-

სებთან და შემსრულებლებთან პროექტის მიზნის მისაღწევად განსაზღვრულ პერიოდში;

- პროექტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ პროექტის ეფექტიანობას, ინოვაციურობას. პროექტის მნიშვნელობის დონე განსაზღვრავს ინოვაციური პროცესების მიმდინარეობის სირთულეს, ხანგრძლივობას, შემსრულებელთა შემადგენლობას, მასშტაბს, ხასიათს.

გადასაწყვეტი ამოცანების მასშტაბურობის თვალსაზრისით არსებობს ინოვაციური პროექტების შემდეგი სახეები:

- მონოპროექტები - როგორც წესი, სრულდება ერთი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მიერ. გამოირჩევა ინოვაციური მიზნის ერთმნიშვნელოვნად დაყენებით (კონკრეტული პროდუქტის, ტექნოლოგიის შექმნა). ხორციელდება დროისა და ფინანსების მკაცრ ჩარჩოებში, პროექტს ჰყავს კოორდინატორი ან ხელმძღვანელი;
- მულტიპროექტები - წარმოდგენილია კომპლექსური პროგრამების სახით, რომელიც აერთიანებს ათეულობით მონოპროექტს, მიმართულს რთული ინოვაციური მიზნის მიღწევისაკენ, როგორიცაა: სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის შექმნა, მსხვილი ტექნოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ერთი ან რამდენიმე საწარმოს კონვერსიის განხორციელება. ასეთი პროექტების განხორციელება საჭიროებს საკოორდინაციო ქვედანაყოფებს;
- მეგაპროექტები - მრავალმიზნობრივი კომპლექსური პროგრამებია, რომელიც აერთიანებს რამდენიმე მულტიპროექტს და ასობით მონოპროექტს, ერთმანეთთან დაკავშირებულს ერთი „მიზნობრივი ხით". პროექტი საჭიროებს ცენტრალიზებულ დაფინანსებასთან ერთად საკოორდინაციო ცენტრიდან დაფინანსებას. მეგაპროექტების საფუძველზე შეიძ-ლება მიღწეულ იქნეს შემდეგი ინოვაციური მიზნები: დარგის ტექნიკური გადაიარაღება, სამამულო პროდუქტების და ტექნოლოგიების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა და სხვა. მეგაპროექტების ფორმირება და რეალიზაცია მოითხოვს რიგი დარგების, რეგიონების, მსხვილი კორპორაციების, ქვეყნების ჯგუფების ძალთა გაერთიანებას. შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობებისა და ხანგრძლივობის მიხედვით პროექტები შეიძლება იყოს მოკლევადიანი (1-2 წელი), საშუალოვადიანი (5 წლამდე) და გრძელვადიანი (5 წლის ზევით).

პროექტის სტადიებისა და ეტაპების შედგენილობა განისაზღვრება მისი დარგობრივი და ფუნქციონალური კუთვნილების მიხედვით. ინოვაციური პროექტი ძირითადში შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:

- პრობლემის (იდეის) შინაარსი და აქტუალობა;
- „მიზნების ხის" პროექტი, რომელიც აიგება მარკეტინგული კვლევებისა და პრობლემის სტრუქტურირების საფუძველზე;
- „მიზნების ხის" სარეალიზაციო ღონისძიებათა სისტემა; • პროექტის კომპლექსური დასაბუთება;
- პროექტის რეალიზაციის უზრუნველყოფა; • პროექტის საექსპერტო დასკვნა;
- პროექტის რეალიზაციის მექანიზმი და მოტივაციის სისტემა.

სამუშაოს სირთულისა და მოცულობისაგან დამოუკიდებლად ნებისმიერი პროექტის სასიცოცხლო ციკლი გაივლის სხვადასხვა მდგომარეობას, რომელსაც უწოდებენ ფაზებს. ეს ფაზებია: წინასაინვესტიციო და საინვესტიციო. წინასაინვესტიციო ფაზა მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას: 1- წინასაინვესტიციო გამოკვლევები და პროექტის დაგეგმვა; მე- 2 - დოკუმენტაციის შემუშავება და მომზადება სარეალიზაციოდ. პირველი მიმართულება ითვალისწინებს ისეთ სამუშაოებს, როგორიცაა: პროგნოზების შესწავლა, პირველადი ჩანაფიქრის განხორციელებისათვის საჭირო პირობების ანალიზი, პროექტის კონცეფციის შემუშავება, ინვესტიციების წინასაპროექტო დასაბუთება, განთავსების ადგილის შერჩევა და შეთანხმება, ეკოლოგიური დასაბუთება, ექსპერტიზა; მეორე მიმართულება მოიცავს სამუშაოებს: საპროექტო-საძიებო სამუშაოთა გეგმის შემუშავება, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (ტედ) შედგენა; ტედ-ის შეთანხმება, ექსპერტიზა და დამტკიცება; დავალების გაცემა პროექტირებაზე,

საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ინვესტირებაზე. პროექტის საინვესტიციო ფაზა ითვალისწინებს სამუშაოების განხორციელებას სამი მიმართულებით: 1- კონტრაქტების გაფორმება, მე-2 - პროექტის რეალიზაცია და მე-3 - პროექტის დასრულება. პირველი მიმართულება ითვალისწინებს კონტრაქტების გაფორმებას, დანადგარების მიწოდებაზე და სამშენებლო სამუშაოებზე ხელშეკრულებებს, გეგმების შემუშავებას; მეორე მიმართულების სამუშაოებში შედის: პროექტის რეალიზაციის გეგმის შემუშავება, გრაფიკების შედგენა, დაგეგმილი სამუშაოების შესრულება, მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელება, გეგმის პროექტის კორექტირება, შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება. მესამე მიმართულების სამუშაოები ითვალისწინებს გამშვებ-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელებას, ობიექტის გადაცემას ექსპლოატაციაში, რესურსების დემობილიზაციას, შედეგების ანალიზს, ექსპლოატაციასა და პროექტის დასრულება-დახურვას. პროექტის შექმნა და რეალიზაცია მოიცავს შემდეგ ეტაპებს: 1-საინვესტიციო ჩანაფიქრის (იდეის) ფორმირება; 2-საინვესტიციო შესაძლებლობათა გამოკვლევა; 3-პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება (ტედ); 4-საკონტრაქტო დოკუმენტაციის მომზადება; 5-საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება; 6-სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები; 7-ობიექტის ექსპლოატაცია; 8-ეკონომიკური მაჩვენებლების მონიტორინგი.

ინოვაციური პროექტების რეალიზაციისას პრიორიტეტულად უნდა იქნეს მიჩნეული და სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ის პროექტები, რომლებიც ორიენტირებულია საბოლოო სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე. ინოვაციური პროექტების შეფასების ძირითად კრიტერიუმებს მიეკუთვნება: 1.სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები: სოციალური საკითხების გაუმჯობესება: ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტაში წვლილის შეტანა; ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება; შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება; საბაზრო პარამეტრები - პროდუქციის კონკურენტუნარიანობა შიდა და გარე ბაზრებზე; 2.ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა - ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებასა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებაში წვლილის შეტანა; 3.სამეცნიერო-ტექნიკური მახასიათებლები: მსოფლიო დონესთან შესაბამისობა ქვეყნის მეცნიერებისა და მრეწველობის მაღალი მიღწევების უზრუნველყოფაში, სხვადასხვა სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულებების, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის განვითარებაში შეტანილი წვლილი და სხვა. 4.ეკონომიკური მახასიათებლები: პროექტის დანახარჯები, მოსალოდნელი მოგება.

დასკვნა

ინოვაციური პროექტის სრული შეფასება მოიცავს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმისა და პროექტის რეალიზაციის ძირითადი ელემენტების ანალიზს. ექსპერტები ახდენენ ინოვაციური პროექტის სრულ შეფასებას თითოეული პოზიციის მიხედვით და ღებულობენ გადაწყვეტილებას გასაანალიზებელი პროექტის ეფექტიანობაზე

ინოვაციური საქმიანობა მაღალი რისკით ხასიათდება. ინოვაციურ საქმიანობას, როგორც რისკის კვლევის (შეფასების) ობიექტს, აქვს მრავალი მახასიათებელი. მთავარი განპირობებულია განხორციელების შედეგების მნიშვნელოვანი დაშორებით, რაც მათ შეფასებას უკიდურესად ართულებს. ამიტომ, ინოვაციური საქმიანობის გაანალიზებისას, უფრო გონივრულია რთული მოდელების აშენებიდან გადასვლა რისკის ფაქტორების დეტალურ ძიებასა და აღწერაზე და თითოეული მათგანის შემცირებისა და მართვის ძირითადი მიმართულებების შემუშავებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. სამადაშვილი, სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი. სტუ, თბ. 2009;
2. Инновационный менеджмент. Справочное пособие/Под ред. П. Н. Завлина, А.К. Казанцева, Л.Э. Миндели. – СПб.: Наука, 1997;
3. Квеско Р.Б., Квеско С.Б. Инновационный менеджмент / Томск: Изд-во Томского политехнического университета, 2009;
4. Цымбал С. В. Управление рисками и конфликтами в процессе реализации проекта // Управление риском. – 2003.

Stimulation of innovative activities and economic efficiency of the company

Nino Lazviashvili
Professor of Georgian Technical University

Otar Lazviashvili
Student of Georgian Technical University

Summary

Any scientific research and design activity is traditionally associated with project performance. Recently, the concept of project has become widespread in various fields of activity, such as: art, healthcare, education system and others. The concept of innovative project is considered in three aspects: the form of targeted management of innovative activities, the process of implementing innovations and the set of documents developed to achieve the goal. As a form of targeted management, the Innovative Project is a complex system of measures interdependent and interconnected with resources, timelines, and performers, serving a specific goal in the priority areas of science and technology development.

Innovative activities, to a greater extent than other areas of entrepreneurial activity, are associated with risk, as there is virtually no complete guarantee for the successful outcome of innovative entrepreneurship. Difficulties in deciding on projects are caused, firstly, by a significant degree of uncertainty about the conditions under which the project will be implemented and, secondly, by the possible inconsistency of the comparative evaluation of alternative project options. Uncertainty about the future conditions of the project leads to the emergence of investor risk and the need to take measures to reduce it. The inconsistency of comparative evaluation of projects according to different criteria requires additional analysis of comparative projects for the final selection of one of them.

Innovative activities are characterized by high risk. Innovative activities as an object of risk research (assessment) have many characteristics. The main reason is the significant distance between the results of the implementation, which makes their evaluation extremely difficult. Therefore, when analyzing innovative activities, it is more prudent to move from building complex models to a detailed search and description of risk factors and to develop key directions for reducing and managing each of them.

Keywords: Innovation, Innovative Processes, Innovative Project, Incentives, Competitiveness, Economic Efficiency.

ბიზნესში ციფრული ტექნოლოგიების მსოფლიო მიღწევები და მათი დანერგვის აქტუალური ასპექტები საქართველოში

ლობჯანიძე გელა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ართმელაძე არჩილ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი დაკავშირებულია ე. წ. მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციასთან, რომელიც ხასიათდება ეკონომიკური აქტივობის დიგიტალიზაციას-თან ანუ გაციფრულებასთან, სადაც წარმოებისა და ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ახალი ციფრული ტექნოლოგიების შეღწევა და ციფრული ტრანსფორმაცია ხელს უწყობს მუშაობის სიზუსტის ოპტიმიზაციას და გაუმჯობესებას და გულისხმობს კომპანიების ელექტრონულ პლატფორმებზე გადასვლას, რომელიც თავის მხრივ, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი ტენდენცია გახდა. სტატიაში განხილულია თანამედროვე ბიზნესის და ეკონომიკის ციფრული ტექნოლოგიების ძირითადი ასპექტები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ბიზნეს პროცესებსა და მოდელებზე, რომელთა გამოყენება განპირობებულია მომხმარებლის ქცევის ცვლილებებით, ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობით, დადებითი ეკონომიკური ეფექტით, კონკურენტუნარიანობაზე მოქმედებით და კომპანიების ტრანზაქციის ხარჯების შემცირებით, სადაც გაითვალისწინება Covid-19-ის პანდემია, რომელმაც უბიძგა ბიზნესს, რომ სწრაფად მიიღოს ციფრული ინსტრუმენტები ბიზნეს ორგანიზაციაში, რაც ხელს უწყობს ბიზნესის დინამიურ ციფრულ ტრანსფორმაციას და მათ ეფექტიან განხორციელებას, რათა გადაიჭრას ბიზნესის დიგიტალიზაციის წინაშე არსებული და გამოვლენილი ისეთი ახალი, ძირითადი პრობლემები, რისკები და საფრთხეები, როგორიცაა ინფორმაციული უსაფრთხოება, კომპანიების პერსონალს შორის ციფრული კომპეტენციების განვითარების არასაკმარისი დონე, ახალ ბიზნეს მოდელებზე გადასვლის სირთულე, ფინანსური შეზღუდვები და სხვ. ამასთან, გაანალიზებულია ციფრული ტექნოლოგიების და მოვლენების მსოფლიო ბაზრის დინამიკა და პროგნოზი, საქართველოს ელექტრონული მმართველობის ძირითადი მაჩვენებლები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ელექტრონული მმართველობის კვლევის ,,ელექტრონული მმართველობის 2021 წლის ანგარიშში“ და ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის ეკონომიკური თავისუფლების 2021 წლის საქართველოს რეიტინგები, ძირითადი ტენდენციები და პერსპექტივები, რომელთა გამოყენებამ ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის და ეკონომიკის ეფექტიან დიგიტალიზაციას. მნიშვნელოვანია აღვნიშ-ნოთ, რომ დიგიტალიზაციის პროცესების წარმატება როგორც ბიზნეს სტრუქტურების დონეზე, ისე ინდუსტრიების, სახელმწიფოს და რეგიონების დონეზე, დიდწილად განისაზღვრება ეკონომიკური სისტემის ყველა დონეზე ციფრული ტრანსფორმაციის მამოძრავებლების კომპეტენტური გამოყენებით, სადაც იცვლება ბიზნესის მართვის მთელი სისტემა, დაწყებული წარმოების მეთოდებით და დამთავრებული კომპანიების ეკონომიკური და ბიზნეს სტრატეგიებით.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, ციფრული ტექნოლოგიები, ციფრული ბიზნესი და ეკონომიკა, ციფრული რეიტინგები და პერსპექტივები.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე პირობებში, როდესაც საინფორმაციო რესურსები წარმოების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად იქცა, გაჩნდა სამეცნიერო ცოდნის განსაკუთრებული სფერო, რომელიც სწავლობს მოვლენების ინფორმაციულ მხარდაჭერას ეკონომიკაში ,,ციფრული ეკონომიკის“ სახელდებით.

ინფორმაციული ტექნოლოგია არის პროცესი, რომლის დროსაც მონაცემთა შეგროვების, გადაცე-მის და დამუშავების მექანიზმები და მეთოდები გამოიყენება ინფორმაციული პროდუქტის შესახებ ახალი დონის ინფორმაციის მისაღებად, რომელიც შეიძლება იყოს პროცესი, ობიექტი ან მოვლენა. საინფორ-მაციო ტექნოლოგიების მთავარი მიზანია ინფორმაციის მიწოდება მისი ანალიზისთვის და შესაბამისი გადაწყვეტილებების შემუშავება.

მართალია, ციფრულ რეალობაში, სადაც ცვლილებები ყოველდღიური გამოწვევაა ბიზნესის

მომავლის პროგნოზირება რთულია, თუმცა საინფორმაციო ტექნოლოგიების უახლოესი მიღწევების ეფექტიანი გამოყენებით სრულიად შესაძლებელია ბიზნესის ტრანსფორმაციის გამოწვევათა დაძლევა.

ციფრული ბიზნესის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ბიზნეს პროცესის რეინჟინერინგი (Business process reengineering (BPR)), რომელიც გულისხმობს დროისა და ადამიანური რესურსების მნიშვნელოვან შემცირებას, პერსონალის მობილურობის ზრდას, ახალი ტექნოლოგიების ადრეულ დანერგვას, ახალი ღირებულებების ჯაჭვის და ბიზნეს შესაძლებლობების შექმნას და სხვ. საგულისხმოა, რომ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვნად მოქმედებს კონკურენტუნარიანობაზე და მნიშვნელოვნად ამცირებს კომპანიების ტრანზაქციის ხარჯებს, რომელთა წილი განვითარებული ქვეყნების კომპანიების ყველა ხარჯის სტრუქტურაში 50 %-ზე მეტია. [1]

როგორც ცნობილია, ციფრული ტრანსფორმაცია არის მიდგომა, როდესაც ტექნოლოგიებისა და ინფორ-მაციის გამოყენებით დაცულ გარემოში ხდება 4 ძირითადი ელემენტის – ბიზნეს პროცესების, პროდუქტის, კომპანიის კულ-ტურისა და მომხმარებელთან ურთიერთობის არხების გარდაქმნა ისე, რომ კომპანია თანხვედრაში იყოს თანამედროვე ბაზრის გამოწვევებთან და მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა. [2]

ციფრული ტექნოლოგიების უდავო უპირატესობა ის არის, რომ ისინი მყისიერად უზრუნველ-ყოფენ საჭირო ინფორმაციაზე წვდომას და ძიების შესაძლებლობას. გამომდინარე იქიდან, რომ ციფრული ეკონომიკა უდავოდ ახალი ეტაპია ეკონომიკის განვითარებაში, რომლის საფუძველს წარმოადგენს მატერიალური და ციფრული ობიექტების ერთობლიობა სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწორედ ეს ასოციაცია იწვევს ქსელური კომუნიკაციების გაფართოებას და ადამიანებისა და მოვლენების სწრაფ გაერთიანებას, ისეთ ციფრულ ტექნოლოგიებსა და მოვლენებზე, როგორიცაა ნივთების ინტერნეტი (IoT), Big Data, Industry 4.0, Smart ტექნოლოგიები და სხვ. მიუხედავად სწრაფი განვითარებისა, ციფრული ეკონომიკა საწყის ეტაპზეა და არ არსებობს ბიზნესის დიგიტალიზაციის საერთო გაგება ბიზნეს სექტორში. ამერიკელი ეკონომისტების მიერ ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც დაფუძნე-ბულია 50 მსხვილი გლობალური კომპანიის ლიდერების გამოკითხვაზე, რომ-ელთა ბრუნვა 1 მლრდ $-ს შეადგენს, აჩვენა, რომ IT ტექნოლოგიების გამოყენების ხარისხი განსხვავდება ფორმირების ეტაპიდან ფართო გამოყენებამდე. [3]

ციფრული ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზრის დინამიკისა და პროგნოზის მონაცემებით (იხ. ცხრილი 1) ირკვევა, რომ ბლოკჩეინისა და ვირტუალურ/ დამატებითი რეალობის ტექნოლოგიების განვითარების ტემპები უახლოესს მომავალში ძალიან შთამბეჭდავი იქნება (შესაბამისად, 47-ჯერ და 30-ჯერ გაიზრდება).

ცხრილი 1

ციფრული ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზრის დინამიკა და პროგნოზი ($ მლრდ) [4]

ციფრული ტექნოლოგიების მაჩვენებლები	წლები						
	2018	2019	2020	2022	2025	ზრდის ტემპი, ჯერ	ხვედრითი წილი, %
დიდი მონაცემები	38	46	46	77	232	6,1	9,8
ბლოკჩეინი	0,6	1,0	1,8	5,4	28,3	47,2	1,2
კვანტური ტექნოლოგიები	0,86	1,13	1,48	2,57	5,85	6,8	0,2
კომპიუტერული ინჟინერინგი	1,98	2,08	2,19	2,41	2,79	1,4	0,1
ხელოვნური ინტელექტი	21	29	40	75	191	9,1	8,1
ნივთების (მ. შ. სამრეწველო) ნტერნეტი	168	214	274	447	934	5,6	39,6
რობოტოტექნიკა	48	57	67	91	147	3,1	6,2
ვირტუალური და დამატებითი რეალობა	27	44	71	188	815	30,2	34,6
სულ	**305**	**394**	**511**	**888**	**2 356**	**7,7**	**100**

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ მათი აქტიური გამოყენება თანამედროვე ეკონომიკაში გულის-ხმობს მათი მაღალი ხარისხის და, ასევე თანამშრომლების მათში გადამზადების უზრუნველყოფას. ამ მხრივ, შეგვიძლია გამოვყოთ ძირითადი პუნქტები, რომლე-ბიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების წარმატება. ეს მოიცავს, პირველ რიგში, ციფრული ტექნოლოგიების გავრცელების ხარისხს და მეორეც, ციფრულ და არაციფრულ ეკონომიკას შორის ურთიერთობის შესაძლებლობებს, რაც დიდწილად დაკავ-შირებულია მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების მენტალიტეტთან და, ხშირად, ციფრული ტექნო-

ლოგიების დანერგვასა და შენარჩუნებასთან დაკავშირებულ დაუსაბუთებლად მაღალ ხარჯებთან. [4]

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების წარმატებაზე ან, პირიქით, წარუმა-ტებლობაზე დიდ გავლენას ახდენს ძველ და ახალ ტექნოლოგიებში ინვესტი-ციების სტრუქტურა, საგადასახადო სისტემა, პერსონალის კვალიფიკაცია, შემო-სავლების განაწილების სისტემა, ტრანსფორმაციები მეცნიერებისა და განათლების სისტემაში.

ნიშანდობლივია საერთაშორისო ორგანიზაცია ,,Statista" კვლევის დეპარტა-მენტის მიერ გამოქვეყნებული ციფრული კონკურენტუნარიანობის 2021 წლის მსოფლიო რეიტინგი ქვეყნების მიხედვით, სადაც აშშ დასახელდა, როგორც ყველა-ზე ციფრული კონკურენტუნარიანი ქვეყანა მსოფლიოში, საერთოდ ციფრული კონკურენტუნარიანობის რეიტინგი მიზნად ისახავს ქვეყნის შესაძლებლობების გაანალიზებას საწარმოებსა და სამთავრობო ორგანიზაციებში ციფრული ტექნო-ლოგიების დანერგვის თვალსაზრისით. [5] მოსალოდნელია, რომ საწარმოების მიერ მარკეტინგულ აქტივობებზე დანახარჯების ზრდა გლობალური ციფრული ტრანსფორმაციის ბაზრის მამოძრავებელია. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ 2022 წელს გლობალური ციფრული ტრანსფორმაციის (DX) დანახარჯები სავარაუდოდ 1,8 ტრლნ აშშ $-ს, ხოლო 2025 წლისთვის 2,8 ტრლნ აშშ $-ს მიაღწევს.

ციფრული ტრანსფორმაციის ზრდა განპირობებულია რამდენიმე ხელშემწყობი ფაქტორით. მათ შორის არის ბოლოდროინდელი COVID-19 პანდემია, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა ციფრული ტრანსფორმაციის ტემპი მთელს მსოფლიოში 2020 წელს. სხვა ხელშემწყობი მიზეზები მოიცავს მომხმა-რებელთა მოთხოვნას და კონკურენტებთან თანაბარი ყოფნის აუცილებლობას. მთლიანობაში, ციფრული ტრანსფორმაციის ტექნოლოგიების გამოყენება აუმჯობესებს ორგანიზაციების მოქნილობას და ხდის მათ უფრო ელასტიურს ცვალებად ბაზრებზე რეაგირებასა და ინოვაციების გაძლიერებაში. [6] ამასთან, აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს შრომის ბაზარზე. მეტი ადამიანი იმუშავებს დისტანციურად, ხელოვნური ინტელექტი ჩაანაცვლებს სერვისებისა და რუტინული ინტელექტუალური მუშაობის სპეციალისტებს, მაგრამ ამავე დროს, იქნება კვალიფიციური კადრების დეფიციტი IT, მედიცინის, კიბერუსაფრთხოების და განათლების სფეროებში. მთლიანობაში მნიშვნელოვანია, საკონსულტაციო კომპანია McKinsey & Company-ის მიერ წარმოდგენილი IT სექტორში კომპანიებისა და ბაზრების 10 ტექნოლოგიური ტენდენცია 2030 წლისთვის, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებია კონკურენ-ტული უპირატესობისა და ტექნოლოგიების ინ-ვესტიციებისთვის, რომლებიც მიიღებენ ყველაზე მეტ სარისკო კაპიტალს, შექმნიან საპატენტო განაცხა-დების უმრავლესობას და უზრუნველყოფენ გლობალურ ცვლილებებს კომპანიებისა და ბაზრების განვითა-რებაში. სახელდობრ ეს ტენდენციებია: ახალი დონე ავტომატი-ზაციისა და ვირტუალიზაციის პროცესებში, ახალი თაობის თაობის უკაბელო კავშირი, განაწილებული ინფრასტრუქტურა, ახალი თაობის კომპი-უტერული გამოთვლები, გამოყენებითი ხელოვნური ინტელექტი, პროგრამირების მომავალი, სანდოობის ახალი არქიტექტურა, ბიორევოლუცია, ახალი თაობის მასალები, სუფთა ტექნოლოგიების მომავალი. [7]

სახელმწიფოთა ხელისუფლებებს აქვს მნიშვნელოვანი სტიმულები, დააჩქარონ დიგიტალიზაცია, იმ თვალსაზრისით, რომ კომპანიები, რომლებმაც განაცხადეს უფრო მეტი ციფრული ათვისება, აღმოჩნდა უფრო გამძლეები და უკეთ მომზადებულები იყვნენ Covid-19 კრიზისის გამოწვევებისთვის. კომპანიებში გლობალური მიწოდების ჯაჭვებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ დიგიტალიზაცია კორელაციაშია მდგრადობასთან. სინამდვილეში, დიგიტალიზაცია ნიშნავს მეტ ცოდნას და მზადყოფნას მომავლისთვის, მოქნილობას, აქტიურობას და კომპანიებმა, რომ-ლებმაც მიაღწიეს დიგიტალიზაციის მაღალ დონეს 2020-2022 წლებში, უფრო სწრაფად გააკეთეს საჭირო ძალისხმევა მიწოდების ჯაჭვის შეფერხებების მოსა-გვარებლად. დიგიტალიზაციის მაღალი დონის მქონე კომპანიები ასევე აჩვენებენ უფრო დიდ შორსმჭვრეტელობას, რაც ხელს უწყობს მათ მდგრადობას. [8]

კომპანიის ციფრული ტრანსფორმაცია არის ერთგვარი მეტამორფოზა, რომელიც ფუნდამენტუ-რად ცვლის ორგანიზაციის საქმიანობის წესს და გავლენას ახდენს მის სამუშაო პროცესზე, საკომუნიკაციო არხებზე, იმპლემენტირებულ სის-ტემებზე, ორგანიზაციულ სტრუქტურასა და კულტურაზე. ციფრული ტექნოლოგიებით შესაძლებელია კომპანიას ახალი სული შთაბერო. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია დაგროვილი მოწინავე გამოცდილების გაზიარება, რათა თანამედროვე სამყაროს ციფრულ გამოწვევებს კომპანიები ღირსეულად გაუმკლავდნენ, გაძლიერდნენ და

თანამედროვე ბიზნეს რუკაზე თავისი ადგილი დაიმკვიდრონ. [9]

აღსანიშნავია, რომ საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა რეგიონში, ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის მაჩვენებლით, რაც, თავისთავად, დადე-ბითად აისახება ლოკალურ ეკონომიკაზე, ბიზნესგარემოზე, სტარტაპ-ეკო-სისტემის ზრდასა და, ზოგადად, მეწარმეობის სფეროს დაწინაურებაზე – სწორედ ამის დასტურია ის, რომ ეკონომიკური თავისუფლების 2021 წლის **რეიტინგში,** ევროპის 45 სახელმწიფოს შორის, საქართველო მე-7 ადგილს იკავებს, რაც ერთის მხრივ, განაპირობა ჩვენს საზოგადოებაში ახალი ტექნოლოგიების ათვისების მიმართ არსებულმა ერთგვარმა ეროვნულმა მზაობამ, ხოლო მეორეს მხრივ, კონკურენტული შიგა ბაზრის გაჩენის საჭიროებამ, მეწარმეობის განვითარებამ, პანდემიამ და მის წიაღში აღმოცენებული ელექტრონული კომერციის ინდუს-ტრიამ, რომლებმაც მთლიანობაში ქვეყანას მნიშვნელოვანი შედეგები მოუტანა. [10] ასევე, მნიშვნელოვანია 2021 წლის ციფრული ცხოვრების ხარისხის ინდექსის (DQL) შეფასებები, რომლის კვლევას ატარებს კიბერუ-საფრთხოების კომპანია ,,Surfshark", მოიცავს გლობალური მოსახლეობის 90 %-ს და აფასებს ქვეყნებს ხუთი ფუნ-დამენტური ციფრული კეთილდღეობის საფუძველზე, სადაც საქართველო 110 ქვეყანას შორის 63-ე ადგილზეა; სახელდობრ, საქართველო უმაღლეს ადგილს იკავებს ელექტრონულ უსაფ-რთხოებაში (42-ე), მაგრამ შედარებით დაბალი შედეგები აქვს ინტერნეტის ხელმისაწვდომობაში (60-ე), ინტერნეტის ხარისხში (75-ე), ელ-ინფრასტრუქტურაში (61-ე) და ელექტრონულ მთავრობაში (79-ე). [11]

ამასთან, ნიშანდობლივია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ელექტრონული მმართველო-ბის კვლევა ,,ელექტრონული მმართველობის 2021 წლის ანგარიშში", რომელიც აფასებს 193 წევრი სახელმწიფოს ციფრული მმართველობის განვითარებას მათი ძლიერი მხარეების, გამოწვევების, შესაძლებლობების იდენტიფიცირების და ინფორმირებისთვის, განსაზღვრავს რა პოლიტიკას და სტრატეგიებს, მხარს უჭერს ქვეყნების ძალისხმევას, უზრუნველყონ ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ციფრული სერვისები ყველასთვის და გადალახონ ციფრული უთანხმოება არავის მიტოვების პრინციპის შესრულებაში. აქ მნიშვნელოვანია საქართველოსთან მიმართებაში გამოკვლევის შედეგები, რომელიც მოცემულია ცხრილში 1, რომლის მონაცემებიდან ჩანს, საქართველომ გაეროს 2020 წლის ელექტრონული მმართველობის კვლევაში ელექტრონული მმართველობის და ელექტრონული ჩართულობის განვითარების კუთხით ქულები მცირედით გაიუმჯობესა. თუმცა, ელ-მმართველობის ინდექსის რეიტინგში ქვეყნის პოზიცია 5 ადგილით დაქვეითდა, ელ-ჩართულობის მხრივ კი პირიქით, 7 პოზიციით დაწინაურდა. [12]

ცხრილი 2

საქართველოს ელექტრონული მმართველობის ძირითადი მაჩვენებლები [12]

მაჩვენებლები	წლები									
	2020	2018	2016	2014	2012	2010	2008	2005	2004	2003
ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსის რანგი	65	60	61	56	72	100	90	83	94	99
ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსის შეფასება	0.7174	0.6893	0.61079	0.60468	0.55628	0.42476	0.4598	0.40337	0.37836	0.35109
ელექტრონული ჩართულობის ინდექსის რანგი	80	87	76	49	66	127	135	129	123	123
ელექტრონული ჩართულობის ინდექსის მნიშვნელობა	0.6429	0.6236	0.55932	0.58823	0.2105	0.05714	0.04545	0.01587	0.01639	0.0172
ონლაინ სერვისის ინდექსის შეფასება	0.5882	0.6944	0.63768	0.59842	0.6013	0.24761	0.35451	0.21153	0.14671	0.04803
სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ინდექსის შეფასება	0.6923	0.5403	0.41839	0.42613	0.23279	0.11642	0.10717	0.10857	0.09836	0.11524
ადამიანური კაპიტალის ინდექსის შეფასება	0.8717	0.8333	0.77631	0.7895	0.83475	0.91563	0.92099	0.89	0.89	0.89

ასევე, მეტ-ნაკლები ცვლილებებია რეიტინგის სხვა დანარჩენი მაჩვენებლებში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ რეგიონის ქვეყნებთან შედარებით საქართველო ამ მიმართულებით ნელი ტემპით ვითარდება, ამიტომ მნიშვნელოვანია ელ-მმართველობის უახლესი საერთაშორისო ტენდენციების და ინოვაციური მიდ-გომების გათვალისწინება, ელ-მმართველობის შემდგომი წლების სტრატეგიის შემუშავება და ამ მიმართულებით რეფორმის ეფექტიანი განხორიეცელება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მნიშვნელოვანი სერვისების ონლაინ ხელმისაწვდომო-ბის მეტი უზრუნველყოფა, ამ სერვისების გამოყენების წახალისება, ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრა, საქართველოს რეგიონებში ელ-

მმართველობის სის-ტემების ფორსირებული და იმ IT სტანდარტების დანერგვა–გაუმჯობესება, ციფრული ტრანსფორმაციის 5 ეტაპის (გააზრება, მომზადება, პროცესის დაწყება, აქტიური ფაზა, მდგრადი განვითარება) და 7 ელემენტის (მონაცემები, პროცესები, ტექნოლოგიები, მომხმარებელი, გაყიდვების არხები, უსაფრთხოება, კულტურა და თანამშრომლები) გათვალისწინება, რომელთა ეფექტიანი განხორციელება ქმნის ახალ ბიზნეს შესაძლებლობებს, მნიშვნელოვნად შეამცირებს საოპერაციო ხარჯებს და ახალი პროდუქტების ან სერვისების შემუშავების დროს, გაზრდის ბიზნეს-პროცესების სიჩქარეს, მოქნილობას, პროდუქტიულობას და კომპანიათა შემოსა-ვალს, აამაღლებს შრომის მწარმოებლურობას, გააუმჯობესებს მომხმარებელთა კმაყოფილებას, ცხოვრების ხარისხს, საზოგადოების კეთილდღეობას და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Economic Commission for Latin America and the Caribbean (ECLAC), Digital technologies for a new future (LC/TS.2021/43), Santiago, 2021, 95 p.
2. https://bdodigital.ge/services/tsipruli-transpormatsia/
3. TECHNOLOGY AND INNOVATION REPORT 2021, Catching technological waves Innovation with equity. United Nations, New York, 2021, 196 p.
4. გ. ჯოლია. განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2021, 370 გვ.
5. https://www.statista.com/statistics/1042743/worldwide-digital-competitiveness-rankings-by-country/
6. https://www.statista.com/statistics/870924/worldwide-digital-transformation-market-size/
7. https://www.mckinsey.com/business-functions/mckinsey-digital/our-insights/the-top-trends-in-tech
8. https://www.eulerhermes.com/ru_RU/latest-news/ ehru_ tsifrovizatsia_ pri_ covid19.html
9. https://act-global.com/ka/georgia/product/research-function/tsifruli-metamorfoza-2
10. https://forbes.ge/saqarthvelo-inovatsiebis-qveqhana/
11. https://georgiatoday.ge/georgia-ranks-63rd-in-the-world-in-digital-quality-of-life-index-2021/
12. United Nations E-Government Surveys: 2020, Digital Government in the Decade of Action for Sustainable Development. United Nations, 2020, 364 p.

World advances in digital technologies in business and current aspects of their implementation in Georgia

Lobjanidze Gela
Associate Professor of Georgian Technical University

Artmeladze Archil
PhD student of Georgian Technical University

Summary

The modern stage of business and economic development is related to e. წ. With the fourth industrial revolution, characterized by the digitization or digitization of economic activity, where the penetration of new digital technologies in various areas of production and human life and digital transformation helps to optimize and improve the accuracy of work and involves the transition to electronic platforms became. The article discusses key aspects of modern business technology and economics that have a significant impact on business processes and models, driven by changes in consumer behavior, access to technology, positive economic impact, competitiveness, and reduced transaction costs, including Covid-19, where pushed businesses to quickly adopt digital tools in a business organization, which facilitates the dynamic digital transformation of businesses and their effective implementation in order to solve new, major problems, risks and threats identified in the face of business digitalization, information security, insufficient level of development of digital competencies among company staff, difficulty in moving to new business models, financial restrictions, etc. In addition, the dynamics and forecast of the world market of digital technologies and events, the main indicators of e-government in Georgia, the United Nations e-government report „e-Government 2021“ and Georgia's 2021 economic freedom of technological innovation, main trends and prospects are analyzed. Consumption should contribute to the effective digitalization of business and the economy. It is important to note that the success of digitalisation processes, both at the level of business structures and at the level of industries, states and regions, is largely determined by the competent use of digital transformation drivers at all levels of the economic system, where the whole system of business management changes, starting with production methods and ending with the economic and business strategies of companies.

Key words: Business, Digital Technologies, Digital Business and Economics, Digital Ratings and Perspectives.

ეკონომიკური მოწყობის „ატომური ბალანსის“ ფიზიკურ-ტექნიკური დასაბუთება

ლორთქიფანიძე რევაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

რობაქიძე მაკა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ჩემი შრომების მკითხველი იცნობს ეკონომიკური ხედვების ობიექტური ფიზიკურ-ტექნიკური ხასიათის კანონებით დასაბუთების ჩემს მცდელობებს და უახლესი კვლევების შედეგადაც ვლინდება, რომ ატომის აგებულება, რომელიც პროტონებისა და ელექტრონების თანაბარ მუხტს გულისხმობს, თვალნათლის ასაბუთებს ჩემს თეორიას სახელმწიფო და კერძო სექტორების მწვავედ საჭირო წონასწორობის შესახებ.

ელექტრონულ ეპოქაში, ინფორმაციის მოძრაობისა და გაცვლის პროცესები, მათ ეფექტიან დაცვას საჭიროებს, რაც შეუძლებელია სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურების გონივრული ჩართულობისა და კერძო ბიზნესის მათთან თანამშრომლობის გარეშე. შესაბამისად, დაბალანსების შედეგად, ძალიან დიდია ალბათობა ჩრდილოვანი ეკონომიკის რეალური მინიმიზებისა და ქსელური ტექნოლოგიებით მენეჯერული ხარჯების ოპტიმიზებისათვის.

თანამედროვე პირობებში, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით აქტუალურია კერძო მეწარმეობის კეთილსინდისიერებისათვის ზრუნვა და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით დაჯილოვებული მენეჯერების მიერ ორგანიზებული ბიზნესების სტიმულირება ეფექტიანი რეკლამით. ასეთი მენეჯერები გამოირჩევიან მეტი განსწავლულობით, შინაგანი მოკრძალებითა და წესიერებით, ამდენად, ჩვენი აზრით, მათი წახალისება-სტიმულირება თანამედროვე ეპოქაში პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს.

დღევანდელ სამყაროში, როცა მნიშვნელოვანწილად ელექრონული საბაზრო ეკონომიკა (უკვე მსოფლიო მეურნეობად ცნობილი), ფაქტობრივად, ყველა ქვეყანაში გავრცელდა, კერძო მეწარმეობის უპირატესობაზე საუბარი ან მისი დაცვა კომუნისტური რეჟიმისაგან, მიზანშეწონილობასა და საღ აზრს ან საჭიროებას თითქმის სრულად მოკლებულია. ამდენად, ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასვლას და მხოლოდ კერძო მეწარმეობის უკვე უსაგნო და მოსაბეზრებელი დაცვის ნაცვლად, სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტსა და ნიჭიერების დაცვაზე უნდა დავფიქრდეთ ახლა მეტად.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური მოწყობა, „ატომური ბალანსი“, სახელმწიფოებრივი აზროვნება, უსაფრთხოება, ელექტრონული მენეჯმენტი, ქსელური ტექნოლოგიები, მენეჯერული ხარჯები.

ძირითადი ტექსტი

როგორც თქვენთვის ცნობილია, დენის ძალის ცნობილი კანონის ანალოგიით, ეკონომიკური კონკურენციის შეფასებების ორიგინალური შედეგები მივიღეთ, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ კერძო ინსტიქტები და სახელმწიფოებრივი აზროვნების აუცილებლობა რაციონალურ თანაფარდობაში ჰარმონიულად უკავშირდებიან ერთმანეთს და საზოგადოებრივი აღიარება და მხარდაჭერა სჭირდება ორივეს.

მინდა გავიხსენო საქართველოს გაეროში გაწევრიანების იმ დროისათვის ძალზე შეფერხებული ურთულესი პროცესი, როცა საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტთან - ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრაზე მიმიწვიეს, როგორც ახალგაზრდა მეცნიერი და, ჩემი მეცნიერული კონცეფციებიდან გამომდინარე, ეკონომიკის სამობილიზაციო გეგმების მომზადება და პრაქტიკული რეალიზება დამევალა ეროვნული უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით. შედეგად, მაშინდელი პოსტსაბჭოთა სივრცის, ხშირ შემთხვევაში, კორუფციული ტვირთების მოზღვავებული ნაკადები, რომლებიც ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ საზღვარზე კოლიმეტრიან რიგებს იწვევდა, საერთოდ შეწყდა.

სადღეისო რეალობაში, ეკონომიკის პანდემიური შოკის ეპოქამაც საბოლოოდ დაადასტურა, რომ თანამედროვე სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები ცხადზე უცხადესია:

1) დაძლეულ იქნეს პანდემიითა და ადრინდელი გამოუცდელი „რეფორმებით“ გამოწვეული ხანგრძლივი ეკონომიკური დაქვეითება და მნიშვნელოვანი დანაკარგები;

2) ფარული საერთაშორისო მონოპოლიების გავლენის მინიმიზებისათვის, გამოინახოს გზები მიკროეკონომიკური მენეჯმენტის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის მაკროეკონომიკურ პოლიტიკასა და საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან გაეროსა და ევროკავშირის დონეებზე;

3) შემუშავდეს სტრატეგიული ბიზნესტექნოლოგიები და მექზნიზმები აღნიშნული თანამშრომლობის მაქსიმალური ეფექტიანობისათვის.

ზოგი დღემდე ვერ ერკვევა, თუ რას ნიშნავს სტრატეგიული ბიზნესტექნოლოგიები და მექანიზმები ეკონომიკაში და რამ გამოიწვია მათი ასეთი საჭიროება? ეკონომიკური პოლიტიკის ამ კონტექსტში გააზრება ახალ (გლობალურ) რეალობაში უმნიშვნელოვანესი (სტრატეგიული) ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების გრძელვადიანად გააზრებისა და უსაფრთხო მოქმედებების მწვავე აუცილებლობებმა გამოიწვია.

ეკონომიკურად განვითარებული ნებისმიერი ქვეყნის მართვის სისტემებს თუ გადავხედავთ, საკმაოდ მკაცრი რეგულაციები და ეროვნული ინტერესების დამცავი მოქნილი სტრატეგიული გეგმები აბსოლუტურად ყველგან გამოიყენება. თუმცა, განსხვავებით აღნიშნულისგან, საქართველოში უკონტროლოდ გატარებულმა "შოკურმა თერაპიამ", მართვის გამოუცდელობისა და კომუნისტური წარსულის გარკვეული დადებითი ტენდენდიების დაუკვირვებლობით საზიანოდ "ჩამოწერის" გამო, ერთი ჰიპერტროფიიდან მეორეში მოგვაქცია, შექმნილი გარემოების აღმოფხვრა კი პანდემიურმა შოკმა გაგვიხანგრძლივა.

დასკვნა

კვლევის შედეგად, როგორც გამოიკვეთა, ვინაიდან, ციფრული ტექნოლოგიების მეცნიერე-ბატევადი სირთულეები სულ უფრო მეტად ვეღარ იმართება ბიზნესის შემთხვევით, არაკომპეტენტურ ან კრიმინალურ მესაკუთრეთა მიერ, ვფიქრობ, განსაკუთრებით გასათავისებელია, რომ სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და, შესაბამისად, გარკვეულწილად ამ უნარებით დაჯილდოვებული კვალიფიციური მენეჯერების საჭიროება განუზომლად იზრდება,

ელექტრონული სამყარო გააუმჯობესებს ყოველივე ფარულის გამოვლენის საშუალებებს და კვალიფიციური სამართლიანი რეკლამით დამატებით ხელი უნდა შევუწყოთ ისეთ სახელმწიფო მმართველობასა და საერთაშორისო თანამეგობრობებს, რომლებიც არაკეთილსინდისიერ ბიზნესებს შემოსავლების წყაროების დასაბუთებას მოთხოვენ, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანად შეამცირებს ჯერ კიდევ მასობრივ გლობალურ სიღარიბეს.

ჩატარებულმა განზოგადებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ გასული და მიმდინარე საუკუნეების მიჯნის ცნობილი მოვლენების გახანგრძლივებით, სტრატეგიული გეგმებიც მთლიანად მოიშალა და ნაჩქარევად გატარებულმა პრივატიზებამ და გაუაზრებელმა "ლიბერალიზებამ", მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაპირებული ამოქმედების ნაცვლად, მათი თითქმის სრული კოლაფსი გამოიწვია. პანდემიის დასრულებასთან ერთად, სახელმწიფოს გარკვეულწილად უნდა დაუბრუნდეს ეკონომიკური პოლიტიკის დაკარგული ფუნქციები.

ჩემთვის გულწრფელად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ძალზე ნიჭიერი ახალგაზრდა მკვლევარი - დოქტორანტი მაკა რობაქიძე იზიარებს ჩემს მოსაზრებებს და აღნიშნულ საკითხზე აწარმოებს კვლევებს ეკონომიკის ცალკეული ქვედარგის მაგალითზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://gtu.ge/
2. https://www.moh.gov.ge/
3. https://www.geostat.ge/ka
4. https://www.researchgate.net/profile/Revaz_Lordkipanidze
5. Lordkipanidze R. Democratism and Economic Benefits of the EU on the Example of the UK

6. http://dx.doi.org/10.13140/RG.2.2.35113.52321
7. Lordkipanidze R. STRATEGIC MECHANISMS OF ECONOMIC POLICY IN GEORGIA. - The New Economist, N4 (59), 2020, Vol.15, Issue 3: 34-37.
8. https://www.researchgate.net/publication/348944845_STRATEGIC_MECHANISMS_OF_ECONOMIC_POLICY_IN_GEORGIA_-_The_New_Economist_N4_59_2020_Vol15_Issue_3_34-37
9. Lordkipanidze R. Even the delightful Nobel Foundation cannot financially encourage all great scientists - only frequent moral awards can do this and the wisest ResearchGate began to do it perfectly. - Theses on Law, Economic Policy and Money: Issue N6: 2021. http://dx.doi.org/10.13140/RG.2.2.14463.12960

Physical-Technical Justification of the "Atomic Balance" for the Economic Arrangement

Revaz Lordkipanidze
Invited Professor of Georgian Technical University

Maka Robaqidze
PhD student of Georgian Technical University

Summary

Readers of my work are familiar with my attempts to substantiate economic visions by laws of an objective physical-technical nature, and recent research has shown that the structure of the atom, which implies equal charge of protons and electrons, substantiates my theory about the urgency balance of state and private sectors.

In the electronic age, the processes of information movement and exchange require their effective protection, which is impossible without the reasonable involvement of state and international structures and the cooperation of private business with them. Consequently, there is a very high probability of minimization of the shadow economy and optimizing managerial costs with network technologies.

In modern conditions, in our opinion, it is especially important to care for the conscientiousness of private entrepreneurship and to stimulate businesses organized by state-minded and universally valued managers with effective advertising. Such managers are distinguished by more education, inner modesty and decency, so, in our opinion, their encouragement is the number one task in the modern era.

In today's world, when the largely electronic market economy (already known as the world economy) has spread to virtually every country, talking about the benefits of private entrepreneurship or protecting it from the communist regime is almost entirely devoid of expediency and common sense or necessity.

Thus, instead of moving from one extreme to another and defending only the private entrepreneurship, now we should think more about the deficit of state thinking and the protection of such talent.

This is sincerely essential for me that Maka Robaqidze - a very talented young doctorant-researcher at the Georgian Technical University, shares my views and conducts research on this issue on the example of a separate field of economics.

Keywords: Economic arrangement, "Atomic balance", State thinking, Security, E-Management, Network Technologies, Managerial Costs.

კერძო საკუთრება საქართველოში და ეკონომიკური თავისუფლების დონე

მაზიაშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მეტრეველი შორენა
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

კერძო საკუთრებას დიდი ადგილი უჭირავს თითოეული სახელმწიფოს ეკონომიკურ თავისუფ-ლებაში. ნაშრომის მიზანი არის, რომ მკითხველს დაანახოს ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც კერძო საკუთრებას მოაქვს ქვეყნისთვის, მნიშვნელოვანია ევროპის განვითარებული ქვეყნე-ბიდან მაგალითის აღება, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ცალკეული პრაქტიკების მხედველო-ბაში მიღება. ეს პრაქტიკები, ჩვენს მოსახლეობას, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს დაანახებს კერძო საკუთრების მნიშვნელობას და ეკონომიკური თავისუფლების აუცილებლობას. ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის შესაძლებლობა. ეკონომიკური თავისუფლების დონის განსაზღვრა ხდება ამერიკული ორი ორგანიზაციის მხრიდან, ესენი არიან, ჰერიტაჯ ფაუნდეიშენი და ფრეიზერის ინსტიტუტი. ჰერიტაჯის ინდექს თუ შევხედავთ საქართველო 2022 წელს არის 26-ე ადგილზე[1], რაც იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტად თავისუფალ ქვეყნებს მიეკუთვნება, თუმცა 2016 წლის მიხედვით 178 ქვეყანას შორის იყო მსოფლიოში 23-ადგილზე. ხოლო ევროპის რეგიონში 45 ქვეყანას შორის მე-18 ადგილზეა და მისი საერთო ქულა რეგიონულ და გლობალურ საშუალო მაჩვენებელს აღემატება.

იმისთის, რომ ჰერიტაჯის ინდექსმა განსაზღვროს ეკონომიკური თავისუფლება, მას აქვს რამდენიმე კრიტერიუმი მათ შორის არის კერძო საკუთრების დაცვა, ამ კომპონენტში საქართველოს 63,8 ქულა აქვს და მსოფლიოში 73 ადგილი უკავია. მსგავსი დაბალი ქულა იმით განიმარტება, რომ კერძო საკუთრების დაცვის მიმართულებით სასამართლო სისტემა არ არის ეფექტური. ეს ვლინდება იმაში, რომ ძალიან დიდხანს გრძელდება სასმართლო პროცესები და ამის გამო აღარ უჩნდებათ სურვილი ადამიანებს თავიანთი კერძო საკუთრება დაიცვან სასამართლოს გზით.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური თავისუფლება, ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი, ინტელექტუალური საკუთრება.

ძირითადი ტექსტი

თავისუფლება უმნიშვნელოვანესია ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკური მდგომარეობისთვის. მის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის, ასევე მისი ეკონომიკის სწორად განვითარება. თავისუფლება არის ყველაფრის და ყველას მამოძრავებელი ძალა.

ფორბსის ერთ-ერთ სტატიაში „ეკონომიკური თავისუფლების პრობლემები საქართველოში'' წერია, „ეკონომიკურ თავისუფლებაში რეალურად იგულისხმება, თუ რამდენად ერევა მთავრობა ბიზნესის საქმიანობაში, ქვეყნის ეკონომიკის რა წილი მოდის სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებაზე და რამდენად კარგი სამართლებრივი გარემოა კერძო საკუთრების დაცვისთვის.'' (ბ. ნამჩავაძე, 2016) ამიტომაც კერძო საკუთრებას მთავარი ადგილი უკავია და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ხარისხში.

ეკონომიკური თავისუფლების მაღალი დონით გამოირჩევიან ისეთი სახელმწიფოები, როგორებიც არიან ჰონკონგი და სინგაპური, კორეა.

ეკონომიკური თავისუფლების დონის განსაზღვრა ხდება ამერიკული ორი ორგანიზაციის მხრიდან, ესენი არიან, ჰერიტაჯ ფაუნდეიშენი და ფრეიზერის ინსტიტუტი. ჰერიტაჯის ინდექს თუ შევხედავთ საქართველო 2022 წელს არის 26-ე ადგილზე[2], რაც იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტად თავისუფალ ქვეყნებს მიეკუთვნება, თუმცა 2016 წლის მიხედვით 178 ქვეყანას შორის იყო მსოფლიოში

[1] https://gtmarket.ru/ratings/index-of-economic-freedom
[2] https://gtmarket.ru/ratings/index-of-economic-freedom

23-ადგილზე. ხოლო ევროპის რეგიონში 45 ქვეყანას შორის მე-18 ადგილზეა და მისი საერთო ქულა რეგიონულ და გლობალურ საშუალო მაჩვენებელს აღემატება.

იმისთის, რომ ჰერიტაჯის ინდექსმა განსაზღვროს ეკონომიკური თავისუფლება, მას აქვს რამდენიმე კრიტერიუმი მათ შორის არის კერძო საკუთრების დაცვა, ამ კომპონენტში საქართველოს 63,8 ქულა აქვს და მსოფლიოში 73 ადგილი უკავია. მსგავსი დაბალი ქულა იმით განიმარტება, რომ კერძო საკუთრების დაცვის მიმართულებით სასამართლო სისტემა არ არის ეფექტური. ეს ვლინდება იმაში, რომ ძალიან დიდხანს გრძელდება სასმართლო პროცესები და ამის გამო აღარ უჩნდებათ სურვილი ადამიანებს თავიანთი კერძო საკუთრება დაიცვან სასამართლოს გზით. იმისათვის რომ გაიზარდოს ეკონომიკური თავისუფლება, ადამიანებმა გარიგებები უნდა დადონ დამოუკიდებლად პირადი სარგებლიანობის მიხედვით, სახელმწიფოს დირექტივების გარეშე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას რომ სახელმწიფო არ ჩაერიოს ეკონომიკურ პროცესებში, მის სწორი მიმართულებით ჩამოყალიბებაში.

საქართველოს მთავრობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც თავის მხრივ მოიცავს და გულისხმობს საკუთრების უფლების დაცვას, რაც უნდა გამოიხატოს სახელმწიფოს მხრიდან სამართლიანობის დაცვაში, ეს მიზანი წარმოდგენილია „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში''.

დღეს საქართველო საკუთრების უფლების დაცვის მიმართულებით მსოფლიოში 120-ე ადგილზეა, რაც ვერ ვიტყოდით, რომ კარგი შედეგია. მთავრობა წარმოდგენილ „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში'' კარგად იაზრებს, რომ მნიშვნელოვანია სამართლებრივი გარემო გაუმჯობესდეს, რათა ამან პირდაპირპროპორციულად გააუმჯობესოს საინვესტიციო გარემო და დაცული იყოს ადამიანთა საკუთრების უფლება. მთავრობა გვევლინება ბიზნეს ინტერესების დამცველად და წარმოუდგენლად მიიჩნევს, თუ როგორ შეიძლება უცხო ძალა ჩაერიოს რომელიმე ბიზნესში. თუ ასეთ შემთხვევებს ადგილი ექნებათ, მაშინ მთავრობა მზად არის მონაწილეობა მიიღოს მსგავსი შემთხვევების გამოძიებაში და ზოგადად მსგავსი პრობლემების გადაჭრაში. კერძო საკუთება არ შეიძლება იყოს მხოლოდ უძრავი ან მოძრავი ქონება, მასში შეიძლება ასევე მოვიაზროთ ინტელექტულური საკუთრებაც. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო 2000 წელს შეუერთდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას (WTO) და შეთანხმებას ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS). საქართველო ამ მიმართულებით ნამდვილად არ იკავებს დამაკმაყოფილებელ პოზიციას 148 ქვეყანას შორის საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიმართულებით 124-ე ადგილს იკავებს.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ სახელმწიფომ შეძლოს ინოვაციური პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. დღეს შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფო ცდილობს გარკვეული სახის ღონისძიებები გაატაროს რათა ეს საკითხი მეტ-ნაკლებად აღმოფხვრას, ცდილობს მსგავსი გამოწვევები დაძლიოს და იპოვოს პრობლემის გადაჭრის გზები. მაგალითის სახით, რომ ვისაუბროთ კერძო სექტორისთვის ხელის შეწყობა, იმისთვის, რომ განვითარდნენ და ასევე გააძლიერონ კვლევითი მიმართულება. ეს დახმარება გულისხმობს იმას, რომ მათ ჩაატარონ გამოყენებითი კვლევები, რომელთა დაფინანსებასაც სახელმწიფო თავის თავზე ღებულობს. ასევე ხელისუფლების მიზანია, რომ მაქსიმალურად ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო საწარმოებს, რომ განვითარდნენ და იყვნენ ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა ინოვაციების დასანერგად.

კვლევების თანახმად ის სახელმწიფოები, რომლებიც კერძო საკუთრების წილს ზრდიან ეკონომიკაში 0,8-დან 1,5%-მდე ეკონომიკურ ზრდას აჩვენებენ, რაც ვერ ვიტყვით, რომ დაბალი მაჩვენებელია. თუ სხვა კვლევებსაც მიმოვიხილავთ დავინახავთ, რომ კერძო საკუთრებაში ეკონომიკის გადასვლამ შეიძლება განაპირობოს მოგების ზრდა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ რესურსების კერძო საკუთრებაში გადაცემა ეკონომიკაში უკეთეს მდგომარეობას ქმნის და ციფრებს აუმჯობესებს. (ა. რაქვიაშვილი, ა. ხურციძე, თ. ქეცბაია, გვ. 22)

როდესაც ვსაუბრობთ კერძო საკუთრების და ეკონომიკური თავისუფლების ერთმანეთთან კავშირზე მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ეს ორივე ჩვენს ქვეყანაში ფაქტობრივად ერთდროულად გაჩნდნენ. თუ ჩვენ 90-იან წლებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ამ დროს, როდესაც

ჩვენი საზოგადოების მხრიდან ვერ ხერხდებოდა სწორად აღექვათ და გაეგოთ კერძო საკუთრების მნიშვნელობა, შესაბამისად დაგვიანდა თავისუფალი ეკონომიკის საფუძვლების გაჩენაც და შემდეგ უკვე მისი ჩამოყალიბება (რ. გერლიანი, 2013, გვ. 74)

იმისთვის კი რომ ჩვენ გვქონდეს ეკონომიკური თავისუფლება, საჭიროა კერძო საკუთრება იყოს თავის სიმაღლეზე, რადგან თავისუფალი ეკონომიკის ხარისხი სწორედაც, რომ კერძო საკუთრების ხარისხზეა დამოკიდებული. ეკონომიკური ბრუნვის სიმცირე კი საბოლოო ჯამში საზოგადოებრივ კეთილდღეობას უქმნის საფრთხეს. ეს ყველაფერი შეიძლება სხვანაირად იყოს თუ საერთო საკუთრება, ნელ-ნელა გახდება კერძო პირების საკუთრება, რადგანაც მათ შეუძლიათ უკეთესად გამოიყენონ და მიიღონ საკუთრებისგან ეკონომიკური სარგებელი. მთავარია მოხდეს ამის გაცნობიერება ყველას მხრიდან. (რ. გერლიანი, 2013, გვ. 74)

მრავალი კვლევის შეგეგად ირკვევა, რომ საქართველოში საკმაოდ დიდი რაოდენობით არის აუთვისებელი მიწის რესურსი, ამაში იგულისხმება დაუმუშავებელი მიწის ნაკვეთები, მაშინ, როდესაც კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები დამუშავებულია და როგორც მისი მფლობელი იღებს მისგან ეკონომიკურ სარგებელს ისე ღებულობს სახელმწიფოც.

კვლევამ, რომელიც 2013 წელს ჩატარდა, შედეგებში აჩვენებდა, რომ სახელმწიფოს ხელში სასოფლო-სამეურნეო მიწის საკმაოდ დიდი ნაწილი იყო. მხოლოდ საკუთრების ეს ფორმა, რომ არ ყოფილიყო განხილული, ამასთან ერთად შესწავლილ იქნა დოკუმენტები, რომლებიც მითითებდნენ იმიზე, რომ სხვა აქტივებიც თავმოყრილი იყო სახელმწიფოს ხელში. კვლევის რეკომენდაციებში კი მკვეთრად იყო დაფიქსირებული პოზიცია, რომ ამ აქტივების გასხვისება, იქნება ეს სასოფლო-სამეურნეო მიწები, თუ სხვა, ძალიან მნიშვნელოვანია. კვლევის დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ თუ ჩვენი სახელმწიფო მსგავსი ტემპით გააგრძელებდა ატივების მოქალაქეებისთვის გადაცემას, მომდევნო 20 წლის განმავლობაში კიდევ ვერ მოხერხდებოდა ის, რომ ქვეყანაში მომხდარიყო საკუთრების სრულყოფილად გაფორმება.

დასკვნა

დასკვნის სახით წარმოდგენილია რომ, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ სახელმწიფოში მსგავსი პროცესი ჯანსაღად არ წარიმართება აქტიივების გამოყენებაც ვერ მოხდება ისე, როგორც ეს საჭიროა. იმისათვის რომ ჩვენ მოვახერხოთ თავისუფალი საბაზარო ეკონომიკის ჩამოყალიბება, ხელი უნდა შევუწყოთ ჩვენს ქვეყანაში პირველ რიგში კერძო საკუთრებისთვის მნიშვნელოვანი ადგილის დამკვიდრებას.

დასკვნის სახით, მინდა ავღნიშნო, რომ კერძო საკუთრებას დიდი ადგილი უჭირავს თითოეული სახელმწიფოს ეკონომიკურ თავისუფლებაში. ნაშრომის მიზანი არის, რომ მკითხველს დაანახოს ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც კერძო საკუთრებას მოაქვს ქვეყნისთვის. შესაძლებელია ამ პროცესის მიმდინარეობის ნელი ტემპი დაკავშირებული იყოს სტერეოტიპებთან, რომელიც ჩვენ ჯერ კიდევ შემორჩენილი გვაქვს საბჭოთა წარსულიდან, სადაც კოლექტივიზაციას მთავარი ადგილი ეჭირა, მაგრამ მნიშვნელოვანია ევროპის განვითარებული ქვეყნებიდან მაგალითის აღება, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ცალკეული პრაქტიკების მხედველობაში მიღება. ეს პრაქტიკები, ვფიქრობთ, რომ ჩვენს მოსახლეობას, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს დაანახებს კერძო საკუთრების მნიშვნელობას და ეკონომიკური თავისუფლების აუცილებლობას, ასევე ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის შესაძლებლობას .

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცნობილაძე, ი., კოჟორიძე, კ., ფოფხაძე, ე. (2007). საკუთრების უფლება საქართველოში. თბილისი https://bit.ly/3za4Ikv
2. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. (1995). საქართველოს კონსტიტუცია. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
3. საქართველოს სახალხო დამცველი. საკუთრების უფლება. https://ombudsman.ge/res/docs/2019041318280163530.pdf
4. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. (2020). საქართველოში ადამიანის

უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf
5. გერლიანი, რ. (2013). ეკონომიკური თავისუფლების გავლენა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე. თბილისი https://www.tsu.ge/data/file_db/library/gerlian_ekonomikuri.pdf
6. ნამჩავაძე, ბ. (2016). ეკონომიკური თავისუფლების პრობლემები საქართველოში. https://forbes.ge/ekonomikuri-thavisuphleb-2/
7. რაქვიაშვილი, ა., ხურციძე, ა., ქეცბაია, თ. კერძო საკუთრება და ეკონომიკური განვითარება. http://gnomonwise.ug.edu.ge/public/storage/publications/July2020/STNAsD0VqZhRNZZ4cKvv.pdf

Private property in Georgia and the level of economic freedom

Maziashvili Nino
Associate Professor of the Technical University of Georgia

Shorena Metreveli
Associate Professor at the University of Business and Technology

Summary

The purpose of the article is to show the reader the pros and cons that private property carries in the country, it is important to take an example from developed European countries, and also take into account certain US practices. These practices will show our population and decision makers the importance of private property and the need for economic freedom. Opportunity to achieve economic prosperity. The level of economic freedom is determined by two American organizations: the Heritage Foundation and the Fraser Institute. If we look at the Heritage Index, Georgia is in 26th place in 2022, which means that it belongs to the freer countries, although in 2016 it was in 23rd place among 178 countries in the world. And it ranks 18th out of 45 countries in the European Region with an overall score higher than the regional and global averages.

In order for the Heritage Index to determine economic freedom, it has several criteria, including the protection of private property, in which Georgia has 63.8 points and ranks 73rd in the world. Such a low score is explained by the fact that the judiciary is not effective in protecting private property. This is reflected in the fact that litigation takes a very long time and because of this people no longer have the desire to protect their private property through the courts.

ბიზნესის ღირებულების შეფასება-სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად

მარტიაშვილი მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ქუთათელაძე ლაშა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

ქუთათელაძე გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

აბსტრაქტი

მსოფლიო პრაქტიკამ გვიჩვენა რომ თუ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებებში მონაწილეობას არ ღებულობს დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებელი, მაშინ გარიგების ერთერთი მხარე ზარალს განიცდის. შესაბამისად, ნებისმიერ ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად სულ უფრო მეტად ჩნდება პროფესიონალური დამოუკიდებელი შემფასებლების აუცილებლობა.

შემფასებელს უნდა გააჩნდეს ზოგადი განათლების მაღალი დონე და ფართო შემეცნების უნარი. პროფესიონალი შემფასებელი უნდა ფლობდეს გაყიდვათა შედარებითი ანალიზის მეთოდს, შემოსავლების კაპიტალიზაციის და დანახარჯების მეთოდს. შემფასებელი-ეს უპირველეს ყოვლისა ანალიტიკოსია და მისი მუშაობის წარმატება დიდადაა დამოკიდებული მის ინფორმირებულობასა და მის უნარზე მოახდინოს უძრავი ქონების ღირებულების ცვლილებების ტენდენციათა პროგნოზირება.

შეფასების პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ თითოეულ ქვეყანაში შემუშავებულია შემფასებლებისადმი წაყენებული ადგილობრივი კრიტერიუმები და მოთხოვნები. ზოგად საერთაშორისო მოთხოვნებს მიეკუთვნება: 1. შესაბამისი ცოდნა; 2. მუდმივი მუშაობა საკუთარი ცოდნის სრულყოფისა და საბაზრო მონაცემთა ბაზის ფორმირების თაობაზე; 3. მუშაობის გამოცდილება; 4. დამოუკიდებლობა და ობიექტურობა; 5. შემფასებლის მაღალი პიროვნული თვისებები; 6. პუნქტუალურობა კონტრაქტის შესრულების ვადების დაცვაში; 7. შეფასების საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების ცოდნა.

კომპანიის ღირებულების შეფასებისას მრავალი ფაქტორის გათვალისწინება ხდება, თანაც სხვადასხვა კომპანიისათვის სხვადასხვა მაჩვენებლებს ენიჭებათ პრიორიტეტი. საწარმოო ორგანიზაციებისათვის (ქარხნები, ფაბრიკები) ეს არის მათ მფლობელობაში არსებული ფასეულობების ღირებულება. ხოლო კომპანიისათვის, რომელიც მომსახურეობის ან ვაჭრობის სფეროს მიეკუთვნება ძირითად კრიტერიუმად გვევლინება შემოსავალი, რომლის გენერირებასაც იგი ახორციელებს.

ბიზნესი კერძო სექტორის კომერციული საქმიანობაა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბიზნესის შეფასების პროცესში მთავარ განსხვავებებს და ურთიერთგაუგებრობას ოპონენტებს შორის, იწვევს ტერმინების განსხვავებული ინტერპრეტაცია. არსებობს საერთო ენის გამონახვის შემდეგი შესაძლო გზები:

- სპეციალური სტანდარტების გამოყენება;
- ბიზნესის შეფასებისას უცხოური გამოცდილების გამოყენება.

როგორც ხედავთ, არის მრავალი სიტუაცია, როდესაც ბიზნესს სჭირდება პროფესიული შეფასება. მაგრამ მთავარი მიზანი ყოველთვის არის - საწარმოს ფინანსური ეფექტურობის კომპეტენტური ანალიზი, როგორც მოგების მიღების საშუალება.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის შეფასება; ღირებულების შეფასება; მენეჯმენტის ეფექტიანობა; პროფესიონალი შემფასებელი.

ძირითადი ტექსტი

ტერმინი ,,ბიზნესი“ ასახავს ეკონომიკური საქმიანობის ცნებას. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად: ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად. მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, ეკონომიკური

საქმიანობა იყოფა სამეწარმეო და არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად. სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობა ხორციელდება მოგების მიღების გზით, დამოუკიდებელად და ორგანიზებულად. ესაა ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სავაჭრო გარიგებების ან სხვა სამეურნეო ოპერაციების სახით, მათ შორის ფასიანი ქაღალდების ან სხვა ქონების შეძენასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობა.

კომპანიის ღირებულების შეფასება საკმაოდ ადვილია, თუკი მისი აქციები თავისუფალ მიმოქცევაშია ბირჟაზე და აქციები მაღალი ლიკვიდურობით ხასიათდება, მაგრამ ასეთი მიდგომა ბევრ ქართულ კომპანიას არ მიესადაგება. ეკონომიკის განვითარებასთან ერთად მოიმატა კომპანიების, ან მათი წილების ყიდვა-გაყიდვის რიცხვმა. ამიტომ შემფასებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კომპანიის ღირებულება არ შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ანალოგიური კომპანიის გაყიდვის გარიგების ღირებულებისაგან.

შეფასება ხორციელდება ორ სიტუაციაში - გარიგების განხორციელებისას (ეს შეიძლება იყოს ყიდვა-გაყიდვა, გირავნობა, შერწყმა და შესყიდვა და ა.შ.) ან მენეჯმენტის გადაწყვეტილების მიღებისას. პირველ შემთხვევაში, როგორც წესი, საჭიროა პროფესიონალი შემფასებლის ჩართვა, რომელიც, ერთი მხრივ, მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი არბიტრი გარიგების მონაწილე მხარეებისთვის, ხოლო მეორეს მხრივ, გააჩნია საჭირო მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები. ყოვლისმომცველი შეფასება. მეორე შემთხვევაში, ჩვენ ვსაუბრობთ ღირებულების შეფასებაზე, რომელიც ემსახურება როგორც სახელ-მძღვანელო ბიზნესის მფლობელებს და ტოპ მენეჯერებს. ეს ღირებულება შეიძლება გამოითვალოს თავად მეწარმეს. სწორედ ეს შეფასება იქნება განხილული სტატიაში.

ბიზნესის ღირებულება კომპანიის საქმიანობის ობიექტური მაჩვენებელია. ბიზნესის ღირებუ-ლების შეფასება არსობრივად საწარმოს მიმდინარე საქმიანობისა და პერსპექტივების ფინანსური, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ანალიზია.

როგორ ხორციელდება ბიზნესის შეფასება?

პირველ რიგში უნდა განისაზღვროს ბიზნესის შეფასების მიზანი, რომელიც შეიძლება ორგვარი იყოს:

- პირველი - ბიზნესის შეფასება ამა თუ იმ სამართლებრივი მოქმედების ჩასატარებლად, როდესაც გვჭირდება სერტიფიცირებული დამოუკიდებელი ექსპერტის ოფიციალური დასკვნა კომპანიის ღირებულების შესახებ;
- მეორე - როდესაც გვსურს ბიზნესის რეალური ღირებულების დადგენა.

საქმიანობა, რომელსაც არ გააჩნია სისტემატური და ორგანიზებული ხასიათი განეკუთვნება არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას. ტერმინი ,,ბიზნესი"-ს ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი მართლზომიერი და არაერთჯერადი სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ორიენტირებულია მოგების მიღებაზე. მიუხედავად ტერმინების ბიზნესისა და საწარმოს დიდი მსგავსებისა, **შეფასების მიზნებიდან** გამომდინარე, მათ შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები:

1. საწარმო როგორც ქონებრივი კომპლექსი, განსხვავებით ნებისმიერი ბიზნესისაგან, არ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ელემენტებს, როგორებიცაა: ლიცენზიები და სხვადასხვა სახის ნებართვები რომლებიც იძლევა გარკვეული სახის საქმიანობით განხორციელების უფლებას.

2. როგორც საშუალო და მცირე, ისე მსხვილი ბიზნესის ყიდვა ხშირად წარმოადგენს ბაზარზე შესასვლელი ბილეთის საშვის შეძენას. ხშირად მცირე და საშუალო საწარმოს შესყიდვისას მყიდველს უფრო მეტად აღელვებს ბიზნესის მიერ კლიენტებისაგან მოპოვებული ნდობა, ვიდრე ქონებრივი კომპლექსის მატერიალური ღირებულებების შენარჩუნება.

შესაბამისად, ბიზნესის შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი მიზნებიდან გამომდინარე:

1) ბიზნესის მენეჯმენტის ეფექტიანობის ამაღლება;

2) ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა საფონდო ბირჟებზე;

3) დასაბუთებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება;

4) საწარმოების როგორც ერთიანი კომპლექსისა და ასევე მათი ცალკეული ნაწილების ყიდვა-გაყიდვა;

5) საწარმოს რესტრუქტურიზაცია, ლიკვიდაცია, შერწყმა, შთანთქმა ან ჰოლდინგის შემადგენ-ლობიდან დამოუკიდებელი საწარმოების გამოყოფა;

6) საწარმოს განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება. სტრატეგიული დაგეგმვის

პროცესში მნიშვნელოვანია შევაფასოთ ფირმის მომავალი შემოსავლები, მისი მდგრადობის ხარისხი და ფირმის იმიჯი;

7) საწარმოთა დაკრედიტების დროს გირაოს ღირებულების და საწარმოს კრედიტუნარიანობის განსაზღვრა;

8) საწარმოთა დაზღვევა. დაზღვევის პროცესსი ჩნდება აქტივების ღირებულების განსაზღვრის აუცილებლობა დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ;

9) გადასახადებით დაბეგვრა. საწარმოს საგადასახადო ბაზის გაანგარიშებისათვის აუცილებელია საწარმოს შემოსავლებისა და ქონების ობიექტური შეფასება;

10) ბიზნესის განვითარების საინვესტიციო პროექტის დამუშავება. ასეთ შემთხვევაში საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის დასაბუთებისთვის საჭიროა ვიცოდეთ საწარმოს, მისი საკუთარი კაპიტალის, აქტივების, ბიზნესის საწყისი ღირებულება მთლიანობაში;

ბიზნესის ღირებულების სიდიდის გაანგარიშებისას პროფესიონალი შემფასებლები ითვალისწინებენ ბიზნესის ღირებულების სიდიდეზე მოქმედ **მიკრო** და **მაკროეკონომიკურ ფაქტორებს**, როგორებიცაა: 1) მოთხოვნა ბიზნესზე; 2) შემოსავლები; 3) დრო; 4) რისკები; 5) კონტროლი; 6) ლიკვიდურობა; 7) შეზღუდვები, 8) მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა, სადაც მოთხოვნის სიდიდე დამოკიდებულია გადამხდელუნარიანი პოტენციური ინვესტორების მზადყოფნაზე შეიძინონ ესა თუ ის ობიექტი. თავის მხრივ, ინვესტორების გადახდისათვის მზადყოფნა დამოკიდებულია ასევე უამრავ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და სხვადასხვა ფაქტორებზე.

ეკონომიკური თეორიის განვითარების კვალობაზე ევოლუციას განიცდიდა შეფასებითი საქმიანობაც, მისი სეგმენტირება სხვადასხვა მიმართულებებით. 1981 წელს დაფუძნდა "აქტივების შეფასების საერთა-შორისო კომიტეტი", რომელსაც 1994 წელს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა **„შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი"** (IVSC). IVSC- არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნის შემფასებელთა ეროვნულ გაერთიანებას (ინსტიტუტს). მისი უმთავრესი ამოცანაა სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული სტანდარტების ურთიერთ-შეთანხმება და შეფასების სტანდარტების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც მისაღები და ეფექტიანი იქნება საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი ყველა ქვეყნისათვის. შემფასებელთა პროფესია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ჯერ კიდევ 1930-იან წლებში წარმოიშვა და დღეისათვის ერთ-ერთ მაღალანაზღაურებად პროფესიად ითვლება.

საერთაშორისო შეფასების **პრაქტიკაში** გამოიყენება ღირებულების სხვადასხვა **სახეები**, როგორიცაა: 1) საბაზრო; 2) ობიექტის ჩანაცვლებითი; 3)ობიექტის აღდგენითი; 4) შეფასების ობიექტის გამოყენებითი; 5) საინვესტიციო; 6) ობიექტის საგადასახადო დაბეგვრის; 7) სალიკვიდაციო; 8) უტილიზაციის; და 9) სპეციალური ღირებულება;

როგორც ცნობილია, **ღირებულება** ეკონომიკური ცნებაა და განასახიერებს იმ ფასს, რომელზეც ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი, რომ შეთანხმდებიან საყიდლად ხელმისაწვდომი საქონლის ან მომსახურების მყიდველები და გამყიდველები.

დასკვნა

ბიზნესის შეფასების პროცესი გულისმობს როგორც შესაფასებელი ობიექტის, ასევე შემფასებელი სუბიექტის არსებობას. ბიზნესი, ისევე როგორც ნებისმიერი საწარმო შესაძლებელია გახდეს ყიდვა-გაყიდვის ობიექტი, რაც აუცილებელს ხდის მის შეფასებას. **შემფასებელ სუბიექტებად** გამოდიან სპეციალური ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე პროფესიონალი შემფასებლები. საშემფასებლო საქმიანობის განვითარება პირდაპირ კავშირშია კერძო საკუთრების განვითარებასთან. კერძო საკუთრების არარსებობის შემთხვევაში შემფასებლის პროფესიას სახელმწიფო ითავსებს და ადმინისტრაციული ორგანოების დახმარებით თავადვე განსაზღვრავს საკუთარი აქტივების ღირებულებას. კერძო საკუთრების განვითარებასთან ერთად ჩნდება იმის აუცილებლობა რომ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებებში მონაწილეობდეს **პროფესიონალი შემფასებელი**, რომელიც შეძლებს გარიგებაში მონაწილე გამყიდველისა და მყიდველის გარიგების ობიექტის ღირებულებაზე სწორ ორიენტირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვატაშიძე ნ. ,,კორპორაციული ანგარიშგება“ თსუ. თბილისი 2019წ.
2. ლიპარტია ზ. ,,ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური აუდიტის ადმინისტრირება საქართველოში“. მონოგრაფია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ., 2017წ.
3. ლიპარტია ზ., ბაკურაძე რ., „ბიზნესის ღირებულების შეფასების პრაქტიკა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში“. მეორე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. სტუ, 2014წ.
4. ნაჭყებია მ. ,,მატერიალური აქტივების შეფასება“ თეორიულ ექსპერიმენ–ტული კვლევა/კოლოკვიუმი. 2016 გვ. 14-47.
5. Tom Copeland, Tim Koller, Jack Murrin, “VALUATION”, measuring&managing the value of companies, third edition, john wiley&sons. inc 2000
6. https://nt-csm.ru/ka/dlya-chego-provoditsya-ocenka-stoimosti-biznesa-metody-ocenki-stoimosti-biznesa.html
7. http://apphouse.ge/lang/ge
8. http://www.loialte.com.ge/ka/service/

Business Value Evaluation- To Make Strategic Decisions

Maia Martiashvili asistent-professor of Geortian Technical University

Lasha Kutateladze Undergraduate student of Georgian Technical University

Giorgi Kutateladze Undergraduate student of Georgian Technical University

Summary

World practice has shown that if an independent professional appraiser does not participate in real estate transactions, then one of the parties to the transaction suffers a loss. Consequently, with the development of market relations in any country, the need for professional independent appraisers is increasingly emerging.

The assessor must have a high level of general education and broad cognition skills. A professional appraiser should possess the method of comparative analysis of sales, the method of capitalization of revenues and expenditures. Appraiser - This is primarily an analyst and the success of his work depends largely on his awareness and his ability to predict trends in real estate value changes.

An analysis of evaluation practices shows that local criteria and requirements for evaluators have been developed in each country. General international requirements include: 1. Relevant knowledge; 2. Constant work on perfecting one's own knowledge and forming a market database; 3. Work experience; 4. Independence and objectivity; 5. High personal qualities of the appraiser; 6. Punctuality in compliance with the terms of the contract; 7. Knowledge of international and local standards of assessment.

Many factors are taken into account when assessing the value of a company, with different indicators being prioritized for different companies. For manufacturing organizations (factories, mills) this is the value of the values they own. And for a company that belongs to the field of services or trade, the main criterion is the income that it generates.

Business is a commercial activity of the private sector. Experience shows that the main differences and misunderstandings between opponents in the business appraisal process are caused by different interpretations of the terms. There are several possible ways to find common ground:

- Use of special standards;
- Use foreign experience in business evaluation.

As you can see, there are many situations when a business needs a professional evaluation. But the main goal is always one - a competent analysis of the financial efficiency of the enterprise as a means of making a profit.

COVID-19- ის გავლენა დასაქმებაზე, შემოსავლებსა და სიღარიბის დონეზე საქართველოში

მამალაძე ირინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აილოღლი აიდინ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრი

აბსტრაქტი

ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს პროცესს, რომელიც იწვევს რადიკალურ ცვლილებებს ადამიანთა ქცევებში, სოციალურ სტრუქტურასა და საზოგადოებრივ ინსტიტუტებში. მისი არსია ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ყველა ასპექტის მოდერნიზაცია, რაშიც შედის: მოსახლეობის შემცირების ხარჯზე სოფლის ურბანიზაცია; საგანმანათლებლო და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება; ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია; სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის შექმნა და ქვეყნის ეკონომიკური მექანიზმის განვითარება.ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებია: განვითარება, რომელიც ორიენტირებულია ექსპორტზე; იმპორტშემცვლელი სტრატეგია და ავტონომიური განვითარება. ეკონომიკურ განვითარებასთან მჭიდროდ დაკავშირებულია თვისებრივი ცვლილებები, ხოლო ეკონომიკურ ზრდას ახასიათებს რაოდენობრივი ცვლილებები.

ქვეყნისთვის ეკონომიკური განვითარება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ეკონომიკაზე, არამედ სხვა სფეროებზეც. უპირველესად ეკონომიკურ განვითარებას აფერხებს სიღარიბე. სიღარიბის პრობლემას აქვს უშუალო კავშირი მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებლებთან.

სიღარიბესთან გასამკლავებლად არსებობს სხვადასხვა გზები. მეცნიერები თვლიან, რომ ტურიზმს აქვს დიდი როლი სიღარიბის დაძლევაში: ის არის ეფექტური მექანიზმი, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას აძლევს ეკონომიკური აქტივობისა და თვითდასაქმების შესაძლებლობებს. სიღარიბის დასაძლევად საჭიროა ახალი სამუშაო ადგილების შექმნით დასაქმების ზრდა და უმუშევრობის შემცირება, რაც სათანადო პირობებს შეუქმნის ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დღესდღეობით საქართველოში სიღარიბის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზები არსებობს.

„პანდემიის პირობებში პანდემიის შეფერხებისთვის მსოფლიომ შეიმუშავა ანტიპანდემიური ღონისძიებები, რამაც სულ უფრო გააუარესა ეკონომიკური განვითარება და თავისთავად გაზარდა სიღარიბე. ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორებზე ანტიპანდემიურმა შეზღუდვებმა ბუნებრივად უარყოფითი გავლენა მოახდინა, რამაც ეკონომიკური აქტივობები გააჩერა.

კოვიდ 19-ის პანდემიისგან გამოწვეული კრიზისი მხოლოდ ეკონომიკური ხასიათი არ აქვს, ამიტომ პრობლემის დაძლევის გზები უფრო რთული და ბუნდოვანია. ის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვაზე, ხშირად წინააღმდეგობაშია ეკონომიკის აღდგენის და განვითარების ღონისძიებებთან. ასეთ დროს კი ჩნდება მათი დაბალანსების საკითხი. საჭიროა ერთდროულად მოხდეს საზოგადოების დაუცველი ფენების ფინანსური და მორალური მხარდაჭერა, პარალელურად კი სამუშაო ადგილების შესანარჩუნებლად უნდა წახალისდეს სამუშაო ძალის მოთხოვნის შემქმნელი მხარე.

საკვანძო სიტყვები: COVID-19, იდუსტრიალიზაცია, ეკონომიკური განვითარება, უმუშევრობა, სიღარიბის დაძლევა, ანტიპანდემიური შეზღუდვა, ეკონომიკური შოკი.

ძირითადი ტექსტი

ქვეყნის კეთილდღეობისთვის საჭიროა ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის არსებობა. „საქმე ის არის, რომ განვითარება უნდა გავიგოთ როგორც შეტევა ჩვენი პლანეტის თანამედროვე უბედურებაზე. ამრიგად, განვითარებაში იგულისხმება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება,

რომლის მიღწევაც შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური ზრდის საფუძველზე.“[1] „სიტყვა „განვითარება“ ნიშნავს რაღაცის ერთი მდგომარეობიდან მეორეში (უფრო ხელსაყრელში) გადასვლას, ხოლო სიტყვა „ზრდა“ გულისხმობს რაიმეს სიდიდეში მომატებას ან მის რაოდენობის გადიდებას.“[2] ეკონომიკური ზრდა არ გულისხმობს ეკონომიკურ განვითარებასაც. ცნობილი მეცნიერი ჯოზეფ შუმპეტერი ერთმანეთისგან მიჯნავს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ განვითარებასა და ზრდას შორის არსებობს განსხვავებები- ეს არ ნიშნავს იმას რომ მათ შორის არ არსებობს კავშირი. ეკონომიკური ზრდა განვითარების ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია, ამას მოწმობს ისიც, რომ თანამედროვე მსოფლიოში ინდუსტრიალიზაციის მასშტაბების სრულიად განსაზღვრული დონის მიღწევის გარეშე პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ჩამოყალიბება შეუძლებელია. შუმპეტერი ეკონომიკურ განვითარების ძირითად ფაქტორად მიიჩნევს მეწარმეობასა და ინოვაციურ საქმიანობას. მისი აზრით, ეკონომიკური განვითარების არსი ყველაზე უკეთ ვლინდება ეკონომიკურ ზრდასთან მის შედარებაში.

ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს პროცესს, რომელიც იწვევს რადიკალურ ცვლილებებს ადამიანთა ქცევებში, სოციალურ სტრუქტურასა და საზოგადოებრივ ინსტიტუტებში. მისი არსია ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ყველა ასპექტის მოდერნიზაცია, რაშიც შედის: მოსახლეობის შემცირების ხარჯზე სოფლის ურბანიზაცია; საგანმანათლებლო და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება; ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია; სოციალური და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის შექმნა და ქვეყნის ეკონომიკური მექანიზმის განვითარება. ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებია: განვითარება, რომელიც ორიენტირებულია ექსპორტზე; იმპორტშემცვლელი სტრატეგია და ავტონომიური განვითარება. ეკონომიკურ განვითარებასთან მჭიდროდ დაკავშირებულია თვისებრივი ცვლილებები, ხოლო ეკონომიკურ ზრდას ახასიათებს რაოდენობრივი ცვლილებები.

ქვეყნისთვის ეკონომიკური განვითარება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ეკონომიკაზე, არამედ სხვა სფეროებზეც. უპირველესად ეკონომიკურ განვითარებას აფერხებს სიღარიბე. სიღარიბის პრობლემას აქვს უშუალო კავშირი მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებლებთან. რაც შეეხება საქართველოს, აქ დღემდე ძალიან ბევრი სამთავრობო პროგრამა შემუშავდა, როგორებიცაა: „საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების სტრატეგია“ (2002 წელი), „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“ (2007 წელი) და „საქართველო 2020“(2020 წელი). ასევე, 2008 წელს შეიქმნა სამედიცინო დაზღვევის პროგრამა, რომელიც განკუთვნილი იყო სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის. სამთავრობო პროგრამებში ჩადებული იყო მოლოდინი, რომ მათი გატარებით საქართველო იქნებოდა „საშუალო- მაღალ შემოსავლიან ქვეყნების ჯგუფში“, მაგრამ აღნიშნული მოლოდინი არ გამართლდა და სიღარიბე დღემდე რჩება ერთ-ერთ უმთავრეს გამომწვევად არა მხოლოდ ეკონომიკისთვის, არამედ მთლიანად სახელმწიფოსთვის.

ბოლო მონაცემების მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის 20% ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. შემოსავლების სამსახურის მონაცემებით ქვეყანაში მხოლოდ მილიონ 130 ათას ადამიანს აქვს დეკლარირებული სახელფასო შემოსავალი, აქედან 191 ათასი ადამიანის ანაზღაურება თვეში 100 ლარზე ნაკლებია. აღნიშნულიდან გამომდინარე სიღარიბე უკვე დიდი ხანია დგას საქართველოს ეკონომიკური პრობლემების რიგში.

სიღარიბესთან გასამკლავებლად არსებობს სხვადასხვა გზები. მეცნიერები თვლიან, რომ ტურიზმს აქვს დიდი როლი სიღარიბის დაძლევაში: ის არის ეფექტური მექანიზმი, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას აძლევს ეკონომიკური აქტივობისა და თვითდასაქმების შესაძლებლობებს. სიღარიბის დასაძლევად საჭიროა ახალი სამუშაო ადგილების შექმნით დასაქმების ზრდა და უმუშევრობის შემცირება, რაც სათანადო პირობებს შეუქმნის ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დღესდღეობით საქართველოში სიღარიბის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზები არსებობს.

[1] ჯ.კახნიაშვილი.2018.განვითარების ეკონომიკა:თეორია და პოლიტიკა.გვ.20
[2] რ.აბესაძე.2014.ეკონომიკური გავითარება და ეკონომიკური რეგრესი.გვ.10

სიღარიბის მაღალი დონის გამომწვევ მიზეზებს- დაბალ ხელფასს, ინფლაციას, მაღალ გადასახადებს, არაეფექტიან დასაქმებას, არაფორმალური დასაქმების მაღალ დონეს და შრომის მწარმოებლურობის მაღალ დონეს დაემატა პანდემიის მიერ გამოწვეული ეკონომიკური შოკი, რამაც სულ უფრო გაამწვავა და გაუარესა სოციალური სფეროში მანამდე არსებული გამოწვევები და პრობლემები.

„პანდემიის პირობებში პანდემიის შეფერხებისთვის მსოფლიომ შეიმუშავა ანტიპანდემიური ღონისძიებები, რამაც სულ უფრო გააუარესა ეკონომიკური განვითარება და თავისთავად გაზარდა სიღარიბე. ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორებზე ანტიპანდემიურმა შეზღუდვებმა ბუნებრივად უარყოფითი გავლენა მოახდინა, სადაც ეკონომიკური აქტივობები გაჩერდა. ამ სექტორში მომუშავე ადამიანების დიდმა ნაწილმა დაკარგა სამუშაო ადგილი და თავისთავად შემოსავალიც. საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა მოცემული გარემოება და შეზღუდვების დაწესების პარალელურად შეიმუშავა პაკეტი რომელიც მიმართული იყო პანდემიით პროვოცირებული ეკონომიკური კრიზისის წინააღმდეგ.“ [1]აღნიშნული ღონისძიებათა პაკეტი მოიცავდა შემდეგ ჯგუფებს:

1. საკუთრივ ანტიკრიზისული ღონისძიებები რომლებიც მიზნად ისახავს ანტიპანდემიური შეზღუდვების დაწესების შედეგად ბიზნესისათვის და მოქალაქეებისთვის მიყენებული ზარალის შერბილებას: სუბსიდიები, დახმარება, სხვადასხვა სახის ფინანსური ვალდებულებების გადავადება, შეღავათები და სხვა;
2. კრიზისიდან გამოსვლის ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს პანდემიით პროვოცირებული ეკონომიკური კრიზისის შედეგების დაძლევას და პანდემიის დრომდე არსებული ეკონომიკური დინამიკის აღდგენას: საგრანტო პროგრამები, შეღავათიანი დაკრედიტება, საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება და სხვა. მოცემული ღონისძიებები სექტორულ ჭრილშიც წარმოდგენილი იყო სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და დევოლოპერული საქმიანობის აღდგენისა და განვითარების კონკრეტული გეგმების სახით.

„როგორც ზემოთ აღინიშნა პანდემიამ უფრო ნათელი გახადა თითოეული ქვეყნის დასაქმების სფეროში არსებული პრობლემები და გლობალურად წარმოიჩინა შრომის ბაზრის სუსტი ადგილები. პანდემიის პირობებში ეკონომიკური აქტივობების დაქვეითების პარალელურად შემცირდა სამუშაო ადგილები და საათები. საწარმო ორგანიზაციათა დიდი ნაწილი გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე.“ [2]

ამ დროის განმავლობაში კი გაჩნდა ახალი პანდემიისთვის დამახასიათებელი პრობლემები, კერძოდ:

- დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები (განსაკუთრებით შრომის ბაზარზე ახლაშესულ-თათვის);
- უკვე არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნების მაღალი რისკი;
- დასაქმებულთა შრომითი უფლებების დარღვევა და საბაზრო ძალაუფლების შემცირება (მაგ. უხელფასო შვებულებაში დასაქმებულის სურვილის წინააღმდეგ გაშვება, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გაშვება, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისიწინებული პირობების ცალმხრივად ცვლილება და სხვა);
- ანაზღაურების გარეშე ზეგანაკვეთური შრომა;
- დამსაქმებელისა და დამქირავებლის მიერ დისტანციური შრომის არასათანადო შეფასება;
- შრომის ანაზღაურების უკონტროლო შემცირება;
- კარანტინის და სატრანსპორტო შეზღუდვების პირობებში სამუშაოზე გამოცხადების იძულება.

ახალი პრობლემების გამოვლენის ერთ-ერთი მიზეზიც პანდემიამდე არსებული ისეთი გადაუჭრელი საკითხებია, როგორიცაა შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის დისბალანსი, ღარიბი დასაქმებულთა მაღალი წილი, ახაგაზრდების დასაქმების პრობლემები,

[1] მ. კაკულია და ნ. კაპანაძე -"ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენა დასაქმებაზე, შემოსავლებსა და სიღარიბის დონეზე საქართველოში". ფრიდრიხ ებერტის ფონდი,2020.გვ.14-16

[2] https://doi.org/10.35945/gb.2021.12.021

დასაქმების გენდერული პრობლემები, არაფორმალური დასაქმების მაღალი წილი ანუ ქრონიკულლი უმუშევრობა.

2020 წელს 2019 წელთან შედარებით მსოფლიოში კიდევ 108 მილიონი მუშაკი გადავიდა ღარიბ ან უკიდურესად ღარიბ კატეგორიაში. რაც შეეხება საქართველოს, ოფიციალური მონაცემების მიხედვით: კრიზისის დაწყებიდან ერთ წელში დასაქმებულთა რაოდენობა 54 100 ადამიანით ხოლო 2021 წლის ორი კვარტალის მიხედვით 123700 ადამიანით შემცირდა. დასაქმებულთა რიცხოვნების პარალელურად შემცირდა სამუშაო საათებიც. დასაქმებისა და სამუშაო დროის შემცირებამ მიიყვანა შრომითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მკვეთრ შემცირებასთან და სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილის ზრდასთან. ამიტომ, პოსტპანდემიურ პერიოდში დასაქმების პოლიტიკის კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს მეტი და ამავე დროს ეფექტიანი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა.

გაზრდილი უმუშევრობის დროს საკმარისი არ იქნება მხოლოდ სამუშაო ადგილების რაოდენობ-რივი ზრდა. პანდემიით გამოწვეული პირველადი უარყოფითი ეფექტის მინიმალიზაციისთვის საქართველოს მოქალაქეებს 170 მილიონ ლარიანი ბიუჯეტით დაუფინანსდათ სამი თვის კომუნალური გადასახადები, სახელმწიფოს დახმარებით მოქალაქეებს სესხის 3 თვით გადავადების შესაძლებლობა მიეცათ, რითაც 600 000-მდე მსესხებელმა ისარგებლა. ანტიკრიზისული გეგმის მეორე ეტაპზე ფინანსური დახმარება მიიღეს დაქირავებით დასაქმებულებმა, რომლებიც დაკარგეს სამსახური პანდემიის გამო ან და მათი ნების საწინააღმდეგოდ გაუშვეს უხელფასო შვებულებაში.

პანდემიის დროს არსებული კრიზისი არაპროპორციულად აისახა გენდერულ ჭრილშიც, იზოლაციისგან წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ვალდებულებების გამო ქალების უმრავლესობისთვის გართულდა პროფესიული საქმიანობის შესრულება, ამის გამო ქალთა ნაწილს მოუწია შრომის ბაზრიდან გასვლა. პანდემიის დროს საქმე ეხებოდა ქალების პროფესიების შემცირებას და მათთან შედარებით მამაკაცები უფრო მეტად ინარჩუნებდნენ სამუშოებს. ამას ადასტურებს ისიც, რომ კრიზის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში დასაქმების დონე ქალებში შემცირდა 3.0%-ული პუნქტით, ხოლო მამაკაცებში 1.0%-ული პუნქტით. გლობალურ დონეზე 2020 წელს ქალებს შორის დასაქმება 5%-ით შემცირდა, მაშინ როცა კაცებში ეს შემცირება 3.9%. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად არ დაწყებულა რაიმე ღონისძიების განხორციელება, გამომდინარე იქიდან, რომ საკითხი არის უფრო ღრმა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და ამ პრობლემის გადასაჭრელად ითხოვს უფრო დიდ პერიოდს.

დასაქმების სტატუსს, რაც შეეხება აქ არსებული ანალიზის მიხედვით თვითდასაქმებულებმა შედარებით ნაკლები დანაკარგი მიიღეს პანდემიისგან, რაც ადასტურებს იმას, რომ კრიზისის პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა მათი რიცხვი. საერთო დასაქმებაში 2010 წლიდან მუდმივად მცირდებოდა თვითდასაქმებულთა რიცხვი, ხოლო 2020 წელს პირველად დაფიქსირდა ზრდის ტენდენცია. ამის მიზეზი შეიძლება ჩავთვალოთ იმაში, რომ შემცირდა დაქირავებული შრომა და ამის საპასუხოდ მოხდა ადაპტაცია შეცვლილ ეკონომიკურ სიტუაციასთან. მარტივად რომ ავხსნათ: დაქირავებით დასაქმებულთა ნაკადები მიემართა ყველაზე დაბალეფექტიანი სასოფლო თვითდასაქმებისკენ, რამაც სტატისტიკურად დასაქმების დონის ცვლილებებისგან დაიცვა შრომის ბაზარი. ერთი მხრივ არსებული მოვლენა დადებითადაც შეიძლება შეფასდეს და იყოს ვექტორი დასაქმების პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რომ სამომავლოდ ხელი შეუწყოს თვითდასაქმების შესაძლებლობების ზრდას, როგორც სიღარიბის, უმუშევრობისა და ეფექტიანი დასაქმების პრობლემის გადაჭრის გზას და თავისთავად ეკონომიკის განვითარებას.

პანდემიის პირობებში დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენდა სამუშაო ადგილების დაცვა. დასაქმებულთა შენარჩუნების მოტივით დამსაქმებლებმა ანტიკრიზისული გეგმის მეორე ეტაპზე საგადასახადო შეღავათები მიიღეს, მათ შორის 6 თვის განმავლობაში 750 ლარის ოდენობის ხელფასი სრულად გათავისუფლდა საშემოსავლო გადასახადისგან. ასევე ბიზნესსუბიექტებს 4 თვის ქონების და საშემოსავლო გადასახადი გადაუვადდათ 2020 წლის პირველ ნოემბრამდე- პროგრამის ბიუჯეტი 171 მილიონ ლარს შეადგენდა. ცვლილებები შეეხო მცირე მეწარმეობის განვითარების საგრანტო კომპონენტს- გრანტის მოცულობის მაქსიმალური ზღვარი იზრდება 20 000 ლარიდან 30 000 ლარამდე ხოლო ბენეფიციარის, მხრიდან თანადაფინანსების მოთხოვნა მცირდება 20%-

დან 10%-მდე, რაც მეტ ბენეფიციარს არ მისცემს საგრანტო კონკურსში გამარჯვების საშუალებას. ტურიზმის დეველოპერული და სოფლის მეურეობის სექტორები წარმოადგენენ მსხვილ დამსაქმებლებს, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა პანდემიამდე 400 000-ზე მეტ ადამიანს შეადგენდა, ამიტომ ცალკე შემუშავდა აღნიშნული ინდუსტრიებისთვის ანტიკრიზისული გეგმები, რაც ასევე სიღარიბისა და უმუშევრობის შეჩერებისკენ იქნება მიმართული.

დასკვნა

კოვიდ 19-ის პანდემიისგან გამოწვეული კრიზისი მხოლოდ ეკონომიკური ხასიათი არ აქვს, ამიტომ პრობლემის დაძლევის გზები უფრო რთული და ბუნდოვანია. ის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვაზე, ხშირად წინააღმდეგობაშია ეკონომიკის აღდგენის და განვითარების ღონისძიებებთან. ასეთ დროს კი ჩნდება მათი დაბალანსების საკითხი. საჭიროა ერთდროულად მოხდეს საზოგადოების დაუცველი ფენების ფინანსური და მორალური მხარდაჭერა, პარალელურად კი სამუშაო ადგილების შესანარჩუნებლად უნდა წახალისდეს სამუშაო ძალის მოთხოვნის შემქმნელი მხარე. ეკონომიკის აღდგენისთვის საჭიროა თანმიმდევრული სტრატეგია, რომელიც დაიცავს თითოეული მოქალაქის ინტერესებს. ასევე მნიშვნელოვანია დამსაქმებელთა და მეწარმეთა ორგანიზაციებსა და დასაქმებულთა შორის საჭიროა აქტიური სოციალური დაიალოგი. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება მაღალი შემოსავლების და განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის უფრო ადვილად განსახორციელებელია, ვიდრე მცირე შემოსავლიანებისთვის (ეს დაკავშირებულია ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენების შეზღუდულობასთან, რაც თავისთავად უფრო რთული პროცესია). ასეთ დროს კი რეკომენდირებულია დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებების დიფერენციაცია პრიორიტეტულობის მიხედვით.

ასევე, მნიშვნელოვანი ღონისძიებაა შრომის ბაზრის საჭიროებების სისტემური კვლევა, რაც პოლიტიკის შემუშავების პროცესში ნათელ წარმოდგენას შექმნის დასაქმების სფეროში არსებულ მოთხოვნებზე და წარმოადგენს ვექტორს შესაბამისი კვალიფიკაციური კადრების მომზადების დაგეგმვის საქმეში. ეს კი შეუწყობს ხელს სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსის აღმოფხვრას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. კაკულია და ნ. კაპანაძე -"ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენა დასაქმებაზე, შემოსავლებსა და სიღარიბის დონეზე საქართველოში". ფრიდრიხ ებერტის ფონდი,2020.
2. მ. ცარციძე- „უმუშევრობა და ეფექტიანი დასაქმების პრობლემები საქართველოში თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში“. თბილისი, 2018.
3. რ. აბესაძე- ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა. ჟურნალი: „ეკონომისტი“, 2017, ტომი XIII, #2, 13-21.
4. რ. აბესაძე - „ ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი“.თბილისი, 2014.
5. ჯ.კახნიაშვილი -„განვითარების ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა“.თბილისი,2018.
6. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფერენციები- http://www.conferenceconomics.tsu.ge
7. საქსტატი– https://www.geostat.ge
8. file:///C:/Users/ARS/Downloads/Irma%20Tkemaladze.pdf
9. file:///C:/Users/ARS/Desktop/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98/382_42949_233871_400.pdf

COVID-19 Impact on Employment, Income and Poverty Level in Georgia

Mamaladze Irine
Professor of Georgian Technical University

Ailogli Aidin
Master of Georgian Technical University

Summary

Economic development is a process that leads to radical changes in human behavior, social structure, and public institutions. Its essence is to modernize all aspects of the economic life of the country, which includes: rural urbanization at the expense of population reduction; Raising the educational level and the cultural level of the population; Industrialization of the country; Creation of social and economic infrastructure and development of the economic mechanism of the country. Economic development strategies are: development focused on exports; Import substitution strategy and autonomous development. Qualitative changes are closely related to economic development, while quantitative changes are characterized by economic growth.

Economic development for the country is one of the important factors that has a great impact not only on the economy but also on other areas. Poverty hinders economic development in the first place. The problem of poverty is directly related to the level of economic development of individual countries of the world.

There are various ways to deal with poverty. Scientists believe that tourism has a big role to play in tackling poverty: it is an effective mechanism that gives socially vulnerable people opportunities for economic activity and self-employment. Overcoming poverty requires increasing employment by creating new jobs and reducing unemployment, which will create appropriate conditions for the economic development of the country and the improvement of the social situation of the population.

There are various causes of poverty in Georgia today.

"The world has developed anti-pandemic measures to stop the pandemic, which has worsened economic development and in itself increased poverty. Anti-pandemic restrictions have naturally had a negative impact on key sectors of the economy, leading to a halt in economic activity.

The crisis caused by the Covid 19 pandemic is not just economic in nature, so ways to tackle the problem are more complex and vague. Measures aimed at protecting the health of the population are often at odds with measures to restore and develop the economy. At such times, the question of their balance arises. It is necessary to provide financial and moral support to the vulnerable sections of the society at the same time, and at the same time to create jobs, the labor-creating side should be encouraged.

Keywords: COVID-19, Industrialization, Economic Development, Unemployment, Poverty Alleviation, Anti-pandemic Restriction, Economic Shock.

საქართველოს მდგომარეობა კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით 2017-2021 წლებში

მაჭარაშვილი თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

კორუფციის აღქმის ინდექსი საერთაშორისოდ აღიარებული ინდექსია, რომელიც ეფუძნება თითოეული სახელმწიფოს დონეზე კორუფციის აღქმის მხრივ არსებული სიტუაციის შეფასებებსა და ანალიზს ადგილობრივ დონეზე. ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ ტენდენციები საქართველოსთვის 2017-2021 წლებში, თუ რა ვითარება იყო კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით. 2017 წლიდან 2021 წლამდე საქართველოს შედეგების გააზრებამ გვიჩვენა, რომ კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით საქართველოს ქულები მერყეობდა 55-58 შორის, ხოლო სარეიტინგო პოზიციები 41-46 შორის. კორუფციის აღქმის ინდექსი განისაზღვრება როგორც ქულების, ისე შესაბამისი სარეიტინგო პოზიციების მიხედვით. ინდექსი წარმოადგენს 100 ქულიან სისტემას, სადაც 0 ქულა გულისხმობს კორუფციის ყველაზე მაღალ დონეს, ხოლო 100 ქულა განსაზღვრავს კორუფციის ყველაზე დაბალ დონეს. თუ, საქართველოს მაგალითზე, გადავხედავთ 2017-2021 წლების ტენდენციას მიუხედავად გარკვეულწილად სტაბილური პოზიციისა არსებითი, გარდამტეხი გაუმჯობესება ამ წლებში არ დაფიქსირებულა. ამის მიზეზთა შორის არის საჯარო ინსტიტუციებზე არაფორმალური გავლენა, რაც საჭიროებს დაბალანსებას. ამ მიმართულებით აუცილებელია გატარდეს უფრო მეტად ქმედითი რეფორმები, საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მხრივ, საჭიროა გაგრძელდეს მუშაობა საარჩევნო სისტემის მეტად დასახვეწად, თავისუფალი და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა, გაღრმავდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეფორმა და გაძლიერდეს მისი საზედამხედველო ფუნქციები, მნიშვნელოვანია განხორციელდეს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციის მონიტორინგი და ანტიკორუფციულ ძალისხმევაში აქტიურად იყონ ჩართულნი კერძო სექტორის წარმომადგენლები. აუცილებელია მუშაობის გაძლიერება საერთაშორისოდ აღებული ვალდებულებების შესრულების მიმართულებით, ასევე ჩვენს პარტიორ ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავება და დასავლური გამოცდილების კიდევ უფრო აქტიურად გაზიარება, რათა გაღრმავდეს ინტეგრაციული და პარტნიორული ურთიერთობები.

საკვანძო სიტყვები: კორუფცია, ინდექსი, საქართველო

ძირითადი ტექსტი

კორუფციის აღქმის ინდექსი განისაზღვრება სექტორში მომუშავე ექსპერტების მოსაზრებებზე დაყრდნობით კორუფციის დონის შესახებ. 2012 წლამდე აღნიშნული ინდექსი არ იძლეოდა შესაძლებლობას სხვადასხვა ქვეყნის მდგომარეობა ერთმანეთისთვის შეგვედარებინა, მაგრამ 2012 წლიდან მეთოლოგიის დახვეწამ აღნიშნული უკვე შესაძლებელი გახადა. კორუფციის აღქმის ინდექსი საერთაშორისოდ აღიარებული, ავტორიტეტული ორგანიზაციების კვლევების საფუძველზე მზადდება, რომელიც თავისთავად ეფუძნება თითოეული სახელმწიფოს დონეზე კორუფციის აღქმის მხრივ არსებული სიტუაციის შეფასებებსა და ანალიზს ადგილობრივ დონეზე. კორუფციის აღქმის ინდექსი განისაზღვრება როგორც ქულების, ისე შესაბამისი სარეიტინგო პოზიციების მიხედვით. ინდექსი წარმოადგენს 100 ქულიან სისტემას, სადაც 0 ქულა გულისხმობს კორუფციის ყველაზე მაღალ დონეს, ხოლო 100 ქულა განსაზღვრავს კორუფციისგან ყველაზე დაბალ დონეს.

ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ ტენდენციები საქართველოსთვის 2017-2021 წლებში, თუ რა ვითარება იყო კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით.



სურათი 1. საქართველოს მდგომარეობა 2017-2021 წლებში კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით

2017 წლის კვლევის ანგარიშის მიხედვით საქართველოს აქვს 56 ქულა და 46-ე ადგილზეა 180 ქვეყანას შორის. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მაჩვენებელი საუკეთესოა აღმოსავლეთ ევროპის (ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოკლებით) და ცენტრალური აზიის რეგიონში. ამ შედეგის მიუხედავად მაინც არსებობს მთელი რიგი გამოწვევები.

ძირითად პრობლემას წარმოადგენს ჯერ კიდევ შემორჩენილი ვერტიკალური მართვის სისტემა და მაღალ დონეზე გამჭვირვალეობის ნაკლებობა, რაც ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთკოტროლის სათანადოდ განხორციელების შემაფერხებლად შეიძება იქცეს.

2018 წლის მონაცემებით საქართველო 180 ქვეყანას შორის 58 ქულით 41-ე ადგილს იკავებს. წინა წელთან შედარებით საქართველოს პოზიციები 2 ქულით არის გაუმჯობესებული, თუმცა არსებით გაუმჯობესებაზე სამსჯელოდ ეს ცვლილება ძალიან მინიმალურია. კვლავ გამოწვევად რჩება ანგარიშვალდებულების ნაკლებობდა და გაუმჭვირვალობა სხვადასხვა დონეზე. ანგარიშში საუბარია მთელ რიგ გამოწვევებზე რაც ჯერ კიდევ დასაძლევი აქვს სახელმწიფოს, რათა უკეთესი შედეგები დააფიქსიროს სამომავლოდ.

2019 წლის მონაცემებით საქართველო 180 ქვეყანას შორის 56 ქულით არის 44-ე ადგილზე. საქართველოს შედეგი წინა წელთან შედარებით 2 ქულით გაუარესდა, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად აღნიშნული მაინც არ მიიჩნევა. საქართველო კვლავინდებურად პირველ ადგილს იკავებს აღმოსაფლეთ ევროპისა და აზიის რეგიონის ქვეყანათა შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში საქრთველოს ქულის გაუმჯობესების მხრივ პროგრესი ნაკლებად შეინიშნება, რაც ანტიკორუფციული რეფორმების არასათანადო ინტენსივობაზე მიუთითებს, მაშინ როდესაც მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის შედეგები მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული.[1] 2019 წლის კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოს შედეგი მიუთითებს, რომ პრობლემები კვლავ რჩება და ისევ საჭიროა მათ აღმოსაფხვრელად აქტიური მუშაობა. გამოწვევები კი შემდეგია: ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალეობის ნაკლებობა, ნეპოტიზი, სახელმწიფო ინსტიტუციების არასათანადო მდგრადობა, დამოუკიდებელი ანტიკორუფციული უწყების არ არსებობა.

2020 წლის მონაცემების მიხედვით საქართველო 180 ქვეყანას შორის 56 ქულით იმყოფებოდა 45-ე ადგილზე. საქართველოს 2019 წელსაც 56 ქულა ჰქონდა. აღნიშნული გარემოება მიგვანიშნებს იმაზე, რომ საქრთველომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში გარკვეულ პროგრესს მართლაც მიაღწია, მაგრამ კვლავ გადაუჭრელი რჩება მთელი რიგი პრობლემები, რაც მნიშვნელოვან წინსვლას კვლავ აფერხებს. საჭიროა მეტად მკაფიო და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა კორუფციის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ანგარიშის მიხედვით, საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევებია არაფორმალური გავლენები მნიშვნელოვან ინსტიტუციებზე, სასამართლო რეფორმების არასათანადო დონე, ინსტიტუციების გაძლიერების მიმართულებით არაჯეროვნად გადადგმული ნაბიჯები, დაფინანსების მონიტორინგის არასათანადი სისტემა.

2021 წლის მონაცემების მიხედვით საქართველო 180 ქვეყანას შორის 55 ქულით 45-ე ადგილზეა.

[1] https://www.transparency.org/en/cpi/2019

საქართველო აღმოსავლეთ ევროპასა და შუა აზიაში პირველობას ინარჩუნებს. საქრთველოს ქულა წინა წელთან შედარებით 1-ით გაუარესდა, თუმცა სარეიტინგო პოზიცია უცვლელი დარჩა. ანგარიშის მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ნაკლებად გვხვდება წვრილმანი მექრთამეობა, თუმცა არსებობს მთელი რიგი გამოწვევებისა რომელთა აღმოფხვრა კვლავ არ არის დასრულებული. საჭიროა გაგრძელდეს რეფორმები და აქტიური თანამშრომლობა ევროპელ პარტიორებთან მათი გამოცდილების გაზიარების გზით.

2017 წლიდან 2021 წლამდე კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით საქართველოს შედეგების გააზრებამ გვიჩვენა კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით საქართველოს ქულები მერყეობდა 55-58 შორის, ხოლო სარეიტინგო პოზიციები 41-46 შორის. მიუხედავად გარკვეულწილად სტაბილური პოზიციისა არსებითი, გარდამტეხი გაუმჯობესება ამ წლებში არ დაფიქსირებულა. ამის მიზეზთა შორის არის საჯარო ინსტიტუციებზე არაფორმალური გავლენა, რაც საჭიროებს დაბალანსებას. ამ მიმართულებით აუცილებელია გატარდეს უფრო მეტად ქმედითი რეფორმები, საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მხრივ, საჭიროა გაგრძელდეს მუშაობა საარჩევნო სისტემის მეტად დასახვეწად, თავისუფალი და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა, გაღრმავდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეფორმა და გაძლიერდეს მისი საზედამხედველო ფუნქციები, მნიშვნელოვანია განხორციელდეს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციის მონიტორინგი და ანტიკორუფციულ ძალისხმევაში აქტიურად იყონ ჩართულნი კერძო სექტორის წარმომადგენლები. აუცილებელია მუშაობის გაძლიერება საერთაშორისოდ აღებული ვალდებულებების შესრულების მიმართულებით, ასევე ჩვენს პარტიორ ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავება და დასავლური გამოცდილების კიდევ უფრო აქტიურად გაზიარება, რათა გაღრმავდეს ინტეგრაციული და პარტნიორული ურთიერთობები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.transparency.org/en/cpi/2017
2. https://www.transparency.org/en/cpi/2018
3. https://www.transparency.org/en/cpi/2019
4. https://www.transparency.org/en/cpi/2020
5. https://www.transparency.org/en/cpi/2021

Conditions of Georgia according to Corruption Perception Index in 2017-2021

Tamar Matcharashvili
Assistant Professor of Georgian Technical University

Summary

The Corruption Percetions Index is an internationally recognized index, based on the law-abiding side of the corruption targeting system of evaluation and analysis. Our goal is to determine the trends for Georgia in 2017-2021, what was the situation according to the Corruption Perceptions Index. Understanding the results of Georgia from 2017 to 2021 showed that according to the Corruption Perceptions Index, Georgia's scores are ranged from 55-58 and its ranking positions are ranged from 41-46.

The Corruption Perceptions Index is defined by both, scores and relevant ranking positions. The index is a 100-point system where 0 points indicate the highest level of corruption and 100 points indicate the lowest level of corruption. If we look through the trend for 2017-2021 on the example of Georgia, despite a somewhat stabile position, no substantial, despite a somewhat stable position, no substantial, turning improvement has been observed in these years. Among the reasons for this is the informal impact on public institutions that needs to be balanced. It is necessary to carry out more effective reforms in this direction, it is vital to strengthen the work in fulfilling the international obligations, it is important to continue working to improve the electoral system, to ensure a free and competitive ehnvironment, it is necessary deepen the reform of the State Audit Office and to strengthen its oversight functions. Monitoring of the property declaration of officials and involvement of the private sector in anti-corrupton efforts is very important. It is necessary to strengthen to work to fulfill the international commitments, as well as to deepen relations with our partner countries and to share more actively the western experience in order to deepen the integration and partnership processes.

საქართველოს რკინიგზის სატრანზიტო გადაზიდვების ზრდის მიმართულებები

ნანობაშვილი გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საქართველოს ტერიტორიაზე გადის შუა აზიის დასავლეთთან დამაკავშირებელი სამი სატრანზიტო ხაზიდან ერთ-ერთი – ყველაზე უმოკლესი, რაშიც წამყვანი როლი შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზას“ უჭირავს. აქედან გამომდინარე საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე რკინიგზის გამართულ მუშაობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია, რომ რკინიგზამ შეძლოს მომხმარებლებისთვის მომგებიანი პირობების შეთავაზება და მათი პრაქტიკული განხორციელება, რისთვისაც აუცილებელია მძლავრი თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც უზრუნველყოფს ტვირთების გარანტირებულად დაცვას, მათ სწრაფად გადაზიდვას და სატრანსპორტო ხარჯების შემცირებას. ამისათვის საჭიროა რკინიგზის მოდერნიზაცია ინოვაციური პროექტების დანერგვით, რომლებიც თავის მხრივ დიდ ინვესტიციებთანაა დაკავშირებული.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაანალიზებულია ინვესტიცია, როგორც ეკონომიკური კატეგორია, აგრეთვე მისი ინოვაციური პროცესების ადგილი ეკონომიკის განვითარებაში და ინვესტიციური პოტენციალი, როგორც ძირეული ფაქტორი ინვესტიციური მიზიდულობისა. დღესდღეობით სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების სარეალიზებელი სტრატეგია ორიენტირებულია ქვეყნის ეკონომიკის ინვესტიციურ-ინოვაციური პროექტების განვითარებაზე. პრიორიტეტული ხდება სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიმართულებები, რომლებმაც უნდა გააფართოვონ მოწინავე გამოგონებების გამოყენება სარკინიგზო ტრანსპორტზე და აამაღლონ საქართველოს სატრანპორტო მომსახურებათა კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე. საინჟინრო გადწყვეტათა ეკონომიკური შეფასების საკითხისათვის ინჟინერინგის პროცესის ერთ-ერთ ძირითად შემადგენლად ითვლება საინჟინრო გადაწყვეტების ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრა. ნებისმიერი ღონისძიება და მოქმედება ბიზნესში აზრს დაკარგავს თუ იგი არ იძლევა ეკონომიკურ ეფექტს. ამიტომ ყოველი გადაწყვეტის პრაქტიკული რეალიზაცია დასაბუთებული უნდა იყოს ეკონომიკურად, ანუ წინასწარ გაითვალოს ის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები რაც შეიძლება მიღებული იქნას მოცემული ღონისძიებების დანერგვით.

ნაშრომში გაანალიზებულია ინვესტიცია, როგორც ეკონომიკური კატეგორია, აგრეთვე ინოვაციური პროცესების ადგილი ეკონომიკის განვითარებაში და საქართველოს ინვესტიციური პოტენციალი.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი, ტრანსპორტი, რკინიგზის ტრანსპორტი.

ძირითადი ტექსტი

დღესდღეობით სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების სტრატეგია ორიენტირებულია ქვეყნის ეკონომიკის ინვესტიციურ-ინოვაციური პროექტების განვითარებაზე. პრიორიტეტული ხდება სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიმართულებები, რომლებმაც უნდა გააფართოვონ მოწინავე გამოგონებების გამოყენება სარკინიგზო ტრანსპორტზე და აამაღლონ საქართველოს სატრანპორტო მომსახურებათა კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე.

საინჟინრო გადწყვეტათა ეკონომიკური შეფასების საკითხისათვის. ინჟინერინგის პროცესის ერთ-ერთ ძირითად შემადგენლად ითვლება საინჟინრო გადაწყვეტების (მშენებლობა, სიმძლავრეთა შექმნა, ახალი ტექნიკის დანერგვა, არსებული ტექნიკური საშუალების მოდერნიზაცია, ავტმატიზაციისა და მექანიზაციის საშუალებების დანერგვა და სხვა.) ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრა. ნებისმიერი ღონისძიება და მოქმედება ბიზნესში აზრს დაკარგავს თუ იგი არ იძლევა ეკონომიკურ ეფექტს.

საქართველოს რკინიგზის ფუნქცია მგზავრების გადაყვანა და ტვირთების გადაზიდვაა. შპს „საქართველოს რკინიგზის“ 100% წილის მფლობელია სახელმწიფო, იგი სტრუქტურალად შედის საპარტნიორო ფონდის შემადგენლობაში. რომლის უფლებამოსილებებს ახორციელებს საჯარო

სამართლის იურიდიული პირი – „საწარმოთა მართვის სააგენტო“, გარდა წილების პრივატიზებისა და განკარგვის უფლებამოსილებისა, რასაც ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. შპს „საქართველოს რკინიგზა“ თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს სარკინიგზო კოდექსისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს „საქართველოს რკინიგზის“ ძირითადი მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება, წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებული სამეწარმეო-კომერციული საქმიანობის შესაბამისად, ასევე ახალი ხაზებისა და ობიექტების კვლევა-ძიება, პროექტირება და მშენებლობა, არსებული მატერიალური აქტივების მიზნობრივად გამოყენება და ეფექტური მართვა.

საქართველოს რკინიგზა შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ევრაზიის სატრანსპორტო არტერიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს, რომელიც უმოკლესი გზით აკავშირებს ევროპასა და ცენტრალურ აზიას. ამ ორი კონტინენტის სარკინიგზო ტრანსპორტით დაკავშირების იდეა XIX საუკუნის 30-იან წლებში გაჩნდა, მისი განხორციელება კი 1865 წელს დაიწყო.

შპს „საქართველოს რკინიგზა“ ფლობს და განკარგავს ქვეყნის სარკინიგზო ინფრასტრუქტურას. სარკინიგზო ტრანსპორტი საქართველოში უკვე 140 წელს ითვლის. დღეისათვის, საქართველოს სალიანდაგო ინფრასტრუქტურა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზეა გადაჭიმული. საქართველო, ევროპა-კავკასია-აზიის სატრანზიტო კორიდორის (TRACECA) შემადგენელი ნაწილია და წარმოადგენს სტრატეგიული ტვირთების გადაადგილების ალტერნატიულ მარშრუტს კასპიის ზღვის რეგიონიდან ევროპისაკენ და პირიქით. რკინიგზის მეშვეობით საერთაშორისო დანიშნულების ტვირთები მიეწოდება ბათუმის, ფოთისა და ყულევის ტერმინალებს.

კონკურენტუნარიანი სატრანზიტო კორიდორის შესაქმნელად აუცილებელია თანამედროვე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (ტვირთის სწრაფად და შეუფერხებლად გადაადგილებისათვის) და მიმზიდველი სატარიფო პოლიტიკა. ტვირთის მფლობელები გადაზიდვის მარშრუტის არჩევისას უპირატესობას ყოველთვის სტაბილურ პოლიტიკურ გარემოს, მიმზიდველ ტარიფებსა და თანამედროვე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას ანიჭებენ. უკანასკნელ წლებში საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა რკინიგზის საქმიანობაზეც აისახა. დღის წესრიგში დადგა ახალი მოთხოვნები. სარკინიგზო ინფრასტრუქტურა საკმაოდ მოძველებული იყო და საჭიროებდა (და კვლავაც საჭიროებს) მნიშვნელოვან ინვესტიციებს გამტარუნარიანობისა და გადაადგილების სიჩქარის გასაზრდელად, რათა მოხდეს დინამიურად მზარდი ტვირთნაკადების (განსაკუთრებით ნედლი ნავთობის და ნავთობპროდუქტების, ასევე საკონტეინერო ტვირთების) კასპიის ზღვის რეგიონიდან სამხრეთ კავკასიის დერეფანში გადმომისამართება. ბოლო წლებში შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისაკენ იქნა მიმართული. მცირედით, მაგრამ მაინც მოხერხდა სარკინიგზო შემადგენლობის გადაადგილების საშუალო სიჩქარის გაზრდა (ამჟამად 36 კმ/სთ-ში. 10 წლის წინ იგივე მაჩვენებელი 26 კმ/სთ-ში იყო).

რკინიგზის ყველაზე მომგებიანი სფერო, რომელშიც შეიძლება კერძო სექტორის მოზიდვა და მის ეფექტურობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა სატვირთო გადაზიდვებია. ტვირთნაკადების ზრდა რამოდენიმე მიზეზით იქნება განპირობებული:

1. შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობა წარმოქმნის დამატებით მოთხოვნას საქონელზე: საქართველოს რკინიგზა ალტერნატიული გზით კასპიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ევროპასთან აკავშირებს, სტრატეგიული ადგილმდებარეობის მქონე პორტები და ტერმინალები (ფოთი, ბათუმი და ყულევი) პირდაპირ უკავშირდება აზერბაიჯანის, უკრაინის, ბულგარეთის და რუსეთის სარკინიგზო ხაზებს, ასევე ახალი რკინიგზა „ბაქო-თბილისი-ყარსი“ დაუკავშირდა თურქეთის სარკინიგზო ხაზსაც;

2. კასპიის ზღვის რეგიონში მკვეთრად მოიმატა ნედლი ნავთობის მოპოვებამ;

3. სარკინიგზო ინფრასტრუქტურაში განხორციელებულმა ინვესტიციებმა და საქართველოს ტერიტორიაზე ლიბერალურმა სატარიფო პოლიტიკამ გაზარდა სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო კორიდორის მიმზიდველობა.

მიუხედავად მზარდი ტვირთნაკადებისა საქართველოში დღეისათვის არსებული სარკინიგზო

ტვირთბრუნვის მოცულობა საბჭოთა კავშირის პერიოდის მაჩვენებლის მხოლოდ 20-25%-ია (1987 წ-ს ტვირთბრუნვამ შეადგინა 12499,5 მლნ.ტ-კმ, ხოლო 2019 წ-ს 2935.0 მლნ. ტ-კმ.).

საქართველოს რკინიგზის შემდგომი განვითარება მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ახალი ლიანდაგების (გზების) მშენებლობით. აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოთა მეთაურების შეთანხმებით საფუძველი ჩაეყარა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის მშენებლობას, რითაც ერთმანეთს ეს სამი ქვეყანა დაუკავშირდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ახალი სარკინიგზო ხაზით მოხდება არა მარტო სამგზავრო, არამედ დამატებითი სატვირთო გადაზიდვების განხორციელებაც. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა მნიშვნელოვნად გაზრდის სატრანზიტო კორიდორის გამტარუნარიანობას და ხელს შეუწყობს საქართველოში დამატებითი ტვირთების მოზიდვას.

ინფრასტრუქტურის ცვლილებები ხელს შეუწყობს საბაზრო პერსპექტივების შექმნას. ეს, თავის მხრივ, დაეხმარება რეგიონს ადგილობრივი ეკონომიკის პროდუქტიულობის გაზრდასა და ახალი ინდუსტრიის განვითარებაში. ასევე, გაიზრდება საქონლის საბაზრო ღირებულება ადგილობრივად და შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება.

1998 წლის სექტემბერში ბაქოში ჩატარდა კონფერენცია „TRACECA - ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენა“, რომლის მნიშვნელოვანი შედეგი გახდა „დერეფნის განვითარების საერთაშორისო ტრანსპორტის ძირითადი მრავალმხრივი შეთანხმებისთვის“ ტექნიკური დანართის დამატება სარკინიგზო ტრანსპორტის, საერთაშორისო სავაჭრო ნაოსნობის, საბაჟო პროცედურებისა და დოკუმენტების დამუშავების შესახებ. 2009 წლის ივლისში ამ შეთანხმებას შეუერთდა ირანი, ხოლო ლიტვა გახდა დამკვირვებელი TRACECA-ს მთავრობათშორის კომისიაში. თურქმენეთი არ არის ძირითადი მრავალმხრივი შეთანხმების წევრი, თუმცა მონაწილეობს “TACIS-TRACECA-ს პროექტში. 2006 წლის მაისში, სოფიაში, პროექტის მონაწილე ქვეყნებმა დაამტკიცეს TRACECA-ს განვითარების სტარტეგია 2015 წლამდე. გაურკვეველი მიზეზების გამო სატრანზიტო გადასასვლელები ამ დერეფნით თითქმის არ არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ 2001 წლის შემდეგ ამ მარშრუტის ფარგლებში პირველად 2010 წელს გაიგზავნა ბამბის მცირე პარტია უზბეკეთიდან ქართული პორტების გავლით თურქეთის მიმართულებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროექტის მასშტაბურ რეალიზაციას საქართველოსთვის, რადგან ეს დერეფანი საშუალებას გვაძლევს შევქმნათ სამუშაო ადგილები და გავზარდოთ ეკონომიკური მაჩვენებლები.

რაც შეეხება საქართველოს რკინიგზის განვითარების ტემპს ის შემცირებულია. ამის თვალსაჩინო მაგალითია ტვირთბრუნვის ყოველწლიური გაუარესება და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მსგავსი ტენდენციის შემთხვევაში საქართველოს რკინიგზა სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. ეს სიტუაცია შექმნის არა მხოლოდ სატრასნპორტო სისტემის ნგრევის საშიშროებას, არამედ სერიოზულად შეაფერხებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და ეჭვს ქვეშ დააყენებს ჩვენი ტერიტორიის, როგორც სანდო და სტრატეგიული საერთაშორისო დერეფნის მქონე ქვეყნის სტატუსს. აუცილებელია ფუნდამენტური ცვლილებები რკინიგზის სფეროში. უნდა ჩატარდეს გააზრებული და დაგეგმილი რეფორმები, რომლის უმთავრესი მიზანი იქნება სარკინიგზო საწარმოს მოქნილობისა და კონკუ-რენტუნარიანობის ამაღლება. მოკლედ რომ ვთქვათ, ევროკავშირის დირექტივებში არსებული მოთხოვნების გათვალისწინება. პატარა ქვეყნისათვის რკინიგზა „ძვირი სიამოვნებაა“, მით უმეტეს, როცა ენერგიის არაეფექტური გამოყენების გამო მომსახურების ხარჯები კიდევ უფრო იზრდება. განსაკუთრებით იზრდება საქართველოზე გამავალი სატრანზიტო დერეფნის, და შესაბამისად საქართველოს რკინიგზის, მნიშვნელობა დღეს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო.

დასკვნა

XXI საუკუნის დასაწყისში სატრანსპორტო სისტემის განვითარება რკინიგზის კუთხით მკვეთრად უარყოფითი ტენდენციებით ხასიათდება, რაც აუცილებელს ხდის ეფექტიანი და მიზანმიმართული რეფორმების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია საქართველოს რკინიგზის საერთაშორისო ფუნქციის კიდევ უფრო შემცირება. რაც გამოიწვევს

კონკურენტი სატრანსპორტო დერეფნების გაძლიერებას და საქართველოსადმი არსებული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესების დაკნინებას. წარსულში საქართველოს რკინიგზა, როგორც რუსეთის იმპერიის, ასევე საბჭოთა კავშირის დროს უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო ფუნქციას ასრულებდა, რაც დღეს შემცირებულია და მისი მნიშვნელობის გაზრდა დამოკიდებულია ჩინეთ-ევროკავშირის ურთიერთობებზე და საქართველოს რკინიგზის რეფორმებზე. დღეისათვის საქართველოს რკინიგზა არ არის მზად კონკურენცია გაუწიოს სხვა სატრანსპორტო საშუალებებსა და შესაბამისად, უცხოურ სატრანსპორტო დერეფნებთან ქვეყნის კონკურენციას ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის. შედეგად დასტურდება, რომ საქართველოს სატრანსპორტო, კერძოდ კი სარკინიგზო სისტემა, როგორც ერთიანი ორგანიზმი სერიოზული პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგას. საჭიროა პარტნიორობის გაძლიერება, როგორც ევროკავშირთან, ასევე ჩინეთთან, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, რათა რკინიგზა გახდეს მომგებიანი და საქართველოს რკინიგზამ თავისი სტრატეგიული ნიშა დაიმკვიდროს არა მხოლოდ ტურიზმის სფეროში, არამედ საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნებშიც და თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში.

გამოყენებული ლიტარატურა:

1. გ. ტყეშელაშვილი, ნ. დუმბაძე, ი. ამანათაშვილი, ჯ. შანიძე, ა. კანკაძე „საქართველოს ტრანსპორტი“
2. ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი, №7
3. მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია.

Directions of growth of transit rail transportation of Georgia

Nanobashvili George
PhD student at the Georgian Technical University

Summary

One of the three transit lines connecting Central Asia to the West – the shortest, passes through the territory of Georgia, in which the leading role is occupied by Ltd. "Georgian Railway". Therefore, the work of the railway on the economic development of Georgia is of great importance. In this regard, it is necessary for the railway to be able to offer favorable conditions for customers and their practical implementation, for which it is necessary to create a strong modern infrastructure, which ensures guaranteed protection of cargo, their fast transportation and reduction of transport costs. This requires the modernization of the railway through the introduction of innovative projects, which, in turn are associated with large investments.

In relation to the mentioned issue the investment as economic category is analyzed, as well as the place of innovation processes in the development of the economy, and investment potential as a key factor of investment attractiveness. Today the implementation strategy of railway transport development is oriented to the development of investment and innovation projects in the national economy. Scientific and technological directions became top-priority, and these directions should expand the application of advanced inventions at the Railway transport and should provide competitive edge of Georgian transport services at the world market.

The paper analyzes investment as an economic category, as well as the place of innovative processes in economic development and Georgia's investment potential.

სასოფლო-სამეურნეო დაზღვევაში ფერმერთა გაუთვითცნობიერებლობის პრობლემები საქართველოში

ნიკოლაიშვილი აკაკი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დოქტორანტი

აბსტრაქტი

სასოფლო-სამეურნეო წარმოება, როგორც მოგეხსენებათ მრავალი რისკის წინაშე დგას. მიუხედავად ამისა, გამოვყოფთ ორ ძირითად რისკს:

ფასების რისკს, რომელიც გამოწვეულია ფასების პოტენციური ცვალებადობით და წარმოების რისკს, რომელიც გამოწვეულია წარმოების დონის გაურკვევლობით. სავარაუდოა, რომ ეს რისკები მომავალში გაიზრდება, ფასების რისკი ვაჭრობის ლიბერალიზაციის გამო და წარმოების რისკი, კი კლიმატის ცვლილებების შედეგად. სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის ტენდენციის გაგრძელებასთან ერთად ეს რისკები იზრდება. ეს რისკები არა მარტო ფერმერებს ეხება, არამედ მთლიან აგრობიზნესის ჯაჭვს, დაწყებული საქონლის მომწოდებლიდან დამთავრებული საბოლოო მომხმარებლამდე.

სოფლის მეურნეობის რისკების მართვა ეყრდნობა ტექნიკური და ფინანსური ინსტრუმენტების ოპტიმალურ კომბინაციას. აგრობიზნესის ჯაჭვის მონაწილეებს შეუძლიათ რამდენიმე ინსტრუმენტის გამოყენება ამ რისკის მრავალრიცხოვან წყაროსთან გასამკლავებლად. მაგ. აირჩიონ კონკრეტული კულტურა ან კულტურები და დაბალრისკიან კლიმატურ პირობების მქონე ტერიტორიაზე განათავსონ. ასევე კულტურები მხოლოდ ხელსაყრელ ინფრასტრუქტურის მქონე ადგილებში განათავსონ. მთავარია, მათ შეუძლიათ დაზღვევის ხელშეკრულებით გადასცენ რისკები მთლიანად ან ნაწილობრივ მესამე პირს.

საკვანძო სიტყვები: დაზღვევა, დამზღვევი, სადაზღვევო კომპანია, სოფლის მეურნეობა, რისკი, აკვიზიცია, ფრანშიზა.

ძირითადი ტექსტი

აგრო დაზღვევა განსაკუთრებულ როლს თამაშობს აგრობიზნესში თუმცა ხასიათდება გარკვეული პრობლემებით აკვიზიციის პროცესში და სწორედ აღნიშნული წარმოადგენს ჩვენი ნაშრომის კვლევის მიზანს.

აღვნიშნოთ ზოგადად, რა არის დაზღვევა?

დაზღვევა არის რისკის მართვის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობს რისკის მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემას სადაზღვევო ორგანიზაციაზე. დაზღვევის დროს ხორციელდება ფიზიკური და იურდიული პირების ფულადი საშუალებების ხარჯზე სპეციალური სარეზერვო ფონდების შექმნა, რომლებიც გათვალისწინებულია ზარალის ასანაზღაურებლად.

განვიხილოთ დაზღვევის მექანიზმი, თუ როგორ ჩანს იგი გარედან. ურთიერთობა იწყება კლიენტსა და სადაზღვევო კომპანიას შორის, რომლის მიზანს სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმება წარმოადგენს, სადაც ასახულია თუ რა სადაზღვევო რისკის დადგომის შემთხვევაში მიიღებს კომპენსაციას. შესაძლებელია დამზღვევს არც ქონდეს წარმოდგენა რისკებზე და ასეთ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიას შეუძლია დაეხმაროს მას ამ რისკების ამოცნობასა და შეფასებაში. განვითარებულ ქვეყნებში ბაზარზე ამას ხშირად შუამავლები (აგენტები, ბროკერები) აკეთებენ და თავადვე მიმართავენ კლიენტის სახელით სადაზღვევო კომპანიას.

სადაზღვევო ურთიერთობა იწყება მაშინ, როდესაც დამზღვევი განაცხადებს, რომ სურს დაზღვევა ამა თუ იმ რისკის. ეს განცხადება კეთდება წერილობით, ივსება შესაბამისი განაცხადი-ანკეტა, რომელიც ყოველთვის აქვთ სადაზღვევო კომპანიებს.

მოკლედ, რომ ვთქვათ, კომპანიამ გაყიდა კონკრეტული სადაზღვევო პროდუქტი „მოსავლის დაზღვევა“ რაც გახლავთ სახელმწიფო პროგრამა საქართველოში და მოიცავს ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას. ამ პროგრამით შესაძლებელია დაიზღვეს შემდეგი რისკები.

კერძოდ: სეტყვა, ქარიშხალი, წყალდიდობა და საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსზე).

გაფორმდა იურდიულად გამართული ხელშეკრულება, სადაც არის ჩადებული ერთ-ერთი პარამეტრი ფრანშიზა.

ფრანშიზა დაზღვევაში მეტად საინტერესო პარამეტრია. დაზღვევა, როგორც ვიცით რისკის მართვის მხოლოდ ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელიც ხშირად გამოიყენება სხვა ინსტრუმენტებთან ერთად. ერთ-ერთი ასეთი ინსტრუმენტია რისკის ნაწილის საკუთარ თავზე დატოვება. სადაზღვევო კომპანიები ყოველთვის მზად არიან კლიენტს დაუთმონ რისკის ნაწილი, რადგანაც თვლიან, რომ ის კლიენტი, რომელიც ატარებს რისკის გარკვეულ ნაწილს, ცდილობს მაქსიმალურად აიცილოს თავიდან ზარალი ან/და მაქსიმალურად შეამციროს მისი სიდიდე.

ის ფაქტი რომ დამზღვევი ნაწილობრივ თავის თავზე იტოვებს რისკს, სადაზღვევო ხელშეკ-რულებაში (პოლისში) აისახება თანაგადახდის და ფრანშიზის მეშვეობით.

თანაგადახდა ნიშნავს რომ კლიენტი თავად ფარავს ყოველი ზარალის გარკვეულ წინასწარ შეთანხმებულ ნაწილს (რომელიც პროცენტებშია გამოსახული). ანუ თანამონაწილეა თავისივე ზარალში.

საქართველოს კანონში აგრო დაზღვევის შესახებ დადგენილია 10%-ნი ფრანშიზა ყველა კულტურაზე გარდა ციტრუსისა ხოლო ციტრუსზე 15%. ეს არის ის არა ანაზღაურებადი მინიმუმი რომელიც არის დადგენილი სახელმწიფოს მიერ და რომელიც ითვალისწინებს დამზღვევის თანამონაწილეობას მისავე ზარალში.

განვითარებულ ქვეყნებში „ფრანშიზა“ ეს ტერმინი აღარ გამოიყენება, მის ნაცვლად იყენებენ დაქვითვას-(Deductible), თანადაზღვევა - (Coinsurance), თრიგერი, სასხლეტი (Trigger), ფიქსირებულ ზარალზე მაღლა (Excess of Loss),

ქვე ლიმიტები (Sub limits).

ქვეყნების და სადაზღვევო პროდუქტების მიხედვით განსხვავებული მიდგომებია. ფრანშიზა შეიძლება იყოს პირობითი და უპირობო. საქართველოში უპირობო გახლავთ. ასევე შეიძლება პოლისს ქონდეს ფრანშიზა, თანდაზღვევა და თრიგერიც.

აგრო დაზღვევაში ფრანშიზა ესადაგება არა კონკრეტულ ნაკვეთს, არამედ ფერმერის ყველა ნაკვეთს. მაგ. ესპანეთში გამოიყენება (Deductible)-დაქვითვა, რომელიც ყველა ნაკვეთიდან იქვითება მიუხედავად იმისა ყველა ნაკვეთზე დაუდგა ზარალი თუ რამდენიმეზე.

ასეთი არის დოროთი და რისკზე მიბმული ფრანშიზები, რომელიც კონკრეტული დროის შუალედში დამდგარი ზარალების ანაზღაურებას არეგულირებს, ან კონკრეტულ რისკისზე, კონკრეტულ დაქვითვას არეგულირებს. მაგ. აშშ-ში უფრო გამოიყენება 30%-40% თრიგერი, ანუ მოსავლიანობა უნდა დაეცეს კონკრეტულ ნიშნულზე დაბლა რის შემდეგაც დაიწყება კომპენსაციის გაცემა. ამის პარალელურად ხშირად ჩადებულია თანადაზღვევა, რაც ნიშნავს რომ მიუხედავად იმისა თრიგერი თუ გადალახა დამდგარ ზარალის ნაწილში ფერმერს გარკვეული დამატებითი მონაწილეობა აქვს. ზოგადად ფრანშიზები ქვეყნების მიხედვით 5% დან 50% მდე მერყეობს.

აღნიშნული საკითხის უკეთესად შესწავლის მიზნით ჩვენს მიერ განხორციელებულ იქნა გარკვეული კვლევა, საიდანაც გამოირკვა რომ ახლად დაზღვეულების უმეტესი ნაწილი საერთოდ არ კითხულობს ხელშეკრულებას, რომელიც იდება მზღვეველსა და დაზღვეულს შორის და არც გაყიდვის აგენტი უხსნის კონკრეტულ პარამეტრს, რაც საკმაოდ დიდ დისკომფორტს ქმნის ურთიერთობებში და ხშირ შემთხვევაში დავის საგანიც კი ხდება. ჩატარებული კვლევის შედეგები წარმოდგენილია დიაგრამა #1 (იხ. დიაგრამა).

გამოვკითხეთ საქართველოს რეგიონებში აგროდაზღვევით მოსარგებლე ფერმერები. 150 ფერმერი, რომელნიც პირველად დაეზღვნენ.

აღმოჩნდა რომ: 58%-საერთოდ არ კითხულობს ხელშეკრულებას.

23%-კითხულობს ხეკშეკრულებას, თუმცა არ იცის ფრანშიზის მნიშვნელობა და არც არავინ უხსნის.

10%-კითხულობს და გარკვეული წარმოდგენა აქვს.

9%-არის ინფორმირებული, თუმცა უკმაყოფილოა ფრანშიზის პროცენტულ მაჩვენებელზე.

დიაგრამა 1

ფერმერთა გაუთვითცნობიერებლობის ხვედრითი წილი მთლიან აგროდაზღვევაში



მოცემული ფაქტები მნიშვნელოვნად იჩენს თავს საკონპესაციო თანხის გაცემისას. სისტემატიურად იწყებენ ასეთი კლიენტები სადაზღვევო კომპანიის ცხელ ხაზზე დარეკვებს და ცდილობენ გაარკვიონ რა არის ეს ფრანშიზა, თუ რატომ ჩამოეჭრა თანხა, ან რატომ არ მოხდა საკომპენსაციო თანხის გადახდა? ასევე, მნიშვნელოვნად ზრდის უკმაყოფილო კლიენტების რიცხვს, რომლებიც მომავალ წელს შეიძლება აღარ დაეზღვნენ, რაც ძალზედ ცუდად იმოქმედებს სოფლის მეურნეობის რისკების მართვაზე.

ინფორმაციის არასრული მიწოდება იმ პარამეტრის შესახებ, რომელიც დიდ როლს თამაშობს სადაზღვევო კომპანიებისთვის კლიენტების შენარჩუნებაში და სოფლის მეურნეობის რისკები შემცირების მიზნით, ძალისხმევას არ უნდა იშურებდნენ სახელმწიფო, თუ სადაზღვევო კომპანიები სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიაწოდებაზე დამზღვევისთვის „ფრანშიზის“ შესახებ.

დასკვნა:

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ შევეხეთ მეტად სენსიტიურ საკითხს; ინფორმაციის მიწოდება დამ-ზღვევისთვის აკვიზიციის პროცესში, ფრანშიზასთან დაკავშირებით. ეს საკითხი განსაკუთრებულად მწვავედ დგას იმ ფერმერების წინაშე რომლებიც ახალბედები არინ დაზღვევაში. როგორც კვლევებმა აჩვენა, ახალ დაზღვეულთა უმრავლესობამ არ იცის რას ნიშნავს ფრანშიზა. რატომ ხდება კონკრეტული თანხის ჩამოჭრა? ან დამდგარი ზარალი რომელიც არის 10% მდე, რატომ არ უნაზღაურდება?

სოფლის მეურნეობის დაზღვევა რისკის მართვის მნიშვნელოვანი კომპონენტია სოფლის მეურნე-ობაში, მაგრამ არ ცვლის რისკების მართვის კარგ ტექნიკას, წარმოების სწორ მეთოდებს და ინვესტიცი-ებს უახლეს ტექნოლოგიაში. ამ ფაქტორებთან ერთად სოფლის მეურნეობის დაზღვევა აძლიერებს ფერმერის კეთილდღეობას და წარმოების უსაფრთხოებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბენიძე ნ. შონია ნ. ბენიძე ჯ. „რისკები და დაზღვევა“ საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“ თბ. 2010 წ.
2. ცერცვაძე ა. „სადაზღვევო ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში“ ჟურნალი ეკონომიკა, 9-10, თბ. 2011 წ.
3. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, ქ. თბილისი, 1997 წ. 2 მაისი
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება “აგრო დაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ #188 2019 წლის 11 აპრილი.
5. „აგროდაზღვევის პრობლემები საქართველოში“ თენგიზ ვერულავა, ნატალია ობგაიძე, სამეცნიერო ჟურნალი "ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა"
6. N 2. 2015წ.
7. კოღუაშვილი პ. „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა“ თბ. 2020 წ.

8. ლაფაჩი ა. „აგრო დაზღვევის საფუძვლები“ 2021 წ.
9. რამირო იტურიოზი „სასოფლო სამეურნეო დაზღვევა“ 2009 წ.
10. http://www.insurance.gov.ge
11. http://www.moh.gov.ge
12. http://www.apma.ge

Problems of farmers' ignorance in agricultural insurance in Georgia

Nikolaishvili Akaki
PhD student of Georgian Technical University

Summary

As studies have shown, farmers' dissatisfaction with agro insurance is a distrust of insurance, which threatens the agro insurance program. Insurance companies offer different insurance terms to farmers, which often leads to uncertainty between farmers. In this regard, for the development of agro-insurance in the country, it is necessary to raise the awareness of farmers about agro-insurance, to increase confidence in the insurance system. Farmers should be provided with appropriate, comprehensive information about agro insurance. Incomplete information on the parameter that plays a major role for insurance companies in retaining customers and reducing agricultural risks, the state should not spare any effort if insurance companies provide complete and comprehensive information about the franchise to the insurer.

In the paper presented, we addressed a highly sensitive issue; providing information to the insurer during the acquisition process regarding the franchise. This issue is especially acute for farmers who are new to insurance. As studies have shown, most new policyholders do not know what a deductible means, why a particular amount is deducted; Or an established loss that is up to 10%, why not be reimbursed.

Agricultural insurance is an important component of risk management in agriculture, but does not replace good risk management techniques, proper production methods, and investments in the latest technology. In addition to these factors, agricultural insurance enhances the well-being of the farmer and the safety of their production.

It is also advisable to involve the mediation service in disputes between insurance companies and insurers, an independent body in case of complaints, which will be able to protect the interests of insurers and their rights.

რეგიონების საინვესტიციო პროცესების სტიმულირების მნიშვნელოვანი ასპექტები

ოთინაშვილი რამაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

შარაშიძე ხვიჩა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ბედინაშვილი ვარაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ინვესტიციები ითვლება ბიზნესის გაჯანსაღების ყველაზე ეფექტურ საშუალებად. ეკონომიკაში ფინანსური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატს აყალიბებს სახელმწიფოს ნორმატიულ-სამართლებრივი და ეკონომიკური საქმიანობა. ცნობილია, რომ ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად ძირითად კაპიტალში ინვესტიციების ზრდის ტემპი უნდა აღემატებოდეს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპს. ამ შემთხვევაში განვითარება უზრუნველყოფილია ინტენსიური ფაქტორების ზემოქმედებით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძალზედ მნიშვნელოვანია ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციისა და რეგიონული განვითარებისთვის, რისთვისაც საჭიროა გეოგრაფიულად დაბალან-სებული ინვესტიციების განხორციელება. აღნიშნული მოითხოვს თბილისს გარეთ სტიმულირების ახალი ფაქტორების შექმნას.

რეგიონების ეფექტური განვითარებისვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს შეზღუდული საინვესტიციო რესურსი, რომლის გადაწყვეტა განაპირობებს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას და ხელს შეუწყობს რეგიონების საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდას.

მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება ისეთ სფეროები რომლებიც საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე იქნება ორიენტირებული და შესაძლებელი იქნება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი მომგებიანი რეალიზაცია. საინვესტიციო პროექტები უნდა აკმაყოფილებდეს რეგიონების მრავალფეროვან საჭიროებებს. ეს ეხება სოფლის დასახლებებს და მაღალმთიან ადგილებს, აგრეთვე, ტერიტორიებს დევნილთა დიდი რაოდენობის კონცენტრაციით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება პრიორიტეტულ დარგებში ხელს შეუწყობს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, ინვესტიცია, რეგიონი, ეკონომიკა, კონკურენტუნარიანობა.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიო გამოცდილებით, ინვესტიციები ითვლება ბიზნესის გაჯანსაღების ყველაზე ეფექტურ საშუალებად. შედეგად, ქვეყნის მდგრადი განვითარების და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი მონაცემი ეკონომიკაში ინვესტიციების მოცულობა და ხარისხია.

ერთ-ერთი მაჩვენებელი, რომელიც მხედველობაში მიიღება ევროკავშირში გაწევრიანების დროს, არის ამ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდების შესაძლებლობა, მისი უსაფრთხო-ება და განხორციელებული ინვესტიციების შედეგად მიღებული მოგების დაუბრკოლებრივ გატანის შესაძლებლობა.

რეგიონების ეფექტური განვითარებისვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს შეზღუდული საინვესტიციო რესურსი, რომლის გადაწყვეტა განაპირობებს ბიზნესის მოდერნიზაციას, რაც ხელს უწყობს რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდას.

ეკონომიკაში ფინანსური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატს აყალიბებს სახელმწიფოს ნორმატიულ-სამართლებრივი და ეკონომიკური საქმიანობა. პოტენციურ ინვესტორებს უპირველეს ყოვლისა აინტერესებთ კერძო საკუთრების დაცვის გარანტიები. საინვესტიციო პროექტების განხორციელებიდან მიღებული შემოსავლების განკარგვის თავისუფლება, მათ შორის მისი

რეპატრიაციის შესაძლებლობა საზღვარგარეთ.

ცნობილია, რომ ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად ძირითად კაპიტალში ინვესტიციების ზრდის ტემპი უნდა აღემატებოდეს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპს. ამ შემთხვევაში განვითარება უზრუნველყოფილია ინტენსიური ფაქტორების ზემოქმედებით, ძირითადად მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვით.

ასევე ინვესტიციებზე მარეგულირებელი პრაქტიკული ზემოქმედებაა ფინანსური დახმარების გაწევა, რაც ცალკეული რეგიონების, დარგებისა და ბიზნესების განვითარებისთვის დონაციების, სუბსიდიების თუ საბიუჯეტო სესხის გაცემის გზით ხორციელდება.

სახელმწიფო საინვესტიციო რესურსების ობიექტური შეზღუდულობის პირობებში აუცილებელია ინვესტირების სფეროების ოპტიმალური შერჩევა. პრიორიტეტული მიმართულებების დადგენა სახელმწიფოს სამრეწველო-საინვესტიციო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მხარეა.

საჭიროა სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების განსაზღვრა, რომლის საფუძველზეც მოხდება საინვესტიციო პროექტების სიღრმისეული დამუშავება, სადაც გამოიკვეთება პრიორიტეტულ მიმართულებებზე დაყრდნობით თითოეული პროგრამის როგორც ძირითადი მიზნები, ასევე ამ მათ მისაღწევად აუცილებელი ხარჯების მოცულობა, დაფინანსების წყაროები, ფორმები და საბოლოო ჯამში პროგრამის რეალიზაციიდან გამომდინარე მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

მნიშვნელოვანია ასევე, საინვესტიციო ფონდების, სალიზინგო და სადაზღვევო კომპანიების და ბირჟების შექმნისა და განვითარების სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს საინვესტიციო რესურსების მოზიდვას რეგიონებში და აქედან გამომდინარე მრავალფეროვანს გახდის ინვესტიციების განხორციელების ფორმებს, გააუმჯობესებს მათი განაწილებისა და საინვესტიციო ობიექტების შერჩევის პროცედურას.

საინვესტიციო გარემო არის იმ ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ინვესტორების მიერ ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე ახდენენ გავლენას. მათში მოიაზრება პოლიტიკური სტაბულურობა, საინვესტიციო და სახადასახადო პოლიტიკა. კრიმინოგენული სიტუაცია და კორუფციის დონე, საკანონმდებლო ბაზა და თავისუფალი სასამართლო ხელისუფლება, ბიზნესის კეთების სიმარტივე და ა.შ.

აღნიშნული ფაქტორების პარალელურად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მდგომარეობას, როგორებიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაცია, შიდა დანაზოგი, დასაქმება, საგადასახდელო ბალანსი და ა.შ.

ბოლო პერიოდებში, განსაკუთრებით განვითარებად და აზიის ქვეყნებში ჩამოყალიბებული ტენდენცია მეტყველებს, რომ მსოფლიოში უმკაცრესი კონკურენციაა პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. ასეთ პირობებში საქართველომ საჭიროა აამოქმედოს ე.წ. „მიმზიდველობის ცენტრები“ უცხოური ინვესტიციებისთვის, რაც პირველ ყოვლისა გულისხმობს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირებას.

საქართველოს შიდა კაპიტალის ბაზარი ნაკლებად განვითარებელია, პოსტპანდემიური მდგომარეობიდან გამოსვლა და ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება დაფინანსების გარე წყაროებზე განსაკუთრებით კი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე.

უკეთ უნდა გამოვიყენოთ სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობა. ბუნებრივია გლობალური პანდემიის შედეგად, საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინება შენელდა. შედეგად, დასახვეწია ინსტიტუციური რეფორმები, რომლებიც მნიშვნელოვან პერსპექტივებს გახსნის უცხოელი ინვესტორებისათვის.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით უცხოური ინვესტიციების სტრუქტურაში უნდა გაიზარდოს იმ დაბანდებების მოცულობა, რომლებიც წარმოების აღორძინება-განვითარებისაკენ იქნება მიმართული. ახალი საწარმოების შექმნის საკითხში აუცილებელია ინსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზისა და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება, ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესის სრულყოფა და ფინანსური სექტორის გაჯანსაღება.

საინვესტიციო პროცესების სტიმულირების კონკრეტული ნაბიჯებია:

● პროტექციონისტული ტარიფები იმ საქონელზე, რომელსაც აწარმოებს უცხოელი ინვესტორი;

● საინვესტიციო პროექტისათვის საჭირო ძირითადი საშუალებების იმპორტის გადასახადისგან განთავისუფლება;

● საგადასახადო შეღავათები;

● საკანონმდებლო გარანტიები.

ცხრილი 1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021*
სულ	**1 039.2**	**1 837.0**	**1 728.8**	**1 654.0**	**1 980.8**	**1 317.1**	**1 335.8**	**572.0**	**1 152.8**
I კვ	291.8	331.9	343.4	392.9	413.3	329.3	317.2	171.0	132.5
II კვ	224.1	217.6	493.2	452.6	396.6	408.1	241.2	240.3	305.2
III კვ	271.6	749.5	531.1	507.8	635.4	367.2	403.6	294.8	303.8
IV კვ	251.6	538.0	361.0	300.6	535.4	212.4	373.8	-134.2	411.3

სტიმულირების ძირითადი მიმართულებებია: რეგიონულ ბიზნესებში დაბანდებული სახსრების უკუგების ზრდის საფუძველზე ინვესტირების საგარეო და საშინაო წყაროების ოპტიმალური შეთანაწყობა, ქვეყნის შიდა რეზერვების ამოქმედების მეშვეობით საგარეო ვალის მოცულობის შემცირება, ტერიტორიული ბიზნესების განვითარებაზე აღებული სპეციალური პროგრამების დამუშავება, ინვესტორების მოსაზიდად და განსახორციელებლად ხელსაყრელი ფაქტორების შექმნა, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძალზედ მნიშვნელოვანია ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციისა და რეგიონული განვითარებისთვის, რისთვისაც საჭიროა გეოგრაფიულად უფრო დაბალანსებული ინვესტიციების განხორციელება. აღნიშნული მოითხოვს თბილისს გარეთ სტიმულირების ახალი ფაქტორების შექმნას.

თბილისი წარმოადგენს უმსხვილეს მიზიდულობის ცენტრს, იზიდავს რა უცხოური ინვესტიციების 86%-ს, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - 6%-ს. დანარჩენი რეგიონები ინაწილებენ ინვესტიციების 8%-ს, მათ შორის, შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი - 0.16%-ს და კახეთი - 0,12%-ს. ეს რეგიონები ყველაზე მეტად მოწყვლადია.

მიზანშეწონილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება ისეთ ბიზნესებში, რომლებიც საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე იქნება ორიენტირებული და შესაძლებელი იქნება ქვეყნის გარეთ მისი მომგებიანი რეალიზაცია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება პრიორიტეტულ დარგებში ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიზნესების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას.

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით აუცილებელია არსებობდეს მიუკერძოებელი და სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპზე იქნება დაფუძნებული. აღნიშნულ გარემოებას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ასახელებენ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორებიც.

საინვესტიციო პოტენციალის გამორჩეული მახასიათებელია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეყნის სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობა. აღნიშნული მოცემულობის ხელსაყრელად რეალიზაციის მიზნით მნიშვნელოვანია გამართული სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის არსებობა. რეკომენდაციის სახით კი სასურველია საქართველოში აშენდეს ლოჯისტიკური ცენტრი რომელიც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს არა მხოლოდ ინვესტიციების და საწარმოების მოზიდვის თვალსაზრისით, არამედ სატრანზიტო გადაზიდვების კუთხითაც.

მართალია განათლების სისტემის გაუმჯობესება შედარებით გრძელვადიან შედეგებზეა ორიენტირებული, თუმცა მისი რეფორმირებისა და თანამედროვე შრომის ბაზარის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის გარეშე წარმოუდგენელი იქნება საქართველოს სამომავლო საინვესტიციო პერსპექტივების წარმატებული პოზიციონირება. შესაბამისად, განათლების სისტემა მუდმივად უნდა იყოს ორიენტირებული, რომ უზრუნველყოს მომავალი თაობის კვალიფიკაციის მაღალი დონე.

საქართველოს ლიბერალური სავაჭრო რეჟიმები ინვესტორებს ხელსაყრელ პირობებს უქმნის დაუკავშირდნენ არა მარტო ქვეყნის 3.7 მილიონ მოსახლეობას, არამედ უფრო ფართო რეგიონულ ბაზრებს, რაც იმპორტის გადასახდელების მინიმიზაციის შედეგია. სასაზღვრო კონტროლის თვალსაზრისით, საქონლის 80% აღნიშნული გადასახდელებისგან თავისუფლდება რაოდენობრივი შეზღუდვების გარეშე. განბაჟების საშუალო დრო დაახლოებით 20 წუთს შეადგენს.

დღეის მდგომარეობით საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს თურქეთთან და დსთ-ს ყველა ქვეყანასთან, ასევე, ხელმოწერილია ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირთან, მათ შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება.

საქართველომ ხელი მოაწერა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას ევროპის თავისუ-ფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებთან, რის შედეგადაც ქართულ პროდუქტს ევროპის ბაზრებზე უტარიფო წვდომა აქვს.

საქართველო არის შემდეგი ქვეყნების პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი: აშშ, კანადა და იაპონია. მისი ძირითადი არსია ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე.

საქართველომ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს ერთობლივ თავისუფალი ვაჭ-რობის შეთანხმებას. გარდა ამისა, 2000 წლიდან საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია.

ინვესტიციების ზრდის მიზნით ოთხი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა - ფოთში, ქუთაისში (2 თავისუფალი ზონა) და თბილისში ჩამოყალიბდა, რომლებიც ქართველ ისე უცხოელ ინვესტორებს მნიშვნელოვან ინიციატივებს სთავაზობენ, რათა მოხდეს ბიზნესების წახალისება შექმნან კომპანიები აღნიშნულ ზონებში და შესაბამისად სამუშაო ადგილები.

რეგიონების ფისკალურ პოლიტიკაში მასტიმულირებელი როლის წინა პლანზე წამოწევა, გაამყარებს საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობას და მათ ინვესტიციურ აქტიურობას შეუწყობს ხელს. აქტუალურია ინვესტიციების განხორციელებას ისეთ სფეროებში, რომელიც დიდი რაოდენობით სამუშაო ძალას მოითხოვს მათ შორისაა: საწარმოო ბიზნესები, სამშენებლო, სატრანსპორტო სექტორები, სასტუმროები და რესტორნები და ა. შ. ამისათვის უნდა წახალისდეს ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა:

- პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის მიმართულების ფარგლებში დაინტერესებული მეწარმეებისთვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემა გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებებით;

- თბილისისა და ბათუმის გარდა საქართველოს ყველა რეგიონში სასტუმროების ინდუსტრიაში ჩართული მეწარმეების მხარდაჭერა. ტექნიკური და ფინანსური დახმარება - ფრენჩაიზი/მენეჯმენტის კონტრაქტების თანადაფინანსება და საერთაშორისო ბრენდის სასტუმროების განვითარება, სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება;

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა და პოტენციური უცხოელი ინვესტორების მხარდაჭერა სსიპ „აწარმოე საქართველოში“ საინვესტიციო მიმართულების მიერ.

სახელმწიფო საინვესტიციო პროექტები უნდა პასუხობდეს რეგიონული განვითარების პოლიტიკას და ხელს უწყობდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის აუცილებელი საბაზისო ინფრასტრუქტურის თანმიმდევრულ შექმნა-გაუმჯობესებას.

ინტეგრირებული ტერიტორიული საინვესტიციო ღონისძიებები უნდა აკმაყოფილებდეს სხვა-დასხვა ტერიტორიების განსხვავებულ და მრავალფეროვან საჭიროებებს. აღნიშნული ეხება ასევე სოფლის დასახლებებს და მაღალმთიან რეგიონებს, აგრეთვე ტერიტორიებს დევნილთა დიდი რაოდენობის კონცენტრაციით.

რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების ჩარჩო საფუძველი უნდა იყოს პარტნი-ორობა და გაძლიერებული კოორდინაცია. მიზანშეწონილია თანდათანობით დაიხვეწოს სპეციფიური პროექტების შერჩევის ინსტრუმენტები, რათა ისინი შესაბამისობაში იყოს პროგრამის საერთო ხედვასთან. ამისათვის საჭიროა:

1. სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დინამიურ საერთაშორისო კონტექსტში საქართვე-ლოს შედარებითი უპირატესობების სისტემური გამოყენების, მმართველობის სხვადასხვა დონეზე

შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების პოტენციალის გამოყენებისა და განვითარების ხელშემშლელი ბარიერების აღმოფხვრის გზით.

2. ინფრასტრუქტურის, ენერგო და საკომუნიკაციო ქსელებისა და კომუნალური მომსახურების მდგრადი განვითარება, რეაბილიტაცია და გაფართოება უსაფრთხო გზებით.

3. სოციალური და ტერიტორიული უთანაბრობების დაძლევის ხელშეწყობა - თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ყველა მოქალაქისათვის, მათი სოციალური კუთვნილებისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

დასკვნა

აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ტერიტორიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, შექმნის მასტიმულირებელ პირობებს ინვესტიციების მოზიდვისთვის ბიზნესის ისეთ სფეროებში, რომლებიც განაპირობებს რეგიონების დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ამ მხრივ ყველაზე პერსპექტიული დარგებია: ტურიზმი, ენერგეტიკა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., აბრალავა ა., მარიდაშვილი მ.,, ინვესტიციების მართვა და მისი სრულყოფის მექანიზმები (სახელმძღვანელო),თბ.,2018.- 343გვ.

2. მესხი ი., უცხოური ინვესტიციები და შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია საქართველოში, დსერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად,ბათუმი 2019.-200გვ.

3. ქოქიაური ლ., ინვესტირების საფუძვლები (მე-3 გამოცემა),თბ., 2012.-765 გვ.

4. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021, 2017.-156გვ.

5. https://www.geostat.ge/regions/

6.https://studme.org/278777/menedzhment/napravleniya_gosudarstvennoy_podderzhki_stimulirovaniya_investitsionnoy_deyatelnosti

Important aspects of stimulating investment processes in the regions

Ramaz Otinashvili
Professor of Georgian Technical University

Khvicha Sharashidze
PhD student at the Georgian Technical University

Varaz Bedinashvili
PhD student at the Georgian Technical University

Summary

Investments are considered to be the most effective means of business recovery. A favorable investment climate for financial investments in the economy is formed by the normative-legal and economic activity of the state. It is known that in order to ensure the sustainable development of the economy, the growth rate of investments in basic capital should exceed the growth rate of the country's gross domestic product. In this case, development is ensured under the influence of intensive factors.

Foreign direct investment is very important for the structural transformation of the economy and regional development, which requires geographically balanced investments. This requires the creation of new stimulating factors outside Tbilisi.

One of the important challenges for the effective development of the regions is limited investment resources, the solution of which will contribute to the development of local businesses and increase the investment attractiveness of the region.

It is important to invest foreign direct investments in areas that will be focused on the production of export products and it will be possible to sell it profitably outside the country. Investment projects must meet the diverse needs of the region. This also applies to rural settlements and mountainous regions, as well as settlements with a large concentration of refugees.

Foreign direct investments in priority sectors will contribute to increasing the competitiveness of the regions and improving the welfare of the population.

მეცნიერება, როგორც სისტემური კრიზისის დაძლევის მძლავრი ინსტრუმენტი

რაქვიაშვილი ანა
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატია ეხება თანამედროვე საქართველოში მეცნიერების სტატუსის, დაფინანსების, განვითარების უზრუნველყოფის პრობლემებს. აღნიშნულია, რომ ბოლო დროს შეინიშნება კვლევების (განსაკუთრებით ფუნდამენტურის) ღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება, მცირდება ქართველი მეცნიერების, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტების ავტორიტეტი. წარმოდგენილია ობიექტური მონაცემები, რომლებიც მოწმობს საზოგადოებაში მეცნიერებისა და განათლების პრესტიჟის დაქვეითებას, მეცნიერთა უკიდურესად დაბალ ხელფასს და მათ მასობრივ ემიგრაციას. სტატიაში ხაზგასმულია ეკონომიკის მოდერნიზაციის შეუძლებლობა მეცნიერებისა და განათლების სფეროში სიტუაციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გარეშე, ასევე ქართული მეცნიერების დასავლური მოდელის მიხედვით რეფორმირების შემოთავაზებული ღონისძიებების არაეფექტურობას.

ავტორის აზრით, თანამედროვე სამყაროს ახასიათებს სირთულე, ცვალებადობა, გაურკვევლობა, მრავალვარიანტულობა, არასტაბილურობა, ცვლილებათა ტემპების მატება, ხოლო ბოლო წლებში ამ ღრმა ცვლილებების ჩამონათვალს დაემატა უპრეცედენტო გლობალური სისტემური ინტეგრირებული ფინანსური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სულიერი კრიზისი, რომელმაც ამა თუ იმ ხარისხით მოიცვა მსოფლიოს ყველა ქვეყანა. იგი თვლის, რომ მომავალი წლები იქნება გადამწყვეტი და, შესაძლოა, გარდამტეხიც კი, არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ პრაქტიკულად მთელი მსოფლიოსთვის, რომელიც შედის კარდინალური ცვლილებების და შესაძლო აჯანყებების ეპოქაში.

შედეგად ავტორი ასკვნის, რომ ამ პირობებში მეცნიერების როლი ადამიანთა საზოგადოების შემდგომ განვითარებაში განუზომლად იზრდება. თანამედროვე მეცნიერების ამოცანა - ფუნდამენტური, კონკრეტული, დარგობრივი და გამოყენებითი - არის სამყაროს ახლებურად ახსნა ამ ფუნდამენტური ცვლილებების გათვალისწინებით. ავტორი თვლის, რომ დღეს, როგორც არასდროს, აქტუალურია დიდი ქართველი მეცნიერის, პ. გუგუშვილის სიტყვები იმის შესახებ, რომ ქვეყნის რადიკალური რეორგანიზაცია მეცნიერულ აზროვნებას უნდა ეფუძნებოდეს. ახალი გზების ძიება - ეს არის წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობა.

საკვანძო სიტყვები*:* სისტემური ტრანსფორმაცია, მეცნიერების პრივატიზაცია, მერიტორული სიკეთე, ინტელექტუალიზაციის სტრატეგია.

ძირითადი ტექსტი

საქართველო, ისევე როგორც მთელი თანამედროვე სამყარო, სისტემური ტრანსფორმაციის მძიმე პირობებშია და ეს პროცესი, როგორც ჩანს, ხვალ და ზეგ არ დასრულდება. მიუხედავად ამისა, ახალი ცივილიზაციისკენ, ნეო-ეკონომიკისკენ, ადამიანის კეთილდღეობისკენ გადასვლის შანსები რჩება. ერთ-ერთ ასეთ შანსს, პირველ რიგში, შეიძლება ეწოდოს მეცნიერება.

შედეგები და მათი განსჯა. თანამედროვე სამყაროს ახასიათებს სირთულე, ცვალებადობა, გაურკვევლობა, მრავალვარიანტულობა, არასტაბილურობა, ცვლილებათა ტემპების მატება და ა.შ. ბოლო წლებში ამ ღრმა ცვლილებების ჩამონათვალს დაემატა უპრეცედენტო გლობალური სისტემური ინტეგრირებული ფინანსური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სულიერი კრიზისი, რომელმაც ამა თუ იმ ხარისხით მოიცვა მსოფლიოს ყველა ქვეყანა. მომავალი წლები იქნება გადამწყვეტი და, შესაძლოა, გარდამტეხი მომენტიც კი, და არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ პრაქტიკულად მთელი მსოფლიოსთვის, რომელიც შედის კარდინალური ცვლილებების და შესაძლო აჯანყებების ეპოქაშიც კი. [1]

ამ პირობებში მეცნიერების როლი ადამიანთა საზოგადოების შემდგომ განვითარებაში განუზომლად იზრდება. თანამედროვე მეცნიერების ამოცანა - ფუნდამენტური, კონკრეტული, დარგობრივი და გამოყენებითი - არის სამყაროს ახლებურად ახსნა ამ ფუნდამენტური ცვლილებების გათვალისწინებით. დღეს, როგორც არასდროს, აქტუალურია დიდი ქართველი მეცნიერის, პ.

გუგუშვილის სიტყვები იმის შესახებ, რომ ქვეყნის რადიკალური რეორგანიზაცია მეცნიერულ აზროვნებას უნდა ეფუძნებოდეს; გაბედული, ღრმა, თავისუფალი, ახალი გზების ძიება - ეს არის წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობა. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, მეცნიერების პრესტიჟი უნდა გაიზარდოს მსოფლიო საზოგადოებაში, პოლიტიკურ და ბიზნეს წრეებში და მთლიანად საზოგადოებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში, პირიქით, ხდება მისი მნიშვნელობის შეუფასებლობა.

მაგალითად: XXI საუკუნის ეკონომიკური მეცნიერება (ცივილიზაციების მიჯნაზე) მრავალმხრივი, მრავალშრიანი და არასტაბილურია. მას ახასიათებს არა მხოლოდ ყოფილი კერპების პრესტიჟის კატასტროფული დაცემა, არამედ ნეოლიბერალური თეორიის კრახიც. იმაზე, რომ საქართველოში საბაზრო რეფორმები არახელსაყრელი სცენარით წარიმართა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რადიკალური ლიბერალიზმის იდეოლოგიამ, რომლის თეორიული წარუმატებლობა კარგად არის ცნობილი სპეციალისტებისთვის და არაერთხელ დადასტურდა პრაქტიკაში. [2]

ცნობილია, რომ ნებისმიერი დროის ნებისმიერი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებები სწორედ მეცნიერებასა და განათლებასთან არის დაკავშირებული. მაგრამ საქართველოს სახელმწიფო დონეზე, ბოლო 30 წლის განმავლობაში მათ მიმართ ყურადღება კატასტროფულად მცირე იყო. საგრძნობლად შემცირდა ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების დაფინანსება. თუ ადრე ქვეყანა იყო მსოფლიო ლიდერებს შორის R&D ხარჯების თვალსაზრისით (მშპ-ს დაახლოებით 5%), ქონდა ათობით კვლევითი ინსტიტუტი 150 ათასი მეცნიერი, 1991 წლის შემდეგ საპროექტო ინსტიტუტებისა და საპროექტო ბიუროების წილი, რომლებიც დაკავებულნი არიან R&D-ით, უპრეცედენტოდ შემცირდა. რაც შეეხება მეცნიერთა რაოდენობას, 90-იანი წლებამდე მაჩვენებლის 30% - საც კი არ შეადგენს.

დღეს საქართველოში ეკონომიკაში დასაქმებულია 0,7 მეცნიერი ყოველ 1000 ადამიანზე (OECD-ის მონაცემებით), რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია ფინეთის (15,4), იაპონიის (11,0), აშშ (9,7), სამხრეთ კორეის (9,5), საფრანგეთისა (8.3) და სხვა ქვეყნების მაჩვენებლებზე.

უახლესი დროის ქართული რეფორმები ეფუძნებოდა ნეოლიბერალურ ეკონომიკურ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს ნებისმიერი ჩარევა ეკონომიკაში იწვევს უარყოფით შედეგებს და მეცნიერება არ განიხილებოდა როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფაქტორი და შანსი. ამ თეზისზე დაყრდნობით მოხდა დარგობრივი მეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილის პრივატიზება, რომელიც შემდგომში თითქმის მთლიანად გაქრა. ქართულ მეცნიერების დენაციონალიზაციამ გამოიწვია მთელი სამეცნიერო სკოლების დაკარგვა, მეცნიერებაზე დანახარჯები კრიტიკულ დონეზე 4-ჯერ ნაკლები აღმოჩნდა, მეცნიერების დაფინანსება 25-ჯერ ნაკლები იყო, ხოლო ექსპერიმენტული მეცნიერების აღჭურვილობით უზრუნველყოფა 80-ჯერ ნაკლები, ვიდრე მოწინავე ქვეყნების საშუალო მაჩნებელები.

განვითარებად მულტიპოლარულ სამყაროში დღეს ჩნდება მეცნიერული პროგრესის ოთხი ძირითადი ცენტრი: შეერთებული შტატები (35% გლობალური დანახარჯების R&D-ზე მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტში), ევროკავშირი (24%), იაპონია და ჩინეთი (თითოეული დაახლოებით 12%). სამწუხაროდ, საქართველო მოწინავე ქვეყნების ჯგუფში არც კი განიხილება, მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით გლობალური კვლევისა და განვითარების ხარჯები 2%-ზე ნაკლებს შეადგენს, ხოლო გაცვლითი კურსის მიხედვით 1%-ს. ამგვარად, საქართველო აშშ-ს ჩამორჩება კვლევისა და განვითარების კუთხით 17-ჯერ, ევროკავშირს 12-ჯერ, ჩინეთს 6,4-ჯერ და ინდოეთს 1,5-ჯერ. გასულ ათწლეულში ჩინეთმა მიაღწია მე-3 ადგილს მსოფლიოში R&D ხარჯების მხრივ, მალე იაპონიას მეორე ადგილიდან ჩაანაცვლებს და 2020-იან წლებში აშშ-ს გაუტოლდება. [3]

ბოლო წლებში საქართველოში პოზიტიური ცვლილებები მოხდა: სახელმწიფომ ყოველწლიურად სულ უფრო მეტი თანხების გამოყოფა დაიწყო მეცნიერებისთვის. მაგალითად 2018 წელს - 149,4 მილიონი ლარი; 2019 წელს - 170,4 მილიონი ლარი; 2020 წელს, კოვიდის პირობებში კი - 104,7 მილიონი ლარი. 2005 წელთან შედარებით, მეცნიერთა დაფინანსება გაიზარდა 2,6-ჯერ, ხოლო 1999 წელთან შედარებით - 10-ჯერ.[1] ამის მიუხედავად, მეცნიერების მდგომარეობა არასასურველია, რადგან შიდა ხარჯები წელიწადში ერთ მკვლევარზე საქართველოში შეადგენს 5 ათას ლარს, მაშინ როდესაც

[1] საქსტატი, მეცნიერება და განათლება https://www.geostat.ge/ka/modules/categories/194/metsniereba

იაპონიაში ეს მაჩვენებელი - 200 ათას დოლარს, ხოლო აშშ-ში - თითქმის 280 ათას დოლარს შეადგენს.

ზოგადად, კვლევისა და განვითარების საბიუჯეტო დაფინანსების შედარებითი ზრდის მიუხედავად, ძირითადი კვლევების მშპ-ს სტრუქტურაში წილის მიხედვით (0,02 %), საქართველო დაახლოებით ოცდაათჯერ ჩამორჩება შეერთებულ შტატებს, საფრანგეთსა და იაპონიას, სადაც ეს მაჩვენებელი დაახლოებით 0,5-ია.

საქართველოს მეცნიერების მიერ გამოშვებული პუბლიკაციები ტოპ რეიტინგულ ორგანიზაციებს შორის და ჯერ ჯერობით არ იკავებს ლიდერ ადგილებს ციტირების ინდექსებით ფიზიკაში, ქიმიაში, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში, მატერიალურ მეცნიერებაში და მათემატიკაში. ქვეყნის მკვლევართა 25--დან 40%-მდე პუბლიკაციების ციტირება ხდება საერთაშორისო მეცნიერულ ბაზებში. მეცნიერების აკადემიური სექტორი დღეს მსოფლიოში მეცნიერების ორგანიზაციის ყველაზე ეფექტურ ფორმად ითვლება. კრიზისის დროს განვითარებულმა ქვეყნებმა - აშშ-მ, საფრანგეთმა და ა.შ. - მკვეთრად გაზარდეს ფუნდამენტური მეცნიერების დაფინანსების მოცულობა.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების სანედლეულო მოდელი უფრო მეტად მსოფლიო ბაზარზე ინოვაციების შემენაზეა ორიენტირებული. ეს ირიბად აისახება მეცნიერებისა და განათლების დონის შემცირებაზე, წარმოების ტექნიკური განახლების მასშტაბების სიმცირეზე, ფუნდამენტური მეცნიერების უზარმაზარი მემკვიდრეობისა და საინჟინრო სკოლების განვითარების შენელებაზე, სამეცნიერო პერსონალის მომზადების სტაგნაციაზე და ა. შ. შედეგად, მეცნიერება არ არის პრესტიჟული საქმიანობის სფერო საქართველოში. საქართველოში ჩატარებული ექსპრეს-გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 1% სცემს პატივს მეცნიერის პროფესიას, მაშინ როდესაც აშშ-ში ეს მაჩვენებლი 56%-ს შეადგენს.

საქართველოში ფსევდომეცნიერების, პარანორმალური შეხედულებებისა და კორუფციის გავრცელება ასევე აფერხებს მეცნიერებისადმი პატივისცემის ზრდას. ეს ყველაფერი იქცევა ბოროტებად, რაც აქვეითებს ჩვენი ქვეყნის ცივილიზაციის დონეს მსოფლიოს სხვა ხალხების თვალში. მეცნიერების ეს მდგომარეობა საქართველოში გამოწვეულია კონკრეტული მიზეზებით.

პირველ, მთავარ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ სახელმწიფო სახსრების განაწილების საშინელი არაეფექტიანობა ეკონომიკური საქმიანობის დარგებისა და სფეროების მიხედვით, რასაც მოწმობს მეცნიერთა, პროფესორთა, ასოცირებულ პროფესორთა და მეცნიერებისა და განათლების სფეროს ყველა თანამშრომლის ფინანსური მდგომარეობა. მეცნიერთა საშუალო ხელფასები დღეს 500 დოლარია, მაშინ როცა აშშ-ში მკვლევარის საშუალო ხელფასი 5-7 ათასი დოლარს შეადგენს, ამასთან, განათლების სამინისტროს თანამდებობის პირთა საშუალო ხელფასები 3-ჯერ აღემატება ხელფასებს საჯარო სამსახურებში.

მეორე მიზეზი არის გაუგებრობა, რომ მეცნიერება (განსაკუთრებით ფუნდამენტური მეცნიერება) არის მერიტორული (მცველი) სიკეთე, ე.ი. საქონელი, რომლის მოთხოვნაც კერძო პირების მხრიდან (არასაკმარისი ინფორმირებულობის, გაგების სირთულის, გამოყენების სუსტი მოტივაციის გამო) ჩამორჩება საზოგადოებისთვის სასურველს და ამიტომ უნდა მოხდეს მისი მოხმარების სტიმულირება, დაფინანსება, წახალისება სახელმწიფოს მიერ. პირველი ადგილი (სახელმწიფო - მერიტორია).

მესამე მიზეზი არის მოსახლეობის ზოგჯერ გადაჭარბებული მოლოდინების არასაკმარისი კმაყოფილება მეცნიერების განვითარების დონით, განსაკუთრებით ისეთ რადიკალურად ცვალებად პირობებში, რომელიც გართულებულია ცვლილების ტემპის ზრდით. საზოგადოებას უფლება აქვს მეცნიერებისგან ელოდოს რეკომენდაციებს არა ზოგადი თეორიების, არამედ რეალური გამოყენებითი კონცეფციებისა და მოდელების სახით, რომელიც არ არსებობს მრავალი მიზეზის გამო (მონაცემების შეგნებული დამალვა, ცვლილებების დაჩქარება, კორუფცია და ა.შ.).

მეცნიერება დღეს ხაზს უსვამს თანამედროვე ადამიანის ინტელექტის შემდეგ მახასიათებლებს:

- მოწესრიგებულობა (კარგად ათვისებული ერთი პროფესია);
- კრეატიულობა (ახალი იდეების უნარი);
- ინტეგრირებულობა (ახალი პროფესიების, სხვა მეცნიერებების უნარი);
- სხვების პატივისცემა (სხვა შეხედულებები, პოზიციები, ცნებები);
- ეთიკურობა.

ზოგადად, კაცობრიობა, როგორც სახეობა, ვითარდება და აგროვებს ცოდნას. ეს რის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მამოძრავებელი ძალა. მაგრამ ამავე დროს, ინდივიდის შესაძლებლობები კლებულობს და ინტელექტი უარესდება.

დღეს ქართული განათლება გადატვირთულია დასავლური მოდელის რეფორმებით, მაგრამ ჩვენი აზრით საჭიროა არა რეფორმა, არამედ მოდერნიზაცია, ე.ი. განათლების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი მოდელის ჩამოყალიბება, ქვეყნის მოდერნიზაცია ჩვენი ისტორიული გამოცდილების სპეციფიკისა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინებით.

დასკვნა

მეცნიერებაზე დაფუძნებული სტრატეგიული დაგეგმვის ნაკლებობა, კადრების პრობლემა და განათლების დონის ზოგადი ვარდნა დაკავშირებულია მეცნიერებისადმი, როგორც რაიმე მეორეხარისხოვანისადმი, დამოკიდებულებასთან. ახალგაზრდა მეცნიერთა რაოდენობის შემცირება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საქართველოს მეცნიერების მომავალს და ჩვენს ღირსეულ ადგილს გლობალიზებულ სამყაროში. ასე რომ, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მთავარი დასკვნა შემდეგია: თუ ჩვენს ქვეყანაში შეიცვალა დამოკიდებულება მეცნიერების მიმართ სახელმწიფოს, ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, მაშინ, უცვლელად, მეცნიერება და განათლება შეიძლება გახდეს ყველაზე მნიშვნელოვანი. ესაა თანამედროვე ტურბულენტური სამყაროდან გასვლისა და ახალ, უფრო ინტელექტუალურ პოსტინდუსტრიულ ცივილიზაციად ქცევის შანსი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Atkinson J.H., at al (2019). Current Trends in Cost of Quality (Montvale, NJ, National Association of Accountants Publication № 91259
2. A complation of federal education laws. Volue III – Higher education. Wash., 2015.
3. Constructing Knowledge Societies: New Challenges for Tertiary Education. The World Bank:Washington: D. C., 2012. 204 p.
4. Higher Education in The World 2007, Accreditation for the Quality Assurance: What is at Stake?, Global University Network for Innovation (GUNI). P. 1-79.
5. Krause D. & Frank M. Gryna (2016). Assessing the Cost of Poor Quality in a Small Business. The University of Tampa College of Business-Report № 902
6. Salmi J. (2021). Facing the Challenges of the Twenty-First Century // Intern. Higher Education (USA). № 19. P. 2–3.
7. Strategic Thinking & Planning - Strategic Skills Development https://www.strategyskills.com/solutions/strategic-coaching-counsel/?gclid=EAIaIQobChMI0o2D58qU8QIVBZeyCh0jTgMFEAAYASAAEgJyV_D _BwE.
8. The List of University strategies. https://www.governance.cam.ac.uk/Pages/University-strategies.aspx
9. Thompson A.A. Jr. & Stricklend A. J. (2013). III. Strategic Management. Concepts & Cases. IRWIN. 7th edition.
10. Zelvys R. (2000) Managing Education in a Period of Change. ELI Publishing: Oslo, 116p.

Science, as a Powerful Tool for Overcoming the Systemic Crisis

Ana Rakviashvili
The Doctoral Student of Caucasus International University

Summary

The article deals with the problems of ensuring the status, funding, and development of science in modern Georgia. Recently there has been a significant reduction in the cost of research (especially fundamental), reducing the authority of Georgian science, scientific organizations, and universities. Aim data are presented, which testify to the decline of the prestige of science and education in the society, the extremely low salaries of scientists, and their mass emigration. The article emphasizes the impossibility of modernizing the economy without significantly improving the situation in science and education, as well as the ineffectiveness of the proposed reform measures according to the Western model of Georgian science.

According to the author, the modern world is characterized by complexity, variability, uncertainty, variability, instability, increasing pace of change, and in recent years the list of these profound changes has been supplemented by an unprecedented global systemic, integrated financial, economic, ecological and spiritual crisis. . He believes that the coming years will be crucial and perhaps even turning, not only for us but for virtually the entire world, which is entering an era of cardinal change and uprisings.

As a result, the author concludes that under these conditions the role of science in the further development of human society grows immeasurably. Modern science - fundamental, concrete, sectoral, and applied - is to re-explain the world considering these fundamental changes. The author believes that today, as never before, the great Georgian scientist, P. Gugushvili's words that the radical reorganization of the country should be based on scientific thinking. Finding new ways is one of the keys to success.

Keywords: Systemic transformation, privatization of science, merit goods, intellectualization strategy.

შშმ პირების სპორტის მენეჯმენტი საქართველოში

რევაზიშვილი რევაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომი განხილულია შშმ პირების სპორტის როლი შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის საქმეში. ნაჩვენებია, რომ სპორტული საქმიანობა შშმ პირთა საზოგადოების ცხოვრებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის ერთ-ერთი უმძლავრესი საშუალებაა. შშმ პირთა მონაწილეობა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში არა მხოლოდ მკურნალობისა და რეაბილიტაციის საშუალებაა, არამედ აუცილებელი პირობაა თვითშეფასების ამაღლებისთვის, საკუთარი თავის, როგორც საზოგადოების პოტენციურად სასარგებლო წევრის გაცნობიერებისთვის. შშმ პირისთვის თითოეული ვარჯიში არის არა მხოლოდ გამარჯვება, ძალების ფიზიკური აღდგენა, არამედ სიხარულის წყაროც. სპორტი სასარგებლო და მნიშვნელოვანია ნებისმიერი ადამიანისთვის, მაგრამ შშმ პირებისთვის სპორტს სრულიად გაანსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი აყალიბებს შშმ პირის ცხოვრებისეული სიხარულისა და კმაყოფილების გამოხატვის აუცილებლობას; გააანალიზებულია შშმ პირთა სპორტის ორგანიზების საკითხები. განხილულია პარალიმპიური მოძრაობის მნიშვნლობა და საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის საქმიანობა. კომიტეტის მიზანია, საქართველოში პარალიმპიური სპორტის სახეების განვითარება და მოძრაობის პოპულარიზაცია, შშმ პირთათვის სპორტში მონაწილეობის ხელმისაწვდომობა და სპორტულ მოღვაწეობაში ჩართულობით საზოგადოებაში ინტეგრაცია. დღეს პარალიმპიური მოძრაობა საქართველოში წარმოდგენილია 19 სახეობითა და 300 პარასპორტსმენით. საქართველოს პარასპორტსმენებმა 100 ზე მეტი მაღალი სინჯის მედლები მოიპოვეს, მათ შორის არიან მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები, პრიზიორები, მსოფლიო თასის გათამაშებების ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მფლობელები არაერთ სახეობაში. ეს ყოველივე სტიმულს აძლევს შშმ პირებს უფრო აქტიურად დაკავდნენ სპორტით, რითაც ისინი იბრუნებენ სიცოცხლის ხალისს და მნიშვნელოვან წარმატებას აღწევენ სოციალური ინტეგრაციის გზაზე.

საკვანძო სიტყვები: შშმ პირები, შშმ პირების სპორტი, შშმ პირის საკუთარი „მე“, შშმ პირთა სპორტის ორგანიზება, პარალიმპიური მოძრაობა, სოციალური ინტეგრაცია.

ძირითადი ტექსტი

ქვეყნის ცივილიზებულობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების უფლებების დაცვის მდგომარეობა. შშმ პირები როგორც მსოფლიოში ისე საქართველოშიც სოციალურად და უფლებრივად დაუცველთა ერთ-ერთ დიდ ჯგუფს წარმოადგენენ. შშმ პირთა ინტეგრაცია საზოგადოებაში, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, განათლების და სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საქართველოში.

შშმ პირის მდგომარეობა იწვევს ორგანიზმში მუდმივ ცვლილებებს, ფიზიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური ბარიერების გაჩენას ცხოვრების ღირსეული დონისა და ხარისხის მისაღწევად. შშმ პირებთან მიმართებაში საზოგადოების შეხედულებების ჰარმონიზაციის თანამედროვე ტენდენციებმა განაპირობა სარეაბილიტაციო პრაქტიკის სოციალიზაციის მნიშვნელობის ზრდა. ამ საქმიანობის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა ფიზიკური კულტურა და სპორტი. შშმ პირთა მონაწილეობა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში არა მხოლოდ მკურნალობისა და რეაბილიტაციის საშუალებაა, არამედ აუცილებელი პირობაა საკუთარი თვითშეფასების ამაღლებისთვის, საკუთარი თავის, როგორც საზოგადოების პოტენციურად სასარგებლო წევრის ცნობიერებისთვის. ასევე მთლიანობაში შშმ პირთათვის ღირსეული დონისა და ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფა. შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციისთვის სერიოზული როლი ენიჭება შშმ პირთა სპორტს.

სპორტის როლი შშმ პირთა ცხოვრებაში

სპორტსა და ფიზიკურ აქტიურობას მრავალმხრივ დადებით გავლენა აქვს შშმ პირთა ცხოვრებაზე. ერთ-ერთი პირველია - თერაპიული ღირებულება. ფიზიკური აღზრდა და სპორტი არის თერაპიული ვარჯიშის ბუნებრივი ფორმა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ჩვეულებრივი ფიზიკური რეაბილიტაციის მეთოდების დანამატი. ძნელია მათი მნიშვნელობის გადაჭარბება შშმ პირის ძალის აღდგენისთვის, მათი ქმედებების კოორდინაციის უნარის, სიჩქარისა და გამძლეობის განვითარებისთვის;

სპორტს აქვს აგრეთვე სერიოზული ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. შშმ პირისთვის თითოეული ვარჯიში არის არა მხოლოდ გამარჯვება, ძალების ფიზიკური აღდგენა, არამედ სიხარულის წყაროც. სპორტს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს ფორმალურ ვარჯიშთან შედარებით - ის რელაქსაციის ფაქტორია. სპორტი, როგორც სათამაშო აქტივობის მაგალითი, აყალიბებს ყოველი ადამიანისათვის დამახასიათებელი ცხოვრებისეული სიხარულისა და კმაყოფილების გამოხატვის აუცილებლობას; ასევე სერიოზულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სოციალური მნიშვნელობა. ეს არის შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის საშუალება, ძლიერი სტიმული აღადგინოს ან დაამყაროს კონტაქტი გარე სამყაროსთან, რაც ხელს უწყობს მათ საზოგადოების თანასწორ მოქალაქეებად აღიარებას.

შშმ პირთა სპორტული ცხოვრება საკმაოდ მრავალფეროვანია. პრაქტიკულად არ არსებობს სპორტი, რომელიც მათთვის მიუწვდომელია. ისინი დაკავებულნი არიან მშვილდოსნობით, მძლეოსნობაში, ველოსიპედით, ფარიკაობაში, ძიუდოში, ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ცურვაში, მაგიდის ჩოგბურთში, რაგბიში, თხილამურებით სრიალში, ჰოკეიში. რა თქმა უნდა, ყველა შშმ სპორტსმენი არ ხდება ჩემპიონი. მათთვის მთავარია არა გამარჯვება, არამედ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა, რაც შშმ პირთა ხარისხის ამაღლებისა და სრულფასოვანი აქტიური ცხოვრების აღდგენის ეფექტური საშუალებაა.ამიტომ შშმ პირთა ჩართვა სპორტსა და ფიზიკურ აღზრდაში განიხილება შშმ პირთა „სოციალიზაციის“ ერთ-ერთ ფაქტორად.

სხვადასხვა ქვეყანაში შშმ პირთა სპორტის ორგანიზების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს პროცესი რამდენიმე ეტაპს გადის. უპირველეს ყოვლისა, ეს არის შშმ სპორტის, როგორც ზოგადი სპორტული მოძრაობის თანაბარ კომპონენტად აღიარების ეტაპი. დღეს ქვეყანაში არის 12 ეტლით მოსარგებლეთა სპორტული ფედერაცია, 15-ზე მეტი კლუბი. საქართველოში დაახლოებით 500 შშმ პირი არის აქტიური სპორტით დაკავებული. ყველაზე დიდი უპირატესობა ენიჭება შემდეგ სახეობებს: მძლეოსნობა, ცურვა, მშვილდოსნობა, მინი ფეხბურთი, ჭადრაკი, შაში, ეტლით ცეკვა, ველოსიპედი, თხილამურებით სრიალი, ძიუდო, ფარიკაობა და ა.შ.

შშმ პირთა სპორტის განვითარების შემდეგი ეტაპი არის მწვრთნელებისა და სამედიცინო პერსონალის მომზადება შშმ სპორტსმენებთან მუშაობისთვის. ასევე მნიშვნელოვანია სასწავლო მუშაობის სპეციალური მეთოდების შემუშავება და გამოყენება, ფსიქოლოგიური მომზადების ორიგინალური კრიტერიუმების შემუშავება. საქართველოში ამ მიმართულებით განსაკუთრებული როლი ეკუთვნის საქართველოს პარალიმპიურ კომიტეტს.

პარალიმპიური მოძრაობა

სპორტული საქმიანობა შშმ პირთა საზოგადოების ცხოვრებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის ერთ-ერთი უმძლავრესი საშუალებაა. ამ თვალსაზრისიზთ საქართველოში საკმაოდ იმედის მომცემი მდგომარეობაა, რაშიც სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის შესაბამისად სხვადასხვა სახის ხელშეწყობასთან ერთად, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს საქართველოს პარალიმპიური კომიტეტი. პარალიმპიურ მოძრაობას საფუძველი დიდ ბრიტანეთში ჩაეყარა, მეორე მსოფლიო ომის სპინალური დაზიანების მქონე ვეტერანთა სოციალური რეაბილიტაციისათვის. მას მერე დღემდე, პარასპორტმა განვითარების უმაღლეს ეტაპებს მიაღწია

საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი დაფუძნდა 2003 წ-ს. კომიტეტის მიზანია, საქართველოში პარალიმპიური სპორტის სახეების განვითარება და მოძრაობის პოპულარიზაცია, შშმ პირთათვის სპორტში მონაწილეობის ხელმისაწვდომობა და სპორტულ მოღვაწეობაში ჩართულობით საზოგადოებაში ინტეგრაცია. არის წევრი საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტის (IPC), ეტლით მოსარგებლეთა და ეტლით მოსარგებლეთა და ამპუტანტთა სპორტის საერთაშორისო ფედერაციის

(IWAS), უსინათლოთა სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (IBSA), ეტლით მოსარგებლეთა რაგბის საერთაშორისო ფედერაციის (IWRF), მჯდომარე ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების.

2003 წლიდან დღემდე, პარალიმპიურმა კომიტეტმა განვითარების სერიოზული ეტაპები გაიარა დაწყებული 1-2 პარასპორტსმენით და 2 პარასპორტის სახეობით, დღეის ანგარიშით 16 სახეობითა და 345 პარასპორტსმენით. საქართველოში ამჟამად პარასპორტის მრავალი სახეობაა განვითარებული: ეტლით ფარიკაობა, უსინათლოთა ფეხბურთი, ძიუდო, წოლჭიმი, მშვილდოსნობა, ეტლით მოსარგებლეთა ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ეტლით მოსარგებლეთა კალათბურთი, მჯდომარე ფრენბურთი, მძლეოსნობა, სროლა, ტაეკვონდო, ბოჩა (Boccia), ზამთრის სახეობები, ბადმინტონი, რაგბი. კომიტეტი ხელს უწყობს და მფარველობს აგრეთვე პარასპორტის სხვა სახეობების განვითარებას: მკლავჭიდი, ამპუტანტთა ფეხბურთი, მეკლდეურობა, აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდთა ფეხბურთი და კალათბურთი და სხვ.

საქართველოს პარასპორტსმენებმა 100 ზე მეტი მაღალი სინჯის მედლები მოიპოვეს, მათ შორის არიან მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები,პრიზიორები, მსოფლიო თასის გათამაშებების ოქროს, ვერ-ცხლის და ბრინჯაოს მფლობელები არაერთ სახეობაში. პარაოლიმპიურ სპორტის სახეობებში მონაწილე-ობას იღებენ აგრეთვე თავდაცვის სამინისტროს ISAF ის მისიაში დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეები.

საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის უმნიშვნელოვანესი განაცხადი იყო ეტლით ფარიკაობაში მსოფლიო თასის გათამაშება, რომელიც თბილისში 2018 წელს გაიმართა 45 ქვეყნისა და 500 პარასპორტსმენის მონაწილეობით. აღნიშნულ ტურნირს ესწრებოდა საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ენდრიუ პარსონი, რომელმაც უმაღლესი შეფასება მისცა ტურნირს. ამავე პერიოდში გაფორმდა მემორანდუმები საერთაშორისო პარალიმპიურ კომიტეტებთან. დედაქალაქში ჩატარდა არაერთ სახეობაში საერთაშორისო ტურნირები. გაიმართა არაერთი ინფორმაციული ხასიათის ღონისძიება, სახელმწიფო სტრუქტურების, მედიის, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისთვის. დღევანდელი პრიორიტეტები კი არის პარალიმპიურ მოძრაობაში ახალგაზრდა შშმ პირთა ჩართულობა და რეგიონებში პარასპორტის განვითარება.

დასკვნა

შშმ პირთა სპორტის მენეჯმენტი შშმ პირთა საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საქართველოს ცივილიზებული განვითარების გზაზე. კვლავაც განუხრელად უნდა გაგრძელდეს ის ღონისძიებები, რომლებიც, ხელს შეუწყობს შშმ პირთა სრულფასოვან ჩართვას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებაში. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოში არსებული შშმ პირთა სპორტის მენეჯმენტი კვლავაც წარმატებით განხორციელდება, რათა უფრო ეფექტიანად მოხდეს შშმ პირთა სოციალურ გარემოში ინტეგრაცია. საქართველოს შშმ სპორტსმენებმა უკვე მიიღეს საერთაშორისო აღიარება მთელ მსოფლიოში. სპორტულ შჯიბრებებში გარკვეული შედეგების მიღწევა შშმ პირებს ეხმარება დაძლიონ ის სირთულეები, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან. შშმ სპორტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მისი მონაწილეები სრულფასოვანი მოქალაქეები არიან. ისინი ხელს უწყობენ სპორტის განვითარებას და ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლებას და, რაც მთავარია, სტიმულს აძლევენ შშმ პირებს უფრო აქტიურად დაკავდნენ სპორტით, რითაც ისინი დაიბრუნებენ სიცოცხლის ხალისს და მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწევენ სოციალური ინტეგრაციის გზაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს პარალიმპიური კომიტეტი. http://paralympic.ge/ უკანასკნელად ნანახია 27 აპრილი, 2022
2. რევაზიშვილი რ. შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის გამოწვევები საქართველოში. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, თბ. 2021
3. რევაზიშვილი რ. სპორტი შშმ პირთა ცხოვრებაში „ხელისუფლება და საზოგადოება“ # 4 (60), 2021

4. რევაზიშვილი რევაზ. შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის მენეჯმენტის საზღვარგარეთის გამოცდილება. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიოს გლობალური გამოწვევები“ 2022, შრომათა კრებული

Sports Management of Persons with Disabilities in Georgia

Revazishvili Revaz
PhD student of Georgian Technical University

Summary

The paper discusses the role of sports for people with disabilities (PWD) in the social integration. It has been shown that sports activities are one of the most powerful means of full integration into the life of a community of PWD. The participation of PWD in physical education and sports is not only a means of treatment and rehabilitation, but also a necessary condition for raising self-esteem, awareness of oneself as a potentially useful member of society. For a PWD, each exercise is not only a victory, a physical recovery of strength, but also a source of joy. Sport is useful and important for any person, but for people with disabilities, sport has a completely special meaning, as it creates the need to express the joy and satisfaction in life of a person with disabilities; Issues of organizing sports for PWD are analyzed. The importance of the Paralympic movement and the activities of the Georgian Paralympic Committee are discussed. The purpose of the committee is to develop the types of Paralympic sports in Georgia and to popularize the movement, to provide access for PWD to participate in sports and to integrate into society through involvement in sports. Today the Paralympic movement is represented in Georgia with 19 sport types and 300 para-athletes. Georgian athletes have won more than 100 high-ranking medals, including world and European champions, prize-winners, holders of gold, silver and bronze at the World Cup. All this gives incentives to PWD to be more actively involved in sports, thus they regain the joy of life and achieve significant success on the path of social integration.

Keywords: Persons with Disabilities (PWD), Sports for PWD, The Self-esteem of PWD, Organizing Sports for PWD, Paralympic Movement, Social Integration.

ბიზნესის გლობალიზაციის გავლენა ორგანიზაციის მმართველობით გადაწყვეტილებებზე

როსტიაშვილი თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ლეკიაშვილი თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ბიზნესის გლობალიზაციამ შესაძლებელია დიდი გავლენა იქონიოს მენეჯერების მიერ ბიზნეს პროცესების მართვის დროს მიღებულ გადაწყვეტილებებზე. მენეჯერები პასუხისმგებლები არიან პროცესების ურთიერთდაკავშირებაზე, ადგილობრივი და გლობალური ფილიალების გამართვაზე, მიზნების მიღწევისთვის საჭირო ქმედებების დაგეგმვაზე, პროცესების სრულყოფილებაზე და პროცესთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტილების მიღებაზე. წინამდებარე სტატია იკვლევს მენეჯერების მიერ, თანამედროვე ეპოქაში გლობალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს. გლობალური გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს როგორც კომპანიის, ასევე თანამშრომელთა წარმატებაზე, შესაბამისად დღევანდელ ეპოქაში ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მენეჯერთა მიერ განხორციელებულ როგორც დაგეგმვის ფაზას, ასევე ჯგუფისთვის დასახულ ამოცანებს/მიზნებს და თითოეული პროექტის ფაზაში, თითოეულ ქმედებაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. პირველი საკითხი, რაც გამოკვლეულია ნაშრომში, წარმოადგენს მენეჯერების ინტელექტს, რაც თავის მხრივ განაპირობებს გლობალურ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას. მენეჯერის ინტელექტის მიხედვით, შესაძლებელია როგორც კომპანიის მიზნების სწრაფი განხორციელება, ასევე ჯგუფისთვის მიცემული დავალებების სრულყოფილად შესრულება. აღნიშნულის შესწავლის შემდეგ, მეორე გამოწვევა არის თუ როგორ წარმართავს მენეჯერის დაქვემდებარებაში მყოფი ჯგუფის შემადგენლობა გლობალურად მიღებულ გადაწყვეტილებას. დავალებებს, რომელსაც იღებს ჯგუფი მენეჯერისგან, შესაძლებელია ჰქონდეს პირდაპირი გავლენა გლობალური გადაწყვეტილების ეფექტურობაზე, ან პირიქით სრულიად სხვა მიმართულებით მიყავდეს ჯგუფი, რადგან როგორც აღმოჩნდა, ხშირად პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ გლობალური მიმართულება, მნიშვნელოვნად განსხვავდება მენეჯერების მიერ გადაწყვეტილების მიღების და ჯგუფისთვის ამოცანების/მიზნების დასახვის პროცესებისგან. კვლევებმა აჩვენა, რომ გლობალურ ბაზარზე, სხვადასხვა კომპანიის ჯგუფები ხშირად აწყდებიან პრობლემას იმასთან დაკავშირებით, რომ გაურკვეველია მათთვის მიცემული დავალება ან უბრალოდ გლობალური ბაზრის მოთხოვნები მათთვის უცხოა. შესაბამისად თითოეული მენეჯერის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას ჯგუფის ადაპტირება და ჯგუფისთვის შესაბამისი ცოდნის მიცემა წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: ინტელექტი, გლობალიზაცია, გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ჯგუფები, კულტურა, გლობალური გადაწყვეტილებები.

ძირითადი ტექსტი

"სამყარო ბრტყელია!" - ეს მეტაფორა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც პერპექტივა, თუ როგორ უნდა დავინახოთ კონკურენტუნარიანი, გლობალური გარემო, რომელშიც ფუნქციონირება უწევთ დღევანდელ მენეჯერებს[1]. ფრიდმენის წიგნის ძირითადი ლოგიკის არსი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ იქონია ბიზნეს სამყაროზე პირდაპირი ზეგავლენა, ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მომხდარმა მოვლენებმა. აღნიშნული ცვლილებები, მსოფლიოში სიახლის აუცილებ-ლობას განსაზღვრავს და გლობალურ ბიზნესში დასაქმებულ მენეჯერებს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაზე მოუწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ გლობალური გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელმა მენეჯერებმა უნდა შეინარჩუნონ გადაწყვეტილების მიღებისას მოქნილობა, ორგანი-

[1] Fiegenbaum, A., S. Hart, and D. Schendel. 1996. Strategic reference point theory. Strategic Management Journal 17, no. 3: 219–35

ზაციებს ჯერ კიდევ არ აქვთ სრულფასოვნად წარმოდგენილი კონკრეტული ხედვა, გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რაც საჭიროა მიიღონ როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფის პერსპექტივიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

ადამიანური რესურსების ახალი მიდგომების შესწავლის საჭიროება, რომელიც უწყვეტად მიმდინარეობს, როგორც აღმოჩნდა გლობალური ბაზრის სირთულის მოგვარების გასაღებად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. მენეჯერებს მოეთხოვებათ შეცვალონ თავიანთი სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესი იმისათვის რომ, მიიღონ ახალი, გლობალური გადაწყვეტილებები პროცესების მართვასთან დაკავშირებით. სტრატეგიული გულისხმობს ისეთ გადაწყვეტილებებს, რაც მნიშვნელოვანია „განხორციელებული ქმედების თვალსაზრისით (ჩადებული რესურსები, შექმნილი პრეცენდენტები“[1]). ხშირად „ინტუიცია და ემოცია ხშირად ერთმანეთშია გადახლართული“[2]. ტრადიცული საზღვრების აღიარების მიდგომის დროს, საჭიროა დავინახოთ ორგანიზაციული მიზნები, რაც მოიცავს ორგანიზაციული ცხოვრების სირთულესა და ამავდროულად მრავალფეროვნებას. გარდა გადაწყვეტილების მიღების შემეცნებითი და პოლიტიკური ელემენტებისა, გადაწყვეტილების მოდელი უნდა ითვალისწინებდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ინტუიცია, ემოცია და სოციალური ფაქტორები. ამ უნარების განვითარება გლობალურ მენეჯერებში უნიკალური გამოწვევაა ადამიანური რესურსების სამართავად.

მენეჯერების გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა შეესაბამებოდეს გლობალური ორგანიზაციის სტრატეგიას. „გლობალურ კონტექსტში მენეჯერული გადაწყვეტილების მიღება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და რთულია კულტურული მანძილიდან გამომდინარე სამშობლოსა და მასპინძელ ქვეყანას შორის“[3]. ადამიანური რესურსების განვითარების ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს თანამედროვე ეპოქაში გადაწყვეტილების მიღებისა და ეფექტური ადაპტაციისთვის.

ინტუიციური ინტელექტი. შესაძლებელია თამამად ითქვას, რომ ბიზნეს ასპარეზზე არსად არის ისეთი მნიშვნელოვანი ინტუიციური ინტელექტი, ვიდრე გლობალურ ბაზარზე. გლობალური მენეჯერები, რომლებმაც უნდა მიმართონ მრავალ საშუალებას, იმისათვის რომ დააბალანსონ ორგანიზაციული დისბალანსი გლობალურ ბაზარზე ფუნქციონირებისას, მართონ ქვეყნებს შორის აღმოჩენილი ანომალიები, თითქმის ჰგავს იმას, რომ „მენეჯერებს უნდა გააჩნდეთ მეექვსე გრძნობა“[4]. მენეჯერისთვის ყველაზე საჭირო, და სარგებლის მომტანად ინტუიციური ინტელექტი გლობალურ ბაზარზე შვილობილი კომპანიების სამართავად განისაზღვრება.

ინტუიციური ინტელექტის კოეფიციენტი, გლობალური მენეჯერისთვის იძლევა ექსპერიმენტალურ შეხედულებას. სწორედ ეს შეხედულებები ართულებს კონკურენტებს შორის აზრის გამეორების პროცესს, რაც რეალურად გამოიყენება განვითარებად ბაზრებზე სტრატეგიის შემუშავებისთვის. გარდა აღნიშნულისა ინდივიდუალური მენეჯერის უნარი, რომ მან მიიღოს ეფექტური გადაწყვეტილებები გლობალურ კონტექსტში წარმოუდგენელია შეფასდეს. ჯგუფი ხდება მთლიანი ორგანიზაციის სამყარო, მაგრამ შესაძლებელია ქონდეს პირდაპირი გავლენა მენეჯერის გადწყვეტილების მიღების პროცესზე. ამიტომ, გადაწყვეტილების მიღების უპირველესი ეტაპი სწორედ ჯგუფის შესწავლაა.

ემოციური ინტელექტი. ემოციური ინტელექტი ძალიან მნიშვნელოვანია გლობალურ ბაზარზე და აღნიშნულის მნიშვნელობა იზრდება ამოცანის სირთულესთან, დავალებების განხორციელებასთან ერთად. მენეჯერის ემოციური სტაბილურობა გლობალურ გარემოში შესაძლებელია შეიცავდეს მნიშვნელოვან განსხვავებებს, რაც სოციალურ-კულტურულ კონტექსტში წარმოჩნდება ხოლმე. ხშირად მენეჯერებს, რომლებსაც გააჩნიათ მცირე ან წარსული გამოცდილება ადამიანური რესურსების მართვისას, სრულად განსხვავდება ხოლმე იმ რეალობისგან რაც მათ ხვდებათ გლობალურ სივრცეში. რთული გადაწყვეტილების მიღებისას, სწორედ ემოციური სტაბილურობა ხდება სწორი გზის მაჩვენებელი და სტრატეგიის შემუშავების წარმატების გზა.

კულტურულ სოციალური ინტელექტი. კულტურული ინტელექტი გამომდინარეობს კონკრეტუ-

[1] Eisenhardt, K., and M. Zbaracki. 1992. Strategic decision-making. Strategic Management Journal 13, no. 13: 17–37
[2] Patton, J. 2003. Intuition in Decisions. Management Decision 41, no. 10: 989–6
[3] Roth, K. 1992. Implementing international strategy at the business unit level: The role of managerial decision-making characteristics. Journal of Management 18, no. 4: 769–89.
[4] Cunha, M.R., J.V. Cunha, and K. Kamoche. 1999. Organization improvisation: What, whom, how, and why. International Journal of Management Review 1, no. 3: 299–341.

ლი მენეჯერის ცოდნიდან იმ კულტურის შესახებ, რომელშიც აპირებს გლობალურ ბაზარზე ორგანიზაციის ფუნქციონირებას:

- კულტურულ მატერიალური ასპექტები (მაგ: ტექნოლოგია, ეკ. განვითარება, ცხოვრების დონე და სხვ.);
- კულტურაში არსებული სოციალური ინსტიტუტები (მაგ: საგანმანათლებლო, პოლიტიკური, რელოგიური და სხვ.);
- ესთეტიკური ღირებულებები;
- კულტურაში გამოყენებული ოფიციალური და არაოფიციალური ენები;
- კულტურის შიგნით არსებული შეხედულებები და სხვ;

მაღალი სოციალური/კულტურული ინტელექტის კოეფიციენტი საშუალებას აძლევს მენეჯერს უცხო ქვეყანასთან დაკავშირებული შეხედულებების მიხედვით მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები. უცხო ქვეყნებს შორის კულტურული და სოციალური შეუსაბამობა ხშირად იწვევს სტრესს, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღების სირთულეებთან[1].

ორგანიზაციული ინტელექტი. ორგანიზაციული ინტელექტი საფუძვლად უდევს გლობალურ ბაზარზე ოფიციალურად საქმის წარმოებას. პოლიტიკის, პროცედურების, დაგეგმვის, აუდიტის და სხვ. ნებისმიერი სახის პროცესებში ორგანიზაციის სწორ ფუნქციონირებას. ორგანიზაციული ინტელექტის კოეფიციენტის მნიშვნელობა განისაზღვრება იმ მხრივ, რომ შეესაბამებოდეს და მოქნილი იყოს შვილობილი ორგანიზაცია სათაო ორგანიზაციასთან მიმართებაში.

ინოვაციური ინტელექტი.გლობალურ ბაზარზე, მენეჯერების უნარი რომ იფიქრონ აბსტრაქ-ტულად, განავითარონ ბიზნეს იდეები, ცნებები, რომლების წარმოდგენილია გლობალურ კონტექსტში, წარმოადგენს ინოვაციას. ახალი პროცესები, ახალი პროდუქტები, სერვისები და ტექნოლოგიები არის ის შედეგი, რაც ადამიანური რესურსების განვითარების ინოვაციითაა ცნობილი. გლობალური ინოვაციური ინტელექტი შედგება ექვსი ელემენტისგან:

- საბაზისო ცოდნა - ადამიანის სპეციფიური ცოდნა;
- ინტელექტუალური უნარი კავშირების სინთეზის
- აზროვნების/სწავლის გამოგონება[2];
- ამოცანა/პრობლემაზე ფოკუსირება და მისი გადაჭრის მოტივაცია;
- რისკისადმი დამოკიდებულება ;
- მხარდამჭერ გარემოზე დამოკიდებულება - შეცვალოს და მიიღოს მრავალფეროვნება[3]

გლობალური მენეჯერის ინოვაციური ინტელექტის დადგენა რთულია, მაგრამ მენეჯერები მუდმივი ძალისხმევით ახერხებენ აღნიშნულის გაღრმავებას. ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება აუცილებლად მზად უნდა იყოს მენეჯერის დასახმარებლად და ინდივიდთა მოსამზა-დებლად. ხოლო ორგანიზაცია მზად უნდა იყოს რომ შესაძლებელია წარმოიქმნას ხარვეზები ინოვაციური ინტელექტის გამომუშავებასთან ერთად.

ჯგუფის დონეზე მიღებული გადაწყვეტილების გავლენა გლობალურ მენეჯერებზე. ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების შესწავლა რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და აღნიშნული ეფუძნება როგორც ჯგუფის შემადგენლობას ასევე ხანგრძლივობას. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეყტილების მიღებაში ჩართული სააზროვნო პროცესები ძნელი დასაკვირვებელია, მეისონის გადაწყვეტილების მოდელის გამოყენება შესაძლებელია ჯგუფებში. რომლის მიხედვითაც ჯგუფების უმრავლესობა მიდრეკილია ან ინარჩუნებს პრეფერენციებს, თუ როგორ მართავენ ინფორმაციას საკუთარი ქცევით. გარდა ამისა, ჯგუფების გადაწყვეტილებები და შემდგომი ქმედებები ეფუძნება ფიქრებს, როგორ წარმოაჩენენ თავიანთ გარემოს. მათი მუშაობის სტილი კი აისახება მიდრეკილების მიხედვით, როგორი მიზნები აქვთ, როგორ უმკლავდებიან პრობლემებს და სხვ.

როუ და მეისონის მოდელი ჯგუფების გადაწყვეტილების სტილს ოთხ ჯგუფად ყოფს:

---

[1] Searle, W., and C. Ward. 1990. The predictions of psychological and sociocultural adjustment during cross-cultural transactions. International Journal of Intercultural Relations 14, no. 4: 449–64.
[2] Andersen, J. 2000. Intuition in managers: Are intuitive managers more effective? Journal of Managerial Psychology 15, no. 1: 46–63.Beir 1995,
[3] Stein, M. 1991. Creativity is people. Leadership and Organization Development Journal 12, no. 6: 6.

- პირდაპირი ჯგუფები - ავლენენ დაბალ ტოლერანტობას, გაურკვევლობასა. ლოგიკური და ეფექტურია გადაწყვეტილების მიღებისას და ითხოვს კონკრეტულ დეტალებს გადაწყვეტილების მიღებამდე.
- ანალიტიკური ჯგუფები - კომფორტულად გრძნობენ თავს ორაზროვანი ინფორმაციის მიმართ და მზად არიან მიიღონ დიდი მოცულობით ინფორმაცია და განსხვავებული ალტერნატივები გადაწყვეტილების მიღებამდე.
- კონცეპტუალური ჯგუფები - ორაზროვანი ამოცენბის გადაჭრაში დახელოვნებულები არიან. მზადყოფნას გამოთქვამენ ახალი ვარიანტების შესწავლაში და მიდრეკილნი არიან გამოიყენონ მრავალი წყაროდან მიღებული ინფორმაცია. გადაწყვეტილებას იღებენ გრძნობებისა და ინსტიქტების გამოყენებით/
- ქცევითი ჯგუფები - ბაზისური გადაწყვეტილებებს იღებენ ადამიანების განვითარებაზე. ფოკუსირება ხდება მოკლევადიან ეფექტზე. ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ სიცოცხლის ხანგრძლოვობას და მოკლევადიან შედეგებზე / ქმედებებზე ფოკუსირდება.

ჯგუფის მიზნების მიღწევის მცდელობაში მონაწილეობით ინდივიდს შეუძლია მიაღწიოს ინდივიდუალურ მიზნებს. რაც არ ნიშნავს თვითმომსახურების მიზანს, არამედ უფრო სწორად გლობალურ ჯგუფებთან იდენტიფიკაციის გზით ინდივიდი მუშაობს როგორც ჯგუფის ისევე საკუთარი მიზნებისკენ. ასოციაციურობის ბუნების გათვალისწინებით, მას აქვს ორივე აფექტური და საკუთარ უნარებზე დაფუძნებული კომპოენტები (მაგ: აქტივობის კოორდინაცია) . მაგრამ ეს ძირითადი გლობალური ჯგუფის შეკრულობის კომპონენტია.

დასკვნა

ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ახალი უნარების გამომუშავება და კომპეტენციების ამაღლებაა გლობალურ მენეჯერებში. ცვლილების სიჩქარე და სიდიდე გლობალურ ბაზარზე ადგილის დასაკავებლად ბევრისთვის უდიდეს სირთულეს წარმოადგენს, რისთვისაც საჭიროა გაერთიანდეს საჭირო უნარები გლობალური ბაზრის კონტექსტში, ორგანიზაციის ეფექტურობისთვის.

განვითარების თვალსაზრისით, როდესაც ად. რესურსების მართვის ჯგუფს არ აქვს შესაძლებლობა რომ განვითარდეს გლობალურ ბაზარზე, როგორ უნდა იყოს ეფექტური გლობალურ კონტექსტსში? შესაძლებელია ითქვას, რომ მენეჯერებმა, უნდა შეიმუშაონ გადაწყვეტილების მიღების კონტროლ პუნქტები, რაც შესაძლებელს გახდის ახალი გლობალური უნარების განვითარებას.

გლობალური გადაწყვეტილების მიღება გათვალისწინებული უნდა იყოს ინდივიდის, ჯგუფის, გარემოს, დავალებების ჭრილში, რის მართვაზეც პასუხისმგებელია მენეჯერი. გადაწყვეტილების მიღების ინდივიდუალურ დონეს ჭირდება ინდივიდზე მუშაობა, მენეჯერის ინტელექტის დონე, კომპეტენციების ნაკრები, რათა ეფექტურად გადაიჭრას დასახული ამოცანები.

ეკონომიკურ განვითარებას შესაძლებელია ჰქონდეს პირდაპირი გავლენა სტრატეგიებზე. გარდა აღნიშნულისა, შიდა ორგანიზაციის გარემოს შეუძლია შექმნას გადაწყვეტილებების მიღების დროს ლაბირინთი, რომელიც რეალურად გლობალურმა მენეჯერმა უნდა გადაჭრას. თითოეული ლოკალური გარემო არის უნიკალური, მაგრამ გადაწყვეტილებები აუცილებლად მიზანმიმართული უნდა იყოს ადამიანური რესურსების მართვის მხრივ, რათა სწორად მოხდეს ინდივიდებისა და ჯგუფების მართვა. აღნიშნული საჭიროა იმისთვის, რომ ამოცანები, რომლის შესრულებასაც ორგანიზაცია გეგმავს, არ შეფერხდეს და ამ შეფერხებამ არ გამოიწვიოს მიზნის შეუსრულებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Fiegenbaum, A., S. Hart, and D. Schendel. 1996. Strategic reference point theory. Strategic Management Journal 17, no. 3: 219–35.
2. Eisenhardt, K., and M. Zbaracki. 1992. Strategic decision-making. Strategic Management Journal 13, no. 13: 17–37.
3. Patton, J. 2003. Intuition in Decisions. Management Decision 41, no. 10: 989–6.

4. Roth, K. 1992. Implementing international strategy at the business unit level: The role of managerial decision-making characteristics. Journal of Management 18, no. 4: 769–89.
5. Cunha, M.R., J.V. Cunha, and K. Kamoche. 1999. Organization improvisation: What, whom, how, and why. International Journal of Management Review 1, no. 3: 299–341.
6. Searle, W., and C. Ward. 1990. The predictions of psychological and sociocultural adjustment during cross-cultural transactions. International Journal of Intercultural Relations 14, no. 4: 449–64.
7. Andersen, J. 2000. Intuition in managers: Are intuitive managers more effective? Journal of Managerial Psychology 15, no. 1: 46–63.Beir 1995,
8. Stein, M. 1991. Creativity is people. Leadership and Organization Development Journal 12, no. 6: 6.

The Impact of Business Globalization on Organizational Governance Decisions

Tamar Rostiashvili
Associate Professor of Georgian Technical University

Tamar Lekiashvili
Doctoral student of Georgian Technical University

Summary

Business globalization can have a huge impact on the decisions managers make when managing their business processes. Managers are responsible for linking processes, managing local and global branches, planning actions needed to achieve goals, perfecting processes, and solving process-related problems. This article explores the process of making global decisions by managers in the modern era. Global decisions affect the success of both the company and the employees, therefore in the current era, the planning phase carried out by the managers is very important, as well as the tasks / goals set for the group and the decisions made for each action in each project phase. The first issue explored in the paper is the intelligence of managers, which in turn leads to the solution of issues related to global decisions. According to the intelligence of the manager, it is possible to quickly achieve the goals of the company, as well as to complete the tasks given to the group. After exploring this, the second challenge is how the composition of the managerial team manages the globally made decision. The tasks that a group receives from a manager can have a direct impact on the effectiveness of global decision-making, or vice versa lead the group in a completely different direction, as it turns out, often the problem is that the global direction differs significantly from managers' decision-making and task-setting processes. Studies have shown that in the global market, groups of different companies often face the problem of whether the task given to them is unclear or simply the demands of the global market are foreign to them. Accordingly, one of the main responsibilities of each manager is to adapt the group and provide relevant knowledge to the group.

Key words : Intelligence, Globalization, Decision Making, Groups, Culture, Global Decisions.

ეპიდვითარება, როგორც განათლების მენეჯმენტის მთავარი სიტუაციური ფაქტორი თანამედროვე ეტაპზე

როსტიაშვილი თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ქერაშვილი ხათუნა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

მსოფლიოს ქვეყნების მთავარი პრიორიტეტი განათლების ხელშეწყობა, მისი ხარისხის გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობაა, ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ეს საკითხი უმნიშვნელოვანესია არა მარტო ინდივიდისა თუ საზოგადოების განვითარების, არამედ ქვეყნის წარმატებული მომავლისთვის.

სიტუაციური ფაქტორები ყოველთვის მნიშვნელოვანია მართვის კუთხით. ბიზნესთან დაკავშირებული კომპანიები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მმართველობით სისტემას, რადგან კარგად იციან, რომ სწორედ ამაზეა დამოკიდებული მათი წარმატება- წარუმატებლობა: ერთ არასწორ გადაწყვეტილებას ზოგჯერ უზარმაზარი ზიანი მოჰყვება და პირიქით, სწორი გადაწყვეტილებების მიღება ფინანსური და მარკეტინგული წარმატების საწინდარია. თუმცა განათლების მიმართულებით ეს საკითხი თითქოს ასე თვალშისაცემი არაა: მართვაში დაშვებული შეცდომები, შესაძლებელია, აშკარად და მალევე არ გამოვლინდეს, მაგრამ მათ შედეგებს მომავალი თაობები მოიმკიან.

ახალი კორონა ვირუსით გამოწვეულმა პანდემიამ განთლების მენეჯმენტს დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა და ეპიდვითარება თანამედროვე ეტაპზე მთავარ სიტუაციურ ფაქტორად წარმოგვიდგინა.

დღეს განსაკუთრებულად აქტუალურია პანდემიის შედეგად განვითარებული მოვლენები და მათი შედეგები . აქედან გამომდინარე, ნაშრომში განვიხილეთ ახალი კორონა ვირუსით გამოწვეული სიტუაციის გავლენა განათლების სექტორზე მართვის თვალსაზრისით და გამოვყავით ის ეტაპები, რომლებიც ეპიდვითარებიდან დღემდე განათლების სისტემამ განვლო.

საკვანძო სიტყვები: განათლება, მენეჯმენტი, სიტუაციური ფაქტორი, ეპიდვითარება, პანდემია.

ძირითადი ტექსტი

პანდემიის დროს მიმდინარე მოვლენები თანამედროვეობის მთავარ გამოწვევად იქცა და ნათლად დაგვანახა სიტუაციური ფაქტორების როლი განათლების მენეჯმენტში.

აღსანიშნავია, რომ განათლებაში ცხოვრებისეული ციკლი ნაკლებადაა გათვალისწინებული : ეს გულისხმობს არა მარტო თანამედროვე ცხოვრების სტანდარტებსა და მოთხოვნებთან შესაბამისობას, არამედ არსებული სიტუაციების უგულებელყოფასაც. ამის ნათელი მაგალითია პანდემიით გამოწვეული ეპიდვითარების დროს შექმნილი პრობლემები განათლების სექტორში. მთავრობის მიერ შემუშავებულ ანტიკრიზისულ გეგმას [1]თუ გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ, რომ ყველაზე ნაკლები ინიციატივა სწორედ ამ მიმართულებით შემუშავდა. ონლაინსწავლება და ტელესკოლა გახდა მხოლოდ ალტერნატივა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად, თუმცა არ იქნა გათვალისწინებული სოციალური ფაქტორი, რომელიც საკმაოდ ხელისშემშლელი აღმოჩნდა აღნიშნული ინიციატივების განსახორციელებლად. ვგულისხმობთ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ეკონომიკურ სიდუხჭირეს, რაც საშუალებას არ აძლევდა ოჯახებს , ჩართულიყვნენ სამინისტროს ამ შეთავაზებაში იმის გათვალისწინებით, რომ სჭირდებოდათ მატერიალური რესურსები კომპიუტერული ტექნოლოგიების, სმარტფონებისა თუ მობილური ტელეფონების სახით.

აღსანიშნავია, ამ დარგის ძირითადი მამოძრავებელი ძალების მდგომარეობა: შეიძლება ითქვას, რომ განათლების სისტემის მამოძრავებელი ძალა კვალიფიციური პედაგოგია, რომელიც დღეს საკმაოდ

[1] https://stopcov.ge/ka/Gegma

არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება. პანდემიით გამოწეულმა სიტუაციამ ორმაგად დატვირთა ისედაც დატვირთული მასწავლებელი: საკლასო სივრცეში გაკვეთილებს ონლაინგაკვეთილებიც დაემატა, რაც ხარისხზე მაინცდამაინც დადებითად არ ასახულა. გარდა ამისა, ონლაინსწავლებამ მოითხოვა მაღალტექნოლოგიური უნარ-ჩვევები, თუმცა ის არავის გამოუკვლევია, რამდენად იყვნენ ისინი ამ უნარ-ჩვევებით აღჭურვილი.

განათლებაში პანდემიასთან დაკავშირებულ მართვაზე მეცნიერული ინფორმაცია არცთუ ისე მრავალფეროვანია, რაც, ალბათ, იმითაა გამოწვეული , რომ საკითხი ბოლოდროინდელ პრობლემას ეხება. თუმცა, მისი აქტუალურობიდან გამომდინარე, ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევები, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყანა თუ ორგანიზაცია ახორციელებს და აქვეყნებს პერიოდულ გამოცემებში , მაგრამ ვინაიდან სიტუაცია ჯერ კიდევ არ დასტაბილურებულა და ზუსტი პროგნოზირება ჯერჯერობით შეუძლებელია, რასაკვირველია, გრძელდება და კვლავაც გაგრძელდება აღნიშნული თემით დაინტერესება. შეძლებისდაგვარად, შევეცდებით, ჩვენი მოსაზრებების გაზიარებას არსებულ სიტუაციაზე დაყრდნობით.

2020 წლის 30 იანვარს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი გლობალურ საფრთხედ, ხოლო 11 მარტს კი-პანდემიად გამოაცხადა. [1]

საქართველოში კოვიდ-19 პირველად 26 თებერვალს დაფიქსირდა, 22 მარტს კი შიდა გადაცემის ფაქტი გამოვლინდა.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N 181 დადგენილებით, [2]საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ამოქმედდა საგანგებო ვითარება, რომელიც თანდათან უფრო და უფრო გამკაცრდა.

კოვიდვითარებით გამოწვეულმა პანდემიამ ნათლად დაგვანახა , რომ გარემომ და გარემოებებმა უდიდესი როლი ითამაშა ზოგადად ცხოვრებაზე და განსაკუთრებით - განათლების სისტემაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ამ სიტუაციამ ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია, რაც მოულოდნელი და მოუმზადებელი ვითარებით იყო განპირობებული, სწორედ ამიტომ თავდაპირველად სწავლა-სწავლების პროცესი ჩვეულ დროს არ დაწყებულა . აღსანიშნავია, რომ იყო მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ სასწავლო წელი აკადემიურ წლად გამოცხადებულიყო, თუმცა მოგვიანებით ეს თვალსაზრისი უარყვეს.

კოვიდვითარება შეიძლება შევაფასოთ კრიტიკულ (კრიზისულ) სიტუაციად, რომელმაც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა განათლების სისტემა და მართვის კუთხით ახლებური მიდგომები მოითხოვა.

ეპიდემიის დაწყებიდან დღემდე ვითარება შესაძლებელია რამდენიმე ეტაპად დავყოთ და შემდეგნაირად შევაფასოთ:

I ეტაპი - ,,დაბნეულობის პერიოდი“- როდესაც 26 თებერვალს პირველ დადასტურებულ შემთხვევას მოჰყვა 4 მარტს სწავლის პროცესის შეჩერება სასწავლო დაწესებულებებში. ამ დროს განათლების სისტემა ცდილობდა , შეემუშავებინა სამოქმედო გეგმა ახალ პლატფორმაზე გადასასვლელად.

II ეტაპი - ,,სიტუაციასთან გამკლავების პერიოდი“- ონლაინ სწავლების დაწყება (15 მარტიდან პილოტირება, 1 აპრილი- საყოველთაო) შეიძლება ჩაითვალოს პირველ ნაბიჯებად, თუმცა სისტემა ჯერ კიდევ არ იყო გამართული: სასწავლო დაწესებულებებს არ ჰქონდათ დისტანციური სწავლების გამოცდილება, პედაგოგთა ნაწილიც არ ფლობდა შესაბამის კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს . ჯერ არ იყო გამართული Teams-ის პლატფორმა, იყო ტექნიკური პრობლემები, გაკვეთილები

ტარდებოდა მესინჯერის ან Zoom-ის საშუალებით.

III ეტაპი - ამ პერიოდს შეიძლება ,,ადაპტაცია“ ვუწოდოთ: დაგროვილმა გამოცდილებამ განათლების სექტორს საშუალება მისცა, დაეხვეწა ტექნოლოგიები და გარკვეული წარმატებისთვისაც მიეღწია: საკმაოდ კარგად ამუშავდა Teams-ის ონლაინპლატფორმა, შემუშავდა სწავლების ჰიბრიდული მოდელი, რომელიც დღემდე გრძელდება . 2020-2021 სასწავლო წლის I სემესტრიდან ჯერ დაწყებითი

[1] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4877009?publication=162
[2] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4830610?publication=0

კლასებს მიეცათ საშუალება ან საკლასო სივრცეებს დაბრუნებოდნენ, ანდა ისევ ონლაინსწავლება აერჩიათ, II სემესტრიდან კი - სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს გაუჩნდათ ეს შესაძლებლობა.

განათლების სისტემის სხვადასხვა ეტაპები ეპიდვითარების სიტუაციაში

პანდემია და განათლება	**I ეტაპი**	**II ეტაპი**	**III ეტაპი**
სიტუაციური მდგომარეობის იდენტიფიცირება	**დაბნეულობა**	**გამკლავება**	**ადაპტაცია**
პერიოდი	4 მარტი- 15 მარტი (2020 წელი)	15 მარტი- 1 აპრილი (2020 წელი)	1 აპრილი- დღემდე (2020- 2022 წლები)
აღწერა	სასწავლო პროცესის შეჩერება. განათლების სისტემა ცდილობს სიტუაციაში გარკვევას, არსებული რეალობის შეფასებას, გამოსავლის მოძებნასა და კრიზისულ ვითარებასთან გამკლავებას.	ონლაინ სწავლების დაწყება. განათლების სისტემა პოულობს სიტუაციასთან გამკლავების გზებს, იწყება ,,ტელესკოლა“, იქმნება პლატფორმა ,,თიმსი“ საქართველოს ყველა საჯარო სკოლისათვის.	ჰიბრიდული მოდელის შემუშავება. განათლების სისტემა არჩევანის მიხედვით საშუალებას იძლევა სწავლების პროცესი წარიმართოს როგორც დისტანციურ, ისე საკლასო სივრცეში.

თანამედროვე ეტაპზე საგანმანათლებლო დაწესებულებები უამრავი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას, მათ შორის ყველაზე არსებითი კი, მართვას უკავშირდება, შეიძლება ითქვას, რომ თავისებური მოდელი შეიქმნა, რომელშიც მონაწილე პირებს წარმოადგენს : განათლების სამინისტრო, სკოლები და რესურსცენტრები ,ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად. ეპიდვითარებით გამოწვეული სიტუაცია, როგორც ვიცით, საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და დღემდე გრძელდება, ამიტომაც მისი გავლენა განათლების სფეროსა და მისი მართვის სისტემაზე ჯერ არაა შესწავლილი , თუმცა , ცხადია, რომ საკმაოდ ღრმა კვალს დატოვებს და სათანადო ყურადღების მიქცევას საჭიროებს. ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, ამ საკითხებს ახლა ვერ განვიხილავთ, მაგრამ შეიძლება ჩვენს სამომავლო კვლევის საგნად მოვიაზროთ.

დასკვნა

ეპიდვითვითრების, როგორც სიტუაციური ფაქტორის , გამოკვეთა განათლების მენეჯმენტში , მის გავლენაზე დაკვირვება, ღრმად შესწავლა და ანალიზი, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება არა მარტო განათლების მენეჯმენტის განვითარებისთვის, არამედ განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლადაც.

ნაშრომზე მუშაობამ კი საშუალება მოგვცა, გვესაუბრა რამდენიმე არსებით მიგნებაზე და გამოგვეკვეთა შემდეგი:

- ეპიდვითარება თანამედროვე ეტაპზე განათლების მენეჯმენტზე მოქმედი მთავარი სიტუაციური ფაქტორია, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა სასწავლო პროცესი.
- ეპიდვითარებისას განათლების მენეჯმენტმა 3 ძირითადი ეტაპი განვლო: ,,დაბნეულობა“, ,,გამკლავება“, ,,ადაპტაცია“.
- აუცილებელია საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯერთა სპეციალური მომზადება სიტუაციურ ფაქტორებთან გასამკლავებლად.
- საჭიროა, განათლების სამინისტროს მხრიდან მეტი ხელშეწყობა და ქმედითი ღონისძიებების გატარებას სიტუაციების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი ავთანდილ, ,,უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“, ,,განათლების მენეჯმენტი“, გამომცემლობა ,,უნივერსალი“. თბილისი 2016 .
2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №15/ნ, ,, საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ , ქ. თბილისი. 2020 წლის 31 იანვარი .
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი: www.mes.gov.ge
4. ,,მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა“- ოფიციალური გვერდი: www.stopcov.ge
5. არავიაშვილი მაია, ,, პანდემიის პირობებში სწავლების პროცესის ორგანიზება-განხორციელება და საჭიროებათა კვლევა, როგორც დამხმარე ინსტრუმენტი სკოლის დირექტორისათვის“, ჟურნალი ,,სკოლის მართვა“, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, N 4. 2021 წელი
6. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4830610?publication=0
7. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4877009?publication=162

Epidemiological situation as a major situational factor of the Education management at the modern stage

Rostiashvili Tamar
Associate professor of Georgian Thechnical Uviversity

Kerashvili Khatuna
PhD student of Georgian Technical University

Summary

The main priority of the countries of the world is to promote education, to improve its quality and accessibility. Everyone is well aware that this issue is the most important not only for improvement of individuals or society but also for the bright future of the country.

Situational factors are always significant in terms of management. Companies related to business attach special attention to the management system because they know well that that's what their success or failure depends on: sometimes one wrong decision can lead to the serious damage and on the contrary, making the right decision is a prerequisite for financial and marketing success. However, in terms of education, this issue is not so conspicuous: mistakes in management may not be revealed so obvious and so soon but the consequences will be passed on to future generations.

Pandemic caused by a new Corona virus imposed a big responsibility on Education management and epidemical situation appeared to be a major situational factor at the modern stage.

Nowadays is especially actual the events and their consequences after pandemic. Therefore in this work we've discussed the impact of corona virus on the educational sector in terms of education and we used all the stages that the education system has gone through from the pandemic to the present.

Key words: education, management, situational factor, epidemic situation, pandemic.

ბიზნესგარემო საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები

სულაშვილი გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ფოჩხიძე დარეჯან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში ჩამოყალიბებულია პოზიცია საქართველოში არსებულ ბიზნესგარემოსთან დაკავშირებით, რომელიც განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკის ზრდისა და კერძო სექტორის განვითარების ტემპებს. ჩამოყალიბებულია ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორები. ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია რისკების შეფასება, რაც უფრო მაღალია მოგების მიღების შესაძლებლობა მით უფრო მიმზიდველია ბიზნეს-პროექტი, თუმცა ამავე დროს მაღალია რისკები. ბიზნესის ძირითადი ნიშანია ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რაც გულისხმობს სამეწარმეო სუბიექტების თავისუფლებას - საქმიანობის სფეროს არჩევისას, გადაწყვეტილებების მიღებისას, საწარმოო პროგრამების შექმნისას, დაფინანსების წყაროებისა და მომწოდებლების მოძიებისას, შრომითი რესურსების მოზიდვა-შენარჩუნებისას, ფასების განსაზღვრისას ტარიფებზე, საქონელზე და მომსახურებაზე, რეალიზაციის გზების ძიებას და მოგების საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვისას.

საქართველოში მცირე საწარმოთა განვითარებას განაპირობებს რამოდენიმე ხელსაყრელი ფაქ-ტორი: ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება და მათი შედარებით თანაბარი განლაგება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე; დაუსაქმებელი სამუშაო ძალის არსებობა; ინდივიდუალური შრომისკენ მისწრა-ფება და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ტერიტორიების არსებობა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უდიდეს გავლენას ახდენს ქართულ ეკონომიკაზე. უფრო ზუსტად კი იმ კომპანიების გავლენა, რომლებიც ქართულ-უცხოური წილობრივი მონაწილეობითაა შექ-მნილი, რადგან უცხოური ინვესტიციით შექმნილი კომპანიები ბაზრის სერიოზული მოთამაშეები არიან და დიდწილად სწორედ ისინი განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკური აქტიურობის ძირითად ბირთვს.

ამ კუთხით განხილულია გარკვეული მიმართულებები და წარმოდგენილია გარკვეული დასკვნები, რომ ბიზნესი უნდა იყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი. თუმცა, ამავე დროს უნდა დაემორჩილოს როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო სამართლის ნორმებს ბიზნესსაქმიანობის მაშტაბის მიხედვით. ინვესტიციები არის მამოძრავებელი მექანიზმი, რომელიც ყველანაირად ცდილობს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის სტიმულირებას რაც ბიზნესის ძირითადი სექტორების განვითარებას შეუწყობს ხელს.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესგარემო, ბუნებრივი რესურსები, ინვესტიციები, რისკების შეფასება, შიდა და გარე ფაქტორები.

ძირითადი ტექსტი

ბიზნესის წარმატებით ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელია შესაბამისი გარემოს არსებობა, რომლის ჩამოყალიბებაში სახელმწიფოს (ხელისუფლებას) წამყვანი როლი ენიჭება. ბიზნესის გარემო არის იმ ობიექტურ და სუბიექტურ პირობათა და ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბიზნესის განხორციელების შესაძლებლობაზე, მიმართულებაზე, ტემპსა და მასშტაბზე. ამ მხრივ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი როგორც გარეგანი ასევე, შინაგანი ფაქტორები.

ბიზნეს სექტორის განვითარებისათვის და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა: სახელმწიფოსა და ადგილობრივი კერძო ბიზნესის ურთიერთქმედების ეფექტიანობის გაზრდა, ადგილობრივი ბუნებრივი და ადამიანური რესურსების გამოყენების ეფექტურობის ზრდა, ადგი-ლობრივი თვითმმართველობების საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა, ფინანსური

რესურსების ხელმისაწვდომობა, კანონმდებლობის გამარტივება, საგადასახადო შეღავათების დაწესება, თანადაფინანსების მექანიზმის დახვეწა, ექსპორტის წახალისება და სუბსიდირება.

განვითარებადი ქვეყნებისთვის და მათ შორის საქართველოსთვისაც, უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესისათვის გარკვეული ბიძგის მიცემა და სასტარტო მხარდაჭერა. თუმცა ეს გარემოება სულაც არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო მოგვევლინოს ბიზნესის კონკურენტის როლში, პირიქით, სახელმწიფომ უნდა განავითაროს ქვეყანაში ის მიმართულებები და სექტორები, რომლის განვითარების შესაძლებლობაც ბიზნესის წარმომადგენლებს არ გააჩნიათ. ასევე აუცილებელია ბიზნესის სტიმულირების მიზნით ჩანერგოს საგადასახადო (ფისკალური) მოტივაციის მექანიზმი.

აღსანიშნავია, სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის მხარდამჭერი ისეთი პროგრამა, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში". სსიპ „აწარმოე საქართველოში" ერთ-ერთი პირველი სახელწიფო უწყებაა საქართველოში, რომელიც 2014 წლის ივნისში შეიქმნა და რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა.

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, მთავრობის მიერ გატარებული ყველა სახის ღონისძიების საბოლოო მიზანი ქვეყანაში საერთო სამეწარმეო გარემოს შექმნა და ახალგაზრდა, დამწყები ბიზნესმენების წახალისებაა ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის. პროექტი ხელს უწყობს დამწყებ ბიზნესმენებს, რომელთა ბიზნესის ჩამოსაყალიბებლად მსგავსი ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესია, რაც საბოლოოდ საზოგადოებრივ წინსვლას განაპირობებს. ინოვაციური პროდუქტის სრულყოფა მნიშვნელოვანია ბაზარზე თავის დამკვიდრებისთვის. პროგრამის არსებობა უნიკალური შანსია სრულიად ნულიდან განახორციელოს ინოვატორმა თავისი იდეა და შექმნას პროდუქტი, რომელიც ახალ სიტყვას იტყვის, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ბაზარზე.

ეკონომიკური პროცესების გავლენა ბიზნესის განვითარებაზე საკმაოდ მნიშვნელოვანია, სწორედ ამიტომაა საჭირო სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური რეფორმების გატარებისას, თანმიმდევრული და მეცნიერული, სიღრმისეული მიდგომა და ბიზნესის მიკრო და მაკრო გარემო პირობების ობიექტური შესწავლა.

ბიზნესის განვითარებისთვის და შესაბამისად ეკონომიკური სტაბილურობის შექმნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყანაში ჯანსაღი ბიზნეს გარემოს არსებობა. ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე.

ბიზნესის განვითარებაზე ბიზნეს გარემოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ფაქტორები ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ. პოლიტიკური გარემოს ძირითადი დანიშნულება ქვეყანაში სტაბილური გარემოს ფორმირებაა, ეკონომიკური გარემოს ფუნქცია მდგომარეობს მიმზიდველი გარემოს შექმნაში, დაბალი სოციალური ფონის ზრდაში. რაც შეეხება სამართლებრივ ასპექტს ეს შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციად ჩაითვალოს. სწორად ეს ფაქტორი ქმნის ყველაზე მიმზიდველ ბიზნეს გარემოს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელ ინვესტორთათვის.

პოლიტიკური გარემო უზრუნველყოფს ქვეყნის სტაბილურ მდგომარეობასა და სახელმწიფოს იმიჯს. თუ ქვეყანაში არასტაბილური სიტუაციაა შეუძლებელია მიიზიდო ინვესტორი. სწორედ პოლიტიკური გარემო განსაზღვრავს ბიზნესის ქცევის წესებს. ინვესტიციები ბიზნესში უმთავრეს მიზნად ისახავს მოგების მიღებას, რისთვისაც ხდება საწარმოო აქტივების შეძენა და გამოყენება. ეკონომიკური ინვესტირება ნიშნავს საწარმოო პროცესების ორგანიზებას მოგების მიღების მიზნით, ხდება წარმოების ფაქტორების (ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი და სამუშაო ძალა) შეძენა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ინვესტირება რეალურ აქტივებში სახსრების დაბანდებაა მოგების მიღების მიზნით.

საქართველოში დღეს ბევრს ლაპარაკობენ ინვესტირებისათვის ხელსაყრელ გარემოზე. ხაზს უსვამენ ბიზნესის დაწყებისათვის ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივეს. ინვესტორებს ჭირდებათ მყარი გარანტიები გრძელვადიანი ინვესტირების განსახორციელებლად ჩვენს ქვეყანაში, ეს გარანტიები თავის მხრივ მოიცავს, საკანონმდებლო და სასამართლო სისტემის მოწესრიგებას, სახელ-მწიფო რეგულაციების შერბილებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, საექსპორტო პოტენციალის

ზრდას, ფინანსური ბაზრების განვითარებას.

ეკონომიკური გარემო ბიზნეს გარემოზე ზემოქმედი ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც საგრძნობ-ლად ზემოქმედებს ბიზნესის განვითარებაზე. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყანაში დაიწყო ეკონომიკური რეფორმების გატარება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. ამგვარი რეფორმების უპირველესი მათგანი იყო საკუთრების უფლების აღიარებაზე ზრუნვა. საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებული ეკონომიკური რეფორმების გატარების შემდეგ დაიწყო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. იმდროინდელ საქართველოში იქნა აღიარებული შერეული ეკონომიკური სისტემის ფორმირების აუცილებლობა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საჭიროება. თავის მხრივ ეკონომიკური ფაქტორი იყოფა სამ სახეობად: კაპიტალისტური, სოციალისტური, შერეული.

ამგვარი კლასიფიცირების გარდა ეკონომიკური გარემო შეიძლება კიდევ დაიყოს ასე:

- რესურსთა გადანაწილებისა და კონტროლის გათვალისწინებით;
- საკუთრების ტიპის მიხედვით;
- საბაზრო ეკონომიკა.

ის ეკონომიკური გარემო სადაც ბიზნეს სუბიექტი ახდენს წარმოებას შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად, ესენია: შიდა გარემო და გარე გარემო.

მეწარმის საქმიანობის ეკონომიკური გარემოს ფაქტორებია შიდა გარემო, გარე გარემო და გარე - ე.წ. გლობალური გარემო, რომლებიც თავის მხრივ იყოფა რამდენიმე ნაწილად.

მეწარმის საქმიანობის ეკონომიკური გარემოს შიდა გარემო იყოფა შემდეგი ფაქტორების მიხედვით:

- ბაზარზე საქმიანობის გამოცდილება;
- წარმოება;
- მატერიალური ბაზა;
- სამუშაო ძალა;
- ფინანსური რესურსი;
- მარკეტინგი და მენეჯმენტი; გარე გარემო მოიცავს:
- რესურსთა მომწოდებლები: მატერილურ რესურსთა მომწოდებლები, შრომის რესურსთა მომწოდებლები, კაპიტალის მომწოდებლები;
- მყიდველები: პროდუქციის დისტრიბუტორები, მომხარებლები;
- კონკურენტები: რესურსის მიხედვით და საქონლის მიხედვით;
- ტექნოლოგიები: როგორც ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ასევე ძველის მოდერნიზება.

გარე გლობალური გარემოს ფაქტორებია:

- პოლიტიკურ სამართლებრივი გარემო, ეკონომიკური გარემო, სოციალურ- კულტურული გარემო და ტექნოლოგიური გარემო.

რაც შეეხება ბიზნეს გარემოზე ზემოქმედ სამართლებლივ ფაქტორებს - ნაგულისხმებია სახელ-მწიფოს მიერ გატარებული ისეთი სამართლებრივი რეფორმები, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ ბიზნესის ფორმირებაზე, შესაბამისად ბიზნესის ხელშეწყობაზე და ჯანსაღი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებაზე.

დასკვნა

საქართველოს ბიზნეს გარემოს ანალიზი, ასევე ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი ფაქტორები შესაძლებლობას იძლევა ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნები:

1. ბიზნესის განვითარება აუცილებელია კონკურენტუნარიანი გარემოს შესაქმნელად, რაზეც დამოკიდებულია საქართველოში საბაზრო რეფორმების ეფექტურობა და წარმატებები.
2. საქართველოში აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ხელშეწყობა ბიზნეს სექტორის განვითარებისათვის. ბიზნესის და განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა არის სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი საერთო ეროვნული მიზნის მისაღწევად.
3. საქართველოში არსებობს პოტენციალი და შესაბამისი რესურსი ბიზნესის სხვადასხვა სფეროს

განვითარებისათვის.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დასაქმების პრობლემების მოგვარებაში უდიდესი როლი ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, შეიძლება დაასაქმოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და გაზარდოს მათი შემოსავლები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლიპარტია ზ. ბიზნესის ანალიზი და განვითარების პროგნოზირება, თბილისი 2019 წ.
2. ციხელაშვილი ქ. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია, თბილისი, 2018 წ.
3. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბიზნეს-გარემო საქართველოში. სტატია: „ბიზნესის განვითარების გამოწვევები".
4. მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველო, 2019 წ.
5. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, პროექტი:ბიზნეს-გარემოს გაუმოჯბესება საქართველოში, 2009 წ.
6. გერაძე რ., პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა საქართველოსთვის, ჟურნალი „Forbes Georgia", თბილისი 2015 წ.
7. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველო, 3591, 2010 წ.
8. საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობდა და გარანტიები, 473, 1996 წ.
9. ნანა ასლამაზიშვილი. საერთაშორისო ბიზნესის სტატისტიკა. 2020.
10. http://br.geostat.ge/register_geo/index.php?action=report_30&lang=ka&search10=25-09-2015
11. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri.

Business environment in Georgia and the prospects of its development

Sulashvili Giorgi
Associate Professor of Georgian Technical University

Darejan Pochkhidze
PhD student of Georgian Technical University

Summary

The paper sets out a position on the business environment in Georgia, which determines the growth rate of the country's economy and the development of the private sector. Internal and external factors affecting business development are established. In order to make a decision on business development and investment, it is necessary to assess the risks, the higher the profitability, the more attractive the business project, but at the same time the higher the risks. The key to business is economic independence, which means the freedom of entrepreneurs to choose their field of activity, to make decisions, to create production programs, to find sources of financing and suppliers, to attract and retain labor resources, to set prices, to search for tariffs, goods and services at disposal.

The development of small enterprises in Georgia is conditioned by several favorable factors: the diversity of natural resources and their relatively equal distribution throughout the country; Existence of unemployed labor force; Aspiration for individual labor and the existence of monopolistic territories for agricultural production.

Foreign direct investment has the greatest impact on the Georgian economy. More precisely, the influence of companies created with Georgian-foreign equity participation, because companies created with foreign investment are serious market players and largely determine the core of the country's economic activity.

In this regard, certain areas are discussed and certain conclusions are presented that the business should be independent and free. However, at the same time it must obey the norms of both domestic and international law according to the scale of business activity. Investments are a driving force that tries to stimulate a stable economic situation in the country, which will contribute to the development of key business sectors.

Keywords: Business environment, natural resources, investments, risk assessment, internal and external factors.

ადამიანური რესურსების ინოვაციური სამუშაო, როგორც სკოლის ინოვაციური საქმიანობის ეფექტური მართვის ფაქტორი

ფახურიძე მურად
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკასა და სკოლების ინოვაციურ საქმიანობას შორის ურთიერთობის გაანალიზებისას, ბევრი ხელმძღვანელობს ტრადიციული ეკონომიკური თეორიის გზავნილებით, რის შედეგადაც ისინი არ ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ ინოვაცია, ფაქტობრივად, არის ადამიანის საქმიანობის პროდუქტი, რომელიც შექმნილია გონებაში და ხორციელდება მოქმედებებით. ახალი მიდგომა უნდა მოიცავდეს დინამიური, მრავალკომპონენტიანი, არაწრფივი ურთიერთქმედების გაგებას, თუ როგორ ქმნიან და მართავენ სკოლები ცოდნას და ინოვაციის უნარს, ორგანიზაციული სწავლისა და განვითარების ადამიანური კაპიტალის პრაქტიკის სტრუქტურულ და დინამიურ კომპონენტებს შორის კომპლექსური ურთიერთობის შესწავლით და ინოვაცია, ორგანიზაციის ეფექტურობა. გარდა ამისა, თავად ურთიერთობა ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პრაქტიკასა და ინოვაციური აქტივობას შორის ხასიათდება, როგორც რთული, მრავალფაქტორული და დინამიური, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მისი ანალიზისა და ინტერპრეტაციის პროცესს. თუმცა უკვე მე-20 საუკუნის ბოლოს გაჩნდა სამეცნიერო მიმართულება, რომლის ფარგლებშიც ადამიანური ფაქტორი ინოვაციის პროცესში გახდა კვლევის მთავარი აქცენტი - ამ მიმართულებას „ინოვაციური სამუშაო (ორგანიზაციული) ქცევა“ ჰქვია.

ინოვაციური სამუშაო ქცევა არის პერსონალთა გონებრივი და ფიზიკური აქტივობის კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს მთელი რიგი ამოცანების გადაჭრას, რაც ხელს უწყობს მთავარი მიზნის მიღწევას. ინოვაციური განვითარება განსაზღვრავს ინოვაციურ სამუშაო ქცევას, როგორც ახალი იდეების მიზანმიმართულ შექმნას, განხორციელებას და გამოყენებას ინდივიდუალურ მუშაობაში, ჯგუფის ან ორგანიზაციის მუშაობაში, როგორც მთლიანობაში, რათა გაიზარდოს დონე. ინდივიდის, ჯგუფის ან ორგანიზაციის პროდუქტიულობა. ინოვაციური სამუშაო ქცევა მიზნად ისახავს გარკვეული სარგებლის შექმნას და აქვს მკაფიო გამოყენებითი კომპონენტი. ამრიგად, ინოვაციური სამუშაო ქცევა გულისხმობს თანამშრომლების გონებრივ და ფიზიკურ აქტივობას, რაც გამოიხატება ინოვაციური პროდუქტების რაოდენობაში.

მოსაზრებას, რომ ინოვაციური სამუშაო ქცევები დადებითად არის დაკავშირებული სკოლის საქმიანობასთან, ინოვაციური სამუშაო ქცევის განვითარებაზე გავლენას ახდენს ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა. ინოვაციური სამუშაო ქცევა არის საინიციატივო ქცევა, რომელიც ხასიათდება ინოვაციების აღქმის, შექმნისა და განხორციელების უნარით. ქცევას უნდა ჰქონდეს მიზეზი, იყოს მოტივირებული, მიზანმიმართული და გაზომვადი. ამრიგად, ინოვაციური ქცევის სტიმულირების საკითხში მთავარი როლი ენიჭება პერსონალის ეფექტური მოტივაციის პრაქტიკას. სისტემაში შიდა მოტივაციისა და გარე ჯილდოს პრაქტიკის გამოყენება დადებითად მოქმედებს თანამშრომლების შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებაზე და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინოვაციურ სამუშაო ქცევაზე. წამახალისებელი პროგრამების გრძელვადიანი დაგეგმვის პრაქტიკა დადებითად მოქმედებს ორგანიზაციის ინოვაციურ შედეგებზე.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პრაქტიკის გამოყენება ზრდის დეცენტრალიზაციის დონეს და ასეთი გარემო უფრო ხელსაყრელია ცოდნის შეძენის, გამოყენებისა და გავრცელებისათვის; მეორეც, გუნდური მუშაობის პრაქტიკა, მათ შორის პერსონალის როტაცია, ხელს შეუწყობს სამუშაოს ყველაზე ეფექტურ კოორდინაციას; და მესამე, გუნდები ხშირად აერთიანებენ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც ცალკე არსებობდა ორგანიზაციაში, რაც პოტენციურად იწვევს პროცესის გაუმჯობესებას და პროდუქტის გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: პროდუქტი, პრაქტიკა, სტრუქტურა, ანალიზი, ინოვაცია, მოტივაცია.

ძირითადი ტექსტი

ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პრაქტიკასა და ინოვაციურ სამუშაო ქცევას შორის ურთიერთობის, ასევე ინოვაციურ სამუშაო ქცევასა და სკოლების ინოვაციურ საქმიანობაზე, გვაქვს შემდეგი ჰიპოთეზა:

ჰიპოთეზა 1 - არსებობს პერსონალის მართვის პრაქტიკა, რომელიც დადებითად მოქმედებს ინოვაციური სამუშაო ქცევის ფორმირებაზე.

ჰიპოთეზა 2 - ინოვაციური სამუშაო ქცევა დადებითად არის დაკავშირებული სკოლების აქტიურ საქმიანობასთან.

ადამიანური რესურსების მართვის სისტემა შეიძლება დადებითად იყოს დაკავშირებული სკოლის ინოვაციურ შედეგებთან სადაც სისტემა უნდა მოიცავდეს პერსონალის მართვის შემდეგი პრაქტიკის გამოყენებას: მოქნილი სამუშაო საათები, გუნდური მუშაობის შენარჩუნება, მაღალკვალიფიციური თანამშრომლების გრძელვადიანი დაქირავება, მრავალმხრივი გრძელვადიანი ტრენინგი, კარიერის განვითარება, პერსონალის ქცევის შეფასება, კომპენსაციის სისტემა.

უნდა არსებობდეს აქტივობები, რომლებიც მიმართული იქნება ლიდერობის განვითარებასა და თანამშრომლების გუნდური სულისკვეთების შესანარჩუნებლად, ამასთან, ხაზს უსვამს ჯვარედინი ფუნქციური გუნდების შექმნას. ამრიგად, პერსონალის პრაქტიკა, რომელიც ხაზს უსვამს ინტენსიურ ტრენინგს, შესრულებაზე დაფუძნებულ ჯილდოებს და გუნდის განვითარებას და წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვის სისტემას, გავლენას ახდენს სკოლის ინოვაციურ შედეგებზე.

ინოვაციური სამუშაო ქცევა მოიცავს თანამშრომლების კრეატიულობას, ანუ პროდუქტების, სერვისების, პროცესებისა და პროცედურების ახალი და სასარგებლო იდეების შექმნას, ასევე მათ განხორციელებას. ინოვაციურ სამუშაო ქცევას უკავშირდება ინოვაციურ პროცესი და განასხვავებს ინოვაციური სამუშაო ქცევის ოთხ თანმიმდევრულ და ურთიერთდაკავშირებულ ეტაპებს:

პირველი ეტაპი - პრობლემის იდენტიფიკაცია, ეხება პრობლემებისა და საჭიროებების ამოცნობას და გააზრებას, რაც ქმნის სამუშაო კონტექსტში პროდუქტებისა და პროცესების ცვლილებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

მეორე ეტაპი - იდეების გენერირების ეტაპი - მოიცავს ინოვაციური განვითარების დაწყებას პროდუქტებისა თუ პროცესების იდეების შექმნისა და შეთავაზების გზით, რომლებიც არის ახალი, შესაფერისი და პოტენციურად გამოსადეგი/შესაბამისი პრობლემების ან არსებული პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც არსებობს კონკრეტულ სამუშაო კონტექსტში.

მესამე ეტაპი - იდეის პოპულარიზაცია - ახასიათებს იდეის ადვოკატირებას და ლეგიტიმაციას შემოთავაზებული ინოვაციის სოციალური გარემოს დარწმუნებით და საქმიანი კოალიციის შექმნით, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას და უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციას, რესურსებს და მხარდაჭერას.

მეოთხე ეტაპი - იდეის განხორციელება - მოიცავს ექსპერიმენტების ჩატარებას ერთ-ერთ იდეაზე, იდეის ფიზიკური ან ინტელექტუალური პროტოტიპის შექმნას მისი ადეკვატურობის შესამოწმებლად და გასაუმჯობესებლად და ორგანიზაციულ პროცესში ინტეგრაციის სტრატეგიის დაგეგმვას.

ეს ოთხი ეტაპი ჩვეულებრივ იყოფა ორ ეტაპად: კრეატიულობა (პირველი ორი ეტაპი) და პრაქტიკული განხორციელება (ბოლო ორი ეტაპი).

დასკვნა

ამრიგად, დღევანდელ დინამიურ გარემოში, სკოლებმა, რათა არა მხოლოდ იყვნენ წარმატებული, არამედ ჰქონდეთ მდგრადი კონკურენტული უპირატესობა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ინოვაციური სამუშაო ქცევის შექმნას და განვითარებას, რადგან ის მოქმედებს როგორც შუამავალი ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საქმიანობასა და მიღებულ შედეგებს შორის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ის, რომ ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკის გამოყენება, რომლებიც ერთობლივად წარმოადგენს პერსონალის მართვის და ხარისხიანი განათლების მიღების სისტემის შექმნას, გამოიწვევს თანამშრომლების მხრიდან გარკვეული ქცევის ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სკოლის საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას და

ასევე თანმიმდევრული იყოს სკოლების საერთო სტრატეგიასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. გვაჯაია ლ. ქუთათელაძე რ. - საინოვაციო მენეჯმენტი.
2. ბარათაშვილი ე. თაკალანძე ლ. აბრალავა ა. მენეჯმენტი და ადმინისტრიება.
3. სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ალან ჯაჯი. ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები.
4. ჰოფსტედე გ. ჰოპსტედე გ.ი. კულტურები და ორგანიზაციები. ქართული თარგმანი, თბ. 2011
5. Armstrongs Handbook of Human Resource Management Practice_1

Innovative work of human resources as an efficient managing factor of school innovative activity

Murad Pakhuridze
PhD student of Georgian Technical University

Summary

In analyzing the relationship between human resource management practices and school innovation activities, many are guided by the messages of traditional economic theory, so they do not take into account the fact that innovation is, in fact, a product of human activity created in the mind and carried out by action. The new approach should include understanding dynamic, multicomponent, nonlinear interactions, how schools create and manage knowledge and innovation skills, exploring the complex relationship between structural and dynamic components of human capital practice and development, and organizational effectiveness. In addition, the relationship itself between human resource management practices and innovative activity is characterized as complex, multifactorial, and dynamic, which greatly complicates the process of its analysis and interpretation. However, at the end of the 20th century, a scientific direction emerged in which the human factor in the process of innovation became the main focus of research - this direction is called "innovative work (organizational) behavior."

Innovative work behavior is a complex of mental and physical activity of staff, which aims to solve a number of tasks that contribute to the achievement of the main goal. Innovative development defines innovative work behavior as the purposeful creation, implementation, and application of new ideas in individual work, in the work of a group or organization as a whole, in order to increase the level. Productivity of an individual, group or organization. Innovative work behaviors are designed to generate certain benefits and have a distinct applied component. Thus, innovative work behavior implies the mental and physical activity of employees, which is reflected in the number of innovative products.

The notion that innovative work behaviors are positively related to school performance is influenced by the practice of human resource management in the development of innovative work behaviors. Innovative work behavior is an initiative behavior characterized by the ability to perceive, create, and implement innovations. Behavior must have a reason, be motivated, purposeful and measurable. Thus, effective staff motivation practices play a key role in stimulating innovative behavior. The use of internal motivation and external reward practices in the system has a positive effect on the development of employees' creative abilities and has a significant impact on innovative work behavior. The practice of long-term planning of incentive programs has a positive effect on the innovative results of the organization.

The use of human resource management practices increases the level of decentralization and such an environment is more conducive to the acquisition, application and dissemination of knowledge; Second, teamwork practices, including staff rotation, will facilitate the most effective coordination of work; And third, teams often combine knowledge and experience that existed separately in the organization, potentially leading to process improvement and product improvement.

Keywords: product, practice, structure, analysis, innovation, motivation.

სამუშაო სივრცეში რისკების მართვის აქტუალური პრობლემები

ფიფია ასმათი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში - „სამუშაო სივრცეში რისკების მართვის აქტუალური პრობლემები“ - განხილულია სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების შეფასება. რისკის ზომა გავლენას ახდენს ადამიანის, ორგანიზაციის შემოსავლებთან და რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს ადამიანზე ან ორგანიზაციაზე მოქმედ საფრთხეებზე აქტიური კონტროლი. რაც უფრო მოულოდნელია რისკი, მით უფრო მეტი რესურსია საჭირო მის მიერ მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად. გარდა ამისა, სტატიაში განმარტებულია შრომის უსაფრთხოება და მასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, შრომის უსაფრთხოების სისტემა, რომელიც ქმნის პირობებს ჯანსაღი და უსაფრთხო საქმიანობისთვის, რომელიც მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, საორგანიზაციო-ტექნიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სარეაბილიტაციო და სხვა ღონისძიებებს.

სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ შრომის უსაფრთხოების დაცვის ვალდებულებას განაპირობებს სამი ფაქტორი - მორალური ვალდებულება, საკანონმდებლო ვალდებულება და ეკონომიკური ფაქტორი - და გადმოცემულია თითოეული მათგანის დახასიათება.

რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე ხდება რამდენიმე საფეხურით და მიმოხილულია მათი შინაარსი. კერძოდ:

პირველ საფეხურზე ხდება საფრთხეების იდენტიფიკაცია. ამ დროს, პირველ რიგში, უნდა მოხდეს იდენტიფიკაცია იმისა, თუ როგორ შეიძლება დაზიანდნენ დასაქმებულები და სტუმრები.

მეორე საფეხურზე უნდა განისაზღვროს ვინ ზარალდება და როგორ.

მესამე საფეხურის მიზანია რისკის შეფასება, ანუ განისაზღვროს და მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით.

მეოთხე საფეხურზე უნდა მოხდეს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირის ჩანიშვნა და აქტივობათა ვადების განსაზღვრა.

მეხუთე, ბოლო საფეხურზე ხდება შედეგების აღწერა, შეფასების მონიტორინგის ჩატარება, მისი გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში განხილვა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამუშაო სივრცეში რისკების მართვა მეტად აქტუალური თემა იყო და არის კომპანიების საქმიანობაში. რისკების მართვის სტრატეგიის ჩამოყალიბება და განვითარება საშუალებას მისცემს მათ დიდი სიზუსტით მოახდინონ მოსალოდნელი რისკების პროგნოზირება და მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების დროულად შემუშავება.

საკვანძო სიტყვები: რისკები, უსაფრთხოება, რისკების მართვა, პროგნოზირება.

ძირითადი ტექსტი

რისკების მართვა ნებისმიერი ეკონომიკური პროცესის აუცილებელი და შემადგენელი ნაწილია, რადგან რისკის ზომა გავლენას ახდენს ადამიანის, ორგანიზაციის შემოსავლებთან. რისკის მართვის მიზანია ადამიანზე ან ორგანიზაციაზე მოქმედ საფრთხეებზე აქტიური კონტროლი. იგი საშუალებას იძლევა, მინიმუმამდე შემცირდეს სხვადასხვა რისკის ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ზარალი, კატასტროფული დანაკარგების დადგომის ალბათობა. რაც უფრო მოულოდნელია რისკი, მით უფრო მეტი რესურსია საჭირო მის მიერ მიყენებული ზარალის თავიდან ასაცილებლად. რაც უფრო მეტი ცოდნა გვაქვს რისკის შესახებ, მით უფრო მეტი საშუალებაა მისი მართვისათვის. ამიტომ, რისკის მართვის პროცესი რაც უფრო ეფექტურად არის ორგანიზებული, მით უფრო ეფექტურია ადამიანის ან ორგანიზაციის საქმიანობა.[1]

[1] ბიბილაშვილი ლ., აფხაიძე ე. რისკების მართვის აუცილებლობა კომპანიაში. კონფერენცია - „ეკონომიკა - XXI საუკუნე“, თსუ. http://conferenceconomics.tsu.ge/?

რისკების მართვის სისტემა მოითხოვს დიდ დანახარჯებს და, ამიტომაც, ძირითადად მსხვილი კორპორაციებისათვის არის ხელმისაწვდომი, მაგრამ მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით ყველა კომპანიას, მათი სიდიდის მიუხედავად, შეუძლია დანერგოს ამ სისტემის ცალკეული ელემენტები, კერძოდ გამოყოს ძირითადი რისკები და გაატაროს ღონისძიებები მათ შესამცირებლად. დღეს ნებისმიერი კომპანია, ასე თუ ისე, მართავს რისკებს. ერთნი აფასებენ რისკებს მათი დადგომის შემდეგ, რომლებმაც უკვე გამოიწვია მნიშვნელოვანი დანაკარგები, ხოლო მეორენი ამ საქმიანობას ეწევიან გამუდმებით და გეგმაზომიერად. იმისათვის, რომ რისკების მართვის სისტემა იყოს ქმედითი, აუცილებელია, კომპანიის მენეჯმენტი გაერკვეს რისკმენეჯმენტის ტექნოლოგიაში, განახორციელოს რისკების დიაგნოსტიკა, შეაფასოს მათი წარმოშობის ალბათობა და შესაძლო დანაკარგები, ორგანიზება გაუკეთოს რისკების მართვას.

სტატიაში განვიხილავთ სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკების შეფასებას.

რა არის შრომის უსაფრთხოება? - ეს არის სამუშაოს შესრულების დროს დასაქმებულის დაცვა სამუშაოს უარყოფითი ზეგავლენისგან. საქართველოს ორგანულ კანონში დეტალურად არის განმარტებული შრომის უსაფრთხოების ტერმინი, კერძოდ „შრომის უსაფრთხოება არის დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ფუნქციური შესაძლებლობების სამუშაოს უარყოფითი ასპექტებისგან დაცვის სისტემა, რომელიც ჯანსაღი და უსაფრთხო საქმიანობის პირობებს ქმნის და მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სარეაბილიტაციო და სხვა ღონისძიებებს;“[1] ხოლო, შრომის უსაფრთხოების სისტემა ქმნის პირობებს ჯანსაღი და უსაფრთხო საქმიანობისთვის, რომელიც მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, საორგანიზაციო-ტექნიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სარეაბილიტაციო და სხვა ღონისძიებებს.

უსაფრთხო მდგომარეობის დროს დაზიანებასთან დაკავშირებული რისკები შემცირებულია უსაფრთხოების დასაშვებ დონემდე.

შრომის უსაფრთხოების დაცვის ვალდებულებას განაპირობებს 3 ფაქტორი: მორალური ვალდებულება, საკანონმდებლო ვალდებულება და ეკონომიკური ფაქტორი.

მორალური ვალდებულება გამომდინარეობს დამსაქმებლის მიერ მაღალი მორალური თვითშეგნებიდან, კერძოდ როცა დამსაქმებელი თავს ვალდებულად თვლის (მორალური ფაქტორიდან გამომდინარე) დაიცვას დასაქმებულების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. მორალურ ვალდებულებას ორგანიზაციების ძირითადი ნაწილი არ ითვალისწინებს და შრომის უსაფრთხოების დაცვის გადამწყვეტ ფაქტორს არ წარმოადგენს.

ეკონომიკური ფაქტორი შეიძლება დავყოთ პირდაპირ და არაპირდაპირ დანახარჯებად.

პირდაპირი დანახარჯია:

1. თანამშრომლისა და ინვენტარის დაზიანების ხარჯები;

3. დაუზღვეველი სამედიცინო ხარჯი;

4. ჯარიმები.

არაპირდაპირი დანახარჯია:

1. გაცდენილი დრო;

2. იმიჯის და რეპუტაციის შელახვა;

3. კლიენტების დაკარგვა;

4. გამოძიების წარმოება;

5. თანამშრომლების პროდუქტიულობის დაკარგვა;

6. სხვა თანამშრომლის დატრენინგება.

საკანონმდებლო ვალდებულება არის ის გადამწყვეტი ფაქტორი, რომლის გამოც ორგანიზაციები იცავენ მეტ-ნაკლებად შრომის უსაფრთხოებას. უფრო ზუსტად კი იმ ჯარიმების გამო რაც

[1] საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ - მუხლი 3, პუნქტი ვ - 19/02/2019

განსაზღვრულია კანონმდებლობით.[1]

რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე ხდება რამდენიმე საფეხურით:[2]

პირველ საფეხურზე ხდება საფრთხეების იდენტიფიკაცია;

ამ დროს, პირველ რიგში, უნდა მოხდეს იდენტიფიკაცია იმისა, თუ როგორ შეიძლება დაზიანდნენ დასაქმებულები და სტუმრები. ამისათვის ხდება სამუშაო ადგილის დათვალიერება და საფრთხეების აღწერა, რის შემდეგაც ხდება რისკების იდენტიფიკაცია, რომლისთვისაც ითვალისწინებენ შემდეგს:

- უპირველესად ხდება სამუშაო ადგილის შეთვალიერება და ყველა იმ ფაქტის გათვალისწინება, რამაც შეიძლება ადამიანისათვის ზიანის მიყენება გამოიწვიოს;
- აუცილებელია შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეების აღწერა და შესაძლო უბედური შემთხვევებისა და ჯანმრთელობის გაუარესების თავიდან აცილების შესახებ ინფორმაციის მოპოვება;
- უნდა შემოწმდეს „მწარმოებელთა“ ან „მომწოდებელთა“ ინსტრუქციები და „ტექნიკური აღწერილობები“;
- წარსულში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და ჯანმრთელობის პრობლემების მაგალითზე დაკავშირებული მაგალითები უნდა იქნეს შესწავლილი და ყურადღება უნდა მიექცეს ფსიქოლოგიურ ზემოქმედებასთან დაკავშირებულ გრძელვადიან საფრთხეებს (მაგ., ხმაური ან მავნე ზემოქმედების ნივთიერების ზემოქმედება).

მეორე საფეხურზე უნდა განისაზღვროს ვინ ზარალდება და როგორ. კერძოდ, ვინ შეიძლება დაზარალდეს ყოველი იდენტიფიცირებული საფრთხის შედეგად ანუ რა ტიპის ტრავმა შეიძლება მიადგეთ დაზარალებულებს და როგორ შეიძლება ეს მათ ჯანმრთელობაზე აისახოს და ა. შ. აქ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- ზოგიერთ დასაქმებულს კონკრეტული საჭიროებები აქვთ. მაგალითად, ახალგაზრდა თანამშრომლები, ფეხმძიმე ქალები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და სხვ. ამის გამო ისინი შეიძლება განსხვავებული რისკების წინაშე აღმოჩნდნენ;
- თუ ადგილი საზიაროა, მაშინ უნდა გაირკვეს როგორ იმოქმედებს მათი საქმიანობა მათ კოლეგებზე და სხვ.

მესამე საფეხურის მიზანია რისკის შეფასება - ანუ განისაზღვროს და მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით. კერძოდ, საფრთხეთა იდენტიფიცირების შემდეგ შემფასებლებმა უნდა გადაწყვიტონ შემდგომი ნაბიჯები ანუ, პირველ რიგში, უნდა გაითვალისწინონ კონტროლის არსებული მექანიზმები და საქმიანობის ორგანიზება. ამ პუნქტში აუცილებლობას წარმოადგენს - არის თუ არა შესაძლებელი საფრთხის ძირეული აღმოფხვრა და თუ ეს შესაძლებელია როგორ გავაკონტროლოთ ისინი ისე, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ რისკის ალბათობა.

რისკების სამართავად კონტროლის მექანიზმებს შორის სასურველია შემდეგი თანმიმდევრობის დაცვა:

- პირველ რიგში, სასურველია საფრთხე ნაკლებად სარისკო ვარიანტით ჩანაცვლდეს (მაგალითად გადაერთონ ნაკლებად საშიში ქიმიური ნივთიერებების მოხმარებაზე);
- სამუშაო ისე უნდა წარიმართოს, რომ შემცირდეს საფრთხის ალბათობა (მაგალითისთვის, ფეხით მოსიარულეებსა და ტრანსპორტს შორის აღიმართოს ბარიერი) და დაინერგოს უსაფრთხო მუშაობის მეთოდები;
- და ბოლოს, დასაქმებულებს, საჭიროების მიხედვით, უნდა დაურიგდეს დაცვის პერსონალური აღჭურვილობა (მაგალითად, შესაფერისი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვ.).

დამსაქმებლების და დასაქმებულების მიერ რისკების ერთობლივი, გუნდური შეფასება უზრუნველყოფს შემოთავაზებული კონტროლის მექანიზმების პრაქტიკაში წარმატებულობას და არ წარმოშობს

[1] საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ - 19/02/2019

[2] სამუშაო ადგილზე რისკების შეფასება, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2014, გვ. 6. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_protect/---protrav/---safework/documents/publication/wcms_627050.pdf

ახალ საფრთხეებს. დაიმახსოვრეთ - ყველა დასაქმებულ პირს, მათ შორის მენეჯერებსაც, უნდა ჩაუტაროთ ტრენინგი კონტროლის შეთანხმებულ ზომებზე. ეს იქნება მათი მართებულად განხორციელების ერთგვარი გარანტია.

მეოთხე საფეხურზე უნდა მოხდეს საკონტროლო ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირის ჩანიშვნა და აქტივობათა ვადების განსაზღვრა. ამ საფრთხის აღმოსაფხვრელად, პირველ რიგში, საჭირო და აუცილებელია კარგი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც სხვადასხვა საკითხს მოიცავს.[1] ესენია:

- რამდენიმე დაბალბიუჯეტიან, ადვილად და სწრაფად განსახორციელებელ ქმედებას, რაც დროებითი გამოსავალი იქნება სამოქმედო გეგმის სრულად განხორციელებამდე;
- უბედური შემთხვევების ან ჯანმრთელობის გაუარესების მაღალი ალბათობის რისკების გადაჭრის გრძელვადიან გამოსავალს;
- ყველაზე ცუდი შედეგების მატარებელი რისკების აღმოსაფხვრელად გრძელვადიან გამოსავალს;
- არსებული რისკების და მათი კონტროლის მექანიზმების შესახებ დასაქმებულთათვის ტრენინგების ორგანიზებას;
- კონტროლის მექანიზმების განგრძობადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად რეგულარულ შემოწმებას.

მეხუთე, ბოლო საფეხურზე ხდება შედეგების აღწერა, შეფასების მონიტორინგის ჩატარება, მისი გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში განხილვა. ანუ ამ საფეხურზე საჭიროა კიდევ ერთხელ გადაიხედოს რისკების შეფასება. მოხდა თუ არა მასში რამე ცვლილება და საჭიროა თუ არა მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებაზე ფიქრი და ა. შ.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამუშაო სივრცეში რისკების მართვა მეტად აქტუალური თემა იყო და არის კომპანიების საქმიანობაში. რისკების მართვის სტრატეგიის ჩამოყალიბება და განვითარება საშუალებას მისცემს მათ დიდი სიზუსტით მოახდინონ მოსალოდნელი რისკების პროგნოზირება და მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების დროულად შემუშავება. რისკ-მენეჯმენტში გაწეული ინვესტიციების შეფასების შედეგად აღმოჩნდა, რომ წარმატებას მიაღწიეს მხოლოდ იმ კომპანიებმა, რომლებმაც რისკების მართვის მწყობრი სისტემა შექმნეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბილაშვილი ლ., აფხაიძე ე. რისკების მართვის აუცილებლობა კომპანიაში. კონფერენცია - „ეკონომიკა - XXI საუკუნე“, თსუ. http://conferenceconomics.tsu.ge/?
2. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ - მუხლი 3, პუნქტი ვ.
3. სამუშაო ადგილზე რისკების შეფასება, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2014, გვ. 6. chrome-xtension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_protect/---protrav/---safework/documents/publication/wcms_627050.pdf

[1] სამუშაო ადგილზე რისკების შეფასება, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2014, გვ. 11. chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_protect/---protrav/---safework/documents/publication/wcms_627050.pdf

Current problems of workplace risk management

Asmat Pipia
Doctor of Business Administration
Georgian Technical University

Summary

The article - "Current Problems of Risk Management in the Workplace" - discusses the assessment of occupational safety and health risks. The size of the risk affects the income of the person, the organization and the goal of risk management is to actively control the threats to the person or organization. The more unexpected the risk, the more resources are needed to eliminate the damage caused by it. In addition, the article explains occupational safety and related issues. In particular, the labor safety system, which creates conditions for healthy and safe activities, which includes legal, socio-economic, organizational-technical, sanitary-hygienic, medical-preventive, rehabilitation and other measures.

The article also mentions that the obligation to protect labor safety is conditioned by three factors - moral obligation, legislative obligation and economic factor - and outlines the characteristics of each of them.

Risk assessment in the workplace is done in several steps and their content is reviewed. In particular:

The first step is to identify the threats. At this time, first of all, it should be identified how employees and guests may be harmed.

The second step is to determine who suffers and how.

The purpose of the third step is to assess, identify and decide on health and safety risk control mechanisms.

In the fourth step, each person responsible for carrying out the control measures should be noted and the terms of the activities should be determined.

Fifth, the last step is to describe the results, monitor the evaluation, review it and, if necessary, review it.

In conclusion, it can be said that risk management in the workplace has been and is a very topical issue in the activities of companies. Developing a risk management strategy will enable them to predict the expected risks with great accuracy and to develop the measures needed to eliminate them in a timely manner.

Keywords: Risks, Safety, Risk Management, Forecasting.

ექსპერტული სისტემის მოდელი ენერგეტიკის ინჟინერიისთვის

ქუთათელაძე რუსუდან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

კობიაშვილი ანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა ინფორმაციის მოცულობა ენერგოსისტემების მდგომარეობის შესახებ. ეს მონაცემები აუცილებელია ენერგოსისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის. ნორმალურ მდგომარეობაში ენერგოსისტემების ოპერატორებს შეუძლიათ გაუმკლავდნენ ამ რაოდენობის მონაცემებს და გააკონტროლონ ენერგოსისტემების გამართული ფუნქციონირება. თუმცა, უწესივრობების შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილებები რეალურ დროში უნდა იქნეს მიღებული, ძალიან რთული ხდება უწესივრობის ანალიზი და შესაბამისი დიაგნოსტირება, რის შემდეგაც მათ შეუძლიათ აღადგინონ ენერგომომარაგება. ავარიული სიტუაციებისა და მოწყობილობის არასწორი ფუნქციონირების შემთხვევაში ოპერატორებს სჭირდებათ გარკვეული მექანიზმი, რომელიც დაეხმარება მათ დიაგნოსტიკასა და სისტემის აღდგენაში. ასეთი მექანიზმი შეიძლება იყოს ექსპერტული სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს ოპერატორებს რეალურ დროში მოახდინონ პრობლემების დიაგნოსტირება და შეადგინონ გადამრთველების თანამიმდევრობა, რომელიც უნდა შესრულდეს ენერგომიწოდების აღსადგენად.

სტატიაში შემოთავაზებულია ენერგეტიკული სისტემის დიაგნოსტიკის ექსპერტული სისტემის მოდელს. აღწერილია ამ ექსპერტული სისტემის მოდელი. მოცემულია ცოდნის წარმოდგენისა და დასკვნის მიღების მექანიზმის მახასიათებლები. ნაჩვენებია ვირტუალური წესების სქემა თითოეული ცოდნის მოდულისთვის. შემოთავაზებულია დასკვნების მიღების მოქნილი მექანიზმი ცოდნის ბაზის სტრუქტურებთან ურთიერთობისთვის. განხილულია უწესივრობების დიაგნოსტირების ხარისხის გაუმჯობესების გზები.

საკვანძო სიტყვები: ექსპერტული სისტემა, ენერგოსისტემა, უწესივრობის დიაგნოსტიკა, ცოდნის ბაზა, დასკვნის მექანიზმი.

ძირითადი ტექსტი

უწესივრობების ანალიზი ენერგოსისტემაში ნიშნავს უწესივრობების ადგილმდებარეობის, უწესივრობების სახეობის დადგენას და ასევე უწესივრობების წარმოშობისას დამცველი რელეებისა და წრედის გამთიშველების არაკორექტული ოპერირების მიზეზების გამოვლენას [1]. როცა უწესივრობას აქვს ადგილი ელექტრო ენერგეტიკულ სისტემაში, ინფორმაცია უწესივრობების სესახებ ავტომატურად მიიღება სადისპეტჩერო სამსახურში და მართვის ცენტრში. ოპერატორებმა უნდა დაადგინონ უწესივრობის ადგილი და სახეობა ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მაქსიმალურად სწრაფად იმ ცოდნის საფუძველზე ჩატარებული მსჯელობისა და იმ გამოცდილების საფუძველზე, რასაც ისინი ფლობენ ელექტროენერგეტიკული სისტემების შესახებ. მრავლობითი უწესივრობების შემთხვევაში ამ პრობლემის გადაწყვეტა დასაშვებ დროში თითქმის შეუძლებელი ხდება. რთულდება უწესივრობის იდენტიფიკაცია, რადგანაც მოკლე დროის განმავლობაში ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ადგილი აქვს მრავალ ცვლილებას ერთდროულად. უფრო მეტიც, თუ უწესივრობა შეიცავს არასწორად ფუნქციონირებად დამცავ რელეებს ან წრედების გამთიშველებს, ოპერატორებს ესაჭიროებათ უწესივრობის ამოცნობისათვის ძალიან ღრმა ცოდნა და მრავალფეროვანი გამოცდილება.

ამოცანის დასმა

უწესივრობის ადგილის დადგენისათვის ადამიან-ექსპერტს უწევს ორი პრობლემის გადაწყვეტა:

- უწესივრობის ანალიზის ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული თითოეული ოპერატორის უნარზე;
- საგანგებო მდგოამრეობაში ლიმიტირებულია ადამიანის უნარი ზუსტი ოპერაციების შესრულებისას [2].

ამ ორი პრობლემის გადასაწყვეტად სასურვლია შეიქმნას რეალური დროის ექსპერტული სისტემა. სისტემის მოდელი აიგება SCADA სისტემის საფუძველზე, რომლის დანიშნულება იქნება ქვესადგურების მონიტორინგი და კონტროლი. ექსპერტული სისტემა მიიღებს მონაცემებს დისტანციური ტერმინალიდან. ეს მონაცემები ასევე მიღებული იქნება SCADA სისტემის მიერ. ესაა მონაცემები წრედის გამთიშველების ჩართული/გამორთული მდგომარეობის შესახებ, ავტომატურად აღმდგენი მოწყობილობების სტატუსის შესახებ, რელეების ოპერაციული სტატუსის შესახებ და გადამცემი ხაზების სტატუსის შესახებ; ასევე ტელემეტრული ინფორმაცია აქტიური სიმძლავრის, რეაქტიული სიმძლავრის, ძაბვის, დენის ძალის სიდიდის შესახებ.

ამოცანის გადაწყვეტა

ნახ.1-ზე წარმოდგენილია ექსპერტული სისტემის კონფიგურაცია. სისტემა შედგება ორი ნაწილისაგან: რეალური დროის მონაცემების დამუშავების მოდულისაგან და დასკვნების მიღების მოდულისაგან. პირველი მოდული გამოავლენს ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაცემების საფუძველზე სტატუსის ცვლილებებს, რომლებიც ონ-ლაინ რეჟიმში გადაეცემა მოდულს დაშორებული ტერმინალური პუნქტებიდან. უწესივრობის აღმოჩენისთანავე მოდული ამოიცნობს ზოგიერთ უწესივრობას სტატუსის შეცვლის საშუალებით და ამ შეცვლილი სტატუსის მონაცემების მოდიფიცირებას ახდენს ისეთ ფორმაში, რომ მისი წაკითხვა შესაძლებელი იყოს მეორე მოდულის მიერ და ამ მოდიფიცირებულ მონაცემებს გადააგზავნის მონაცემთა ბაზაში, რის შემდეგაც იწყება სათანადო დასკვნების მიღება.

მეორე მოდული ადგენს უწესივრობის ადგილმდებარეობას, ტიპს და ზოგიერთი სხვა მონაცემის სიდიდეს, რომელთა ცოდნაც აუცილებელია დასკვნების მიღების მექანიზმისთვის. ამოქმედდება სწორედ ეს მექანიზმი, რომელიც ცოდნის ბაზაში დაგროვილი ცოდნის საფუძველზე გააკეთებს შესაბამის დასკვნას. მიიღება დასკვნის შედეგები და მოხდება მათი გამოტანა დისფლეის ეკრანზე. ოპერატორი ამ შედეგს გამოიყენებს ენერგოსისტემის აღდგენისათვის ოპერაციათა თანმიმდევრობის შესადგენად.

მიზეზისანალიზისშედეგებისმიღებამდრო უნდა შეესაბამებოდეს რეალური დროის სისტემების მოთხოვნებს [3].



ნახ. 1. რეალური დროის უწესივრობების ანალიზის სისტემის კონფიგურაცია უწესივრობის ამოცნობიდან ამ უწესივრობის

დასკვნების მიღებისას საჭიროა ამ პროცესის კონტროლი საკონტროლო ცოდნის გამოყენებით.

საკონტროლო ცოდნა სპეციალურად განკუთვნილია მხოლოდ დასკვნების მიღების პროცესის მართვისათვის და ამის გამო ცოდნის ბაზა ხდება უფრო რთული, როცა სისტემა იზრდება. რაც შეეხება ცოდნის წარმოდგენას, შეიძლება მივიღოთ მდგომარეობა, როცა ადამიანის ცოდნა შეუძლებელია სათანადოდ იქნეს წრმოდგენილი if-then ფორმის გამოყენებით.

ამიტომ სასურველია ცოდნის წარმოდგენის ისეთი ფორმის გამოყენება, რომ ის არ იყოს დაკავშირებული ისეთ ფორმალიზმთან, როგორიცაა if-then ფორმა, ანუ უფრო მარტივი ფორმა უნდა იქნეს შერჩეული, ამასთან, ამ წარმოდგენაში არ უნდა იყოს გამოყენებული დასკვნების მიღების პროცესის კონტროლი [4].

ექსპერტული სისტემა შეიძლება დაიწეროს პროლოგზე. ეს ენა ძალიან მოსახერხებელია მისი უკან დაბრუნების მექანიზმისა და ცოდნის წარმოდგენის მოქნილობის გამო. პროლოგის დიდი უპირატესობაა სწორედ უკან დაბრუნების მექანიზმი, რომლის გამოყენებაც დასკვნების მიღებისას ახდენს პრედიკატების შემოწმებას მანამ, სანამ არ იქნება ნაპოვნი ისეთი პრედიკატი, რომელიც იქნება ჭეშმარიტი. ეს პროცესი მსგავსია ადამიანის აზროვნების პროცესისა უწესივრობების დიაგნოსტირების დროს. პროლოგ-სისტემაში ადამიანის განსჯის პროცესის მაქსიმალური მიახლოების რეალიზებაა შესაძლებელი, თუ არსებობს ცოდნა როგორც პროლოგის პრედიკატები და მათზე მუშაობს უკან დაბრუნების მექანიზმი. ამიტომ საჭირო აღარაა შეიქმნას სპეციალური დასკვნების მექანიზმი. გარდა ამისა, ადვილია შეიქმნას დასკვნების მიღების ახალი მექანიზმი უკან დაბრუნების მექანიზმზე დაყრდნობით. რაც შეეხება ცოდნის წარმოდგენას, პრედიკატების ცვლადების განსაზღვრა არაა აუცილებელი როგორც შემავალი ან გამომავალი ცვლადებისა პროლოგში. ეს მახასიათებელი შესაძლებელს ხდის იმ ფაქტს, რომ პროლოგის მიერ წარმოდგენილ ცოდნას აქვს უფრო მეტი მნიშვნელობა იმ პირობებიდან გამომდინარე, ცვლადის სტატუსი უნიფიცირებულია თუ არა.

ექსპერტული სისტემა ახდენს წესების კლასიფიკაციას სამი დონის მიხედვით. ესაა მართვის, დიაგნოზისა და პრიმიტიული წესები. დიაგნოზის დონის წესები იყოფა რამდენიმე მოდულად. წესების სამი დონეა შემდეგი:

- მართვის დონის წესები მართავს დიაგნოზის წესების მოდულის შესრულების თანამიმდევ-რობას. თანამიმდევრობა აიგება პრიორიტეტების მიხედვით. ეს წესები მართავს დიაგნოზის მოდულის შემავალ/გამომავალ სიდიდეებს და განსაზღვრავს დასკვნების მიღების მეთოდს დიაგნოზის მოდულის წესებისათვის;
- დიაგნოზის დონის წესები გამოიყენება დიაგნოსტირებისათვის პრობლემათა დომენში და დაჯგუფებულია მოდულებად;
- პრიმიტიული დონის წესები წარმოადგენს საფუძველს პრობლემების დომენში. მხოლოდ ამ დონის წესებს შეუძლია ინტერფეისის განხორციელება მონაცემთა ბაზასთან ისე, რომ მონაცემთა სტრუქტურის ან წარმოდგენის ცვლილებისას საჭირო არაა დიაგნოზის დონის წესების მოდიფიცირება მონაცემთა ახალი წარმოდგენის შესაბამისად. ამ დონის წესები იყოფა ჯგუფებად მათი მნიშვნელობის მიხედვით. დიაგნოზის წესების წარმოდგენა ხდება პრიმიტიული დონის წესების კომბინაციის საშუალებით.

წესების თითოეულ მოდულს აქვს შაბლონი, რომელსაც ეწოდება ვირტუალური წესების სქემა. ამ სქემას აქვს ინფორმაცია პრიმიტიული წესების ჯგუფში წესების წარმოდგენის შესახებ დიაგნოსტიკურ წესებად. ვირტუალური წესების სქემა განისაზღვრება მომხმარებლის მიერ და გამოიყენება ცოდნის რედაქტორის მიერ.

დასკვნების მიღების მექანიზმიც სამდონიანი მხარდაჭერითაა წარმოდგენილი ექსპერტულ სისტემაში – თითოეული მათგანი შეესაბამება მართვის წესების თითოეულ დონეს.

დასკვნების მიღების მექანიზმი მართვის დონისათვის განსაზღვრავს დიაგნოზის წესების თითოეული მოდულის შესრულების თანამიმდევრობას მართვის წესის გამოყენებით.

დასკვნების მიღების მექანიზმს დიაგნოზის წესისათვის, რომელიც დაკავშირებულია კონფლიქ-ტების გადაჭრასთან, აქვს შემდეგი სამი სახის სტრატეგია:

- ყველაფრის ძებნა. ხდება ყველა წესის შემოწმება და იმ წესების არჩევა, რომლებიც ჭეშმა-რიტია. ეს ხორციელდება ყველა იმ ფაქტის ძებნით, რომლებიც აკმაყოფილებს პირობას.

- პრიორიტეტზე დაფუძნებული ძებნა. ხდება წესების შემოწმება მათი პრიორიტეტების თანამიმდევრობით და პირველივე იმ წესის არჩევა, რომელიც ჭეშმარიტი აღმოჩნდება.
- ძებნა გამოჩენის თანამიმდევრობის მიხედვით. ხდება წესების შემოწმება ცოდნის ბაზაში მათი გამოჩენის თანამიმდევრობის მიხედვით და იმ პირველი წესის არჩევა, რომელიც ჭეშმარიტია.

დასკვნის მიღების პროცესში დასკვნების მექანიზმი ჩაწერს ინფორმაციას შერჩეული ცოდნისა და მონაცემების შესახებ. ეს ინფორმაცია მოგვიანებით გამოიყენება ვერიფიკაციის მოდულში. დასკვნების მიღების ეს მექანიზმი განისაზღვრება როგორც მართვის წესები დიაგნოზის წესების მოდულის თვისების თანახმად. დასკვნების მიღების მექანიზმი პრიმიტიული წესებისთვის პროლოგში იყენებს უკან დაბრუნების მექანიზმს.

ცოდნის რედაქტორი უზრუნველყოფს ცოდნის ბაზაში შენახული დიაგნოზის დონის წესების დამატებას, წაშლასა და მოდიფიკაციას. მისთვის ცნობილია დიაგნოზის წესების სინტაქსი და სემანტიკა ვირტუალური წესების სქემის საშუალებით და მომხმარებელს აძლევს საშუალებას წარმოადგინოს წესი მარტივად, რედაქტორის მითითების შესაბამისად. ვირტუალური წესების სქემაში წარმოდგენილი პრიმიტიული წესების ჯგუფის თანამიმდევრობის შესაბამისად ის მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას სარწმუნო არჩევანის შესახებ თითოეულ ბიჯზე. სარწმუნო არჩევანი განსაზღვრული ჯგუფის კუთვნილი პრიმიტიული წესებია. მომხმარებელმა მხოლოდ უნდა აირჩიოს სასურველი პრიმიტიული წესი გამოტანილი არჩევანიდან.

ვირტუალური წესების სქემის გამოყენებით დიაგნოზის წესების ასეთი გზით რედაქტირებით ყველა წესისთვის შენარჩუნებულია უნიფიცირებული კონცეფცია და რედაქტორს შეუძლია ადვილად შეამოწმოს დაპირისპირებულობა და დუბლირება ამ წესებს შორის.

მონაცემთა რედაქტორი უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზაში შენახული მონაცემების დამატების, წაშლის, მოდიფიკაციისა და დაპირისპირებულობის შემოწმების ფუნქციებს. მონაცემებსაც აქვს შაბლონი, რომელსაც ეწოდება ვირტუალური მონაცემების სქემა, რომელშიც ინახება ინფორმაცია მონაცემთა თითოეული სახეობის ატრიბუტებისა და ურთიერთდამოკიდებულებების შესახებ. მონაცემთა რედაქტორში ის მომხმარებელს აწვდის ასეთი ატრიბუტებისა და დამოკიდებულებების სიდიდეს და მომხმარებელი ახდენს ამ სიდიდეების რედაქტირებას.



ნახ.2 ექსპერტული სისტემის კონცეპტუალური მოდელი

ვერიფიკაციის მოდულში შესაძლებელია დასკვნების მიღების პროცესის დანახვა უწესივრობის გამოჩენისას, კერძოდ, რა წესები იქნა არჩეული და სტატუსის რომელი მონაცემები იყო დაფიქსირებული თითოეული წესის არჩევისას. დასკვნების მიღების პროცესის ვერიფიკაციის დროს მომხმარებელი განსაზღვრავს ვერიფიკაციის დონეს, შემდეგ ვერიფიკაციის მოდული იწყებს ვერიფიკაციას შერჩეული დონის შესაბამისად. ვერიფიკაციის დონე ნიშნავს დასკვნების მიღების პროცესის ახსნა-განმარტების დეტალების ხარისხს.

ამრიგად, ექსპერტული სისტემის კონცეპტუალურ მოდელს აქვს ნახ.2-ზე წარმოდგენილი სახე.

დასკვნა

აღწერილი ექსპერტული სისტემის მოდელი ეფექტურია უწესივრობების დიაგნოსტირებისათვის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში. ის იქნება ჩაშენებული ენერგოსისტემის მართვის რეალური დროის სისტემაში და მოახდენს ზუსტ ანალიზს. მსჯელობის პროცესი ენერგოსისტემაში უწესივრობების ანალიზისათვის მსგავსია ადამიანი ექსპერტის განსჯის პროცესის. მოდელი ეფუძნება წესების კლასიფიკაციის კონცეფციას და დასკვნების მიღების მექანიზმის რეალიზების იდეას თითოეული დონისათვის და გააჩნია შემდეგი მახასიათებლები:

- წესების მოდულარიზაცია და ორგანიზაცია;
- წესებს შორის შეთავსებადობის შენარჩუნების უზრუნველყოფა;
- ვირტუალური წესების სქემისა და ვირტუალური მონაცემთა სქემის გამოყენებით დიაგნოზის ეფექტურობის გაუმჯობესება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Kojima Y., Warashina S., Nakamura S., and Matsumoto K. “Development of a Guidance Method for Power System Restoration,” IEEE Proceedings of PES Winter Meeting, New York, Paper Number 89, WM 162-9 PWRS, 1989.
2. E.Moriguchi, H.Sakaguchi, M.Kunugi, K.Shimada, K.Suzuki. Expert System for Power System Fault Analysis and Restoration. CIGRE, SCJ9, 1987.
3. https://ieeexplore.ieee.org/document/128598
4. https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1474667017504978

Expert System Model for Power Engineering

Rusudan Kutateladze
Professor Georgian Technical University

Ana Kobiashvili
Professor Georgian Technical University

Summary

During the last decades the volume of information about the state of power systems is dramatically increasing. These data are necessary for their efficient functioning. In normal state operators of power systems can deal with such amount of data and control the proper functioning of the power systems. However, in case of a disturbance, when the decisions must be made in real time, it becomes very hard to distinguish a fault and make appropriate diagnosis after which they can restore energy supply. In the case of emergency and device malfunctions operators need some mechanism to assist them in diagnosis and restoration. Such mechanism can be an expert system which allows the operators to diagnose the problems in real time and elaborate the sequence of switches which should be executed to restore delivery.

The article offers an expert system model for power system diagnosis. The model of this expert system is described. Characteristics of knowledge representation and inference mechanism are given. The virtual rules scheme for each knowledge module is shown. A flexible inference mechanism for dealing with knowledge base structures is offered. Ways of improvement of degree of fault diagnosis are considered.

Keywords: expert system, power system, fault diagnoses, knowledge base, inference mechanism.

ორგანიზაციული ცვლილებებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების დაძლევის გზები

ღამბაშიძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გურგენიძე სოფია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

იმაზე, თუ რამდენად ახერხებს მენეჯმენტი ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის აღმოფხვრას, დიდ გავლენას ახდენს წინააღმდეგობის დაძლევის მეთოდები. ეს მეთოდები განსხვავებულია. ისინი ორგანიზაციაში არსებული სიტუაციის გაანალიზების შემდეგ, მიზნების, ამოცანების, ვადების, ცვლილებების ხასიათის, ძალაუფლების არსებული ბალანსის გათვალისწინებით უნდა იქნას გამოყენებული.ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა შეიძლება იყოს განსხვავებული სიძლიერის და ინტენსივობის. ის ვლინდება როგორც ცვლილებების პასიური, მეტ -ნაკლებად დაფარული უარყოფის სახით, გამოხატული დაუსწრებლობის სახით, პროდუქტიულობის შემცირებით ან სხვა სამუშაოზე გადასვლის სურვილით, ასევე გარდაქმნებისადმი აქტიური, ღია წინააღმდეგობის სახით. საწარმოს მუშაობაში რაიმე ინოვაციის შემოღებისას მენეჯერები მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ თანამშრომლების ესა თუ ის ნაწილი ცვლილებებს არ მიიღებს. გარდაქმნები ყოველთვის იწვევს წინააღმდეგობას ორგანიზაციის წევრებში, რის შედეგადაც ამ პროცესის დასაწყისში ადგილი აქვს შეფერხებებს და, შესაბამისად, ჩამორჩენას მიზნების მისაღწევის დაგეგმილ ვადებთან შედარებით, ზოგიერთ შემთხვევაში კი მათ სრულ ჩავარდნას. უმეტეს შემთხვევაში, წინააღმდეგობის ამოცნობა ადვილი არ არის, რადგან ის აგებულია ისე, რომ მის მატარებლებს საშუალება მიეცეთ, ერთი მხრივ, ჰქონდეთ საიმედო დაცვა ინოვაციებისგან, ხოლო მეორეს მხრივ, უზრუნველყონ თავიანთი პოზიციის ხელშეუხებლობა. ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა შეიძლება იყოს განსხვავებული სიძლიერის და ინტენსივობის. ის ვლინდება როგორც ცვლილებების პასიური, მეტ -ნაკლებად დაფარული უარყოფის სახით, გამოხატული დაუსწრებლობის სახით, პროდუქტიულობის შემცირებით ან სხვა სამუშაოზე გადასვლის სურვილით, ასევე გარდაქმნებისადმი აქტიური, ღია წინააღმდეგობის სახით. სიახლეებისადმი წინააღმდეგობა ხშირად წარმოიქმნება რწმენის საფუძველზე, რომ ინოვაცია არ არის აუცილებელი საწარმოსთვის ან ეწინააღმდეგება კიდეც მის ინტერესებს.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაციული წინააღმდეგობა, პროცესის ინტენსივობა, ინოვაციის დანერგვა, პირადი მიზეზები, დანაკარგების აღქმა

ძირითადი ტექსტი

ორგანიზაციული ცვლილებებისადმი წინააღმდეგობაში იგულისხმება, თანამშრომელთა ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიმართულია ორგანიზაციაში ცვლილებების განხორციელების წინააღმდეგ, მათი დისკრედიტაციისკენ.

მთელი გუნდის თანამშრომლობის პირობებში ცვლილებების უკონფლიქტო განხორციელება წარმოადგენს გამონაკლისს და არა წესს. ცვლილებები ძალიან განსხვავებულად ფასდება საწარმოს უმაღლესი მენეჯმენტის მხრიდან (მისთვის ეს არის ახალი შესაძლებლობა) და მისი თანამშრომლების მხრიდან (მათთვის ცვლილებები შეიცავს საფრთხეებს). წინააღმდეგობის მატარებლები არიან თანამშრომლები, რომლებსაც ეშინიათ არა ცვლილების, არამედ იმის რომ თავად მოუწევთ შეცვლა. ამიტომ, ისინი ცდილობენ თავიდან აიცილონ ცვლილებები, რათა არ მოხვდნენ ახალ, მათთვის ნაკლებად გასაგებ სტრუქტურაში, რომელშიც მათ მოუწევთ ბევრი რამის გაკეთება არა ისე როგორც მიჩვეულები არიან, და არა იმის, რასაც ადრე აკეთებდნენ.

საწარმოს მუშაობაში რაიმე ინოვაციის შემოღებისას მენეჯერები მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ თანამშრომლების ესა თუ ის ნაწილი ცვლილებებს არ მიიღებს. გარდაქმნები ყოველთვის იწვევს

წინააღმდეგობას ორგანიზაციის წევრებში, რის შედეგადაც ამ პროცესის დასაწყისში ადგილი აქვს შეფერხებებს და, შესაბამისად, ჩამორჩენას მიზნების მისაღწევის დაგეგმილ ვადებთან შედარებით, ზოგიერთ შემთხვევაში კი მათ სრულ ჩავარდნას.

უმეტეს შემთხვევაში, წინააღმდეგობის ამოცნობა ადვილი არ არის, რადგან ის აგებულია ისე, რომ მის მატარებლებს საშუალება მიეცეთ, ერთი მხრივ, ჰქონდეთ საიმედო დაცვა ინოვაციებისგან, ხოლო მეორეს მხრივ, უზრუნველყონ თავიანთი პოზიციის ხელშეუხებლობა.

წინააღმდეგობის ფორმები შეიძლება განსხვავებული იყოს: დაწყებული ინოვაციებში მონაწილეობაზე ღიად უარის თქმით (ამა თუ იმ საბაბით) დამთავრებული აქტივობის იმიტაციით, ამავდროულად იმის დემონსტრირებით, რომ ინოვაცია არ იძლევა დადებით შედეგს.

ინოვაციის დანერგვის ეტაპზე წინააღმდეგობა სხვა ფორმებსაც იღებს:

- "ნაწილებად განხორციელება". ამ შემთხვევაში, ეტაპობრიობის ფორმაში "შეფუთვით", ხდება მხოლოდ ზოგიერთი ელემენტის ათვისება.
- "მარადიული ექსპერიმენტი". თუ ინოვაციის ფართოდ დანერგვამდე ექსპერიმენტული აპრობირების ეტაპი ჩატარდა, ეს ეტაპი შეიძლება ინოვაციის მიზანშეწონილობის დამტკიცების შემდეგაც კი გაგრძელდეს.
- "საანგარიშგებო განხორციელება". იგი მდგომარეობს ინოვაციის დანერგვის რეალურ დონესა და ანგარიშში წარდგენილ დონეს შორის შეუსაბამობაში. დამახინჯების ხარისხის დადგენა რთულია.
- "პარალელური განხორციელება". ეს ხდება მაშინ, როდესაც ახალი თანაარსებობს ძველთან, თუმცა მან უნდა შეცვალოს (გამოდევნოს) "წინამორბედი".

ვინაიდან ორგანიზაციების უმეტესობას აქვს რამდენიმე „ძალაუფლების ცენტრი“, რომლებიც განლაგებულია მენეჯმენტის იერარქიის სხვადასხვა დონეზე და რომლებსაც აქვთ განსხვავებული ინტერესები, ორგანიზაციის სხვადასხვა ნაწილში წინააღმდეგობის ხარისხი, მიმართულება და აქტიურობა განსხვავებული იქნება.

ჩვეულებრივ, ორგანიზაციის წევრების წინააღმდეგობის სიძლიერე დამოკიდებულია სამ ძირითად ფაქტორზე:

- ცხოვრების ჩამოყალიბებული წესის, პრინციპების და ნორმების ნგრევის ხარისხი;
- ცვლილების პროცესის სიჩქარე და ინტენსივობა;
- ხელისუფლების საფრთხის ხასიათი და მასშტაბი. (ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ძირითადი მიზეზები.)

სიახლეებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ძირითადი მიზეზებია: გაურკვევლობა, დანაკარგების აღქმა, რწმენა იმისა, რომ ცვლილებები კარგს არაფერს მოუტანს, გაგების და ნდობის ნაკლებობა, არაადეკვატური ჯილდოს სისტემები.

გაურკვევლობის მიზეზები შეიძლება იყოს ცუდი ინფორმირებულობა ან შესაძლო შედეგების პროგნოზირების ობიექტური სირთულე. ადამიანებისთვის თავიანთი ქცევის მოდელის არჩევისას მნიშვნელოვანია უსაფრთხოების და დაცულობის მოტივი. ისინი თავს არიდებენ პოტენციურ ჩავარდნებს და სხვადასხვა ხარისხით არიან რისკის გაწევისკენ მიდრეკილნი.

მიუხედავად იმისა, რომ ცვლილება შეიძლება სასარგებლო იყოს საწარმოსთვის, თანამშრომლებმა შეიძლება დაუშვან, რომ ის მათი ინტერესების საზიანოა. იმისგან დამოუკიდებლად, შეესაბამება თუ არა ეს სიმართლეს, ცვლილება არ იქნება მხარდაჭერილი. სიახლეებისადმი წინააღმდეგობა ხშირად წარმოიქმნება რწმენის საფუძველზე, რომ ინოვაცია არ არის აუცილებელი საწარმოსთვის ან ეწინააღმდეგება კიდეც მის ინტერესებს. ადამიანებმა შეიძლება იფიქრონ, რომ ეს არ გადაჭრის პრობლემებს, არამედ მხოლოდ გაამრავლებს მათ.

პირობითად, გარდაქმნებისადმი წინააღმდეგობის გაწევის მიზეზები შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად:

- **ეკონომიკური მიზეზები** დაკავშირებული შემოსავლების ან მისი წყაროების პოტენციურ დაკარგვასთან . ამას შეგვიძლია მივაკუთვნოთ უმუშევრობის პერსპექტივის, სამუშაო საათების შემცირების, შრომის გააქტიურების, შეღავათებისა და პრივილეგიების

ჩამორთმევის შიში. ეკონომიკური დანაკარგები ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს დროისა და სახსრების მაღალი დანახარჯებით, რაც დაკავშირებულია თავად რეფორმების განხორციელებასთან.

- **ორგანიზაციული მიზეზები.** აქ შეგვიძლია აღვნიშნოთ ურთიერთობების ჩამოყალიბებული სისტემის შეცვლის და ძალაუფლების არსებული ბალანსის დარღვევის სურვილის არარსებობა, მომავალი კარიერის და არაფორმალური ორგანიზაციის ბედის გამო შფოთი.
- **პირადი მიზეზები,** რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ადამიანების ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან. აქ შეგვიძლია ვისაუბროთ ჩვევის ძალაზე, ინერციაზე, სიახლის და უცნობის შიშზე. ადამიანების უმეტესობას არ მოსწონს, როდესაც მოვლენების ჩვეული მიმდინარეობა ირღვევა. ცვლილებების პროცესში აუცილებლად წარმოიქმნება თანამდებობის, პირადი ძალაუფლების, სტატუსის, ორგანიზაციაში პოზიციის, მენეჯმენტისა და კოლეგების თვალში პატივისცემის დაკარგვის საფრთხე.
- **სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები** დამახასიათებელია არა მხოლოდ ორგანიზაციის ცალკეული წევრებისა და მათი ჯგუფებისათვის, არამედ მთლიანად გუნდისთვის. აქ შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ადამიანების მათ საჭიროებაში დარწმუნებულობის არარსებობა, ძირითადად მათი მიზნების, მეთოდების, მოსალოდნელი სარგებლის და შესაძლო დანაკარგების შესახებ არასაკმარისად ინფორმირებულობის გამო.

თუ ხელმძღვანელები ინოვაციების დანერგვისას წინააღმდეგობას აწყდებიან, მათ უპირველეს ყოვლისა უნდა გაიაზრონ რა არის ამის მიზეზი და რომელი აუცილებელი პირობები არ არის მათ მიერ შექმნილი.

იმაზე, თუ რამდენად ახერხებს მენეჯმენტი ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის აღმოფხვრას, დიდ გავლენას ახდენს წინააღმდეგობის დაძლევის მეთოდები. ეს მეთოდები განსხვავებულია. ისინი ორგანიზაციაში არსებული სიტუაციის გაანალიზების შემდეგ, მიზნების, ამოცანების, ვადების, ცვლილებების ხასიათის, ძალაუფლების არსებული ბალანსის გათვალისწინებით უნდა იქნას გამოყენებული.

ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა შეიძლება იყოს განსხვავებული სიძლიერის და ინტენსივობის. ის ვლინდება როგორც ცვლილებების პასიური, მეტ -ნაკლებად დაფარული უარყოფის სახით, გამოხატული დაუსწრებლობის სახით, პროდუქტიულობის შემცირებით ან სხვა სამუშაოზე გადასვლის სურვილით, ასევე გარდაქმნებისადმი აქტიური, ღია წინააღმდეგობის სახით (მაგალითად, გაფიცვის სახით, ინოვაციების დანერგვის დაუფარავად აცილება). წინააღმდეგობის გაწევის მიზეზი შესაძლებელია პიროვნულ და სტრუქტურულ ბარიერებში იმალებოდეს.

მენეჯმენტში ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გადალახვის მრავალი გზა არის რეკომენდებული:

განათლება და კონსულტაცია-ეს მეთოდი გულისხმობს იდეებისა და ღონისძიებების ღია განხილვას, რაც გუნდის წევრებს შესაძლებლობას აძლევს ცვლილებების აუცილებლობაში მათ განხორციელებამდე დარწმუნდნენ, სპეციალურ მომზადებას წინასწარ.

ინდივიდუალური საუბრები, ჯგუფის წინაშე გამოსვლა, დისკუსიების გამართვა-ეს მეთოდი რეკომენდებულია, თუ წინააღმდეგობის გაწევის მიზეზები ინფორმაციის ნაკლებობა, არაზუსტი ინფორმაცია ან არაადეკვატური ანალიზია. მეთოდის უარყოფითი მხარეები - შეიძლება მოითხოვოს ბევრი დრო (იყოს შრომატევადი), თუ ამ პროცესში ბევრი ადამიანი იქნება ჩართული.

მონაწილეობა და მოზიდვა - ეს მეთოდი ითვალისწინებს პოტენციური მოწინააღმდეგეების ჩართულობას ცვლილებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ეს მათ შესაძლებლობას მისცემს თავისუფლად გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება შემოთავაზებული ცვლილებების მიმართ, უკეთ წარმოიდგინონ ცვლილებების შედეგები. მეთოდი რეკომენდებულია იქ, სადაც წინააღმდეგობის მნიშვნელოვანი შესაძლებლობები არსებობს. მეთოდის ნაკლოვანებები - შეიძლება მოითხოვოს დიდი დრო და გამოიწვიოს შეცდომები ცვლილებების განხორციელებისას.

დახმარება და მხარდაჭერა- ხშირად, თანამშრომლებს სჭირდებათ რჩევა, რომელიც მათ დაეხმარება ცვლილებების შიში და შფოთვა დაძლიონ. მენეჯერს შეუძლია უზრუნველყოს ემოციური

მხარდაჭერა სტრესის მქონე თანამშრომლების ყურადღებით მოსმენით და დასვენებისთვის გარკვეული დროის მიცემით. შეიძლება ასევე საჭირო გახდეს დამატებითი პროფესიული მომზადება თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად რათა მათ შეძლონ ახალ მოთხოვნებთან გამკლავება. რეკომენდებულია იმ შემთხვევებში, როდესაც წინააღმდეგობის მიზეზი მხოლოდ პირადი პრობლემების შიშია. მეთოდის უარყოფითი მხარეები - შეიძლება ბევრი დრო დასჭირდეს, ძვირი ღირდეს და შედეგი მაინც არ მოიტანოს.

მოლაპარაკებები და შეთანხმებები - ინოვაციის დამტკიცების უზრუნველსაყოფად, ხდება აზრთა გაზიარება და კომპრომისის მიღწევა. იმ თანამშრომლების შესაძლო ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელთა ინტერესებზეც სიახლე გავლენას ახდენს, შეიძლება გამოყენებულ იქნას მატერიალური ან სხვა სტიმული. გამოიყენება იმ სიტუაციებში, როდესაც ერთი პირი ან ჯგუფი ინოვაციის დანერგვისას აშკარად კარგავს და სადაც მათ წინააღმდეგობის გაწევის დიდი შესაძლებლობა აქვთ. მეთოდის ნაკლოვანებები - შეიძლება იყოს ძალიან ძვირი, ასევე სხვებში შეთანხმების იმავე გზით მიღწევის განწყობა გააჩინოს.

კოოპერაცია - მეთოდი გულისხმობს ინოვაციების დანერგვისა და მათი განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში წამყვანი როლის მინიჭებას პირისთვის, რომელსაც შეუძლია ცვლილებას წინააღმდეგობა გაუწიოს. რეკომენდებულია კონკრეტულ სიტუაციებში, როდესაც სხვა მეთოდების გამოყენება ძალიან ძვირია ან საერთოდ შეუძლებელი. მეთოდის უარყოფითი მხარეები - შეუძლია შექმნას პრობლემები, თუ მათ, ვინც შერჩეულია კოოპერაციისთვის, იციან, რატომ ხდება ეს. იძულებით სტრატეგიას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება მიგვიყვანოს მდგრად წარმატებასთან.

უფრო დიდი წარმატებას გვპირდება **ეგრეთ წოდებულ ბიოგრაფიული მიდგომა,** რომელიც ემყარება რეფორმების გამტარებელი ორგანიზაციების ისტორიას. ამ შემთხვევაში, გამოდიან იმ ფაქტორებიდან, რომლებიც განსაზღვრავენ ინდივიდუალურ ღირებულებით წარმოდგენებს, ჯგუფურ ნორმებს და ზოგად მიზნებს.

მათ, ვისაც ცვლილები შეეხება, სტიმული უნდა ჰქონდეთ შეცვალონ თავიანთი ნორმატიული ორიენტაცია ძველი მოდელების მიმართ და შეიმუშაონ მოვალეობების ახალი სისტემა. ამისათვის იქმნება ცვლილებების ორგანიზაციულ-კულტურული პროგრამები, რომლებშიც გვხვდება ისეთი რაციონალური ელემენტები, როგორიცაა ცოდნა, დაგეგმვა, ინფორმაცია, ინსტიტუციონალიზაცია.მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან კონფლიქტური სიტუაციის გადაწყვეტისას აუცილებელია პროფესიულად და მაქსიმალური პატივისცემით მოქმედება, საჭირო სფეროებში სპეციალისტების-სოციოლოგების, მარკეტოლოგების, ფსიქოლოგების, ლოგისტიკოსების, არქიტექტორების, მშენებლების და ა.შ. მოზიდვა.

დასკვნა

გარემოს ცვლილებასთან დაკავშირებით, საბაზრო ეკონომიკაში მენეჯმენტი მუდმივი კორექტირებით ან ორგანიზაციის მიზნების მკვეთრი ცვლილებით ხასიათდება. წარმოებისა და მართვის სისტემის დროული ადაპტაციისათვის აუცილებელია ცვალებადი სიტუაციის მუდმივი პროგნოზი და მიზნების წინასწარ შეცვლა, რაც ნიშნავს რომ ხელმძღვანელები უნდა იყვნენ სტრატეგები და განახორციელონ სტრატეგიული მართვა. ამოცანების ეფექტური შესრულება ემყარება საწარმოს ყველა სტრუქტურული განყოფილების მუშაობის რეგულირებას, მათი კოორდინაციის ორგანიზებას, ფუნქციების, გეგმების, შესრულებაზე და გრაფიკების დაცვაზე მკაცრი პასუხისმგებლობის განსაზღვრას, და ა.შ. იმისდა მიუხედავად, რომ წარმოების და ფუნქციური განყოფილებების ამოცანები განსხვავებულია, საერთო ჯამში ისინი მთლიანად საწარმოს წინაშე მდგარი სტრატეგიული ამოცანის გადაჭრას ისახავს მიზნად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Блинов О.А. Управление изменениями: учебник для бакалавров / А.О. Блинов, Н.В. Угрюмова. М.: «Дашков и К», 2014. 304 с.
2. Иванова Т.Ю. Теория организации: учебник / Т.Ю. Иванова, В.И. Приходько. М.: Кнорус, 2010. 432
3. Organisational Change and Development. Hillary Odor University of Benin 2018
4. Organisational change: A conceptual and theoretical review Eleni Aravopoulou-2016

Ways to overcome negative attitude toward organizational change

Gambashidze Tamar
Associated Professor of Georgian Technical University

Sofia Gurgenidze
PhD student of Georgian Technical University

Summary

The extent to which management manages to eliminate resistance to change is greatly influenced by methods of overcoming resistance. These methods are different. They should be used after analyzing the situation in the organization, taking into account the goals, objectives, deadlines, nature of changes, the existing balance of power. Resistance to change can vary in strength and intensity. It manifests itself as a passive, more or less hidden rejection of change; Expressed in the form of absenteeism, reduced productivity, or a desire to move to another job, as well as active, open resistance to transformation (e.g., in the form of strikes, unabashed avoidance of innovations). The reason for the resistance may be hidden in personal and structural barriers. When introducing any innovation in the work of the enterprise, managers should be prepared to ensure that this or that part of the employees will not receive changes. Transformations always cause resistance in the members of the organization, resulting in delays at the beginning of this process and, consequently, lagging behind the planned deadlines for achieving the goals, and in some cases their complete failure. In most cases, resistance is not easy to identify because it is built to allow its carriers, on the one hand, to have reliable protection against innovation and, on the other hand, to ensure the integrity of their position. Resistance to change can vary in strength and intensity. It manifests itself as passive, more or less covert rejection of change, expressed absence, reduced productivity or a desire to move to another job, as well as active, open resistance to transformation. Resistance to innovation is often based on the belief that innovation is not necessary for the enterprise or even contrary to its interests.

სამშენებლო პროდუქციის, როგორც საქონლის, თავისებურებები

ყანდაშვილი თეიმურაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ატრუშბა რაულ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქონლის მრავალფეროვნება, რომელიც სამშენებლო ორგანიზაციას შეუძლია გაყიდოს ბაზარზე და აღნიშნულია, რომ ის კლასიფიცირდება სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. ავტორები აფასებენ საქონელს დიზაინის, სამომხმარებლო თვისებების, სამრეწველო დანიშნულების მიხედვით. გარდა ამისა, ავტორთა აზრით, საქონელი არის მოძრავი და ფიქსირებული, ხოლო გამოყენების მიხედვით - გრძელვადიანი და მოკლევადიანი. სტატიაში მოცემულია საქონლის ამ სახეობების განმარტება და მატერიალური შემადგენლობა. გარდა ამისა, ავტორები განმარტავენ მომსახურების ცნებას და მის მნიშვნელობას. ავტორების აზრით, მარკეტინგში სამშენებლო პროდუქტები შეიძლება იყოს ყველაფერი, რასაც შეუძლია ადამიანის უძრავ ქონებაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება და შეთავაზებულია უძრავი ქონების ბაზარზე გასაყიდად და შესაძენად პირადი ან საზოგადოებრივი სარგებლობისთვის. ამრიგად, ავტორები ამტკიცებენ, რომ მარკეტინგის სისტემაში სამშენებლო პროდუქცია თავისი შინაარსით შეიძლება ჩაითვალოს პროდუქტად კონტრაქტორის სამშენებლო მომსახურების და პროდუქტის თანმხლები კონსტრუქციის სახით.

სამშენებლო ინდუსტრიაში ფიზიკურ ობიექტს, რომელიც მოქმედებს როგორც საქონელი, წარმოადგენს სამშენებლო პროდუქტი, ე. ი. შენობები, ნაგებობები და მათი კომპლექსები, რომელბიც მზადაა ექსპლუატაციისთვის. სამშენებლო პროდუქცია არის მომხმარებლისთვის მიწოდებული დასრულებულ სამშენებლო და სამონტაჟო საქმიანობის შედეგი, დამონტაჟებული აღჭურვილობით. თუ სამშენებლო ორგანიზაცია ახორციელებს ამ სამუშაოების მხოლოდ ნაწილს (მაგალითად, მხოლოდ სანტექნიკას), პროდუქტი - ეს არის ამ ტიპის სამუშაოების სრული ნაკრები, რომელიც დამკვეთისთვის არის გადაცემული. ამ შემთხვევაში სამუშაო გაგებულია, როგორც შრომის მატერიალიზებული პროდუქტი, რომელსაც აქვს სამომხმარებლო ღირებულება. სამშენებლო ორგანიზაციისთვის, რომელიც ასრულებს მთელ სამშენებლო ციკლს, მისი პროდუქტისა და სამშენებლო წარმოების პროდუქტის კონცეფციის არსი იგივეა.

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგი, სამშენებლო პროდუქცია, პროდუქტი.

ძირითადი ტექსტი

მომსახურება მშენებლობაში არის: საინჟინრო, საკონსულტაციო, საინფორმაციო, გამოთვლითი, იურიდიული და საშუამავლო, სარეკლამო, ოპერაციები უძრავი ქონების, აღჭურვილობისა და სამშენებლო მანქანების დაქირავების სფეროში, ბაზრის კვლევისა და ხარისხის კონტროლის, საგარანტიო, სარემონტო და ა.შ. სერვისი. ჩვენს ქვეყანაში ის სტატისტიკას შეყავს მატერიალური წარმოების სფეროში.

სამშენებლო ორგანიზაციას შეუძლია აწარმოოს ერთი ან რამდენიმე ტიპის საქონელი, ააშენოს ობიექტები და უზრუნველყოს მომსახურება, შეიძლება იყოს დივერსიფიცირებული, მაგალითად, ჩაერთოს სამშენებლო ბიზნესში და გაყიდოს მის მიერ წარმოებული სამშენებლო მასალები, კონსტრუქციები და პროდუქტები. ეს შეიძლება იყოს დიზაინი და კონსტრუქცია, ე.ი. განახორციელოს საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები.

საქონლის მთელი მრავალფეროვნება, რომელიც სამშენებლო ორგანიზაციას შეუძლია გაყიდოს ბაზარზე, კლასიფიცირებულია სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. განასხვავებენ საქონელს დიზაინით (პროექტის მიხედვით), რეალური შესრულებით და უზრუნველყოფით (მაგალითად, საგარანტიო მომსახურებით). საქონელი შეიძლება იყოს განკუთვნილი ზოგადი მოხმარებისა და

სამრეწველო მიზნებისთვის.

სამომხმარებლო საქონელი არის საბოლოო მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონელი პირადი (ოჯახური) მოხმარებისთვის, მაგალითად, ერთოჯახიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი კორპუსი მიწის ნაკვეთით (კოტეჯი).

სამრეწველო საქონელი არის პროდუქტი, რომელიც შეძენილია ფიზიკური პირების ან ბიზნესის მიერ შემდგომი დამუშავების, სხვა პროდუქტების წარმოებისთვის ან ბიზნეს აპლიკაციებისთვის, მაგალითად, მასალები და დეტალები; ნედლეული, ნახევარფაბრიკატები, დეტალები; კაპიტალური ქონება; სტაციონარული კონსტრუქციები, დამხმარე აღჭურვილობა; დამხმარე მასალები და ბიზნეს სერვისები.

კაპიტალური საკუთრება არის საქონელი, რომელიც ნაწილობრივ არის მზა პროდუქტში და დაკავშირებულია შრომის საშუალებებთან. მათ შორის: სამრეწველო შენობები და ნაგებობები; სტაციონარული აღჭურვილობა (მაგალითად, ვენტილაცია); დამხმარე აღჭურვილობა - ხელის ხელსაწყოები, მოწყობილობები და ა.შ. ბიზნეს მომსახურება იყოფა ტექნიკური და სარემონტო და საკონსულტაციო მომსახურებად.

მარკეტინგში სამშენებლო პროდუქცია, როგორც საქონელი, არის ყველაფერი, რამაც შეიძლება დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნილება უძრავ ქონებაზე და შეთავაზებულია უძრავი ქონების ბაზარზე პირადი ან საზოგადოებრივი სარგებლობისთვის შეძენის მიზნით. ეს შეიძლება იყოს დასრულებული შენობები და ნაგებობები სამოქალაქო ან სამრეწველო მიზნებისთვის, სამშენებლო კონსტრუქციები და სამშენებლო მასალები. კონცეფცია „სამშენებლო პროდუქტები, როგორც საქონელი“ მოიცავს უამრავ მომსახურებას ქონების მხარდასაჭერად, როგორც მშენებლობის პროცესში, ასევე მშენებლობის შემდგომ პერიოდში.

ამრიგად, სამშენებლო პროდუქტებად შეიძლება აღიარებულ იქნას რაიმე მისი შინაარსის მიხედვით, რეალურად დასრულებული პროდუქტი, პროდუქტი კონტრაქტორის სამშენებლო მომსახურების სახით და პროდუქტი სამშენებლო პროდუქტების მხარდაჭერის სახით.

ეს არის ერთ-ერთი ფუნდამენტური განსხვავება სამშენებლო პროდუქტების, როგორც საქონელსა და ყველა სახის მასობრივი ან სერიული წარმოების საქონელს შორის, რომელიც ბაზარზე ჩნდება პროდუქციის ან ექსპლუატაციის პერიოდში პროდუქციის თანმხლების სახით.

სამშენებლო პროდუქციის, როგორც პროდუქტის, დიზაინით წარმოებამ, პირველ რიგში, უნდა უპასუხოს კითხვას, რა უნდა იქნას შეთავაზებული მყიდველისათვის. მარკეტინგის თვალსაზრისით, პროდუქტის გასაყიდად აუცილებელია ნებისმიერი პროდუქტის მიღმა დამალული მომხმარებლის საჭიროებების იდენტიფიცირება. უნდა გაკეთდეს რეკლამა და გაიყიდოს არა პროდუქტის თვისებები, არამედ მისგან მიღებული სარგებელი. სამშენებლო პროდუქტის ყიდვისას მყიდველმა აშკარა სარგებელი უნდა დაინახოს ამ კონკრეტული პროდუქტის შეძენისგან.

სამშენებლო პროდუქცია, როგორც რეალური დასრულებული პროდუქტი, შეიძლება ხასიათდებოდეს სამუშაოს დონით, არქიტექტურული, გეოგრაფიული დაგეგმარებით და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებებით, დიზაინის მახასიათებლებით, ბრენდის დასახელებით და ა. შ. ასევე, პროდუქტს შეიძლება ახლდეს დამატებითი სერვისები, რომლებიც აძლიერებს მყიდველის ინტერესს. მყიდველს შეიძლება შესთავაზონ სხვა დამატებითი სერვისები, რომლებიც აძლიერებს ამ ტიპის სამშენებლო პროდუქტის შეძენის სარგებელს.

საქონლის დამატებითი სერვისებით გაძლიერების იდეა მოითხოვს ბაზრის პრობლემების შესწავლისადმი განსხვავებულ მიდგომას. ამ მიდგომით, კონკურენციის კონცეფცია შეიძლება სხვაგვარად იყოს წარმოდგენილი: ეს არის კონკურენცია ერთმანეთთან არა სამშენებლო, საპროექტო ან მწარმოებელი ფირმების საქმიანობის (წარმოების) სფეროში, არამედ სფეროში, რომელიც განაპირობებს მათი პროდუქტების დამატებით მომსახურების, კონსულტაციების სახით. გარანტიები, დაფინანსება, მიწოდების ფუნქციები და სხვა სერვისები, რომლებიც მომხმარებლისთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს (მაგალითად, სამშენებლო ადგილის შერჩევა პრესტიჟულ, ეკოლოგიურად სუფთა ტერიტორიებზე, რაც დამატებით სარგებელს ნიშნავს).

უძრავი ქონების ბაზარზე სამშენებლო პროდუქტების, როგორც საქონლის, პოპულარიზაციას შემდეგი თავისებურებები გააჩნია:

- გაყიდვების ბაზარზე ახლად შექმნილი სამშენებლო პროდუქცია მაშინვე ხვდება უძრავი ქონების მეორადი ბაზრის სერიოზულ კონკურენტულ ახლად შექმნილი სამშენებლო პროდუქციის რეალიზაცია დიდწილად დამოკიდებულია მის სამომხმარებლო ხარისხზე, საწარმოების საინვესტიციო აქტივობაზე და მოსახლეობის გადახდისუნარიანობაზე;
- სამშენებლო პროდუქცია ორიენტირებულია გრძელვადიან გამოყენებაზე, რის შედეგადაც მყიდველი იშვიათად მიდის ბაზარზე ახალი პროდუქტისთვის და უფრო ხშირად დაინტერესებულია პროდუქტის გაუმჯობესებით - შეკეთება, მოდერნიზაცია, რეკონსტრუქცია;
- პროდუქციის ლოკალურობა ლოკალურს ხდის საკონტრაქტო სამუშაოების ბაზარსაც და მისი განვითარება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, რომელშიც განისაზღვრება სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივები, ხელსაყრელი პირობები და ა.შ.
- სამშენებლო პროდუქტების შექმნის საწარმოო და კომერციული ციკლი გრძელია, ამიტომ საჭიროა მკაფიო დაფინანსების პროცედურა, დროის ფაქტორის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, რაც შესაძლებელს ხდის ობიექტის დასრულებას.
- მოთხოვნები სამშენებლო პროდუქციის სიახლეზე ბაზრის პირობებში მაღალია, მით უმეტეს, თუ იქმნება ახალი წარმოება, რომელიც უნდა იყოს კონკურენტუნარიანი.
- წარმოების თითოეული ერთეულის შექმნა მოითხოვს მონაწილეთა დიდი რაოდენობის ჩართვას, ორგანიზაცია აწარმოებს საქმიან ურთიერთობას ახალ პარტნიორთა მთელ ჯგუფთან, რაც რისკის დამატებითი წყაროა.

ამრიგად, შეიძლება აღინიშნოს, რომ სამშენებლო პროდუქტების სპეციფიკურ მახასიათებლებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ, ერთის მხრივ, მის განხორციელებაზე და, მეორე მხრივ, საპროექტო და სამშენებლო ფირმების, როგორც ბიზნეს სუბიექტების საქმიანობაზე, როგორც აქტივების ფორმირებაში, ასევე სამშენებლო პროდუქციის წარმოებაში. ეს მახასიათებლები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მშენებლობის სფეროს მარკეტინგის მეთოდებსა და ფორმებზე.

დასკვნა

უძრავი ქონების ბაზარზე სამშენებლო პროდუქტების სახით წარმოდგენილი დასრულებული შენობა-ნაგებობების დისტრიბუცია შეზღუდულია. ქალაქებში ეს შეიძლება იყოს მრავალსართულიანი ტიპიური საცხოვრებელი კორპუსები იმავე ტიპის ბინების კომპლექტით, რომლებიც ძირითადად განკუთვნილია საშუალო შემოსავლის მქონე მოსახლეობაში გასაყიდად; სოფლად ეს არის იაფი სტანდარტული კოტეჯები მცირე მიწის ნაკვეთითურთ. მოსახლეობის უფრო შეძლებული ნაწილი უპირატესობას ანიჭებს ინდივიდუალურ პროექტებს, რომლებიც ითვალისწინებენ ინდივიდუალური მომხმარებლების არქიტექტურულ და გეოგრაფიულ დაგეგმარების საჭიროებებსა და გემოვნებას. სამრეწველო, ენერგეტიკული ობიექტები, სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ., როგორც წესი, შენდება ინდივიდუალური პროექტების მიხედვით.

აქედან გამომდინარე, სამშენებლო ინდუსტრიაში მარკეტინგული საქმიანობის განხორციელებისას შეიძლება გამოიყოს შემდეგი სფეროები:

- საინვესტიციო პროექტების მარკეტინგი;
- კონტრაქტორი სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციის შეთავაზებებისა და მომსახურების მარკეტინგი;
- სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების, ტექნოლოგიური აღჭურვილობის მწარმოებლებისა და მომწოდებლების მარკეტინგი;
- მზა სამშენებლო პროდუქციის გაყიდვების მარკეტინგი.

თითოეული ეს სფერო მოითხოვს სამშენებლო პროდუქტების გაყიდვების ბაზრის შესწავლას, მისი შექმნისა და განხორციელების სტრატეგიის შემუშავებას, მისი პოპულარიზაციისა და მარკეტინგის მეთოდებს და პროდუქტის პოლიტიკის განსაზღვრას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Grunroos C. Internal Marketing Theory and Practice. Chicago, III: American Marketing Association. 2015.
2. Grunrooos C. Service Management and Marketing. Lexington Book, 2017. 298 p.
3. Gummesson, E. "The new marketing developing long-term interactive relations", Long Range Planning. 2017. Vol. 20 No. 4, pp. 10-20.
4. Gummesson E. Organization of Marketing and Marketing Organizations. In Congram, C. A. & Fridman, M.L., ads. Handbook of Service Marketing. N.-Y.: AMACON. 2010.
5. Gummesson, E. "Marketing organization in service businesses: the role of the part-time marketer", in Teare, R., Moutinho, L. and Morgan, N. (Eds), Managing and Marketing Services in the 2019, Cassell, London, pp. 35-48.
6. Hatten K., Hatten M.L. Strategic management analysis and action. Prentice-Hall Inc. Englewood Cliffs. 2017. 1041 p.
7. Parasuranam A. Marketing Research. Second edition. Addition-Wesley Publishing Company. 2011.
8. Walter 1. Global Competition in Financial Services. N. Y.: Ballinger. 2008. P.81.
9. Wilson, A. "The internal marketing of services the new surge", Management Decision, 2011. Vol. 29 No. 5, pp. 4-7.
10. Batcson J.E.G. Managing Services Marketing Text Readings // U.S.A. The Dryden Press. 2019.
11. Cowell, D. The Marketing of Services, Heinemann, London. 2001.
12. Fletcher Keith. Marketing Management & Information Tehnology.-Strthelycte Busines School. 2016.
13. Foreman, S.K. and Woodrufle, H. "Internal marketing: a case for building cathedrals", Proceedings of the Annual
14. George, W.R. "Internal communications programs as a mechanism for doing internal marketing", in Venkatesan, M.

Peculiarities of Construction Products as Goods

Teimuraz Kandashvili
Professor of Georgian Technical University

Raul Atrushba
PhD Student of Georgian Technical University

Summary

The article discusses the variety of goods that a construction company can sell in the market and notes that it is classified according to various criteria. The authors evaluate the goods according to the design, consumer properties, industrial purpose. In addition, according to the authors, the property is movable and fixed, and according to the use - long-term and short-term. The article gives the definition of goods of this species and the material composition. In addition, the authors explain the concept of service and its meaning. According to the authors, construction products in marketing can be anything that can satisfy a person's demand for real estate and are offered for sale and purchase in the real estate market for personal or public use. Thus, the authors argue that construction products in the marketing system by their content can be considered as a product in the form of a contractor's construction service and the accompanying product construction.

Keywords: Marketing, Construction Products, Product.

სოფლის მეურნეობის გაციფრების პოლიტიკა ევროკავშირში

შენგელია ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ევროკავშირი აქტიურ როლს ასრულებს ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბებაში, შესაბამისი პოლიტიკის შექმნასა და საკანონმდებლო ჩარჩოს რეგულირებაში, ისევე როგორც აღნიშნულ სფეროში ინვესტიციების განხორციელებასა და ციფრული საზოგადობის ფორმირებაში. სტატიაში, ევროკავშირში გაციფრების სფეროში გატარებული პოლიტიკის, არსებული სტრატეგიებისა და საკანონმდებლო აქტების განხილვის საფუძველზე, წარმოჩენილია გაციფრების პროცესის ტენდენციები. განხილულია ევროკომისიის კვლევის ანგარიშები, ევროპის ციფრული პროგრესის ანგარიში, მონაცემები და ინფორმაცია ევროკავშირის სახელმწიფო პოლიტიკის პლატფორმებიდან ციფრული საზოგადოებისა და ეკონომიკის სფეროში და ევროპის სოფლის მეურნეობის სექტორის გაციფრებასთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტები. ციფრული ტექნოლოგიების უპირატესობები და აუცილებლობა განსაკუთრებით მწვავედ გამოვლინდა კორონავირუსის COVID-19 პანდემიის დროს. კერძოდ, წარმოჩინდა თუ რამდენად მნიშვნელოვანია კავშირი, ციფრული უნარები, ციფრული ტექნოლოგიები და მომსახურებები ეკონომიკის მდგრადობისა და ზრდისათვის. ციფრულ ტექნოლოგიებს აქვთ პოტენციალი, გაუმკლავდნენ იმ მთავარ გამოწვევებს, რომლის წინაშეც დგას სოფლის მეურნეობის სექტორი: ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული საკვების სიმცირე, კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაცია და მდგრადობა, ბუნებრივი რესურსების შემცირება და მცირე მეურნეობებში მაღალი რისკისა და დაბალი შემოსავლების დომინირება. აგროსასურსათო სექტორის განვითარება გულისხმობს ახალი მიდგომების გამოყენებას, რომლებიც აერთიანებს ინოვაციურ პოლიტიკას, ტექნოლოგიებს, ორგანიზაციულ პროცესებს, პრაქტიკებს და ციფრული სახის გადაწყვეტილებებს. სოფლის მეურნეობის გაციფრებისათვის აუცილებელი ფუნდამენტური ფაქტორებია: შესაბამისი პოლიტიკის, საკანონმდებლო ჩარჩოსა და სტრატეგიების არსებობა. საქართველოს სოფლის მეუნეობის გაციფრებისთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის ნორმებისა და პრაქტიკის შესწავლა და გაზიარება, სტრატეგიული დოკუმენტებისა და საკანონმდებლო აქტების შესაბამისობაში მოყვანა ციფრულ დღის წესრიგთან. გაციფრების პროცესი თანაბრად მოითხოვს ქვეყანაში ადეკვატური პოლიტიკის არსებობასა და მოქალაქეების მიერ ციფრული უნარების ფლობას.

საკვანძო სიტყვები: გაციფრება, ციფრული ტექნოლოგიები, აგრარული პოლიტიკა, ევროკავშირი, მდგრადი განვითარება.

ძირითადი ტექსტი

ციფრული პოლიტიკა განისაზღვრა „ევროპა 2020“ სტრატეგიის (Europe 2020) ინიციატივების საკვანძო ნაწილად და ევროპის გაციფრების დასაჩქარებლად 2010 წელს შემუშავდა “ციფრული დღის წესრიგი ევროპისათვის” (“A Digital Agenda for Europe”) (COM (2010) 245).

2015 წელს ევროკომისიამ შეიმუშავა „ევროპის ერთიანი ციფრული ბაზრის სტრატეგია“ (“A Digital Single Market Strategy for Europe”) (COM (2015) 192 final). აღნიშნული სტრატეგია ეფუძნება სამ მიზანს: მომხმარებლებისა და ბიზნესისათვის ონლაინ-საქონელზე წვდომის გაუმჯობესება; ციფრული ქსელებისა და მომსახურების განვითარებისათვის შესაფერისი გარემოს ჩამოყალიბება; ციფრული ეკონომიკის ზრდის პოტენციალის მაქსიმიზაცია.

2020 წელს ევროკომისიამ გამოაქვეყნა სამი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ეხება ევროკომისიის გეგმებს, ევროპა "ციფრული ეპოქისთვის შესაფერისი" (“fit for the digital age”) გახადოს, ესენია:

1. კომუნიკე „ევროპის ციფრული მომავლის ფორმირება“ (Communication “Shaping Europe’s Digital Future”). კომუნიკე (ასევე, ეგრეთ წოდებული „ციფრული სტრატეგია“ (“Digital Strategy”)) წარმოადგენს ფართო ყოვლისმომცველ სტრატეგიას, რომელიც შეეხება ციფრულ ეკონომიკაში ეკონომიკური მოთამაშეების ვალდებულებებს/პასუხისმგებლობებს.
2. კომუნიკე „მონაცემთა ევროპული სტრატეგია“ (Communication “A European Strategy for Data”) -

საფუძველს უდებს წევრ სახელმწიფოებს შორის მონაცემებზე ხელმისაწვდომობის ზრდას და განსაზღვრავს იმას, თუ როგორ შეუძლია ევროკავშირს დაეხმაროს ევროპულ ბიზნესს, ევროკავშირის მიერ გენერირებული მონაცემების გამოყენებიდან სარგებლის მიღებაში.

3. დოკუმენტი „ხელოვნური ინტელექტი - ევროპული მიდგომა სრულყოფილებისა და ნდობის მიმართ“ (White Paper “On Artificial Intelligence – A European Approach to Excellence and Trust”) - დოკუმენტში ევროკავშირი წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის რეგულირების ვარიანტებს.

2021 წელს ევროკომისიამ გამოაქვეყნა საკუთარი ხედვა და სამიზნეები ევროპის ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებით განსახორციელებლად - ყოვლისმომცველი „ციფრული კომპასი“ ("2030 Digital Compass: the European way for the Digital Decade"). კომუნიკე ეფუძნება ევროპის ციფრული მომავლის ფორმირების სტრატეგიას (Strategy on Shaping Europe's Digital Future), რომელიც რჩება ყოვლისმომცველ ჩარჩო დოკუმენტად. თუმცა, ის ასევე ითვალისწინებს COVID-19 პანდემიით გამოწვეულ ცვლილებებს, რომელმაც მნიშვნელოვნად დააჩქარა ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება, მოახდინა მათი შესაძლებლობების დემონსტრირება და ამავდროულად გამოავლინა საზოგადოების მოწყვლადობა ციფრული უთანასწორობის მიმართ. სტრატეგიაში განსაზღვრულია პოლიტიკის რეფორმირების პროგრამა, რომელიც უკვე დაწყებულია „მონაცემთა მართვის კანონი“-ს, „ციფრული მომსახურების აქტი“-ს, „ციფრული ბაზრების აქტი“-სა და „კიბერ უსაფრთხოება“-ის სტრატეგიით. ევროკავშირის ბიუჯეტის რიგი ინსტრუმენტები ხელს უწყობს ციფრული გარდაქმნისთვის საჭირო ინვესტიციებს, მათ შორისაა გაერთიანების პროგრამები, ტექნიკური მხარდაჭერის ინსტრუმენტი და ციფრული ევროპის პროგრამა.

2019 წელს ევროკავშირის 24 წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა დეკლარაციას "ჭკვიანი და მდგრადი ციფრული მომავალი ევროპის სოფლის მეურნეობისა და სასოფლო დასახლებებისათვის" ('A smart and sustainable digital future for European agriculture and rural areas'). მისი მიზანია ხელი შეუწყოს კვლევისა და ინოვაციების და ევროპული სოფლის მეურნეობის მონაცემთა სივრცის განვითარებას. მაგალითად, ევროკავშირში სოფლის მეურნეობის სექტორში ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციების გამოყენებისათვის უნდა შეიქმნას მინიმუმ ხუთი მსხვილი ექსპერიმენტული საცდელი სივრცე; კვლევა და განვითარება უფრო მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული; ფერმერები ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ინფრასტრუქტურის გამოყენებისათვის საჭირო კვალიფიკაციას უნდა ფლობდნენ; ამასთანავე, აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენებისას მათი მხარდაჭერა უნდა ხორციელდებოდეს. ინოვაციურ, ციფრულ გადაწყვეტილებებზე წვდომა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მცირე ფერმერებისთვის. ხელი უნდა შეეწყოს ფართოზოლოვანი კავშირის გაფართოებას. გარდა ამისა, ღია მონაცემთა დირექტივის შესაბამისად, ერთობლივი მონაცემთა ბაზების შესაქმნელად, ზუსტი მიწათმოქმედებების გადაწყვეტილებების ხელშეწყობისა და დაჩქარებისათვის უფრო ინტენსიურად უნდა იქნას გამოყენებული გეოგრაფიული, მეტეოროლოგიური, გარემოსა და კლიმატთან დაკავშირებული მონაცემები. ასევე, უნდა გაიზარდოს პროდუქციის მიკვლევადობა, მაგალითად, ბლოკჩეინ ტექნოლოგიის საშუალებით, რომელსაც შეუძლია მხარი დაუჭიროს რეგიონულ ღირებულებათა ჯაჭვების განვითარებას. წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ, რათა გააძლიერონ კვლევების მხარდაჭერა ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჭკვიანი სოფლის მეურნეობა (Smart Farming) და სურსათის მიკვლევადობა. წევრი ქვეყნები დააფუძნებენ საერთო ევროპულ ინოვაციურ ინფრასტრუქტურას ჭკვიანი ევროპული აგროსასურსათო სექტორისათვის და შექმნიან ევროპულ მონაცემთა სივრცეს ჭკვიანი აგროსასურსათო გადაწყვეტილებებისათვის.

CAP (სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკა) წარმოადგენს ევროკავშირის სოფლის მეურნეობის პოლიტიკას. ის მართავს სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიების და სხვა მხარდამჭერი პროგრამების კომპლექსურ სისტემას. CAP წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სექტორის მართვის ძირითად ინსტრუმენტს. CAP - ევროპულ სტრუქტურულ და საინვესტიციო ფონდებთან და ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამასთან, "Horizon Europe"-თან ერთად, წარმოადგენს დაფინანსების ძირითად წყაროს სოფლის მეურნეობის სექტორსა და სოფლად ციფრული გადაწყვეტილებების პოპულარიზაციისთვის.

ევროკომისიამ 2018 წლის კომუნიკეში „ხელოვნური ინტელექტი ევროპისთვის“ (Artificial

Intelligence for Europe) და 2021 წლის კომუნიკეში „2030 ციფრული კომპასი: ციფრული ათწლეულის ევროპული გზა“ სოფლის მეურნეობის სექტორი, ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ძირითად სფეროდ აღიარა, რომელშიც საკმარისი ინვესტიციაა საჭირო რათა მიღწეულ იქნას გარემოს დაცვისა და მდგრადობის მიზნები, ისევე როგორც სოციალური და ჯანდაცვის ამოცანები. აღნიშნული პროცესები ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას (Sustainable Development Goals) და ევროპული მწვანე გარიგების (European Green Deal) განხორციელებას.

იმისათვის, რომ არ მოხდეს ბაზრის კონცენტრაცია, ბაზრის დისბალანსი მონაცემებზე წვდომისას, დამოკიდებულება და პოტენციური კონტროლი/ზედამხედველობა, აუცილებელია კერძო და სახელმწიფო ორგანოების მიერ უსაფრთხოების ზომების მიღება. მონაცემებზე წვდომის გაუმჯობესების, მონაცემთა თავსებადობის, ხარისხის უზრუნველყოფისა და ევროკავშირის დონეზე მონაცემთა უფრო პასუხისმგებელიანი გამოყენების სამართლებრივი ჩარჩოს შექმნისათვის გადადგმულ პირველ ნაბიჯებს წარმოადგენენ შემდეგი საკანონმდებლო დოკუმენტები: მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (The General Data Protection Regulation (GDPR)); რეგულაცია არაპერსონალური მონაცემების თავისუფალი მიმოქცევის შესახებ (Regulation on the free flow of non-personal data (FFD)); კიბერ უსაფრთხოების აქტი (the Cybersecurity Act (CSA)); ღია მონაცემთა დირექტივა (the Open Data Directive); ციფრული კონტენტის დირექტივა (the Digital Content Directive) და სხვა რიგი დარგობრივი სამართლებრივი აქტები.

დასკვნა

ევროკავშირის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება საჭიროებს ახალი მიდგომების გამოყენებას, რომლებიც აერთიანებს ინოვაციურ პოლიტიკას, ტექნოლოგიებს, ორგანიზაციულ პროცესებს, პრაქტიკებს და ციფრული სახის გადაწყვეტილებებს. მიუხედავად პოტენციურად შესაბამისი სამართლებრივი აქტების რაოდენობისა, ევროკავშირის სოფლის მეურნეობის სექტორში მონაცემთა შეგროვების, საკუთრების, წვდომისა და გამოყენების, უსაფრთხოების და დაცვის საკითხები ჯერ კიდევ სრულად არ არის განმარტებული სამართლებრივი თვალსაზრისით. რაც უფრო უკეთ მოხდება სამართლებრივი გაურკვევლობის აღმოფხვრა და ბალანსის აღმოჩენა ინოვაციისადმი ღიაობასა და ფუნდამენტური უფლებების შესაბამისად მონაცემთა დაცვას შორის, მით მეტია შანსი, რომ მონაცემთა პლატფორმები და ღრუბლოვანი ტექნოლოგიები უსაფრთხოდ იქნება გამოყენებული ჭკვიანი პროგრამებისთვის სოფლის მეურნეობის სექტორში, ამასთანავე, რაც უფრო მეტი მონაცემი და ალგორითმი გახდება ღიად ხელმისაწვდომი, მით უფრო უკეთესი გადაწყვეტილებები შეიძლება შეიქმნას მცირე და საშუალო საწარმოთა ეკონომიკური ზრდისათვის. საქართველოს სოფლის მეუნეობის გაციფრებისთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის ნორმებისა და პრაქტიკის გაზიარება, სტრატეგიული დოკუმენტებისა და საკანონმდებლო აქტების შესაბამისობაში მოყვანა ციფრულ დღის წესრიგთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. European Union. EUR-Lex. Access to European Union Law. https://eur-lex.europa.eu/homepage.html
2. Beatrice Garske, Antonia Bau, Felix Ekardt, “Digitalization and AI in European Agriculture: A Strategy for Achieving Climate and Biodiversity Targets?”, *Sustainability* 2021, *13*(9), 4652;
3. Basso, B.; Antle, J. Digital Agriculture to Design Sustainable Agricultural Systems. Nat. Sustain. 2020.
4. EU Member States. Declaration: A Smart and Sustainable Digital Future for European Agriculture and Rural Areas; European Union: Brussels, Belgium, 2019.

Policies to promote digitalization of the agricultural sector in the EU

Shengelia Nino
PhD student of Georgian Technical University

Summary

The European Union plays an active role in shaping the digital economy, developing relevant policies and regulating the legislative framework, as well as investing in the area and building a digital society. The experience of the European Union has shown us that to address the development of a more sustainable agriculture new development approaches are needed, that combine innovative policies, technologies and organizational processes and practices, and use of digital solutions. In spite of the amount of potentially relevant legal acts, questions of data collection, ownership, access and use, security and protection in the EU agriculture sector have not yet been fully clarified in legal terms. Elimination of these legal uncertainties and founding a balance between openness to innovation and data protection in line with fundamental rights, increases the chance that data platforms and clouds can be used securely for smart applications in the agricultural sector. The more data and algorithms are openly available, the better solutions can be developed for the economic growth of small and medium-sized enterprises. For the digitalization of agriculture in Georgia it is essential to get acquainted with the EU norms and practices and to bring strategic documents and legislative acts in line with the digital agenda.

Key words: Digitalization, Digital Technologies, Agricultural Policy, European Union, Sustainable Development.

ბიზნესის გამოწვევები და გლობალური პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

შენგელია ქეთევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მაღლაკელიძე ნინო
ჯავახიშვილის უნივერსიტეტის მაგისტრი

აბსტრაქტი

პანდემიის შოკმა მნიშვნელოვნად გააუარესა ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა მთელი მსოფ-ლიოს ქვეყნებისთვის. ეს განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებზე აისახა. სტატიაში გაანალიზებულია, თუ როგორ გაუარესდა ადამიანთა ცხოვრების დონე პანდემიის შედეგად. განხილულია უმუშევრობის და ინფლაციის მაჩვენებლების ზრდა, რაც აღრმვებს სიღარიბეს, ქონებრივ დიფერენციაციას.

კრიზისის პერიოდში მთავრობებს ევალებათ არა მხოლოდ მოქალაქეების უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა, არამედ მათ უნდა გადაარჩინონ ბიზნესი და საარსებო წყაროთი უზრუნველყონ მოსახლეობა.

საზოგადოებრივი სისტემის ფასეულობები და და ნორმები რადიკალურად შეიცვალა, ძირითადი სტრუქტურების მიმართ სერიოზული საფრთხე ღვივდება და კარდინალური გადაწყვეტილებების მიღება აუცილებელი ხდება. გაურკვევლობა და მოულოდნელობა ის უარყოფითი შოკებია, რომელიც თავს დაატყდა მთელს კაცობრიობას. მსოფლიო შეეჯახა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს, რამაც კაპიტალის დეფიციტი გამოიწვია.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის აუცილებელია მეტი დივერსიფიკაცია. მხოლოდ ტურიზმის იმედად ვერ ვიქნებით. უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მომსახურების სფეროები. საქართველოს ეკონომიკის ზრდა დიდად არის დამოკიდებული ინვესტიციებზე, წარმოებაზე, თავისუფალ ვაჭრობაზე.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვით სამამულო მრეწველები შეისწავლიან თანამედროვე სამმართველო უნარ-ჩვევებს, უფრო მეტად დააფასებენ საკუთარი ქვეყნის ადამიანურ კაპიტალს, აითვისებენ მაღალ ტექნოლოგიებს, დაქირავებულ მუშაკებს მისცემენ კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებას. შედეგად ამაღლდება პროდუქციის ხარისხი, შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება და ფასებიც დასტაბილურდება. საბოლოოდ მთელი ქვეყნის ეკონომიკა ძალას მოიკრებს, გაიზრდება მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა და ცხოვრების დონე.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის გამოწვევები, საქართველოს ეკონომიკა, მიწოდების უარყოფითი შოკი, პანდემია, ცხოვრების დონე.

ძირითადი ტექსტი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევების მიხედვით, მსოფლიო პანდემიის შედეგად მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა, სადაც გლობალიზაციის და მომსახურების წილია მაღალი, უფრო მეტი ეკონომიკური კლება გამოიწვია, ვიდრე განვითარებადმა ქვეყნებმა. 2020 წლისთვის მსოფლიო ეკონომიკა შემცირდა[1] 4,4%-ით, აშშ-ს ეკონომიკა შემცირდა 4,3%-ით, ევროპის-8,3%-ით, ლათინური ამერიკის 8,3%-ით, აფრიკის 3,0%-ით, განვითარებადი აზიის 1,7%-ით, შუა აღმოსავლეთის 4,1%-ით, საქართველოში კი შემცირდა 6,8%-ით[2].

საქართველო მცირე ზომის ქვეყანაა დოლარიზაციის მაღალი დონით, ამიტომ დიდად არის დამოკიდებული მისი ეკონომიკა საგარეო ფაქტორებზე. **პანდემიის შოკმა** მნიშვნელოვნად გააუარესა ეკონომიკური ზრდის ტემპი. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ყველაზე მეტად დაზარალდა ისეთი სფეროები, როგორიცაა გართობა, დასვენება, სასტუმროები, ტურიზმი. აშშ-ში ამ სექტორებში უმუშევრობის მაჩვენებელმა 14,7 % შეადგინა, შესაბამისად 20 მილიონი სამუშაო ადგილი

[1] მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, მსოფლიო ეკონომიკის მიმოხილვა, ოქტომბერი, 2021წ. https://nbg.gov.ge
[2] https://www.geostat.ge/ka

დაიკარგა. იაპონიაში იმავე პერიოდის მონაცემებით უმუშევრობის მაჩვენებელმა 2,5 % შეადგინა, გერმანიაში ეს მაჩვენებელი 5,8%-ს აღწევს და შესაბამისად 373 ათასმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო. კანადაში უმუშევრობამ 13%-ს გადააჭარბა, რაც 7 მილიონამდე უმუშევარს ნიშნავს[1]. საქართველოს უმუშევრობამ 2021 წლის მეორე კვარტლისთვის პიკს მიაღწია და 22,1% გაუტოლდა, რაც 344,6 ათას კაცს შეადგენს. სამუშაო ძალა აღნიშნული პერიოდისთვის არის 1მლნ 559ათასი კაცი.[2]



პანდემიის ტვირთი ორმაგად უარყოფითად აისახა ბიუჯეტის მდგომარეობაზე. ერთი მხრივ, შემცირდა საგადასახადო შემოსავლები, მეორე მხრივ-პანდემიის დასაძლევად განხორციელებული ღონისძიებები კიდევ უფრო მეტად აღრმავებენ სახელმწიფო დანახარჯების წილს. ჯანმრთელობის დაცვის და ვირუსით ინფიცირებულთა მკურნალობის ხარჯების გარდა, აუცილებელი გახდა ღონისძიებების გატარება მოსახლეობის სოციალური დაცვის და ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით. შემუშავდა ანტიკრიზისული გეგმა. მოხდა ახალი ფისკალური ჩარჩოს შეთანხმება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი განისაზღვრა 8,5 %.

საჭირო გახდა ეკონომიკის მეტი დივერსიფიკაცია. მარტო ტურიზმის იმედად ვერ დავრჩებით. უნდა განვითარდეს სხვა დარგებიც, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მომსახურების სფეროები. პოლიტიკოსებმა უნდა ირწმუნონ ის ფაქტი, რომ მხოლოდ ერთად ვართ ძლიერები, მხოლოდ ერთად გადავრჩებით და დავძლევთ მდგრადი განვითარების გამოწვევებს.

კრიზისის პერიოდში მთავრობებს ევალებათ არა მხოლოდ მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვა, არამედ მათ უნდა გადაარჩინონ ბიზნესი და საარსებო წყაროთი უზრუნველყონ მოსახლეობა.

ამ გლობალურ საფრთხეს სხვადასხვა ქვეყანამ სხვადასხვანაირად უპასუხა. საქართველომ 3,5 მილიარდი ლარი გამოყო პირველადი ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით. დონორი ქვეყნებიდან შემოვიდა 3,8 მილიარდი დოლარი, თუმცა მისი განაწილება გამჭვირვალე არ ყოფილა. საქართველოში თვითდასაქმებულების მესამედმა მიიღო 300 ლარიანი დახმარება. საერთო ჯამში 2020 წლის ნოემბრისთვის 249 ათას ადამიანს 74,5 მილიონი ლარი ჩაერიცხა. ხოლო პანდემიის გამო უმუშევრად დარჩენილებისთვის გამოყოფილ იქნა 450 მლნ ლარი, თუმცა მისი მესამედიც არ იქნა ათვისებული. დახმარება 162 220-მა ბენეფიციარმა მიიღო, რაზეც ჯამში 129 მილიონი ლარი დაიხარჯა. პროგრამამ 2021 წელსაც გაგრძელდა. კომუნალური დახმარების პროგრამაზე 173 მილიონი ლარი დაიხარჯა, რომელიც ზამთრის პერიოდში გრძელდებოდა. 18 წლამდე ბავშვების კომპენსაციაზე დახმარება 225 000 ბავშვზე გაიცა და აღნიშნულ პროგრამაზე 185 მილიონი ლარი დაიხარჯა. დახმარება იყო 200 ლარი თითოეულ ბავშვზე სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. სამშენებლო სექტორმა და ტურიზმის სექტორმა ყველაზე მსხვილი მოცულობის დახმარების პაკეტი მიიღეს. სამშენებლო სექტორს 434 მილიონი ლარი გამოეყო, ტურიზმის სექტორს კი 200 მილიონი ლარი. 2021 წლისთვის მთავრობამ გააგრძელა ეკონომიკის სუბსიდირება განახლებული ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში. 1,1 მილიარდი ლარი განაწილდა მოსახლეობაზე და ბიზნესზე თითქმის თანაბარი მოცულობით, 545

[1] https://forbes.ge/blogs/covid-19-e1-83-98-e1-83
[2] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

მილიონი და 515 მილიონი შესაბამისად. [1]

ანტიკრიზისულმა გეგმამ მართალია შეამსუბუქა მოსახლეობის პრობლემები პანდემიის პერიოდში, მაგრამ საკმაოდ მცირე მოცულობის იყო. სამუშაოს გარეშე დარჩენილთა 200 ლარიანი დახმარება არასაკმარისი იყო, მით უფრო რომ გამოყოფილი ბიუჯეტის მესამედის ათვისებაც ვერ მოხერხდა. ფაქტიურად მათ მიიღეს საარსებო მინიმუმის ტოლი თანხა.

ანტიკრიზისული გეგმის მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ასევე საკრედიტო ვალდებულებების გადავადება და საშემოსავლო გადასახადის გაუქმება პირველ 750 ლარზე დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის.

მიუხედავად მთავრობის მრავალმხრივი მცდელობისა მოსახლეობა უკმაყოფილოა სამომხმარებლო საქონელზე მაღალი ფასების გამო. ფასების ზრდა განსაკუთრებით სურსათზე, მედიკამენტებზე და კომუნალურ გადასახადებზე აისახა. მაღალი ინფლაცია განპირობებულია საერთაშორისო ბაზრებზე არსებული პროცესებით და კიდევ უფრო გააღრმავა რუსეთ-უკრაინის ომმა. ძვირდება იმპორტირებული პროდუქცია. ასევე შარშანდელმა სუბსიდიამ მნიშვნელოვნად გააძვირა სამომხმარებლო საქონელი. ფასების ზრდის პროცენტულმა ცვლილებამ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 14%-ს მიაღწია.[2] სწორედ მაღალი ინფლაციის გამო ეროვნულმა ბანკმა არ შეამცირა რეფინანსირების განაკვეთი და კვლავ 10,5% დატოვა, რაც 2008 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ლარი ყველაზე ძვირი ღირს ბოლო 15 წლის განმავლობაში.

ინფლაციაზე არაერთი წნეხი, რისკი არსებობს. დაძაბულია გეოპოლიტიკური ვითარება. რუსეთ-უკრაინის ომი ამძაფრებს მდგომარეობას. ამ ყველაფერმა მრავალ გაურკვევლობას დაუდო სათავე, რამაც ყველა ქვეყნის ეკონომიკა გამოწვევების წინაშე დააყენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მაღალი ინფლაცია, რაც საქართველოს მოსახლეობისთვის დამანგრეველად მოქმედებს. ამცირებს რეალურ შემოსავლებს და ცხოვრების დონე მკვეთრად ეცემა არა მხოლოდ ღარიბი, არამედ საშუალო ფენებისთვისაც.

ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა ფისკალურ კონსოლიდაციასთან ერთად სხვა თანაბარ პირობებში გამოიწვევს ინფლაციის მიზნობრივ დონემდე ჩამოსვლას გაზაფხულის პერიოდისთვის და ინფლაციური მოლოდინები უმჯობესდება. თუმცა აღსანიშნავია ნავთობზე ფასების ზრდა 90$-დან 100$-მდე. შესაბამისად მიწოდების უარყოფითი შოკები კვლავ საფრთხეს უქმნის ისედაც მაღალ ფასებს. თუ მთავრობამ ნავთობზე აქციზის გადასახადი არ შეამცირა, ყოველი მეხუთე ადამიანი შიმშილის ზღვარზე აღმოჩნდება, რადგანაც ბენზინის გაძვირება ავტომატურად ყველა საქონლის ფასს აძვირებს. ერთი ლიტრი ბენზინიდან სააქციზო გადასახადი ერთ ლარს შეადგენს, რაც მიდის ბიუჯეტში და სამწუხაროდ არამიზნობრივად იხარჯება. ყველას მოუწევს ქამრების შემოჭერა: ბიზნესსაც, საზოგადოებას და მთავრობასაც.

რაც შეეხება ლარის გაცვლითი კურსის გაუმჯობესებას, ეროვნული ბანკი ამას გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკას, რეფინანსირების მაღალ განაკვეთს უკავშირებს. ამასთან ერთად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ გაიზარდა გზავნილები უცხოურ ვალუტაში, დაიძრა ტურისტული სექტორიც, დონორმა ქვეყნებმა 3,8 მილიარდი დოლარი გადმოგვირიცხეს. აღნიშნული სუბსიდია ეროვნულმა ბანკმა დააკონვერტირა და მოუწია ლარის ემისია. ამანაც წვლილი შეიტანა ინფლაციაში. ეს ყველაფერი ცხადია აისახა ლარის გაცვლით კურსზე.

მეორეს მხრივ, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა ამცირებს ეკონომიკურ აქტივობას. ამ ეტაპზე გვჭირდება ეკონომიკის აღდგენის მაღალი ტემპი, ინვესტიციების ზრდა. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შევძლებთ გლობალური პროექტების განხორციელებას. განვითა-რებადი ქვეყნების პრობლემა, მათ შორის საქართველოსი, არის საკუთარი სახსრების სიმცირე. მიზეზი მრავალია: შრომის ანზღაურების დაბალი დონე, დაბალი შემოსავლები, დანაზოგები ძალიან მცირეა ან საერთოდ არ აქვს მოსახლეობას. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა შეარბილებს კაპიტალის მობილი-ზების პრობლემას.

[1] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, ანტიკრიზისული გეგმის მიმოხილვა, idfi.ge/ge/overview_of_the anticrisis_plan

[2] https://www.geostat.ge/media/42968/ინფლაცია-საქართველოში---იანვარი-2022.pdf

გაიზრდება დასაქმება, მოვიზიდავთ ინოვაციურ ტექნოლოგიებს, ამაღლდება გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა. ამით შევამცირებთ იმპორტის მოცულობას და ექსპორტსაც შევუწყობთ ხელს, გაიზრდება ხარისხიანი უსაფრთხო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა.

ცნობილია უცხოური ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი ეფექტები. დადებითია ის, რომ სამამულო მრეწველები შეისწავლიან თანამედროვე სამმართველო უნარ-ჩვევებს, აითვისებენ მაღალ ტექნოლოგიებს, დაქირავებული მუშაკები აიმაღლებენ კვალიფიკაციას, ამაღლდება პროდუქციის ხარისხი, შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება და ფასებიც დასტაბილურდება. საბოლოოდ მთელი ეკონომიკა ძალას მოიკრებს, გაიზრდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი.

უარყოფითი ეფექტებიდან ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ შესაძლებელია კიდევ უფრო გაღრმავდეს ქონებრივი განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის. მაგალითად, ირლანდიური კომპანიის მიერ „აჭარაბეთის“ შესყიდვას ღარიბი ფენების მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია. ამიტომ უარყოფითი ეფექტები დაძლეულ უნდა იქნეს კარგად გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკით, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრით, ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის შემცირებით, საინვესტიციო პროექტების შემუშავებით, პოტენციური ინვესტორებისთვის რეალური ვითარების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებით. მხოლოდ ასე შევძლებთ ამ სიტუაციაში ეკონომიკის გაჯანსაღებას და ცხოვრების დონის ამაღლებას.

ამგვარად, საქართველოს ეკონომიკის ზრდა დიდად არის დამოკიდებული ინვესტიციებზე და წარმოებაზე, თავისუფალ ვაჭრობაზე. ამიტომ მან უნდა გააფართოოს ბაზარი ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, ჩინეთი და ინდოეთი. ასევე მნიშვნელოვანია მონეტარული და ფისკალური მდგრადობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Barton A.H., Communities in Disaster: A sociological Analysis of Collective stress Situations-New York:Doubleday, 2020.
2. Kondratieff N.D. The World Economy and IIIt's Conjectures During and after the War. 2004Y.
3. http://www.mfa.gov.ge/print.php.gg=10sec-id=768info
4. http://www.apn.ru/publications/print23547.htm
5. http://www.economy.ge

Usiness Challenges and Impact of the Global Pandemic on the Georgian Economy

Ketevan Shengelia
Associate Professor of Georgian Technical University

Nino Maglakelidze
Master of Javakhishvili University

Summary

The shock of the pandemic has considerably impacted the outlook for economic growth in countries all around the world. This is particularly true in developing countries. The article analyzes how the living standards have deteriorated as a result of the pandemic. The rise in unemployment and inflation rates, which exacerbated poverty and property differentiation, is examined.

The values and norms of the social system have changed radically, posing major threats to fundamental structures and necessitating critical decisions. Uncertainty and surprise are the two negative shocks that have befallen mankind as a whole. The world was hit by a global economic crisis, which resulted in a capital shortage.

The paper substantiates the need for more diversification for the recovery of the Georgian economy.Tourism cannot be our sole source of income. Agriculture, industry, and service sectors should all be developed. Georgia's economic growth is heavily reliant on investment, manufacturing, and free trade.

Domestic entrepreneurs will gain contemporary management skills, value their own human capital more, acquire high-tech equipment, and engage qualified people to upgrade their skills as a result of attracting foreign investment. As a consequence, product quality will improve, labor productivity will increase, product costs will drop, and prices will stabilize. Eventually the economy of the whole country will gain strength, the volume of GDP and the standard of living will increase.

Keywords: Business Challenges, Georgian economy, negative supply shock, pandemic, standard of living.

მიზნობრივი მოდელირებული პროგრამები და კოგნიტური რუკების შედგენის მნიშვნელობა რეგიონულ-დარგობრივ ჭრილში

ცოფურაშვილი გოჩა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დოქტორანტი

აბსტრაქტი

საყოველთაო პანდემიით დაიწებული უმძიმესი ვითარება, რუსეთ-უკრაინის ომი და მკვეთრი ეკონომიკური რყევები დეპრესიაში აგდებს მსოფლიო საზოგადოებას. კრიზისის მასშტაბის პროგნოზირება დღევანდელი მოცემულობით რთულია, თუმცა აშკარად გამოიკვეთა ლოჯისტიკური მარშუტების გადაწყობის, სამომხმარებლო ფასების ზრდის და სურსათზე დეფიციტის ტენდენციები. დაწესებული სანქციების შინაარსი და არიალი აშკარას ხდის დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური გადაწყობის გარდაუვლობას, რაც სავარაუდოდ იქნება რთული გრძელვადიანი პროცესი და მინიმუმ 5-10 წელი გაგრძელდება. ამ ვითარებაში ჩვენი ტიპის და მდგომარეობის ქვეყნებისათვის ჩნდება როგორც განვითარების ახალი პერსპექტივები, ასევე დღეს არსებული ეკონომიკის ინერციული მოდელის ტრანსფორმაციის აუცილებლობა. ქვეყანაში სასწრაფო წესით უნდა შეიქმნას ეკონომიკის სექტორული შესაძლებლობების კონცეპტუალური პროგრამები, რეგიონების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და რესურსული კვლევა-შეფასების მწყობრი სისტემა, ამასთანავე დროულია ამოქმედდეს მართვის დეცენტრალიზაცია-დეკონცენტრაციის პრინციპები და შეიქმნას განვითარების ცენტრიდანულ-ცენტრისკენული პოლიტიკის მოდელი, რომლის მთავარი ხაზი მოქმედებაში თანამშრომლობის სინერგიული ეფექტის მიღწევა იქნება. პროგრამები ერთმნიშვნელოვნად რთული კონფიგურაციის კომლექსურ-მულტისექტორული დოკუმენტია და მიზანშეწონილად მივიჩნევ გამოვიყენოთ ე.წ. კოგნიტური რუკები, რომელიც თანამედროვე პირობებში სულ უფრო ხშირად გამოიყენება მოდელირებული პროგრამების აგების რთულ მექანიზმში, რადგან ყველაზე კარგად აერთიანებს ადამიანთა განათლების და აზროვნების, სიტუაციურ-კონტექსტუალური აღქმის, შემეცნების, შეცნობის და შეფასების მდგომარეობას, შესაბამისად აქვს უნარი გააერთიანოს მეცნიერული ხედვების სხვადასხვა პარადიგმა და ჩამოაყალიბოს ერთიან კონცეპტუალურ სისტემად. სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027 წ. თავისი შინაარსით აღარ არის მხოლოდ აგრარული, შესაბამისად დღის წესრიგში დგება რეგიონული და დარგობრივი პოლიტიკის ახალ ფაზაში გადაყვანა. პრიორიტეტული ხდება მართვის მექანიზმების ახლებურად გააზრება, შედეგზე ორიენტირებული პროტექციონიზმი და ინკლუზიური ჩართულობა. დროა ჩვენთანაც გახდეს პოპულარული ევროპულ რეგიონულ პოლიტიკაში დამკვიდრებული თეზა ,,ვიაზროვნოთ გლობალურად ვიმოქმედოთ ადგილობრივად''.

საკვანძო სიტყვები: რეგიონული პოლიტიკა, მოდელირებული პროგრამა, კოგნიტური რუკა, დეცენტრალიზაცია, ცენტრიდანული და ცენტრისკენული პოლიტიკა.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოში დღეს სერიოზული გამოწვევაა სასურსათო უსაფრთხოება. კაცობრიობა შიშით ელოდება პროდუქციის მკვეთრ გაძვირებას და გარდაუვალ დეფიციტს ჩვენ ტრადიციულად თავს ვიმშვიდებთ იმპორტიორთა სიმრავლით და თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებებით მრავალ მომწოდებელ ქვეყანასთან. ვერ ვაფასებთ სათანადოდ საფრთხეებს და არ გვინდა შევქმნათ მიზნობრივი პროგრამები საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების უზრუნველსაყოფად. ამის უამრავი მაგალითი არსებობს, მათ შორის ყველაზე მგრძნობიარე საკითხშიც, რომელიც მარცვლეულის მოყვანას ეხება, სადაც ჩვენი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ძალიან დაბალია. გამომდინარე ზემოდაღნიშნულიდან განსაკუთრებულ ფასს იძენს მაღალპროფესიულ დონეზე შექმნილი და წვრილმან პრობლემებამდე გააზრებული მიზნობრივ-მოდელირებული პროგრამები, რომელიც აჩენს შესაძლებლობებს სამთავრობო ინიციატივები და ეკონომიკური პროტექციონიზმი სტრუქტურულ-ორგანიზაციულად და ტექნიკურ-ეკონომიკურად გაცილებით მეტად იყოს ოპტიმიზირებული და

შედეგზე ორიენტირებული. აღნიშნული პროგრამა კომპლექსური დოკუმენტია, რომელიც მოითხოვს მულტისექტორულ ჩართულობას და ღრმად გააზრებულ ანალიტიკაზე დაშენებულ სამოქმედო გეგმას. სწორედ ამ გამოწვევების პარალელურად სულ უფრო მეტად იზრდება ინტერესი კოგნიტური ანალიზის შესაძლებლობების გამოყენებაზე, რომელიც თავისი შინაარსით ინტერდისციპლინარული, მრავალფუნ-ქციური და კომპლექსურია, ამასთანავე იძლევა საშუალებას შევქმნათ ე.წ. ,,ცოდნის ბანკი'' და პირველ ეტაპზე მასში განვავითაროთ ინფორმაციის შეგროვება-გადამუშავების ასიმილაციური, აკომოდაციური და ექვილიბრაციული პროცესები, როდესაც წარსული გამოცდილების შეფასება და მიმდინარე პრაქტი-კული მოქმედებების კორელაციით ვიღებთ სურათს, რომელიც საშუალებას გვაძლევს სიღრმისეულად გავაანალიზოთ და ახლებურად ჩამოვაყალიბოთ ინოვაციური ხედვა. სიტუაციური მდგომარეობის კონსტრუირებისას ვიყენებთ სხვადასხვა მარკერებს და ინდიკატორებს, რომლებსაც აქვთ უნარი გამოკვეთონ ტენდენციები, შესაძლებლობები, უპირატესობები, პრობლემები და ამავდროულად განიხილონ ალტერნატიული სცენარები.

საქართველომ და მისმა ეკონომიკამ გაიარა განვითარების ურთულესი ოცდაათი წელიწადი. მტკივნეული და ხშირ შემთხვევაში დამანგრეველი აღმოჩნდა ეკონომიკის ზოგიერთი სექტორისთვის სოციალისტური სისტემიდან საბაზრო პრინციპებზე გადასვლა, სამწუხაროდ დღესაც ვიმყოფებით სრულიად გაურკვეველ ფორმაციაში, სადაც კვაზი პროტექციონიზმის და ველური კაპიტალიზმის მიდგომები დომინირებს. ეკონომიკაში სახელმწიფოს ზედმეტად ჩარევის შიშით, რაც მენტალური ტყვეობის ნიშანს ატარებს, უარი ვთქვით რეგულირების, მართვის და კონტროლის მექანიზმების გამოყენებაზე, შესაბამისად სრულად მივენდეთ მოქმედების ლიბერალურ პრინციპებს, მათ შორის გაუგონარი სიბრიყვით ვექცევით სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ პროტექციონისტულ პოლიტიკას და სრული გულგრილობით ვხარჯავთ ბიუჯეტის ფულს პასუხისმგებლობის მოთხოვნის გარეშე. სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესრულებას შედეგზე ფოკუსირებული

სამოქმედო გეგმის ნაცვლად ინერციული ევოლუციის რეჟიმი ჩარჩა ქვეყანა. ვერ ხერხდება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი ეკონომიკური ხელშეკრულების სათანადოდ გააზრება და გამოყენება, თვითდინების რეჟიმშია ევროპული აგრარული პოლიტიკის პრინციპების ამოქმედება, რომელიც დარგზე ზრუნვის, ეკონომიკური ინკლუზიურობის, სოციალური დაცულობის, ინოვაციურობის, რაციონალიზმის, ოპტიმიზაციის, სიღარიბის დაძლევის და საყოველთაო კეთილდღეობის მშვენიერი მაგალითია. უკვე ათეული წლებია ვერ ხერხდება სრულფასოვანი თვითმმართველი ორგანოების ფორმირება, შეფერხებულია დეცენტრალიზაცია-დეკონცენტრაციის მნიშვნელოვანი რეფორმა და მთავრობის ერთიან მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში მისი როლის განსაზღვრის მექანიზმების დალაგება. უფრო მეტიც ვერ ხერხდება რეგიონული ეკონომიკის პრინციპების და შესაძლებლობების ამოქმედება, მიკრო ეკონომიკური პროექტები მოქმედებს განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე ბიზნეს ჯგუფებისათვის, რაც რეალობაში შეზღუდული კონტინგენტია, შესაბამისად იწვევს ეკანომიკაში არაინკლუზიურობის და ფავორიტიზმის წახალისებას.

მსოფლიოში დაგროვილი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება გვიბიძგებს შევქმნათ პროგრამული მიზნობრივ-დარგობრივი განვითარების ქართული მოდელი, სადაც მთავრობის მასტიმულირებელი პოლიტიკა, მოთხოვნა-რეგულაციები და შედეგზე ორმხრივი პასუხისმგებლობა უზრუნველყოფს მთავარი სტრატეგიული მიზნის შესრულებას - კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას. დღეს არსებულ მოცემულობაში ეს ურთულესი გამოწვევაა, რადგან დღემდე მიღებული წესები და დერეგულაციური გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი საკმაოდ საზიანო აღმოჩნდა ქართველი მწარმოებლებისთვის. დარტყმის ქვეშ დადგა ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური საკითხები როგორიცაა: სტრუქტურული ოპტიმიზაცია, მიწის პარცელაცია, მეცნიერულად შესწავლილ-დასაბუთე-ბული კულტურათა დარაიონება, წარმოების რენტაბელობის გაუმჯობესების მექანიზმების სრულყოფა, წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინოვაციურ-ინტეგრირებული ტექნოლოგიური რუკების შედგენა, პროდუქციის მოცულობა, სერთიფიცირება და ხარისხი, მარკეტინგული პრობლემები და სხვა. ამ ვითარებაში გასაგები ხდება რატომ არის შემოთავაზებული პროგრამა კომპლექსური, რომელიც მოიცავს მრავალ ეტაპს, ფაზას და საფეხურს. მართვაში სისტემური მიდგომების დანერგვის გარეშე სრულფასოვნად, კონცეპტუალურად გააზრება-მოდელირება კონკრეტული მიზნობრივი პროგრამების

რთულდება, თუმცა ამის გარეშე სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების საკითხებში პოლიტიკა ფრაგმენტული და არაეფექტური რჩება. მოდელის წარმოდგენას სჭირდება არსებული რეალობის შეფასება, პრობლემათა განზოგადება, შემოთავაზებული გადაწყვეტილების ფორმირება და კონსტრუირება. პირველ რიგში განვიხილოთ მოდელის შექმნისას ოთხი ტიპის ფუნქციონალური ურთიერთკავშირი:

1. ინსტიტუციური - სტრუქტურული უპირატესობების გამოკვეთა, სახელმწიფო ინსტიტუტების პოლიტიკის მარეგულირებელი სისტემის სამოქმედო არალი;

2. დეფინიციური - გამოხატავს ცნების, საგნების მოვლენის რაიმე ნიშან-თვისებების ზემოქმედებას პროცესზე;

3. მოქმედებითი - ეკონომიკური სუბიექტების უპირატესობების განსაზღვრა;

4. ტექნოლოგიური - ხაზს უსვამს ტექნოლოგიური სიახლეების და ინოვაციების როლს პროექტის სამეურნეო-ეკონომიკურ კომპლექსურ სურათს;

მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო საჯარო მმართველობის ეფექტურობის მდგომარეობის არსებული მოდელის გააზრება. ევროპაში ჯერ კიდევ წინა საუკუნის ბოლოს პრაქტიკაში აპრობირებული ხუთი ძირითადი ფაზით ხასიათდებოდა (ერთ-ერთი კლასიკური მაგალითი ამერიკელი მეცნიერების უილიამ დანის და ჯონ ანდერსონის მოდელი), რომელთა განხილვისას ჩნდება სამართლიანი განცდა, რომ ჩვენს მოცემულობაში პროცესს აკლია, როგორც მეცნიერული გააზრების, ასევე შეფასებითი კრიტერიუმების მოქმედების არიალი და სივრცე.

განვიხილოთ ყველა ეს ფაზა:

1. პრიორიტეტულ თემათა და პრობლემათა ჩამოყალიბება;

2. ფორმირება მრავალმხრივი ალტერნატივის ჩვენებით და შეფასებით;

3. ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა და პოლიტიკური კურსის დამტკიცება;

4. სამოქმედო გეგმა-გრაფიკის პრაქტიკაში განხორციელება და იმპლემენტაცია;

5. მთავრობის მიერ შეფასებული შედეგები და შემდგომი მოქმედებისთვის წარმოებული მოქნილი პოლიტიკა;

ხუთივე მნიშვნელოვანი ფაზის სიღრმისეული გააზრების გარეშე მოქმედების დაწყება დაუშვებელია. უკვე ათეული წლებია ჩვენი ევროპელი პარტნიორი ქვეყნები აქტიურად იყენებენ მართვის რეგიონული ეკონომიკის პრინციპებს, სადაც ფოკუსირება ხდება კონკრეტულ ლოკაციაში მიზნობრივ სამოქმედო არიალზე, ყველა ტიპის მაკრო-მიკრო პროექტს აქტიურად ეხმარება ადგილებზე შესწავლილი რესურსული შესაძლებლობების და პრობლემების მოგვარების მოქნილი სისტემა, შესაბამისად ინიციატივა ,,ქვემოდან ზევით'' თავის ხასიათში და ფუნქციებში ავლენს არა მხოლოდ სურვილს, არამედ პროექტის განსახორციელებლად ქმნის სრულიად კვალიფიციურ რესურსულ-ანალიტიკურ კოგნიტურ რუკას, რომელიც საბოლოო შედეგზე გასვლის მყარი წინაპირობა ხდება. საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ დარგის ხელმძღვანელის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ხარისხი პირდაპირ კორელაციაშია სტატისტიკურ-ანალიტიკურ, სიტუაციურ და კონტექსტუალური კვლევების ინფორმაციის ხარისხთან. დღევანდელ მოცემულობაში პროცესი საჭიროებს მიზანზე ორიენტირებულ ანალიზს შესაბამისი ეფექტური ინდიკატორების და მოქნილი სამოქმედო გეგმების წარმართვის თვალსაზრისით.

მოდელის სქემატურად აგების პარალელურად მიმაჩნია პროცესში ხაზგასმული იყოს მართვის სამი პოლუსის მოქმედებები და ფუნქცია-მოვალეობები, როგორც მაკრო და მიკრო ეკონომიკური, ასევე მეზო დონე - რეგიონული ეკონომიკის შესაძლებლობები. ოცდაათი მსხვილი თემაა სამოქმედო მოდელის სტრუქტურაში სამივე მიმართულებით, რომელიც ჩაშლილია ასზე მეტ საკითხად. პროექტის მთავარი სიახლეა კოგნიტური რუკების გამოყენებით, კომპლექსური კვლევა-ანალიზით და მულტისექტორული ჩართულობით შევქმნათ სამოქმედო პროგრამა-მოდელი, სადაც დღეს არსებულ სახელმწიფო პროტექციონისტულ პოლიტიკას გადავაქცევთ ორ დონიან მხარდამჭერ სისტემად. ინიციატივები ,,ქვემოდან ზემოთ'' გახდება დომინანტური, შესაბამისად გაიზრდება რეგიონული სტრუქტურების სამოქმედო დიაპაზონი და პასუხისმგებლობის ტვირთი. დროა ვაღიაროთ, რომ თემატურად ადგილებზე შესწავლილ-გაანალიზებულ საკითხებს ორგანიზაციულ-მმართველობითი

კუთხით ალტერნატივა არ აქვს. დარგის კომპლექსური, ინტენსიური და ინკლუზიური განვითარებისთვის, ყველა საფეხურის, ეტაპის და პროცესის აღქმა-გააზრების, ანალიტიკური და რესურსული კვლევების ხელშეწყობის, ეფექტური სამოქმედო მიზნობრივი პროგრამების შექმნის, ცენტრიდანული და ცენტრისკენული პოლიტიკის ურთიერთქმედების სინერგიული ეფექტის ჩართვის, ინოვაციური, ინტეგრირებული ტექნოლოგიების დანერგვის, კონკურენტული უპირატესობის დადგენის, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის მართვის, კონვერგენციული პრინციპების გატარების და კიდევ სხვა მრავალი თემის და დეტალის შესასწავლად მიზანშეწონილად მიმაჩნია შევქმნათ ე.წ. ,,კოგნიტური რუკა'', სადაც მოცემული იქნება თემატური ცოდნის, ინფორმაციული აღქმის, გააზრების და შეფასების, შემეცნების და მოქმედების, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის აკუმულირების და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების ყველა პირობა. კოგნიტური რუკა ეს იგივე ცოდნის ბანკია, რომლის მეშვეობით უნდა ხდებოდეს თანამედროვე პრობლემების გააზრება-გაანალიზება, მიზნების და ამოცანების შესრულების უზრუნველმყოფელი მოქმედებების დაგეგმვა, სახელმწიფო პოლიტიკის და სტრატეგიული გეგმების ჩამოყალიბება, ასევე მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ ჩვენ ვართ ცივილიზებული მსოფლიოს ნაწილი, სადაც გაცხადებული ,,ცოდნის ეკონომიკის პრიორიტეტულობა'' მნიშვნელოვანი მესიჯია ქვეყნის განვითარების. პირველი და უმთავრესი საფეხური პროცესის გააზრებისთვის შემეცნებითი კოგნიტური რუკაა, რომელიც მოიცავს წარმოსახვის, აღქმის, აზროვნების და ამოცანის განსაზღვრა-შესრულების ფაზებს. აქ აქტიურად გამოსაყენებელია პიაჟეს თეორიის გარემოსთან ადაპტაციის ორი ბაზისური პრინციპი: ასიმილაცია - მანამდე არსებულ ცოდნა-გამოცდილებაზე დაფუძნებული რეალობის ინტერპეტირება და აკომოდაცია - ახალი გამოცდილების მორგების გზით მიღებული მოდელის სახეცვლილება. მნიშვნელოვანია მათ შორის ბალანსის გამოყვანის თეორიაც, რომელიც ცნობილია ექვილიბრაციის სახელით. ჩნდება ბუნებრივი კითხვა როგორი უნდა იყოს მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამუშავებას.

კოგნიტური რუკა ,,ცოდნის გადამუშავების ბანკი''



კოგნიტური ანალიზის მეშვეობით მნიშვნელოვანია საკითხის გონივრული კონცეპტუალიზაცია. ცოდნის სტრუქტურა მუდმივ ინოვაციურ კვლევა-ძიებაში და მისი კომპლექსურად ფორმირება შემეცნების სტრუქტურიზაციის პროცესის გამართულ მეთოდოლოგიას უკავშირდება. მოდელირებული მიზნობრივი პროგრამის აწყობა, სადაც დარგობრივ-რეგიონული შესაძლებლობები, მათი სამოქმედო სინერგია, სრულფასოვანი ანალიტიკა, მართვის მექანიზმების სრულყოფა და პროდუქტის კონკურენტუნარიანობა ხდება წამყვანი. ამ თვალსაზრისით კოგნიტური რუკების შედგენა მოხდება ასეთი თანმიმდევრობით:

1. ანალიტიკური კოგნიტური რუკა - სტატისტიკური-მიკროზონული ანალიზით დაწყებული და სიტუაციურ-კონტექსტუალური ინფორმაციით დამთავრებული;

2. ორ დონიანი მასტიმულირებელ-მარეგულირებელი კოგნიტური რუკა - მართვის ცენტრიდა-ნული და ცენტრისკენული პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი;

3. კონკურენტული უპირატესობების ამსახველი კოგნიტური რუკა - ხუთ დონეზე (სახელმწიფო, ეკონომიკა, დარგი, ფირმა, პროდუქტი) ჩაშლილი თემები, რომელთა იდენტიფიცირების, კონსტრუ-ირების და ეფექტურად მართვის გარეშე დღევანდელი მოცემულობით შედეგზე გასვლა წარმოუდგე-ნელია;

დასკვნა

შემოთავაზებული მიდგომების პრაქტიკაში დანერგვა დროის გამოწვევაა, სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების თემა თავისი შინაარსით დიდი ხანია გაცდა დარგის ან კონკრეტული ლოკაციის პრობლემას. კომპლექსურ-მულტისექტორული ჩართულობით ჩამოყალიბებული კონცეპ-ტუალური ანალიზი, კოგნიტივისტური მიდგომების სრულყოფისაკენ და ინოვაციისაკენ სწრაფვა, კრეატიულობის მაღალი ხარისხი პროგრამული მოდიფიცირების საკითხში, მიზნობრივი პროგრამა, სადაც იდენტიფიცირებული და განზოგადებულია ყველა რეალური პრობლემა ეს ის არასრული ჩამონათვალია რომელიც წარმოდგენილ ერთიან სისტემურ ხედვას კრავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფრანჩესკო მანტინო. სოფლის განვითარება ევროპაში. აგრარული ეკონომიკის ნაციონალური უნივერსიტეტი. ქართული გამოცემის რედაქტორი პ. კოღუაშვილი 2015
2. ე.ხარაიშვილი. რეგიონული ეკონომიკა. სახელმძღვანელო თსუ გამოცემა 2004 წ.
3. 3.ნოდარ ჭითანავა.ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი 2015 წ.
4. 4.მზია წერეთელი. კოგნიტური ფსიქოლოგია. სახელმძღვანელო 2012 წ.
5. ნიკო ჩიხლაძე. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული და პრაქტიკული მიდგომები. ქუთაისის უნივერსიტეტი. 2021 წ.
6. Горелова Галина когнитивное моделирование сложных систем ТТИ УФУ 2014г
7. S. Coulson semantic leaps. Frame-shifting and conceptual blending. Cambridge Univ. 2001

Target modeled applications and cognitive
The importance of mapping in the regional-sectoral context

Gocha Tsopurashvili
PhD student of Georgian Technical University

Summary

The worst of the pandemic, the Russian-Ukrainian war, and the sharp economic downturn are depressing the world community. Predicting the scale of the crisis is difficult today, but trends in logistics, rising consumer prices, and food shortages have become apparent. The content and scope of the imposed sanctions make clear the inevitability of a major political-economic settlement, which is likely to be a difficult long-term process and will last at least 5-10 years. In this situation, new perspectives of development arise for countries of our type and situation, as well as the need to transform the inertial model of the current economy. Conceptual programs for the sectoral capabilities of the economy, an orderly system of sustainable socio-economic development of the regions and resource research-evaluation should be urgently created in the country. At the same time, it is timely to implement the principles of management decentralization-deconcentration and to create a centrifugal development policy model, the main line of which will be to achieve a synergistic effect of cooperation in action. will be. Software is a complex multi-sectoral document of unambiguously complex configuration and I consider it expedient to use the so-called Cognitive maps, which in modern conditions are increasingly used in the complex mechanism of building modeled programs, because they best combine human education and thinking, The state of situational-contextual perception, cognition, cognition and evaluation, therefore has the ability to combine different paradigms of scientific visions and form a unified conceptual system. Agriculture and Rural Development Strategy 2021-2027. Its content is no longer only agrarian, therefore the agenda is to move regional and sectoral policies to a new phase. Priority is given to new understanding of management mechanisms, result-oriented protectionism and inclusive involvement. It is time for us to become popular with the thesis "Think globally and act locally" in the established European regional policy.

მიწის ადმინისტრირება, როგორც ეკონომიკური განვითარების საშუალება

ჭიპაშვილი ანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

მიწა უდიდესი რესურსია, რომლის გარეშეც დედამიწაზე სიცოცხლე არ იარსებებდა. მიწა, როგორც ფიზიკური, ასევე აბსტრაქტული შინაარსის მქონე საგანია. მიწა ერისთვის მისი სახელმწიფოს ტერიტორიაა, ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელი არეალია. მიწას ადამიანის სასიცოცხლო მატერიალურ პირობათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია და საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა. მიწა ერის სასიცოცხლო ბაზაა. მიწა არა მარტო ბუნებრივი ეკონომიკური რესურსია, არამედ ჩვენი იდენტობის დამდგენი განსაკუთრებული კულტურული და სოციალური საფუძველია (პაატა კოღუაშვილი, 2022).

მიწის, როგორც უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსის და წარმოების ძირითადი ფაქტორის ადმინისტრირება ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს.

მიწის ადმინისტრირება წარმოადგენს მიწის მართვის პოლიტიკის განხორციელების პროცესში მიწის საკუთრების, ღირებულებისა და გამოყენების შესახებ ინფორმაციის განსაზღვრის, აღრიცხვისა და გავრცელების ინსტრუმენტების ერთობლიობას, რომელიც აძლიერებს მიწის პოლიტიკის უზრუნველყოფის საშუალებებს.

საკვანძო სიტყვები: მიწის ადმინისტრირება, მდგრადი განვითარება, ეკონომიკური განვითარება

ძირითადი ტექსტი

მიწის გონივრული მმართველობა არის გასაღები მდგრადი განვითარების მისაღწევად და გლობალური დღის წესრიგის მხარდასაჭერად, რომელიც დადგენილია ათასწლეულის განვითარების მიზნების (MDGs) მისაღწევად.

მიწის განაწილება და გამოყენება განისაზღვრება მიწათსარგებლობის მდგრადი განვითარების პოლიტიკით, რომელიც შედგება რთული სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულაციებისგან და იგი ადგენს და არეგულირებს მიწაზე წვდომისა და მასთან დაკავშირებული მოსალოდნელი სარგებლის განაწილების წესებს.

ქვეყნის მიწის პოლიტიკა უნდა ხელმძღვანელობდეს მისი ეროვნული პოლიტიკური მიზნებით, რაც აუცილებლად უნდა მოიცავდეს სამ მთავარ მიზანს: (ა) ეკონომიკური განვითარების ეფექტურობას და ხელშეწყობას; (ბ) თანასწორობას და სოციალურ სამართლიანობას; (გ) გარემოს დაცვას და მიწათსარგებლობის მდგრად გამოყენებას. სწორედ აღნიშნული სამი მთავარი მიზანი წარმართავს მიწის პოლიტიკას და წარმოადგენს მისი ეფექტურობის მთავარ ორიენტირებს.

ცნობილი მეცნიერი ვან დერ მოლენი და სხვები მიიჩნევენ, რომ მიწის პოლიტიკა დაკავშირებულია ქვეყნის მთავრობის მიზნებიდან გამომდინარე ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით განვითარებასთან. მათი აზრით - „პოლიტიკური მიზნები, როგორიცაა ეკონომიკური ზრდა, სიღარიბის შემცირება, მდგრადი საცხოვრებელი პირობები და სოფლის მეურნეობა, სოციალური სამართლიანობა, თანასწორობა და საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების დაცვა, მოითხოვს მთავრობის სათანადო პოლიტიკას, თუ როგორ უნდა მოგვარდეს მიწაზე ხელმისაწვდომობის და მასთან დაკავშირებული სარგებელის განაწილება“.

ამრიგად, მიწის პოლიტიკის დოკუმენტი არის უაღრესად სერიოზული მნიშვნელობის და პასუხისმგებლობის მატარებელი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც ეხება ეკონომიკას, საზოგადოებას და გარემოს, რომლის განხორციელებისთვის საჭიროა სპეციალური ინსტრუმენტები, ტექნიკა და კომპეტენციები.

სწორედ პოლიტიკურ მიზნებსა და მიწის ადმინისტრირებას შორის ასეთ ორმხრივ ურთიერთობას და აქედან გამომდინარე ქვეყნის ეროვნული მიზნების მიღწევაში მიწის ადმინისტრირების, ასევე მიწის პოლიტიკისა და მისი მართვის ინსტრუმენტების კავშირს ასახავს ე.წ. „მიწის მართვისა და პოლიტიკურ

მიზნებს შორის ურთიერთობის“ ვან დერ მოლენის მოდელი.

ზემოთ ჩამოთვლილი პოლიტიკური მიზნების შესრულება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, რაც შესაბამისად ნიშნავს, ეროვნული შემოსავლის, ასევე ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლისა და პროდუქტის მდგრად ზრდას

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ადმინისტრირება ემსახურება მიწის პოლიტიკის ინსტრუმენ-ტების ფუნქციონირებას, რომლებიც მიზნად ისახავენ ეროვნული პოლიტიკური მიზნების შესრულებას, რაც მოიცავს სიღარიბის აღმოფხვრას, მდგრადი საცხოვრებელი გარემოს დამკვიდრების ხელშეწყობას, მდგრად სოფლის მეურნეობას, ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ თანასწორობას. ამ ამოცანების შესრულება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. უფრო ფართო გაგებით, ეკონომიკური განვითარება მოიცავს არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდას წმინდა ეკონომიკური მიმართულებებით, არამედ ცხოვრების ხარისხს და არაეკონომიკურ ინსტიტუციონალურ ფაქტორებს, როგორიცაა მიწათმფლო-ბელობის მოწყობის ბუნება, რომელიც უზრუნველყოფს ხელსაყრელ გარემოს ეკონომიკური ზრდისთვის.

მიწის ადმინისტრირების პროცესი, მიწის რესურსებზე უფლების შესახებ გადაწყვეტილებით იწყება. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მიწა მიწის ადმინისტრირების სისტემის ფარგლებში ექცევა. ბევრმა ქვეყანამ ჩამოაყალიბა მიწის ადმინისტრირების სისტემები და დაიწყო საკუთრების რეგისტრაციის პროცესი, მაგრამ ჯერ კიდევ არის მსოფლიოს ზოგიერთი ნაწილი, სადაც მიწის ადმინისტრირების ინსტიტუტები სრულად არ ფუნქციონირებენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ადმინისტრირების პროცესები, უძრავი ქონების აქტივებს ეკონომიკის დანარჩენ ნაწილთან აკავშირებს. საკუთრების უფლების ფორმალიზაცია არის ამ პროცესების საწყისი ნაბიჯი. ეს ნიშნავს, რომ უძრავი ქონება არ იქნება დაკავშირებული ეკონომიკასთან, თუ ის ოფიციალურად არ არის რეგისტრირებული.

ეკონომიკისა და განვითარების ადრეული თეორიები მიწას აღიარებენ წარმოების მთავარ ფაქტორად და განვითარების განუყოფელ ნაწილად. მისი საშუალებით იწარმოება საქონელი და ის იძლევა საფუძველს ეკონომიკური საქმიანობისთვის და გამოიმუშავებს კაპიტალს ინვესტიციებისთვის. ამასთან, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ხაზი გაესვა მიწაზე დაცული საკუთრების უფლებისა და მიწის მართვის როლს განვითარების პროცესში. ზოგიერთი ნაშრომის ავტორი, როგორიცაა ფედერი და სხვ. (1988) და პლატო (1996) აღიარებენ დაცული საკუთრების უფლებას, როგორც ეკონომიკური საქმიანობის ხელშემწყობ ფაქტორს.

ცნობილმა მეცნიერმა ენემარკმა და სხვებმა შეიმუშავეს მიწის ადმინისტრირების პარადიგმის კონცეფცია, რომელიც აკავშირებს მიწის ადმინისტრირების ფუნქციებს მდგრად განვითარებასთან, რომელიც შემოთავაზებული იყო უილიამსონისა და სხვათა მიერ, როგორც მიწის ადმინისტრირების თეორია (2010). აღნიშნული თეორია აცხადებს, რომ მიწის ადმინისტრირების ფუნქციები ხელს უწყობენ მდგრად განვითარებას, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით განვითარებას.

მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი რესურსის - მიწის მართვაში, მუდმივად მზარდია მიწის ადმინის-ტრირების მნიშვნელობა და როლი, რადგან მთელ მსოფლიოში, ადამიანების უმეტესობის საარსებო წყარო კვლავაც დაკავშირებულია მიწაზე წვდომასთან და მიწასთან დაკავშირებულ სარგებელთან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ათასწლეულის განვითარების მიზნები: უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, გარემოს მდგრადობის უზრუნველყოფა და განვითარებისთვის გლობალური პარტნიორობის განვითარება, დაკავშირებულია მიწის განაწილებასთან და მართვასთან. ამ მიზნების მიღწევაშიც გადამწყვეტ როლს ასრულებს მიწის ადმინისტრირება.

FIG-ისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივმა კონფერენციამ „მიწის მმართველობა ათასწლეულის განვითარების მიზნების მხარდასაჭერად” ახალი გამოწვევების საპასუხოდ 2009 წელს დაასკვნა, რომ მიწის ეფექტური და დემოკრატიზირებული ადმინისტრირება არის ჩვენი მომავლის გლობალური ხედვის რეალიზების საფუძველი, როგორც ეს ჩამოყალიბებულია ათასწლეულის განვითარების მიზნებში და მიწის სპეციალისტებს აქვთ სასიცოცხლო როლი ამ ხედვის მუდმივად ცვალებადი კურსის გაგებასა და სწრაფად რეაგირებაში (Enemark et al., 2009).

განვითარების ბოლო თეორიები მიწას განიხილავს, როგორც განვითარების უპირველეს კომპო-ნენტს და დაცული საკუთრების უფლებას, როგორც განვითარების ერთ-ერთ არაეკონომიკურ ინსტი-ტუციურ ფაქტორს. მიწის სწორი მართვა აუცილებელია ბუნებრივი გარემოს დაცვის, ღარიბთა

სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური გამოწვევების დასაძლევად.

ბათჰერსტის (Bathurst) დეკლარაციაში „მიწის ადმინისტრირება მდგრადი განვითარებისთვის“ ნათქვამია, რომ „მდგრადი განვითარება შეუძლებელია მიწის სწორი ადმინისტრირების გარეშე“ (FIG, 1999). იგი მოითხოვს, უზრუნველყოფილი იყოს საკუთრების უფლების ეფექტური სამართლებრივი დაცვა და საკუთრებაზე ხელმისაწვდომობა ყველა მამაკაცისა და ქალის, მათ შორის ძირძველი ხალხისა და სიღარიბეში ან სხვა არახელსაყრელ ჯგუფებში მცხოვრებთათვის. აღნიშნული განსაზღვრავს ინსტიტუციური რეფორმების ხელშეწყობის აუცილებლობას მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად და მიწის ადმინისტრირების აუცილებელ ინვესტირებას ინფრასტრუქტურაში, რომელიც ხალხს აძლევს მიწასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ შესაძლებლობებზე სრულ და თანაბარ წვდომას. **ამრიგად, მიწის ადმინისტრირების პროცესი განიხილება, როგორც მიწიდან კაპიტალის გამომუშავების საშუალება.**

მიწის კარგმა ადმინისტრირებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ეკონომიკას სხვა გზებითაც. მაგალითად დეილი და მაკლაფლინი (1999) ამტკიცებენ, რომ მიწის კარგი მენეჯმენტი უზრუნველყოფს ინვესტორების უსაფრთხოებას, რაც მიწის ბაზრის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა, ხოლო აღნიშნული საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, გაზარდოს გადასახადები მიწისა და ქონების ღირებულებებზე დაყრდნობით.

დასკვნა

წარმოდგენილი კვლევების შეჯამება იძლევა საფუძველს ხაზი გაესვას იმას, რომ ადამიანებსა და მიწას შორის ურთიერთობა მყარდება უფლებებით. მიწის ადმინისტრირება კი არის სისტემა, რომელიც მართავს ამ უფლებებს. მიწის კადასტრი, მიწის რეესტრი, მიწის შეფასება და მიწათსარგებლობის დაგეგმვა არის ის ინსტრუმენტები, რომლებიც ახორციელებენ მიწის ადმინისტრირების ფუნქციებს. მიწის ადმინისტრირების თანამედროვე სისტემები მოიცავს მიწის მართვას, მიწის გამოყენებას და დაცვას მდგრადი განვითარებისთვის. აქედან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება დავასკვნათ, რომ **მიწის ადმინისტრირება არის ეკონომიკური განვითარების საშუალება.**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაატა კოღუაშვილი, „საქართველოს სიძლიერე მიწასთან მარადიული კავშირის ტრადიციაშია“
2. https://for.ge/view/224313/saqarTvelos-siZliere-miwasTan-maradiuli-kavSiris-tradiciaSia.html
3. პაატა კოღუაშვილი, „მიწის მართვისა და აღრიცხვის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა სასიცოცხლო აუცილებლობაა“
4. https://for.ge/view/42771/miwis-marTvisa-da-aRricxvis-saxelmwifo-struqturis-Seqmna-sasicocxlo-aucileblobaa.html
5. Land Administration for Sustainable Development, Ian Phillip Williamson, Stig Enemark, Abbas Rajabifard, January 2009, pg.: 7, 8, 9.
6. An Introduction to Land Administration, Simon Hull , Rosalie Anne Kingwill, Technical Report , September 2020,
7. Land Administration for Sustainable Development, Ian Phillip Williamson, Stig Enemark, Abbas Rajabifard, January 2009
8. An Introduction to Land Administration, Simon Hull , Rosalie Anne Kingwill, Technical Report , September 2020
9. Land Administration and Its Impact on Economic Development, Gandhi Prasad Subedi, University of Reading, REAL ESTATE AND PLANNING, HENLEY BUSINESS SCHOOL https://www.academia.edu/27000345/Land_Administration_and_Its_Impact_on_Economic_Development?email_work_card=view-paper

Land administration as a means of economic development

Ana Chipashvili
PhD student of Georgian Technical University

Summary

Land is the greatest resource, without land life would not exist on the earth. Land is an object of both physical and abstract content. Land is the territory of his state for the nation, the necessary area of the nation's existence and creativity. The earth occupies a special place among the living material conditions of man and is a necessary condition for the existence of society. The land is the vital foundation of a nation. Land is not only a natural economic resource, but also a special cultural and social basis for asserting our identity (Paata Koguashvili, 2022).

The administration of land as the most important natural resource and a key factor of production is a task of political and socio-economic importance of the country.

Land administration is a set of tools for defining, recording and disseminating information on land ownership, value and use in the process of implementing land management policy, which strengthens the means of securing land policy.

Keywords**:** Land administration, Sustainable development, Economic development

სიმინდის წარმოების პერსპექტივები და ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება

ხარაიშვილი ოლღა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

როყვა ქეთევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

სტატია მიძღვნილია სიმინდის წარმოების მოყვანის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხისადმი. განხილულია სიმინდის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი როგორიცაა რწყვა. გამოკვლეულია საკვანძო პრობლემები სიმინდის წარმოების ეფექტიანობაში. აღნიშნულია, რომ სამამულო წარმოების თანამედროვე მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნებს, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 70-68 %-ის ფარგლებშია. აღნიშნულია, რომ მოსავლიანობის ამაღლება პირველ რიგში უნდა მოხდეს რწყვით.

წყალუზრუნველყოფის შეფასებისათვის გამოყენებული იქნა წყალუზრუნველყოფის კომპლექ-სური კოეფიციენტი, რომლის აბსოლუტური სიდიდეც გამოხატავს ნალექების ნაკლებობით ან სიუხვით გამოწვეულ დაძაბულობას და არსებულ კრიტერიუმთან შედარებით უფრო სრულყოფილად ასახავს მოვლენის როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ მხარეს

პირობითი სუფთა შემოსავლის მიხედვით საუკეთესო ეკონომიკური შედეგები მიღებულია აღნიშნულ ვარიანტებში. ამ ვარიანტებში მიღებულია მარცვლისა და ჩალის უდიდესი მოსავალი მონელებადი ნედლი პროტეინის და ენერგეტიკული საკვები ერთეულის უმცირესი თვითღირებულების დროს. საკვები ვარიანტი უსწრებს ამ ვარიანტებს ეკონომიკური მაჩვენებლების მონაცემებით, რაც ამტკიცებს ალტერნატიული მინდრის საკვებწარმოების მიზანშეწონილობას.

ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის განაწილების ეპიურა მოითხოვს სიმინდის ზრდა განვითარების სხვადასხვა სტადიაში ნიადაგის აქტიური შრის ტენიანობის დიფერენცირებულ განსაზღვრას და შესაბამისად მორწყვის ნორმებისა და რეჟიმის დაზუსტებას, რომელიც უნდა ტარდებოდეს მთელი ვეგეტაციის პერიოდის განმავლობაში

მიღებული ნიადაგის რწყვის წინა ტენიანობის ორივე რეჟიმის პირობებში, სასუქების ნორმების გადიდებასთან ერთად იცვლება ფენოლოგიური ფაზების დადგომა და იგი პირდაპირ კავშირშია ტენიანობის ხარისხთან , რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავარ აგრონომიულ მიზანზე -სიმინდის მოსავლიანობაზე

რწყვასთან დაკავშირებული მინერალური სასუქების მაღალი დოზების გამოყენების შედეგად ნიადაგში დარჩენილი ბალასტის და სხვა არასასურველი ფაქტორების გამორიცხვა მნიშვნელოვნად შეამცირებს „დაწოლას“ გარემოს ეკოლოგიურ პირობებზე.

საკვანძო სიტყვები: რწყვის რეჟიმი, მინერალური სასუქები, წყალუზრუნველყოფა, სიმინდი, ეკონომიკური ეფექტიანობა, ზღვრული ტენტევადობა.

ძირითადი ტექსტი

სიმინდი მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი გავრცელებული კულტურაა, რომელიც ნათესებისა და წარმოების მხრივ მეორე ადგილზეა ხორბლის შემდეგ. საქართველოში მისი ფართობი 78,6-81,1 ჰა-მდე მერყეობდა. სიმინდი საქართველოში იწარმოება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილში. განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 68 %-ს შეადგენდა, ხოლო მოხმარება 1 სულ ადამიანზე 34 კგ-ს. მესიმენდეობის განვითარებას და შესაბამისად სიმინდის წარმოების გაზრდას ქვეყანაში დიდი მნიშვნელობა აქვს, გარდა იმისა,რომ იგი ადამიანის საკვებად გამოიყენება მას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს როგორც მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარებისათვის, ასევე ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდისათვის.

სიმინდის მოყვანის ხერხების ეკონომიკური შეფასება ჩატარდა საველე ცდების მაგალითზე

ძირითადად ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, რომელიც ემყარებოდა სიმინდის მარცვლისა და ჩალის მოსავლიანობას.

ერთ ჰექტარზე მიღებულ ენერგეტიკული საკვები ერთეულების გამოსავალი გავიანგარიშეთ მიღებული პროდუქციის საერთო ღირებულების მრავალწლიანი საშუალების კონსტრუქციით, რადგანაც მოყვანაზე დანახარჯს ცდების ჩატარების პერიოდში დიდი ინფლაციის გამო ვაკორიექტირებდით ყოველწლიურად.

ცდების ყველა ვარიანტის ეფექტის რეალურად შესაფასებლად ჩვენს მიერ, შეფასება ხდებოდა ყველა იმ დანახარჯის გაანგარიშება, რომელიც დაკავშირებული იყო შესასწავლი ხერხების გამოყენებასთან და გამოგვყავდა სამარცვლე სიმინდი.

შესასწავლი ხერხების გამოთვლა ჩავატარეთ მიღებული მეთოდიკის საფუძველზე მეურნეობის ტექნოლოგიური რუკების, მოყვანილი ''მინერალური სასუქების ცნობარის" სიმინდის კულტურის მოყვანის ტარიფიკაციის'', ''მინერალებზე . ორგანულ და ბიოსასუქებზე საცალო ფასების მიხედვით, აგრეთვე პრაქტიკული სახელმძღვანელო „სამარცვლე სიმინდის მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიის ათვისების შესახებ'' გამოყენებით.

შესასწავლი ხერხების ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზისას მოცემულ თესლბრუნვის რგოლში მაღალი შემოსავალი 1 ჰექტრიდან მიღებული იქნა ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის 70-65%-ზე, მინერალური სასუქების კომპლექსური გამოყენებისას შესაბამის ვარიანტებში, სადაც ენერგეტიკული საკვები ერთეულის ყველაზე დაბალი ღირებულება ანუ 197 ლარით ნაკლებია ვიდრე საკონტროლოში.

ეფექტიანობის მხრივ ყველაზე რენტაბელური აღმოჩნდა მაღალმოსავლიანი ვარიანტი-151%. საკონტროლო ვარიანტების რენტაბელობა წლების მიხედვით თანდათან მცირდებოდა. შემოსავლების მიხედვით საუკეთესო ვარიანტში ეს მაჩვენებელი თითქმის სტაბილური იყო. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის 70-65%-ზე, როცა შეგვქონდა მინერალური სასუქები დოზებით N_{120} P_{125} K_{90} აღნიშნულ ვარიანტებში მოყვანილი სიმინდი ბევრად ხელსაყრელია არა მარტო ეკოლოგიური , არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

ამრიგად შესწავლილი ხერხების ეკონომიკური ეფექტიანობის და ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის და სასუქების გამოყენების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სიმინდის მოყვანა მკვეთრად ზრდის მთვარ ეკონომიკურ მაჩვენებელს -რენტაბელობას.

პირობითი სუფთა შემოსავლის მიხედვით საუკეთესო ეკონომიკური შედეგები მიღებულია აღნიშნულ ვარიანტებში. ამ ვარიანტებში მიღებულია მარცვლისა და ჩალის უდიდესი მოსავალი მონელებადი ნედლი პროტეინის და ენერგეტიკული საკვები ერთეულის უმცირესი თვითღირებულების დროს საკვები ვარიანტი უსწრებს ამ ვარიანტებს ეკონომიკური მაჩვენებლების მონაცემებით, რაც ამტკიცებს ალტერნატიული მინდრის საკვებწარმოების მიზანშეწონილობას. მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები.

დასკვნა

-მრავალწლიური ნიადაგურ-კლიმატური მონაცემების დამუშავების შედეგად სასოფლო - სამეურნეო კულტურთა, მ.შ სიმინდის დაპროგრამების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით გამოვლენილია აქტიურ ტემპერატურათა და შესაბამისი რადიაციული ბალანსების მზარდ ჯამებს შორის წრფივი კორელაციური კავშირის არსებობა.

-რეგიონის წყალუზრუნველყოფის შეფასებისათვის გამოყენებული იქნა წყალუზრუნველყოფის კომპლექსური კოეფიციენტი, რომლის აბსოლუტური სიდიდეც გამოხატავს ნალექების ნაკლებობით ან სიუხვით გამოწვეულ დაძაბულობას და არსებულ კრიტერიუთან შედარებით უფრო სრულყოფილად ასახავს მოვლენის როგორც რაოდენობრივ ასევე ხარისხობრივ მხარეს.

ატმოსფერული ნალექების,ჰაერის ტემპერატურისა და სხვა კლიმატურ-მეტეოროლოგიური მონაცემების მიხედვით, წყალუზრუნველყოფის კომპლექსური კოეფიციენტის ბაზაზე შემოთავაზებულია უზრუნველყოფის წლების დადგენის ახალი კლასიფიკაცია, რომელიც უზრუნველყოფს არსებულ კლიმატურ პირობებში სიმინდის დაპროგრანებული მოსავლის მიღებას საშუალოდ 7.9ტ/ჰა.

-ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის განაწილების ეპიურა მოითხოვს სიმინდის ზრდა- განვი-

თარების სხვადასხვა სტადიაში ნიადაგის აქტიური შრის ტენიანობის დიფერენცირებულ განსაზღვრას და შესაბამისად მორწყვის ნორმებისა და რეჟიმის დაზუსტებას, რომელიც უნდა ტარდებოდეს მთელი ვეგეტაციის პერიოდის განმავლობაში.

- მინდვრის ცდაში მიღებული ნიადაგის რწყვის წინა ტენიანობის ორივე რეჟიმის პირობებში , სასუქების ნორმების გადიდებასთან ერთად იცვლება ფენოლოგიური ფაზების დადგომა და იგი პირდაპირ კავშირშია ტენიანობის ხარისხთან , რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავარ აგრონომიულ მიზანზე -სიმინდის მოსავლიანობაზე

-წყალსაშვების ხარისხის დადგენისას აუცუილებელია მიღებული ნიადაგის მაქსიმალურ მოლეკულური წყალტევადობის პროცენტული შემცველობის მიხედვით განისაზღვროს ფორებში არსებული წყლის სიმკვრივე და შესაბამისად აერაცია, რომელიც წარმოადგენს ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორს დაპროგრამებული მოსავლის მისაღებად.

-მაღალი აგროტექნიკის პირობებში მორწყვისა და განოყიერების ერთობლივი მოქმედების შედეგად სიმინდის მოსავლიანობა გაცილებით მეტია ვიდრე ამ ფაქტორების ცალცალკე მოქმედებისას პირველ შემთხვევაში 2,85 ტ/ჰა, ნამატი თითქმის ორჯერ აღემატება მეორე შემთხვევაში ზღვრულ მოსავალს 6.10 ტ/ჰა . ამ ორი ურთიერთქმედებათა ეფექტი მატულობს როგორც განოყიერების ნორმების, ასევე მორწყვის წინა მაღალ ტენიანობასთან კავშირში.

-სიმინდის მარცვლისა და ჩალის მაღალი მოსავლიანობა საკონტროლო ვარიანტთან შედარებით , ნათლად მეტყველებს დაპროგრამების დიდ ეკონომიკურ ეფექტზე,საუკეთესო ვარიანტში რენტაბელობა შეადგენს 151%-ს.

-მიღებული სიმინდის მოსავალი სიუხვესთან ერთად ხასიათდება კარგი ქიმიური შედგენილობით და მაღალი ენერგეტიკული ყუათიანობით, რომელიც საშუალოდ შეადგენს საუკეთესო ვარიანტისათვის 7758.2 ენერგეტიკულ საკვებ ერთეულს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის (ესე მრპ)

-მუხრან საგურამოს ველის ზონაში სიმინდის დაპროგრამებული მაღალი მოსავლის მისაღებად , არსებული ნიადაგურ კლიმატური პირობებისა და ჩატარებული აგროტექნიკის სწორი შერწყმით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სიმინდის თითეული ჯიშის სიზუსტით გათვალისწინებული იქნეს ჩვენი კვლევის ძირითადი პარამეტრები, რაც უზრუნველყოფს

სიმინდის („აჯამეთის თეთრის'') შემთხვევაში ერთ ჰექტარზე 7.9ტ მარცვლისა და 6,1 ტ ჩალის მიღებას.

-რეკომენდირებული აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება სიმინდის კულტურის მოსავლიანობის ზრდასთან ერთად მინიმუმამდე შეამცირებს ნიადაგის ნაყოფიერების დაქვეითებას ზედმეტი წყლით, რწყვასთან დაკავშირებული მინერალური სასუქების მაღალი დოზების გამოყენების შედეგად ნიადაგში დარჩენილი ბალასტისა და სხვა არასასურველი ფაქტორების გამორიცხვით , რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს "დაწოლას" გარემოს ეკოლოგიურ პირობებზე.

კვლევებიდან ჩანს, რომ ნიტრატები ყველაზე უფრო მცირე რაოდენობით გროვდება უსასუქო ვარიანტებზე, თუმცა დაბალი ტენიანობის პირობებში სასუქების მზარდი ნორმების გამოყენების ბოლო ორ შემთხვევაში ($N_{120}P_{125}K_{90}$ და $N_{200}P_{175}K_{120}$) მწვანე მასაში ნიტრატების დაგროვებამ არასასურველი შედეგი მოგვცა და იმყოფებოდა მდკ-ფარგლებში რწყვის რეჯიმის გაუმჯობესების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი უვნებელ მახასიათებლებამდე დავიდა, რაც რწყვის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე ლ.-საკვები ელემენტების გამოტანა ნიადაგიდან სამარცვლე სიმინდის დაპროგრამებული მოსავლის მისაღებად შიდა ქართლის სარწყავ პირობებში .სსსი-ის შრომები თბილისი გვ 351
2. აბაშიძე ლ. -სამარცვლე სიმინდის დაპროგრამებული მოსავლის ქიმიური შედგენილობის დამოკიდებულება რწყვის რეჯიმისა და მინერალური სასუქების გამოყენების დოზებზე. სსსი-ის შრომები თბილისი გვ 105
3. გუბელაძე დ. ო.ხარაიშვილი -სასოფლო სამეურნეო ჰიდრომელიორაცია 2020 წელი
4. გუბელაძე დ. ხარაიშვილი ო - სასოფლო სამეურნეო მელიორაციის პრაქტიკული 2019 წელი

5. ზარდალიშვილი ო. - მიწათმოქმედების ძირითადი კანონები, სასუქების გამოყენება თბილისი საბჭოთა საქართველო 90 გვ
6. ზარდალიშვილი ო., ნაკაიძე ი- ორგანული სასუქების წარმოება და გამოყენება. თბილისი საქართველო 132 გვერდი
7. ურუშაძე თ- სასუქების გამოყენება და გარემო, თბილისი'' საქართველო ''2018 წ132გვ
8. კელენჯერიძე კ -საქართველოს სსრ სიმინდის გავრცელების რაიონების მოკლე აგროკლიმატური დახასიათება. 2008 წელი საუ შრომათა კრებული ტ11 43-62 გვ
9. კოროხაშვილი ა-საკვების ყუათიანობის შეფასების თანამედროვე მეთოდები. თბილისი 2019
10. ტუღუში გ -სასოფლო სამეურნეო კულტურების მორწყვის წესები და მათი სრულყოფის გზები, თბილისი საბჭოთა საქართველო 1986 წელი
11. ტუღუში გ პ.ტუღუში, ო,ხარაიშვილი-სასოფლო სამეურნეო ჰ/ტ მელიორაცია, მიწების მორწყვის განსაკუთრებული სახეები გაწყლოვანება წყალმომარაგება, თბილისი 2000 წელი
12. ხარაიშვილი ო-სიმინდის მოსავლის პროგნოზირება. მონოგრაფია 2019 წელი 136 გვ

Perspectives of corn production and evaluation of economic efficiency

Olga Kharaishvili
Associate Professor of Georgian Technical University

Ketevan Rokva
Associate Professor of Georgian Technical University

Summary

The article is dedicated to the issue of economic efficiency of corn production. One of the important indicators of economic efficiency of corn production such as irrigation is discussed. Key problems in corn production efficiency have been investigated. It is noted that the current state of domestic production does not meet the needs of the country's population, the self-sufficiency rate is in the range of 70-68%. It is noted that the increase in yield should be done primarily through irrigation.

The complex water supply coefficient was used to assess the water supply of the region, the absolute value of which reflects the stress caused by lack or abundance of rainfall and more accurately reflects the quantitative and qualitative side of the event compared to the existing criteria.

The article is dedicated to the issue of economic efficiency of corn production. One of the important indicators of economic efficiency of corn production such as irrigation is discussed. Key problems in corn production efficiency have been investigated. It is noted that the current state of domestic production does not meet the needs of the country's population, the self-sufficiency rate is in the range of 70-68%. It is noted that the increase in yield should be done primarily through irrigation.

The complex water supply coefficient was used to assess the water supply of the region, the absolute value of which reflects the stress caused by lack or abundance of rainfall and more accurately reflects the quantitative and qualitative side of the event compared to the existing criteria.

ფირმის კონკურენტუნარიანობის ძირითადი სტრუქტურული ელემენტები

ხარხელაური ხათუნა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ქაჯაია თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

ჯინჭველაშვილი ვახტანგ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

კონკურენტუნარიანობა ფართო სპექტრის ტერმინია. ფირმის კონკურენტუნარიანობას, წარმოებული პროდუქტის გარდა, სხვადასხვა ქმედებებიც განსაზღვრავს: მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსური პოლიტიკა, ოპერატიული მენეჯმენტი და სხვა. ნებისმიერ ქვეყანაში ფირმის საქმიანობის მაკროეკონომიკური გარემო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის კონკურენტუნარიანობაზე, მაგრამ სრულად ვერ განსაზღვრავს ამ მაჩვენებლის დონეს.

სტრატეგიული მენეჯმენტის თეორიებში აქტიურად განიხილავენ ფირმის კონკურენტული უპირატესობის ძირითად სტრუქტურულ ელემენტების, რომელთა შექმნა და განვითარება აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ კომპანიამ მიღწიოს წარმატებას თანამედროვე მძაფრ კონკურენტულ და მუდმივად ცვლად გარემოში. ჩვენ განვიხილავთ კონკურენტული უპირატესობის ოთხი სტრუქტურული ელემენტს: ეფექტიანობა, ხარისხი, ინოვაცია, და მომხმარებლის მგრძნობელობა. თითოეული მათგანი თავისმხრივ შეგვიძლია განვავითაროთ ფირმის სტრუქტურული/ფუნქციონალური ერთეულების მიმართულებით. წარმოების პროცესის, ლოჯისტიკის, ადამინაური რესურსების, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ა.შ ეფექტიანობის ამაღლება შესაძლოა იქცეს მნიშვნელოვან ინსტრუმენტად კომპანიის კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში. ფირმის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული საქონლის/მომსახურების ხარხისა და მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდა დაკავშირებულია წარმატებული პროდუქტის ინოვაციასთან. R&D -ის და მარკეტინგის ინტეგრირება გადამწყვეტ როლს ასრულებს ახალი პროდუქტის სათანადო კომერციალიზაციისთვის. ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს ფირმის კონკურენტუნარიანობას.

ქართულ ფირმებს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, აღნიშნული კონკურენტული უპირატესობის ძირითად სტრუქტურულ ელემენტების ყველა მდგენელის გაანალიზება და პროგნოზირება საშუალებას მისცემს უფრო ეფექტიანი გახადონ თავიაანთი ბიზნეს საქმიანობა.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგიული მენეჯმენტი; სტატეგიული დაგეგმვა; კონკურენტული უპირატესობა.

ძირითადი ტექსტი

კონკურენტუნარიანობა დინამიურად განვითარებადი, კომპლექსური და მრავალმხრივი ეკონომიკური კატეგორიაა. საერთო ტენდენციებით ტერმინი „კონკურენტუნარიანობა“ განიხილება - საქონლისა და წარმოების (მიკრო), დარგებისა და მათი გაერთიანებების (მეზო), რეგიონებისა და ქვეყნის (მაკრო) დონეზე და რეგიონალური გაერთიანებების (ჰიპერმაკრო) დონეზე. ის ზოგჯერ განისაზღვრება საქონლის ან მომსახურების, საწარმოების კონკურენტუნარიანობის ან მწარმოებლურობის საშუალებით. აშკარაა, რომ ყველა შემთხვევაში საუბარია ეკონომიკური საქმიანობის მონაწილე სუბიექტის შესაძლებლობაზე კონკურენცია გაუწიოს თავის კონკურენტებს ბაზარზე.

მ. პორტერის თვალსაზრისით ფირმის კონკურენტუნარიანობა ეკონომიკურ მახასიათებელთა კომპლექსია, რომელიც განაპირობებს ფირმის მდგომარეობას დარგობრივ, ეროვნულ ან მსოფლიო ბაზარზე. მეცნიერის აზრით პროდუქტისა და ფირმის კონკურენტუნარიანობის ურთიერთმიმართება - მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართებაა. [1]

ინდუსტრიული ორგანიზაციის თეორიაში აქცენტი გადატანილ იქნა კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაზე, რაც ეფუძნებოდა დარგის/ფირმის სტრუქტურას და გადაწყვეტილების

მიღების მექანიზმებს.

თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომებში აქტიურად განიხილება კონკურენტული უპირატესობის ძირითადი სტრუქტურული ერთეულები[1]. კონკურენტული უპირატესობის ოთხი სტრუქტურული ელემენტისგან შედგება. ესენია: ეფექტიანობა, ხარისხი, ინოვაცია, და მომხმარებლის მგრძნობელობა. [2]

კონკურენტული უპირატესობის ოთხი ძირითადი სტრუქტურული ელემენტი

პირველი ბლოკი: ეფექტიანობა კონკურენტული უპირატესობის ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტურული ელემენტია.

ეფექტიანობის უმარტივესი საზომი არის რესურსების რაოდენობა, რომელიც საჭიროა პროდუქ-ტის წარმოებისთვის. ეფექტიანობა დაბალი ხარჯების სტრუქტურის მეშვეობით ეხმარება კომპანიას მიაღწიოს კონკურენტულ უპირატესობას. ეფექტიანობა შეიძლება გაუმჯობესდეს კომპანიის ღირებულე-ბის ჯაჭვის ყველა აქტივობასთან ერთად. ზოგადად, მაღალი პროდუქტიულობა იწვევს უფრო მეტ ეფექტიანობას და დაბალ ხარჯებს. ბევრი კომპანიის ეფექტიანობის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია (1) თანამშრომლების პროდუქტიულობა და (2) კაპიტალის პროდუქტიულობა.

დასაქმებულთა პროდუქტიულობა ჩვეულებრივ იზომება წარმოებული საქონლის/ მომსახურების მოცულობით თითო თანამშრომელზე, ხოლო კაპიტალის პროდუქტიულობა წარმოებული პროდუქციის/ მომსახურების მოცულობით ინვესტირებული კაპიტალის ერთეულზე.

ყველა სხვა თანაბარ პირობებში, კომპანიას, რომელსაც აქვს შრომისა და კაპიტალის ყველაზე მაღალი პროდუქტიულობა ინდუსტრიაში, ჩვეულებრივ ექნება ყველაზე დაბალი ხარჯების სტრუქტურა და, შესაბამისად, ხარჯებზე დაფუძნებული კონკურენტული უპირატესობა.

პროდუქტიულობის კონცეფცია არ შემოიფარგლება დასაქმებულთა და კაპიტალის პროდუქტი-ულობით. შესაძლოა პროდუქტიულობა R&D - კვლევისა და განვითარების ხარჯებში, გაყიდვების სფეროში და ა.შ.

წარმოების პროცესის ეფექტიანობა - მენეჯმენტმა კომპანიის წარმოების ფუნქციაში შეიძლება მოძებნოს კაპიტალისა და შრომის პროდუქტიულობის გაზრდის გზები.

როგორც წესი ერთ-ერთი სტრატეგია არის მასშტაბის ეკონომიის გატარება, რაც ნიშნავს პროდუქციის მასობრივი წარმოებით ერთეულზე გაწეული დანახარჯების შემცირებას. მასშტაბის ეკონომიის ძირითადი წყარო არის ფიქსირებული ხარჯების განაწილების შესაძლებლობა წარმოების დიდ მოცულობაზე. ფიქსირებული ხარჯები არის ხარჯები, რომლებიც არ იზარდება პროდუქციის წარმოების დონის ზრდის მიუხედავად.

მასშტაბის ეკონომიის კიდევ ერთი წყარო არის საქონლის დიდი მოცულობით მწარმოებელი კომპანიების უნარი, მიაღწიონ შრომის უფრო მეტად განაწილებასა და სპეციალიზაციას. როგორც ცნობილია, სპეციალიზაცია ხელსაყრელ გავლენას ახდენს პროდუქტიულობაზე. ის თანამშრომლებს საშუალებას აძლევს გახდნენ მეტად დახელოვნებული კონკრეტული დავალების შესრულებაში.

მასშტაბის ეფექტით მენეჯმენტმა ასევე შეიძლება გაზარდოს ეფექტიანობა იმ სტრატეგიების გატარებით, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლების (დახელოვნების) ეფექტის მაქსიმიზაციას. სწავლის ეფექტი არის სწავლის შედეგად ხარჯების დაზოგვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ მენეჯმენტი ახალ საწარმოო ობიექტებში, როგორც წესი, დროთა განმავლობაში პრაქტიკის სფუძველზე სწავლობს საუკეთესო ვერსიას ახალი ოპერაციის გასაშვებად. შესაბამისად, წარმოების ხარჯები მცირდება შრომის პროდუქტიულობისა და მართვის ეფექტურობის გაზრდის გზით.

უფრო დიდი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წყაროა მოქნილი წარმოების ტექნოლოგიის დანერგვა. ტერმინი მოქნილი წარმოების ტექნოლოგია, ან დაბალდანახარჯებიანი წარმოება, როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ, მოიცავს ტექნოლოგიების, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპლექსური აღჭურვილობის დამონტაჟების დროის შემცირებას, ინდივიდუალური მანქანების გამოყენების ზრდას უკეთესი დაგეგმარების გზით და ხარისხის კონტროლის გააუმჯობესებას წარმოების პროცესის ყველა ეტაპზე.

[1] Competitive Advantage Generic Building Blocks

მოქნილი წარმოების ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს კომპანიას აწარმოოს უფრო ფართო არჩევანის მქონე საბოლოო პროდუქტი ერთეულის იმ თვითღირებულებით, რომელიც შესაძლებელი იყო სტანდარტიზებული პროდუქტის მასობრივი წარმოების დროს. შეთავაზოს პროდუქტი ბევრად უფრო დიდი ოდენობის მომხმარებელს მათი მოთხოვნების გათვალისწინებით, ვიდრე ოდესმე იყო ეს შესაძლებელი.

ტერმინი „მასობრივ მომხმარებელზე მორგება“ (mass customization) გამოიყენება კომპანიების შესაძლებლობის აღსაწერად, გამოიყენონ მოქნილი წარმოების ტექნოლოგია ორი მიზნის შესაჯერებლად, რომლებიც ერთ დროს შეუთავსებელი იყო: დაბალი თვითღირებულება და საქონლის მორგება კლიენტების კონკრეტულ მოთხოვნებთან.

მარკეტინგის ეფექტიანობა - კომპანიის მიერ შერჩეულმა მარკეტინგულმა სტრატეგიამ შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს ეფექტიანობასა და ხარჯების სტრუქტურაზე.

სტრატეგია მოიცავს მომხმარებელთა გადაბირების მაჩვენებლების შემცირებას. მომხმარებელთა გადაბირების მაჩვენებლები არის კომპანიის მომხმარებელთა პროცენტი, რომლებიც ყოველწლიურად მიდიან კონკურენტებთან. გადაბირების მაჩვენებლებს განსაზღვრავს მომხმარებელთა ლოიალობა, რაც თავის მხრივ არის კომპანიის უნარი, დააკმაყოფილოს თავისი მომხმარებლები.

იმის გამო, რომ ახალი მომხმარებლის მოზიდვა მოითხოვს რეკლამისთვის, გაყიდვების ხელშეწყობისათვის და სხვა მსგავს გარკვეულ ერთჯერად ფიქსირებულ ხარჯებს, არსებობს პირდაპირი კავშირი გადაბირების მაჩვენებლებსა და ხარჯებს შორის. რაც უფრო დიდხანს ინარჩუნებს კომპანია მომხმარებელს, მით უფრო დიდია მომხმარებლის მიერ გენერირებული გაყიდვების ერთეულების მოცულობა, რომელიც შეიძლება დავუპირისპიროთ ახალი მომხმარებლის შეძენის ხარჯებს.

ამრიგად, მომხმარებელთა გადაბირების მაჩვენებლების შემცირება საშუალებას აძლევს კომპანიას მოახდინონ მომხმარებლის მოზიდვის ხარჯების ამორტიზაცია და მიაღწიოს უფრო დაბალ მთლიანი თვითღირებულების სტრუქტურას.

მომხმარებელთა გადაბირების მაჩვენებლების შესამცირებლად, მარკეტინგის მენეჯერები დგამენ ნაბიჯების შექმნან ე.წ მომხმარებლის ერთგულება საქონლის მოცემული მარკის მიმართ (brand loyalty) და გადაბირების შემთხვევაში აქციოს ის მომხმარებლებისათვის უფრო დიდ დანახარჯად.

ლოჯისტიკის ეფექტიანობა - მასალების მართვის ფუნქციის ეფექტიანობის გაუმჯობესება ხშირად მოითხოვს „ზუსტად დროში“ (JIT) მარაგების მართვის სისტემის დანერგვას. ეს სისტემა შექმნილია იმისთვის, რომ დაზოგოს მარაგების შენახვის ხარჯები, კომპონენტების/ნედლეულის მიწოდება საწარმოო ქარხანაში ზუსტად იმ დროს, როდესაც ისინი ერთვებიან წარმოების პროცესში ან საქონლის მიწოდება საცალო მაღაზიაში მხოლოდ მაშინ, როდესაც მარაგი თითქმის იწურება. ძირითადად ხარჯების დაზოგვა მოდის მარაგების ბრუნვის რიცხვის ზრდაზე, რაც ამცირებს მათ სასაწყობო და შენახვის ხარჯებს, ასევე კომპანიის მოთხოვნას საბრუნავ კაპიტალზე.

JIT სისტემების ნაკლი არის ის, რომ ისინი ტოვებენ კომპანიას ბუფერული მარაგის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ბუფერული მარაგები ძვირია შესანახად, ისინი ეხმარებიან კომპანიას მომწოდებლების შეფერხებით გამოწვეული დეფიციტის დაძლევაში და მოთხოვნის ზრდაზე სწრაფად რეაგირებაში.

ადამიანური რესურსების ეფექტიანობა - თანამშრომლების პროდუქტიულობა საწარმოს ეფექტიანობის, ხარჯების სტრუქტურისა და მომგებიანობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია.

კომპანიის სამუშაოზე აყვანის სტრატეგია უნდა შეესაბამებოდეს მის შიდა ორგანიზაციიულ კულტურას და სტრატეგიულ პრიორიტეტებს. კომპანიაში დაქირავებულ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ის თვისებები და უნარ-ჩვევები, რომლებიც შეესაბამება კომპანიის სტრატეგიულ მიზნებს.

სამუშაო ძალის ორგანიზება თვითმმართველ გუნდებად არის პოპულარული ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია, რომელიც იწვევს პროდუქტიულობის ზრდას. თვითმმართველ გუნდში წევრები კოორდინაციას უწევენ საკუთარ საქმიანობას, რომელიც მოიცავს სამუშაოზე აყვანის, ტრენინგის, შესასრულებელი სამუშაოსა და დაჯილდოების გადაწყვეტილებებს.

ტიპიური გუნდი მოიცავს 5-დან 15-მდე თანამშრომელს, რომლებიც აწარმოებენ პროდუქტს ან ასრულებენ მთელ დავალებას. გუნდის წევრები სწავლობენ გუნდის შესასრულებელ ყველა ამოცანას და

რიგროგობით გადადიან ერთი სამუშაოდან მეორეზე. გუნდის წევრებს შეუძლიათ ჩაანაცვლონ სამუშაოზე არმყოფი თანამშრომლები და შეასრულონ მენეჯერის მოვალეობები, როგორიცაა სამუშაოსა და შვებულების დაგეგმვა, მასალების შეკვეთა და ახალი წევრების დაქირავება. გუნდის წევრებზე დაკისრებული მეტი პასუხისმგებლობა და მისი გაძლიერება განიხილება როგორც მოტივატორი. ადამიანები ხშირად კარგად რეაგირებენ იმაზე, რომ მიენიჭათ მეტი ავტონომია და პასუხისმგებლობა. ხარჯების დამატებითი დაზოგვა შესაძლებელია ზედამხედველობის ხარჯების ამოღების შედეგად და უფრო გათანაბრებული ორგანიზაციული იერარქიის შექმნით, რაც ასევე ამცირებს კომპანიის ხარჯების სტრუქტურასაც.

ადამიანური რესურსების ეფექტიანობის ამაღლების კიდევ ერთი სტრატეგიაა ბონუსური და კომპენსაციების სისტემების დანერგვა. ამ დროს მნიშვნელოვანია განისაზღვროს რა სახის სამუშაოს შესრულება როგორ უნდა დაჯილდოვდეს და აუცილებელია ანაზღაურება დაუკავშირდეს სამუშაოს ჯგუფურ/გუნდურ და არა ინდივიდუალურ შესრულებას. ეს ქმნის ძლიერ სტიმულს ინდივიდებისთვის, რომ ითანამშრომლონ ერთმანეთთან გუნდური მიზნების მისაღწევად.

საინფორმაციო სისტემების ეფექტიანობა - თანამედროვე საინფორმაციო სისტემების ფუნქცია იკავებს ცენტრალურ ადგილს საოპერაციო ეფექტიანობისა და დაბალი ღირებულების სტრუქტურის ძიებაში. პროდუქტიულობაზე საინფორმაციო სისტემების გავლენა ფართო დიაპაზონისაა და პოტენციურად კომპანიის ყველა სხვა საქმიანობაზე აისახება.

ბევრი კომპანია იყენებს ინტერნეტზე დაფუძნებულ მართვის საინფორმაციო სისტემებს, რათა შეამციროს კოორდინაციის ხარჯები ერთი მხრივ კომპანიასა და მის მომხმარებლებსა და მეორე მხრივ კომპანიასა და მის მომწოდებლებს შორის. მომხმარებელთა და მომწოდებლებთან საქმიანი ურთიერ-თობების ავტომატიზირებამ web-ზე დაფუძნებული პროგრამების გამოყენებით, ამ ინტერფეისების მართვისთვის საჭირო ადამიანების რაოდენობა შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს, რითაც შემცირდება ხარჯები.

ეს ტენდენცია მაღალტექნოლოგიურ კომპანიების ფარგლებს სცილდება. ბანკები და ფინანსური მომსახურების კომპანიებმა აღმოაჩენეს, რომ მათ შეუძლიათ არსებითად შეამცირონ ხარჯები მომხმარებელთა ანგარიშებისა და მხარდაჭერის ფუნქციების ონლაინ სივრცეში გადაადგილებით.

ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის ეფექტიანობა - ორგანიზაციული ინფრასტრუქტურა განსაზღვრავს კონტექსტს, რომელშიც ხდება ღირებულების შექმნის ყველა აქტივობები. იგი მოიცავს ორგანიზაციის სტრუქტურას, ორგანიზაციის კულტურას, სტრატეგიული მართვის სტილს და კონტროლის სისტემას. აქედან გამომდინარე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება შეიძლება დაეხმაროს კომპანიას გაზარდოს ეფექტიანობა და შეამციროს მისი ხარჯების სტრუქტურა. უპირველეს ყოვლისა, შესაბამისი ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს ფირმას შეასრულოს თავისი ვალდებულება - მიღწეულ იქნას ეფექტიანობის მიზნები ფირმის სხვადასხვა ფუნქციებს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერის გზით.

მეორე ბლოკი: ხარისხი, როგორც სრულყოფილება და საიმედოობა

კონკურენტული უპირატესობის შექმნაში, ხარისხი გულისხმობს საქონლის ან მომსახურების საიმედოობასა და სრულყოფილებას.

პროდუქტს აქვს მაღალი ხარისხი თუ მომხმარებლები თვლიან რომ, მისი თვისებების გამო მას კონკურენტების პროდუქციაზე უფრო მეტი ღირებულება გააჩნია.

პროდუქტი შეიძლება ჩაითვალოს, როგორც გარკვეული მახასიათებლების ნაკრები. მატერიალური პროდუქტის მახასიათებლებში შედის პროდუქტის ხარისხი, ფორმა, საექსპლუატაციო თვისებები, გამძლეობა, საიმედოობა, სტილი და დიზაინი.

პროდუქტის მაღალი ხარისხის გავლენა კონკურენტულ უპირატესობაზე ორმხრივია.

1. მაღალი ხარისხის პროდუქციის მიწოდება ზრდის მომხმარებელთა მხრიდან პროდუქტების შეფასებას, რაც ეხმარება კომპანიას თავისი პროდუქტი კონკურენტების პროდუქტებისგან გამოარჩიოს, ეს აძლევს მასზე ფასის ზარდის შესაძლებლობას.
2. სანდო და ხარისხიანი პროდუქტები უფრო მაღალ ეფექტიანობასა და ერთეულზე დაბალ ხარჯებთან ასოცირდება.

მომხმარებლები აფასებენ პროდუქტს მის ხარისხთან და საიმედოობასთან დაკავშირებული თვისებების მიხედვით. შეიძლება ითქვას, რომ პროდუქტი ხარისხიანია, მაშინ როდესაც ის კარგად ასრულებს იმ სამუშაოს, რომლისთვისაც იყო შექმნილი და იშვიათად ფუჭდება. თავისმხრივ პროდუქტის სანდოობა ზრდის მომხმარებლის მიერ პროდუქტის შეფასებას და შესაბამისად კომპანიის დაწესებულ ფასს.

ექვსი სიგმის ხარისხის გაუმჯობესების მეთოდოლოგია არის ძირითადი ინსტრუმენტი, რომელსაც მენეჯმენტი იყენებს თავისი პროდუქციის სანდოობის გასაზრდელად. მას საფუძვლად უდევს ხარისხის სრული მართვის (TQM) კონცეფცია, რომელიც დაინერგა ჯერ იაპონურ, შემდეგ კი ამერიკული კომპანიებში 1980- 1990 წლებში.

(TQM)-ის მიხედვით: (1) გაუმჯობესებული ხარისხი ნიშნავს უფრო ნაკლები დროის კარგვას წუნდებულ პროდუქტებზე, უხარისხო სერვისებზე და შესაბამისად შეცდომების გამოოსწორებაზე. შრომისა და მასალების უკეთესი გამოყენებით ხდება ხარჯების ოპტიმიზაცია; (2) პროდუქტიულობა უმჯობესდება; (3) უკეთესი ხარისხი იწვევს ბაზრის წილის ზრდას, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას გაზარდოს ფასები; (4) ზრდის კომპანიის მომგებიანობას და საშუალებას აძლევს მას დარჩეს ბიზნესში.

კომპანიები, რომლებმაც წარმატებით დანერგეს ხარისხის გაუმჯობესების მეთოდოლოგია, გამოირჩევიან გარკვეული იმპერატივებით.

პირველ რიგში, ხელმძღვანელობა ნერგავს ხარისხის გაუმჯობესების პროგრამას და უკავშირებს მას ორგანიზაციის წარმატებას. თუ პროგრამა წარმატებულია, უნდა გამოვლინდნენ პიროვნებები, რომლებიც მას ხელმძღვანელობენ.

ხარისხის გაუმჯობესების მეთოდოლოგია გულისხმობს პროცესებში წარმოქმნილი ხარვეზების იდენტიფიცირებას და მისი გამომწვევი მიზეზების დადგენას. ამ ამოცანის შესრულებაზე ძირითადად წარმოებისა და მასალების მართვის მენეჯმენტია პასუხისმგებელი. ხარვეზებისა და საქონლის/მომსახურების ხარისხიდან გადახრის გამოსავლენად, TQM კონცეფცია ეყრდნობა სტატისტიკურ მეთოდებს. ვარიაციების იდენტიფიცირების შემდეგ უნდა დადგინდეს გამომწვევი მიზეზები და აღმოიფხვრას.

ერთ-ერთი ტექნიკა, რომელიც გამოიყენება ხარვეზების წყაროს მოძიებაში, არის პროდუქტების წარმოების პარტიის ზომის შემცირება. წარმოების მცირე პარტიებად გაშვებით, ხარვეზები მყისიერად ვლინდება. შესაბამისად, მათი წყაროს სწრაფად მიკვლევა და პრობლემის მოგვარება შესაძლებელია. წარმოებული პარტიის ზომის შემცირება ასევე ნიშნავს, რომ წუნდებული პროდუქტების რაოდენობა არ იქნება დიდი, რითაც შემცირდება ნარჩენები. მოქნილი წარმოების ტექნიკა შეიძლება გამოყენებულ იქნას პარტიის ზომის შესამცირებლად ხარჯების გაზრდის გარეშე.

ხარისხის გაუმჯობესების ნებისმიერი პროგრამის კიდევ ერთი გასაღები არის ხარისხის საზომის შექმნა. მწარმოებელ კომპანიებში, ხარისხი შეიძლება შეფასდეს ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა წუნდებული პროდუქცია ყოველ მილიონ ერთეულზე. სერვის კომპანიებშიც შესაძლებელია შესაბამისი კრეატიული საზომის მოფიქრება.

საზომის შემუშავების შემდგომი ნაბიჯი არის ხარისხის მიმზიდველი მიზნის დასახვა და მის მისაღწევად სტიმულის შექმნა. ექვსი სიგმის პროგრამების მიხედვით, მიზანი არის 3,4 წუნი მილიონ ერთეულზე.

საამქროს თანამშრომლები შეიძლება იყვნენ პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესების იდეების ძირითადი წყარო. ამიტომ ისინი ჩართული უნდა იყვნენ ხარისხის გაუმჯობესების პროგრამაში.

უხარისხო მზა პროდუქციის მიზეზი ძირითადად უხარისხო ნედლეული ან მაკომპლექტებელი ნაწილებია. უხარისხო პროდუქტის შესამცირებლად, კომპანიამ უნდა იმუშაოს თავის მომწოდებლებთან, რათა გაუმჯობესდეს მათ მიერ მოწოდებული ნედლეულისა და მასალების ხარისხი.

რაც უფრო მეტ აწყობის ეტაპებს მოითხოვს პროდუქტი, მით მეტია შეცდომების დაშვების შესაძლებლობა. ამრიგად, ნაკლები ნაწილების მქონე პროდუქტების დიზაინის შექმნა, ხშირად არის ნებისმიერი ხარისხის გაუმჯობესების პროგრამის მთავარი კომპონენტი.

ხარისხის გაუმჯობესების მეთოდოლოგიების დანერგვა მოითხოვს ორგანიზაციის პასუხისმგებლობასა და ფუნქციებს შორის მნიშვნელოვან თანამშრომლობას.

კომპანიამ უნდა გააუმჯობესოს ხარისხი პროდუქტთან ასცირებული სერვისების მახასიათებ-

ლებზე ხაზგასმით, როგორიცაა შეკვეთის სიმარტივე, სწრაფი მიწოდება, მარტივი ინსტალაცია, მომხმარებელთა კონსულტაციის ხელმისაწვდომობა და ტექნიკური მომსახურება.

მესამე ბლოკი: ინოვაციების ზრდა

ინოვაცია, რომელიც გულისხმობს ახალი პროდუქტის ან პროცესის შექმნას, გადამწყვეტია გრძელვადიან პერსპექტივაში კონკურენტული უპირატესობების განვითარებისთვის.

ეს იმიტომ, რომ ინოვაციამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ახალი პროდუქტების შექმნა, რომლებიც უკეთ დააკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს. კომპანიის R&D მენეჯმენტმა შეიძლება მოძებნოს მის მიერ წარმოებული პროდუქტის დიზაინის გამარტივების გზები. მაგალითად, მასში შემავალი ნაწილების რაოდენობის შემცირება. ამით, R&D მენეჯმენტმა შეიძლება მკვეთრად შეამციროს პროდუქტის აწყობისათვის საჭირო დრო, რაც ნიშნავს თანამშრომლების უფრო მაღალ პროდუქტიულობას, დაბალ ხარჯებსა და მაღალ მომგებიანობას.

კონკურენცია შეიძლება აღვიქვათ როგორც პროცესი, რომლის მამოძრავებელიც არის ინოვაციები, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ინოვაცია წარმატებული არ არის. ინოვაციის შემქმნელები შეიძლება ჩაითვალონ ფირმის კონკურენტული უპირატესობის მთავარ წყაროდ, რადგან ისინი აძლევენ კომპანიას ისეთ რამეს, რაც მის კონკურენტებს არ აქვთ. თუმცა, კონკურენტები ცდილობენ მიბაძონ წარმატებულ ინოვაციებს და ხშირად წარმატებასაც აღწევენ.

უნიკალურობა საშუალებას აძლევს კომპანიას (1) იყოს გამორჩეული კონკურენტებისაგან და დააწესოს პრემიუმ ფასი მის პროდუქტზე, ან (2) მისი პროდუქციის ერთეულის ხარჯები კონკურენტებთან შედარებით ბევრად შეამციროს.

არსებობს ინოვაციის ორი ძირითადი ტიპი: (1) პროდუქტის ინოვაცია და (2) პროცესის ინოვაცია.

პროდუქტის ინოვაცია არის ისეთი პროდუქტის შექმნა რომლიც ახალია მსოფლიოსთვის ან უკეთესი სამომხმარებლო თვისებები აქვს უკვე არსებულ პროდუქტებთან შედარებით.

პროცესის ინოვაცია არის ახალი პროცესის შემუშავება პროდუქტების წარმოებისა და მომხმარებლებისთვის მიწოდებისთვის, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიას შექმნას მეტი ღირებულება წარმოების ხარჯების შემცირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ინოვაცია წარუმატებელია და მისი მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. არსებობს ამის გონივრული მიზეზები:

ბევრი ინოვაციური პროდუქტი მარცხდება, რადგან მოთხოვნა გაურკვეველია. ბაზრის კვლევამდე შეუძლებელია ვიცოდეთ, დააკმაყოფილა თუ არა ახალმა პროდუქტმა მომხმარებლის მოთხოვნილება და არის თუ არა საკმარისი მოთხოვნა ბაზარზე. კომპანია შეიძლება „დაბრმავდეს“ ახალი ტექნოლოგიების ოსტატობით და ვერ შეამოწმოს არის თუ არა მომხმარებლის მოთხოვნა პროდუქტზე.

შესაძლოა არსებობდეს მომხმარებლის გარკვეული მოთხოვნა ახალ პროდუქტზე, მაგრამ პროდუქტი კარგად არ არის ადაპტირებული მომხმარებლის მოთხოვნილებებზე. ასევე შესაძლოა ადგილი ქონდეს პოზიციონირების ცუდ სტრატეგიას.

ინოვაციები მარცხდებიან, როდესაც კომპანიები ვერ ახერხებენ ახალი პროდუქციის ბაზარზე სწრაფად გატანას. რაც უფრო დიდი დრო გადის თავდაპირველ ინიცირებასა და საბოლოო მარკეტინგს შორის, დიდი ალბათობაა იმისა, რომ სხვა კომპანია გამოჩნდეს ბაზარზე და მოიპოვოს უპირატესობა.

ახალი პროდუქციის დიზაინის დაგეგმვა მოითხოვს მჭიდრო კოორდინაციას კომპანიის წარმოებისა, R&D-სა და მარკეტინგის ფუნქციებს შორის. ასეთი კოორდინაციის დონის მისაღწევად ერთ-ერთი საუკეთესო გამოსავალია ე.წ. ჯვარედინი ფუნქციური გუნდების გამოყენება, რომლებიც შედგება წარმოების, R&D და მარკეტინგის პერსონალისაგან. ისინი ერთობლივად მუშაობენ აღნიშნულ პრობლემაზე. გუნდის მიზანი უნდა იყოს პროდუქტის განვითარების პროექტი საწყისი კონცეფციის შემუშავებიდან ბაზარზე დამკვიდრებამდე.

მეოთხე ბლოკი: მომხმარებლების საუკეთესო უკუკავშირის მიღწევა

მომხარებელთა მოთხოვნილებების გათვალისწინება არის ფირმის კონკურენტული უპირატესობის ერთ-ერთი მთავარი სტრუქტურული ბლოკი. აქტიური უკუკავშირის მიღწევა ნიშნავს, რომ მომხმარებლები იღებენ ფასისა და ხარისხის ადეკვატურ თანაფარდობას.

მომხმარებელთა მოთხოვნილებების მაქსიმალურად დასაკმაყოფილებლად საჭიროა მომხმარე-

ბელთა მოთხოვნილებების იდენტიფიცირება, დაკმაყოფილება და პერმანენტული ძალისხმევა აღნიშნული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის საუკეთესო გზების მოსაძებნად.

მომხმარებელთა ინტერესებზე რეაგირების ერთ-ერთი მთავარი ასპექტია საქონლისა და მომსახურების ადაპტირება მომხარებელთა ცალკეულ ჯგუფებზე ან ინდივიდებზე.

ამისათვის მნიშვნელოვანია მარკეტინგული ინფორმაციის შეგროვება, თუ რომელი თვისებაა ყველაზე მნიშვნელოვანი მომხმარებლებისთვის. მას შემდეგ რაც კომპანია ყველაზე მნიშვნელოვან თვისებას გამოავლენს, მან უნდა დაგეგმოს თავისი პროდუქტები და მასთან დაკავშირებული სერვისები ისე, რომ მათში რეალიზდეს ეს თვისებები. კომპანიამ უნდა გადაწყვიტოს, რომელი მნიშვნელოვანი თვისება მოარგოს პროდუქციის პოზიციონირებას და უკეთ როგორ ასახოს თანმიმდევრული სურათი მომხმარებელთა გონებაში. მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტი შეიძლება იყოს სხვადასხვა ნიშან-თვისების საფუძველზე დიფერენცირებული, კომპანიის საკომუნიკაციო შეტყობინებებში ყველა ამ თვისების ჩართვამ შეიძლება გამოიწვიოს მესიჯის არაკონცენტრირებულობა.

სწრაფად ცვალებად მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიებში კონკურენცია ხდება პროდუქტის თვისებების მუდმივი გაუმჯობესებისა და ხშირად პროდუქტის ახალი თვისებების განვითარების საფუძველი. ხშირად პროდუქტის მახასიათებლები, რომლებიც სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ ლიდერად ითვლებოდა, ახლა მოძველებულია.

მეორე ასპექტი უკავშირდება დროის ხანგრძლივობას, რომელიც საჭიროა საქონლის მიწოდებისათვის ან მომსახურების მისაღებად. მანქანათმშენებლ ფირმებში ეს ის დროა, რომელიც სჭირდება მომხმარებლის შეკვეთის გაფორმებას. ბანკისთვის ეს არის თავისუფალ ოპერატორთან დალოდებისა და კრედიტის გასაფორმებლად საჭირო, ხოლო სუპერმარკეტისთვის მომხმარებლის რიგში ყოფნის დრო. მომხარებელთა მოთხოვნილებაზე ოპერატიული რეაგირება მნიშვნელოვნად ზრდის ბრენდის მიმართ ლოიალურობას.

მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე რეაგირების კიდევ ერთი ასპექტია გაყიდვების შემდგომი თანამშრომლობა და მხარდაჭერა.

ყველა ეს ფაქტორი აუმჯობესებს მომხმარებელთა უკუკავშირს და შესაძლებლობას აძლევს ორგანიზაციას იყოს გამორჩეული კონკურენტებისგან.

მომხმარებელზე ფოკუსირების პირველი ნაბიჯი იწყება ორგანიზაციის ზედა რგოლიდან. მომხმარებლის ინტერესებზე ფოკუსირება არის ისეთი ტიპის მისწრაფება, რომელიც ცვლილებების მომტანია მთელ ორგანიზაციაში. რაც საბოლოო ჯამში შეიძლება იყოს მიღწეული მხოლოდ ძლიერი ხელმძღვანელობის პირობებში. მეორე ნაბიჯია მისიის შემუშავება, რომელიც მომხმარებლის ინტერესესს უპირატეს ინტერესად აქცევს. ეს ერთ-ერთი გარკვეული მესიჯია თანამშრომლებისთვის ვექტორის განსასაზღვრად. მესამე ნაბიჯია თანამშრომელთა იმგვარი მოტივირება, რომ მათ საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას შეძლონ მომხმარებლის ცენტრალურ ფიგურად აღქმა. ეს ეხება როგორც მარკეტინგს, ისე საწარმოო პროცესებს, R&D-ს თუ ბუღალტერიას. აღნიშნული ემსახურება ერთ მარტივ მიზანს - თანამშრომლებს უნდა შეეძლოთ საკუთარი თავის მომხმარებლის ადგიზლე დაყენება. ამ გზით დასაქმებულებს უკეთ შეეძლებათ ხარისხის გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირება.

კიდევ ერთი გზა საუკეთესო უკუკავშირის გამოსავლენად მომხარებელთა უკვე იდენტიფიცირებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა.

დასკვნა

ეფექტიანობა, ხარისხი, ინოვაცია და მომხმარებელთან უკუკავშირი არის ორგანიზაციის საკვანძო ელემენტები, რომელთა მეშვეობით კომპანიები ახერხებენ მომხმარებელთა მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფიელბას და აღწევენ მაღალ კონკურენტულ უპირატესობას.

კომპანიებს შეუძლიათ უზრუნველყონ კონკურენტუნარიანობის მაღალი დონე თუ: (1) მოახერხებენ მათ ხელთ არსებული მატერიალური, ფინანსური, ადმიანური, ტექნოლოგიური რესურსები უფრო ეფექტინად გამოიყენონ. (2) მოახდენენ პროდუქციის დიფერენციაციას, რითაც შესაძლებელია მათი ადაპტირება მომხმარებელთა ცალკეულ მოთხოვნებზე. ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა უფრო ფართო მასშტაბით პროდუქციის დიფერენცირება, დანახარჯების მკვეთრი ზრდის

გარეშე. (3) მომხმარებელთა მოთხოვნილებების იდენტიფიკაციამ და განსაკუთრებით დაუკმაყოფილებელმა მოთხოვნილებებმა შეიძლება შექმნას კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც ხდება წარმატებული პროდუქტის ინოვაცია. (4) R&D -ის და მარკეტინგის ინტეგრირება გადამწყვეტია ახალი პროდუქტის სათანადო კომერციალიზაციისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანია რისკავს ისეთი პროდუქტების შემუშავებას, რომლებზეც მოთხოვნა მცირეა ან საერთოდ არ არის. (5) მნიშვნელოვანია მომხმარებელთა უკუკავშირის შედეგად კომპანიის პროდუქციისა და შეთავაზების ხარისხის გაუმჯობესება, ასევე ახალი პროდუქციის შემუშავება იმ მახასიათებლებით, რაც არსებულს აკლია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საუკეთესო ხარისხი და ინოვაცია პირდაპირ კორელაციაშია მომხმარებელთა აქტიურ უკუკავშირთან.

მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევა, ხარისხსის ზრდა და ინოვაციების ხელშეწყობა - ეს არის შედეგი მომხმარებელთა ინტერესებზე სწორი რეაგირებისა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Porter, M.,. Ketels, C. (2003). UK Competitiveness: Moving to the Next Stage, DTI Economics Paper 3, London: Department of Trade and Industry
2. Hill, C. W. L., & Jones, G. R. (2011). Essentials of Strategic Management (Available Titles CourseMate) (3rd ed.). Cengage Learning.
3. Mastering Strategic Management. (2016, January 18). Open Textbooks for Hong Kong.

The main structural elements of a firm's competitiveness

Khatuna Kharkhelauri
Associate Professor of Georgian Technical University

Tamari Kajaia
Associate Professor of Georgian Technical University

Vakhtang Jinchvelashvili
PhD student of Georgian Technical University

Summary

Competitiveness is a broad-term term. The competitiveness of the firm, in addition to the product produced, is determined by various actions: Management, Marketing, Financial Policy, Operational Management and more. The macroeconomic environment of the firm in any country has a significant impact on its competitiveness, but can not fully determine the level of this indicator.

Strategic management theories actively discuss the key structural elements of a firm's competitive advantage, which creation and development is a necessary condition for a company to succeed in a modern highly competitive and ever-changing environment. We consider four structural elements of competitive advantage: Efficiency, quality, innovation, and user sensitivity. Each of them in turn we can develop in the direction of the structural / functional units of the firm. Improving the efficiency of the production process, logistics, human resources, information technology, etc. can become an important tool in gaining a company's competitive advantage. Increasing the cost of goods / services offered by the firm to customers and increasing customer satisfaction is associated with successful product innovation. Integrating R&D and marketing plays a crucial role in the proper commercialization of a new product. All this ensures the competitiveness of the firm.

In the strategic planning process, Georgian firms will be able to analyze and forecast all the key structural elements of this competitive advantage to make their business more efficient.

ორგანიზაციული კულტურის საანალიზო კლასიფიკაცია

ხუჭუა ნინო
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტიასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლის აღქმაში აღიქმება როგორც ორგანიზაციის არსი (შიდა სურათი). ხოლო შიდა სურათი, თავის მხრივ, ორგანიზაციის გარეგანი იმიჯის ნაწილია. ორგანიზაციის გარე იმიჯის შექმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის (Public Relations) ამოცანაა.

არსებობს მთელი რიგი მაჩვენებლები, რომლებიც ორგანიზაციის კულტურის არაპირდაპირ გავლენას განიცდის. ასეთებია. მაგალითად, კადრების დენადობის დონე, შრომითი ადაპტაციის დრო, დასაქმებულთა რაოდენობა, რომლებმაც შრომითი ადაპტაციის პროცესი წარმატებით გაიარეს; პროდუქტის ხარისხის დონე, დეფექტების პროცენტული რაოდენობა, გამოგონებების და რაციონალიზაციის წინადადებების რაოდენობა, შრომის პროდუქტიულობის დონე.

ორგანიზაციული კულტურის ანალიზის მაჩვენებლები შეიძლება იყოს ორგანიზაციის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა:

- ინდივიდუალური ავტონომია - პასუხისმგებლობის ხარისხი, დამოუკიდებლობა და ორგანიზაციაში ინიციატივის გამოხატვის შესაძლებლობები;
- სტრუქტურა - ორგანოების და პირების ურთიერთქმედება, მოქმედი წესები, უშუალო ხელმძღვანელობა და კონტროლი;
- მიმართულება - ორგანიზაციის მიზნების და საქმიანობის პერსპექტივების ფორმირების ხარისხი;
- ინტეგრაცია - ორგანიზაციის ფარგლებში განყოფილებების (დეპარტამენტები, ერთეულები) მხარდაჭერის ხარისხი კოორდინირებული საქმიანობის განსახორციელებლად;
- მენეჯმენტის მხარდაჭერა - მენეჯერების მხრიდან თავიანთი ქვეშევრდომების მკაფიო საკომუნიკაციო კავშირებით, დახმარებით და მხარდაჭერით უზრუნველყოფის ხარისხი;
- მხარდაჭერა - დახმარების დონე, რომელსაც მენეჯერები უწევენ თავიანთ ქვეშევრდომებს;
- წახალისება - ანაზღაურების შრომის შედეგებზე დამოკიდებულების ხარისხი;
- იდენტიფიცირებულობა - თანამშრომელთა მთლიანად ორგანიზაციასთან იდენტიფიკაციის ხარისხი;

საკვანძო სიტყვები: ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი, ეროვნული კულტურა, ძალაუფლების დისტანცია პროდუქტიულობა, უსაფრთხოება ლოიალურობა

ძირითადი ტექსტი

კულტურის ფორმირების პროცესი გარკვეულწილად იდენტურია თავად ჯგუფის შექმნის პროცესის, რადგან ჯგუფის „არსი“, მისი წევრებისთვის დამახასიათებელი აზროვნება, შეხედულებები, გრძნობები და ღირებულებები, რაც კოლექტიური გამოცდილების და კოლექტიური სწავლის შედეგია, გამოხატულია ჯგუფის მიერ მიღებული წარმოდგენების სისტემაში. სწორედ ამ სისტემას ვუწოდებ მე ჯგუფის კულტურას. ჯგუფის გარეთ კულტურა არ არსებობს, მაგრამ თუ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს არ გააჩნია კოლექტიური წარმოდგენების გარკვეული ერთობლიობა ან კულტურის მინიმალური დონე, მაშინ ჩვენ, შესაბამისად, მასზე, როგორც ჯგუფზე ვერ ვისაუბრებთ.

მნიშვნელოვანია მდგრადი პარამეტრების გააზრება ორგანიზაციული კულტურის ცვლილებების მიმართ . ორგანიზაციის კულტურის განხილვა გ.ჰოფსტედეს ტიპოლოგიის გამოყენებით საშუალებას გვაძლევს კონკრეტული ორგანიზაციის კულტურა მივაკუთვნოთ სპეციფიკური ტიპს, აღვწეროთ მისი თავისებურებები, რათა შემდგომში ისინი პროცესების დაგეგმვისას გავითვალისწინოთ. ამასთან, ამ ტიპოლოგიის გამოყენებით გამოვლენილი პარამეტრები ყველაზე ნაკლებად ექვემდებარება შეცვლას, რადგან ისინი ატარებენ ეროვნული კულტურის, დარგობრივი (კუთვნილების მახასიათებლებს ან დამოკიდებულია საწარმოს ზომაზე. ორგანიზაციული კულტურის ამ მახასიათებლების შეცვლა ძალიან რთულია, მაგრამ მათი შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია საწარმოს შემდგომი განვითარებისთვის.

თითოეულ მოვლენას, მკვლევარის თვალსაზრისით, აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. პოზიტიური მხარეები შეიძლება გამოვიყენოთ განვითარების საფუძვლად, ნეგატიური კი გავითვალისწინოთ ან მათი გავლენის განეიტრალება ვცადოთ.

კულტურის ორიენტაცია **ინდივიდუალიზმსა თუ კოლექტივიზმზე** ძირითადად იმ ქვეყნის მენტალიტეტით განისაზღვრება, სადაც ეს ორგანიზაცია ჩამოყალიბდა. ორგანიზაციის კულტურა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ინდივიდუალისტური, როდესაც მასში მომუშავე ადამიანები საკუთარ თავს განიხილავენ როგორც ინდივიდებს და ზრუნავენ მხოლოდ საკუთარ თავზე, თავის ოჯახზე და ახლობლებზე, ხოლო ჯგუფის ინტერესებზე სუსტად არიან ორიენტირებული.

ჯგუფის ინტერესებზე ფოკუსირება ორგანიზაციას ახასიათებს როგორც კოლექტივისტურს. ასეთ შემთხვევაში ორგანიზაცია ზრუნავს ორგანიზაციის წევრების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, უზრუნველჰყოფს მათ მხარდაჭერას და უსაფრთხოებას მათი ლოიალობის (ერთგულების) სანაცვლოდ. ტრადიციულად, ჩვენს ქვეყანაში ორგანიზაციების კულტურები ორიენტირებულია კოლექტივიზმისკენ. საბჭოთა მმართველობის პრაქტიკა ამ ორიენტაციას უჭერდა მხარს.

გ.ჰოფსტედე ორგანიზაციული **კულტურის „ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმის“** ხასიათის თვალსაზრისით შესაფასებლად შემდეგ პარამეტრებს გვთავაზობს:

1. პირად ცხოვრებაში ჩარევა, ანუ რამდენად აქტიურ მონაწილეობას მოელიან თანამშრომლები ორგანიზაციისგან პირადი საქმეების გადაწყვეტაში;
2. ორგანიზაციის გავლენა თანამშრომელთა მდგომარეობაზე, ანუ რამდენად არის დამოკიდებული თანამშრომლების მდგომარეობა (კეთილდღეობა, კარგად ყოფნა) საწარმოში მიმდინარე პროცესებზე;
3. ინტერესების დაცვა, ანუ თანამშრომლები მოელიან, რომ კომპანიამ მათი ინტერესები უნდა დაიცვას , თუ ისინი მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დაეყრდნონ;
4. საწარმოს ფუნქციონირება, ანუ თანამშრომლების რა პიროვნული თვისებები უზრუნველ-ყოფს საწარმოს წარმატებულ ფუნქციონირებას;
5. სამსახურში დაწინაურება, ანუ რა კრიტერიუმებით ხდება თანამშრომელთა დაწინაურება (მუშაობის ხანგრძლივობა (სტაჟი) ან კვალიფიკაციის დონე);

ძალაუფლების დისტანცია ზომავს ორგანიზაციის წევრების მიერ ძალაუფლების განაწილების ნორმად აღიარების ხარისხს.

ეს პარამეტრი ახასიათებს მანძილს, დისტანციას მენეჯერსა და ქვეშევრდომს შორის და შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ინდიკატორების გამოყენებით:

1. ქვეშევრდომთა მხრიდან უთანხმოების გამოხატვის სიხშირე;
2. მართვის (ხელმძღვანელობის) სასურველი სტილი;
3. უთანასწორობის აღქმა (ადამიანების ან როლების უთანასწორობა);
4. ხელმძღვანელების მიმართ დამოკიდებულება (ხელმძღვანელები 'იგივე ადამიანები' არიან ან განსხვავებული ტიპის);
5. ორგანიზაციის სტრუქტურა (ცენტრალიზაციისკენ მიდრეკილი, მრავალდონიანი ან პირიქით);
6. მმართველი აპარატის პერსონალის (განსაკუთრებით მენეჯმენტის და კონტროლის პერსონა-ლის) რაოდენობა;
7. ხელფასის დიფერენცირების ხარისხი;

ძალიან მნიშვნელოვანი პარამეტრია **გაურკვევლობის თავიდან აცილების ხარისხი.** ის აჩვენებს, თუ რამდენად კომფორტულად გრძნობენ თავს ორგანიზაციის წევრები გაურკვეველ პირობებში და ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნულ კულტურასთან. ეს პარამეტრი შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ინდიკატორების გამოყენებით:

1. დროის მიმართ დამოკიდებულება (თანამშრომლები ცხოვრობენ დღევანდელი დღით ან აწუხებთ მომავალი);
2. ორგანიზაციის მეტად სასურველი ზომა (დიდი ან პატარა ორგანიზაცია);
3. საშუალო დონის მენეჯერების ასაკი;
4. მიზნის მიღწევის მოტივაცია;

5. წარმატებისადმი დამოკიდებულება (წარმატებისკენ სწრაფვა ან წარუმატებლობის თავიდან აცილება);
6. რისკის გაწევის მზაობა;
7. კარიერის სასურველი ტიპი (მენეჯერის ან სპეციალისტის კარიერა);
8. მენეჯერის კვალიფიკაცია (მენეჯერული თუ არა);

ორგანიზაციის კულტურის, **როგორც ქალურის ან მამაკაცურის დეფინიცია,** უფრო მეტად, მის ასაკობრივ და სქესობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ძალიან ძლიერია ეროვნულ კულტურასთან კავშირი. ღირებულებები, რომლებსაც ორგანიზაციის წევრები ანიჭებენ უპირატესობას, დამახასიათებელია მდედრობითი ან მამრობითი სქესის წარმომადგენლებისათვის, რაც განსაზღვრავს ორგანიზაციის კულტურის „ქალურობას“ ან „მამაკაცურობას“.

კულტურის „ქალური“ ან „მამაკაცური“ ტიპისთვის მიკუთვნების ინდიკატორებად შეიძლება გამოვიყენოთ:

1. ქალისა და მამაკაცის როლი (კაცის და ქალის როლების მკაფიო დაყოფა ან ისინი ურთიერთშემცვლელნი არიან);
2. დომინირება (დამოკიდებულია სქესზე თუ არა);
3. მთავარი ღირებულება (წარმატება ან ცხოვრების ხარისხი);
4. ცხოვრება და სამუშაო (რომელსაც პრიორიტეტი ენიჭება);
5. სწრაფვა (იყო საუკეთესო თუ არ გამოირჩეოდე);
6. თავისუფლებისადმი დამოკიდებულება (დამოუკიდებლობა თუ სოლიდარობა);

კულტურის პარამეტრები შეიძლება მერყეობდეს მთელ დიაპაზონში და მხოლოდ უკიდურესი წერტილები (ან ერთი ან მეორე) არ დაიკავონ. ორგანიზაციის კულტურის შეფასებისას ამ პარამეტრების მიხედვით, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ორგანიზაციის შიგნით შეიძლება თანამშრომლების ქცევის ინდივიდუალური ვარიანტები არსებობდეს.

ეს სკალები აღწერს ზოგად ღირებულებებს, რომლებიც ნაციონალური კულტურისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ ღირებულებები ქვეყნის ყველა მაცხოვრებელს ერთნაირად არ აქცევს.

ამ პარამეტრების მიხედვით ორგანიზაციული კულტურის შეფასებისას შესაძლებელია მის საფუძველზე შეიქმნას მოტივაციის ეფექტური სისტემა, თავიდან იქნას აცილებული დაპირისპირება, ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა, ჩამოყალიბდეს ორგანიზაციის თანამშრომლების ერთიანობა (ორგანიზაციისადმი მიკუთნებულობა), გაგებულ იქნას ორგანიზაციაში ურთიერთობების მექანიზმი და მიმართულება, განვითარების გზები და მეთოდები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://solutions.3m.com/wps/portal/3m/en_US/our/compa ny/information/history/
2. Yasas Pathiranage-Organizational Culture and Business Performance: An Empirical Study-University of Kelaniya,2019
3. .Robertson, International Review of Industrial and Organizational Psychology, Wiley, Chichester Schein, E H (2014)

Analytical classification of organizational culture indicators

Nino Khuchua
Associate Professor of Georgian Aviation University

Summary

Organizational culture appears in the employee's perception as the essence of the organization (internal image). And the internal image, in turn, is part of the external image of the organization. Creating an external image of the organization is the task of the Public Relations Service, but if this image has nothing to do with the essence of the organization, then it will be revealed very soon, disappointing the expectations of partners, customers, lenders and creating a bad image of the organization. There are a number of indicators that indirectly influence the culture of an organization. Such are. For example, staff turnover level, labor adaptation time, number of employees who have successfully completed the labor adaptation process; Product quality level, percentage of defects, number of proposals for inventions and rationalization, level of labor productivity.

კონკურენციის შედეგების და წარმოების ფაქტორების ურთიერთქმედება ჯანდაცვის მენეჯმენტში

ჯანხოთელი მირანდა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ჯანდაცვის მენეჯმენტში კონკურენციის შედეგების და წარმოების ფაქტორების ურთიერთქმედების, როგორც ჯანდაცვის სისტემის კონკურენტუნარიანობის განუყოფელი ნაწილების განსაზღვრის მიდგომები. ჯანდაცვის სისტემაში კონკურენცია განიხილება როგორც სისტემის ფუნქციონირება ყველა დონეზე, ურთიერთქმედებისა და ურთიერთკავშირის პრიზმაში, მომხმარებელთათვის სერვისების მიწოდებისათვის ბრძოლის პროცესში საბაზრო წილის გაზრდისა და მოგების მისაღებად.

სტატიაში ასევე გაანალიზებულია ჯანდაცვის სისტემის კონკურენტუნარიანობის არსისა და წარმოების ფაქტორების სპეციფიკა, რის საფუძველზეც გამოკვეთილია კონკურენციის ის ძირითადი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება პრაქტიკაში მის შესაფასებლად. ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ჯანდაცვის სისტემის კონკურენტუნარიანობასა და წარმოებაზე ჯანდაცვის ერთიან მენეჯმენტში.

ჯანდაცვის სისტემის თითოეული სუბიექტის ფუნქციონირებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების სერვისების კონკურენტუნარიანობის განსაზღვრასა და შეფასებას, რაც თავის მხრივ ქმნის საფუძველს მისი მრავალგვარი ინტერპრეტაციისა და ანალიზის სხვადასხვა კონცეფციის და მეთოდის ჩამოყალიბებისა. მიუხედავად დარგობრივი ეკონომიკური მეცნიერების პროგრესისა და სამეცნიერო საზოგადოების მიერ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მექანიზმის გაცნობიერებისა, ჯერ კიდევ არ არსებობს ჯანდაცვის სფეროში კონკურენციის ერთიანად მიღებული და აღიარებული განმარტება, რადგან თანამედროვე ჯანდაცვის მენეჯმენტში კონკურენციის ტერმინოლოგიური საკითხები, კონკურენტუნარიანობისა და წარმოების ფაქტორების ინტერპრეტაციისა და შეფასების მიდგომები ბოლომდე შესწავლილი არაა. ზოგადად მიღებული, ცალსახა ტერმინებისა და განმარტების არარსებობა იწვევს გაუგებრობას და შეცდომებს შესწავლილი ფენომენების მეცნიერულ თუ პრაქტიკულ გაგებასა და აღქმაში [1].

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვის მენეჯმენტი, კონკურენცია ჯანდაცვის სექტორში, ფაქტორთა ურთიერთქმედება ჯანდაცვაში, თანამედროვე ჯანდაცვის სისტემა

ძირითადი ტექსტი

სწორედ ამიტომ, დარგობრივ (იურიდიულ) ლიტერატურასა თუ პრაქტიკაში, კონკურენციის ცნების განმარტებისას ამჯობინებენ, რომ ყურადღება არა თვით ცნების ჩამოყალიბებაზე, არამედ მის მნიშვნელოვან ელემენტებსა თუ ფუნქციებზე გამახვილდეს. ამ გზით, უფრო მარტივად აღსაქმელი და ნათელი ხდება ეკონომიკური კონკურენციის არსი და მისი მნიშვნელობა თანამედროვე საბაზრო წესრიგის პირობებში [2]. მსგავსი მიდგომაა გამოყენებული ასევე „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონშიც, სადაც კონკურენცია განმარტებულია როგორც „შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად.“

საზოგადოებისა და ეკონომიკური აზროვნების უახლესი სკოლების განვითარებასთან ერთად გაღრმავდა საბაზრო ურთიერთობების და თავად კონკურენციის კონცეფციის არსის გაგება.

სამედიცინო ბაზარზე დიფერენცირებული მწარმოებლების ფუნქციონირება კონკურენტული საბაზრო ეკონომიკის მთავარი მახასიათებელია. თითოეული მწარმოებელი თავისი პროდუქციის მომხმარებლის მოზიდვისა და შენარჩუნებისათვის ბრძოლაში იძულებულია შეამციროს ფასები და გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი. რესურსებისა და პროდუქტის კონკურენციიდან მომხმარებელთა კონკურენციაზე გადასვლა და ამ სფეროში ურთიერთობების გამკაცრება გახდა სახელმწიფო ეკონომიკის

განვითარების მძლავრი ფაქტორი. „რეგიონში ეკონომიკური პროცესები მიმდინარეობს უწყვეტად, ერთიანი ნაკადით, ამიტომ პროცესები იკვრება: კონკურენციის შედეგები მოქმედებს წარმოების ფაქტორებზე, შემდეგ კი შედის მათ შემადგენლობაში, ხოლო საწარმოო ფაქტორები, თავის მხრივ, გაშუალებულად მოქმედებს კონკურენციის შედეგებზე _ ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესების და ახალ აუცილებელ რესურსებზე მოთხოვნების დონის ზრდით. მიმდინარეობს უწყვეტი განახლების პროცესი, რომლის დროსაც რეგიონული კონკურენტუნარიანობის ხარისხი იზრდება" [3]. თუ აღნიშნულ ფორმულირებას გავიაზრებთ ჯანდაცვის სისტემაში არსებულ კონკურენტულ ურთიერთობებთან მიმართებაში, თვალსაჩინო გახდება ადამიანის ფაქტორის გავლენა ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობაზე და თავის მხრივ, ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურის გავლენა მომსახურების მიღწეულ დონეზე. შედეგად, ჯანდაცვის მენეჯმენტის უპირველესი ამოცანა გახდა არამხოლოდ მომხმარებლის/პაციენტის მოლოდინის გამართლება, არამედ მათ მოტივაციაზე ზრუნვა და ჩვეულებრივი პაციენტისგან პარტნიორების და მარკეტერების შექმნა.

კონკურენციის გაძლიერებაზე, ასევე, გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მოსახლეობის მზარდი ყურადღება საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ, ინტერნეტ-ტექნოლოგიების განვითარება და საყოველთაო ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის სწრაფი გავრცელება, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, გარემო ფაქტორების ცვალებადობა და ა.შ., რაც ერთობლიობაში აყალიბებს მოთხოვნას სამედიცინო ბაზარზე. ეს, თავის მხრივ, ასტიმულირებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებას, ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას, ზრდის ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობას და დადებითად მოქმედებს მთლიანად სახელმწიფოს განვითარებაზე. აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კონკურენცია ჯანდაცვის სისტემაში არის ჯანდაცვის სექტორის განვითარების მამოძრავებელი ძალა: იგი ქმნის პირობებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, უპირატესად კი, ჯანდაცვის სფეროს განვითარებისათვის და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, იცავს თითოეული, ინდივიდუალური მომხმარებელის უფლებას ჯანმრთელობაზე სთავაზობს რა კონკრეტულად მასზე მორგებული სერვისების ფართო არჩევანს ხელმისაწვდომ, კონკურენტულ ფასებში. ანუ, თუ გავითვალისწინებთ, რომ კონკურენცია არის მექანიზმი, რომელიც ადგენს ფასს იმ დონეზე, რაზედაც მიიღწევა ბაზრის წონასწორობა და რესურსებისა და შემოსავლის ოპტიმალური განაწილების უზრუნველყოფა, . შედეგად იკვეთება მდგომარეობა, როცა სამედიცინო ბაზარზე არსებულ, კონკრეტულ სერვისებზე სხვადასხვა კონკურენტ პროვაიდერს პრაქტიკულად ერთი და იგივე ფასი აქვთ.

ჯანდაცვის მენეჯმენტში, ზოგადად, წარმოების ფაქტორების კონკურენცია განიხილება როგორც საბაზრო მექანიზმის ძირითადი ელემენტი და ბაზრის მოთამაშეებს შორის ურთიერთქმედების და ბრძოლის ფორმა მოიპოვონ ყველაზე ხელსაყრელი პირობები კაპიტალის ინვესტირებისა და სერვისების მომგებიანი ბაზრებისათვის. თუ გავიხსენებთ, რომ ეტიმოლოგიურად ტერმინი „კონკურენცია" ლათინურად ნიშნავს „ერთად სირბილს", ანუ კონკურენტის არის ის, ვინც გვერდით გარბის. სირბილის დროს, როგორც წესი, იღვიძებს კონკურენციის გრძნობა, ამიტომ ამ სიტყვის მოგვიანებითი თარგმანი გულისხმობდა კონკურენციას, შეჯიბრებას, მეტოქეობას, ბრძოლას საუკეთესო შედეგების მისაღწევად. ჯანდაცვის მენეჯმენტში წარმოების ფაქტორების კონკურენციის განმარტებით ეკონომიკური კონკურენციის ჭრილში, ეკონომისტები ამ კონცეფციას სხვადასხვა პოზიციიდან განიხილავენ, რაც დამოკიდებულია საზოგადოების განვითარების ხარისხზე, ეროვნული ბაზრის დონესა და ხასიათზე, სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტზე. თუ „კონკურენტუნარიანობა" განისაზღვრება როგორც ობიექტის უნარი, არჩევანის მოპოვების უფლებისათვის კონკურენცია გაუწიოს სხვა მსგავს ობიექტებს, ამავე დროს, მორგებული არჩევანი ხორციელდება ობიექტის გამორჩეული მახასიათებლების არსებობისას- მისი კონკურენტული უპირატესობის შემთხვევაში. როგორც ვხედავთ, მითითებული ინტერპრეტაცია არ იძლევა საშუალებას სრულად განისაზღვროს „კონკურენტუნარიანობის" ცნება, ვინაიდან იგი მხოლოდ ირიბადაა დაკავშირებული არჩევანის პრობლემასთან.

ჯანდაცვის მენეჯმენტში კონკურენციის შედეგებსა და წარმოების ფაქტორებს შორის ურთიერთ-ქმედება უმეტესწილად დამოკიდებულია ინდუსტრიის, რეგიონისა და მთლიანად საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობაზე, რაც მთლიანობაში აყალიბებს კონკურენტულ გარემოს. ეს

უკანასკნელი, თავის მხრივ, განსაზღვრავს ბიზნეს სუბიექტებს შორის კონკურენციის პირობებს, ურთიერთქმედებას და ხასიათს. ამ შემთხვევაში, პროდუქტის კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება, როგორც მისი უპირატესობა კონკურენტის წარმოებულ მსგავს პროდუქტებთან შედარებით, პოტენციური მომხმარებლის მიერ საკუთარი, არსებული ან შესაძლო პრობლემის გადასაწყვეტად. ანუ, ეს არის პროდუქტის შესაბამისობის ხარისხი სამიზნე ჯგუფების მომხმარებელთა მოთხოვნებთან ან ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორების მიხედვით შერჩეული ბაზარი.

პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შეფასება ზოგადი თეორიიდან გამომდინარე მორგებადია ჯანდაცვის სექტორზეც და შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მეთოდით. პირდაპირი მეთოდები დაფუძნებულია რიგ კრიტერიუმებზე, რომელთა შორის აღსანიშნავია ინტეგრალური ხარისხის ინდექსი- იგი განისაზღვრება როგორც ხარისხის თანაფარდობა ფასთან. ხშირად, ამ კოეფიციენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხდება შეთავაზებული პროდუქციის რანჟირება, რაც პირველ ადგილს ანიჭებს საუკეთესო თანაფარდობის მქონე ანალოგს. მომხმარებელთა ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ ამ მეთოდს პროდუქტის (სერვისის) შემოწმებისას. არაპირდაპირი მეთოდები მოიცავს ნომენკლატურაზე დაფუძნებულ მეთოდებს, რომლებიც მოიცავს მხოლოდ ხარისხის მახასიათებლებს [4]. ნომენკლატურაში გასაყიდი ფასის არარსებობა საშუალებას იძლევა ირიბად განისაზღვროს პროდუქციის კონკურენტუნარიანობა. აქედან გამომდინარე, ამ მეთოდის გამოყენება ჯანდაცვის სისტემაში გამართლებულია იმ შემთხვევებში, როდესაც შეფასებულ პროდუქციას აქვს მსგავსი საცალო ფასები. პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შესახებ დასკვნების გასაკეთებლად გამოიყენება როგორც რაოდენობრივი მახასიათებლები (ხარისხის დონე, კომპლექსური ხარისხის მაჩვენებელი), ასევე ხარისხობრივი მახასიათებლები (სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის ხარისხი).

თანამედროვე ორგანიზაციების ბიზნეს გარემოში არასტაბილურობის მზარდი დონე მოითხოვს მათი მენეჯერების გაზრდილ ყურადღებას მართვის სტრატეგიული ასპექტებისადმი, რაც შესაძლებელს ხდის უზრუნველყოს სათანადო პირობები წარმატებული ფუნქციონირებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში [5]. ეს განსაკუთრებით ეხება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებს, რადგან ისინი მუშაობენ როგორც გარე, ისე შიდა გარემოს მაღალი არასტაბილურობის პირობებში. მენეჯმენტის ახალი, თანამედროვე მიდგომების, კერძოდ, სტრატეგიული ანალიზის გამოყენების მიუხედავად, მართვის პრობლემები კვლავ აქტუალურია სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ სისტემებში.

დასკვნა

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე, კონკურენციის შედეგების და წარმოების ფაქტორების ურთიერთქმედების განხილვა ჯანდაცვის მენეჯმენტში, სისტემის ქვედარგების კონკურენტუნარიანობის ფორმირების პროცესში, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. სამედიცინო მომსახურების ბაზარზე ეკონომიკური სუბიექტის დონეზე კონკურენტუნარიანობის შეფასებისა და ზრდის საკითხები ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია, ჯანდაცვის სისტემის კონკურენტუნარიანობასა და სამედიცინო მომსახურების კონკურენტუნარიანობას შორის კავშირი კი შემდგომ დეტალურ შესწავლას და განვითარებას საჭიროებს.

სწრაფად განვითარებადი დარგობრივი ეკონომიკური ბაზრის პირობებში, სამედიცინო მომსახურების ბაზრის კონკურენციის თავისებურებების გათვალისწინებით, ჯანდაცვის სისტემის სათანადო განვითარებისა და სამედიცინო მომსახურების კონკურენტული უპირატესობის, სისტემის ყველა რგოლისა და პროცესის გამართული და ჰარმონიზებული ფუნქციონირებისათვის საჭიროა არასტანდარტული მიდგომების შემუშავება: სისტემური და ინტეგრირებული მიდგომის ფარგლებში, იურიდიული, პროფესიული, ტექნოლოგიური, საბაზრო, სამეცნიერო, ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვა ასპექტების სისტემური კორელაცია და ურთიერთქმედების გაზომვა-შეფასება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Громак Л.Н. Конкуренция как фактор неопределенности в бизнесе. В сборнике: Развитие экономики в условиях глобализации и цифровизации. Материалы V международной научно-практической конференции. Саратов, 2021. გვ. 28-33
2. https://books.google.de/books?id=QtfNAwAAQBAJ&printsec=frontcover&hl=de&source=gbs_atb#v=onepage&q&f=false Dreher Meinrad, Kulka Michael, Rittner Fritz, Wettbewerbs- und Kartellrecht, 8. Auflage, Rn. 5.
3. ევგენი ბარათაშვილი, ირმა ბარათაშვილი - კლასტერების მენეჯმენტი, სახელმძღვანელო, 2019 წ. გვ. 51-52
4. Коулибали А.А., Лозовская Я.Н. Стратегическое управление как инструмент устойчивого развития предприятия. В сборнике: Новые идеи в науках о Земле. Материалы XV Международной научно-практической конференции. В 7-ми томах. Москва, 2021. გვ 110-113
5. Снегирев В.А. Управление поставками сырья и материалов как фактор обеспечения бесперебойности производственного процесса. В сборнике: Начало в науке. материалы IV международной научно-практической конференции школьников, студентов, магистрантов и аспирантов: в 3 частях. 2017. გვ 285-287.
6. „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი https://matsne.gov.ge/ka/document/view/3146?publication=3
7. ნატა ყაზახაშვილი, სამედიცინო ხარისხის უზრუნველყოფა, მართვა და გაუმჯობესება.http://press.tsu.edu.ge/data/image_db_innova/Nata-Yazakhishvili.pdf 1-268 გვ. 28.04.22

Interaction of competition results and production factors in healthcare management

Miranda Jankhoteli
PhD student of Georgian Technical University

Summary

The article discusses approaches to determining the interaction of the results of competition as an integral part of the competitiveness of the enterprise and production factors in health management. Competition should be viewed through the prism of the economic process of interaction, interconnection and struggle of commodity producers for buyers, increasing market share in order to obtain profit. The essence of the competitiveness of the enterprise and production factors in health management are investigated, the main methods of competitiveness that are used in practice to assess it are determined. The most important factors affecting the competitiveness of the enterprise and production factors in health management are highlighted

Keywords: Healthcare Management, Competition in the Healthcare Sector, Interaction of Factors in Healthcare, Modern Healthcare System

არჩევნებში მოქალაქეთა სავალდებულო მონაწილეობის რამდენიმე ასპექტი

ბაღათურია გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ბღარაშვილი ნანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია არჩევნებთან დაკავშირებული რამდენიმე აქტუალური საკითხი. გააანალიზებულია მოსაზრებები სავალდებულო არჩევნებთან დაკავშირებით. ნაჩვენებია, რომ არჩევნებში მონაწილეობა ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, ამაღლებს არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობას. დემოკრატიული მმართველობა "წარმომადგენლობითია", ხალხის მონაწილეობს ქვეყნის მართვაში გამოიხატება წარმომადგენლების არჩევით, რომლებსაც ანდობენ- სახელისუფლებო ფუნქციების განხორციელებას. ადამიანს შეუძლია სხვადასხვა მოტივით გაამართლოს არჩევნებში მონაწილეობის არ მიღება, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არჩევნებზე არმისვლით ჩვენ თავს ვარიდებთ ჩვენს სამოქალაქო პასუხისმგებლობას და გულგრილობას გამოვხატავთ ქვეყნის ბედის მიმართ. ხმის სავალდებულო მიცემის შემოღება გამართლებულია იმით, ამომრჩეველი ასრულებს საჯარო მოვალეობას წარმომადგენლობითი ინსტიტუტების ფორმირებაში და იღებს პასუხისმგებლობას სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ პროცესებზე. განხილულია ხმის მიცემის ინსტრუმენტული და ექსპრესიული თეორიები. ინსტრუმენტული თეორიის მიხედვით კენჭისყრა რაციონალურია, როდესაც ამომრჩევლის მიზანია გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე, ხოლო ექსპრესიული თეორიის მიხედვით ამომრჩეველი ხმას აძლევს საკუთარი აზრის გამოხატვის მიზნით. ამასთან, საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებულ არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობის პრაქტიკამ აჩვენა, რომ სავალდებულო ხმის მიცემის მქონე ქვეყნებში აქტივობა არსებითად მაღალია, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც არ არის. მაგალითად ავსტრალიაში ის ყოველთვის აღემატება რეგისტრირებული ამომრჩეველთა 90 პროცენტს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საბოლოოდ, უნდა ჩაითვალოს, რომ ხმის მიცემა არსებითად მორალური ვალდებულებაა, მაშინ ხმის მიცემა შეიძლება იყოს რაციონალური, რადგან აუცილებელია ამ ვალდებულების შესრულება. ნაშრომში წარმოდგენილია როგორც აშშ-ში ჩატარებული, ისე ავტორის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები არჩევნებში მონაწილეობის სავალდებულო ხასიათის შესახებ. შესაბამისად, გამოტანილია დასკვნა საქართველოში სავალდებულო არჩევნების ჩატარების მიზანშეწონილობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: არჩევნები, სავალდებულო არჩევნები, სამოქალაქო საზოგადოება, არჩევნების ლეგიტიმურობა, ხმის მიცემის ინსტრუმენტული და ექსპრესიული თეორიები.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე დემოკრატიებს "წარმომადგენლობითს" ვუწოდებთ. ხალხის მონაწილეობა ხელისუფლებაში უპირველეს ყოვლისა გამოიხატება იმით, რომ ისინი ირჩევენ წარმომადგენლებს - მათ, ვისაც სახელისუფლებო ფუნქციების განხორციელებას ანდობენ. ამიტომ, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს სამოქალაქო აქტივობის სხვა ფორმები, არჩევნებში მონაწილეობას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ადამიანს შეუძლია სხვადასხვა მოტივით გაამართლოს არჩევნებში მონაწილეობის არ მიღება, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არჩევნებზე არმისვლით ჩვენ თავს ვარიდებთ ჩვენს სამოქალაქო პასუხისმგებლობას და გულგრილობას გამოვხატავთ ქვეყნის ბედის მიმართ. მოქალაქე რომელიც არ მონაწილეობს არჩევნებში, კარგავს იმის მორალურ უფლებას, რომ გამოთქვას ხელისუფლების მიმართ პრეტენზია. ხმის სავალდებულო მიცემის შემოღება გამართლებულია იმით, ამომრჩეველი ასრულებს საჯარო მოვალეობას წარმომადგენლობითი ინსტიტუტების ფორმირებაში და იღებს პასუხისმგებლობას სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ პროცესებზე.

დისკუსია სავალდებულო არჩევნების საჭიროების შესახებ

ხმის მიცემის აქტს გააჩნია ალტერნატიული ღირებულება, რადგან არჩევნებში მონაწილეობას გარკვეული დრო და ძალისხმევა სჭირდება. ეკონომისტების ნაწილი თვლის, რომ თითოეული მოქალაქის მიერ ხმის მიცემა მაქსიმალურად არ ზრდის მოსალოდნელ სარგებელს. ამას მივყავართ "ხმის მიცემის პარადოქსამდე" (paradox of voting): მარტივად რომ ვთქვათ, რადგან, როგორც ჩანს კენჭისყრის ხარჯები აჭარბებს მოსალოდნელ სარგებელს. ხმის მიცემის ინსტრუმენტული თეორია ამტკიცებს, რომ კენჭისყრა რაციონალურია, როდესაც ამომრჩევლის მიზანია გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე, ამის საპირისპიროდ, ხმის მიცემის ექსპრესიული თეორია ამტკიცებს, რომ ამომრჩეველი ხმას აძლევს იმისათვის, რათა გამოხატოს საკუთარი აზრი და ერთგულება გარკვეული ჯგუფების ან იდეებისადმი. მეორე მხრივ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ხმის მიცემა რაციონალურია, რადგან მას სამომხმარებლო მნიშვნელობა აქვს. და ბოლოს, დემოკრატიული მოქალაქეების უმეტესობის მსგავსად თუ ვინმე ამბობს, რომ ხმის მიცემა არსებითად მორალური ვალდებულებაა, მაშინ ხმის მიცემა შეიძლება იყოს რაციონალური, რადგან აუცილებელია ამ ვალდებულების შესრულება [2].

აშშ-ში ჩატარებული გამოკითხვით [3] გაირკვა, რომ, თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებში მოქალაქეთა უმეტესობას სჯერა, რომ ხმის მიცემის გარკვეული ვალდებულება არსებობს. მკვლევართა უმეტესობა თვლის, რომ მოქალაქეები ვალდებულნი არიან ხმა მისცენ, მაშინაც კი, როდესაც თავად ამ მოქალაქეებს სჯერათ, რომ მათ სასურველ პარტიას ან კანდიდატს გამარჯვების დიდი შანსი არ აქვს. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში დაიგეგმა და ჩატარდა კვლევა - დასმულ კითხვაზე - უნდა იყოს თუ არა არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულო. გამოკითხვა ჩატარდა „Google Drive"-ის მეშვეობით. თებერვალი-აპრილის განმავლობაში გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 895 რესპოდენტმა. აღნიშნულ კითხვაზე გამოკითხულიდან 79 % -მა დადებითად უპასუხა.

ზოგიერთი მოსაზრებით, ხმის მიცემა არის ე.წ დაზღვევის ფორმა, რომელიც იცავს დემოკრატიას დანგრევისგან. ამ ჰიპოთეზის გათვალისწინებით, უნდა ჩავთვალოთ, რომ მოქალაქეებს აქვთ ხმის მიცემის ვალდებულება იმისთვის, რომ დაიცვან დემოკრატია. გამოდის, რომ რაც უფრო და უფრო ნაკლები მოქალაქე იღებს ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობას, დემოკრატიის დაშლის ალბათობა იზრდება. კიდევ ერთი არგუმენტი, რატომაც მოქალაქეები ვალდებულნი არიან მიიღონ ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობა - არის უსამართლობის განხორციელებაში თანამონაწილეობისგან თავის არიდება. ამ მოსაზრებით, წარმომადგენლები მოქმედებენ მოქალაქეების სახელით. მოქალაქეები ნაწილობრივ კანონის ავტორებად ითვლებიან, მაშინაც კი, როდესაც არ იღებენ არჩევნებში მონაწილეობას ან არ არიან მთავრობის წევრები. ამრიგად, მოქალაქეები, რომლებიც უარს იტყვიან ხმის მიცემაზე, ერთგვარად თავიანთი წარმომადგენლის მიერ უსამართლობის განხორციელებაში იღებენ მონაწილეობას. ამ მოსაზრების თანახმად, მოქალაქეებს არა მხოლოდ ხმის მიცემის მოვალეობა აქვთ, არამედ კონკრეტულად აქვთ მოვალეობა, რომ ხმა მისცენ კანდიდატებს და აირჩიონ პოლიტიკური სისტემა, რომელიც შეამცირებს უსამართლობას [5].

არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობა - საერთაშორისო პრაქტიკა

ხმის სავალდებულო მიცემის შემოღება გამართლებულია იმით, რომ არჩევნების დროს ამომრჩეველი არა მხოლოდ აცნობიერებს თავის პირად ინტერესებს, არამედ ასრულებს საჯარო მოვალეობას წარმომადგენლობითი ინსტიტუტების ფორმირებაში მონაწილეობით. არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობა არ გამორიცხავს თავისუფალი არჩევნების ჩატარებას, ვინაიდან მხოლოდ კენჭისყრაში მონაწილეობაა სავალდებულო და ამომრჩეველს შეუძლია გასცეს ცარიელი ან გაფუჭებული ბიულეტენი. ავსტრალიაში თვლიან, რომ სავალდებულო არჩევნები არის ინტეგრაციის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი გარემოება.

საპატიო მიზეზის გარეშე არჩევნებში მონაწილეობის ვალდებულების დარღვევა, როგორც წესი, გულისხმობს სანქციების გამოყენებას - ჯარიმა, საარჩევნო სიიდან გარიცხვა, სახელმწიფო ან მუნიციპალურ სამსახურში შესვლის შესაძლებლობების შეზღუდვა და ა.შ.

არჩევნებში მონაწილეობის მიღება სავალდებულოა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ეს ქვეყნებია: ბელგია, ავსტრია, იტალია კვიპროსი, ლუქსემბურგი, საბერძნეთი, ბულგარეთი, გერმანია, ნიდერლანდები, სერბეთი, დანია, საფრანგეთი (ნაწილობრივ), არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, ბოლივია, ავსტრა-

ლია, პაკისტანი, თურქეთ, ეგვიპტე, სინგაპური, პერუ. აღნიშნული ქვეყნების უმეტესობაში არჩევნებში არასაპატიო მიზეზით არ მონაწილეობისთვის დაწესებულია სხვადასხვა ოდენობის ჯარიმა (ევროპაში 25-დან 150-მდე ევრო, სამხრეთ ამერიკაში 20-დან 200 დოლარამდე). არჩევნებში რამდენჯერმე არ მონაწილეობის შემთხვევაში გათვალისწინებულია ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა და სახელმწიფო სამსახურში მუშაობის შეზღუდვა. არჩევნებში რამდენჯერმე არ მონაწილეობის შემთხვევაში გათვალისწინებულია ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა და სახელმწიფო და მუნიციპალურ სამსახურებში მუშაობის შეზღუდვა (არგენტინა, ბრაზილია). მაგალითად, ადგილობრივი ბიუჯეტით მხარდაჭერილ სკოლაში მასწავლებლად (ლუქსემბურგი). აგრეთვე საბავშვო ბაღში ბავშვის მიღებასთან დაკავშირებით პრობლემებს (იტალია). თუ ამომრჩეველი აპირებს საზღვარგარეთ გამგზავრებას, მან წინასწარ უნდა მისცეს ხმა. ჯარიმებთან ერთად მოქმედებს ასევე პატიმრობა -ერთი თვიდან ერთ წლამდე არჩევნებზე სისტემატური არგამოცხადების შემთხვევაში. ასევე გართულებულია მართვის მოწმობების მიღება, თუ მოქალაქე არ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. გარდა ამისა ბრაზილიაში არჩევნებზე გამოუცხადებლობის შედეგად, მოქალაქეს ეკრძალება პროფესიული გამოცდების ჩაბარება, სესხის აღება, პასპორტის აღება. არჩევნებში სამჯერ ზედიზედ გამოუცხადებლობის შემთხვევაში თუ პირი არ წარმოადგენს ექვსი თვის განმავლობაში საბუთს, რის გამოც მან ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, მოხდება მისი რეგისტრაციის გაუქმება. მექსიკაში არჩევნებში გამოუცხადებლობისთვის არ არსებობს ოფიციალური სანქციები, თუმცა, მოქმედებს სოციალური სანქციები. სისტემატურად არჩევნებზე არმისვლის შემთხვევაში პაკისტანში გათვალისწინებულია- გამოსასწორებელი სამუშაოები ხუთი წლის ვადით. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა აგრეთვე გათვალისწინებული თურქთში და ეგვიპტეში.

როდესაც მმართველი ძალა არჩეულია მოქალაქეების უმეტესობის მიერ, ის უფრო ეფექტიანია. ინგლისელი მწერალი სამუილ სმაილსი წერდა: „ადამი-ანები კარგ მოქალაქეებად რომ ჩამოყალიბდნენ, მათ საშუალება უნდა მიეცეთ გამოხატონ საკუთარი სამოქალაქო უფლებები და შეასრულონ სამოქალაქო მოვალეობები“. [6]

დასკვნა

ამდენად საკითხის მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მაგალითის შესწავლის და ანალიზის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სავალდებულო არჩევნები ხელს უწყობს არჩევნების ლიგიტიმაციას. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ 1971 წელს დაადგინა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკა არჩევნებზე სავალდებულო გამოცხადების შესახებ არ არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, რადგან სავალდებულოა მხოლოდ არჩევნებზე მისვლა და არ არის მოთხოვნა, რომ ადამიანმა აუცილებლად შემოხაზოს რომელიმე კანდიდატი. აღნიშნული დადგენილებით ევროპულმა სასამარ-თლომ ასევე განმარტა, რომ არ ირღვევა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მეცხრე მუხლი, რაც გულისხმობს „აზრის, სინდისისა და რელიგიის" თავისუფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ საარჩევნო უბანზე მისვლა იქნება სავალდებულო და არა ხმის მიცემა კონკრეტული პირისათვის ან პოლიტიკური ძალისათვის. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი აზრით საჭიროა ჩვენს ქვეყანაშც დამკვიდრდეს სავალდებულო არჩევნები ან უკიდურეს შეთხვევაში ჩატარდეს რეფერენდუმი ამ საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხმის მიცემა, როგორც მორალური ვალდებულება http://freeuni.edu.ge/ge/nomos/2741 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული –18/04/2022;
2. Americans Oppose Compulsory Voting. ABC News, Poll. https://abcnews.go.com/Politics/story?id=120577&page=1 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 17/04/2022;
3. ბაღათურია გ., ბაღათურია ო., დოღონაძე შ., იაშვილი გ., იაშვილი თ. კვლევის მეთოდების საფუძვლები საჯარო მმართველობის ამოცანებში. 2019;
4. Smiles S., “Self-Help with illustrations of Conduct and Perseverance”.

https://www.gutenberg.org/files/935/935-h/935-h.htm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 18/04/2022;
5. საერთაშორისო საარჩევნო სტანდარტების გამოყენება https://rm.coe.int/168059798b უკანასკნელად იქნა გადამოწმებული –10/04/2022;
6. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა „საარჩევნო ნორმათა კოდექსი“ https://eos.cartercenter.org/uploads/document_file/path/276/CoE_Venice_Commission_Code_of_Good_Practice_GO.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 10/04/2022.

Several Aspects of Mandatory Participation of Citizens in Elections

Giorgi Baghaturia
Professor of Georgian Technical University

Nana Bgharashvili
PhD student of Georgian Technical University

Summary

The report discusses several topical issues related to the elections. Opinions on mandatory elections are analyzed. It has been shown that participation in elections contributes to the formation of civil society, enhances the legitimacy of election results. Democratic governance is "representative", the participation of the people in the governing of the country is manifested by the election of representatives who are entrusted with the exercise of governmental functions. A person can justify not participating in the elections for various reasons, but in any case, by not going to the polls, we evade our civic responsibility and show indifference to the fate of the country. The introduction of compulsory voting is justified by the fact that the voter performs a public duty in the formation of representative institutions and takes responsibility for the ongoing political, social or economic processes in the state. Instrumental and expressive theories of voting are discussed. According to the instrumental theory, voting is rational when the voter aims to influence the election results, while according to the expressive theory, the voter votes to express his / her opinion. Also, the practice of mandatory participation in elections in foreign countries has shown that turnout in countries with mandatory voting is substantially higher than in countries where there is not. In Australia, for example, it always exceeds 90 per cent of registered voters. Finally it must be considered that voting is an essentially moral obligation, then voting can be rational as it is necessary to fulfill that obligation. The paper presents the results of a survey conducted in both the United States and by the author on the mandatory nature of participation in elections. The practice of compulsory participation in elections in foreign countries is also discussed. Accordingly, a conclusion has been made on the expediency of holding mandatory elections in Georgia.

Keywords: Elections, Mandatory elections, Civil society, Legitimacy of elections. Instrumental and expressive theories of voting.

როგორ აშუქებს „ანტივაქსერეულ დაჯგუფებებს“ ქართული და უცხოური მედია

ბარაბაძე ანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში - „როგორ აშუქებს „ანტივაქსერეულ დაჯგუფებებს“ ქართული და უცხოური მედია“ - ძირითადად ყურადღება გამახვილებულია პანდემიის (COVID-19) პერიოდში მედიის განსაკუთრებულ როლზე. პანდემიამ თავისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, დიდი გავლენა იქონია ყველა სფეროზე, საზოგადოებრივ ცნობიერებაზე და სრულიად შეცვალა ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების რიტმი. მსოფლიო ორ ნაწილად გაიხლიჩა - ვაქცინის მომხრეებად და „ანტივაქსერებად“. ამ შემთხვევაში კი განსაკუთრებული როლი მედიას აკისრია. სწორი ინფორმაციის მიწოდებით მას შეუძლია გააქარწყლოს პანდემიით გამოწვეული შიში და საზოგადოებას ააცილოს პანიკა, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც მედია განზრახ ცდილობდა არასწორი ინფორმაციის გავრცელებას, რათა ზიანი მოეტანა ადამიანების მენტალურ მდგომარეობაზე. თუმცა ზოგ შემთხვევაში კი იყო ე.წ. „ანტივაქსერების“ საზოგადოებისგან გარიყვისა და მათი „ბნელ“ ადამიანებად წარმოჩინების მცდელობები.

საქართველოს მედიასივრცეში გამოიკვეთა ის ფაქტორი, რომ მედია ამ პროცესში არის მხარე. სატელევიზიო ეთერში თითქმის არ მომზადებულა და არ გასულა არც ერთი სიუჟეტი და არ დაწერილა სტატია, რომელიც ვაქცინაციის წინააღმდეგი ადამიანების განცდებზე, გრძნობებსა და არგუმენტებზე იქნებოდა მომზადებული. თითქოს არავის აინტერესებს, რას ფიქრობენ ისინი.

ამერიკული და ბრიტანული მედია, ფაქტებს აშუქებს ნეიტრალურად. მედიის წარმომადგნლები კი სიძულვილის ენით არ საუბრობენ იმ ადამიანების მიმართ, ვინც აცრის წინააღმდეგია და საკმაოდ მძაფრი გამოსვლებითაც გამოირჩევიან.

მაგალითად, ასობით მსუბუქი მანქანა, სატვირთო და მიკრო ავტობუსის კონვოი ბელგიის დედა-ქალაქისკენ გაემართა კოვიდ შეზღუდვების გასაპროტესტებლად, იმის მიუხედავად, რომ მათ დედა-ქალაქში შესვლა აეკრძალათ. პროტესტის ფორმა საკმაოდ მასშტაბური იყო, მაგრამ მედიასაშუალებების მხრიდან, აღნიშნული ფაქტი გაშუქდა ნეიტრალურად, მათი მხრიდან გაკეთებული შეფასებების გარეშე.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, „ანტივაქსერები“, მედია, ფაქტები, აცრები.

ძირითადი ტექსტი

როგორც საქართველოსთვის ისე, მსოფლიოსთვის COVID-19-ით გამოწვეული პანდემია ერთგვარ გამოცდად იქცა, რომელმაც განსაკუთრებული მასშტაბი შეიძინა და სრულიად შეცვალა ადამიანების ყოველდღიურობა.

პანდემიამ დიდი გავლენა იქონია ყველა სფეროზე და საზოგადოების ცნობიერებაზე.

პანდემიამ ისიც მოახერხა, რომ მსოფლიო საზოგადოება ორ ნაწილად გახლიჩა- ვაქცინის მომხრეებად და ე.წ. „ანტივაქსერებად“.

როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებული როლი მედიას დაეკისრა.

კორონავირუსი მცდარი ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ თემადაც იქცა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამაც კი, გამოაცხადა რომ ისინი არამარტო პანდემიას, არამედ არასწორი ინფორმაციის გავრცელებასაც ებრძვიან. მით, უფრო როცა ჩვენ ვცხოვრობთ სოც. ქსელების ეპოქაში და ყველანაირი ინფორმაცია ელვის სისწრაფით ვრცელდება.

მედიის წარმომადგენლებს, თავიდანვე უნდა გაეაზრებინათ საკითხის სიმწვავე და თითოეულ სიტყვას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოკიდებოდნენ, რადგან საქმე ეხება ყველაზე ძვირფას ღირებულებას - ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ადამიანის ჯანმრთელობის მთავარი შემადგენელი ნაწილი ადამიანის მენტალური ჯანმრთელობაა და ფაქტია, რომ კოვიდ 19-მა ჩვენს მენტალურ მდგოამრეობაზე თავისი კვალი დატოვა. მედიას შეუძლია სწორი ინფორმაციის მიწოდებით გააქარწყლოს ადამიანებში შიში და ამავდროულად მას აქვს ბერკეტი კიდევ უფრო გააღრმაოს პანიკის შეგრძნება საზოგადოებაში.

ვიხილეთ შემთხვევები, როდესაც მედია განზრახ ცდილობდა არასწორი ინფორმაციის გავრცელებას, რათა ზიანი მოეტანა ადამიანების მენტალურ მდგომარეობაზე. ასეთი ინფორმაციის გავრცელება, შესაძლოა უფრო საზიანო აღმოჩნდეს ადამიანისთვის, ვიდრე თავად კოვიდ 19.

ზოგ შემთხვევაში, პასუხისმგებლიანმა მედიამ გაიაზრა საკითხის სიმწვავე და ძალიან ფრთხილად მოეკიდა მას, თუმცა ყველამ ვიხილეთ ე.წ. „ანტივაქსერების“ საზოგადოებისგან გარიყვის და მათი „ბნელ“ ადამიანებად წარმოჩინების მცდელობები. ადამიანების გარკვეული ჯგუფი, მეცნიერებაზე მეტად რელიგიურ „ლიდერებს“ უჯერებს და ეს მათი უფლებაა.

ამ დროს პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ცალკეულ მოძღვრებსაც დაეკისრათ. ზოგიერთი მათგანი მრევლს უქადაგებს, რომ ენდონ მედიცინის მუშაკებს და გაიკეთონ ვაქცინა, „ღმერთმა გამოგვიგზავნა გადარჩენის გზა“ - ამბობენ ისინი, თუმცა არიან ბევრნი, რომლებიც ვაქცინის გაკეთებას სატანისტურ რიტუალს უწოდებენ და მრევლს არწმუნებენ, რომ თუ ისინი აცრას გაიკეთებენ, „ეშმაკს დაემონებიან“.

რა უნდა ქნას ამ დროს მრევლმა? როგორ მდგოამრეობაში ვარდებიან ისინი, როდესაც მათი ე.წ. „აზრის ლიდერი“ ასე ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად უკრძალავს აცრის გაკეთებას? ამას ემატება ის წნეხი, რასაც ისინი მედიისა და საზოგადოების მეორე ნაწილისგან განიცდიან. ისმენენ მათ მიმართ გამოთქმულ ცინიზმს, „ეპითეტებს“ – „ბნელები“, „გაუნათლებლები“ და ა.შ. ამ დროს მათში იღვიძევს თავდაცვის ინსტიქტი და მატულობს აგრესია.

სწორედ ამ აგრესიის გამოხატულებაა მათ მიერ საქართველოში ჩატარებული აქციები, მტრის ხატად გამოცხადებული ექიმები და ყველა ის ადამაინი, რომელიც ვაქცინაციის პროცესის მომხრეა. გამოდის, რომ ერთ მხარეს არის მედია და ვაქცინაციის მომხრე საზოგადოება, მეორე მხარეს კი- „ანტივაქსერები“ და ეს 2 ჯგუფი მწვავედ არის დაპირისპირებული ერთმანეთთან.

გამოიკვეთა ის ფაქტორი, რომ მედია ამ პროცესში არის მხარე. არ მახსენდება არც ერთი სიუჟეტი, ან სტატია, რომელიც ვაქცინაციის წინააღმდეგი ადამიანების განცდებზე, გრძნობებსა და არგუმენტებზე იქნებოდა მომზადებული.

თითქოს არავის აინტერესებს, რას ფიქრობენ ისინი.

საინტერესოა საერთაშორისო მედიის გამოცდილება ამ კუთხით.

როგორ აშუქებენ ისინი ე.წ. „ანტივაქსერების“ ქცევებს. ამისთვის გავეცანი რამდენიმე უცხოურ სტატიას.

ამერიკული და ბრიტანული მედია, ფაქტებს აშუქებს ნეიტრალურად. მედიის წარმომადგნლები არ საუბრობენ სიძულვილის ენით იმ ადამიანების მიმართ, ვინც აცრის წინააღმდეგია და საკმაოდ მძაფრი გამოსვლებითაც გამოირჩევიან.

მაგალითად, ასობით მსუბუქი მანქანა, სატვირთო და მიკრო ავტობუსის კონვოი ბელგიის დედაქალაქისკენ გაემართა კოვიდ შეზღუდვების გასაპროტესტებლად, იმის მიუხედავად, რომ მათ დედაქალაქში შესვლა აეკრძალათ.

საპროტესტო აქციის მონაწილეებმა, რომლებმაც მსვლელობა ავტომობილებით მოაწყვეს და აქციას „თავისუფლების კონვოი“ უწოდეს, ბელგიის დედაქალაქამდე მიაღწია, თუმცა პოლიციის გაძლიერებულმა ძალებმა ქალაქში შესასვლელი თითქმის ყველა საავტომობილო მარშრუტი ჩაკეტეს.

ბრუსელის მერის, ფილიპ კლოზეს განცხადებით, საპროტესტო აქციაში მონაწილეობას დაახლოებით 500 ავტომობილი იღებდა, უმეტესობა მათგანი კი საფრანგეთიდან ჩამოვიდა საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მისაღებად. ცნობილია, რომ საფრანგეთში ანალოგიური საპროტესტო აქციები კოვიდ შეზღუდვების წინააღმდეგ უკვე ჩატარდა, რის შემდეგაც კონვოი ბელგიისკენ დაიძრა.

მიუხედავად იმისა, რომ პროტესტის მონაწილეების ქმედებები იყო ძალიან მძიმე, მედიასაშუალებების მხრიდან, აღნიშნული ფაქტი გაშუქდა ნეიტრალურად, მათი მხირდან გაკეთებული შეფასებების გარეშე.

დასკვნა

დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ მედია მოვლენების ნეიტრალური და ობიექტური დამკვირვებელი უნდა იყოს მისი ამოცანა კი - განვითარებული მოვლენების გაშუქება, მათი საზოგადოებისთვის მიწოდება და ინფორმირებაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.dw.com/en/belgium-freedom-convoy-protest-reaches-brussels/a-60773476
2. https://www.theguardian.com/world/2022/jan/25/peace-freedom-no-dictatorship-germans-protest-against-covid-restrictions
3. https://edition.cnn.com/
4. https://www.bbc.com/news
5. https://www.qartia.ge/ka/ganckhadebebi

How Georgian and foreign media cover "anti-vaccine groups"

Barabadze Anna
PhD student of Georgian Technical University

Summary

The article - "How Georgian and Foreign Media Covers Anti-Vaccine Groups "- focuses on the special role of the media during the pandemic (COVID-19). Due to its wide scale, the pandemic, had a great impact on all spheres, public consciousness and immensely affected the rhythm of people's daily lives. The world is divided into two parts - the vaccine supporters and "anti-vaxxers". In this case, the media has a special role by providing the correct information, it can dispel the fear caused by the pandemic and prevent the public from panicking. However, there have been cases when the media has deliberately tried to spread misinformation in order to harm people's mental state. In some cases, there had been the so-called attempts to exclude "anti-vaxxers" from society and portray them as "dark" people.

Georgian media space it has been identified that media became biased in the mentioned process. There were hardly any reports on the television, and no article written about the feelings, sentiments, and counter-arguments of people against vaccination. As if no one cares what they think.

The American and British media cover the facts in a neutral way. Media representatives do not use hate speech against people who are against vaccination and don't make quite harsh speeches.

For example, hundreds of light trucks, trucks and minibuses marched to the Belgian capital to protest the existing covid restrictions, even though they were banned from entering the capital. The form of protest was quite large, but the media covered the fact in a neutral way, without any assessments.

Keywords: pandemic, anti-vaxxers, media, facts, vaccines.

ინტერნეტი, როგორც გლობალიზაციის ნაწილი და მისი გავლენა კულტურის განვითარებაზე

ბეჟაშვილი ანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია საკმაოდ მნიშვნელოვან თემას, გლობალიზაციასა და მის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს, ინტერნეტს ეხება. ინტერნეტი და სოციალური ქსელი დღესდღეობით ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და საზოგადოების აზრის, ღირებულებებისა და ცხოვრების წესის ფორმირებაში უდიდესი როლი გააჩნია. ინტერნეტი დიდწილად აჩქარებს გლობალურ პროცესებს და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გზით, დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. ამიტომ, გადავწყვიტეთ გვესაუბრა იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც შესაძლოა ჩვენი ქვეყანა დადგეს.

სტატიის დასაწყისში ვსაუბრობთ ინტერნეტის შექმნაზე, მოკლედ მიმოვიხილავთ იმ მნიშვნელოვან ეტაპებს, რომლებმაც ინტერნეტისა და სოციალური ქსელის შექმნის პროცესში დიდი როლი ითამაშეს.

შემდგომ, ვსაუბრობთ საქართველოში ინტერნეტის შემოსვლისა და გავრცელების პროცესებზე. ტექნოლოგიურ და ინფორმაციულ რევოლუციაზე და ამ ყველაფრის შედეგებზე.

განვიხილავთ საზოგადოებისა და ადამიანის ურთიერთმიმართებას უკვე ინტერნეტ-სამყაროში. მომხმარებლის როლს სოციალური ქსელის, ანუ ვირტუალური საზოგადოების შექმნაში. საბოლოოდ კი, მივდივართ ინტერნეტის, როგორც გლობალური სივრცის მნიშვნელობის განსაზღვრამდე. ვშლით გლობალიცაზიის საკითხს საქართველოსთან მიმართებაში. ვსაუბრობთ იმ საფრთხეებზეც, რომლებიც შესაძლოა დაემუქროს საქართველოს, როგორც ცალსახად ტრადიციულ და მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ქვეყანას.

ასევე, განვიხილავთ ინტერნეტს, როგორც ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროსა და კულტურის ნაწილს. კულტურული საზოგადოების შექმნისთვის მის აუცილებლობასაც ვეხებით. აღვნიშნავთ ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნიკის საჭიროობის საკითხს ბავშვებისა და მოზარდებისათვის სასწავლო პროცესში. განვიხილავთ სოციალურ ქსელს, როგორც თვითგამოხატვის საშულებას და ხაზს ვუსვამთ მის უდიდეს როლს ამ საკითხში.

ბოლოს, ისევ ვეხებით ინტერნეტისა და სოციალური ქსელის გავლენას საზოგადოებაზე , თუ როგორ ახდენს ღირებულებების გადაფასებასა და აზროვნების ცვლილებას მომხმარებელში. როგორ ხვდება ამას ქართული საზოგადოება.

ძირითადი ტექსტი

ინტერნეტმა რომ ტელევიზია და რადიო დიდწილად ჩაანაცვლა, ეს არახალია. ინფორმაციის მთავარ წყაროდაც სოციალური ქსელები იქცა . ინტერნეტის შექმნით, შესაძლოა ითქვას, ინფორმაციული რევოლუცია მოხდა.

მსოფლიო ქსელმა გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან აიდგა ფეხი, როდესაც, 1957 წელს საჭოთა კავშირმა კოსმოსში თანამგზავრი გაუშვა და საპასუხოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მოწინავე პროექტების კვლევის სააგენტო APRA შექმნა. APRA-მ ინფორმაციის გადამუშავების ტექნოლოგიების ოფისი (IPTO) დააარსა და მისი მეშვეობით ქვეყნის სარადარო სისტემურ ქსელს დაუკავშიდა.

IPTO-ს სათავეში კომპანია „ლიკლიდერი“ ჩაუდგა და სწორედ მისი თაოსნობთ, 1957 წელს დაიწყო მუშაობა ინტერნეტის გავრცელებაზე.

მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ, ტექნოლოგმა ლაურენს რობერტსმა შექმნა პირველი მასშტაბური ქსელი. ეს მოხდა 1983 წლის 1 იანვარს.

საქართველოში ინტერნეტი 1996 წელს შემოვიდა. ამავე წელს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურიდას წარმომადგენელმა ევროპაში, რენო სირაძემ პირველი ქართული საიტიც დააარსა და „დედაენა“ უწოდა.

პირველი ქართული უნი-კოდ ფონტები კი რენო სურაძემ ბესარიონ გუგუშვილთან ერთად შექმნა.[1]

2000 წელს ინტერნეტის მომხმარებელი 20 000 ადამიანი იყო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის მონაცემებით კი ინტერნეტს საქართველოს მოსახლეობის 84 % იყენებს.

ინტერნეტი რომ კულტურის ნაწილად იქცა, ეს ცხადია. ის ინფორმაციის მიღების მთავარი წყაროც არის და ცივილიზაციის აუცილებელი ინსტრუმენტიც. ახალი თაობა, შელამაზების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინტერნეტის საშუალებით გაიზარდა.

რასაკვირველია, ყველაფერს ორი მხარე აქვს, და ინტერნეტ-დამოკიდებულების პრობლემაც დიდია. თუმცა, ვერ უარვყოფთ, რომ ბავშვებსა და მოზარდებს ინტერნეტი საკმაო რესუსრსს აძლევს ინფორმაციის მისაღებად, თვითგამოხატვისთვის და მსოფლიო, გლობალურ საკითხებზეც აძლევს წვდომას.

მოსწავლეებს საშუალება აქვთ მოიპოვონ საჭირო ინფორმაცია , დაამუშაონ, გაეცნონ რეცენზიებს ხელოვნების ამ თუ იმ ნაწარმოების შესახებ .

დღეს, ის ბავშვი და მოზარდი, რომელსაც ხელი არ მიუწვდება კომპიუტერსა და ინტერნეტზე, თანატოლებს ბევრად ჩამორჩება სასწავლო პროცესში. საჭიროა მოსწავლეების ტექნიკური კუთხით უზრუნველყოფა სახელმწიფომ და საგანმანათლებლო სისტემამ უზრუნველჰყოს.

მითუმეტეს, რომ ინტერნეტი თვითგამოხატვის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად იქცა და მოზარდობის პერიოდში საკუთარი თავის გამოხატვის სურვილი მაქსიმალურ ზღვარს აღწევს. ცნობილი „მასლოუს პირამიდის „ ავტორი ,ამერიკელი ფსიქოლოგი აბრაჰამ მასლოუ ამბობს, რომ თვითგამოხატვის სურვილი ადამიანურ მოთხოვნილებებს შორის ყველაზე მაღალ საფეხურზე დგას. ინტერნეტმა კი ადამიანებს მისცა უფასო და უსაზღვრო გზა გამოხატონ საკუთარი თავი, აჩვენონ საკუთარი შემოქმედება დიდ აუდიტორიას და ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი რესურსებით შეძლონ. შეფუთონ საკუთარი თავი და წარუდგინონ საზოგადოებას.

სოციალურმა ქსელებმა საზოგადოების რეალობა შეცვალა . რა არის კულტურული საზოგადოება, თუ არა ცალკეული ადამიანის ამ საზოგადოებაში ინტეგრაცია და ადაპტირება?

„ფეისბუქმა“ საქართველოშიც მოხადინა კულტურული გადატრიალება. ტერმინი „სოციალური ქსელი „ ფეისბუქამდეც არსებობდა , 1930- იან წლებში ამერიკელმა სოციოლოგებმა ადამიანთა შორის ურთიერთკავშირს სწორედ ასე უწოდეს და ეს პროცესი დიაგრამაზე გამოსახეს. წერტილებით ადამიანები იყვნენ გამოხატულები, მათ შორის კავშირი კი ხაზებით გამოისახებოდა. სწორედ ამ ხაზებს უწოდეს სოციოლოგებმა სოციალური ქსელი. [2]

სოციალური ქსელიც საზოგადოების ვირტუალური ანალოგია. პლატფორმას მომხმარებელი ამოძრავებს და აცოცხლებს, ისევე, როგორ ადამიანი საზოგადოებას, ის მზარდი და დინამიკურია. როგორც იზრდება , ვითარდება და იცვლება საზოგადოება, ისე იზრდება და ვითარდება სოციალური ქსელიც.

მათი ურთიერთმიმართებაც ორმხრივია, ისინი ერთმანეთს ზრდიან და ერთმანეთის გარეშე ვერ იარსებებენ, როგორც საზოგადოება და ადამიანი.

გლობალიზაციის პროცესში ინეტერნეტმა და სოციალურმა ქსელმა წარმოუდგენლად დიდი როლი ითამაშა და ეს პროცესი ახლაც მიმდინარეობს. მსოფლიო მომხმარებელთა ერთიანი ბაზა შეიქმნა, ნებისმიერი ინფორმაცია, ნებისმიერ ქვეყანაში ხელმისაწვდომია.

ალბათ ადვილი წარმოსადგენია, პოსტ-საბჭოთა ქვეყნისათვის, რომელმაც თავისუფლება ბოლო 30 წელია მოიპოვა, რამხელა სიახლე და შვება იქნებოდა ნებისმიერ ინფორმაციაზე წვდომა. ქართველი საზოგადოება ჩაკეტილი სივრციდიან სრულ თავისუფლებაში აღმოჩნდა . ტექნოლოგიურმა რევუ-ლუციამ სრულიად შეცვალა საქართველოსნაირი პატარა ქვეყნის რეალობა. გლობალურ ტექნოლოგიურ ცვლილებებსა და ინფორმაციულ თავისუფლებას კი ყოველთვის ორი მხარე აქვს.

პოსტ -ინდუსტრიულ საზოგადოებაში კულტურის მასიური წარმოება ხასიათებს. ვინაიდან ,კულტურის გლობალიზაციის წინაშე ვართ და ეს ნიშნავს, რომ საზღვრები თითქმის აღარ არსებობს, სხვადასხვა კულტურული იდენტობის აღრევის საფრთხის წინაშეც ვდაგავართ. ინფორმაციის მასიური გავცრელება და სრული ტექნოლოგიური თავისუფლება სადამდე მიიყვანს პატარა ქვეყანას, ეს ჯერ-ჯერობით არავინ იცის.

ფეისბუქი დღესდღეობით ყველაზე მძლავრი იარაღია. ის ამკვიდრებს ტენდენციებს, ის ამბობს რა არის მისაღები და რა არა, ის რიყავს და ჩაგრავს, ან პირიქით- კვარცხლბეკზე აჰყავს ადამიანი. ფეისბუქის საშუალებით ხდება ქართული საზოგადოებისთვის ისეთი საჭირბოროტო და საკამათო თემების განხილვა, როგორებიცაა ქართული ტრადიციების შენარჩუნება-არშენარჩუნების საკითხი, ერთნაირსქესიენათა ქორწინების დაკანონება-არდაკანონების საკითხი, მარიხუანის დეკრიმინალიზაციის საკითხი და ა.შ.

ფეისბუქის საშუალებით საზოგადოება კიცხავს, ან ეთანხმება ადამიანს. სოციალურ ქსელში ადამიანები გახდნენ მსაჯულები, მათ მიეცათ ასპარეზი გამოხატონ საკუთარი აზრი, განსაჯონ, გააკრიტიკონ სხვა. მედიასაშუალებები კი ერთგვარ სანახაობას ქმნიან და სოციალური ქსელის მეშვეობით საზოგადოებას განსასჯელ თემას აძლევენ.

საქართველოს მაგალითზე, საკმაოდ საინტერესო დასვნების გაკეთება შეიძლება, კულტურულ-სოციალური პროცესების დაკვრივების გზით. საინტერესოა როგორ ახდენს მედია-სივრცე და ინტერნეტი საზოგადოებრივი ღირებულებების გადაფასებას.

ტექნოლოგიური განვითარება საკმაოდ სწრაფად და უკონტროლოდ მიმდინრეობს. ინფორმაცია სოციალურ ქსელში იმდენად დიდი და ქაოსურია, დასაფიქრებელია, რამდენად სწორად აღიქვამს ადამიანის და მითუმეტეს მოზარდის ტვინი ამ ყველაფერს.

ინტნერნეტ-სივრცის მასშტაბურობასა და ეფექტურობაზე ბევრი შეგვიძლია ვისაუბროთ, ასევე იმ კომფორტზე, რომელსაც ის გვთავაზობს, თუმცა რას მოიტანს ეს ყველაფერი საქართველოსნაირი ტრადიციული და მკვეთრი კულტურული იდენტობის მქონე ქვეყნისათვის, საკითხავია.

ვხედავთ როგორც ახდენს მედიასივრცე საზოგადოებრივი ღირებულებების გადაფასებას და ვინა-იდან, ტელევიზია დღეს უკვე ინტერნეტმა ჩაანაცვლა, მათი მთავარი იარაღიც სოციალური ქსელები გახდა.

რასაკვირველია, ამ პროცესების ცალსახა შეფასება დღეს შეუძლებელია. ვერც ღირებულებათა მკვეთრი ცვლა შეფასდება ერთმნიშვნელოვნად კარგად, ან ცუდად. მედიაკულტურა დღესაც პროპაგანდისტულია და საკუთარი წესებით ვითარდება, თუმცა, პასუხს ყოველთვის დრო და ისტორია გვცემს. ისტორია ამბობს, რა იყო სწორი და რა არასწორი.

ქართული საზოგადოება, ამ მხრივ, დიდი გამოწვევების წინაშე დგას, ჯერ კიდევ გარდამტეხი პერიოდი გვაქვს, რადგან ჩვენ ტრადიციულ-კულტურული მახასიათებლების განეიტრალება გლობა-ლურმა პროცესებმა და ტექნოლოგიურმა რევულუციამ ჯერ კიდევ ვერ მოახდინა. სწორედ ამიტომ ხდება მუდმივი კონფლიქტი მედია-სივრცესა და ქართულ საზოგადოებას შორის. მედია ხშირად ეხვევა კრიტიკის ქარ-ცეცხლში, როდესაც ქართული საზოგადოების ღირებულებების შეფარვით დაკნინებას ან გადასხვაფერებას ცდილობს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართული მედია-კულტურა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ჩამოყა-ლიბებული, ანდაც, ქართული საზოგადოება არ იყო მზად ამ გლობალური და უკონტროლო ტექნოლოგიური აფეთქებისთვის.

ქართულ ინტერნეტ-სივცრეში არ არსებობს ეთიკური სტანდარტები, არ არსებობს რაიმე ზღვარი, ანდაც ქცევის ნორმა. ინტერნეტ-სივცრეს ვერც საკანონმდებლო ორგანოები არეგულირებენ. არ იფილტრება ყალბი ამბები, ინტერნეტ-საიტები საზოგადოების პროვოცირებას მარტივად ახერხებენ.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გლოგალიზაციის მთავარი ინსტრუმენტი დღესდღეობით ინტერნეტია, კერძოდ კი სოციალური ქსელები. მისი განვითრება ძალიან სწაფად მოხდა და მსოფლიოც მალევე ჩაერთო ამ პროცესში. თუმცა, სადამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი?

გამოსავალი, ალბათ ისევ და ისევ ბალანსშია . საჭიროა თავი ავარიდოთ რადიკალურ ზომებს , გავიაზროთ რა არის ჩვენი საზოგადოებისთვის უკეთესი და უპირატესი. დავიცვათ ოქროს შუალედი და ტექნოლოგიები ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ.

მედიას, კი თავისთავად ესაჭიროება რეგულაციები, რათა მისი გავლენა საზოგადოერივ ცხოვრე-ბაზე მეტ-ნაკლებად სასიკეთოდ შეიცვალოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Wikipedia.org
2. სანდრო ასათიანი, სოციალური ქსელი, 2010

The internet, as part of globalization and its impact on cultural development

Ana Bezhashvili
PhD sdudent of Georgian Technical University

Summary

This article deals with a very important topic, globalization and one of its main components, the Internet. The Internet and the social network are an integral part of everyday life and play a major role in shaping public opinion, values and lifestyles. The Internet greatly accelerates global processes and through access to information, has a profound impact on society. So ,we decided to talk about the challenges in our country . At the beginning of the article, we talk about the creation of the Internet, we have short review of the important stages, that played a big role in the process of creating the Internet and social network.

Next, we talk about the processes of Internet penetration and distribution in Georgia. On the technical and information revolution and the consequences of all this.

We discuss the relationship between society and human in the Internet- world. The role of the internet-user in creating a social network, a virtual community.

Finally , we talk about the definition of the Internet , as a global space. We talk about of the issue of globalization in Georgia. We are also talking about the dangers, that may threaten Georgia as a country with a uniquely traditional and old -culture country.

We also consider the Internet as a major source of information and culture. We also touch on its necessity for the creation of a cultural society. We note the need for the Internet and computer technology in the learning process for children and adolescents.We consider the social network as a means of self-expression and emphasize its greatest role in this matter. We again look at the impact of the internet and social networking on society on how it re-evaluates values and changes the way consumers think. How does the Georgian society understand this? Finally, we tried to come up with a solution. We are talking about media behavior and the need for regulations that will help us maintain balance.

თვითაგრესია, როგორც ვიქტიმური ქცევის პრედიქტორი

ბოკუჩავა ნანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ვიქტიმურობა (ლათ. Victima - მსხვერპლი) განიმარტება, როგორც სუბიექტის განსაკუთრებული მიდრეკილება/მზაობა განსაზღვრულ პირობებში იქცეს დაზარალებულად ან მსხვერპლად. ვიქტიმური ქცევის, როგორვ ფსიქოლოგიური აქტის, ერთობ სპეციფიკური მახასიათებლები ქმნიან საფუძველს, მის ძირითად პრედიქტორად განისაზღვროს თვითაგრესია. თვითაგრესია დესტრუქციული ქცევის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც მიმართულია უშუალოდ საკუთარ თავზე. თვითაგრესია პიკს აღწევს მოზარდობის ასაკში. რამდენადაც ეს პერიოდი გამოირჩევა ემოციურობის გამაძლიერებელი მძაფრი ჰორმონალური ცვლილებებით, მოზარდს უჭირს პრობლემებზე სათანადოდ რეაგირება, მწვავდება ბავშვობაში გადატანილი ფსიქოლოგიური ტრავმები, ხშირია სუიციდის მცდელობები, ადგილი აქვს ღია ზიზღს საკუთარი თავისადმი(განსაკუთრებით გარეგნობისადმი). თუ უმცროს სასკოლო ასაკში ბავშვი ორიენტირებულია მშობელთა და მასწავლებელთა კეთილგანწყობაზე, მოზარდობის ასაკში მოტივირებულია თანატოლებს აამოს. ისწრაფვის რა, სოციალურად მისაღები იყოს თავისი ასაკობრივი გარემოსთვის, სჩადის ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება ჯანრთელობისა და სიცოცხლის რისკსაც კი. საგულისხმოა ისიც, რომ მოზარდობის ასაკში გრძელდება როლურ იდენტიფიკაციათა ქსელის გაფართოება, საკუთარი ფსიქოლოგიური სივრცის დამცავი სტრატეგიების შერჩევა, თვითგამორკვევა, თვითდეტერმინაციის საბაზო მექანიზმების ფორმირება, სურვილებისა და მოვალეობების სინთეზს მორგებული ქცევის აგების ტექნიკის დაუფლება. ამ ყველაფერთან ერთად იზრდება მოზარდის მსხვერპლთან იდენტიფიკაციის რისკი და ვიქტიმური ქცევის პატერნების ათვისების ალბათობა, რის საფუძველზეც ფორმირდება რთული ყოფითი პრობლემების დეზადაპტაციური მეთოდებით მოგვარების ჩვევა. წარმოადგენს რა ვიქტიმური ქცევის პრედიქტორს, თვითაგრესიული ქცევის ტენდენციათა აქტივაცია განაპირობებს ინფანტილური, ნებელობადარღვეული, უპასუხისმგებლო და სტრესმედეგობას მოკლებული პიროვნებების ფორმირებას. შესაბამისად, აუცილებელია იმ დეტერმინანტთა ძიება, რომლებიც განსაზღვრავს ვიქტიმური ქცევისკენ მოზარდთა მიდრეკილების აღმოცენებას, რათა დაზუსტდეს არსი აღნიშნული ფენომენისა და განისაზღვროს ჩასატარებელი ფსიქოლოგიური სამუშაოების კონსტრუქციული მიმართულება.

საკვანძო სიტყვები: თვითაგრესია, ვიქტიმური ქცევა, ფსიქოლოგიური ტრავმები, თვითაგრესია.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე საზოგადოებისთვის ერთ-ერთ აქტუალურ პობლემას წარმოადგენს მოზარდთა თვითაგრესია ვიქტიმურობის, როგორც პიროვნული მახასიათებლის, ფორმირების რისკის კონტექსტში. ვიქტიმურობა(ლათ. Victima - მსხვერპლი) განიმარტება, როგორც სუბიექტის განსაკუთრებული მიდრეკილება ან მზაობა/წყობა განსაზღვრულ პირობებში იქცეს დაზარალებულად ან მსხვერპლად. მას ახასიათებს ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური ნიშნები, რომლებიც ქმნიან ფონს სუბიექტის მსხვერპლად ქცევისათვის. მსხვერპლს წარმოადგემს ის, ვინც სხვა ადამიანის/ადამიანთა ზემოქმედების შედეგად დაკარგა მისთვის მნიშვნელოვანი ფასეულობები და საკუთარი ნებით იწვევს და ექვემდებარება მოძალადეს. მსხვერპლთა კლასიფიკაციაში გამოიყოფა: აგრესიული (მსხვერპლად ქცევისთვის იყენებს თავდასხმასა და ზიანის მიყენებას ან უფრო მსუბუქ ფორმებს: წყევლას, დაცინვას და სხვ.), აქტიური (უშუალოდ არ ესხმის თავს, მაგრამ ცნობიერად ან არაცნობიერად, ირიბად იწვევს თავდამსხმელს), ინიციატორი (გარკვეული საზოგადოებრივი მდგომარეობის ან პიროვნული თვისებების მქონე ადამიანი, რომლის ქმედებაც იწვევს მისთვის ზიანის მიყენებას), პასიური (სხვადასხვა მიზეზთა გამო არანაირ წინააღმდეგობას არ უწევს მოძალადეს), არაკრიტიკული (განათლების დაბალი დონის, არასრულწლოვნების ან სხვა წინაპირობათა გამო ვერ ახერხებს სიტუაციის სათანადოდ შეფასებას; ავლენს დაუკვირვებლობას, არაკრიტიკულობის დემონსტრირებას)

და ნეიტრალური მსხვერპლის ტიპები.

თვითაგრესია ერთობ ფართო ცნებაა და მოიცავს, როგორც სამედიცინო, ისე ფსიქოლოგიურ განშტოებებს. მის აღმოცენებას მრავალი, როგორც შიდაპიროვნული, ისე გარემოდან მომდინარე მიზეზი განაპირობებს:

1. ფრუსტრაცია, რომლის დროსაც პიროვნებაში აღმოცენებული აგრესიული იმპულსი, ვერ პოულობს რა გარეთ გასასვლელს, მიიმართება შიგნით;

2. ფსიქოტრავმები, რომელიც ააქტიურებს ქცევის დაცვითი პატერნების აღმოცენებას თვითაგრესიის სახით;

3. შიდაპიროვნული კონფლიქტი, რომელიც განპირობებულია გარკვეული ობიექტის მიღების მაღალი მოლოდინისა და რეალობის შეუსაბამობის გაცნობიერებით.

4. ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და სოციუმთან ადაპტირების უუნარობა. ახლობელთა წრისა და სოციალური ინსტიტუტის აუცილებელი მხარდაჭერის არქონა მკვეთრად ამცირებს რესურსებს ნეგატიური ზემოქმედებებისადმი წინააღმდეგობის უნარს, აძლიერებს ქრონიკული სტრესის განცდას, იწვევს ნეგატიური ემოციებს.

თვითაგრესია, როგორც ერთ-ერთი თავდაცვით - შემგუებლური ქცევის მექანიზმი. უმეტესად ვლინდება მოზარდებში, რომლებიც მიდრეკილნი არიან ნევროზისკენ, დეპრესიისკენ, ინტროვერტობისკენ და დემონსტრატიული ქცევისკენ. კვლევათა რიგი წარმოაჩენს თვითაგრესიის კავშირს დაბალ თვითშეფასებასთან, ხასიათის მაზოხისტურ პიროვნულ აქცენტუაციასთან. თვითაგრესია შეიძლება განვითარდეს აგრეთვე არასტაბილურ და მგრძნობიარე ფსიქიკის მქონე მოზარდებში, რომლებიც მიდრეკილნი არიან სხვათა იდეალიზირებისა და საკუთარი თავის დამცირებისაკენ.

კვლევათა მიხედვით, პიროვნების ვიქტიმური დეფორმაციის ელემენტები მოზარდთა დაახ-ლოებით 30%-ში შეინიშნება. ვიქტიმური ტიპის მოზარდის ძირითადი მახასიათებლებია: ძალიან დაბა-ლი თვითშეფასება, უმწეობის განცდა, რიგიდულობა, კონფორმულობა, შფოთვისა და დეპრესიულობის მაღალი კოეფიციენტი. ვიქტიმურობისკენ მიდრეკილი მოზარდი ცნობიერად თუ არაცნობიერად ისწრაფვის ნებისმიერ სიტუაციაში მოირგოს მსხვერპლის როლი, რათა დაიმსახუროს საზოგადოების მხარდაჭერა. ის გამოირჩევა პასიური სოციალური პოზიციებით და უუნარობით სხვათა დახმარების გარეშე გაუმკლავდეს ექსტრემალურ/კრიზისულ სიტუაციებს. აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს არარეალიზებულობა და გადაუწყვეტელი შიდაპიროვნული კონფლიქტები, რომლებიც მსხვერპლის კომპლექსის ფორმირების მყარ საფუძველს ქმნიან.

მოზარდობის ხანა, როგორც წესი, მძაფრად და ზოგჯერ დრამატულადაც კი მიმდინარეობს, რადგან მასში განვითარების ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციებია გადახლართული, ერთის მხრივ, ნეგატიური გამოვლინებები(პიროვნული დისჰარმონია, ჩამოყალიბებულ ინტერესთა შეცვლა, მოზრდი-ლებისადმი პროტსტი და სხვ.), მეორეს მხრივ, უამრავი დადებითი შტრიხი(მზარდი დამოუკიდებლობა, ურთიერთობათა მრავალფეროვნება, პასუხისმგებლობის განვითარება და სხვ.).

შეიძლება ითქვას, რომ ასაკობრივი განვითარების ეს რთული პერიოდი მთელი შემდგომი ცხოვ-რების განმსაზღვრელია. მოზარდის ხასიათის, პიროვნული წყობისა და დამოკიდებულებების ფორმირებაზე გავლენს ახდენს, როგორც მისი მშვინვიერ-სულიერი პოტენციალი, ისე მიკროსოციალუ-რი პირობები, გარემოცვა, მნიშვნელოვან ადამიანებთან ურთიერთობა. გარემოსთან დეზადაპტაციის სხვადასხვა ფორმები იწვევს სხვადასხვა სომატურ და ფსიქიკურ დაავადებებს, სოციალურ გადახრებს; მაგალითად, ეს შეიძლება იყოს დევიაციური ქცევა, მიმართული სიამოვნების ნებისმიერი გზით მიღებაზე(ნარკოტიკები, ალკოჰოლი), სასურველი ობიექტის ნებისმიერი გზით მოპოვებაზე(წართმევა, მოპარვა), ნებისმიერი გზით თვითდამკვიდრებაზე(სხვათა დევნა, დამცირება, ძალადობა), აგრესია და თვითაგრესია. თვითაგრესია განიმარტება, როგორც განზრახული აქტივობა, მიმართული საკუთარი ფიზიკური და ფსიქიკური დაზიანებისკენ და მოიაზრება ვიქტიმური ქცევის ძირითად პრედიქტორად.

მოზარდის თვითაგრესიული პატერნი რთული პიროვნული წარმონაქმნია, რომელიც შედგება რიგი სუბბლოკებისგან: ხასიათობრივი(წარმოდგენილი თვითაგრესიისა და ხასიათის თავისებურებათა ურთიერთკავშირით), თვითშეფასებითი(წარმოდგენილი თვითაგრესიისა და თვითშეფასების ურთი-

ერთმიმართებით; რაც უფრო მაღალია თვითაგრესია, მით უფრო დაბალია კოგნიტური შესაძლებ-ლობების, სხეულებრივი „მე“-სა და ქცევის ავტონომიურობის თვითშეფასებითი კოეფიციენტი), ინტერაქტიური (მოიცავს სოციალიზაციისა და ადაპტაციის პროცესების წარმატება/წარუმატებლობის შესახებ წარმოდგენებს), სოციალურ-პერცეპტული(ვლინდება თვითაგრესიული ტენდენციებისა და საკუთარი პერსონისადმი სხვა ადამიანების აღქმითი თავისებურებების ურთიერთმიმართებით).

მოზარდის თვითაგრესიული ქცევის პრობლემისადმი სხადასხვა მიდგომათა ანალიზის შედეგად წარმოჩინდება რამდენიმე კვლევით მიმართულება: თვითაგრესიულობა, როგორც სუიციდუალური ქცევის სახესხვაობა; თვითაგრესიული ქცევა ადიქტიური და ფსიქოსომატური დარღვევების კონტექსტში; თვითაგრესია, როგორც პათოლოგიური ქცევითი ფორმა, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ფსიქიკური და სოციალური დეზადაპტაცია და რომელიც აღმოცენდება ექსტრემალურ სიტუაციაში იმ მიზნით, რომ შეცვალოს იგი საკუთარი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით.

ფსიქოლოგიაში თვითაგრესია განიხილება თავდაცვით მექანიზმად; როცა ადამიანს გარკვეული მიზეზით არ შეუძლია მიმართოს აგრესიული იმპულსი მისთვის მტრულად განწყობილ ობიექტზე, მას მიმართავს საკუთარი თავისკენ. მოზარდის შემთხვევაში ეს გადამისამართება შესაძლოა გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზებით:

- აგრესიის სამიზნე არის ადამიანი, რომელიც მოზარდისთვის ძვირფასია. მისი დაკარგვის შიში ხელს უშლის აგრესიის გამოხატვას.

- მოცემულ კონტექსტში აგრესიის გამოხატვა მიუღებელია საზოგადოებისთვის, რასაც მოზარდი აცნობიერებს („მე არ შემიძლია გამოვხატო აგრესია, რადგან ყველა გაიგებს ამის შესახებ და განმსჯიან) და ცვლის აგრესიულობის ვექტორის მიმართულებას.

- აგრესიის ობიექტი მიუწვდომელია (გარდაცვლილია ან შორსაა);

- აგრესიის ობიექტი არის ადამიანი, რომელიც მოზარდზე გაცილებით ძლიერია.

აგრესიის გადამისამართება, როგორც წესი, უმეტესად არაცნობიერად ხდება და ემოციონა-ლურად უფრო მომგებიანია მოზარდისთვის, ვიდრე მუდმივად უსიამოვნო და დესტრუქციულ განცდებში ყოფნა. ფსიქიკისთვის მიუღებელი სიტუაციისგან თავდაცვას და სტრესორისგან გაქცევას მოზარდი საკუთარი თავისთვის მცირე ტკივილის მიყენებით ცდილობს, რაც გარკვეული დროით უმსუბუქებს მდგომარეობას, მაგრამ შემდეგ ეს გადადის ჩვევაში. მოზარდი ვეღარც კი ამჩნევს, რომ ყოველი ნეგატიური ემოციის განცდისას იწყებს ფხანას, ფრჩხილების კვნეტას, საკუთარ თავზე ცუდად ფიქრს და ა.შ.. ამგვარი ქცევები, ცხადია, არა თუ ვერ წყვეტს პრობლემას, პირიქით, უფრო აღრმავებს. შედეგად მოზარდი უფრო იძულებს საკუთარ თავს და ვერ გადაუწყვეტია რა, დახმარების თხოვნა, უფრო შორდება გარშემომყოფთ.

რეფლექსიისა და ბრაზის გამოვლენის უუნარობა, გაღიზიანების შეკავება, უარის თქმა აგრესიულ რეაგირებაზე და გამოხატული ლტოლვა თვითაგრესიისაკენ განაპირობებს სოციალურად გამართლე-ბული, დამთმობი/დამჯერი ქცევისადმი მიდრეკილებას. მოზარდები მზად არიან გარეგნულად მოახ-დინონ სოციალურად გამართლებული ქცევის დემონსტრირება, შესაბამისი კონკრეტული სიტუაციისა და სოციუმის მოლოდინისა. ცხადია, ეს ხდება საკუთარი მიუღებელი განცდების შეკავების ფონზე. უიმედობის, არასასურველი მოვლენებიდან თავის ვერდაღწევის, განხიბვლის შეგრძნება ქმნის დამოკი-დებული და უმწეო ქცევის წანამძღვრებს. მრისხანე განცდებისა და აგრესიული იმპულსების ჩახშობა აძლიერებს მორჩილებას, შთაგონებადობას, კონფორმულობას , სხვისი გავლენების გაძლიერებას; მოზარდები, აქვთ რა მსხვერპლად ქცევის მიდრეკილება, ამართლებენ თავიანთკენ მომართულ სხვის აგრესიას და პატიობენ.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოებაში თვითაგრესიის განმამტკიცებელი ფორმები (ალკოჰოლის, თამბაქოს, ნარკოტიკების გამოყენება; სპორტისა და დასვენების ექსტრემალური საშუალებები; აქტივობათა საშიში სფერო; შედარებით უმნიშვნელო დესტრუქციული ქცევითი რეაქციები: კანის გადაყვლეფა ჭრილობის დონემდე, ფრჩხილების და ტუჩების კვნეტა დასისხლი-ანებამდე და ა.შ.) აღიარებულია სტრესის მომხსნელ საშუალებებად. ფსიქოანალიზის მიხედვით, არაცნობიერი ასოთდამშავებლობა - ქცევა, რომლის დროსაც მოზარდი მუდმივად რაღაცაზე წაბორძიკ-

დება ხოლმე და იღებს ჩალურჯებებს - წარმოადგენს ფსიქოლოგიური თვითაგრესიის ფორმას. მსგავსი თვითდაზიანებები შეიძლება გამოვლინდეს, როგორც ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებით, ისე კვებითი დარღვევებითა და იძულებითი უძილობით. არ არის აუცილებელი მოზარდი ამ დროს ფიქრობდეს: „მე ცუდი ვარ და თავი უნდა დავისაჯო“. უმეტესწილად ყველაფერი არაცნობიერ დონეზე ხდება. საგულისხმოა, რომ მოზარდები ხშირად სპეციალურად ახდენენ ჩხუბის პროვოცირებას ან მოცალეობის ექსტრემალური ფორმებით გატარებას.

მნიშვნელოვანია გავიაზროთ მიზეზები ამგვარი ქცევებისა და განვასხვავოთ მათი ქცევითი და ფსიქოლოგური დონეები. მაგალითად, შრომაჰოლიზმი (workaholism - სამუშაოსადმი გადამეტებული ერთგულება, საქმეზე, როგორც სოციალური იდენტურობისა და მხარდაჭერის განსაკუთრებულ წყაროზე ზედმეტად დაყრდნობა) ყოველთვის არ მიუთითებს თვითაგრესიაზე. ამ უკანასკნელს საფუძვლად უდევს ისეთი ფარული გრძნობები, როგორიცაა მრისხანება და საკუთარი თავის მიუღებლობა.

განიხილავენ თვითაგრესიული ქცევის რამდენიმე კატეგორიას: გამიზნული (თვითდაზიანება, სუიციდი) და არაცნობიერი (მსხვერპლისთვის ნიშანდობლივი ქმედება, სწრაფვა სახიფათო სიტუაციებისაკენ) თვითაგრესია; პირდაპირი (უშუალო ასოთდამშავებლობა) და ირიბი (საფრთხისშემცველი სიტუაციების პროვოცირება) თვითაგრესია; ფსიქოლოგიური (შრომაჰოლიზმი, დესტრუქციული აზრები, თვითგვემა) და ფიზიკური (ასოთდამშავებლობა) თვითაგრესია.

ფანატიკური ქცევები დამახასიათებელია, როგორც სპორტით, ისე რელიგიით დაინტერესებულთათვის. საქმე იმაშია, რომ დოგმათა მკაცრი დაცვის აუცილებლობა იწვევს ზრდას შინაგანი დაძაბულობისა, რომელიც განმუხტვისაკენ ისწრაფვის. რამდენადაც პირდაპირი აგრესია (მაგალითად, რელიგიაში) აკრძალულია, ემოცია გამოსავალს ჰპოვებს თვითაგრესიაში. თვითაგრესიის ერთ-ერთ განსაკუთრებულ კერძო შემთხვევად ითვლება მწვავე და ავადმყოფური ემპათია, რაც გულისხმობს ზეაწეულ თანაგრძნობას გარშემომყოფდამი. ამ შემთხვევაში მოზარდის თვითდაზიანების ფუნქციაა, შეამსუბუქოს სხვათა ტკივილი, ან თუ მოცემულ სიტუაციაში თავს დამნაშავედ გრძნობს, მსგავსი ტკივილით ზღოს დანაშაული. თვითაგრესია აუტისტი მოზარდების სპეციფიკური მახასიათებელია. საკუთარი წარმოდგენებით შემოსაზღვრული მათი ფსიქიკური სამყარო მრისხანებს უმნიშვნელო ცვლილებების დროსაც კი.

არის შემთხვეები, როცა მოზარდი თვითაგრესიის გარეგნულ გამოვლინებას იყენებს გარშემომყოფთა მანიპულაციისთვის. ამ დროს მისი თვითაგრესიული პატერნი მიმართულია ყურადღების მისაქცევად. მანიპულაციური თვითაგრესიის ნამდვილი თვითაგრესიისაგან გარჩევა შესაძლოა დაკვირვებით. თუ თვითდაზიანებები ხდება მხოლოდ სხვათა თანდასწრებით, საქმე გვაქვს მანიპულაციასთან. ძალიან ხშირად ასეთი მოზარდები რაიმე მიზნის მისაღწევად იყენებენ „მსხვერპლის“ ქმედებას. მასზე პასუხი არ უნდა იყოს სასურველის მიცემა ანუ პროვოკატორის წაქეზება, რაც ცხადია, ვერ გადაწყვეტს პრობლემას; პირიქით, მოზარდი მიეჩვევა ყოველთვის ისტერიკით მიიღოს სასურველი ნივთი.

თვითაგრესიული ქცევის გენეზისისათვის გადამწვეტი მნიშვნელობა აქვს ოჯახს. კონფლიქტურ-ძალადობრივი ოჯახური კლიმატი და არასათანადო აღზრდის სტილი პირდაპირი გზაა თვითაგრესიის ფორმირებისკენ. მშობელს ხშირად ავიწყდება, რომ შვილი გაიზარდა და მეგობრული რჩევა და დახმარება უფრო ესაჭიროება, ვიდრე კრიტიკული შენიშვნები და ლანძღვა; ხშირად „დრო არ ჰყოფნის“ იმისთვის, რომ შვილის განცდებითა და პირადი ცხოვრებით დაინტერესდეს, მასწავლებლებიც ერიდებიან პასუხისმგებლობის აღებას(„სახლიდან ასეთი მოდის“) და შესაბამისად, ძალაუფლება „ირიბი აღმზრდელების“ - აგრესიული კომპიუტერული თამაშების, ტელევიზიისა და ინტერნეტის ხელში გადადის. გულგრილი დამოკიდებულებით მოზარდი“იკეტება“, უჩნდება განცდა, რომ მისდამი მტრულად განწყობილ სამყაროში არ არსებობს სიყვარული, ნდობა და ურთიერთგაგება. ამგვარი განწყობის გადატანა/პროექცია უახლოესი გარემოცვიდან ცხოვრების ყველა სფეროზე ხდება და პათოლოგიურ სახეს იღებს. დგება „შინაგანი სიცარიელე“; იწყება საკუთარი თავისა და მოზრდილებისადმი რწმენის დაკარგვა, სამომავლო პერსპექტივების ნგრევა, რაც ყოველდღიური ოჯახური და სასკოლო ცხოვრებიდან გაქცევისა და საზოგადოებრივად მნიშვნელოვან სივრცეში დამკვიდრების სურვილს იწვევს; მაგრამ დევიაციური მოზარდისთვის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ცხოვრება იმ ნორმებისა და წესების უარყოფასთან ასოცირდება, რომლებსაც მისი არ ესმის, რომლებიც მას

უარყოფს და არ იღებს. ძალადობის ელემენტების შემცველი მოცემულობა (კომპიუტერული თამაშები, ტელევიზია და ა.შ.) კი აგრესიული ქცევის, აზრების და რისხვის პროვოცირებას ახდენს. მოზარდის მყიფე და ადვილად მოწყვლად ფსიქიკას ვირტუალური ძალადობა რეალობაში გადმოაქვს და სახეზეა მოზარდის აგრესიით გაჯერებული ფსიქიკური წყობა, რომლის აქტივიზირებისთვის მცირე იმპულსიც კი საკმარისია. მშობლების მცდელობა დასჯით შეაკავონ და აკონტროლონ მოზარდის აგრესია, მხოლოდ განამტკიცებს და ახშირებს მის დემონსტრირებას, რასაც საბოლოოდ მივყავართ თვითაგრესიის უკიდურესი გამოვლინებებისკენ(თვითდაზიანებები, სუიციდი).

მოზარდთა ვიქტიმური ქცევის თავიდან აცილების ყველაზე ეფექტური და ჰუმანური გზაა მოზარდთა თვითაგრესიის პრევენცია, რაც შეიძლება რამდენიმე მიმართულებით განხორციელდეს: უპირველესად, ეს არის პედაგოგთა, სკოლის ფსიქოლოგთა, სოციალურ მუშაკთა ჩართულობა; მოზარდებთან მათი ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს ასაკობრივი მახასიათებლებისა და თვითაგ-რესიული ქცევის მიზეზთა ცოდნასა და გაანალიზებას. მუშაობა ორიენტირებული უნდა იყოს მოზარდის თვითშეცნობისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, ცხოვრების მიზანთა სტრუქტურირებაზე, ჯანსაღი მიზნებისა და ინტერესების ჩამოყალიბებაზე. უნდა მოხდეს მოსწავლეთა ჩართვა სხვადასხვა პროფესიული სწავლების პროგრამებში, სხვადასხვა სპორტულ სექციებსა და წრეებში. სამუშაოს მეორე ბლოკი მიმართული უნდა იყოს მოზარდის შინაგანი დაძაბულობის მოხსნისკენ. მოზარდებმა უნდა ისწავლონ რელაქსაცია, კონფლიქტური სიტუაციები კონსტრუქციული გზით მოგვარება, საკუთარი აგრესიული იმპულსების სათანადოდ მართვა, შიშთან და შფოთვასთან გამკლავება. რაც შეეხება მუშაობის მესამე ბლოკს, იგი აუცილებლად უნდა იყოს აეწყოს მშობელთა საჭიროებების მიხედვით. ისინი უნდა გაერკვნენ შექმნილი პრობლემური სიტუაციის მიზეზებში და საჭიროებისამებრ შეცვალონ საკუთარი შვილების მიმართ დამოკიდებულება. მშობელთა კომპეტენციის გაუმჯობესება, ცხადია, უნდა მოხდეს სპეციალურად შედგენილი პროგრამებით.

დასკვნა

ამრიგად, მოზარდებში თვითაგრესიის, როგორც ვიქტიმური ქცევის ძირითად პრედიქტორად წარმოჩენას, განაპირობებს თავად თვითაგრესიის ფენომენისა და მოზარდობის ასაკის ტიპურ მახასიათებელთა „ჰარმონიული“ თანხვედრისა და მოზარდისთვის ესოდენ რთული/მტკივნეული ყოფითი პრობლემების „მოგვარების“ შესაძლებლობა. კერძოდ,

- თვითაგრესია, როგორც ვიქტიმური დეფორმაციის, ანუ ურთიერთობებში მსხვერპლის სოცია-ლური როლის მორგების აქტივატორი, არასაკმარისი სოციალური კონტაქტებისა და პიროვნებათშორი-სი ურთიერთობების ფონზე, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ მოზარდს პრობლემათა გადაჭრის საშუალებებს სთავაზობს.

- თვითაგრესიის, როგორც აუტოვიქტიმური დეფორმაციის, ანუ ურთიერთობებში მსხვერპლის როლის თამაშისადმი მიდრეკილების მეთოდებს(ასოთდაზიანების აქტები, ცრუ და დემონსტრატიული თვითგვემის ფორმები) მოზარდი „წარმატებით“ იყენებს სხვა ადამიანთა გრძნობებზე მანიპულაციის საშუალებად.

- თვითაგრესია, როგორც ჰიპერვიქტიმური დეფორმაციის, ანუ მსხვერპლის პოზიციის, სტატუსის მიღების ტექნიკა, საკუთარი სოციალური უმწეობის ფონზე მოზარდს აძლევს ძალას აგრესიის ვექტორი გარედან შიგნით მიმართოს: მიაყენოს საკუთარ თავს ის ტკივილი, რომელიც გამიზნული ჰქონდა მისი აღქმით ბოროტი/უსამართლო ადამიანებისთვის და „შეისუბუქოს“ ნეგატიური ემოციური მდგომარეობა.

- თვითაგრესია, როგორც მიდრეკილება უკრიტიკო ვიქტიმური ქცევისაკენ, სრულად ეთანადება მოზარდობის ასაკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს - „საკუთარი უვნებლობის შეგრძნებას“. როგორც წესი, მოზარდები ზერელედ ეკიდებიან საკუთარ სასიცოცხლო რესურსსა და შესაძლებლობებს; თვლიან, რომ უკვდავები არიან და არაფერი ემუქრებათ; იტაცებთ სპორტის ექტრემალური სახეობები და სხვადასხვა ტიპის ადიქციები.

რაც უფრო ტრავმულია მოზარდის სულიერ-მშვინვიერი გამოცდილება, მით მეტი დამაჯერებ-ლობით განიხილავს იგი თვითაგრესიას, როგორც ცხოვრებისეული სირთულეების მოგვარებისა და

მიზნის მიღწევის ერთადერთ საშუალებას და შესაბამისად, იზრდება რისკიც ვიქტიმური შტრიხის, როგორც მდგრადი პიროვნული მახასიათებლის ფორმირებისა. მოზარდთა ვიქტიმური ქცევის თავიდან ცილების ყველაზე ეფექტური და ჰუმანური გზაა მოზარდთა თვითაგრესიის პრევენცია. ნამდვილად ღირს დაფიქრება იმაზე, თუ როგორ აღიქვამს სამყაროს მოზარდი, რომლმაც მისთვის რთულ პერიოდში პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზად თვითაგრესია აირჩია; ამ თვალსაზრისით, საჭიროა მოზარდებთან სულიერი კონტაქტი და არა მათზე კონტროლის გაძლიერება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უზნაძე დ., პედაგოგიური თხზულებანი, „კოლორი“, თბილისი, 2005.
2. ჩხარტიშვილი, შ., აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974.
3. ჭიჭინაძე, კ., აგრესია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
4. Бандура, А; Уолтерс, Р., Подростковая агрессия, Апрель Пресс. ЭКСМО- Пресс, Москва, 2000.
5. Берковиц, А., Агрессия: Причины, последствия и контроль, ОЛМА- Пресс, Москва, 2002.
6. Берон, Р., Ричардсон, Д., Агрессия, СПб: Питер, 2001.
7. Яковлев, Б. П., Литовченко, О. Г., Аутоагрессия: современные проблемы, „Феникс“, Ростов-на-Дону, 2006.
8. Feshbach, S., The function of aggression and the regulation of aggressive drive, Psychological Review, 1964.

Self-aggrandizement as a Predictor of Victim Behaviour

Nana Bokuchava
PhD Student of Georgian Technical University

Summary

Victimism (from Latin Victima - victim) is defined as a particular propensity / willingness of a subject to become a victim or victim under certain conditions. The combined specific characteristics of victim behaviour as a psychological act form the basis for defining self-aggression as its main predictor. Self-aggression is a form of destructive behaviour that is directed directly at oneself. Self-esteem peaks in adolescence. As this period is characterized by severe hormonal changes that enhance emotionality, the adolescent has difficulty responding properly to problems, exacerbates childhood psychological trauma, frequent suicide attempts, and open disgust with oneself (especially with one's appearance). If at a young school age the child is focused on the goodwill of parents and teachers, in adolescence he is motivated to please his peers.

Striving to be socially acceptable to his or her aging environment, he or she engages in actions that are associated with health and even risk to life. It is also noteworthy that in adolescence, the network of role identifications continues to expand, selecting strategies to protect one's own psychological space, self-determination, forming basic mechanisms of self-determination, and mastering behavioural construction techniques tailored to the synthesis of desires and duties. All this increases the risk of identification with the adolescent victim and the likelihood of assimilation of victim behaviour patterns, which forms the habit of solving complex everyday problems by decapitation methods. As a predictor of victim behaviour, the activation of tendencies of self-aggressive behaviour leads to the formation of infantile, obsessive-compulsive, irresponsible and stress-resistant individuals. Therefore, it is necessary to search for the determinants that determine the emergence of adolescents' tendency to victimize behaviour in order to clarify the essence of this phenomenon and to determine the constructive direction of psychological work to be performed.

ეთიკის და ქცევის ნორმები საჯარო სამსახურში

გველესიანი გივი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საჯარო სამსახური და საჯარო მოხელეთა ქცევა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოქალაქეთა ცხოვრებაზე. ამასთანავე, საჯარო სამსახურის ნდობის ამაღლების მიზნით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გარკვეულ პრინციპებსა და ღირებულებებზე შეთანხმება. აქედან გამომდინარე აუცილებელია საჯარო სამსახურში საჯარო მოხელეთათვის ეთიკური გარემოს შექმნა, ქცევის წესების განსაზღვრა და დაცვა. ასეთ შეთანხმებებს, საჯარო სამსახურის სხვადასხვა მხარეთა შორის უკეთესი ურთიერთობების შენარჩუნება შეუძლიათ.

საჯარო სამსახურის ეთიკა მოიცავს პრინციპებს, სტანდარტებსა და ღირებულებებს, რაც ეხმარება საჯარო მოხელეებს სწორი არჩევანის გაკეთებაში და კეთილსინდისიერ და მიუკერძოებელ მოპყრობას საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას; ასეთი არჩევანი კეთილსინდისიერების, პროფესიონალიზმის, გამჭვირვალეობისა და მიუკერძოებლობის აუცილებელი წინაპირობაა, რომელიც ინტერესთა შეუთავსებლობის, კორუფციის და სხვა ეთიკური დარღვევების პრევენციის საფუძველია.

საჯარო მმართველობაში მნიშვნელოვანია ღია მმართველობის პარტნიორობის მიერ განსაზღვრული ხუთი „დიდი გამოწვევა", კერძოდ: სახელმწიფო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო მოხელეების კეთილსინდისიერების ამაღლება, სახელმწიფო რესურსების ეფექტური მართვა, უფრო უსაფრთხო საზოგადოების შექმნა და კერძო კომპანიების ანგარიშვალდებულების გაზრდა [1].

საჯარო მოხელედ მუშაობის მნიშვნელობას განსაზღვრავს საჯარო მოხელეთა პასუხისმგებლობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხი, რაც ხელს უწყობს საჯარო სამსახურში დემოკრატიული პრინციპებისა და სტანდარტების უზრუნველყოფისა და პოლიტიკური სტაბილურობისა და ჯანსაღი პოლიტიკური გარემოს შექმნაში. ეთიკა საჯარო სამსახურში უზრუნველყოფს აღნიშნული პრინციპების და სტანდარტების პრაქტიკაში დამკვიდრებას.

საჯარო სამსახურში ეთიკური გარემო მოიაზრებს საჯარო მოხელეს მოქმედებას საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, ემსახურებოდეს საზოგადო სიკეთეს და არა საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობდეს. ამის შედეგადიზრდება საზოგადოებაში ნდობა და დადებითად ზემოქმედებს მოქალაქეებზე, საჯარო სამსახურის მთელ სისტემაზე. ეს საჯარო სამსახურში ღირებულებათა განსაზღვრისა და მოხელეთა ქცევის სტანდარტიზაციის მთავარი განმსაზღვრელია.

ეთიკის სათანადოდ უზრუნველყოფისთვის ღირებულებების განსაზღვრამუშაობის პროცესში არ არის საკმარისი, აუცილებელია საჯარო მოხელეთა მიერ ამ ღირებულებების სწორად გააზრება და გამოყენება.

საქართველოს საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შემუშავებისა და შემოღების მიზნით აუცილებელი გახდა ეთიკური გარემოს შექმნა და სტანდარტების დამკვიდრება, რაც გულისხმობს საჯარო მოხელეთა ქცევის წესების განსაზღვრას და საზოგადოებისა და საჯარო სამსახურისათვის მნიშვნელოვანი ღირებულებების პრაქტიკაში გატარებას. საჯარო მოხელეთა ქცევის მოწესრიგება და სტანდარტიზება ხელს უწყობს საზოგადოების ნდობის ამაღლებას და ნორმების შევსებას ღირებულებებით, რომლებიც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია [2,3].

ამგვარად, საჯარო სამსახურის ეთიკა ამკვიდრებს ღირებულებებსა და შედეგზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

ძირითადი ტექსტი

ადამიანის ნებისმიერი სახის პროფესიული საქმიანობა აყალიბებს კორპორატიულ პროფესიულ ეთიკას, რომელიც არეგულირებს თანამშრომლის ქცევას თავისი მორალური სტანდარტებით. პროფესიული ეთიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მმართველობითი სტრუქტურებისთვის და, უპირველეს

ყოვლისა, საჯარო სამსახურისთვის.

პროფესიული ეთიკის განვითარების ისტორია უძველესი დროიდან იღებს სათავეს, მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა XX საუკუნეში. ეს აისახა პროფესიული მორალის მრავალი კოდექსის შექმნით, საზოგადოების ყურადღების გადატანაში ფუნდამენტური ეთიკური ცოდნის განვითარებიდან გამოყენებითი ეთიკის საკითხებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ნორმატიულ ეთიკას, რომელიც ეხება მორალური ურთიერთობების განვითარების პრაქტიკას, თეორიის გავლენას მოქმედი ნორმების შინაარსის დაზუსტებისა და ახალინორმატივების შექმნის პროცესზე, ეწოდება გამოყენებითი ეთიკა. სამეცნიერო ცოდნის ამ მიმართულებას მიეკუთვნება, მაგალითად, პოლიტიკური პარტიების მიერ შემუშავებული სხვადასხვა კოდექსები ან კორპორატიული ორგანიზაციებისა და ჯგუფების მიერ შემოთავაზებული ღირსების კოდექსები. ისინი არ არიან პროფესიონალები, თუმცა უდავოდ მიეკუთვნებიან გამოყენებითი ეთიკის სფეროს. რიგ შემთხვევებში გამოყენებითმა ეთიკამ მოიცვა ადამიანის საქმიანობის მთელი სფეროები.

ეთიკური აზროვნების განვითარების ახალი მიმართულებები გახდა, მაგალითად, გარემოს დაცვითი ეთიკა, ბიზნეს ეთიკა და ა.შ.თუმცა, ყველაზე წარმატებით ვითარდებოდა გამოყენებითი ეთიკის ისეთი სფერო, როგორიცაა პროფესიული ეთიკა. ეს გამოწვეულია იმით, რომ შეიცვალა ხალხის მუშაობის ხასიათი. სამეცნიერო, ტექნოლოგიურმა და ინფორმაციულმა რევოლუციებმა გამოიწვია შრომის ინდივიდუალიზაცია და წარმოშვა მრავალი ახალი პროფესია. სწორედ იმ მომენტისათვის მოძველებული აღმოჩნდა არსებული ზოგადი მორალური მოთხოვნები, რამდენადაც ისინი არ მოიცავდა XX საუკუნის მეორე ნახევრის პროფესიული ურთიერთობების მთელ სპექტრს. შედეგად ამ პერიოდში მოხდა პროფესიული ეთიკის განსაკუთრებული განვიტარება.

ყველაზე სრულყოფილი განმარტების თანახმად პროფესიული ეთიკა წარმოადგენს „კვლევის სფეროს, რომლის შესწავლის საგანია მორალის პროფესიული ასპექტები, რომელიც მიზნად ისახავს ეთიკური პრინციპებისა და ნორმების დასაბუთებას და შემუშავებას, რომლებიც გადაეცემა თაობიდან თაობას და არეგულირებს ადამიანების პრაქტიკული ქცევის სტანდარტებს, კონკრეტული პროფესიის ფარგლებში. პროფესიული ეთიკა წარმოშობის მომენტიდან არა მხოლოდ განსაზღვრავდა ურთიერთობებს ამა თუ იმ შრომითი საქმიანობის სფეროში, არამედ განსაზღვრავდა მის სოციალურ მნიშვნელობაც“. [10]

თანამედროვე პროფესიების უზარმაზარ მრავალფეროვნებაში, ინდივიდის ქცევის მორალური მოთხოვნები ჩამოყალიბებულია სოციალური პასუხისმგებლობის სპეციფიკური ფორმების დაფიქსირების აუცილებლობასთან დაკავშირებით. დღეს ფართოდ არის გავრცელებული ადამიანის ისეთი ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, რომლებიც პირდაპირ დამოკიდებულია მის ინდივიდუალურ გადაწყვეტილებაზე და რომლის კონტროლიც, ხშირად, შეუძლებელია სხვაგვარად, გარდა შემზღუდველი ან პრევენციული ხასიათის მორალური ნორმის დამტკიცებით.

პროფესიების თავისებურება, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ მორალურ კოდექსებს ან განეკუთვნებიან არაკოდიფიცირებულ პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ ხარისხს ყველაზე მეტად ორი ტიპის პროფესიას უკავშირდება. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, პროფესიები, რომლებიც უშუალოდ ეხება პიროვნებას, შრომის იმ სახეობას, რომელიც აშკარად გავლენას ახდენს ყველა ადამიანის ბედზე, რომელიც შედის სპეციალისტის საქმიანობის სფეროში. ამ პროფესიებს მიეკუთვნება ექიმის, იურისტის, მასწავლებლის, ფსიქოლოგის, მაშველის, სოციალური მუშაკის და სხვ. პროფესიები.

მეორეს მხრივ, ეს არის ისეთი პროფესიები, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაოს ტიპებთან, რომელთა შედეგები გავლენას ახდენს მთელ საზოგადოებაზე გლობალური მასშტაბით. ეს არის - მეცნიერის, მმართველის, პოლიტიკოსის, მედიის მუშაობაში ჩართული ადამიანების და სხვა. ეთიკური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი შრომით დაკავებული ადამიანების საქმიანობასთან, და რომლის შედეგებიც შეიძლება იყოს გლობალური, განსაკუთრებით მწვავე ხდება იმის გამო, რომ ბევრი გადაწყვეტილება და ქმედება ანონიმური რჩება. სპეციალისტსა და მისი მუშაობის შედეგს შორის ხშირად არის უამრავი შუალედური რგოლი, რაც ართულებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გამომჟღავნებას. თუ მეცნიერებაში ან მმართველის მუშაობაში ჯერ კიდევ შესაძლებელია ინდივიდუალური ავტორის იდენტიფიცირება და ინდივიდუალური პასუხისმგებლო-

ბის დადგენა, მაშინ უფრო და უფრო ძნელი ხდება ირიბი გავლენის შეფასება, მაგალითად, საზოგადოების ცნობიერების მდგომარეობაზე; მედიის საქმიანობაში ჩართული პირების მუშაობის შესახებ და სხვა.

პროფესიული ეთიკა, რომელიც დაკავშირებულია ზემოთ ხსენებულ ორივე ტიპის პროფესიასთან, ყველაზე განვითარებულია. გამომდინარე იქიდან, რომ შრომა სულ უფრო და უფრო ზოგადი ხასიათის იძენს, ხოლო ადამიანის საქმიანობა, თუნდაც შრომის ბევრ კონკრეტულ სახეობაში, ასოცირდება უშუალო საფრთხესთან სხვებისთვის (მაგალითად, მძღოლების, პილოტების, დისპეტჩერების და სხვათა მუშაობაში), თანამედროვე სამყაროში აქტიურად ვითარდება ტენდენცია ყველა არსებული პროფესიები მოიცვას პროფესიულმა, კოდიფიცირებულმა მორალმა.

პროფესიული ეთიკა გაგებულია, როგორც ნორმების, პრინციპების, იდეალების, ასევე პრაქტიკული ქცევის ფორმებსა და მექანიზმების ერთობლიობა, რომლებიც ხელს უწყობს მათ გადაცემას (რიტუალები, ადათ-წესები, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები და ა.შ.). ტერმინი „ეთიკა“ აქ გამოიყენება „მორალის“ მნიშვნელობით, სავარაუდოდ, ასეთი სიტყვის გამოყენება ასოცირდება პროფესიული მორალის ჩამოყალიბების სპეციფიკასთან და იმ ფაქტთან, რომ მისი ჩამოყალიბების ადრეული ეტაპებიდან მრავალი ნორმა ფიქსირდებოდა წერლობითი ფორმით, შეტანილ იქნა კანონში, მხარდაჭერილია სხვადასხვა პროფესიული დოკუმენტებით.

საჯარო სამსახურის ეთიკა, როგორც პროფესიული ეთიკის ერთ-ერთი სახეობა, არის ზნეობრივი ნორმების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთობის გარკვეულ ტიპს საჯარო სამსახურში.

საჯარო სამსახურის ეთიკა მოიცავს პრინციპებს, წესებსა და ნორმებს, რომლებიც გამოხატავს მორალურ მოთხოვნებს თანამდებობის პირის ზნეობრივ არსთან, სახელმწიფოსთან, საჯარო მოხელეებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან მისი ურთიერთობის ხასიათზე.

ადამიანის ნებისმიერი სახის პროფესიული საქმიანობა აყალიბებს კორპორატიულ პროფესიულ ეთიკას, რომელიც აწესრიგებს, არეგულირებს თანამშრომლის ქცევას თავისი მორალური სტანდარტებითა და ნორმებით. პროფესიული ეთიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მმართველი სტრუქტურებისთვის და, უპირველეს ყოვლისა, საჯარო სამსახურისთვის.

ეთიკური ნორმები ფუნდამენტურ როლს თამაშობს ნებისმიერი სახის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში, თუმცა არის პროფესიები, სადაც განსაკუთრებით დიდია ეთიკური სტანდარტების სწორედ ასეთ სამსახურს განეკუთვნება. ერთ-ერთი ასეთი პროფესიაა საჯარო სამსახური.

საჯარო სამსახური არის საქმიანობის სპეციფიკური სახეობა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებასთან და სახელმწიფოს სახელით მოსახლეობაში ძირითადი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროგრამების განხორციელებასთან.

სახელმწიფო მმართველობის სფეროში ეფექტური მმართველობის ჯგუფების ჩამოყალიბება ყველაზე მნიშვნელოვანი და უკიდურესად აქტუალური ამოცანაა. პერსონალის/საკადრო პრობლემების შესწავლისას ბევრი მეცნიერი, ანალიტიკოსი და პოლიტიკოსი ყურადღებას აქცევს იმ მექანიზმების არსებობას, რომელიც საშუალებას იძლევა პრაქტიკაში განახორციელოს მაღალი ხარისხის კადრების შერჩევა და პერსონალის რაციონალური განლაგება, მათ შორის მათი სოციალური არსის, ზნეობრივი ორიენტირების, მორალური ცნობიერების და ეთიკის გათვალისწინებით.

ადამიანს, რომელიც სახელმწიფო სამსახური, მინიჭებული აქვს საზოგადოების დიდი ნდობა, რადგან ეს სამსახური იძლევა მდგომარეობის გამოყენების ფართო შესაძლებლობას. საჯარო სამსახურში მოსვლისას თანამშრომელი აკეთებს შეგნებულ არჩევანს და ეთანხმება მკაცრ შეზღუდვებს როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო საქმიანობაში. რაც უფრო მაღალია თანამდებობა, მით მეტია ამ შეზღუდვათა დიდი უმრავლესობა სწორედ ეთიკის სფეროდანაა.

საჯარო მოხელის პროფესიული ეთიკა ხელს უწყობს მორალური ფასეულობების კონკრეტიზაციას და განხორციელებას ისეთ პირობებში, რომლებიც ზოგჯერ ძალიან რთული და უჩვეულოა. პროფესიული ეთიკა არ აყალიბებს მორალური ცნობიერების ახალ პრინციპებსა და ცნებებს, ის თითქოს უკვე ცნობილ პრინციპებს, ცნებებს „ადაპტირებს“ ადამიანის ცხოვრების კონკრეტულ სფეროებში. ადამიანის საქმიანობის თითოეული სახეობა (სამეცნიერო, პედაგოგიური, მხატვრული და სხვ.) შეესაბამება პროფესიულ ეთიკის გარკვეულ ტიპებს.

დასკვნა

1. ადამიანის ნებისმიერი სახის პროფესიული საქმიანობა აყალიბებს კორპორატიულ პროფესიულ ეთიკას, რომელიც არეგულირებს თანამშრომლის ქცევას თავისი მორალური სტანდარტებით, რაც მნიშვნელოვანია მმართველობითი სტრუქტურებისთვის და საჯარო სამსახურისთვის.

2. თანამედროვე პროფესიების უზარმაზარ მრავალფეროვნებაში, ინდივიდის ქცევის მორალური მოთხოვნები ჩამოყალიბებულია სოციალური პასუხისმგებლობის სპეციფიკური ფორმების დაფიქსირების აუცილებლობასთან დაკავშირებით. დღეს ფართოდ არის გავრცელებული ადამიანის ისეთი ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, რომლებიც პირდაპირ დამოკიდებულია მის ინდივიდუალურ გადაწყვეტილებაზე და რომლის კონტროლიც, ხშირად, შეუძლებელია სხვაგვარად, გარდა შემზღუდველი ან პრევენციული ხასიათის მორალური ნორმის დამტკიცებით.

3. პროფესიების თავისებურება, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ მორალურ კოდექსებს ან საუბრობენ არაკოდიფიცირებულ პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ ხარისხზე, ყველაზე მეტად ორი ტიპის პროფესიას უკავშირდება: პროფესიები, რომლებიც უშუალოდ ეხება პიროვნებას, შრომის იმ სახეობას, რომელიც აშკარად გავლენას ახდენს ყველა ადამიანის ბედზე, რომელიც შედის სპეციალისტის საქმიანობის სფეროში და პროფესიები, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაოს ტიპებთან, რომელთა შედეგები გავლენას ახდენს მთელ საზოგადოებაზე გლობალური მასშტაბით.

4. საჯარო სამსახურის ეთიკა, როგორც პროფესიული ეთიკის ერთ-ერთი სახეობა, მოიცავს პრინციპებს, წესებსა და ნორმებს, რომლებიც გამოხატავს მორალურ მოთხოვნებს თანამდებობის პირის ზნეობრივ არსთან, სახელმწიფოსთან, საჯარო მოხელეებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან მისი ურთიერთობის ხასიათზე.

5. საჯარო მოსამსახურის პროფესიული ეთიკის ძირითადი ცნებები და პრინციპები ქმნიან მის ჩარჩოს, რომელიც ივსება „ხორცითა და სისხლით“ სხვადასხვა ყოველდღიურ სიტუაციებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დოღონაძე, გ. იაშვილი `საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები - „ელექტრონული მთავრობა", „ცისნამი", თბილისი, 2013.
2. აღაპიშვილი ი., ბესელია გ., ცუხიშვილი, ნ. „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების კომენტარები, თბილისი, 2018.
3. აღაპიშვილი ი., ბესელია, გ. „ეთიკა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში“ . მესამე გამოცემა, თბილისი, 2017.
4. ეთიკა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში http://www.csb.gov.ge/media/1471/ethics-manual.pdf
5. საჯარო სამსახურის ბიურო, საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობა, გზამკვლევი საჯარო მოხელეებისათვის, თბილისი, 2018.
6. საჯარო სამსახურის ბიურო, ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების გზამკვლევი საჯარო მოხელეთათვის, თბილისი, 2017
7. „საჯარო სამსახურის შესახებ“, თბილისი, 2015, www.parliament.ge (უკანასკნელად გადამოწმებულია 2022 წლის 15 მაისი)
8. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ www.parliament.ge (უკანასკნელად გადამოწმებულია 2022 წლის 15 მაისი)
9. „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება
10. Adebayo Adeyinka O., Ethical Issues in Public Service, International Journal of Social Science and Humanity, Vol. 4, No. 5, September 2014, p. 410-412.
11. Thompson D. Paradoxes of Government Ethics. // Public Administration Review. Washington. 1992. Vol. 52. P. 52–60.

Norms of ethics and behavior in public service

Givi Gvelesiani
Georgian Technical University

Summary

Any kind of professional activity of a person forms a corporate professional ethic that regulates employee behavior by its own moral standards, which is important for governance structures and public service. In the vast variety of modern professions, the moral requirements of an individual's behavior are formulated in relation to the need to fix specific forms of social responsibility.The peculiarities of professions that require special moral codes or speak of a special degree of non-codified responsibility are mostly related to two types of professions: professions that directly affect the person, the type of work that clearly affects the fate of all people involved in the profession, and professions that Is related to the types of work whose outcomes affect society as a whole globally.Public service ethics, as one of the types of professional ethics, includes principles, rules and norms that express the moral requirements of the official's moral nature, the nature of his relationship with the state, public officials and civil society.

საპრეზიდენტო არჩევნების გაშუქება ქართულ მედიაში

ზარიძე ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ქართული მედია რომ პოლარიზებულია, ეს სიახლე არავისთვის არის, სამაგიეროდ, ამ საკითხის კვლევა ძალიან საინტერესოა. ჩვენი სადოქტორო ნაშრომის თემაც სწორედ აქედან გამომდინარეობს. მისი სათაურია-„ახალი ამბების გაშუქების ძირითადი ტენდენციები თანამედროვე ქართულ ტელემედიაში („რუსთავი 2“, „იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“; 2018-2019წწ.) სტატიაც ახალი ამბების გაშუქებას შეეხება, კონკრეტულად კი-არჩევნების გაშუქების საკითხს მიმოვიხილავთ. ეს თემა ძალზედ აქტუალური და საინტერესოა. მით უფრო, რომ ახალი ამბებისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი ყველაზე მეტად სწორედ მაშინ იკვეთება, როდესაც ქვეყანაში წინასაარჩევნო პერიოდია. მიუხედავად არხების მრავალფეროვნებისა, მაყურებელი მაინც თავიანთი პოლიტიკური გემოვნებიდან გამომდინარე ირჩევს თუ რომელ არხს უნდა უყუროს და დაუჯეროს. ასე რომ, ახალი ამბების გაშუქების სპეციფიკას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ მიერ კვლევის ობიექტად არჩეული მაუწყებლების(„რუსთავი 2“; „საზოგადოებრივი მაუწყებელი; „იმედი“) მაგალითზე დავაკვირით თუ როგორ გაშუქდა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ქართულ მედიაში. რადგანაც ამ სამ არხს ქართველი მაყურებელი კარგად იცნობს, ვფიქრობთ, რომ მათ მაგალითზე ჩატარებული კვლევა საინტერესო იქნება. ჩვენ გვაინტერესებდა თუ რამდენად იცავდნენ ჟურნალისტები პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს, იკვეთებოდა თუ არა პოლიტიკურად მიკერძოების ფაქტები და ეს კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა. და ზოგადად, ქართული საზოგადოება არჩევნების მიმდინარეობისას ინფორმირებული რამდენად იყო; ამ ყოველივეს ჩვენ მიერ ჩატარებული მედიამონიტორინგის შედეგებიდან შეიტყობთ. აღსანიშნავია, რომ როგორც უშუალოდ არჩევნების დღეს, ასევე, მის წინა საარჩევნო პერიოდსაც ვაკვირდებოდით, რაც საკითხის უკეთ შესწავლასა და გაანალიზებაში დაგვეხმარა. კვლევის პროცესში შედარებისა და შეპირისპირების მეთოდებია გამოყენებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მედია მონიტორინგის ჩატარებამდე „არჩევნების გაშუქების სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის“ შევისწავლეთ, რომელიც „მედიის განვითარების ფონდის“ პროექტის-„გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მედია არჩევნებზე დემოკრატიული პრაქტიკის განმტკიცებისთვის“ ფარგლებში ექსპერტმა ჟან მარი კოუტმა მოამზადა. ამ სახელმძღვანელოდან ის საინტერესო წესები თუ ნიუანსები გავიგეთ, რაც არჩევნების საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.

საკვანძო სიტყვები: ტელევიზია, გაშუქება, არჩევნები, მედია, პოლიტიკა, პრეზიდენტი.

ძირითადი ტექსტი

2018 წელს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, რომელშიც ერთმანეთის მთავარი კონკურენტები სალომე ზურაბიშვილი და გრიგოლ ვაშაძე იყვნენ. სალომე ზურაბიშვილს მხარს „ქართული ოცნება“ უჭერდა, გრიგოლ ვაშაძე კი გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“-ს კანდიდატი გახლდათ. პრეზიდენტობის ტიტულისთვის ბრძოლა კანდიდატებმა საკმაოდ ადრე დაიწყეს, ეს პროცესი მედიის წარმომადგენლებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ. სტატიის ძირითადი ნაწილიდან გაიგებთ თუ როგორ გააშუქეს ჩვენ მიერ კვლევის ობიექტად არჩეულმა მაუწყებლებმა („რუსთავი 2“ (ძველი „რუსთავი 2“ იგულისხმება); „იმედი“; „საზოგადოებრივი მაუწყებელი“); 2018 წლის არჩევნები და, ზოგადად, როგორ უნდა მუშაობდნენ ჟურნალისტები მაშინ, როდესაც ქვეყანაში არჩევნების პერიოდია.

სანამ უშუალოდ საპრეზიდენტო არჩევნების გაშუქების შესახებ ვისაუბრებთ, დარგობრივ ლიტერატურაზე დაყრდნობით, ზოგადად, არჩევნების საკითხების გაშუქებას მიმოვიხილავთ. კონკრეტულად კი ექსპერტ ჟან მარი კოუტის მიერ მომზადებულ ,,არჩევნების გაშუქების სახელმძღვანელო

ჟურნალისტებისთვის“ განვიხილავთ, რომელიც „მედიის განვითარების ფონდის“ ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში გამოიცა. აღნიშნულ სახელმძღვანელოში იმ წესებს იხილავთ, რომლებიც არჩევნების საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.

უშუალოდ არჩევნების დღის დადგომამდე, მაუწყებლებს საკმაოდ დიდი მომზადება სჭირდებათ. მათ თავიანთი ადამიანური, ტექნიკური თუ ფინანსური რესურსი სწორად უნდა შეაფასონ. მედია მენეჯერებს საარჩევნო პროცესის განრიგი კარგად უნდა ჰქონდეთ შესწავლილი, რადგანაც არც ერთ რეგიონსა თუ ქალაქში ჟურნალისტები არ დააკლდეთ. არჩევნებამდე ყველა ჟურნალისტმა, რომელიც პროცესის გაშუქებაში უნდა ჩაერთოს, შესაბამისი აკრედიტაცია უნდა გაიაროს. თუ როგორ ემზადება მედია ორგანიზაცია არჩევნების დღის დადგომამდე, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც წესი, ეს ჟურნალისტების მუშაობაზე ყოველთვის აისახება. წინასაარჩევნო პერიოდში მედიის წარმომადგენლები პოლიტიკურ კანდიდატებთან კონკრეტული კითხვებით უნდა მივიდნენ. ,,საკითხები, რომლებიც მოქალაქეებს აწუხებთ, ყურადღებით უნდა მომზადდეს და კარგად დასაბუთებული და დოკუმენტირებული იყოს. ჟურნალისტმა უნდა შექმნას თემატური ბარათები იმ საკითხებზე, რომელთა განხილვა სურთ, თავისი საკვანძო სტატისტიკით, ანგარიშების ან/კვლევების მთავარი მიგნებებით, განცხადებებით ან მაგალითებით რეალური ცხოვრებიდან“. [1,1] ჟურნალისტის მთავარი მოვალეობა საზოგადოების ინფორმირებულობა უნდა იყოს, მუშაობის დროს სუბიექტურობა და ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიისა და კანდიდატის მიმართ მიკერძოება არ უნდა იკვეთებოდეს; ეს მაყურებელს არასდროს გამოეპარება და, რაც მთავარია, ჟურნალისტური სტანდარტების აშკარა დარღვევაა.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, 2018 წელს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, სადაც ერთმანეთის მთავარი კონკურენტები სალომე ზურაბიშვილი და გრიგოლ ვაშაძე იყვნენ. სალომე ზურაბიშვილი მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი გახლდათ, გრიგოლ ვაშაძე კი გაერთიანებულ ოპოზიციას-„ძალა ერთობაშიას“ წარმოადგენდა. საკვლევად როგორც კონკრეტულად არჩევნების დღე, ასევე, წინასაარჩევნო პერიოდიც საინტერესო იყო. ჩვენ მიერ კვლევის ობიექტად შერჩეულმა მაუწყებლებმა(„რუსთავი 2“, „იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“) ამ საკითხის გაშუქებას ძალიან დიდი დრო დაუთმეს. წინასაარჩევნო პერიოდს ყველაზე ხშირად „რუსთავი 2“, შემდგომ კი „იმედი“ აშუქებდა. „რუსთავი 2“-ის ეთერში დიდი დრო გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს, გრიგოლ ვაშაძეს ეთმობოდა, „იმედზე“ კი აქცენტი ქართული ოცნების მხარდაჭერილ კანდიდატზე, სალომე ზურაბიშვილზე კეთდებოდა. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ როგორც წინასაარ-ჩევნო პერიოდს, ასევე კონკრეტულად არჩევნების პროცესს შედარებით დაბალანსებულად აშუქებდა.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ინფორმაცია ჩვენ მიერ კვლევის ობიექტად არჩეულ სამივე მაუწყებელზე დიდი სიხშირით შუქდებოდა. „რუსთავი 2“ გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატის, გრიგოლ ვაშაძისკენ იყო გადახრილი და ეს პოლიტიკური ფიგურა ამ ეთერში ყოველთვის დადებითი კუთხით იყო წარმოჩენილი. რასაც ვერ ვიტყოდით სალომე ზურაბიშვილზე, რომლის შესახებაც ყოველთვის ნეგატიური სიუჟეტები მზადდებოდა. განსხვავებული სიტუაცია იყო ტელე იმედზე, სადაც „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილისა და მისი სამომავლო გეგმების შესახებ მხოლოდ დადებით ინფორმაციას მოისმენდით, ხოლო გრიგოლ ვაშაძე და „ძალა ერთობაშია“ ყოველთვის უარყოფით კონტექსტში იყო ნახსენები. როგორც აღვნიშნეთ, შედარებით დაბალანსებული „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ გახლდათ, მაგრამ დაკვირვებული თვალი იქაც შეამჩნევდა, რომ ჟურნალისტები მაინც სამთავრობო პოზიციისკენ იყვნენ გადახრილები. მაგალითად: არჩევნების დღეს დარღვევების შესახებ მხოლოდ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტები გვიყვებოდნენ, ხოლო „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“, მსგავსად ტელე „იმედისა“, დარღვევებისა და ინციდენტების შესახებ, ფაქტობრივად, არაფერი თქმულა.

საბოლოოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ მართალია მაყურებლები ინფორმირებულები იყვნენ, მაგრამ ჟურნალისტები იმ პროფესიულ სტანდარტებსა და წესებს, რომლებიც „არჩევნების გაშუქების სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის“-ში ამოვიკითხეთ, თითქმის არ ასრულებდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოუტი ჟ. MDF-ის მედიის საარჩევნო გზამკვლევი-,,არჩევნების გაშუქების სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის“; გვ9. https://bit.ly/3swXm99
2. „იმედი“, ,,ქრონიკა“; 20:00 საათზე ; 27 ნოემბერი, 2018 წ. https://cutt.ly/fm0vSIZ 6.04-10.22წთ.
3. „იმედი“, „ქრონიკა“; 20:00 საათზე - 29 ნოემბერი, 2018 წ. https://cutt.ly/tm71i19 34.34-39.33წთ.
4. „რუსთავი 2“; „კურიერი“ 9 საათზე; 29 ოქტომბერი, 2018წ. https://cutt.ly/nmNh0n0 0.01-6.36წთ.
5. „რუსთავი 2“, „კურიერი“; 29 ნოემბერი, 2018წ. https://cutt.ly/Xm7aWvI 0.01-3.41წთ.
6. ,,საზოგადოებრივი მაუწყებელი“; „მოამბე“ 10 საათზე, 29 ოქტომბერი; 2018წ. https://cutt.ly/nm1N6ov 0.01-1.26წთ.
7. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „მოამბე“ 19 საათზე; 28 ნოემბერი, 2018წ. https://cutt.ly/sm44VgN 8.30-9.20წთ.

Coverage of the presidential elections in the Georgian media

Zaridze Nino
PhD student of Georgian Technical University

Summary

The fact that the Georgian media is polarized is not news to anyone, instead, it is very interesting to study this issue. The topic of our doctoral dissertation is also derived from this. Its title is "The main trends in news coverage in modern Georgian television (" Rustavi 2 "," Imedi "," Public Broadcaster "; 2018-2019) The article also deals with news coverage, specifically we review the issue of election coverage. This topic is very relevant and interesting. Moreover, the relationship between news and politics is most evident when there is a pre-election period in the country. Despite the variety of channels, viewers still choose which channel to watch and believe based on their political tastes. So the specifics of news coverage are very important.

On the example of the broadcasters ("Rustavi 2"; "Public Broadcaster;" Imedi) selected as the object of research, we observed how the 2018 presidential elections were covered in the Georgian media. Since Georgian viewers are well acquainted with these three TV channels, we think that the research conducted on their example will be interesting. We were interested in how well the journalists adhered to professional and ethical standards, whether the facts of political bias were obvious, and what exactly it was manifested in, and in general, how much the Georgian society was informed during the elections; You will learn all this from the results of our media monitoring. It is noteworthy that we observed the election day directly, as well as its previous period, which helped us to better study and analyze the issue. Comparison and contrast methods are used in the research process.

It should also be noted that prior to the media monitoring, we studied the "Election Coverage Guide for Journalists" prepared by expert Jean-Marie Coet as part of the Media Development Foundation's project "Strengthening Transparent and Accountable Media in Democratic Elections". With this guide we have learned the interesting rules or nuances that journalists working on election issues must follow.

Keywords: Television, Coverage, Elections, Media, Politics, President.

პოსტპანდემიური ჟურნალისტიკის გამოწვევები და შესაძლებლობები

თაბაგარი მაია
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

პანდემია რეალურად არის ერთგვარი სტრეს ტესტი საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემისთვის, რომელმაც ინფორმაციის შეუზღუდავი ნაკადიდან, რთულ და არაპროგნოზირებად გარემო პირობებში უნდა შეასრულოს მისი უპირველესი მისია: უპასუხოს საზოგადოების ინფორმირების საჭიროებებს. ამ ფონზე ახალი ამბის მიღების, დამუშავების, მომზადებისა და გავრცელების პროცესში უმთავრეს ამოცანად თავად ინფორმაციის გადარჩენა და მისი მიწოდების სწორი გზების გამონახვა რჩება. საზოგადოება ითხოვს ახალ ამბებს და მასთან ერთად, საუბრის ახალ ტონს.

ახალმა ინფორმაციულმა ხანამ ბევრი სრულიად ახალი რამ მოგვიტანა. რაც კარგია, რა თქმა უნდა, ეს არის საინფორმაციო ველის უსასრულობა, როდესაც გარკვეული უნარებითა და შესაძლებლობებით შეგიძლიათ იპოვოთ ყველაფერი, რაც გჭირდებათ. მაგრამ არის ასევე უარყოფითი - თანამედროვე საინფორმაციო სივრცემ ყველაფრის ვირტუალიზაცია მოახდინა - ერთი მხრივ, დაჩრდილა ჟურნალისტიკის როლი და ფუნქცია, მეორე მხრივ, ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ყალბი ამბების უკონტროლოდ ტირაჟირებას.

პანდემია, როგორც ჟურნალისტიკის სტრეს-ტესტი მართლაც გლობალური აღმოჩნდა. მას შეიძლება მედიამოვლენაც ვუწოდოთ, ასეთ დროს კი ადამიანებს უწევთ და მოსწონთ კიდეც ამ მოვლენის შესახებ სიახლეების გაცნობა.

კორონავირუსის პირველ ეტაპზე მედიამ მოიგო თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მოქალაქეების ინტერესი გაიზარდა ამ ახალი, უჩვეულო და მეტიც, ჯერ კიდევ ამოუცნობი ვირუსის მიმართ. ამ დროს საზოგადოებისთვის ბენეფიციარები გახდნენ ტელევიზია და ინტერნეტი და არა ვთქვათ, კინოთეატრები ან ღამის კლუბები.

პირველად ბოლო წლების განმავლობაში ახალგაზრდების დიდი ნაწილი გადაერთო ტელევიზიისაკენ, თუმცა ეს ქცევა დიდხანს არ გაგრძელებულა და მალევე შეიცვალა, დაუბრუნდა უწინდელ ჩვევას - ახალგაზრდებმა კვლავ ინტერნეტს, ძირითადად კი - სოცქსელებს მიშურეს, ხანდაზმულები კი კვლავ ერთგულ ტელემაყურაბლებად დარჩნენ.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, ტელევიზია, ინტერნეტი, კინოთეატრები, სტრეს-ტესტი.

ძირითადი ტექსტი

პანდემიის საწყის ეტაპზე ტვ და ონლაინ ვიდეოსერვისებმა მაქსიმუმი გამოადნეს: აუდიტორიის ჯამურმა ზრდამ 53 პროცენტს მიაღწია კარანტინის დროს. თუმცა, შემდგომ დაიწყო ვარდნა და წინა ნიშნულამდე დაბრუნება. პოპულარობა და ყურებადობა შეინარჩუნეს ტელესერიალებმა, ახალგაზრდა აუდიტორია ისევ დაშორდა სატელევიზიო ეკრანს და კვლავ ქსელებს მიაშურა, სადაც დღესაც წარმატებით რჩება.

საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია კანტარი, რომელიც, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ოპერირებს, მიუთითებს სოცმედიის მომხმარებლების უპრეცედენტო ზრდაზე. ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ორგანიზაციის მონაცემებით, 18-დან 35 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში სოციალური პლატფორმების მომხმარებელთა რაოდენობა გაიზარდა 40%-ით.

კანტარმა გაზომა არა მხოლოდ მაყურებელთა წილი, არამედ ნდობის ხარისხიც. საერთაშისო კვლევითმა საკონსულტაციო კომპანიამ დაადგინა, რომ საზოგადოებაში არის მედიისადმი ნდობის კრიზისი. ნაციონალური მაუწყებლების ნდობა შეადგენს 51%-ს, ხოლო სოცმედიის მომხმარებლების მხოლოდ 11%-ს აქვს სანდო ინფორმაციის მოლოდინი.

„როდესაც არ ვიცით ფაქტები, არ გვაქვს რეალობის საერთო ხედვა, გავრცელებული ტყუილი ცვლის ფაქტებს, სიმართლე კი ჩრდილში რჩება - ამბობს ფინელი ჟურნალისტი მარია რესა, - დღეს, როდესაც ადამიანები სოციალური მედიიდან იღებენ ინფორმაციას, ხშირად - არაზუსტს,

ჟურნალისტიკა უფრო მნიშნელოვანი გახდა, ვიდრე ადრე“.

პანდემიის ზემოქმედება მედიაზე - ჟურნალისტიკა ვირუსის პირისპირ

კარანტინისა და იზოლაციის შემდეგ ოფისში დაბრუნებულმა ზოგიერთმა ჟურნალისტმა აღმოაჩინა, რომ თითქმის არაფერი შეცვლილა, ნაწილმა კი მათი საქმიანობის გაურკვეველი პერსპექტივა და ბუნდოვანება დაინახა, ზოგიერთისათვის ნიუსრუმი საერთოდ „გაქრა“.

ჯერ კიდევ პანდემიის საწყის ეტაპზე, ლოქდაუნის დროს უმაღლესი დონის დისკუსია გაიმართა სახელწოდებით „მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება და დამოუკიდებლობა კოვიდ-19-ის დროს“. პრესის თავისუფლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით გაეროს გენერალური მდივნის ანტონიო გუტერეშის თაოსნობით იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა ოდრი აზულემ და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა მიშელ ბაჩელეტმა ეპიდემიის კონტექსტში მედიის თავისუფლებისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ თავისუფალი, დამოუკიდებელი და მტკიცებულე-ბებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკის თაობაზე ჟურნალისტთა მსოფლიო გაერთიანებების ხელმძღვანელებთან ერთად იმსჯელეს.

„პანდემიამ არ უნდა გამოიწვიოს თავისუფალი პრესის „გაქრობა“, დამოუკიდებელი, ფაქტებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკა ემსახურება საზოგადოების ინტერესებს, - ეს განცხადება ანტონიო გუტერეშმა სოლიდური ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე და მედიასაშუალებათა ფინანსური მდგომარეობის შესახებ არსებული მონაცემების შეფასებებისას გააკეთა.

გაეროს ხელთ არსებული მონაცემებით, გამოიკვეთა ის ძირითადი ფაქტორები, რაც ეპიდემიის გავლენით თავისუფალი მედიის განვითარების გზაზე დაბრკოლებად იქცა.

1.ჟურნალისტთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობა. გამოკითხული ჟურნალისტების დაახლოებით 70 პროცენტი აღიარებს, რომ პანდემიის ემოციური და ფსიქოლოგიური ასპექტები მათთვის ყველაზე რთული იყო.

2.ფინანსური სირთულეები გაეროს მონაცემებით, მხოლოდ ბეჭდური პრესის ზარალმა წელიწადში 30 მილიარდი დოლარი შეადგინა. ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, საველე კორესპონდენტების და შტატგარეშე თანამშრომლების ორმა მესამედმა დაკარგა სამსახური ან არ მიიღო დაპირებული ანაზღაურება, ჟურნალისტების 40 პროცენტის შემოსავალი შემცირდა.

3.დეზინფორმაციის გაზრდილი ნაკადი. „კორონავირუსის ინფექციის გავრცელებასთან ერთად, პანდემიამ გამოიწვია კიდევ ერთი პანდემია - დეზინფორმაციის პანდემია - ჯანმრთელობის მავნე რჩე-ვებიდან გიჟური შეთქმულების თეორიებამდე. “მედია იძლევა ანტიდოტს - დადასტურებულ, მეცნი-ერულ, ფაქტებზე დაფუძნებულ ამბებს და ანალიტიკას. ანტიდოტი მედიის თავისუფლება და ფაქტების მიუკერძოებლად გაშუქებაა. ეს არის ჟურნალისტიკა შიშისა და მიკერძოების გარეშე. ეს ბევრად მეტია ვიდრე სლოგანი, ეს არის სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხი“ - ამბობს გაეროს გენერალური მდივანი.

სოციალურ მედიაში ყალბი ამბების მიერ მიყენებული ზიანის ბრალდებების საპასუხოდ, Facebook-ის სპიკერი მონიკა ბიკერტი აღიარებს პრობლემას, თუმცა, ხაზგასმით მიუთითებს თავისი კომპანიის ძალისხმევაზე, გამოავლინოს, გამოასწოროს და ზოგ შემთხვევაში, წაშალოს ყალბი ამბები, შეუსაბამო ფაქტები, დეზინფორმაცია, განზრახ გამოქვეყნებული მავნე შინაარსი.

დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების გავრცელების მზარდი ტენდენცია დასახელებულია ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრისა (ICFJ) და კოლუმბიის უნივერსიტეტის ციფრული ჟურნალის-ტიკის ცენტრის ერთობლივი კვლევაშიც.

გამოიკითხა 125 ქვეყნის 1400-ზე მეტი ჟურნალისტი. კვლევა მედიაპლატფორმების თანამშრო-მელთა ფართო სპექტრს მოიცავდა - ახალი ამბების რეპორტიორებიდან -აღმასრულებელ დირექტო-რებამდე.

პირველადი შთაბეჭდილება, რაც კვლევიდან რჩება, არის ის, რომ პანდემია, ყველაზე რბილი შეფასებით, იყო მკაცრი ჟურნალისტიკის მიმართ. ბევრ სხვა გამოწვევასთან ერთად, ჟურნალისტებს მოუწიათ გამკლავებოდნენ ისეთ საფრთხეებს, როგორებიცაა: ფინანსური არასტაბილურობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა და ფიზიკური უსაფრთხოების რისკი.

ჟურნალისტთა 70%-მა ყველაზე ნეგატიურ ფაქტორად კოვიდ-19-ის ფსიქოემოციური გავლენა

მიიჩნია. 67%-მა პანდემიის ყველაზე მნიშვნელოვან სირთულედ ფინანსური პრობლემები დაასახელა. საფრთხეების ჩამონათვალში მათ მოსდევს: ინტენსიური დატვირთვა, სოციალური იზოლაცია და ვირუსით რეალურად დაინფიცირების რისკი.

„ჰიბრიდული“ გამოსავალი

მედიაზე პანდემიით მიყენებული ზიანის შესწავლა და ახალი შესაძლებლობების წარმოჩენა იყო კიდევ ერთი მასშტაბური კვლევის საგანი. როიტერსის ინსტიტუტმა ოქსფორდის უნივერსიტეტთან ერთად ჩაატარა კვლევა, რომელიც 42 ქვეყნის 132 მაღალი რანგის მედიამენეჯერის გამოკითხვასა და სიღრმისეულ ინტერვიუებს ეყრდნობა. ანგარიშში მოცემულია ინიციატივების ნიმუშები, რომლებიც განხორციელდა პანდემიით გამოწვეული პრობლემების გადასაჭრელად ავსტრალიიდან ზიმბაბვემდე, კოლუმბიიდან მალაიზიამდე.

პირველი და უმთავრესი მიგნებაა „ჰიბრიდული საქმიანობის“ გარდაუვალობა. მკვლევარები მიუთითებენ, რომ ამგვარი სინთეზი მალე გახდება სტანდარტი, ნორმა მედიასაშუალებების თანამშრომელთათვის. მედიაინდუსტრიის ამოცანად კვლავ რჩება პროფესიონალი კადრების მოზიდვა და მრავალფეროვნების დეფიციტის აღმოფხვრა.

ახალ რეალობაზე აქტიური გადაწყობის მიუხედავად, ბევრი მედიამენეჯერი ჰიბრიდული მუშაობის არასრულფასოვნებაზე წუხს. მათი მთავარი არგუმენტი სამი კ-ს პრინციპს ეფუძნება. მენეჯერები ამბობენ, რომ შერეული ფორმატი კრეატიულობის, კომუნიკაციისა და კოოპერაციის დილემას აჩენს.

„როიტერსის“ მედია ამბების სტრატეგიის რედაქტორი, ჯეინ ბარეტი მიუთითებს, იძულებითი დისტანციური მუშაობის შედეგად „კავშირის“ გაქრობაზე. ის „კავშირს“ უწოდებს მეოთხე კ-ს, რომელიც გარდაუვლად აუცილებელია რედაქციის მუშაობაში დანარჩენ სამ კ-სთან ერთად: კოოპერაციას, კრეატიულობასა და კომუნიკაციასთან ერთად: „ძნელია ადამიანებთან კონტაქტი სხეულის ენის გარეშე და თითქმის შეუძლებელია კომპიუტერის ეკრანიდან მომზირალ კოლეგებთან ურთიერთობის ენერგეტიკის შექმნა“ - ამბობს ბარეტი.

დღეს ახალი ამბების რედაქციები ფიქრობენ, როგორ აღმოფხვრან ნაკლოვანებები, დაიცვან თანასწორობის პრინციპი, მოიზიდონ მეტი ინოვაცია, გახდნენ უფრო მრავალფეროვანნი, იყვნენ უფრო მოქნილი.

როგორც ჩანს, ჰიბრიდული მომავალი გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ, დისტანციური მუშაობის ფორმა. ეს არის ერთგვარი ოპერაციული მოდელი, სადაც სამუშაო სრულდება ადგილმდებარეობის მითითების გარეშე, სადაც ცოდნა და ნიჭი გამოიყენება უფრო ეფექტიანად, სადაც იერარქია ნაკლებად ფორმალურია და ურთიერთობაში სხვადასხვა ჯგუფია ჩართული. გამოწვევების მიუხედავად, ჩანს რეალური შესაძლებლობები, რომ ჟურნალისტებმა შეძლონ სიღრმისეული კვლევა, გახდნენ მეტად ინკლუზიურები, უფრო დაუახლოვდნენ აუდიტორიას და იყვნენ რელევანტურები პროცესების მიმართ.

დასკვნა

პანდემიის რთულმა ვითარებამ ძალზედ რთული კითხვები გააჩინა, რომელზეც მარტივი პასუხები არ არსებობს და დიდი ძალისხმევაა საჭირო მათ მოსაფიქრებლად. ამდენად, გამოწვევებს თანმიმდევრულად და ეტაპობრივად, სწორად დაგეგმილი სცენარით უნდა უპასუხონ, თანამშრომელთათვის შექმნან ისეთ პირობები, რომ ოფისში სრულად დაბრუნებულ თანამშრომლებს ნიუსრუმი არ დახვდეთ ისეთი, როგორიც პამდემიამდე ახსოვთ, არამედ დახვდეთ უკეთესი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://news.un.org/ru/story/2021/04/1401912?fbclid=IwAR0GQ4vJv1XFen96zX5IdtstoYvOHyiHYB7bYi4lOQLKWy_3Xksf0gPGet4
2. https://whatsnewinpublishing.com/key-to-reimagining-post-pandemic-journalism-how-the-challenges-unleashed-by-the-pandemic-have-also-unveiled-real-opportunities/?fbclid=IwAR0mp3-C6W6hsS7LsTmo_iYIYiApx2HCEc_3n1vkX_yhiDTlELupF93z-Sg
3. https://www.icfj.org/our-work/journalism-and-pandemic-survey
4. https://reutersinstitute.politics.ox.ac.uk/changing-newsrooms-2021-hybrid-working-and-improving-diversity-remain-twin-challenges-publishers?fbclid=IwAR2HdIL58YsDb5hQhABFq4HwFy8-5YGrW-

E4Bn5dcvr8KENrCC9XdhXxAWE
5. https://www.instyle.com/celebrity/christiane-amanpour-cnn-essay?fbclid=IwAR1GHkG_ZmrywrVxYqBGK0We5OVjAPG6XuCIGXPmywlVpUbTwg6be31fMY4

Media Challenges and Opportunities in Pandemic Conditions

Maia Tabagari
Associate Professor of Grigol Robakidze University

Summary

A pandemic is actually a kind of stress test for an information communication systems. These systems must fulfill their primary mission of responding to the needs of informing the public in a difficult and unpredictable environment. Due to the unrestricted flow of information, doing so is challenging. The main task in the process of receiving, processing, preparing and disseminating news is to save the information itself and find the right ways to deliver it. The public demands news and with it, a new tone of conversation.

The new information age has brought us many completely new things. The good thing, of course, is the infinity of the information; with certain skills and abilities you can find everything you need. But there is also a downside - the modern information space has virtualized everything - on the one hand, it has overshadowed the role and function of journalism, on the other hand, it has created fertile ground for uncontrolled circulation of fake news.

The pandemic as a stress test for journalism turned out to be truly global. It can also be called a media event - when people have to and even would like to get news about this event.

In the first stage of the coronavirus, the media won even in the sense that the interest of citizens in this new, unusual and, moreover, still unknown virus has increased. Television and the Internet, not the cinemas or nightclubs, became beneficiaries of the public interest at this time.

For the first time in recent years, a large proportion of young people have switched to television, but this behavior did not last long and soon changed. Returning to its former habit - young people again turned to the Internet, mostly social networks, while the elderly remained loyal to Television.

In the early stages of the pandemic, TV and online video services reached their maximum: total audience growth reached 53 percent during quarantine. However, then it started to fall and return to the previous mark. Maintaining popularity and viewership of TV series, the young audience again moved away from the TV screen and again switched to networks where it remains successful to this day.

The international consulting company Kantar, which operates in many countries around the world, points to an unprecedented increase in social media users. According to the study, the number of users of social platforms in the age group of 18 to 35 years increased by 40%.

Kantar measured not only the audience share, but also the degree of trust. An international research consulting firm has found that there is a crisis of public confidence in the media. The trust of national broadcasters is 51%, while only 11% of social media users expect reliable information.

"Without the facts, we do not have a common vision of reality, the common lies change the facts, but the truth remains in the shadows" said Finnish journalist Maria Resa.

საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ტენდენციები დემოკრატიის პირობებში

კილაძე მაკა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში - „საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ტენდენციები დემოკრატიის პირობებში“ - მოიცავს საკითხებს საზოგადოებრივი აზრის კონკრეტული საკითხის მიმართ ინდივიდთა შეხედულებების, დამოკიდებულებისა და წარმოდგენების შესახებ, რომელსაც იაზრებს საზოგადოების დიდი ნაწილი. ასევე განხილულია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ტენდენციები. დემოკრატიულ ხელისუფლებაში დემოკრატიის მაჟორიტარული და პლურალისტური მოდელები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან საზოგადოებრივი როლის თვალსაზრისით. მაჟორიტარული მოდელების თანახმად, ხელისუფლება ვალდებულია აკეთოს ის, რასაც მოითხოვს საზოგადოების უმეტესი ნაწილი. ეს განსხვავდება პლურალისტური მოდელის მომხრეთა თვალსაზრისისგან, რომლების ამტკიცებენ, რომ საზოგადოებას, როგორც ერთ მთლიანს, იშვიათად შეუძლია ზუსტი და თანმიმდევრული აზრის გამოხატვა, მიმდინარე საკითხებზე. დემოკრატიის პრინციპები მოქმედებს მაშინ, როცა განსხვავებულ საზოგადოებრივ აზრს დაუფარავად შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლა გულისხმობს მოსახლეობის მცირე ნაწილის გამოკითხვას მთელი საზოგადოების თვალსაზრისის გაგების მიზნით. საზოგადოებრივი აზრი არის კოლექტიური დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის ან მოვლენის მიმართ. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა თანამედროვე ცხოვრების იმდენად ორგანული ნაწილია, რომ ხშირად ავიწყდებათ რამდენად ახალია ასეთი კვლევა. ის ჩვენს ცხოვრებაში დამკვიდრდა 1930-იანი წლებიდან, ხოლო გამოკითხვის მეთოდიკა მძლავრ კვლევით საშუალებთ იქცა მხოლოდ 1950-იანი წლებიდან - კომპიუტერის გამოგონების შემდეგ.

უკანასკნელ პერიოდში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ტექნოლოგიებმა უფრო სერიოზული სახე მიიღო. რესპოდენტთა უმეტესობას ეკითხებიან ეთანხმებიან თუ არა ისინი ამა თუ იმ დებულებას ან პოლიტიკას. ზოგიერთი კითხვარი მოქალაქეებს სთხოვს სხვადასხვა პოლიტიკურ ალტერნატივას შორის აირჩიონ ერთ-ერთი. ასეთი გამოკითხვის მეთოდებით მკვლევრები შედარებით მცირე რაოდენობის რესპოდენტთა პასუხების საფუძველზე მოსახლეობის დიდი ნაწილი პროგნოზს აკეთებს. ყველაზე ხშირად მიმართავენ შემთხვევით შერჩევის მეთოდს. ამგვარი შერჩევისას ასაკობრივი, რასობრივი, რელიგიური, პოლიტიკური, განათლების ნიშნით შერჩეული და სხვა ჯგუფები მეტნაკლებად უნდა შეესაბამებოდეს მთელ მოსახლეობას.

საკვანძო სიტყვები: საზოგადოებრივი აზრი, პროგნოზი, რელიგია, პოლიტიკა,

ძირითადი ტექსტი

საზოგადოებრივი აზრი კონკრეტული საკითხის მიმართ ინდივიდთა შეხედულებების, დამოკიდებულებისა და წარმოდგენების ერთობლიობაა, რომელსაც იაზრებს საზოგადოების დიდი ნაწილი. საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის კონცენტრირებულია გარკვეული იდეებისა და მოვლენების გარშემო. საზოგადოებრივ აზრში დიდია ცრურწმენების, სტერეოტიპების შეცდომების როლი. ის ამოტომ რიგ შემთხვევებში საშიშიც შეიძლება იყოს მისი არაკომპეტენტურობის გამო.

საზოგადოებრივი აზრი (public opinion) - ადამიანთა ჯგუფების შეფასებითი მსჯელობები სინამდვილის პრობლემების, მოვლენებისა და ფაქტების შესახებ. ტერმინი პოლიტიკურ ლექსიკონში ზოგადი აზრით პირველად გამოიყენეს მე- 18 საუკუნეში. სპეციალური მნიშვნელობა მან შეიძინა 1930-იან წლებში, მაგრამ ამასთან დაკარგა ზოგადი მნიშვნელობა, როდესაც დაიწყო საზოგადოებრივი აზრის მეცნიერულად დასაბუთებული გამოკითხვები. საზოგადოებრივი აზრი შედგება ორი კომპონენტისაგან - საზოგადოებისა და აზრისაგან. საზოგადოება, როგორც ხალხის ჯგუფი გაერთიანებულია საერთო ინტერესებით გარკვეულ სფეროში, ხოლო აზრი კი წარმოადგენს ადამიანის მიერ კონკრეტული საკითხის გამოხატვას. როცა აზრი საკმაოდ მიზანმიმართულად ჩამოყალიბებულია, ისინი იწყებენ

ვერბალურ ან სამოქმედო აქტებს. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი აზრი წარმოადგენს საერთო პრობლემის შესახებ აზრთა თავმოყრას, ანუ სხვა სიტყვებით , ის წარმოადგენს თავისებურ კონსესუსს, რომელიც წარმოიშობა ერთნაირი პრობლემით გაერთიანებულ ადამიანებს შორის. საზოგადოებრივი აზრი ეს ინდივიდუალური აზრების დამთხვევაა, რაღაც გარკვეული ჯგუფის ადამიანებისთვის. საზოგადოებრივი აზრის არ არის სტატიკური, ის დინამიკური პროცესია, აზრების შეთანხმებაა, რომლებიც ხელს უწყობს მოქმედებების მიმართულებას. საზოგადოებრივი აზრი აღიძრება შიდა ჯგუფის ხალხში, ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უთანხმებენ პრობლემებს და სიტუაციიდან გამოსავალს ნახულობენ. თითოეული ინდივიდის აზრი სოციალური პრობლემის შესახებ, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოებრივ განხილვაზე. ამიტომ, კომუნიკაციას შემთხვევით არ იყენებენ ერთ სიბრტყეში აზროვნებასთან ერთად. კომუნიკაცია საჭიროებს აზროვნებასთან ერთიანობას და პირიქით.

საზოგადოების აზრის ფორმირების ტენდენციები

დემოკრატიულ ხელისუფლებაში დემოკრატიის მაჟორიტარული და პრულარისტური მოდელები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, საზოგადოებრივი როლის თვალსაზრისით. მაჟორიტარული მოდელების თანახმად, ხელისუფლება ვალდებულია აკეთოს ის, რასაც მოითხოვს საზოგადოების უმეტესი ნაწილი. ეს განსხვავდება პლურალისტური მოდელის მომხრეთა თვალსაზრისისგან, რომლების ამტკიცებენ, რომ საზოგადოებას, როგორც ერთ მთლიანს, იშვიათად შეუძლია ზუსტი და თანმიმდევრული აზრის გამოხატვა, მიმდინარე საკითხებზე. დემოკრატიის პრინციპები მოქმედებს მაშინ, როცა განსხვავებულ საზოგადოებრივ აზრს დაუფარავად შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლა გულისხმობს მოსახლეობის მცირე ნაწილის გამოკითხვას მთელი საზოგადოების თვალსაზრისის გაგების მიზნით. საზოგადოებრივი აზრი არის კოლექტიური დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის ან მოვლენის მიმართ. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა თანამედროვე ცხოვრების იმდენად ორგანული ნაწილია, რომ ხშირად ავიწყდებათ, რამდენად ახალია ასეთი კვლევა. ის ჩვენს ცხოვრებაში დამკვიდრდა 1930-იანი წლებიდან, ხოლო გამოკითხვის მეთოდიკა მძლავრ კვლევით საშუალებად იქცა მხოლოდ1950-იანი წლებიდან - კომპიუტერის გამოგონების შემდეგ.

დემოკრატიის თითოეულ მოდელს აქვს განსხვავებული დამოკიდებულება საზოგადოებრივი აზრის მიმართ. მაჟორიტარული მოდელის მიხედვით ითვლება, რომ მოსახლეობის უმეტეს ნაწილს აქვს გარკვეული, თანმიმდევრული აზრი მთავრობის პოლიტიკის შესახებ. პრულარისტული მოდელი ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი აზრი ხშირად გაყოფილია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ასახავს ამ განსხვავებებს. რა უდევს საფუძვლად ამ განსხვავებებს? რის საფუძველზე აყალიბებს ხალხი თავის მრწამს და შეხედულებებს პოლიტიკოსების შესახებ. კონკრეტულად, როგორ ყალიბდება პოლიტიკური შეხედულებანი?

საზოგადოებრივი აზრის განსაზღვრისათვის დამახასიათებელია კერძო ინტერესის ცნება. საზოგადოებრივი აზრის კვლევებში ხშირად ჩნდება შემდეგი ტიპის განცხადებები ან მტკიცებები:

● საზოგადოებრივი აზრი იმ მრავალი ინდივიდუუმის აზრის კოლექტიური გამოხატულებაა, რომელიც გაერთიანებული არიან ჯგუფში საერთო მიზნებით, მიზანსწრაფებებით, საჭიროებებითა და იდეალებით

● ადამიანები, რომლებიც დაინტერესებულები არიან ან შეიძლება, სხვებთან საერთო ინტერესი ან კერძო ინტერესი ჰქონდეთ ამათუ იმ საკითხის მიმართ.

● ფსიქოლოგიურად აზრის ძირითადად კერძო ინტერესით განისაზღვრება.

● საზოგადოებრივი ვერ ინარჩუნებს აღმავლობასა და მასშტაბს ხანგრძლივად, თუ ადამიანები არ იგრძნობენ, რომ მათი ინტერესი ცხოვლად უკავშირდება ამ აზრს, ან ვიდრე აზრი, სიტყვებით გამოხატული მოვლენებით არ გამყარდება

საზოგადოებრივი აზრი ცალსახად არაა მიმართული სინამდვილის შეცვლაზე. საზოგადოების მიერ გამოთქმული პოზიციები და შეფასებები შეიძლება ხელისუფლების მიერ გათვალისწინებული იქნას (მთლიანად ან ნაწილობრივ) ან საერთოდ არ გაითვალისწინონ გადაწყვეტილების მიღების დროს.

მაგრამ ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მოახდინოს რეაგირება გამოთქმულ აზრზე, დააფიქსიროს მის მიმართ თავისი დამოკიდებულება.

საზოგადოებრივ აზრს, ამათუ იმ საკითხზე, შეიძლება ფესვები პირად დაინტერესებაში ან რაღაც მოვლენაში შეიძლება ჰქონდეს გადგმული, მაგრამ მისი უმთავრესი კატალიზატორი საზოგადოებრივი დისკუსიაა, მხოლოდ ამ გზით იწყება აზრის კრისტალიზება და საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელებს შეუძლიათ მათი გამოთვლა.

საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებლად გვევლინებიან ადამიანები , რომლებიც ფლობენ ცოდნას და მკაფიოდ აყალიბებენ სათქმელს. მათ საზოგადოებრივი აზრის ლიდერებს უწოდებენ. სოციოლოგების აზრით ისინი არიან:

1. საკითხით უაღრესად დაინტერესებულები,
2. საკითხის შესახებ საშუალო ადამიანზე ინფორმირებულები,
3. მასმედიის ხარბი მომხმარებლები,
4. ახალი იდეებს ადრე მიმღებნი
5. კარგი ორგანიზატორები, რომლებიც სხვა ადამიანებს მოქმედებისკენ უბიძგებენ.

დემოკრატიის პირობებში საზოგადოებასთან ურთიერთობის ხუთი საფეხური შეიძლება განვითარდეს:

1. საკითხის განსაზღვრა. აქტივისტები და ინტერესთა ჯგუფები აყენებენ საკითხს, ვთქვათ, გამოთქვამენ პროტესტს იმის წინააღმდეგ , რომ ეროვნულ ნაკრძალს საფრთხე ექმნება ტყის დამზადებითა და მოპოვებით. ამ ჯგუფებს არ აქვთ ფორმალური ძალაუფლება, მაგრამ ისინი პრობლემის „ დღის წესრიგში დაყენების სტიმულად“ იქცევიან მედიისთვის , რომელიც აშუქებს დაპირისპირებებსა და კომფლიქტებს.
2. საზოგადოებრივი აზრის ლიდერთა ჩარევა, მედიაგაშუქების შედეგად საკითხი საზოგა-დოების დღის წესრიგში დგება და ადამიანები აცნობიერებენ მას. საზოგადოებრივი აზრის ლიდერები დისკუსიას იწყებენ ამ საკითხზე და მას გარემოს დაცვის უფრო ფართო პრობლემის სიმბოლოდ აღიქვამენ.
3. საზოგადოების გაცნობიერებულობა. საზოგადოების გაცნობიერებულობა მაშინ იზრდება, როცა საკითხი საზოგადოებრივი დისკუსიისა და დებატების საგანი ხდება, ფართოდ შუქდება მედიაში.
4. მთავრობის/მარეგულირებლის ჩართვა. საზოგადოებრივი კონსენსუსის ჩამოყალიბება იწყება მაშინ, როცა საკითხის გადაწყვეტილებაში ერთვება მთავრობა/მარეგულირებელი. საზოგადოების ფართო მასები საკითხის რომელიმე მხარესთან იდენტიფიცირდებიან. იზრდება მოთხოვნა, რომ მთავრობამ იმოქმედოს.
5. გადაწყვეტილების მიღება. გადაწყვეტილების მიღების ეტაპი იწყება მაშინ, როცა ავტორიტე-ტული პიროვნებები (არჩეული ოფიციალური პირები) ამზადებენ საკანონმდებლო აქტებს ან მიმართავენ არსებული კანონებისა და მარეგულირებელი აქტების ინტერპრეტირებას და მათზე დაყრდნობით აკეთებენ განცხადებას .

მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ახდენენ დიდ გავლენას საზოგადოებრივ აზრზე, მკვლევრების უმრავლესობა თვლის, რომ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებს, საზოგადოებრივი აზრის გარდა, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ დღის წესრიგზე. პოლიტიკური დღის წესრიგი არის იმ გასაკეთებელი ან განსახილველი საკითხების ჩამონათვალი, რომელიც მთავრობის ყურადღებას მოთხოვს. ისინი, ვინც ადგენენ დღის წესრიგს, განსაზღვრავენ, თუ რა საკითხები უნდა იყოს განხილული მთავრობის მიერ. თუკი რომელიმე საკითხი არ შედის პოლიტიკურ დღის წესრიგში, მთავრობის არცერთი წარმომადგენელი თითსაც არ გაანძრევს მის გადასაწყვეტად.

საზოგადოებრივ აზრში განსაკუთრებულ გამოხმაურებას პოულობს მასობრივი საშუალებების მიერ ისეთი აქტუალური პრობლემების გაშუქება, როგორიცაა ინფლაცია და უმუშევრობა. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების უნარი- განსაზღვროს, თუ რა არის „ახალი ამბები“ და ამით გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე, პოლიტიკოსებს აღუძრავს სურვილს, რომ თვითონ მოახდინონ გავლენა საინფორმაციო მიმოხილვაზე. საინტერესოა, რომ მასობრივი საშუალებები იქცა მნიშვნელოვან

ელიტარულ ჯგუფებს შორის ურთიერთობის საშუალებად. ისინი ცდილობენ მათი საშუალებით ზეგავლენა მოახდინონ ერთმანეთზე ან განსაზღვრონ ერთმანეთის სუსტი და ძლიერი მხარეები.

ერთი ტრადიციული გზა, რომლითაც საზოგადოებასთან ურთიერთობა აღწევს საზოგადოებრივი აზრის ლიდერებისა და სხვა საკვანძო პოზიციებზე მყოფ ადამიანებამდე, არის მასმედია - რადიო, ტელევიზია, გაზეთები და ჟურნალები. მასმედიის მნიშვნელობა, რასაც თავად ტერმინი შეიცავს, ასეთია: მას შეუძლია საზოგადოებასთან ურთიერთობის წყაროების ინფორმაციის სწრაფი და ეფექტური გავრცელება და მისი მიწოდება მილიონობით, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ადამიანებისათვის...

ყველა მთავრობა ცდილობს საზოგადოებრივი აზრის შეფასებასა და გაანალიზებას. დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი აზრი სხავადასხვა პრობლემაზე თავისუფლად ფასდება და განიხილება არა მხოლოდ საზოგადოებრივი დაწესებულებების , არამედ აგრეთვე პოლიტიკური პარტიების და კანდიდატების , მედიის, სხვადასხვა კერძო ორგანიზაციის, კვლევითი ინსტიტუტებისა და მკვლევარების მიერ. იმის განსაზღვრა, რა დამოკიდებულება გააჩნია საზოგადოებას მოცემულ საკითხზე, ორგანიზაციები ეყრდნობიან საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას, რომელიც ყველაზე პოპულარული და საზოგადოებრივი აზრის ცვლილებების განსაზღვრისა და გრაფიკულად გამოსახვის ზუსტი საშუალება გახდა.

უკანასკნელი ორი ათწლეულების განმავლობაში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ტექნოლოგიებმა უფრო სერიოზული სახე მიიღო. გამოკითხვათა უმეტესობა ადამიანებს ეკითხება ეთანხმებიან თუ არა ისინი ამა თუ იმ დებულებას ან პოლიტიკას. ზოგიერთი გამოკითხვა მოქალაქეებს სთხოვს სხვადასხვა პოლიტიკურ ალტერნატივებს შორის აირჩიონ ერთ-ერთი ასეთი გამოკითხვის მეთოდებით მკვლევარები შედარებით მცირე რაოდენობის რესპოდენტთა პასუხების საფუძველზე მოსახლეობის დიდი ნაწილი პროგნოზ აკეთებენ. ყველაზე ხშირად მიმართავენ შემთხვევით შერჩევის მეთოდს, როდესაც ხდება მთელი მოსახლეობიდან შერჩევით შერჩეული მოსახლეობის გამოკითხვა. ამგვარი შერჩევისას ასაკობრივი, რასობრივი, რელიგიური, პოლიტიკური, განათლების ნიშნით შერჩეული და სხვა ჯგუფები მეტნაკლებად უნდა შეესაბამებოდეს მთელ მოსახლეობას.

იმის გამო, რომ ყოველთვის არ არის შესაძლებელი ასობით ცალკეული ინტერვიუს ჩატარება, მკვლევარები ხანდახან წინასწარ ირჩევენ რესპოდენტთა მცირერიცხოვან ჯგუფებს, ისინი საკვანძო მახასიათებლების განთვალისწინებით, როგორიცაა ასაკი, რელიგია, შემოსავალი და პარტიის წევრობა. გამოკითხვის ამ მეთოდს სტრატიფიცირებულ შერჩევას უწოდებენ, ეგზიტპოლები რომლებიც ტელევიზიებს საშუალებას აძლევს საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ იწინასწარმეტყველონ პოლიტიკური გამარჯვებულები, წარმოადგენს სტრატიფიცირებული შერჩევის ორ დონეს. პირველ რიგში მკვლევრები ადგენენ საარჩევნო უბანს, რომელიც სტატისტიკურად უახლოვდება უფრო დიდი პოლიტიკურ ერთეულს (საარჩევნო ოლქს, შტატს ან ქვეყანას). ისინი, ვინც ატარებენ ეგზიტპოლის ინტერვიუს, ცდილობენ ისე მოახდინონ ადამიანთა შერჩევა, რომ ის ყველაზე კარგად ასახავდეს საარჩევნო უბნის საერთო მახასიათებლებს.

ბოლო წლებში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა უფრო საიმედო გახდა. გამოკითხვები მაინც არ არის ზუსტი ან შედარებით ზუსტი. ყველა პოლიტიკური გამოკითხვა გარკვეულ რისკს შეიცავს. გამოკითხვა, პირველ რიგში, დროის მცირე მონაკვეთში არსებული საზოგადოებრივი აზრის გამოვლენის საშუალებაა, ხოლო საზოგადოებრივი აზრი ძალიან ხშირად იცვლება. ასე ,რომ საზოგადოებრივი აზრი არის მოქალაქეთა შეხედულებები, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელისუფლო თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებაზე და ქცევაზე.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოქალაქეთა გამოკითხვა მათი შეხედულებების გასაგებად.

საზოგადოებრივ ინტერესთა ჯგუფებია, რომლებიც მხარს უჭერენ ღონისძიებებს, რომლებიც მათი აზრით მთელ საზოგადოებას წაადგება.

ამრიგად, ალექსის დე ტოკვილის მოსაზრებას , რომ დავეყრდნოთ: „როდესაც სახელმწიფოს მართავს საზოგადოებრივი აზრი, ყველა ადამიანს ესმის საზოგადოებრივი აღიარების მნიშვნელობა, და თითოეული ცდილობს მიაღწიოს მას, ცდილობს დაიმსახუროს იმათი პატივისცემა და კეთილგანწყობა, რომელთა შორის მან უნდა იცხოვროს“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლაცაბიძე მ. საზოგადოებრივი აზრი. თბ., 2014;
2. https://transparency.ge/ge/post/sazogadoebrivi-azris-kvlevis-shedegebi-sasamartlo-da-prokuratura
3. https://www.ghn.ge/news/66325-sazogadoebis-azri-sazogadoebis-tsinaaghmdeg
4. https://pragenti.wordpress.com/2011/05/16/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-pr/

Trends in the formation of public opinion in a democracy

Maka Kiladze
PhD student of Georgian Technical University

Summary

The article - "Trends in the formation of public opinion in a democracy" - includes questions about the views, attitudes and perceptions of individuals towards a particular issue of public opinion, which is understood by a large part of society. Trends in the formation of public opinion are also discussed. Majoritarian and pluralist models of democracy in a democratic government are significantly different from each other in terms of public role. According to majoritarian models, the government is obliged to do what most of the society demands. This differs from the views of proponents of the pluralistic model, who argue that society as a whole is seldom able to express an accurate and consistent opinion on current issues. The principles of democracy operate when a different public opinion can openly oppose the political course of the government.

Survey of public opinion involves surveying a small part of the population in order to understand the point of view of the whole society. Public opinion is a collective attitude towards this or that issue or event. Public opinion polls are such an organic part of modern life that we often forget how new such research is. It has been in our lives since the 1930s, and survey methodology has become a powerful research tool only since the 1950s - after the invention of the computer.

ეროვნული უშიშროების თეორიის კვლევის მეთოდოლოგიის ზოგიერთი ასპექტი

კუპრაშვილი ჰენრი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ეროვნული უშიშროების თეორიას განსაკუთრებული ადგილი უკავია მეცნიერული ცოდნის სისტემაში. ეროვნული უშიშროების პრობლემებთან შეხება აქვს არა მხოლოდ პოლიტიკური მეცნიერების, ეკონომიკის, სამხედრო მეცნიერების, სოციოლოგიის, არამედ სხვა მრავალი მეცნიერების სფეროსაც, რომლებიც იკვლევენ ეროვნული უშიშროების საერთო სოციალური სისტემის სტრუქტურულ და ფუნქციურ კომპონენტებს. ეროვნული უშიშროების თეორია ყველაზე მეტად დაკავშირებული ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებთან. მისი შინაარსის უმეტესი ნაწილი სოციალურ-პოლიტიკური ხასიათისაა, თუმცა საინფორმაციო ეპოქამ სრულიად ახალი საფრთხეები და გამოწვევები მოიტანა, გაჩნდა კიბერსივრცე - თავდაცვის ახალი, თანაბარუფლებიანი სფერო ზღვასთან, ჰაერთან და ხმელეთთან ერთად, შესაბამისად, გაფართოვდა სხვა სამეცნიერო სფეროებთან ურთიერ-თობის არეალი. თეორიული სტატუსის მიხედვით, ეროვნული უშიშროების თეორია მოქმედებს, როგორც კვლევის სპეციალური სფერო, რომელიც მიმართულია გადაკვეთაში მყოფი ერთობლივი, კომპლექსური პრობლემის გადაჭრაზე.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული უშიშროება, მეთოდოლოგია, სოციალური სისტემა, სისტემების ზოგადი თეორია, კონფლიქტოლოგია, მართვის ზოგადი თეორია.

ძირითადი ტექსტი

ეროვნული უშიშროების თეორიის კვლევის მეთოდოლოგიური აპარატი

ეროვნული უშიშროების კომპლექსური შესწავლა გულისხმობს თეორიული და ემპირიული ცოდნის სინთეზს, როგორც ცალკეული, ისე ზოგადი, ცხოვრების არა მხოლოდ ცალკეული სფეროების, არამედ ამ სფეროების დიალექტიკური ურთიერთკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულების შესწავლას; სოციალური კანონზომიერებებისა და განვითარების წამყვანი ტენდენციების გამოლინება, როგორც მთლიანად ეროვნული უშიშროების, ისე მისი კომპონენტების განვითარებაში. ეროვნული უშიშროების შესწავლა მოითხოვს ახალ ახალ მიდგომას და უშიშროების პრობლემების კომპლექსურ შესწავლას, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის თანამედროვე მეთოდების გამოყენებას.

ცნებათა კომპლექსი, რომელიც აღწერს უშიშროების, საფრთხეების (საშიშროების), რისკების, მუქარებისა და გამოწვევების სისტემას და ამ სისტემისათვის წინააღმდეგობის გამწევ კონტრსისტემას, არის უშიშროების უზრუნველყოფისა და შესწავლის მეთოდოლოგიის პრობლემატიკა. მნიშვნელოვანია განისაზღვროს არა მხოლოდ მისი ურთიერთობა უშიშროების სპეციალიზებულ თეორიებთან, არამედ ასევე აუცილებელია სხვა ფუნდამენტურ მეცნიერებებთან ურთიერთობის დაზუსტებაც. აუცილებელია იმისი ცოდნა თუ ეროვნული უშიშროების თეორია სამეცნიერო ცოდნის რომელ სფეროს განეკუთვნება, რომელ მეცნიერებებს ეყრდნობა საკუთრივ მისი მსოფლმხედველობრივი და მეთოდოლოგიური საფუძველი, რომელ მეცნიერებებთან ურთიერთობს, ხოლო თავად რომლებისთვის არის, როგორც იდეოლოგიური და მეთოდოლოგიური ორიენტირი.

უდავოა, რომ ეროვნული უშიშროების და მის სტრუქტურაში შემავალი უშიშროების კერძო სტრა-ტეგიების მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიური ზოგადი საკითხების განხილვა-განვითარება არის უშიშროების თეორიის საფუძველი, აქედან გამომდინარეობს ეროვნული უშიშროების თეორიის ძირითადი ამოცანები და მისი ძირითადი კვლევის საკითხებიც:

- უშიშროების პრობლემებთან დაკავშირებული სამეცნიერო ცოდნის მიმოხილვა, კლასიფიკაცია, მსოფლმხედველობრივი საფუძვლის, განვითარების დონის, უშიშროების სპეციალიზებული თეორიების თავისებურებების დადგენა; მათ შორის - თავად ეროვნული უშიშროების თეორიისა და მის მიერ გადასაჭრელ ამოცანათა არსებობის აუცილებლობისა და შესაძლებლობის დასაბუთება;
- უშიშროების ობიექტისა და კვლევის საგნის უფრო ეფექტური დამუშავებისათვის

სპეციალიზებული თეორიების მეთოდოლოგიური პრობლემების გადაჭრა (კვლევის მიდგომების, საშუალებების, მეთოდიკისა და სხვ. შერჩევა და შეფასება);

- უშიშროების სპეციალიზებული თეორიების მიერ გამოყენებული ფუნდამენტური ცნებების ანალიზი და განსაზღვრა. შესაბამისად, ამ ცნებებით ასახული მოვლენების ზოგადი დახასიათება;

- სოციალური ძალებითა და ფაქტორებით წარმოშობილი საფრთხეების, მუქარების, რისკების ბუნებისა და არსის პოლიტოლოგიური (სოციოლოგიური, ფილოსოფიური და სხვ.) დახასიათება, უშიშროების სოციალურ-პოლიტიკური კონცეფციების შემუშავება, უშიშროების სისტემებისა და მისი უზრუნველყოფის მეთოდების შედარებითი ანალიზი.

საქართველოში არსებული სწავლის სფეროების დადგენილი კლასიფიკატორიდან უშიშროების თეორიის ძირითადი ორიენტირები, მაგალითად, შეიძლება იყოს შემდეგ სფეროებში: სოციალური და ქცევითი მეცნიერებები ეკონომიკა, პოლიტიკის მეცნიერება, საერთაშორისო ურთიერთობები, დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა, უშიშროების კვლევები, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, სამართალი; ბიოლოგია, ეკოლოგია; ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები - კომპიუტერის გამოყენება, ინფორმატიკა, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული სისტემები; თავდაცვა და უსაფრთხოება; სამხედრო მეცნიერება; საგანგებო სიტუაციების მართვა და სხვ. მათ ინტერესებშია, პირველ რიგში, ეროვნული უშიშროების თეორიის ზემოაღნიშნული იდეოლოგიური და მეთოდოლოგიური პრობლემების შემუშავება.

ეროვნული უშიშროების თეორიასთან მიმართებაში მეთოდოლოგიურ ფუნქციებს ახორციელებს:

სისტემების ზოგადი თეორია (Systems theory). რამდენადაც მისი ობიექტი იგივე სისტემებია (ელემენტების ერთობლიობა, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ ერთმანეთთან), მაგრამ ეროვნული უშიშროების თეორია წყვეტს ამ სისტემების სტაბილურობის, დაცულობის, შენარჩუნების უშიშროების პრობლემებს მათზე დესტრუქციული ძალების (ფაქტორების) ზემოქმედების პირობებში; ამ ვითარებაში რთული სისტემური ობიექტების არასისტემურ ანალიზს მოსდევს არასწორი დასკვნები და შეცდომები. ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის მექანიზმი არა მხოლოდ რთული, არამედ უკიდურესად რთული კვლევის ობიექტია;

კონფლიქტოლოგია. ვინაიდან სოციალური პროცესის შექმნასა და განვითარებაში არსებობს დესტრუქციული ზეგავლენა, რაც გარკვეულწილად დაკავშირებულია კონფლიქტურ სიტუაციებთან;

მართვის ზოგადი თეორია. როგორც მთლიანად საზოგადოება, ისე ნებისმიერი ქვესისტემა მის ჩარჩოებში, თავისი კომპონენტებით, არის რაოდენობრივად და ხარისხობრივად გამორჩეულად რთული და მრავალფეროვანი, რომელთათვისაც დამახასიათებელია ასეთივე მრავალფეროვანი ურთიერთქმედება, ურთიერთკავშირი საკუთარი ადგილის მიხედვით საზოგადოებრივ სისტემაში, ფუნქციის შესრულებაში, ურთიერთქმედების ხასიათში გამორჩეულად დიდი რაოდენობის სხვადასხვა დესტრუქციულ ფაქტორთან. შესაბამისად, ეროვნული უშიშროებისათვის საფრთხეების, მუქარებისა და რისკების პრევენცია ვერ მიიღწევა პროცესებზე გარკვეული საინფორმაციო და მმართველობითი ზემოქმედების გარეშე. ეროვნული უშიშროების თეორია, თავის მხრივ, არის მეთოდოლოგიური საფუძველი უშიშროების სპეციალიზებული თეორიების შემუშავებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული უშიშროების თეორია შეუძლებელია არ დაეყრდნოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების მარეგულირებელ სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს. ამაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს გაეროს წესდება, უშიშროების საკითხებზე საერთაშორისო და რეგიონული აქტები, ასევე - სახელმწიფოს კონსტიტუცია.

ეროვნული უშიშროების თეორია, თავისი საგნის, ამოცანებისა და სამეცნიერო ცოდნის სისტემაში ადგილის მიხედვით, იყენებს კვლევის მეთოდთა მისთვის მისაღებ კომპლექსს. არ საჭიროებს შეიმუშაოს რაიმე განსაკუთრებული, კონკრეტული მეთოდები. ამ მეთოდების ძირითად, ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენს რეალიზმის, პრაგმატიზმისა და დიალექტიკის იდეები და დამოკიდებულებები. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს შეფასებების რეალიზმი, ობიექტურობა და კონკრეტულობა, პრაქტიკაზე დაყრდნობა და მისი გადამწყვეტი როლის აღიარება ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის საკითხების განხილვისას.

დიალექტიკის მნიშვნელოვანი მოთხოვნაა რეალობისადმი მიდგომა, მრავალფეროვანი კავშირე-

ბისა და ურთიერთგამომრიცხავი განვითარების გათვალისწინებით. პრაქტიკის წინააღმდეგობებისა და უშიშროების საკითხებზე მისი ამსახველი თეორიის გამოვლენა და ანალიზი, რომელიც ასახავს მას, საფუძვლად უდევს კვლევის პროცესს და განსაზღვრავს სხვა მეთოდების ბუნებას.

ეროვნული უშიშროების თეორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისტორიული და ლოგიკური მიდგომების შეხამებას, როდესაც პრობლემების თეორიული ანალიზი მუდმივ კავშირშია ისტორიულ ფაქტებთან, ხოლო საფრთხეების, მუქარებისა და რისკების შესახებ შეხედულებების ისტორიის განხილვა ეფუძნება გარკვეულ თეორიულ მოდელებს, განსახილველი პრობლემების ლოგიკურ დამუშავებას.

ეროვნული უშიშროების თეორია წარმოუდგენელია სისტემური ანალიზის მეთოდების გამოყენების გარეშე. ამ მეთოდების არსენალი საკმაოდ ფართოა. თითოეულ მეთოდს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ასევე - გამოყენების სფერო როგორც ობიექტის ტიპთან, ისე მისი კვლევის სტადიასთან მიმართებაში. ყველაზე ხშირად გამოიყენება: სკრიფტინგის, სცენარების მეთოდი (Scripting method) [1]; მიზნის ხის მეთოდი [2] (a Goal Tree) - არსებობს საბოლოო მიზანი, ის იყოფა ქვემიზნებად, ქვემიზნები - პრობლემებად და ა.შ., ანუ - დაშლა ამოცანებად, რომელთა გადაჭრაც შეგვიძლია; მორფოლოგიური ანალიზის მეთოდი (Method of morphological analysis); საექსპერტო შეფასების მეთოდი (Evaluation); ალბათური ანალიზის მეთოდი (Probabilistic method); სტატისტიკური ანალიზის მეთოდი (Statistical method) - მათემატიკური მოლოდინის თეორიები, თამაშები და ა.შ.; კიბერნეტიკული ანალიზის მეთოდი (Cybernetic method) - შავი ყუთის ობიექტი; ვექტორული ოპტიმიზაციის მეთოდი (Vector optimization); ქსელური ანალიზის მეთოდი (Networking method); მატრიცული (სტრუქტურული) ანალიზის მეთოდი (Matrix methods); ეკონომიკური ანალიზის მეთოდები (Methods of Economic Analysis) და სხვ.

ეს მეთოდები აუცილებელია მეთოდოლოგიური პრობლემების (მეცნიერული ცოდნის სისტემაში უშიშროების ზოგადი და სპეციალიზებული თეორიების არსის, ადგილის, როლის გარკვევა; საწყისი ცნებების შინაარსისა და კორელაციის განსაზღვრა) გადაჭრისას. ისინი კიდევ უფრო საჭიროა საფრთხეების, მუქარებისა და რისკების ანალიზისა და უშიშროების სისტემების (თეორიული მოდელების) შედარებისათვის.

სისტემატური მიდგომის იდეებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, გვხვდება სხვა სამეცნიერო მეთოდებიც სხვადასხვა კომბინაციაში: ემპირიული - დაკვირვება, ექსპერიმენტი, გამოკითხვა, გამოკვლევა და სხვ.; თეორიული - ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, შედარება, განზოგადება, სააზროვნო ექსპერიმენტი, ფორმალიზაცია, სხვადასხვა სახის მათემატიკური ტექნიკა და ა.შ.

ასევე უნდა აღინიშნოს ინდივიდუალური და კოლექტიური ხასიათის ე.წ. ევრისტიკული მეთოდები, განსაკუთრებით - მაშინ, როდესაც წყდება პროგნოზირებადი ან კონსტრუქციული ამოცანები, ხორციელდება ახალი იდეების, მიდგომებისა და გადაწყვეტილებების ძიება.

ეროვნული უშიშროების თეორიაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება კრიტერიუმებისა და საზომი სკალების დადგენას, რაც საშუალებას იძლევა რაოდენობრივად შეფასდეს და გაიზომოს საფრთხეები, მუქარები, რისკები, უშიშროების ხარისხი და უშიშროების ობიექტების დაზიანება. ამის საფუძველზე ყალიბდება მიღებული მენეჯერული გადაწყვეტილებების, დიზაინის, ტექნოლოგიური და ოპერატიულ-ნორმატიული, ტექნიკური დოკუმენტების რაოდენობრივი, ხარისხობრივი პარამეტრები, უშიშროების შესაბამისი სუბიექტების დასკვნები. ასეთი პარამეტრები გამოიყენება ეროვნული უშიშროების მიზნების ფორმირებაში, ამ მიზნების მიღწევისა და დაკისრებული ამოცანების გადაჭრის ღონისძიებების ეფექტურობის შეფასებისას. ეროვნული უშიშროების თეორიის ძირითადი კატეგორიებია: უშიშროების ობიექტი და სუბიექტი, უშიშროება, საფრთხე, მუქარა, გამოწვევა, რისკი, სტაბილურობა, ზიანი, ინტერესი, დაცულობა და სხვ.

დასკვნა

ეროვნული უშიშროების ზოგადი სისტემის შესწავლა შეუძლებელია სხვადასხვა სამეცნიერო ცოდნის ინტეგრაციის გარეშე. ეროვნული უშიშროების შესწავლის ინტერდისციპლინარული მიდგომა შესაძლებელს ხდის ობიექტის შესახებ მეტი ცოდნის მიღებას, შემეცნების აბსტრაქტული, თეორიული

დონიდან გადასვლას კონკრეტული რეალობის გააზრებაზე და ეროვნული უშიშროების თეორიის დებულებების ურთიერთდაკავშირებას არაერთგვაროვანად და წინააღმდეგობრივად განვითარებად სოციალურ სინამდვილესთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Wilson, T. L., & Hershey, D. A. (1996). The research methods script. Teaching of Psychology, 23(2), 97-99. https://doi.org/10.1207/s15328023top2302_5
2. Dettmer, Willam. (2007) The Logical Thinking Process: A Systems Approach to Complex Problem Solving. Publisher ASQ Quality Press; Har/Cdr edition.
3. Feonichev A., Meleshin K. (2021). Theoretical and Methodological Features of the Analysis of the Basic Concepts of the Modern Theory of National Security. Administrative Consulting. 2021;(1):32-42. (In Russ.) https://doi.org/10.22394/1726-1139-2021-1-32-42

Some Aspects of National Security Theory Research Methodology

Kuprashvil Henri
Professor of Georgian Technical University

Summary

The theory of national security occupies a special place in the system of scientific knowledge. The problems of national security are related not only to the fields of political science, economics, military science, sociology, but also to many other sciences that study the structural and functional components of the overall social system of national security. The theory of national security is most closely related to the humanities and social sciences. Most of its content is socio-political in nature, but the information age has brought entirely new threats and challenges, with the emergence of cyberspace - a new, equal field of defense with sea, air and land, thus expanding its reach to other scientific fields. According to its theoretical status, national security theory acts as a special field of research aimed at solving a common, complex problem at the intersection.

Keywords: National Security, Methodology, Social System, General Theory of Systems, Conflictology, General Theory of Management.

საკონსტიტუციო კონტროლის თეორიულ-პრაქტიკული ასპექტები საქართველოში

მამულაშვილი მარიამ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ფიფია ნიკოლოზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

საკონსტიტუციო კონტროლი განაპირობებს საქმიანობის მაქსიმალურ ეფექტურობას, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის სფეროში. საკონსტიტუციო კონტროლის მიზანია, დაიცვას კონსტიტუცია, ე.ი. სახელმწიფოს მოქალაქეების უმრავლესობის ნება კანონმდებლის ან აღმასრულებელი ხელისუფლების არაკონსტიტუციური და სამართლებრივი მოქმედებისაგან.

საკონსტიტუციო სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვით. ეს პრინციპები ვრცელდება სამართალწარმოების ნებისმიერ ფორმაზე. მხარეთა თანასწორობის პრინციპი კანონის წინაშე თანასწორობის, სამართლიანი სასამართლოსა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების გამოხატულებად ითვლება. მხარეთა თანასწორობაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მათი თანაბარი შესაძლებლობები პოზიციის გამოხატვაში, მტკიცებულებების და არგუმენტების წარმოდგენაში და საპროცესო მოქმედებების განხორციელებაში.

კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის საფუძველი, სამოსამართლო შემოწმების უფლებამოსილებაა, რომელიც აქვს ყველა მოსამართლეს და შესაბამისად, ნებისმიერ მათგანს შეუძლია წარდგინების შეტანა. საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოს, როგორც წარდგინების შეტანაზე უფლებამოსილ სუბიექტს, განმარტავდა, როგორც ინსტიტუტს, სადაც საქმის განხილვა მიმდინარეობდა. აქედან გამომდინარე, უფლებამოსილ სუბიექტს ერთმეოდა წარდგინების შეტანის შესაძლებლობა. ასეთი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად ორგანულ კანონში დაკონკრეტდა, რომ სასამართლოს წარდგინებად ითვლება საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის ან სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის გადაწყვეტილებით მიღებული წარდგინება.

კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის არსებობა საერთო სასამართლოს საშუალებას აძლევს თავიდან აიცილოს არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის გამოყენება, რაც მართლმსაჯულების კონსტიტუციურად განხორციელების გარანტიაა.

საკვანძო სიტყვები: საკონსტიტუციო კონტროლი; აბსტრაქტული ნორმათკონტროლი; კონსტიტუციური წარდგინება

ძირითადი ტექსტი

საკონსტიტუციო კონტროლი სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებული ფორმით ხორციელდება. მსოფლიოში საკონსტიტუციო კონტროლის ოთხი ძირითადი მოდელი ფუნიონირებს,[1] კერძოდ:

1. ანგლოსაქსური მოდელი, რომელსაც ამერიკულ მოდელსაც უწოდებენ. ამ სახელმწიფოებში საკონსტიტუციო კონტროლს საერთო იურისდიქციის სასამართლოები ახორციელებენ (აშშ, არგენტინა, იაპონია, მექსიკა, ავსტრალია, ინდოეთი, კანადა, ირლანდია).
2. საკონსტიტუციო სასამართლოს თავდაპირველი ინსტიტუტი „კელზენის დახურული სისტემის „სამართლის ესთეტიკის“ მოთხოვნებს შეესაბამებოდა“[2]. კელზენის სახელს უკავშირდება „ევროპული მოდელი“[3] ანუ ე. წ. ავსტრიული მოდელი აღნიშნული მოდელის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ საკონსტიტუციო კონტროლს ამ სახელმწიფოებში საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოები ახორციელებენ, ანუ ორგანოები,

[1] კახიანი გ., „საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი“, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის უნივერსიტეტი, თბილისი,2008,46.
[2] შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003, 284-285.
[3] იხ. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი,დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი,2013,315.

რომლებიც შექმნილი არიან მხოლოდ საკონსტიტუციო კონტროლის განსახორციელებლად (ავსტრია, გერამნია, პოლონეთ, ესპანეთი, იტალია).

3. რიგ ქვეყნებში (საბერძნეთი, პორტუგალია, სამხრეთ აფრიკა, ეკვადორი) დამკვიდრდა ე.წ. შერეული მოდელი, რომლის პირობებშიც საკონსტიტუციო კონტროლი ერთდროულად ხორციელდება, როგორც სპეციალიზებული ორგანოს, ასევე საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ.
4. ტოტალიტარული სოციალიზმის სახელმწიფოთა კონსტიტუციები ამკვიდრებენ კონტროლის საპარლამენტო მოდელს. კონტროლის აღნიშნული ფორმა დაფუძნებულია პარლამენტის უზენაესობის იდეაზე, რომლის თანახმადაც არც ერთ სხვა ორგანოს არ აქვს უფლება განიხილოს პარლამენტის, როგორც უმაღლესი სახალხო წარმომადგენლობითი საკანონმდებ-ლო ორგანოს მიერ მიღებული კანონების კონსტიტუციურობის საკითხი (ვიეტნამში, ჩინეთში, კორეის სდრ-ში და კუბაში).

საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლი სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმაა, საკონსტიტუციო სასამართლო კი - საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო. საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით.

საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები დადგენილია ამომწურავი ჩამონათვალის სახით, numerus clausus პრინციპით. ამდენად, მისთვის მიმართვა დასაშვებია მხოლოდ კონკრეტული უფლებამოსილების ფარგლებში და არა საკონსტიტუციო-სამართლებრივი შინაარსის ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.[1]

მოცემულ უფლებამოსილებას საკონსტიტუციო სასამართლო აბსტრაქტული კონტროლის ფორმით ახორციელებს. აბსტრაქტული ნორმათკონტროლის მიზანია, სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელების მოქცევა კონსტიტუციის ფარგლებში და კონსტიტუციის უზენაესობაზე დაფუძნებული სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფა.[2]

საქართველოში მოქმედი საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელი გულისხმობს კონსტიტუციური წარდგინების მექანიზმის არსებობას. არგუმენტირებული და დასაბუთებული კონსტიტუციური წარდგინება საერთო სასამართლოებს/მოსამართლეებს აძლევს საშუალებას გახდნენ საკონსტიტუციო კონტროლის ინიციატორები. კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე ხორციელდება იმ ნორმის კონსტიტუციურობის განხილვა, რომელიც ამ წარდგინების სუბიექტმა საერთო სასამართლომ უნდა გამოიყენოს კონკრეტული საქმის განხილვისას და რომელიც შეიძლება არც თუ უსაფუძვლოდ ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას.

მართალია საერთო სასამართლოს მოსამართლეებს გააჩნიათ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების უფლებამოსილება, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდის მიხედვით სტატისტიკურად მათი რიცხვი არ არის დიდი. მაგალითად: 2021 წელს საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი იყო სულ 5 კონსტიტუციური წარდგინება, 2020 წელს -3, 2019 წელს -2, 2018 წელს -2, 2017 წელს- 3. მართალია 2015 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი იყო 9 კონსტიტუციური წარდგინება, ხოლო 2016 წელს - 42[3]. თუმცა მათი გაზრდილი რაოდენობა გამოწვეულია იმით, რომ უზენაესმა სასამარ-თლომ მთელ რიგ შემთხვევაში შეაჩერა საქმეების განხილვა და მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს სხვადასხვა საქმეში გამოსაყენებელი იდენტური ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შესაბამისობის საკითხის გადაწყვეტის შესახებ. მაგალითად:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2015 წლის 6

[1] Badura P.,Staatsrecht. Systematische Erlauterung des Grundsatzes fur die Bundesrepublik Deutschland, 4., neu bearbeitete Auflage, Munchen, 2010, 801.

[2] იხ. ავტორთა კოლექტივი, შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, Stern K., Gedanken zum Wahlverfahren fur Bundensverfassungsrichter, Koln, Berlin,Bonn, Munchen, 1992, 197.

[3] https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?quantity=10&fullsearch=&nameing=&type%5B%5D=1829&number=&intext=&dateFrom=&dateTo=&isenglish=&different=&preceeding=

ნოემბერს შეაჩერა საქმის წარმოება მსჯავრდებულ მ. ქ.-ს და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის საკასაციო საჩივრის განხილვასთან მიმართებით და 2015 წლის 16 ნოემბერს მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით N686 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.[1]

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2015 წლის 5 ნოემბერს შეაჩერა საქმის წარმოება მსჯავრდებულ ბ. ბ.-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვაჟა ხახუტაიშვილის საკასაციო საჩივრის განხილვასთან მიმართებით (ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე) და 2015 წლის 16 ნოემბერს მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით N688 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.[2]

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2015 წლის 6 ნოემბერს შეაჩერა საქმის წარმოება მსჯავრდებულ გ. გ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის საკასაციო საჩივრის განხილვასთან მიმართებით და 2015 წლის 16 ნოემბერს მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით N689 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.[3]

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში მთელ რიგ შემთხვევაში იზიარებს საერთო სასამართლოების საფუძვლიან ვარაუდს ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შეუსაბამობაზე და სარეზოლუციო ნაწილში ადგენს, რომ არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი ნორმატიული აქტი, რომელზეც საერთო სასამართლომ კონსტიტუციური წარდგინება შემოიტანა.[4]

ტექნიკური კუთხით საერთო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინების შეტანის და განხილვის შემდეგი პროცედურა არსებობს: კონკრეტული საქმის განმხილველი მოსამართლე/სასამართლო თუ მიიჩნეს, რომ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისათვის, რომ მოცემულ საქმეში გამოსაყენებელი ნორმა შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას, აჩერებს საქმის განხილვას და საკონსტიტუციო სასამართლოში შეაქვს ხელმოწერილი კონსტიტუციური წარდგინება ამ საქმეში გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის /კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გაიმართება საქმის არსებითი განხილვა, რომელიც იწყება საქმის მომხსენებელი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მოხსენებით. საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების განხილვის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლო გადის სათათბირო ოთახში. [5]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციის მომენტიდან.[6]

საყურადღებო საკითხი, რომელიც მთელ ამ პროცესს ახლავს არის ის, რომ კანონით გათვალისწინებული კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადა - 9 თვე, მოიცავს მხოლოდ განხილვის პროცედურას და არა კონსტიტუციური წარდგინების რეგისტრაციიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტი-

[1] https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=2032
[2] https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=2038
[3] https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=2040
[4] https://constcourt.ge/ka/judicial-acts?quantity=10&fullsearch=&nameing=%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90&type%5B%5D=278&number=&intext=&dateFrom=&dateTo=&isenglish=&different=&preceeding
[5] https://matsne.gov.ge/ka/document/view/32944%23?publication=29 საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ; მუხლი 27.6
[6] https://matsne.gov.ge/ka/document/view/32944%23?publication=29#! საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ; მუხლი 22, პუნქტი 1

ლების მისაღებამდე პერიოდს.[1] შედეგად სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმების პროცესი შესაძლოა დასრულდეს საერთო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური წარდგინების შეტანიდან რამდენიმე წლის შემდეგ. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ კონსტიტუციური წარდგინების შეტანისას საერთო სასამართლოში ჩერდება კონკრეტული საქმის განხილვა, რომელიც განახლდება, მხოლოდ მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლო მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას იმ ნორმის კონსტიტუციურობის შესახებ, რომლის გამოყენებასაც აპირებს საერთო სასამართლო.[2] ეს არის ხანგრძლივი პროცესი, რაც საბოლოო ჯამში კონსტიტუციური წარდგინების მნიშვნელობაზე და ეფექტურობის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს. ბევრი პრაქტიკოსი კონსტიტუციონალისტი ამ ხანგრძლივ პერიოდს საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უარყოფით მახასიათებლად მიიჩნევს. ამიტომ საქმის გონივრულ ვადაში გააწყვეტას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

დასკვნა

საერთო სასამართლოს/მოსამართლის უფლება წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს კონკრეტული საქმის განმხილველ სასამართლოს. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარდგინებიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდის ხანგრძლივობა ნაკლებეფექტურს ხდის საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის არსებობას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა უდავოა, რომ კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის არსებობა საერთო სასამართლოს მოსამართლეს (სასამართლოს) საშუალებას აძლევს თავიდან აიცილოს არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის გამოყენება, რაც თავის მხრივ ქმნის გარანტიას მართლმსაჯულების კონსტიტუციის შესაბამისად განსახორციელებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შარაშიძე მ.,ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის თავისებურებანი ნორმათკონტროლის კომპეტენციის განხორციელების სფეროში, ჟურნ.,"ადამიანი და კონსტიტუცია", №3, 2003, 9
2. კახიანი გ., „საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი", სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის უნივერსიტეტი, თბილისი,2008,46.
3. შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი, 2003, 284-285.
4. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი,დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი,2013,315.
5. პოსტკომუნისტურ ევროპაში, კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 59.
6. Badura P.,Staatsrecht. Systematische Erlauterung des Grundsatzes fur die Bundesrepublik Deutschland, 4., neu bearbeitete Auflage, Munchen, 2010, 801.
7. დავითური გ., დავითაშვილი გ., საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2021, გვ.29.
8. https://www.constcourt.ge
9. https://matsne.gov.ge
10. https://www.venice.coe.int/SACJF/2006_02_Venice_Strasbourg/report_mazak.htm

[1] https://www.venice.coe.int/SACJF/2006_02_Venice_Strasbourg/report_mazak.htm

[2] დავითური გიორგი, დავითაშვილი გიორგი; საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტრუმენტის გამოყენების პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2021, გვ.2

Theoretical-practical aspects of constitutional review in Georgia

Mariam Mamulashvil
Associate Professor of Georgian Technical University

Nikoloz Phiphia, Professor,
Associate Professor of Georgian Technical University

Summary

Constitutional review determines the maximum efficiency of activities in the field of legal protection of the Constitution. The purpose of constitutional review is to protect the constitution, therefore, the will of the majority of the citizens of the state from unconstitutional and unlawful actions of the legislature and / or executive branch.

Constitutional proceedings are conducted in compliance with the principles of equal and adversarial arms. These principles apply to any form of litigation. The principle of equality of arms is an expression of the principles of equality before the law, a fair trial and the rule of law. Equality of arms first and foremost is equal ability to express position, to present evidence and arguments, and to take legal action.

The basis of specific constitutional review is the power of judicial review that all judges have, and therefore any of them can file a file a constitutional submission. The common court as the authorized entity to file constitutional submissions, by constitutional court was defined as the institution where the case was heard. Therefore, the authorized subject was deprived of the opportunity to submit a constitutional submission. In order to eliminate such practices, it was specified in the organic law, that the constitutional submission to the constitutional court is considered to be a submission, made by the decision of the judge hearing the case individually or the collegial composition of the court.

The existence of an instrument of constitutional submission allows the common court to avoid the use of an unconstitutional normative act, which guarantees the constitutional Implementation of justice.

პანდემიის (კორონავირუსი COVID 19-ის) გავლენა სასამართლო მენეჯმენტზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში

მიროტაძე გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

კორონავირუსის (COVID 19-ის) პანდემიის პირობებში საერთო სასამართლოებში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის პროცესი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. შეზღუდვა არ შეხებია სამართლიანი სასამართლოს უფლებას, მაგრამ გარკვეულწილად შეიზღუდა ადამიანის რიგი საპროცესო უფლებები და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში უპირატესობა მიენიჭა დისტანციურ მართლმსაჯულებას. კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ ზომების დადგენისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული იქნა რეკომენდაციები, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული იქნა დეკრეტი, ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელთა თანახმადაც შესაძლებელი გახდა მართლმსაჯულების განხორციელება დისტანციურად - ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით. მართლმსაჯულების განხორციელება ახალ რეალობაში გაგრძელდა, თუმცა მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა შეიქმნა პროცესის მონაწილეთა უფლებების დარღვევის და მართლმსაჯულების ხარისხის გაუარესების საფრთხე. გამოიკვეთა სასამართლოს ჯეროვანი ფუნქციონირებისათვის ხელშემშლელი ხარვეზები, რაც აისახა საქართველოს სახალხო დამცველის მონიტორინგის ანგარიშშიც. შესაბამისად, დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი, მისი განვითარებისა და სრულყოფილად დანერგვისთვის, პრაქტიკის შესწავლას და ღრმა ანალიზს საჭიროებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, პანდემიის პერიოდში სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვები ადამიანის ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვის ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად პროპორციული იყო, მიუხედავად ამისა, მაინც არსებობდა/არსებობს გარკვეული პრობლემები, რამაც თავისი გავლენა იქონია სასამართლოების საქმიანობაზე.

დისტანციური წესით ჩატარებული სასამარლო სხდომები მნიშვნელოვან გამოწვევად

იქცა სამართლიანი სასამართლოს უფლებების ჭრილში. მართალია პირველ ეტაპზე იყო ხარვეზე-ბი, მაგრამ დროთა განმავლობაში დამოკიდებულება შეიცვალა, სასამართლოებმა და მონაწილეებმა მიიღეს გამოცდილება და დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეთა უმრავლესობამ კომფორტულად მიიღო ციფრულ სივრცეში სასამართლო პროცესების გადატანა.

მოცემულ ნაშრომში განხილულია კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გავლენა სასამარ-თლო მენეჯმენტზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: პანდემიის გავლენა სასამართლოზე, დისტანციური მართლმსაჯულება, სასამართლო, სასამართლოს მენეჯმენტი.

ძირითადი ტექსტი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო-ს) მიერ 2020 წლის 11 მარტს, კორონავირუსის (Covid 19-ის) პანდემიად გამოცხადებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სახელმწიფოს ყველა ინსტიტუ-ციაზე. პანდემიამ შეცვალა სამუშაო პროცესები, მენეჯმენტი იძულებული გახდა ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტურობის შესანარჩუნებლად მოეხდინათ დროული რეაგირება არსებულ რეალო-ბასთან ადაპტირებისთვის. ქვეყანაში მიმდინარე პროცესები შეეხო სასამართლოების საქმიანობასაც და მართლმსაჯულების განხორციელება გაგრძელდა ახალ რეალობაში.

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში აუცილებელი გახდა სხდომის დარბაზებში მხარეთა მონაწილეობით მიმდინარე სასამართლო პროცესების შეზღუდვა, მართლმსაჯულების განხორ-ციელებისათვის ალტერნატიურლი გზების მოძიება და დროული რეფორმირება, მით უფრო იმ პირო-ბებში, როდესაც კორონავირუსის გავრცელების ტემპი, მაშტაბები არ აჩენდა პოზიტიურ განწყობებს.

უპირველესად პრობლემები შეიქმნა მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის

უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვნად რეალიზებისა და დაცვის კუთხით. ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია, რომ ვირუსთან ბრძოლის პირობებში თავისი პოზიტიური ვალდებულებებიდან გამომდინარე მოქალაქეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები თავისთავად იწვევდა საზოგადოების რიგი უფლებების ხელყოფას, თუმცა მთავარი სამართლებრივი გამოწვევა იყო არსებულ კრიზულ სიტუაციაზე სწრაფი და ეფექტური რეაგირება ისე, რომ გასატარებელმა ღონისძიებებმა არ შექმნას საფრთხე დემოკრატიის ისეთი მთავარი ღირებულებებისადმი, როგორიცაა ადამიანის უფლებების დაცვა და კანონის უზენაესობა.

კორონავირუსის გავრცელების და პანდემიის პირობებში სახელმწიფოს ინსტიტუტები უდიდესი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ განსაკუთრებით იმ ზომების დადგენისას, რაც მიმართულია ადამიანების ვირუსისაგან დაცვისაკენ. ასეთ ვითარებაში ორგანიზაციის ფუნქციონირების ჩვეული რიტმის შენარჩუნება ფაქტიურად შეუძლებელია, მით უფრო ისეთი ღონისძიებების გატარების პირობებში, როგორიც ვირუსთან ბრძოლისათვის აუცილებელი და რიგ შემთხვევაში იძულებითი იზოლაციის პირობების დაცვაა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა შეზღუდვები სამართლიანი სასამართლოს უფლებას არ შეხებია.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, პანდემიის პერიოდში სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვები ადამიანის ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვის ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად პროპორციული იყო, მიუხედავად ამისა, მაინც არსებობდა/არსებობს გარკვეული პრობლემები, რამაც თავისი გავლენა იქონია სასამართლოების საქმიანობაზე.

აღნიშნულმა გამოიწვია ის, რომ კორონავირუსის (Covid 19-ის) პანდემიად გამოცხადების პირველ ეტაპზე შეფერხდა სასამართლოების ეფექტური ფუნქციონირება, მაგრამ სასამართლოების გამოცდილება, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან დროულად მიღებული რეკომენდაციები და მათ შესაბამისად, სასამართლოებში გატარებული ღონისძიებები, დაეხმარა სასამართლო სისტემას არსებულ ვითარებასთან სწრაფ ადაპტაციაში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 13 მარტს კორონავირუსის (COVID 19-ის) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით მიღებული იქნა რეკომენდაცია სასამართლო სისტემაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. კორონავირუსის გავრცელების შესაბამისად აღნიშნულმა რეკომენდაციამ რამდენჯერმე განიცადა ცვლილება და სასამართლოებს მიეცათ სხვადასხვა სახის რეკომენდაცია, მათ შორის იმის შესახებ, რომ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვით და კანონით გათვალისწინებული წესით უზრუნველეყონ:

- საქმეთა განხილვის გადადება, შემჭიდროვებულ ვადებში განსახილველ საქმეთა გარდა;
- საქმეთა ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა;
- პროცესის მონაწილეთა სასამართლო განხილვებში დისტანციურად მონაწილეობა ტექნიკური საშუალებებით;
- სხდომაზე დასწრების მსურველ პირთა შეზღუდვა;
- სასამართლოს მოხელეთა დისტანციური შრომით რეჟიმზე გადასვლა, თუ აღნიშნულით არ შეფერხდება სასამართლოს საქმიანობა და ხელი არ შეეშლება მართლმსაჯულების განხორციელებას.

ასევე, 2020 წლის 21 მარტს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოიცა დეკრეტი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ. დეკრეტით ასევე განისაზღვრა სასამართლო სხდომების კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, დისტანციურად გამართვის შესაძლებლობა.

2020 წლის 05 ივნისს კი საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო რეკომენდაციათა პაკეტი, რომლითაც სასამართლოებში საქმეთა განხილვისას უპირატესობა მიენიჭა პროცესის მონაწილეების დისტანციურად მონაწილეობას სასამართლო განხილვებში და საქმეთა განხილვას ზეპირი მოსმენით მხარეთა მონაწილეობის გარეშე.

2020 წლის 23 მაისიდან სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო სხდომების დისტანციურად ჩატარება საქართველოს პარლამენტის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მიღებული ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით დარეგულირდა. კერძოდ, ახალი რეგულაციების თანახმად,

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 22 მაისის კანონის საფუძველზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332[5] მუხლით დადგინდა სასამართლო სხდომების გამართვის დროებითი წესი, რომლითაც განისაზღვრა სისხლის სამართლის პროცესების დისტანციურად გამართვის შესაძლებლობა, რაც მოქმედებს 2023 წლის 1 ივლისამდე.

აღნიშნული წესის თანახმად, დისტანციური სასამართლო პროცესი გაიმართება თუ:

(ა) ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული თანახმაა;

(ბ) ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა, მსჯავრდებულს სასჯელის სახით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა ან/და სასამართლო სხდომის ამ წესით ჩაუტარებლობამ შესაძლებელია დანაშაულის გახსნისა და პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საჯარო ინტერესის ხელყოფა გამოიწვიოს.

სასამართლო სხდომების დისტანციურად ჩატარების მიზანი, განხორციელებული ზემოაღნიშნული ღონისძიებებიდან გამომდინარე იყო კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილება, მაგრამ დისტანციური მართლმსაჯულების დადებითი მხარეების გამოყენების კუთხით პრაქტიკამ აჩვენა მომავალში დისტანციური სამართალწარმოების მნიშნელობა და დანერგვის აუცილებლობა. ამასთან, დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელების პროცესმა წარმოაჩინა მართლმსაჯულების ხარისხის გაუარესებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის რისკები.

დისტანციური მართლმსაჯულება ხშირად მოაზრებულია, როგორც ელექტრონული საქმისწარმოება ან/და სასამართლოში ორგანიზაციის მართვის ელექტრონული პროცესი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს განსხვავებული პროცესია. ელექტრონული საქმისწარმოება და ელექტრონული კომუნიკაცია სასამართლში, ისედაც იყო დანერგილი სასამართლო სისტემაში, რამაც შეუწყო ხელი სწორედაც სასამართლოს მოხელეების სწრაფ ადაპტაციას დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელების ისეთი ფორმაა, როდესაც იქმნება ისეთი სამართლებრივი ურიერთობები, სადაც სასამართლო სხდომის დარბაზებში მიმდინარე სასამართლო პროცესებს ანაცვლებს ციფრული სივრცე. შესაბამისად, გარემო სრულიად განსხვავებული ხდება, რამაც ციფრული ტექნოლოგიების, ციფრული სივრცის გამოყენების პირობებში შექმნა ადამიანის უფლებათა დარღვევისა თუ შინაგანი რწმენის ჩამოყალიბების პროცესში მოსამართლის აზრის ფორმირებაზე გავლენის მოხდენის საფრთხე. საფრთხე არსებობს იმდენად, რამდენადაც ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების პროცესმა შეიძლება თავისი გავლენა იქონიოს მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესზე, მხარეთა არგუმენტების ობიექტურად შეფასებაზე, ვინაიდან არსებობს ინფორმაციის, მიღებული მონაცემების დამახინჯების რისკი, რაც შეიძლება გამოიწვიოს, როგორც ტექნიკური საშუალებების გაუმართაობამ, ასევე მათზე არასრულფასოვანმა წვდომამ ან პირდაპირი ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაციის ნაკლებობამ და სხვა.

აღნიშნული საკითხი შემდგომი კვლევისა და შესწავლის საგანს წარმოადგენს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ეტაპზე მართლმსაჯულების დისტანციურ რეჟიმში განხორციელება გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს და იმისათვის, რომ დისტანციური მართალსაჯულება ეფექტიანი იყოს აუცილებელია მისი დახვეწა. ამისთვის მნიშნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, არსებული პრაქტიკის შესწავლა, განზოგადება, რათა შესაძლებელი გახდეს პრობლემების იდენტიფიცირება და დისტანციური მართალსაჯულების განხორციელების ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც დააზღვევს აღნიშნულიდან მომდინარე რისკებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად სასამართლოებში ციფრული ინფრასტრუქტურა განვითარებულია, სასამართლოები უზრუნველყოფილნი არიან ინტერნეტთან მუდმივი წვდომით, ტექნოლოგიური შესაძლებლობებით, შესაბამისი ადამიანური და ტექნიკური რესურსით და ამ ფაქტორმა უმნიშველოვანესი როლი შეასრულა დისტაციური მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში წარმოქმნილ პრობლემებთან დროულად გამკლავებისთვის. მართალია პირველ ეტაპზე იყო ხარვეზები, ტექნიკური ხასიათის პრობლემები, უნდობლობა და სიახლის მიუღებლობა, რაც ყოველთვის თან ახლავს დაუგეგმავ ცვლილებებს, მაგრამ დროთა განმავლობაში დამოკიდებულება შეიცვალა, სასამართლოებმა და მონაწილეებმა მიიღეს გამოცდილება და დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეთა უმრავლესობამ კომფორტულად მიიღო ციფრულ ტექნოლოგიაზე

დაყრდნობით, ციფრულ სივრცეში სასამართლო პროცესების გადატანა და დისტანციური სამართალ-ურთიერთობა.

დისტანციური წესით ჩატარებული სასამარლო სხდომები მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა სამართლიანი სასამართლოს უფლებების ჭრილში და დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში გამოიკვეთა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დისტანციური მართლმსაჯულების დადებით მხარეზე ძირითადი აქცენტი პროცესის სისწრაფესა და სიიაფეზე გაკეთდა, ხოლო უარყოფით მხარედ ძირითადად წარმოჩინდა ტექნიკური ხასიათის სირთულეები, როგორიცაა პროცესის ყველა მონაწილის შესაძლებლობა ინტერნეტთან მუდმივ წვდომაზე, ციფრული ტექნოლოგიების ცოდნასა და ფლობაზე, გამოსახულების, ხმის ხარისხიანად გადმოცემაზე, ვიზუალურ აღქმაზე, საუბრის გარჩევადობის, მოწმეთა დაკითხვის შემთხვევაში სასამართლოს მიერ მოწმეთა სანდოობის (თავისუფალი ნების) შემოწმებასა თუ სხვა ტექნიკური ხასიათის ხარვეზებზე და მიუხედავად იმისა, რომ დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დაცულია მხარეთა თანასწორების პრინციპი, არ არის სრულყოფილად უზრუნველყოფილი კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა სისხლის სამართლის საქმეებზე ადვოკატებსა და მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირებს შორის და არ არის სრულად უზრუნველყოფილი ყველასთვის დისტანციური სამართალწარმოების ხელმისაწვდომობა.

დასკვნა

კორონავირუსით (COVID 19-ით) გამოწვეულმა პანდემიად თავისი გავლენა იქონია მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სასამართლოს საქმიანობაზე. სასამართლო სისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, რისთვისაც პირველ ეტაპზე არ იყო სრულყოფილად მზად, რაც დროთა განმავლობაში შეიცვალა და სამუშაო პროცესები წარიმართა განსხვავებულ გარემოში. დაინერგა სასამართლო სხდომის დარბაზებში პირისპირ მართლმსაჯულების განხორციელების ალტერნატიული გზა დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელების სახით, რაც ითვალისწინებს, როგორც პროცესების დისტანციურ რეჟიმში წარმართვას და პროცესში მონაწილეთა სრულად დისტანციურ მონაწილეობას, ასევე შერეულ პროცესებს (მონაწილეთა ნაწილის დისტანციურად ჩართვას). ამასთან, დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელებამ წარმოაჩინა მისი სარგებლიანობის გამოყენების მნიშვნელობა რესურსების დაზოგვის მხრივ, რაც მიუთითებს დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელების განვითარების მნიშვნელობასა და ისეთი მოდელის შექმნის აუცილებლობაზე, სადაც სრულყოფილად იქნება დაცული ადამიანის უფლებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კონსტანტინე კორკელია - ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში COVID 19-ის პანდემიის დროს: მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები, 2020-2021.
2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო - კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით სასამართლო სისტემაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაცია, 13.03.2020.
3. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი #1 - საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ, 21.03.2020.
4. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ #5973-სს, 22.05.2020 და #1207-VIIრს-Xმპ, 22.12.2021.
5. საქართველოს სახალხო დამცველი, დისტანციური წესით ჩატარებული სისხლის სამართლის სხდომების მონიტორინგის ანგარიში, 15.07.2020.

Impact of the pandemic (coronavirus COVID 19) on judicial management in the administration of justice

Mirotadze Giorgi
Doctoral Candidate of Georgian Technical University

Summary

The process of introducing digital technologies in common courts during the coronavirus (COVID 19) pandemic has faced significant challenges. The restriction did not affect a fair trial, but a number of human procedural rights were somewhat restricted, and remedial justice was preferred in the administration of justice. Recommendations were adopted by the High Council of Justice of Georgia in determining measures against the spread of the coronavirus, a decree was issued by the President of Georgia, and amendments were made to the Criminal Procedure Code, all these changes made it possible to administer justice remotely through electronic communications. The administration of justice continued in the new reality, however, despite the taken measures, there was a danger of violation of the participants rights in the process and deterioration of the quality of justice. Some deficiencies were identified in the proper functioning of the court, which were also reflected in the monitoring report of the Public Defender of Georgia. Consequently, the process of implementation of remedial justice, in order to develop and fully implement it, requires the study of practice and in-depth analysis.

It should be noted that, in general, the restrictions imposed by the state during the pandemic were proportionate to the legitimate goals of human health and protection, however, there were / still are some problems that have had an impact on the functioning of the courts.

Remote court hearings have become a significant challenge in terms of the rights of a fair trial. It is true that there were shortcomings in the first stage, but over time attitudes have changed, courts and participants have gained experience, and most participants in the administration of remote justice have comfortably accepted the transfer of litigation to the digital space.

This Article discusses the impact of the coronavirus pandemic on judicial management in the administration of justice.

Keywords: Pandemic Impact on the Court, Remote Justice, Court, Court Management.

ტერორიზმი, როგორც ჯგუფური დევიაციის ფორმა

მეტრეველი ლია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ტერორიზმი აღიარებულია ერთ-ერთ ყველაზე საშიშ სოციალურ დევიაციად. იგი მიეკუთვნება საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ მძიმე დანაშაულთა რიცხვს. ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ტერორიზმი არის „ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის

„ტერორი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „საშინელებას“, აქედან გამომდინარე, ტერორიზმი არის დაშინების გამოყენება პოლიტიკური, ეკონომიკური ან პირადი მიზნებისთვის (Ольшанский Д.В., 2002; Решетников М.М., 2004). იმავდროულად, ტერორიზმი არის ორგანიზებული ძალადობის ფორმა. აღნიშნული ფენომენი, ასე თუ ისე, ყველა დროში არსებობდა. იგი მნიშვნელოვნად გააქტიურდა XX საუკუნის დასასრულს. 1991 წლიდან 2000 წლამდე მსოფლიო 3810-ზე მეტი ტერორისტული აფეთქების მოწმე გახდა. ევროპის უსაფრთხოების სამსახურების მონაცემებით, ტერორისტული დაჯგუფებები არა მხოლოდ არსებობს, არამედ მოქმედებს მთელ ევროპაში. დღეისათვის მსოფლიოში 80-ზე მეტი ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელთა შორისაა ბასკელი სეპარატისტები Euskadi Ta Askatasuna (ეტა)-დან, არაბული „ალქაიდა“, იტალიური „ახალი წითელი ბრიგადები“ და სხვ. ორგანიზებულ ტერორიზმს სერიოზული პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური პლატფორმა აქვს. ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა ირანი, სუდანი, სირია, ლიბია, ჩრდილოეთ კორეა, კუბა და უახლოეს დრომდე ერაყიც, ღიად უჭერენ მხარს ტერორისტულ მოძრაობას.

ძირითადი ტექსტი

ორგანიზებული ტერორიზმი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს კაცობრიობისთვის. ვაღიარებთ პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობას და შევეცდებით გავაანალიზოთ ტერორიზმი მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგენელების თვალსაზრისით. აღნიშნულ პრობლემას რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი გააჩნია: ტერორიზმის, როგორც ჯგუფური ფენომენის ბუნება; ტერორისტების თავისებურებები და მოტივაცია; ტერორისტებისა და მძევლების ურთიერთქმედების ხასიათი; მძევლების ფსიქოლოგია; საზოგადოებასთან ტერორისტული დაჯგუფების ურთიერთქმედების ხასიათი.

ამჟამად, ტერორიზმის პრობლემის განხილვისას მკაფიოდ დომინირებს სამი კონცეპტუალური მოდელი. (Ольшанский Д.В., 2002; Решетников М.М., 2004) პირველი ტენდენციის შესაბამისად, ტერორიზმი განიხილება ორი ცივილიზაციის - ტრადიციული და თანამედროვე; ისლამური და არაისლამური, დასავლური და „დანარჩენი“ ცივილიზაციების კონფლიქტის კონტექსტში. მეორე თვალსაზრისი დაკავშირებულია კულტურული ტრავმის, როგორც ტერორისტული მენტალიტეტის ძირითადი წყაროს აღიარებასთან. და ბოლოს, არაერთი ნაშრომი მიეძღვნა ფსიქოპათოლოგიურ თემატიკას, რომლებშიც ტერორისტების ქცევა დაკავშირებულია ფსიქიკურ აშლილობასთან და პათოლოგიურ მდგომარეობასთან, როგორიცაა პარანოია ან პოსტტრავმული აშლილობა.

ტერორიზმის ერთ-ერთი წამყვანი სოციალური ფაქტორია ეთნიკური კონფლიქტები. თანამედროვე საზოგადოებები განსხვავდება ერთმანეთისგან, პირველ რიგში ეს ეხება კულტურას. ზოგიერთი ხალხი აქცენტს აკეთებს კოლექტიური ცხოვრების ტრადიციებზე, ზოგიერთისთვის კი

პრიორიტეტულია იტენსიური ტექნიკური პროგრესის მხარდაჭერა. ტრადიციული კულტურის მქონე საზოგადოებები ხშირად აღქმულია „პრიმიტიულ“ საზოგადოებებად, რომელმაც ჯერაც ვერ მიაღწია თანამედროვე ცივილიზაციის დონეს. შესაბამისად, ის ხალხი, ვისაც უფრო „ცივილიზებულად“ მიაჩნია თავის თავი, ცდილობს მსოფლიო ლიდერობის მოპოვებას და საკუთარი კულტურის ტირაჟირებას. მსგავსი ტენდენცია ბადებს ეთნიკურ კონფლიქტებს და ტერორისტულ ომებს. ტერორიზმი პირველ რიგში კულტურათა ომია, რომელშიც ეკონომიკურად უფრო სუსტი და „დაჩაგრული“ მხარე ცდილობს აღადგინოს „ისტორიული სამართლიანობა“ მოულოდნელი სიკვდილით ან საშინელი წამებით მჩაგვრელის დაშინებით. დღეისათვის „ჩაგრული, მაგრამ დაუმორჩილებელი“ ხალხების რიგში შედიან: ჩეჩნები, ბასკები, ირლანდიელები, პალესტინელები...

ტერორისტული ფსიქოლოგიის წარმომქმნელ კულტურულ პირობებს განეკუთვნება: ეთნოსის მცირერიცხოვნება; მჭიდრო ნათესაური და ეროვნული კავშირები, ეროვნული სიამაყის მაღალგან-ვითარებული გრძნობა, ტრადიციულად მეომარი ხალხი, უსამართლობის მწვავე შეგრძნება, მიყენებული წყენის გამო შურისძიების ტრადიცია, ომების წარმოების ხანგრძლივი გამოცდილება. ეთნიკური ტერორისტები დიდ ჯგუფს წარმოადგენენ, რომელშიც, უკიდურეს შემთხვევაში რამდენიმე დონე შეინიშნება: იდეოლოგები, სპონსორები, ორგანიზატორები, შემსრულებლები. სხვადასხვა პოზიციებზე მყოფი ადამიანების მოტივაცია შეიძლება განსხვავებული იყოს. ჯგუფურ გაცნობიერებულ მოტივებს შორის სახელდება შემდეგი მიზნები: ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, მეზობლის მიერ უკანონოდ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნება; მჩაგვრელების დასჯა; პოლიტიკური თავისუფლების მიღება; ტყვეობიდან საკუთარი ხალხის დახსნა; ფულადი კომპენსაციის მიღება.

ჩამოთვლილი მიზნები ერთნაირად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ხალხებისთვის, საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ რატომ ირჩევს ზოგიერთი მათგანი ტერორს კულტურული ტრადიციის ფორმად და ეროვნული იდენტურობის პრობლემების გადაწყვეტის საშუალებად. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა თანამედროვე ტერორიზმის მახასიათებლების საფუძვლიანი ანალიზი.

ტერორიზმის მნიშვნელოვან ფსიქოდინამიკურ მექანიზმს წარმოადგენს კულტურული ტრავმა. იგი თაობიდან თაობას გადაეცემა ეთნიკური მითის ფორმით და აიძულებს კონკრეტულ ხალხს ახალ-ახალი მსხვერპლი შესწირონ საკუთარი სირცხვილის საკურთხეველს. მ. მ. რეშეტნიკოვი (2005) კულტურულ ტრავმას შემდეგნაირად ხსნის. ერის ისტორიაში მასობრივ (ეროვნულ) დამცირებასთან დაკავშირებული მძიმე ფსიქიკური ტრავმის არსებობისას, რაღაც გარკვეული ხანგრძლივი პერიოდის (ათწლეულის ან თუნდაც ასწლეულის) შემდეგ შეიძლება ჩამოყალიბდეს ესა თუ ის მცდარი იდეა ან ურთიერთობის იდეა. ეს უკანასკნელი თანმხლები პირობების არსებობისას გადაიქცევა თავის სიმართლეში კონკრეტული ხალხის ურყევ რწმენად, ღვთის რჩეულად თავის ცნობად, ასევე განსაკუთრებული მესიური როლის მორგებად დანაშაულის გამოსყიდვის ან სამაგიეროს მიგების სახელით სიამაყესთან, განდიდებასა და მსხვერპლშეწირვასთან კომბინაციაში, ამასთან ასეთმა „მესიანურმა როლმა“ შეიძლება რეალიზაციის ყველაზე სასტიკი ფორმები მიიღოს. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემდგომი თაობისთვის ტრავმული გამოცდილების ტრანსლაციის მექანიზმს. ფსიქიკური ტრავმის გადატანის შემდეგ მოზრდილები ცნობიერ და არაცნობიერ დონეზე აშენებენ „საკუთრი თავის ტრავმულ სახეს“ თავისი შვილების ჩამოყალიბებად იდენტურობაში და აჯილდოებენ მათ საკუთარი ფანტაზიებით, შიშებითა და შფოთვით.

ტრავმატიზაციასთან ერთად ტერორიზმის შემქმნელ ხალხს კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ლატენტური თავისებურება გააჩნია. ჯერ ერთი, ასეთ ეთნოსში ჯგუფური პროცესები დომინირებს ინდივიდუალურზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანთა ქცევა ყოველმხრივ ექვემდებარება კოლექტიურ ფასეულობებს: ხალხურ ტრადიციებს, კლანის კანონებს, ოჯახურ წესებს. ინდივიდუალობა არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ცვლადს. ასეთ საზოგადოებებში ყველაზე წინ აყენებენ ჯგუფურ ნორმებსა და გრძნობებს: წინაპართა ანდერძს, რელიგიურ რწმენას, კოლექტიურ პასუხისმგებლობას, ოჯახის ღირსებას, გვარისადმი ერთგულებას, ეროვნულ სიამაყეს. ხალხის ერთიანობა კოლექტიური ფასეულობების გარშემო ბადებს მისი წევრების ძალისა და სამართლიანობის შეგრძნებას. ცალკეული ადამიანების თვითშეგრძნება არ შემოიფარგლება საკუთარი სხეულით - მისი პიროვნება ერწყმის ოჯახს და ეს გრძელდება ხალხთან შერწყმამდე. პიროვნების საზღვრები ფართოვდება, ხოლო სიკვდილი უკვე

აღარ აღიქმება არსებობის უბრალო შეწყვეტად.

ტერორისტის პიროვნული სიკვდილი სხვაგვარ - პოზიტიურ ინტერპრეტაციას იძენს. მის უკან დგას მნიშვნელოვანი რამ: რელიგიური ზეაღსვლა, მარადიული სიცოცხლის უზრუნველყოფა, ოჯახის მსახურება, გმირობა გვარის სადიდებლად.

ეთნოსის შერწყმას მონოლითურ წარმონაქმნად თან ახლავს მსოფლიოს კატეგორიული დანაწევრება ორ კატეგორიად - „ჩვენიანად“ და „სხვისიანად“. „ჩვენიანს“ მიეწერება დადებითი თვისებები, „სხვისიანებს“ კი წარმოსადგენი თუ წარმოუდგენელი ბოროტება. შესაბამისად, „ჩვენიანები“ ნდობასა და პატივისცემას იწვევენ, „სხვისიანები“ კი - მტრულ განწყობას და აგრესიას. ხდება გარეშე მტრისთვის ნიღბის ჩამოხსნა, მითოლოგიზება და მათ მიმართ ქრება რაიმენაირი ადამიანური გრძნობა, გარდა ზიზღისა და სიძულვილისა. მტრული სამყაროს განადგურებისკენ სწრაფვა იძენს დომინანტური იდეის ფორმას.

მსგავს პირობებში „გარედან“ თავსმოხვეული ნებისმიერი პროვოკაცია (წნეხი, დამცირება, ძალადობა) მომენტალურად ტრანსლირდება ეთნოსის შესაბამისად, უფრო და უფრო ძლიერდება და გადაიქცევა აუტანელ განცდად, რომელიც მოითხოვს ჯგუფურ რევანშს და სამართლიანობის აღდგენას.

ერის მიერ დამარცხების ან დამცირების გადატანა მნიშვნელოვნად ამაღლებს ადამიანთა მზაობას ავტორიტარული ლიდერების გარშემო გასაერთიანებლად მტკივნეული განცდების გარეთ რევანშისთვის - სავარაუდო მჩაგვრელების წინააღმდეგ აგრესიული მოქმედებების ფორმით. ტრავმის რეალურობას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, ბევრად მნიშვნელოვანია მოცემულ წერტილზე კოლექტიური არაცნობიერის ფიქსაცია. დამცირება აღიქმება ტოტალურ დამარცხებად და მოითხოვს სატისფაქციას. ამავდროულად მას თან ახლავს საკუთარი უნიკალურობის ან რჩეულობის შეგრძნება. იმდენად, რამდენადაც ტერორისტები ფარულად მოქმედებენ და ხშირად რაიმე სახის კონკრეტული მოთხოვნის წამოყენების გარეშე, ცხადია, რომ მნიშვნელოვანია არა შედეგი, არამედ თავად არაცნობიერი კონფლიქტების რევანშის ფაქტი.

ვერც ტერორისტულ დაჯგუფებას, ვერც ტერორისტულ ორგანიზაციას ვერ აიძულებ ტერორიზმზე უარის თქმას, რადგან ეს მათთვის არსებობის საშუალების დაკარგვის ტოლფასია, რომლის მთავარი აზრი შურისძიება ან თავისი ჯგუფის გადარჩენაა. თუ თავდაპირველად წარმოდგენა გარეშე საფრთხის შესახებ შეიძლება წმინდა წყლის პროექცია იყოს და არ შეესაბამებოდეს სინამდვილეს, თანდათანობით, თავად ტერორისტების ძალადობრივი მოქმედებების წყალობით იგი გადაიქცევა თვითრეალიზებად წინასწარმეტყველებად - მის რეალურ დევნად. იმავდროულად ტერორისტულ ჯგუფს სჭირდება ტერორისტული აქტების განხორციელება თავისი არსებობის გასამართლებლად და შინაგანი ერთსულოვნების შესანარჩუნებლად.

ტერორიზმი, რასაკვირველია, დესქტრუქციული კულტურის ერთ-ერთი გამოვლინებაა და იგი ორიენტირებულია გარემომცველი სამყაროს ნგრევაზე. დესტრუქციას საფუძვლად უდევს გარე სამყაროზე საკუთარი შიშების პროექცია. ამის გავლენით ყალიბდება „მტრული სამყაროს მოდელი“, როცა სხვა კულტურები არასწორ, არასამართლიან, ყალბ და მოცემული ეთნოსის იდენტურობისა და სიცოცხლისათვის საშიშ კულტურადაა მიჩნეული. ამის შესაბამისად ხდება მთელი სოციალური რეალობის რეკონსტრუირება.

ჩვენი აზრით, ტერორიზმის კიდევ ერთი მექანიზმია მისი საკულტო ხასიათი. ტერორიზმი ყალიბდება დესტრუქციული კულტის მექანიზმებით. როგორც ცნობილია, კულტი წარმოადგენს ვინმეს ან რამეს თაყვანისცემას. დესტრუქციული კულტი წარმოადგენს სოციალურ ჯგუფს, რომელიც ავლენს ფანატიკურ თაყვანისცემას ლიდერის და მისი იდეების მიმართ, ასევე რეალურ ზიანს აყენებს თავად კულტის მონაწილეებს ან მათ გარშემომყოფებს. დესტრუქციულ კულტს შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები ახასიათებს: ავტორიტარული ლიდერის არსებობა; ლიდერის მისტიფიკაცია; ჯგუფის წევრების გამოხატული მორჩილება ლიდერისადმი; იდეოლოგიის არსებობა; ჯგუფის სტატუსის განდიდება მისი განსაკუთრებული სოციალური მისიის შესახებ იდეის საშუალებით; ქცევის მკაცრი სტანდარტები; ჯგუფის წევრების ცნობიერებაზე ტოტალური კონტროლი; დანაშაულის, სიძულვილისა და შიშის გრძნობის სტიმულირება; გარემომცველი სამყაროსგან ჯგუფის წევრების მოწყვეტა; მსოფლიოს დანაწევრება ნაწილებად: „ჩვენ“ და „ისინი“; აგრესია სხვაგვარად მოაზროვნეებისა და გარე სამყაროს

მიმართ; ჯგუფის ლტოლვა ახალი წევრების შემოერთებისაკენ: ფინანსური საკითხებით დაინტერესება; სიცოცხლის რიტუალიზაცია; სიმბოლიზაცია; მსხვერპლშეწირვა და თავის გაწირვა. საკულტო მსხვერპლშეწირვა აზრს მატებს სიკვდილს.

ცნობიერების ტოტალური კონტროლის - ადეპტების ზომბირების წყალობით მათი ჭეშმარიტი „მე“ დათრგუნულია და მას ანაცვლებს ფსევდოიდენტურობა. ამისათვის გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები: სენსორული დეპრივაცია ან გადატვირთვა: ძილის დეპრივაცია; სექსუალური დეპრივაცია; დიეტის შეცვლა; ჰიპნოზი; დარწმუნება; ვიზუალიზაცია; თქმულებები და მეტაფორები; მედიტაცია; ლოცვა; სკანდირება; სიმღერა; წარსულის გამოცდილების ხელახალი გააზრება; წახალისება და დასჯა; აკრძალვები ადრინდელ სოციალურ კონტაქტებზე; საკუთრებასა და ფულად საშუალებებზე უარის თქმა; საკულტო საქმიანობაზე გადასვლა - როლების დელეგირება; სახელის, ენის, გარეგნული იერ-სახის, ოჯახის შეცვლა; ინდოკრინაცია: პრაქტიკუმები, სემინარები, ლექციები; შიდა ჯგუფური წყვილების წარმოქმნა ახალი როლური მოდელებით, საძმოსა და ნაცნობობის სისტემა. (Хассен С., 2002)

კულტის სტრუქტურა, კონტროლის მეთოდები და საშუალებები განისაზღვრება ლიდერის პიროვნების თავისებურებებით. მისი მთავარი თვისებაა ავტორიტარულობა და ძალაუფლების მოპოვების წყურვილი. საკულტო ჯგუფის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ემსახუროს ლიდერის ფინანსურ, სექსუალურ და ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებებს. წამყვანი მოთხოვნილებაა ძალაუფლება. ტერორისტი იდეოლოგები ვალდებული არიან მოახდინონ სისხლიანი მსხვერპლშეწირვა, რათა გახდნენ თავიანთი და სხვა ხალხების მბრძანებელი.

ამას ხელს უწყობს საკუთარი „მეს“ გრანდიოზული გრძნობა, სისასტიკე, გამბედაობა, კატეგორიულობა მსჯელობებში, იმპულსურობა და ფეთქებადობა. დესტრუქციული კულტი ლიდერის პოზიციიდან არის ძალის კულტი. სიკეთე და კომპრომისები დამამცირებელ სისუსტედ მიიჩნევა. წახალისებულია ურთიერთობათა მკაცრი იერარქია, მკაცრი დისციპლინა და ბრმა მორჩილება. პარანოიასთან მიახლოებული ზეფასეული იდეები ასევე შედის დესტრუქციული ლიდერობის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაში. დესტრუქციულ ლიდერს არ გააჩნია სირცხვილის გრძნობა, არ ინანიებს და არ აღიარებს თავის დანაშაულს. მიზნის მისაღწევად იგი აქტიურად იყენებს მანიპულაციურ სტრატეგიებს, თაღლითობასა და სიცრუეს. იმავდროულად იგი ახდენს ძალისა და საკუთარ სიმართლეში რწმენის დემონსტრირებას.

დესტრუქციული კულტის ლიდერი ქარიზმატული ფიგურაა. მას კოლოსალური მიმზიდველობა გააჩნია, რაც ეფუძნება პიროვნულ მომხიბლველობას, ლიდერულ თვისებებსა და ადამიანთა ფსიქოლოგიის გაგების უნარს. პიროვნული ქარიზმის წყალობით საკულტო ლიდერი თავის მიმდევრებს უნერგავს საკუთარი თავის რწმენას, მამა-შვილურ დაცულობასა და იმედს. ამერიკის საოჯახო ფონდის მკვლევარების აზრით, ამჟამად მსოფლიოში მოქმედებს 10000-ზე მეტი დესტრუქციული კულტი. ახალი ათასწლეულის მიჯნაზე აღინიშნა საკულტო საქმიანობის ესკალაცია. ნაწილობრივ ეს დაკავშირებული იყო პესიმისტურ წინასწარმეტყველებასთან, ნაწილობრივ კი - რიცხვების სიმბოლიკასთან. 2000 წელი და მესამე ათასწლეული მაგიურად მრგვალ რიცხვებს წარმოადგენს და კვებავს ადამიანთა წარმოსახვას.

ს. ჰასენი (2002) გამოყოფს კულტების 4 ძირითად ტიპს: რელიგიური ან სულიერი (ისინი ეყრდნობიან რელიგიურ დოგმებს ან სულიერ პრაქტიკას); კომერციული (იქმნება მრავალდონიანი მარკეტინგის ტიპის მიხედვით და ორიენტირებულია მოგებაზე); მასობრივი ფსიქოთერაპიის (მიმართულია ცნობიერებით მანიპულაციაზე, მაგალითად, საიენტოლოგია); პოლიტიკური (რომლებიც ახდენენ პოლიტიკური მიზნების რეალიზებას) კულტები.

პოლიტიკური დესტრუქციული კულტები, თავის მხრივ, იყოფა ორ ქვეჯგუფად: ტოტალიტარულ რეჟიმებად და ტერორისტულ ჯგუფებად. ამრიგად, ტერორისტული ჯგუფი პასუხობს დესტრუქციული კულტის ყველა საერთო ნიშანს. გარდა ამისა, მას გააჩნია სხვა მახასიათებლებიც: პოლიტიკური მისიის არსებობა; უსახურობა, ტერორისტების შერევა სოციუმში; პერსონიფიცირებული მტრის არსებობა; გარეგანი აგრესია და უდანაშაულო მოქალაქეების მკვლელობა.

ტერორისტების რიგები ივსება არა მხოლოდ რელიგიური ან ეთნიკური ფანატიკოსებით, არამედ სხვა კულტურებში აღზრდილი ცალკეული დაქირავებული მკვლელებით. რა აიძულებს ამ ადამიანებს ასეთი არაადამიანური არჩევანის გაკეთებას? ის, რომ გამომუშავების უამრავი საშუალებიდან ისინი

ირჩევენ სიკვდილის ინდუსტრიას, მეტყველებს ტერორიზმისადმი მათ პიროვნულ მიდრეკილებას. მრავალი ტერორისტის საერთო ფსიქოლოგიური ნიშანია ექსტერნალიზაციის ან პირადი პრობლემების წყაროების სხვაგან ძებნის ტენდენცია. ასევე შეინიშნება ეგოცენტრული მიმართულობა და მუდმივი თავდაცვითი პოზიცია. არაცნობიერი ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმებს შორის აშკარად დომინირებს: პროექცია, უარყოფა და იდენტიფიკაცია (თვითგაიგივება) აგრესორთან.

შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ფულის გარდა ტერორისტული საქმიანობა ადამიანს საგრძნობ ფსიქოლოგიურ სარგებელს აძლევს. ჩამოვთვალოთ ტერორისტულ საქმიანობაში ჩაბმის ინდივიდუალური მოტივები. ესენია: ადამიანებზე მბრძანებლობა, მათზე ძალაუფლების მოპოვება, რასაც კვებავს არაცნობიერი ფანტაზიები საკუთარი ყოვლისშემძლეობის შესახებ; მტრული განწყობა, რასაც განაპირობებს პირადი ტრავმები, რომლებიც გარეთ გასასვლელს ეძებს; შინაგანი სიცარიელე, რომელიც უბიძგებს მწვავე შეგრძნებების განცდისკენ, როგორიცაა სიკვდილთან თამაში; იზოლაციისაკენ სწრაფვა საზოგადოებასთან ქრონიკული კონფლიქტის შედეგად; თვითნგრევისადმი მიდრეკილება არაცნობიერი დანაშაულის გრძნობის გამო; რელიგიური ან ნაციონალისტური ფანტაზიები; საკუთარი ჯგუფის/ოჯახის ძიება სოციალური იზოლაციისა და გამქრალი იდენტურობის შედეგად.

არსებობს სხვადასხვა თეორიები, რომლებიც ნათელს ჰფენენ დესტრუქციული ქცევისადმი მიდრეკილების ჩამოყალიბების მექანიზმებს. ერთ-ერთი მათგანის შესაბამისად, აღნიშნული ტენდენცია იქმნება დესტრუქციული სუბკულტურის გავლენით გარკვეული შეხედულებების, ცხოვრების წესისა და ქცევის სტილის ათვისების მეშვეობით. სხვა თეორია განსაზღვრავს დესტრუქიულ მიმართულობას, როგორც რეაქციას ინდივიდის სოციალური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების ხანგრძლივ ფრუსტრაციაზე. მესამე ჰიპოთეზა გამომდინარეობს ე. ერიქსონის თეორიიდან და დესტრუქციულ ჯგუფებს მისი მონაწილეების ნეგატიური იდენტურობის შედეგად მიიჩნევს. და ბოლოს, არსებობს თვალსაზრისიც, რომლის შესაბამისადაც ტერორის გზის არჩევანი დამოკიდებულია ადრეულ ნარცისულ ტრავმასთან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მრისხანება და ძალადობა უძლურების შეგრძნებისგან დაცვის ინდივიდუალური საშუალება ხდება.

დასკვნა

ამრიგად, თანამედროვე ტერორიზმი წარმოადგენს რთულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფენომენს, რომლის გასაგებად საჭიროა ფსიქოანალიტიკური ცოდნა. ტერორისტების შემაკავებელი მოქმედებები უნდა ემყარებოდეს ტერორიზმის ინდივიდუალური, ჯგუფური და სოციალური ბუნების საფუძვლიან გაგებას. რეპრესიულ ტაქტიკას, როგორც პირველხარისხოვან შემაკავებელ ფაქტორს, შეიძლება ჰქონდეს საპირისპირო ეფექტი და აძლიერებდეს ჯგუფის ერთიანობას და ხელს უწყობდეს ტერორიზმის ზრდას. უფრო პერსპექტიულია ზომები, რომლებიც მიმართულია ეფექტიან საინფორმაციო პოლიტიკაზე, კულტურული ბარიერების შემცირებაზე, საზოგადოების ეთნიკური ტოლერანტობის ამაღლებაზე, ტერორისტული ჯგუფების სტიმულირებასა და ჯგუფიდან გასვლის გაიოლებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭიჭინაძე კ., აგრესიის თეორიები, 2010;
2. ნათაძე რ., ფსიქოლოგიის მოკლე კურსი, 1989;
3. სემენიუკი ლ. მ., მოზარდების აგრესიული ქცევის ფსიქოლოგიური თავისებურებები, 1996;
4. აიხრონ ა., ფსიქოანალიტიკის თეორიები, 2001;
5. გილინსკი ა., დევიანტოლოგია, 2004;
6. გ. შტერნის თეორიები, 2002;
7. ადლერი ა., როგორ გავიგოთ ადამიანის ბუნება, 2014.

Terrorism as a form of group Deviation

Lia Metreveli
Professor of Georgian Technical University

Summary

Terrorism is recognized as one of the most dangerous social deviations. It is one of the most serious crimes against public safety and public order. According to the Georgian Law on Combating Terrorism, terrorism is "violence or threat of use of violence, destroying-damaging or threatening to destroy-damaging weapons, buildings, vehicles, communications and other material objects directed against natural or legal entities, use of explosives, nuclear, chemical, biological or other, hazardous to human life and health, or kidnapping or hostage-taking, to force the government or any of its organs or international organizations to take certain action or to refrain from taking certain action which is in the unlawful interests of terrorists.

Terrorist has at its root the word "terror," which comes from the Latin word terrorem, meaning great fear[1]. Great fear is exactly what terrorists hope to create so they can manipulate the situation to their benefit, consequently, terrorism is the use of intimidation for political, economic or personal purposes. (Ольшанский Д.В., 2002; Решетников М.М., 2004)

Meanwhile, terrorism is a form of organized violence. This phenomenon, one way or another, has existed at all times. It became significantly more active at the end of the twentieth century. From 1991 to 2000, the world witnessed more than 3810 terrorist explosions. According to the European Security Services, terrorist groups not only exist but operate throughout Europe. Today, there are more than 80 terrorist organizations in the world, including the Basque separatists from the Euskadi Ta Askatasuna (ETA), the Arab "Al Qaeda", the Italian "New Red Brigades" and others. Organized terrorism has a serious political, economic and financial platform. States such as Iran, Sudan, Syria, Libya, North Korea, Cuba, and until recently Iraq, have openly supported the terrorist movement.

[1] Ольшанский Д.В., 2002

ვირტუალური სამყაროს დეტალები, როგორც გლობალიზაციის ახალი გამოწვევა

მულაძე თამრიკო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში საუბარია მსფოლიოს იმ ახალ გამოწვევებზე , რომელიც ციფრული სამყაროს შექმის შემდეგ გაჩნდა . კვლევა ეხება ვირტუალური სამყაროს დეტალებს, მათ დადებით და უარყოფით მხარებს,რომელიც ათეული წლების შემდეგ ,საბოლოოდ მსოფლიოს ახალ წესრის დაამყარებს . ახალ ციფრულ მსოფლიოში კი აუცილებლად დამყარდება ადამიანების ტოტალური კონტროლი.

ვირტუალური რეალობა ქმნის განსხვავებულ სივრცეში რეალურად ყოფნის ილუზიას. ბევრ სპეციალიზირებულ სფეროში ვირტუალური რეალობა ხდება ახალი და ძლიერი ინსტრუმენტი. გარდა გართობის სხვადასხვა ფორმებში მას უკვე აქტიურად იყენებენ კონფერენციების მოსაწყობად , სამრეწველო და საინჟინრო მიმართულებით.

ვირტუალური რეალობა არის მოჩვენებითი გარემო, რომელიც შექმინილია მომხმარებლებისთვის შთაბეჭდილების მოსახდენად თითქოს ისინი არიან იქ ,სადაც სულაც არ არიან.

ვირტუალურ სამყაროში ადამიანების გრძობები, განცდები და შიში იდენტურია რეალურ ცხოვრებასთან. ამ დროს შესაძლებელია ჩვენმა ტვიმა ვერც აღიქვას სიტუაცია რეალურ სამყაროში ხდება თუ არა.

ზოგიერთი ნეირომეციერი თვლის რომ ვირტუალური რეალობის ექსპერიმენტებს შეუძლიათ საკუთარი შიშიც კი დაგვაძლევინოს, მაგალითად დავძლიოთ სიმაღლის შიში, ვირტუალურად კლდიდან გადმოხტომით, ან სულაც განიკურნოთ არაქნოფობიით.

სინამდვილეში ვირტუალური ცხოვრება არის ტექნოლოგია, რომელიც იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას ხელოვნური გარემოს შესაქმნელად. ის ქმნის რამდენიმე ხელოვნურ გრძნობას, როგორიცაა შეხება ,მოსმენდა და მხედველობა. ვირტუალური ცხოვრება ახდენს სხვადასხვა მნიშვნელოვან ცვლილებას ადამიანების ცხოვრებაში და მათ ყოველდღიურ საქმიანობაში.

თუმცა, როგორც ყველაფერს ვირტუალურ გარემოსაც აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგალითად ვიღაცეებისთვის ეს სამყარო რეალობაზე უკეთესია. მისი ფართო მახასიათებლების გამო კი მას იყენებენ სხვადასხვა სფეროში მაგ. სამხედრო განათლების მიმართულე-ბით და ჯანდაცვაში. ის ამატებს მეტ განზომილებებს სხვადასხვა სფეროში და შესაბამისად ჩნდება მეტი შესაძლებლობები ამ მიმართულებით.

მეცნიერები თვლიან რომ ვირტუალური სამყაროს ერთ-ერთი მთავარი მინუსი ისაა , რომ ჯერ კიდევ ყველასთვის არაა ხელმისაწვდომი ციფრული ტექნიკა. თუმცა, შესაძლებელია ამასაც გააჩნდეს თავისი დადებითი მხარე. ეს ადამიანები ჯერ კიდევ არ არიან 21-ე საუკუნის „ნარკოტიკზე“ დამოკიდებული , რაც რეალურ ურთიერთობებს და უკეთეს ჯანმრთელობას უქადით.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ვირტუალური, კრიპტოვალუტა,მეტავერსი, ცუფრული სამყარო.

ძირითადი ტექსტი

კვლევა დავიწყოთ სამყაროს ახალი ციფრული დეტალით, რომელსაც მეტავერსი უწოდეს.

მეტავერსი არის მუდმივი, ონლაინ, 3D სამყაროს კონცეფცია, რომელიც გააერთიანებს მრავალ განსხვავებულ ვირტუალურ სივრცეს. იგი მომხმარებლებს საშუალებას მისცემს ვირტუალ რეალობაში შეხვდნენ ერთმანეთს ,სადაც შესაძლებლობა ექნებათ იმუშაონ, ითამაშონ და დაკავდნენ სხვადასხვა აქტივობებით.

მეტავერსი იქნება ციფრული სამყარო, სადაც ადამიანები შეძლებენ წარმოსახვით სამყაროში ცხოვრებას.

ვირტუალურ სამყაროში მოხდება მომხმარებლების ავატარის შექმნა, რომელსაც მათთვის სასურველი ვიზუალური გამოსახულება ექნება.

მეტავერსის საშუალებით ვირტუალ სამყაროში გადასვლის შემდეგ საყვარელ ადამიანებთან ერთად ერთდროულად შეგეძლებათ მსოფლიოს ნებისმიერ ადგილს ეწვიოთ რამდენიმე წამში .

ამ დროისთვის მეტავერსულ სამყაროებში შემოსავლის მიღება შესაძლებელია უძრავი ქონებით, გასართობი ცენტრების, მეზეუმების და თეატრების ბილეთების გაყიდვით და უამრავი სხვა გზა არსებობს, რომლის საშუალებითაც თქვენ შეგიძლიათ უამრავი ციფრული ბიზნესი წამოიწყოთ.

აღნიშნულ ციფრულ სამყაროში კი ადამიანები სასურველი ფინანსური ტრანზაქციების შესრულებას კრიპტოვალუტის საშუალებით შეძლებენ.

კვლევა განვაგრძოთ ვირტუალური სამყაროს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალით, რომელიც გახლავთ ე.წ. კრიპტოვალუტა. ამ საკითხის კვლევის დროს დაძებნილ მასალებში გამოვკვეთეთ ციფრული „ფულის“ დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები.

კრიპტოვალუტა არის ციფრული ფინანსური რევოლუცია, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ ნაღდი ფულისა და საბანკო ტრანზაქციების გარეშე აწარმოოთ სასურველი გადარიცხვები და ივაჭროთ კრიპტოვალუტის ბირჟაზე.

კრიპტოვალუტა არის დეცენტრალიზებული ფული , რომელიც შექმნილია ინტერნეტში გამოსაყენებლად. იგი 2008 წელს გამოჩნდა პირველად ფინანსურ ბაზარზე და დღესდღეობით ყველაზე გავლენიან სფეროდ გვევლინება.

ამ დროისთვის 10 000-მდე მეტი სახეობის კრიპტო ვალუტა არსებობს. მისი უპირატესობა გახლვათ შუამავალის, მაგალითად ბანკის გარეშე შესრულებული ,პირდაპირი გადარიცხვები. კიდევ ერთი უპირატესობა, რომელიც კრიპტოვალუტას გააჩნია ისაა რომ გადარიცხვები შესაძლებელია შესრულდეს კვირაში 7 დღე 24 სააათის განმავლობაში. აღნიშნულ ტრანზაქციებს კი , როგორც წესი ვერცერთი მთავრობა აკონტროლებს.

ციფრული ტრანზაქციები ე.წ. blokchain-ზე, იწერება, რომლის საშუალებითაც ინდივიდებს აქვთ საშუალება გააკონტროლონ საკუთარი აქტივები.

კრიპტოვალუტის სანდოობას ხელს უწყობს მისი პროგრამული სისტემა. იგი ყველასთვის ხელმისაწვდომია ,რაც უზრუნველყოფს იმას, რომ უამრავ მეცნიერს და კრიპტოგრაფს შეეძლო შეესწავლა ქსელების ყველა ასპექტი და უსაფრთხოება.

კრიპტოვალუტა არის პირველი ალტერნატივა ტრადიციული საბანკო სისტემის,რომელსაც ბვერი უპირატესობა გააჩდია გადახდის სხვა სისტემებთან შედარებით.

ვფიქრობ გლობალიზაციის უმნიშვნელოვანესი დეტალია კრიპტოვალუტა,რომელიც სამომავლოდ ამ დროისთვის არსებულ ყველა ტრადიციულ თუ არატრადიციულ ფინანსურ ტრანზაქციებს ჩაანაცვლებს. თუმცა, მარტივ, უსაფრთხო და სწრაფ ტრანზაქციებთან ერთად მომავლში იგი გახდება ადამიანებზე ტოტალური კონტროლის დამყარების საშუალებაც.

საკითხის კვლევის დროს 30 ადამიანი გამოვკითხეთ 20- 70 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით. გლობალიზაციის ახალი გამოწვევების და ციფრული სამყაროს ახალი დეტალების შესახებ ინფორმაციას კი გამოკითხულთა მხოლოდ 30 პროცენტი ფლობდა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა 73 პროცენტი დადებითად იყო განწყობილი ციფრული რევოლუციის მიმართ.

დასკვნა

ამ მიმართულებით კვლევამ არაერთ საეინტერესო დასკვნამდე მიგვიყვანა, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ციფრული სამყაროს უდიდეს შესაძლებლობებზე, სადაც ადამიანებს მომავალში შეეძლებათ სახლიდან გაუსვლელად ნებისმიერი ტრანზაქციის შესრულება. მეცნიერებს თუ დავუჯერებთ მსოფლიოს მომავალი ახლა ე.წ. ავატარია, სადაც შევძლებთ ვაკეთოთ რაც თავად გვსურს, წავიდეთ სადაც გვინდა , ვიყიდოთ ან გავყიდოთ ნებისმიერი რამ. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბლოკჩეინზე შენახული ჩვენს მიერ განხორციელებული მოქმედება მუდმივად ინახება. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კომფორტული ვირტუალური ცხოვრება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შესაძლებელია ადამიანთა ტოტალური მართვის საშუალება გახდეს. ახალ სამყაროში კი საკუთარი სურვილების ასრულრბა უკვე სახლიდან გაუსვლევადაც იქნება შესაძლებლი, მთავარია გქონდეთ VR ჩაბფხუტი ან სათვალე და ბევრი კრიპტოვალუტა.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. http://www.engineeringchallenges.org/challenges/virtualreality.aspx გადამოწმებულია 15.05.2022
2. https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1877050913012441?ref=pdf_download&fr=RR-2&rr=70be4c858dce959f გადამოწმებულია 15.05.2022
3. https://www.coinbase.com/ru/learn/crypto-basics/what-is-cryptocurrency გადამოწმებულია 15.05.2022
4. https://venturebeat.com/2022/05/14/web3-and-a-digital-space-for-your-crypto-belongings/ გადამოწმებულია 15.05.2022
5. tps://tabula.ge/ge/news/675258-ra-aris-metaversi-ris-shekmnas-tsdilobs-facebook გადამოწმებულია 25.05.2022

Details of the virtual world as a new challenge to globalization

Tamriko Muladze, PhD student,
Georgian Technical University

Summary

The article discusses the new global challenges that have emerged since the advent of the digital age. The research studies specifics of the virtual world, its advantages and disadvantages, which will eventually establish a new world order decades later. Total control over humans will definitely be established in the new digital world.

Virtual reality creates the illusion of a real presence in another space. It is emerging as an innovative and powerful tool in a number of specialized fields. In addition to various sources of entertainment, it is already actively used for industrial and engineering conferences.

Virtual reality is an imaginary world that allows us to feel as if we are somewhere we are not. People's feelings, emotions, and worries are identical to those in the real life, and brain may not be able to distinguish if the event is occurring in real world or not.

Some neuroscientists believe that virtual reality experiments may even help people overcome their fears, such as fear of heights by virtual cliff jumping, or even arachnophobia.

Virtual life is a software-based technique that creates an artificial environment. It simulates several senses, including touching, hearing, and sight. Virtual reality has a significant impact on people's lives and daily activities.

However, like everything else, the virtual environment has its advantages and disadvantages. For some, this world is better than reality. Due to its wide characteristics, it is applied in different areas, e.g. in military education and healthcare. It includes more dimensions to diverse areas and thus more openings emerge in such directions.

Scientists believe that one of the major drawbacks of the virtual world is that digital innovation isn't yet accessible to everyone. However, this may have its advantages. These individuals are not yet addicted to the 21st century drug, which threatens genuine connections and wellbeing.

Keywords: Globalization, Virtual, Cryptocurrency, Metaverse, Digital world.

მულტიმედია ტექსტის გამოყენების შემთხვევათა ანალიზი რადიო „თავისუფლების“ მულტიმედია პროექტებში

ნატროშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში გააზრებულია ის როლი, რომელსაც მულტიმედია ტექსტი რადიო „თავისუფლების“ კომპლექსურ მულტიმედია პროექტებში ასრულებს. იგი მიმოიხილავს კონვერგენტულ მედიაგარემოში აღნიშნული მედიასაშუალების ჟურნალისტური კონტენტის ცვლილების მცირე ისტორიულ ექსკურსს, წარმოაჩენს მედიატექსტის სახეცვლილ ბუნებას, განსხვავებულ მახასიათებლებს — გაზრდილ ინტერაქციულობას, ჩართულობასა და გაზიარების მაღალ ხარისხს.

სტატია განიხილავს, თუ რამდენად შეესაბამება რადიო „თავისუფლების“ მულტიმედია პროექტები თანამედროვე კონვერგენტული ჟურნალისტიკის მოთხოვნებს, გარემოსა და ძირითად პრინციპებს — უშუალობას, ინტერაქციულობას, სისხარტეს, ჰიპერტექსტურობას, ტექსტის ვიზუალური გაფორმების ახლებურ გააზრებას, მის გადანაწილებას აუდიო, ფოტო და ვიდეკონტენტს შორის, ტექსტის, როგორც მულტიმედია მასალის სხვადასხვა კომპონენტის შემაერთებელ ფაქტორად გამოყენების თავისებურებას და ერთ მთლიანობად წარმოჩენას, გამოსახვითი საშუალებების მრავალფეროვნებასა და დაბალანსებას, სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობით ხელმისაწვდომობას და ა.შ.

სტატია სხვადასხვა ავტორის მულტიმედიური პროექტების მაგალითზე წარმოაჩენს მულტიმედია ტექსტის სტილისტურ სპეციფიკას, თხრობის მანერას, უშუალო ფრაზეოლოგიასა და მათი დახმარებით, აუდიტორიის ჩართულობის, ინტერაქციის მაღალი ხარისხის, ინტერნეტმომხმარებლის ყურადღებისა და, საბოლოო ჯამში, მთლიანად მულტიმედია პროექტის პოპულარობის უზრუნველყოფას.

სტატიაში წარმოჩენილია პრობლემატიკა, რომელიც მულტიმედია პროექტების შეზღუდული რაოდენობით შექმნას, შესაბამისი რესურსის სიმცირეს, ტექნოლოგიური გადაიარაღების აუცილებლობასა და სათანადო ინვესტიციების არარსებობას უკავშირდება. ამას გარდა, მასში ასახულია ის უახლესი ტენდენციები და განსხვავებული ფორმატები, რომელთა გათვალისწინებაც მულტიმედია პროექტების ავტორებს სამომავლოდ შესაბამისი პროექტების შესრულებისას მოუწევთ.

ამავდროულად, სტატიაში ასახულია ტენდენციები, რომელთა გააზრება პოზიტიურ გავლენას მოახდენს არა მარტო რადიო „თავისუფლების“, არამედ სხვა მედიასაშუალებების მიერ მომზადებული მულტიმედია ტექსტის ხარისხზე და, შესაბამისად, კომპლექსურად მთლიან პროექტებზე, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს საქართველოში კონვერგენტული ჟურნალისტიკისა და შესაბამისი ჟურნალისტური ნაწარმოებების განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: რადიო თავისუფლება, მულტიმედიურობა, მულტიმედია ტექსტი, კონვერგენცია, ქართული მედია

ძირითადი ტექსტი

რადიო „თავისუფლება“ ერთ-ერთია იმ მედიასაშუალებებს შორის, რომლებმაც საქართველოში კონვერგენტული ჟურნალისტიკის განვითარების თვალსაზრისით პირველი ნაბიჯები გადადგეს და აუდიტორიას მულტიმედია კონტენტი შესთავაზეს. სწორედ რადიო „თავისუფლებამ“ დაიწყო იმგვარი მასალების მომზადება, რომლებიც კონკრეტულად ვებსაიტის მომხმარებლებისთვის იყო განკუთვნილი და გამოსახვითი საშუალებების ნაკრებს აერთიანებდა. ამ პროექტებში მულტიმედიური ამბის თხრობამ მთლიანად ჩაანაცვლა ტექსტისა და აუდიო თუ ვიდეოფაილების უბრალო კოპირება, ყველა ეს ელემენტი ერთმანეთს დაუკავშირა და ინტერნეტაუდიტორიისთვის მარტივად აღსაქმელი კონტენტი შექმნა.

თემატური თვალსაზრისით, რადიო „თავისუფლების“ კომპლექსური მულტიმედიური

პროექტები, ძირითადად, მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებსა და აუდიტორიისთვის ინფორმაციის მრავალფეროვანი ხერხებით მიწოდებას ემსახურება. ყველა მათგანი შემეცნებით დატვირთვას ატარებს და ამ ფაქტებს თანამედროვე ჟურნალისტიკისთვის დამახასიათებელი გამოსახვითი საშუალებებით გადმოსცემს.

რადიო „თავისუფლების“ ერთ-ერთი პირველი მულტიმედია პროექტი „100 წლის შემდეგ - საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“ 2018 წლის 26 მაისსაა გამოქვეყნებული. მისი ავტორები ჟურნალისტი ეკა ქევანიშვილი, გიორგი გოგუა, ოპერატორი და რეჟისორი თემო ბეგიაშვილი არიან, ვიზუალიზაციის დიზაინერი კი იაკუბ სიროტეკია. [1]

მულტიმედია პროექტში იმ პერიოდის მნიშვნელოვანი ფაქტებია თავმოყრილი. ავტორი იყენებს ფოტოებს, მათ შორის საარქივო მასალებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, მკითხველისთვის მარტივად ხელმისაწვდომი არ არის, რაც პროექტს დამატებით ინფორმაციულ ღირებულებას სძენს. ჟურნალისტურ ნაწარმოებში ყურადღებას იქცევს ორიგინალური სლაიდშოუები, მცირე ვიდეოები და თემატური აუდიოფაილები, ასევე, ტექსტის განლაგება და ვიზუალიზაცია. ავტორები ოპტიმალურად იყენებენ ბულეთებს და ტექსტის აღქმას ვიზუალურად ამარტივებენ. შესაბამისად, რთული მულტიმედია მასალების მიუხედავად, მომხმარებლებისთვის პროექტში ნავიგაცია მოსახერხებელი და ინტუიციურია.

ნავიგაციის პროცესში მასალის მკითხველს ერთგვარ მეგზურობას მულტიმედია ტექსტი უწევს, რომელიც აქ უხვადაა წარმოდგენილი. თითოეულ აუდიო, ფოტო თუ ვიდეომასალას ახლავს მცირე ტექსტი, რომელიც მათი განმარტების ფუნქციას ასრულებს. ამას გარდა, კონკრეტულ ნაწარმოებში ტექსტი ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა ელემენტს და წარმოადგენს ერთგვარ მცირე ხიდებს მულტიმედიურ ელემენტებს შორის.

რაც შეეხება, თავად მულტიმედია ტექსტის სტილისტურ სპეციფიკას, ფრაზები აწყობილია თხრობის უშუალო მანერით, მარტივი წინადადებებით, რომლებიც ამბის აღქმას აიოლებს და აუდიტორიას უშუალო საუბრის განცდას უქმნის. მაგალითად, „დიდი ამბები ტრიალებდა ასი წლის წინ დღევანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის, ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში“. [1] დიდი ამბები ტრიალებდა ის ფრაზაა, რომელიც უფრო მეტად სასაუბრო სტილისთვისაა დამახასიათებელი და არა, მაგალითად, ოფიციალური ინფორმაციისთვის, ან ემოციისგან დაცლილი ჟურნალისტური ფრაზებისთვის.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტის გამოყენების თვალსაზრისით, შეიძლება, პროექტის ერთგვარ ნაკლად მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ვიდეომასალებს თან არ ერთვის ტიტრი, რაც ართულებს ინფორმაციის აღქმას იმ შემთხვევაში, როცა მომხმარებლისთვის ვიდეომასალის ჩართვა და ხმის მოსმენა შეუძლებელია. ამავდროულად, მასალა კარგად არის ადაპტირებული სხვა ტიპის მოწყობილობებთან და მისი სრულყოფილად ნახვა როგორც მობილური ტელეფონით, ისე პლანშეტური კომპიუტერითაა შესაძლებელი.

შედარებით განსხვავებული ფორმატითაა მომზადებული ნიკო ნერგაძისა და ჯიმშერ რეხვიაშვილის მულტიმედია პროექტი „დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია ჩატარებული არჩევნების მიხედვით“. იგი 9 სერიისგან შედგება და ქრონოლოგიურად მოიცავს ყველა საპარლამენტო არჩევნებს 1990 წლიდან 2020 წლამდე. [2] უშუალოდ ჟურნალისტების გარდა, მასალის მომზადებაში ჩართული იყო სამი ოპერატორი, მონტაჟის სპეციალისტი, ილუსტრატორი და ვებდეველოპერი. პროექტში გამოყენებულია სამი ფოტოგრაფის ნამუშევრები და ასევე, ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ კოლექციაში დაცული ფოტოები.

ნიკო ნერგაძისა და ჯიმშერ რეხვიაშვილის 9 სერია ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, თუმცა ყველა მათგანს მსგავსი სტრუქტურა და მულტიმედიური თხრობის მანერა უდევს საფუძვლად. ამბის მოყოლის სიუჟეტური ხაზი შემდეგი კომპონენტებისგან შედგება: მცირე ტექსტი, ბევრი ფოტომასალა, მათ შორის საარჩევნო პოსტერები და 10-წუთიანი ვიდეოინტერვიუები. განსხვავება, რაც ამ პროექტს ეკა ქევანიშვილის ზემოთ განხილული პროექტისგან გამოარჩევს, ტექსტის შესამჩნევად ინფორმაციული სტილი და დიდი მოცულობაა. ამ შემთხვევაში წინადადებები ნაკლებად ემოციური და ინტერაქციულია, არ არის ორიენტირებული მკითხველთა ჩართულობაზე და მხოლოდ მოვლენათა ქრონოლოგიას გადმოსცემს.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც მასალა ტექნოლოგიურად გამართულია, მისი ნავიგაცია კი — მარტივი და ინტუიციური, თუმცა ვიდეოს არ ახლავს ტიტრი, რაც მასალას აუდიტორიის მოთხოვნილებებზე ნაკლებად ორიენტირებულს ხდის. ასევე, ავტორები საერთოდ არ იყენებენ ჰიპერბმულებს, რაც ვფიქრობთ, თითოეული სერიის მოცულობას ზრდის, რითაც შესაძლოა, აუდიტორიის ბოლომდე შენარჩუნების ალბათობასა და თანამედროვე მულტიმედია ტექსტის ერთ-ერთ თვისებას - სიღრმეს ამცირებს.

დასკვნა

წარმოდგენილი მულტიმედია პროექტების საფუძველზე იკვეთება, რომ რადიო „თავისუფლების“ ავტორების მიერ შექმნილი მულტიმედია ტექსტი დიდწილად შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც თანამედროვე კონვერგენტული ჟურნალისტიკა ითვალისწინებს. ამავდროულად, მედიასაშუალება ახერხებს, დაიცვას ზღვარი აკადემიურობასა და უშუალობას შორის.

მულტიმედია ტექსტები სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობით მარტივადაა ხელმისაწვდომი, მაგრამ იკვეთება ჰიპერტექსტურობის — მასალებში ჰიპერბმულების გამოყენებისა და თემების ერთმანეთთან დაკავშირების სიმწირე. თუმცა, ტექსტის ეფექტიანი სკანირების მიზნით, რადიო „თავისუფლება“ მის ვიზუალურ გაფორმებას მიმართავს და ტექსტს იყენებს, როგორც მულტიმედია მასალის სხვადასხვა კომპონენტების შემაერთებელ ღერძს.

აღსანიშნავია, რომ რადიო „თავისუფლებაში“ მულტიმედია პროექტები მაინც შეზღუდული რაოდენობით იქმნება, რაც დიდწილად თავად მედიასაშუალების მცირე რესურსთანაა დაკავშირებული. მაღალი ხარისხის, მსხვილი მულტიმედია პროექტების მომზადება არა მარტო მასში ჩართული პროფესიონალების მრავალფეროვნებას, არამედ დიდ დროით რესურსს, ტექნოლოგიურ გადაიარაღებასა და, შესაბამისად, გარკვეულ ინვესტიციებსაც მოითხოვს.

ტექნოლოგიების განვითარებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდასთან ერთად, მულტიმედია პროექტების, შესაბამისად ტექსტების აქტუალობაც, კიდევ უფრო გაიზრდება. მოიმატებს ამგვარი პროექტების მომხმარებელთა რიცხვიც, კონვერგენტულ ჟურნალისტიკაში კი ტექსტის კიდევ უფრო ახლებური ფორმატები შეიქმნება [3]. შესაბამისად, მულტიმედია ტექსტის გამოყენებასთან დაკავშირებული აღნიშნული ტრენდების დანერგვა ადრე თუ გვიან აუცილებლად დაიწყება საქართველოშიც და უნდა ვივარაუდოთ, რომ რედაქციებს, მათ შორის რადიო „თავისუფლებასაც“, ამ მიმართულებით გააქტიურება და ინვესტიციების განხორციელება მოუწევთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკა ქევანიშვილი, 100 წლის შემდეგ - საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა, რადიო „თავისუფლება“, 2018, https://www.radiotavisupleba.ge/a/vizualizacia-asi-clis-chemdeg-sapartvelos-pirveli-damoukidebeli-respublika/29230348.html (ნანახია: 12.05.2022)
2. ჯიმშერ რეხვიაშვილი, ნიკო ნერგაძე, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია ჩატარებული არჩევნების მიხედვით, რადიო „თავისუფლება“. 2020 https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98/30916765.html#infoEachElection (ნანახია: 12.05.2022)
3. Nic Newman, Journalism, media, and technology trends and predictions 2021, https://reutersinstitute.politics.ox.ac.uk/journalism-media-and-technology-trends-and-predictions-2021 (ნანახია: 12.05.2022)

Multimedia text case analysis in Radio Liberty's multimedia projects

Nino Natroshvili
PhD student of Georgian Technical University

Summary

The article discusses the role that multimedia text plays in Radio Liberty's complex multimedia projects. It reviews the small historical excursion of media content change in the convergent media environment, reveals the changing nature of media text, its distinctive features - increased interactivity, engagement and high degree of sharing.

The article discusses the extent to which Radio Liberty's multimedia projects meet the requirements of modern convergent journalism, the environment and basic principles - immediacy, interactivity, agility, hypertext, new understanding of text visualization, its distribution among audio, photo and video contents, the peculiarity of using a text as a connecting factor of different components and presenting them as a whole, the diversity and balance of imaging means, access to different electronic devices, etc.

The article on the example of multimedia projects of different authors presents the stylistic specifics of multimedia text, narration manner, direct phraseology and with their help, ensuring audience engagement, high quality of interaction, internet user attention and, finally, the popularity of the multimedia project as a whole.

The article presents the problems related to the creation of a limited number of multimedia projects, the lack of appropriate resources, the need for technological re-equipment and the lack of proper investment. In addition, it reflects the latest trends and different formats that the authors of multimedia projects will have to take into account in the implementation of relevant projects in the future.

At the same time, the article reflects the trends, the understanding of which will have a positive impact not only on the quality of multimedia texts prepared by Radio Liberty, but also on other complex media projects, which will ultimately contribute to the development of convergent journalism and relevant journalistic productions in Georgia.

Keywords: Radio Liberty, Multimedia, Multimedia Text, Convergence, Georgian Media

ნდობა და მისი მნიშვნელობა პერსონალის მართვის პროცესში

ომანაძე ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიაში აღნიშნულია თუ რა არის ნდობა და რა მნიშვნელობა ენიჭება მას ადამიანური რესურსების მართვის პროცესში. აღწერილია ნდობის მნიშვნელობა პერსონალს შორის, როგორც საქმიან, ისე პირად ურთიერთობებში. საუბარია, რომ ადამიანური რესურსების მენეჯერმა უნდა შეაფასოს რისკები, რაშიც იგულისხმება ორგანიზაციის დანაკარგი შეცდომით აყვანილი პიროვნების შემთხვევაში.

ავტორი წერს, რომ არსებობს ორი სახის ნდობა: ბრმა ნდობა და გაცნობიერებული ნდობა. პირველი მხოლოდ ემოციაზე, ინტუიციაზე დაყრდნობით განხორციელებული ქმედებაა. რაზეც მეცნიერების მოსაზრება არსებობს, რომ ასეთი ქცევა ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია დაუფიქრებ-ლობით და მოზღვავებული ემოციით, რაც ძალზედ რისკიანია, როგორც საქმიან, ისე პიროვნულ ურთიერთობებში, რადგან მას შეიძლება მოყვეს არა მარტო კარგი, არამედ ცუდი შედეგებიც, ხოლო გაცნობიერებული ნდობა არის ემოციურად ინტელექტუალური ადამიანისთვის დამახასიათებელი გადაწყვეტილება, რომელშიც ემოციასთან ერთად მონაწილეობს რაციონალური აზროვნება. ემოციურად ინტელექტუალური ადამიანი აცნობიერებს და აღიარებს საკუთარ ემოციას, მაგრამ თვითონ აკეთებს არჩევანს, მიიღოს თუ არა ამ ემოციაზე დაფუძებული გადაწყვეტილება, ანუ ენდოს თუ არა ადამიანს.

სტატიაში მოყვანილია მეცნიერების მოსაზრება, რომ ადამიანის ტვინი 33 წამში წყვეტს განეწყოს თუ არა ნდობით პიროვნების მიმართ. ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ამ განწყობის შექმნაში ადამიანებს ეხმარება გარკვეული თვისებები, ზოგი თანდაყოლილი და ზოგი შეძენილი. ავტორი აღნიშნავს, რომ პიროვნების მიმართ ნდობის ემოციის გამოწვევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პიროვნულ მახასიათებლებზე: მაგალითად რამდენად პოზიტიურია და ენერგიულია კონკრეტული ადამიანი. ამ თვისებების მქონე პირებს აქვთ დიდი შანსი მარტივად განაწყონ გარშემომყოფები ნდობით მათ მიმართ.

ნაშრომში ასევე აღნიშნულია, რომ უნდა მოხდეს გაანალიზება ახალი დაქირავებულის მიმართ ნდობისა, რათა არასწორად გამოწვეულმა ნდობის ემოციამ არ გამოიწვიოს მნიშვნელოვნად დაზარალება მენეჯერისა და ორგანიზაციის მორალურად ან ფინანსურად.

საკვანძო სიტყვები: ნდობა, ადამიანური რესურსი, ბრმა და გაცნობირებული ნდობა

ძირითადი ტექსტი

ნდობა არის ინტერპერსონალური ურთიერთობების, სოციალური კავშირების, საზოგადოებრივი ინსტიტუტების არსებობის და განვითარების აუცილებელი წინაპირობა. ნდობის არსებობა ადამიანური რესურსების მართვის პროცესში უმნიშნელოვანესია, როგორც პირად ასევე საქმიან ურთიერთობებში. საინტერესოა რა იწვევს ნდობას, ან მის ნაკლებობას და როგორ შეიძლება ნდობაზე ზეგავლენის მოხდენა.

აღსანიშნავია, რომ ნდობა არის ემოცია ისევე როგორც შიში, სიხარული, სევდა, გაკვირვება, ზიზღი, სიყვარული. ემოციების ადაპტაციური თეორიის თანახმად, ნებისმიერი ემოციის ფუნქცია არის უბიძგოს ადამიანს ისეთი ქმედებისკენ, რომელიც მის გადარჩენას და გარემოში უკეთეს ადაპტაციას ემსახურება.

პერსონალის მართვის პროცესში ნდობას აქვს თავისი ადაპტაციური დანიშნულება - ის გახლავთ თანამშრომლებს შორის ღიაობის უზრუნველყოფის საშუალება. ნდობის ემოციის გარეშე წარმოუდგე-ნელია ადამიანური რესურსების მენეჯერეს, პერსონალს და ხელმძღვანელობას შორის, თანამშრომლობა, ინტერპერსონალური კავშირები, მეგობრობა და ზოგადად საზოგადოებრივი ცხოვრება. როდესაც საქმე ეხება ნდობას ბიზნესში, აქ სწორედ ნდობის ემოცია უდევს საფუძვლად პარტნიორების ურთიერთობას, პერსონალისა და ხელმძღვანელების ურთიეროთობას, ზოგადად თანამშრომლობას.

პერსონალს შორის არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მარტივად იმსახურებენ ნდობას.

რამდენიმე წუთი საკმარისია იმისათვის, რომ დადებითად განეწყო მის მიმართ. მეცნიერების თქმით ადამიანის ტვინი 33 წამში წყვეტს განეწყოს თუ არა ნდობით პიროვნების მიმართ. ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ამ განწყობის შექმნაში ადამიანებს ეხმარება გარკვეული თვისებები, ზოგი თანდაყოლილი და ზოგი შეძენილი.[1]

მეცნიერების აზრით პიროვნების მიმართ ნდობის ემოციის გამოწვევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პიროვნულ მახასიათებლებზე : მაგალითად რამდენად პოზიტიურია და ენერგიულია კონკრეტული ადამიანი. ამ თვისებების მქონე პირებს აქვთ დიდი შანსი მარტივად განაწყონ გარშემომყოფები ნდობით მათ მიმართ. ნდობის მოსაპოვებლად ასევე მნიშნელოვანი ფაქტორია გარეგნობა, ზოგადად ჩვენში ნდობას იწვევენ ჩვენი მსგავსი ადამიანები, და ეს ეხება ყველაფერს - ჩაცმულობას, ქცევებს, ინტერესებს და ა.შ. ანუ, რაც უფრო მეტ საერთოს ვპოულობთ სხვაში, მით უფრო მიდრეკილი ვართ მის მიმართ ნდობისკენ. [2] ორგანიზაციაში მსგავსი ტიპის ადამიანების შერჩევა და დაკომპლექტება სამომავლოდ პერსონალს შორის ნდობას და ურთიერთჰარმონიას წიანსწარმეტყველებს.

არსებობს 2 სახის ნდობა: ბრმა ნდობა და გაცნობიერებული ნდობა. ბრმა ნდობა მხოლოდ ემოციაზე, ინტუიციაზე დაყრდნობით განხორციელებული ქმედებაა. მეცნიერების მოსაზრებით ასეთი ქცევა ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია დაუფიქრებლობით და მოზღვავებული ემოციით, რაც საკმაოდ რისკიანია, როგორც საქმიან, ისე პიროვნულ ურთიერთობებში, რადგან მას შეიძლება მოყვეს არა მარტო კარგი, არამედ ცუდი შედეგებიც. ბევრი ორგანიზაციის მუშაობის პროცესი დაბრკოლდა, რაც გამოწვეული იყო ნდობის შემცირებით, ეჭვის არსებობით ხელმძღვანელობას, მენეჯმენტსა და თანამშრომლებს შორის.

რაც შეეხება გაცნობიერებულ ნდობას ის არის ემოციურად ინტელექტუალური ადამიანისთვის დამახასიათებელი გადაწყვეტილება, რომელშიც ემოციასთან ერთად მონაწილეობს რაციონალური აზროვნება. ემოციურად ინტელექტუალური ადამიანი აცნობიერებს და აღიარებს საკუთარ ემოციას, მაგრამ თვითონ აკეთებს არჩევანს, მიიღოს თუ არა ამ ემოციაზე დაფუძებული გადაწყვეტილება, ანუ ენდოს თუ არა ადამიანს. ასეთი ტიპის ნდობა ბევრად მისაღებია საქმიან ურთიერთობებში, განსაკუთრებით ადამიანური რესურსების მენეჯერის მხრიდან პერსონალის შერჩევის პროცესში.

ნდობა უზარმაზარ როლს თამაშობს დასაქმების, ადაპტაციის, ტრენინგის, მოტივაციისა და თანამშრომელთა შეფასების პროცესებში. თუმცა, მეორე მხრივ, ამ პროცესებმა შეიძლება გააძლიეროს ან გაანადგუროს ნდობა. ის, როგორც ერთ-ერთი ორგანიზაციული ღირებულება, არ შეიძლება შენარჩუნდეს ან განვითარდეს, როდესაც კომპეტენციის, სამართლიანობისა და ქცევის პროგნოზირებადობის დონე დაბალია. [3]

სანამ ადამიანური რესუსების მენეჯერი გადაწყვიტავს ენდოს თუ არა კონკრეტულ ადამიანს, მნიშვნელოვანია შეაფასოს რისკები ანუ შეაფასოს შესაძლო დანაკარგის ზომა სარგებელთან შედარებით, რაც გულისხმობს თუ რამდენს დაკარგავს ორგანიზაცია შეცდომით აყვანილი პიროვნების შემთხვევაში, თუ მენეჯერის ნდობა პერსონალის მიმართ არ გამართლდება. უნდა იყოს გაანალიზებული, რომ ახალი დაქირავებულის მიმართ ნდობამ მნიშვნელოვნად არ დააზარალოს მენეჯერი და ორგანიზაცია მორალურად ან ფინანსურად.[4]

დასკვნა

ნდობა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ადამიანური რესურსების მართვაში, რაც საქმიან ურთიერთობებს ამყარებს. თუ ორგანიზაცია დასაქმებულს ენდო ბოლომდე, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ადამიანი ორგანიზაციისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, მასზე დიდ იმედებს ამყარებს დამსაქმებელი.

---

[1] https://www.growin.ge/press-center/siaxleebi/ndoba-da-emociuri-inteleqti
[2] http://tavisuflad.blogspot.com/2017/04/blog-post.html
[3] https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-319-70485-2_6
[4] https://www.growin.ge/press-center/siaxleebi/ndoba-da-emociuri-inteleqti

ნდობა არის რწმენა იმისა, რომ კონკრეტული პიროვნება ორგანიზაციის წარმატების მოტანის გარანტია და გაამართლებს ხელმძღვანელობის მოლოდინს მის მიმართ. სწორედ ამიტომ, წარმოუდგენლად მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მუშაობის პროცესში ნდობის არსებობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.growin.ge/press-center/siaxleebi/ndoba-da-emociuri-inteleqti
2. http://tavisuflad.blogspot.com/2017/04/blog-post.html
3. https://legalethicschair.newvision.ge/themes/lec/assets/%E1
4. https://oxford-review.com/blog-developing-workplace-trust/
5. https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-319-70485-2_6

Trust and its importance in the personnel management process

Nino Omanadze
Assistant professor of Georgian Technical University

Summary

The article discusses what trust is and how important it is in the human resource management process. Describes the importance of trust between staff in both business and personal relationships. It is said that the human resources manager must assess the risks involved in the loss of the organization in the event of a person being hired by mistake.

The author writes that there are two types of trust: blind trust and conscious trust. The first is an action based solely on emotion, intuition. There is a scientific opinion that such behavior is often caused by recklessness and emotional emotions, which is very risky in both business and personal relationships, because it can lead to not only good but also bad results, and conscious trust is a decision characteristic of an emotionally intelligent person. Along with emotion participates rational thinking. An emotionally intelligent person realizes and recognizes his own emotion, but he himself makes the choice of whether to make a decision based on that emotion, or whether to trust the person.

The article cites the scientific view that the human brain decides in 33 seconds whether to have confidence in a person. Psychologists have found that certain traits, some innate and some acquired, help people to create this mood. The author notes that the challenge of the emotion of trust in a person depends significantly on personal characteristics: for example how positive and energetic a particular person is. Individuals with these qualities have a great chance to easily instill confidence in those around them.

The paper also states that the trust in the new employee should be analyzed so that the emotion of misplaced trust does not cause significant harm to the manager and the organization morally or financially.

Keywords: Trust, human resources, blind and aware trust.

ევროპელი ავტორები XVII საუკუნის საქართველოს სავაჭრო ურთიერთობის შესახებ

ოსაძე ივანე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ფიფია ასმათი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ევროპელ ავტორთა თხზულებებიდან და სხვა საისტორიო წყაროებიდან ცხადად ჩანს, რომ XVII საუკუნეში ფეოდალური დაშლილობის პირობებში საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებას შეესატყვისებოდა. საზოგადოდ ქვეყანა სამეურნეო დაქვეითებას განიცდიდა, მაგრამ ისე როგორც პოლიტიკურად, ეკონომიკურადაც ცალკეული სამეფო - სამთავროები სხვადასხვა დონეზე იმყოფებოდნენ. ქართლსა და კახეთში, ასევე სამხრეთ საქართველოში შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო. დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში უკიდურესი სიღარიბე და გაჭირვება სუფევდა.

ზემოთაღნიშნული ვითარების შესახებ მეტად საინტერესო და ძვირფას ცნობებს გვაწვდიან ევროპელი ავტორები: კათოლიკე მისიონერები, მოგზაურები, ვაჭრები, რომლებიც განსხვავებული მიზნებით იმყოფებოდნენ ჩვენს ქვეყანაში.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ფასეულია იტალიელი თეატინელი მისიონერის დონ არქანჯელო ლამბერტის ორი წიგნი და რელაციები. XVII საუკუნის საქართველოს სავაჭრო - ეკონომიკურ, სოციალურ - პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაზე. მისი, როგორც თვითმხილველის, ცნობები საინტერესო და სანდოა, განსაკუთრებით ამ საუკუნის პირველი ნახევრის სამეგრელოზე, სადაც წლების განმავლობაში ცხოვრობდა და საქმიანობდა.

სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ცნობები, რომლის თხზულებაც XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს წყაროდ არის მიჩნეული. მისი ვრცელი თხზულება "მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში", გამოირჩევა ჩვენი ქვეყნის შესახებ ცნობების სიმდიდრითა და მრავალმხრივობით, ასახავს იმ დროის საქართველოში არსებულ სავაჭრო - ეკონომიკურ, სოციალურ - პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებას. ავტორი აღწერილი მოვლენების თვითმხილველია და მის მიერ გადმოცემული ფაქტები უშუალო დაკვირვების შედეგია. ჩვენთვის საინტერესო საკითხებს ამა თუ იმ კუთხით ეხებიან, აგრეთვე, სხვა ევროპელი ავტორებიც.

XVII საუკუნის საქართველოს სავაჭრო - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარების თაობაზე ევროპელ ავტორთა ცნობები იძლევა რიგი საკითხების დადგენის, დაზუსტებისა და ახლებურად გააზრების შესაძლებლობას, რაც ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ქვეყნის იმდროინდელი ისტორიული ყოფის არაერთი მხარის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: სავაჭრო, ეკონომიკური, ცნობები, საქართველო, ვითარება.

ძირითადი ტექსტი

წინა საუკუნეებში დაწყებული ეკონომიკური დაქვეითება XVII საუკუნის საქართველოშიც თვალსაჩინოა. იმ საერთაშორისო მოვლენებს შორის, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში სხვა მიზეზებთან ერთად განაპირობებდა ქვეყნის სამეურნეო - ეკონომიკურ ჩამორჩენილობას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთის აგრესიული სახელმწიფოს გაბატონებას მახლობელ აღმოსავლეთში და ირან - თურქეთის ხანგრძლივ ომებს ამიერკავკასიაში, ქურთისტანსა და ერაყში გაბატონებისათვის. ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების გზაზე მყოფ დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და აღმოსავლეთს შორის თურქეთის მიერ ვაჭრობის მონოპოლიის ხელში ჩაგდებამ, საქართველოს დააკარგვინა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დამაკავშირებელი ქვეყნის როლი. საქართველო თითქმის მთლიანად მოწყვეტილი აღმოჩნდა დასავლეთ ევროპისაგან.

შავსა და აზოვის ზღვებზე გაბატონებული თურქეთის კონტროლს დაუქვემდებარდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სავაჭრო გზა. თურქეთის

ეკონომიკური პოლიტიკა გამოირჩეოდა ზღვარდაუდებელი თვითნებობითა და გამომძავლელობით, რაც უკიდურესად ართულებდა ამ სავაჭრო გზის გამოყენების შესაძლებლობას.

საქართველოს სავაჭრო - ეკონომიკური განვითარებისათვის უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს. ამერიკისა და ინდოეთისაკენ აფრიკის გარშემო საზღვაო გზის აღმოჩენამ უაღრესად დასცა ევროპიდან ამიერკავკასიაზე გავლით სავაჭრო გზის მნიშვნელობა. სავაჭრო გზების ოკეანეებზე გადანაცვლებამ და ხმელთაშუა ზღვის როლის დაცემამ მთელი წინა აზია და საქართველო მსოფლიო სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობების სისტემიდან ამოაგდო.

უნდა აღინიშნოს, რომ XVI – XVII საუკუნეთა მანძილზე ირანსა და თურქეთს შორის 4 დიდი ომი იყო, რომელთა ერთ - ერთი მიზანი საქართველოს დაპყრობა იყო. მართალია ვერც ერთი მხარე საბოლოო მიზანს ვერ აღწევდა, მაგრამ დასახული ამოცანის გადასაწყვეტად აგრესორები ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების პირობების მოსპობის ბარბაროსულ მეთოდებს იყენებდნენ: კაფავდნენ ბაღ - ვენახებს, თუთის ხეებს, აჩანაგებდნენ ინტენსიური მიწათმოქმედების რაიონებს და მათ ადგილზე მომთაბარულ მეჯოგეობას ნერგავდნენ.

XVII საუკუნის დასაწყისში საქართველოს საბოლოო დაშლამ ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად, დაარღვია ქვეყნის ერთიანი სამეურნეო - ეკონომიკური სისტემაც.

ასეთი იყო ზოგადად საქართველოს სამეფო - სამთავროებში ეკონომიკური ცხოვრების უარყოფითი ისტორიული პირობები XVII საუკუნეში.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ვითარებისა, შედარებით მშვიდობიან პირობებში საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულში ადგილი ჰქონდა სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას, რასაც ევროპელი ავტორების ცნობებიც ადასტურებს.

საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით XVI საუკუნეში კახეთის სამეფო ყველაზე უფრო დაწინაურებული იყო ეკონომიკური და პოლიტიკური მიმართულებით.

მშვიდობიანობა, თავადური რეაქციის სისუსტე და ხელისუფლების სიძლიერე განაპირობებდა კახეთის სამეფოს ეკონომიკურ დაწინაურებას.

ამ პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გზებთან სიახლოვემ. გილან - შემახა - ასტრახანის „აბრეშუმის გზა“ კახეთის ფეოდალური მეურნეობისათვის საგარეო ვაჭრობის ხელსაყრელ ფაქტორს წარმოადგენდა [1, 27]. ამ ვაჭრობაში ფეოდალებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ მეფეებიც. XVI საუკუნეში ამ ქვეყანაში განვითარების მაღალ დონეზე იყო კულტურული მეურნეობა, მიმდინარეობდა გაცხოველებული ვაჭრობა. ამ საუკუნის 80 - იან წლებშიც კახეთის მეფე ალექსანდრე, როგორც ტომაზო მინადოი აღნიშნავს: „აჭარბებს ყველა ქართველს სიმდიდრით და ფულით და ყველაზე უკეთ სარგებლობს მშვიდობიანობით“. [2, 161]

კახეთის ეკონომიკურ განვითარებას ბოლო მოუღო ირანის შაჰის აბას I -ის გამანადგურებელმა ლაშქრობებმა 1614 – 1616 წლებში აყვავებული ქვეყანა ნანგრევებად იქცა. XVII საუკუნის 40 - იან წლებში კახეთში არც ერთი ქალაქი აღარ არის, არც ბაზრობები იმართებოდა სადმე [3, 160].

XVI საუკუნეში განსხვავებული ვითარება იყო ქართლში. მთელი საუკუნის მანძილზე სამეფო განუწყვეტლივ იბრძვის ირანსა და თურქეთის თავდასხმების მოსაგერიებლად, ბრძოლა მიმდინარეობს ქართლის ბარში ოსების მოძალების წინააღმდეგაც. ამ საუკუნის მანძილზე ქართლმა გადაიხადა ორმოცამდე ომი, რომელმაც მწარმოებელი მოსახლეობის განახევრება გამოიწვია.

მხოლოდ XVII საუკუნის 30 – 40 -იანი წლებიდან იწყება ქართლის ეკონომიკური აღმავლობა. ირანის იძულებითი კომპრომისის შედეგად დაიწყო შედარებით მშვიდობიანობის პერიოდი. სამეფო ხელისუფლება ცდილობდა შეექმნა ხელსაყრელი პირობები ვაჭრებისათვის. 1639 წელს როსტომ მეფემ ვაჭრობის მოწესრიგების მიზნით თბილისში შემოსულ საქონელზე ბაჟის ნიხრი დააწესა. კანონი მებაჟეების თვითნებობის აღსაკვეთად იყო მიღებული. იგი „უნდა გახდეს ვაჭრობის, გამვლელთა და გლეხთა დამშვიდების მიზეზი“ - ჩაწერილია კანონის სპარსულ ნაწილში“. [4, 151]. საყურადღებოა, რომ ვაჭრობის მოწესრიგებით გლეხებიც ძლიერ ყოფილან დაინტერესებული, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინიც ჩაბმული ყოფილან ვაჭრობაში.

სამეფო ხელისუფლება ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას საქართველოში და კერძოდ თბილისში. ფრანგი კომერსანტისა და მოგზაურის ჟან შარდენის გადმოცემით, ვახტანგ V

დაინტერესებული იყო ევროპელი ვაჭრების საქართველოში მოზიდვით. მეფეს პატრების საშუალებით შარდენისათვის შეუთვლია: „დიდი სურვილი აქვს ნახოს ევროპელები თავის ქვეყანაში დასახლებული... თუ ვინმე ჩამოვა საქართველოში სავაჭროდ, მე მას ყოველგვარ თავისუფლებას და პრივილეგიებს მივანიჭებ, რასაც კი მოისურვებენო... ევროპელები, რომლებიც მოისურვებენ ჩემი ქვეყნის გავლით ინდოეთში წასვლას, ამ ქვეყანაზე უკეთეს გზას ვერსად იპოვიანო“. [5,352, 353].

ვახტანგ V ევროპასთან სავაჭრო - ეკონომიკური და კულტურული კავშირების დამყარების მიზნით მფარველობასა და დახმარებას უწევდა კათოლიკე მისიონერებს თბილისსა და გორში. თბილისში კაპუცინების ორდენის მისიონერებს ჰქონდათ სახლები და ეკლესია. ავადმყოფების მკურნალობაში და მოსახლეთა საეკლესიო მომსახურებაში კათოლიკე მისიონერები იღებდნენ ანაზღაურებას ნატურით (ღვინო, ფქვილი, პირუტყვი, ტყვეები) და ზოგჯერ ფულით; ჰქონდათ დუქნები, ვაჭრობდნენ მოპოვებული პროდუქტებიდან და საქონლიდან, რაც არ სჭირდებოდათ ყიდდნენ, ეწეოდნენ მევახშეობას. [5, 323, 324]. მათი ასეთი საქმიანობა უკმაყოფილებასა და ზოგჯერ კონფლიქტსაც იწვევდა, განსაკუთრებით სომხური სამღვდელოებისა და ვაჭრების მხრიდან.

XVII საუკუნის შუა ხანებში თბილისში ნამყოფი ფრანგი კომერსანტი ტავერნიე აღნიშნავდა: „თბილისს, რომელიც ქართლის სატახტო ქალაქია, კარგი მდებარეობა აქვს, საკმაოდ დიდია და კარგად გაშენებული და აქ აბრეშუმით დიდი ვაჭრობა სწარმოებს.“ [6]. შარდენის სიტყვით თბილისი მჭიდროდ დასახლებული ქალაქია, აქ უფრო მეტი უცხოელია, ვიდრე სადმე, რომლებიც დიდ ვაჭრობას ეწევიან [4, 204]. მისივე მოწმობით XVII საუკუნის 70 - იან წლებისათვის ქართლში სულ ოთხი ქალაქი არსებულა: თბილისი, გორი, სურამი და ალი. გორი პატარა ქალაქს წარმოადგენდა, სურამი ორჯერ ნაკლები იყო გორზე, საერთოდ მთელ საქართველოში ცოტა ქალაქებიაო - აღნიშნავდა იგი [5, 204]. შარდენი არაფერს წერს XVII საუკუნის 30 - იან წლებიდან ქართულ დოკუმენტებში ქალაქებად მოხსენიებულ ცხინვალსა და ახალდაბაზე.

XVII საუკუნის 30-40-იანი წლებიდან თბილისი საშინაო თუ საგარეო ვაჭრობის უმსხვილესი ცენტრია, სადაც თავს იყრიდნენ ვაჭრები ირანის ქალაქებიდან, ალეპოდან, კონსტანტიპოლიდან, საქართველოს ყველა კუთხიდან [6, 225].

როსტომ მეფის 1639 წლის განწესებიდან ვიგებთ, რომ დედაქალაქში ექსპორტისა და იმპორტის საგნებს წარმოადგენდა: აბრეშუმი, მარილი, ბრინჯი, ერბო, ნალ - ლურსმანი, რკინეულობა, მატყლი, თევზი, ყველი, ცხვარი და სხვა [7, 11]. თბილისიდან სომხეთში დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ღვინო; თურქეთსა და სხვა ქვეყნებში გაჰქონდათ აბრეშუმი, სადაც კარგ ფასად იყიდებოდა. [5, 181]. XVI – XVII საუკუნის მიჯნაზე ქალაქში „დასტურლამალის“ მიხედვით თითო დუქანზე თვეში ერთი შაური საბატონო აიღებოდა, წელიწადში კი 12 თუმანი გამოდიოდა, ამ ანგარიშიდან გამომდინარე თბილისში 200 სავაჭრო დუქანი უნდა ყოფილიყო [7, 282].

თბილისის შემდეგ შედარებით მსხვილი სავაჭრო ცენტრი იყო ქუთაისი. არქანჯელო ლამბერტის ცნობით აქ საქართველოს სხვა კუთხეებიდან და უცხო ქვეყნებიდან შემოდის მრავალფეროვანი საქონელი: „მთებიდან ჩამოდიან სვანები, რომელთაც ჩამოაქვთ თავისი შინაური ნაწარმოები, ნაბდები და მსხვილი შალები და ჩამორეკენ ხოლმე თხებს და ცხვრებს. ქართლიდან მოდიან ქართლელები და ირანელები, რომლებსაც ჩამოაქვთ ძვირფასი ირანული შალები და ინდოეთის ფერადი ქსოვილები, ტყავები, დამარილებული თევზი კასპიის ზღვიდან, ხიზილალა და სანელებელი. თურქები სამცხის მხრიდან მოდიან და ბლომად მოაქვთ სავაჭრო, მაგალითად, უნაგირები და ცხენის აკაზმულობა, ხალები, ხანჯლები და თურქული ზანდუკები. სხვებზე მეტი ვაჭრები იქ სომხები არიან. სომხებს ქუთაისში თავიანთი სახლები აქვთ. ესენი დადიან თურქეთში, ირანსა და ქართლში და ბლომად მოაქვთ იქიდან იშვიათი საქონელი“. [8,10].

მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი ჩანს ქალაქი გორი. ჟან შარდენის ცნობით, ქალაქის მოსახლეობა მხოლოდ ვაჭრებისაგან შედგებოდა და შემძლებულადაც ცხოვრობდნენ. [5, 181].

ამ დროისათვის კახეთის სამეფოში ვაჭრობა ჩამკვდარია, ეკონომიკა მოშლილი. XVIII საუკუნის დასაწყისამდე აღებ - მიცემობა მხოლოდ სამეფოს ტერიტორიაზე არსებულ პატარა დაბა - სოფლებს შორის წარმოებს.

ერთგვარი ეკონომიკური აქტიურობა შეიმჩნევა სამეგრელოს სამთავროში, რაც ძირითადად

იმერეთის ძარცვა - გლეჯის ხარჯზე ხდებოდა.

არქანჯელო ლამბერტის ცნობებიდან ირკვევა, რომ სამეგრელოს სამთავროში ლევან II დადიანის (1611-1657) ძალისხმევით მოეწყო ზარაფხანა, სადაც წლიურად რამდენიმე ათასი მანეთი იჭრებოდა. დადიანი ზრუნავდა ვაჭრობის განვითარებისათვის, ვაჭრებს აძლევდა ცხენებსა და ფულს, გზავნიდა მათ ირანსა და თურქეთში, საიდანაც მათ მოჰქონდათ ისეთი საქონელი, რომლის სახელიც კი არ იცოდნენ წინათ. მთავარი ენერგიულ ზომებს იღებდა ვაჭარ - ხელოსანი მოსახლეობის გამრავლებისათვის. ამ მიზნით ის სამთავროში იწვევდა უცხოელებს, განსაკუთრებით ხელოსნებს, აძლევდა მათ სახლებს და მიწა - ადგილს [8, 26]. როგორც ჩანს ლევან II დადიანიც ჩაბმულია სავაჭრო ურთიერთობაში. ლამბერტის გადმოცემით: აქაური მთავრის ბრიგანტინა და სხვა ხომალდები კაფაში ყოველ დღე დადიან... მან ახლა აღჭურვა ერთი მცირე ხომალდი, რათა იგი გაგზავნოს კონსტანტინოპოლში ხე - ტყის გასაყიდად, რითაც მდიდარია ეს ქვეყანა; [9, 39].

საგარეო ვაჭრობა უმთავრესად თურქეთთან და ირანთან წარმოებდა. თურქეთის სავაჭრო გემები ყოველწლიურად მოადგებოდნენ შავი ზღვის სანაპიროებს. ნავიგაციის პერიოდი აპრილის ბოლოდან ოქტომბრამდე გრძელდებოდა [5, 18, 8, 158].

ლამბერტის ცნობით, კაფადან საქართველოში თურქეთის გემებს მოჰქონდათ მარილი, თევზი, ხიზილალა, მატყლი, რკინეული, სპილენძისა და თიხის ჭურჭელი, ცხენის აღკაზმულობა, სხვადასხვა სახის იარაღი, მაუდი, ტილო, ქალისა და კაცის მზა ტანსაცმელი, ხალიჩები, ტყავეული, ფეხსაცმელები, მშვილდისრები, დანები, შაქარი, პილპილი, ყოველგვარი წვრილმანი და სააფთიაქო საქონელი. აფხაზეთიდან და სამეგრელოდან გაჰქონდათ: ტყავეული, ბეწვეული, სელი და სელის ქსოვილები, ბზის ხეები, სანთელი, თაფლი, ცვილი, ადგილობრივი ტილო, ძაფი, აბრეშუმი და სხვა. [8, 158].

როგორც ევროპელი ავტორების ცნობებიდან ჩანს, შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ქართველებს შორის დიდი მოთხოვნილება იყო მარილზე, რომელსაც ძირითადად ნატურალური გაცვლის გზით იღებდნენ. არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, რომ თურქებს დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ბზა, საიდანაც ძალზე დიდ მოგებას იღებდნენ: „300 – 400 სკუდის მარილით ყიდულობდნენ იმდენ ხეს, რომელიც 5000 სკუდზე მეტი ღირს. თითო ხომალში ატევენ 5 – 6 ათას ხეს და კონსტანტინოპოლში ჰყიდიან თითო ხეს თითო სკუდად“. [8, 158].

ევროპელი მისიონერები და მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ ფართო გაქანება ჰქონდა ცოცხალი საქონლით - ადამიანებით ვაჭრობას. ამ საძრახის საქმიანობაში ჩაბმული იყო სამეგრელოს მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა. ჟან - ბატის ტავერნიე წერს: „მამაკაცებისა და ქალების გაყიდვა ისეა ამ ქვეყანაში გავრცელებული, რომ იგი აღებ - მიცემობის ყველაზე შემოსავლიან დარგად ითვლება. ადამიანებით ვაჭრობა ხდება ყოველთვის და უბრალო საბაბით“. [10, 203 – 204]. ტყვეთა მყიდველები განსაკუთრებით დიდ მოგებას ნახულობდნენ. „დღეს აღმოსავლეთის ყველა კუთხიდან ჩამოდიან აქ ქალების საყიდლად და ფასი, რომელსაც ისინი ამ ქალებისათვის იხდიან, მათ ნამდვილ ოქროს საწმისად აქცევს“. [5, 40] გვამცნობს შარდენი. პატრი ჯუზეპე ჯუდიჩე აღნიშნავს აქ „ყოველ წელს გაყიდულთა რიცხვი ორი ათასს აღწევს [11, 45] სხვა საგნებით ვაჭრობასთან ერთად, ამ მოვლენაზე ყურადღებას ამახვილებს არქანჯელო ლამბერტიც: „მათ ფული მაშინ სჭირდებათ, როცა კონსტანტინოპოლიდან ჩამოდიან ხომალდები, რომელთაც მოაქვთ ყოველგვარი საქონელი და ყველა კეთილგონიერი ადამიანი მთელი წლისთვის იმარაგებს ფეხსაცმელს, ზეთს, მარილს, დამარილებულ თევზს და სხვა ნივთებს, რომელიც აქ არ არის. ვისაც ამ მომენტისათვის ფული არა აქვს, ის თურქებზე ყიდის მონებს და თვალებზე ცრემლი გადგება, როცა ხედავ თუ რამდენ ყმაწვილს ყიდიან. ხანდახან ხომალდს კონსტანტინოპოლში 200 მონა მიჰყავს. თურქები ყველაზე მეტად ყიდულობენ ქალებს, რადგან ისინი ძალზე ლამაზები არიან“. [9, 25 – 26]

აფხაზეთსა და სამეგრელოში არსებობდნენ ყაჩაღთა სპეციალურად ორგანიზებული ბანდები, რომლებსაც შემუშავებული ჰქონდათ ადამიანთა მოტაცებისა და თურქების გემთსადგომებთან მიყვანის სპეციალური სისტემა. ტყვეთა ვაჭრობის ცენტრები იყო ანაკლია, ქობულეთი და თურქთა ნავსადგურები აფხაზეთის სანაპიროზე. [13, 183]

ევროპელი ავტორები ცნობებს გვაწვდიან, აგრეთვე სამეგრელოს სამთავროში გამართული ბაზრობების შესახებ: „14 სექტემბერს წიფურიაში სადღესასწაულო დღეა: იმართება ბაზრობა, რომელსაც სიპიასობა ეწოდება; ამ დღესასწაულზე ბაზრობის გამო უზომოდ ბევრი ხალხი ჩამოდის. მათ შორის

მრავალი უცხოელია, რომელთა უმეტესი ნაწილი სომეხი, ქართველი და ებრაელი ვაჭრები არიან. აქ გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებს ყოველგვარი სურსათ - სანოვაგით, სამკაულებით, ქსოვილებით, რომლებიც ადგილობრივი საქონლის გვერდით იყიდება“, [14, 198] ირწმუნება შარდენი. ბაზრობები იყო აგრეთვე ილორში, ბედიაში, კორცხელში და კიდევ ბევრ ადგილას. მისივე გადმოცემით ბაზრობები ეწყობოდა შავი ზღვის სანაპირო ზოლშიც, ნავმისადგომების ახლოს. ნავსადგურ ისგაურში (სკურჩა) გამართული იყო მოედანი, რომელსაც გასდევდა გრძელი ქუჩა, ორივე მხარეზე გამწკრივებული ასამდე წნული ქოხით. თითო ვაჭარი თითო ქოხს იკავებდა. გემებიდან ვაჭრებს გადმოჰქონდათ ისეთი საქონელი, რომელიც ორ - სამ დღეში გაიყიდებოდა დანარჩენს კი გემზე ინახავდნენ. [5, 102, 103]

დასავლეთ საქართველოს ზღვის სანაპიროსთან სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ დნეპრის კაზაკებსაც. იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს მოწმობით (1627 წ.), ოდიშის, გურიის, სამთავროს ქვეშევდრომები გულთბილად იღებენ თავიანთ ქვეყანაში კაზაკებს... „ხშირად ერთი ქვეყნიდან მეორეში სავაჭრო ხომალდები“ დადიოდნენ. კაზაკები ხშირად მთავრების სავაჭრო გემებს მფარველობდნენ. [14, 144].

დასკვნა

სავაჭრო ურთიერთობების და მასთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ ეროპელი მისიონერების, მოგზაურებისა და სხვა ავტორთა რეალური ვითარების ამსახველი, მეტად საყურედღებო ცნობების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ ფეოდალური დაშლილობის და არასახარბიელო პოლიტიკურ - ეკონომიკური პირობების მიუხედავად XVII საუკუნის საქართველოს ზოგ მხარეში ადგილი ჰქონდა გარკვეულ პერიოდებში საშინაო და საგარეო ურთიერთობების გამოცოცხლებას.

ვაჭრობის გააქტიურების პოზიტიური ტენდეციის მიუხედავად, სხვადასხვა ხელისშემშლელ საშინაო და საგარეო ფაქტორთა გამო სასაქონლო - ფულადი ურთიერთობები აღმავლობა - გაფართოების გზით აღარ განვითარებულა.

წყაროები და ლიტერატურა

1. Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодалных отношений в Грузии (XIII – XVI вв) Тб., 1938
2. მინადოი, ოსმალო თურქებსა და სპარსელებს შორის წარმოებული ომების ისტორია, ბ. გიორგაძის თარგმანი; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973.
3. თავადი მიშეცვისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში, 1640 – 1643, მ. პოლიევქტოვის გამოცემა თბ. 1928
4. ქართულ - სპარსული ისტორიული საბუთები, ვ. ფუთურიძის გამოცემა, თბ., 1955
5. ჟან შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), თარგმანი და შენიშვნები მ. მგალობლიშვილისა, 1975.
6. ა. ჭყონია, ტავერნიეს მოგზაურობიდან XVII საუკუნეში („მოამბე“ 1898)
7. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI – XVII სს.) წ.1. ნ. ბერძენიშვილისა და შ. ბერძენიშვილის რედ.1962
8. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, იტალიურიდან თარგმანი ალ. ჭყონიასი, თბ., 1937.
9. დონ არქანჯელო ლამბერტი, რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე), იტალიურიდან ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბილისი, 2015
10. ჟ-ბ. ტავერნიკი დიდი სენიობის სამეფო კარის ახალი აღწერა. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კარლო გურულმა, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1974.
11. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, თბ., 1964.
12. З. Анчабадзеб Из истории Средевековой Абхазии, Сухуми, 1959
13. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV, საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30 - იან წლებამდე, თბილისი 1973.

14. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ. 1902.

European authors on the trade relations of Georgia in the XVII century

Ivane osadze
Associated professor of Georgian technical University

Asmat Pipia
Doctor of Business Administration
Georgian technical University

Summary

It is clear from the works of European authors and other historical sources that the economic situation of Georgia in the conditions of feudal disintegration in the 17th century corresponded to the political and social situation. In general, the country was experiencing economic decline, but both politically and economically, separate kingdoms were at different levels. The situation was relatively better in Kartli and Kakheti, as well as in southern Georgia. Extreme poverty and hardship reigned in all regions of western Georgia.

The most interesting and valuable information about the above situation is provided by European authors: Catholic missionaries, travelers, merchants who have been to our country for different purposes. Particularly valuable in this regard are the two books and reports by the Italian theatrical missionary Don Archangelo Lambert. On the trade-economic, social-political and economic life of Georgia in the 17th century. His references as an eyewitness are interesting and reliable, especially in the first half of this century in Samegrelo, where he lived and worked for years.

The information of the French traveler Jean Chardin, whose works are considered to be the most important source in the history of Georgia in the 17th century, deserves serious attention. His extensive work "Journey to Persia and Other Eastern Countries", is distinguished by the richness and diversity of information about our country, reflects the trade - economic, social - political and cultural situation in Georgia at that time. The author is an eyewitness to the events described and the facts conveyed by him are the result of direct observation. Issues of interest to us are addressed in one way or another, as well as by other European authors.

Information of European authors on the trade-economic, social and political situation of Georgia in the 17th century provides an opportunity to identify, clarify and understand a number of issues, which enriches our knowledge of many aspects of the country's historical existence at that time.

Keywords: trade, economic, information, Georgia, situation.

ადამიანურ ფაქტორზე გათვლილი კიბერ-შეტევების კრიტიკული ანალიზი

სახვაძე გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

სამხარაძე რომან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

კიკნაძე მზია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

დღევანდელი მსოფლიოს ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა სხვა გამოწვევებს შორის არის, ციფრული სამყაროს უსაფრთხოება. ოცდამეერთე საუკუნეში, როდესაც მსოფლიოში ყოველ დღიურად ტექნოლოგიებზე დამოკიდებულება იზრდება, ციფრული უსაფრთხოება გაცილებით დიდ მნიშვნელობას იძენს ვიდრე ოდესმე. თუ გავაცნობიერებთ მსოფლიოში რამდენი საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტი იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, მივხვდებით რომ ყველა ჩვენგანის მოვალეობაა უსაფრთხოების მაქსიმალურად დაცვა. როდესაც ვსაუბრობთ ციფრული სამყაროს და ტექნოლოგიების უსაფრთხოებაზე თავიდანვე უნდა გამოვყოთ ძირითადი ფაქტორები, რომელთა დაცვაც უმნიშვნელოვანესია. ერთი ეს არის ტექნოლოგია და მეორე ადამიანური ფაქტორი, ეს უკანასკნელი კი ყველაზე მოწყვლადი რესურსია. თუ დავეყრდნობით თანამედროვე კვლევებს, მივხვდებით რომ შეტევების უმეტესობა ადამიანურ ფაქტორზეა გათვლილი.

სტატიაში განხილულია და გაანალიზებული თანამედროვე სამყაროში გავრცელებული შეტევების შესახებ.

კიბერშეტევა არის თავდასხმა, რომელიც ინიცირებულია კომპიუტერიდან სხვა კომპიუტერზე ან ვებსაიტზე, იქ შენახული ინფორმაციის მთლიანობის, კონფიდენციალობის დარღვევის ან მათში განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომობის მიზნით. სტატიაში განვიხილავთ ყველაზე გავრცელებულ შეტევების ტიპებს თანამედროვე სამყაროში, რომელიც გათვლილია ადამიანურ ფაქტორზე, როდესაც ადამიანი თავად ხდება გავრცელების ან შეტევის წყარო.

საკვანძო სიტყვები: კიბერ-შეტევა, კიბერ-შეევის სახეები.

ძირითადი ტექსტი

Worm - ესაა ერთგვარი პროგრამა, რომელიც ვრცელდება ერთი კომპიუტერიდან მეორეზე საკუთარი თავის კოპირების შედეგად. როგორც წესი USB მატარებლით, რომელიც უკავშირდება ლოკალურ ქსელს ან საფოსტო გზავნილების საშუალებით აღწევს ორგანიზაციაში. ეს პროგრამები ანადგურებენ მონაცემთა ფაილებს ან აწარმოებენ ერთობლივ შეტევას სხვა კომპიუტერის წინააღმდეგ. ამ შეტევის დროს ხშირია ქსელის დაზიანების ან ფიზიკური მოწყობილობის მუშა მდგომარეობიდან გამოყვანის შემხვევები.[1]

Trojan - ტროიანიც არის ერთგვარი პროგრამა, რომლის გააქტიურებაც ხშირად მომხმარებლის უყურადღებობის შედეგად ხდება. ამ ერთი შეხედვით უწყინარ პროგრამებს შეუძლია შეცვალონ მომხმარებელთა პაროლები და წვდომის უფლებები. ტროიანი ისევე როგორც ჭია (Worm) პროგრამები შეიძლება აღმოჩნდეს კომპიუტერში საფოსტო გზავნილებიდან, USB მატარებლებიდან ან ვებსაიტებიდან. მაგალითად, ჰაკერი რომელიმე საიტიდან ატყობინებს მსხვერპლს, რომ ინტერნეტში გავრცელდა ახალი სახის ვირუსი და სთავაზობს მიმართოს ახალ ანტივირუსული დაცვის პროგრამას, რათა მისი დაცვა უფრო ძლიერი და სრულყოფილი იყოს. რეალურად კი თავად ხდება ინფიცირების წყარო.[1]

Social Engineering - სოციალური ინჟინერია არის ხალხზე ინფორმაციის შეგროვება და ამ ინფორმაციით მასზე გავლენის მოხდენა. თაღლითობის, ნდობის ფაქტორის, ეშმაკობის, ტყუილის გამოყენება კომპიუტერული ინფორმაციის ხელში ჩასაგდებად. სოციალური ინჟინერები არასდროს

აჩენენ თავიანთ ნამდვილ სახეს მსხვერპლთან. სოციალური ინჟინერიის ტექნიკა დამყარებულია განსაკუთრებულ ადამიანურ თვისებაზე, კერძოდ გადაწყვეტილების მიღებაზე, ცნობილი როგორც კოგნიტიური დამახინჯება (cognitive biases). ეგრეთ წოდებული „დამახინჯება“ გახლავთ შეცდომა, ხვრელი, ბაგი ადამიანის ტვინში. ზუსტად ამ შეცდომებს იყენებენ სოციალური ინჟინერები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ზედმიწევნით ერკვევიან ფსიქოლოგიაში. არსებობს სოციალური ინჟინერების განსხვავებული სახეობები.

Pretexting _ გახლავთ სოციალური ინჟინერიის ერთ ერთი “სახე”, რომელიც არის უკვე გამოგონილი სცენარის შექმნის და მოხმარების საშუალება. დასტყუო მსხვერპლს ინფორმაცია ან შეასრულებინო მოქმედება ტელეფონიდან. ამ ოპერაციას მუდამ თან ახლავს წინა საძიებო მომენტები: დაბადების დროსა და თარიღის გაგება, ასევე სოციალური დაცვის ნომერის (Social Security Number), რაც ყველაზე მნიშვნელოვანია შემტევისთვის, ან ბოლო საგადასახადო ქვითრის ინფორმაციის მოპოვება. ამერიკის შეერთებულ შტატების უმეტეს კომპანიებში კლიენტის დამოწმებისას, იდენტიფიცირებისას ჯერ კიდევ იყენებენ უბრალო კითხვებს: თუ რა არის თქვენი სოციალური დაცვის ნომერი, დაბადების თარიღი ან დედის ქალიშვილობის გვარი. ამ სახის სოციალურ ინჟინერებს - შემტევებს, უმეტესად აინტერესებს სხვა და სხვა კომპანიის კლიენტების თუ მომუშავე პერსონალის შესახებ ინფორმაცია. მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს ბანკის თუ სატელეფონო ქსელებში მომუშავე მოლარის შესახებ ტელეფონით მთელი ბიოგრაფიის გაგება. „Pretexting“ სოციალური ინჟინრები შენიღბული არიან უფრო როგორც : ან ომის ან ვეტერანები, ან პოლიციისა ან და ბანკის ყოფილი მომუშავეები და სადაზღვევო კომპანიის მკვლევარები. “საქმის” დაწყების წინ როგორც ყოველთვის ისინი ემზადებიან და იწერენ იმ პასუხებს და კითხვებს, რომელიც შეიძლება მსხვერპლმა დასვას სატელეფონო დიალოგისას. მათ დასაფასებელ ნიჭად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მათ შეუძლიათ ტელეფონით ლაპარაკისას შეიცვალონ ხმა და ტონი. ილაპრაკონ, როგორც ნებისმიერი ასაკის ადამიანი. მსგავსი შეტევის მეთოდის გამოყენებით, მომხმარებელი ადვილად ეგება სატყუარას და გასცემს საკუთარ პირად მონაცემებს, რაც ხშირად მისსავე საზიანოდ მთავრდება.[2]

Fishing – „ფიშინგი“ არის კიბერთაღლითობის ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომლის მიზანია მსხვერპლს მოტყუების გზით მოპაროს სენსიტიური ინფორმაცია ან მოახდინოს კომპიუტერის კომპრომეტაცია. თაღლითები ქმნიან ყალბ ვებ-გვერდებს და ანგარიშებს სოციალურ ქსელებში. რეალურთან მიმსგავსებული, გაყალბებული გვერდებით, მოკლე ტექსტური შეტყობინების და ელექტრონული ფოსტის საშუალებით ავრცელებენ დამაინტრიგებელ წერილებს. ისინი, როგორც წესი, ბმულზე გადასვლას და ჩვენი მონაცემების შეყვანას ითხოვენ. ეს მონაცემებია: ელექტრონული ფოსტა და პაროლი. სანაცვლოდ კი დიდ ფულად ან სხვა მიმზიდველ პრიზებს გვპირდებიან.[3]

Smishing – „სმიშინგი“, იგივე „SMS ფიშინგი“, როდესაც მოკლე ტექსტური შეტყობინება მიეწოდება ადამიანს ტელეფონზე კიბერთაღლითების მიერ სხვადასხვა კომპანიის, ფინანსური ორგანიზაციის, საქველმოქმედო ორგანიზაციის ან პოლიტიკური პარტიის სახელით. ხშირ შემთხვევაში, მსგავსი შეტყობინებ მოცემულ ბმულზე გადასვლას, თანხის გადარიცხვას, საბანკო ბარათის ან სხვა პირად მონაცემებს ითხოვს.[3]

Road Apple - ეს არის ინფორმაციის მატარებელი მოწყობილობების (usb) ან დისკების (CD) გამოყენება მავნე პროგრამების გასავრცელებლად. ბოროტმოქმედები ინფორმაციის მატარებელ მოწყობილობებში მავნე პროგრამებს (Trojan, Worm, rootkits) ტვირთავენ და მათ ადამიანისთვის თვალსაჩინო ადგილზე ათავსებენ. მსხვერპლი ეგება სატყუარას, იყენებს დავირუსებულ მოწყობილობას და ლოკალურ ქსელში ავრცელებს მავნე პროგრამას, ისე რომ, თავადაც ვერ ხვდება ამის შესახებ.

Spam - სპამიც სოციალური ინჟინერიის ერთ-ერთ სახეობად შეგვიძლია ჩავთვალოთ. „სპამინგი“ მიზნად ისახავს მომხმარებლისათვის სხვადასხვა რეკლამის თავზე მოხვევას, მისი მოთხოვნის გარეშე. სპამის კლასიკური მაგალითის შემთხვევაში, მომხმარებელი არ დგას რაიმე ინფორმაციის კომპრომეტირების რისკის ქვეშ. ის მხოლოდ მისთვის არასაჭირო სარეკლამო ხასიათის წერილებს იღებს დიდი რაოდენობით. თუმცა, არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბოროტმოქმედი პერიოდულად აგზავნის დიდი რაოდენობით სარეკლამო შეტყობინებებს სამიზნე ადამიანთან, რასაც მონოტონური ხასიათი აქვს. მიმღების თვალი უკვე შეჩვეულია მსგავსი წერილების მიღებას და თან იცის, რომ

კონკრეტული ბმულების მონახულებით არაფერი დაშავდება. როდესაც სამიზნე ადამიანი ამას გაითავისებს, სწორედ ამ მომენტში იწყებს მოქმედებას ბოროტმოქმედი სხვაგვარად და უკვე სახეშეცვლილ/საფრთხის შემცველ ბმულს აგზავნის, რომელსაც მიმღები აღარ აკვირდება. ამ დროს ის გაუცნობიერებლად სტუმრობს მავნე ბმულს, საიდანაც უკვე სხვადასხვა ვირუსების შემოჭრის რეალური საფრთხე არსებობს. [2]

კითხვა ალბათ რომელიც ყველა ჩვენგან ებადება არის: რატომ სჭირდებათ კიბერ დამნაშავეებს ეს ინფორმაცია? დავიწყოთ იქიდან, რომ ყველა კიბერ კრიმინალი არ არის გამოცდილი პროფესიონალი და იმის მოპოვებას ცდილობს, რაზეც ხელი მიუწვდება თავისი ცოდნით. პროფესიონალი ჰაკერები კი სხვა ინფორმაციას ეტანებიან დიდი მოცულობის, მაღალი შემოსავლის და სხვა რთულ ან იდეოლოგიურ შეტევებში გამოყენების შესაძლებლობის გამო. ეს ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას სოციალური ინჟინერიის შეტევებისთვის, ცნობადი პიროვნებების დოსიეს შესაქმნელად, კონკრეტულ პირთა საიდენტიფიკაციო მონაცემების ქურდობისთვის, კორპორაციული ბრენდის სანდოობის გასანადგურებლად და სხვა.

ყველა ტიპისა და ზომის ბიზნესმა უნდა დაადგინოს ჰაკერებისთვის მიმზიდველი რა ტიპის ინფორმაცია აქვთ. ასევე განსაზღვროს, თუ რა ინფორმაციის გაჟონვა იქნება მაქსიმალური ზიანის მომტანი როგორც კომპანიისთვის, ისე თანამშრომლებისა და კლიენტებისთვის. მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და მისი ადგილსამყოფელის ცოდნის შემდეგ, ორგანიზაციას საშუალება ექნება სწორად მართოს რისკები კიბერ უსაფრთხოების პროგრამების თავის საჭიროებებზე მორგების გზით.

მრავალრიცხოვანმა კვლევებმა ასევე დაადგინა, რომ შეტევების ეფექტურობაზე მაქსიმალური გავლენა აქვს თანამშრომელთა სწავლებასა და მომზადებას კიბერ უსაფრთხოების ძირითად საკითხებში. საუბარია არა მხოლოდ უსაფრთხოებისა და IT დეპარტამენტის სპეციალისტების, არამედ რიგითი თანამშრომლების მომზადებაზე. ნასწავლის შემოწმება შიდა ორგანიზაციული გამოცდის ჩატარების მეშვეობით საშუალებას იძლევა დადგინდეს, რამდენად კარგად დაიმახსოვრა პერსონალმა კონკრეტული საკითხი, თუმცა ეს საკმარისი არ არის. მუდმივად უნდა ხდებოდეს თანამშრომლებისთვის სიახლეების გაცნობა და ცნობიერების ამაღლება.

არსებობს რეალური მაგალითი, თუ როგორ დაკარგა ბრიტანულმა ფინანსურმა ფონდმა 1.2 მილიონი დოლარი უფროსის უყურადღებობის გამო. დაახლოებით ორი წლის წინ, Fortelus Capital Management LLP-ს ფინანსური ოფიცერი პარასკევ საღამოს სახლში წასასვლელად ემზადებოდა, როდესაც მის ტელეფონზე ზარი გაისმა. უცხო პიროვნება ამბობდა, რომ ლონდონში ბაზირებული ჰეჯ ფონდების ბანკ Coutts-დან იყო და მათ ანგარიშზე არსებული თაღლითური აქტივობის შესახებ ატყობინებდა. ზარი პარასკევ საღამოს 6 საათზე განხორციელდა, როდესაც ფინანსური ოფიცერი თომას მესტონი გადაღლილი იყო და ერთი სული ჰქონდა სახლში დროზე წასულიყო. წასვლის წინ მიღებულმა ზარმა ძალიან გააღიზიანა და დამრეკავის მალე მოშორების მიზნით, დაუფიქრებლად დაეთანხმა მოთხოვნას 15 საეჭვო გადარიცხვაზე. უსაფრთხოების სისტემაში შეასრულა საჭირო კოდების გენერირება და ზარის ავტორისთვის გაგზავნა. ორშაბათს სამსახურში მოსულმა ფინანსურმა ოფიცერმა აღმოაჩინა, რომ ბანკის ანგარიშიდან 742,668 გირვანქა სტერლინგი (1.2 მილიონი დოლარი) უკვალოდ გამქრალიყო. [4]

ადამიანი ორგანიზაციაში ყველაზე სუსტი რგოლია – მნიშვნელოვანი კიბერ შეტევების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ იმ თანამშრომლების მიზეზით აღწევს წარმატებას, რომელთაც სისტემაზე საკმაო წვდომა აქვთ. თანამშრომლის მხოლოდ ერთი არასწორი დასკვნა საკმარისია უსაფრთხოების მაღალი დონის მქონე კომპანიაც კი კიბერ შეტევის მსხვერპლად აქციოს.

რიგითი თანამშრომლის მიერ შეტევის ამოცნობის და მასზე სწორი რეაგირების უნარი არსებითად განსხვავდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ორგანიზაციის ზედა რგოლი (აღმასრულებლები და დირექტორები) ხშირად უფრო ნაკლებად ერკვევა შეტევის ამოცნობის საკითხებში, რადგან ფიქრობენ რომ ეს მათ არ ეხებათ და არ სჭირდებათ ამის ცოდნა. რის გამო არც თუ იშვიათად ხდებიან კიბერ კრიმინალთა მსხვერპლი. მათ კომპიუტერებზე არსებული წვდომის მაღალი უფლებების, კონფიდენციალური და სტრატეგიული ინფორმაციის გამო კომპანია მეტად ზარალდება.

არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, მსოფლიომ შეიმუშავა არა ერთი აპარატურული თუ პროგრამული უზრუნველყოფა რომლითაც ცდილობენ უსაფრთხოების დონის ამაღლებას. მაგრამ,

უსაფრთხოების დონის ზრდასთან იზრდება და მრავალფეროვანი ხდება კიბერ თავდასხმების ვექტორი. თავდამსხმელების მიერ სიტუაციის გაანალიზების შემდგომ ძირითად შემტევ სამიზნეს ადამიანური ფაქტორი წარმოადგენს, ამიტომ კომპანიებს უწევთ ამ სისუსტეზე ფიქრი და მისი მინიმუმამდე დაყვანა. ყველაზე კარგი საშუალება ადამიანური ფაქტორის მოწყვლადობის შესამცირებლად და კომპანიის რისკების მინიმუმამდე დასაყვანად არის ცნობიერების ამაღლების მეთოდი.[4]

რაც გულისხმობს ცნობიერების ამაღლება და როგორ ეხმარება ეს კომპანიებს? როგორც არა ერთგზის ვახსენეთ შეტევების ძირითადი გამომწვევი მიზეზი ის უნებლიე და დაუდევარი ქმედებებია რაც ადამიანის მოქმედებებს თან ახლავს. ამის გამოსასწორებლად საჭიროა თანამშრომლებს მივაწოდოთ ინფორმაცია თუ რა საფრთხეები არსებობს დღევანდელ დღეს ციფრულ სამყაროში. ვასწავლოთ თუ როგორ უნდა გაარჩიონ ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული პოტენციური საფრთხის შემცვლელი წერილები ჩვეულებრივი წერილებისგან, როგორ დაიცვან სამსახურეობრივი ინფორმაცია უნებლიე გასაჯაროებისგან, როგორ მოუარონ სამსახურეობრივ ნივთებს, რომელთა დაკარგვამ ან გამჟღავნებამ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს კომპანიას და ა.შ.

ცნობიერების ამაღლება შესაძლებელია რამდენიმე მეთოდით მაგალითად: 1. თანამშრომლებს ელექტრონულ ფოსტაზე მივაწოდოთ სასურველი ინფორმაცია; 2. ჩავუტაროთ პრეზენტაცია და უფრო მეტად ჩართული გავხადოთ თანამშრომელი უშუალოდ პროცესში; 3. მუდმივად მივაწოდოთ ინფორმაცია გლობალური კიბერ თავდასხმების შესახებ რა დროსაც გამოყენებულ იქნა ადამიანური ფაქტორები; 4. გავაცნოთ სოციალურ ქსელებიდან მომავალი საფრთხეები; 5. მუდმივად ჩავუტაროთ ტესტირებები, რათა განვსაზღვროთ მათი მზაობა არსებულ გამოწვევებთან მიმართებაში. ყველაზე კარგი პრაქტიკა კი ყველა ამ კომპონენტის რეგულარულად გამოყენებაა.[5]

ცნობიერების ამაღლების პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია ადამიანის ფსიქოლოგიაც. როდესაც ადამიანისთვის ინფორმაციის მიწოდებას ვცდილობთ აუცილებელია ოქროს შუალედის დაცვა, რომ არ მოხდეს უკუეფექტი. თუ ადამიანს ბევრ ინფორმაციას ერთდროულად მივაწვდით, მაშინ მისი აღქმის, გააზრების და სწავლის პროცესი არ იქნება ისეთი ეფექტური, როგორიც ეტაპობრივად მიწოდების დროს. თუ ორგანიზაციები გამოიყენებენ ისეთ პლათფორმას, რომელიც საშუალებას მისცემს გააანალიზონ ინფორმაცია ჩატარებული ტესტებისა და გაცნობილი სიახლეების ეფექტურობის შესახებ, მაშინ ბევრად უფრო ნაყოფიერი იქნება პერსონალის ცნობიერების ამაღლება. ამ პროცესში გამოსაყოფია რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი, თუ როგორ და რა სახით ვაწვდით თანამშრომლებს ინფორმაციას. ასევე მნიშვნელოვანია ამ ინფორმაციის პრიორიტულობის მიხედვით დაყოფა თუ რომელი კომპონენტია ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობიერების ამაღლებისთვის და რომელი ნაკლებ მნიშვნელოვანი. პრიორიტეტების დალაგების შემდგომ უნდა მოხდეს თითოეული კომპონენტის პროგრამაში აღწერა შესაბამისი პრიორიტის შემცვლელი პროცენტულობით. ამის შემდგომ, უნდა მოხდეს ტესტირების გეგმის შედგენა. რადგან, დღევანდელ დღეს, ყველაზე მეტი პოტენციური შეტევა ელექტრონულ ფოსტებზე მოდის „ფიშინგის“ გამოყენებით, ამიტომ უნდა მოხდეს ამ მომენტის გამოყენება და თანამშრომლებს „ფიშინგ“-ელექტრონული ფოსტის მსგავსი წერილები უნდა დაეგზავნოს. ეს გამოავლენს თუ რამდენად ეფექტური იყო თანამშრომლების მიმართ არსებული სწავლების მეთოდიკის გამოყენება. წლის განმავლობაში უნდა გამეორდეს ეს პროცესი რამდენიმეჯერ, ხოლო წლის ბოლოს მოხდეს შედეგების შეჯამება და ანალიზი. განსაზღვრულ უნდა იქნას, თუ რამდენად შემცირდა საფრთხე პირველი სატესტო წერილის გაგზავნიდან ბოლო სატესტო წერილის გაგზავნამდე. არსებული შედეგებიდან გამომდინარე, უნდა დაიგეგმოს მომავალი წელი და ამ წლის ჭრილში უნდა მოხდეს პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცნობის რაოდენობის კორექტირება წინა წელთან შედარებით მაღალი ეფექტურობის მიღწევის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Shapiro J.F. Windows Server 2008. Bible, Wiley India Pvt. Ltd. 2008
2. www.finedu.gov.ge/ge/ra-unda-itsodet-sotsialuri-inzhineriis-shesakheb-1
3. www.hackzone.net23.net/
4. www.cyberhouse.ge
5. www.evgeniakapella.ru/ka/second/luchshie-programmy-dlya-testirovaniya-proniknovenie-testirovanie-na/

Critical analysis of cyber-attacks targeting the human factor

Giorgi Sakhvadze
PhD student of Georgian Technical University

Roman Samkharadze
Professor of Georgian Technical University

Mzia Kiknadze
Professor of Georgian Technical University

Summary

One of the most important challenges in today's world, among other challenges, is the security of the digital world. In the twenty-first century, as the world becomes increasingly dependent on technology every day, digital security is gaining more importance than ever before. If we realize how many vital objects in the world use modern technologies, we will realize that it is the duty of all of us to protect safety as much as possible. When we talk about the security of the digital world and technology, we must first identify the key factors that need to be addressed. One is technology and the other is the human factor, the latter being the most vulnerable resource. If we rely on modern research, we will find that most attacks are based on the human factor.

The article discusses and analyzes the prevalent attacks in the modern world.

A cyberattack is an attack initiated from one computer to another on a website or website for the purpose of accessing the integrity of the information stored there, violating its privacy or accessing the information contained therein. In this article we will discuss the most common types of seizures in the modern world, which are calculated on the human factor, when the person himself becomes the source of the spread or attack.

Keywords: Cyber-attack, Cyber-attack types.

თანამგზავრული დაკვირვებების მეთოდიკის შემუშავება საყრდენი გეოდეზიური ქსელების უზრუნველყოფის მიზნით

სულაბერიძე გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების სიზუსტე, აგრეთვე არსებული ინფრასტრუქ-ტურის ტექნოლოგიურად გამართული და უსაფრთხო ექსპლუატაცია, როგორც ტექნიკური ისე ეკონო-მიკური თვალსაზრისით დამოკიდებულია საყრდენი გეოდეზიური ქსელის სიზუსტეზე.

საინჟინრო ნაგებობის ტიპისა და გაზომვების სახეების მიხედვით გეოდეზიური სამუშაოების ჩატარების მეთოდიკა სხვადასხვაგვარია, რაც შემსრულებლისაგან მოითხოვს გეოდეზიური საფუძვლის შექმნის, განაზომთა შედეგების გაწონასწორებისა და სიზუსტის შეფასების თეორიის ღრმა ცოდნას, აგრეთვე მიმოკვლევითი და დაკვალვითი სამუშაოების გარკვეულ გამოცდილებას. საინჟინრო ობიექ-ტზე გეოდეზიური სამუშაოები გაივლის შემდეგ სტადიებს: მიმოკვლევა, დაპროექტება, დაკვალვა, მშენებლობის კონტროლი და დეფორმაციებზე დაკვირვებება. თითოეულ მომდევნო სტადიაზე საყ-რდენი ქსელის სიზუსტე მეტი უნდა იყოს, ვიდრე წინაზე. ეს კი ქსელების დაპროექტებისადმი მოითხოვს განსაკუთრებულ - არასტანდარტულ მიდგომას, კერძოდ ლოკალური საყრდენი ქსელების შექმნას. საინჟინრო გეოდეზიური ქსელების აგებისას დიდ როლს ასრულებს პუნქტების ურთიერთმდებარეობის განსაზღვრის სიზუსტე.

სახელმწიფო გეოდეზიური ქსელის განვითარება საერთოდან კერძოზე გადასვლის პრინციპით მიმდინარეობს და იყოფა კლასებად, რომლებიც ერთმანეთისაგან კუთხეების და მანძილების გაზომვის სიზუსტით და გვერდების სიგრძეებით განსხვავდებიან.

სახელმწიფო გეოდეზიური ქსელების აგების კლასიკურ მეთოდად ითვლება: ტრიანგულაცია, პოლიგონომეტრია და ტრილატერაცია (მთლიანობაში კუთხურ-ხაზოვანი ქსელი). ამა თუ იმ მეთოდის შერჩევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება ქსელის აგების მოთხოვნილი სიზუსტით და ეკონომიური ფაქტორებით. ტრიანგულაციის ქსელი შეიძლება იყოს ცალკეული სამკუთხედების მწკრივის სახის, მწკრივების სისტემა და აგრეთვე სამკუთხედების სრული ქსელის სახით.

კუთხურ-ხაზოვანი ქსელების უპირატესობა ისაა, რომ ქსელში გვაქვს ჭარბი განაზომები, რაც საშუალებას იძლევა გაზომვების პროცესში ვაწარმოოთ სანდო კონტროლი; აგრეთვე ურთიერთმდება-რეობის განსაზღვრის მაღალი სიზუსტე.

საქართველოში არსებული მუდმივმოქმედი სადგურების ქსელი. თუმცა მათზე დაყრდნობით გახშირების ტიპის ქვეკლასის პუნქტების მცდელობა ჯერ არ ყოფილა.

თანამგზავრული ტექნოლოგიების გამოყენებით, საყრდენი ქსელების მაღალი/საკმარისი სიზუს-ტის მისაღწევად აუცილებელია, რომ ქსელში გაზომვების თანმიმდევრობის და განაზომების დამუშა-ვების ტექნოლოგია მკვეთრად იყოს განსაზღვრული. გვერდის სიგრძის დამუშავება წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას, რომლის შედეგის მიხედვით ხორციელდება როვერის (მიმღები მოწყობილობა) მდებარეობის კორექტირება.

აქვე უნდა ითქვას, რომ რაც მეტია თანამგზავრის ხელმისაწვდომობა კარგი გეომეტრიით (GDOP დაბალი მნიშვნელობით) მით უფრო ნაკლებია გაზომვების ხანგრძლივობა.

ნაშრომში მოცემულია საყრდენი გეოდეზიური ქსელების შექმნის მეთოდიკა თანამგზავრული ანაზომების გამოყენებითა და საკმარისი სიზუსტით, რაც კლასიკური მეთოდისგან განსხვავებით სწრაფია და ნაკლებად შრომატევადი.

საკვანძო სიტყვები: გეოდეზიური ქსელები, გლობალური თანამგზავრული ნავიგაციური სისტემები (GNSS), სიზუსტე, თანამგზავრული გაზომვები.

ძირითადი ტექსტი

მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა და განვითარება დამოკიდებულია ინფრასტრუქ-ტურული პროექტების შესრულების ხარისხზე. აგერთვე უკვე არსებული ინფრასტრუქტურის

უსაფრთხო ექსპლუატაციაზე.

აღნიშნულის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია შესაბამისი საინჟინრო გეოდეზიური მომსახურება, რაც თავის მხრივ გულისხმობს მაღალი/საკმარისი სიზუსტის გეოდეზიური ქსელების უზრუნველყოფას.

საქართველოში 2010 წლიდან მოქმედებს მუდმივმოქმედი საბაზისო სადგურების ქსელი (GeoCors), რომელიც უდიდეს როლს თამაშობს საადგილმამულო ურთიერთობების მოწესრიგებაში. თუმცა ჩვენი მიდგომა შემდეგშია რამდენად შესაძლებელია დამუშავებული იქნას თანამგზავრული დაკვირვებების ისეთი მეთოდიკა, რომელიც გამიუყენებული იქნება GeoCors-ის A და B კლასის პუნქტებზე დაყრდნობით საკმარისი სიზუსტის საინჟინრო გეოდეზიური ქსელების დამუშავებისას.

თანამგზავრული ნავიგაციური სისტემით ადგილმდებარეობის წერტილების კოორდინატების განსაზღვრა ეფუძნება სივრცით ხაზოვან გადაკვეთას.

აღწერილი განაზომების სქემის მიხედვით ჩანს, რომ განსაზღვრული წერტილის კოორდინატების მისაღებად აუცილებელია მოცემულ წერტილზე დავაყენოთ მიმღები. რომლის დანიშნულებაა მიიღოს, შეკრიბოს და გაანალიზოს თანამგაზრიდან გადმოცემული სიგანლები.

GPS სისტემის თანამგზავრები განლაგებულია ექვს წრიულ ორბიტაზე, ერთმანეთის მიმართ მდებარეობენ 60^0-იანი კუთხით. ორბიტაზე შემობრუნების დრო შეადგენს დაახლოებით 12 საათს.

ზემოთ აღნიშნულის განსახორციელებლად დამუშავებული ორიგინალური მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს თანამგზავრული მიმღები მოწყობილობის გადაადგილებას ერთი პუნქტიდან მეორეზე, ცდისთვის შერჩეულია ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის სამონიტორინგო ქსელის გამოსავალი პუნქტები, სულ ოთხი პუნქტი (CP1, CP2, CP6 და CP17).

ამ ტექნოლოგიის არსი მდგომარეობს მასშიდ, რომ სტატიკური თანამგზავრული გაზომვები მიმდინარეობს ორ სეანსად, დღეღამის სხვადასხვა დროს (დილით და საღამოს), არა ნაკლებ ხუთი თანამგზავრის ხილვადობისა და კარგი გეომეტრიით (GDOP).

ეს ტექნოლოგია დაფუძვნებულია ერთდროულად სამ პუნქტზე განაზომების ჩატარებაზე (ორი საბაზო და ერთი როვერი), შემდგომში მომიჯნავე სამკუთხედზე როვერის გადატანით, ისე, რომ მომიჯნავე გვერდზე მოწყობილობები რჩება და მათ ხელს არ ვკიდებთ. ამ ტექნოლოგიით თანამგზავრული გაზომვების სქემა ნაჩვენებია (ნახ.1).



ნახ.1. გეოდეზიური ქსელის სქემა, GNSS მიმღები მოწყობილობების განლაგებისა და მათი თანმიმდებრულად გადაადგილების ჩვენებით

ქრონოლოგია ითვალისწინებს, რომ ყველა სეანსში დაკვირვებები მოხდეს სამი მიმღები მოწყობილობით ერთდროულად ტრიანგულაციის სამ (CP1, CP2 და CP17) პუნქტზე ნახ.1A და შემდგომ ერთი მიმღები გადავიდეს CP6 პუნქტზე, ისე რომ დანარჩენი ორი დარჩეს მომიჯნაევე გვერდის პუნქტებზე CP1 და CP17, ისე როგორც ნაჩვენებია ნახ.1B-ე.

მსგავსი გადასვლის შედეგად შესაძლებელია GNSS განაზომების დამუშავება ოთხ კომბინაციად. ისე როგორც ცხრილშია მოცემული.

თანამგზავრული დაკვირვებების სქემა

№	სამკუთხედი	გაზომვების შედეგები სეანსების მიხედვით
1	CP2-CP17-CP6	ყოველი პუნქტის დაკვირვება მოხდა სამჯერ
2	CP2-CP17-CP1	
3	CP2-CP1-CP6	ყოველი გვერდის დაკვირვება მოხდა ოჯერ
4	CP1-CP17-CP6	

აქედან გამომდინარე ყოველი საბაზო სადგური გაზომილი იქნება ოთხ სეანსად. ესეთი ტექნოლოგიით გაზომვების დროს, ორსიხშირიანი GNSS სადგურის გამოყენების, რომლის სტატიკურ, რეჟიმში გაზომვის სიზუსტეა 3მმ+0.5მმ/კმ*D, სადაც D პუნქტებს შორის მანძილია კილომეტრებში. ტრიანგულაციის პუნქტების ურთიერთმდებარეობის განსაზღვრის ს.კ.ც. ნაჩვენებია გრაფიკზე.



პუნქტის განსაზღვის სკც გრაფიკი

გრაფიკიდან კარგად ჩანს, რომ პუნქტების ურთიერთმდებარეობის განსაზღვრის სიზუსტე არ აღემატება 1სმ-ს, რაც შეიძლება ჩაითვალოს ძალიან კარგ შედეგად.

შედეგებიდან კარგად ჩანს, რომ ორ სეანსს და სხვადასხვა დროს (დილით და საღამოთი) აშკარად უკეთეს შედეგს იძლევა. უპირობოა, რომ ეს არის შედეგი ჭარბი განაზომების, აგრეთვე თანამგზავრების კოორდინატების (ეფემერიდების) ზუსტი განსაზღვრისა და კარგი გეომეტრიისა.

შესაბამისად თანამგზავრული განაზომებით მიღებული შედეგები, რომლის შედეგებიდან გამომდინარე საკმარისი სიზუსტისაა, რათა უზრუნველყოს საინჟინრო გეოდეზიური ქსელები 1სმ სიზუსტის ფარგლებში.

შეგვიძლია თანამგზავრული გაზომვების ტექნოლოგიაზე გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- სრულად შესაძლებელია 10მმ სიზუსტის ქსელის უზრუნველყოფა;
- GNSS მიმღები მოწყობილობების რაოდენობა მინიმუმ სამი;
- ყველა გაზომვა უნდა ჩატარდეს ერთდროულად;
- სტატიკურ რეჟიმში გაზომვები უმჯობესია ჩატარდეს ორ სეანსათ;
- სეანსების ხანგრძლივობა დამოკიდებულია GNSS სადგურების რაოდენობაზე, ცის თაღზე, ხილული თანამგზავრების რაოდენობაზე და მათ გეომეტრიაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თევზაძე მ., მესხი მ. „გამოყენებითი გეოდეზიის კურსი II ნაწილი“ თბილისი., ტექნიკური უნივერსიტეტი., 2012წ., 327გვ.
2. მათიაშვილი ნ. "მთიანი რეგიონების სახელმწიფო კადასტრის გეოდეზიურ-კარტოგრაფიული უზრუნველყოფის პრობლემური ასპექტები" დისერტაცია, სტუ, 2010წ.
3. Генике А.А., Побединский Г.Г. Глобальные спутниковые системы определения местоположения и их применение в геодезии. Картгеоцентр, Москва, 2003, 348 с.
4. Hofmann-Wellenhof B., Lichtenegger H., Wasle E. “GNSS – Global Navigation Satellite Systems”, Wien: Springer, 2008, 546p.

Creating of satellite observation methodology for the provision of support reference geodetic networks

Giorgi Sulaberidze
PhD student of Georgian Technical University

Summary

The accuracy of the implementation of infrastructure projects, as well as the technologically adjusted and safe operation of the existing infrastructure, both from a technical and economic point of view, depends on the accuracy of the supporting geodetic network.

The method of conducting geodetic works varies according to the type of engineering structure and the types of measurements, which requires from the performer an in-depth knowledge of the theory of creating a geodetic basis, balancing the results of measurements and estimating accuracy, as well as some experience of survey and tracing work. Geodetic works, on the engineering site, will go through the following stages: Surveying, designing, tracking, construction control and monitoring on deformations. At each subsequent stage, the accuracy of the support grid must be greater than at the previous one. This requires a special - non-standard approach to network design, namely the creation of local support networks. Accuracy in determining the location of points, plays an important role in the creating of engineering geodetic networks.

The development of the state geodetic network is carried out on the principle of transition from general to private and is divided into classes that differ from each other in the accuracy of measuring angles and distances and side lengths.

The classic method of creating state geodetic networks, is considered to be: Triangulation, polygonometry and trilateration (angular-linear network as a whole). The choice of this or that method in each case is determined by the required accuracy and economic factors of creating the network. A triangulation network can be a series of rows of separate triangles, a system of rows as well as a complete network of triangles.

The advantage of angular-linear networks is that we have an excess of measurements in the network, which allows us to carry out reliable control during the measurement process; As well as high accuracy in determining interdependence.

There is a network of permanent stations in Georgia, however, there has been no attempt at frequency-type subclasses based on them.

In order to achieve high/sufficient accuracy of satellite networks using satellite technologies, it is necessary that the technology of processing the measurement sequence and measurements in the network to be clearly defined. Side length processing is one of the main tasks, as a result of which the location of the rover (receiving device) is adjusted.

It should also be noted, that the greater the availability of a satellite with good geometry (low GDOP value) the shorter the measurement duration.

The paper presents the methodology of creating supporting geodetic networks using satellite measurements and with sufficient accuracy, which is faster and less time consuming than the classic method.

Key words: Geodetic network, GNSS, Accurasy, GNSS measurments.

კრეატიული და შემოქმედებთი ქალაქები - მმართველობის სტილი და განხორციელების გარემოს შექმნა

ფხაკაძე გიორგი
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი ხელოვნების მენეჯმნეტში

ბაბუნაშვილი თეიმურაზ
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აბსტრაქტი

დღეს თანამედროვე მეწარმეების უმეტესობას სჯერა, რომ ხელოვნებას საერთო არაფერი აქვს ბიზნესის სამყაროსთან. ეს გაგება დამახასიათებელი იყო წინაინდუსტრიული და ინდუსტრიული საზოგადოების ეპოქისთვის. დღესდღეობით, თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიების ეპოქაში, სულ უფრო აშკარა ხდება, რომ კონკრეტული რეგიონის განვითარების პერსპექტივები განისაზღვრება, არა მაღაროებში მოპოვებული მანგანუმის მადნის მოცულობით, არამედ ინფორმაციისა და ცოდნის გაცვლა-მიღების შესაძლებლობით, ვინაიდან განსაკუთრებული ინოვაციური იდეები, არის ადამიანის ფანტაზიის ფუნქციონირების შედეგი. XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, პირველად გამოჩნდა „შემოქმედებითი ქალაქის“ ცნება ურბანულ მეცნიერებაში სოციალურ-ეკონომიკურ გეოგრაფიის, ეკონომიკისა და სოციოლოგიის კვეთაში. მისი „წარმოშობის“ მთავარი მიზანი იყო გლობარული ტრანსფორმაციის პროცესებით გამოწვეული კრიზისის გადალახვა, რომელიც შედეგი იყო ახალი ეკონომიკური და სოციალური კრიტერიუმების ცვლილების. ამ პერიოდიდან დაწყებული, დღემდე სამყაროში შეიცვალა ინდუსტრიული ეკონომკის ხედვები, რამაც იმ პერიოდში (XX საუკუნის ბოლო) გამოიწვია საწარმოებისა და ქარხნების შეჩერება. ამით ძალიან დაზარალდა ის ქალაქები, რომლებიც ათწლეულები, ინდუსტრიის შესაბამისად ვითარდებოდნენ. ბევრი ქალაქის ცხოვრება შეიცვალა, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივცეში მყოფი ქალაქების. მაგარამ მსოფლიოს სხვადახვა რეგიონში აღმოჩნდენენ კრეატიული აზროვნების პიროვნებები, რომლებსაც ხელთ ეპყრათ სხვადასხვა დონის მართვის სადავეები და შეძლეს შეემუშავებინათ ინოვაციური სტრატეგიული გეგმა, რომელმაც კონკრეტულ ქალაქში ახალი ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ხარისხი შემოიტანა, რაც გახდა ყველაზე პერსპექტიული ვარიანტი ურბანული კრიზისიდან გამოსვლის. წლების განმავლობაში დაგროვდა სხვადასხვა სტრატეგიული მიდგომები და მეთოდები, რომლებმაც წარმოშვა „კრეატიული და შემოქმედებით ქალაქების“ სხვადასხვა მოდელები. ამგვარი კონცეფცია ყოველთვის ითვალისწინებს კომპლექსურ მიდგომებს და ემყარება უამრავ ცნებას, რომლებიც მასში ერთდროულად ჩნდება და ერთი „იდეიის“ განსახიერებაა სხვადასხვა დისციპლინების კვეთაში. თემის დასაწყისში განხილულია „კრეატიული და შემოქმედებითი ქალაქების“ „დამფუძნებლების“ შეხედულებები (რ. ფლორიდა, ჯ. ჰოუკინსი, ტ. ამაბილი, ჩ. ლენდრი, და სხვა) სტატიაში განხილულია შემოქმედებითი ინდექსის მნიშვნელობა "შემოქმედებითი ეკონომიკისა" და "შემოქმედებითი კაპიტალის" მონიტორინგისთვის, რომლის მიზანია ქვეყნის ყველაზე დინამიური ქალაქების გამოვლენა, მათი ეკონომიკური მოდერნიზაციისა და ინვესტიციების მიმზიდველობის პერსპექტივებით. ასევე წარმოდგენილია კულტურული და შემოქმედებითი რეგიონების მონიტორინგის ჩარჩო დოკუმენტი, 9 განზომილებით, 29 ინდივიდუალური ინდიკატორითა და 3 მნიშვნელოვანი კულტურული ასპექტით, რომლებიც იძლევა ნათელ ანალიზს განვითარეობის დინამიკაზე.

საკვანძო სიტყვები: კულტურის სფეროს რესურსი; კრეატიული და შემოქმედებითი ქალაქი/რე-გიონი; შემოქმედებითი ინდექსი; შემოქმედებითი რეგიონის მონიტორინგის ჩარჩო დოკუმენტი.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე სამყაროში, რეგიონებს შორის რესურსებით კონკურენცია დღითიდღე იზრდება. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის კონკურენტიანობის დონე პირდაპირ გავლენას ახდენს რეგიონის სოციალური სფეროს მდგომარეობაზე, ეკონომიკურ ზრდაზე, ინვესტიციებზე და მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების რეალიზაციაზე. თანამედროვე

ეკონომიკაში შემოქმედებითი ინდუსტრიები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელია. რეგიონში შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარება ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიულია, რომელშიც შემოქმედებითი ადამიანი (პირველ რიგში ხელოვნების სფეროში) არის სოციალური და კულტურული იდეებისა და პროდუქტების წარმომქმნელი, რომლებსაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ღირებულება აქვთ.

შემოქმედების რესურსები მრავალმხრივ განსხვავდება წარმოებაში გამოყენებული ჩვეულებრივი რესურსებისგან და წარმოიქმნება, როგორც წესი, გამართული სასწავლო სისტემის შესაძლებლობების, კულტურული ტრადიციებიდან და ადამიანის ქცევის მოტივებიდან. შემოქმედების რესურსები ყველაზე მკაფიოდ ყალიბდება სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუციაში, ხელოვნების, მეცნიერების და ბიზნესის სფეროებში.

საზოგადოების განვითარების ამ მიმართულებასთან დაკავშირებით, ბოლო წლებში სულ უფრო პოპულარული გახდა ტერმინი "კრეატიული ან შემოქმედებითი ინდუსტრიები", რომელიც ბევრ ქვეყანაში უკვე გახდა მათი თანამედროვე ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს გამოწვეულია იმით, რომ დრო არ დგას და სამრეწველო წარმოების გაუმჯობესებისათვის, აუცილებელია ტექნოლოგიური პროცესისთვის საჭირო იდეები, რომლებიც შეესაბამება საზოგადოების კულტურის დონეს. თუ ინდუსტრიული საზოგადოება ორიენტირებული იყო მასობრივი პროდუქტების წარმოებაზე, მაშინ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში მოთხოვნები წარმოებული პროდუქციის მიმართ გაცილებით გამკაცრდა და ძირითადად განკუთვნილია პირადი, ინდივიდუალური მომხმარებლისთვის. რიჩარდ ფლორიდა თავის წიგნში „შემოქმედებითი კლასის აღმავლობა. და როგორ ხდება ეს ტრანსფორმირება სამუშაოში, დასვენებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში"[1], ამტკიცებს, რომ რეგიონები ან ქალაქები, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა პროფესიის ნიჭიერი ადამიანების მოზიდვის შესაძლებლობა, მნიშვნელოვან სარგებელს იღებენ ამ რეგიონის კეთილდღეობის უფრო სწრაფი ზრდისთვის და ამით ხელი ეწყობა რეგიონისა და ქალაქის განვითარებისათვის საჭირო შემოქმედებითი კაპიტალის განვითარებას.

შემოქმედებითი ინდუსტრიების განმარტებაც, რომელსაც გვთავაზობს ბრიტანეთის მთავრობის კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტი, ეფუძნება იმ კომპონენტების ერთობლიობის სინთეზს, რომელიც ყოველთვის განუმეორებელია. პრაგმატული მმართველის ხელში ეს შეიძლება აღმოჩნდეს ეფექტური ხელსაწყო კონკურენტუნარიანობის განვითარებისათვის და გახადოს მისი რეგიონი სოციო-ეკონომიკური კუთხით წარმატებული, თუნდაც ბუნებრივი რესურსებით მდიდარ რეგიონებზე. „შემოქმედებითი ინდუსტრიები არის საქმიანობა, რომელიც ემყარება ინდივიდუალ შემოქმედებას, უნარს ან ნიჭს და აქვს ინტელექტუალური საკუთრების წარმოებისა და ექსპლუატაციის გზით, სამუშაო ადგილებისა და დამატებითი ღირებულების შექმნის საშუალება.[2] ესეიგი, შემოქმედებითი და კრეატიული ინდუსტრიები არის ეკონომიკისის დარგი, რომელიც ძირითადად ორიგინალურ იდეებსა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე ვითარდება. ის მოიცავს: არქიტექტურას და ურბანიზმს, პროექტირებასა და ინჟინერიას, IT და პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავებას, კომპიუტერულ გრაფიკას, ვიდეოთამაშებს, საგამომცემლო საქმესა და ჟურნალისტიკას, ხელოვნებას, კინოს, ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობას, მარკეტინგსა და კომუნიკაციებს, მოდას, მუსიკას, ხმის დიზაინსა და ინჟინერიასა და ა.შ. სია იზრდება და ეკონომიკის ამ სექტორში დასაქმებულთა რიცხვიც ფართოვდება.

დღეს შემოქმედებითი სექტორი ერთ–ერთი პერსპექტიული და სწრაფად მზარდი სფეროა ეკონომიკაში. იუნესკოს შეფასებით, შემოქმედებითი ინდუსტრია წელიწადში 2 ტრილიონ დოლარზე მეტს გამოიმუშავებს, რაც მსოფლიო მშპ-ს თითქმის 3%-ია და 29.5 მილიონ ადამიანის უზრუნველყოფს სამუშაო ადგილით. ხოლო ქალაქებსა და რეგიონებში, სადაც მოსახლეობის დიდი კონცენტრაციაა, ეს მაჩვენებელი სამჯერ-ხუთჯერ მეტია.

დღეს დიდ ბრიტანეთში შემოქმედებითი ინდუსტრიების წილი 14% -ს აღწევს, გერმანიაში - 10%-

[1] Florida R. The Rise of the Creative Class. And How It's Transforming Work, Leisure and Everyday Life.2002
[2]British governance, Department for Digital, Culture,Media & Spor1998

ს. უნდა აღინიშნოს კავშირი რეგიონის განვითარების დონის, დინამიკისა და შემოქმედებითი ინდუს-ტრიების განვითარებას შორის. ერთის მხრივ, რაც უფრო მაღალია რეგიონის განვითარების დონე და დინამიკა, მით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს მას შემოქმედებითი ინდუსტრიის განსახორციელებლად. მეორეს მხრივ, ურბანული განვითარების პოზიტიური დინამიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის მოქალაქეები, რომლებიც ჩართული არიან შემოქმედებითი ეკონომიკის განვითარებაში და შეაქვთ თავის წვლილი.

შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების მოცულობა და ტემპები ქმნის მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც წარმოადგენს რეგიონის კონკურენტუნარიანობას საცხოვრებელი ადგილის არჩევის თვალსაზრისით, რაც რეგიონიდან აჩერებს ახალგაზრდების მიგრაციას. რეგიონში ცხოვრების ხარისხისადმი მოქალაქეთა კმაყოფილების შესახებ გრძელვადიანი კვლევების შედეგად შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ მათთვის უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტორი, როგორიცაა მათი შემოქ-მედებითი რეალიზაციის შესაძლებლობების დონე. ამიტომ მოქალაქეები მიგრირებენ იმ რეგიონებში, სადაც შეიქმნა ხელსაყრელი პირობები შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებისათვის.

შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება რეგიონში ხელს უწყობს არამხოლოდ ეკონომიკის, არამედ კულტურის, განათლების სფერების განვითარებას, აგრეთვე ურბანული გარემოს ტრანსფორმაციას და, ზოგადად, მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. შემოქმედებითი ინდუსტრიები განიხილება, როგორც ეკონომიკის სექტორი, რომელიც ქმნის პროდუქტს, რომელიც დაფუძნებულია შემოქმედებასა და კულტურულ რესურსებზე. ამ პროცესის განხორციელებისათვის საჭიროა არსებობდეს ხელსაყრელი პირობები, როგორიცაა მოცემული კვლევაში „ქალაქის ხმები: იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქები: 1. განათლების, პროფესიული მომზადება-გადამზადების ხარისხი-ანი და მრავალფეროვანი შესაძლებლობა, მათ შორის სახელოვნებო მიმართულებით; 2. რეგიონის აქტიური ინოვაციური განვითარება, სადაც ინოვაციური ინიციატივები ხშირად პოულობენ თავიანთ გამოყენებას; 3. სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა, მათ შორის მუნიციპალური საშეღავათო მექანიზმების შეთავაზებით; 4. შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებათა მრავალფეროვნებით; 5. მოქალაქეებისათვის მიმიზდველ, ხელსაყრელ და კომფორტული გარემოს შექმნით[1].

თანამედროვე რეგიონის ფენომენი, რომელიც აგროვებს შემოქმედებით კაპიტალს, მრავალი მკვლევარის ნაშრომებშია შესწავლილი. ჯესი შაპირო, The Economist–ში გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, ”ჭკვიანი ქალაქები” ასახავს უშუალო კავშირს ურბანული მომსახურების ხარისხსა და ამ ქალაქებში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების შემოდინებას შორის. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ტერი კლარკი თავის წიგნში "ქალაქი, როგორც გასართობი მანქანა"[2], აღნიშნავს ურთიერთობას სამეწარმეო და კულტურის სფეროების მჭიდრო თანამშრომლობაში. კიდევ ბევრი მკვლევარია რომელიც სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებით იძლევა რეკომენდაციებს შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებისათვის, მაგრამ ყველა თანხმდება რამდენად მნიშვნელოვანია ამ პროცესში არჩევანის მრავალფეროვნება.

ევროპაში რეგიონების მმართველები ცდილობენ ინოვაციური იდეების გამოყენებით შეიტანონ ცვლილებები განვითარების სტრატეგიაში. იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქების ქსელის ინიციატივით ჩატარებულ XIII კონფერენციაზე, რომელიც იტალიაში, ქალაქ ფაბრიანოში ჩატარდა 2019 წელს, აღინიშნა „იდეალური ქალაქის“ ინდიკატორები. კონფერეციაზე 145 ქალაქის წარმომადგენელმა გაუზიარა კოლეგებს მათი ქალაქების მაგალითები თუ როგორ უპასუხებენ თავიანთი ქალაქები მომავლში საზოგადოების საჭიროებებს კულტურისა და შემოქმედების სინთეზის საფუძველზე, თუ როგორ შეძლებენ ინოვაციური განვითარებისთვის, ინკლუზიური ურბანული სტრატეგიების ფორმირების სხვადსხვა მიდგომების აპრობირებას.

უკვე რამდენიმე ათეული წელია მიმდინარეობს დაკვირვება კრეატიული ქალაქისა და რეგიონის ფორმირების დიზაინში. ინდიკატორების საშუალებით ხდება შედარება განსხვავებული მონაცემებისა

[1] Unesco,Cultural and Creative Cities Monitor's conceptual framework and indicators**.** 2017
[2] Clark T.N. The City as an Entertainment Machine,2011.

და რესურსების მქონე ქალაქების განვითარების დინამიკაში. ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის, რობერტ ლუკასის ფორმულით[1], წინა პლანზე უფრო დახვეწილი და არა ყოველთვის გაზომვადი ფაქტორები დგება: სურვილი, სამეწარმეო საქმიანობა, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანების შეკრების ადგილის არსებობა. ეს პროცესი ქმნის უნიკალური შესაძლებლობებისა და უნარების მქონე ადამიანთა კრიტიკული მასის გაჩენას, რომელიც წარმოქმნის იმპულსს, რითაც "იკვებება ეკონომიკური პროგრესი", სტიმულირებდება ტექნოლოგიური, კულტურული და ადამიანური განვითარების ტემპი და დინამიკა.

ევროპაში მრავალი რეგიონია, რომელიც იბრძვის მისი რეგიონის განვითარებას შემოქმედებითი ინდუსტრიების გამოყენებით. არსებობს რეგიონების განვითარების შეფასების ინდექსები, რომლებიც ეხმარება იუნესკოს დააკვირდეს ქალაქებისა და რეგიონების განვითარების დინამიკას. "შემოქმედებითი ეკონომიკისა" და "შემოქმედებითი კაპიტალის" მონიტორინგისთვის იყენებენ შემოქმედებითი კაპიტალის ინდექსს, რომელიც რეკომენდირებულია PwC და Calvert 22 ფონდის მიერ. ინდექსის პრაქტიკული მიზანი არის ქვეყნის ყველაზე დინამიური ქალაქების გამოვლენა, მათი ეკონომიკური მოდერნიზაციისა და ინვესტიციების მიმზიდველობის პერსპექტივებით. სტატიაში ხსენებულ მე-13 კონფერენციაზე, ფართო ლიტერატურის მიმოხილვისა და ექსპერტთა კონსულტაციების რამდენიმე რაუნდის შემდეგ, დადგინდა კულტურული და შემოქმედებითი რეგიონების მონიტორინგის ჩარჩო დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია 9 განზომილების, 29 ინდივიდუალური ინდიკატორი და 3 მნიშვნელოვანი კულტურული ასპექტი, რომლებიც იძლევა ნათელ ანალიზს განვითარეობის დინამიკაზე:

1.Cultural Vibrancy ზომავს ქალაქისა და რეგიონის კულტურულ „პულსს“ კულტურული ინფრასტრუქტურისა და კულტურაში მონაწილეობის თვალსაზრისით;

2. შემოქმედებითი ეკონომიკა აღწერს იმას, თუ რამდენად უწყობს ხელს კულტურისა და შემოქმედების სექტორები ქალაქის ეკონომიკას დასაქმების, სამუშაო ადგილების შექმნისა და ინოვაციების თვალსაზრისით;

3. გარემოს ხელშესაწყობად განისაზღვრება მატერიალური და არამატერიალური აქტივები, რომლებიც ეხმარება ქალაქებსა და რეგიონებს განვითარებაში.

იმ ქალაქისა და რეგიონის მმართველებს, რომელთაც სურთ გამოიყენონ კულტურა ეკონომიკური ზრდის, სოციალური გარემოს განვითარებისა და სხვა ეფექტების მისაღწევად, საჭიროებენ საფუძვლებს/მტკიცებულებებს. ასეთი მონიტორინგის ჩატარება ხელს უწყობს მათ სიცხადეს ფუნდამენტური რესურსების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავს ადგილობრივ კულტურულ და შემოქმედებით ეკოსისტემებს, აგრეთვე მათი გაზომვისა და შეფასების ადეკვატურ საფუძველს.

კულტურული და შემოქმედებითი რეგიონების მონიტორინგის ჩარჩო-დოკუმენტი, პირველი შეთანხმებული დოკუმენტია, რომელიც მიზნად ისახავს ევროპული ქალაქების კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ საერთო მტკიცებულებების შექმნას, რომლის მიზანია პოლიტიკოსების მხარდაჭერის მოპოვება ქალაქებისა და რეგიონების ძლიერი მხარეების დადგენაში და წარმატებული მაგალითების პოპულარიზაციას. იგი ასევე განმარტავს კულტურისა და შემოქმედების მნიშვნელობას რეგიონებში მდგრადობისა და სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით, და ის მოტივაციას უზრდის მკვლევარებს, რეგიონებში კულტურისა და შემოქმედების როლის შესახებ ახალი კვლევების ჩატარებაზე.

დასკვნა

კრეატიული ქალაქის იდეა - არის საწყისი წერტილი დაიწყოს დიალოგი ქალაქის თუ რეგიონის მომავალზე და იმ რთული გზების დაძლევაზე, რომელიც თან ახლავს ამ პროცეს ყოველთვის. შემოქმედებით ქალაქის მისია, უპირველესად ეს არის იდეალი, რომელიც შთააგონებს თანამმცვლ-ლებებს რეფორმების ჩასატარებლად, თანამცვლილებებში მხოლოდ პოლიტიკოსები არ უნდა აიგულისხმებოდეს, რადგან შემოქმედითი ქალაქი არის როგორც ცოცხალი ორგანიზმი და იქ მცხოვრები

[1] Lucas R.Jr..Toxic Releases by Manufacturing: World Patterns and Trade Policies. 1992.

უნდა იყვნენ ცვლილებების ინიციატროები, ხოლო მმართველი რგოლი ამ ცვლილებების დამკანონებლები და გამტარებლები.

ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ქალაქის ეკონომიკური ვექტორის პოზიტიურ ცვლილებას, რაც იწვევს სციალური სფეროს პრობლემების პარალერულად აღმოფხვრას. ამიტომ არის მნიშვნელოვანი დავინახოთ მისი კულტურის ფინანსური არქიტექტურა.

ეკონომიკურ თეორიაში აღიარებული ფაქტორია და პრაქტიკითაც დასტურდება, რომ კომპლექსური განვითარების პროცესის რეალიზაცია რეგიონულ მასშტაბებში შესაძლებელია, მის უნიკალურ რესურსებზე დაყრდნომითა და შესაბამისი მექანიზმებისა და მეთოდების გამოყენებით. მხოლოდ აუცილებელია ცენტრალური და რეგიონული ხელმძღვანელობის მიერ მოიძებნოს (შემუშავდეს) ის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის დაბალანსებულ და კომპლექსურ განვითარებას, ასევე მისი ინტერესების შესაბამისობას (ჰარმონიზაციას) ცენტრთან, სხვა რეგიონებთან, რეგიონის საწარმოო სუბიექტებსა და მოსახლეობასთან. კომპლექსური განვითარების საფუძველზე უზრუნველყოფილი იქნება მაღალეფექტიანი საზოგადოებრივი დოვლათის შექმნის მცდელობა, ნაყოფიერად გადაიჭრება სოციალურ–დემოგრაფიული, სოციალურ-კულტურული, განსახლებითი, ეკოლოგიური, განათლებისა და სხვა პრობლემები, ვიდრე რეგიონის განვითარების პრობლემების ცალკეულად (გამოყოფით) გადაჭრის პირობებში[1].

ამ ეპოქამ ადამიანებს მისცა საინტერესო შანსი შეცვალოს ღირებულებათა სისტემაში დამოკიდებულების კუთხე, რაც იწვევს ეკონომიკაში კრეატიული აზროვნების დიზაინის გამრავალფეროვნებას. ეს პროცესი ხელს უწყობს ბიზნეს სექტორის გაზრდას, თვითდასაქმების და ინვესტიციებისათვის მიმზიდველ, უსაფრთხო და განვითარებული სიალურ-კულტურული გარემოს შექმნას რეგიონში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე.ბარატაშვილი, ჯ.ზარანდია, საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა, 2010
2. Florida R. The Rise of the Creative Class. And How It's Transforming Work, Leisure and Everyday Life.2002;
3. British governance, Department for Digital, Culture,Media & Spor1998
4. Unesco,Cultural and Creative Cities Monitor's conceptual framework and indicators. 2017
5. Clark T.N. The City as an Entertainment Machine,2011.
6. Lucas R.Jr..Toxic Releases by Manufacturing: World Patterns and Trade Policies. 1992
7. https://www.gov.uk/government/organisations/department-for-digital-culture-media-sport

[1]ე.ბარატაშვილი, ჯ.ზარანდია, საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა, 2010

საქართველოს იმიჯის ფორმირების ასპექტები ბრიტანულ პრესაში (გაზეთ „გარდიანის“ მასალების მიხედვით)

ყოჩიაშვილი თეონა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანის, ახლებური პრეზენტაციის საკითხი ბრიტანულ და ამერიკულ პრესაში. პრობლემის აქტუალობას განსაზღვრავს ის ფაქტი ,რომ დასავლეთის სახელმწიფოებისთვის განხილვისა და განსჯის საგანი შეიქმნა ახალი პოლიტიკური აქტორის ორიენტაციის საკითხი,რაც მრავალი ამერიკელი თუ ბრიტანელი ჟურნალისტისთვის განსაკუთრებული ინტერესის სფეროდ იქცა და მის შესახებ გამოქვეყნებული სტატიების თემატური მრავალფეროვნებით დასტურდება. ძირითად პრობლემას წარმოადგენს არა მარტო ის, თუ როგორ არის არეკლილი საქართველო, არამედ ტექნოლოგიური პროცესი– რა ჟურნალისტურ ხერხებს მიმართავენ ბრიტანელი და ამერიკელი ავტორები ბეჭდურ მედიაში საქართველოს საერთშორისო იმიჯის ფორმირების პროცესში.

ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის თემას ეხება 2003 წლის 24 ნოემბერს გაზეთ „გარდიან“–ში გამოქვეყნებული პუბლიკაცია სათაურით, „რევოლუციამ მოიცვა მონსტრებისა და პოეტების ქვეყანა“.[1] ბრიტანელი ჟურნალისტი, რობერტ პარსონი საქართველოს ძველი მთავრობის დამხობის შესახებ იუწყება. მასალა ეხება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, მასში განხილულია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტებისა დ ახალი მმართველი ხელისუფლების საკითხი.

სტატიაში გამოყენებულია კონტენტ ანალიზი, სემიოლოგიური ანალიტიკური მიდგომა ,კომუნიკაციური ლინგვისტიკისა (ლინგვოპრაგმატიკის) და იმაგოლოგიის მეთოდი.

კვლევის შედეგების მიხედვით, ტექსტში ქვეყნის იმიჯი განისაზღვარება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ასპექტით, რასაც ჟურნალისტი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით ახორციელებს, კერძოდ, ეფექტურია სტატიაში, პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტის, „სარკისებური პრინციპის“ მეთოდის გამოყენება. აწმყო და წარსული, ერთმანეთთან გადაჯაჭვული მოვლენებით ერთ სივრცეში იყრის თავს და ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ავტორისეულ საკომუნიკაციო ტაქტიკაზე: სამეტყველო აქტების, თავაზიანობის სტარტეგიების სწორ და მართებული შერჩევაზე, ქართველი პოლიტიკური ლიდერების სახის ჩვენებაზე, რაც პუბლიცისტურ ტექსტში საქართველოს იმიჯის, რეპუტაციის გადმოცემას უწყობს ხელს და მთლიანობაში იძლევა ერთ მთლიან სურათს.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ბრიტანეთი, ერეკლე მეფე, პრეზიდენტი, ბეჭდური მედია.

ძირითადი ტექსტი

საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობები აკავშირებთ. ქართულ–ბრიტანულ თანამშრომლობა ვითარდებოდა და გრძელდებოდა პოლიტიკის,თავდაცვის, ეკონომიკის, კულტურისა და სხვა სფეროებში. ბრიტანული პრესა მუდმივად აშუქებდა თემებს ქართველი ხალხისა და საქართველოს შესახებ.ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ინგლისური გაზეთების მთავარ გვერდზე იბეჭდებოდა სტატიები მეფე ერეკლეს შესახებ. ევროპული ორიენტაციის ქართველი მონარქი,პატარა კახი, რომელიც საქართველოს სახეს წარმოადგენდა, ბრიტანული პრესის ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. ინგლისურენოვანი ბეჭდური მედიის ინტერესი ჩვენის ქვეყნის მიმართ არც შემდგომ წლებში შენელებულა.ბრიტანულ გაზეთებსა და ჟურნალებში იწერებოდა ბრიტანელი დიპლომატის, ოლივერისა და მისი დის, (მთარგმნელი) მარჯორი უორდროპების წერილები ჩვენს სამშობლოზე, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ ორი ქვეყნის ისტორიასა და კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

ინგლისურენოვან პრესაში საქართველოს ასახვის საკითხის შესწავლა აქტუალურია, იმ

[1] Robert Parsons,"Revolution haunts the land of monsters and poets", The Guardian ,November 24,2003

გარემოებიდან გამომდინარე, რომ 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ იყო ერთ–ერთი მცდელობა საბჭოური რეჟიმის დამხობის საბჭოთა სივრცეში, რომელსაც მთელი დასავლეთი მიესალმა. სახელმწიფო სათავეში მოსული პროამერიკული ორიენტაციის ლიდერი, ქვეყნის ახალი დემოკრატიული დასავლური ტიპის სახელმწიფოს განვითარებისკენ სვლას მოასწავებდა.

ბრიტანულ პრესაში ქვეყნის იმიჯის ფორმირების საკითხს ეხება 2003 წლის 24 ნოემბერს გაზეთ „გარდიანში“ გამოქვეყნებული პუბლიკაცია, სათაურით, „რევოლუციამ მოიცვა მონსტრებისა და პოეტების ქვეყანა“.[1]

სტატიაში საქართველოს წარდგენა ხდება გეოგრაფიულ, კულტურულ და ისტორიულ სივრცეში. იმის მინიშნებით ,რომ საუცხოო მხარე ყველასათავის გამორჩეული ადგილია და ცნობილია სახელნგანთქმული ქართველებით, ჟურნალისტი განაცხადებს: „ეს არის მონსტრებისა და პოეტების მიწა.იგივე ქვეყანა, რომელმაც სტალინი და ბერია მსოფლიოს უბოძა ,საბჭოთა კავშირის მრავალი ყველაზე ცნობილი მწერალი ,მხატვარი და კინემატოგრაფისტი წარუდგინა“.[2]

ჰერმენევტიკული კოდის საშუალებით პრობლემაა დასმული. ავტორი სვამს კითხვას: „შეცვლის, თუ არა რამეს, საქართველოში „ხავერდოვანი რევოლუციით“ მოსული პოლიტიკოსების ახალი თაობა“[3]. პუბლიცისტი პასუხის გასაცემად უღრმავდება საკითხს.იგი იკვლევს პრობლემას– რას მოუტანს მ.სააკაშვილის ხელისუფლება სახელმწიფოს. ამ მიზნის მისაღწევად ბრიტანელი ჟურნალისტი სხვადასხვა მეთოდებს იყენებს.

ავტორი პრობლემის გადაჭრის გზებს საინტერესოდ და ეფექტურად აწვდის მკითხველს,ხოლო ძიების პროცესი ხანგრძლივი, თანამიმდევრულია. აქციონალური ანუ პროაირეტიკული კოდი ჩადებულია პოლიტიკური პროცესების თანამიმდევრობაში. ბრიტანელი ჟურნალისტი პოლიტიკურ მოვლენებზე ამახვილებს ყურადღებას, პარალელებს ავლებს 2003 წლის რევოლუციასა და 1992 წლის მოვლენებს შორის, რასაც დეჟავიუს პრინციპით ახერხებს.

ამგვარი ანალიზის გზით, ავტორი იკვლევს პრობლემას, იაზრებს და შემდეგ დასკვნამდე მიდის, ციტირებით ასაბუთებს: „ტრაგედია როგორც ჩანს, საქართველოს პოლიტიკურ ლიდერებს ეხებათ“.[4] ჟურნალისტი ასეთი განცხადებით სახელმწიფო მმართველებს ერთ კატეგორიაში მომოიხილავს და მათ საბედისწერო მოღვაწეობას ქვეყანას უკავშირებს.

ჟურნალისტის მიზანია, საქართველო აღქმული იყოს არსებული რეალობიდან. ქვეყნის სწორი იმიჯისა და რეპუტაციის შესაქმნელად. იდეოლოგიური ხასიათის იმაგოთემა გადმოცემულია სემური კოდებით, რომლითაც ჟურნალისტი გვიხატავს ტექსტის მთავარი პერსონაჟების ნამდვილ სახეს, ასევე კოდირებულია ის ატმოსფერი, რომელშიც ვითარდება მათი ქმედებები. რ.პარსონი რობერტ სტურუას მიერ დადგმულ შექსპირის პიესას განგებ იხსნებს, რათა მოახდინოს რეინსცენირება და გააცოცხლოს მისი პერსონაჟები. ე.შევარდნაძე შედარებულია მეფე ლირთან: “მარტოხელა, მოწყენილი პიროვნება, რომელიც გარშემორტყმულია პირფერი ლაქიებით და უიმედო რეალობისგან მოშორებული“[5]; გამხსახურდია კი– მაკბეტთან. ავტორი იყენებს შედარებას, რათა ეფექტი მოახდინოს ბრიტანელ აუდიტორიაზე. ჟურნალისტი აფასებს მოვლენებს საკუთარი კულტურიდან გამომდინარე, კულტურული „სათვალიდან“ იხედება და ცდილობს ზუსტად მოარგოს უცხო ქვეყნის მმართველებს ინგლისის სამეფოს როლები. აღნიშნულ მონაკვეთში არ ხდება „ჩვენიანებისა“ და „სხვიაისანების“ გამიჯვნა. ამის საწინააღმდეგოდ, ქართველი პრეზიდენტებისთვის განკუთვნილი სახეები შექსპირის ნაწარმოებში კულტურათა დიალოგს მოგვაგონებს. ავტორის მიერ გამოყენებული სქოლანების დეფერენციული თავაზიანობის სისტემის მიხედვით ,კომუნიკანტები თანასწორნი არიან, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ქართველი და ბრიტანელი ხალხის მეგობრულ, კეთილგანწყობილ ურთიერთობაზე .

ავტორმა რეფერენციულ კოდში გააერთიანა ყველა ის ნიშანი ,რომლითაც მან გამოხატა უკვე

[1] Robert Parsons,”Revolution haunts the land of monsters and poets”, The Guardian ,November 24,2003
[2] “The same country that gave Stalin and Beria to the world produced many of the Soviet Union’s most celebrated writers , artists and filmmakers”.
[3] [...] whether any of this will change under the new generation of politicians ushered in by Georgia’s “velvet revolution.”
[4]“ Tragedy,It seems,clings to Geogia’s political leaders”
[5]“A lonely, disconsolate figure, surrounded by fawning courtiers and hopelessly out of touch with reality”.

არსებული ცოდნა აღნიშნული ქვეყნისა და მისი მმართველების შესახებ და ტექსტში შემოიყვანა ისინი შედარებების,დაპირისპირებისა და სხვადასხვა ასოციაციების სახით. პუბლიცისტურ წერილში გამოყენებულია ასევე ეფექტური მეთოდი „სარკისებური პრინციპი“. ამ ხერხის გამოყენების საშუალებით, ხდება ქართველი ლიდერების პოლიტიკური მოღვაწეობის სინამდვილის არეკვლა. რ.პარსონი საქართველოს ყოფილ პრეზიდენტებს სარკეში ახედებს, სადაც შთამბეჭდავად მჟღავნდება ერთი მხრივ, ე.შევარდნაძის არასწორი მმართველობის შედეგად მიღებული არნახული მასშტაბის კორუფციია. მეორე მხრივ, ზ.გამსახურდიას „პარანოიდული სამყარო“ თავისი ცოლითურთ. ორივე შემთხვევაში უარყოფით კონტექსტში მოიხსენიება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორმა პირველი პრეზიდენტის სახელი, რომელმაც ქვეყანას დამოუკიდებლობა მოუტანა, ეროვნულ ლიდერად წარმოგვიდგინა. საქართველოს მეორე პრეზიდენტს კი– სამშობლოს წარმატებამდე მიყვანა მიაწერა, რაშიც მან დიპლომატიური ურთიერთობები და საგარეო საერთაშორისო ასპარეზზე აღიარება იგულისხმა, იქმნება შთაბეჭდილება,რომ „მეფე ლირი“და „მაკბეტი“ ნათლად უხსნიან თავინთ დადებით და უარყოფით საქმეებს ახალგაზრდა პოლტიკოსს. მათი ინტერპრეტირება სააკაშვილისთვის სწორი გეზის ჩვენებას ჰგავს. ავტორი უჩვეულო გზით უჩვენებს ერთი პოლიტიკური ლიდერის პოზიციიდან მეორეს, ხოლო ამ უკანასკნელის მდგომარეობიდან მესამეს. საინტერესოა, რომ რ.პარსონმა ტექსტში მხოლოდ გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური ლიდერები აირჩია, რადგან მისი შეხედულებით, სამივეს ერთი რამ აკავშირებთ. ყოველი მათგანი რევოლუციის გზით მოვიდა ხელისუფლებაში და თითოულმა წინამორბედის დანგრეულ სისტემაზე დაიწყო სახელმწიფოს აღმშენებლობა. ეს არის მახასიათებლები, მარკერები, რითაც ერთიანდება სამი ხელისუფალი სტატიაში.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია სამი პრეზიდენტის განსხვავებული პორტრეტი. ლიდერების სურათი იქმნება ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ზოგადეროვნული მითების შემოყვანით, „მითი– კოშმარებისა“ და „მითი– იდილიების“ სახით. ბრიტანელი ჟურნალისტი შემდეგი მარკერით მონიშნავს ხელისუფალს, თუ როგორი ნაბიჯი გადადგა მან სახელმწიფოს აღმშენებლობისა და განვითარების საქმეში. იმიჯოლოგიის სარკეში არეკლილი საქართველოს პირველი პრეზიდენტის სურათს ავტორი რამდენიმე წინადადებით ქმნის. დისიდენტი ზ.გამსახუდია კომუნისტური რეჟიმის პერიოდში დაპატიმრებული პოლიტიკოსი, ეროვნული ლიდერია,რომლის დიდ დამსახურებად საქართველოს რუსეთის იმპერიისგან გამოყოფა და დამოუკიდებლობის მოპოვება ითვლება .ავტორი იქვე მის უარყოფით მხარეებს ამზეურებს, პარანოიდული სამყარო, მისი ცოლითურთ როგორც ჩანს, დამღუპველი აღმოჩნდა პრეზიდენტისთვის.

საქართველოს მეორე პრეზიდენტი, ე.შევარდნაძე წარმოგვიდგება ძველი, საბჭოური მმართველობის პოლიტიკოსად. დასავლეთში ყოველთვის წარმატებულად მიჩნეული ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, დადებითი ალიუს გამოსახულება, დამარცხებული ლიდერის სახით ანუ უარყოფით ალტერ პერსონაჟად წარმოგვიდგება.

კორესპონდენტმა ამ ორი პრეზიდენტის სახით შექმნა „მითი –კოშმარები“, რადგანაც ისინი უარყოფით კონტექსტში მოიხსენა. ხოლო მათ საპირისპიროდ , „მით –იდილიად“ დახატა მ.სააკაშვილის პორტრეტი, რომელსაც გაცილებით დიდი პარამეტრით აჩვენებს. იგი დადებითი თვისებების ხაზგასმით ცდილობს რევოლუციის გმირი პოზიტიურად წარმოაჩინოს. ამ მიზნის შესასრულებლად, მას მოჰყავს ციტატა: „მიშა სააკაშვილი არის გონებამახვილი და დამაჯერებელი , ახალგაზრდა იურისტი,რომელმაც ბევრი თაყვანისმცემელი შეიძინა შევარდნაძის იუსტიციის მინისტრად ყოფნის განმავლობაში.“[1] ჟურნალისტი რამდენიმე დეტალით – „გონებამახვილი“, „დამაჯერებელი” აგებს პოლიტიკოსის სურათს. პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტების,დეტალების გამოყენების გზით, რ.პარსონი ობიექტურად ქმნის ქართველი პოლიტიკური ლიდერის სახეს,რის შედეგადაც იმაგოლოგიის მეთოდის მიხედვით, წარმოგვიდგება პოზიტიური უტოპიური პერსონაჟი. თუმცა, მოცემულ პუბლიკაციაში მ.სააკაშვილი არ არის სრულყოფილი მმართველი. ჟურნალისტი მის უარყოფით მხარეებსაც ამხელს,რაზეც მიგვითითებს ავტორის სიტყვები: „როგორც ოპოზიციის

[1] “Misha Saakashvili is a bright and persuasive young lawyer,who won many admirers during his spell as justice minister under Shevardnadze.”

ლიდერი, სააკაშვილის წანდაუხედავმა სიფიცხემ, პოპულიზმმა, მისი უახლოესი მხარდამჭერებიც კი შეაშფოთა“[1]. აღნიშნული წინადადებიდან ჩანს, რომ ჟურნალისტს „სიფიცხე“ და „პოპულიზმი“ ახალგაზრდა მმართველის უარყოფით თვისებებად მიაჩნია. რ.პარსონი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მ.სააკაშვილის სისუსტეების გამოვლინება ხდება არჩევნებამდე. ავტორის მითითება უკვე აშკარა გაფრთხილებაა პოლიტიკური ლიდერის მიმართ,რომ მას შესაძლოა ნაკლები მხარდამჭერები ჰყავდეს მომავალში.

ჟურნალისტის მოსაზრებით, რომ საქართველომ უნდა შეინარჩუნოს დემოკრატიული ქვეყნის იმიჯი. იგი მიესალმება ისეთი დემოკრტატიული ინსტიტუტების არსებობას სახელმწიფოში როგორიცაა სამოქალაქო საზოგადეობა, სიტყვის თავისუფლება,საარჩევნო კამპანიების ჩართულობა, ტელევიზიის მიერ არჩევნების თემის პირდაპირი გზით გაშუქება. ავტორის მითითება პირდაპირია ,ის ღიად გამოთქვამს მოსაზრებას ,რასაც ადასტურებს მისი განცხადება: „საქართველოში უფრო დიდი თავისუფლებაა,ვიდრე რომელიმე სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში.“[2] ჟურნალისტის მოსაზრება მკითხველისთვის გასაგებია,რომ ჩვენი სამშობლო პირველია სოციალისტურ ქვეყნებს შორის , რომლშიც დასრულდა ძველი,საბჭოური რეჟიმი.აქ პუბლიცისტი ხატავს სასურველ იდილიურ სურათს, „მით–იდილიას“. თუმცა სახელმწიფოს დიდ ხარვეზად მაინც კორუმპირებული მმართველობა სახელდება ,რაზეც მიგვითითებს კორესპონდენტის კომენტარი: „კორუფცია არის ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის პრობლემა, მაგარამ საქართველოში მან ქვეყანას სული ამოხადა[...]“[3]. ავტორის სიტყვებიდან ნათელია, თუ როგორი დაუძლეველი აღმოჩნდა ჩვენი სამშობლოსთვის აღნიშნული საკითხის გადაჭრა ,რომელსაც სავალალო შედეგები მოჰყვა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. სიმძაფრის გამოსახატავად რ.პარსონი იყენებს ე.შევარდნაძის სიტყვებს, რომელმაც კორუფცია ამ ქვეყნის წყევლად შერაცხა. ბრიტანელი კორესპონდენტი ავითარებს აზრს, რომ მსოფლიო რანგის პოლიტიკოსისთვისაც კი დიდ სირთულეს წარმოადგენდა მისი აღმოფხვრა .უფრო მეტი მტკიცებულებისათვის, ჟურნალისტი იშველიებს დამოუკიდებელი ორგანიზაციების შეფასებებს, რომ-ლის თანახმადაც ადასტურებს, რომ მსოფლიოს 10 კორუმპირებულ ქვეყნებს შორის საქართველო პირველ ადგილზეა. პუბლიცისტი ასეთი ხერხით სახელმწიფოს დიდ პრობლემას წარმოაჩენს და სურს საქართველო დემოკრატიის ჩარჩოებში ჩასვას. მოცემულ ფრაგმანტში იგი იყენებს პირდაპირი მიმართვის სტრატეგიას, შემარბილებლების გარეშე,სადაც აუდიტორიის ხატი მთლიანად იგნორირებულია.

საქართველოს კონტექსტი მულტიკულტურული კუთხით საკმაოდ სპეციფიკურია პუბლიცისტურ წერილში. ბრიტანელი ჟურნალისტი ავითარებს მოსაზრებას, რომ მმართველ ხელისუფლებას დასავლეთისკენ აქვს აღებული გეზი, ახალი ლიდერი, მ.სააკაშვილი მიზნად ისახავს დაკარგული პროვინციების დაბრუნებას, თუმცა რ .პარსონის შეხედულებით, ქვეყანას, ისეთი დიდი სახელმწიფოების, როგორიცაა ამერიკა და რუსეთი, თანადგომაც წაადგება მომავალში, რასაც ავტორი შემდეგი განცხადებით ამტკიცებს: „საქართველო ვერ იარსებებს ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერის გარეშე და საჭიროა როგორც რუსეთის ასევე ვაშინგტონის მხარდაჭერა.“[4] რ.პარსონი აყალიბებს ჩვენს სამშობლოში მულტიკულტურიზმის კონცეფციის გატარების საკითხს. მისთვის ცნობილია, რომ საქართველო არის მრავალეთნიკური ქვეყნა, სადაც ტრადიციულად ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკის, რელიგიისა და კულტურული ჯგუფები. სახელმწიფოს დემოკრატიის განმტკიცებისა და განვითარებისთის აუცილებელი პირობაა თანასწორუფლებიანობის დაცვა ინდივიდთა შორის ,მას სავალდებულოდ მიაჩნია ქართულ საზოგადოებაში ეთნიკური ჯგუფების მიმართ ტოლერანტობის გამოჩენა. ამგვარად, ავტორი სტატიაში წინ წამოწევს კულტურული მრავალფეროვნების იდეის განხორციელებას საქართველოში, თანამედროვე სამყაროში ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პრინციპის საფუძველზე.რადგანაც წარმატებული, ერთიანი ქვეყანა არა მარტო

[1]“As an opposition leader, Saakashvili's heady populism has alarmed even his closest supporters.”
[2] “There is greater freedom of speech in Georgia than almost any other former Soviet republic.”
[3] “Corruption is a problem in all of the Soviet republics but in Georgia it has eaten at the country’s soul […]”
[4] “Georgia can’t survive without the support of its ethnic minorities and needs to court the goodwill of Russia as well as Washington”

ერის, ან ერებების, არამედ მთელი მსოფლიოს კეთილდღეობის განუყოფელი ნაწილია.

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ ქვეყნის მთლიანი იმიჯის ფორმირება ხდება პოლიტიკური ,სოციალური, კულტურული ასპექტებით. სახელმწიფოს სხვადახვა კუთხითა და მრავალი თვალსაზრისით წარმოჩენა, მოცემული რესპუბლიკის შესახებ სრულყოფილ წარმოდგენას უქმნის მკითხველს. ჟურნალისტი აღნიშნულ პუბლიკაციაში საქართველოს პოლიტიკური სურათის ჩვენებას ახორციელებს საბჭოთა ეპოქის ძველი მმართველებისა და პოსტსაბჭოთა პოლიტიკოსების შეპირისპირების მეთოდით. სათაურში უარყოფით კონტექსტში მოხსენიებული „მონსტრები“ რ.პარსონის წინასწარ განწყობას გადმოგცემს. ასეთი მეთოდით ჟურნალისტი ახდენს ბოტორი ძალების პერსონიფიცირებას, მათ დემონიზაციას. რ.პარსონისთვის ასევე მიუღებელია ზ.გამსახურდიას, ე.შევარდნაძის ლიდერობის პროტოტიპები, რომლებმაც თითქმის უფსკრულამდე მიიყვანეს სახელმწიფო. ავტორმა გამოიყენა ამგვარი მითები გარდამავალ პოლიტიკურ ეტაპზე, რათა მოეხდინა წინა ხელისფლების პერსონების დესაკრალიზაცია, მ.სააკაშვილის გუნდის საწინააღმდეგოდ, კი მიმდინარე პოლიტიკურ ბრძოლაში მისი ოპონენტების დემონიზაცია.

სარკეში არეკლილი ძველი მმართველების შეცდომების გაანალიზება, გააზრება და გამოსწორება ავტორს მ.სააკაშვილისთვის მართებულად მიაჩნია. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტების პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასებით, შეჯამებითა და ახალი ხელისუფლებისადმი საკითხის წამოჭრის გზით, რ.პარსონმა სრულიად განსხვავებულად დახატა ქვეყნის აღმშენებლობის სურათი და უჩვენა ბრიტანელ აუდიტორიას აღნიშნული სახელმწიფოს სწორი მიმართულება, გეზი.

კვლევიდან დასტურდება, რომ რ.პარსონი სტატიაში დისკურსულ „ანიჰილაციის“ სტრატეგიას ფართოდ იყენებს,რომელის მეშვეობით ტექსტში შემოდის ემოციური კონოტაციები: იდილია–კოშმარი (ზ.გამსახურდია, ე.შევარდნაძე, ასევე მონსტრებად მოხსენიებული ძველი საბჭოთა ბელადები); იდეოლოგიური: ჩვენიანი (მეფე ლირი, მაკბეტი) –არაჩვენიანი (საქართველოს პრეზიდენტები). „მითი – იდილიები“ სტატიაში დადებითი ღირებულებების მატარებელია, ხოლო „მითი –კოშმარები“ უარყოფითის. მათი დაყოფა ჯუფებად, ზოგადეროვნული მითების მიხედვით, ქართული პოლიტიკური დისკურსის განუყოფელი ნაწილია.

მკითხველის ხატი ხშირ შემთხვევაში იგნორირებულია,რადგან ავტორი არ ითვალისწინებს ადრესატის სახის შელახვის საშიშროებას.იგი იყენებს ბრაუნისა და ლევინსონის თავაზიანობის, სქოლანების სტრატეგიას გარკვეული მიზნის მისაღწევად. მიუხედავად კომუნიკანტებს შორის არსებული დისტანციისა, ძალაუფლების ფაქტორი უგულებელყოფია, ხოლო ქართულ–ბრიტანული ურთიერთობები სიმეტრიული. იმიჯის სრულყოფას განაპირობებს სახელმწიფოს შიდა და გარე პოლიტიკური საკითხები, დემოკრატიის პრინციპები, რომლებიც სტატიაში ერთმანეთს ერწყმიან და საბოლოოდ, ქვეყნის ერთ მთლიან სურათს ქმნიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Parson, Robert “Revolution haunts the land of monsters and poets”, The Guardian, 24 November,2003

2. ტყებუჩავა დ. „პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტები(ფუნქციურ–ტიპოლოგიური ანალიზი)“. თბილისი 1997

3. Geis M.L. Speech acts and conversational interaction. Cambridge University Press, 1995

Aspects of Georgia's image formation in the British press (according to the Guardian)

Teona Kochiashvili
PhD student Georgian Technical University

Summary

The article discusses the issue of a new presentation of Georgia as an independent country in the British and American press after the collapse of the Soviet Union. The urgency of the problem is determined by the fact that the issue of a new political actor's orientation has been the subject of discussion and debate for Western states, which has become a sphere of special interest for many American and British journalists and is evidenced by the thematic diversity of published articles. The main problem is not only how Georgia is reflected, but the technological process itself -what journalistic methods British and American authors use in forming Georgia's international image in the print media. The study of empirical sources revealed the following research questions: how is Georgia covered in the English-language press, what issues they are interested in , how much objectivity it is related to the discussed topics, if there is a tendency regarding to certain political processes.

The aricle uses content analysis, semiological analytical approach, method of communicative linguistics (linguopragmatics) and imagology.

The topic of the builiding of the Georgian statehood was published in the newspaper "Guardian" on November 24, 2003 with the title "Revolution haunts the land of monsters and poets". The British journalist Robert Parson reports on the overthrow of the old government of Georgia. The material deals with the current political events in the country, it discusses the issue of former presidents of Georgia and the new ruling government. According to the results of the research, the image of the country in the text is defined by political, economic, social, cultural aspects, which the journalist carries out in different ways, in particular, using the content elements of the publicist text, the "mirror principle" method is effective . The present and the past, chained together with events, gather in one space and leave a strong impression on the reader. The article focuses on the author's communication tactics: speech acts , the correct and right selection of politeness strategies, the display of the faces of Georgian political leaders, which helps to convey the perfect image and reputation of Georgia in the publicist text and gives a whole picture of it.

თანამედროვე ტექნოლოგიების როლი საჯარო მმართველობაში

შამუგია რუსუდან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია თანამედროვე სოციალური და ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების როლი საჯარო მმართველობის ისეთი მნიშვნელოვანი მიზნების რეალიზაციაში, როგორიცაა სახელმწიფოს მმართველობითი საქმიანობის ოპტიმიზაცია, სხვადასხვა დონისა და მასშტაბის სოციალური სისტემების სტრუქტურისა და ფუნქციონირების პროცესების გაუმჯობესება, ღიაობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, მოქალაქეთა ჩართულობა მმართველობასა და დემოკრატიის შენებაში.

„საინფორმაციო საზოგადოებამ“ გაზარდა მოთხოვნილება სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის მიმართ მოქალაქეთა მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და სოციალური გარანტიების დაცვის კუთხით, რამაც თავის მხრივ, საჯარო მმართველობის გარდაქმნის აუცილებლობა გამოიწვია. ამჟამად, მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს ახალი მიდგომების შემუშავება საჯარო მმართველობითი საქმიანობის სრულყოფისათვის, რომელთა შორის ერთერთს წარმოადგენს მმართველობითი პროცესების ტექნოლოგიზაცია. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის ძირითადი მიზანი არის სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება მოსახლეობისთვის სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან ურთიერთობის გამარტივებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ინტერნეტის როლზე COVID-19-ის პანდემიის პერიოდში, როცა მისი მთავარი უპირატესობების – კომუნიკაციის ინტერაქტიულობის, ინფორმაციის მიწოდების სიჩქარისა და სანდოობის მეშვეობით საჯარო სამსახურებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ბიზნეს-სექტორს და სხვა დანიშნულების დაწესებულებებს, ობიექტებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცათ დისტანციურად გაერგრძელებინათ თავიანთი საქმიანობა და სერვისების მიწოდება.

სტატიაში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ დღეს შეუძლებელია მმართველობითი საქმიანობისა და საჯარო მმართველობის სისტემის სრულყოფა ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავებისა და განვითარების გარეშე. საჯარო მმართველობის თვისობრივად ახლებური გაგებით, სწორედ თანამედროვე ტექნოლოგიებმა უნდა გამოიწვიოს ღრმა გარდაქმნები მთელ სისტემაში, უზრუნველყოს სახელმწიფო აპარატის ადმინისტრაციული საქმიანობის რაციონალურობა და ეფექტურობა.

საკვანძო სიტყვები: საჯარო მმართველობა, ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები, ღიაობა, მოქალაქეთა ჩართულობა, კომუნიკაციის ინტერაქტიულობა.

ძირითადი ტექსტი

საჯარო მმართველობა სახელმწიფო ხელისუფლების პრაქტიკული საქმიანობაა, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი შესრულებისთვის საჭირო იმ მეთოდებისა და საშუალებების მომზადების ტექნოლოგიური პროცესია, რომელთა მეშვეობითაც რეალიზდება სახელმწიფოს და მისი სხვადასხვა დონის სტრუქტურების ამოცანები და, გადაწყვეტილებათა შესრულებაზე მინიჭებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძველზე, ხორციელდება მმართველი ორგანოების პირდაპირი ზემოქმედება მათდამი დაქვემდებარებულ ორგანოებსა და ობიექტებზე.

დღეს შეუძლებელია მმართველობითი საქმიანობისა და საჯარო მმართველობის სისტემის სრულყოფა ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავებისა და განვითარების გარეშე. იგულისხმება არა ძველი ბიუროკრატიული პროცედურებისა და ოპერაციებისთვის ახალი სახელების მინიჭება და ბიუროკრატიული ოფისების თანამედროვე ელექტრონული საშუალებებით აღჭურვა, არამედ საჯარო მმართველობის თვისობრივად ახლებური გაგება. შესაბამისად, აუცილებელია თანამედროვე საჯარო მმართველობის განმახორციელებელი ლიდერების ცნობიერების მუდმივად ამაღლება, რათა

მომზადებულები შეხვდნენ მუდმივად განახლებად მმართველობით ინსტრუმენტებს და მათი საშუალებით მმართველობითი პროცესი წარმართონ საზოგადოების ინტერესების რეალიზაციის, ადამიანის უფლებების დაცვისა და, ზოგადად, ქვეყნის კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენ [1].

თანამედროვე ეტაპზე საჯარო მმართველობის ყველაზე სწრაფ და ეფექტურ მეთოდებად და საშუალებებად სოციალური და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება მიიჩნევა. სწორედ მათი დანერგვისა და განვითარების საფუძველზე მიიღწევა სახელმწიფო აპარატის ადმინისტრაციული საქმიანობის რაციონალურობა და ეფექტურობა.

საჯარო მმართველობის ერთერთი ძირითადი მიზანი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაა, რისთვისაც ხელისუფლებამ უნდა გადაჭრას შემდეგი ამოცანები:

– სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა;

– ეკონომიკის სტაბილიზაცია;

– სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირება;

– ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება;

– ერთიანი ეკონომიკური სივრცის შენარჩუნება და ა.შ.

ზემოაღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად და დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელია სწორი და ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება, რისთვისაც მიზანშეწონილია თანამედროვე სოციალური ტექნოლოგიების გამოყენება.

სოციალური ტექნოლოგიები საჯარო მმართველობის რთული სტრუქტურის მქონე მექანიზმის ერთერთი სპეციფიკური ელემენტია, რომელიც თავისი ინტეგრალური მახასიათებლებით შექმნილი მმართველობითი მეთოდის ეფექტური ხერხების საშუალებით ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტას, როგორიცაა სახელმწიფოს მმართველობითი საქმიანობის ოპტიმიზაცია და სხვადასხვა დონისა და მასშტაბის სოციალური სისტემების სტრუქტურისა და ფუნქციონირების პროცესების გაუმჯობესება [2].

საჯარო მმართველობის სოციალური ტექნოლოგიების შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება ინტერდისციპლინურ მიდგომებს, რომლებიც გულისხმობს ცოდნის მრავალი სამეცნიერო დარგის ძალისხმევის ერთიან სისტემაში ინტეგრაციას, რაც კვლევის ობიექტებისა და მათზე მიზანმიმართული ზეგავლენის მომხდენი საშუალებების ჰოლისტიკური ხედვის შესაძლებლობას იძლევა და კომპლექსური ხასიათის პრობლემების გადაჭრისათვის გამოდგება.

მმართველობის სოციალური ტექნოლოგია განიხილება ორ ასპექტში: როგორც პროგრამა, რომელიც შეიცავს პროცედურებსა და ოპერაციებს და როგორც აქტივობა, რომელიც მოიცავს სოციალურ პროცესებსა და სისტემებზე მიზნობრივი ზემოქმედების მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობას. სოციალური ტექნოლოგიის მნიშვნელობა მმართველობის რაციონალიზაციაში მდგომარეობს ანუ იმაში, რომ გამორიცხავს ყველა ზედმეტ ოპერაციას და ტოვებს მხოლოდ მიზნის მისაღწევად ყველაზე ეფექტურებს.

სოციალურ ტექნოლოგიების ძირითადი მახასიათებლებია:

- მმართველობითი პროცესის შიდა ურთიერთდაკავშირებულ ეტაპებად დიფერენციაცია;
- მიზნების მისაღწევად ეტაპობრივი ქმედებების განხორციელება;
- ტექნოლოგიური პროცედურების ერთმნიშვნელოვანი შესრულება.

ტექნოლოგიზაცია სოციალური მმართველობის ოპტიმიზაციის ერთ-ერთი მიმართულებაა. როგორც აღვნიშნეთ, სოციალური ტექნოლოგიები გამოიყენება ადამიანების, სოციალური ფენომენების, სოციალური პროცესებისა და სოციალური სისტემების სამართავად. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია მმართველობით პროცესში ინტერნეტის გამოყენება, რომელიც დღევანდელი საზოგადოების თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების კონტურების განმაპირობებელი ფაქტორი გახდა. მისი მთავარი უპირატესობებია კომუნიკაციის ინტერაქტიულობა, ინფორმაციის მიწოდების სიჩქარე და სანდოობა, რომლის გავრცელება და ინტერპრეტაცია სახელმწიფოს პრეროგატივა არ არის. ქვეყნები, რომლებიც აქტიურად იყენებენ ინტერნეტ ტექნოლოგიებს მმართველობით საქმიანობაში, ინტერნეტ პროექტების განხორციელებით უკვე იღებენ სასურველ შედეგებს [3].

ამ პროექტების წარმატებას მისივე მახასიათებლები განაპირობებს, ისეთები, როგორიცაა: თითოეული მოქალაქის ინტერესების გათვალისწინება, მოსახლეობასთან კომუნიკაციის ბარიერების მოხსნა, ახალი ეკონომიკური და სოციალური პროექტების დაჩქარებული დანერგვა, ანგარიშგების პროცედურების გამარტივებისა და მშრომელი მოსახლეობის პიროვნული უნარების ზრდის სტიმულირების ფონზე.

ფართოა სოციალური ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ბაზრის სივრცის ათვისებაში, დესტრუქციული პროცესების გამორიცხვაში, სასიცოცხლო ძალების აღწარმოებაში, სოციალური ორგანიზაციების განვითარებაში და სხვ. თუმცა, ისინი გამოიყენება უკიდურესად ირაციონალურად. არსებობს რეალური შეუსაბამობა მეცნიერების, კულტურის, განათლების, საუკეთესო პრაქტიკის უზარმაზარ ინტელექტუალურ პოტენციალსა და სოციალურ-ტექნოლოგიური ცოდნის გამოყენების დონეს შორის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაში.

ამგვარად, სოციალური ტექნოლოგიები – ეს არის ძალაუფლების ორგანიზების თანამედროვე გზა, მისი დემოკრატიზაციისა და სოციალური კონტროლის რეალური მექანიზმი.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპი გამოირჩევა ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ზრდის სწრაფი ტემპით, რაც თავის მხრივ, წინა პლანზე სწევს თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საჯარო მმართველობის ახლებურად ორგანიზების საჭიროებას. ისეთი მმართველობისა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას, სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გამჭვირვალობას და მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლებას [4].

თანამედროვე ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარება გზას უხსნის მრავალმხრივ ტენდენციებს, მათ შორის ადამიანის საქმიანობის სფეროებისა და სოციალური ინსტიტუტების ტრანსფორმაციას. ახალი ტექნოლოგიების განვითარებისა და საზოგადოების ტრანსფორმაციის კვალდაკვალ გარდაიქმნება სახელმწიფო მმართველობის თანამედროვე ინსტიტუტებიც.

მთელ მსოფლიოში მთავრობები ორმაგ ზეწოლას განიცდიან. ერთი მხრივ, მუდმივად იზრდება მოქალაქეთა მოთხოვნები მომსახურების ხარისხის მიმართ და სურვილი - ინტერნეტის საშუალებით ისევე მარტივად შეძლონ სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა, როგორც ამას ახერხებენ ბანკებთან და ინტერნეტ-მაღაზიებთან მიმართებაში.

მეორე მხრივ, მთავრობები ვალდებულებები არიან შეამცირონ ადმინისტრაციული ხარჯები და, ამავდროულად, გაზარდონ მიმდინარე პროგრამების ეფექტიანობა. სწორედ ამგვარი ამოცანების გადაჭრის მექანიზმს წარმოადგენს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები. საჯარო მმართველობის ციფრული სისტემის შექმნა საშუალებას მისცემს საჯარო მოხელეებს ონლაინ რეჟიმში თვალი ადევნონ წარმოშობილ პრობლემებს და მონაწილეობა მიიღონ მათ გადაჭრაში.

სახელმწიფო, როგორც მთავარი საჯარო ინსტიტუტი, ცდილობს სწრაფად მოახდინოს რეაგირება საზოგადოებაში და ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებებზე და, ამისთვის, თვითონაც ახორციელებს ცვლილებებს სახელმწიფო მართვის ისეთი სისტემის შექმნის მიზნით, რომელიც უფრო მეტად იქნება ორიენტირებული საზოგადოების და ბიზნესის საჭიროებებზე. სწორედ ამ მიმართულებით თანამედროვე ICT უზარმაზარ მმართველობით პოტენციალს შეიცავს და შესანიშნავი როლი შეუძლია შეასრულოს საჯარო მმართველობის სისტემის ოპტიმიზაციის პროცესში. მოქმედებს რა როგორც კატალიზატორი და ზოგჯერ ტრანსფორმაციის მთავარი ინსტრუმენტი, ICT – ები გარდაქმნის პოლიტიკურ პროცესს, გამოწვევას უცხადებს ტრადიციულ ინსტიტუციებსა და მექანიზმებს და, ზოგიერთ შემთხვევაში, ზრდის სახელმწიფოს ფუნქციურ შესაძლებლობებს

შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები საჯარო მმართველობაში აქტიურად უზრუნველყოფს მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას ყველა მიმართულებით, საშუალებას აძლევს საჯარო სექტორს მოექცეს მთელი საზოგადოების ძირითადი გარდაქმნების სათავეში. სხვადასხვა საჯარო მოხელეები კი, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულები მოქალაქეებისთვის სხვადასხვა სერვისის მიწოდებაში, დღეს უნდა გადაიქცნენ სპეციალისტებად, რომლებიც მუშაობენ ინფორმაციაზე, იციან საქმეთა მართვის ყველა ინსტრუმენტის გამოყენება და კარგად ერკვევიან აბსოლუტურად ყველა სიტუაციაში, კანონებსა და

სხვადასხვა დადგენილებებში [5].

საჯარო მმართველობაში თანამედროვე ტექნოლოგიების როლი და მნიშვნელობა ნათლად გამოჩნდა COVID- 19 -ის პანდემიის პერიოდში. პანდემიამ ბევრ ქვეყანაში წინა პლანზე წამოწია საჯარო მმართველობის ეფექტურობის საკითხები. ის ყველა ქვეყნის სახელმწიფო აპარატის მუშაობის ტრანსფორმაციის კატალიზატორი გახდა, ხელი შეუწყო სწრაფ, მასშტაბურ ციფრიზაციას. და სახელმწიფო სამსახურებში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გადახედვას.

იმის გათვალისწინებით, რომ ინტერნეტი გადამწყვეტ როლს თამაშობს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურისა და და რესურსების ურთიერთდაკავშირებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში, COVID-19 პანდემია სტრეს-ტესტი აღმოჩნდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობებისთვის. პანდემიის დაწყებისთანავე მთელი მსოფლიო ინტერნეტ ქსელების მდგრადობის და სიძლიერის მოწმე გახდა. აჩქარდა საქმიანობისა და მომსახურების მრავალი სფეროს ციფრიზაცია, მათ შორის, დისტანციური მუშაობა, ვიდეო - საკონფერენციო კავშირები სამუშაო ადგილზე და მის გარეთ, წვდომა ჯანმრთელობის, განათლების, ასევე, პირველადი საჭიროების საქონლისა და მომსახურების საინფორმაციო სისტემებზე.

საქართველოში კორონავირუსის ინფექციის უმოკლეს დროში სწრაფმა გავრცელებამ გამოიწვია საგანგებო მდგომარეობის გამწვავება ჯანდაცვისა და ეკონომიკის სფეროებში და გამოცდის წინაშე დააყენა მთელი სახელმწიფო ინსტიტუტი საქმიანობა. დაჩქარდა ელექტრონული სახელმწიფო სერვისების დანერგვისა და განვითარების პროცესი. დღეს, ონლაინ პლატფორმების მეშვეობით, საქართველოს მოქალაქეებს 700-მდე სერვისი მიეწოდება. საინფორმაციო ტექნოლოგიებმა გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინეს, საჯარო სამსახურების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, საწარმოების, ბიზნეს-სექტორისა და სხვა დანიშნულების დაწესებულებების, ობიექტებისა და ორგანიზაციების ფუნქციონირებისთვის და დღესაც საშუალებას აძლევს მათ, დისტანციურად გააგრძელონ თავიანთი საქმიანობა და სერვისების მიწოდება [6].

დასკვნა

მთელ მსოფლიოში საჯარო მმართველობის ორგანოები აქტიურად ნერგავენ ახალ ტექნოლოგიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ თანამედროვე მმართველობის ისეთი მნიშვნელოვანი მიზნების რეალიზაციას, როგორიცაა ღიაობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, მოქალაქეთა ჩართულობა მმართველობასა და დემოკრატიის შენებაში. ამ მხრივ თანამედროვე ეტაპზე ყველაზე სწრაფ და ეფექტურ მეთოდებად და საშუალებებად სოციალური და ინფორმაციული ტექნოლოგიები მიიჩნევა.

თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ხალხის მომსახურება – ის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიან და ეფექტიან სახელმწიფო მართვის სისტემას და საზოგადოების დინამიურ სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ განვითარებას.

აღსანიშნავია ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების როლი COVID-19-ის პანდემიის დროს. ინტერნეტი საავადმყოფოებისა და სამედიცინო დაწესებულებების გლობალურ საინფორმაციო ქსელებსა და რესურსებთან წვდომის უზრუნველმყოფი ფაქტორი გახდა, რამაც დიდი როლი ითამაშა ვირუსთან ბრძოლაში.

თანამედროვე ტექნოლოგიები საჯარო მმართველობაში ნიშნავს შემოქმედებითი პოტენციალის მქონე ადამიანების მიერ წარმოებული, თანამედროვე მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებული, თანმიმდევრული და რაციონალური ქმედებების ერთობლიობას, რომელთა რეალიზაციასაც მივყავართ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შესრულებამდე და მაღალ შედეგებამდე სახელმწიფო მართვის ყველა მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბისონია ზ., გაბრიელაშვილი გ., გაგნიძე ნ., პაიჭაძე გ., სამადაშვილი ლ., ელექტრონული მმართველობა და ლიდერობა, თბ.: გამოც. საჯარო სამსახურის ბიურო. 2021. 138გვ.
2. Герасимов Б.Н., Чумак В.Г. Социальные технологии в управлении: монография. – Самара: Изд-во СамНЦ РАН, 2014. – 396 с.

3. Смотрицкая И. И., Государственное управление в условиях развития цифровой экономики: стратегические вызовы и риски. Цифровая Экономика. 2018 ст. 60-72.
4. ავალიშვილი ლევან. ელ-მმართველობა და ელ-გამჭვირვალობა – საერთაშორისო ტენდენციები და საქართველო. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი-IDFI. 1 მარტი 2011. https://idfi.ge/public/migrated/uploadedFiles/files/Chapter%20I%20geo.pdf. უკანასკნელად გადამოწმებულია 07.05.2022.
5. Jones, S., Hackney, R. and Irani, Z. Towards e-government transformation: conceptualizing "citizen engagement", Transforming Government: People, Process and Policy, 2007.1(2), 145-152.
6. საჯარო სამსახურის ბიურო. დისტანციური მუშაობის სახელმძღვანელო - Guidelines on Remote Work. გამოცემის ელექტრონული ვერსია. 2021. 98 გვ. http://www.csb.gov.ge/media/2950/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AB%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D.pdf. უკანასკნელად გადამოწმებულია 07.05.2022.

The role of modern technologies in public administration

Rusudan Shamugia
PhD student of Georgian Technical University

Summary

The article discusses the role of modern social and information-communication technologies in the realization of such important goals of public governance as optimization of state governance, improvement of the structure and functioning processes of social systems of different levels and scales, openness, transparency, accountability and involvement of citizens in governance and democracy building.

The "information society" has increased the demand for the activities of state bodies in terms of improving the quality of citizen services and protection of social guarantees, which, in turn, has led to the need to transform public administration. Currently, new approaches are being developed around the world to improve public administration activities, one of which is the technologisation of governance processes. The main goal of introducing modern information technologies in the state authorities is to increase the efficiency of the activities of the state authorities and local self-governments by facilitating the population's relations with various government agencies and providing access to information.

The paper focuses on the role of the Internet during the COVID-19 pandemic, when through its main advantages - interactivity of communication, speed and reliability of information - public services, educational institutions, business sector and other institutions, facilities and organizations were able to operate and deliver their services.

The article emphasizes the fact that today it is impossible to improve the governance and public administration system without the development of innovative technologies. In a qualitatively new understanding of public administration, it is modern technologies that must lead to profound transformations throughout the system, ensuring the rationality and efficiency of the administrative work of the state apparatus.

პირველადი ანტინარკოტიკული ღონისძიებების გამოწვევები და პრობლემების დაძლევის წინაპირობები

ჩეკურიშვილი ლაშა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ადამიანის ფსიქოსომატურ და სოციალურ მდგომარეობაზე ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედებით განპირობებული მიზეზებით, ნარკომანია უკვე დიდი ხანია აღიარებულია კაცობრიობის სოციალურ უბედურებად და იმის მიუხედავად, რომ მის ბუნებაზე წარმოდგენა მნიშვნელოვნად გაზრდილია და არსებობს ნარკოტიკების მიმოქცევის კონტროლის მკაცრი მექანიზმები, საზოგადოებაში ნარკოდამოკიდებულება ჯერ კიდევ განსაკუთრებულად პრობლემურია.

თანამედროვე კონტექსტში, ევროპის ქვეყნებში დადასტურებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ნარკომანიის შემცირების ეფექტიან მექანიზმად მიჩნეულია ინტერაქტიური სწავლების მეთოდით, ეროვნულ დონეზე ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში, გრძელვადიანი უნივერსალური (პირველადი) პრევენციის სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის მოსწავლეთა ჯგუფში სისტემატურად განხორციელება და მისი ხარისხის შეუქცევადი განვითარება. რამდენადაც, ნარკომანიის ნეგატიური შედეგების შესახებ, მხოლოდ მოკლე და ადვილად დასამახსოვრებელი მოწოდებების გავლენით, არ მცირდება მისით განპირობებული მძიმე სოციალური ცვლილებების მიმდინარეობა.

პრევენციული პროგრამის სწავლის შედეგებით ინდივიდუალურ დონეზე უნდა განვითარდეს სასიცოცხლო მიზანმიმართულებისა და სოციალური უნარები, ანტინარკოტიკული ცოდნა და პოზიციები. რამაც, ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების ფართო მასებში ჰუმანური და ცივილიზებული აქტიური ცხოვრების კულტურის გავრცელებას, ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მიწოდებისა და მოთხოვნის შემცირებას, ადამიანების ფსიქოსომატური ჯანმრთელობის განმტკიცებასა და ხალხის სოციალური კეთილდღეობის ზრდას.

ფსიქოაქტიური ნივთიერებების არადანიშნულებით მოხმარების თავიდან ასაცილებლად, წინასწარი ღონისძიებების შედეგების პერსპექტივას განსაზღვრავს, თითოეული ქვეყნის ეროვნულ დონეზე სოციალური დამოკიდებულებებისა და ინსტიტუციური სირთულეებისათვის დამახასიათებელი თვისებების ობიექტური შეფასება და მიღებული რეალობის ამსახველ მაჩვენებლებზე ორიენტაცია; ნარკომანიის პირველად პრევენციაში სიძნელეების დაძლევის წინაპირობებისა და საჭირო რესურსის განსაზღვრა, მობილიზება და არსებული პრობლემების შესამცირებლად მიზანმიმართული, ეფექტიანი მართვა; რისკის მქონე ჯგუფების საგანმანათლებლო შესაძლებლობების მიღმა დარჩენილი ბავშვების პრევენციაში ჩართულობისა და ზოგადად, სწავლის მოტივაციის ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

საკვანძო სიტყვები: ნარკომანია, პრევენციული ცოდნა, რისკები, სოციალური გავლენის ხარისხის უზრუნველყოფა.

ძირითადი ტექსტი

ჩვენს სოციალურ სინამდვილეში, ნარკომანიის შემცირების მიმართულებით, საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე განსაკუთრებული ძალისხმევა და რესურსია ჩადებული, მაგრამ განხორციელებული მასშტაბური ღონისძიებების მიუხედავად, დღესდღეობით, საქართველოში ნარკოტიკების ავადმომხმარებელთა რაოდენობა 250 000-ს აღემატება [1].

ამჟამად გამორჩეულად ეფექტიან ანტინარკოტიკულ მექანიზმად მიჩნეულია ქვეყანაში ნარკოტიკების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის პარალელურად, სასწავლო-სააღმზრდელო გარემოში, ნარკოტიკების ავადმოხმარების თავიდან ასაცილებლად ბავშვებში საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარება.

იმ ასპექტებზე დაყრდნობით, რომ ნარკოდამოკიდებულების ჩამოყალიბება უმეტესწილად მოზარდობის ასაკში ნეგატიური სიტუაციური გავლენებით არის განპირობებული [2], ნარკოტიკების

მოხმარების შემცირების ღონისძიებებში, ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების გამოცდილებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ზოგადსაგანმანათლებლო პერიოდში ბავშვებთან თავიანთი პრევენციული საგანმანათლებლო საქმიანობით.

ევროპული კავშირის საბჭოს ერთიანი სტრატეგიის მიხედვით, აუცილებელია, ეროვნულ დონეზე კვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით ჩამოყალიბდეს და სახელმწიფოს რესურსებით მხარდაჭერილი იყოს ინტერაქტიური სწავლების მეთოდზე დამყარებული, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ჯგუფებში განხორციელების შესაძლებლობებზე ორიენტირებული ისეთი საპრევენციო საგანმანათლებლო პროგრამები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ბავშვების და ზოგადად პოპულაციის ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარებით გამოწვეული მძიმე შედეგების შესახებ ინფორმირებულობის ხარისხის განვითარება, პიროვნული თვისებების ჩამოყალიბება და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება [3, 4, 5, 6].

ევროპის არაერთ სახელმწიფოს შემუშავებული აქვს ოფიციალური სტრატეგია, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ქვეყანის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფოს სტრუქტურული ზედამხედველობით კერძო სუბიექტები გეგმავენ ნარკომანიის პრევენციულ ღონისძიებებს. არსებული მოდელების მიხედვით, ანტინარკოტიკული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებია: გადაწყვეტილებების მიღების, მიზანდასახულობის, პრინციპულობისა და ზეწოლის დაძლევის უნარები, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალებების ავადმოხმარებით გამოწვეული ფსიქო-სომატური და სოციალური ცვლილებებისა და მცდარი წარმოდგენების შესახებ პოზიციების შესახებ ცოდნა [7].

დადასტურებულია, რომ ახალგაზრდებში სპეციალისტების მიერ პერიოდული „ჭკუის დამრიგებლური“ მოწოდებები და არასწორად წარმოებული პრევენციული ღონისძიებები არ არის ეფექტიანი და ამასთან ერთად, კრიტიკული დაუბალანსებელი ინფორმაციისა და პირადი გამოცდილების გათვალისწინებით ჩამოყალიბებულმა უნდობლობამ შეიძლება, პირიქით, მოზარდებში ნარკოტიკებით დაინტერესებაც კი გამოიწვიოს. ამიტომ აუცილებელია საპრევენციო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას, გამოირიცხოს გაზვიადებული ინფორმაცია და ბავშვის ცნობიერის დონეზე განვითარდეს ნარკოტიკების ატიპიური მოქმედების შესახებ ცოდნა, რომ მოზარდმა თვითონ თქვას უარი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებაზე [8].

მიჩნეულია რომ ნარკომანიის პრევენციის საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანობისათვის გადამწყვეტია მიზნების, მოსწავლის დატვირთვის მოცულობის, სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებების გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტის შექმნა; აგრეთვე სახელმწიფოს ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების რეალიზების და სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგში, არსებული ნაკლოვანებების გამოვლენისა და პრევენციის პოლიტიკის სრულყოფისათვის [9].

ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩვენი ქვეყნის რეალობაშიც არსებობს წიგნიერებისა და მართვის, როგორც პრევენციის საბაზო პრინციპებზე დამყარებული მოსაზრებები „წამალდამოკიდებულების პრევენციისა და ცხოვრების ჯანსაღი სტილის დამკვიდრების მიდგომებისა და მეთოდების შესახებ“ [10] და ავტორს შესაძლებლად მიაჩნია [11], ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების 11-12 წლის მოსწავლეებთან კლასის „დამრიგებლის საათის“ ფარგლებში 12 გაკვეთილისგან შემდგარი ნარკოტიკების ავადმოხმარების პრევენციის მოდულის, ეგრეთწოდებული ყოვლისმომცველი სოციალური გავლენის პროგრამის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს ნარკოტიკებისა და მათი მოხმარების რისკებზე ინფორმირებასა და საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას ისეთი საგაკვეთილო თემებით, როგორიც არის:

(1) სამოტივაციო შესავალი;

(2) ემოციური რეგულაცია/ემოციური წიგნიერება;

(3) ასერტიული კომუნიკაცია;

(4) სოციალურ სიტუაციებში მოქცევის უნარ-ჩვევები;

(5) პრობლემების მართვა;

(6) ალკოჰოლის მოხმარების რისკი;

(7) თამბაქოს მოხმარების რისკი;

(8) აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ რისკი;

(9) ლეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების ინდუსტრია;

(10) არალეგალური ნარკოტიკები და მათ მოხმარებასთან დაკავშირებული რისკი;

(11) **ცხოვრების დაგეგმვის უნარ-ჩვევები;**

(12) მოდულის ფარგლებში ათვისებული ცოდნისა და უნარების რეფლექსია.

ავტორის მითითებით, აუცილებელია პრევენციული მოდულის შედეგების გაზომვა და რეზულტატების გათვალისწინებით პროგრამის შემდგომი იმპლემენტაცია.

რამდენადაც, კროსკულტურული თავისებურებების გათვალისწინებით ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებსაც კი არ აქვთ საერთო ანტინარკოტიკული საგანმანათლებლო პროგრამა და ეფექტიანი პრევენციისათვის საჭიროა ქვეყანაში არსებული პრობლემების ინდივიდუალური შესწავლა და საზოგადოების ნარკომანიისადმი დამოკიდებულების განსაზღვრა [12], მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ქართველი ავტორის მოსაზრება, წარმატებული იქნება თუ ჯერ მოხდება ისეთი ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, როგორიც არის:

(1) საზოგადოებაში ნარკომანიის გავრცელების ფართო მასშტაბებთან მიმართებით ჩვენი ქვეყნის სოციალური სინამდვილის თავისებურებები;

(2) საქართველოს განათლების სისტემის მზაობის დონე, რომ წარმატებით შეითავსოს ნარკომანიის პირველადი პრევენციის მოთხოვნები და თუ რა სიძნელეები შეიძლება შეხვდეს მისი მექანიზმების რეალიზებას;

(3) შესაძლო ინტეგრირებული მოდელები, რაც საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ გამოვლენილი სიძნელეების დასაძლევად რა წინაპირობების შექმნაა საჭირო;

(4) მათ შორის, აუცილებლად მიგვაჩნია, ჩვენს ქვეყანაში ნარკოტიკების ავადმომხმარებელთა რესოციალიზაციის შესაძლებლობების ობიექტური შეფასება.

ვინაიდან, ჩვენს მიერ განხორციელებული წინასწარი კვლევების ფარგლებში ინდივიდუალური გამოკითხვის მეთოდით:

(1) საქართველოს ქალაქების: თბილისის, ფოთისა და ყვარელის მასშტაბით გამოიკითხა 181 რესპოდენტი *(16-20 წლის 58 მამრობითი და 53 მდედრობითი რესპოდენტი, 20-30 წლის 28 მამრობითი და 42 მდედრობითი რესპოდენტი)* და განმარტებაზე: „თანამედროვე მეცნიერება ჯანსაღი ბავშვის დაბადებისთვის, საჭიროდ მიიჩნევს რომ მშობლებმა ჩაიტარონ ჯანმრთელობის გენეტიკური გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში, ნარკოტიკების, ალკოჰოლის, თამბაქოს და სხვა ტერატოგენთა ხმარებისაგან შემორჩენილი დამაზიანებელი ფაქტორების ნაკვალევის მკურნალობა, ისეთი დაავადებების თავიდან ასაცილებლად, რომელიც შემდგომში შესაძლებელია, გადაეცეს შათამომავლობას“ - დავინტერესდით საზოგადოებრივი აზრით, კერძოდ: გსმენიათ რაიმე ამის შესახებ, მიგაჩნიათ საჭიროდ ამის გაკეთება და გააკეთებთ თუ არა თქვენ თვითონ ამას?

(2) საქართველოს ქალაქებში გამოიკითხა 190 რესპოდენტი *(თბილისში 120, ყვარელში 24, ახალციხეში 5, ფოთში 20 და ბათუმში 21 რესპოდენტი)*, რა დროსაც დასმული იყო შემდეგი შეკითხვა: „როგორ გესმით, რას ნიშნავს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის დებულება: „ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ?“

(3) საქართველოს ქალაქებში: თბილისში, ყვარელში, ახალციხეში, ფოთში და ბათუმში გამოიკითხა 229 რესპოდენტი *(მშობელი 100, სკოლის პედაგოგი 100, სხვა (სტატუსის მითითების გარეშე) 29 რესპოდენტი)*, რა დროსაც დავინტერესდით საზოგადოებრივი აზრით, კერძოდ: „როგორ გესმით, რას ნიშნავს: „ბავშვს აქვს განათლების უფლება?“ და როგორ გესმით, რას ნიშნავს: „ბავშვს უფლება აქვს დაცული იყოს ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო გამოყენებისაგან, ასევე ამგვარ ნივთიერებათა წარმოებასა და გავრცელებაში მონაწილეობისაგან?“

საზოგადოებრივი აზრის კვლევის ფარგლებში მიღებული გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა:

(1) ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესახებ ზედაპირული ცოდნა და შესაძლო ანტინარკოტიკულ

ღონისძიებებში საზოგადოებრივი ჩართულობის დაბალი მზაობა;

(2) დევიაციის ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური რისკ-ფაქტორების შედეგების მოქმედებისგან ეფექტიანი დამცავი მექანიზმების არ არსებობა და მიზანმიმართული პრევენციული პროგრამების განხორციელების აუცილებლობა;

(3) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებისა და მოსწავლეთა მშობლების უმრავლესობა, ბავშვის განვითარებაზე პასუხისმგებლობას მთლიანად აკისრებენ სახელმწიფოს და არა საკუთარ თავს, მაშინ როცა სახელმწიფო მათი საშუალებით ახორციელებს მომავალი თაობების სწავლა-აღზრდას. გარდა ამისა ისინი მიუთითებენ აკრძალვის და შეზღუდვის მექანიზმებზე და არც ახსენებენ იმას, რომ ბავშვი უნდა აღიზარდოს ისე, რომ მან თვითონ თქვას უარი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებაზე;

(4) ნარკოდამოკიდებულთა რესოციალიზაციისა და ნარკომანიის პრევენციის მიმართულებით პრაქტიკის ეფექტიანობის გასაზრდელად, საჭიროა არსებული სტრატეგიების გადახედვა და გაუმჯობესება.

ეს შედეგები ასევე დასტურდება არსებული შესაბამისი სირთულეების დაძლევის სტრატეგიების დასასახად, სამეცნიერო რეკომენდაციების მომზადების მიზნით, ჩვენს მიერ რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებით საქართველოს დედაქალაქში და სხვადასხვა მხარეში მდებარე მუნიციპალი-ტეტებში მიმდინარე კვლევის ფარგლებში ამ ეტაპზე მიღებული პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის დამუშავებისა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზეც. რომლის დასრულების შემდგომ მიღებული შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები ასევე წარდგენილი იქნება დარგის სპეციალისტების საზოგადოებაში და გამოქვეყნდება.

ამასთანავე მიგვაჩნია, რომ გარკვეული ავტორის მიერ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულე-ბების ძირითადი სუბიექტებისათვის, ნარკოტიკების ავადმოხმარების პრევენციის სახელმძღვანელოში შემოთავაზებული, სასკოლო გარემოში არსებულ პრევენციულ საჭიროებებსა და მათ საპასუხო მიდგო-მებზე დამყარებული ცხოვრების ჯანსაღი სტილის დამკვიდრებისა და ფსიქოაქტიური საშუალებების ავადმოხმარების პრევენციის დარგში, სკოლის პოლიტიკის კომპონენტებისა და ამოცანების შესახებ მოსაზრებების [10], პრაქტიკაში ეფექტიანობისათვის, ყურადღება უნდა გამახვილდეს პრევენციულ პროგრამაში იმ ბავშვების მაქსიმალურად ჩართულობისა და მხარდაჭერის შესაძლებობებზე, რომლებიც არიან დევიაციის რისკ-ფაქტორების შესაძლო მოქმედების პირისპირ და ხშირ შემთხვევაში არ მონაწილეობენ სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამებში. აგრეთვე სწავლაში შემეცნების და წარმატების მოტივების განვითარებისა და რეალიზების ინდივიდუალურ დონეზე ხელშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირებისა და დაძლევის სტრატეგიების შემუშავების მექანიზმებზე. მით უფრო რომ საქარ-თველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარისში საუბარია რომ იმავე წელს, 4067 ბავშვს შეუჩერდა/შეუწყდა მოსწავლის სტატუსი მათი საუკეთესო ინტერესების საწინააღმდეგოდ, შემდეგი საფუძვლებით: სკოლიდან გარიცხვა (15 მოსწავლე); მშობლის ბუნდოვანი შინაარსის განცხადება (2073 მოსწავლე); მუშაობის დაწყება (324 მოსწავლე); დაოჯახება (36 მოსწავლე); ზედიზედ გაცდენის ზღვრული რაოდენობა (1619 მოსწავლე) [13], ხოლო მანამდე, 2021 წლის 15 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ 2020 წლის 10 სექტემბერს დამტკიცებული „სკოლის მიღმა დარჩენილი მოზარდების იდენტიფიცირების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გამოვლინდა 6-დან 16 წლამდე 10404 ბავშვი, რომლებსაც არ აქვთ საგანმანათლებლო ისტორია და არ არიან განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მოსწავლეთა ბაზაში [14].

დასკვნა

რამდენადაც, დევიაცია დაკავშირებულია მოზარდის მიერ საკუთარ მე-ს მიმართ უარყოფით განწყობასთან; აგრეთვე სოციალური კავშირების რღვევა ან შესუსტება უმეტესწილად განაპირობებს ინდივიდის ნორმიდან გადახრას და ინტერაქციაში წამყვანია სოციალური ჯგუფები და ინდივიდუ-ალური მენტალობა, ნარკომანიის შემცირების პერსპექტივაზე ეფექტიანი გავლენა შეიძლება, იქონიოს ქვეყნის რეალობაში იდენტიფიცირებულ სამიზნე ნიშნულებზე ორიენტირებული, კვალიფიციური ადა-

მიანური და სახელმწიფოს ფინანსური რესურსებითა და სუვერენული უფლებამოსილებით მხარდაჭერილი პირველადი პრევენციის საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში განხორციელებამ, რომლის სწავლის შედეგებიც იქნება ისეთი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, პიროვნებამ რომ შეძლოს კრიტიკული აზროვნებითა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების არადანიშნულებისამებრ მოხმარებით შესაძლო უარყოფითი ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გავლენით, დევიაციის რისკ-ფაქტორების მოქმედებისათვის თავის არიდება და სასიცოცხლო ორიენტირებზე პიროვნული რესურსის მობილიზება.

პოზიტიური სოციალური გავლენის მასშტაბების შეუქცევადი გაფართოებისათვის, აუცილებელია პრევენციული პროგრამის ინტენსიური და ინტერაქტიური სწავლება. მათ შორის რისკის მქონე ჯგუფების ჩართულობის უზრუნველყოფით. ამასთანავე, სწავლის შედეგების მონიტორინგი და ხარისხის შეფასების პროცესში მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, პროგრამის გაუმჯობესება, საქმიანობის შემდგომი განვითარება და მაღალი ხარისხის შენარჩუნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://matsne.gov.ge/ka/document/view/44284?publication=0
2. ჩეკურიშვილი ლ. თანამედროვე ტენდენციები ნარკომოხმარების შემცირებაში, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“, 2021 წ. №3 (34)
3. Preventing Drug Abuse among Children and Adolescents: A Research-Based Guide for Parents, Educators, and Community Leaders, National Institute on Drug Abuse, 2003
4. Горбатенко Л. и Др., Эффективные программы превенции наркомании, Ростов На Дону: Феникс, 2003
5. King A. Advice for Teachers on Delivering Drug Education, Drug Education Forum, 2004
6. Involving Children and Young People in Drug Education, The Drug Education Forum, 2006
7. https://nida.nih.gov/search/Preventing%20drug%20use%20among%20children%20and%20adolescents:%20A%20Research-Based%20Guide?sort=_score
8. Scott O. Lilienfeld and Hal Arkowitz, „Why "Just Say No" Doesn't Work“, Scientific American, Volume 25, Issue 1, December 2013
9. https://www.emcdda.europa.eu/system/files/publications/209/Monograph5_64365.pdf
10. ჯავახიშვილი ჯ. ნარკოტიკების ავადმოხმარების პრევენცია, ცხოვრების ჯანსაღი სტილის დამკვიდრების მიდგომა, სახელმძღვანელო საჯარო სკოლების პედაგოგების, ფსიქოლოგების, მანდატურების, ადმინისტრაციისა და სამეთვალყურეო საბჭოებისთვის, გამომცემლობა „ნეკერი“, 2011
11. https://publika.ge/article/skolebshi-fsiqoaqtiuri-nivtierebebis-mokhmarebis-prevenciis-programa-igegmeba/
12. https://www.emcdda.europa.eu/
13. https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf
14. https://mes.gov.ge/content.php?id=11912&lang=geo
15. ბერძენიშვილი ა. კლასიკური სოციოლოგიური თეორიები, თბ., 2013
16. ბერძენიშვილი ა. თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები, თბ., 2019
17. ჩეკურიშვილი ლ. დევიაციის რისკ-ფაქტორების მოქმედებაზე სწავლის მოტივთა განსხვავებული გავლენა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“, 2022 წ. №1 (36)

Preconditions for overcoming problems and causes for primary anti-narcotic events

Lasha Chekurishvili
PhD student of Georgian Technical University

Summary

Due to the effects of drugs on the psychosomatic and social condition of human beings, drug addiction has long been recognized as a social calamity of mankind and although its perception of nature has increased significantly and there are strict mechanisms to control drug circulation, drug addiction is still particularly problematic in society.

In the modern context, based on proven experience in European countries, an effective mechanism for reducing drug addiction is the systematic implementation of a long-term universal (primary) prevention education program among a group of students in the national education system and its development. To the extent that the negative consequences of drug addiction, under the influence of only short and easy-to-remember calls, do not diminish the course of the severe social changes caused by it.

The results of preventive program learning should develop vital purpose and social skills, anti-drug knowledge and positions at the individual level. Which should contribute to the spread of a culture of humane and civilized active life among the general public, reduce the supply and demand of non-medical drugs, enhance the psychosomatic health of the people and increase the social well-being of the people.

To prevent the misuse of psychoactive substances, determine the perspective of the results of the precautionary measures, to make an objective assessment of the characteristics of each country's national attitudes and institutional difficulties at national level and to focus on the indicators of the received reality; Identify the preconditions and necessary resources for overcoming the difficulties in the first prevention of drug addiction, mobilize and manage them purposefully, effectively to reduce the existing problems; Ensure the involvement of children at risk beyond the educational capacity of children left behind in prevention and, in general, the motivation for learning.

Keywords: drug addiction, preventive knowledge, risks, quality assurance of social impact.

საპარლამენტო კონტროლი საჯარო მმართველობის სისტემაში

ხალვაში ფატი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

კვლევაში მოცემულია საპარლამენტო კონტროლის, როგორც მართვის სისტემის არსი და დეფინიცია, საპარლამენტო კონტროლის მართვის მექანიზმის სისტემატური და დეტალური ანალიზი თეორიულ, მარეგულირებელ და პრაქტიკულ კომპონენტებში, მისი ოპტიმალური მახასიათებლები. ნაჩვენები და აღწერილია საპარლამენტო კონტროლის, როგორც მართვის ფუნქციონირებადი სისტემა, მისი პრინციპები, მახასიათებლები და მექანიზმები; განსაზღვრულია საპარლამენტო კონტროლის სისტემა, როგორც საჯარო მმართველობის გამჭვირვალე სისტემის მახასიათებლები.

აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის უზრუნველყოფაში წარმომადგენ-ლობითი ორგანოს როლის შესწავლა საჯარო მმართველობის როგორც სამეცნიერო დარგის მნიშვნელოვანი ამოცანაა. ეს საკითხი დიდი ხანია დგას აკადემიურ დღის წესრიგში[1]. საპარლამენტო კონტროლი, როგორც მართვის სისტემა, თანამედროვე საჯარო მმართველობის უმნიშვნელოვანესი ასპექტია, ვინაიდან ნებისმიერი მთავრობა, რომელიც არ ექვემდებარება პოლიტიკურ კონტროლს სხვა არაფერია, თუ არა ტირანია, რადგან ასეთ შემთხვევაში სასამართლო კონტროლი საკმარისი არ არის[2].

თანამედროვე განვითარებულ დემოკრატიებში წარმომადგენლობითი ორგანოს საკონტროლო ფუნქცია გარკვეულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე საჯარო მმართველობის სისტემაში, როგორც დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ნიშანი. შესაბამისად, ერთი მხრივ, საპარლამენტო კონტროლი წარმოადენს სამეცნიერო კვლევის საკითხს მისი მოცულობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე საპარლამენტო კონტროლი ხორციელდება საქართველოს მთავრობის საქმიანობაზე. სწორედ ამით არის განპირობებული მისდამი, როგორც საკვლევი საკითხისადმი განსაკუთრებული ინტერესი. საპარლა-მენტო კონტროლს აქვს საკუთარი საკანონმდებლო ბაზა, მოქმედი პრაქტიკა, რომლებიც მოითხოვს თეორიულ განზოგადებას და სათანადო მეცნიერულ სისტემატიზაციას, რათა გამოავლინდეს მისი ნაკლოვანებები და ოპტიმალური მახასიათებლები. ამავე დროს საპარლამენტო კონტროლის სისტემა და პრაქტიკა საჭიროებს სამეცნიერო და პრაქტიკულ წინადადებებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც გაზრდის საპარლამენტო კონტროლის ეფექტურობას, მის გავლენის ხარისხს აღმასრულებელი ხელი-სუფლების საქმიანობაზე. ამავე დროს, საპარლამენტო კონტროლის პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობა იმთავითვე განსაზღვრულია საჯარო მმართველობის ორგანიზებაში, რაც უზრუნველყოფს კანონების თანმიმდევრულ შესრულებას, ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას, კანონის განმტკიცებას, წესრიგი საჯარო სფეროებში და საჯარო მმართველობის ეფექტურობას.

საკვანძო სიტყვები: ხელისუფლება, კონტროლი, ძალაუფლება, საჯარო მმართველობა, სისტემა.

ძირთადი ტექსტი

საჯარო მმართველობის სისტემაში კონტროლის კლასიფიცირება სხვადასხვა ნიშნის მიხედვითაა შესაძლებელი, ასე მაგალითად: განხორციელების დონისა და ფარგლების მიხედვით განასხვავებენ: სახელმწიფო, სახელმწიფოთაშორის და საზოგადოებრივ კონტროლს; სუბიექტების სპეციფიკის მიხედვით: საპარლამენტო, საკონსტიტუციო, სასამართლო, საფინანსო და საბანკო კონტროლს; სუბიექტების უფლებამოსილების მიხედვით: ზეუწყებრივი, საუწყებათაშორისო, უწყებრივი, შიგა სამეურნეო კონტროლს; სუბიექტის და ობიექტის დამოკიდებულების მიხედვით: შინაგან და გარეგან კონტროლს; მმართველობითი საქმიანობის სფეროების მიხედვით: საერთო, სპეციალიზებულ,

[1] Parliamentary control of Governmental actions on the interaction with European organs in the Hellenic Parliament and the National Assembly of Serbia, იხ. ბმულზე - https://www.pademia.eu/wp-content/uploads/2014/02/Fitsilis_Koryzis_PademiaOnlineSeries.pdf
[2] Manuel Sánchez de Dios, Executive parliamentary control, იხ. ბმულზე - https://www.ucm.es/data/cont/docs/862-2019-12-01-Sanchez-%20Executive%20parliamentary%20control.pdf

ადგილობრივ და ცენტრალიზებულ კონტროლს; ობიექტის მოცვის სისრულის: ფაქტის მიხედვით კონტროლს, თემატურ და კომპლექსურ კონტროლს; განხორციელების დროის მიხედვით: წინასწარ, მიმდინარე და შემდგომ კონტროლს[1].

მოცემული კლასიფიკაციის მიხედვით, კონტროლის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი სახეობა სახელმწიფო კონტროლია. სახელმწიფო კონტროლის მიზანია დადგენილი წესებისა და სტანდარტებთან შესაბამისად, უზრუნველყოს საზოგადოე-ბრივი ინტერესები. ასევე კანონისა და წესების დაცვით აღკვეთოს დადგენილი პარამეტრებიდან გადახვევა და თავიდან აიცილოს შესაძლო გადახრები, ხოლო თუ ისინი წარმოიშვა, თანამდევი აღმოფხვრას უარყოფითი შედეგები[2].

არსებობს სახელმწიფო კონტროლის რამდენიმე სახეობა, რომელიც გარკვეულ პირთა თუ ორგანოთა ჯგუფს შეესაბამება. ისინი სამთავრობო ორგანოების საკონტროლო საქმიანობის უფლებით სარგებლობენ. ესენია: პრეზიდენტის კონტროლი, საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) ხელისუფ-ლების კონტროლი - საპარლამენტო კონტროლი; აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი; სასამართლო ხელისუფლების კონტროლი. ყველა ამ ტიპის კონტროლი საჯარო სამართლის ხასიათს ატარებს, რადგან მათ ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები, რომლებსაც ახასიათებთ იურიდიული მიმართულება, რადგან ისინი ხელს უწყობენ კონტროლირებადი ობიექტის (სახელმწიფო ორგანო, თანამდებობის პირი) მიერ სამართალდარღვევის გამოვლენას, ან მისი ქმედებების (საქმიანობების) კანონიერების (მიზანშეწონილობა) დადგენას, და შედეგად, საჭირო იქნება თუ არა სამართლებრივი ქმედებების განხორციელება კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმით.

სამეცნიერო ლიტერატურაში კონტროლი ჩვეულებრივ ხასიათდება როგორც კონტროლირებადი ობიექტის საქმიანობაში ჩარევის შესაძლებლობად. როგორც კონტროლირებადი ობიექტის საქმიანობის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის კუთხით შეფასებისთვის, ასევე სამართლებრივად გაამყაროს კონტროლის სუბიექტების შესაძლებლობა და პირდაპირ დააკისრონ დამნაშავეებს პასუხისგება.

კონტროლი სახელმწიფოს სამართლებრივი საქმიანობის უმაღლესი ფორმაა. მის სტრუქტურაში კონტროლის სამი ძირითადი ტიპი გამოიყოფა, რომლებიც დაკავშირებულია „ხელისუფლებათა დანაწილების“ სისტემასთან და დემოკრატიის პრინციპთან: საპრეზიდენტო კონსტიტუციური კონტრო-ლი, საპარლამენტო კონსტიტუციური კონტროლი და საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო შტო (დაკავშირებული კონსტიტუციურ სამართალთან).

სიტყვა ,,კონტროლი“ ტევადი, კრებსითი დატვირთვის ცნებაა და ის სხვადასხვა სახესა და ფორმას მოიცავს[3]. ტერმინი „კონტროლი“ სათავეს იღებს რომის სახელმწიფოდან, სადაც მას გარკვეული დოკუმენტური აღნიშვნის ღირებულება ჰქონდა და დაკავშირებული იყო სპეციალურ ფინანსურ დოკუმენტებთან. კონტროლის გაგების ეს ასპექტი დიდი ხანია ასოცირდება დოკუმენტების სისწორის, შემოწმების და ა.შ. საკითხებთან. ზოგადად, ტერმინი კონტროლი ინგლისურ ენაში დადებითი მნიშვნელობით გამოიყენება დარაღაცის მართვას, დახელოვნებას ნიშნავს [4].

სოციალური გაგებით კონტროლი, ეს არის „საზოგადოების უნარი, უზრუნველეყოს საზოგადო-ებრივი წესრიგი ყოველგვარი იძულებისა თუ ძალადობის გამოყენების გარეშე“, შესაბამისად, ეს არის „საზოგადოებების სოციალური კონდიცია, რომელიც დაფუძნებულია კონსესუსის მაღალ დონესა და ჰარმონიულ სოციალურ ურთიერთობებზე“[5]. ამავე დროს სოციალური კონტროლის თეორიის თეორიტიკოსები, მეტ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ როგორ რეაგირებს თავად საზოგადოება

---

[1] ო.მელქაძე, სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი IV, გამომცემლობა ,,უფლება“, თბილისი, 1996, გვ. 738-43.

[2] Е.С. Лапатухина, Парламентский контроль как вид государственного контроля, Представительная власть. 2009. №7. С. 35.

[3] ზ. მაჭარაძე, მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი ბიკამერალურ პარლამენტში (ქართულ პერსპექტივასთან კავშირში), სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2019, გვ. 36 იხ. ბმულზე - https://press.tsu.ge/data/image_db_innova/%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%9D%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%91%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%20%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A8%E1%83%98-asatvirti.pdf

[4] R. Boudon,, F. Bourricaud, A Critical Dictionary of Sociology. P. Hamilton, Abingdon: Taylor & Francis e-Library, 2003.

[5] M. Deflem, Deviance and Social Control. E. Goode, Ed. The Handbook of Deviance, 2015. 30-44.

უსამართლო ქმედებებზე, და ასევე, იმაზე თუ როგორ რეაგირებს ინდივიდები დევიანტურ ქცევაზე, და იმ სოციალურ პროცესებზე, რომლებიც ამა თუ იმ გზით სასიცოცხლო აქტივობას ეხება[1].

აქედან გამომდინარე, კონტროლი როგორც წესი, აღიქმება საქმიანობად, რომელიც ხორციელდება ორგანიზაციების მიერ კანონებისა და სხვა მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესრულების მიზნით, რომელიც ზემდგომი ორგანოების მიერაა დადგენილი დისციპლინის დაცვის, სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ფინანსური რესურსების სწორად გამოყენების, მოქალაქეების წინადადებების, განცხადებების და საჩივრების მუშაობის ორგანიზებისთვის. აქედან გამომდინარე, საპარლამენტო კონტროლი შეიძლება განვიხილოთ როგორც სოციალური კონტროლის ერთ - ერთი სახე. ამ შემთხვევაში სოციალური კონტროლი საჯარო მმართველობის სისტემაში შეიძლება დახასიათდეს, როგორც მართვის სისტემის ერთ-ერთი ფუნქცია, რომელიც წარმოადგენს მართული ობიექტის ფუნქციონირების მონიტორინგისა და შემოწმების სისტემას, რათა შეფასდეს მიღებული გადაწყვეტილებების მართებულობა და ეფექტურობა, დადგინდეს მათი განხორციელების ხარისხი, გადახრები და არახელსაყრელი სიტუაციების არსებობა, რის შესახებაც მიზანშეწონილია დროულად ეცნობოს კომპეტენტურ ორგანოებს, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ ზომები სიტუაციის გასაუმჯობესებლად. კონტროლი ასევე მოიცავს გადახრების დაძლევას. გადახრების მიზეზების ანალიზს, უარყოფითი ფენომენების აღმოფხვრას და კონტროლირებად ობიექტზე ზემოქმედების გზებს განსაზღვრავს.

საჯარო მმართველობის სისტემაში სოციალური კონტროლის ფორმირებისა და გაუმჯობესების პრობლემები მნიშვნელოვანია. იგი შექმნილია იმისათვის, რომ ორგანიზაციულად შეესაბამებოდეს მართვის მექანიზმს, საჯარო მმართველობის ფუნქციების განხორციელების ობიექტურ კანონებს. სოციალური კონტროლი საჯარო მმართველობის სისტემაში უნდა განიხილებოდეს არა როგორც გადაუდებელი ღონისძიება, არამედ, როგორც მართვის პროცესის განუყოფელი ელემენტი. სოციალური კონტროლის ძირითადი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს საჯარო სამსახურის აღმასრულებელი პერსონალის დისციპლინის გაძლიერებაზე, მათი პასუხისმგებლობის გაზრდაზე ქვეყნის კონსტიტუციის, კანონების, დადგენილებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

საპარლამენტო კონტროლი არის სოციალური კონტროლის ფორმა. საკანონმდებლო ორგანოს უფლება, განახორციელოს კონტროლი, უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების დემოკრატიული ორგანიზაციის კონტექსტში, არამედ, როგორც სოციალური მართვის პროცესის ძირითადი ფუნქცია, რომელიც ემსახურება თანამედროვე საზოგადოების სოციალური სტაბილურობის მიღწევას და შენარჩუნებას. გასათვალისწინებელია, რომ საპარლამენტო კონტროლის როგორც მართვის სისტემის არსებობა, კიდევ უფრო ზრდის პარლამენტის როლს და მნიშვნელობას, როგორც უმაღლესი ფორმის მატარებელი ორგანოს ხალხის სახელით.

საპარლამენტო კონტროლი ძალაუფლებისა და სახელმწიფოს არსიდან გამომდინარეობს, მაგრამ როგორც ამ კატეგორიის ნებისმიერ ელემენტს, მას თავისი ადგილი უკავია საჯარო მმართველობის სისტემაში, რომელიც განისაზღვრება სახელმწიფო მმართველობის ფუნქციებით, სახელმწიფო ხელისუფლების მიზნებით, იერარქიითა და საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანაწილებით.

სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების სტრატეგიული ხაზი მართვის პროცესის და ხელისუფლებაზე დემოკრატიული ზედამხედველობის გაუმჯობესებაა, რაც მიღწეული უნდა იქნეს საზოგადოების მხრიდან აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დემოკრატიული ზედამხედველობის სრულყოფილად განხორციელების საფუძველზე.

საპარლამენტო კონტროლის განვითარების ხარისხის გავლენა დემოკრატიის განვითარების დონეზე გამოიხატება იმით, რომ აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაზე კონტროლის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მუდმივი ზრდა იწვევს პასუხისმგებლობის ზრდას ამ უკანასკნელთა ქმედებებისთვის და, შესაბამისად, მათი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, სახელმწიფოს კანონების სათანადოდ შესრულება დემოკრატიის განმტკიცებას იწვევს, რადგან ხალხის ნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების განხორციელება ხალხის

[1] К. Кунилова, Теория социального контроля, იხ. ბმულზე- https://spravochnick.ru/sociologiya/socialnyy_kontrol_funkcii_i_soderzhanie_socialnogo_kontrolya/teoriya_socialnogo_kontrolya/

ცნობიერებას მათი როლის შესახებ აძლიერებს.

ხელისუფლების ორგანოების ფუნქციურ კონტროლს ყოველთვის ექნება გამართლება, მეტიც, იგი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთი ძალაუფლების სუბიექტის მიერ, მეორე ძალაუფლების სუბიექტის საქმიანობაში უხეშ ჩარევად. სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად შესაძლებელია გაიზარდოს ცალკეული ხელისუფლების ფუნქციონირების ფარგლები და მან შეიძინოს დამატებითი, როგორც ვალდებულებები, ისე უფლებებიც, რომელმაც შეიძლება გამოიწვიის ინსტიტუციური გაძლიერება.[1]

სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში სახელმწიფო კონტროლის არსებობა საშუალებას იძლევა გამოვყოთ საკუთრივ ხელისუფლების საკონტროლო შტო, რომელსაც შესაბამისი ორგანოები და თანამდებობის პირები წარმოადგენენ. სახელმ-წიფო ხელისუფლების დამოუკიდებელი კონტროლის შტოს არსებობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ნებისმიერ სახელმწიფოში არსებობს უნივერსალური კონტროლის ფუნქცია, რომელიც გამომდინარეობს საჯარო ხელისუფლების არსიდან, რომელსაც ახორციელებს ხელისუფლების განსაკუთრებული შტო[2].

აუცილებელია განვასხვავოთ ტერმინები „საკონტროლო ხელისუფლება“, რომლის წყაროც ხალხია, ის, ვინც მას ახორციელებს როგორც პირდაპირ, ისე ირიბად, და ტერმინი „სახელმწიფო ხელისუფლების საკონტროლო შტო“.

აქ პრობლემა ის არის, რომ საკონტროლო ხელისუფლება ცალსახად არ ექვემდებარება დიფერენციაციას და კონსოლიდაციას. პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო ორგანო, რომლებიც ამა თუ იმ ხარისხით ახორციელებს კონტროლს, ფართო გაგებით მმართველობის იმანენტური საკუთრებაა. კერძოდ, პარლამენტი ახორციელებს როგორც საკანონდებლო საქმიანობას, ასევე კონტროლს - ფუნქციებს, რომელთა გამიჯვნა თითქმის შეუძლებელია.

ამრიგად, კონტროლი წარმომადგენლობით და საკანონმდებლო ფუნქციასთან ერთად, არის პარლამენტის საპასუხისმგებლო და დამოუკიდებელი საპარლამენტო ფუნქცია, რომლის დროსაც ხდება საპარლამენტო ძალაუფლების მატერიალიზება, თანამედროვე პარლამენტარიზმის პრინციპების განხორციელება.

დასკვნა

პარლამენტი არის საჯარო მმართველობის სისტემაში აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლის უფლების მქონე სახელმწიფო ორგანო, რომლის კონტროლის სისტემის არსებობა საშუალებას იძლევა გამოიყოს სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში საკონტროლო შტო, რომელსაც წარმოადგენენ შესაბამისი ორგანოები და თანამდებობის პირები.

საპარალამენტო კონტროლი არის სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი სახე, რომლის სპეციფიკა დასაბუთებულია მაკონტროლებელი სუბიექტის ადგილით და როლით დემოკრატიული სახელმწიფოს საჯარო მმართველობის სისტემაში, რომელსაც აქვს სპეციფიკური მიზანი, ფორმები და მეთოდები საპარლამენტო კონტროლის განსახორციელებლად.

პარლამენტის საქმიანობა თავისი ბუნებით მმართველობითი კონტროლია, როგორც სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოების არსებითი ბუნებიდან გამომდინარე. აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი არის როგორც პარლამენტის ფუნქცია, ასევე საკონტროლო მართვის სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმების და პროცედურების ერთობლიობა და პარლამენტის, როგორც ხელისუფლების ერთ-ერთი არსებითი თვისება.

საჭიროა კატეგორიის „საპარლამენტო კონტროლის“ ახალი პარადიგმა, რომელიც მნიშვნელოვნად გააფართოებს წარმომადგენლობითი ორგანოს კომპეტენციასა და შესაძლებლობებს საზოგადოების ცხოვრებაში სოციალურად მნიშვნელოვან მოვლენებზე რეაგირებისა და მათზე საკუთარი გადაწყვეტილების შემუშავების მიზნით. ამავე დროს მიზანშეწონილია მეცნიერების კონცეპტუალურ აპარატში „საპარლამენტო კონტროლის სისტემისა და სტრუქტურის“ ცნების დანერგვა, ისევე როგორც კანონმდებლობაში გამოიყენება ცნება „აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემა და სტრუქტურა“.

---

[1] ბ. გულიაშვილი ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საკონსტიტუციო სასამართლო, თბილის 2019, გვ. 26-27; იხ. ბმულზე - https://openscience.ge/bitstream/1/1635/4/samagistro%20nashromi.pdf

[2] В.Е. Чиркин, Контрольная власть, Государство и право 1993. № 4. С. 11-12. С.А. Денисов, Формирование контрольной ветви государственной власти и ограничение коррупции, Государство и право. 2002. № 3.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Parliamentary control of Governmental actions on the interaction with European organs in the Hellenic Parliament and the National Assembly of Serbia, იხ. ბმულზე - https://www.pademia.eu/wpcontent/uploads/2014/02/Fitsilis_Koryzis_PademiaOnlineSeries.pdf უკანასკნელად გადამოწმებულია 22.02.21
2. Manuel Sánchez de Dios, Executive parliamentary control, იხ. ბმულზე - https://www.ucm.es/data/cont/docs/862-2019-12-01-Sanchez-%20Executive%20parliamentary%20control.pdf უკანასკნელად გადამოწმებულია 22.02.21
3. ო.მელქაძე, სახელმწიფო კონტროლი: თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი IV, გამომცემლობა ,,უფლება", თბილისი, 1996, გვ. 738-43.
4. Е.С. Лапатухина, Парламентский контроль как вид государственного контроля, Представительная власть. 2009. №7. С. 35.
5. ზ. მაჭარაძე, მთავრობის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი ბიკამერალურ პარლამენტში (ქართულ პერსპექტივასთან კავშირში), სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2019, გვ. 36
6. R. Boudon,, F. Bourricaud, A Critical Dictionary of Sociology. P. Hamilton, Abingdon: Taylor & Francis e-Library, 2003.
7. M. Deflem, Deviance and Social Control. E. Goode, Ed. The Handbook of Deviance, 2015. 30-44.
8. К. Кунилова, Теория социального контроля, იხ. ბმულზე- https://spravochnick.ru/sociologiya/socialnyy_kontrol_funkcii_i_soderzhanie_socialnogo_kontrolya/teoriya_socialnogo_kontrolya
9. ბ. გულიაშვილი ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საკონსტიტუციო სასამართლო, თბილის 2019, გვ. 26-27; იხ. ბმულზე
10. https://openscience.ge/bitstream/1/1635/4/samagistro%20nashromi.pdf

Parliamentary control in the system of public administration

Khalvashi Phati
PhD student of Georgian Technical University

Summary

The study presents the essence and definition of parliamentary control as a management system, systematic and detailed analysis of the parliamentary control management mechanism in theoretical, regulatory and practical components, its optimal characteristics. Demonstrates and describes the parliamentary control system as a functioning management system, its principles, characteristics and mechanisms; The system of parliamentary control is defined as the characteristics of a transparent system of public administration.

Examining the role of the representative body in ensuring control of the executive is an important task of public administration as a scientific field. This issue has long been on the academic agenda. Parliamentary control as a system of government is the most important aspect of modern public administration, since any government that is not subject to political control is nothing but tyranny, because in such a case judicial control is not enough.

In modern developed democracies, the control function of the representative body acquires some importance in the modern system of public administration as the most important sign of a democratic, legal state. Accordingly, on the one hand, parliamentary control is a matter of scientific research due to its scope and importance, and on the other hand, according to the Constitution of Georgia, parliamentary control is exercised over the activities of the Government of Georgia. This is the reason for his special interest in the research topic. Parliamentary control has its own legal framework, current practice, which requires theoretical generalization and proper scientific systematization to identify its shortcomings and optimal characteristics. At the same time, the system and practice of parliamentary control requires scientific and practical proposals and recommendations that will increase the effectiveness of parliamentary control, the degree of its influence on the activities of the executive. At the same time, the political and legal significance of parliamentary control is defined from the outset in the organization of public administration, which ensures the consistent enforcement of laws, the protection of human and civil rights and freedoms, the rule of law, public order and the effectiveness of public administration.

Keywords: government, control, power, public administration, system.

დასაქმების პრობლემები საქართველოში და მმართველობითი ორგანოების როლი მათ გადაწყვეტაში

ხვადაგიანი მარიკა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში - **„დასაქმების პრობლემები საქართველოში და მმართველობითი ორგანოების როლი მათ გადაწყვეტაში“** - გაანალიზებულია დასაქმების მიმართულებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და აღნიშნულია უმუშევრობის მეტად მაღალი დონე (თითქმის 3-ჯერ მეტი ბუნებრივ დონეზე). განსაკუთრებით საგანგაშოა უმუშევარ მოსახლეობაში უმაღლესდამთავრებულთა ხვედრითი წონა (32,3%). ეს იმაზე მიუთითებს, რომ ან საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები სათანადო კომპეტენციებს ვერ აძლევენ ახალგაზრდებს, ანდა 6-წლიანი სწავლების გამო (4+2) ეს კომპეტენციები „ძველდება“ და შრომის ბაზარზე მათზე მოთხოვნა ქრება. ეს ვითარება არის საქართველოს ყველა რეგიონში.

საქართველოში დასაქმების საკითხი არ კარგავს აქტუალობას. ამ პრობლემის დაძლევა ყველა სამთავრობო პოლიტიკის პროგრამაში პირველ ადგილს იკავებს და არაერთი რეფორმა განხორციელდა. მიუხედავად ამისა ეფექტიან დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება. აღნიშნულის მიზეზებთან დაკავშირებით განსხვავებული ვერსიები არსებობს, თუმცა პრობლემის სათავედ სამუშაო ადგილებისა და კვალიფიციური კადრების სიმცირე განიხილება.

დასაქმება ეროვნული კეთილდღეობის დამახასიათებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წინაპირობაა.

დასაქმების პრობლემების დაძლევა ის პრიორიტეტული ამოცანაა, რომელზეც არავინ დაობს და ყველა ერთხმად აღიარებს აღნიშნული პრობლემის სწრაფად და ეფექტიანად მოგვარების აუცილებლობას.

სტატიის ავტორი რეკომენდაციას აძლევს საქართველოს რეგიონების ადგილობრივ ხელისუფალთ, რათა მათ უსწრაფესად გაატარონ დასაქმების აქტიური პოლიტიკა, კერძოდ, ადგილზე გახსნან „სამეწარმეო კურსები“ და იქ უფასოდ გადაამზადონ უმუშევარი ახალგაზრდობა იმ პროფესიებში, რომლებზეც მოთხოვნა არის. ასე გადამზადებული ახალგაზრდობა თვითონ წამოიწყებს მარტივ ბიზნესს და არ გახდება ემიგრანტი.

საკვანძო სიტყვები: დასაქმება, უმუშევრობა; ახალგაზრდა უმუშევრები; მიგრაცია; დასაქმების აქტიური პოლიტიკა; სამეწარმეო კურსები

ძირითადი ტექსტი

ნებისმიერი ქვეყნის მომავალს და, მისი მოსახლეობის კეთილდღეობის დონეს, ეკონომიკის ზრდა განსაზღვრავს. „საქსტატის“ ცნობით, მართალია, 2020 წელს საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წელთან შედარებით შემცირდა (93,2%), მაგრამ ეს გამოიწვია „კოვიდ-19“-ის პანდემიამ, დანარჩენ წლებში იგი მუდმივად იზრდებოდა: 2017 წელს - 104,8%, 2018 წელს - 104,7%, 2019 წელს - 105% [1. გვ. 114]. საქართველოს ეკონომიკის ოფიციალურად დადასტურებული ასეთი ზრდის მიუხედავად, მისგან მიღებული სარგებელი მოსახლეობის ყველა ფენამდე არ მოდის. ეს ფენა არის ეკონომიკურად აქტიური, მაგრამ დაუსაქმებელი მოსახლეობა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობაში არ არის ჩართული 281900 ადამიანი, ანუ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 18,5% [1. გვ. 42]. წინამდებარე სტატია ამ პრობლემას ეხება და წარმოაჩენს ქვეყნის მმართველობითი ორგანოების შესაძლებლობებს მოსახლეობის დასაქმების გაფართოების მიმართულებით.

დასაქმება შრომით საქმიანობაში ადამიანთა ჩართულობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს გამოხატავს [2. გვ. 149]. იგი არის ადამიანთა სასარგებლო საქმიანობა, რომელსაც მოაქვს შემოსავალი და, რომლითაც ადამიანები იკმაყოფილებენ თავის მოთხოვნილებებს. მაშასადამე, დასაქმებას აქვს

ეკონომიკური ფუნქცია და იგი სწორედ დასაქმებულის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში გამოიხატება. ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონე, მათი გადახდისუნარიანი მოთხოვნა და საერთოდ მათი ცხოვრების დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულად არიან ისინი ჩართულნი ეკონომიკურ აქტივობებში და რამდენად ეფექტიანად გამოიყენება მათი შრომითი პოტენციალი.

დასაქმებას აქვს სოციალური ფუნქციაც. დასაქმებული ადამიანი ყოველმხრივ ვითარდება და იზრდება, შრომაში იგი მეტს სწავლობს, კვალიფიკაციას იმაღლებს, სწავლობს გუნდში მუშაობას, იძენს თანამედროვე ახალ სფეროებში ცოდნას და ა. შ.

დასაქმებულები ქმნიან შრომის პროდუქტებს, რომლებიც საზოგადოების წევრების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ხმარდება და ამ გზით მათი ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნილებები გადაიჭრება. ასეთ დროს, საბაზრო ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფს ყველა მუშახელს დასაქმებით. დადგენილია უმუშევრობის ბუნებრივი ნორმაც, რომელიც 5-7%-ს შეადგენს [3. გვ. 340]. ცხადია, უმუშევრად დარჩენილები, რომელთა პროფესია ან კომპეტენციები არ შეესაბამებოდა შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაუსაქმებლობის მიზეზით შემოსავლის გარეშე რჩებიან, რაც იწვევს საზოგადოებაში გარკვეულ დესტაბილიზაციას. უმუშევრობა განაპირობებს არამარტო მოსახლეობის დაბალ შემოსავალს, არამედ, მორალურ-ფსიქოლოგიურ გართულებებსაც, რასაც თან ახლავს მათი ჯანმრთელობის გაუარესება, სათანადო განათლებაზე ხელმიუწვდომლობა და ა. შ. [4. გვ. 266].

დასახელებული შედეგების თავიდან ასაცილებლად ყოველი ქვეყნის მთავრობა უნდა ახორციელებდეს დასაქმების აქტიურ პოლიტიკას. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს შრომისუნარიანი მოსახლეობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის პრინციპს.

დასაქმების აქტიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია [2. გვ. 160]:

- იმ პირთა პროფესიული გადამზადება, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არიან უმუშევრები;
- სამუშაო ადგილების შექმნა და შენარჩუნება;
- უმუშევრობისთვის პროფესიული განათლების მოწყობა დასაქმების გარანტიით;
- სამუშაო ძალის კომპეტენციების გაძლიერება;
- უწყვეტი განათლების დანერგვა;
- პროფორიენტაციის სისტემის დახვეწა.

მსოფლიოს ქვეყნებში დასაქმების ურთიერთგანსხვავებული პოლიტიკა ხორციელდება. მაგალითად, **იაპონიაში** დასაქმების 250 ცენტრია გახსნილი, სადაც აღირიცხებიან ისინი, ვისაც დასაქმებაში აქვთ სიძნელეები. სპეციალური კომისია სწავლობს მათ შესაძლებლობებს, უწევს მათ კონსულტაციებს და პროფესიებში გადამზადებასაც უწყობს უფასოდ.

დიდ ბრიტანეთში ბიუჯეტიდან დიდი მოცულობის სახსრები გამოიყოფა ახალგაზრდების პროფესიული მომზადებისთვის, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლების მოწყობას უშუალოდ საწარმოში, რაც მათ მეტად უმაღლებს პრაქტიკულ ჩვევებს და აადვილებს მათ დასაქმებას.

საფრანგეთში სპეციალური დეკრეტი არეგულირებს შრომის ბაზრის საქმიანობას, განსაზღვრავს განათლების მიმართულებებს. არსებობს დასაქმების უმაღლესი კომიტეტიც, რომელიც საკონსულტაციო როლსაც ასრულებს და დასაქმების ხელშემწყობის როლსაც.

მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში დასაქმების აქტიური პოლიტიკა შეწყვილებულია პასიურ პოლიტიკასთან. პასიური პოლიტიკა უმეტესწილად უმუშევარი ასაკოვან ადამიანებზე ვრცელდება, რომლებზეც გაიცემა მატერიალური დახმარებები, აქტიური პოლიტიკა კი - ახალგაზრდებზე, რომლებსაც სახელმწიფო ორგანოები ეხმარებიან პროფილის მიხედვით დასაქმებაში.

საქართველოს დასაქმების პოლიტიკაში უპირატესად პასიური ღონისძიებები ჭარბობს, კერძოდ, სოციალურ სააგენტოში აღრიცხულ უმუშევრებს ყოველთვიურად 50 ლარი შემწეობა ეძლევათ.

როგორც აღვნიშნეთ საქართველოში უმუშევრობის დონე 18,3%-ია. უმუშევართა საერთო რიცხვში 32,3% უმაღლესკურსდამთავრებული, ხოლო 21,8% პროფესიულ სასწავლებელთა კურსდამთავრებულია. თვით საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული

განათლების დეპარტამეტმაც 2017 წელს ჩატარებული კვლევით დაადგინა, რომ საქართველოს პროფესიულ სასწავლებელთა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები შეადგენს 56,2% [5. გვ. 25]. შექმნილი ვითარების მიზეზებად დასახელდა განათლების დაბალი დონე, პრაქტიკული ჩვევების არქონა, კომპეტენციების სიმცირე.

ახალგაზრდობის უმუშევრობა მათი ასაკის მიხედვით ასე ხახიათდება [5. გვ.22]:

- 15-19 წლის ასაკში - 27,1%;
- 20-24 წლის ასაკში - 29,6%;
- 25-29 წლის ასაკში - 20,8%.

ზემოთ განხილული ვითარება აშკარად გვიჩვენებს, რომ საქართველოში არც პროფესიული და არც უმაღლესი განათლება ახალგაზრდებს არ აძლევს იმ კვალიფიკაციას, რომ ისინი პროფესიით დასაქმდნენ, ამიტომ ტოვებენ ქვეყანას და მიემგზავრებიან სამუშაოს საძებნელად საზღვარგარეთ. მიგრაციის პროცესი საქართველოში შემაშფოთებელი გახდა. იგი ქვეყნის მოსახლეობასთან მიმართებაში 30%-ს აღწევს [6. გვ. 112]. მაშასადამე, საქართველოში მოსახლეობის მიგრაციული განწყობა და ფონი მეტად არასახარბიოელოა. ახალგაზრდობის მიგრაციული განწყობა კი შეიძლება ითქვას შემაშფოთებელია, რადგან სწორედ მათი დასაქმებაა საქართველოში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითადი ფაქტორი. საქართველოდან ემიგრირებულ ახალგაზრდობას სპეციალისტები შემდეგნაირად ახასიათებენ [7. გვ. 281]:

1. მათი უმრავლესობა უმაღლესი განათლების მქონეა.
2. მოქნილნი, მობილური არიან.
3. ადვილად ითავსებენ შრომას და სწავლას.
4. აქვთ მისწრაფება კარიერული ზრდისკენ.

მაშასადამე, ემიგრანტები მოსახლეობის ეს ის ფენაა, რომელიც ადგილზე დასაქმებისას აქტიურად შეუწყობს ხელს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას. ამის გარდა, სათქმელია ისიც, რომ საზღვარგარეთ შრომით ემიგრაციაში წასული ახალგაზრდობა ეჩვევა იქაურ ყოფას, მაღალანაზღაურებად სამუშაოს და სამშობლოში აღარ ბრუნდება. ასე ეკარგება საქართველოს ქართული გენოფონდი.

აღნიშნული მდგომარეობა საქართველოს მმართველი ორგანოების მხრიდან მოითხოვს გადაუდებელი ღონისძიებების მიღებას. ისინი უნდა გაეცნონ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობისა და საერთოდ, სოციალურ-შრომითი ურთიერთობების რეგულირების მიმართულებით სახელმწიფოს პოლიტიკას და დანერგონ იგი საქართველოშიც. ეს ქვეყნები ამ მიმართულებით მრავალ მიზნობრივ პროგრამებს ახორციელებენ. ყველა ისინი მიმართულია სამუშაოს მაძიებელთა სტაბილური დასაქმების მხარდასაჭერად. ამ ქვეყნებში დასაქმების რეგულირების აქტიური პოლიტიკა ორი ძირითადი ამოცანის გადასაწყვეტად ხორციელდება [8. გვ. 48].

1. საინფორმაციო-ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირება. ეს სამსახური ეხმარება უმუშევრებს სამუშაო ადგილის მოძიებაში, პროფესიულ გადამზადებაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში.
2. შეღავათიანი კრედიტის მიღებაში და საკუთარი ბიზნესის წამოწყებაში.

ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული სამსახურები, როგორც უცხოელი მეცნიერების აღნიშნავენ [9] უმუშევართა დასაქმების მიმართულებით უამრავ ქმედით ღონისძიებებს ახორციელებენ. ეს სამსახურები ქვეყნის ცენტრალური და მუნიციპალური მმართველი ორგანოების ნებართვით და ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით საქმიანობენ. აღნიშნული სამსახურები მრავალშტატიანია. ისინი დაყოფილი არიან სხვადასხვა მიმართულებებით. ერთნი უმუშევართა აღწერას ახორციელებენ, მეორენი მათ კომპეტენციებს, უნარებს და გამოცდილებას არკვევენ, მესამენი შრომის ბაზარზე ამ კომპეტენციებზე მოთხოვნას სწავლობენ, მეოთხე ნაწილი უმუშევართა გადა-მზადების კურსებს უკეთებს ორგანიზებას და ა. შ.

ჩვენი თვალთახედვით მაღალგანვითარებული ქვეყნებიდან გადმოსაღებია დასაქმების სწორედ აქტიური და არა პასიური პოლიტიკა (შევნიშნავთ, რომ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში დასაქმების პასიური პოლიტიკაც მაღალ დონეზე დგას. უმუშევრები დაზღვეული არიან, ყოველთვიურად ეძლევათ

საარსებო მინიმუმის 75% და ა. შ.). პასიური პოლიტიკის გამოყენება დასაშვებად მიგვაჩნია შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებისთვის და არა ეკონომიკურად აქტიურ, ჯამრთელ, მაგრამ დაუსაქმებელი ახალგაზრდობისთვის. ამის კარგი მაგალითია ბალტიისპირეთის ქვეყნები. მაგალითად, ესტონეთში აქტიურ დასაქმების ღონისძიებებზე დახარჯულ თანხებს მთლიანი სამამულო პროდუქტში - 0,47% უკავია [8. გვ. 51]. სასურველია ასე იყოს საქართველოშიც.

დღეს საქართველოში დასაქმების არც პასიური და არც აქტიური პოლიტიკა სათანადო დონეზე არ დგას. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება უმუშევრებს არ აზღვევს და არც ღირსეულ კომპეტენციას მათ არ უხდის და უმუშევრობის მთელი ტვირთი მათვე აწვებათ. რადგან უმუშევრად ყოფნა საქართველოში ხანგრძლივია, მათ კომპეტენციებიც „უძველდებათ“; მათი უნარები რეგრესირდება და ფაქტიურად რომც გამოჩნდეს მათი პროფესიის შესაბამისი სამუშაო ადგული, ისინი აღარ გამოდგებიან სამუშაოს ხარისხოვან შემსრულებლად.

ამიტომ გადაუდებლად საჭიროა დადგინდეს სამუშაოს ძიების გარკვეული გონივრული ვადა, დავუშვათ 3-6 თვე. ამ პერიოდში ქვეყნის მმართველმა ორგანოებმა განახორციელონ პასიური პოლიტიკა, ანუ უზრუნველყონ უმუშევარი შემოსავლით, და თუ ამ პერიოდში ვერ მოხდა უმუშევრების დასაქმება, მათი კომპეტენციები ჩაითვალოს „დაძველებულად“ (დღევანდელ დიჯიტალიზაციის ეპოქაში 6 თვეში ეს მართლაც მოხდება) და დასაქმების სამთავრობო სამსახურებმა, რომლებიც ყველა მუნიციპალიტეტში უნდა არსებობდეს, დაიწყონ თავის რაიონში ამ ადამიანების გადამზადება მათთვის იმ ახალი კომპეტენციების გადაცემით, რომლებზეც მოცემული რაიონის (ან მოცემული რეგიონის) შრომის ბაზარი მოთხოვნას აყენებს.

ეს ღონისძიება არ უნდა იყოს ერთჯერადი, იგი მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს, რადგან, დღევანდელ ციფრულ ეკონომიკაში, რომელიც აშკარად გვიჩვენებს, რომ ციფრულ საზოგადოებას ძველი სპეციალისტები აღარ სჭირდება, ასეთი გადამზადებები მუდმივად საჭირო იქნება. მსოფლიო შრომის ბაზარზე 7,1 მილიონი სამუშაო ადგილი გაქრება, 2,0 მილიონი ახალი ადგილი კი დაემატება [10. გვ. 290]. დღევანდელი უმუშევრები ამ ახალ ადგილებზე ვერ იმუშავებენ, რადგან მათ „ციფრული ცოდნა“ არ გააჩნიათ. ამიტომ უკვე დღესვე დასაწყებია უმუშევარი ახალგაზრდების გადამზადებაზე ზრუნვა. კვლევები აჩვენებს, რომ ციფრულ ეკონომიკაში უპირატესად მოთხოვნადი პროფესიები იქნება მეწარმეობა და ტექნოლოგიური ნოვატორობა [10. გვ. 292]. ცხადია, დღევანდელი უმუშევარი ახალაგაზრდების ტექნოლოგიურ ნოვატორებად მომზადება-გადამზადება ძნელი საქმეა (შეუძლებელიც კი, რადგან ნოვატორობა ცოდნის გარდა, გარკვეულად გენეტიკურ ტალანტს მოითხოვს), მაგრამ უმუშევარი ახალგაზრდების ჩამოყალიბება მეწარმეებად, ჩვენი აზრით, არ არის ძნელი საქმე. ამის გაკეთება საქართველოს ნებისმიერი რეგიონის ხელმძღვანელობას შეუძლია.

რეგიონის დაუსაქმებელი ახალგაზრდობის მეწარმედ ჩამოყალიბების მიზნით რეგიონის ადგილობრივმა მმართველობით ორგანომ საკუთარი ხარჯით ადგილზე უნდა გახსნას სპეციალური „სამეწარმეო კურსები“, სადაც ეს ახალგაზრდობა გარკვეულ ვადაში დაეუფლება მარტივი ბიზნესის დასაწყებად საჭირო ცოდნას - ისწავლის მარკეტინგს, მენეჯმენტს, ბუღალტერიას, საგადასახადო საქმეს, ხელშეკრულებების დადებას, მომწოდებლებთან და მყიდველებთან ურთიერთობებს, ფინანსებს, წარმოების (თუ მომსახურების) საკითხებს და ა. შ. ამის შემდეგ იგივე რეგიონის ადგილობრივი მმართველობის ინიციატივით თეორიულად მომზადებულმა ამ ახალგაზრდებმა სტაჟირება (პრაქტიკა) უნდა გაიარონ ადგილობრივ საწარმოებში იმ ცოდნის პრაქტიკულად განსამტკიცებლად, რომელიც მიიღეს თეორიულად. თუ თეორიული სწავლება გრძელდებოდა 6 თვეს, პრაქტიკული სწავლება უნდა გაგრძელდეს უფრო მეტხანს. ასეთი კურსების გავლის შემდეგ ახალგაზრდებს შეეძლებათ პრაქტიკულად დაიწყონ მცირე ბიზნესი იმ სფეროში, რომლის პროცუდქციაზეც (მომსახურებაზე) რეგიონში (რაიონში) მოთხოვნა არის.

ჩვენი ღრმა რწმენით ამ ღონისძიების გასატარებლად რეგიონის ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს გარკვეული თანხები და შეიქმნას გუნდი (2-3 კაცის შემადგენლობით), რომელიც უხელმძღვანელებს ამ ღონისძიების გატარებას.

ჩვენი ეს წინადადება დასაქმების მხარდაჭერის რეგიონულ პროგრამების რიცხვში შედის, რომლებსაც საზღვარგარეთის მაღაგანვითარებული ქვენები იმ ტერიტორიებისთვის ახორციელებენ,

სადაც უმუშევრობა დაშვებულ ნორმაზე მაღალია [2. გვ. 161]. მათი აზრით, იქ რომ შეიქმნას დასაქმების პირობები უპირველესად უნდა განხორციელდეს შესაბამისი ინვესტიციური პროექტები, კერძოდ, აშენდეს სამრეწველო საწარმოები, მოწესრიგდეს ინფრასტრუქტურა და ა. შ. ასეთი პროგრამების განხორციელებას მეტად საჭიროდ თვლიან დეპრესირებული რეგიონებისთვის.

საქართველოს ყველა რეგიონში მაღალი უმუშევრობაა. ზოგიერთი რეგიონი (მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) უმუშევრობის გამო., თითქმის დაიცალა მოსახლეობისგან. ასეთივე მდგომარეობაშია გურია და სამცხე-ჯავახეთი. ამ თვალსაზრისით, გადაუდებლად საჭიროდ ვთვლით, ამ პირველ რიგში, ამ რეგიონებში დაიწყოს ჩვენს მიერ რეკომენდებული დასაქმების რეგიონული პროგრამების განხორციელება და მერე იგი სხვა რეგიონებშიც გავრცელდეს.

მართვის ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა გაიცნობიერონ, რომ უმუშევარი ახალგაზრდების დასაქმება მათ აქტიურ პოლიტიკაზეა დამოკიდებული და თუ ისინი ამას შეძლებენ, ჩვენი მოსახლეობა ადგილზე დარჩება და თავის შრომას ეროვნულ ეკონომიკას მოახმარს.

დასკვნა

ჩვენი კვლევით გაირკვა, რომ ბუნებრივ ნორმასთან შედარებით, საქართველოში უმუშევრობის დონე მეტად მაღალია. ამასთან, მეტად მაღალია უმუშევრების საერთო რიცხვში უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებელთა კურსდამთავრებულთა ხვედრითი წილი. ეს ახალგაზრდობა საზღვარგარეთ მიდის სამუშაოს საძებნელად. მათი სახით საქართველო კარგავს ჯანმრთელ, შრომისუნარიან სამუშაო ძალასაც და გენოფონდსაც.

ამ პროცესის შესაჩერებლად ვიძლევით რეკომენდაციას საქართველოს რეგიონების ადგილობრივმა მმართველმა ორგანოებმა სასწრაფოდ დაიწყონ ადგილობრივი უმუშევარი ახალგაზრდების გადამზადება მათ მიერ სპეციალურად მოწყობილ ე. წ. „სამეწარმეო კურსებზე“ და ასევე გაატარონ ისინი ადგილობრივ კომპანიებში პრაქტიკა-სტაჟირებაზე, რომ მათ ახალ სპეციალობებში განუმტკიცდეთ ცოდნა და ჩვევები. ასე გადამზადებული ახალგაზრდობა თვითონ დაიწყებს ბიზნესს და აღარ დატოვებს ქვეყანას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბ., 2021.
2. ვანიშვილი მ. ჭიკაიძე ნ., ვანიშვილი ნ. სოციალური ეკონომიკა. თბ., 2015.
3. კახნიაშვილი ჯ. მაკროეკონომიკა. თბ., ნაწ. 1. 1996.
4. ლემონჯავა პ., აბრალავა ა. ეკონომიკის პრინციპები. თბ., 2009.
5. ცარციძე მ. შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა და ახალგაზრდობის დასაქმების თავისებურებები საქართველოში. ჟ. „ეკონომისტი“. #3. 2013.
6. ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ. შრომითი ემიგრაციის თავისებურებები საქართველოში მიმდინარე გლობალური კრიზისის პირობებში. მიგრაცია - 10, მიგრაციის კვლევითი ცენტრი. თბ., 2021.
7. ლობჟანიძე მ. ახალაგზრდობის დასაქმების პრობლემები და ეკონომიკის მდგრადობის საკითხები საქართველოში.
8. ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ., გაბადაძე შ. უმუშევრობის დაზღვევის სისტემები განვითა-რებულ ქვეყნებში. ჟ. „ეკონომისტი“. #2. 2021.
9. Alcock P., May M. & Wright's [EDS]. (2012). The Student's Companion to Social Policy. London. WILEY-BLACKWELL. 2012. The Student's Companion to Social Policy, Sth Edition Wilcy.
10. ჯოლია გ. განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში. თბ., 2021.

Employment problems in Georgia and the role of governing bodies in solving them

Khvadagiani Marika
PhD student of Georgian Technical University

Summary

The article - **"Employment problems in Georgia and the role of governing bodies in solving them"** - analyzes the current situation in the country in terms of employment and mentions a very high level of unemployment (| almost 3 times more than the natural level).

The share of graduates in the unemployed population (32.3%) is particularly alarming. This indicates that either Georgian higher education institutions do not give proper competencies to young people, or due to 6 years of training (4 + 2) these competencies "become obsolete" and the demand for them in the labor market disappears. This situation is in all regions of Georgia.

The issue of employment in Georgia is not losing its urgency. Overcoming this problem is at the forefront of all government policy programs and a number of reforms have been implemented. Nevertheless, solving the problems related to effective employment remains an unresolved problem to this day. There are different versions of the reasons for this, although the main problem is the lack of jobs and qualified staff.

Employment is one of the most important indicators of national well-being. It is a prerequisite for economic and social development.

Overcoming employment problems is a priority task that no one disputes and everyone unanimously recognizes the need to address this problem quickly and effectively.

The author of the article recommends the local authorities of the regions of Georgia to pursue an active employment policy as soon as possible, in particular, to open "entrepreneurial courses" on the spot and to train unemployed youth there for free in the professions that are in demand. So young people will start a simple business and not become an emigrant.

Keywords: employment, unemployment; Young unemployed; Migration; Active employment policy; Entrepreneurial courses.

ტრანსნაციონალური დანაშაულის გავლენა საქართველოს ეკონომიკასა და შრომით ბაზარზე

ჯანაშია ლაშა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია XIX საუკუნის საწყისი პერიოდიდან საერთაშორისო თანამეგობრობა როგორ აქტიურად შეებრძოლა ორგანიზებულ დანაშაულს, რადგან იგი გასცდა ერთი რომელიმე ცალკე აღებული ქვეყნის საზღვრებს და სახელმწიფოთაშორისო მოვლენად ჩამოყალიბდა. თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ორგანიზებული დანაშაულის მასშტაბები მუდმივად იზრდებოდა და ფართოვდებოდა და XX საუკუნის ბოლო ათწლეულში იგი საერთაშორისო კავშირების მქონე ორგანიზებულ დაჯგუფებებად, ტრანსნაციონალურ კრიმინალურ ორგანიზაციებად ჩამოყალიბდა. ასევე განხილულია ტრანსნაციონალური დანაშაულის გავლენა საქართველოს ეკონომიკასა და მის შრომით ბაზარზე. მე-20 საუკუნის მიწურულს, როდესაც საერთაშორისო ორგანიზებულმა დანაშაულმა საშიშ მასშტაბებს მიაღწია და ზოგიერთ შემთხვევაში მათი და ტერიტორიული ორგანიზაციების ინტერესებიც გადაიკვეთა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აქტიურად ჩაერთო ამ პრობლემატიკაში. თანამეგობრობამ პირველი სერიოზული დოკუმენტი საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის VIII კონგრესზე მიიღო, რომელიც 1990 წლის 27 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე ჰავანაში მიმდინარეობდა. გაეროს სამდივნოს მიერ მომზადებულ დოკუმენტში აღინიშნა, რომ ორგანიზებული დანაშაულის მრავალფეროვანი სახეობის ერთგვაროვანი განმარტება შეუძლებელია, რადგან იგი სხვადასხვა ფაქტორებითაა განპირობებული, მათ შორის ეთნიკური, ეკონომიკური, რელიგიური, ისტორიულ გეოგრაფიული. თუმცა ზოგადად ეს მოვლენა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც სისხლისსამართლებრივი საქმიანობის რთული სახეობა, რომელსაც ფართო მასშტაბებში ახორციელებენ ორგანიზაციები და სხვადასხვა დაჯგუფებები, ჩამოყალიბებულები შინაგანი სტრუქტურით, რომელნიც ფინანსურ შემოსავალს და ძალაუფლებას ეუფლებიან, უკანონო სასაქონლო, ბაზრის და მომსახურების სფეროს შექმნით და ექსპლუატაციით. ეს დანაშაულები ხშირად სცდება სახელმწიფო საზღვრებს და არა მხოლოდ დანაშაულებრივი საიდუმლო გარიგებებითაა დაკავშირებული საზოგადოებრივი და პოლიტიკურო მოღვაწეების კორუფციასთან, არამედ მიზნის მისაღწევად ხშირად იყენებს დაშინების, ძალადობის და ზოგჯერ მათთვის მიუღებელი პიროვნებების ფიზიკური ლიკვიდაციის მეთოდებსაც კი.

საკვანძო სიტყვები: ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული; საქართველოს ეკონომიკა; ჩრდილოვანი ეკონომიკა; შრომითი ბაზარი; „ქოლ ცენტრები“.

ძირითადი ტექსტი

ორგანიზებული დანაშაულის ისტორიულ ჭრილში განხილვა გვიჩვენებს, რომ იგი გავლენას არა მარტო საზოგადოებრივი განვითარების ცალკეულ მიმართულებებზე ახდენდა, არამედ სახელმწიფოთა ურთიერთობებზე და მათი ცალკეული ინსტიტუტების გამართლებულ მუშაობასაც კი დაემუქრა. დანაშაულებრივი ორგანიზაციები ეფექტურად იყენებენ სახელმწიფოთა სამართალდამცავ სისტემებში არსებულ საკანონმდებლო და ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიურ ხარვეზებს, აყალიბებენ ახალ საერთაშორისო კავშირებს და იყენებენ ახალ მეთოდებს, როგორიცაა: მობილურობა, მაკლერობა და მათი შემცვლელი პირების სამსახური, სუსტი ბაზრების ხელში ჩაგდება, წარმოების ტრანსფორმაცია, საზღვაო ტრანსპორტისა და განაწილების უნიკალური სტრუქტურის შექმნა, მის შიგნით თანამშრომლობა, კაპიტალ დაბანდებები (ინვესტიციები) იმ ქვეყნებში, რომელთაც ყველაზე ხელსაყრელი ინფრასტრუ-ქტურა და კანონმდებლობა ჰქონდათ. როგორც ყველა სხვა სოციალური მოვლენა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობაც ფლობს მახასიათებელი ნიშნების ერთობლიობას, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვლენილ იქნეს ამ ფენომენის ძირითადი პარამეტრები და პარადიგმები. ძირითადი მაჩვენებლების საფუძველზე შეიძლება გამოვიკვლიოთ ტრანსნაციონალური დანაშაულობის სტრუქტურა, მექანიზმები და თავისებურებები, აგრეთვე მოვახდინოთ მისი გამიჯვნა სხვა დანაშაუ-

ლებრივი ორგანიზებული სტრუქტურებისგან. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ჩამოყალიბებული იქნეს ,,ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის'' ცნება, რომლის საშუალებითაც შეიძლება შეფასდეს იმ საფრთხის მასშტაბურობა, განისაზღვროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ფორმირების გზები, მისი არსებობის და აღმოცენების მიზეზები. მიუხედავად ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სისტემატიზაციის ცალკეული მცდელობისა, ბოლო დრომდე არ არის განსაზღვრული ამ მოვლენის ძირითადი მახასიათებლები და არაა შემუშავებული მისი უნივერსალური დეფინიცია.

რა არის ტრანსნაციონალური დანაშაული?

ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის განზოგადებული დახასიათება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ,,დანაშაულის აცილების და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების" კომისიის მიმდინარე სხდომაზე 1993 წლის 13-23 აპრილის თემით ,,ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის ზეგავლენა მთლიანად საზოგადოებაზე". მასში ჩამოყალიბებულია იმ ნიშნების ჩამო ნათვალი, რომელიც გარკვეულწილად გვეხმარება ამ მოვლენის ახსნაში:

ა) ორგანიზებული დანაშაული - ეს არის დანაშაულებრივი პირების ან დაჯგუფებების ეკონომიკურ საფუძველზე გაერთიანება. ეკონომიკური სარგებელი გამომდინარეობს ან უკანონო მომსახურების ან საქონლის შემოთავაზებით ან კანონიერი მომსახურების და საქონლის უკანონო ფორმით განხორციელებაში.

ბ) ორგანიზებული დანაშაული კონკურენციული საქმიანობით ხასიათდება, რომლის დროსაც იერარქიულად მიწყობილი სტრუქტურებით ხორციელდება უკანონო ქმედებების დაგეგმვა და განხორციელება ან კანონიერი მიზნების უკანონი საშუალებებით მიღწევა.

გ) ორგანიზაციულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს ახასიათებთ ტენდენცია უკანონო მომსახურეობაზე და საქონელზე მთლიანი ან ნაწილობრივი მონოპოლია დაამყარონ, რაც მეტი სარგებლის მიღების გარანტიაა.

დ) ორგანიზებული დანაშაული თავიდანვე მხოლოდ წინასწარვე უკანონო საქმიანობით ან უკანონო მომსახურბის შემოთავაზებით შემოიფარგლება. იგი ასევე მოიცავს ისეთ სახიფათო, დახვეწილ საქმიანობას, როგორიცაა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), რაც გაადვილდა დანაშაულებრივი დაჯგუფებების ბევრ კანონიერ შემოსავლიან საქმიანობაში შეღწევით.

ვ) საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლამ დაგვანახა, რომ ორგანიზებული დანაშაული განსაკუთრებულად იმ სახელმწიფოებში იჩენს თავს სადაც მმართველობის ერთპარტიულ რეჟიმებია სათავეში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1994 წლის 21-23 ნოემბერს გამართულ კონფერენციაზე სახელმწიფოთა შინაგან საქმეთა მინისტრების დონეზე იქნა განხილული საერთაშორისო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის - TCO ძირითადი საკვანძო ასპექტები, რომელთა საფუძველზეც ამ მოვლენის თავისებურებების კვლევების საჭიროებაზე იქნა აქცენტი გამახვილებული. აღინიშნა, რომ ორგანიზებული დანაშაული გლობალური მასშტაბის გამოწვევაა, იგი არ არის მხოლოდ რომელიმე ერთი სახელმწიფოს შიდა ლოკალური პრობლემა. საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების საქმიანობაზე არაადეკვატურმა და არადროულმა რეაგირებამ ხელი შეუწყო მათ ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებად - TCO გარდაქმნას, რამაც მსოფლიო თანამეგობრობა ახალი სერიოზული ამოცანების წინაშე დააყენა.

ტრანსნაციონალური დანაშაულის გავლენა საქართველოზე

ბოლო პერიოდში, საქართველოში ჩამოყალიბდა საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის ახალი მიმართულება ე.წ. „ქოლ ცენტრების" სახით. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ეს არის კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი მონახაზი, რომელსაც იყენებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორგანიზებული დანაშაულებრივი სინდიკატები. აღნიშნული დანაშაული სცდება ერთი რომელიმე კონკრეტული ქვეყნის საზღვრებს და მსგავსი ორგანიზებული დანაშაულებრივი მიმართულება არის საერთაშორისო მასშტაბის. საქართველოში მოქმედი დანაშაულებრივი ჯგუფები, ე.წ. „ქალ ცენტრების" მეშვეობით ითვისებდნენ ევროპის და სხვა განვითარებული ქვეყნების მოქალაქეების დიდძალ თანხებს. ხსენებული ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების არსებობამ საქართველოს

ეკონომიკასა და შრომის ბაზარზე იქონია ნეგატიური გავლენა, კერძოდ: კომპანიების ანგარიშებზე არალეგალური გზით ხდებოდა დიდძალი თანხების აკუმულირება, აღნიშნული თანხების ლეგალიზების „ფულის გათეთრების“ და ასევე კვალის წაშლის მიზნით ხდებოდა ამ თანხების კრიპტოვალუტაში ან სხვა ტიპის ანგარიშებზე გადატანა, უძრავ-მოძრავი ქონების შეძენა. შედეგად საქართველოში მივიღეთ საკმაოდ დიდი მოცულობის ჩრდილოვანი ეკონომიკა, რომლის გაკონტროლებაც საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის მეშვეობით ვერ ხერხდებოდა. საქართველოში არსებული გეოპოლიტიკური და სხვა გამოწვევების გათვალისწინებით, მსგავსი გაუკონტროლებელი ფინანსური სახსრების არსებობა ჩვენი ქვეყნისთვის არის საფრთხის შემცველი. კვლევის შედეგად ასევე ირკვევა, რომ საქართველოში მოქმედი „ქოლ ცენტრების“ არსებობამ შრომით ბაზარზე გამოიწვია დისბალანსი, რომელიც ეკონომიკას აყენებს დიდ ზარალს.

დასკვნა

ორგანიზებული დანაშაულის, განსაკუთრებით კი მისი ტრანსნაციონალური და გლობალური კუთხით, საშიში და რთული ხასიათი საკმაოდ თვალსაჩინოა. ტრანსნაციონალური დანაშაული უდიდესი საფრთხის შემცველია მსოფლიო თანამეგობრობისათვის და მან შეიძლება სავალალო შედეგებამდეც კი მიიყვანოს არა მხოლოდ ქვეყანა, არამედ მსოფლიო საზოგადოება. ტრანსნაციონალური დანაშაულის მიერ შექმნილი საფრთხის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოს მიერ უნდა განხორციელდეს რიგი სისტემური და კომპლექსური ღონისძიებები. დამატებით უნდა შეიქმნას გააზრებული და თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკა, რაც ჩვენს სამართალდამცავ სტრუქტურებს კიდევ უფრო მეტ საშუალებას მისცემს დაიცვას საზოგადოება, ეკონომიკა და ქვეყანა ტრანსნაციონალური საფრთხისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯ.ჯანაშია. „XXI საუკუნის გამოწვევა“. თბილისი, 2002 წ.
2. ფ.ადლერი. გ.ო.ვ მიულერი. ვ.ს. ლაუფერი ,,კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა''. თბილისი, 2003 წ.
3. Eighth United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, Cuba, August 27-September 7, 1990
4. Report of the Commission on Crime Prevention and Criminal Justice on its 2nd session, Vienna, 13 to 23 April 1993
5. ქოლ-ცენტრის თაღლითურმა ქსელმა ალბანეთსა და საქართველოში შეაღწია. https://monitori.ge/ Mar 11, 2020

The Impact of Transnational Crime on the Georgian Economy and Labor Market

Janashia Lasha
PhD student of Georgian Technical University

Summary

The paper discusses the main features and characteristics of transnational organized crime. It also focuses on how the international community has been actively fighting organized crime since the early nineteenth century, as it transcended the borders of any single country and became an international phenomenon. For almost two centuries, the scale of organized crime activities has been steadily increasing and expanding, and in the last decade of the 20th century, it has evolved into organized groups with international connections, transnational criminal organizations. The impact of transnational crime on the Georgian economy and its labor market is also discussed. Paper focuses on modern criminal and transnational groups who have been involved in illegal activities which in itself has resulted in creation of so called “shadow economy”. At the end of the 20th century, when international organized crime reached dangerous proportions and in some cases the interests of these criminal groups threatened States and their sovereignty, the United Nations became actively involved in this issue. The Commonwealth adopted the first serious document on international organized crime at the VIII Congress of the United Nations, which took place from 27 August to 7 September 1990 in Havana, Cuba. The document prepared by the UN Secretariat states that a uniform definition of the various types of organized crime is impossible, as it heavily depends on various factors, including ethnic, economic, religious, historical and geographical. However, in general, this phenomenon can be characterized as a complex type of criminal activity, carried out on a large scale by organizations and various groups, formed with an internal structure that controls financial income and power, by creating and exploiting illegal goods, markets and services.

Keywords: Transnational organized crime; Georgian economy; Shadow economy; Labor market; "Call centers".

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სასამართლო სისტემის გამოწვევები

ჯიბლაძე მარიამ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს[1]. ინფორმაციის თავისუფლება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში გვევლინება, როგორც ეფექტური საშუალება ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველ-საყოფად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებმა შეძლონ ინფორმაციის მიღების უფლების განხორციელება და რომ ეს უფლება ექვემდებარებოდეს მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული სტანდარტები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის კვალდაკვალ ვითარდება. სწორედ, სახელმწიფო დაწესებულებებში თავმოყრილი ინფორმაციის მიღების უფლებას სასამართლო ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა რიცხვს მიაკუთვნებს, რომელიც საერთაშორისო ავტორიტეტის მქონედაა აღიარებული და სახელმწიფო დაწესებულებებში თავმოყრილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ძირითადი უფლებაა.

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა ინფორმაციის თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია. მოგეხსენებათ, დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი და მისი მიზანია საზოგადოების თითოეული წევრის ნებისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილება. თანამედროვე სახელმწიფო ვალდებულია შექმნას განათლებული და ინფორმირებული საზოგადოება, რისთვისაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის უფასო მიღება და გავრცელება.

ამასთან, ინფორმაციის თავისუფლება დემოკრატიულ სახელმწიფოში, პირველ რიგში, გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას საზოგადოების წინაშე, უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მთავრობის საქმიანობის გამჭვირვალობა და ღიაობა სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისადმი.

სიტყვის თავისუფლების გარდა, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს აქვს საჯარო ინფორმაცი-აზე თავისუფალი წვდომის უფლება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას უზრუნველყოს ინფორმაციის, კერძოდ, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი პირისთვის. თუმცა მოქალაქეებმა არ იციან და ვერ სარგებლობენ კანონით მინიჭებული უფლებებით, გარდა ამისა, ზოგიერთი საჯარო მოხელე თავად არ ასრულებს კანონით ნაკისრ ვალდებულებებს.

საკვანძო სიტყვები: დემოკრატიული სახელმწიფო, ინფორმაციის თავისუფლება, სასამართლო ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაცია, ინფორმაციისა და ცოდნის საზოგადოება, საჯარო ინტერესი, საზოგადოებრივი კონტროლი, ინფორმაციის დაცვის ინტერესი.

ძირითადი ტექსტი

სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის ხარისხი საქართველოში მნიშვნელოვნად გაუარესდა 2015 წლის ოქტომბრის შემდეგ. თუ მანამდე სასამართლოები გასცემდნენ გადაწყვეტილებების სრულ ასლებს, შემდეგ პერიოდში დამკვიდრდა პერსონალური მონაცემების დაცვის არგუმენტების მითითებით გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმის პრაქტიკა. დაირღვა ბალანსი პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას შორის, რადგან უპირობო პრიორიტეტი ენიჭებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვას.[2]

არასამთავრობო ორგანიზაციების 2016 წლის პრაქტიკა საქართველოში სასამართლო

[1] საქართველოს კონსტიტუცია (1995), მუხლი 4, მე–2 პუნქტი

[2] კუკავა, ქ., ჩხაიძე ს., ახალაძე ნ., სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა საქართველოში, თარგმანი ქ. თიკანაშვილი, IDFI „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი", 2021, გვ. 13

გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვან პრობლემებს ავლენს. შესაბამისად, ამავე წლის IDFI-ის გამოცდილება აჩვენებს, რომ სასამართლოები უარს ამბობენ კონკრეტულ საქმეებზე მონაცემთა დაცვის არგუმენტის საფუძველზე. სასამართლო გადაწყვეტილებების დღევანდელი მდგომარეობა აჩვენებს დისბალანსს საჯარო ინტერესებსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვას შორის. თუმცა, არსებული სისტემა არ ამყარებს ბალანსს ინფორმაციის თავისუფლებასა და პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესებს შორის. ხელისუფლების შტო აღიარებს პრობლემის არსებობას და ზემოთ აღნიშნული ორი ინტერესის დაბალანსების აუცილებლობას. ამ საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სპეციალური სამუშაო ჯგუფი შექმნა. IDFI აქტიურად მონაწილეობდა სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა პრობლემის სწორად შეფასება და მისი მასშტაბების დადგენა, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა, რეკომენდაციების გაცემა და მათი დაცვა. აღსანიშნავია, რომ სასამართლო რეფორმის მეორე ტალღის ფარგლებში, სასამართლოებს მოეთხოვებათ გადაწყვეტილების ელექტრონულად გამოქვეყნება. თუმცა სასამართლო ხელისუფლებას ამ სისტემის დანერგვის სრულყოფილი ტექნიკური მზაობა ამჟამად არ გააჩნია.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ IDFI-ისა და პარტნიორი ორგანიზაციების (ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს (OSGF) და ადამიანის უფლებათა განათლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)) მიერ განხორციელებულმა პროექტმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის ხარისხს საქართველოში.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა და მედიის განვითარების ფონდის პრეტენზიების საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით[1] არაკონსტიტუციურად ცნო „პიროვნების დაცვის შესახებ“ მოქმედი კანონის მე-5 და I მუხლები. მონაცემები. მე-6 მუხლის პირველი და მესამე ნაწილები, რომელიც გამორიცხავს ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტების საჯარო განცხადების სახით გამოქვეყნებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, თავისთავად არის გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესი სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის მიმართ, იმისდა მიუხედავად, თუ რა სამართლებრივ საკითხს ეხება ისინი, ვისთან მიიღება ისინი და რა დატვირთვა აქვს თითოეულ ცალკეულ საქმეს კონკრეტულ დროს ან გარკვეულ გარემოებებში.[2] შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელებისას მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს საჯარო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ არსებობს მისი ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გონივრული საჭიროება.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს კანონმდებლის კანონიერ შესაძლებლობას, დაადგინოს ბალანსი პირის შესახებ ინფორმაციის გარკვეულ კატეგორიებთან მიმართებაში, რომელშიც, როგორც წესი, სასამართლო აქტებში მოცემული პერსონალური მონაცემები უშუალოდ ნების გარეშე არ გამჟღავნდება. ასეთი რეჟიმი შეიძლება დაწესდეს იმ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება, შინაარსიდან, საგანი, გამჟღავნების ფორმა, ტერმინი, მეთოდი ან სხვა გარემოებები, განსაკუთრებით მძაფრ გავლენას ახდენს პირად ცხოვრებაზე. მაგალითად, ასეთი კატეგორიები შეიძლება მოიცავდეს მონაცემებს არასრულწლოვანთა შესახებ, ინფორმაციას სხვა სენსიტიური საკითხების შესახებ და ა.შ.[3]

საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი განმარტებით ირკვევა, რომ სხვა დამატებითი გარემოებების გარეშე პირის ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებამ არ შეიძლება იქონიოს ისეთი მძაფრი ზეგავლენა მის პირად ცხოვრებაზე, რომ საჭირო გახდეს ბალანსის დაცვა. კანონმდებ-ლობა ამომწურავად და მკაფიოდ უნდა არეგულირებდეს გამონაკლის შემთხვევებს, რასაც ადასტურებს ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მიმართ დღეს არსებული მზარდი ინტერესი.

---

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, § 51.

[3] კუკავა, ქ., ჩხაიძე ს., ახალაძე ნ., სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა საქართველოში, თარგმანი ქ. თიკანაშვილი, IDFI „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი”, 2021, გვ. 13

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ ცალსახად განაცხადა, რომ ასეთი გამონაკლისის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა გაითვალისწინონ კონკრეტულ საქმეში გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობა, რაც, თავის მხრივ, აღემატება მონაცემთა კონფიდენციალურობას. საქმის კატეგორია, საქმის მხარე ან სხვა გარემოება. ინტერესების დაცვა. მაგალითად, სამთავრობო პოლიტიკოსის შემთხვევაში შეიძლება გაძლიერდეს საზოგადოების ინტერესი მის მიმართ და გამოირიცხოს ინფორმაციის ჩახშობის საფუძველი.[1]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სისტემა, რომლის მიხედვითაც, ღია სასამართლო სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ასახული პერსონალური მონაცემების დაცვა დამოკიდებული იქნება იმაზე, არის თუ არა მონაცემთა სუბიექტი დაინტერესებული პირადი ცხოვრების დაცვით. მონაცემთა სუბიექტის ასეთი ინტერესის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროობა გადაწყდება სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობის ინტერესებისა და მასში ასახული პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის დაცვის ინტერესების დაბალანსების საფუძველზე. ასეთი სისტემა, ერთის მხრივ, ხელს შეუშლის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას მონაცემთა სუბიექტის ნების საწინააღმდეგოდ, ხოლო მეორე მხრივ, გახდება სასამართლო ჩანაწერების ხელმისაწვდომობის ნაკლებად შემზღუდავი საშუალება. ამასთან, ასეთი სისტემა არ უქმნის უსაფუძვლო ადმინისტრაციულ ტვირთს მონაცემთა დამმუშავებელს.[2]

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები 2020 წლის 1 მაისის მდგომარეობით ძალადაკარგულად ცნო და საკანონმდებლო ორგანოს დაევალა საკითხი კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად გადაეჭრა, თუმცა პარლამენტს საკანონმდებლო ცვლილება ჯერ არ მიუღია.[3]

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ შეცვლილა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის შესაბამისი დებულებების ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს სასამართლო აქტების სრული ტექსტების საჯარო ინფორმაციის სახით გამოქვეყნებას, გაუქმებულია (2020 წლის 1 მაისი). შესაბამისად, სასამართლოებმა ამ თარიღის შემდეგ გადაწყვეტილების მიღებისას კონსტიტუციური დებულებით უნდა იხელმძღვანელონ. თუმცა, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, საერთო სასამართლოები კვლავ არ აქვეყნებენ გადაწყვეტილების სრულ ტექსტებს.

აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე განთავსებულია სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემა, რომელიც დაინტერესებულ პირს აწვდის გადაწყვეტილებას პერსონალური მონაცემების გამჟღავნების გარეშე, ე.ი. დაშტრიხული სახით.

2019 წელს შეიქმნა სასამართლო გადაწყვეტილებების ვებგვერდი[4], რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ იპოვოთ სასურველი სასამართლო გადაწყვეტილება შესაბამისი დეტალური ფილტრებით: საქმის ნომერი, გადაწყვეტილების თარიღი და ტექსტი, სასამართლოს დასახელება, საქმისა და დავის კატეგორია. ვებ-გვერდზე განთავსებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ელექტრონულად ეცნობება არა მხოლოდ იურისტ პრაქტიკოსებს, არამედ მკვლევარებს, სტუდენტებს, მასწავლებლებს, სამოქალაქო საზოგადოებას და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.[5] სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნება და მათზე ხელმისაწვდომობა ერთიან მონაცემთა ბაზაში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია სასამართლო ხელისუფლების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის ამაღლების საქმეში.

სასამართლო გადაწყვეტილებების საძიებო სისტემა აქვეყნებს 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 30 აპრილამდე გამოტანილ გადაწყვეტილებებს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 30 აპრილის შემდეგ საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები არ გამოქვეყნე-

---

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, § 66.

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, § 33; 67; 70.

[3] ინფორმაცია ვრცელდება 2021 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით.

[4] ხელმისაწვდომია: http://ecd.court.ge/ .

[5] ინფორმაცია ეფუძნება ადვოკატებთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ჩატარებული გამოკითხვების საფუძველზე.

ბულა, რაც კანონის არსებით დარღვევას წარმოადგენს, ვინაიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი პირდაპირ ითვალისწინებს მიღებული გადაწყვეტილების საჯარო გამოქვეყნებას.[1]

ეს პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლო სისტემის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები რჩება. სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის დაბალი ხარისხის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის საქმიანობაზე ეფექტურ საზოგადოებრივ კონტროლს, რომლის ერთ-ერთი საშუალება სასამართლო ხელისუფლების გამჭვირვალობაა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა და კონსტიტუციური ნორმის უგულებელყოფა მნიშვნელოვნად ლახავს ქვეყანაში კანონის უზენაესობას და საფრთხეს უქმნის ძირითად დემოკრატიულ ღირებულებებს.

დასკვნა

ინფორმაციის თავისუფლების მნიშვნელობა და მისი სასიცოცხლო როლი დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში უდაოა. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფუნდამენტური უფლების აღიარებამ ხაზგასმით აღნიშნა საჯარო ხელისუფლების ვალდებულება ღიაობისადმი და მათი მოქალაქეების წინაშე ანგარიშვალდებულების აუცილებლობა.

ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის ადეკვატური და ეფექტური მექანიზმების შემუშავება და დახვეწა დღეს საზოგადოებაში აქტიური განხილვის საგანია. სწრაფად განვითარებადი ინტერნეტ ტექნოლოგიების ფონზე ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური ხდება, რაც თავის მხრივ მოითხოვს შესაბამისი მარეგულირებელი ბაზის შემუშავებას, არსებულ რეალობასთან და სოციალურ საჭიროებებთან ადაპტაციას. საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ გამჭვირვალობა და ღიაობა დიდწილად განსაზღვრავს საზოგადოების ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აუცილებელია სწორედ ამ ინსტიტუტების საქმიანობის შესაფასებლად, ასევე არსებული ტენდენციებისა და ხარვეზების გამოსავლენად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კუკავა, ქ., ჩხაიძე ს., ახალაძე ნ., სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა საქართველოში, თარგმანი ქ. თიკანაშვილი, IDFI „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი”, 2021;
2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“საქართველოს ორგანული კანონი, 13/12/2019, 5569-Iს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2V8oVoQ;
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
4. საქართველოს კონსტიტუცია;
5. http://ecd.court.ge.

[1] „საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი.

Access to Information and the Challenges of the Judiciary

Mariam Jibladze
Student of Georgian Technical University

Summary

According to the Constitution, the state of Georgia recognizes and protects universally recognized human rights and freedoms as inalienable and supreme human values. Freedom of information appears in our daily lives as an effective means of ensuring government transparency and accountability. It is particularly important that people be able to exercise their right to information and that this right be subject to only those restrictions that are necessary in a democratic society. Standards related to freedom of information follow in the footsteps of international human rights law. That is, the right to receive information gathered in state institutions is considered by the court to be one of the fundamental human rights, which is recognized as having international authority and is the basic right of access to information gathered in state institutions.

The existence of a modern democratic state without freedom of information is unthinkable. As you know, one of the basic principles of democratic governance and its purpose is to satisfy the will and needs of each member of society. The modern state is obliged to create an educated and informed society, for which the state must ensure the free reception and dissemination of public information.

At the same time, freedom of information in a democratic state, first of all, implies the obligation of the state to the public, to ensure access to public information, transparency of government activities and openness to the implementation of state policy. In addition to freedom of speech, every citizen of Georgia has the right to free access to public information, which implies the obligation of the state to ensure access to information, in particular, public information for any person. However, citizens do not know and can not enjoy the rights granted by law, in addition, some public servants themselves do not fulfill their obligations under the law.

Keywords: Democratic state, freedom of information, judiciary, non-governmental organization, information and knowledge society, public interest, public control, interest in information protection.

ციფრული ბარათი - კომერციული ბანკების ინოვაციური პროდუქტი

ბიბილური ანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

საზოგადოება მუდმივად განვითარებას განიცდის, რაც აისახება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ზოგადად ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროზე. თუკი წლების წინ მონეტის მოჭრა ისტორიულ ფაქტად ითვლებოდა, დღეს ეს აღარავის უკვირს, რადგან მიჩნეულია და მიღებულია ყოველდღიურ მოვლენად. თანამედროვე ტექნოლოგიებმა კი საშუალება მოგვცა ფული არა მარტო გადახდის საშუალება იყოს, არამედ ქვეყნების უმეტესობამ საკუთარი ზარაფხანების წყალობით ხელოვნების ნიმუშების დონემდე აიყვანა. მაშინ როცა, საუკუნეების წინ ჯერ კიდევ ბარტერული გაცვლა არსებობდა, არავინ იფიქრებდა, თუ რამდენად დიდი იქნებოდა კაცობრიობის წინსვლა ყველა სფეროში. საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, ბოლო 30 წელია წარმატებით აშენებს თანამედროვე სახელმწიფო სტრუქტურებს, რაც დიდ შრომას მოითხოვს, რადგან მსოფლიო ასპარეზზე ადგილის დამკვიდრება, საკუთარი როლისა და მნიშვნელობის გაზრდა არც თუ ისე იოლია. წარმატებულ ქვეყანას საჭიროა ჰქონდეს გონიერი პოლიტიკური მმართველობა, ხოლო ეკონომიკას კი ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც ქმნიან საფინანსო სექტორის ამინდს. ჩვენთან ასეთი როლის მატარებლები კომერციული ბანკებია, რომლებიც თავისი არსით კომერციულ საქმიანობას ეწევიან ანუ მოგების მიღებისკენ არიან ორიენტირებულნი, რაც განპირობებულია მათი საქმიანობის ასპექტებით, რადგან კომერციულ ბანკს მოგების გარეშე გაუჭირდება მუშაობა, საკუთარი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულება, რაც მოიცავს ხარისხიანი პროდუქტისა და მომსახურების შექმნა-შეთავაზებას დაინტერესებული პირთათვის. სწორედ ინოვაციების წყალობით ხდება ბაზარზე მრავალფეროვანი არჩევანის საშუალება, რადგან კონკურენცია აიძულებს კომერციულ ბანკებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებს შექმნან რაღაც ახალი, რითაც გააოცებენ არსებულ მომხმარებლებსა და მოიზიდავენ პოტენციურ კლიენტებს.

საკვანძო სიტყვები: პროდუქტი, მომსახურება, კომერციული ბანკი, ინოვაცია, პლასტიკური ბარათი.

ძირითადი ტექსტი

ყველაფერს აქვს თავისი ისტორია, წარმოშობისა და განვითარების, გამონაკლისი არც პლასტიკური ბარათია, რომელიც აღარ წარმოადგენს სიახლეს, თუმცა ინოვაციების უწყვეტი წყაროა. პირველი ბარათი მსოფლიოში საკმაოდ საინტერესოდ ჩაისახა, როდესაც ორი მეგობარი მსხვილი უნივერმაღების დამაარსებლის ბლუმენგდეილის შვილიშვილი, ფინანსური კომპანიის "Hamilton Credit Corporation" მფლობელი ფრენ მაკნამარი და ამავე კომპანიის იურისტი რალფ შნაიდერი სადილობდნენ მანჰეტენის ერთ-ერთ რესტორანში 1949 წელს. აღნიშნული შეხვედრის დროს გაჩნდა იდეა, შეექმნათ ბარათი, რომლითაც მსურველები გადაიხდიდნენ კვების საფასურს. სწორედ ამ ფორმით გაჩნდა პირველი საგადახდო ბარათი მსოფლიოში, რომელსაც "Diner Club"-ის სახელით ვიცნობთ და თავდაპირველად იყო საგადახდო, საკრედიტო და არასაბანკო, ამავდროულად დამზადებული მუყაოსგან. მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან ბარათებმა მოწონება დაიმსახურეს და დაიწყო აყვავების ხანა, როდესაც ბაზარზე გამოჩნდა American Express, Bank Americard, რომელიც შემდეგ გახდა VISA, გაჩნდა ასევე MasterCard. საბოლოოდ ჩამოყალიბდა პლასტიკური ბარათი იმ კლასიკური ფორმით რომლითაც დღემდე არსებობს, ბარათმაც მიიღო პლასტიკურის ფორმა და მუყაო სამუდამოდ გაქრა საბანკო ბარათების ისტორიიდან.

რა არის საბანკო პლასტიკური ბარათი? საბანკო პლასტიკური ბარათი წარმოადგენს კანონიერ საგადამხდელო ინსტრუმენტს, რომელიც გამოიყენება ანგარიშსწორების ოპერაციებისთვის, ასევე ნაღდი ფულის მისაღებად, ვალუტის გასაცვლელად და ყველა სხვა კანონით ნებადართული ოპერაციების შესასრულებლად. საბანკო პლასტიკური ბარათის გამოყენება მრავალფეროვანი მიზნებისთვის

შეიძლება, რასაც ხელს უწყობს განვითარებული ტექნოლოგიები და შესაძლებლობები, რომლებიც დღეისათვის არსებობს. თუმცა პლასტიკური ბარათები საქართველოში 90-იანი წლებიდან შემოვიდა, მაგრამ საზოგადოება მზად არ აღმოჩნდა მოცემულობის მისაღებად, რადგან სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო საქართველოს ისტორიის ახალი ფურცლის დაწერა, საბანკო სისტემაც გამართულ ჩამოყალიბებას იწყებდა, შესაბამისად არ არსებობდა ბარათების მომსახურების ქსელი ანუ ინფრასტრუქტურა, რომელიც მოცემულ სიახლეს მიიღებდა. ბანკომატი იშვიათობას წარმოადგენდა, პოს-ტერმინალები კი დიდ სუპერმარკეტშიც თუ შეხვდებოდა ვინმეს ფუფუნების საგანი იყო. საუბარი აღარაა თვითმომსახურების ტერმინალების ქსელზე. ფაქტიურად ჩვენმა ქვეყანამ ბოლო წლების განმავლობაში სერიოზული ნახტომი გააკეთა ტექნოლოგიური თვალსაზრისით, თუნდაც საბანკო სექტორში, რადგან დღეს ისე, როგორც არასდროს, არსებობს ბანკომატებისა და ტერმინალების მთელი ქსელი, ბაზარი მიეჩვია პოს-ტერმინალების გამოყენებას, ფაქტიურად საბანკო პლასტიკური ბარათი იქცა საგადახდო საშუალებად, რომელიც ამარტივებს ცხოვრებას და საჭიროებას არ წარმოადგენს ნაღდი ფულით ანგარიშსწორება. საბანკო პლასტიკური ბარათით შესაძლებელია მრავალფეროვანი ოპერაციების შესრულება, როგორიცაა: თანხის ჩარიცხვა, გადარიცხვა და განაღდება, კომუნალური გადახდების განხორციელება თვითმომსახურების ტერმინალიდან, ინტერნეტ ან მობაილბანკიდან, ვალუტის კონვერტაციები, გზავნილის მიღება-გაგზავნა, ანაბრის გახსნა და ზოგადად უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების ფართო სპექტრის შესრულება. ბარათმა ფაქტიურად ჩაანაცვლა ნაღდი ფული. საქართველოში არსებული კომერციული ბანკები კი საბანკო პლასტიკურ ბარათებს მუდმივად იყენებენ ინოვაციების წყაროდ. ერთ-ერთი ინოვაცია უკონტაქტო გადახდა იყო, შემდგომ Pay Sticker, დღეს კი სრულიად ახალი პროდუქტი ციფრული ბარათი შესთავაზეს მომხმარებელებს, რომელიც ნამდვილი სიახლეა საბანკო სექტორისთვის. განსაკუთრებული მოთხოვნა მოცემული ტიპის ბარათზე გაჩნდა პანდემიის პირობებში, რადგან მსოფლიო ჩაიკეტა, სამუშაო პროცესი გადავიდა დისტანციურ ანუ ონლაინ რეჟიმში, რის შედეგადაც საჭიროება გახდა რაიმე ახლის, მარტივისა და ინოვაციურის შექმნის ან შემოტანის, რაც ჩაანაცვლებდა თუნდაც მოცემულ მომენტში ფიზიკურად ბარათის აღების საჭიროებას. პირველი ციფრული ბარათი სს თიბისი ბანკისა და ვიზას ერთობლივი პროექტის ფარგლებში დაინერგა საქართველოში და სწორედ 2020 წლიდან აქტუალობას არ კარგავს, რადგან სრულიად მარტივია გამოყენებაში და იგივე ფუნქციები გააჩნია, როგორც ნებისმიერ სადებეტო ბარათს. მაგალითად:

- ციფრული ბარათით შესაძლებელია თანხის განაღდება ბანკომატიდან;
- ბარათის გამოიყენება პოს-ტერმინალებზე გადახდისას და ინტერნეტ-მობაილბანკინგში;
- ბარათი საშუალებას იძლევა ელექტრონულ კომერციაში მოხდეს სარგებლობა.

ციფრული ბარათის უმთავრესი უპირატესობაა ბარათის შეკვეთისთანავე მიღება და ასახვა ინტერნეტ და მობაილბანკინგში, რაც ზოგავს მომხმარებელთა დროს ანუ ბარათის ლოდინი აღარ არის საჭირო, შესაბამისად ფილიალში ვიზიტი შეკვეთისა და ბარათის დასამზადებლად აუცილებლობას არ წარმოადგენს. ციფრული ბარათი სრულად იმეორებს პლასტიკური ბარათის ფუნქციებს და შესაძლებელია მისი დამატება ელექტრონულ საფულეში თუ სხვა მრავალ აპლიკაციაში. თანაც ციფრული ეპოქა წარმოუდგენელია სრულად ციფრული პროდუქტების გარეშე, შესაბამისად მოცემული სიახლე მომხმარებლების უმეტესობამ ინტერესით აიტაცა და დღემდე ყველა კომერციული ბანკი აქტიურად სთავაზობს კლიენტებს ციფრულ ბარათებზე გადასვლას.

დასკვნა

საბანკო სექტორი მუდმივად სიახლეებით გამოირჩევა, რადგან სხვანაირად არც გამოვა კონკურენციის პირობებში მათი არსებობა. ბაზარი სწრაფად ვითარდება, შესაბამისად მხოლოდ ძლიერებს შეუძლიათ იარსებონ და დააწესონ თავიანთი წესები. სწორედ ამიტომ სიახლეები, ინოვაციები, განსხვავებული და საინტერესო პროდუქტი და მომსახურება არის ის, რითიც შეიძლება მომხმარებლის დაინტერესება. წლების წინ თუ მხოლოდ ბანკი მოგებაზე ფიქრობდა, დღეს მოგებასთან ერთად ამ შემოსავლის წყაროს - კლიენტების მოზიდვა და შენარჩუნებაა პრიორიტეტული, რაც როგორც აღვნიშნეთ მომსახურების მაღალი ხარისხითა და ინოვაციური საბანკო პროდუქტებით მიიღწევა, ხოლო

მომხმარებელს აქვს არჩევანის საშუალება, რაც გულისხმობს რომ ლოგიკურად აირჩევს იმ გარემოს, სადაც მიიღებს მაქსიმალურად კარგ სერვისებს. ციფრულ ბარათს რაც შეეხება, ვფიქრობ საბანკო სექტორში დაიმკვიდრებს საკუთარ ადგილს და გარკვეული პერიოდის შემდეგ საერთოდაც შესაძლებელია დაასრულოს პლასტიკური ბარათის ფიზიკური ფორმით არსებობა.

ბიბლიოგრაფია:

1. გ. ცაავა, რ. ბურდიაშვილი, ვ. მოსიაშვილი - „ფული, ფულის მიმოქცევა და კრედიტი“, გამომცემლობა „დანი“, 2017წ. გვ.670.
2. გ. ცაავა, გ. ხანთაძე - „საბანკო საქმე“ (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), გამომცემლობა „დანი“, 2014წ. გვ.600..
3. ვ. მოსიაშვილი, ე. მამაცაშვილი, ნ. ახალკაცი - „ფულის მიმოქცევა და კრედიტი“, გამომცემლობა „დანი“, 2017. გვ.588.
4. www.nbg.gov.ge - უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 27.04.2022.

Digital Card - An Innovative Product Of Commercial Banks

Ani Bibiluri, Doctor of Business Administration
Georgian Technical University

Summary

Society is constantly evolving, which is reflected in all areas of our political, economic, cultural and general life. If years ago coin minting was considered a historical fact, today no one is surprised because it is considered and accepted as an everyday event. Modern technologies have allowed us to not only make money as a means of payment, but most of the countries have raised the level of works of art thanks to their own mints. Whereas, centuries ago there was still a barter exchange, no one would have thought how great the progress of mankind in all spheres would be. Georgia, as a developing country, has been successfully building modern state structures for the last 30 years, which requires a lot of work, because it is not so easy to establish a place on the world stage, to increase its role and importance. A successful country needs to have prudent political governance, while an economy needs financial institutions that shape the weather in the financial sector. In our country, such banks are commercial banks, which by their nature are engaged in commercial activities or profit-oriented, which is due to the aspects of their activities, because a commercial bank will have difficulty working without profit, fulfilling its obligations and responsibilities, including creating quality products and services. It is through innovation that the market becomes more diverse, as competition forces commercial banks and various organizations to create something new, thereby surprising existing customers and attracting potential customers.

Keywords: Product, Service, Commercial Bank, Innovation, Plastic Card.

საწარმოთა სახელმწიფო რეგულირების ფინანსური ასპექტები

გრიგალაშვილი ლევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბაშიძე გოჩა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ადმინისტრაციულ-ბრძანებლური სისტემის პირობებში კერძო საკუთრება და აქედან გამომდინარე ბიზნესი თავისი არსით არ არსებობდა. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საბაზრო სისტემაზე გადასვლამ, სახელმწიფოს მთავარი განმკარგულებლისა და დამგეგმავის ფუნქცია ჩამოართვა, რამაც წარმოშვა თავისუფალი მეწარმეობის განვითარებისა და დამკვიდრების პირობები. პარარელურად ჩამოყალიბდა შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა.

აღნიშნულ პერიოდში გატარდა ეკონომიკური რეფორმების ორი ეტაპი, პირველი რომელმაც ახალი ეკონომიკური სისტემის ინსტიტუციური საფუძვლების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, განხორციელდა 90-იან წლების პირველი ნახევრის კრიზისის შემდეგ. ამ პოლიტიკამ რეფორმების პირველ ეტაპზე მოახდინა ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, თუმცა 90-იანი წლების ბოლოს გარკვეულწილად შეფერხდა. მეორე ეტაპი დაიწყო 2004 წლიდან და აღნიშნული მიმართული იყო ბაზრის ლიბერალიზაციისაკენ რაც, გამოიხატა გადასახადების შემცირების, ნებართვების გამარტივებულად გაცემის და ლიცენზიების რაოდენობის შემცირებაში.

საწარმოთა სახელმწიფო რეგულირების ფინანსური ასპექტები გამოიხატება სახელმწიფოს გონივრულ ქმედებებში, რომელიც ორიენტირებულია სამეწარმეო შეგნების ამაღლებასა და აღნიშნულის ხარჯზე გადასახადების შევსებაზე. ამასთან, ბიზნესს უნდა გააჩნდეს განცდა, რომ მის მიერ გადასახადის სახით გაღებული თანხები მიზანმიმართულად იხარჯება, რისთვისაც სახელმწიფოს მიერ საწარმოთა ფინანსური კონტროლის გაძლიერების მიზნით საჭიროა ქმედითი ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოში სამეწარმეო კონტროლი ხორციელდება „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის შესაბამისად მეწარმის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე კონტროლს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და კანონით დადგენილ ფარგლებში ახორციელებენ საგადასახადო ორგანოები, აგრეთვე სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

სამეწარმეო საქმიანობა შეიძლება გააკონტროლოს მხოლოდ მაკონტროლებელმა ორგანომ, ხოლო შესაბამისი საფუძვლის არსებობისას მეწარმის სამეწარმეო საქმიანობის შემოწმების წინადადებით სხვა სახელმწიფო ორგანომ შეიძლება მიმართოს მაკონტროლებელ ორგანოს ან სასამართლოს.

საკვანძო სიტყვები: სამეწარმეო კონტროლი, სახელმწიფო რეგულირება, აუდიტი.

ძირითადი ტექსტი

საწარმოთა სახელმწიფო რეგულირების ფინანსური ასპექტები გამოიხატება სახელმწიფოს გონივრულ ქმედებებში, რომელიც ორიენტირებულია სამეწარმეო შეგნების ამაღლებასა და აღნიშნულის ხარჯზე გადასახადების შევსებაზე. ამასთან ბიზნესს უნდა გააჩნდეს განცდა, რომ მის მიერ გადასახადის სახით გაღებული თანხები მიზანმიმართულად იხარჯება.

საქართველოში სამეწარმეო კონტროლი ხორციელდება „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“[1] („სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ) საქართველოს კანონით, რომლის შესაბამისად მეწარმის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე კონტროლს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და კანონით დადგენილ ფარგლებში ახორციელებენ საგადასახადო ორგანოები, აგრეთვე სახელმწიფო აუდიტის სამსახური (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსით

[1]„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი https://matsne.gov.ge/ka/document/view/15364?publication=49

გათვალისწინებული საგადასახადო ურთიერთობებისა).

სამეწარმეო საქმიანობა შეიძლება გააკონტროლოს მხოლოდ მაკონტროლებელმა ორგანომ, ხოლო შესაბამისი საფუძვლის არსებობისას მეწარმის სამეწარმეო საქმიანობის შემოწმების წინადადებით სხვა სახელმწიფო ორგანომ შეიძლება მიმართოს მაკონტროლებელ ორგანოს ან სასამართლოს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს დიდი ფუნქცია აკისრია კონტროლის სფეროში, ამასთან იგი არის უმაღლესი აუდიტორული ორგანო. აუდიტის მიზანია ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვას და ეფექტიანობას, ასევე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება, ვრცელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ორგანოებზე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე, საქართველოს ეროვნულ ბანკზე, სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის და თვითმმართველი ერთეულის მიერ 50% და მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებზე, სხვა იურიდიულ პირებზე, ფიზიკურ პირებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე[1].

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2017 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, ჩატარებული აქვს 303 აუდიტორული შემოწმება (ცხრილი 1).

ცხრილი 1

სახელმწიფო აუდიტის მიერ ჩატარებული დასკვნების რაოდენობა					
წელი	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**სულ**
ფინანსური აუდიტი	32	25	16	11	84
შესაბამისობის აუდიტი	24	53	37	37	151
ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	19				19
უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი			2		2
ეფექტიანობის აუდიტი	9	12	15	11	47
სულ	84	90	70	59	**303**

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებ. გვერდიდან.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის ანგარიშში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის აუდიტორული გეგმა განისაზღვრა 106 ერთეული ჩაასატრებელი აუდიტით, თუმცა ფაქტიურად ჩატარდა 90 აუდიტი, შემდგომი წლის ანგარიშებში კი არ არის ასახული მომავალში ჩასატარებელ აუდიტთა რაოდენობა, ამასთან ყოველწლიურად მცირდება ჩატარებული აუდიტის რაოდენობა 2018, მაგ: თუ 2018 წელს ჩატარდა 90 აუდიტორული შემოწმება, 2020 წელს აღნიშნულის რაოდენობამ შეადგინა 59 (34%-ით ნაკლები), რაც ვფიქრობთ ცუდი მაჩვენებელია და ისეთი მნიშვნელოვანი სტრუქტურა, როგორიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურია უნდა ზრდიდეს წლიურად ჩატარებული დასკვნების რაოდენობას, რათა მეტად გამჭვირვალე გახდეს სახელმწიფო თუ კერძო უწყებების მიერ განხორციელებული საქმიანობა.

სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, რომლის გარეშეც მისი ფუნქციონირება წარმოუდგენელია ეს არის გადასახადები, შესაბამისად გადასახადების მეშვეობით სახელმწიფო თავს უყრის ფინანსურ/მატერიალურ სახსრებს, რომლის საშუალებითაც ის ადმინისტრატორის როლს თამაშობს ქვეყანაში, სწორედ აღნიშნულის კონტროლის უმთავრეს მექანიზმად გვევლინება საქართველოს საგადასახადო კოდექსიც, რომელიც არეგულირებს გადასახადის გადამხდელთა ფინანსურ თუ სხვა საოპერაციო ქმედებებს, წინასწარ განსაზღვრული საგადასახადო მექანიზმების საშუალებით.[2]

სახელმწიფო ვალდებულია საგადასახადო პოლიტიკის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, გაატაროს 2014 წლიდან ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწი-

[1] სახელმწიფო აუდიტის სამსახური https://sao.ge/ka/about-us/Overview

[2] „საგადასახადო დავალიანების აუდიტი და გადახდევინების უზრუნველყოფის პრობლემები“ (IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“)

ნებული ვალდებულებების განხორციელება, შესაბამისად მნიშვნელოვანი რეფორმების შედეგად, საქართველოში დაიწყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა (დიაგრამა 1), თუმცა 2018 წლიდან განიცადა შემცირება, რასთან დაკავშირებითაც ვფიქრობთ, რომ აღნიშნული გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორებით, პირველი არარეზიდენტების მიმართ ქართულმა საწარმოებმა გაისტუმრეს უცხოური ვალდებულებები, რაც ცალსახად პოზიტიური მოვლენაა საგარეო მოწყვლადობის შემცირების მიმართულებით და მეორე - ეს არის რამდენიმე კომპანიის შემთხვევაში რეზიდენტი მფლობელის შემოსვლა-დაფიქსირება, რაც დადებითად აისახება საბიუჯეტო შემოსავლებზე.

დიაგრამა 1



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის ვებ. გვერდიდან.

ინვესტიციების ზრდასთან ერთად გაიზარდა რისკებიც, რომ უფრო მეტი მულტინაციონალური კომპანია მოახდენდა ე.წ. მოგების გადატანას და ისარგებლებდა სხვადასხვა ქვეყნების საგადასახადო სისტემებს შორის არსებული ხვრელებითა და შეუსაბამობებით. „სწორი სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკის გატარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა საინვესტიციო კანონმდებლობას ენიჭება, რომელიც როგორც სამამულო, ისე უცხოელ ინვესტორს ერთნაირ პირობებში უნდა აყენებდეს და, თანაც, ბიუროკრატიული პროცედურები ინვესტიციების განსახორციელებლად მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი. ყოველგვარი დროებითი საგადასახადო შეღავათი უცხოელი ინვესტორისათვის საეჭვო წარმომავლობისა და სუსტი ფირმების მოძალების საშიშროებას ქმნის, რადგანაც სერიოზული, მსოფლიოში აღიარებული ფირმები, როგორც წესი, რაიმე საგადასახადო შეღავათს არ ითხოვენ; ისინი, უწინარესად, მოგების რეპატრიაციის შესაძლებლობათა შეუზღუდაობისა და მიწის იმ ნაკვეთის საკუთრების საკითხს აყენებენ, რომელზეც განლაგებულია საინვესტიციო ობიექტი (რათა სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო არასასურველი ქმედება აიცილონ თავიდან)“.[1]

საქართველო არის გადასახადებისგან თავის არიდების წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო ქმედებების აქტიური თანამონაწილე. აღნიშნულ პროექტებს შორის არის ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და გაეროს (UN) ერთობლივი პროგრამა - საგადასახადო ინსპექტორები საზღვრების გარეშე (TIWB), რომლის აქტიური პარტნიორი გახდა საქართველოს შემოსავლების სამსახური და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემოს შექმნაში, სადაც მულტინაციონალური საწარმოები იხდიან სამართლიან გადასახადს.

TIWB საგადასახადო ინსპექტორები საზღვრებს გარეშე (TAX INSPECTORS WITHOUT BORDER - TIWB) პროგრამის მიზანია განვითარებადი ქვეყნების მხარდაჭერა საგადასახადო აუდიტის გაძლიერებაში. გამოცდილი საგადასახადო აუდიტორები, პარტნიორი საგადასახადო ადმინისტრა-

[1] პაპავა ვ., არატრადიციული ეკონომიქსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა“, სახელმძღვანელო, მე-2 შევსებული და განახლებული გამოცემა, 2020, 206 გვ.

ციებიდან მუშაობენ მასპინძელ საგადასახადო ორგანოსთან, მიმდინარე აუდიტის საქმეებზე და უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას მულტინაციონალური კომპანიების აუდიტის საკითხებში.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველი საგადასახადო აუდიტორები საზღვრებს გარეშე პროგრამა 2016 წელს დაიწყო. პროგრამის ექსპერტებმა იმუშავეს ქართველ აუდიტორებთან ერთად, ხოლო 2018 წელს შემოსავლების სამსახური ჩაერთო TIWB მეორე პროგრამაში. საქართველოს აქვს ძალიან კარგი პროგრესი საგადასახადო ბაზის ეროზიის და მოგების გადატანის (BEPS) მინიმალური სტანდარტების დანერგვის კუთხით და არის ერთ-ერთი პირველი განვითარებადი ქვეყანა, რომელმაც ხელი მოაწერა „BEPS"-ის თავიდან აცილების საგადასახადო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ზომების დანერგვის შესახებ მრავალმხრივ კონვენციას და მაოხდინა მისი რატიფიცირება.

„საგადასახადო აუდიტორები საზღვრებს გარეშე პროგრამის ფარგლებში მოხდა ისეთი სექტორების დაფარვა როგორიცაა საბანკო, სამშენებლო, ონლაინ ვაჭრობა, ფინანსები, წარმოება, გაყიდვები, დისტრიბუცია, გაზი და ნავთობი. აღნიშნული მხარდაჭერით საქართველოს შემოსავლების სამსახურმა განახორციელა 2.16 მილიონი აშშ დოლარის თანხის მობილიზება საგადასახადო შემოსავლებში".[1] ამასთან, 2021 წელს საქართველო ჩაერთო საგადასახადო აუდიტორები საზღვრებს გარეშე მესამე პროგრამაში.

საგადასახადო მიზნებისათვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით სახელმწიფოს მიერ ხორციელდება გლობალური ფორუმის ტექნიკური დახმარების პროგრამა, რომლის მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტის (EOIR) დანერგვაზე ვალდებულება აღებული აქვს ყველა წევრ ქვეყანას. სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, გლობალური ფორუმი ახორციელებს თითოეული იურისდიქციის შეფასებას. შეფასების პირველი რაუნდის ანგარიშით, დადგენილია, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკა შეესაბამება მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტს (რეიტინგი: "Largely Compliant"). შეფასების მეორე რაუნდის ჩატარება დაგეგმილია 2022 წელს. შესაბამისად, საქართველო იყენებს ინფორმაციის გაცვლის ამ ინსტრუმენტს.

ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გლობალური ფორუმი წევრ ქვეყნებს ეხმარება საგადასახადო გამჭვირვალობის სტანდარტების იმპლემენტაციაში, ინფორმაციის გაცვლის შესაძლებ-ლობების გაუმჯობესებასა და შედეგად, შემოსავლების მობილიზებაში. ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა საქართველოში მიმდინარეობს 2019 წლიდან და დასრულდება 2022 წელს[2].

ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიღწევა შესაძლებელია იმ უმნიშვნელოვანესი სეგმენტის გამართული მუშაობით, რასაც აუდიტი ჰქვია. საქართველოს პარლამენტმა მიიღო პირველი კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ" (1995 წლის 7 თებერვალი N623 კანონი), ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ცვლილებასთან ერთად საჭირო გახდა აღნიშნული კანონმდებლობის ცვლილება შესაბამისად 2012 წლიდან მიღებული იქნა კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ" (2012 წლის 29 ივნისი N6598 კანონი), ხოლო დღეისათვის მოქმედებს 2016 წლიდან მიღებული კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" (2016 წლის 8 ივნისი N5386 კანონი), ამავე კანონით განისაზღვრა იმ სუბიექტთა ჩამონათვალი, რომლებსაც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის სავალდებულოდ ჩატარება დაევალათ. სავალდებულო აუდიტს დაქვემდებარებულ სუბიექტებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), ხოლო მცირე და საშუალო საწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად დაევალათ. სავალდებულო აუდიტის ჩატარების ვალდებულება დადგინდა ყოველწლიურად, კალენდარული წლის მომდევნო წლის 31 ოქტომბრამდე. აღნიშნული ვალდებულების დარღვევისთვის დაწესდა სანქციაც, ფულადი ჯარიმის სახით და ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა

[1] სსიპ „შემოსავლების სამსახური" https://www.rs.ge/InternationalCooperation?cat=2&tab=1

[2] გვარამია ნ., ძიმცეიშვილი ნ., „საგადასახადო აუდიტის ზოგიერთი ასპექტი", სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, გლობალიზაცია და ბიზნესი, 2016.

განისაზღვრა 10 ათასი ლარი.

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში რეფორმა საქართველო ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების საფუძველზე განხორციელდა. შეთანხმების 316-ე მუხლის მიხედვით, მხარეებმა აღიარეს, სრულყოფილად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის შექმნისა და ვაჭრობის წახალისებისთვის, ეფექტური წესებისა და პრაქტიკის მნიშვნელობა კორპორაციული სამართლისა და კორპორაციული მმართველობის, ასევე ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროებში, შეთანხმდნენ, რომ ითანამშრომლებდნენ შემდეგ სფეროებში:

- აქციონერთა, კრედიტორთა და სხვა ბიზნეს პარტნიორთა დაცვა აღნიშნულ სფეროში ევროკავშირის წესების შესაბამისად; ეროვნულ დონეზე შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაცია და ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში ევროკავშირის წესებთან ეტაპობრივი დაახლოება;
- კორპორაციული მმართველობის პოლიტიკის შემდგომი განვითარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე ამ სფეროში ევროკავშირის წესებთან და რეკომენდაციებთან ეტაპობრივი დაახლოება.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გამოყენების მიზნით საწარმოების ზომითი კატეგორიების მიხედვით დაყოფა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით რეგულირდება, რომელსაც კონტროლს უწევს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, რომელიც შეიქმნა 2016 წლის 24 ივნისს. კანონის მიხედვით საწარმოების დაყოფა განხორციელდა ზომითი კატეგორიების მიხედვით. **საზოგადოება,** რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩამოთვლილი (ცხრილი 2) სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს ენიჭება შესაბამისი კატეგორია. საწარმოებისთვის დადგენილი კრიტერიუმები შემდეგია, კერძოდ:

ცხრილი 2

საწარმოთა კატეგორიად დაყოფის კრიტერიუმები				
კატეგორია	**აქტივების ჯამური ღირებულება**	**შემოსავალი**	**საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობა**	**შენიშვნა**
I	აღემატება 50 მილიონ ლარს	აღემატება 100 მილიონ ლარს	აღემატება 250 დასაქმებულს	ვალდებულია უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება
II	არ აღემატება 50 მილიონ ლარს	არ აღემატება 100 მილიონ ლარს	არ აღემატება 250 დასაქმებულს	ვალდებულია უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება
III	არ აღემატება 10 მილიონ ლარს	არ აღემატება 20 მილიონ ლარს	არ აღემატება 50 დასაქმებულს	
IV	არ აღემატება 1 მილიონ ლარს	არ აღემატება 2 მილიონ ლარს	არ აღემატება 10 დასაქმებულს	

წყარო: სქემა შედგენილია ავტორის მიერ, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ. გვერდიდან.

საწარმოთა კატეგორიებად დაყოფასთან ერთად, ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის საფუძველზე, განხორციელდა სერტიფიცირებულ აუდიტორთა რეესტრის შექმნა, რომლშიც რეგისტრირებულ აუდიტორებს კვალიფიკაციის შედეგად მიენიჭათ კატეგორიები, რომელთა რაოდენობა განისაზღვრა 6 კატეგორიად.

2022 წლის 19 მარტის მდგომარეობით აუდიტორთა რაოდენობა კატეგორიების შესაბამისად შემდეგია (ცხრილს 3).

აუდიტორთა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით

ცხრილი 3

აუდიტორთა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით 19/03/2022 წლის მდგომარეობით							
აუდიტორთა კატეგორიები	1	2	3	4	5	6	სულ
კატეგორიის მიხედვით აუდიტორთა რაოდენობა	4	9	15	27	30		85
აუდიტორთა რაოდენობა რომელშიც მიმდინარეობს შეფასება							7
აუდიტორები რომელთა ჩანაწერი არ ფიქსირდება კატეგორიის განსაზღვრის შესახებ							175
სულ							267

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ. გვერდიდან.

ცხრილი 3-ში ასახული სტატისტიკა გვაძლევს სრულ სურათს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების ეფექტურობასთან დაკავშირებით, რადგან ფაქტიურად კატეგორიის მინიჭება ხდება იმ აუდიტორებზე, რომლებიც გაივლიან მონიტორინგს, ხოლო 19/03/2022 წლის მდგომარეობით 267 აუდიტორული კომპანიიდან მონიტორინგი გავლილი აქვს, მხოლოდ 85-ს (32%), რაც საკმაოდ ცუდი მაჩვენებელია. ვფიქრობთ უნდა გაიზარდოს ხარისხის კონტროლის სისტემის ჩატარებული მონიტორინგის რაოდენობა, რათა ოპერატიულად გაიმიჯნოს აუდიტორული კომპანიები კატეგორიების შესაბამისად.

ჩვენი აზრით იმ გარემოების შეფასება, რომ ზემოაღნიშნული კონტროლის მექანიზმები იხვეწება და საერთაშორისო სტანდარტებს უახლოვდება დადებითად შესაფასებელია თუმცა, აღნიშნული საჭიროებს დროულად დახვეწას და იმ შავი ხვრელების ამოვსებას, რომელიც არსებობს აუდიტორთა კატეგორიებად დაყოფის დოკუმენტში, კერძოდ:

ვინაიდან საწარმოები დაყოფილია 4 კატეგორიად ვფიქრობთ არ არის საჭირო აუდიტორული ფირმების 6 კატეგორიად დაყოფა, იმ პირობის გათვალისწინებით, როდესაც კანონმდებლობის დონეზე კატეგორიების განმარტებებში აღნიშნულია, რომ მე-5 და მე-6 კატეგორიად შეფასებული აუდიტორული ფირმები ვერ აკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს და მათ მიერ ხდება კანონმდებლობის ფუნდამენტურ მოთხოვნათა სისტემატურად შეუსრულებლობა ან/და სუბიექტის ან საზოგადოების შეგნებულად შეცდომაში შეყვანა, ამასთან განხორციელებული მომსახურება საშიშია საზოგადოებისთვის და სუბიექტთა ფუნქციონირებისათვის.

უარყოფითად ვაფასებთ იმასაც, რომ მეხუთე კატეგორიად შეფასებულ აუდიტორულ ფირმას მე-3 და მე-4 კატეგორიის საწარმოებში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია ჩაატაროს აუდიტი, რომელიც შესაძლოა იყოს უხარისხო და კანონთან შეუსაბამო, რაც აუდიტორულ შემოწმებას აზრს უკარგავს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მ-5 და მე-6 კატეგორიის აუდიტორულ ფირმებს აუცილებელია მიეცეთ გონივრული ვადა გაიარონ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დაწესებული სერტიფიცირებები და გადავიდნენ მინიმუმ მე-4 კატეგორიის აუდიტორულ ფირმებში ან საერთოდ შეუჩერდეთ ლიცენზიები, ამასთან აუდიტორთა კატეგორიების 4-მდე შემცირება გაამარტივებს საწარმოთა შეფასებას, თუ მოხდება შეზღუდვა და მე-4 კატეგორიის საწარმო შეფასდება მე-4 კატეგორიის აუდიტით, მე-3 კატეგორიის საწარმო მე-3-ე კატეგორიით და ასე შემდეგ. ხოლო შეზღუდვა თავისთავში არ შეეხება მაღალი კატეგორიის აუდიტორული ფირმის მიერ დაბალი კატეგორიის საწარმოს შეფასებას.

კერძო საკუთრებაში არსებულ საწარმოთა გარდა არსებობს სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოები.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოთა რაოდენობა, რომლის პარტნიორის უფლება-მოსილებას ახორციელებს სსიპ „ქონების მართვის ეროვნული სააგენტო“, შეადგენს 96 ერთეულს[1].

სააგენტო მის მართვაში შემავალი საწარმოებისგან ყოველწლიურად იღებს და აანალიზებს განვლილი წლების ფინანსურ ანგარიშგებებს შესაბამის ახსნა-განმარტებებთან ერთად, შეისწავლის თითოეულ საწარმოში შექმნილ მდგომარეობას, ახდენს მათ კლასიფიკაციას მთელი რიგი პარამეტრების მიხედვით (აქტივები, შემოსავლები, წლიური ფინანსური შედეგები, ეფექტიანობის მაჩვენებლები და ა.შ) აფასებს განვითარების პერსპექტივებს, განსაზღვრავს მართვის მიზნებსა და ამოცანებს.

აღნიშნული პროცესების რეგლამენტირებისათვის სააგენტო პერიოდულად გამოსცემს შესაბამის ბრძანებებს „სახელმწიფოს 50%-ზე (სს-ს შემთხვევაში 75%-ზე) მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების, ბიზნეს-გეგმების პროექტებისა და წლიური ანგარიშების შემუშავების, წარმოდგენის, განხილვისა და გამოქვეყნების შესახებ“, რომელშიც გათვალისწინებულია საწარმოთა მიმართ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ 2016 წლის 24 ივნისს ამოქმედებული საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ საწარმოთა რაოდენობა, რომლის პარტნიორის უფლებამოსილებას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 01.01.2022 წლის მდგომარეობით შეადგენს 33 ერთეულს. აღნიშნულ შემთხვევაში ფინანსური ანგარიშგებების მოთხოვნა/ კონტროლი ხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების ფორმების შესაბამისად და მართვის სისტემაც სახელმწიფო საწარმოების შემთხვევის მსგავსია.

სახელმწიფო საწარმოების მართვასთან დაკავშირებით თითქოს სირთულე არ უნდა არსებობდეს მაგრამ, აღნიშნული საკითხის საფუძლიანად შესწავლისას არაერთ პრობლემას ვაწყდებით, პირველ და უმთავრესი პრობლემას გამჭვირვალობა წარმოადგენს, ამასთან საქართველოს მთავრობას სამწუხაროდ არ გააჩნია სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებით სრულყოფილი ერთიანი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ახაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფუძნებული საწარმოების ეფექტურ მართვასა და ფუნქციონირებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ შედგენილ საჯარო პოლიტიკის დოკუმენტშიც არის ასახული, რომ „სახელმწიფო საწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების უპირატესობა არის სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსური და ერთიანი მოწესრიგება. საქართველოს კანონი მოაწესრიგებს არა მხოლოდ საწარმოების დაფუძნების, არამედ მათი მართვის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებების საკითხებს. გარდა ამისა, საქართველოს კანონი გავრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მოაწესრიგებს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ დაფუძნებული საწარმოების საქმიანობას“.[2]

დასკვნა

ვფიქრობთ სახელმწიფოს მიერ საწარმოთა ფინანსური კონტროლის გაძლიერების მიზნით საჭირო და აუცილებელიც არის რიგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- უნდა გაიზარდოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმებების რაოდენობა, თუნდაც აღნიშნული განხორციელდეს აუდიტორთა რაოდენობის გაზრდით, რათა მეტად გამჭვირვალე გახდეს სახელმწიფო თუ კერძო უწყებების მიერ განხორციელებული საქმიანობა.
- დადებითად შესაფასებელია, რომ იხვეწება კონტროლის მექანიზმები და საერთაშორისო

[1]სსიპ „ქონების მართვის ეროვნული სააგენტო“ http://nasp.gov.ge/pages/?%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98=&page_id=22

[2]ცუხიშვილი ნ., ბუაძე ს., სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში“ ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტი (IDFI), თბილისი, 2016, 9 გვ.

სტანდარტებს უახლოვდება თუმცა, აღნიშნული საჭიროებს დროულად დახვეწას და იმ შავი ხვრელების ამოვსებას, რომელიც არსებობს აუდიტორთა კატეგორიების მინიჭების მექანიზმისა და დაყოფის დოკუმენტში.

- გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის დანერგვა სახელმწიფო კომპანიებში კანონმდებლობის დონეზე.
- სახელმწიფოს ამომავალი წერტილი უნდა გახდეს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების გონივრული მართვა და განკარგვა იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს ქვეყნის ინფრასტრუქტურისა და ზოგადად ეკონომიკის განვითარებას.

სახელმწიფო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და მუნიციპლიტეტების საკუთრებაში არსებული საწარმოების შემთხვევაში შიდა აუდიტის როლი უფრო მეტად უნდა გაიზარდოს, რომელიც ამოწმებს, როგორც პარტნიორის უფლებამოსილების მქონე სამსახურს, ასევე თვითონ საწარმოებს, ან უკეთესი იქნება კონტროლის გაძლიერების მიზნით თვითონ საწარმოებში შიდა აუდიტის სამსახურების შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი https://matsne.gov.ge/ka/document/view/15364?publication=49
2. სახელმწიფო აუდიტის სამსახური https://sao.ge/ka/about-us/Overview
3. „საგადასახადო დავალიანების აუდიტი და გადახდევინების უზრუნველყოფის პრობლემები“ (IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“)
4. პაპავა ვ., არატრადიციული ეკონომიქსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა“, სახელმძღვანელო, მე-2 შევსებული და განახლებული გამოცემა, 2020, 206 გვ.
5. სსიპ „შემოსავლების სამსახური“ https://www.rs.ge/InternationalCooperation?cat=2&tab=1
6. გვარამია ნ., ძიმცეიშვილი ნ., „საგადასახადო აუდიტის ზოგიერთი ასპექტი“, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, გლობალიზაცია და ბიზნესი, 2016.
7. სსიპ „ქონების მართვის ეროვნული სააგენტო“ http://nasp.gov.ge/pages/?%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98=&page_id=22
8. ცუხიშვილი ნ., ბუაძე ს., სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საქართველოში“ ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტი (IDFI), თბილისი, 2016, 9 გვ.

Financial aspects of state regulation of enterprises

Levan Grigalashvili
Professor of Georgian University

Abashidze Gocha
PhD student Of Georgian Technical University

Summary

The Administrative-command system of the Soviet Union did not recognize private property and business, by its very nature, did not exist. After gaining independence, the transition to a market economy deprived the state of its role as the main manager and planner, which created the conditions for the establishment of the principles of free enterprise and the formation of an appropriate legal framework.

During this period, two phases of economic reforms were carried out, the first one, which helped to establish the institutional basis for the new economic system, took place after the crisis of the first half of the 1990s. This policy stimulated economic growth in the first phase of the reforms, although the process was stalled somewhat in the late 1990s. The second phase began in 2004 and was aimed at market liberalization, which was reflected in tax cuts, easier issuance of permits and a reduction in the number of licenses.

The financial aspects of state regulation of enterprises are reflected in the prudent actions of the state, which are focused on raising entrepreneurial awareness and filling taxes with the help of the latter. At the same time, the business must have the feeling that the money it spends in the form of taxes is spent purposefully, for which effective measures are needed to strengthen the financial control of enterprises by the state.

Entrepreneurial control in Georgia is exercised by the Law of Georgia "on Control of Entrepreneurial Activity", according to which, control over financial and economic activities of an entrepreneur, in cases provided by the legislation of Georgia and within the limits established by law, is exercised by the taxation bodies and the State Audit Office.

Entrepreneurial activity can be controlled only by the controlling body, and if there are appropriate grounds, another state body can apply to the controlling body or court with a proposal to inspect the entrepreneurial activity of an enterprise.

Keywords: Entrepreneurial control, State regulation, Audit.

კომპილაციური გარიგების მნიშვნელობა მცირე და საშუალო ბიზნესში

გრიგალაშვილი ლევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ნატრიაშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

მარეგულირებელი გარემო იცვლება. შედეგად, სულ უფრო მეტი მცირე და საშუალო ზომის საწარმოს (SMEs) შეუძლია აირჩიოს შესაბამისი მარწმუნებელი ან დაკავშირებული საბუღალტრო მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს. საბუღალტრო პრაქტიკა, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ზომის პრაქტიკა, რომელიც, როგორც წესი, ემსახურება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, შეუძლია დაეხმაროს თავის კლიენტებს შეარჩიონ შესაბამისი მომსახურება და, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს თავისი მომსახურების ადაპტაცია, რათა შესთავაზოს თავის კლიენტებს ის, რაც მათ სჭირდებათ და დააკმაყოფილოს მათი ახალი მოთხოვნები.

კომპილაციური გარიგება, რომელიც გამოიყენება წინა პერიოდების წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას და წარდგენისას, შეიძლება მორგებული იყოს სამეურნეო ერთეულის უნიკალურ მოთხოვნილებებზე და შეიძლება იყოს შესაფერისი ვარიანტი, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (SME კლიენტებისთვის). დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტი (დმსს) 4410 - კომპილაციური გარიგებები - კი მიზნად ისახავს დაეხმაროს პრაქტიკოს-ბუღალტრებს, რათა მათ გაიგონ კომპილაციური გარიგების მნიშვნელობა, და დაეხმაროს მათ იყვნენ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში და ამგვარად, გააუმჯობესონ და გააფართოვონ თავიანთი მომსახურება და გააძლიერონ თავიანთი პრაქტიკა.

კომპილაციური გარიგების სამუშაოს მასშტაბი დამოკიდებულია კონკრეტული გარიგების პირობებზე. ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში, გარიგება გულისხმობს ხელმძღვანელობისთვის დახმარების გაწევას სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენაში, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად, ხელმძღვანელობის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ზოგიერთ კომპილაციურ გარიგებაში ხელმძღვანელობას შეიძლება უკვე მომზადებული ჰქონდეს ფინანსური ინფორმაცია, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს პროექტის, ან წინასწარი (სამუშაო) ვარიანტის სახით. როდესაც პრაქტიკოსი-ბუღალტრისგან არანაირი რწმუნება არ მოითხოვება ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით, კომპილაციური გარიგების არჩევა დაზოგავს დროს და თანხებს, და ინდივიდუალური კლიენტის გარემოებებიდან გამომდინარე, იგი შეიძლება მოიცავდეს შედარებით ნაკლებ შრომას, ვიდრე მიმოხილვა, და მნიშვნელოვნად ნაკლებ შრომას, ვიდრე აუდიტი.

საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო ზომის საწარმო, დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტი, კომპილაციური გარიგება, პრაქტიკოსი ბუღალტერი.

ძირითადი ტექსტი

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეკონომიკის განვითარებაში მცირე და საშუალო ბიზნესი არსებით როლს ასრულებს. მცირე და საშუალო ბიზნესის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, ინერგება ახალი ტექნოლოგიები და მომსახურება. მისი მეშვეობით ხორციელდება მსხვილი კომპანიების გარკვეულ საჭიროებათა დაკმაყოფილება, მომხმარებელთა სპეციალიზებული საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ მცირე და საშუალო საწარმოების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისათვის, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მათ უნარზე ეფექტიანად და ხარისხიანად შეასრულონ თავიანთი როლი. შესაბამისად, ღირსეულად უნდა შეფასდეს ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების სარგებლიანობა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.

მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციებიდან გამომდინარე, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა,

ცდილობს სახელმწიფო სტრუქტურები ჩამოაყალიბოს აღნიშნული ბიზნესის ხელშეწყობის გარანტად. სახელმწიფო სტრუქტურები ხელს უწყობენ მცირე და საშუალო ბიზნესს განვითარებაში, თუმცა არსებობს ისეთი საწარმოები რომლებიც არც თუ ისე სახარბიელოდ ასრულებენ საკუთარ სამუშაოს, ასეთი საწარმოებისათვის სახელმწიფო სტრუქტურების დახმარება ნიშნავს არა მათ წახალისებას, არამედ მათი პრობლემის გადაჭრისათვის ზრუნვას, რაც ბიზნესს ხელს უწყობს კონკურენტულ პირობებში მუშაობის შესაძლებლობაში.

მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებში შედარებით მცირე პერსონალთა რიცხვი განაპირობებს მსხვილ კომპანიებთან შედარებით, შრომითი კოლექტივის ერთსულოვნებას. აღნიშნული კიდევ უფრო აძლიერებს საწარმოში არსებულ თანამშრომელთა მოტივაციას და დადებითად აისახება კომპანიის არსებულ და სამომავლო შედეგებზე.

ზოგიერთ შემთხვევაში ორგანიზაციებს ესაჭიროებათ აუდიტორული პროცედურების ჩატარება ფინანსური ანგარიშგების რომელიმე კომპონენტზე ან ფინანსური მონაცემების ცალკეულ მუხლებზე, როგორიცაა, მაგალითად, შემოსავლები ან მთლიანი აქტივები.

დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტი (დმსს) ადგენს პრაქტიკოსის პასუხისმგებლობას, რომელიც დაქირავებულია სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის დასახმარებლად გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენაში, ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით რწმუნების მოპოვების გარეშე, ასევე გარიგების შესრულების შესახებ ანგარიშის შესადგენად დმსს-ის შესაბამისად.

დმსს ეხება გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის კომპილაციურ გარიგებებს, თუმცა, მისი გამოყენება, აუცილებლობის შემთხვევაში ადაპტირებული სახით, შესაძლებელია ისეთი ფინანსური ინფორმაციის კომპილაციურ გარიგებებში, რომელიც არ წარმოადგენს გასული პერიოდების ფინანსურ ინფორმაციას, ასევე არაფინანსური ინფორმაციის კომპილაციურ გარიგებებშიც.

სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობამ შეიძლება საზოგადოებრივ პრაქტიკით დაკავებულ პროფესიონალ ბუღალტერს სთხოვოს სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ინფორმაციის მომზადებასა და წარდგენაში დახმარების გაწევა. წინამდებარე დმსს-ის შესაბამისად შესრულებული კომპილაციური გარიგების სარგებლიანობასა და მნიშვნელობას ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებისთვის განაპირობებს ის ფაქტი, რომ პრაქტიკოსი იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სფეროში თავის პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას და იცავს პროფესიულ სტანდარტებს, მათ შორის სათანადო ეთიკურ ნორმებს (მოთხოვნებს), ასევე ნათლად ამცნობს სათანადო პირებს პრაქტიკოსის მონაწილეობის ხასიათისა და დონის შესახებ კომპილაციური ფინანსური ინფორმაციის მომზადებაში.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ამგვარი გარიგება არ მოითხოვს პრაქტიკოსისგან ხელმძღვანელობის მიერ კომპილაციის მიზნებისთვის მისთვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის დამოწმებას, ან მტკიცებულებების შეკრებას აუდიტორული მოსაზრების გამოსახატავად, ან მიმოხილვის დასკვნის ჩამოსაყალიბებლად ფინანსური ინფორმაციის მომზადებასთან მიმართებით.

ფინანსურ ინფორმაციასა და ამოსავალ მონაცემებზე, რომელთა საფუძველზეც მომზადებული და წარდგენილია ეს ინფორმაცია, მაინც ხელმძღვანელობა არის პასუხისმგებელი. აღნიშნული პასუხისმგებლობა გულისხმობს ხელმძღვანელობის მხრიდან სათანადო განსჯის განხორციელებას, რაც აუცილებელია ფინანსური ინფორმაციის მოსამზადებლად და წარსადგენად, მათ შორის სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას და, აუცილებლობის შემთხვევაში, დასაბუთებული სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლას.

ფინანსური ინფორმაცია, რომლის მიმართაც სრულდება კომპილაციური გარიგება, შეიძლება სხვადასხვა მიზნისთვის იყოს საჭირო, მათ შორის:

ა) სავალდებულო ფინანსური ანგარიშგების რეგულარულად წარდგენის მოთხოვნების შესასრულებლად, რომელსაც ადგენს კანონმდებლობა;

ბ) სხვა მიზნებისთვის, რომელიც დაკავშირებული არ არის სავალდებულო ფინანსური ანგარიშგების წარდგენასთან კანონმდებლობის შესაბამისად, მაგალითად:

- ხელმძღვანელობის ან მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის - ანგარიშგება, რომელიც მომზადებული იქნება ისეთი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც პასუხობს მათ კონკრეტულ მიზნებს (მაგალითად, ფინანსური ინფორმაციის მომზადება სამსახურებრივი (შიდა) სარგებლობისთვის);
- პერიოდული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გარეშე მხარეებისთვის, ხელშეკრულების ან სხვა ფორმის შეთანხმების საფუძველზე (როგორიცაა, მაგალითად, ფინანსური ინფორმაცია, რომელიც გადაეცემა დამფინანსებელ ორგანოს გრანტის გაცემის ან გაგრძელების პირობების დაკმაყოფილების დასასაბუთებლად);
- სხვადასხვა გარიგების მიზნებისთვის, მაგალითად ისეთი გარიგების დასასაბუთებლად, რომელიც ითვალისწინებს საკუთრების ან დაფინანსების სტრუქტურის შეცვლას (მაგალითად, სამეურნეო სუბიექტების შერწყმის ან სხვა სამეურნეო სუბიექტის შეძენის დროს).

პრაქტიკოსმა ბუღალტერმა, კომპილაციური გარიგების შესრულების პროცესში, ხელმძღვანელობას და, აუცილებლობის შემთხვევაში, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებსაც დროულად უნდა აცნობოს კომპილაციურ გარიგებასთან დაკავშირებული ყველა ისეთი საკითხის შესახებ, რომელიც, პრაქტიკოსის პროფესიული შეფასებით, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იმსახურებს ხელმძღვანელობის ან მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების განსაკუთრებულ ყურადღებას.

პრაქტიკოსმა ფინანსური ინფორმაციის კომპილაცია უნდა განახორციელოს ხელმძღვანელობის მიერ მიწოდებული ჩანაწერების, დოკუმენტების, ახსნა-განმარტებებისა და სხვა ინფორმაციის გამოყენებით, მათ შორის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი განსჯისა და მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. პრაქტიკოსის ანგარიშის შედგენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ანგარიშში ნათლად წარმოაჩინოს კომპილაციური გარიგების ხასიათი, ასევე ამ გარიგების ფარგლებში პრაქტიკოსის ფუნქციები და ვალდებულებები.

კომპილაციური გარიგების მომსახურებაზე არსებული მზარდი მოთხოვნები, გამოწვეულია ისეთი ფაქტორებისგან, როგორიცაა:

• მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის აუდიტისგან გათავისუფლების ტენდენცია.

• მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის რაღაც დონეზე გარე წყაროების მიერ მომზადებული ანგარიშგების სურვილი.

• მომხმარებელთა მოთხოვნები, რომლებსაც სჭირდება პრაქტიკოსი-ბუღალტრის პროფესიული გამოცდილება/კომპეტენცია, რაც დაეხმარება მათ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და წარდგენაში, განსაკუთრებით ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გაზრდილი სირთულიდან გამომდინარე.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კომპილაციურ გარიგებაზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდება, რადგან დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრი, იყენებს ფაქტობრივად მიღებული მონაცემების ანგარიშებს. იმავდროულად, ბევრი სამეურნეო ერთეულისთვის, შეთანხმებული პროცედურების გარიგების საჭიროება შეიძლება ნაწილობრივ გამოწვეული იყოს რეგულირების ზრდით და დაფინანსებისა და გრანტების გარშემო გაზრდილი ანგარიშვალდებულების მოთხოვნით, მაგალითად, დამფინანსებელმა ორგანოებმა შეიძლება მოითხოვონ ფაქტობრივად მიღებული მონაცემების ანგარიში, რათა დაურთონ ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება ან საგრანტო განცხადება. მცირე სამეურნეო ერთეულებისთვის, ზოგიერთ იურისდიქციაში აუდიტისგან გათავისუფლების ზღვრის ზრდამ შესაძლოა გავლენა იქონიოს მოთხოვნაზე, და დაინტერესებულმა მხარეებმა მოძებნონ აუდიტის ალტერნატივა. მაგალითად, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების ნაცვლად ბანკებს შეუძლიათ მოითხოვონ დებიტორული დავალიანების ან მარაგების ფაქტობრივად მიღებული მონაცემების ანგარიში. ამგვარი, გაცილებით დეტალური ფოკუსირებით, შეიძლება წარმოჩნდეს საკრედიტო/სესხის ხელშეკრულებების გაცემისას საყურადღებო სფეროები.

კომპილაციური გარიგებები მოქნილია, რადგან შესაძლებელია ამ მომსახურების სხვადასხვა

გარემოებებზე და ფინანსური მონაცემების ცალკეულ/ინდივიდუალურ მუხლებზე მორგება. მაგალითად, ხელმძღვანელობას შეიძლება დასჭირდეს მტკიცებულება, რომ გათვალისწინებულია მოქმედი სტანდარტებით მოთხოვნილი გარკვეული ინფორმაციის გასაჯაროვება ან შეძენისას მოითხოვოს სათანადო შემოწმების ანგარიში. მომხმარებლებს შეუძლიათ მოითხოვონ კონკრეტული სამუშაოს შესრულება, დაფინანსების ან მომწოდებლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, მარაგის ნაშთის სისწორის დადასტურება, კრედიტორული დავალიანების ნაშთების დადასტურება, ფულადი ნაკადების ნაშთის შემოწმება, ან საგრანტო თანხების სათანადო გამოყენება. გარე მომხმარებლებს შეუძლიათ ასევე მოითხოვონ ანგარიშის წარდგენა კონკრეტულ/სპეციფიკურ ფორმატში.

ფაქტობრივად მიღებულ მონაცემებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფინანსური ანგარიშგების პროცესების და კონტროლის ეფექტურად ფუნქციონირება. მაგალითად, საჯარო სექტორის ორგანიზაციამ შეიძლება მოითხოვოს შეთანხმებული პროცედურების გარიგება, მარეგულირებელ რეჟიმთან დაკავშირებულ დირექტივებთან შესაბამისობის შესახებ ანგარიშისთვის. ფაქტობრივად მიღებული მონაცემების ანგარიში, მეტი სანდოობისთვის და კომფორტისთვის, შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ფინანსური ანგარიშგების დანართი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=11
2. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდი. https://www.saras.gov.ge/Content/files/cat1.pdf
3. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები. https://saras.gov.ge/ka/FinAudit
4. დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტი 4410 https://saras.gov.ge/ka/FinAudit/Pdf/434
5. შეთანხმებული პროცედურების (AUP) გარიგებები, ზრდისა და ღირებულების პერსპექტივები. IFAC. http://baf.ge/site/files/gamocemebi/IFAC_AUP2019.pdf
6. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. ტერმინების გლოსარი. https://saras.gov.ge/ka/FinAudit/Pdf/437
7. Guide to Compilation Engagements. International Federation of Accountants . ISRS 4410. https://www.ifac.org/system/files/publications/files/IFAC-SMPC-Guide-to-Compilation-Engagements-UL.pdf

The usefulness of the compilation transaction in small and medium businesses

Grigalashvili Levan
professor of Georgian Technical University

Natriashvili Nino
PhD student of Georgian Technical University

Summary

The compilation transaction used to prepare and submit annual financial statements for previous periods may be tailored to the unique needs of the entity and may be a suitable option, especially for small and medium-sized enterprises (SME clients). International Related Services Standard (IAS) 4410 - Compilation Transactions - is designed to help practicing accountants understand the importance of compiling transactions, and to help them comply with international standards, thereby improving and expanding their services and enhancing their practice.

The level of awareness achieved by the practitioner determines the frameworks that With in which the practitioner uses professional judgment in financial information In the compilation process.

The scope of the compilation transaction job depends on the specific transaction terms. However, in any case, the transaction involves assisting management in preparing and submitting financial information to the entity based on the information provided by management in accordance with the relevant financial reporting requirements. In some compilation transactions, management may already have prepared financial information, which may be presented in the form of a project, or a preliminary (working) option. When no assurance is required from the practitioner-accountant regarding the financial statements, choosing a compilation transaction saves time and money, and depending on the circumstances of the individual client, it may involve relatively less labor than review, and significantly less labor than audit.

მშენებლობის სექტორის ფინანსური მდგრადობის შეფასება საქართველოს მაგალითზე

დუშუაშვილი თათული
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი,

აბსტრაქტი

2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ, კორპორატიული ვალის დონე მსოფლიოში კვლავ ზრდას განაგრძობს, რაც შესაძლო საფრთხეს წარმოადგენს ნებისმიერი ბიზნესის მდგრადობისათვის. გაზრდილი ვალის თითქმის ნახევარი განვითარებად ბაზრებზე მოდის, რომლის მეოთხედიც არასაფინანსო კორპორაციების ვალს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ვალის ზრდა რიგ შემთხვევებში გულისხმობს კაპიტალის გლობალურ ბაზრებზე გაზრდილ წვდომას, ისტორიამ აჩვენა, რომ კორპორატიულ საბალანსო უწყისებში არსებულმა ვალის მაღალმა დონემ კაპიტალთან მიმართებაში, შეიძლება გამოიწვიოს ზარალი, გააძლიეროს ფულად სახსრებზე ზეწოლა და გაზარდოს ვალის მომსახურების ტვირთი. ამან, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს კრედიტუნარიანობის გაუარესება და მაღალი კორპორატიული დეფოლტი, რაც შეიძლება გავრცელდეს ფინანსურ სისტემაზე (Chow, 2015). შესაბამისად, რაც უფრო მნიშვნელოვანია ესა თუ ის სექტორი ეკონომიკისთვის, მით უფრო მნიშვნელოვანია მისი ფინანსური სიჯანსაღე და მდგრადობა.

2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა ნათლად დაანახა მსოფლიოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეკონომიკისთვის სამშენებლო სექტორის მდგრადობა და წარმატებული ფუნქციონირება (Sanders, 2008). სამშენებლო კომპანიების მხრიდან ჭარბი რისკების აღებამ, როგორც ვალის ტვირთის მხრივ (Brent, 2009), ასევე საცხოვრებელი ბინების ჭარბი მიწოდების მხრივ (Haughwout et al., 2013), ხელი შეუწყო აშშ-ს „უძრავი ქონების ბუშტის“ ზრდას, რომლის „გასკდომამაც“ ფინანსური ბაზრების კრახი გამოიწვია, რაც შემდგომში მსოფლიო ფინანსურ კრიზისში გადაიზარდა (Hellwig, 2009; Chen et al., 2010).

მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის სექტორი წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისათვის ერთ-ერთ მთავარ დარგს, მშენებლობის სექტორში საწარმოთა გადარჩენის მაჩვენებელი არც ისე მაღალია, რაც ქართული სამშენებლო კომპანიების მხრიდან რისკების მართვის გაუმჯობესების საჭიროებაზე მიუთითებს. წინამდებარე კვლევის მიზანია ქვეყნისთვის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, შეაფასოს სამშენებლო სექტორისა და სამშენებლო კომპანიების ფინანსური სიჯანსაღე, გადახდისუნარიანობა და მდგრადობა ეკონომიკური შოკების მიმართ.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური მდგრადობა, მშენებლობა, მგრძნობელობის ანალიზი.

ძირითადი ტექსტი

მშენებლობის სექტორის მიმოხილვა

სამშენებლო ინდუსტრია მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკის ზრდაში. საქსტატის თანახმად, 2010-2020 წლების მონაცემებით, მშენებლობის სექტორის წილი მშპ–ში საშუალოდ 7.7%-ია, ხოლო მშენებლობის სექტორის მთლიანი შიდა პროდუქტის (რეალურ ფასებში) წლიური საშუალო ზრდის ტემპი 6.3%. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის სექტორი წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისათვის ერთ-ერთ მთავარ დარგს (როგორც მასში შეტანილი წილის მოცულობით, ასევე სხვა სექტორების გამოშვებაზე მაღალი გავლენის ქონით), სექტორში საწარმოთა გადარჩენის მაჩვენებელი არც ისე მაღალია. საქსტატის მონაცემებით, მშენებლობის სექტორში საწარმოთა გადარჩენის მაჩვენებელი დაარსებიდან ხუთი წლის თავზე დაახლოებით 30%-ია.

ამასთან, მზარდი ტენდენციით ხასიათდება მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხების დინამიკა. 2010-2020 წლებში მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხების მოცულობა წლიურად საშუალოდ 21%-ით იზრდებოდა და მათი უდიდესი ნაწილი (საშუალოდ 78%) უცხოურ ვალუტაში იყო გაცემული. შესაბამისად ისმის კითხვა: ფინანსურად რამდენად მდგრადია ქვეყნის ისეთი მნიშვნელოვანი სექტორი როგორიცაა მშენებლობა და რამდენად შეუძლია მას გაუძლოს ეკონომიკურ შოკებს?

მონაცემები და მეთოდოლოგია

მშენებლობის სექტორის ყველაზე დიდი წილი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობაზე მოდის (49%). შესაბამისად, მოცემული კვლევა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობით დაკავებულ საწარმოთა გადახდისუნარიანობის ანალიზზე კონცენტრირდება. იმისათვის რომ შეგვეფასებინა დარგის მდგრადობა, შევეცადეთ გაგვეანალიზებინა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობის სექტორში 2020 წელს ფუნქციონირებადი თითქმის ყველა მსხვილი და საშუალო კომპანიის მონაცემი (ვინაიდან მათზე მოდის ჯამური ბრუნვის 60%) და მცირე კომპანიების ნაწილი.

კვლევის ფარგლებში განვიხილეთ ფირმების პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR), ანუ ფარდობა EBITDA-სა (მოგება ცვეთის ხარჯის, საპროცენტო ხარჯებისა და მოგების გადასახადის გამოქვითამდე) და ფირმების საპროცენტო ხარჯებს შორის, რათა შეგვეფასებინა თუ როგორია ფირმების შესაძლებლობები მოემსახურონ ვალს და როგორ შეიძლება მასზე გავლენა მოახდინოს მომავალმა შოკებმა. ფირმებს, რომელთა EBITDA ნაკლებია საპროცენტო ხარჯებზე, ანუ ICR ნაკლებია ერთზე, ზოგჯერ მოიხსენიებენ როგორც „ტექნიკური დეფოლტის“ ქვეშ არსებულ კომპანიებს (Klein and Murgasova, 2016) ან ფინანსური სირთულეების მქონე (financially distressed) კომპანიებს (Chivakul and Lam, 2015). ამ ფირმათაგან ბევრს შეუძლია გარკვეული დროით განაგრძოს არსებობა აქტივების გაყიდვის გზით, რათა დაფაროს სასესხო ვალდებულებები, მაგრამ თუ მათი ICR დარჩება ერთზე ნაკლები გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მათ საბოლოოდ ამოეწურებათ აქტივები და რეალურად გაკოტრდებიან.

სექტორის მდგრადობის შესაფასებლად დავაკვირდით სექტორის „რისკის ქვეშ არსებულ ვალს“, რომელიც განისაზღვრება როგორც ვალის ის მოცულობა, რომელსაც ფლობენ ფინანსური სირთულეების მქონე კომპანიები (Chivakul and Lam, 2015). საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობის სექტორის ფინანსური მდგრადობის შესაფასებლად, მოხდა „რისკის ქვეშ“ არსებული კომპანიების ჯამური ვალის სექტორში არსებულ ვალთან ფარდობის ცვლილების ანალიზი, მოგების, საპროცენტო შოკისა და გაცვლითი კურსის სხვადასხვა სცენარის რეალიზების პირობებში.

აღნიშნული სცენარებია:

1. შემოსავლის შოკი - ზომიერი სცენარის შემთხვევაში შემოსავალი იკლებს 5%-ით, ხოლო მკაცრი სცენარის შემთხვევაში 10%-ით.
2. საპროცენტო განაკვეთის შოკი - ზომიერი სცენარის შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი იმატებს 2 პროცენტული პუნქტით (პპ), ხოლო მკაცრი სცენარის შემთხვევაში 4 პპ-ით.
3. გაცვლითი კურსის შოკი - ზომიერი სცენარის შემთხვევაში ლარი უფასურდება 10%-ით, ხოლო მკაცრი სცენარის შემთხვევაში ლარი უფასურდება 20%-ით.

შედეგები

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 100 სამშენებლო კომპანიის მგრძნობელობის ანალიზი, მათი 2019 წლის ფინანსური ანგარიშგებებიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც აღებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (SARAS) ბაზებიდან. მგრძნობელობის ანალიზიდან მიღებული შედეგების თანახმად,

1. შემოსავლის შოკი - შედეგებმა აჩვენა, რომ ზომიერი სცენარის განვითარების შემთხვევაში, კომპანიათა შემოსავლების 5%-იანი ვარდნის შემთხვევაში, სამშენებლო კომპანიათა რისკის ქვეშ არსებული ვალის მოცულობა გაიზრდება 4%-ით, ხოლო მკაცრი სცენარის რეალიზების შემთხვევაში სამშენებლო კომპანიათა რისკის ქვეშ არსებული ვალის მოცულობა გაიზრდება 5%-ით.
2. საპროცენტო განაკვეთის შოკი - შედეგებმა აჩვენა, რომ ზომიერი სცენარის განვითარების შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთის 2 პპ-ით ზრდის დროს, სამშენებლო კომპანიათა რისკის ქვეშ არსებული ვალის მოცულობა გაიზრდება 4%-ით. მსგავსი შედეგი გვაქვს, მკაცრი სცენარის რეალიზების შემთხვევაშიც.
3. გაცვლითი კურსის შოკი - შედეგებმა აჩვენა, რომ ზომიერი სცენარის განვითარების შემთხვევაში, გაცვლითი კურსის 10%-იანი გაუფასურების დროს, სამშენებლო კომპანიათა

რისკის ქვეშ არსებული ვალის მოცულობა გაიზრდება 6%-ით, ხოლო მკაცრი სცენარის რეალიზების შემთხვევაში, გაცვლითი კურსის 20%-იანი გაუფასურების დროს, სამშენებლო კომპანიათა რისკის ქვეშ არსებული ვალის მოცულობა გაიზრდება 13%-ით.

შედეგების თანახმად, გაცვლითი კურსის შოკს ყველაზე დიდი გავლენა აქვს ქართულ სამშენებლო კომპანიათა გადახდისუნარიანობაზე.

დასკვნა

კვლევის ფარგლებში განხორციელდა მშენებლობის სექტორის მდგრადობის შეფასება 3 ტიპის ეკონომიკური შოკის მიმართ. შემოსავლისა და საპროცენტო განაკვეთის შოკი, რაც ხშირად გვხვდება ლიტერატურაში (Chivakul and Lam, 2015; Klein and Murgasova, 2016), როდესაც განხილულია კომპანიათა ფინანსური მდგრადობა და ქართული კომპანიებისთვის სპეციფიკური გაცვლითი კურსის შოკი, რაც განვითარებულ ქვეყნებში იშვიათად გვხვდება. საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, სამშენებლო სექტორზე გაცემული სესხის უდიდეს წილი, დაახლოებით 80%, უცხოურ ვალუტაშია გაცემული. შესაბამისად, სამშენებლო კომპანიების მნიშვნელოვანი ნაწილი არაჰეჯირებულია, რადგან მათი აქტივების ღირებულებას მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა განაპირობებს, რომელიც ეროვნულ ვალუტაშია გამოხატული. შედეგად, კურსის გაუფასურების შემთხვევაში, მათი ვალის ტვირთი იზრდება, ხოლო გადახდისუნარიანობა მცირდება.

მშენებლობის სექტორის მგრძნობელობის ანალიზმა დაგვანახა, რომ სამივე ეკონომიკური შოკს გავლენა აქვს სამშენებლო კომპანიათა ფინანსურ მდგრადობაზე, თუმცა მათი მგრძნობელობა სხვადასხვა შოკის მიმართ განსხვავებულია. კომპანიები ყველაზე ნაკლებ მგრძნობიარენი არიან საპროცენტო შოკის მიმართ, როგორც ზომიერი ისე მკაცრი სცენარის შემთხვევაში, ხოლო ყველაზე მგრძნობიარენი არიან გაცვლითი კურსის შოკის მიმართ და მათზე ყველაზე მძიმედ სწორედ გაცვლითი კურსის შოკის ეფექტი აისახება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Brent W. Ambrose, 2009, “Housing after the fall: reassessing the future of the American
2. dream”. Smeal College of Business. The Pennsylvania State University: 6.
3. Chen, Q., Gray, D., N'Diaye, P., Oura, H., Tamirisa, N. 2010. “International Transmission of Bank and Corporate Distress”. IMF Working Paper No. 10/124.
4. Chivakul Mali and Lam W. Raphael. 2015. “Assessing China’s Corporate Sector Vulnerabilities”. IMF Working Paper, WP/15/72.
5. Chow T.S. Julian, 2015. “Stress testing corporate balance sheets in Emerging Economies”. IMF Working Paper, WP/15/216.
6. Hellwig, Martin. 2009. “Systemic Risk in the Financial Sector: An Analysis of the Subprime-Mortgage Financial Crisis”. De Economist, vol. 157: 129–207.
7. Haughwout, A., R. W. Peach, J. Sporn, and J. Tracy. 2013. The supply side of the housing boom and bust of the 2000s. Chicago: University of Chicago Press: 8-10.
8. Klein and Murgasova, 2016, “Corporate Sector Vulnerabilities in Ireland”, IMF Working Paper, WP/16/211.
9. Sanders, Anthony. 2008. “The subprime crisis and its role in the financial crisis”. Journal of Housing Economics. Vol. 17: 254-261

The financial sustainability of the construction sector in the case of Georgia

Tatuli Dushuashvili
Ilia State University, Invited lecturer, PhD student

Summary

After the financial crisis of 2008, the level of corporate debt in the world continues to grow, posing a potential threat to the sustainability of the business. Nearly half of the increased debt comes from emerging markets, a quarter of which is debt from non-financial corporations. While debt growth in some cases implies increased access to global capital markets, history has shown that high levels of debt relative to equity in corporate balance sheets can lead to losses and increase debt service burdens. This, in turn, can lead to creditworthiness, debt default risks, and high corporate default, which can spillover to the financial system (Chow, 2015). Consequently, the more important the sector is to the economy, the more important is its financial sustainability.

Despite the fact that the construction sector is one of the main sectors for the country's economy, the survival rate of construction sector enterprises is not high in Georgia, which indicates the need of risk management improvement by Georgian construction companies. The goal of the study is to assess construction sector's and construction companies' financial health, solvency and sustainability to economic shocks by taking into account the country-specific characteristics.

The study assessed the resilience of the construction sector assuming 3 types of economic shocks. Income and interest rate shocks, which are often found in the literature, while discussing the financial sustainability of companies and the country specific exchange rate shock (according to the National Bank of Georgia, the largest share of loans to the construction sector, about 80%, is in foreign currency) which is rare in developed countries.

The sensitivity analysis of the construction sector showed that all the three economic shocks have an impact on the financial sustainability of construction companies, although their sensitivity to various shocks are different. Companies are the least sensitive to interest rate shocks, both in the case of moderate and severe scenarios, and most sensitive and hence mostly affected by the exchange rate shock.

საბანკო მომსახურეობების ხარისხის მართვის თეორიული საფუძვლები

მოხევიშვილი თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ცაავა გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ზემოთ აღნიშნულების საფუძველზე შემდეგი სახის **დასკვნების** გაკეთება არის შესაძლებელი:

მითითებულია, რომ მეთოდოლოგიური ინსტრუმენტის შემუშავება, რომელიც საკრედიტო ორგანიზაციაში მომსახურეობების მიწოდების ხარისხის ეფექტურად შეფასების შესაძლებლობას იძლევა, ბანკის მართვის სისტემის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. ხარისხის მაჩვენებლის გაზომვა და შეფასება ხდება როგორც კლიენტის ასევე ბანკის მხრიდან და ამისთვის შემუშავებულია კრიტერიუმები ქმნიან საბანკო მომსახურეობის ხარისხის შემადგენლებს. ცნება „ხარისხის" შინაარსის მიმართებაში განხორციელებული კვლევის გათვალისწინებით, საბანკო მომსახურეობის ხარისხი შეიძლება განსაზღვრული იქნას როგორც თვისებებისა და მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებიც მას საბანკო ოპერაციებში საკრედიტო ორგანიზაციის კლიენტებისათვის განპირობებული და სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობას ანიჭებენ.

აღნიშნულია, რომ იგი არა მარტო მომსახურების ხარისხის კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა, და ანალიზისათვის და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის ბაზას წარმოადგენს, არამედ მდგრადი და განვითარების მქონე ნებისმიერი საბანკო სისტემისათვის საჭირო უკუკავშირისაც უზრუნველყოფს. ასევე, საბანკო მომსახურეობის გაგება და შეფასება წარმოადგენს სავალდებულო წინაპირობას თანამედროვე კომერციული ბანკის გრძელვადიანი წარმატებისა. ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, რომელიც თანამედროვე მეთოდურ- ინსტრუმენტალური საშუალებების გამოყენებით სხვადასხვა მიდგომების საფუძველზეა აგებული, ბანკებში კორპორატიული მართვის განუყოფელი ნაწილია.

შეთავაზებულია, რომ მომხმარებლის მიერ საბანკო მომსახურების ხარისხის აღქმა მისი მოხმარების მომენტში ხორციელდება ორი მთავარი ასპექტების მიხედვით: რას ღებულობს მომხმარებელი საბანკო მომსახურებისგან (ხარისხის ტექნიკური ასპექტი) და როგორ ღებულობს მომხმარებელი საბანკო მომსახურეობას (ხარისხის ფუნქციონალური ასპექტი). ხარისხის აღქმის გასაზომად შეთავაზებულია SERVQUAL მოდელი, რომელიც მისი შემადგენელი 5 კოეფიციენტის მიხედვით ითვლის ხარისხის დონეს. SERVQUAL წარმოადგენს ერთადერთ კვლევით ინსტრუმენტს, რომელიც აკმაყოფილებს უნივერსალურობის მოთხოვნებს და ფართო თეორიულ საძირკველზეა დაფუძნებული.

საკვანძო სიტყვები: საბანკო კრედიტი, ოპერატიული საქმიანობა, ეფექტიანობა.

ძირითადი ტექსტი

ბანკის კონკურენტუნარიანობა და მისი პოზიცია ბაზარზე პირდაპირ არის დამოკიდებული მისი მომსახურეობების ხარისხზე, ბიზნეს-პროცესების ფორმალიზებასა და სტაბილურობაზე, კლიენტების დაკმაყოფილებასა და ნდობაზე. აღნიშნული განსაკუთრებულად აქტუალური ხდება ეკონომიკური არასტაბილურობისა და ფინანსური კრიზისის პერიოდებში. ამერიკელმა ეკონომისტები T. Perers და R Waterman აღნიშნავდნენ, რომ **„ხარისხი - ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი, მაგრამ ყველაფერი ხდება არაფერი ხარისხის გარეშე" [85].** აღნიშნული პოზიცია განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში საბანკო ბიზნესის თანამედროვე განვითარების მიმართებაში, რამდენადაც თუ საკრედიტო დაწესებულება თავიანთ კლიენტებს არ თავაზობს - არც ხარისხობრივ პროდუქტიულ ჩამონათვალს, არც მუშაობის თანამედროვე ტექნოლოგიებს, არც კაპიტალურ ბაზას, მას არ მიეცემა კონკურენტული პოზიციის შენარჩუნების შესაძლებლობა [84].

Price Waterhouse Group-ის მიერ განხორციელებულმა კვლევებმა გვიჩვენეს, რომ საბანკო

მომსახურეობისა და საბანკო მომსახურების მაღალი ხარისხი, კლიენტებისადმი განსაკუთრებული ყურადღება მთლიანობაში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს, რომლებიც მათ ბანკის კლიენტებად მრავალი წლის განმავლობაში დარჩენას და მისი სხვებისათვის რეკომენდირებას უღვივებენ [85, 86]. ევროპელი ბანკირები თვლიან, რომ საბანკო მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე კურსი თანამედროვე საკრედიტო ბაზრის განუყოფელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს.

ჩვეულებრივად საბანკო პროდუქტის ხარისხის კრიტერიუმები განიხილებიან ორი - კლიენტის და ბანკის პოზიციებიდან. **კლიენტის პოზიციიდან, ხარისხის კრიტერიუმებია**: მომსახურების სიჩქარე, ოპერაციების განხორციელების სიჩქარე, დოკუმენტაციაში სიზუსტე, შეცდომების არარსებობა, კონსულტირების ხარისხი, მუშაობის დრო, ტერიტორიული განთავსება და ავტოსადგომის შესაძლებ-ლობაც კი, ბანკის რეპუტაცია და ა.შ.; ბუნებრივია, რომ მომსახურეობის ხარისხი შედარდება მათ ფასებთან.

ბანკის პოზიციიდან (თვალსაზრისიდან), **ხარისხის კრიტერიუმებს** განსაზღვრავენ: ტექნოლო-გიური პროცესების სიჩქარე და შრომატევადობა, დანახარჯები, ხარჯები შეცდომების გასწორებასთან მიმართებაში, საბანკო მომსახურების შრომის ეფექტიანობა და მწარმოებლურობა, საკრედიტო და სხვა რისკები- შედარებით საბანკო პროდუქტების წარმოებაზე დანახარჯების დონესთან. საბანკო მომსახურეობების ხარისხის შემადგენელი ნახაზი 1,1-ზეა დაჯგუფებულები:

საკლიენტო ბაზის დიფერენციაციის საშუალება		კლიენტის მოზიდვის საშუალება		კლიენტის შეკავების საშუალება
		საბანკო მომსაურეობის ხარისხი		
ბანკის აღზრდის საშუალება				კლიენტის აღზრდის საშუალება

ნახაზი 1.1. საბანკო მომსახურეობების ხარისხის შემადგენლები

1) ხარისხი როგორც კლიენტთა ბაზის დიფერენციაციის საშუალება, ანუ უფრო ხარისხიანი პროდუქტი უფრო ძვირი ღირს.

2) ხარისხი როგორც კლიენტის მოზიდვის საშუალება განისაზღვრება საკრედიტო ორგანიზაციის ტექნოლოგიური და კომუნიკაციური „განსაკუთრებულობებით“.

3) ხარისხი როგორც კლიენტის შეკავების საშუალება დაკავშირებულია ბანკის მიერ კლიენტის წინაშე თავიანთი ვალდებულების სათანადო და დროულ გამოყენებასთან.

4) ხარისხი როგორც კლიენტის აღზრდის საშუალება, მიმართული კლიენტის ფინანსური განათლების დონის ამაღლებაზე, მის ცოდნაზე საბანკო მომსახურეობების გარკვეული პაკეტების მისთვის სარგებლიანობისა და აუცილებლობის მიმართებაში.

5) ხარისხი როგორც ბანკის „აღზრდის“ საშუალება.

საბანკო მომსახურეობების ხარისხის მართვის მსოფლიო გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი შეფასებისადმი მრავალი მიდგომა არსებობს. ასე, მაგალითად, ამერიკელი სპეციალისტი ე. დემინგი იკვლევდა საბანკო მომსახურეობის ხარისხს დინამიურ ასპექტში, ეხებოდა რა, როგორც ტექნოლოგიური პროცესების ხარისხს, ასევე თვით პროდუქტის ხარისხსაც. მეცნიერმა საბანკო მომსახურეობების ხარისხის მაჩვენებლების ანალიზის პროცესი შემოგვთავაზა განხორციელებული იქნას ოთხ ეტაპად [79]:

1. **დაგეგმვა (PLAN)** – დოკუმენტაციის მომზადება, მიზნებისა და ამოცანების თანმიმდევრულად განსაზღვრა.
2. **შესრულება (DO)** – შემუშავებული გეგმის რეალიზაცია და მის შესრულებაზე კონტროლი.

3. **შემოწმება (CHECK)** – მიღებული ეფექტის შედარება დაგეგმილთან.
4. **კორექტირება (ACT)** - რეაქცია გეგმის მიღებულ შედეგთან შეუსაბამობის შემთხვევაში.

ამრიგად, საბანკო მომსახურეობის გაგება და შეფასება წარმოადგენს სავალდებულო წინაპირობას თანამედროვე კომერციული ბანკის გრძელვადიანი წარმატებისა. ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, რომელიც თანამედროვე მეთოდიკურ- ინსტრუმენტალური საშუალებების გამოყენებით სხვადასხვა მიდგომების საფუძველზეა აგებული, ბანკებში კორპორატიული მართვის განუყოფელი ნაწილია.

ხარისხის გაზომვის ცნობილი მეთოდია SERVQUAL მოდელი, რომელიც 1985 წელს ა. პარასურამანის, ლ. ბერრის და ვ. ცაიტამლის მიერ იყო შემოთავაზებული [89]. მოცემული მოდელი წარმოადგენს ყველაზე უნივერსალურს და აქედან გამომდინარე, მომსახურეობების ხარისხის შეფასების პოპულარულ მეთოდიკას, რომელიც უცხოეთის პრაქტიკაში გამოიყენება.

მომხმარებლის მიერ საბანკო მომსახურების ხარისხის აღქმა მისი მოხმარების მომენტში ხორციელდება ორი მთავარი ასპექტების მიხედვით: რას ღებულობს მომხმარებელი საბანკო მომსახურებისგან (ხარისხის ტექნიკური ასპექტი) და როგორ ღებულობს მომხმარებელი საბანკო მომსახურეობას (ხარისხის ფუნქციონალური ასპექტი).

SERVQUAL მოდელის თანახმად საბანკო მომსახურეობის ხარისხის კვლევისადმი მიდგომის არსი შედგება ორი ნაწილისაგან: თავიდან მომხმარებლებს ხუთი ან შვიდ ბალიანი შკალის მეშვეობით (მთლიანად არ ვეთანხმები, მთლიანად ვეთანხმები) თხოვენ გამოთქვან თავიანთი მოლოდინები საბანკო მომსახურეობის ხარისხის ხუთი ზემოთჩამოთვლილი კრიტერიუმების მიმართებაში. ანკეტირების შედეგები უდარდებიან „Q“ ხარისხის ხუთი კოეფიციენტის გამოანგარიშების მიზნით:

1. Q - მატერიალურობა (ბანკის აღჭურვილობა: ორგტექნიკა, სადგომების ინტერიერები, პერსონალის გარე შეხედულება, ინფორმაციული მასალები).
2. Q - საიმედოობა (ბანკის მიერ შეპირებული მომსახურეობის ზუსტად, საფუძვლიანად და ვადაში შესრულება).
3. Q - გულშემატკივრობა (მომხმარებლისათვის დახმარების გულწრფელი სურვილი და ბანკში სწრაფი მომსახურება).
4. Q - დარწმუნებადობა (კომპეტენტურობა, პასუხისმგებლობა, ბანკის მომსახურე პერსონალის თავაზიანობა).
5. Q - თანაგრძნობა (მზრუნველობის გამოხატვა და ინდივიდუალური მიდგომა საბანკო მომსახურეობის მომხმარებლისადმი).

ხარისხი „Q“ ხუთი კოეფიციენტი - ხარისხის მდგომარეობის ციფრულ გამოხატულებას წარმოადგენენ. ხარისხის „Q“ ხუთი კოეფიციენტიდან თითოეული იზომებიან 4-5 ქვეკრიტერიუმებით. ამრიგად, ხარისხის „Q“ ხუთი კრიტერიუმი დაყოფილია მთლიანობაში 22 ქვეკრიტერიუმად. აღნიშნული 22 ქვეკრიტერიუმი გაიანგარიშება - აღქმის 22 მიღებული რეიტინგებიდან მოლოდინის 22 მიღებული რეიტინგების გამოქვითვის გზით. შემდეგ ისინი საშუალო მნიშვნელობების მეთოდის მეშვეობით ჯგუფდებიან ხარისხი „Q“ ხუთ კოეფიციენტად.

რა თქმა უნდა, მეთოდი SERVQUAL, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა მარკეტინგის მსოფლიო (მეტი წილით ამერიკულის) თეორიაში, მთელი რიგი პროგრესული სრულყოფა განიცადა და განვითარდა მრავალ ანალოგიური მეთოდში, ზოგიერთებს რომელთაგან, რიგი თავიანთი ნიშან-თვისებების მიხედვით, გააჩნიათ ბუნებრივი უპირატესობები საბაზო მეთოდისადმი მიმართებაში. მეთოდიკა SERVQUAL ხშირად გამოიყენება როგორც საფუძველი მომსახურეობების ხარისხის შეფასების სხვა მეთოდიკების შემუშავებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ასათიანი ვლ., ცაავა გ. – კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). – თბილისი, გამომცემლობა „დანი“ 2014, – 500გვ.
2. ბურდიაშვილი რ. - ფინანსური აღრიცხვა ბანკებში, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა შპს „პოლიგრაფისტი“, 2013. – 264 გვ.
3. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა -

სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა შპს „სეზანი“, 2014. – 548 გვ.
4. ცაავა გ., ხანთაძე გ. - „საბანკო საქმე“ (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღ. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014. – 600 გვ.
5. Батракова Д.Г. – Экономический анализ деятельности коммерческого банка: Учебник для вузов. – Москва: Логос, 2005. – 368 с.
6. 6.Татаркулова Р.А. – Методы и инструменты првышения качества банковских услуг кредитных организации региона, диссертация на соискание ученой степени кандидата экономических наук.- Ставрополь, 2010. – С. 155.
7. Benston G.J., Smith C.W. – A transaction cost approachnto the theory of financial intrermediation II J. Finance, 1976, may.

Theoretical Foundations of Banking Service Quality Management

Mokhevishvili Tamar
PhD student of Georgian Technical University

Tsaava Giorgi
Professor of Georgian Technical University

Summary

1. It is indicated that the development of a methodological tool that enables the effective assessment of the quality of service delivery in a credit organization is an important element of the bank's management system. The quality indicator is measured and evaluated by both the client and the bank, and criteria are developed for this, forming the components of the quality of banking services. The concept of "quality" In terms of research on the content of "quality", the quality of banking services can be defined as a set of features and characteristics that enable it to meet the future and future requirements of the credit organization's clients in banking operations.

2. It is stated that it not only enables the implementation of quality control of services, and is the basis for analysis and management decisions, but also provides the necessary feedback for any sustainable and developing banking system. Also, understanding and evaluating banking services is a prerequisite for the long-term success of a modern commercial bank. The quality management system, which is based on different approaches using modern methodological-instrumental tools, is an integral part of corporate governance in banks.

3. It is suggested that the perception of the quality of banking services by the customer at the time of its consumption is based on two main aspects: what the customer receives from the banking service (technical aspect of quality) and how the customer receives banking services (functional aspect of quality). A SERVQUAL model is proposed to measure quality perception, which calculates the quality level according to its 5 coefficients. SERVQUAL is the only research tool that meets the requirements of universality and is based on a broad theoretical foundation.

შიდა აუდიტის სტანდარტების დანერგვა საქართველოში

ჟვანია გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია, ერთი მხრივ, საქართველოში შიდა აუდიტის სტანდარტების დანერგვის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მეორე მხრივ, რამდენად შეესაბამება შიდა აუდიტის საქმიანობა საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებს როგორც სამართლებრივად ისე პარაქტიკაში.

კვლევის საგანია შიდა აუდიტის საქმიანობაში არსებული თეორიული, პრაქტიკული და მეთოდური პრობლემების ერთობლიობა. კვლევის ობიექტად გვევლინება ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, ადგილობრივი თვითმმართველობის შიდა აუდიტის ერთეულები.

კვლევის პროცესში გამოყენებულია შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის (IIA) მასალები, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებული კანონები და ნორმატიული აქტები, შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (IPPF), უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) სახელმძღვანელოები და სტანდარტები საჯარო სექტორისათვის; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის (CHU) მეთოდოლოგიები და ანგარიშები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პუბლიკაციები.

საჯარო სექტორი მოიცავს დაწესებულებებს, რომლებიც მოქალაქეებს აწვდიან სხვადასხვა მომსახურებას, რაც დადგენილია საჯარო პოლიტიკითა და კანონმდებლობით. მთავარი მახასიათებელი, რაც განასხვავებს ორგანიზაციებს, როგორც საჯარო სექტორს არის ის, რომ მათ ევალებათ ემსახურონ, დაიცვან და ხელი შეუწყონ საზოგადოებრივ კეთილდღეობას. დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებში მოქალაქეები ირჩევენ მმართველობას, ანიჭებენ მათ ძალაუფლებას და აწვდის სახსრებს სახელმწიფო გადასახადებისა და ადგილობრივი გადასახადების მეშვეობით სხვადასხვა მომსახურების მიწოდებისა და განხორციელებისთვის. თანხები ნაწილდება სუბსიდიების, გრანტების ან/და ფინანსური ტრანსფერების (გრძელვადიანი სესხები ან წილობრივი წილი) მეშვეობით. ამრიგად, მოქალაქეები არიან პირველადი დაინტერესებული მხარეები საჯარო სექტორის ორგანიზაციებში და საჯარო სერვისები უნდა იყოს უზრუნველყოფილი საზოგადოების დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალის-წინებით. ხოლო თანამდებობის პირები და ორგანიზაციები, პასუხისმგებელნი არიან იმაზე, თუ როგორ იხარჯება თანხები.

სწორედ კარგი მმართველობა გულისხმობს მონიტორინგს, ხორციელდება თუ არა მომსახურება და დაგეგმილი პროგრამები სრულდება თუ არა ეფექტურობით და ხდება თუ არა დასახული მიზნების მიღწევა.

საკვანძო სიტყვები: შიდა აუდიტი, სტანდარტები, ადგილობრივი თვითმმართველობა.

ძირითადი ტექსტი

კარგი მმართველობა, როგორც წესი, მოიცავს სტრატეგიის ჩამოყალიბებას, ზედამხედველობის უზრუნველყოფას და ეთიკის დანერგვას ორგანიზაციებში. შიდა აუდიტი ხელს უწყობს კარგ მმართველობას საჯარო სექტორში. შიდა აუდიტორები უზრუნველყოფენ გარანტიას, რომ საჯარო დაწესებულებებმა ეფექტიანად შეასრულონ მათ წინაშე არსებული სამართლებრივი და ეთიკური ვალდებულებები. შიდა აუდიტი სვთავაზობს გზებს მმართველობას, რისკების მართვისა და კონტროლის პროცესების გასაუმჯობესებლად[1].

თავდაპირველად საქართველოში შიდა აუდიტის ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობას საფუძველი ჩაეყარა 2007 წელს ევროკომისიასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულების - „საქართველოს ფინანსური მართვის რეფორმის მხარდაჭერა“

[1] https://iia.no/wp-content/uploads/2019/11/2019-PG-Unique-Aspects-of-Internal-Auditing-in-the-Public-Sector.pdf

ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებით. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, 2009 წლის ივნისში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადდა კანონპროექტი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“, რომელიც მოგვიანებით, 2010 წლის 3 მარტში დამტკიცებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ. გარდა ამისა, 2014 წელს დაიდო ასოცირების შეთანხმება „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“, რომლის V კარის მე-2 თავში გაწერილია საჯარო ფინანსების მართვისა და შიდა კონტროლის სფეროში მისაღწევი ამოცანები, რომელიც მოიცავს ფუნქციონალურად დამოუკიდებელი შიდა აუდიტის სუბიექტების ფუქციონირებას მთელს საჯარო სექტორში.

შიდა აუდიტი არის დამოუკიდებელი და ობიექტური მარწმუნებლობის და საკონსულტაციო საქმიანობის გამწევი, რომელიც შექმნილია დაწესებულებისთვის დამატებითი სარგებლის და მისი საქმიანობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. რისკის მართვის, კონტროლის და მმართველობის პროცესის ეფექტურობის შეფასების და გაუმჯობესების სისტემური და დისციპლინირებული მიდგომების შემუშავებით, ის ეხმარება დაწესებულებას დასახული მიზნის მიღწევაში.

დღეის მდგომარეობით, საჯარო დაწესებულების უმეტეს ნაწილში შიდა აუდიტის სუბიექტები ძირითადად ატარებენ შესაბამისობის და ფინანსური აუდიტებს. მოქმედი კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შიდა აუდიტის სუბიექტი ვალდაებულია ჩაატაროს სხვა სახის აუდიტები, მაგალითად ეფექტიანობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტები. ამასთანავე, აუცილებელია შემუშავებულ იქნეს აღნიშნული აუდიტების მეთოდოლოგია, რაც შეუწყობს ხელს აღნიშნული აუდიტების განხორციელებას შიდა უადიტის სუბიექტების მიერ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შიდა აუდიტის სუბექტი ვალდებულია მარწმუნებელი საქმიანობის გარდა განახორციელოს საკონსულტაციო მომსახურება. საკოსულტაციო მომსახურება წარმატებით გამოიყენება ევროპის ქვეყნებში. მარწმუნებელი საქმიანობისგან საკონსულლტაციო მომსახურება იმით განსხვავდება რომ ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს რჩევას კლიენტების სპეციფიკური მოთხოვნების შესაბამისად. ხოლო მარწმუნებელი საქმიანობა უზრუნველყოფს დამოუკიდებელ აზრს მტკიცებუ-ლებების ობიექტური შეფასების საფუძველზე. ამდენად, საკონსულტაცო მომსახურებასთნ მიმართებით მნიშვნელოვანია აუდიტის მოთოდოლოგიაში და შიდა აუდიტის სუბექტების დებულებებში გაიწეროს აღნიშნული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

საჯარო დაწესებულებებში მოქმედი ცალკეული შიდა აუდიტის სუბიექტები აუდიტის გარდა ასევე გააჩნიათ ინსპექტირების ფუნქციაც. რაც აუცილებლად უნდა იყოს გამიჯნული შიდა აუდიტის ფუნქციისგან.

ინსპექტირების ფუნქცია დაკავშირებულია ხელმძღვანელობასთან და იგი ხელმძღვანელობის დავალებით ახორციელებს გამოძიებებს, კონტროლს და გადამოწმებას. ვინაიდან ინსპექტირება არის მენეჯერული პასუხისმგებლობის ნაწილი, ის არ უნდა გამოიყენებოდეს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შეფასების მიზნით. აღნიშნული წარმოადგენს შიდა აუდიტის ფუნქციას.

ასევე საინტერესოა ის რომ ცალკეულ მუნიციპალიტეტბში შეიქმნა ანტიკორუფციული რისკების მეთოდოლოგია, რაც უზრუნველყოფს კორუფციის რისკების შეფასებას მუნიციპალიტეტის სისტემაში. ამ მხრივ ვფიქრობ, რომ კორუფციული რისკების შემცირების/აღმოფხვრის კუთხით შესაძლებელია გამოყენებული იყოს ინსპექტირების ფუნქცია, როგორ ამ პროცესის კოორდინატორი.

კანონმდებლობაში აუცილებელია ცვლილება შევიდეს შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის გამჭვირვალობის კუთხით, კერძოდ, სავალდებულო გახდეს შიდა აუდიტის სუბიექტების ანგარიშების საჯარო გამოქვეყვება. აღნიშნული შესაძლებელს გახდის შიდა აუდიტის როლის აღქმას საზოგადოებაში და ასევე მისი საქმიანობის ეფექტურობას შეუწყობს ხელს.

დასკვნა

შიდა აუდიტის სტანდარტების დანერგვა საქართველოში დადებითი მოვლენაა და საჯარო სექტორში კარგ მმართველობას უწყობს ხელს, ამავდროულად ზრდის მმართველობითი პროცესების ეფექტურობას. შიდა აუდიტი სვთავაზობს გზებს მმართველობას, რისკების მართვისა და კონტროლის პროცესების გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან ზემოთ გატარებული ღონისძიებებისა არსებობს რიგი ფაქტორები რომლის გათვალისწინებაც კიდევ უფრო ეფექტურს გახდის შიდა აუდიტს საჯარო სექტორში, უზრუნველყოფს კიდევ უფრო კარგ მმართველობას.

იმისათვის რომ შიდა აუდიტის საქმიანობა შეესაბამებოდეს საერთაშორის სტანდარტებს აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გაატარება, კერძოდ შიდა აუდიტის სუბიექტებში აუცილებელია დაინერგოს აუდიტის კომიტეტის ინსტიტუტი, ასევე შიდა აუდიტი გახდეს უფრო დამოუკიდებელი ცალკეულ დაწესებულებებში, შიდა აუდიტის საქმიანობა მისი ანგარიშები გახდეს საჯარო, მოხდეს საჯარო სექტორის შიდა აუდიტორების სერტიფიცირება ასევე აუცილებელია შიდა აუდიტის სუბიექტებმა განახორციელონ მოქმედი კანონმდებლობით და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული აუდიტის ყველა სახის შემოწმებები, განსაკუთრებით ეფექტიანობის აუდიტი და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი. ამასთან, აუცილებელია გაიზარდოს შიდა აუდიტის სუბიექტებში შრომითი რესურსები, ასევე შეიქმნას შიდა აუდიტის სუბიექტებისათვის ერთიანი ელექტრონული სისტემა, რომელიც სიტემატიზებულს გახდის და ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ 26.03.10 №2839–Iს;
2. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის N593 დადგენილება „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
3. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის N1016 დადგენილება „შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“;
4. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის N1015 დადგენილება „შიდა აუდიტის სტანდარტების დამტკიცეის შესახებ“;
5. შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები 19 ოქტომბერი, 2010 წელი, შიდა აუდიტორთა ინსტიტუტი (The IIA).

Introducing the Internal Audit Standards in Georgia

Giorgi Zhvania
PhD student of Georgian Technical University

Summary

The aim of the paper is, on the one hand, to obtain the information on the introduction of internal audit standards in Georgia and, on the other hand, how relevant is internal audit activities with local and international standards, both legally and in practice.

The subject of the paper is the combination of theoretical, practical and methodological problems in internal audit activities. The local and international experts, as well as local self-government audit units act as the objects of the paper.

The materials of the Institute of Internal Auditors (IIA), laws and regulations adopted by the legislative and executive bodies of Georgia, International Standards on Internal Auditing (ISIA), guidelines and standards of International Organization of Supreme audit Institutions (INTOSAI) for public sector, as well as the methodologies and reports of Center for Harmonization Unit of the Ministry of Finance of Georgia have been used during the survey.

Internal Auditing activity

Nino Pailodze
Professor of Georgian Technical University

Gudrun Nahrendorf
Landscape Architect, Germany

Nino Taruashvili
PhD Degree in Business Administration

Giorgi Zhvania
PhD student of Georgian Technical University

Abstract

Issues related to the introduction of internal audit standards, still inefficiently covered in specialized scientific literature. Thus, the effectiveness of internal audit in Georgia and current challenges, require more assessment, research, and study. Given paper introduces internal audit standards in Georgia and explains relevancy of the work of audit with local and international standards.

From our point of view, the following measures should be observed, to achieve the relevancy and compliance of internal audit work with international standards. Namely, the auditing committee institute must be established, within the internal audit entities. In addition, the internal audit should become more independent inside the institutions. The activities of an internal audit and its report must become public. It is equally important to ensure, that all auditors of internal audit are certified.

Furthermore, the internal audits are obliged to perform all kinds of inspections, especially those related to the effectiveness and IT audits, according to standing law and international standards. It is also necessary to increase the labor resources (increase professional level, expertise, capacities, and skills) among the internal audits; create an integrated, systematic electric system ensuring the establishment of joint practice. Therefore, good governance ensures provision of the monitoring system, responsible for proper implementation of services and programs, as well as the achievement of goals.

Keywords: audit, public sector, sustainable development, audit standards, internal audit.

Basic text

The good governance, as a rule, includes the establishment of a strategy, ensuring effective supervision and the development of work ethic within the organization. The internal audit is responsible on the execution of good governance in public sector. Furthermore, it promotes effective implementation of legislative and ethical commitments of public institutions. The internal audit introduces ways ensuring good governance, risks reduction and effective management.

The following are the steps for internal auditing developement: preparation of strategic and annual reports, development of individual auditing inpection plan.

The internal auditing strategic plan outlines the strategic goals, directions and priorities in relations to the risks faced by the institution. It represents the foundation for development of annual report. This strategic plan should be based on pre-defined internal auditing nature. In other words, a set of structural units /processes, subject to internal auditing of institution.

Since, the nature of internal auditing is defined and a 3-year strategic plan for risk-based internal audit is developed, an annual internal audit plan is prepared, that sets out the specific internal auditorial inspections. Strategic and annual plans are developed by the head of internal audit entity and approved by the head of the institution. The individual plan of the audit is approved by the head of internal audit entity.

According to "Law of Georgia on Public Internal Financial Control", prior to each internal audit, the head of internal audit entity prepares and approves the individual internal audit plan, which defines the scope of internal audit, specific tasks, their duration and allocation of resources. Furthermore, the methods, techniques to be used in internal audit, as well as the type of audit.

In order to carry out their activities effectively, the internal auditors need the organizational independence from the management of the entuty, so that they have unrestricted access to the activities of management and staff, are able to identify risks, evaluate procedures and fully perform the internal audit activities.

According to the "Law of Georgia on State Internal Financial Control", the internal audit entity is directly subordinates to the head of entity and is a functionally independent unit. The head of entity is responsible for ensuring

the independence of the internal audit entity in the process of planning, implementation, reporting and monitoring the implementation of recommendations. Thus, the internal audit activities should be free from interference in the definition of the audit world (list of objects / processes to be audited), in the performance of the work, and in the process of agreeing on the results.

Aiming to ensure the independence for internal audit, internal auditors report only to the head of internal audit entity.

Any constraints, that prevent the internal audit from being conducted independently and effectively, or create a precondition for the occurrence of this threat, should be considered as a significant obstruction. Accordingly, the head of internal audit entity is obliged to inform the head of institution about this in order to take appropriate measures to ensure the recurrence of similar obstacles.

Objectivity can be defined as the skill and capacity to define a situation/process without being influenced by emotional and personal factors. To achieve the same goal, internal auditors should also try to avoid conflicts of interest, while carrying out their activities.

Conflict of interest is a circumstance, in which the internal auditor has a competitive, professional or personal interest. Such competing interests can complicate the impartial performance of the internal auditor's obligations. Conflicts of interest can exist, even without unethical or inappropriate actions.

Conflicts of interest is able to rise the misperceptions, which may lead to a loss of the confidence of internal auditor, his /her profession and the internal audit entity. Conflicts of interest can impair the ability of internal auditor, to perform his or her duties and responsibilities objectively.

In addition to conflicts of interest, the degree of internal auditor objectivity may also be compromised by a variety of factors. Typical factors include:

- Self-examination, when the auditor checks himself his own work;
- External pressure, when there is an impact on the internal auditor, for example from the auditee or other members of audit team;
- Economic interest, e.g. from incentive payment or the activities of a person in an internal audit activity that may influence the payment of an internal auditor;
- Personal relationships when the internal auditor is a relative or friend of an auditor or supervisor. Friendships can also result from a long-term relationship with the auditee.
- Working in audit entity in the past;
- Recognized stereotypes, stipulated by the deliberate opinions or creation of a specific partial representation in the audit process;
- A situation, when the internal auditorial activtiies include both assurance and advice, ie the internal auditor verifies the results of his or her own activities.

Internal Auditing Inspection is carried out on the following basis: identification, collection, analysis, evaluation and documentation.

The inspection includes the following steps:

a) Audit planning;
b) Audit impelemenation;
c) Reporting;
d) Monitoring of issued recommendations;

The types of internal audit are the following:

e) Systemic Audit;
f) Complianace Audit;
g) Efficiency Audit;
h) Financial Audit;
i) AudiT of informative Technologies.

Most of internal audits, operating in Georgia, do not carry out such audits as, efficiency audit and audit of informative technologies. Any methodologies in terms of mentioned ones, are not still developed.

The internal audit entity should prepare an internal audit report, a monitoring report on the implementation of the issued recommendations and the annual report. The Internal Audit Report is an official document, that outlines the results of the internal audit and contains relevant recommendations to improve the quality of management and control environment. The report reflects the independent and objective opinions of the internal auditor regarding the activities of the internal audit activity.

Each year, at the end of January, the Head of Internal Audit submits the annual report to the Head of the Entity

and the Unit of harmonization Center. The annual report covers various issues describing the activities, progress and results of internal audit work. In case of municipality, the annual report is submitted only to the Mayor and may also be submitted to City Council.

Monitoring the execution of isssued recommendations, made during the internal audit is also one of the key phase. Before the deadline for implementation of recommendations for the audited entity, the internal audit office prepares a monitoring report, reflectin the extention to which the entity complies with the recommendations.

I consider, that the annual report should become public, in order to provide the information to citizens, in particular to civil society, about the activities of the internal audit entity and also, to sew what are the gaps in the institution. In this regard, it is advisable to reflect in the legislation, as an requirement to publish the report publicly. This will help to increase the efficiency of the internal audit entity.

Conclusion

The introduction of internal audit standards in Georgia is a positive step, supporting the good governance while extending the efficiency of administrative procedures. The internal audit is able to offer the ways of improving to the government, risk management and control processes.

Despite the above measures taken by the state, there are a number of factors that will make internal audit in the public sector even more effective, ensuring even better governance.

In order to comply the internal audit work with international standards, it is necessary to take the following measures: In particular, the institute of Audit Committee has to introduced, as well as the internal audit should become more independent in separate institutions. The entities shall carry out all types of audits provided in accordance with applicable law and international standards, in particular the performance and information technology audits. At the same time, it is necessary to extend the number of labor resources in internal audit entities, create an integrated electronic system, which makes it more systematized and facilitate the establishment of joint practice.

Used Literature

1. “Law of Georgia on State Internal Financial Control” 26.03.10 №2839;
2. Resolution N:593 of the Government of Georgia, of December 26, 2016, "On Approval the Internal Auditing Methodology";
3. Resolution N1016 of the Government of Georgia, of July 30, 2010 "On Approval the Code of Ethics for Internal Auditors";
4. Resolution N1015 of the Government of Georgia of July 30, 2010 "On Approval of Internal Audit Standards"
5. International Standards of Professional Practice for Internal Auditor Practice, October 19, 2010; The Institute of Internal Auditors (The IIA)
6. Sustainable development: what is the role of audit? Hairul nizam yusoff, ahmad fariz mohamed and abdul samad hadi. Journal of sustainability science and management volume 11 number 1, june 2016: 99-112. Issn: 1823-8556
7. https://sirc.idi.no/document-database/documents/academic-articles/55-sustainable-development-what-is-the-role-of-audit/file

შიდა აუდიტორული საქმიანობა

ნინო ფაილოძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

გუდრუნ ნაჰრენდორფი
ლანდშაფტის არქიტექტორი, გერმანია

ნინო ტარუაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

გიორგი ჟვანია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის ფართოდ გაშუქებული შიდა აუდიტის სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებული საკითხები. ამრიგად, შიდა აუდიტის ეფექტურობა საქართველოში და არსებული გამოწვევები მოითხოვს მეტ შეფასებას, კვლევას და შესწავლას. მოცემულ ნაშრომში გაანალიზებულია შიდა აუდიტის სტანდარტები საქართველოში და აუდიტის მუშაობის შესაბამისობა ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან.

მნიშვნელოვანია შიდა აუდიტის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. კერძოდ, შიდა აუდიტი უფრო დამოუკიდებელი უნდა გახდეს. შიდა აუდიტის საქმიანობა და მისი ანგარიში საჯარო უნდა იყოს. თანაბრად მნიშვნელოვანია შიდა აუდიტის ყველა აუდიტორის სერტიფიცირების უზრუნველყოფა.

შიდა აუდიტი ვალდებულია განახორციელოს ყველა სახის შემოწმება მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასევე აუცილებელია შიდა აუდიტებს შორის პროფესიული დონის, ექსპერტიზის, შესაძლებლობებისა და უნარების ამაღლება; ინტეგრირებული, სისტემატური ელექტრო სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ერთობლივი პრაქტიკის დამკვიდრებას. შესაბამისად, კარგი მმართველობა უზრუნველყოფს მონიტორინგის სისტემის უზრუნველყოფას, რომელიც პასუხისმგებელია როგორც სერვისებისა და პროგრამების სწორად განხორციელებაზე, ასევე მიზნების მიღწევაზე.

Sustainable public procurement and the Most Economically Advantageous Tender

Beáta Fehérvölgyi
Professor, University of Pannonia, Faculty of Business Economics, Hungary

Viktória, Csizmadiáné Czuppon
Professor, University of Pannonia, Faculty of Business Economics, Hungary

Nino Chachava
Professor of Georgian Technical University

Malkhaz Sulashvili
Associate Professor of Georgian Technical University

Gocha Nadiradze
PhD student of Georgian Technical University

Abstract

I have established a position on a strategic tool for increasing the efficiency of public finances as state organizations, the regulation of the procurement market and its sustainable development. In the context of the compatibility of selected qualitative, social and environmental objectives, in order to develop an effective strategy, certain conclusions and future plans are proposed, which aim to develop and implement the criteria of the most economically advantageous bid at the time of procurement.

A more active integration of modern technologies into the public procurement system will make possible to support lifelong components of products and services. This is recommended not only by the need to implement the components of sustainability, but also by ensuring the quality of the final result. For this, the use of industry oriented management and communication systems is promising. In the field of construction and design, it is possible to use BIM technology integrated into the public procurement platform, which will include additional criteria specific to the field activity, related not only to labor protection, ecology, safety, gender equality and economic optimization, but also quality management and life cycle mechanism. As a result of this approach, we will get the most stable processes - calculated in detail in time and space; a well organized and planned system where economic optimization and a healthy environment will be considered in the context of quality and life cycle extension.

Keywords: state procurement, effective funcionality, competition, sustainable public procurement; state procurement management system.

Basic text

considering the efficiency of the public procurement system in terms of efficiency requires consideration of such elements as: objectives, decision-makers, methods of achievement of the objectives, characteristics of the entities involved in the process. In this regard, the public procurement system provides:

- Functioning of the decision-making centers, which can formulate clear, mutually agreed objectives, however at the same time it can evaluate the effectiveness of their implementation;
- Creation of a system aimed at maximizing the effects, achieving the objectives at the expense of minimization of the resources;
- Minimization of the above costs refers to application of the technological instruments in the public procurement process.

The EU states are different in terms of efficiency of the public procurement market. Overall efficiency of their public procurement reflects the key aspects of the procurement market in the EU states and is the sum of the points of twelve separate indicators that collectively evaluate competition in the public procurement market, availability, transparency, participation of small companies and data quality. The most efficient public procurement markets are those of England, Croatia, Denmark, Estonia, France, Sweden, Finland and Iceland. The public procurement markets of Greece, Italy, Cyprus, Portugal, etc. are characterized by low efficiency (Please see the table below).

High efficiency	Medium efficiency	Low efficiency
Above 3 points	Between 3 and -3 points	Below -3 points
UK, Croatia, Denmark, Estonia, France, Sweden, Finland, Iceland	Ireland, Lithuania, Poland, Latvia, Czech Republic, Luxembourg, Austria, Slovakia, Hungary, Belgium, Germany, Netherlands	Cyprus, Romania, Portugal, Bulgaria, Spain, Italy, Slovakia, Greece

Table 1. Evaluation of the effectiveness of the public procurement market in the EU in 2018[1]

[1] European Commission. Single Market Scoreboard. Public Procurement 2018. URL: https://ec.europa.eu/internal_market/scoreboard/performance_per_policy_area/public_procurement/index_en.htm#performance

For the purpose of creation of a new type of European economy (innovative, sustainable, competitive, resource and energy-efficient, environmentally friendly and socially oriented), the EU has drafted a strategy for the purpose of improvement of public procurement, aimed at improvement of public procurement practices focused on 6 main directions (please see the figure 1).

Figure 1. Strategy of improvement of state procurements in the EU

By signing the Association Agreement with the European Union, Georgia has committed itself to promotion of sustainable development[1] and has emphasized the importance of trade-related labor and environmental issues, for the benefit of current and future generations. This commitment includes, *inter alia,* promotion of development of international trade for fulfillment of the key objectives of sustainable development.[2] International commitments imposed under the Association Agreement include, *inter alia*, implementation of national sustainable public procurement law in practice. What is sustainable public procurement? Sustainable public procurement is defined as the process by which the organizations meet their own needs regarding goods, services, labor and utilities in a way that achieves the cost-effectiveness throughout the life cycle, that benefits not only the contracting authority but also the society and the economy, and therefore causes minimal damage to the environment.[3] In addition to the environmental dimension, sustainable public procurement also considers the social and economic aspects:

- Economic factor is related to application of the methodology for calculation of the total life cycle cost. Procurement should be efficient, which implies acceptance of the most economically advantageous bid;

- Social factor includes protection of social equality, different social groups, protection of human rights and the principles of labor law;

- Environmental factor includes air, water and soil emissions, climate change, biodiversity, proper use of natural resources throughout the entire life cycle of the procurement object.

Conclusion

Therefore, sustainable public procurement aims to achieve the proper balance between three pillars of

[1] Sustainable Development Goals (SDGs), also known as the global Goals, were developed by the United Nations in 2015 as a tool to fight poverty, to protect the planet and to ensure that by 2030, all people can live in peace and prosperity. Additional information is available at: https://www.undp.org/sustainable-development-goals [23.08.2021]

[2] The Ordinance No. 2328 of the Government of Georgia On the National Document on Sustainable Development Goals, dated November 12, 2019, approved the National Document on Sustainable Development Goals, which aims to promote sustainable development and to introduce the evidence-based national policies in accordance with the 2030 Agenda.

[3] Source Procuring the Future – the report of the UK Sustainable Procurement Task Force, June 2006. Definition of sustainable public procurement is developed by Marrakech Task Force.

sustainable development - economic, social and environmental aspects.[1]

The question is - why sustainable public procurement? Sustainable development requires the contracting authorities to take social, economic and environmental aspects into account in implementation of their powers and responsibilities, so that none of the above aspects are dominant and the balance is maintained. The contracting authorities have the ability to apply to sustainable public procurement criteria at any stage of procurement, ranging from market research to contract performance monitoring. However, each procurement provides a potential opportunity to promote and encourage sustainable development. Rational, responsible, sustainable development-oriented budget spending by the contracting authorities will become an example for economic operators to pursue sustainable policies, environmental and social goals. In economic terms, sustainable public procurement has the potential to reduce the costs and to improve technology, as long as the entire life cycle cost is taken into account and the better-quality goods last longer. Consequently, sustainable public procurement may become the main driver of innovation and a real indicator of the distribution of sustainable products, goods, works and services in the market.

For more than a decade, the developed economies have recognized the potential for public procurement as an opportunity to set even larger-scale political goals. For achievement of these ambitions, it is necessary to rationalize procurement practices and to separate them from a purely economic aspect. The MEAT (most economically advantageous tender) approach enables the public authorities to evaluate the bids not only on the basis of price or value criteria, but also on other aspects, including qualitative, environmental or social aspects. Inclusion of these additional determinants is based on the extensive opinion that focusing solely on strict economic efficiency may not provide the most desirable results.

Despite the applicable EU Directives on public procurement, public procurement legislation in Georgia does not define the best bid criteria for large-scale use of qualitative, environmental or social dimensions. In this context, the public procurement service needs to develop a detailed rule for description of the best bid criteria and implementation of such a strategy that ensures the effective application of the MEAT criteria.

Used Literature

1. Sulashvili Giorgi, Nadiradze Gocha, “Establishment of public procurement system in Georgia”, XXX International Scientific and Practical Conference, Social and Economic Aspects of Education in Modern Society. Warsaw, Poland,pp.18-20, June, 2021,. DOI: https://doi.org/10.31435/rsglobal_conf/25062021/7607.
2. Law of Georgia on State Procurement 20.04.05 No1388I
3. Decree of the Government of Georgia on the Approval of the Association Agreement between Georgia and the European Union on Changes to be Made in the Field of Public
4. Procurement, Guidelines for Fulfillment of Commitments under the Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA) No536, 31.03.16.
5. Towards Public Procurement Key Performance Indicators. Paulo Magina, Public Sector Integrity Division. 10th Public procurement Knowledge Exchange Platform. Istanbul, May 2014.
6. Sulashvili G., Pailodze N., Abralava A., Kutateladze R., Sulashvili M., Murvanidze I., Gabaraevi J., Kipiani S. The Issues Regarding the Refinement of Effective Management of the Company. International Journal of Business and Economic Affairs (IJBEA) 2(3), 206-210. 2017, DOI: 10.24088/IJBEA-2017-23005 ISSN: 2519-9986. 206-210.
7. Giorgi Sulashvili, Malkhaz Sulashvili, Iasha Murvanidze, Nino Pailodze, Nino Taruashvili. “The peculiarities of accounting and the ways of their solutions”. 21st International Conference on Issues in Applied Business, Management, Social Sciences Research (IABMSR), Athens, Greece, June 23-24, 2018.International Journal of Business and Economic A_airs (IJBEA) 3(4), 153-159 (2018) DOI: 10.24088/IJBEA-2018-34002 ISSN: 2519-9986. pp. 153-159. http://anissh.com/conferences/iabmsr-june-2018.
8. Annual report of the State Procurement Agency 2020.
9. Forum on the Competitiveness of the European Rail Supply Indastry, 1st Workshop on Trade and Procurement, 5 October 2017, Brussels

[1] Please see: https://ec.europa.eu/environment/gpp/versus_en.htm [23.08.2021].

მდგრადი საჯარო შესყიდვები და ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი ტენდერი

ბიატა ფეჰერვოლგი
პანონიის უნივერსიტეტის პროფესორი, უნგრეთი

ვიქტორია ცუპონი
პანონიის უნივერსიტეტის პროფესორი, უნგრეთი

ნინო ჩაჩავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მალხაზ სულაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გოჩა ნადირაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ჩამოყალიბებულია პოზიცია სახელმწიფო ფინანსების, როგორც სახელმწიფო ორგანიზაციების ეფექტიანობის ამაღლების სტრატეგიულ ინსტრუმენტზე, შესყიდვების ბაზრის რეგულირებაზე და მის მდგრად განვითარებაზე. შერჩეული ხარისხობრივი, სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების თავსებადობის კონტექსტში, ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავების მიზნით, შემოთავაზებულია გარკვეული დასკვნები და სამომავლო გეგმები, რომელიც მიზნად ისახავს შესყიდვის დროს ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი წინადადების კრიტერიუმების შემუშავებასა და დანერგვას.

შესაძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიების უფრო აქტიურად ჩართვა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში. ამისათვის კი აუცილებელია არა მხოლოდ მდგრადობის კომპონენტების შეყვანა, არამედ დარგთან დაკავშირებული მართვისა და კომუნიკაციის სისტემების გამოყენება. მშენებლობისა და პროექტირების სფეროში შესაძლებელია BIM ტექნოლოგიის გამოყენება ისე, რომ თვითონ ეს სისტემა იყოს ინტეგრირებული სახელმწიფო შესყიდვის პლატფორმასთან, სადაც შეყვანილი იქნება დარგისთვის დამახასიათებელი დამატებითი კრიტერიუმები, დაკავშირებული არა მხოლოდ შრომის დაცვის, ეკოლოგიური გარემოს, უსაფრთხოების, გენდერული თანასწორობისა და ეკონომიკური ოპტიმიზაციის საკითხებთან, არამედ ხარისხის მართვისა და სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობის კრიტერიუმებთან. ასეთი მიდგომის შედეგად მივიღებთ დროსა და სივრცეში დეტალურად გათვლილ მდგრად პროცესებს - კარგად ორგანიზაებულ და დაგეგმილ სისტემას, სადაც ეკონომიკური ოპტიმიაზცია და ჯანსაღი გარემო განხილული იქნება ხარისხისა და სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივების ფონზე.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო შესყიდვები, ეფექტიანი ფუნქციონირება, კონკურენცია, მდგრადი საჯარო შესყიდვები, სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემა.

მმართველობითი აღრიცხვის აგება სეგმენტების მიხედვით

ქუთათელაძე რუსუდან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მოწყობილი ლია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში ავტორების მიერ შემოთავაზებულია მმართველობითი აღრიცხვის კონცეპტუალური მოდელი სეგმენტების მიხედვით, რომელიც იძლევა მმართველების წინაშე დასახული მიზნების მიღწევის საშუალებას. სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე ავტორებმა განსაზღვრეს სეგმენტების მიხედვით ჩატარებული მმართველობითი აღრიცხვის ადგილი და როლი მენეჯმენტის ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემაში, მისი მეთოდოლოგიური საფუძვლები, შემადგენელი ნაწილები და მათი ურთიერთკავშირი. გარდა ამისა, ავტორების მიერ ნაშრომში განსაზღვრულია სეგმენტისა და პასუხისმგებლობის ცენტრის ეკონომიკური შინაარსი; აგრეთვე შემოტანილია ცნება „სეგმენტირების ცენტრი“.

ინფორმაცია ბიზნეს სეგმენტების ფუნქციონირების შესახებ, მათი წვლილი ორგანიზაციის მთლიან მოგებაში, კომერციული საქმიანობის გაჩენილი რისკები და პერსონალის მოტივაციის შესაძლებლობები მრავალ ინდუსტრიულ ორგანიზაციაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ასეთი ინფორმაცია შეიძლება სასარგებლო იყოს არა მხოლოდ შიდა, არამედ გარე მომხმარებლებისთვისაც. როგორც წესი, სეგმენტების შესახებ ინფორმაცია დეტალური ხასიათისაა და ყალიბდება მართვის აღრიცხვის სისტემაში. ამასთან დაკავშირებით აქტუალური ხდება ორგანიზაციის საქმიანობის აღრიცხვის ორგანიზების ძირითად პარამეტრთა სეგმენტების მიხედვით მართვის საკითხები.

საკვანძო სიტყვები: მმართველობითი აღრიცხვა, პასუხისმგებლობის ცენტრი, სეგმენტი.

ძირითადი ტექსტი

სეგმენტური ინფორმაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტაქტიკური და ოპერატიული მართვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მიუხედავად ამისა, არ უნდა დავივიწყოთ მენეჯმენტის გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მიღებისა და ბიზნესის განვითარების სტრატეგიების დაცვა. ტრადიციული მმართველობითი აღრიცხვა, რომელიც ძირითადად მიმართულია ორგანიზაციაში მიმდინარე შიდა პროცესებზე და არ არის დამოკიდებული გარემო ფაქტორებზე, არ შეუძლია მიაწოდოს მენეჯმენტს ინფორმაცია კომპანიისა და პროდუქტების კონკურენტული უპირატესობების გაძლიერების გზების შესახებ, ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების დაკმაყოფილების შესაძლებლობებზე. ჯგუფები და მენეჯმენტის გამოყენებითი სტრუქტურის ეფექტურობა.

ამასთან დაკავშირებით, მრავალსეგმენტიანი ორგანიზაციისთვის მმართველობითი აღრიცხვის კონცეპტუალური მოდელი უნდა შედგებოდეს ორი მოდულისგან:

1) მართვის აღრიცხვა სეგმენტების მიხედვით;

2) სტრატეგიული მმართველობითი აღრიცხვა.

თავის მხრივ, სეგმენტების მიხედვით მმართველობითი აღრიცხვა მოიცავს შემდეგ ელემენტებს: სეგმენტის ბიუჯეტირება; სეგმენტის აღრიცხვა; სეგმენტის ანგარიში.

ბიუჯეტირება არის მმართველობითი აღრიცხვის მნიშვნელოვანი ელემენტი, რომლის ფარგლებ-შიც მუშავდება ბიუჯეტები, წარმოიქმნება შიდა ანგარიშგება ბიუჯეტის შესრულების კონტროლის (მონიტორინგი) და დეპარტამენტების მუშაობის შესაფასებლად, ტარდება გეგმა-ფაქტის ანალიზი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი მომავალი პერიოდებისთვის.

ბიუჯეტირება მჭიდრო კავშირშია სეგმენტის აღრიცხვასთან, რადგან ის ეფუძნება ფინანსური მართვის სტრუქტურას და უმეტეს შემთხვევაში ბიუჯეტები შედგენილია პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სეგმენტის აღრიცხვის ცენტრალურ რგოლს. გარდა ამისა, ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შესახებ, რომელიც აუცილებელია შიდა ანგარიშგების

მომზადებისთვის, ასევე ყალიბდება სეგმენტის აღრიცხვის ნაწილად. ასეთ ვითარებაში, ჩვენი აზრით, არ არის საჭირო ხარჯების აღრიცხვისა და ხარჯთაღრიცხვის სისტემის ცალკე ელემენტად გამოყოფა. სეგმენტების აღრიცხვის არეალი გაცილებით ფართოა, ვიდრე ხარჯების აღრიცხვის სისტემა, მას შეუძლია შექმნას სეგმენტების მიხედვით მონაცემები არა მხოლოდ შემოსავლის, ხარჯებისა და შედეგების, არამედ პროდუქტის, პროცესისა და სხვა ინდიკატორების შესახებ.

მმართველობითი აღრიცხვის კონცეპტუალური მოდელი მრავალსეგმენტიან ორგანიზაციაში

თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მმართველობითი აღრიცხვის სისტემა, რომელიც ეფექტურად ფუნქციონირებს და აკმაყოფილებს მენეჯმენტის ყველა საჭიროებას სტრატეგიული მენეჯეერული აღრიცხვის გარეშე. სტრატეგიული მმართველობითი აღრიცხვა არის შედარებით ახალი მიმართულება მმართველობით აღრიცხვაში, რომელსაც აქვს საკუთარი მიზნები, ამოცანები, მეთოდები და ინსტრუმენტები. სტრატეგიული აღრიცხვა, ერთის მხრივ, იზოლირებულია მმართველობითი აღრიცხვისგან სეგმენტების მიხედვით (ტრადიციული მმართველობითი აღრიცხვა), მეორე მხრივ, ორივე არის მართვის ერთი საინფორმაციო სისტემის კომპონენტი, მათ შეუძლიათ ინფორმაციის გაცვლა და საერთო მეთოდების გამოყენება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია განვსაზღვროთ სეგმენტების მიხედვით მმართველობითი აღრიცხვა: „მმართველობითი აღრიცხვა სეგმენტების მიხედვით არის ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, შეჯამებისა და შეფასების სისტემა სეგმენტაციის ცენტრების კონტექსტში და მათში - ბიუჯეტირებისა და შიდა ანგარიშგების მუხლების მიხედვით“.

ინფორმაციის შეგროვებისა და შეჯამებისთვის სეგმენტების მიხედვით მმართველობითი აღრიცხვა მოქმედებს სხვადასხვა ტექნიკითა და მეთოდებით რომლებიც განსაზღვრავს მენეჯმენტის სეგმენტის აღრიცხვის მეთოდს. სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურაში შემოთავაზებულია მართვის აღრიცხვის მეთოდის ელემენტების განსხვავებული შემადგენლობა. მათ შორის გამოირჩევა: დოკუმენტაცია; ინვენტარი; შეფასება და ხარჯთაღრიცხვა; დაჯგუფება და განზოგადება; ორმაგი შესვლა; ბალანსების შედგენა; საკონტროლო ანგარიშების გამოყენება; დაგეგმვა (ბიუჯეტი); რაციონირება და შეზღუდვა; ანალიზი და კონტროლი.

მეცნიერთა უმეტესობა ყველა ტექნიკას და მეთოდს ყოფს ფინანსურ აღრიცხვაში მიღებულ და მხოლოდ მმართველობითი აღრიცხვისთვის დამახასიათებელ მეთოდებად. გამოიყენება რა მმართვე-ლობით აღრიცხვაში, სააღრიცხვო მეთოდის ტრადიციული ელემენტები იძენს ახალ გამოყენებით მნიშვნელობას.

ჩვენ არ ვიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ანალიზი და კონტროლი მმართველობითი აღრიცხვის მეთოდებს წარმოადგენს. კონტროლი არის მენეჯმენტის დამოუკიდებელი ფუნქცია, ხოლო ანალიზი - კონტროლის ფუნქცია, რომლის გარეშე კონტროლი არ შეიძლება დასრულდეს როგორც მოქმედება, ხოლო დროთა განმავლობაში ისინი ხორციელდება მენეჯმენტის ბოლო ეტაპებზე. მმართველობითი აღრიცხვა შექმნილია ინფორმაციის მოსამზადებლად მონიტორინგისა და მენეჯმენტის გადაწყვეტილებების მისაღებად.

ჩვენი აზრით, ზედმეტია გამოვყოთ „ლიმიტირების“ და „საკონტროლო ანგარიშების“ მეთოდები. მასალის გამოშვების ლიმიტების შემუშავება ემსახურება მატერიალური ხარჯების კონტროლისა და მათი დონის ოპერატიული მართვის საფუძველს და არ არის ინფორმაციის აღრიცხვისა და განზოგადების გზა. საკონტროლო ანგარიშების შენახვამ, რომელიც აჯამებს ინფორმაციას საანგარიშო პერიოდის ოპერაციების ჯამური თანხების შესახებ და შესაძლებელია გაზარდოს სააღრიცხვო ინფორმაციისა და სააღრიცხვო სამუშაოების მოცულობა.

მმართველობითი აღრიცხვის მიზნებისათვის საკმარისია ფინანსური აღრიცხვის მიმდინარე ანგარიშთა გეგმის საფუძველზე ანალიტიკური ანგარიშების სისტემის დანერგვა.

ამრიგად, სეგმენტების მიხედვით მენეჯმენტის აღრიცხვაში გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

1) აღრიცხვის მეთოდის ელემენტები;

2) მენეჯმენტის აღრიცხვის ტექნიკა და მეთოდები;

3) სპეციფიკურ ტექნიკა და მეთოდები.

ჩვენ წარმოვადგინეთ მმართველობითი აღრიცხვის მეთოდის ელემენტები სეგმენტების მიხედვით

და მათი კორელაცია თავად აღრიცხვის ქვესისტემის შემადგენელ ნაწილებთან (ცხრილი 1).

ცხრილი 1. მმართველობითი აღრიცხვის მეთოდის ელემენტების დანერგვა სეგმენტების მიხედვით მისი ბლოკების კონტექსტში.

გამოყენებითი ტექნიკა და მეთოდები	**სეგმენტის აღრიცხვა**	**ბიუჯეტირება**	**სეგმენტის ანგარიშგება**
1.აღრიცხვის მეთოდის ელემენტები	ანგარიშები	ბალანსის განზოგადება	ბალანსის განზოგადება
	ორმაგი შესვლა		
	გაანგარიშება	გაანგარიშება	
	დოკუმენტაცია		
	შეფასება	შეფასება	ფინანსური ანგარიშგება
	ინვენტარი		
2. მენეჯმენტის აღრიცხვის მეთოდის ელემენტები	პასუხისმგებლობის ცენტრები	დაგეგმვა	დაგეგმვა
	რაციონირება	რაციონირება	
3. ფლობენ კონკრეტულ ტექნიკას და მეთოდებს	სეგმენტაციის ცენტრები		
	სეგმენტის ინფორმაციის ინტერპრეტაცია		

სეგმენტების მიხედვით მმართველობითი აღრიცხვის შენარჩუნების წინაპირობაა პასუხისმგებლობის ცენტრებისა და სეგმენტაციის ცენტრების მიერ მნიშვნელოვანი მაჩვენებლების აღრიცხვის ორგანიზება, როგორც ინფორმაციის გენერირების კონცეფცია. პასუხისმგებლობის ცენტრების აღრიცხვა არის ინფორმაციის დაჯგუფების ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც მმართველობით აღრიცხვაში აქტიურად გამოიყენება. თუმცა, პასუხისმგებლობის ცენტრების მიერ შეგროვებული ინფორმაციის განზოგადება და გადანაწილება სეგმენტაციის ცენტრების კონტექსტში მისი ინტერპრეტაციის მიზნით გარე ანგარიშგებაში არის მენეჯმენტის აღრიცხვის სპეციფიკური მეთოდები სეგმენტების მიხედვით.

მმართველობითი აღრიცხვის ტერმინოლოგიური აპარატის სეგმენტების მიხედვით შემუშავებისას ჩვენ გამოვყავით ცნებები „სეგმენტი“, „პასუხისმგებლობის ცენტრი“ და „სეგმენტაციის ცენტრი“.

„სეგმენტის“ ცნების განმარტებაზე მითითებით შეიძლება დადგინდეს, რომ ის ფაქტიურად წამოადგენს რაიმე ნაწილია (ლათინური segmentum - სეგმენტი, ზოლი). ბიზნეს სეგმენტი არის მისი ნებისმიერი ნაწილი, იდენტიფიცირებული გარკვეული მახასიათებლების მიხედვით. სეგმენტი - ორგანიზაციის საქმიანობის ცალკეული ნაწილი (კომპონენტი), რომლისთვისაც შესაძლებელია შემოსავლებისა და ხარჯების იდენტიფიცირება, სხვა ფინანსური მაჩვენებლები, რომელთა შედეგებს ორგანიზაციის მმართველობითი აპარატი აფასებს, გადაწყვეტილებების მიღების დროს.

სეგმენტის კონცეფცია ეხება ორგანიზაციის ეკონომიკურ საქმიანობას და განიხილება, როგორც ბიზნესის ნაწილი. სეგმენტისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური ინდიკატორების გენერირების შესაძლებლობას, იგი გამოიყოფა ორგანიზაციის საქმიანობის დეტალური და ყველაზე სრულყოფილი წარმოდგენის მიზნით გარე მომხმარებლებისთვის. ამასთან, ინფორმაციის განზოგადება ხდება სააღრიცხვო სისტემებში გარკვეული ტექნიკისა და მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ახასიათებს მმართველობითი აღრიცხვის მეთოდს. სეგმენტების შესახებ ინფორმაცია ორ ეტაპად ყალიბდება, იყენებს რა ორ მეთოდს: ინფორმაციის დაჯგუფება პასუხისმგებლობის ცენტრების და სეგმენტაციის ცენტრების მიხედვით.

პასუხისმგებლობის ცენტრის კონცეფცია დაკავშირებულია საწარმოს ორგანიზაციულ სტრუქტურასთან. პასუხისმგებლობის ცენტრის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია:

- დანაყოფის ტერიტორიული იზოლაცია,
- ერთგვაროვანი ფუნქციონალური აქტივობა,
- გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილი და ამ დანაყოფის საქმიანობის შედეგებზე პასუხისმგებელი მენეჯერის არსებობა.

პასუხისმგებლობის ცენტრები გამოყოფილია შიდა მენეჯმენტისთვის ინფორმაციის მოსამზადებლად და წარმოადგენს სეგმენტური აღრიცხვის საწყის ეტაპს, ჩვენ მათ განვიხილავთ, როგორც მმართველობითი აღრიცხვის მეთოდს.

პასუხისმგებლობის ცენტრები არის მმართველობითი აღრიცხვაში ინფორმაციის განზოგადებისა და დაჯგუფების მეთოდი, რომელიც ეფუძნება შეგროვებას და აისახება სპეციალურ ანალიტიკურ ანგარიშებზე, რომლებიც გახსნილია შექმნილი პასუხისმგებლობის ცენტრების კონტექსტში, შემოსავლების, ხარჯების, ფინანსური შედეგების, აქტივების, ვალდებულებების და შესრულების სხვა მაჩვენებლების კონტექსტში.

ტერმინი „სეგმენტაციის ცენტრი“ იდენტურია სეგმენტის კონცეფციისა, მაგრამ წარმოადგენს სეგმენტის ხედვას ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის თვალსაზრისით. ჩვენ განვიხილავთ მას, როგორც სეგმენტების შესახებ ინფორმაციის მოპოვების გზას, რომელშიც პასუხისმგებლობის ცენტრების კონტექსტში შეგროვებული ინფორმაცია სეგმენტების მიხედვით არის შეჯამებული გარე ანგარისების თანმდევი პრეზენტაციისთვის.

სეგმენტაციის ცენტრები - მმართველობით აღრიცხვაში ინფორმაციის დაჯგუფების მეთოდი, რომელიც ეფუძნება პასუხისმგებლობის ცენტრების მონაცემების განზოგადებას იმ ანგარიშგების სეგმენტების კონტექსტში, რომელთა განუყოფელი ნაწილია, სეგმენტების შესახებ ინფორმაციის გენერირების მიზნით, როგორც გარე, ასევე შიდა მომხმარებლებისთვის. ფინანსური ანგარიშგება. განსახილველი კატეგორიების არსის გასაგებად წარმოგიდგენთ მათ შედარებით მახასიათებლებს.

დასკვნა

ამრიგად, განსახილველი კატეგორიების ზემოაღნიშნული შედარებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მართვის ინფორმაციის ეტაპობრივი დაჯგუფების გარეშე, ჯერ პასუხისმგებლობის, შემდეგ კი სეგმენტაციის ცენტრების მიერ, შეუძლებელია სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილება. მმართველობითი აღრიცხვის შემუშავებული მოდელი სეგმენტების მიხედვით მოითხოვს ქვეანგარიშების ვრცელი და დეტალური სისტემის გამოყენებას, რომელიც შექმნილია შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვისთვის.

ყველაზე რაციონალური, ჩვენი აზრით, არის ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის ინტეგრირებული სისტემა, რომელში მოცემული ინფორმაცია ინდიკატორების შესახებ შიდა და გარე ანგარიშგების ფორმირებისთვის არის აუცილებელი, ამიტომაც აღირიცხება და ჯამდება სააღრიცხვო ანგარიშების ერთიან სისტემაში. ანგარიშების ერთიან სისტემას ასევე შეუძლია ხელი შეუწყოს საანგარიშგებო სეგმენტების მნიშვნელოვანი ინდიკატორების ჯამური ღირებულების შედარებას ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებებში შესაბამისი პუნქტების ღირებულებასთან.

მრავალსეგმენტიანი ორგანიზაციის ანგარიშების სამუშაო გეგმა ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ უზრუნველყოფილ იქნას:

1. თითოეული პასუხისმგებლობის ცენტრის შესრულებულ სამუშაოზე პასუხისმგებლობის დელიმიტაციის პრინციპი;
2. პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების გამიჯვნა;
3. ანალიტიკური აღრიცხვის ორგანიზება შემოსავლებისა და ხარჯების პუნქტების მიხედვით;
4. პასუხისმგებლობის ცენტრების საბოლოო ინფორმაციის შეჯამების შესაძლებლობა სეგმენტების მიხედვით;
5. შემოსავლებისა და ხარჯების შედარების და თითოეული პასუხისმგებლობის ცენტრისა და სეგმენტაციის ცენტრის ფინანსური შედეგების იდენტიფიცირების შესაძლებლობა;
6. სეგმენტირებულია პასუხისმგებლობის ცენტრებს შორის შიდა ოპერაციების ანგარიშებზე

ასახვის შესაძლებლობა.

ამ პრინციპებთან შესაბამისობა მენეჯმენტის აღრიცხვის ანგარიშების სამუშაო გეგმის ასაგებად სეგმენტების მიხედვით შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს დამატებით შემოღებული ქვეანგარიშების და ანალიტიკური ანგარიშების ჩამონათვალის საფუძველზე. მრავალგანზომილებიანი ანგარიშების სქემის აგებისას, თითოეულ ანგარიშს ენიჭება რამდენიმე ანალიტიკური მახასიათებელი. ანალიტიკური ატრიბუტი წარმოადგენს ანალიტიკური აღრიცხვის ერთგვაროვანი ობიექტების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვაში.

ბიბლიოგრაფია:

1. Huntzinger James Lean Cost Management: Accounting for Lean by Establishing flow. – J. Ross Publishing, 2007. – P. 322.
2. Johnson Thomas A Recovering Cost Accounting Reminisces // Journal of Innovative Management. – 2002. – Bd. 8, 1. – P. 13-20.
3. Kaplan Robert, Andersen Steven Time-Driven Activity-Based Costing. – Boston : Harvard Business School Publishing, 2007. – P. 288.
4. Krumwiede Kip R. Rewards and Realities of German Cost Accounting // Strategic Finance. – April 2005. – P. 28-29.
5. Marjanovic J. Gavrilovic, N. Stanic US American VS German ActivityBased Costing. Effects on Business Decisions Management in the Automotive Industry. [ელექტრონული რესურსი]: URL: http://hrcak.srce.hr/file/105001.
6. Maskell B. Making the Numbers Count, Second Edition: The Accountant as Change Agent on the World-Class Team. – Productivity Press; 2 edition, 2009. – 243 pp.
7. Merwe Anton van der Debating the principles: Asking Questions of Lean Accounting // Cost Management. – Sep/Oct 2008. – 22/5.

Building management accounting by segments

Rusudan Kutateladze
Professor of Georgian Technical University

Lia Motskobili
PhD student of Georgian Technical University

Summary

The article proposes a conceptual model of management accounting by segments by the authors, which allows for achieving the goals set for managers. Based on a review of the special literature, the authors defined the place and role of segmental management accounting in the management information system, its methodological foundations, components, and their interrelationships. In addition, the authors define the economic content of the Segment and Center of responsibility in the paper; the concept of “segmentation center” is also introduced.

Keywords: Managerial Accounting, Liability Center, Segment.

კრიპტოვალუტა და ბლოკჩეინის ტექნოლოგია

ჩეჩელაშვილი მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

თოფურია გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად თავდაპირველად მსოფლიოში გამოჩდა ე.წ. ელექტორნული ფული და შემდგომ ამისა 2009 წელს გამოჩდა პირველი ახალი ტიპის ვირტუალური ვალუტა ე.წ. კრიპტო ვალუტა. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა თითქოს მომზადებული შეხვდა ამ გამოწვევას. ინტენსიური განხილვის და კვლევის საგანი გახდა ახალი ვალუტის დეცენტრალიზებული სტრუქტურა. ასევე დიდი სიახლე იყო ვირტუალური ვალუტის ტრანზაქციების განსახორციელებლად ბლოქჩეინ სისტემა. სიახლე თავად სისტემა არ ყოფილა, ვინაიდან დღეისათვის საქართველოში იუსტიციის სამინისტრო ინფორმაციების ავტომატური ჩანაწერებისთვის და დაცვისთვის სწორედ ბლოკჩეინის ტექნოლოგიას იყენებს. სიახლე იყო იმ ტექნოლოგიების გაერთიანება და ჯაჭვებად დალაგება, ხოლო შემდეგ კი ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტად ქცევა. ამ სისტემას საკმაოდ „მძიმეწონიანი“ მოწინააღმდეგები ჰყავს, ძირითადად ესაა კომერციული ბანკები. ეს განპირობებულია იმით, რომ ბლოქჩეინ სისტემით განხორციელებული კრიპტო ვალუტების ტრანზაქციები ხორციელდება შუამავლების (ბანკების) გარეშე, რაც საფინანსო ინსტიტუტებისთვის საკმაოდ დიდი რაოდენობის შემოსავლების დაკარგვას განაპირობებს. ასევე ძალზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს იმ ფაქტორების განსაზღვა, თუ რა ახდენს კრიპტო ვალუტების ფასზე გავლენას. ეს ძირითადად ადამიანების და საზოგადოების აღქმაა, მასმედიის როლი და ტექნოლოგიური უსაფრთხოება, საინვესტიციო გარემო და ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. ავტორები თვლიან, რომ ვინადიან კრიპტო ვალუტა წარმოადგენს დეცენტრალიზებულ სისტემას და ამ ეტაპზე იგი არც ერთი ქვეყნის მიერ არ კონტროლდება, სახელმწიფოებმა, საკანონმდებლო თუ საფინანსო სტრუქტურებმა უნდა სცადონ მათი გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა და ბლოქჩეინ სისტემით განხორციელებული ტრანზაქციებიდან ეკონომიკური სარგებელის მიღება.

საკვანძო სიტყვები: კრიპტოვალუტა, ბლოკჩეინი, ტრანზაქციები, საინვესტიციო გარემო.

შესავალი

აღნიშნულ თემას ნაშრომი თუ სტატია უამრავმა ავტორმა მიუძღვნა. ლიტერატურაში განხილულია კრიპტო ვალუტების საფრთხეები და მათ მოგვარებისადმი სხავდასხვა ქვეყნის და, მათ შორის, საქართველოს ხელისუფლების მიდგომები. ვინადიან კრიპტო ვალუტა წარმოადგენს დეცენტრალიზებულ სისტემას, ამ ეტაპზე არცერთი ქვეყნის მიერ არ კონტროლდება და შესაბამისად სახელმწიფოები, საკანონმდებლო, თუ საფინანსო სტრუქტურები ცდილობენ გარკვეულ ჩარჩოებში მოაქციონ კრიპტო ვალუტები და ბლოქჩეინ სისტემით განხორციელებული ტრანზაქციებით ეკონომიკური სარგებელი მიიღონ. გაჩნდა გარკვეული ჰიპოტეზები, იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს ზოგადად კრიპტო ვალუტა, შეძლებს კი იგი რაიმე ფორმით ფულის ჩანაცვლებას და რა ეკონომიკური შედეგები შეიძლება მოუტანოს სახელმწიფოს. თუმცა მაინც უნდა ითქვას, რომ ყველა ნაშრომში, თუ სტატიაში, რომელიც კრიპტო ვალუტას და ბლოქჩეინ სისტემას მიეძღვნა, ცალსახად არცერთი ავტორი არ გამოხატავს დადებით, თუ უარყოფით დამოკიდებულებას კრიპტო ვალუტის მიმართ, ჯერ კიდევ მიმდინარეობს გარკვეული კვლევები და ექსპერიმენტები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან არსებობს რისკი, იმისა რომ კრიპტო ვალუტის მომხმარებლებმა შეიძლება დიდი ზარალი მიიღონ, არასტაბილური და არამდგრადი ფასიდან გამომდინარე, რომელიც რეაგირებს მცირედ ცვლილებებზე და სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესებზე.

შედეგები და მათი განსჯა. სწრაფად მზარდი პოპულარობის მიუხედავად, დღეს არ არსებობს კროპტოვალუტის მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების მიერ მიღებული ერთიანი განმარტება,

რომელშიც ერთმნიშვნელოვნად იქნებოდა წარმოჩენილი ამ თანამედროვე ფენომენის შინაარსი და ეკონომიკური ბუნება. ცხადია, ეს აიხსნება მოცემული ინსტრუმენტის სიახლით, უჩვეულობით და ელექტრონული საგადასახადო სისტემების რეალიზაციის ტექნიკური გადაწყვეტის მრავალფე-როვნებით.

მსოფლიოში კრიპტოვალუტას სხვადასხვაგვარად ეპყრობიან. ასე მაგალითად, კანადასა და ნიდერლანდებში - როგორც ვალუტას, ავსტრიაში, ფინეთსა და გერმანიაში კი - როგორც ნედლეულს ანდა საქონელს (commodity). აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებობს საკმაოდ კორექტული და დასრულებული განმარტებები, რომლებშიც კრიპტოვალუტა განიხილება, როგორც ციფრული ვალუტის სახეობა, რომლის ემისია და აღრიცხვა დამყარებულია ასიმეტრიულ დაშიფრვას და დაცვის სხვადასხვა კრიპტოგრაფიული მეთოდების გამოყენებას, მაგალითად ისეთების, როგორები არის Proof-of-work и Proof-of-stake. [15]

ყველაზე გავრცელებული კრიპტოვალუტის ერთერთი სახეობის, - Bitcoin-ის, - ძირითად საიტზე კრიპტოვალუტა განმარტებულია, როგორც „გადახდის ინივაციური სისტემა და ფულის ახალი სახეობა, რომელიც იყენებს P2P ტექნოლოგიას, ფუნქციონირებს მაკონტროლებელი ორგანოს ანდა ცენტრალური ბანკის გარეშე, რომლის ტრანზაქციები და ემისია ხორციელდება კოლექტიურად, ქსელის ძალისხმევით.

კიდევ ერთი საყურადღებო განმარტება მოცემულია საიტზე „კრიპტოვალუტის სიახლეები“ და ჟღერს შემდეგნაირად: „თავისი დანიშნულებით კრიპტოვალუტა არაფრით განსხვავდება სხვა საგადასახადო სისტემებისგან, რადგანაც ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურების შეძენას და გასაღებას“. [15]

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ათეულობით უმსხვილესმა კრიპტოვალუტამ განიცადა არსებითი ცვლილება საბაზრო კაპიტალიზაციის მაჩვენებლის მიხედვით. ისინი წარმოდგენილია დიაგრამაზე 1. მაგრამ კრიპტოვალუტების არსებული განმარტებები სრულად ვერ გამოხატავს გამოსაკვლევი ფენომენის შინაარსს, რადგანაც:

დიაგრამა 1. კრიპტოვალუტების ტოპ-ათეული საბაზრო კაპიტალიზაციის მიხედვით



წყარო: https://coinlife.com/top100/

პირველი, არსებულ განმარტებებში არ არსი ასახული კრიპტოვალუტის ემისიის დეცენტრალიზე-ბული ხასიათი. განსაკუთრებულად გვინდა ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ ანგარიშგასაწევია peer-to-peer (2P2) ქსელში ჩართული მილიონობით მონაწილის კომპიუტერების გაერთიანებული სიმძლავრე (წყარო: მონაწილეთა ელექტრონული საფულეების შესახებ ღია მონაცემები), სადაც არ არსებობს ცენტრალური სერვერი და ქსელის ყოველი ცალკე აღებული კომპიუტერი თავად წარმოადგენს სერვერს. ამდენად, ტრანზაქციების აღრიცხვისა და ისტორიის შენახვისათვის ჩატარებული მთელი სამუშაო გადანაწილებულია მონაწილეთა შორის;

მეორე. კრიპტოვალუტები წარმოადგენს სპეციალური პროგრამის მიერ დაშიფრულ კოდს, რომელიც იმყოფება მფლობელის განკარგულებში. ეს კოდი ფიქსირდება და ინახება ელექტრონულ მატარებელზე და სხვა ორგანიზაციათა და მომხმარებელთა მიერ მიიღება, როგორც გადახდის საშუალება. აქედან გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ კრიპტოვალუტები წარმოადგენს ელექტრონული ფულის ერთერთ ნაირსახეობას. თავის მხრივ, უნდა განიმარტოს, რომ ელექტრონული ფულის ქვეშ ფართო გაგებით იგულისხმება ემიტენტის ფულადი ვალდებულებები ელექტრონული სახით, რომელთა შესახებ ინფორმაცია განთავსებულია მომხარებლის კუთნილებაში მყოფ ელექტრონულ მატარებელზე. გარდა ამისა, უნდა დავამატოთ, რომ ფულადი ვალდებულებები შეესაბამება შემდეგ სამ კრიტერიუმს: ა) ფიქსირებულია და ინახება ელექტრონულ მატარებელზე; ბ) ემიტენტის მიერ მისი გამოშვება ხდება იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირებისგან მიღებული აქვს ისეთი მოცულობის ფულადი სახსრები, რომელიც არ არის ემიტირებულ ღირებულებაზე ნაკლები; გ) ემიტენტის გარდა, მიიღება სხვა ორგანიზაციების მიერ, როგორც გადახდის საშუალება.

მესამე. კრიპტოვალუტების შემთხვევაში მათი მფლობელების, ანდა მფლობელთა ცვლილების იდენტიფიცირება ყველაზე სანდო და თანამედროვე კრიპტოგრაფიულ მეთოდებზეა დაფუძნებული, ხოლო მთელი ინფორმაცია ინახება თითოეულ სერვერზე (P2P-საპირინგო სისტემაში ჩართულ კომპიუტერზე) სპეციალური ბლოკების სახით. ამ სისტემის არც გატეხვა, არც შემოვლა დღევანდელი ტექნოლოგიებისა და სიმძლავრეების გამოყენებით ჯერჯერობით არ არის შესაძლებელი. კრიპტოვალუტების ფუნქციონირების მექანიზმისა და ბრუნვის მექანიზმის გააზრების შედეგად გასაგები ხდება, რომ ცნების „კრიპტოვალუტა“ ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს ელექტრონული ფულის განსაკუთრებული სახეობა, რომლის ფუნქციონირება ეფუძნება ემისიისა და ბრუნვის დეცენტრალიზებულ მექანიზმს, ერთად ისინი წარმოადგენს ინფორმაციულ-ტექნოლოგიური პროცედურების რთულ სისტემას, რომლებიც აგებულია დაცვის კრიპტოგრაფიული მეთოდების გამოყენებით და მფლობელის იდენტიფიცირების, ანდა მისი ცვლილების ფაქტის ფიქსირების რეგლამენტის მატარებელია.

ასევე მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ კრიპტოვალუტების გამოჩენა და პოპულარობა ტექნოლოგიური, ინსტიტუციური და ეკონომიკური ფაქტორებით არის განპირობებული. ასე მაგალითად: თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული სისტემების ტექნიკურმა შესაძლებლობებმა უმაღლეს მაჩვენებლების მიაღწია. თანამედროვე ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ინოვაციები კი ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ ფინანსური ბაზრების ფუნქციონირების ხასიათზე, არამედ ყველა კვლავწარმოებით პროცესზე, ასრულებს რა ამ დროს ეკონომიკურ ცვლილებათა დინამიკის დამაჩქარებლის და ეკონომიკური სისტემების იმანენტური არამდგრადობის ახალი ფაქტორის როლს.

ელექტრონული ანგარიშსწორებების გლობალიზაციის ეკონომიკურ პროცესში სულ უფრო მეტი მომხმარებელი აღიარებს, რომ იგი მოსახერხებელია და ეფექტიანი. კრიპტოვალუტის გამოჩენა წარმოადგენს ღირებულების ერთი მფლობელიდან მეორეზე გადასვლის ფიქსაციის სხვადასხვა სისტემას შორის კონკურენციის ობიექტური პროცესის შედეგს. ასე მაგალითად, დღეს მსოფლიოში მრავალი სერვისი არსებობს თავისი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით. ამ მხრივ კრიპტოვალუტები წარმოადგენს ელექტრონული ფულის განვითარების ახალ ეტაპს.

დღეს კრიპტოვალუტებისა და მათ საფუძველში არსებული Blockchain-ის პროგრამული უზრუნველყოფის უმეტესობა იქმნება და იმართება ავტორთა და ორგანიზაციულ სტრუქტურათა ჯგუფების მიერ. Blockchain-ი არ წარმოგვიდგება ერთი სერვერიდან, ან სერვერთა ფერმიდან, პირიქით: იგი მუშაობს კომპიუტერების ფართო ქსელში, როგორც განაწილებული ბუღალტრული წიგნი. ქსელის ყველა მონაწილე ინახავს ინფორმაციას ჯაჭვის საკუთარ ბლოკში და პარალელურად მუშაობენ მის გაფართოებაზე. ქასელის ერთ კომპიუტერს მაინერი ეწოდება. Bitcoin-ის პროტოკოლის შინაარსი დგომარეობს მის სტრუქტურაში, რომელიც „სარეგისტრაციო წიგნში“ შეტანილ ინფორმაციას ხდის უნიკალურს და მისი უსაფრთხოების გარანტს წარმოადგენს.

დასკვნა. ვაჯამებთ რა კვლევას, გვინდა შემოვიტანოთ კრიპტოვალუტის შეძლებისდაგვარად სრულყოფილი განმარტება: ***კრიპტოვალუტა განიხილება, როგორც ელექტრონული ფულის განსაკუთ-***

რებული ნაირსახეობა, რომლის ფუნქციონირება ეფუძნება ემისიისა და მიმოქცევის დეცენტრალიზებულ მექანიზმს, წარმოადგენს ინფორმაციულ-ტექნოლოგიური პროცედურების რთულ სისტემას და ემყარება მფლობელთა იდენტიფიცირებისა და ცვლელბის ფიქსაციის რეგლამენტის კრიპტოგრაფიული მეთოდებით დაცვას.

მიუხედავად იმისა, რომ კრიპტოვალუტების ბაზარი ბოლო ათწლეულზე მეტი ხანია, რაც ფუნქციონირებს, ხოლო მათი მზარდი პოპულარობა ტექნოლოგიურად, ეკონომიკურად და ინსტიტუციურად არის განპირობებული, ქართველი ავტორები ჯერჯერობით არ იკვლევენ ფინანსური ბაზრის ამ ახალ ასფეროს, ხოლო ქართველი სამართალმცოდნეები კი არ ჩქარობენ ახალი სინამდვილის შესატყვისი ნორმატიული ბაზის შექმნას, ან თუნდაც არსებულის მოდიფიცირებას. ამის გამო გვაქვს, ძირითადად, უცხოური წყაროები. ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ კრიპტო ვალუტები წარმოადგენენ არამყარ ვალუტას, რომელიც არ არის ეკონომიკის ნაწილი და მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდების პრინციპზეა აგებული. მის ფასზე მოქმედებს მცირედი მოვლენაც კი, რაც გარკვეულ წილად ქმნის იმ გარემოებას, რომ ფასები ხელოვნურად იზრდება და 15 მცირდება, რომელშიც მონაწილეობენ არალეგალური ბიზნესის წარმომადგენლები და ძალზე მიმზიდველ გარემოს ქმნიან, სწორედაც რომ არალეგალური ბიზნესის საწარმოებლად.

ბიბლიოგრაფია

1. სარალიძე ბ. კრიპტოვალუტების ბაზარი და ქართველი მომხმარებელი, სამაგისტრო დისერტაცია, კსუ, 2020
2. ქემაშვილი ზ. კრიპტოგრაფიული ვალუტა და რეალური ეკონომიკა, სამაგისტრო დისერტაცია, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, 2019
3. 365-day charts Bitnodes. – URL: https://bitnodes.21.co/dashboard/?days=365
4. Bitcoin – разработчикам. – URL: https://bitcoin.org/ru/bitcoin-for-developers
5. Bank for international settlements. CPMI – BIS – Red Book: CPMI countries. – URL: http://www.bis.org/list/cpmi/sac_1/tid_57/index.htm
6. Bariviera A.F., Basgall M.J., Hasperué W., Naiouf M. (2017). Some stylized facts of the Bitcoin market. – URL: doi-org.lcproxy.shu.ac.uk/10.1016/j.physa
7. Bitcoin cyberextortionists are blackmailing banks, corporations. – URL: http://arstechnica.com/business/2015/09/uk-banks-corporations-are-being-blackmailed-by-bitcoin-cyberextortionists/
8. Digital Single Market: bringing down barriers to unlock online opportunities//europa.eu. – URL: http://ec.europa.eu/priorities/digital-singlemarket_en
9. Directive 2000/46/EC of the European parliament and of the council of 18 September 2000 on the taking up, pursuit of and prudential supervision of the business of electronic money institution.– URL:http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32000L0046&rid=9
10. Directive 2007/46/EC of the European parliament and of the council of 13 November 2007 on payment services in the internal market amending Directives 97/7/EC, 2002/65/EC, 2005/60/EC and 2006/48/EC and repealing Directive 97/5/EC. – URL: http://www.unodc.org/tldb/pdf/EU/Directive_2007-64-EC.pdf
11. Directive 2009/110/EC of the European parliament and of the council of 16 September 2009 on the taking up, pursuit and prudential supervision of the business of electronic money institutions amending Directives 2005/60/EC and 2006/48/EC and repealing Directive 2000/46/EC.– URL:http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ. do?uri=OJ:L:2009:267:0007:0017:EN:PDF
12. Monetary aggregates. – URL: http://www.ecb.europa.eu/stats/money/ aggregates/aggr/html/index.en.html
13. Payments Statistics. – URL: http://sdw.ecb.europa.eu/reports.do?node=1000004051
14. Professor Susan Athey: "If People Use It, Bitcoin Has Intrinsic Value"// CoinDesk. – URL: http://www.coindesk.com/professor-susan-athey-people-usebitcoin-intrinsic-value/
15. Survey of developments in electronic money and internet and mobile payments // Bank for international settlements. – URL: http://www.bis.org/cpmi/publ/d62.pdf

Cryptocurrency and Blockchain Technology

Maia Chechelashvili
Associate Professor of Georgian Technical University

Giorgi Topuria
PhD student of Georgian Technical University

Summary

With the development of digital technologies, the so-called Electronic money and then in 2009 appeared the first new type of virtual currency called. Cryptocurrency. Many countries around the world seemed prepared to meet this challenge. The decentralized structure of the new currency has become the subject of intensive discussion and research. Also, the big news was the blockchain system for conducting virtual currency transactions. The novelty was not the system itself, as today the Ministry of Justice in Georgia uses blockchain technology for automatic recording and protection of information. The novelty was to combine those technologies and sort them into chains, and then turn them into a financial market tool. This system has quite „heavy“ opponents, mainly commercial banks. This is because cryptocurrency transactions carried out through the blockchain system are carried out without intermediaries (banks), which leads to the loss of quite a large amount of income for financial institutions. It is also very important to determine the factors that affect the price of cryptocurrencies. These are mainly the perception of people and society, the role of mass media and technological security, the investment environment, and the ongoing economic processes in the country. The authors believe that crypto-currency is a decentralized system, and at this stage, it is not controlled by any country, any legislature, or financial institution. Therefore, they should try to create a framework for cryptocurrency and try to get economic benefits from transactions through the block-chain system.

Keywords: cryptocurrency, blockchain, transactions, investment environment.

პერსპექტიული ინოვაციური ტექნოლოგიების მიმოხილვა საბანკო დარგში

ცაავა გიორგი
საქართველოს რექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

კვარაცხელია მარიამ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრნტი

აბსტრაქტი

ფინსური ტექნოლოგიების განვითარების წარმატება მოცემული სფეროს სახელმწიფოებრივი რეგულირებისაგან ბევრად არის დამოკიდებული. რიგი ქვეყნების მთავრობების დონეზე იქმნება მუშა ჯგუფები საკანონმდებლო აქტების შემუშავებისათვის, რომლებიც ფინანსური ტექნოლოგიების რეგულირებას ახორციელებენ. ამ მხრივ საქართველოს ეროვნული ცენტრალური ბანკი რიგ ღონისძიებებს ატარებს, თუმცა სრულყოფამდე ჯერ კიდევ გარკვეული გზა არის გასავლელი.

დღევანდელი დღისათვის, არც ისე ბევრი ბანკები არიან მზად დანერგონ თავიანთ საქმიანობაში ახალი ტექნოლოგიები. იმათ შორის, ვინც უკვე იყენებს ინოვაციებს, პოპულარულებს წარმოადგენენ ღრუბლიანი ტექნოლოგიების ელემენტები, რომლებიც ხელს უწყობენ დანახარჯების შემცირებას ინტერნეტ-ბანკინგზე და მობილურ ბანკინგზე, ასევე ხელს უწყობენ მათი ფუნქციონალის გაფრთოებას. ზოგიერთი ბანკები თანდათანობით ნერგავენ დიდი მონაცემებისა და ანალიტიკის ანალიზის მეთოდებს.

ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება საბანკო საქმეში - პერსპექტიული მიმართულებაა, რომელიც მუშაობის ორგანიზაციის შეჩვეული მეთოდების შეცლის შემძლეა და შემდეგი შესაძლებლობების უზრუნველმყოფელია:

1. კლიენტების უკეთესად მომსახურება და საბანკო მომსახურეობის მიღწევადობის და ფუნქციონალის გადიდება.
2. რისკების მარტვის მიდგომების უფრო სრულად გაგების უზრუნველყოფა.
3. მუშაობის მოქნილობისა და სიჩქარის ამაღლება და კონკურენტული უპიატესობების უზრუნველყოფა.

ასევე აღნიშნულია, რომ ფინსური ტექნოლოგიები თავისთავად წარმოადგენს რთულ სისტემას, რომელიც აერთიანებს ახალი ტექნოლოგიებისა და ფინანსური მომსახურეობეის სექტორებს, სტარტაპებს და შესაბამის ინფრასტრუქტურას. ფინანსური მომსახურეობის სექტორი სულ უფრო აქტიურად იყენებს ახალ ტექნოლოგიებს და ინსტრუმენტებს თავისი ფუნქციების შესრულებისათვის და პრინციპულად ახალი გადაწყვეტილებების რეალიზაციისათვის, რომლებშიც მომსაურეობის მომხმარებლები არიან დაინტერესებულები. ახალი ფინანსური ტექნოლოგიები აღწევენ საწარმეოო სექტორში (მათ შორის, რიტეილი, ტელეკომუნიკაციები, ფარმაცევტიკა, სიფლის მეურნეობა); ახდენ თავის ზეგავლენას დაზღვევის, დაკრედიტების, ბუღალტრული აღრიცხვის, უძრავი ქონების მასიური შეფასების, აქტივების მართვის, ინვესტიციების საგადასახადო რეგულირების და სხვა სეგმენტზე.

საკვანძო სიტყვები: ტექნოლოგიური ინოვაციები,ბანკები

ძირითადი ტექსტი

დღეს ბანკები რიგ ტექნოლოგიურ ინოვაციებთან დაკავშირებული ფუნდამენტალური გარდაქმნების მონაწილეებად ხდებიან. თანამედროვე დროისათვის საბანკო ბიზნესში დანერგვისათვის ყველაზე მნიშვნელოვანებს და პერსპექტიულებს წარმოადგენენ: ღრუბლიანი ტექნოლოგიები, Big Data, ხელოვნური ინტელექტი, ბიზნეს-პროცესების რობოტიზაცია, ბლოკჩეინი და ნივთების ინტერნეტი. აღნიშნული ტექნოლოგიები იმყოფებიან განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, მაგრამ ზოგიერთ მათგანს უჯვე უახლოეს რამდენიმე წელიწაში შეუძლიათ არსებითად შეცვალონ საბანკო დარგი .

ღრუბლიანი ტექნოლოგიები:

ღრუბლიანი ტექნოლოგიები ჩადებულია თანამედროვე ტექნოლოგიური პლატფორმების საფუძველში და შესაძლებლობებს იძლევიან არსებითად შეამცირონ დანახარჯები და აამაღლონ

გამოთვლითი პროცესები სიჩქარე.

ღრუბლიანი ტექნოლოგიები - არის ტექნოლოგიური კონცეფცია, რომელიც ერთიანი ინფორმა-ციული ინფრასტრუქტურის (სერვისების, პროგრამების, მონაცემთა ბაზის) რამდენიმე ორგანიზაციების მიერ ერთობლივად და ერთდროულად გამოყენებას ითვალისწინებს, და ამასთან მონაცემებისადმი მიღწევადობის სრულად დაყოფას და ბიზნეს-პროცესების ინდივიდუალური მომართვის შესაძლებლობას უზრუნველყოფს .

„ღრუბელის" ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მომხმარებლისათვის არ არის აუცილე-ბელი შეიძინოს ლიცენზიები პროგრამულ უზრინველყოფაზე და მოწყობილობაზე. იგი იძენს მისი ამოცანების ქვეშ მომართული ღრუბელში გაშლილი პროგრამული პროდუქტებისადმი მიღწევადობის სერვისს, და იხდის მხოლოდ იმ რესურსებზე, რომლებსაც რეალურად მოიხმარს.

ღრუბლიანი სერვისების გავრცობის შემდეგ ოთხ მოდელს გამოყოფენ:

- კერძო ღრუბელი - არის ინფრასტრუქტურა, გათვალისწინებული ერთი ორგანიზაციის გამოყენებისათვის;
- საჯარო ღრუბელი - არის ინფრასტრუქტურა, გათვალისწინებული ფართე პუბლიკის თავისუფლად გამოყენებისათვის;
- თანამეგობრობის ღრუბელი - არის ინფრასტრუქტურის სახეობა, გათვალისწინებული კონკრეტული თანამეგობრობის მიერ გამოყენებისათვის;
- ჰიბრიდული ღრუბელი - არის კომბინაცია ორი ან უფრო მეტი სხვადასხვა ღრუბლიანი ინფრასტრუქტურებისა.
- ამგვარად,მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ კარდინალური სახით შეცვალა ფინანსური ბაზრის განვითარების პროცესები მთლიანობაში და კომერციული ბანკებისა კერძოდ, მათთვის ინოვაციური მიმართულობის გათვალისწინებით.

მოცემულმა პროცესებმა ჩამოაყალიბეს აქრტუალური მეცნიერული ამოცანები, რომელთაც ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში უშუალო გამოყენებითი მნიშვნელობა გააჩნია, როგორებიცაა: საბანკო სფეროში ინოვაციების უშუალო რეალიზაციის ინოვაციური გარემოს ფორმირების მეთოდების განვითარების, ასევე თანამედროვე პირობებში ქვეყნის კომერციული ბანკების ინოვაციური განვითარების პერსპექტივების ანალიტიკური შეფასების ამოცანები. ამასთან ერთად უნდა იქნას აღნიშნული, რომ სამამულო და მსოფლიო ეკონომიკის ინოვაციური გარდაქმნების პირობებში საბანკო სფეროში ინოვაციური გარემოს ფორმირების მეთოდოლოგიის საკითხები შემდგომ განვითარებას და უფრო მეტად დამუშავებადობას საჭიროებენ. გარდა ამისა, ქვეყნის კომერციული ბანკების ინოვაციური აქტიურობის მეტად დაბალი დონის გათვალისწინებით, არსებობს ეფექტური ინოვაციების განხორციელებისათვის კეთიკსასურველი ინოვაციური გარემოს ფორმირების გზით, ბანკების ინოვაციური განვითარების მართვის მექანიზმების სრულყოფის ობიექტური აუცილებლობა .

ტექნოლოგიურ ინოვაციებს შეუძლიათ ფინანსური მომსახურეობის დარგის არსებითი ტრანსფორმირება მოახდინონ და საზოგადოებას სარგებელი მოუტანონ. მათ შეუძლიათ ცალკეული ბანკების მოძველებული სისტემები შეცვალონ, პროცესები გააუმჯობესონ, ეფექტიანობა აამაღლონ და კონტროლი გაამლიერონ. მათ ასევე შეუძლიათ მიაწოდონ შესაძლებლობა ახალიპროდუქტების და მომსახურეობების შექმნისათვის, რომლები=საც კლიენტებისათვის სარგებლობა მოაქვთ. საბოლოო ჯამში ტექნოლოგიური ინოვაციები შემძლეებია კომპანიის დანახარჯები შეამცირონ, თანამშრომლების მუშაობის ოპტიმიზირება მოახდინონ, ბანკების შესახებ შეჩვეული წარმოდგენა შეცვალონ.

დასკვნა

აღნიშნულია, რომ ფინსური ტექნოლოგიები თავისთავად წარმოადგენს რთულ სისტემას, რომელიც აერთიანებს ახალი ტექნოლოგიებისა და ფინანსური მომსახურეობეის სექტორებს, სტარტაპებს და შესაბამის ინფრასტრუქტურას. ფინანსური მომსახურეობის სექტორი სულ უფრო აქტიურად იყენებს ახალ ტექნოლოგიებს და ინსტრუმენტებს თავისი ფუნქციების შესრულებისათვის და პრინციპულად ახალი გადაწყვეტილებების რეალიზაციისათვის, რომლებშიც მომსაურეობის მომხმარებლები არიან დაინტერესებულები. ახალი ფინანსური ტექნოლოგიები აღწევენ საწარმეოო

სექტორში (მათ შორის, რიტეილი, ტელეკომუნიკაციები, ფარმაცევტიკა, სიფლის მეურნეობა); ახდენ თავის ზეგავლენას დაზღვევის, დაკრედიტების, ბუღალტრული აღრიცხვის, უძრავი ქონების მასიური შეფასების, აქტივების მართვის, ინვესტიციების საგადასახადო რეგულირების და სხვა სეგმენტზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ინგოროყვა ა., ჩხაიძე ზ., ცაავა გ. საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009
2. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბილისი, გამომცემლობა შპს „სეზანი“, 2014
3. ცაავა გ., ხანთაძე გ. - „საბანკო საქმე“ (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014

Overview of Perspective Innovative Technologies in Banking

Giorgi Tsaava
Professor of Georgian Technical University

Mariam Kvaratskhelia
Master of of Georgian Technical University

Summary

The success of the development of financial technologies depends on the state regulation of this field. Working groups are being set up at the level of governments in a number of countries to draft legislation regulating financial technologies. The National Central Bank of Georgia is taking a number of measures in this regard, but there is still some way to go.

To date, not many banks are ready to introduce new technologies in their operations. Among those who are already using innovations, elements of cloud technologies are popular, which help reduce the costs of Internet banking and mobile banking, as well as help to expand their functionality. Some banks are gradually introducing big data and analytics analysis methods. The use of innovative technologies in banking - a promising area that is able to change the usual methods of work organization and provides the following opportunities:

1. Better customer service and increased accessibility and functionality of banking services.
2. Ensure a more complete understanding of risk mitigation approaches.
3. Increase flexibility and speed of work and ensure competitive advantages.

It is also noted that financial technologies are in themselves a complex system that integrates new technologies and financial services sectors, startups and related infrastructure. The financial services sector is increasingly using new technologies and tools to perform its functions and to implement fundamentally new solutions in which service users are interested.

New financial technologies are penetrating the enterprise sector (including retail, telecommunications, pharmaceuticals, syphilis); Influences insurance, lending, bookkeeping, mass real estate appraisal, asset management, investment tax regulation and other segments.

საკრედიტო რისკის მართვა კომერციულ ბანკებში

ჭანტურია შოთა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საკრედიტო რისკის მართვის პრობლემა ისევე, როგორც საკრედიტო რისკის რაოდენობრივი შეფასებისა და ანალიზის ჩატარება და მსესხებელთა შეფასება, მნიშვნელოვანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე სესხის გამცემი ყველა ბანკისთვის. ზოგადად, კომერციული ბანკების მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი შემდეგი რაოდენობრივი პარამეტრებით ხასიათდება: რისკი, როგორც მსესხებლის მხრიდან სესხის დაფარვის ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობა; მისაღები რისკი; საშუალო რისკი; სესხის გადაუხდელობით გამოწვეული შესაძლო დანაკარგები; დანაკარგების საშუალო ოდენობა; დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობა; ბანკის მიერ გაცემული კრედიტების რაოდენობა; სხვადასხვა სახის სესხების რაოდენობა, რომლის გაცემაც ბანკს შეუძლია; პრობლემური სესხების რაოდენობა.

კომერციულ ბანკებში ეფექტური საკრედიტო რისკის მართვის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია ბანკის სესხის ამღები მომხმარებლებისთვის ისეთი პირობების შემუშავება, რომელიც არა მარტო მოიზიდავს პოტენციურ მსესხებლებს, არამედ უზრუნველყოფს სესხის დაფარვის გარანტიასაც. ამასთან, მიზანშეწონილი არ იქნება, თითოეული ინდივიდუალური მსესხებლისთვის ცალკე შემუშავდეს ასეთი პირობები. ნაცვლად ამისა, ბანკის არსებული და პოტენციური მომხმარებლები უნდა დაჯგუფდნენ მათ შორის მსგავსებებისა და განსხვავებების მიხედვით. ამის შემდეგ, საჭიროა თითოეული ჯგუფისთვის ცალკეული პირობების შემუშავება ჯგუფის წევრთა დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინებით. ბანკის მომხმარებლების განსხვავებულ ჯგუფებში კლასიფიკაცია უნდა განხორციელდეს კლასიფიკაციის მეთოდის მიხედვით, რომელიც განსხვავებული სისტემის ელემენტებს ერთგვაროვან ჯგუფებში გააერთიანებს მოცემულ ელემენტებს შორის მსგავსებათა საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: კომერციული ბანკები, საკრედიტო რისკი, კლასტერი, რისკები.

ძირითადი ტექსტი

კლასიფიკაციის აღნიშნული მეთოდი უნდა ასახავდეს პირველადი მონაცემების სტრუქტურას და უნდა უზრუნველყოფდეს მონაცემების ყველაზე ადეკვატურ დანაწილებას ჯგუფებში. ტრადიციულად, კლასტერული და ქსელური მეთოდები იქნა გამოყენებული აღნიშნული მიზნების მისაღწევად. მრავალგანზომილებიანი ნიმუშების შემთხვევაში, ორივე აღნიშნული მეთოდი ერთნაირად ანაწილებს ობიექტებს კლასებად. წინამდებარე სტატიაში საკრედიტო რისკის შეფასების კლასტერულ მეთოდს გამოვიყენებთ. ბანკის დაკრედიტების ოპერაციების რისკის შეფასების მიზნით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სტატისტიკა, რომელშიც ასახული იქნება ბანკის მომხმარებელთა მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევები და თითოეული ასეთი დარღვევით ბანკისთვის მიყენებული ზიანი. რისკის სიდიდე, გამოხატული ზიანის ოდენობაში (რისკი, როგორც მომხმარებლის მიერ ძირი თანხის დროულად გადაუხდელობა) შეიძლება დანახული იქნეს, როგორც რეგრესიული დამოკიდებულება ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა სესხის საშუალო ოდენობა 1 x, სესხის გაცემის პერიოდი 2 x, და სხვა ფაქტორები. ასეთი რეგრესიების განსაზღვრა და იდენტიფიცირება უნდა განხორციელდეს თითოეული მომხმარებლის მიერ მიყენებული ზიანისა და თითოეული სამომხმარებლო კლასის სესხის მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე. ამგვარი მოდელი თითოეული პოტენციური მომხმარებლის მხრიდან მოსალოდნელი რისკის პროგნოზირების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

მსესხებელთა ფაქტორული ანალიზი და რეგრესიული დამოკიდებულება

მოდელზე ჩავატარეთ ექსპერიმენტები სამომხმარებლო კრედიტების გამცემი საქართველოს კომერციული ბანკების მომხმარებელთა საკრედიტო ისტორიების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის

გამოყენებით. მონაცემთა დამუშავების მიზნით გამოვიყენეთ Excel-ის პროგრამა და სტატისტიკური პროგრამა SPSS Statistics. შესწავლილი მონაცემებისთვის დამახასიათებელია მრავალფეროვნება და მრავალგანზომილებიანობა. შესასწავლი მოდელის ნიმუშის შესწავლა 100 მომხმარებლის - მსესხებლის მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდა და მსესხებელთა დამახასიათებელ შემდეგ ინდიკატორებს მოიცავს: სესხის ვადა (*თვე*), სესხის ოდენობა (*თანხა*), მსესხებლის სქესი (*0 - მდედრობითი, ერთი - მამრობითი*), მსესხებლის ასაკი (*ასაკი*), მსესხებლის შვილების რაოდენობა (*შვილები*), მსესხებლის საშუალო შემოსავლიანობა (*შემოსავალი*). ამასთან, თითოეულ მსესხებელზე განსაზღვრულია *პრობლემების* ცვლადი, რომელიც უზრუნველყოფს სესხის დაფარვასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობის ან არარსებობის (0 - პრობლემა არ არსებობს, 1 - პრობლემა არსებობს), ასევე, ეკონომიკური ზიანის *რისკის* ოდენობის დახასიათებას. პირველ ცხრილში წარმოდგენილია თავდაპირველი მონაცემების ანალიზისთვის აღებული ფრაგმენტი (100-დან 20).

ცხრილი 1. მსესხებელთა მონაცემები

კლიენტის ნომერი	სესხის ხანგრძლივობა	სესხის მოცულობა (ლარი)	კლიენტის ასაკი	შვილების რაოდენობა	სქესი: 0 - მამრ, 1-მდედრ	ყოველთვიური საშ. ხელფასი (ლარი)	სესხის გადახდასთან დაკავშირებული პრობლემა (0 – არა, 1 – კი)
1.	6	800	24	1	0	1000	0
2.	12	1000	21	0	1	1000	1
3.	12	1000	55	3	1	900	0
4.	12	1000	40	2	0	1200	0
5.	5	1500	35	1	0	800	1
6.	12	1500	43	1	0	2000	1
7.	12	2000	48	1	1	1500	0
8.	12	2200	45	0	1	1000	0
9.	6	2500	48	0	0	600	1
10.	12	2500	37	0	1	500	1
11.	24	3000	45	2	0	1200	1
12.	36	3000	30	1	0	2000	0
13.	24	3000	49	1	1	1500	0
14.	36	3500	42	1	1	1500	1
15.	36	4000	38	3	1	2000	1
16.	36	4000	23	0	0	2500	0
17.	48	4000	41	0	1	2000	0
18.	48	5000	46	1	0	1300	1
19.	54	5000	47	1	0	1000	1
20.	36	5000	30	0	1	1000	0

ჩვენ გამოვიყენებთ ფაქტორული ანალიზის მოდულს, რომელიც დისპერსიული და კორელაციური ანალიზის ძირითადი კომპონენტებისგან შედგება. აღნიშნული პროცედურა ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს.

პირველი ეტაპი: პრობლემის საწყისი პარამეტრების დადგენა. ჩვენ განვსაზღვრავთ შესაყვანი ცვლადების რაოდენობის შესაბამისი რაოდენობის ფაქტორებს, სულ ექვსს, რამდენადაც *რისკისა* და *პრობლემების* ცვლადების გათვალისწინება ფაქტორული ანალიზის ჩატარებისას არ ხდება. ფაქტორების თანმიმდვრული შერჩევისას ფაქტორები უფრო და უფრო ნაკლები ცვალებადობით ხასიათდებიან. შესაბამისად, მომდევნო ეტაპი მხოლოდ სამ ფაქტორს მოიცავს.

მეორე ეტაპი: მოცემული ფაქტორების საკუთრივი მნიშვნელობების გაანგარიშება. საკუთრივი მნიშვნელობები ასახავენ ახლად შერჩეული ფაქტორის დისპერსიას. მე-2 ცხრილში ნაჩვენებია, რომ პირველი ფაქტორი ხსნის მთლიანი დისპერსიის 34%-ს, მეორე ფაქტორი ხსნის 21.5%-ს, ხოლო მესამე -

17%-ს. თითოეული ფაქტორის მიერ განმარტებული დისპერსიის შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია გადავწყვიტოთ საკითხი, თუ რამდენი ფაქტორი უნდა დავიტოვოთ. აღნიშნული მიზნით გამოვიყენებთ ფაქტორულ დატვირთვებს, რაც შეიძლება ინტერპრეტირებული იქნეს, როგორც შერჩეულ ფაქტორებსა და საწყის ცვლადებს შორის კორელაცია.

ცხრილი 2. შერჩეული ფაქტორების საკუთრივი მნიშვნელობა და განმარტებული ვარიაცია

ფაქტორები	საკუთრივი მნიშვნელობა	ჯამური დისპერსიის პროცენტი (განმარტებული ვარიაცია)	კუმულატიური საკუთრივი მნიშვნელობა	კუმულატიური განმარტებული ვარიაცია
1.	1.978521	34.02199	1.978521	34.02199
2.	1.375280	21.53989	3.353801	55.56188
3.	1.158236	17.23621	4.512037	72.49809

მესამე ეტაპი: ფაქტორული დატვირთვების შესწავლა. პირველ რიგში, ვაკეთებთ ფაქტორული დატვირთვების შეფასებას ბრუნვის გამოყენების გარეშე ექვსივე თავდაპირველ ცვლადზე (ცხრილი 3).

ცხრილი 3. ფაქტორული დატვირთვების მნიშვნელობები ბრუნვის გამოყენების გარეშე

ცვლადი	ფაქტორი 1	ფაქტორი 2	ფაქტორი 3
თვე	0.525012	0.127251	0.627152
მნიშვნელობა	0.831036	-0.357891	-0.167013
ასაკი	-0.485724	-0.281432	0.680030
შვილები	-0.219991	-0.738915	-0.325576
სქესი	0.293715	0.716111	-0.381722
შემოსავალი	0.871327	-0.395768	0.122874

შესაბამისი ფაქტორების შერჩევა ხორციელდება იმგვარად, რომ მომდევნო ფაქტორები უფრო და უფრო ნაკლებ დისპერსიას შეიცავდნენ. პირველ ფაქტორს, როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მაღალი დატვირთვების მაჩვენებლები გააჩნია მომხმარებლების ეკონომიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებულ ცვლადებზე. მეორე ფაქტორის შემთხვევაში მაქსიმალური დატვირთვები მომხმარებლის სოციალურ სტატუსთან დაკავშირებულ ცვლადებზე ფიქსირდება.

მეოთხე ეტაპი: შესაბამისი ფაქტორების რაოდენობის განსაზღვრა. გამოვიყენებთ Varimax-ის როტაციულ მეთოდს, რომელიც ყველაზე გავრცელებული ბრუნვის მეთოდია. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას ფაქტორები ერთმანეთზე დამოკიდებულები არ არიან, და შესაბამისად, არ არსებობს კორელაციური კავშირი ერთი ფაქტორის ცვლადების მაჩვენებლებსა და სხვა ფაქტორის მაჩვენებლებს შორის (ცხრილი 4). შერჩეული ფაქტორების აღწერითი მახასიათებლების განსაზღვრის შედეგად დგინდება, რომ პირველი ფაქტორი შეეხება მსესხებლის ფინანსურ და ეკონომიკურ პარამეტრებს (საშუალო ხელფასი, სესხის ოდენობა); მეორე ფაქტორი შეეხება მომხმარებლის სოციალურ პარამეტრებს (შვილების რაოდენობა); მესამე ფაქტორი შეეხება მის პირად მახასიათებლებს (ასაკი, სქესი). ამასთან, შერჩეული სამი ფაქტორი ყველაზე სრულად აღწერს საწყისი მონაცემების ცვალებადობის 75%-ს. შესაბამისად, მიზანშეწონილია ფაქტორული ანალიზის გაგრძელება შერჩეული სამი პარამეტრის საფუძველზე.

ცხრილი 4. ფაქტორული დატვირთვების მნიშვნელობები Varimax row ოპერაციისთვის

ცვლადი	ფაქტორი 1	ფაქტორი 2	ფაქტორი 3
თვე	0.405878	0.602158	0.277682
მნიშვნელობა	0.891231	-0.123397	-0.169583
ასაკი	-0.235723	0.171479	0.750813
შვილები	0.177915	-0.812786	0.221899
სქესი	-0.020836	0.317501	-0.771215
შემოსავალი	0.921728	0.197343	0.027119

მეხუთე ეტაპი: მიღებული გადაწყვეტილებების ადეკვატურობის შეფასება. სათანადო ფაქტორების შერჩევის მიზანშეწონილობის დადასტურების მიზნით საჭიროა კორელაციური მატრიცის შედგენა. თუ აღნიშნული ტრანსპონირებული კორელაციური მატრიცის კოეფიციენტები ახლოს იქნება თავდაპირველი მატრიცის კოეფიციენტებთან, აღნიშნული დაადასტურებს სწორი ფაქტორების შერჩევას. თავდაპირველი მატრიცის ელემენტებისგან აღნიშნული მატრიცის ელემენტების შესაძლო გადახრის ხარისხის განსაზღვრის მიზნით გვჭირდება ნარჩენი კორელაციის მატრიცის შედგენა, რომლის ელემენტები თავდაპირველი და ტრანსპონირებული მატრიცების ელემენტებს შორის სხვაობების ტოლია. თავდაპირველი და ნარჩენი კორელაციის მატრიცები იხილეთ მე-5 და მე-6 ცხრილებში.

ცხრილი 5. თავდაპირველი კორელაციის მატრიცა

ცვლადი	თვე	მნიშვნელობა	ასაკი	შვილები	სქესი	შემოსავალი
თვე	1.00	0.28	0.03	-0.36	0.07	0.32
მნიშვნელობა	0.28	1.00	-0.25	0.18	0.20	0.72
ასაკი	0.03	-0.25	1.00	0.07	-0.33	-0.20
შვილები	-0.36	0.18	0.07	1.00	-0.35	-0.05
სქესი	0.07	0.20	-0.33	-0.35	1.00	-0.01
შემოსავალი	0.32	0.72	-0.20	-0.05	-0.01	1.00

ცხრილი 6. ნარჩენი კორელაციის მატრიცა

ცვლადი	თვე	მნიშვნელობა	ასაკი	შვილები	სქესი	შემოსავალი
თვე	**0.25**	-0.09	-0.14	0.17	0.02	-0.12
მნიშვნელობა	-0.09	**0.19**	0.20	-0.05	0.09	-0.07
ასაკი	-0.14	0.20	**0.35**	0.01	0.25	0.03
შვილები	0.17	-0.05	0.01	**0.27**	0.18	-0.06
სქესი	0.02	0.09	0.25	0.18	**0.30**	-0.02
შემოსავალი	-0.12	-0.07	0.03	-0.06	-0.02	**0.18**

ნარჩენი კორელაციების მატრიცებში შეყვანილი მონაცემები შეიძლება ინტერპრეტირებული იქნეს, როგორც სრული კორელაციები, რომლებსაც შერჩეული ფაქტორები ვერ განმარტავენ. მატრიცების დიაგონალური ელემენტები შეიცავენ სტანდარტულ გადახრებს, რომლებსაც აღნიშნული ფაქტორები ვერ ხსნიან. ნარჩენი მატრიცის სრულყოფილი ანალიზი გვიჩვენებს, რომ თითქმის არ არსებობს ნარჩენი კორელაციები, რომლებიც 0.25 მოდულზე მეტია. შესაბამისად, შერჩეული ფაქტორები ადეკვატურად ასახავენ თავდაპირველ ინფორმაციას.

ცხრილი 7. მსესხებელთა იდენტიფიცირებულ კლასებზე მიღებული შედეგები და საკრედიტო რისკის დონე თითოეულ კლასში (კლასტერი)

ინდიკატორები	**Value of the indicator in the class (cluster)**			
კლასტერი	**1.**	**2.**	**3.**	**4.**
მსესხებელთა რაოდენობა კლასში	23	13	21	43
კლიენტთა/მსესხებელთა რაოდენობა	69, 71 – 75, 84 – 100	48, 59 –61, 70, 76 – 83	39 – 44, 46, 50 – 58, 64 – 68	1 – 38, 45, 47, 49, 62 – 63
სესხის ჯამური მოცულობა	395000	161000	57000	64500
ჯამური სესხის მოცულობის წილი,%	58.3	23.8	8.4	9.5
სესხის მინიმალური რაოდენობა	12500	8000	6000	800
სესხის მაქსიმალური რაოდენობა	20000	15000	10000	5000
სესხის საშ. ხარნგრძლივობა, თვე	37.1	18.0	49.5	23.7
საკრედიტო რისკის დონე	0.26	0.34	0.23	0.38

თითოეული კლასისთვის (კლასტერისთვის) საკრედიტო რისკის განსაზღვრის მიზნით გამოვთვალეთ შემდეგი პარამეტრები: 1) საკრედიტო ტრანზაქციის მოსალოდნელი შედეგი; 2)

ოპერაციის შესაძლო შედეგის გავრცელება მოსალოდნელ მაჩვენებელთან მიმართებაში (შედეგი); 3) დისპერსია და საშუალო წრფივი გადახრა; 4) საკრედიტო რისკი საშუალო წრფივი გადახრისა და ოპერაციის ყველაზე მეტად მოსალოდნელი შედეგის საფუძველზე. გაანგარიშების შედეგები იხილეთ მე-7 ცხრილში.

ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასის, მეოთხე კლასის (43 მსესხებელი), წევრებს აღებული აქვთ სესხის ყველაზე დაბალი ოდენობები (800 ლარიდან 5,000 ლარამდე). საკრედიტო რისკის დონე მსესხებელთა მოცემულ კლასში ყველაზე მაღალია: 38%. ამასთან, სესხების წილი მოცემულ კლასში უმნიშვნელოა: 9.5%. მესამე კლასტერი საკმაოდ სტაბილურია: ცვალებადობის კოეფიციენტი 23%-ია; სესხის ოდენობები მცირეა: 6-დან 10 ათასამდე ლარის ფარგლებში, და სესხის საერთო ოდენობის 8.4%-ს შეადგენენ. ამასთან, მოცემულ კლასში მომხმარებელთა სესხის ვადები ყველაზე გრძელია: საშუალოდ 49.5 თვე. მეორე კლასი მრავალრიცხოვანი არ არის (მხოლოდ 14 მომხმარებელი); მის წევრებს აღებული აქვთ გაცილებით დიდი საშუალო სესხის ოდენობები; და იგი სტაბილურობის საშუალო დონით ხასიათდება. ყველაზე მაღალი შემოსავალის მქონე კლასი პირველი კლასია (მომხმარებელთა თითქმის ¼), და მის წევრებს აღებული აქვთ დიდი სესხები, რომელთა საშუალო ვადა 3 წელს შეადგენს. ზოგადად, მოცემული კლასი სტაბილურია. აღნიშნული ანალიზი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საკრედიტო რისკის მართვას. მომხმარებელთა მეოთხე კლასში განვსაზღვრეთ რისკის დონის რეგრესიული დამოკიდებულება შემდეგ ფაქტორებზე: სესხის ოდენობა (*თანხა*), საშუალო შემოსავლიანობა (*შემოსავალი*), სესხის ვადა:

რისკი = – 3112 + 37.96 x *თვე* – *0.12* x *თანხა* + 0.29 x *შემოსავალი*, R^2= *0.98; dw = 2.9*

სტატისტიკური ცდომილება 653 41 0.01 0.02

იდენტიფიცირებული მოდელი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. მოდელის პარამეტრების სტანდარტული ცდომილებები შესაბამისი პარამეტრის მაჩვენებლის 1/4-ს არ აღემატება; 0.98-ის ტოლი განსაზღვრის კოეფიციენტი ზიანის მაჩვენებლების ცვალებადობას მოდელში ფაქტორების 98%-ანი ცვლილებით განმარტავს; ნარჩენი დისპერსია მხოლოდ 2%-ია. შემუშავებული ეკონომიკური მოდელი მეოთხე კლასტერში განაწილებული პოტენციური მომხმარებლის მხრიდან წარმოშობილი რისკის დონის შეფასებისა და პროგნოზის საფუძველს წარმოადგენს.

საკრედიტო რისკის მართვა მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით

საკრედიტო რისკის მართვისას საჭიროა დაკრედიტების ოპერაციებში რისკისა და ვარაუდების მინიმიზაციაზე მიმართული კარგად გააზრებული ქმედებების ურთიერთდაკავშირებული და ურთიერდამოკიდებული მეთოდების სისტემის შექმნა. საკრედიტო რისკის შეფასების შემოთავაზებული მოდელის გამოყენება საკრედიტო რისკის მართვისადმი დიფერენცირებული მიდგომის გამოყენების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. საკრედიტო რისკის მართვა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს პროცესის სახით, რომელიც შემდეგ ეტაპებს მოიცავს: 1) რისკის ფაქტორის იდენტიფიცირება; 2) იდენტიფიცირებული რისკის ფაქტორის პოტენციური შედეგების შეფასება; 3) მოცემული რისკის ფაქტორის საწინააღმდეგოდ მიმართული მართვის სტრატეგიების შერჩევა; 4) მოცემული რისკის ფაქტორის შედეგების მინიმიზაციაზე და ნეიტრალიზაციაზე მიმართული შერჩეული სტრატეგიების განხორციელების ზედამხედველობა (მონიტორინგი). საკრედიტო რისკის იდენტიფიცირების ეტაპზე, მოცემული რისკის სიმძიმის ხარისხის განსაზღვრის მიზნით, პოტენციური რისკი შეფასებულია მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების თვალსაზრისით, ბანკის მიერ მიღებული რისკის ფაქტორის ანალიზის ფარგლებში. პოტენციური საკრედიტო რისკის იდენტიფიკაციის ეტაპზე, მართვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია ასევე იდენტიფიცირებული რისკის მართვის შედეგების პროგნოზირება; ამგვარად, შესაძლებელი ხდება რისკის მართვის სხვადასხვა მეთოდების შედარება სამომავლოდ ზემოთ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად საუკეთესო მეთოდების შერჩევის მიზნით. ასევე საჭიროა პოტენციური საკრედიტო რისკის შედეგების შეფასება მათი ზემოქმედებისა და მათი დადგომის ალბათობის თვალსაზრისით. საკრედიტო რისკის მართვის პირველ ეტაპზე იდენტიფიცირებული საკრედიტო რისკები შემდეგი დროებითი პარამეტრების შესაბამისად უნდა შეფასდეს: წარსული მონაცემები, მიმდინარე მონაცემები და მომავლისთვის პროგნოზირებული მონაცემები. პოტენციური საკრედიტო

რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების შედეგად უნდა გადაწყდეს საკრედიტო რისკის მართვის სტრატეგიები, რაც საკრედიტო რისკის მართვის მესამე ეტაპს წარმოადგენს. რამდენადაც საკრედიტო რისკის ფაქტორები დროთა განმავლობაში იცვლებიან, აუცილებელია აღნიშნულ ცვლილებებზე მონიტორინგის წარმოება საკრედიტო რისკის პროგნოზირებულ მაჩვენებელთან შედარების გზით, რათა ბანკის ხელმძღვანელობამ შეძლოს დროული რეაგირება საკრედიტო რისკის ხარისხის ზრდაზე. საკრედიტო რისკის კონტროლი საკრედიტო რისკის მართვის ბოლო ეტაპის არსს და მიზანს წარმოადგენს. ხაზი უნდა გაესვას საკრედიტო რისკის მართვის ყველა ეტაპის ფუნქციონალურ და ორგანიზაციულ მთლიანობას. მართლაც, საკრედიტო რისკის მართვის ყველა ეტაპი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და მათი მთლიანობა საკრედიტო რისკის მართვის ძირითად პრინციპს წარმოადგენს.

დასკვნა

ფიზიკურ პირებზე (საცალო მომხმარებლები) სესხის გაცემისას ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც ბანკის საკრედიტო რისკის მაჩვენებელზე ახდენენ გავლენას, მსესხებლის საშუალო შემოსავალი, სესხის ოდენობა და სესხის ვადაა.

ფაქტორული დატვირთვების მაჩვენებლების განსაზღვრისას გამოვლინდა, რომ პირველადი ფაქტორი, რომელიც ცვლადებზე დატვირთვის ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება, დაკავშირებულია მომხმარებელთა ეკონომიკურ მახასიათებლებთან, როგორიცაა სესხის ოდენობა (*თანხა*) და შემოსავლიანობა.

საკრედიტო ბანკების შემთხვევაში საკრედიტო რისკის დონის განსაზღვრისას ინფორმაციის ძირითადი წყარო მომხმარებლის საკრედიტო ისტორიაა.

მოცემული დასკვნების საფუძველზე შევიმუშავეთ საცალო მომხმარებლებზე სესხების გამცემ კომერციულ ბანკებში საკრედიტო რისკის მართვის გაუმჯობესების შემდეგი რეკომენდაციები.

კომერციულ ბანკებში საკრედიტო რისკის პროგნოზული შეფასების შემუშავების მიზნით აუცილებელია ფაქტორული ანალიზის მეთოდოლოგიის გამოყენება, რომლითაც წინამდებარე სტატიაში ვიხელმძღვანელეთ. აღნიშნული მეთოდოლოგია მსესხებელთა საკრედიტო ისტორიების კვლევას ეფუძნება და მასში გათვალისწინებულია სესხების ოდენობები და ვადები.

შემოთავაზებული მეთოდოლოგია კლასტერული მეთოდების, დისპერსიული ანალიზის მეთოდისა და ძირითადი ფაქტორების ანალიზის გამოყენებას უნდა ეფუძნებოდეს.

შემოთავაზებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით საკრედიტო რისკის მართვა შემდეგი ამოცანების შესრულებაზე უნდა იყოს მიმართული:

- ბანკის მომხმარებელთა ეკონომიკური ქცევის საერთო მოდელების იდენტიფიცირება
- კონკრეტულ ჯგუფებში მომხმარებელთა დიფერენცირებული მოთხოვნების ფორმულირება მათი სპეციფიკურობის გათვალისწინებით,
- სესხის ოდენობისა და ვადის განსაზღვრის და მოცემულ კონკრეტულ სესხზე სარგებლის დაწესების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები პირის რისკის მადის განსაზღვრა.

საკრედიტო რისკის მართვისას მსესხებელთა სხვადასხვა ჯგუფებში გამოყენებული მეთოდების დიფერენცირება ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტებისა და ბაზელის კომიტეტის მოთხოვნების საფუძველზე და იგი ხელს შეუწყობს ბანკების გადასვლას შიდა შეფასების მიდგომის გამოყენებაზე საკრედიტო რისკების შეფასებისას და მართვისას. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე კვლევის მასშტაბი შეზღუდულია, რამდენადაც შესწავლილი იქნა მხოლოდ ის სესხები, რომლებიც საცალო მომხმარებლებზე გაიცემა. აღნიშნული შეზღუდვა განსაზღვრავს მომავალში კვლევის გაგრძელების მიმართულებას, რაც გულისხმობს საკრედიტო რისკების მართვის შესწავლას იმ შემთხვევებში, როდესაც სესხები გაიცემა სხვა კატეგორიის მსესხებლებზე, როგორიცაა მცირე და საშუალო საწარმოები (მსს) და მსხვილი სამრეწველო საწარმოები.

Credit risk management in commercial banks

Shota Chanturia
Doctoral student of Georgian Technical University

Summary

The problem of credit risk management, as well as the conduct of quantitative assessment and analysis of credit risk and the assessment of borrowers, is important for all banks lending to individuals and legal entities. In general, credit risk associated with lending to commercial and legal entities by commercial banks is characterized by the following quantitative parameters: risk as the probability that the borrower will default on the loan; Acceptable risk; Average risk; Possible losses due to loan default; Average amount of losses; Maximum marginal amount of losses; Number of loans issued by the bank; The number of different types of loans that a bank can issue; Number of problem loans.

In order to ensure effective credit risk management in commercial banks, it is necessary to develop conditions for borrowers of the bank that will not only attract potential borrowers, but also provide a loan repayment guarantee. However, it would not be advisable to develop such conditions separately for each individual borrower. Instead, the existing and potential customers of the bank should be grouped according to the similarities and differences between them. After that, it is necessary to develop separate conditions for each group, taking into account the characteristics of the group members. Classification of bank users into different groups should be done according to the classification method, which combines elements of different systems into homogeneous groups based on the similarities between the given elements.

Keywords: Commercial Banks, Credit Risk, Cluster, Risks.

ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების ზოგიერთი აქტუალური საკითხის შესახებ თანამედროვე პირობებში

ჯიქია ლალა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კუტუბიძე შალვა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

სირაძე მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

დაჩქარებული ცვლილებების მართვა თანამედროვე მსოფლიოში, მათ შორის ბიზნეს სექტორში წარმოადგენს სისტემურ პროცესს, რომლის დროსაც ხდება ორგანიზაციული მიზნების, ფასეულობების, ტექნოლოგიებისა და ბიზნეს-პროცესების ტრანსფორმაცია. თანამედროვე კომპანიებისთვის ცვლილე-ბების მართვა მოითხოვს არა მარტო შიდაორგანიზაციული პროცესების მართვას, არამედ კონკრეტულ ცოდნას და სარწმუნო ინფორმაციას პრობლემური მმართველობითი ამოცანების გადასაჭრელად. ამ თვალსაზრისით სტატიაში განხილულია ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წინაშე არსებული ახალი გამოწვევები და მათი რეფორმაციის შესაძლებლობები.

საზოგადოება ცხოვრობს მუდმივად ცვალებად სამყაროში. ცვლილებები გლობალიზაციის განუყოფელი შედეგობრივი ნაწილია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნეს სექტორზე. გლობალიზაცია განაპირობებს სუბეექტთა (მოვლენათა) შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდას. ის, რაც იცვლება, თავის მხრივ, წარმოადგენს დამოკიდებული მხარისთვისაც ცვლილების გამომწვევს. ამავე დროს, იქმნება დამოკიდებულ სუბეექტთა (მოვლენათა) დიდი და მზარდი წრე, რაც ზრდის იმის ალბათობას, რომ რომელიმე მათგანი შეიცვლება და შესაბამისად, გავლენას მოახდენს ბიზნეს სუბიექტის საქმიანობაზე. ნიშანდობლივია, რომ ამ ცვლილებებს გააჩნიათ ციკლური და აჩქარებული ბუნება.

ბოლო წლებში გავრცელებულმა COVID-19-ის პანდემიამ დაჩქარებული ცვლილებების პროცესე-ბის თვალსაჩინო ლუსტრაცია მოახდინა. მან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბიზნეს სექტორის ეკონომიკურ აქტივობაზე. სოციალურმა დისტანცირებამ შეცვალა მომხმარებლის პრიორიტეტე-ბი. კომპანიებს შეექმნათ საჭიროება გადაეხედათ თავიანთი ბიზნეს-პროცესებისათვის, მოეხდინათ სწრაფი რეაგირება და გაზრდილი რისკების ოპერატიული მართვა. ამ პროცესში მნიშვნელოვანია მენეჯმენტის ქცევის მეთოდები. აუცილებელი გახდა დაჩქარებულ ცვლილებებზე სწრაფი რეაგირება.

ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე პირობებში ცვლილებებით გამოწვეული პრობლემების რაოდენობა აჭარბებს მოცემულ მომენტში ბიზნეს სუბიექტის მიერ მათი გადაჭრის შესაძლებლობებს, რაც იწვევს კრიზისს და განაპირობებს დამოკიდებულ სუბიექტთა შორის თანამშრომლობის და სპეციალიზაციის აუცილებლობას. ცვლილებებზე სწრაფი რეაგირებისთვის შეიქმნა ოპერატიული საკონსულტაციო სერვისის საჭიროება.

საკვანძო სიტყვები: ცვლილებები, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

ძირითადი ტექსტი

პანდემიის პერიოდში კომპამიებს განსაკუთრებით შეეზღუდათ დრო ცვლილებებით გამოწვეული პრობლემების შესაფასებლად და ცვლილებეზე რეაგირებისთვის ღონისძიებების დასანერგად. გაიზარდა ცვლილებებზე წინააღმდეგობის რისკი და შემცირდა სასურველი შედეგის მიღების ალბათობა. პროცესის გლობალურობამ განაპირობა ახალ პირობებთან ადაპტირებისთვის ცვლილებებზე რეაგირების სწრაფი დაგეგმვის საჭიროება. თუმცა პანდემიის შემდეგ ეს ტენდენციები დიდად არ შეიცვლილა. შემცირდა მხოლოდ ცვლილებების რადიკალიზმის ხარისხი.

ცვლილებების უპრეცედენტო ტემპის პირობებში უკიდურესად გართულდა გრძელვადიანი

დაგეგმვა. შექმნილმა ვითარებამ მოითხოვა დაგეგმვის მოქნილი სისტემის შექმნა, რომელიც განიხილავს სცენარებს (წარმოშობილი ცვლილებებით გამოწვეული პრობლემების/შესაძლებლობების გადასაწყვეტად/ გამოსაყენებლად) და მოქნილად მოახდენს სცენარიდან სცენარზე გადასვლას მორიგ ცვლილებაზე რეაგირების მიზნით.

პანდემიის კრიზისმა ასევე ნათლად აჩვენა, რომ როგორც ინვესტორები და სხვა დაინტერესებული პირები, ასევე მენეჯმენტი როგორც არასდროს საჭიროებს მაღალხარისხიანი და რელევანტური ინფორმაციას, რომელიც არა მარტო დაეხმარება კომპანიის ფინანსური სტაბილურობის, აქტივების ხარისხობრივი შემადგენლობის და ლიკვიდურობის დადგენაში, არამედ ცვლილებებზე ოპერატიულ რეაგირებაში და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებაში.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული ანგარიშგება წარმოადგენს საკმაოდ ინფორმაციულ და ინვესტორისთვის სანდო წყაროს და შესაბამისად კომპაიებისთვის კაპიტალის საერთაშორისო ბაზრზე წვდომის გასაღებს. გლობალური ცვლილებების ანგარიშგების შედეგებზე და ობიექტურ შეფასებებზე გავლენის გამო ადგილი აქვს ფასის ხშირ ცვლილებას, რაც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მომზადების ერთ-ერთ პრობლემას. ასეთი ცვლილებები ეხება არა მარტო ბუღალტრულ აღრიცხვასა და ინფორმაციის გახსნას, არამედ მან შეიძლება მოითხოვოს ინფორმაციული სისიტემების და ბიზნეს-პროცესების ტრანსფორმაცია.

უკანასკნელი პერიოდში ყოველწლიურად ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IASB) აახლებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს-ს). ხდება როგორც ახალი დოკუმენტის გამოშვება, ასევე მოქმედ სტანდარტებში ცვლილებების შეტანა. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2022 წლის 4 აპრილის №ნ-3 ბრძანების თანახმად 2022 წლის იანვრიდან გამოსაყენებლად სავალდებულოა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) ახალი - 2022 წლის რედაქცია.

ფინანსური ანგარიშგების ობიექტური სურათი უნდა იყოს მომავლის პროგნოზირებისას რისკების შემცირების ალბათობაზე ორიენტირებული, როგორც ანგარიშის მომზადებისას, ასევე გარკვეულ საპროგნოზო მომავალში.

მომწიფდა 21-ე საუკუნის ანგარიშგების ახალი მოდელის ფორმირების პროცესი, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური ზეგავლენის, ეკონომიკურ გარემოში საქმიანი ურთიერთობებისა და მონაწილეთა სოციალური მოთხოვნების ცვლილებების ზემოქმედების შედეგად ფინანსური ანგარიშგების ფორმების ევოლუციური პროცესების შედეგი იქნება.

გამოცდილებამ აჩვენა, რომ ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობის, რენტაბელობის მაჩვენებლები; კომპანიის ფინანსსური მდგომარეობის ანალიზის ობიექტური შედეგები, გარკვეულწილად დამოკიდებულია ფინანსური მდგომარეობისა და სხვა ფორმების ანგარიშგების მომზადებისას ბუღალტრული აღიცხვის გამოყენებულ პრინციპებზე, პროცესების აღიცხვის ალგორითმზე და ორგანიზების ფორმაზე.

ბიზნეს გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე დროული და წარმატებული რეაგირებისთვის მენეჯმენტმა უნდა:

1. გამოავლინოს პრობლემები (როგორც ორდინარული, ასევე არაორდინალური), მათ შორის ფინანსური ანალიზის გზით;
2. დაადგინოს პრობლემების პრიორიტეტები;
3. დაგეგმოს მათი გადაწყვეტის გზები და რიგითობა.

ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების აუცილებლობამ მოითხოვა პასუხისმგებლობის ისეთი სტრუქტურის შექმნა, რათა შესაძლებელი გახდეს მართვა ერთის მხრივ, მოგების მიმართულებით, ხოლო მეორეს მხრივ, მიზნების მიმართულებით. ორგანიზაციული სტრუქტურის თითოეული მიმართულებით დუბლირების გარეშე პასუხისმგებლობების დელეგირების საფუძველზე უნდა მოხდეს უფლება-მოვალეობების მატრიცის შემუშავება, ხოლო შემდგომ აღრიცხვის ალგორითმის ორგანიზაციულ სტრუქტურასთან შესაბამისობაში მოყვანა. ორგანიზაციული სტრუქტურის თითოეული მიმართულებების მიხედვით უნდა იქნეს იდენტიფიცირებული მოგების, მომსახურების და დანახარჯების ცენტრების საქმიანობის და შედეგების ანალიზი.

ამრიგად, პასუხისმგებლობა კომპანიის მომგებიანობის თაობაზე მიიმართება თითოეულ სტრუქ-ტურულ ქვედანაყოფამდე და საჭიროების შემთხვევაში თითოეულ თანამშრომლამდე და კონტროლირდება მმართველობითი აღიცხვის სისტემის მეშვეობით. აღრიცხვის სისტემა უნდა აფიქსირებდეს გეგმიურ მაჩვენებელთან გადახრის დონეს შემოსავლების, ხარჯების, მოგების ნაწილში ქვედანაყოფებისა და ცალკეული თანამშრომლების ჭრილში მმართველობითი აღრიცხვის ასეთი სისტემა განაპირობებს ინსპექტირების პროცესს და არ არის შედეგების მიღების მოლოდინში.

დასკვნა

ცვლილებებზე ოპერატიული რეაგირების აუცილებლობა დღევანდელი ბიზნესის ცხოვრების წესი გახდა. ცვლილებების მართვისთვის უკვე საკმარისი არ არის მხოლოდ პრობლემების შესწავლა და გადაწყვეტილებების მიღება. დაჩქარებული ცვლილებების გამო, დრო აღარ არის პრობლემების შესაწავლად და იქმნება ცაიტნოტური სიტუაცია. მნიშვნელოვანია მოვახდინოთ სწრაფ ცვლილებებთან ადაპტირება და მათი მართვა.

აღნიშნული გარემოება, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სუბიექტების აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებასა და მათ ფინანსურ თუ მმართველობის ანგარიშგებებზე. ბუნებრივია, გავლენა სხვადასხვა სუბიექტზე განსხვავებული იქნება, ამიტომ თითოეულმა საწარმომ და მომსახურე აუდიტორმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გააანალიზონ, კონკრეტულად როგორ მოქმედებს შექმნილი სიტუაცია კომპანიაზე და რეგულარულად გადახედონ თავიანთ შეფასებებს.

ფინანსური აღიცხვა-ანგარიშგების დროს რწმუნების და სანდოობის მაღალი ხარისხის მისაღწევად აქცენტირება უნდა გაკეთდეს საჭირო ინფორმაციის მოპოვებაზე და არა მონაცემთა სიმრავლეზე.

ისე უნდა მოხდეს აღრიცხვის ალგორითის ორგანიზაციულ სტრუქტურასთან შესაბამისობაში მოყვანა, რომ ორგანიზაციული სტრუქტურის თითოეული მიმართულებების მიხედვით მარტივად შესაძლებელი იყოს იდენტიფიცირებული მოგების, მომსახურების და დანახარჯების ცენტრების საქმიანობის და შედეგების ანალიზი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Dave K., COVID19 and its impact on financial statements // From The Economic Timce. - 2020. URL:cfo.economictimes.indiatimes.com/news.
2. Joshi P L. Editorial: Covid-19 Pandemic and Financial Reporting Issues and Challenges // International Journal of Audit and Accounting studies. - 2020 № 2 (1). - p. 1-9. - URL: https:www.arfjournals.com.
3. Deb R. Chakraborty, S. COVID-19-Potential Financial Auditing Challenges // Conference: National Webinar on: Impact of COVID-19 on Indian Economy: Issues and Challenges At: Ram Thakur College, Agartala – 2020.
4. ფასს სტანდარტი: https://saras.gov.ge/ka/Ifrs.
5. მსს ფასს სტანდარტი: https://saras.gov.ge/ka/Ifrs.
6. Ердавлетова Ф.К., Нургалиева А.М., Нурмагамбетова А.З. Особенности формирования финансовой отчетности МСФО в условиях цифровизации и влияния пандемии COVID-19. Central Asian Economic Review. 2021;(4):41-51.: https://caer.narxoz.kz/jour/article/view/417/331.
7. Адизес, И. Управление в условиях кризиса: как выжить и стать сильнее : научно-популярное издание / И. Адизес. - Москва : Альпина Паблишер, 2021. - 158 с. - (Серия «Методология Адизеса»). - ISBN 978-5-9614-7161-8. - Текст : электронный. - URL: https://znanium.com/catalog/product/1841923.

Some current financial accounting on the issue in modern terms

Jikia Lala
Associate Professor of Georgian Technical University

Kutubidze Shalva
assistant professor of Georgian Technical University

Siradze Maia
PhD student of Georgian Technical University

Summary

The need to respond promptly to change has become part of today's business lifestyle. It is no longer enough to just study problems and make decisions to manage change. Due to the accelerated changes, there is no time to study the problems and a cynical situation is created. It is important to adapt to and manage rapid change. This circumstance, in turn, affects the accounting and reporting of entities and their financial or management reports. Naturally, the impact on different entities will be different, so each enterprise and service auditor (if any) should analyze specifically how the current situation affects the company and regularly review their assessments. In order to achieve a high degree of credibility and credibility in financial statements, the emphasis should be on obtaining the information needed and not on too much data. The accounting algorithm should be brought into line with the organizational structure so that it is easy to identify the activities and results of the profit, service and cost centers according to each direction of the organizational structure.

Keywords: Changes, International Financial Reporting Standards.

სტუმართმასპინძლობის განვითარების ასპექტები

აქიმიშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია სტუმართმასპინძლობა როგორც ერთ-ერთი უძველესი ტრადიცია დაკავშირებული სტუმრის მიღება-გამსაპინძლებასთან. ამასთან დაკავშირებით, ადამიანები საუკუნეების მანძილზე ქმნიდნენ ტრადიციებს და თაობიდან თაობას გადასცემდნენ მას. მსოფლიოში სტუმართმასპინძლობა ჩამოყალიბდა როგორც ტურისტთა სატრანსპორტო საშუალებით, ღამისთევით, კვებითა და ექსკურსიებით მომსახურების ერთიანი კომპლექსი იმ აუცილებელი ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც უნდა უზრუნველყოს მისი, როგორც ინდუსტრიის შემდგომი, მოწესრიგებული განვითარება. სტუმართმასპინძლობის ინდუსტრია ვითარდება მთელი რიგი ფაქტორების გავლენით რომლებიც პირობითად შესაძლოა დაიყოს - გარე და შიდა ფაქტორებად. კერძოდ, შიდა ფაქტორები - რომლებიც ასოცირდება სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიული საწარმოების ფუნქციონირების მახასიათებლებთან; გარე ფაქტორები - რომელთაც მიეკუთვნება: პოლიტიკური, სამოგზაურო უსაფრთხოება, ეკონომიკური და ფინანსური, ინფრასტრუქტურული და საკომუნიკაციო, დემოგრაფიული, სავაჭრო, ახალი ტექნოლოგიები და სხვა; ასევე, პოლიტიკური და იურიდიული ფაქტორები - დაკავშირებული სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის პრიორიტეტული, ზოგადი კონცეფციის ჩამოყალიბებით, კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მიღებით და სხვ. მოგზაურობის უსაფრთხოების ფაქტორი - დაკავშირებული ტურისტთა უსაფრთხოების საკითხებთან. ეკონომიკური და ფინანსური ფაქტორები - დაკავშირებული ქვეყანის როგორც მაკრო, ისე მიკროეკონომიკურ მდგომარეობასთან და მის სტაბილურობასთან. ინვესტიციების ფაქტორი - დაკავშირებული როგორც ახალი სასტუმროების მშენებლობასთან ისე, ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან. კულტურული ფაქტორი -დაკავშირებული როგორც ისტორიულ-მატერიალურ ძეგლებთან ისე, ქვეყნის ეთნოგრაფიულ თავისებურებებთან, კულტურულ ღონისძიებებთან და სხვ. სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორები - დაკავშირებული სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის განვითარებასთან, სასტუმრო ინდუსტრიაში ახალი შრომითი რესურსების გადანაწილებასთან და სხვ. ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციის ფაქტორები - დაკავშირებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მდგომარეობასთან, განთავსების საშუალებისა და კვებითი მომსახურებასთან და სხვ. ვაჭრობის ფაქტორი - დაკავშირებული ტურისტული სუვენირების, ხელნაკეთობების, ნაბეჭდი მასალის, სპორტული აღჭურვილობისა და სხვა ნაწარმის წარმოება-რეალიზაციასთან. ტექნოლოგიური და მატერიალურ - ტექნიკური ფაქტორები - დაკავშირებული სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიაში სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის ფართოდ გამოიყენებასთან. ასევე, ტურიზმის მოცულობის ზრდაზე და მისი სოციალური ბაზის გაფართოებაზე და სხვ. სეზონურობის ფაქტორი - დაკავშირებული სასტუმრო კომპანიების წარმატებულ ფუნქციონირებაზე, ტურისტთა ნაკადების ცვლილებაზე და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: სტუმართმასპინძლობა. ინდუსტრია. ფაქტორები. ტურიზმი. განვითარება. სასტუმრო. სატრანსპორტო. ღამისთევა. კვება.

ძირითადი ტექსტი

სტუმართმასპინძლობა არის ერთ-ერთი უძველესი ტრადიცია დაკავშირებული სტუმრის მიღება-გამსაპინძლებასთან. ეს დაკავშირებულია წინაპართა დანატოვართან და მათ გაფრთხილებასთან ტრადიციების შენახვასთან მიმართებაში. დედამიწაზე მცხოვრები ადამიანები საუკუნეების მანძილზე ქმნიდნენ ტრადიციებს და თაობიდან თაობას გადასცემდნენ, რათა შეენარჩუნებინათ ის სული რაც მათ წინაპრებს ჰქონდათ.

ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით, სტუმართმასპინძლობა ჩამოყალიბდა ტურისტთა სატრანსპორტო საშუალებით, ღამისთევით, კვებითა და ექსკურსიებით მომსახურებით. ასევე, ქვეყნის

კულტურული საგანძურის, ფოლკლორის შემადგენელი ელემენტების, სხვადასხვა ღირსშესანიშნაობებისა და ტრადიციული, ქვეყნის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების წარმოჩენით.

სტუმართმასპინძლობის ინდუსტრია ვითარდება მთელი რიგი ფაქტორების გავლენით რომლებიც პირობითად შესაძლოა დაიყოს - გარე და შიდა ფაქტორებად. ამასთან, არსებობს გარემომცველი რეალობის კომპონენტების ზემოქმედება, რომლებიც არ უკავშირდება სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის ფუნქციონირებას, ეს ფაქტორებია:

შიდა ფაქტორები პირდაპირ ასოცირდება სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიული საწარმოების ფუნქციონირების მახასიათებლებთან.

გარე ფაქტორებს მიეკუთვნება: პოლიტიკური, სამოგზაურო უსაფრთხოება, ეკონომიკური და ფინანსური, ინფრასტრუქტურული და საკომუნიკაციო, დემოგრაფიული, სავაჭრო, ახალი ტექნოლოგიები და სხვა.

პოლიტიკური და იურიდიული ფაქტორები.

თუ კი, სახელმწიფო დაინტერესებულია ტურიზმის განვითარებით, ეს გამოიხატება სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის პრიორიტეტული, ზოგადი კონცეფციის ჩამოყალიბებით. კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მიღებით, რომლებიც ხელს უწყობს ტურიზმისა და სასტუმრო ინდუსტრიის მოწესრიგებულ განვითარებას, ახალი ინფრასტუქტურული პროექტებისა და სასტუმროების (მათ შორის სხვა სახის განთავსების საშუალებების) მშენებლობას.

მოგზაურობის უსაფრთხოების ფაქტორი.

ტურიზმის განვითარებასთან ერთად, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ტურისტთა უსაფრთხოების საკითხები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქვეყნის მთავრობები ვალდებულნი არიან ტურისტული დანიშნულების ადგილებში უზრუნველყონ ტურისტთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა.

ეკონომიკური და ფინანსური ფაქტორები.

სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიაზე დიდ გავლენას ახდენს როგორც მაკრო, ისე მიკროეკონომიკური მოცემულობა. ქვეყანაში არსებული არასტაბილური ეკონომიკური გარემო, ინფლაცია, უმუშევრობის ზრდა და ა.შ. ხშირად იწვევს იმ ფაქტს, რომ მოსახლეობას ურჩევნია თავი შეიკავოს სხვა ქვეყნებში მოგზაურობებისაგან.

ინვესტიციების ფაქტორი

იგი მიმართულია როგორც ახალი სასტუმროების მშენებლობისაკენ ისე, ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისაკენ. ტურისტული მომსახურების ფასების დონე განიხილება, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოცემულობა. ასევე, ტურიზმის ფინანსური რეგულირების შემთხვევაში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უკავია ქვეყანაში არსებულ გაცვლით კურსს, უცხოური ვალუტასთან წვდომის სიმარტივეს და ა.შ.

კულტურული ფაქტორი

კულტურული გარემო ერთ-ერთია იმ რესურსებიდან, რომელიც იწვევს მასიური ტურისტული ნაკადების წარმოქმნას. ტურისტთა დაინტერესების არეალს წარმოადგენს კულტურული ღირებულებების ადგილები, რაც დაკავშირებულია როგორც, ისტორიულ-მატერიალურ ძეგლებთან ისე, ქვეყნების ეთნოგრაფიულ თავისებურებებთან, კულტურულ ღონისძიებებთან, ადგილობრივ ექსკურსიებთან და ა.შ.

სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორები

სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორები დიდ გავლენას ახდენს სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის განვითარებაზე. მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის შედეგად იზრდება ტურისტული პოტენციალი, ხდება ახალი შრომითი რესურსების გადანაწილება სასტუმრო საქმიანობაში. დემოგრაფიული ფაქტორები ასევე მოიცავს: სხვადსხვა ხალხების მუდმივად მზარდი ურთიერთობების ინტერესს რომელთაც აქვთ ერთი ან მსგავსი ენა, ისტორია და კულტურა. სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსახლეობის ასაკმა, ოჯახმა და სოციალურმა შემადგენლობამ. მოგზაურთა ასაკობრივმა განსხვავებებმა განაპირობა სპეციალიზირებული განთავსების საშუალებების განვითარება. ტურისტთა სოციალური სტატუსი

იწვევს სხვადასხვა კატეგორიების სასტუმროების ჩამოყალიბებას, რომლებიც ორიენტირებულნი არიან განსხვავებული შემოსავლების მქონე ადამიანებზე. ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორია სასტუმროები ბავშვიანი ოჯახებისთვის თავისი მოქნილი, ფასდაკლებითი სისტემით.

ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციის ფაქტორი

ტურიზმის განვითარებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, განთავსების საშუალებები და კვებითი მომსახურება. სტუმართმასპინძლობის თვალსაზრისით, ტურისტული დანიშნულების ადგილის (დესტინაცია) განთავსების საშუალებებს და კვების საწარმოთა მოწესრიგებულ სისტემას უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისათვის. უცხოელ ტურისტებს არ შეიძლება ქონდეთ კომუნიკაციის ბარიერები მათთვის საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად.

ვაჭრობის ფაქტორი

ვაჭრობა, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულწილად ტექნოლოგიებთან მნიშვმელოვანი ასახვა პოვა ტურისტებში. სუვენირები, ხელნაკეთობები, ნაბეჭდი მასალა, რუკები, სპორტული აღჭურვილობა და ა.შ. არის ის ჩამონათვალი როდესაც მწარმოებელმა კომპანიებმა მნიშვნელოვანი ფინანსური სარგებელი ნახეს. ეს დამოკიდებულება ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ ვაჭრობა არის ტურიზმში არაძირითადი მომსახურების მიმართულება.

ტექნოლოგიური ფაქტორები

სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევები ფართოდ გამოიყენება სტუმართმასპინ-ძლობის ინდუსტრიაში. კერძოდ: ტრანსპორტი, განაწილების სისტემები და მომხმარებელთა ინფორმაცია. სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ გამოიწვია დაჯავშნის სისტემების შექმნა ონლაინ რეჟიმში. გლობალური განაწილების სისტემები უზრუნველყოფს მილიონობით მომხმარებლის მარტივ წვდომას ტურისტული პაკეტების შესაძენად, ჯავშანის გაკეთებას როგორც სასტუმრო ნომრებზე, ისე დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტის გამოყენებაზე და ა.შ.

მატერიალურ - ტექნიკური ფაქტორები

აღნიშნული ფაქტორები დიდ გავლენას ახდენს ტურიზმის მოცულობის ზრდაზე და მისი სოციალური ბაზის გაფართოებაზე. განსაკუთრებული ადგილი უკავია განთავსების საშუალებებსა და კვებას. ასევე, სასტუმროსა და რესტორნის მომსახურების დონე მნიშვნელოვან როლს ასრულებს უცხოელი ტურისტების მომსახურებაში. მაგრამ, არსებობს გარკვეული გადახრებიც, როცა განთავსება და კვება წლის განმავლობაში გარკვეულწილად ექვემდებარება ტურიზმის მოთხოვნაზე რყევებს, რაც შემდგომ იწვევს მომსახურების ღირებულების ზრდას.

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება

ამჟამად, სასტუმრო ბიზნესი ტურიზმის ბაზრის ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან სეგმენტად იქცა. სასტუმრო მომსახურება სულ უფრო მეტად, წარმოდგენილია სასტუმროს ყოვლისმომცველ პროდუქტის სახით, სადაც ტურისტებს სთავაზობენ მაქსიმალურ კომფორტის მქონე მომსახურებას. აღნიშნული დამოკიდებულება განაპირობა სასტუმრო კომპანიების ავტონომიური არსებობის ჩანაცვლებით სასტუმრო ინდუსტრიაში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესით.

სეზონურობის ფაქტორი

აღნიშნულ ფაქტორს ძალზედ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სასტუმრო კომპანიების წარმატებულ ფუნქციონირებაზე, რადგან იგი პირდაპირ დაკავშირებულია ტურისტთა ნაკადების ცვლილებაზე. განასხვავებენ ფაქტორების სამ ჯგუფს რომლებიც გავლენას ახდენენ სეზონურობაზე ესენია: ბუნებრივ-კლიმატური; ტურისტული ტიპების მახასიათებლები და სეზონურობის შერბილების ღონისძიებები. წარმატებულ სეზონად შესაძლოა ჩაითვალოს ის პერიოდი როდესაც, ტურისტთა ყოველთვიური რაოდენობა აღემატება წლის განმავლობაში მათ საშუალო რაოდენობას თვეების მიხედვით. საერთოდ, სეზონურობა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავდება ერთმანეთისაგან და დამოკიდებულია ძირითადად ბუნებრივ-კლიმატურ ფაქტორებზე.

დასკვნა

ნაშრომში განხილულია სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის გარე და შიდა, პოლიტიკური და იურიდიული, მოგზაურობის უსაფრთხოების, ეკონომიკური და ფინანსური, ინვესტიციების, კულტურული, სოციალურ-დემოგრაფიული, ინფრასტრუქტურული და კომუნიკაციის, ვაჭრობის, ტექნოლოგიური, მატერიალურ-ტექნიკური, სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების, სადისტრიბუციო სისტემების შემუშავებისა და სეზონურობის განვითარების ფაქტორები. აღნიშნული ფაქტორების ერთიანობა მნიშვნელოვნად ხელს უწყობს სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Charles R. Goeldner , J. R. Brent Ritchie. Tourism: Principles, Practices, Philosophies (12th Edition) – 2018. Pages 512.
2. John R. Walker. Introduction to Hospitality (7th Edition) – 2016. Pages 432.
3. The 6 top factors for hospitality management success - https://www.ecpi.edu/blog/6-top-factors-hospitality-management-success.

Aspects of Hospitality Development

Nino Akimishvili
PhD student of Georgian Technical University

Summary

The article considers hospitality as one of the oldest traditions associated with the reception of hospitality, which was created by people and passed down from generation to generation for centuries. Hospitality in the world has formed a single set of services through tourist transport, accommodation, catering, and excursions, taking into account the necessary factors that should ensure its further systematic development as an industry. The hospitality industry is developing under the influence of a number of factors that can be divided into external and internal factors. In particular, internal factors are related to the peculiarities of the functioning of the hospitality industry; External - political, tourism, economic and financial security, infrastructure and new communication technologies, demographic or trade, etc. In addition, the authors discuss political and legal factors related to the prioritization of the hospitality industry, the general concept, the adoption of laws and by-laws, and much more. The authors define the travel safety factor as related to the safety of tourists, and economic and financial factors are related to macro-and microeconomic stability. The article also discusses the investment factor, which the authors associate with the construction of new hotels and the improvement of tourism infrastructure. Finally, the attention of the authors is focused on the cultural factor, which is associated with historical and material monuments, as well as with ethnographic features, cultural events, and so on. At the end of the study, the authors discuss socio-demographic factors and connect them with the development of the hospitality industry, the redistribution of new labor resources in the hotel industry, and others. In addition, the authors discuss infrastructural and communication factors and correlate them with the state of transport infrastructure, accommodation services, and catering. Finally, trade, technological, logistical, and seasonal factors are discussed.

ტურიზმში ბუნებრივი რესურსების გამოყენების ძირითადი პრინციპები

ბარკალაია ბესიკ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აქიმიშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია, ტურიზმი როგორც ბუნებრივი რესურსების მრავალმიზნობრივი მომხმარებელი და რომელიც, აკმაყოფილებს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების რეკრეაციულ მოთხოვნილებებს. სადაც, ბუნების წიაღში მას ბუნებრივი კომპლექსების მიმართ მეტად მრავალფეროვანი და განსხვავებული მოთხოვნები აქვს. ტურიზმი რომელიც ხელს უწყობს ადამიანების გადაადგილების მძლავრ მისწრაფებას ბუნებრივ, რეკრეაციული რესურსების თავმოყრის ადგილებისაკენ. ტურიზმი რომელიც სამეურნეო ბრუნვაში ითრევს ადრე გამოუყენებელ ბუნებრივ კომპლექსებსა და მათ ელემენტებს: ტყის მასივებს, მაღალ და მიუვალ მთებს, მღვიმეებს, მდინარეებს, ტბებს, უნიკალურ ლანდშაფტს და სხვ. ამ მიზნით, ჩამოყალიბებულია ტიპოლოგია ფუნქციური ნიშნების მიხედვით სამ ძირითად ჯგუფად ესენია: 1) ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ტიპი – რომელიც ემსახურება ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ძალების მარტივ და გაფართოებულ აღდგენას, საწარმოო და საყოფაცხოვრებო დაღლილობისა და დაავადებათა პროფილაქტიკაზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას; 2) ტურისტულ-სპორტული ტიპი – რომელიც ემსახურება ადამიანის ფიზიკური ძალების გაფართოებულ აღდგენაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და დაკავშირებულია უნიკალურ და ძნელად მისადგომ ბუნებრივ კომპლექსებთან, მოითხოვს ბუნებრივი ზღუდეებისა და წინაღობების არსებობას, ექსტრემალურ ბუნებრივ პირობებს; და 3) შემეცნებით-ტურისტული ტიპი – რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების ინტელექტუალური ძალების და სულიერი პოტენციალის ფუნქციური განვითარების რეალიზაციას. ამასთან, ლაპარაკია ძირითად ინფორმაციულ ფასეულობათა მოხმარებაზე, რომელიც საექსკურსიო ობიექტების და ლანდშაფტების ადგილზე შეცნობის გზით ხდება. ამ ტიპს ახასიათებს მაღალი მომთხოვნელობა როგორც ბუნებრივი კომპლექსების, ასევე მათი ისეთი თვისებების მიმართ, როგორიცაა ატრაქციულობა, უნიკალურობა და ეგზოტიკურობა. განხილულია ტურიზმში ბუნებრივი ტურისტული რესურსების ეკონომიკური შეფასების პრინციპები. ასევე, ბუნებრივ ტერიტორიებზე ტურიზმის არასწორი განვითარებისა და მართვის შედეგად მიღებული უარყოფითი მოვლენები. მასთან კავშირში, ბუნებრივ ტერიტორიებზე ტურიზმიდან მიღებული სარგებელი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს, ამიტომ სწორი დაგეგმვისა და მართვის პირობებშიც გათვალისწინებული უნდა იყოს იმ უარყოფით შედეგებთან ბრძოლა, რაც თან ახლავს ტურიზმის განვითარებას. ამიტომ, ეს საჭიროებს პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის ობიექტურ შეფასებას, მის სერიოზულ ანალიზს, პოტენციალის განვითარების და სიტუაციების აუცილებელ კონტროლს.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი. ბუნებრივი. რესურსები. მოსახლეობა. წიაღი. კომპლექსები. რეკრეაცია. მრავალფეროვნება.

ძირითადი ტექსტი

ტურიზმი ბუნებრივი რესურსების მრავალმიზნობრივი მომხმარებელია და აკმაყოფილებს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების რეკრეაციულ მოთხოვნილებებს. ბუნების წიაღში მას ბუნებრივი კომპლექსების მიმართ მეტად მრავალფეროვანი და განსხვავებული მოთხოვნები აქვს.

ტურიზმს როგორც მეურნეობის დარგს, ბუნებრივი რესურსების გამოყენების აშკარად გამოხატული ორიენტაცია აქვს. ტურიზმი ხელს უწყობს ადამიანების გადაადგილების მძლავრ მისწრაფებას ბუნებრივ, რეკრეაციული რესურსების თავმოყრის ადგილებისაკენ. ბუნებრივი რესურსების მოხმარება დესტინაციის ადგილებში ხდება, არა ,,ამოღების" გზით. ტურიზმი სამეურნეო ბრუნვაში ითრევს ადრე გამოუყენებელ ბუნებრივ კომპლექსებსა და მათ ელემენტებს: ტყის მასივებს, მაღალ და მიუვალ მთებს, მღვიმეებს, მდინარეებს, ტბებს, უნიკალურ ლანდშაფტს და სხვ.

ტურიზმის ერთ-ერთი საყოველთაო მნიშვნელობის ამოცანაა – ადამიანებს შეაყვაროს ბუნება, გააცნოს მისი კანონები დ ა მოეპყრას მას სათუთად. ამიტომ, საზოგადოების დიდ ნაწილს და მათ შორის ტურისტებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ ბუნებასთან დადებითი კონტაქტის მთელი სიკეთე და მისი საკაცობრიო მნიშვნელობა.

ტურისტული ინდუსტრია არნახული ტემპებით ვითარდება მსოფლიოში და თავისი ინტერესების ორბიტაში სულ უფრო ახალ და რეკრეაციულად ჯერ კიდევ აუთვისებელ ტერიტორიებს აქცევს. ამიტომ ბევრ დადებითთან ერთად, მას გარკვეული საფრთხეც მოაქვს, ეხება ეს ტურისტების მიმღები ქვეყნების მოსახლეობის კულტურას, ფსიქიკას და ბუნებას. ეს უკანასკნელი რომელსაც ბევრი სპეციალისტი ეკოლოგიურ კატასტროფას უწინასწარმეტყველებს, გადარჩენის და დაცვის გადაუდებელ ღონისძიებებს ითხოვს. მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება კი დაცული ტერიტორიების ფართო ქსელის შექმნას გულისხმობს. ბევრ, სხვადასხვა სასიკეთო ფუნქციასთან ერთად (ბიოლოგიური რესურსების შენარჩუნება, წყალმარეგულირებელი მნიშვნელობა, ნიადაგის დაცვა, კლიმატის სტაბილიზება, გენეტიკური რესურსების დაცვა, რეკრეაციული საქმიანობის განვითარება და სხვ.), მისი ერთ-ერთი დანიშნულება, ტურიზმის მოწესრიგებულ განვითარებასაც ითვალისწინებს ეკოტურიზმის ჩარჩოებში.

ამასთან კავშირში, ტურისტული მიზნებისათვის ბუნებრივი რესურსების გამოყენების მრავალი ფორმა და სახეობა არსებობს, რომელთა მეტად განზოგადოებული ტიპოლოგია ფუნქციური ნიშნების მიხედვით სამ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

• ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ტიპი – ემსახურება ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ძალების მარტივ და გაფართოებულ აღდგენას, საწარმოო და საყოფაცხოვრებო დაღლილობისა და დაავადებათა პროფილაქტიკაზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას;

• ტურისტულ-სპორტული ტიპი – ემსახურება ადამიანის ფიზიკური ძალების გაფართოებულ აღდგენაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და დაკავშირებულია უნიკალურ და ძნელად მისადგომ ბუნებრივ კომპლექსებთან, მოითხოვს ბუნებრივი ზღუდეებისა და წინაღობების არსებობას, ექსტრემალურ ბუნებრივ პირობებს;

• შემეცნებით-ტურისტული ტიპი – უზრუნველყოფს პიროვნების ინტელექტუალური ძალების და სულიერი პოტენციალის ფუნქციური განვითარების რეალიზაციას. ამასთან, ლაპარაკია ძირითად ინფორმაციულ ფასეულობათა მოხმარებაზე, რომელიც საექსკურსიო ობიექტების და ლანდშაფტების ადგილზე შეცნობის გზით ხდება. ამ ტიპს ახასიათებს მაღალი მომთხოვნელობა როგორც ბუნებრივი კომპლექსების, ასევე მათი ისეთი თვისებების მიმართ, როგორიცაა ატრაქციულობა, უნიკალურობა და ეგზოტიკურობა.

ბუნებრივი ტურისტული რესურსების ეკონომიკური შეფასება გულისხმობს მათი გამოყენების ეფექტურობის ფულად გამოსახვას. ფულადი შეფასება აუცილებელია ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო კაპიტალდაბანდებების დასაბუთებისათვის და მათი კვლავწარმოებისათვის, დაცვისა და დაზიანებული ეკოსისტემების აღდგენისათვის.

ეკონომიკური შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან გეგმაში, ტურიზმის ინდუსტრიისათვის ბუნებრივი რესურსების გამოყენების აუცილებელ შედეგებს. ამისათვის საჭიროა:

1) ქვეყნის ტერიტორიაზე შეფასდეს ტურიზმში გამოსაყენებელი ბუნებრივი რესურსები ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე;

2) შეფასებაში გათვალისწინებულ იქნას გამოყენების პოტენციური ეფექტი;

3) რესურსების შეფასების საქმეში, გათვალისწინებულ იქნას დროის ფაქტორი;

ბუნებრივი რესურსების გამოყენება ტურისტული მიზნებისათვის განსხვავდება სხვა სახის ბუნებრივი რესურსების გამოყენებისაგან, რაც ძირითადად ეყრდნობა ამოღების წესს, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად ზიანდება როგორც ლანდშაფტი, ისე ეკოსისტემები.

ტურისტული ბუნებრივი რესურსების ძირითადი გამოყენება ხდება: ა) ადამიანის მიერ მიმზიდველი ბუნებრივი ობიექტების დათვალიერებით (ვიზუალური შეხება გარემოსთან); ბ)ბუნებრივ ლანდშაფტზე, ადამიანის მოძრაობის შედეგად გარკვეული ფიზიკური ზემოქმედებით (გადაადგილება);

პირველ შემთხვევაში, ბუნებრივ რესურსებზე ზეგავლენა არ არსებობს. მეორე შემთხვევაში, გარკვეულწილად არსებობს. სხვა დარგებისაგან განსხვავებით, ტურიზმის რეგლამენტირებული გამოყენებისას მცირდება ნეგატიური ფიზიკური ზეგავლენა რესურსებზე, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს რესურსების კვლავწარმოების ბუნებრივ პროცესს.

ტურიზმის მდგრადი განვითარება ნიშნავს გარკვეული ეკონომიკური სტაბილური სარგებლის მიღების შემთხვევაში ბუნებრივი და კულტურული რესურსების ისეთი დონით გამოყენებას რათა ისინი შენარჩუნებულ იქნას მომავალში მუდმივი სარგებლობისათვის.

ტურიზმის სახეობებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარულია ბუნებრივი ტურიზმის კონტროლირებადი ფორმა – ეკოტურიზმი. მისი საფუძველია ბუნების შეცნობა, სადაც მთავარია ბუნების შედარებით ხელუხლებელ ზონებში განსაზღვრული რაოდენობის ტურისტთა მოგზაურობის ორგანიზება იმ ადგილების მონახულების მიზნით, რომელიც კულტურულ-შემეცნებით ინტერესს იწვევს.

ეკოლოგიური ტურიზმი გაიაზრება როგორც დასვენების, ბუნებაში მოგზაურობის, საგანმანათ-ლებლო, სათავგადასავლო, შემეცნებით-კულტურული და ეკონომიკურ საქმიანობათა ერთობლიობა, რომლის ზეგავლენა საზოგადოების ცხოველქმედებაზე მეტად მნიშვნელოვანი და სწრაფმზარდია. ამიტომ, ნებისმიერი ქვეყანა ცდილობს სრულყოფილად გამოიყენოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივ-რეკრეაციული, კულტურული და დემოგრაფიულ-ეკონომიკური რესურსების პოტენციალი, აქტიურად ჩაერთოს სოციალურ-ეკონომიკურად ხელსაყრელ მსოფლიო სისტემაში.

ეკოტურიზმის წარმატებული განვითარება დიდად არის დამოკიდებული როგორც დაუზიანებელი ბუნების არსებობაზე, ისე გარემოს დაცვის კარგ ორგანიზაციაზე. ამ ორი ძირითადი ფაქტორის გარეშე ტურიზმის აღნიშნული სახეობა თავის ფუნქციას კარგავს, ამიტომაც მისი ყველაზე მდგრადი განვითარება მიიღწევა ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებში ანუ ეროვნულ პარკებში, სადაც ცალ-ცალკეა განსაზღვრული ტურისტული და დაცვითი, ბუნებრივი და ეთნოგრაფიულ-კულტურული ზონების ფუნქციები. ეკოტურიზმს შეუძლია თვითონ გამოიმუშაოს სახსრები ბუნების დაცვისა და ეთნოგრაფიულ-კულტურული თავისებურებების შესანარჩუნებლად, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ტურისტული რესურსების აღდგენა-განახლებასაც.

ბუნებრივ ტერიტორიებზე ტურიზმის არასწორმა განვითარებამ და მართვამ, შესაძლოა, ტერიტორია მნიშვნელოვნად დააზიანოს. დაზიანებები შეიძლება გამოიწვიოს: ტერიტორიებზე არასწორად დაგეგმილმა მარშრუტებმა და მისი დამთვალიერებლებით გადატვირთვამ; გარემოსთან შეუსაბამო ობიექტების მშენებლობამ; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინტესიურად გამოყენებამ; ხეების ჭრამ ცეცხლის დასანთებად; სხვადასხვა სახის, აკრძალული, ე.წ. სუვენირების შეგროვებამ; ნადირობამ; მყარი ნარჩენებითა და ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებამ და ა.შ.

ბუნებრივ ტერიტორიებზე ტურიზმიდან მიღებული სარგებელი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს, ამიტომ სწორი დაგეგმვისა და მართვის პირობებშიც გათვალისწინებული უნდა იყოს იმ უარყოფით შედეგებთან ბრძოლა, რაც თან ახლავს ტურიზმის განვითარებას. თუ კი ბუნებრივ ტერიტორიებზე, დასაშვებ ფარგლებში ტურისტებისათვის მაქსიმალური კომფორტი უნდა იყოს შექმნილი, იმავდრო-ულად ტურიზმის განვითარების შედეგად მიყენებული ნეგატიური ზეგავლენა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი. ეს საჭიროებს პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის ობიექტურ შეფასებას, მის სერიოზულ ანალიზს, პოტენციალის განვითარების და სიტუაციების აუცილებელ კონტროლს.

დასკვნა

სტატიაში განხილულია ტურიზმის ბუნებასთან კავშირის ძირითადი საკვანძო საკითხები: ტურისტული ბუნებათსარგებლობა, ეკოტურიზმი, ეროვნული პარკების როგორც ბუნებრივი ტერიტო-რიების გამოყენების აუცილებლობა ტურიზმის განვითარებისათვის და ტურიზმის განვითარებით გამოწვეული ნეგატიური ზეგავლენა ბუნებრივ ტერიტორიებზე. აღნიშნული დამოკიდებულება ნათლად მიანიშნებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბუნებრივ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარებით გამოწვეული სარგებელი. ტრიზმის მდგრადი განვითარების მიღწევა ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებში ანუ ეროვნულ პარკებში, სადაც ცალ-ცალკეა განსაზღვრული

ტურისტული და დაცვითი, ბუნებრივი და ეთნოგრაფიულ-კულტურული ზონების ფუნქციები. თემის მნიშვნელოვანი საკითხი ეხება ბუნების დაცვას და უარყოფითი ზეგავლენების შემცირებას ბუნებრივ ტერიტორიებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Iride Azara, Eleni Michopoulou, Federico Niccolini, B Derrick Taff, Alan Clarke. Tourism, Health, Wellbeing and Protected Areas. 238 pages. 2018.
2. Dr. David Newsome (Author), Dr. Susan A. Moore (Author), Prof. Ross K. Dowling (Author). Natural Area Tourism: Ecology, Impacts and Management (Aspects of Tourism Book 58). 481 pages. 2017.
3. S.Syngellakis, Wessex Institute, UK. Management of Natural Disasters. 451pages.2016.

Basic Principles for the Use of Natural Resources in Tourism

Besik Barkalaia
Professor of Georgian Technical University

Nino Akimishvili
PhD student of Georgian Technical University

Summary

The article deals with tourism as a multi-purpose nature user that meets the most diverse and varied requirements of different social groups of the population for recreational natural complexes. Tourism contributes to a strong desire of people to move to places where natural, recreational resources are concentrated. Tourism in agricultural circulation includes previously unused natural complexes and their elements: forests, high and impregnable mountains, caves, rivers, lakes, a unique landscape, etc. Therefore, the authors developed a typology based on functional features, namely: 1) a tourist and health-improving type that serves a simple and extended recovery of physical and mental strength of a person, industrial and domestic fatigue, and the needs for disease prevention; 2) tourist and sports type - serving to meet the needs for enhanced restoration of human physical strength and associated with unique and hard-to-reach natural complexes; 3) cognitive-tourist type - ensuring the implementation of the intellectual development of the intellectual forces and spiritual potential of the individual. However, we are talking about the consumption of basic information values, which is carried out through knowledge on the spot of excursion objects and landscapes. This type is characterized by a high demand for both natural complexes and their properties such as attractiveness, uniqueness, and exoticism. In addition, the article discusses the principles of economic evaluation of natural tourism resources; Adverse events resulting from improper development and management of tourism in natural areas.

The authors believe that the benefits of tourism in natural areas can be significant, so even with proper planning and management, one should take into account the negative consequences that accompany the development of tourism. This requires an objective assessment of the potential negative impact, its serious analysis, and the necessary development of potential and situations.

საწარმოების ზეგავლენა გარემოზე-ეკოლოგიური პასპორტი

გალახვარიძე ნაირა
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

თითოეული საწარმოს ყოვლისმომცველი გარემოსდაცვითი მოთხოვნები მითითებულია, მის ეკოლოგიურ პასპორტში. სამრეწველო საწარმოს გარემოს დაცვითი პასპორტი შემუშავებულია საწარმოს მიერ. მისი შექმნის საფუძველია წარმოების ძირითადი ინდიკატორები, ბუნების გამოყენების ნებართვები, გაზისა და წყლის გამწმენდი ნაგებოობებისა და ნარჩენების განკარგვის პროექტები.

საწარმოს ეკოლოგიური პასპორტი წარმოადგენს საწარმოს გარემოსთან ურთიერთმიმართების მახასიათებელ კომპლექსურ დოკუმენტს. ეკოლოგიური პასპორტი მოიცავს საერთო მონაცემებს საწარმოზე, გამოყენებულ ნედლეულზე, გამოშვებული ძირითადი სახეობის პროდუქციის ტექნოლოგიური სქემების აღწერას, ჩამდინარე წყლებისა და გამონაბოლქვის გაწმენდის სქემას, გაწმენდის შემდეგ მათ დახასიათებას, მონაცემებს მყარ და სხვა ნარჩენებზე, აგრეთვე მონაცემებს მსოფლიოში არსებულ ტექნოლოგიებზე, ბუნების დაცვის შესახებ. პასპორტის მეორე ნაწილი მოიცავს დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალს, მიმართულს გარემოს დატვირთვის შემცირებაზე, დანახარჯების მოცულობას, მავნე ნივთიერებების, გადანაყარის საერთო მოცულობას ადრე და ყოველი ღონისძიების განხორციელების შემდეგ.

ეკოლოგიური პასპორტი ასახავს შემდეგ პრინციპულ მომენტებს:

- გარემოს მდგომარეობის შესწავლიდან, მიზეზების დეტალურ დიფერენცირებულ, ანალიზზე გადასვლას (სიტუაცია მონათესავე საწარმოების, როგორც ცალკეულად ასევე ჯგუფურდ);
- წარმოებული პროდუქციის ერთეულთან დაკავშირებული გადანაყარის საერთო მოცულობის წილობრივი მაჩვენებლების განხილვიდან, მსოფლიოში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებთან შედარებაზე გადასვლას.
- საწარმოების ეკოლოგიური დახასიათება გულისხმობს, პროგრესული ტექნოლოგიების შეფასებას, ნედლეულისა და სათბობის გამოყენების სისრულეს, ჩამდინარე წყლებისა და გამონაბოლქვის გაწმენდის გამოყენებულ სქემებს, გასხვისებული ტერიტორიის ნარჩენი წყლისა და გაზის ნაკადების დახასიათებას, გარემოზე საწარმოს მიერ მიყენებული ზარალის საერთო ეკონომიკურ შეფასებასა და ამ შეფასების დეტალიზაციას, პროდუქციის სახეებითა და ტექნოლოგიური გადაკეთებით.
- გარემოზე დატვირთვის შემცირების ღონისძიებების პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს სტრატეგიის პერსპექტივა და გეგმა უახლოესი პერიოდის რეალიზაციის ვადების მითითებით, აუცილებელი დანახარჯების მოცულობა, გადანაყარის და მათი კონცენტრაციის მიღწეულ შემცირებაზე, გარემოს ზარალის შემცირებაზე.

საკვანძო სიტყვები: დაბინძურების წყაროები, გამწმენდი მოწყობილობები, მიწის რესურსი, წარმოების ნარჩენები, პროდუქტის ეკოლოგიურობა.

ძირითადი ტექსტი

„არ არის ისეთი ხეირი, რომელიც არ იქნებოდა დაკავშირებული სხვის ზარალთან“ - აღნიშნავს მიშელ დე მონტენი, ფრანგი ჰუმანისტი, ფილოსოფოსი, მორალისტი, პოლიტიკოსი და მწერალი (ნაშრომში, „გამოცდილებები“ თავი XXII) მართლაც ნებისმიერი საწარმო ვალდებულია ეკონომიკური პროგრესი შეუსაბამოს მოსახლეობის ეკოლოგიურ საჭიროებებს და ისე გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მათით სარგებლობა მომავალი თაობებისათვის და არ იყოს საზიანო.

საწარმოს ეკოლოგიური პასპორტი წარმოადგენს საწარმოს გარემოსთან ურთიერთმიმართების

მახასიათებელ კომპლექსურ დოკუმენტს. ეკოლოგიური პასპორტი მოიცავს საერთო მონაცემებს საწარმოზე, გამოყენებულ ნედლეულზე, გამოშვებული ძირითადი სახეობის პროდუქციის ტექნოლოგიური სქემების აღწერას, ჩამდინარე წყლებისა და გამონაბოლქვის გაწმენდის სქემას, გაწმენდის შემდეგ მათ დახასიათებას, მონაცემებს მყარ და სხვა ნარჩენებზე, აგრეთვე მონაცემებს მსოფლიოში არსებულ ტექნოლოგიებზე, ბუნების დაცვის შესახებ. პასპორტის მეორე ნაწილი მოიცავს დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალს, მიმართულს გარემოს დატვირთვის შემცირებაზე, დანახარჯების მოცულობას, მავნე ნივთიერებების, გადანაყარის საერთო მოცულობას ადრე და ყოველი ღონისძიების განხორციელების შემდეგ.

ეკოლოგიური პასპორტი ასახავს შემდეგ პრინციპულ მომენტებს:

- გარემოს მდგომარეობის შესწავლიდან, მიზეზების დეტალურ დიფერენცირებულ, ანალიზზე გადასვლას (სიტუაცია მონათესავე საწარმოების, როგორც ცალკეულად ასევე ჯგუფურდ);
- წარმოებული პროდუქციის ერთეულთან დაკავშირებული გადანაყარის საერთო მოცულობის წილობრივი მაჩვენებლების განხილვიდან, მსოფლიოში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებთან შედარებაზე გადასვლას.
- საწარმოების ეკოლოგიური დახასიათება გულისხმობს, პროგრესული ტექნოლოგიების შეფასებას, ნედლეულისა და სათბობის გამოყენების სისრულეს, ჩამდინარე წყლებისა და გამონაბოლქვის გაწმენდის გამოყენებულ სქემებს, გასხვისებული ტერიტორიის ნარჩენი წყლისა და გაზის ნაკადების დახასიათებას, გარემოზე საწარმოს მიერ მიყენებული ზარალის საერთო ეკონომიკურ შეფასებასა და ამ შეფასების დეტალიზაციას, პროდუქციის სახეებითა და ტექნოლოგიური გადაკეთებით.
- გარემოზე დატვირთვის შემცირების ღონისძიებების პროგრამამ უნდა გაითვალისწინოს სტრატეგიის პერსპექტივა და გეგმა უახლოესი პერიოდის რეალიზაციის ვადების მითითებით, აუცილებელი დანახარჯების მოცულობა, გადანაყარის და მათი კონცენტრაციის მიღწეულ შემცირებაზე, გარემოს ზარალის შემცირებაზე.

უმრავლეს შემთხვევაში ტექნოლოგიური გადაწყვეტა ცნობილია და რეალიზებულია, მსოფლიო პრაქტიკაში მოწინავე ადგილობრივ საწარმოებში. მათი დანერგვის პრობლემა უკვე არა მეცნიერული, არამედ ორგანიზაციული და ეკონომიკურია. გარემოს მდგომარეობაზე საწარმოების ზემოქმედების მაჩვენებლებია:

გამოშვებული პროდუქციის ეკოლოგიურობა (პროდუქციის წილი გაუმჯობესებული ეკოლოგიური მაჩვენებლებით; ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის გამოშვება)

ზემოქმედება წყლის რესურსებზე (საწარმოო მიზნებისათვის სხვადასხვა წყაროებიდან აღებული წყლის მოცულობა; წყლის გამოყენება; სხვა საწარმოებზე და ორგანიზაციებზე გადაცემული წყლის მოცულობა; გადაშვებული ჩამდინარე წყლები; დაბინძურებული ჩამდინარე წყლების წილი; მავნე ნუვთიერებების კონცენტრაცია დაბინძურებულ ჩამდინარე წყლებში; ჩამდინარე წყლების გაწმენდის ხარისხი; ჩამდინარე წყლების მოცულობისა და ხარისხის ცვლილება).

ზემოქმედება ჰაერზე. (გამოყენებული ატმოსფერული ჰაერის მოცულობა; ნარჩენი მავნე ნივთიერებების რაოდენობა სახეებისა და წყაროების მიხედვით; გამწმენდ მოწყობილობებში შემოსული მავნე ნივთიერებების რაოდენობა; დაჭერილი და გაუვნებელყოფილი მავნე ნივთიერებების წილი, დარჩენილ საერთო რაოდენობის მავნე ნივთიერებებში; ატმოსფეროში შემოსული მავნე ნივთიერებების რაოდენობა სახეების მიხედვით გაწმენდის შემდეგ; ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების მოცულობისა და ხარისხის ცვლილება წინა პერიოდთან შედარებით).

ზემოქმედება მატერიალურ რესურსებზე და წარმოების ნარჩენები (ჩამდინარე წყლებიდან ამოღებული უტილიზირებული მავნე ნივთიერებების მოცულობა; ნარჩენი გაზებიდან ამოღებული უტილიზირებული მავნე ნივთიერებების მოცულობა; წარმოქმნილი მავნე ნარჩენების რაოდენობა; უტილიზირებული მყარი ნარჩენების რაოდენობა. მყარი ნარჩენების რაოდენობა, რომელიც ექვემდებარება დამარხვას; მინერალური ნედლეულიდან ძირითადი კომპონენტების ამოღების ხარისხი).

ზემოქმედება მიწის რესურსებზე (მშენებლობის კოეფიციენტი - საწარმოს საერთო ფართობში, შენობებითა და მოწყობილობებით დაკავებულ ფართობთან დამოკიდებულება; საწარმოს ერთ ჰექტარ მიწაზე წარმოებული პროდუქციის მოცულობა; ძირითადი, დამხმარე და მომსახურე ფართობის თანაფარდობა; წარმოებრივი ფართობის სიდიდე ერთ მომუშავეზე, მოწყობილობების, აგრეგატების ერთეულზე; კომუნიკაციის, მისასვლელი გზების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ენერგო მომარაგების საერთო ფართობი ან განფენილობა, მიწის ფართობები მიკუთვნებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საცხოვრებელ მშენებლობებზე. საწარმოს ნარჩენებით დაკავებული ფართობის წილი. სანიტარულ დაცვითი ზონით დაკავებული ფართობის წილი; რეკულტივირებული მიწის ნაკვეთების ფართობი)

საწარმოს ბუნება-დაცვითი საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის მაჩვენებელთა კუთხით შეიძლება გამოიყოს:

1. დაბინძურების წყაროების აღჭურვა გამწმენდი მოწყობილობებით(მავნე გადანაყარის წყაროების რაოდენობა; მავნე გადანაყარის არაორგანიზებული წყაროების რაოდენობა)
2. არსებული გამწმენდი ნაგებობების გამტარუნარიანობა (ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობების რაოდენობა და სიმძლავრე, რომელთა ფუნქციონირებასაც თან სდევს განსაზღრული სახის დაბინძურების გამოყოფა; განსაზღვრული სახის დამინძურების წილი, რომელიც წარმოიქმნება ერთეული ძირითადი პროდუქციის წარმოებისას; ბუნება-დაცვითი მოწყობილობის რაოდენობა და სიმძლავრე, განკუთვნილი განსაზღვრული სახის მოწყობილობების გაწმენდისათვის).
3. გამოყენებული გამწმენდი მოწყობილობების პროგრესულობა; (გამოყენებული გამწმენდი მოწყობილობების სასარგებლო საქმიანობის კოეფიციენტი, გამწმენდი მოწყობილობების წილი მაღალ სასარგებლო საქმიანობის კოეფიციენტში; მოწყობილობების გაწმენდისას მავნე გადანაყარის წილი, სასარგებლო საქმიანობის კოეფიციენტში).
4. გამწმენდი მოწყობილობების ფუნქციონირების კონტროლი (გამწმენდი მოწყობილობების საკონტროლო -გამზომი მოწყობილობებით უზრუნველყოფა. კონტროლ-გამზომი მოწყობილობების ფაქტიური გამოყენების კოეფიციენტი; პროგრესული მოწყობილობების წილი გამოყენებულ კონტროლგამზომ მოწყობილობების საერთო რაოდენობაში; გამწმენდი ნაგებობების წილი, რომელიც მუშაობს პროგრესული მოწყობილობების კონტროლით; გამწმენდი მოწყობილობათა წილი, მომუშავე ნარჩენებზე ცენტრალიზებული კონტროლით, საერთო მოწყობილობების რაოდენობა, რომელიც კონტროლის ქვეშ მუშაობს.
5. ბუნებადაცვითი საქმიანობის არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის რაციონალობა (ბუნება-დაცვითი სამსახურისა და განყოფილებების არსებობა; ბუნება-დაცვითი საქმიანობის მართვის ცენტრალიზაციის დონე, გადაწყვეტილებათა მიღებისას ბუნება-დაცვითი სამსახურებისა და განყოფილებების ოპერატიულობა; ბუნება-დაცვითი სამსახუირებისა და განყოფილებების გამოთვლითი ტექნიკით აღჭურვა; ბუნებადაცვითი სამსახურებისა და განყოფილებების ინფორმაციული უზრუნველყოფა; ბუნებადაცვითი სამსახურებისა და განყოფილებების ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხი)
6. სხვა დანარჩენი მაჩვენებლები(ბუნებადაცვითი საქმიანობის შედეგების შეფარდება ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებასთან; ბუნება-დაცვითი საქმიანობის შედეგების თანაფარდობა გამწმენდი მოწყობილოებების ღირებულებასთან; ბუნებადაცვითი საქმიანობის შედეგების თანაფარდობა მის მსვლელობისას გამოყენებულ მასალების ღირებულებასთან; ბუნებადაცვითი საქმიანობის შედეგების თანაფარდობა მომუშავეთა საერთო რაოდენობასთან და იმ მომუშავეთა რაოდენობასთან რომლებიც დაკავებული არიან ბუნებადაცვით საქმიანობაში)

ბუნებადაცვით საქმიანობაზე დანახარჯების ანალიზისათვის გამოყოფენ საერთო და კერძო მაჩვენებლებს. საერთო მაჩვენებლების კუთხით გამოიყენება თანაფარდობა ბუნებადაცვითი ღონისძიებების გამოყენებიდან მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობის სიდიდის თანაფარდობა, მისი

განხორციელების დანახარჯების საერთო სიდიდესთან. კერძო მაჩვენებლების კუთხით შეიძლება გამოყენებული იყოს:

- ბუნებადაცვითი ღონისძიებების კაპიტალური დანახარჯების წილი, საწარმოს კაპიტალური დანახარჯების საერთო მოცულობაში;
- ბუნებადაცვითი ღონისძიებების მიმდინარე დანახარჯების წილი სწარმოს მიმდინარე დანახარჯების საერთო მოცულობაში;
- საჰაერო სივრცის დაცვაზე დანახარჯების წილი, ბუნებადაცვითი საქმიანობის დანახარჯების საერთო მოცულობაში.-
- ბუნებადაცვითი საქმიანობის დანახარჯების საერთო მოცულობაში, წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და დაცვაზე დანახარჯების წილი.
- მყარი და თხევადი ნარჩენების განადგურებისა და გაუვნებელყოფის დანახარჯების წილი, ბუნებადაცვითი საქმიანობის საერთო მოცულობაში;
- პროგრესული ტექნოლოგიების (მცირენარჩენებიანი, უნარჩენო, არაჩამდინარე) შემუშავებასა და დანერგვაზე დანახარჯების წილი (საკვლევ-სამეცნიერო და საცდელ-საკონსტრუქტორო) დანახარჯების საერთო მოცულობაში;
- დანახარჯების წილი საწარმოოს დანახარჯების საერთო მოცულობაში გარე ორგანიზაციების ბუნებადაცვით საქმიანობის მომსახურების ანაზღაურებაზე.
- შპს „იმერეთი“-ს მანგანუმის გამამდიდრებელი ფაბრიკის პროექტში „ გარემოზე ზემოქმედების შფასების ანგარიშში“ მოცემულია საინტერესო აზრი, რეკომენდაცია „ საწარმოს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი აგლოპროდუქტის და შლამის საბოლოო განთავსებისათვის გამოყენებული იქნას, მანგანუმის მადნის გამომუშავებული კარიერები, კერძოდ: ნარჩენების განთავსება მოხდეს გამომუშავებული კარიერის ღრმულებში და შემდგომ დაიფაროს ნიადაგის ფენით“. აღნიშნული ღონისძიებებით უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენებით ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკის მინიმუმამდე შემცირება, ამასთანავე მნიშვნელოვნად შემცირდება ნარჩენების ტრანსპორტირებისა და კარიერების რეკულტივაციის ხარჯები. [1]

ამდენად, ყოველ საწარმოს უნდა ჰქონდეს შემუშავებული ეკოლოგიური პასპორტი, ისევე როგორც ყოველ საწარმოს, ორგანიზაციას აქვს თავისი მიზანი და მისია. ასევე უნდა ჰქონდეს შესწავლილი რა ზიანს აყენებენ გარემოს და რა ღონისძიებები შიძლება დაიგეგმოს ამ გავლენის შესამცირებლად.

დასკვნა

დაბინძურება ეს არის, დამაბინძურებელი ნივთიერებების მოხვედრა ფიზიკურ გარემოში, რაც იწვევს მის ხარისხობრივ ცვლილებას, ცვლის ფიზიკურ სისტემებს, ზიანს აყენებს, დისკომფორტს უქმნის ცოცხალ ორგანიზმებს. ადამიანთა საქმიანობა სერიოზულ ზიანს აყენებს გარემოს, გარემოს დაბინძურების ერთ-ერთი წყარო საყოფაცხოვრებო ნარჩენებია, მაგრამ გაცილებით სერიოზულ ზიანს სამრეწველო საწარმოთა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, სატრანსპორტო საშუალებათა ფუნქციონირების შედეგად წარმოქნილი ნარჩენები იწვევს, რომლებიც ჰაერსაც აბინძურებენ, წყალსაც და ნიადაგსაც.

სამრეწველო საწარმოს გარემოსდაცვითი პასპორტი არის მარეგულირებელი და ტექნიკური დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მონაცემებს საწარმოს მიერ ბუნებრივი, მეორადი რესურსების გამოყენების შესახებ და გარემოზე წარმოების გავლენის დადგენის შესახებ. ეკოლოგიური პასპორტი ასახავს მონაცემებს საწარმოს ყველა ელემენტის გარემოზე ზემოწმედების შესახებ.

- ინფორმაციას საწარმოს მიერ გამოყენებულ ტექნოლოგიების შესახებ;
- გამოყენებული რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივ მახასიათებლებს: ნედლეული, საწავავი, ენერგია;
- პროდუქტების რაოდენობრივ მახასიათებლებს;

- საწარმოს დამაბინძურებლების ემისიების (ნარჩენები, გამონაბოლქვი) რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნაირა გალხვარიძე, ელდარ გუგავა, „ადამიანი და ეკოლოგია“ გარმოს მენეჯმენტის სისტემაში, ევროპის უნივერსიტეტი, სერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ევროპული ინტეგრაცია და საქართველო, თბილისი 2016 წელი 19 ივნისი
2. შპს „იმერეთი“ -ს მანგანუმის გამამდიდრებელი ფაბრიკის პროექტის „ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“ თბ. 2017
3. ნაირა გალახვარიძე, ელდარ გუგავა, „ ეკონომიკური სისტემა და გარემო“, ევროპის უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო პრქატიკული კონფერენცია, ევროპული ინტეგრაცია და საქართველო, თბილისი 2018 წელი.
4. А. В. Анисимов „экономический менеджмент“, Ростов на Дону „Феникс“ 2009
5. В. В. Глухов, Т. П. Некрасова экономические основы экологии 3 издание Питер 2003.

Environmental Impact of Enterprises-Ecological Passport

Galakhvaridze Naira
Shota Rustaveli Theater and Cinema of Georgia
State University, Associate Professor

Summary

The comprehensive environmental requirements of each enterprise are specified in its ecological passport. The environmental passport of an industrial enterprise is developed by the enterprise. It is based on key production indicators, nature use permits, gas and water treatment facilities and waste management projects.

The ecological passport of the enterprise is a complex document characteristic of the relationship with the environment of the enterprise. Ecological passport includes general data on the enterprise, raw materials used, description of technological schemes of the main types of products produced, scheme of wastewater and exhaust treatment, their characterization after cleaning, data on solid and other wastes, as well as data on world technologies, nature protection. The second part of the passport includes a list of planned activities aimed at reducing the environmental burden, the amount of costs, the total amount of harmful substances, dumping before and after the implementation of each measure.

The ecological passport reflects the following principled moments:

- transition from a study of the state of the environment to a detailed differentiated analysis of the causes (the situation of related enterprises, both individually and in groups);

- From the review of the share of the total volume of the production volume related to the unit of production, to the comparison with the best indicators achieved in the world.

Ecological characterization of enterprises includes the assessment of progressive technologies, the completeness of the use of raw materials and fuels, the schemes used for the treatment of wastewater and emissions, the characterization of waste water and gas flows in the area, the economic analysis .

The program of measures to reduce the load on the environment should take into account the perspective of the strategy and the plan, indicating the terms of implementation in the near future, the amount of necessary expenditures, the achieved reduction of relocation and their concentration, the reduction of environmental damage.

ველნეს ტურიზმის შესაძლებლობები აჭარის მთიან ზონაში

გოგიტიძე გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ნადარეიშვილი ნანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, საქართველოში ტურიზმის განვითარებამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, რასაც ხელი შეუწყო სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების მხრიდან ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, საქართველოს შესახებ ინფორმაციის გაზიარებამ, შესაბამისად, საერთაშორისო ცნობადობის გაზრდამ. COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე განსაკუთრებით გაიზარდა მთიანი ზონით ტურისტების დაინტერესება მსოფლიოში. ზოგადად, მთიან ზონაში ტურიზმის განვითარებისათვის წამყვანი როლი ენიჭება უნიკალურ ბუნებრივ სამკურნალო რესურსებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს დასასვენებელი და საკურორტო ადგილები ყოველთვის იზიდავდა მრავალრიცხოვან ტურისტსა და დამსვენებელს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ აჭარის მთიან რეგიონში მნიშვნელოვანია გამაჯანსაღებელი ტურიზმის მიმართულების განვითარება და პოპულარიზაცია რეგიონის შესაძლებლობების გათვალისწინებით. მთიან ზონაში ტურიზმის განვითარებისათვის წამყვანი როლი ენიჭება უნიკალურ ბუნებრივ სამკურნალო რესურსებს. გლობალური ტენდენციებისა და უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით, მთიან რეგიონში ველნესის განვითარება და ტურიზმის წამყვან მიმართულებად ჩამოყალიბება დადებითად აისახება ქვეყნის შემოსავლების ზრდაზე. აჭარის მთიან რეგიონში მნიშვნელოვანია გამაჯანსაღებელი ტურიზმის მიმართულების განვითარება და პოპულარიზაცია რეგიონის შესაძლებლობების გათვალისწინებით. ცნობილია, რომ გლობალური ტენდენციებისა და უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით, მთიან რეგიონში ველნესის განვითარება და ტურიზმის წამყვან მიმართულებად ჩამოყალიბება დადებითად აისახება ქვეყნის შემოსავლების ზრდაზე. ვფიქრობთ, აჭარის რეგიონის შემთხვევაშიც შესაძლებელია აღნიშნული მიმართულებით შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება. აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა აჭარის მთიან ზონაში ველნეს ტურიზმის განვითარებისთვის არსებული რესურსების პოტენციალის შეფასება. კვლევაში მონაწილეობა მიიღო აჭარის მთიანი ზონის ტერიტორიაზე მცხოვრებმა 77 რესპოდენტმა, რომელთა 91%-ს აქვს ინფომრაცია სამკურნალო თვისებების მქონე წყლების შესახებ, ხოლო 88% სამკურნალო თვისებების მქონე აბანოების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ველნეს ტურიზმი, მთიანი ზონა, აჭარა

ძირითადი ტექსტი

21-ე საუკუნეში ველნეს ტურიზმის განვითარება აქტუალური გახდა მრავალი რეგიონისთვის [1]. COVID-19 პანდემიის პირობებში განსაკუთრებით გამოვლინდა [2] მთიანი ზონით ტურისტების დაინტერესება [3] რაც დაკავშირებულია გონებრივი, ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესებასთან, გაჯანსაღებასთან და ზოგადად სამკურნალო მიზნებთან [4]. საქართველოს ყოველი კუთხე ცნობილია თავისი თვალწარმტაცი ბუნებით, რომელთა შორისაა აჭარის მთიანი რეგიონი. მას დიდი შესაძლებლობები აქვს ტურიზმის ამ მიმართულების განვითარებისთვის. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, საქართველოში ტურიზმის განვითარებამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, რასაც ხელი შეუწყო სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების აქტიურმა მარკეტინგულმა საქმიანობამ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს შესახებ ინფორმაციის გავრცელებამ, საერთაშორისო ცნობადობის გაზრდამ. ეს აისახა ვიზიტორების რაოდენობის ყოველწლიურ ზრდაში, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში. მათი დიდი ნაწილის ინტერესის სფეროს წარმოადგენს ბუნება, ადგილობრივი კულტურა, სამზარეულო და სხვა. მთიან ზონაში ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მთლიანობაში ხელს შეუწყობს მეტი ვიზიტორის მოზიდვას, რაც დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახელობის სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. მთიან რეგიონში ტურიზმის სხვადასხვა სფეროს, მათ შორის ველნეს ტურიზმის განვითრებისთვის

მნიშვნელოვანია მომსახურების ხარისხის კონტროლი, გარემოსდაცვითი ღონისძიებების (მყარი ნარჩენების მართვა და სხვა.) სწორად დაგეგმვა და მართვა [5] [6]. ბუნებრივი პირობები (ეკოლოგიური გარემო, არსებული მინერალური წყაროები) და ეთნო-კულტურული რესურსების (ადგილობრივი ტრადიციები) თავისებურებების გათვალისწინებით სასურველია მოხდეს ტურიზმის მეტი პოპულარიზაცია, როგორც საგარეო ბაზარზე ისე ადგილობრივ მოსახლეობაში. მდგრადი განვითარების შენარჩუნება მოითხოვს მთის ტურიზმის ხელშეწყობის მიმართულებით ინტერ- დისციპლინურ მიდგომას და არსებული რესურსების გამოყენებას გონივრულ ფარგლებში. ზოგადად, მთის ტურიზმის განვითარების სტერეოტიპული სტრატეგია, რომელიც შესაძლოა ადაპტირდეს ყველა ადგილთან არ არსებობს [7]. აღნიშნულის გათვალისწინებით, მთიან რაიონებში ტურიზმის განვითარებისას მნიშვნელოვანია ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ხედვის გათვალისწინებით ეკოტურიზმის პოტენციალის ათვისება საერთაშორისო სტანდარტების დაცვით [8]. აჭარის მთიან რეგიონში მნიშვნელოვანია გამაჯანსაღებელი ტურიზმის მიმართულების განვითარება [9]. და პოპულარიზაცია რეგიონის შესაძლებლობების გათვალისწინებით. მთიან ზონაში ტურიზმის განვითარებისათვის წამყვანი როლი ენიჭება უნიკალურ ბუნებრივ სამკურნალო რესურსებს. საქართველოს დასასვენებელი და საკურორტო ადგილები ყოველთვის იზიდავდა მრავალრიცხოვან ტურისტსა და დამსვენებელს. გლობალური ტენდენციებისა და უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით, მთიან რეგიონში ველნესის განვითარება და ტურიზმის წამყვან მიმართულებად ჩამოყალიბება დადებითად აისახება ქვეყნის შემოსავლების ზრდაზე. ვფიქრობთ, აჭარის რეგიონის შემთხვევაშიც შესაძლებელია აღნიშნული მიმართულებით შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება. აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა აჭარის მთიან ზონაში ველნეს ტურიზმის განვითარებისთვის ტურისტული რესურსების პოტენციალის შეფასება. შესაბამისად, დავინტერესდით აჭარის მთიანი ზონის შესაძლებლობებით ველნესის და სამედიცინო ტურიზმის განვითარებისთვის. ამასთანავე ველნეს სერვისის დანერგვისას მნიშნველოვანია გათვალისწინებული იყოს. რომ ველნესის სანატორიუმში დასვენება შეთავსებულია ფიზიკურ გაჯანსაღებასთან და ფსიქო-ემოციურ განტვირთვასთან. ტურისტები კომპლექსში იღებენ თერაპევტის, დიეტოლოგის, ფსიქოლოგის და ბალნეოლოგიურ მომსახურებას. ასევე იტარებენ სამკურნალო ვარჯიშებს, მასაჟებს და სხვა სამედიცინო პროცედურებს. დასვენების საბოლოო ამოცანაა - არა მარტო განკურნება, არამედ ბუნებრივი ჰარმონიის მოპოვება (ნადარეიშვილი ნ. 2016). ამდენად, მნიშვნელოვანია სამკურნალო წყლების, როგორც ტურისტული რესურსის შესწავლა, რაც განსაზღვრავს ველნეს მიმართულების ტურისტული ობიექტის განვითარებას. ჩვენს მიერ ადგილზე შესწავლილ იქნა სამკურნალო წყლების, აბანოებისა და ტალახის საბადოების შესახებ არსებული მონაცემები ადგილობრივი მოსახელობის გამოკითხვით.

კვლევის ობიექტი. ჩვენს მიერ დასახული მიზნის მისაღწევად, შედგენილი იქნა სპეციალური კითხვარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აჭარის მთიანი ზონის ტერიტორიაზე მცხოვრებმა რესპოდენტმა. კვლევაში მონაწილეობდა 77 რესპონდეტი (ხელვაჩაურის (სოფელი ერგე), ქედის (ფოფლები: აქუცა, ბალაძეები, ბზუბზუ, გეგელიძეები, გულები, გუნდაური, გობრონეთი, კოკოტაური, მერისი, ნამოსატრევი, ოქტომბერი, პირველი მაისი, წონიარისიმ ვაიო), შუახევისა (სოფლები: ვანი, ჭვანა, ნიგაზეული, ტომაშეთი, პაპოშვილები, ტბეთი, ბრილი, მახალიკიძეები,, გომარდული, შუბანი, ტაკიძეები, გოგაძეები, მაწყალლთა, ცხემლისი, ცინარეთი, და ხულოს (სოფლები: ალმე, დიდაჭარა, ვამლოვანი, ქედლები, მუნიციპალიტეტიდან).

მიღებული შედგები და მათი განსჯა. კვლევის მიხედვით, რესპოდენტთა 91 %-ს აქვს ინფომრაცია სამკურნალო თვისებების მქონე წყლების შესახებ, ხოლო 9% არ იცნობს სამკურნალო თვისებების მქონე წყლებს (სურ. 1.ა). თუმცა საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ რესპონდენტთა ეს ნაწილი, მიეკუთვნება ახალგაზრდა მოსახლეობას (სურ. 1.ბ), 18-24 და 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ველნეს ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი რესურსების სწორი შეფასება. რესურსებს შორისაა ასევე აბანოები. ჩვენს შეკითხვაზე რესპოდენტთა 88 % იცნობს სამკურნალო თვისებების მქონე აბანოებს, ხოლო მხოლოდ 12%-ს აქვს ინფორმაცია აბანოების შესახებ. ჩვენი კვლევის მიხედვით, რესპოდენტთა 61%-ს აქვს ინფორმაცია სამკურნალო ტალახებზე, ხოლო 39%-ს არა აქვს ამის შესახებ ინფორმაცია (სურ. 1.გ).



სურ. 1. ტრადიციულად შემორჩენილი სამკურნალო თვისებების მქონე წყლებისა, აბანოებისა და ტალახების შესწავლა აჭარის მთიან ზონაში
ა. წყლები; **ბ.** აბანოები; **გ.** ტალახი

ვფიქრობთ, კვლევის მიხედვით სამკურნალო წყლების, აბანოებისა და ტალახის გამოსავლებისა და საბადოების შესახებ ცნობადობა მაღალია, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ აღნიშნული ბუნებრივი რესურსები სარგებლობენ პოპულარობით ადგილობრივ მოსახლეობაში [10]. საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, მთის ტურიზმის შესახებ კვლევებმა თვალნათლივ აჩვენა მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიმართულებით. დადასტურებულია მთის ტურიზმის სამკურნალო. მთის საპროფილაქტიკო და გამაჯანსაღებელი ეფექტი გამოვლენილია სხვადასხვა მიმართულებით [11] [4] მთიანი რეგიონის ტურისტული შესაძლებლობები, მათ შორის ველნეს ტურიზმის განვითარება კომპლექსური მიდგომებით და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შექმნის უნიკალურ შესაძლებლობას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებისთვის და რეგიონს მისცემს შესაძლებლობას გაერთიანდეს საერთაშორისო გამაჯანსაღებელ ორგანიზაციებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. L. Huang and H. Xu, “Therapeutic landscapes and longevity: Wellness tourism in Bama,” *Soc. Sci. Med.*, vol. 197, pp. 24–32, Jan. 2018, doi: 10.1016/j.socscimed.2017.11.052.
2. J. Yin, Y. Chen, and Y. Ji, “Effect of the event strength of the coronavirus disease (COVID-19) on potential online organic agricultural product consumption and rural health tourism opportunities,” *Manag. Decis. Econ.*, vol. 42, no. 5, pp. 1156–1171, Jul. 2021, doi: 10.1002/mde.3298.
3. I.-B. Bacoş and M. R. Gabor, “Tourism Economy. Mountain Tourism: Quantitative Analysis of Winter Destinations in Romania,” *ECONOMICS*, vol. 9, no. 1, pp. 143–159, Jun. 2021, doi: 10.2478/eoik-2021-0005.
4. J. Y. Yang, S. Paek, T. (Terry) Kim, and T. H. Lee, “Health tourism: Needs for healing experience and intentions for transformation in wellness resorts in Korea,” *Int. J. Contemp. Hosp. Manag.*, vol. 27, no. 8, pp. 1881–1904, Nov. 2015, doi: 10.1108/IJCHM-11-2013-0505.
5. P. Dérioz, P. Upadhayaya, P. Bachimon, and M. Loireau, “Development of mountain domestic tourism close to the major urban areas of Nepal: South side of the Annapurna Massif and Helambu: Peer-reviewed article,” *Tour. Rev.*, no. 17, Oct. 2020, doi: 10.4000/viatourism.5586.
6. Y. Songling, M. Ishtiaq, and B. T. Thanh, “Tourism Industry and Economic Growth Nexus in Beijing, China,” *Economies*, vol. 7, no. 1, p. 25, Mar. 2019, doi: 10.3390/economies7010025.
7. Duglio, Bonadonna, Letey, Peira, Zavattaro, and Lombardi, “Tourism Development in Inner

Mountain Areas—The Local Stakeholders' Point of View through a Mixed Method Approach," *Sustainability*, vol. 11, no. 21, p. 5997, Oct. 2019, doi: 10.3390/su11215997.
8. S. Gössling, P. Peeters, J.-P. Ceron, G. Dubois, T. Patterson, and R. B. Richardson, "The eco-efficiency of tourism," *Ecol. Econ.*, vol. 54, no. 4, pp. 417–434, Sep. 2005, doi: 10.1016/j.ecolecon.2004.10.006.
9. T. A. Heberlein, P. Fredman, and T. Vuorio, "Current Tourism Patterns in the Swedish Mountain Region," *Mt. Res. Dev.*, vol. 22, no. 2, pp. 142–149, May 2002, doi: 10.1659/0276-4741(2002)022[0142:CTPITS]2.0.CO;2.
10. G. Gogitidze and N. Nadareishvili, *The Resource Potential of Medical Tourism in Mountainous Adjara*. 2021.
11. Pan, Yang, Han, Lu, and Liu, "Evaluating Potential Areas for Mountain Wellness Tourism: A Case Study of Ili, Xinjiang Province," *Sustainability*, vol. 11, no. 20, p. 5668, Oct. 2019, doi: 10.3390/su11205668.
12. ნ. ნადარეიშვილი, Wellness ტურიზმის პერსპექტივები საქართველოში, სტუ-ს მეოთხე საერთაშორისო ეკონომიკურიკონფერენცია - IEC 2016 ,,ეროვნული ეკონომიკის განვითარებისმოდ-ელები: გუშინ, დღეს, ხვალ" 14-15 ოქტომბერი, 2016 წ. თბილისი, საქართველო. „ბიზნეს-ინჟინერინგი, №3. 2016. გვ. 240-243.

Wellness tourism opportunities in the mountainous zone of Adjara

Giorgi Gogitidze
PhD student of Georgian Technical University

Nana Nadareishvili
Associate professor of Georgian Technical University

Summary

Over the last two decades, the development of tourism in Georgia has made significant progress, which has been facilitated by the sharing of information about Georgia by public and private entities in the country and abroad, thus increasing international awareness. Due to the COVID-19 pandemic, the interest of tourists in the mountainous zone has significantly increased in the world. In general, unique natural healing resources are given a leading role in developing tourism in mountainous areas. It should be noted that the resorts and resorts of Georgia have always attracted numerous tourists and vacationers. Considering the above, we think it is essential to develop and popularize the direction of health tourism in the mountainous region of Adjara, taking into account the region's opportunities. Unique natural healing resources play a leading role in developing tourism in the mountainous zone. Given the global trends and foreign experience, the development of wellness in the mountainous region and the emergence of tourism as a leading destination will positively impact the country's revenue growth. In the mountainous region of Adjara, it is important to develop and popularize the direction of health tourism, taking into account the area's opportunities. It is known that taking into account global trends and foreign experience, the development of wellness in the mountainous region and its emergence as a leading destination for tourism will positively impact the country's revenue growth. We think that in the case of the Adjara region, it is possible to develop an appropriate strategy in this direction. Therefore, our research aimed to assess the potential of resources for the development of wellness tourism in the mountainous zone of Adjara. 77 respondents living in the mountainous area of Adjara participated in the study, 91% of whom have information about waters with healing properties and 88% about baths with healing properties.

Keywords: wellness tourism, mountainous zone, Adjara

Development of Medical Tourism in Georgia

Vasadze Manana
Professor, GTU, Tbilisi, Georgia

Ekvtimishvili Tamar
Doctoral student, GTU, Tbilisi, Georgia

Abstract

Traveling for health and wellness has a long history. The definition of health tourism is not really clear, making it difficult to include it in tourism statistics. Countries are implementing policies to fuel the health tourism market. Patients choose cross-border treatments for various reasons. Medical tourism is in the beginning stages of its growth, of which the pace is increasing exponentially. Recent studies have shown that there are several promising companies in this field in Georgia. The experts predict that the future of health/medical tourism is expected to remain profitable.

Key words: health/medical tourism, tourism statistics, cross-border treatment, medical treatment.

Introduction

Traveling for health and wellness has a long history. People have been traveling for centuries in the name of health, from ancient Greeks and Egyptians who flocked into hot springs and baths. Health tourism has been around for thousands of years since the third millennium B.C. And now people are traveling from all corners of the world to receive medical treatments, creating a market called health tourism.

Health tourism is a form of tourism that consists of patients traveling to other countries to get medical treatment or assistance. It comprises all the services associated with tourism like transport, accommodation, and hospitality. Health tourism consists of medical tourism, wellness tourism (to enhance health), and spa tourism (spas that combine medical and health components). The three components are different but also overlap. [1]

Literature Review

At present, there is not any agreed definition of medical tourism exits.

According to OECD, 2011," When consumers elect to travel across international borders to receive some form of medical treatment, which may span the full range of medical services (most commonly includes dental care, cosmetic surgery, elective surgery, and fertility treatment)". [2]

According to McKinsey, "When a person, whose primary and explicit purpose in traveling is to obtain medical treatment in the foreign country, excluding emergency tourists, wellness tourists, expatriates seeking care in their country of residence, patients traveling to neighboring regions to the closest available care is referred as medical tourism." [3]

K. Pollard, International Medical Tourism Journal in 2011 defines, **"** A medical tourist is someone who travels outside of his or her own country for surgery or elective treatment of a medical condition**." [3]**

Some authors prefer to use the concepts of health tourism and medical tourism without taking any measures on their differences while some others prefer to make a distinction between those two concepts (Smith and Puczko, 2009: 101). [4]

"The terms "medical tourism" and "health tourism" refer to treatments or surgery that have been planned in advance to take place outside a patient's usual place of residence" (Terry, 2 007, 4160) [5]"... a distinction must be made between health tourism and medical tourism, whereby medical tourism is the correct term to use in cases in which medical interventions are required" (Yu and Ko, 2012: 81) [6].

According to some authors health tourism is a composition of three main categories which are "Services to Improve Health (spa, herbal therapy, massage, etc.), Services for treatment – Medical Tourism (cosmetic surgery, heart surgery, eye surgery, cancer therapy, etc), [and] Rehabilitation Services (dialysis, addiction programs, elder

care program)" (Ministry of Health, 2012:18). [7]

Recent studies show that the reorganization of [the] health care system has begun to yield positive outcomes since "foreign patients from all over the world come to Turkey to health institutions for plastic surgery, eye operations, hair[trans]plantation, fertility, open heart operations, dermatology, cancer treatments, brain surgery, [orthopedics], dental operations, etc. for lower prices with high-tech standards" (BAKA*, 2011;16).* [8]

All in all, the definition of health tourism is not really clear, making it difficult to include it in tourism statistics. That consequently makes it tricky to measure the importance, growth, and impact of health tourism on the overall tourism industry and economy. However, we do know that the market for health tourism has grown exponentially in recent years and has led to new forms of health tourism like fertility tourism and dental tourism.

In 2014 Health tourism made up about 5 percent of the tourism industry in the EU28 and contributed to about 0.3 percent of the EU economy. It in fact had a higher domestic share than traditional tourism did. Therefore, increasing the share of health tourism may lessen the seasonality of tourism, increase labor quality and sustainability.

More and more governments and companies are offering cheap flights, open borders, and inclusive packages to further fuel this segment of the tourism market.

Some key statistics from a June 2009 survey that was conducted by the Medical Tourism Association (MTA)[9] allows us understand why the industry is growing so fast and why it is important for key stakeholders to prioritize health tourism directives:

- 64% of patients that traveled for care didn't have health insurance
- Almost 83% of patients traveled with a companion
- 33% of patients traveled abroad for cosmetic surgery
- Almost 90% of patients or their companions engaged in tourism activities
- Nearly 80% of the demand for medical travel is driven by cost savings
- Medical tourists spend between €6,083 and €12,885 per medical travel trip
- 48% of respondents would be interested in engaging in medical tourism again at some point in the future
- The cost of medical treatment and quality were the most important factors in their decision to travel abroad for treatment
- Out of 49 participants that had previously traveled overseas for medical treatment, 36% used a medical tourism facilitator

Patients choose cross-border treatments for various reasons:

- The possibility of having access to certain treatments that are not available in their countries,
- The lower cost and higher quality of the treatments; and
- The opportunity to have a holiday to rest and recover in the destination country. Patients may even spend more time in a hotel that they would at a hospital during their medical trip. Depending on the procedure, they often spend a couple of nights at a hospital and spend the rest of the time in a hotel for recovery or doing physical therapy.

Countries are implementing policies to fuel the health tourism market. For example, Turkey has become a premier and popular destination for medical tourists. Looking for less complicated treatments, the government offers discounts for patients flying with Turkish Airlines. The government is also planning to introduce tax-free healthcare zones for foreign patients. [11]

Medical Tourism in Georgia

Medical tourism is in the beginning stages of its growth, of which the pace is increasing exponentially. Minimally invasive and surgical manipulations of surgery have become available for the prevention and treatment of vascular pathologies, which has been a contributing factor in the growth of the industry. Recent studies have shown that there are several promising companies in this field. One of them is the "Total Charm" - the international clinics' chain of plastic and aesthetic surgery and dermato-cosmetology. The branches of the clinic are located in Tbilisi, Batumi. All clinics of "Total Charm" are equipped with modern technologies and it gives the opportunity to use the updated methodology and new technology in this field.

The first branch of the "Total Charm" clinic was opened in the year 2005 in Tbilisi. The clinic was equipped with modern devices offering a full range of dermatological and plastic surgery procedures. This was presented at the second branch of "Total Charm" clinic in 2013 in Batumi also. [10]

Since 2017, the Department of Aesthetic Gynecology has been opened at the Total Charm Clinic. From this point onwards, both surgical and minimally invasive services are provided for women to improve their health. A fully equipped laboratory has been set up in the clinic to conduct a full range of preoperative examinations.

In 2019, 1280 patients underwent invasive and surgical operations of which 62% consisted of the local population and the remaining 38% consisted of patients from abroad.

Benefits of Medical Tourism

Medical Tourism is a newly introduced concept in the travel and tourism industry in Georgia. The importance and benefits of medical tourism are as follows:

- Opportunities for economic development.
- Opportunities of the creation of more healthcare jobs.
- Opportunities of the creation of more healthcare facilities.
- Gives access to the latest technology in the medical sector.
- Improves the quality of life for everybody involved.
- Participation in Global Healthcare.
- Generates:

1. Foreign Revenues.
2. Social Benefits.
3. Political Benefits.
4. Economical Benefits.

Countries are in competition for medical tourists. Worldwide, the industry is said to be worth up to $55 billion dollars.[1] Presently, the future of medical tourism is expected to remain profitable as experts predict billions of dollars in revenue growth for the coming years.

References

1. https://tourismnotes.com/medical-tourism/
2. https://www.oecd.org/about
3. https://www.mckinsey.com › mckinsey › industries
4. https://www.hope.be › uploads › 2015/11 › 98_2
5. Terry, Nicholas P. (2007), "Under-Regulated Health Care Phenomena in a Flat World: Medical Tourism and Outsourcing", Western NewEngland Law Review, 29.
6. Yu, Jin Yun and Ko, Tae Gyo (2012), "A Cross-Cultural Study of Perceptions of Medical Tourism among Chinese, Japanese and KoreanTourists in Korea", Tourism Management, 33
7. Ministry of Health, (2012), Evaluation Report on Medical Tourism in Turkey 2012, Prepared by: Mehmet Barca, Erdal Akdeve, øklimGedik Balay, ørfan ùencan, and Dursun AydÕn, Republic of Turkey Ministry of Health Directorate General of Health ServicesDepartment of Health Tourism, Opus Print LLC
8. BAKA (Western Mediterranean Development Agency) (2011), Health Report Tourism Sector, February
9. https://core.ac.uk/download/pdf/48500093.pdf
10. http://totalcharm.ge
11. Dr. Esma Gültüvin Gür Omay , Prof. Dr. Emrah Cengiz E-ISSN 2039-2117 ISSN 2039-9340 Mediterranean Journal of Social Sciences MCSER Publishing, Rome-Italy Vol 4 No 10 October 2013 *(PDF) Health Tourism in Turkey: Opportunities and Threats*. Available from: https://www.researchgate.net/publication/271105449_Health_Tourism_in_Turkey_Opportunities_and_Threats [accessed Feb 17 2022]. Doi:10.5901/mjss.2013.v4n10p424

სამედიცინო ტურიზმის განვითარება საქართველოში

ვასაძე მანანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ექვთიმიშვილი თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის მოგზაურობას დიდი ისტორია აქვს. ჯანმრთელობის ტურიზმი არის ტურიზმის ფორმა, რომელიც მოიცავს პაციენტებს, რომლებიც მიემგზავრებიან სხვა ქვეყნებში სამედიცინო მკურნალობის ან დახმარების მისაღებად. იგი მოიცავს ტურიზმთან დაკავშირებულ ყველა სერვისს, როგორიცაა ტრანსპორტი, განთავსება და სტუმარმასპინძლობა. ჯანმრთელობის ტურიზმი შედგება სამედიცინო ტურიზმისგან, ველნეს ტურიზმისგან (ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად) და სპა ტურიზმისგან (სპა, რომელიც აერთიანებს სამედიცინო და ჯანმრთელობის კომპონენტებს). ეს სამი კომპონენტი განსხვავებულია, მაგრამ ასევე ავსებს ერთმანეთს. [1]

ჯანმრთელობის/სამედიცინო ტურიზმის განმარტება ნათლად არ არის ჩამოყალიბებული, რაც ართულებს მის ჩართვას ტურიზმის სტატისტიკაში. ბევრი ქვეყანა ახორციელებს შესაბამის პოლიტიკას ჯანმრთელობის ტურიზმის ბაზრის გასაძლიერებლად. პაციენტები ირჩევენ ტრანსსასაზღვრო მკურნალობას სხვადასხვა მიზეზის გამო. სამედიცინო ტურიზმი მისი განვითარების საწყის ეტაპებზეა, რომლის ტემპი მნიშვნელოვნად იზრდება. ზოგიერთ ავტორს ურჩევნია გამოიყენოს ჯანმრთელობის ტურიზმისა და სამედიცინო ტურიზმის ცნებები მათ განსხვავებაზე მინიშნების გარეშე, ზოგს კი ურჩევნია განასხვავოს ეს ორი კონცეფცია (Smith and Puczko, 2009: 101). [4]

პაციენტები ირჩევენ ტრანსსასაზღვრო მკურნალობას სხვადასხვა მიზეზის გამო. ეს მიზეზებია:

• გარკვეულ მკურნალობაზე წვდომის შესაძლებლობა, რომლებიც მიუწვდომელია მათ ქვეყნებში;

• მკურნალობის დაბალი ღირებულება და უმაღლესი ხარისხი;

• დასვენების შესაძლებლობა დასვენებისა და გამოჯანმრთელების დანიშნულების ქვეყანაში. პაციენტებმა შეიძლება მეტი დრო გაატარონ სასტუმროში, ვიდრე საავადმყოფოში სამედიცინო მოგზაურობის დროს. პროცედურის მიხედვით, ისინი ხშირად ატარებენ რამდენიმე ღამეს საავადმყოფოში, ხოლო დანარჩენ დროს ატარებენ სასტუმროში გამოჯანმრთელების მიზნით ან ფიზიოთერაპიის ჩასატარებლად.

ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოში სამედიცინო ტურიზმის სფეროში რამდენიმე პერსპექტიული კომპანია არსებობს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ჯანმრთელობის/სამედიცინო ტურიზმის მომავალი ქვეყნის ეკონომიკისთვის ძალზე მომგებიანია. სამედიცინო ტურიზმის განვითარება იძლევა მეტი სამუშაო ადგილების, სამედიცინო დაწესებულებების შექმნის აუცილებლობას, აგრეთვე, სამედიცინო სექტორის უახლეს ტექნოლოგიებზე წვდომის შესაძლებლობას, რაც გულისხმობს ქვეყნისთვის როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სარგებელს სავალუტო შემოსავლების და სოციალური შეღავათების კუთხით.

საკვანძო სიტყვები: ჯანმრთელობა/სამედიცინო ტურიზმი, ტურიზმის სტატისტიკა, ტრანსსასაზღვრო მკურნალობა, სამედიცინო მკურნალობა.

მარკეტინგის კონცეფცია საგანმანათლებლო ბიზნესში

ვეკუა ელზა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში - „მარკეტინგის კონცეფცია საგანმანათლებლო ბიზნესში“ - ძირითადად ყურადღება გამახვილებულია ზოგადად მარკეტინგსა და მარკეტინგულ საქმიანობაზე განათლების სფეროში. განხილულია პროფესორების მ. კლაინალტენკამპის, ჯ. ბეიტსონის, ვ. ზეიტჰამლის, მ. ბიტნერისა და კ. გრონროოსისა და სხვათა პოზიციები მომსახურებისა და მატერიალური საქონლის მარკეტინგის შესახებ.

აღწერილია მომსახურების სფეროს სპეციფიკურობები, რომელთა შორის აღსანიშნავია მისი არამატერიალური ხასიათი. ასევე, საგანმანათლებლო მომსახურების ოთხი ძირითადი თვისება: 1. ხელშეუხებლობა; 2. მწარმოებლისაგან განუყოფლობა; 3. ცვალებადი ხარისხი; 4. შეუძლებელია მომსახურების შენახვა.

სტატიაში დასმულია კითხვა - დადგა თუ არა მარკეტინგის დრო განათლების სფეროში? ესაჭიროება თუ არა ის სამამულო განათლების სისტემას, ქართულ საზოგადოებას და, რაც მთავარია, თავად ქართველებს? ამ კითხვებზე პასუხები განსაზღვრავს განათლების სფეროში მარკეტინგის, როგორც მეცნიერული და სასწავლო დისციპლინის აუცილებლობის, შესწავლის და პრაქტიკული რეალიზაციის ხარისხს.

საქართველოში არსებული სასწავლო დაწესებულებათა უმრავლესობა არ მიიჩნევს აუცილებლობად მარკეტინგის გამოყენებას, რასაც ხელს უწყობს რეალურ ვითარებაში შექმნილი მცდარი წარმოდგენები. მათი ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საკმარისია მხოლოდ ახალი სპეციალობების ან კურსების შემოღება, მეორე ნაწილის აზრით, აუცილებელია მხოლოდ საათის მექანიზმის მსგავსად ფუნქციონირებადი სასწავლო პროცესი, დანარჩენი აქცენტს რეკლამასა და გასაღების სტიმულირებაზე აკეთებს კონტინგენტის მოსაზიდად.

საბოლოოდ კი აღნიშნულია, რომ თანამედროვე პირობებში ქართული სასწავლო დაწესებულებების ძირითადი მიზანი უნდა გახდეს სოციალურად ორიენტირებული მარკეტინგის გამოყენება, რაც კლიენტების მოთხოვნებისა და ინტერესების განსაზღვრასა და დაკმაყოფილებას გულისხმობს. სწორედ ამგვარი მარკეტინგით მიიღწევა ტრიუმვირატის (ორგანიზაცია, მომხმარებელი, საზოგადოება) კეთილდღეობა.

საკვანძო სიტყვები; მარკეტინგი, საგანმანათლებლო სისტემა, სასწავლო დაწესებულებები, მომსახურების სფერო.

ძირითადი ტექსტი

მარკეტინგი და მარკეტინგული საქმიანობა დიდი ხანია გახდა მსოფლიოს მრავალი კომპანიისა და ორგანიზაციის განუყოფელი ნაწილი. საქართველოში არსებული საწარმოო გაერთიანებები და ბანკები, სავაჭრო და სამშენებლო ფირმები ხსნიან მარკეტინგის განყოფილებებს და ეძებენ სპეციალისტებს. ტერმინი „მარკეტინგი” უკვე ჩვეული გახდა არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც. ქართული პრესის ფურცლებზე და ინტერნეტის საიტებზე დღეისათვის აუცილებლად შევხვდებით განცხადებებს იმის შესახებ, რომ რომელიღაც კომპანიას ესაჭიროება მარკეტინგის სპეციალისტი. ასეთი კომპანია შეიძლება იყოს საწარმო, კომერციული ბანკი ან სავაჭრო ფირმა. მაგრამ იშვიათად ვნახავდით იგივე განცხადებას, რომელიც გააკეთა საავადმყოფომ, გალერეამ, საშუალო სკოლამ ან უმაღლესმა სასწავლებელმა.

მომსახურების სფეროს მეცნიერებმა გასული საუკუნის 50-60-იან წლებში მიაქციეს ყურადღება. საზღვარგარეთ არსებობს გარკვეული სამეცნიერო კვლევითი ჯგუფი უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც შეისწავლიან მომსახურების მენეჯმენტსა და მარკეტინგს.

ეკონომისტების ერთ ნაწილს, მაგალითად, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის მარკეტინგის ინსტიტუტის პროფესორს მ. კლაინალტენკამპს მიაჩნია, რომ მომსახურების მარკეტინგი არ უნდა

განსხვავდებოდეს მატერიალური საქონლის მარკეტინგისაგან. ისინი ამტკიცებენ, რომ საქონელსა და მომსახურებას შორის არც იმდენი განსხვავებაა, რომ ის გავითვალისწინოთ მარკეტინგული ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებისას.[1]

ჯ. ბეიტსონი თვლის, რომ იმ კომპანიებში, რომლებიც აწარმოებენ და ყიდიან მატერიალურ პროდუქტებს, მარკეტინგის დეპარტამენტი უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე იმათში, რომლებიც თავის კლიენტებს მომსახურებას სთავაზობენ. მისი აზრით, მომსახურების სფეროს საწარმოებში იმ გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც შეეხება ახალ საქონელს, ფასწარმოქმნას და გასაღებას, შეუძლია სხვა დეპარტამენტების პერსონალს. ის გამოყოფს ორ ამოცანას, რომლის გადაწყვეტაშიც შეიძლება დაეხმაროს მარკეტინგის დეპარტამენტი სერვისულ ფირმას – ესა კორპორაციული კულტურის შექმნა და ბაზრის წილის ზრდა.[2]

მკვლევრების მეორე ნაწილი დარწმუნებულია, რომ მომსახურების სპეციფიკა, მაგალითად, მისი არამატერიალურობა, შენახვისა და ტრანსპორტირების შეუძლებლობა, პოულობს თავის ასახვას მარკეტინგის სისტემაში, რომელსაც მომსახურების სფეროს საწარმო იყენებს. ამ პოზიციას ემხრობიან ვ.ზეიტჰამლი და მ.ბიტნერი. ისინი თვლიან, რომ სერვისულ ფირმებში მარკეტინგული კომუნიკაციების განსაკუთრებული კომპლექსის შექმნის მთავარი მიზეზია შემკვეთისათვის იმ მომსახურების უმაღლესი ხარისხის დემონსტრირების აუცილებლობა, რომლის შეძენასაც ის აპირებს.[3]

ამ აზრს ემხრობა აგრეთვე მომსახურების მარკეტინგის ჩრდილოეთის სკოლის აღიარებული ლიდერი კ. გრონროოსი. ის ასახელებს სხვა მიზეზებსაც, რომლებიც განაპირობებენ სერვისულ ფირმაში განსაკუთრებული მარკეტინგული სისტემის შექმნის აუცილებლობას. უპირველეს ყოვლისა, მყიდველი მონაწილეობს მომსახურების გაწევის პროცესში და ეს პროცესი მისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შედეგი. ეს განაპირობებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს პერსონალისა და ხარისხის კონტროლის სისტემისადმი. მომსახურების შენახვის შეუძლებლობა მოითხოვს მომსახურების სფეროში საწარმოს შესაძლებლობის ზუსტ გამოთვლებს.[4]

მომსახურების სფეროს დარგობრივი სტრუქტურა მეტად მრავალფეროვანია. იგი მოიცავს როგორც სახელმწიფო სექტორს მისი შრომის ბირჟებით, საავადმყოფოებით, სახანძრო დაცვით, ფოსტით, სკოლებით და ა.შ., ისე კომერციულ სექტორსაც ავიაკომპანიებით, საბანკო მომსახურებით, სადაზღვევო კომპანიებითა და სხვა.

2008 წელს გაეროს სტატისტიკურმა კომისიამ დაამტკიცა საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციის (ISIC) მეოთხე გადამუშავებული ვარიანტი, რომელიც შედგება 21 განყოფილებისა და 99 ქვეგანყოფილებისაგან. სწორედ ამ კლასიფიკაციის მე-16 განყოფილებაა განათლება.[5]

მომსახურების სფეროს რიგი სპეციფიკურობები გააჩნია, რომელთა შორის აღსანიშნავია მისი არამატერიალური ხასიათი. საგანმანათლებლო მომსახურებას, როგორც მომსახურების ერთ-ერთ ინგრედიენტს, ოთხი ძირითადი თვისება ახასიათებს. ესენია:

1. **ხელშეუხებლობა.** შეუძლებელია მისი დანახვა, სუნის ან გემოს შეგრძნება;

2. **მწარმოებლისაგან განუყოფლობა.** ეს ნიშნავს, რომ მომსახურების გამიჯვნა მისი მწარმოებლისაგან შეუძლებელია;

3. **ცვალებადი ხარისხი.** მომსახურების ხარისხი არ არის მუდმივი და იგი შეიძლება ფართო დიაპაზონით იცვლებოდეს, რასაც განაპირობებს მომწოდებელი, მომსახურების გაწევის დრო, ადგილი და სხვა ფაქტორები;

4. **შეუძლებელია მომსახურების შენახვა.** მოთხოვნის მუდმივობის პირობებში მომსახურების ეს თვისება არ წარმოადგენს პრობლემას მწარმოებლისათვის. სერიოზული პრობლემები თავს იჩენს, როცა მომსახურების მწარმოებელს უჭირს მუდმივი მოთხოვნის შენარჩუნება.

---

[1] Кляйнальтенкамп М. Синергетический потенциал исследований в области маркетинга промышленных товаров и услуг // Проблемы теории и практики управления. — 2002. — № 1. с. 106

[2] Bateson J. Managing services marketing. United States of America, 1995. с. 18, 645

[3] Bitner M., Zeithaml V. Services marketing. — Massachusetts, 1996. с. 7

[4] Gronroos C. Service management and marketing. — West Sussex, 2000. с. 47, 48.

[5] International Standard Industrial Classification of All Economic Activities. Revision 4. Series M No. 4/Rev.4. United Nations. New York, 2008. http://unstats.un.org/unsd/cr/registry/isic-4.asp

საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გაითავისეს მარკეტინგული საქმიანობის აუცილებლობა.

რამდენადაც სასწავლო დაწესებულებების მარკეტინგული ორინეტაცია საქართველოში შედარებით ახალი სფეროა, დამკვიდრდა მცდარი შეხედულება, რომ მარკეტინგი არის მხოლოდ სკოლის, უმაღლესი სასწავლებლის და სხვა სასწავლო დაწესებულებების მომსახურებაზე მოთხოვნის ფორმირება, მათი გასაღება და რეკლამა, მომხმარებლის მოზიდვა არაეფექტური დაწესებულებების გადასარჩენად, მდარე ხარისხის მომსახურების შენიღბვის საშუალება, განათლების სფეროს მუშაკთათვის არაეთიკური საქმიანობა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ქვეყნებში უმაღლესი სასწავლებლების მარკეტინგული ორიენტაცია 70-იან წლებში სულ უფრო შესამჩნევი ხდება. ამ ათწლეულების მანძილზე საგანმანათლებლო მომსახურების მარკეტინგის პოზიტიური გამოცდილება დაგროვდა, რაც საგანმანათლებლო დაწესებულებებში მარკეტინგული საქმიანობის არსის, ძირითადი ელემენტების და ფუნქციების შესწავლის საშუალებას იძლევა. გარდამავალ პერიოდში საჭირო ხდება უცხოური გამოცდილების ადაპტაცია და საკუთარი მიდგომების დამუშავება, რაც სტიმულს მისცემს სასწავლო დაწესებულებების მარკეტინგულ საქმიანობას.

დადგა თუ არა მარკეტინგის დრო განათლების სფეროში? ესაჭიროება თუ არა ის სამამულო განათლების სისტემას, ქართულ საზოგადოებას და, რაც მთავარია, თავად ქართველებს? ამ კითხვებზე პასუხები განსაზღვრავს განათლების სფეროში მარკეტინგის, როგორც მეცნიერული და სასწავლო დისციპლინის აუცილებლობის, შესწავლის და პრაქტიკული რეალიზაციის ხარისხს.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მარკეტინგი ასრულებს ფრიად მნიშვნელოვან როლს. ის ეხმარება ორგანიზაციებს საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, მათი შეთავაზების ოპტიმიზაციაში, საბაზრო ურთიერთობების მონაწილეთა საქმიანობის ყველაზე ეფექტური სტრატეგიის შემუშავებასა და რეალიზაციაში. მოუმწიფებელი, ფორმირების პროცესში მყოფი ბაზრის პირობებში მარკეტინგი ვერ ავლენს თავს სრულად, მისი რეალიზაცია დაკავშირებულია მნიშვნელოვან სიძნელეებთან, მაგრამ სწორედ მას შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს ტრანსფორმაციის, გარდამავალი პერიოდი.

მთელს მსოფლიოში განათლება ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი და პერსპექტიული სფეროა. სპეციალისტების შეფასებით, მთელს მსოფლიოში მნიშვნელოვნად იზრდება საგანმანათლებლო მომსახურებაზე მოთხოვნა-მიწოდების მოცულობის ზრდა, განსაკუთრებით უმაღლეს და დიპლომისშემდგომ განათლებაზე, ხოლო დინამიურად განვითარებად ქვეყნებში მისი ყოველწლიური ზრდის ტემპი აღწევს 10-15%-ს.

თავისი პოტენციალითა და განვითარების ლოგიკით განათლების სფერო ინვესტორების სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს. განათლება მიმზიდველია ასევე კაპიტალდაბანდებების საბოლოო მომგებიანობითაც. ამ სფეროში ინვესტიციების გამოსყიდვა შეადგენს 3-დან 6 დოლარამდე ყოველ დაბანდებულ დოლარზე. მაგრამ ასეთი უკუგება მიიღწევა არც თუ მალე, ამას დრო ესაჭიროება. ამით არის განპირობებული აღნიშნულ სფეროში მომუშავე სუბიექტების მოქმედებათა სტრატეგიისა და ტაქტიკის, თანამედროვე კონცეფციების კარგად გააზრების აუცილებლობა.[1]

ბაზრის სუბიექტების საქმიანობის მართვისადმი მარკეტინგულ მიდგომას განსაკუთრებული სიძნელეები ექმნება განათლების სფეროში. ტრადიციულად, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებშიც კი განათლების სფერო იყო და არის სახელმწიფო სტრუქტურების განსაკუთრებული ყურადღებისა და ხელშეწყობის ობიექტი. იგი ფინანსდება სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმართველობის მიერ: მარკეტინგის მოთხოვნილება აქ დღემდე ჩამოყალიბების პროცესშია.

ტრანსფორმირების პერიოდთან დაკავშირებით თანამედროვე ისტორია საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა: ყველა ქვეყანაში, რომელიც წარმატებით აშენებს თანამედროვე ბაზარს (მაგალითად, ომისშემდგომი გერმანია და იაპონია, აგრეთვე გერმანია გაერთიანების შემდეგ),

[1] Панкрухин А.П. Маркетинг образовательных услуг в высшем и дополнительном образовании. Учебное пособие. – М.: Интерпракс, 1995. с. 5.

სპეციალისტების მომზადებისა და გადამზადების სფეროს (ანუ უმაღლესი და დიპლომისშემდგომი განათლების სფეროს) სახელმწიფო განიხილავდა როგორც პრიორიტეტულს და სწორედ ამის საფუძველზე გეგმავდა თავის საინვესტიციო პოლიტიკას. სახელმწიფოს ამ განსაკუთრებულ ზრუნვას განათლების სფეროში მარკეტინგის აუცილებლობა მინიმუმამდე დაჰყავდა.

ტრანსფორმირებადმა საქართველომ ვერ შესძლო წასულიყო ამ გზით. თავი იჩინა რესურსების მკაცრმა დეფიციტმა, ხოლო პოლიტიკურ-სამართლებრივი დეკლარაციები განათლების პრიორიტეტის შესახებ განუხორციელებელი დარჩა. ჩვენში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყოფილ სხვა რესპუბ-ლიკებში, განათლების დაწესებულებები იძულებით ჩაერთვნენ საბაზრო ურთიერთობებში, ვინაიდან სახელმწიფო ორგანოებმა ვერ შეძლეს მატერიალურად მათი საკმარისად უზრუნველყოფა. განათლების სისტემის დაწესებულებები იძულებულნი გახდნენ თავად შეიმუშაონ ჯერაც ჩამოუყალიბებელ სამამულო ბაზარზე გადარჩენის სტრატეგია. თუ განვითარებულ ქვეყნებში განათლების სფეროში მარკეტინგის აუცილებლობა ჯერ კიდევ იზრდება, საქართველოში განათლების სფეროს აქტიურმა კომერციალიზაციამ ამ სფეროში მარკეტინგის პრობლემა საკმაოდ მკაცრად დააყენა, მათ შორის სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშეც.

ბ.დევისი და ლ.ელისონი ნაშრომში "სტრატეგიული მარკეტინგი სკოლები-სათვის" საგანმანათლებლო მარკეტინგს განმარტავენ, როგორც საშუალებას, რომლის მეშვეობითაც სკოლები აქტიურად აწვდიან ინფორმაციას, საკუთარ მიზნებს, ფასე-ულობებსა და პროდუტს მოსწავლეებს, მშობლებს, პერსონალსა და საზოგადოებას.[1]

ცნობილი მკვლევრები ფილიპ კოტლერი და კარენ ფოქსი საგანმანათლებლო მომსახურების მარკეტინგის ცნებას განიხილავენ, როგორც დაგეგმვის, კვლევებისა და კონტროლის წინასწარ მომზადებული პროგრამების პრაქტიკულ რეალიზაციას, რომელიც სასწავლო დაწესებულებების ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით განაპირობებს ფასეულობათა ნებაყოფლობით გაცვლას მიზნობრივ ბაზრებზე.[2]

ამრიგად, სასწავლო დაწესებულებები მარკეტინგის ზემოხსენებული მეთოდებით აღწევენ საგანმანათლებლო პროგრამების დამუშავებას, რეალიზაციასა და შეფასებას, ამყარებენ ურთიერთობებს კლიენტებთან საერთო ინტერესების ჰარმონიზაციის მიზნით.

ზემოაღნიშნული ცნება მოიცავს რამდენიმე კომპონენტს:

1. მარკეტინგი, როგორც მართვის პროცესი მოიცავს კვლევას, დაგეგმვას, მათ პრაქტიკულ რეალიზებასა და კონტროლს;

2. ყველა ეს მოქმედება არის არა შემთხვევითი, არამედ წინასწარ შედგენილი და პროგრამის სკურპულოზულ კვლევებს ემყარება;

3. კომპლექსი მოიცავს იმ ფასეულობათა ნებაყობლობით გაცვლას, რომელიც მისაღებია მომხმარებლებისათვის;

4. მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდება პროგრამების ვარიანტული დამუშავება მომხმარებელთა ცალკეული სეგმენტისათვის;

5. მარკეტინგი სასწავლო დაწესებულებებს ეხმარება საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე საკუთარი ადგილის მოძებნაში;

6. მარკეტინგული კომპლექსი მოიცავს პროგრამის პროექტის, ფასწარმოქმნის, გავრცელების, სტიმულირებისა და გადაადგილების მეთოდების შემუშავებას.

საქართველოში არსებული სასწავლო დაწესებულებათა უმრავლესობა არ მიიჩნევს აუცილებ-ლობად მარკეტინგის გამოყენებას, რასაც ხელს უწყობს რეალურ ვითარებაში შექმნილი მცდარი წარმოდგენები. მათი ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საკმარისია მხოლოდ ახალი სპეციალობების ან კურსების შემოღება, მეორე ნაწილის აზრით, აუცილებელია მხოლოდ საათის მექანიზმის მსგავსად ფუნქციონირებადი სასწავლო პროცესი, დანარჩენი აქცენტს რეკლამასა და გასაღების სტიმულირებაზე აკეთებს კონტინგენტის მოსაზიდად. მსგავსი ორიენტაციები ნაკლებად უკავშირდება მარკეტინგს და მის

[1] Davies B. Ellison L. Strategic Marketing for Schools. Pitman Publishing, London 1997. p. 9.
[2] Kotler P., Fox K.– “Strategic Marketing for educational institutions", New-Jersey, 1985, p.7

შესაძლებლობებს, რამდენადაც ისინი ცალკეულ მიზანს ემსახურება და არა ერთ მთლიან, ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისაგან წარმოქმნილ კომპლექსს.

თანამედროვე პირობებში ქართული სასწავლო დაწესებულებების ძირითადი მიზანი უნდა გახდეს სოციალურად ორიენტირებული მარკეტინგის გამოყენება, რაც კლიენტების მოთხოვნებისა და ინტერესების განსაზღვრასა და დაკმაყოფილებას გულისხმობს. სწორედ ამგვარი მარკეტინგით მიიღწევა ტრიუმვირატის (ორგანიზაცია, მომხმარებელი, საზოგადოება) კეთილდღეობა. ტერმინი "სოციალური მარკეტინგი" პირველად შემოღებულ იქნა 1971 წელს და აღნიშნავდა დაგეგმვას, იმ პროგრამების შესრულებასა და კონტროლს, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფის მიერ რაიმე სოციალური იდეის, პროექტის ან ამოცანის მიღებას. მარკეტინგის ასეთი ტიპი ჩვეულებრივ დაკავშირებულია არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობასთან, რომლებიც მიზნად ისახავენ გარკვეული სოციალური ეფექტის მიღწევას (მაგალითად, საგანმანათლებლო დონის ამაღლებას).

ტერმინი "არაკომერციული ორგანიზაციები" ან "არაკომერციული ორგანიზაციების მარკეტინგი" ნიშნავს, რომ ასეთი ორგანიზაციის (უმაღლესი სასწავლებლის, ეკლესიის, საავადმყოფოს, პოლიტიკური კამპანიის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის) მთავარი მიზანია არა მოგების, არამედ სოციალური ეფექტის მიღება. ამ მიზნის მისაღწევად ორგანიზაციამ შეიძლება აწარმოოს კომერციული პროექტები, რათა დააფინანსოს აუცილებლად საჭირო ღონისძიებები.

ცნობილი ეკონომისტის ჯ.მაკკორტას აზრით, ასეთი ორგანიზაციები ძნელად იღებენ მარკეტინგის კონცეფციას და ნელა მიდიან მისი პრინციპებისა და ინსტრუმენტების გამოყენების აუცილებლობამდე.[1] მ.კინნელლი და დ.მაკდუგალი, "არაკომერციული ორგანიზაციების მარკეტინგის" ავტორები, თვლიან, რომ უმაღლესი სასწავლებლები და ორგანიზაციები, რომლებიც ეყრდნობიან არსებულ ტრადიციებს და სტაბილური სახელმწიფო დაფინანსებით არსებობენ, იძულებულნი არიან თანამედროვე პირობებში მიბაძონ იმ საწარმოებს, რომლებიც ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლებელია, ბანკროტად იქცნენ, თუ არ გაითვალისწინებენ იმ ცვლილებებს, რომლებიც ხორციელდება სამყაროში.[2]

მსოფლიოს ბევრმა უმაღლესმა სასწავლებელმა უკვე გაითავისა მარკეტინგული საქმიანობის აუცილებლობა. ამიტომ რიგ ინგლისურ უნივერსიტეტს უკვე აქვს პროფესიონალი თანამშრომლებით დაკომპლექტებული მარკეტინგის განყოფილებები.

ამერიკის მარკეტინგის ასოციაცია ყოველწლიურ სიმპოზიუმებს ატარებს, რომლებიც ეხება უმაღლესი განათლების მარკეტინგს. 1997 წელს მე-8 სიმპოზიუმზე განხილული იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა უმაღლესი სასწავლებლის მარკეტინგული გეგმის შემუშავება, რეკლამა, მარკეტინგული მცდელობების ეფექტურობის შეფასების მეთოდები, სახელმწიფო უნივერსიტეტის პოზიციონირება, უმაღლეს სასწავლებლებზე ინფორმაციის მიწოდების ფორმა აბიტურიენტების სხვადასხვა ჯგუფებისათვის და ა.შ.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე პირობებში ქვეყნის განვითარებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანური რესურსების რაციონალური გამოყენება. ეკონომისტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სწორედ ადამიანური რესურსები და არა კაპიტალი და ბუნებრივი სიმდიდრე განსაზღვრავენ მთლიანობაში ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხასიათს და ეტაპებს. ამ ადამიანური რესურსების ჩამოყალიბებაში კი უპირატესი როლი განათლების სისტემას ეკუთვნის.[3] გარდამავალი პერიოდი განათლების სიტემისათვის საკმაოდ რთულია, რასაც თან ახლავს ძველი სტერეოტიპების რღვევა, ახალი კანონმდებლობა, რომელიც საგანმანათლებლო მომსახურებაში, არც თუ იშვიათად, შეიცავს ლაფსუსებსა და წინააღმდეგობებს. ეს ყველაფერი კი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე ხდება.

---

[1] McCort J.D. A Framework for evaluating the relational extent of a relationship marketing strategy: the case of nonprofit organisations. Journal of Direct Marketing, 8 (2), 1994, 53–65.
[2] Kinnell M, MacDougal J.. Marketing in the Not-for-Profit Sector, Butterworth Heinemann, 1997.-P. 53.
[3] Arimoto, Akira, "Globalization and Higher Education Reforms: TheJapanese Case", in Urgen Enders and Oliver Fulton, eds., Higher Education in a Globalising World, 2002, pp. 30-41.

აღნიშნულ შემთხვევაში ერთგვარ "ხსნის გზად" შეიძლება მსოფლიო პრაქტიკაში აპრობირებული საგანმანათლებლო მომსახურების მარკეტინგი მივიჩნიოთ, რომლის საშუალებით სასწავლო დაწესებულებებს გარე ფაქტორების ზემოქმედებაზე რეაგირების, შიგა სტრუქტურების ადაპტაციისა და მოსახლეობის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, დამატებითი სახსრების მოზიდვისა და აკუმულირების საშუალებას მიეცემათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Кляйнальтенкамп М. Синергетический потенциал исследований в области маркетинга промышленных товаров и услуг // Проблемы теории и практики управления. — 2002. — № 1. с. 106
2. Bateson J. Managing services marketing. United States of America, 1995. с. 18, 645
3. Bitner M., Zeithaml V. Services marketing. — Massachusetts, 1996. с. 7
4. Gronroos C. Service management and marketing. — West Sussex, 2000. с. 47, 48.
5. International Standard Industrial Classification of All Economic Activities. Revision 4. Series M No. 4/Rev.4. United Nations. New York, 2008. http://unstats.un.org/unsd/cr/registry/isic-4.asp
6. Панкрухин А.П. Маркетинг образовательных услуг в высшем и дополнительном образовании. Учебное пособие. – М.: Интерпракс, 1995. с. 5.
7. Davies B. Ellison L. Strategic Marketing for Schools. Pitman Publishing, London 1997. p. 9.
8. Kotler P., Fox K.– “Strategic Marketing for educational institutions", New-Jersey, 1985, p.7
9. McCort J.D. A Framework for evaluating the relational extent of a relationship marketing strategy: the case of nonprofit organisations. Journal of Direct Marketing, 8 (2), 1994, 53–65.

The concept of marketing in the educational business

Vekua Elsa
PhD student of Georgian Technical University

Summary

The article - "Concept of Marketing in Educational Business" - focuses mainly on marketing and marketing activities in general in the field of education. Discussed by Professors m. Klinealtenkamp, J .Bateson, W .Zeithaml, M. Beatner, K.Gronroos and others Positions on marketing of services and material goods.

The specifics of the service sector are described, among which its intangible nature is noteworthy. Also, four main features of educational services: 1. Inviolability; 2. Integrity from the manufacturer; 3. Variable quality; 4. It is impossible to save the service.

The article asks the question - is it time for marketing in the field of education? Is it necessary for the patriotic education system, the Georgian society and, most importantly, for the Georgians themselves? The answers to these questions determine the degree of necessity, study and practical realization of marketing as a scientific and educational discipline in the field of education.

Most educational institutions in Georgia do not consider the use of marketing necessary, which is facilitated by misconceptions in the real world. One part of them thinks that it is enough to introduce new specialties or courses, the other part thinks that it is necessary to have a learning process that functions only like a clock mechanism, the rest focuses on advertising and key stimulation to attract the contingent.

Finally, it is noted that in modern conditions, the main goal of Georgian educational institutions should be the use of socially oriented marketing, which means defining and meeting the needs and interests of customers. It is through this kind of marketing that the prosperity of the triumvirate (organization, consumer, society) is achieved.

keywords; Marketing, education system, educational institutions, service sector.

მარკეტინგული კვლევის მნიშვნელობა ბიზნესში

თავზარაშვილი მარიამ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ორგანიზაციებს, კონკურენციის პირობებში, ხშირად უწევთ სხვა და სხვა სიახლეების შეთავაზება მომხმარებლისათვის, ან მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აქტივობების დაგეგმვა, რისთვისაც მიმართავენ მარკეტინგულ კვლევებს.

ახალი პროდუქტის/მომსახურების შემოტანა, გაუმჯობესება, განთავსება, დახვეწა, სტრატეგიების შეცვლა და დამუშავება, ახალი სამიზნე აუდიტორიის მოძიება და მათი სურვილების დაკმაყოფილება, ბრენდის ცნობადობის გაზრდა, ფასების, გაყიდვების, განაწილების მეთოდების სრულყოფოფა, სწორედ მარკეტინგული კვლევების ჩატარების შემდეგ ხდება შესაძლებებლი.

ბაზრის კვლევას ხშირად მარკეტინგულ კვლევებთან აიგივებენ, რაც არასწორია. მარკეტინგული კვლევა ბევრად ფართოა და იკვლევს მარკეტინგული მიქსის ყველა კომპონენტს, იგივე 4 P-ს, რაშიც ერთიანდება პროდუქტი, ფასი, ადგილი და ხელშეწყობა. ხოლო ბაზრის კვლევა მარკეტინგის ერთ ნაწილს ეხება, ესაა მხოლოდ ადგილი. (კონკრეტული სეგმენტი ან ბაზარი) შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მარკეტინგული კვლევის ქვეჯგუფს წარმოადგენს ბაზრის კვლევა და არა პირიქით.

მარკეტინგული კვლევა შეიძლება ჩატარდეს თავად კომპანიის მიერ ან შესრულდეს დაქირავებული ფირმის საშუალებით. ის გამოიყენება პროდუქტისა და მომსახურეობის განვითარების ყველა ეტაპზე, მაგალითად ხშირად ორგანიზააციები კვლევებს ატარებენ და იღებენ ინფორმაციას, თუ რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს, რომ უფრო მიმზიდველი გახდეს სამიზნე აუდიტორიისათვის შეთავაზებული პროდუქტი თუ მომსახურეობა. ეს აქტივობები კი, ზრდის გაყიდვებს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ორგანიზაციის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის.

მარკეტინგული კვლევა ეხმარება ბიზნესს და აწვდის ინფორმაციას რა მოსწონთ ან არ მოსწონთ მომხმარებლებს, რისი შეცვლა ან გაუმჯობესებაა მათთვის პრიორიტეტული, რა სურთ ბრენდისგან სამომავლოდ. კვლევის შედეგებმა შესაძლებელია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ბიზნესის გაძლიერების პროცესში.

მარკეტინგული კვლევისას გროვდება მომხმარებელთა მონაცემები, რაც მუშავდება და საბოლოო სახით იქმნება რეკომენდაციები, რისი გათვალისწინებაც იწვევს კომპანიის საქმიანობის გაუმჯობესებას მრავალი მიმართულებით. ეს ეფექტი შეიძლება იყოს გაყიდვების, მოგების გაზრდა, მომხმარებელთან ურთიერთობის გაუმჯობესება ან მრავალი სხვა, გააჩნია რა სჭირდება კომპანიას და რა მიზნით ახდენს კვლევის წარმართვას.

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგული კვლევა, მარკეტინგული მიქსი 4 P, სეგმენტი.

ძირითადი ტექსტი

რატომ სჭირდებათ კომპანებს კვლევები? ის არის ბიზნესის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვების პროცესი. ამ ინფორმაციას კი იყენებენ ბიზნესის გაყიდვებისა და მოგების მაქსიმიზაციისთვის. კვლევა კომპანიებს ეხმარებათ განსაზღვრონ, რომელი პროდუქტი/მომსახურებაა ყველაზე მომგებიანი ან მოთხოვნადი. მარტივი სიტყვებით, ეს შეიძლება ითქვას, როგორც ინფორმაციის ან ცოდნის შეძენა პროფესიული ან კომერციული მიზნით, რათა განისაზღვროს ბიზნესის შესაძლებლობები და მიზნები.

წარმოიდგინეთ თქვენ გაქვთ შესანიშნავი იდეა ახალი პროდუქტის, ან თქვენი მიმდინარე პროდუქტის ან სერვისის გასაუმჯობესებლად. ყოველ შემთხვევაში, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს შესანიშნავია. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ წარმოუდგენლად აღფრთოვანებული ხართ პროდუქტით, შეიძლება მომხმარებლისათვის სულაც არ იყოს საინტერესო თქვენი იდეის განხორციელება.

თქვენ შეიძლება ფიქრობდეთ, რომ იდეა გაამართლებს, მაგრამ მნიშვნელოვანია ფლობდეთ ინფორმაციას მოთხოვნაზე. დადგან დაარწმუნო თუნდაც ინვესტორები განახორციელონ ინვესტირება

შენს იდეაში. გარდა ამისა, თქვენი დიზაინერები, მარკეტოლოგები და ინჟინრები იმუშავებენ ბევრად უფრო თავდაჯერებულად, თუ იციან, რომ აქვთ წარმატების შანსი. ამ ნდობის მინიჭების ერთადერთი გზა არის კვლევა.

ინვესტორებს და დაინტერესებულ მხარეებს ყოველთვის აქვთ ინტერესი განიხილონ წინასწარი შეფასებები მომხმარებლის მხრიდან, რომელსაც იძლევა კვლევა. მიუხედავად იმისა, რომ მარკეტინგული კვლევა არ არის ბროლის ბურთი და ზუსტად არ პროგნოზირებს მომავალს, მისი სწორად ჩატარებით, თქვენ დაინახავთ პროგნოზებსა და აირჩევთ იმ სტრატეგიას, რომელიც ყველაზე მეტად მოერგება ბაზარს.

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ კვლევა თქვენი პროდუქტის განვითარებისა და მის გარშემო არსებული შესაბამისი ასპექტების დასაზუსტებლად. იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდება თქვენი აუდიტორია, რა ფასი და ტიპის გზავნილი მიიპყრობს მათ ყურადღებას? რა სახის მარკეტინგული ტაქტიკა იმუშავებს და რა არხები დომინირებს თქვენს ბაზარზე.

მომხმარებელთა კვლევა არის თქვენი ბაზრის ყველა დეტალის გაგება. თქვენ შეგიძლიათ მიუახლოვდეთ მას, როგორც დიდ თავსატეხს, და როგორც კი ყველა ნაწილს მოამზადებთ, შეგიძლიათ ამაყად წარუდგინოთ მყარი გეგმა ან კვლევა თქვენს ინვესტორებს და გუნდს, რათა დაეხმაროთ მათ გაიგონ, რატომ ღირს თქვენი პროდუქტის განვითარების იდეაზე მუშაობა.

ორგანიზაციები ხშირად მუშაობენ ახალ იდეებზე, პროდუქტებზე, მათ განვითარებაზე იმისთვის, რომ გაზარდონ ცნობადობა, სეგმენტი, გაყიდვები და ა.შ ამ პროცესში კვლევა დაგეხმარებათ მინიმუმამდე დაიყვანოთ რისკები და მოამზადოთ პროდუქტის წარმატებული გაშვებისთვის. თქვენ იცნობთ თქვენს ბაზარს და აუდიტორიას ისე, რომ გეხმარებათ შექმნათ არა მხოლოდ სრულყოფილი პროდუქტის კონცეფცია, არამედ სწორი შეტყობინებები და მარკეტინგი მის გარშემო - რაღაც, რაც რეალურად რეზონანსს მიიღებს თქვენს აუდიტორიაში.

კვლევა შეიძლება გაკეთდეს ნებისმიერ დროს როდესაც ორგანიზაციაში ამისი საჭიროება დგას. კვლევამდე კომპანიები მუშაობენ იმ მნიშვნელოვან დეტალებზე, რომლებიც აუცილებელია სწორად მოხდეს აზრების მოზიდვა, რაც ნიშნავს კვლევის დროს კითხვების სწორად ფორმულირებას, რათა იცოდეთ სად შეიძლება დაიხარჯოს ფული გაყიდვების, მოგების ან ბაზრის წილის გაზრდისთვის. ასეთი კვლევა გადამწყვეტია გონივრული და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

ბიზნესის კვლევა ხელს უწყობს შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირებას, ინფორმაციის გამოყენებით, შესაძლებელია გონივრული გადაწყვეტილებების მიღება ამ საკითხის სათანადოდ მოსაგვარებლად. ასევე, კლიენტების უკეთ გაგება შესაბამისად, შეიძლება სასარგებლო იყოს მომხმარებლებთან ან დაინტერესებულ მხარეებთან უკეთესი კომუნიკაციისთვის. რისკები და გაურკვევლობა შეიძლება მინიმუმამდე დაიყვანოთ ბიზნეს კვლევის წინასწარ ჩატარებით. ფინანსური შედეგები და ინვესტიციები, რომლებიც საჭირო იქნება, შეიძლება ეფექტურად დაიგეგმოს ბიზნეს კვლევის გამოყენებით. ასეთი კვლევა ხელს შეუწყობს ბიზნეს სექტორში კონკურენციის თვალყურის დევნებას და საშუალებას აძლევს კომპანიას მიიღოს გონივრული გადაწყვეტილებები იმის შესახებ, თუ სად და რამდენი დახარჯოს.

ბიზნესის მარკეტინგული კვლევა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა მომხმარებლების, ბაზრისა და კონკურენტების გასაგებად. ასეთი კვლევა კომპანიებს ეხმარება გაიგონ ბაზრის მოთხოვნა და მიწოდება. კვლევის გამოყენება ბიზნესებს დაეხმარება შეამცირონ ხარჯები და შექმნან გადაწყვეტი-ლებები, მომსახურება ან პროდუქტები, რომლებიც მიმართულია ბაზარზე არსებულ მოთხოვნაზე და სწორ აუდიტორიაზე. კვლევა საშუალებას აძლევს კომპანიას იყოს ინფორმირებული განახლებული ბაზრის შესახებ, გაიგოს და გააზიაროს არსებული ტენდენციები და შესაბამისი ინოვაციები, კვლევა ხელს უწყობს რეპუტაციის გაზომვასაც.

მარკეტინგული კვლევა ბიზნესს აძლევს საშუალებას შექმნას ეფექტური გუნდი, თვალყური ადევნოს თავის კონკურენტებს და, შესაბამისად, მოგცეთ უპირატესობა, რომ წახვიდეთ მათზე წინ.

წარუმატებლობის თავიდან აცილება შესაძლებელია კვლევის ჩატარებით, რადგან მას შეუძლია მკვლევარს წარმოდგენა მისცეს, არის თუ არა შესაფერისი დრო მისი პროდუქტის/გადაწყვეტილების გასაშვებად და ასევე, ჰყავს თუ არა სწორი აუდიტორია. ეს ხელს შეუწყობს ბრენდის ღირებულების

გაგებას და მომხმარებელთა კმაყოფილების გაზომვას, რომელიც აუცილებელია მუდმივი ინოვაციებისა და მომხმარებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, კომპანიას შემოსავლისა და ბაზრის წილის გასაზრდელად. ბიზნეს კვლევა ასევე ეხმარება კომპანიას სხვადასხვა როლისთვის იდეალური კანდიდატების შერჩევაში. ასეთი კვლევის ჩატარებით ორგანიზაციას შეუძლია განახორციელოს SWOT ანალიზი, ანუ გაიგოს ძლიერი, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. ამ ინფორმაციის დახმარებით შესძლოს გონივრული გადაწყვეტილებების მიღება ბიზნესის წარმატების უზრუნველსაყოფად.

დასკვნა

მარკეტინგული კვლევა არის პირველი ნაბიჯი, რომელიც ნებისმიერ ბიზნესის მფლობელს სჭირდება თავისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად, გადარჩენისთვის ან ბაზარზე წარმატების მისაღწევად. მთავარი მიზეზი, რის გამოც ასეთი კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია, არის ის, რომ ეხმარება ბიზნესს გაიზარდოს შემოსავლის, ბაზრის წილის და ბრენდის ღირებულების თვალსაზრისი

გამოყენებული ლიტერატურა

1. 2022 Market Research Global Trends
2. https://www.qualtrics.com/ebooks-guides/2022-market-research-trends/
3. Market Research Predictions for 2022 (Part One) By: Leonard Murphy
4. https://www.greenbook.org/mr/market-research-trends/market-research-predictions-for-2022-part-1/
5. International Journal of Research in Marketing for 2022
6. https://www.sciencedirect.com/journal/international-journal-of-research-in-marketing
7. Must-Read Marketing Research and Studies for March
8. https://www.clearvoice.com/blog/marketing-research-and-studies-for-march/

Significance of marketing research in business

Mariam Tavzarashvili
PhD student of Georgian Technical University

Summary

Organizations, in the conditions of competition, often have to offer different innovations to the consumers or plan activities for improvement of the state, for this they apply for marketing researches.

Introduction, improvement, placement, refinement of the new product/service, change and processing of the strategies, search for the new target audience and satisfaction of their wishes, growth of the brand awareness, completeness of prices, sales, methods of allocation, become possible exactly after conduction of the marketing researches.

Market research is often identified with the marketing researches that is not correct. Marketing research is much broader and researches all components of the marketing mix, the same 4-P, that unites product, price, place and assistance and the market research concerns only one part of marketing, this is only place (concrete segment or market). In the form of summarization, it can be said that market research is a subgroup of the marketing research and not vice versa.

Marketing research can be conducted by the company itself or be implemented by means of the hired firm. It is used at all stages of development of the product and service, for example, the organizations often conduct researches and receive information whether which changes must be made in order the offered product or service become more attractive for the target audience and these activities grow sales, that is vitally important for the full-fledged operation of the organization.

Marketing research helps business and provides information what do the consumers like or do not like, change or improvement of what is prioritized for them, what do they want from the brand in future. Results of research can possibly play a crucial role in the process of business strengthening.

During the marketing research are collected the consumers' data, that is processed and in the final form are created the recommendations, stipulation of which causes improvement of the company's activity in many directions. This effect can be the growth of sales, profit, improvement of relations with the consumers or many more, it depends what does the company require and for which purpose it conducts the research.

Key words: marketing research, marketing mix 4 P, segment.

ბრენდის სამომხმარებლო გამოცდილება

თალაკვაძე თამარ
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

აბსტრაქტი

მაშინ, როდესაც ბაზარზე წარმოდგენილი ბრენდები, მაგ.: კომერციული ბანკები, ჰიპერ მარკეტები, ფარმაცევტული კომპანიები, მომხმარებელს თითქმის იდენტურ პროდუქტებსა და ფასებს სთავაზობენ, რა უნდა იყოს კონკურენტული უპირატესობის მოპოვების საუკეთესო გზა?! ამ საკითხზე ბევრი ადამიანი მსჯელობს და ბუნებრივია, არ არსებობს საკითხის გადაწყვეტის ერთადერთი და 100%-ით უტყუარი გზა. თუმცა, ჩემი აზრით, სხვა თანაბარ პირობებში, კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისთვის ბრძოლა, იმ ბეწვის ხიდზე გადის, რასაც ბრენდისა და მომხმარებლის ურთიერთობა ჰქვია.

სამომხმარებლო გამოცდილების მართვის ყველაზე ეფექტიან მექანიზმად მომხმარებელთან მუდმივი კომუნიკაცია და მისთვის ნამდვილად საჭირო პროდუქტისა თუ მომსახურების შეთავაზება მიმაჩნია. ამასთან, შეთავაზებული პროდუქტი თუ მომსახურება უნდა იყოს მარტივად მოსახმარი და ადამიანებისთვის ცხოვრების გამარტივებაზე ორიენტირებული. აღნიშნულის, რეალიზებისთვის კი, ბრენდი პროცესს უნდა უყურებდეს მომხმარებლის თვალით. ასევე, მნიშვნელოვანია მისი დაპირებები იყოს ლოგიკური და რეალიზებადი. თავის მხრივ, რელევანტური დაპირებების შესათავაზებლად კომპანია სწორად უნდა აიდენტიფიცირებდეს მომხმარებლის ტკივილებს და მუდმივ კომუნიკაციაში უნდა იყოს მასთან. არ შეიძლება, მომხმარებელს შეპირდე იმაზე მეტი, ვიდრე შენი ბრენდის პოტენციალი გაძლევს ამის საშუალებას. ძირითადად, კომპანიის გრძელვადიანი წარმატება ბრენდისა და მომხმარებლის ურთიერთ თანამშრომლობით არის განპირობებული. ამგვარად, წარმატებული კომპანიის მომხმარებელი მისი კეთილდღეობის თანაშემოქმედად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, ამ წარმატების შენარჩუნებისათვის, საჭიროა ბრენდის მიერ ამ ურთიერთობაზე საინტერესოდ თხრობა. ვინაიდან, 21-ე საუკუნეში მხოლოდ საქმის ხარისხიანად კეთება და მომხმარებელთან მეგობრული თანამშრომლობა არ განაპირობებს წარმატებას. ზრდაზე და განვითარებაზე ორიენტირებული კომპანია არსებულ მომხმარებელთან ურთიერთობაზე საინტერესოდ თხრობით, ერთის მხრივ ინარჩუნებს ლოიალურ მომხმარებლებს, ხოლო მეორეს მხრივ იზიდავს ახალ სეგმენტს.

საკვანძო სიტყვები: ბრენდი, სამომხმარებლო გამოცდილება, კომუნიკაცია.

ძირითადი ტექსტი

სხვადასხვა სკოლის მეცნიერები მსჯელობდნენ საკითხზე და გვთავაზობდნენ მათ შეხედულებებს. მართალია, თანამედროვე ადამიანის მზარდი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ზოგიერთი მოსაზრება გადასახედია. თუმცა, უცვლელი, რჩება მოცემულობა, რომ მომხმარებლის გამოცდილების უგულებელყოფა ნებისმიერი კომპანიისათვის უპატიებელი შეცდომაა. ბრენდისა და მომხმარებლის დამოკიდებულება აერთიანებს ყველა ფსიქოლოგიურ ნიუანსსა და ემოციას, რომელსაც ადამიანი უკუკავშირის სახით იღებს კომპანიისგან. ასეთი გამოცდილების დაგროვების პროცესი იწყება უბრალო გაცნობა/მისალმებიდან და გრძელდება მთელი თანამშრომლობის მანძილზე. შესაძლოა ადამიანი აღარ სარგებლობდეს ბრენდის შეთავაზებული პროდუქტითა და მომსახურებით. ვთქვათ, რომ შეიძლება აღარ ჰქონდეს საჭიროება, თუმცა ყოფილი მომხმარებლის გამოცდილება ძალიან საყურადღებო და სენსიტიური საკითხია. დადებითი სამომხმარებლო გამოცდილება შეიძლება გახდეს კომპანიისათვის ახალი მომხმარებლების მოზიდვის ისეთი მარტივი მექანიზმი, რომელსაც არ სჭირდება არც დროისა და არც დამატებითი რესურსის დათმობა. ხოლო, უარყოფითი სამომხმარებლო გამოცდილების გაზიარებით, კომპანიის ყოფილმა მომხმარებელმა, მას ბევრი პოტენციური მომხმარებელი შეიძლება დააკარგვინოს. თუ ბრენდი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და განვითარებაზე, არ უნდა იშურებდეს ადამიანურ და მატერიალურ რესურსს საუკეთესო სამომხმარებლო გამოცდილების დასაგროვებლად.

ზემოთ ვისაუბრე ბრენდისა და მომხმარებლის კომუნიკაციაზე, თუმცა არანაკლებ

მნიშვნელოვანია კომპანიის თანამშრომლების შიდა კომუნიკაციის ხარისხი. ყველა, მენეჯმენტიდან დაწყებული, რიგითი თანამშრომლებით დამთავრებული შთაგონებული უნდა იყოს მომხმარებლით. თუ იმ ადამიანებს, ვისი ხელითაც უშუალოდ იქმნება მომხმარებლისათვის განკუთვნილი პროდუქტი არ ექნებათ მომხმარებლისადმი ემპათია და განცდა იმისა, რომ მათი ,,შემოქმედება'' მომხმარებლისთვის ღირებულია, ვერ შეიქმნება ადამიანების ცხოვრების გამარტივებაზე ორიენტირებული პროდუქტი.

ჩემი რეკომენდაციაა, ნებისმიერმა კომპანიამ, სრული შემადგენლობით დასვას შემდეგი კითხვები:

- ვინ არის(იქნება) ჩვენი მომხმარებელი?
- რა ტკივილები და საჭიროებები აქვთ ჩვენს არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს?
- როგორ გავანეიტრალოთ მომხმარებლის ტკივილები და როგორ გადავჭრათ მათი საჭიროებები? ანუ, რით შეგვიძლია დავეხმაროთ მომხმარებელს?
- როგორ ჩავრთოთ მომხმარებელი ჩვენს საქმიანობაში და როგორ ვაგრძნობინოთ თავი ბრენდის ნაწილად?
- მუდმივად უნდა იყოს წამოჭრილი კითხვა: რამდენად ლოგიკურია ჩვენი დაპირებები, მათი რეალიზების ნაწილში ხომ არ გვაქვს უარყოფითი სამომხმარებლო გამოცდილება?

ამასთან, ბრენდი უნდა აცნობიერებდეს, რომ სამომხმარებლო გამოცდილების მართვა და გაუმჯობესება მუდმივი პროცესია. ადამიანებს ხშირად ეცვლებათ საჭიროებები, სურვილები და კომპანიაც მათი მოთხოვნილებების საპასუხოდ უნდა შეიცვალოს. ასეთი დამოკიდებულება, ბრენდს დაეხმარება მომხმარებლის ლოიალობის შენარჩუნებაში და გახდება ყველასათვის სასურველი პროდუქტისა, თუ მომსახურების შექმნის მოტივაცია.ილია ჭავჭავაძეს დავესესხები, რომელმაც მოძრაობის და მუდმივი ცვლილების საჭიროება, ჯერ კიდევ მაშინ დაგვანახა, როდესაც ბრენდის იდეოლოგია საერთოდ არ იყო განვრცობილი. ,,მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი.."[1]. მართალია მწერალი ქვეყანაზე საუბრობს, თუმცა თავისუფლად შეიძლება იგივე კომპანიაზეც განვაზოგადოთ. ერთფეროვნება და სტატიკურობა ბრენდს მომხმარებლისათვის მოსაწყენს ხდის. მხოლოდ ინოვაციებისადმი მუდმივი სწრაფვით, გაბედული და გარკვეულ წილად რისკიანი წამოწყებებით, აქტიურობით და მუდმივი მოძრაობით ხდება კომპანია მომხმარებლისათვის საინტერესო და მიმზიდველი. ხალხის სიყვარულის შესანარჩუნებლად, მნიშვნელოვანია ეფექტური სარეკლამო კამპანიის გაშვება, სადაც ძირითადი აქცენტები უნდა გაკეთდეს ბრენდის მნიშვნელოვნებაზე, მის უპირატესობებსა და წარმატებაზე, ამასთან კომპანიამ სწორად უნდა შეარჩიოს და მხარი დაუჭიროს მხოლოდ მიზნობრივ კამპანიებს, ამით ერთის მხრივ, მოახდენს პოტენციური რეპუტაციული რისკების მინიმიზაციას, ხოლო მეორეს მხრივ მის მომხმარებლებს განსაკუთრებული ემოციური კავშირი ჩამოუყალიბდებათ მასთან.

ჯანსაღი კონკურენციის მნიშვნელოვნებას ეხებოდა ჩემი სადოქტორო ნაშრომი: ,, კონკურენტული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების მექანიზმები ქართულ კომპანიებში"[2], ვთვლი,რომ კონკურენტზე დაკვირვებითა და ანალიზით კომპანიას შეუძლია მეტოქის სისუსტეები აქციოს მის ძლიერ მხარეებად და ამის საშუალებით აითვისოს ახალი სეგმენტი. თუმცა, ჯანსაღი კონკურენცია თავის მხრივ, უნდა გამორიცხავდეს კონკურენტის ხელოვნურად დაკნინების მცდელობას და მის დროებით ხარვეზებსა თუ წარუმატებლობაზე მარკეტინგული კამპანიის დაშენებას. მსგავს მაგალითებს, თუ გავიხსნებთ და გავაანალიზებთ შემდეგ მომხმარებლების უკუკავშირს, ასეთი მცდელობები პიარის ნაცვლად ანტიპიარად ითარგმნება.

სარეკლამო კამპანია და გაშვებული კომუნიკაცია, რომ განსაკუთრებით დაფიქრებული და მოზომილი უნდა იყოს ამაზე მეტყველებს მერსედესის ცნობილი სარეკლამო რგოლი, რომელზეც იაგუარმა ამ უკანასკნელის დაკნინებით მარტივად შექმნა ახალი სარეკლამო რგოლი.[3]

ამგვარად, ბრენდს პოტენციური რეპუტაციული რისკების მინიმიზაცია შეუძლია:

---

[1] ილია ჭავჭავაძე, მგაზვრის წერილები, თავი **IV**

[2] თამარი თალაკვაძე, დისერტაცია, თბილისი, 2019წ.

[3] https://www.youtube.com/watch?v=A4KuOtZdDps

- ფრთხილი, წინდახედული, კომპანიის ხედვისა და მისიის ,,ფილტრში'' გატარებული კომუნიკაციით.
- ცხადი და მომხმარებლისთვის მარტივად გასაგები მესიჯებით.
- კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობითა და მხოლოდ მიზნობრივი კამპანიების მხარდაჭერით.
- კრეატივით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ილია ჭავჭავაძე, მგაზვრის წერილები, თავი IV. http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/mgzavris_werilebi.htm
2. თამარი თალაკვაძე, დისერტაცია: კონკურენტული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების მექანიზმები ქართულ კომპანიებში, თბილისი 2019 წ.
3. https://www.youtube.com/watch?v=A4KuOtZdDps

Brand's Customer Experience

Tamar Talakvadze
Doctor of Business Administration

Summary

When brands in the market, such as: commercial banks, hypermarkets, pharmaceutical companies, offer customers almost identical products and prices, what should be best way to gain a competitive advantage?! Many people discuss this issue and naturally, there is no single and 100% sure way to resolve it. However in my opinion, the fight for competitive advantage crosses on the fur bridge wich is called, relationship between brand and customer.

I believe that, the most effective mechanism for managing customer experience is the constant communication with customer and offer them such product or service wich they really need. However, the product or service offered should be easy to use and focused on making life easier for people. To achieve this, the brand must look at the process through the eyes of the customer. Also, it is important that its promises be logical and achievable. In turn, in order to make relevant promises, the company must correctly identify the customer's pains and be in constant communication with him. You can't promise the customer more than the potential of your brand allows you to do so. Basically, the long-term success of the company is due to the mutual cooperation of the brand and the customer. Thus, the customer of a successful company can be considered as a contributor to its well-being. To maintain this success, however, it is necessary for the brand to narrate this relationship interestingly. Whereas in the 21st century, only quality and friendly collaboration will not lead to success. A growth and development-oriented company with an interesting narrative of existing customer relationships, on the one hand retains loyal customers and on the other hand attracts a new segment.

Keywords: brand, consumer experience, communication.

ციფრული მარკეტინგი – რეკლამის მართვის თანამედროვე მექანიზმი

თოფჩიშვილი მარინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

მაზმიშვილი არჩილ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

XXI საუკუნეში ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ საგრძნობლად შეიცვალა ადამიანთა ცხოვრების რეჟიმიც. თუ წლების წინ მოსახლეობის დიდი ნაწილი მეტ დროს უთმობდა ერთმანეთთან უშუალო კომუნიკაციას, სავაჭრო ობიექტებში იძენდა საჭირო პროდუქტს ან სასურველი სერვისის მისაღებად ლოდინი და ზედმეტი დროის ხარჯვა უწევდა, დღეს ურთიერთობისა და ოპერაციების ფორმატმა ელექტრონული სახე მიიღო.

ონლაინსივრცე ის ადგილია, სადაც ადამიანს შეუძლია დროისა და ფულადი სახსრების მინიმალური დანახარჯით მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია ან პროდუქტი თუ მომსახურება, გაუზიაროს თავისი აზრი და შთაბეჭდილებები ახლობლებს, ნაცნობებს და უცნობებსაც მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.

გამომდინარე იქიდან, რომ ციფრულ ბაზარზე შესვლა დიდ ხარჯებს არ საჭიროებს, ამ ტიპის მარკეტინგი საშუალებას აძლევს ყველას, ვისაც აქვს იდეა, პროდუქტი ან სერვისი – მოიცვას რაც შეიძლება ფართო აუდიტორია, გააფართოვოს კომპანიის საქმიანობა ეროვნულ დონეზე და საერთაშორისო ბაზრებზე და კონკურენცია გაუწიოს დიდ ორგანიზაციებსაც კი.

ნებისმიერი ბიზნეს საქმიანობის გარდაუვალი აუცილებლობაა ფეხი აუწყოს ბაზრის თანამედროვე ტენდენციებს, გამოიყენოს ინფორმაციის მიწოდების ეფექტიანი საშუალებები და ჩანდეს სწორედ იქ, სადაც მისი პოტენციური მომხმარებელი იყრის თავს. ასეთ სივრცეს კი თანამედროვე მსოფლიოში სწორედ ინტერნეტსივრცე წარმოადგენს, რომელიც დღითიდღე უფრო მეტ პოპულარობას აღწევს მისი ეფექტიანობის, მომხამრებლისადმი ხელმისაწვდომობისა და დაბალი ფასის გამო. ამასთან, დღეს ციფრული მარკეტინგი ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ საინფორმაციო პროდუქტების პოპულარიზაციისა და გაყიდვის მეთოდი. ეს ასევე საინფორმაციო სივრცეებით, ბიზნესმოდელებითა და სხვა მომსახურებებითა და საქონლით ვაჭრობაა.

საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო ტექნოლოგიები, ციფრული მარკეტინგი, ციფრული რეკლამა, მომხმარებელი, პროდუქტი.

ძირითადი ტექსტი

XXI საუკუნეში შეიცვალა მომხმარებლის ცხოვრების რეჟიმიც. თუ წლების წინ მოსახლეობის დიდი ნაწილი მეტ დროს უთმობდა ერთმანეთთან უშუალო კომუნიკაციას, სავაჭრო ობიექტებში იძენდა საჭირო პროდუქტს ან სასურველი სერვისის მისაღებად ლოდინი და ზედმეტი დროის ხარჯვა უწევდა, დღეს ურთიერთობისა და ოპერაციების ფორმატმა ელექტრონული სახე მიიღო.

ონლაინსივრცე ის ადგილია, სადაც ადამიანს შეუძლია დროისა და ფულადი სახსრების მინიმალური დანახარჯით მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია ან პროდუქტი თუ მომსახურება, გაუზიაროს თავისი აზრი და შთაბეჭდილებები ახლობლებს, ნაცნობებს და უცნობებსაც მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.

გამომდინარე იქიდან, რომ ციფრულ ბაზარზე შესვლა დიდ ხარჯებს არ საჭიროებს, ამ ტიპის მარკეტინგი საშუალებას აძლევს ყველას, ვისაც აქვს იდეა, პროდუქტი ან სერვისი – მოიცვას, რაც შეიძლება ფართო აუდიტორია, გააფართოვოს კომპანიის საქმიანობა ეროვნულ დონეზე და საერთაშორისო ბაზრებზე და კონკურენცია გაუწიოს დიდ ორგანიზაციებსაც კი.

საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა ძირითადად 2000 წლიდან დაიწყო და დღეს მოსახლეობის 52% – დაახლოებით 2.2 მილიონი ადამიანი – აქტიურად იყენებს მას. მსოფლიოში კი ინტერნეტს 4 მილიარდამდე მომხმარებელი ჰყავს. სწორედ ამიტომ, შეგვიძლია

დანამდვილებით ვთქვათ, რომ ინტერნეტის ფართო გამოყენებამ შექმნა ე. წ. ახალი ეკონომიკა, სადაც ბიზნესს, რომელიც ინტენსიურად არ იყენებს ციფრულ ინსტრუმენტებს, ფინანსურად არასახარბიელო შედეგები აქვს.

ამიტომაც არის, რომ კომპანიებისთვის დღითიდღე მიმზიდველი ხდება ინტერნეტი, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტიანი საშუალება. ისინი ქმნიან საკუთარ ვებგვერდს, ინტერნეტშივე აწყობენ აქციებს, კონკურსებს, აქვთ წარმომადგენლობა სხვადასხვა სოციალურ ქსელში, ურთიერთობას ამყარებენ მომხმარებლებთან და ა. შ. ინტერნეტი პროდუქტის შექმნის, შეთავაზებისა და რეალიზების საუკეთესო საშუალებად იქცა.

დღეს აქტიური დისკუსიის საგანს წარმოადგენს ციფრული მედიის უპირატესობები და ნაკლოვანებები, მაგრამ, მიუხედავად აზრთა გარკვეული სხვადასხვაობისა, უდავო ფაქტად რჩება ციფრული მარკეტინგის გადამწყვეტი მნიშვნელობა ნებისმიერი ტიპის ბიზნესში.

ციფრული მარკეტინგის უპირატესობებია:

1.გაზომვადობა – ციფრული რეკლამის ერთ-ერთი ყველაზე დიდი უპირა-ტესობაა ის, რომ იგი შეიძლება შეფასდეს შთაბეჭდილებების, დაწკაპუნებებისა და კონვერტაციების რაოდენობის მიხედვით. კომპანიებს შეუძლიათ გამოთვალონ თავიანტი ინვესტიციის ზუსტი უკუგება და მოახდინონ ოპტიმიზირება, იმისდა მიხედვით, თუ რომელ პლატფორმაზე იღებენ საუკეთესო შედეგებს. ამით ციფრული რეკლამა განსხვავდება ტრადიციული მედიისაგან, სადაც განთავსებული რეკლამის შემთხვევაში, რეკლამის განმთავსებლები, შეიძლება ითქვას, „ბრმად ისვრიან ისრებს“ და იმედოვნებენ, რომ მათი ინვესტიციები დადებით შედეგს გამოიღებენ გარკვეული პერიოდის განმავლობაში;

2.ეკონომიკური ეფექტიანობა – ტრადიციული მედიისაგან გასხვავებით, საჭირო არაა რეკლამის საფასურის წინასწარი გადახდა და ამასთან, იხდით მხოლოდ იმისთვის რასაც იყენებთ. როგორც ჩვეულებრივ შემთხვევებში, აქ აუცილებელია ბიუჯეტის წინასწარ განაწილება, მაგრამ ჩვეულებრივ, გამოყენებული თანხები დაფუძნებულია თქვენს მიერ შექმნილ მოდელზე. ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ იხდით არა მთელ ბიუჯეტს, არამედ თქვენს მიერ მიღებული დაწკაპუნებების ანდა ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

3.მოქნილობა – ციფრული მარკეტინგი საშუალებას გაძლევთ ფოკუსირება მოახდინოთ იმ აუდიტორიაზე, რომლის მოზიდვაც თქვენ გსურთ. მათთვის შეგიძლიათ შექმნათ ჩვეულებრივი ჩანაწერები (პოსტები), ვიდეო რეკლამები და ა.შ. თუ სარეკლამო კამპანიას რაიმე ნაკლოვანება აქვს, შეგიძლია მისი განახლება შეცვლა ან, საჭიროებისამებრ – წაშლა.

4.ავტომატური ოპტიმიზაცია პლატფორმისათვის – მცირე ბრენდებს ზოგჯერ არ გააჩნიათ საკმარისი რესურსები რეკლამის შესაქმნელად და მონაცემების გასაანალიზებლად, რადგან ისინი ორიენტირებულნი არიან პროდუქტზე. ციფრული მარკეტინგის პლატფორმები იძლევა რეკლამის ოპტიმიზაციის საშუალებას, იმ ადამიანების ტიპის მიხედვით, რომელთათვისაც არის გამიზნული აღნიშნული რეკლამა.

5.შემოქმედებითი თხრობისათვის განკუთვნილი სივრცის შექმნა – თანამედროვე სამყაროში ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტი განსხვავებული ფორმატის რეკლამის გაჩენის ფონზე, უსაზღვრო ჩანს თხრობის ახალი შესაძლებლობები. ყოველ ფორმატს, თხრობის ტიპის თვალსაზრისით, აქვს მიზანი. მაგალითად, **Facebook**-ზე, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულ სოციალურ ქსელში მომხმარებლებს შეუძლიათ შექმნან და განაახლონ პერსონალური პროფილები, განათავსონ რეკლამები, დაიმატონ მეგობრები ადამიანთა ის კონტინგენტი, რომელთათვისაც გამიზნულია მათი რეკლამა, შექმნან სარეკლამო პროდუქციის ამსახველი ე.წ. სთორები და ა.შ.

6.მომხმარებლის გაგება – აქამდე რეკლამის განმთავსებლებს არ ჰქონდიათ შესაძებლობა ასე იოლად, სულ რამდენიმე დაწკაპუნებით, გაეგოთ მომხმარებლების გამოხმაურებები. ციფრული მარკეტინგი იძლევა მომხმარებელთან პირდაპირი ურთიერთობის შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, სარეკლამო სტრატეგიის გაუმჯობესების გზების მოძიებაში ეხმარება რეკლამის მსურველს.

თანამედროვე ეკონომიკური პირობები, გლობალიზაცია და ბაზრების, ტექნოლოგიებისა და სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორების განვითარების დაჩქარება და ამის პარალელურად ასევე ინფორმაციული საზოგადოების განვითარება, ინფორმაციის დინამიკისა და მოცულობის ზრდა

მოითხოვს ციფრული მარკეტინგის მენეჯმენტის მეთოდებისა და ფორმების გაუმჯობესებას. ციფრული მარკეტინგის პრინციპების გაფართოება მოითხოვს კომპანიის სხვადასხვა განყოფილებებს შორის ინტეგრაციის მაღალ ხარისხს, სხვადასხვა შინაარსის წყაროების, მონაცემთა წყაროებისა და სარეკლამო პროდუქტის თვისებების შესახებ ინფორმაციის გაერთიანების უნარს, რათა მუდმივად ხდებოდეს გაყიდვებისადმი მიდგომების სეგმენტაციის გაუმჯობესება.

ტრადიციული რეკლამა, სატელევიზიო იქნება თუ საგაზეთო, ვერ ირჩევს აუდიტორიას და შემთხვევითი მსმენელებიდან თუ მკითხველებიდან შეიძლება მხოლოდ 10-15% დაინტერესოს. ციფრული არხებით გაკეთებულ რეკლამას კი მკაფიოდ განსაზღვრული მიზნობრივი აუდიტორია ჰყავს. მაგალითად, თუ გაქვთ სასტუმრო სახლი ბაკურიანში, ციფრული არხები საშუალებას გაძლევთ, რეკლამა აჩვენოთ მხოლოდ ზამთრის კურორტებით დაინტერესებულ მოგზაურებს, ან მათ, ვისაც მთაში დასვენება სურს.

იმავე სატელევიზიო ან რადიორეკლამისგან განსხვავებით, ციფრული არხებით ზუსტად გაიგებთ, რამდენმა კაცმა ნახა თქვენი რეკლამა, რამდენი დაინტერესდა და საბოლოოდ მათგან რამდენი გახდა თქვენი მომხმარებელი. შედეგების დათვლა და ანალიზი სამომავლოდ დაგეხმარებათ, რომ ჩაატაროთ უფრო წარმატებული სარეკლამო კამპანია. ტრადიციული მარკეტინგი გულისხმობდა მონოლოგს, ციფრული კი დიალოგს მომხმარებელთან.

აქტიური სოციალური მარკეტინგი გიქმნით შესაძლებლობას, მომხმარებლამდე სწორად მიიტანოთ თქვენი მომსახურება/პროდუქტი და მათგანაც შეიტყოთ, რას ფიქრობენ თქვენზე. მომხმარებლის შეხედულების გათვალისწინება თქვენი ბიზნესის წარმატების წყაროა.

დასკვნა

ამრიგად, ცხადია, რომ დღეს მსოფლიოში არსებულ სარეკლამო საქმიანობებს შორის ციფრული მარკეტინგი ყველაზე პერსპექტიული და განვითარებადია და ასევე გაცილებით უფრო მცირეხარჯიანია, ვიდრე ტრადიციული მარკეტინგი. თუ, ვთქვათ, წამყვან ტელეარხზე სარეკლამო ჭრა შეიძლება ათიათასობით ლარი ღირდეს, ინტერნეტ-სივრცეში იმავე შედეგს ათასჯერ ნაკლები დანახარჯით მიიღებთ.

დიდმა კომპანიებმა, სასტუმროებისა და რესტორნების ქსელებმა, წლების განმავლობაში უამრავი თანხა, დრო და ენერგია გაიღეს რეკლამისთვის, რათა თავიანთი სახელი ბრენდად ექციათ. ციფრულმა მარკეტინგმა კი გზა გაუხსნა მცირე საწარმოებს ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად. მათთვის ახლა არაერთი ციფრული არხი და ინსტრუმენტი არსებობს და რეკლამაც თითქმის უფასოა. ციფრული მარკეტინგი საშუალებას გაძლევთ, ხმა მიაწვდინოთ კონკრეტულ სეგმენტს, მათ, ვისაც თქვენი პროდუქტი ან მომსახურება სჭირდება და, შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაზარდოთ სარეკლამო კამპანიის შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ციფრული მარკეტინგი. გზა საკუთრებიდან წარმატებულ ბიზნესამდე. თბ., 2018.
2. Herhold K., The Importance of Digital Marketing in 2018//Business2community, 2018. https://www.business2community.com/digital-marketing/the-importance-of-digitalmarketing-in-2018-02101555
3. Андреева О.Д., Абрамова А.Н., Кухаренко Е.Г, Развитие использования цифрового маркетинга в мировой экономике – Российский внешнеэкономический вестник. – 2015. – С. 24–40.

Digital marketing - a modern mechanism for advertising management

Topchishvili Marine
Assistant Professor of Georgian Technical University

Archil Mazmishvili
Master Student of Georgian Technical University

Summary

In the 21st century, with the advent of technology, the way people live has changed dramatically. If years ago a large part of the population spent more time communicating directly with each other, buying the necessary product in shopping malls or having to wait and spend extra time to get the desired service, today the format of relationships and operations has become electronic.

Online space is a place where a person can get the information or product or service he / she wants with the least amount of time and money, share his / her opinion and impressions with relatives, acquaintances and strangers anywhere in the world.

Because entering the digital market does not require large costs, this type of marketing allows anyone with an idea, product or service to reach as wide an audience as possible, expand the company's operations nationally and in international markets, and compete with even large organizations.

Keywords: Information Technology, Digital Marketing, Digital Advertising, Consumer, Product.

ინტერნეტ რეკლამის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები

კავთიძე ედუარდ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ჭელიძე ლიზი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

დღეს ფაქტიურად არ არსებობს ადამიანთა ისეთი საქმიანობა და სფერო სადაც ინეტრნეტი გამწყვეტ როლს არ თამაშობდეს.

სტატიაში განხილულია ინტერნეტრეკლამის წარმოშობა და მისი განსაზღვრება, ინტერნეტ რეკლამის ნაირსახეობები, განხილულია რატომ არის უკეთსი რეკლამის ინტერნეტში განთავსება და რა დადებითი მხარეები გააჩნია. იმყარებსთუ არა პოზიციას ინტერნეტ რეკალმა მსოფლიო მასშტაბით. შემდეგ განხილულია ინტერნეტ რეკლამის სოციალური ასპექტები.ინტერნეტის როლი დღეისთვის უკვე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. მსოფლიოში ინტერნეტ ბაზრის განვითარებას ახასიათებს მომხმარებელთა ზრდის დინამიკა, მომსახურების მიწოდების ავტონომიურობა, კონკურენცია, შემოსავლების ზრდა, მოთხოვნილების შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფა. მსოფლიო ინტერნეტ ბაზრის ზრდა დამოკიდებულია ფორმირებულ პროვაიდერებზე, რომლებიც ახდენენ ინტერნეტ მომსახურების გაწევას და უზრუნველყოფენ ვებ ჰოსტინგს. ეს დარგი განსაკუთრებით სწრაფად იზრდება მოწინავე ქვეყნებში. საქართველოში ელექტრონული ბიზნესის განვითარებას სამწუხაროდ სათანადო ყურადღება არ ეთმობა არც სამთავრობო სტრუქტურების და არც ბიზნეს სექტორის მხრიდან.

რეკლამირების სხვადასხვა საშუალებებს შორის ინტერნეტ რეკლამა განვითარების ყველაზე მზარდი ტემპით გამოირჩევა. სხვა გარემოებებთან ერთად, ამას ისიც განაპირობებს, რომ ინტერნეტ აუდოტორია სულ უფრო მრავალრიცხოვანი ხდება. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ სარეკლამო ბაზარზე, მიწოდების ინტერნეტ რეკლამამ შესაძლოა სატელევიზიო რეკლამაც ჩამოიტოვოს.მართალია, დღესდღეობით საქართველოში ინტერნეტმომხმარებელის რაოდენობა ვერ შეედრება ტელე და რადიო მომხმარებლის რიცხვს, ტუმცა ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მსყიდველუნარიაონობა ბევრად მაღალია. ინტერნეტ რეკლამის ბაზრის განვითრება მრავალ საფეხურს მოიცავს. თვდაპირველად როდესაც ინტერნეტი შეიქმნა ფაქტობრივად მთელი სამყარო შეცვალა და ადამინის ცხოვრება გაადვილა. საფუძველი ჩაუყარა შეცვლილიყო კომუნიკაცია, გლობალური ელექრონული ქსელი გახდა მსოფლიო მაკავშირებელი. ინტერნეტ ბაზრის აღმოცენებითა და განვითარებით შესაძლებელი გახდა ისეთი მცნებების განვითარება, როგორებიცაა: ელექტრონული კომერცია, ელექტრონული ფული, ელექტრონული ბანკი, ინტერნეტ რეკალამა, ელექტრონული ვაჭრობა, ელექტრონული მარკეტინგი და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: სარეკლამო ბანერი, ინტერნეტ რეკლამა, ელექტრონული ვაჭრობა, სარეკლამო საფოსტო გზავნილები.

ძირითადი ტექსტი

რა არის ინტერნეტ რეკლამა?

ინტერნეტ რეკლამა ეს არის თქვენი კომპანიის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მომხმარებ-ლისთვის, ინტერნეტის საშუალების გამოყენებით.

ინტერნეტ რეკლამის უპირატესობა არის ის ,რომ მისი ფასები მინიმალურია. აუდიტორია არის უზამაქარი, ხოლო თვითღირებულება არც თუ ისე მაღალია. ინტერნეტრეკლამის მოქმედება მაშინვე ხდება შესამჩნევი.

ინტერნეტ რეკლამის მიზანია გაყიდვების მოცულობის გაზრდა კომპანიის ინტერნეტ რესურსზე მომხმარებლის დიდ აუდიტორიის მოზიდვის გამო.

ინტერნეტ რეკლამის ეფექტურობა დამოკიდებულია მის ადგილმდებარეობაზე. იდეაში ინტერნეტ რეკლამაისე უნდა იქნას განთავსებული, რომ იგი გვხდებოდეს თვალში მომხმარებელს და ამავე დროს არ უშლიდეს მას ინფორმაციის მიღებას.

ინტერნეტი ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ძალიან სწარაფდ იზრდება ისეთი ადამიანების რაოდენობა, რომლებიც კომპიუტერტთან გაცილებით მეტ დროს ატარებენ ვიდრე ტელესვიზორთან და ეს შეუქცევადი პროცესია.

საქართველოში ყოველ წელს ინტერნეტის აქტიურ მომხმარებელთა რეოდენობა მინიმუმ 50%-იტ იზრდება. შესაბამისად, რეკლამა ინტერნეთსი დღითიდღე უფრო ეფექტური ხდება. ის საშუალებას იძლევა მივაწვდინოთ ხმა ადამიანთა ისეთ ჯგუფებს, რომელთა ყურადღების მიპყრობა სხვა საშუალებებით რთული და ძვირია.

დღეისათვის ინტერნეტ რეკლამა მნისვნელოვან როლს თამაშობს პრაქტიკულად ნებისმიერ ბიზნესში. ბუნებრივია, რომ ნათლად და ლამაზად გაფორმებული რეკლამა არა მხოლოდ ეფექტურად იზიდავს მომხმარებელს, ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის იმიჯზე.მსოფლიოში ინტერნეტის პოპულარობასთან ერთად, საკუთარი ინტერნეტ რესურსებიდან მეტი მოგების მიღების მიზნით კომპანიების უზარმაზარმა რაოდენობამ თავიანთი არსებობის შესახებ ინტერნეტში გააკეთა განაცხადი. ეს განაპირობა იმან, რომ თანამედროვე პერიოდში ინტერნეტის მომხმარებელთან უმეტესობა მათთვის სასურველი საქონლის მოძებნასთან დაკავშირებულ მოთხოვნილებებს სწორად „მსოფლიო ობობას“ საშუალებით იკმაყოფილებს.

ინტერნეტ რეკლამას ბიზნესის განვითარებაში დიდ ადგილი უკავია რადგან, ინტერნეტ რეკლამით მომხმარებლამდე ხმის მიწვდენა უფრო ადვილია სატელევიზიო რეკლამასთან შედარებით, ხარჯებს თუ გავითვალისწინებთ ინტერნეტ რეკლამას უფრო ნაკლები ხხარჯები აქვს და იაფია. შეგიძლია აკონტროლო რამდენი მომხმარებელი გყავს და რამდენმა ადამიანმა იხილა შენი რეკლამა და ა.შ. დღესდღეობით ინტერნეტ რეკალამა განვითარების გზაზეა და უფრო და უფრო მეტი მომხმარებელი ჰყავს, უფრო მეტი პოპულარობიტ სარგებლობს.ინტერნეტის როლი დღეისთვის უკვე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. მსოფლიოში ინტერნეტ ბაზრის განვითარებას ახასიათებს მომხმარებელთა ზრდის დინამიკა, მომსახურების მიწოდების ავტონომიურობა, კონკურენცია, შემოსავლების ზრდა, მოთხოვნილების შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფა. მსოფლიო ინტერნეტ ბაზრის ზრდა დამოკიდებულია ფორმირებულ პროვაიდერებზე, რომლებიც ახდენენ ინტერნეტ მომსახურების გაწევას და უზრუნველ-ყოფენ ვებ ჰოსტინგს. ეს დარგი განსაკუთრებით სწრაფად იზრდება მოწინავე ქვეყნებში. საქართველოში ელექტრონული ბიზნესის განვითარებას სამწუხაროდ სათანადო ყურადღება არ ეთმობა არც სამთავრობო სტრუქტურების და არც ბიზნეს სექტორის მხრიდან.ინტერნეტის მომხმარებლის დიდ ნაწილი 50 წლამდე ადამიანებია, რომლებიც, სავარაუდოდ, მუშაობენ და სამსახურიდან შედიან ინტერნეტში. მათ შეუძლიათ შენობიდან გაუსვლელად თვალყური ადევნონ ვირტუალურ სამყაროს.ინტერნეტ რეკლამის ბაზარი მთელ მსოფლიოში იზრდება. ცნობილია, რომ „გუგლი“ ამ საქმით მილიარდებს აკეთებს.

ონლაინ რეკლამა- მსოფლიოში ონლაინ მარკეტინგის ხარჯების საერთო მოცულობა 2008 წლის განმავლობასი 65 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია.2011 წლის პროგნოზი 106 მილიარდ აშშ დოლარია. ონლაინ მარკეტინგზე დანახარჯები წელიწადში საშუალოდ 20-23%-ით იზრდება. იხ. ცხრილი 1

ცხრილი 1

სარეკლამო დანახარჯები მედია საშუალების მიხედვით (პროცენტებში)					
	2009	2010	2011	2012	2013
2013ტელევიზია	38,8	40,1	40,7	41,1	41,4
გაზეთი	23,1	21,4	20,1	18,9	17,9
ინტერნეტი	13,0	14,2	15,5	16,8	18,3
ჟურნალები	10,4	9,8	9,3	8,7	8,3
რადიო	7,6	7,2	7,1	7,0	6,8

ფატია, რომ ინტერნეტ რეკლამის ბაზარი იზრდება, მაგრამ კონკრეტული ციფრის მოყვანა რთულია. ინტერნეტ რეკლამის უპირატესობა მრავალია მასშტაბურია, მიზნობრიობა, დანახარჯ-ეფექტურობა და ა.შ. ეს არის სამი დიდი უპირატესობა რაც ინტერნეტ რეკლამას გააჩნია. მასშტაბურობა გულისხმობს რომ ინტერნეტ რეკლამა შეიძლება აკეთო მსოფლიო მასშტაბით. მიზნობრიონაში იგულისხმება, რომ შესაზლებელია კონკრეტულ მიზნობრივ აუდიტორიაზე, სეგმენტზე მუშაობა. დანარაჯეფექტურობა ნიშნავს, რომ მარკეტინგული ხარჯით, ინტერნეტსი მეტი შედეგის მიღება არის შესაძლებელი.

ინტერნეტ რეკლამის ბაზარი მთელ მსოფლიოში იზრდება. ცნობილია, რომ „გუგლი“ ამ საქმით მილიარდებს აკეთებს.ონლაინ რეკლამა- მსოფლიოში ონლაინ მარკეტინგის ხარჯების საერთო მოცულობა 2008 წლის განმავლობასი 65 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია.2011 წლის პროგნოზი 106 მილიარდ აშშ დოლარია. ონლაინ მარკეტინგზე დანახარჯები წელიწადში საშუალოდ 20-23%-ით იზრდება.იმ რეგიონებში მედია ინდუსტრია სწრაფი ტემპით ვითარდება და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში რეკლამა უდიდეს როლს ასრულებს. მსოფლიო მასშტაბით ინტერნეტ მომხმარებელთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. ამის გამო ბევრი დამკვეთი რეკლამის განთავსების მიზნით ონლაინ პროდუქტს ირჩევს. 2009 წელს ინტერნეტ რეკლამაზე გაწეულმა ხარჯებმა რადიო რეკლამის ხარჯებს გადაუსწრო.

სარეკლამო რეკლამისთვის 2011წელი მეტ-ნაკლებად წარმატებული აღმოცნდა, განსაკუთრებით ინტერნეტ რეკლამის სფეროში. გაიზარდა ინტერესი სოციალური ქსელების განსაკუთრებით ფეისბუქის-ის მიმართ, სადაც რეკლამის განთავსების რაოდენობამ მნიშვნელოვნად იმატა.რაც შეეხება სატელევიზიო რეკლამას, მისთვის აქტიური პერიოდი 2012წელი იყო. რაც შეეხება ფასს, სატელევიზიო ღირებულება 2011 წელთან შედარებიტ დაახლოებით 18-20%-ით გაძვირდა.2010 წელთან შედარებით უკეთესი ვითარებაა სარეკლამო ბიზნესის სფეროში. სარეკლამო სატელევიზიო ინვესტიციები დაახლოებით 15-20%-ით გაიზარდა.

2011 წელს დაფიქსირდა ინტერნეტ რეკლამის აქტიურობა, რომლის გარკვეული ნაწილი, დაახლოებით 10%-მდე სოციალურ ქსელებში განთავსებულ რეკლამებზე მოდის. ისინიც კი, რომლებიც რეკლამებს ქართულ ინტერნეტ სივრცეში არ ანთავსებენ აქტიურად იყენებენ ფეისბუქს და სხვა სოციალურ ქსელებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე რ. ბერიკაშვილი ლ. ,,ონლაინ ტურიზმის განვითარების პრობლემები და ტენდენციები საქართველოში“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტურიზმის ფაკულტეტი, აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. V საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“. ბათუმი - ხიხანის ხეობა. 5-6 ივლისი, 2014.
2. გაბისონია ზ, ,,ელექტრონული კომერცია“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 01.12.2016.
3. თოდუა ნ. აბულაძე რ. „ინტერნეტ-მარკეტინგი“ სახელმძღვანელო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მარკეტინგის კათედრა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი , 2011. 4. Бун.

The current state of the Internet advertising market and development prospects

Kavtidze Eduard
Associated professor of Georgian Technical University

Tchelidze Lizi
student on master's of Georgian Technical University

Summary

There is virtually no human activity or field today where the Internet does not play a crucial role.

The article discusses the origins of Internet advertising and its definition, the types of Internet advertising, discusses why it is better to place Internet advertising and what are its advantages. Is not the position of Internet realm around the world. The social aspects of Internet advertising are discussed below. The role of the Internet is now vital. The development of the Internet market in the world is characterized by the dynamics of consumer growth, autonomy of service delivery, competition, revenue growth, quality assurance of demand. The growth of the global internet market depends on established providers that provide internet services and provide web hosting. This field is growing especially fast in advanced countries. Unfortunately, neither the governmental structures nor the business sector pay proper attention to the development of e-business in Georgia.

ენერგოეფექტური ტექნოლოგიები როგორც ინოვაციური ბრენდი

კოჭლამაზაშვილი ლელა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ნოღაიდელი ნატალია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში ყოველდღიურად უფრო და უფრო აქტუალური ხდება ენერგიის დაზოგვა, რადგანაც ეკონომიკური განვითარება მოითხოვს სუფთა გარემოს როგორ ლოკალურ, ასევე გლობალურ ასპექტში. ენერგიის ეფექტიანი გამოყენება და ენერგოეფექტური ტექნოლოგიები გვაძლევს საშუალებას შევამციროთ ენერგიაზე მოთხოვნა, რის შედეგადაც შევამცირებთ გარემოზე ნეგატიურ ზემოქმედებას.

ენერგოდაზოგვა არის განვითარებული ქვეყნების მთავარი პრიორიტეტი. უფრო რაციონალური და ეფექტური ენერგიის წარმოება და გამოყენება, საწარმოების და სოციალური სექტორის ინფრასტრუქტურის განახლება, ინოვაციური განვითარება არის ეკონომიკის ზრდისა და სრულყოფილი საზოგადოების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი საშუალება.

ტექნოლოგიურ, სოციალურ და გლობალურ-ეკონომიკური ცვლილებების ეპოქაში საზოგადოება იმყოფება „გადარჩენის“ ზღვარზე, ოცდამეერთე საუკუნის ეკონომიკაში კი მხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაციების იმედად არის შესაძლებელი გადარჩენა.

ენერგოეფექტიანობა არის გლობალური საკითხი, რომელიც თანდათან უფრო აქტუალური ხდება. ეს გამოწვეულია ენერგორესურსებზე მზარდი ფასებით, ენერგიის დეფიციტით, ეკოლოგიური პრობლემებითა და ენერგოიმპორტზე დამოკიდებულებით.

ჩვენი ქვეყნისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია ენერგოეფექტურობის გაზრდა. ენერგოეფექტუ-რობის დაბალი მაჩვენებლებიდან გამომდინარე, საქართველოში ენერგოეფექტურობის ზრდის დიდი პოტენციალი არსებობს. საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ჩატარებული კვლევების თანახმად, ქვეყანაში შეიძლება ენერგიის 20%-ის დაზოგვა, ენერგოდამზოგი ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები: ენერგოეფექტიანობა; ენერგიის დაზოგვა; ენერგოეფექტური ტექნოლოგიები; ინოვაცია.

ძირითადი ტექსტი

ენერგოეფექტურობა ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტომ (IEA) მსოფიოში „პირველ ენერგიის წყაროდ“ მოიხსენია თავის ერთ-ერთ ანგარიშში; ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებში ინვესტირება შესძლებლობას იძლევა დაიზოგოს იმდენად დიდი რაოდენობის ენერგია, რომ დაზოგილმა ენერგიამ მნიშვნელოვნად გადააჭარბოს ბევრი სადგურის მხრიდან წარმოებული ენერგიის რაოდენობას. კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლასა და წიაღისეული საწვავის ჩანაცვლებაში წამყვან როლს თამაშობს ეს „პირველი ენერგიის წყარო“.

ყველაზე მარტივი და მოკლე განმარტების თანახმად, ენერგოეფექტურობა ნიშნავს კონკრეტული სერვისისათვის ნაკლები რაოდენობის ენერგიის გამოყენებას. მაგალითად, ჩვეულებრივ ვარვარა ნათურაზე უფრო ენერგოეფექტურია ფლუროსცენტური ნათურა, რადგან იგივე რაოდენობის სინათლის მისაღებისთვის მოიხმარს ნაკლებ ელექტროენერგიას. ამის მსგავია, ასევე ენერგოეფექტური ღუმელი, რომელიც სახლის გასათბობად მოიხმარს ნაკლებ საწვავს, ვიდრე ჩვეულებრივი ღუმელი, ხოლო გამოყოფილი სითბო ერთნაირია ორივე შემთხვევაში. 5 ძირითად პუნქტში შიეძლება ჩამოყალიბდეს ენერგოეფექტურობის სარგებელი:

1. ენერგოეფექტურობა ფულის დაზოგვაში გვეხმარება; 2. გარემოსათვის არის სასარგებლო; 3. ეკონომიკის განვითარებაში შეაქვს წვლილი; 4. . ცხოვრების ხარისხს აუმჯობესებს; 5.ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებას უწყობს ხელს.

ასევე ცნობილია, რომ მომხმარებლის ფინანსურ რესურსებს ზოგავს ენერგოეფექტურობის ღონისძიებები, ამცირებს მოხმარებული ენერგიის რაოდენობას და თავისთავად, ამ მოხმარებული ენერგიის ჯამურ ღირებულებას. მაგრამ, ასევე, მთელი ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკის განვითარებას ხელს უწყობს ენერგოეფექტურობის ღონისძიებების ჩატარება და მიღებული დანაზოგი, ასევე სამუშაო ადგილების შექმნაში შეაქვს თავისი წვლილი და ინოვაციების განვითარების საფუძველს წარმოადგენს, რადგანაც აქამდე არარსებული ტექნოლოგიების შექმნა და განვითარება წარმოადგენს თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის წინაპირობას.

ენერგოეფექტურობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი უკავშირდება გარემოს დაცვას. გარემოს დაბინძურების შემცირების წინაპირობას წარმოადგენს დაზოგილი ენერგია, რადგანაც, როგორც ცნობილია, მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ახასიათებს წიაღისეული ენერგეტიკული რესურსის გამოყენებას (სათბური გაზების ემისია) როგორც ტრანსპორტის, ასევე კომერციულ და საყოფაცხოვრებო სექტორში. ენერგოეფექტურობა ენერგეტიკული უსაფრთხოების დონესაც ზრდის, ამცირებს როგორც გარე დამოკიდებულებას იმპორტირებულ ენერგიაზე, და ბოლოს, ენერგოეფექტურობა კომფორტული საყოფაცხოვრებო პირობების შექმნით ცხოვრების ხარისხს აუმჯობესებს. მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, ყოველწლიურად ენერგიაზე მოთხოვნა იზრდება საშუალოდ 2%-ით. ძირითადად ეს ზრდა ხდება განვითარებადი ქვეყნების, ინდოეთისა და ჩინეთის ხარჯზე. თუმცა არსებულ ტექნოლოგიებში მომგებიან ინვერსტიციებს შეუძლია ამ ზრდის 0.7 %-მდე შემცირება, რაც ნიშნავს ყოველდღიურად 64 მლნ ბარელი ნავთობის ეკვივალენტის დანაზოგს. შესაძლებელია ენერგოდაზოგვის მიღწევა როგორც ტრანსპორტისა და საყოფაცხოვრებო, ასევე კომერციულ სექტორში. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორის გათვალისწინებით განვითარებულ ქვეყნებში ენერგოეფექტურობას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. გარემოსდაცვით საკითხები პრიორიტეტულია საერთაშორისო დონეზე, ასევე სათბური გაზების ემისიის შემცირება, რომელიც უკავშირდება კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლას. საქართველოსთვის ამ კუთხით ევროკავშირის დირექტივები განსაკუთრებით საყურადღებოა, რომელთა განხორციელებაც ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში სავალდებულოა.

შესაბამისად, ტექნოლოგიურ, სოციალურ და გლობალურ-ეკონომიკური ცვლილებების ეპოქაში საზოგადოება იმყოფება „გადარჩენის“ ზღვარზე, ახალ ეკონომიკაში კი მხოლოდ ტექნოლოგიური ინოვაციების იმედად არის შესაძლებელი გადარჩენა.

სოციალური და ეკონომიკური პროგრესის მამოძრავებელი ძალაა ინოვაცია, როგორც მიკრო დონეზე, ასევე ეროვნულ (მაკრო) დონეზეც, რადგანაც იგი წარმოადგენს ფირმის დონეზე კონკურენტულ უპირატესობას და ბიზნესის წარმატების მთავარ არგუმენტს. მაგრამ, თუკი ქვეყნებს უფრო წარმატებული და ეკოლოგიურად სუფთა საზოგადოებისკენ სვლა სურთ, მთავარია განვითარდეს ინოვაციების კონკრეტული სფეროები. ამგვარმა სიახლეებმა რესურსებისა და ენერგიის მოხმარების შემცირების ახალ გზები და მიმდინარე და მომავალი გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარება უნდა გაითვალისწინოს; ასევე, უნდა ისწრაფოდნენ მდგრადი ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობისკენ. ამ ტიპის ინოვაცია მოხსენიებულია ეკო-ინოვაციად (ან მწვანე ინოვაციად).

იგი შეიძლება განისაზღვროს როგორც,

• მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ან ,,ახალი'', პროდუქციის (საქონლის და მომსახურების), მარკეტინგული მეთოდების, პროცესების, ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვა და ორგანიზა-ციული სტრუქტურები, რომელიც მიზნის გარეშე ან გამიზნულად, სხვა შესაბამის ალტერნატივებთან შედარებით გამოიწვევს გარემოს გაუმჯობესებას;"

• მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ან ნებისმიერი ახალი პროდუქტის (საქონლის ან მომსახურების), მარკეტინგული გადაწყვეტის, პროცესის ან ორგანიზაციული ცვლილებების დანერგვა, რაც რესურსების გამოყენებას ამცირებს და მავნე ნივთიერებების გამოყოფას მთელი სიცოცხლის ციკლის განმავლობაში.

ენერგიის დაზოგვისა და ენერგოეფექური მოწყობილობების პოპულარიზაციის კუთხით ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის გამოყენება, შეძლება ვივარაუდოთ როგორც „ინოვაციების მარკეტინგი“, რადგან თავის მხრივ, ენერგო დამზოგი მოწყობილობები ინოვაციური

პროდუქტებია, მათ სჭირდება მომხმარებლისთვის ახლებურად მიწოდება და ახლებურად აღქმა. ინოვაციების სფეროში მარკეტინგის მნიშვნელობამ, ახალ ცნებას - „ინოვაციების მარკეტინგი“ საფუძველი ჩაუყარა, რაც გულისხმობს ბაზარზე ორიენტირებული ინოვაციის შექმნას და პოპულარიზაციას. „ინოვაციების მარკეტინგი“ ინოვაციური პროდუქტისთვის არის არსებული ბაზრის წილის მოპოვება, ან მომხმარებლების პრიორიტეტების ცვლილებების ხარჯზე ახალი ნიშას შექმნა, რაც ინოვაციის დანერგვის საკითხში მარკეტინგის საკვანძო როლს ადასტურებს. „ინოვაციების მარკეტინგი“ - რაც ნიშნავს ინოვაციური პროდუქტის ბაზარზე დანერგვას, რომელიც შეიძლება მოხდეს, როგორც უკვე არსებული მარკეტინგული კომუნიკაციების დახმარებით (ისევე, როგორც არაინოვაციური პროდუქტის დანერგვისას), აგრეთვე ინოვაციური არხებითაც. „ინოვაციების მარკეტინგის“ მაგალითს წარმოადგენს ვაშლის ჩიფსების დანერგვა, როგორც ჯანსაღი კვება და ვაშლის პოპულარიზება ადრეული ასაკიდან. (რადგანაც ადრეული ასაკიდან იწყება ჩიფსების მთავარი მიზნობრივი სეგმენტი).

გამოყენებული ლიტერატურა

1. “მწვანე ზრდის მიმართულებით”. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, OECD, 2011. www.oecd.org/greengrowth
2. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის - „ენერგოეფექტიანობის პოტენციალი საქართველოში და მისი ათვისების ღონისძიებები“. თბილისი 2008 წ.
3. მწვანე ბიზნესის მხარდაჭერი სტრატეგია საქართველოს კერძო ბიზნეს ორგანიზაციებისთვის. UBCCE-GIZ ერთობლივი პროექტი
4. https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/12742.pdf

Energy efficient technologies as an innovative brand

Lela Kochlamazashvili
Professor of Georgian Technical University

Natalia Nogaideli
PhD student of Georgian Technical University

Summary

In the modern world, energy saving is becoming more and more important every day, because economic development requires a clean environment both locally and globally. Efficient use of energy and energy efficient technologies allow us to reduce energy demand, thus reducing the negative impact on the environment.

Energy saving is a top priority in developed countries. Production and use of more rational and efficient energy, upgrading of infrastructure of enterprises and social sector, innovative development are the most important means of economic growth and formation of a perfect society.

In the era of technological, social and global-economic change, society is on the brink of "survival", while in a twenty-first century economy, survival is possible only in the hope of technological innovation.

Keywords: energy efficiency; Energy saving; Energy efficient technologies; Innovation.

საზოგადოებასთან ურთიერთობა საბანკო სფეროში

კოჭლამაზაშვილი ლელა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ქობლიანიძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ციმაკურიძე ვლადიმერი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საბანკო სფერო ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ბიზნეს სექტორია საქართველოში. ქართული საბანკო ბიზნესის წარმატება უდაოდ დაკავშირებულია მენეჯმენტისა და მართვის სისტემების ევროპულ და ამერიკულ მეთოდებთან ეფექტურ ადაპტირებასა და აპრობირებასთან, რომელთა შორის აღსანიშნავია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის როლი და ფუნქცია. ნიშანდობლივია, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა, როგორც სამეცნიერო კვლევის, შესწავლის საგანი და შემდგომში საზოგადოებრივი აზრისა და ქცევის მართვის სისტემა, სათავეს იღებს აშშ-ში, კერძოდ კი ბოსტონში 1900 წელს, როდესაც PR-ის მამად წოდებულმა, საზოგადოებრივი აზრის კვლევის ექსპერტმა, აივი ლედბეთერ ლიმ პირველი "**Publicity Bureau**" დააარსა. შესაბამისად, როდესაც ვსაუბრობთ ევროპულ და ანგლო-საქსური მართვისა და მენეჯმენტის სისტემებზე, რომელიც საქართველოში საკმაოდ ფესვგადგმულია, მითუმეტეს კი საბანკო სფეროში, გვერდს ვერ ავუვლით ამავე სისტემის წიაღში შობილ და ჩამოყალიბებულ საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებას, რომელსაც უმნიშ-ვნელოვანესი როლი და ფუნქცია აქვს, როგორც ორგანიზაციის რგოლებს შორის შიდა კომუნიკაციის პროცესში, ასევე გარე აუდიტორიასთან ორგანიზაციის ურთიერთობაში.

საბანკო ბიზნესში საქმიანი კომუნიკაციის პოლიტიკის განსაზღვრას, დაგეგმას, განხორციელებას და მართვას ეხება მოცემული სტატია თუმცა აღსანიშნავია, რომ გარდა საკომუნიკაციო პოლიტიკის წარმართვისა PR მოიცავს სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტას და აქტიურად მონაწილეობს ორგანიზაციულ მენეჯმენტში.

საკვანძო სიტყვები: საბანკო სფერო, საზოგადოებასთან ურთიერთობები, ბრენდი, საკომუნიკაციო პოლიტიკა

ძირითადი ტექსტი

საქართველოში, საბანკო სფეროში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის როლის, ფუნქციისა და მნიშვნელობის გაცნობიერების და ჩამოყალიბების საწყის ეტაპად 90-იანი წლები შეიძლება ჩაითვალოს, რაც განაპირობა საინფორმაციო საშუალებათა ფართო სპექტრმა, გაზრდილმა კონკურენციის პირობებმა, საზოგადოების ინფორმირებულობის აუცილებლობამ და ზოგადად დროის ტენდენციებმა, რაც გამოწვეული იყო დასავლური საბანკო ბიზნესის გამოცდილების გაზიარებით და საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირის დამყარების აუცილებლობით. აქვე გასათვალისწინებელია, იმ პერიოდში არსებული საზოგადოებრივი აზრი, ბანკების არასაიმედოობისა და მათდამი უნდობლობის შესახებ, რაც გარკვეულ პანიკურ ხასიათს ატარებდა და გამოწვეული იყო ხალხის მიერ წლობით ნაგროვები ფულის დაკარგვით, უამრავი ბანკის გაკოტრებით, ფულის გაუფასურებითა და სხვ. ბუნებრივია, ამ მოვლენათა შესაბამისად საჭირო გახდა გაასმაგებული ძალისხმევის გამოჩენა, რათა მომხდარიყო საზოგადოებაში საბანკო სფეროს რეაბილიტაცია და მათ მიმართ ნდობის აღდგენა, რაც ვერ მოხერხდებოდა გააზრებული სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის გარეშე. ამ მხრივ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი დაეკისრა მომხმარებელთან მჭიდრო, გამჭვირვალე და ეფექტურ კომუნი-კაციას, რამაც PR -ის როლი და საჭიროება განსაკუთრებით გამოკვეთა. მისი ფუნქცია და მოვალეობები მოიცავს ისეთ საორგანიზაციო ქმედებებს და ღონისძიებებს, როგორიცაა საზოგადოებრივი აზრის კვლევა, ანალიზი და ანალიზის საფუძველზე ბრენდის პოზიციონირების სტრატეგიის განსაზღვრა, კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება ბანკის იმიჯის შექმნის, გაძლიერებისა და დაცვისათვის,

ბრენდის მიმართ საზოგადოების ლოიალობის ზრდის, ასევე მომხმარებელში ბრენდთან თანამშრომლობისა და საკუთარი თავის ასოცირების მოტივაციების შექმნა და სხვა.

ბრენდის წარმატება და ზრდის პერსპექტივა დაფუძნებულია არა მარტო ეფექტურ ტექნოლოგიებზე, მრავალფეროვან სერვისზე, ან კონკურენტულ უპირატესობებზე, არამედ მომხმარებელთან უწყვეტ, მზარდ და მოცულობით კავშირებზე, რაც პირდაპირ დაკავშირებულია ბრენდის იმიჯსა და რეპუტაციაზე. რასაკვირველია, ბრენდთან ურთიერთობის გადაწყვეტილება მიიღება ძირითადად, ბრენდის შესახებ "პირველადი" პოზიტიური სიგნალების, ინფორმაციის მიღების შემდეგ. ამავე დროს მნიშვნელოვანია რომ საიმიჯო პარამეტრების, ანუ ბრენდის პოზიციონირების ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია და იმიჯში თანხების დაბანდება არ იწვევს დაუყოვნებელ, ადვილად დასაანგარიშებელ უკუგებას.

„ლიბერთი ბანკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიული განვითარების 2021 წლის გეგმაში წერია, რომ შეუძლებელია ეფექტური საბანკო ბიზნეს-საქმიანობა, თუკი ბანკს არ ექნება მყარი პოზიტიური იმიჯი და რეპუტაცია. ბანკმა ჯერ უნდა შექმნას საკუთარი სახე და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია საზოგადოებისთვის მომსახურების მზარდი და ეფექტური შეთავაზება. ამაშია საბანკო ბიზნესის განსხვავება ყველა სხვა კერძო ბიზნესისაგან.

ალეკ ბენი, ავტორი წიგნისა ,,Advertising Financial Products and Services (ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების რეკლამირება) თვლის, რომ ფინანსურ ბიზნესში იმიჯს, ბოლოს კი გრძელვადიან რეპუტაციას და ბრენდის პოზიციონირებას ბაზარზე, მომხმარებლის მიერ მათდამი განსაკუთრებით სენსიტიური და ფრთხილი დამოკიდებულების გამო, აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა, რადგან ადამიანმა ყოველდღიური მოხმარების პროდუქტის მწარმოებლებისაგან შეიძლება იყიდოს ესა თუ ის საქონელი, ისე რომ მათთვის მწარმოებლის შესახებ არაფერი იყოს ცნობილი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ანდობს ფულს იმ დაწესებულებას, რომლის შესახებაც მისთვის არაფერია ცნობილი. ამასთან, საფინანსო ინსტიტუტების მაღალი პასუხისმგებლობის, საიმედოობის, დადებითი იმიჯის ხარისხი და მნიშვნელობა ვლინდება არა მხოლოდ წარმატებული განვითარების პერიოდში, არამედ განსაკუთრებით სირთულეების წარმოქმნის მომენტში და მათდამი გამკლავების პროცესში, რაშიც საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიას უდიდესი როლი, ფუნქცია და მისია ეკისრება. კლიენტები, გაიგებენ თუ არა ბანკის პრობლემების შესახებ, მისი გაკოტრების შიშით, ჩქარობენ ბანკიდან საკუთარი ფულის გატანას და ამით ნამდვილად უბიძგებენ ბანკებს გაკოტრებისაკენ. ხოლო კარგი იმიჯის ინერციას და კრიზისის პერიოდებში მოხერხებულ მოქმედებებს მის შესანარჩუნებლად, შეუძლია საგრძნობლად შეაჩეროს ეს პროცესი.

ურთიერთობები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მოიცავს ანალიტიკური პრეს-მასალების მონიტორინგს, ანალიზს, ანალიზის საფუძველზე საჭირო უკუკავშირების მომზადებას და გავრცელებას, პრეს-ღონისძიებებს, მონაწილეობას განხილვებში, ექსკლუზიურ ინტერვიუებს, ჟურნალისტებთან ფორმალურ და არაფორმალურ კონტაქტებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგიერთი სპეციალისტი აღნიშნავს, რომ შეიძლება ჟურნალისტების სიმპათიის მოპოვება მათთვის აბსოლუტურად უტყუარი ფაქტების მიწოდებით, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს პირდაპირ არ არის დაკავშირებული საკუთარ ბანკთან. ამით ის უჩვენებს, პირველ რიგში, საკუთარ ინფორმირებულობას, და მეორეც - მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან უანგაროდ თანამშრომლობის მზადყოფნას.

სიახლეების განსათავსებლად მასობრივი ინფორმაციის საშუალების არჩევისას საქართველოში ბანკები, უპირატესობას ანიჭებენ ტელევიზიას, ვინაიდან სატელევიზიო სიუჟეტის ეფექტი ბევრად უფრო მაღალია. ასევე საგაზეთო და ინტერნეტ პუბლიკაციებს აქვს აუდიტორიის მაღალი მოცვითი ეფექტი, კერძოდ საინფორმაციო ინტერნეტ გვერდები და გაზეთის ფურცლები იძლევა ბანკის პოზიციის უფრო დაწვრილებით და საფუძვლიანად განმარტების შესაძლებლობას, ამათუიმ საკითხთან დაკავშირებით, ასევე მკითხველთან უკუკავშირის დამყარების საშუალებას "ცხელი ხაზის", სოციალური მედიის ჩათბოქსების, ან ე.წ. ორგანიზაციული საინფორმაციო ცენტრის (Call Centre) სატელეფონო ნომრების გამოქვეყნების გზით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უპირატესობებზე საუბრისას, აუცილებელია აღინიშნოს,

რომ ისინი საკმაოდ მოქნილნი და ოპერატიულები არიან. ბანკების ცნობები, სიახლეები, ქმედებები და აქციები სწრაფად და ეფექტურად შეიძლება იქნას გამოყენებული დიგიტალ მედიის, რადიოს, ან ტელევიზიის საშუალებით სხვადასხვა ფაქტორებთან დაკავშირებული მოვლენების გამოყენებით. ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური, სეზონური, ან ნებისმიერი სხვა ფაქტორი. ამისათვის საჭიროა მომენტის დაჭერა და სამოქმედო გეგმის მომენტალური შემუშავება. როგორც წესი ასეთი სახის, სპონტანური PR-აქციები, PR-ის სამსახურისა და მისი თანამშრომლების კრეატიულობაზე მეტყველებს.

მედიისა და ბრენდის კომუნიკაციის ეფექტურობის როლი საფინანსო სფეროს ყოველდღიურ ცხოვრებაში განუზომელია, შესაბამისად, ბანკის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ჩნდება მედიაში, თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს მის როგორც წინსვლაში, ისე მოულოდნელი კრიზისის წარმოქ-მნაშიც, თუ ინფორმაციული ნაკადები მკაცრად არ კონტროლდება. სწორედ ინფორმაციის უკონტრო-ლობის დრამატულ მაგალითს წარმოადგენს ბანკის ერთდღიანი ვარდნის ისტორია, რომელიც 1983 წელს განიცადა ამერიკის სიდიდით მეშვიდე ბანკმა "კონტინენტალ-ილინოისმა". აშშ-ს სატელევიზიო ახალი ამბების საღამოს საქმიან გამოშვებაში გავრცელდა მოკლე ცნობა დაუდასტურებელი ხმების შესახებ, თითქოს რომელიღაც ფინანსური ჯგუფი ცდილობდა, ხელში ჩაეგდო "კონტინენტალ-ილინოისის" კონტროლის სადავეები. იაპონურ ენაზე გადათარგმნისას დაშვებულ იქნა საბედისწერო შეცდომა: სიტყვა ,,ხმები" გაქრა და მოცემული ინფორმაცია იაპონიის დილის საინფორმაციო გამოშვებებში გავრცელდა, როგორც ცნობა კონტროლის ხელში ჩაგდების შესახებ. ასეთი ტიპის ცნობები, როგორც წესი, ითვლება კლიენტურისათვის ბანკის არასტაბილურობის სიგნალად. ,,კონტინენტალ-ილინოისს" ჰყავდა მრავალი მეანაბრე აზიის რეგიონში, რომლებმაც იაპონიის დედაქალაქიდან შეცდომით გადმოცემულ ცნობაზე რეაგირება მოახდინეს იმით, რომ გამოიტანეს ბანკიდან თითქმის 1 მილიარდი მოცულობის ანაბრები. ინფორმაცია ტოკიოდან, ამჯერად ზუსტად გადათარგმნილი ინგლისურ ენაზე, გავრცელდა ევროპის ქვეყნებზე, სადაც მეანაბრეებმა ასევე დაიწყეს საკუთარი სახსრების გამოტანა. როცა გათენდა ამერიკაში, ბანკირებმა გაიღვიძეს უკვე ბანკის ნანგრევებზე, საიდანაც მეანაბრეებმა გაიტანეს რამდენიმე მილიარდი დოლარი. ეს მაგალითი აჩვენებს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ერთმა გაუფრთხილებელმა სიტყვამაც კი შეიძლება ბანკს მიაყენოს უმნიშვნელოვანესი ზარალი.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობების დალაგება და მჭიდრო კავშირების დამყარება განსაკუთრებით კრიზისის პერიოდშია საჭირო, რათა კონკურენტებმა, დაუდასტურებელმა ხმებმა და ა.შ. ვერ მოახერხონ ბანკისათვის ზიანის მიყენება. მაგალითად, ბანკი "უკრაინა" განიცდიდა მნიშვნელოვან სირთულეებს თავის საქმიანობაში და ზოგიერთი მასმედიის წარმომადგენლის მიერ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ბანკი გაკოტრების პირასაა. სიტუაცია მიდიოდა კრიზისისაკენ, მაგრამ მდგომარეობა განიმუხტა, პრესასთან აქტიური მუშაობის დაწყებისთანავე, რომელიც ითვალისწინებდა მოარული ხმების ნეიტრალიზაციას და საზოგადოების მაქსიმალურ ინფორმირებას. ამისათვის გამოყენებული იქნა საშუალებათა მთელი სპექტრი: პრეს-კონფერენციები, ინტერვიუები, ბანკის ტოპ-მენეჯერების გამოსვლები. პირდაპირი გაგებით, ბანკი არავის ეუბნებოდა უარს ინფორმაციის მიწოდებაზე, რა თქმა უნდა, კონფიდენციალური ინფორმაციის გამოკლებით. მაგრამ ყველაზე დიდი ეფექტი მოახდინა ბანკის მიერ გამოქვეყნებულმა აუდიტორულმა ანგარიშმა, რომელიც მომზადდა მსოფლიოში ცნობილი აუდიტორული ფირმის "არტურ ანდერსენის" მიერ. ამის შედეგად ბანკი გადარჩა.

ამგვარად, ბანკი რამდენადაც მყარი და საიმედოც არ უნდა იყოს თავისი ფინანსური მდგომარეობით, რამდენად მაღალი ხარისხის მომსახურებასაც არ უნდა სთავაზობდეს მომხმარებელს, თუ ბრენდის კომუნიკაცია მედიასთან და შესაბამისად მომხმარებელთან არაეფექტურია, ან ინფორმა-ციული ნაკადების მონიტორინგი მოისუსტებს, შეიძლება ითქვას, რომ PR-ის სამსახური ქმედითუ-უნარო და შედეგი, ასეთი დადებითი და აქტიური მოღვაწეობის შემთხვევაშიც კი ყოველთვის ძალიან მცირე იქნება, ხოლო კრიზისების ალბათობა ძალიან მოიმატებს.

ორგანიზაციის რენომესთან პირდაპირ დაკავშირებულია ურთიერთობა კლიენტებთან, სამუშა-ოთა ცალკე დიდი პროცესია და სტრატეგია – Post-Sale Customer Service (გაყიდვის შემდგომი

კლიენტების მომსახურება) - გულისხმობს არსებული კლიენტების ლოიალობის, განწყობების, დამოკიდებულებების მართვას, მათთან უწყვეტი კომუნიკაციის წარმოებას და მათი საჭიროებების გადაჭრის პროცესს.

პრაქტიკულად, მთელს მსოფლიოში უკვე მიხვდნენ, რომ ბიზნესის სტაბილურობის და ზრდის ერთ-ერთი უპირველესი მიზანია არა ერთჯერადი მოგების მიღება, არამედ კლიენტების შეძენა და შემდეგ მათი გრძელვადიანი შენარჩუნება. იმის გამო, რომ კლიენტი ყიდულობს არამარტო მომსახურებას, არამედ ურთიერთობას მის გამყიდველთან, ბანკის არჩევის არსებით ფაქტორს, სხვა თანაბარი პირობების დროს, წარმოადგენს ის, თუ როგორ ურთიერთობენ კლიენტთან ბანკში.

ვიდრე ბანკი შეეცდება ახალი კლიენტების მოზიდვას, მან უნდა ისწავლოს ძველ კლიენტთა შენარჩუნება (სტატისტიკური მონაცემებით, ძველი კლიენტი ბანკს უჯდება დაახლოებით ოთხჯერ უფრო იაფი, ვიდრე ახალი). როგორ უნდა მოექცნენ ბანკები კლიენტს, რათა ისინი მათგან არ წავიდნენ? - საჭიროა გვახსოვდეს, რომ კლიენტთან ურთიერთობა ყალიბდება სხვადასხვა წვრილმანებისა და მოულოდნელობებისაგან, რამაც კლიენტზე შეიძლება ძლიერი დადებითი გავლენა მოახდინოს, ან პირიქით, იმედგაცრუებული დატოვოს იგი. "ურთიერთობების სერვისი" - ეს წამიერი ემოციონალური გავლენებია და საჭიროა ყურადღებით მოპყრობა წვრილმანებზეც კი; საჭიროა გვახსოვდეს, რომ ადამიანი, რომელიც წავიდა ბანკიდან ცუდ ხასიათზე - ეს არის მის საახლობლო წრეში მყოფი, რამდენიმე დაკარგული პოტენციური კლიენტი; საჭიროა კლიენტის ქცევის წინასწარ პროგნოზირება, მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა და ამ ანალიზის საფუძველზე ურთიერთობების მართვა; იმისათვის, რომ სწორედ მოვექცეთ სკეპტიკურად განწყობილ კლიენტს, საჭიროა მის როლში შესვლა, ფსიქოლოგიურად ახსნა და მისთვის სარწმუნოდ განმარტება (მაგალითად, საჭიროა მისი დარწმუნება იმაზე, რომ ბანკი აკეთებს და გააკეთებს ყველაფერს, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა მას გაუმართლოს იმედები). არ შეიძლება კლიენტთან ზურგით დგომა (მაგალითად, კლიენტის ტელეფონის ზარზე პასუხი, რომ ახლა შესვენებაა _ მისთვის ასეთი ცნება არ არსებობს); კლიენტის საჩივრები - ეს ინსტრუმენტია, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას კლიენტზე ორიენტირებული ბანკის მუშაობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ ყველაზე ძლიერი, რაც შეუძლია ბანკმა გააკეთოს კორპორაციული კლიენტის შესანარჩუნებლად, არის ის, რომ შეეცადოს აქციოს იგი თავის მიმდევრად, ლოიალურ კლიენტად. როგორ მივაღწიოთ ამას? - ყველაზე მართებული მეთოდი – კლიენტის ბანკის საქმიანობაში აქტიური ჩართვა და მონაწილეობაა. მაგალითად მოვიყვანოთ მსხვილი ბრუნვის მქონე კორპორაციულ კლიენტებთან "საქართველოს ბანკის" დამოკიდებულება - როდესაც"`საქართველოს ბანკი" ნერგავს ახალ პროდუქტს, ბანკის სტრუქტურული ერთეული "Call Centre", ან გაყიდვების სამსახური, ზემოთ აღნიშნულ პრიორიტეტულ კლიენტებს ურეკავს, ან უგზავნის SMS შეტყობინებას და სთავაზობს მათ ისარგებლონ ახალი მომსახურებით, რომელიც სწორედ მათი ინტერესების გათვალისწინებით, მათთვის შეიქმნა. აღნიშნული შეთავაზების ტექსტი ბუნებრივია გათვლილია, როგორც პროდუქტის გაყიდვასა და ამ პროდუქტით კლიენტის დაინტერესებაზე, ასევე კლიენტის ინტერესების და მოლოდინების მაქსიმალურ გათვალისწინებაზე. აღნიშნული მეთოდი შესანიშნავი ეფექტის მქონეა, რადგან ამ დროს კლიენტი იღებს, რამდენიმე ისეთ მესიჯს, როგორც ბანკზე, ასევე საკუთარ თავზე, როგორიცაა -"ჩემზე მზრუნველი და ყურადღებიანი ბანკი" და მეორეს მხრივ "მე - ბანკისათვის პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი კლიენტი", რაც გარკვეულწილად იწვევს შინაგანი კმაყოფილების ისეთ ეფექტს, რომ უბიძგებს კლიენტს შეთავაზებული საბანკო პროდუქტით სარგებლობისაკენ. ამგვარი მეთოდის გამოყენების პრაქტიკამ აჩვენა კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია, რომ კლიენტთან სწორი და პროდუქტიული მიდგომისას, ისინი ხალისით აცნობენ და პირიქით სთავაზობენ ბანკს ახალ იდეებს მათი შემდგომი თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად ბანკის ქმედებებზე მომხამრებელთა უკუკავშირები, საუკეთესო ინდიკატორია, ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკის ეფექტურობის განსაზღვრისათვის, რადგან კლიენტისგან ბანკს შეუძლია მიიღოს თავისი რეპუტაციის ყველაზე საიმედო და უტყუარი შეფასება. ამისათვის საჭიროა განვითარებადი ინტერვიუების სპეციალური ტექნოლოგიების გამოყენება კვლევის პროცესში (უბრალო გამოკითხვები აქ არ გამოდგება), რომელსაც ფლობენ პროფესიონალი ფსიქოლოგები და რომელიც ბანკს ეხმარება იმის გაგებაში, სინამდვილეში, როგორი წარმოდგენაა შექმნილი ბანკზე, ანუ როგორია ბრენდის

პოზიციონირება. ამასთან, ასეთი ინტერვიუ აღებული უნდა იქნას არა მხოლოდ კლიენტი-ორგანიზაციის პირველი პირებისა და მისი მოადგილეებისაგან, არამედ ნებისმიერი ფენის, თანამდებობისა და წრის წარმომადგენელისაგან. ეს აუცილებელია რათა განისაზღვროს, რამდენად გულწრფელია ბანკი კლიენტებთან ურთიერთობისას, ანუ ყურადღება ხომ არ ეთმობა მხოლოდ პრიორიტეტულ კლიენტებს და მათ ხარჯზე ხომ არ იჩაგრება რიგითი კლიენტი.

კლიენტზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება ბანკში უნდა მიმდინარეობდეს, არა მხოლოდ მისი რომელიმე ქვეგანაყოფის მიერ, არამედ ეს უნდა იყოს მთელი ბანკისა და მისი ხელმძღვანელობის სტრატეგია, მრწამსი და საქმე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ბანკის პერსონალი ფსიქოლოგიურად უნდა იყოს მომზადებული ასეთი პოლიტიკის რეალიზაციისათვის. კლიენტის მოზიდვა ინდივიდუალური პროცესია. პრაქტიკაში ასევე მიღებულია კლიენტებისათვის დაბადების დღის მილოცვები, სპეციალური პროდუქტებისა თუ შეღავათების შეთავაზებები, სპეც.სერვისები და ბენეფიტები.

იმისათვის, რომ კოლექტივში შენარჩუნდეს ბანკის მუდმივი ზრდისა და განვითარების სურვილი და ტენდენცია, არ განელდეს კორპორატიული სულისკვეთება და პატრიოტიზმი, არ დაეცეს შრომითი მოტივაცია და ენთუზიაზმი, მუდმივი ზრუნვა უწევს სწორედ PR-ისა და HR-ის სამსახურებს. ამას ეწოდება შიდა PR.

PR-სამსახური მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბანკის კოლექტივის შიგნით ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. PR-სამსახური ხელს უწყობს ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რომელშიც ბანკის თანამშრომლები მუშაობენ თავდაუზოგავად. მაგალითად „Bank of Amerika“ იღებდა რიგ პროგრამებს, რომლებიც მიმართული იყო ბანკის პერსონალის კმაყოფილების გრძნობის გაუმჯობესებისაკენ. პროგრამა ,,What's in the Way ” მოიცავს: სპეციალურ ყუთში მემოს ანონიმურად ჩაგდების შესაძლებლობას, რომელშიც აღწერილია, თუ რა უშლის ხელს მუშაკს მუშაობაში; რამდენიმე თანამშრომლის მიწვევა იმის განსახილველად, თუ რა არ აკმაყოფილებთ მათ ბანკის მუშაობაში; ჰოტლაინი - სპეციალური სატელეფონო ხაზი ანონიმური ზარებისათვის. მეორე პროგრამა, გამოყენებული იმავე Bank of Amerika -ში - ,, Brown Bag Program ” – არაფორმალური ლანჩების სერია ბანკის მენეჯმენტის წარმომადგენლებთან, რომლებიც შედიან დირექტორთა საბჭოში, ასევე მიმართული ბანკის პერსონალის უკმაყოფილების გამოსავლენად. მაგალითად „ლიბერთი ბანკში“ PR -ის სამსახური ქმნის კორპორაციულ ბიულეტენებს და ემსახურება შიდა ელექტრონულ ქსელს, ე.წ. “ინტრანეტს”, რომლის საშუალებითაც ბანკის 200-მდე ფილიალის თანამშრომლებს ოპერატიულად ეგზავნებათ ცნობა ბანკის ნებისმიერი სიახლის შესახებ.

დასკვნა

აღნიშნული ნაშრომის ზოგადი ანალიზის საფუძველზე, საზოგადოებასთან ურთიერთობის არსი და ფუნქცია საბანკო სფეროში ზოგადად შეიძლება განისაზღვროს, როგორც საქმიანი კომუნიკაციების სფერო, რომლის დახმარებითაც ხდება ბანკის ცნობადობის ამაღლება, დადებითი იმიჯის ფორმირება, მუდმივი ზრუნვა მის მზარდ რეპუტაციასა და მყარ რეიტინგზე. მაღალკვალიფიციური PR-სამსახური წარმოადგენს ბანკის ერთგვარ სახეს და რამდენად პროფესიონალი კადრებითაც არის დაკომპლექტებული იგი, იმდენად აქტიურია ბანკი საბანკო სფეროში, უფრო მეტად თვალსაჩინო და შესამჩნევია მისი საქმიანობა საზოგადოების თვალში კონკურენტებთან შედარებით, რაც საბოლოო ჯამში აისახება მის იმიჯზე, რეპუტაციასა და საზოგადოებრივ აქტივობაზე და განაპირობებს აღნიშნული ბანკის შემოსავლების ზრდას და საბანკო-საფინანსო ბაზარზე, მის უპირობო ლიდერად ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარგარეტ სალივანი - `მაღალპროფესიული პრესსამსახური~.
2. „საქართველოს ეროვნული ბანკის“2021 წლის შემაჯამებელი რეპორტი.
3. ,,საქართველოს საბანკო ასოციაციის 2020-2021 წლის საქმიანობის შედეგები“.
4. „ლიბერთი ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის 2021 წლის შედეგები.
5. ლ.კოჭლამაზაშვილი, რ. ქუთათელაძე. „გაყიდვების თანამედროვე კონცეფციები საკრედიტო

დაწესებულებებში“. სტუ, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 2021. 25 მაისი.
6. ლ.კოჭლამაზაშვილი, თ.ყანდაშვილი. „საბანკო მომსახურების განვითარების ზოგიერთი ასპექტი“. ჰ.ალიევის 95 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა და თანამედროვე აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითარების მიმართულება“ . ბაქო. 2018 წლის 3-4 მაისი 24.04. 2018. ბაქო. აზერბაიჯანი.
7. Даг Ньюсом, Джуди ВанСлаик Тёрк, Дин Крукеберг- Всё о PR, Теориа и практика Паблик Рилейшнз.
8. *A.Benn „Advertising Financial Products and Sernices. Proven Techniques and Principles for Banks, Investment Firms, Insurance Companies, and thier Agencies". New-York, 1981.*
9. *www.sovetnik.ru*
10. *www.spn.ru*
11. *www.pr-chance.kiev.ua*
12. *www.rupr.ru*

Public Relations in Banking

Lela Kochlamazashvili, Georgian Technical University, Professor

Tamar Koblianidze, Georgian Technical University, Professor

Vladimer Tsimakuridze, PhD student of Georgian Technical University

Summary

The banking sector is one of the most highly developed business sectors in Georgia. The success of the Georgian banking business is undoubtedly related to the effective adaptation and validation of management and governance systems to European and American methods, among which the role and function of the public relations service is noteworthy. It is noteworthy that public relations, as a subject of scientific research, study, and subsequent management of public opinion and behavior, originated in the United States, particularly in Boston in 1900, when Ivy Ledbetter Lim I, the so-called father of PR, a public opinion expert, „Publicity Bureau" founded. Consequently, when we talk about the European and Anglo-Saxon governance and management systems, which are quite rooted in Georgia, especially in the banking sector, we can not ignore the direction of public relations born and established within the same management system, which has an important role as an internal organization. In the process of communication, as well as in the relationship of the organization with the external audience. That is why the public relations office is a key part of management, an important management lever, and therefore the action strategy planned and implemented by PR specialists plays an important role and function in the effective and successful operation of the organization. PR in any business is the field of business communication, through which the exchange of information between the organization and the public, research, management of customer attitudes and implementation of brand communication strategy based on their expectations, to raise brand awareness, shape customer attitudes, motivate, shape and image.

This article deals with the definition, planning, implementation and management of business communication policies in the banking business, however, it should be noted that in addition to conducting communication policies, PR involves solving various problems and is actively involved in organizational management.

ქართული ეკლესია-მონასტრები აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე

მამფორია ნანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ლეჟავა მარიამ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

უჩავა დავით
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

მაზმიშვილი გიგა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

რეზიუმე

სტატიაში მიმოხილულია რუსეთის მიერ ინსპირირებული 1992-1993 წლების აფხაზეთის ომის შემდეგ რაოდენ სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა, ჩვენი ეკლესია-მონასტრები - აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

მოთხრობილია იმ ვანდალურ ქმედებებზე, რაც განახორციელეს აფსუა სეპარატისტებმა და კრემლის ბარბაროსებმა კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლების უმრავლესობის მიმართ.

ცივილიზებული მსოფლიოს კულტურის თვითმყოფად ნაწილად აღიარებული ძეგლების კედლებიდან გულმოდგინედ შლიან უნიკალურ ქართულ ფრესკებსა და უძველეს ქართულ წარწერებს. რესტავრაციის საბაბით, მიზანმიმართულად ასხვაფერებენ მათ, რათა ქართული კვალი აფხაზეთში საბოლოოდ წაშალონ.

ოკუპანტებმა განაგრძეს წინამორბედთა დაწყებული საქმე – აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ტრანსფორმაცია – ტოპონიმიკის ცვლა. ამასთანავე, რუსულ ყაიდაზე გადაწყობის მიზნით, ტაძრებისა და ეკლესიების ინტერიერისა და ექსტერიერის შეცვლა ან განადგურება. ყოველივე ეს მიმართული იყო და არის - აფხაზეთში ქართველთა ისტორიული კვალის წაშლისაკენ, ისტორიის ფალსიფიკაციისაკენ, აფხაზეთში დარჩენილი ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის აფხაზების გარუსებისა და მხარის საბოლოო ასიმილაციისაკენ. [1]

საკვანძო სიტყვები: ქართული ფრესკები, რესტავრაცია, უნიკალური, ოკუპირებული, ტაძარი, ორნამენტები, ხუროთმოძღვარი.

ძირითადი ტექსტი

აფხაზეთის 1992 (14 აგვისტო) - 1993 (27 სექტემბერი) წწ. ომში აფხაზმა სეპარატისტებმა ქართულ მოსახლეობას გენოციდი მოუწყვეს. ისევე, როგორც გვიან შუა საუკუნეებში განხორციელდა მხარის ეთნოწმენდა. აფხაზეთის 300 ათასამდე მცხოვრები, მათ შორის, 240 ათასი ქართველი, დევნილად იქცა; იმავდროულად, ომის, ომისშემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური ქაოსის, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებისა და სხვათა გამო, სხვა ეროვნებების წარმომადგენლები - ბერძნები, ებრაელები, ესტონელები, რუსები... იძულებულნი გახდნენ, მშობლიური კერა დაეტოვებინათ. დაახლოებით 30 ათასმა აფხაზმაც დატოვა სამშობლო და დსთ-ს ქვეყნებში (ძირითადად, რუსეთსა და უკრაინაში) გადასახლდა. ამჟამად, აფხაზეთის მოსახლეობა დაახლოებით 200 ათასს შეადგენს. მათ შორის, აფხაზი - 55, ქართველი - 40 (ძირითადად გალის რაიონში), რუსი - 35, სომეხი -70 ათასია (თ. ნადარეიშვილი, 2002).

პოსტკონფლიქტურ აფხაზეთში ქართული მოსახლეობა ძირითადად კოდორის ზემო წელსა და გალის რაიონში დარჩა. ამასთან, ამ უკანასკნელ რეგიონში, ქართული მოსახლეობა სეპარატისტების პერმანენტული ტერორისა და ძალადობის პირობებში ცხოვრობდა.

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, როდესაც რუსეთის ჯარის ნაწილები და აფხაზი სეპარატისტები კოდორის ზემო წელს - ზემო აფხაზეთს (ისტორიული დალი) დაეუფლნენ, ადგილობრივმა მოსახლეობამ (2 600 კაცი) ხეობა დატოვა და დევნილად იქცა. [2. გვ. 30]

აფხაზეთში 180-ზე მეტი ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობაა შემორჩენილი, მათგან კი

დღეისათვის 141 ნაგებობას აქვს მინიჭებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. საქართველოს კონსტიტუციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ,,სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე“ თუმცა, კულტურულ მემკვიდრეობაზე შესაბამისი ზრუნვა დღეისათვის ისევ და ისევ საოკუპაციო რეჟიმის არსებობის გამო ვერ ხორციელდება.

აფხაზეთი, დანარჩენი საქართველოს დარად, მდიდარია ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებით, ოდინდელი უმნიშვნელოვანესი ქართული საეკლესიო, ისტორიული და კულტურულ-საგანმანათლებლო კერებით. ხოლო მათ წარმომავლობაზე, იმაზე, რომ აფხაზეთი – საქართველოს, ეს ძეგლები კი ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია, თავად „ქვები ღაღადებენ“ – ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი არქიტექტურითა და მათზე აღბეჭდილი ქართული ლაპირადული და ფრესკული წარწერებით. თუმცა, ქართული სულიერებისა და ცნობიერების დაუძინებელი მტრები ამ ჭეშმარიტებას არასოდეს ცნობდნენ და მას აშკარად თუ ფარულად ებრძოდნენ. მით უმეტეს, ებრძვიან ამჟამად, აფხაზეთის ოკუპირების ჟამს. ქართული ისტორიულ-კულტურული, სულიერი ფასეულობები აფხაზეთში განსაცდელშია. ცივილიზებული მსოფლიოს კულტურის თვითმყოფად ნაწილად აღიარებული ძეგლების კედლებიდან გულმოდგინედ შლიან უნიკალურ ქართულ ფრესკებსა და უძველეს ქართულ წარწერებს. რესტავრაციის საბაბით, მიზანმიმართულად ასხვაფერებენ მათ, რათა ქართული კვალი აფხაზეთში საბოლოოდ წაშალონ, ხოლო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არიან დასტურნი იმისა, რომ აფხაზეთი ქართველების სამკვიდროა. [1.]

აფხაზეთის ტერიტორიები უპყრია ოკუპანტს, რომლისთვისაც არანაირი კანონი - საერთაშორისო, ეროვნული, მორალური, არც ადამიანური - სამწუხაროდ არ არსებობს და ეს კიდევ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის იქ არსებულ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას.

ოკუპაციის ზონაში განხორციელებული ვანდალიზმის რამოდენიმე მაგალითი:

რუსმა ოკუპანტებმა აფხაზეთში, სოფელ <u>წებელდაში,</u> სამხედრო პოლიგონის მოსაწყობად ქართული მართლმადიდებლური ტაძარი დაანგრიეს და იქ არსებული სიძველეები ბულდოზერით გადათხარეს. საფრთხე ემუქრება ახლოს მდებარე წებელდას ციხესაც.

დრანდის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. გულრიფშის მუნიციპალიტეტი. VI-VII საუკუნეები. აგურითა და რიყის ქვით ნაგები ჯვარ-გუმბათოვანი, რომელიც გეგმით ახლოს დგას მცხეთის ჯვართან. ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა - ბიზანტიური და ქართული მხატვრული მისწრაფებების შერწყმა. ქართული კულტურის ერთ-ერთი საინტერესო და საყურადღებო ნიმუში. <u>ქართული კვალის წასაშლელად:</u> ოკუპაციის შემდეგ რუსულ ყაიდაზე მთლიანად თეთრად გადაღებეს; ჩააყენეს ათამდე ვერცხლისფრად შეღებილი კარ-ფანჯარა, რის გამოც გახვრიტეს ეკლესიის კედლები; დაამონტაჟეს ვიდეო-სათვალთვალო სისტემა; ტაძრის გარშემო მთლიანად მოხსნეს მიწის ფენა, ისე რომ არქეოლოგიური კვლევა არ განხორციელებულა; რეკონსტრუქციამ შეიწირა ტაძრის უნიკალური, VII საუკუნით დათარიღებული სანათლავი ემბაზი. [2.]

ბედიის მონასტერი. ოჩამჩირის რაიონი. X საუკუნე. აღმშენებელი - გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე - ბაგრატ III ბაგრატიონი.

ბედიის ტაძრის საეკლესიო ნივთებს შორის უმნიშვნელოვანესია ბედიის ოქროს ბარძიმი, რომელიც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, იგი აღიარებულია ძვირფას ისტორიულ ნიმუშად, რომელიც მეფე ბაგრატმა და დედამისმა გურანდუხტმა შეწირეს, ბარძიმზე არის მაცხოვრის, ღვთისმშობლის და მოციქულების გამოსახულებები. ისტორიული წყაროების მიხედვით ბედიის მონასტერში ინახებოდა ქრისტეს ეკლის გვირგვინი.

ბედიის საეპისკოპოსო - შუა საუკუნეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი. ბედიის ტაძრის ფასადებზე, ინტერიერში ფრესკებსა და საეკლესიო ნივთებზე ლაპიდარული წარწერებია, რომლებიც შესრულებულია ქართული ასომთავრული დამწერლობით და მოგვითხრობენ ტაძრის მშენებლობის, განახლება-რესტავრაციის ამბავს.

ბედიის სამონასტრო კომპლექსი წარმოადგენს საქართველოს ერთიანობისა და განუყოფლობის სიმბოლოს. აქ დასაფლავებულია გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III და დედამისი – დედოფალი გურანდუხტი.

ამჟამინდელი მდგომარეობა: ოკუპაციიდან გამომდინარე, ტაძრის შესწავლა და შესაბამისი სამუშაოების შესრულება შეუძლებელია; იშლება ქართული კვალი - ბაგრატ III-ის ფრესკა კედლის ე.წ. გამაგრებითი სამუშაოების შედეგად დაიკარგა. წაშლილია ქართული წარწერები. მონასტერში დაწყებულია ,,სარესტავრაციო სამუშაოები", რომლებმაც შესაძლოა გაანადგუროს ქართული ფრესკები და ორნამენტები, არასწორი რესტავრაცია ტაძარს უნიკალურ სახეს დააკარგვინებს. [3.]

,,ხალხთა თაობების ისტორიული მეხსიერებით გაჟღენთილი ძეგლები დღემდე რჩება კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების ცოცხალ მოწმედ." - ,,ვენეციის ქარტია" (1964 წ.).

ილორის წმიდა გიორგის ეკლესია (XI ს.) სწორედ რომ ქართველებისა და აფხაზების ისტორიული მეხსიერებით გაჟღენთილი უმნიშვნელოვანესი სალოცავია, რომელიც მდებარეობს ისტორიული სამურზაყანოს - საბედიანოს - ოდიშის ტერიტორიაზე, დღევანდელ ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში.

ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ჩასმულ ქვის ფილებზე ხუთი ქართული ლაპიდარული წარწერაა. წარწერებში ადგილობრივი საერო და საეკლესიო ხელისუფალნი იხსენიებიან.

წარწერებს უაღრესად დიდი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვს ქართული დამწერლობის განვითარების, ილორის ეკლესიის ისტორიისა და ზოგადად, საქართველოს ისტორიის კვლევისათვის.

ეკლესიის უმთავრესი სარწმუნოებრივი რელიქვია იყო წმ. გიორგის კარედი ხატი. იგი დაცულია ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

სამწუხაროდ, 1993 წელს აფხაზეთის ოკუპაციის შედეგად, ილორის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე შეწყდა, მაშინ, როდესაც ხსენებული თვით ბოლშევიკებმაც კი ვერ მოახერხეს.

1997 წლის ივნისში, საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე (აფხაზეთი) იმყოფებოდა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) ექსპერტთა მისია. ექსპერტებმა აფხაზეთში დაათვალიერეს და აღწერეს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ნაწილი, მათ შორს ილორის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია. [4. გვ. 8]

2009 წელს ოკუპანტებისა და სეპარატისტების მიერ ძეგლზე ჩატარდა ეგრეთწოდებული ,,რესტავრაცია", რომლის შედეგად სრულიად დაირღვა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის ავთენტურობა: ქართულ ეკლესიას რუსული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი ბოლქვის ფორმის გუმბათი დაადგეს; ქართული კვალის წასაშლელად გარე ფასადი მთლიანად თეთრად შეღებეს, რომელსაც მოწითალო კანტები დაუყვება; შეცვალეს ეკლესიის ინტერიერიც, ფრესკები შეათეთრეს; აღმოსავლეთის მხარეს, ჩვენს მიერ ნახსენები ლაპიდარული ქართული წარწერები მთლიანად შელესეს; დაამონტაჟეს კონდიციონერები. ეს მაშინ, როცა ,, ვენეციის ქარტია" (1964 წ), მუხლი 5. პირდაპირაა მითითებული: ,,ძეგლთა კონსერვაციას მუდამ ხელს უწყობს მათი გამოყენება საზოგადოებისათვის სასარგებლო მიზნით. ასეთი გამოყენება სასურველია, თუმცა დაუშვებელია ამ მიზნით შენობის გეგმარებითი სტრუქტურის ან დეკორის შეცვლა".

აღნიშნული პრობლემა არაერთხელ ყოფილა ჟენევის მოლაპარაკებების ფარგლებში მსჯელობის საგანი.

ოკუპანტებისთვის კანონები არ არსებობს, მაგრამ, ცხადია, ჩვენ გვჭირდება უფრო მყარი სამართლებრივი ბაზა კულტურის ძეგლების დასაცავად. შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს ქართულ კანონმდებლობაში - სისხლის სამართლის კოდექსში. საჭიროა ასევე საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების ამოქმედება. რატომ არ უნდა გასაჩივრდეს კულტურის ძეგლების განადგურების ფაქტები? რაც ხდება, ეს ხომ კულტურული გენოციდია, ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ჩვენი აზრით, აფხაზეთში ქართული კულტურული მემკვიდრეობის საკითხი საერთაშორისო სასამართლოების განსჯის საგანი შეიძლება გახდეს და გახდება კიდევაც. [5]

დასკვნა

აფხაზეთი ყოველთვის იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი, მაგრამ რუსეთს საქართველოს მომავალი ტერიტორიული მოწყობის საკუთარი გეგმები ჰქონდა. ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს და

მას შემდეგ რაც რუსეთმა საქართველო დაიპყრო, ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობებში მუდმივად ერეოდა და აფხაზეთის საქართველოსგან მოწყვეტას ცდილობდა.

აფხაზური და ოსური სეპარატიზმის საწყისებთან, მეფის რუსეთის და შემდგომში საბჭოთა რუსეთის იმპერია დგას. სწორედ რუსული ადმინისტრაციის პირობებში ხდებოდა, როგორც აფხაზთა, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ოსთა იდეოლოგიური შემზადება საქართველოსა და ქართველთა წინააღმდეგ გამოსვლისთვის. ამის ნათელი მაგალითია 1862 წელს აფხაზთათვის რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნილი დამწერლობა და 1907 წელს ლ. ვორონოვის ავტორობით გამოსული წიგნი „აფხაზეთი საქართველო არ არის".

მოსკოვი აქტიურად ცდილობს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რუსიფიკაციას. ყველაზე დიდ ტრაგედიას ამ შემთხვევაში ისევ და ისევ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რუსეთის ამ ქმედებებს მხარს უჭერს თავად სეპარატისტულად განწყობილი რეგიონების მოსახლეობა. ამით ისინი პრაქტიკულად რუსეთს სწირავენ ყველა იმ ეროვნულ ღირებულებას, რომელიც, მათივე მტკიცებით, ქართველებთან თანაცხოვრების პერიოდში „საფრთხის ქვეშ" იდგა. მიუხედავად ვითარების მთელი ტრაგიკულობისა, აღნიშნული ფაქტი გაკვირვებას არ იწვევს მთელი იმ იდეოლოგიური სამუშაოს ფონზე, რაც რუსულმა მხარემ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე გასწია ორივე კონფლიქტურ რეგიონში.

„აუცილებელია მოხდეს საერთაშორისო ორგანიზაციებით და მისიებით დაფიქსირება იმ არსებული მდგომარეობისა, თუ რა მოხდა ამ პერიოდში აფხაზეთის ტერიტორიაზე, თუ რომელ ძეგლს რა ზიანი მიადგა. ჩვენს არქივებში დაცულია თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი ძეგლის ანაზომები, ნახაზები, ამიტომ შესაძლებელია, რომ ამ ძეგლებს თავისი პირვანდელი სახე დაუბრუნდეს. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ძეგლების მნიშვნელობა არის ძალიან დიდი, უნდა ვიმუშაოთ სწორედ იმ კუთხით, რომ მათ დაბრუნებული ჰქონდეთ თავიანთი პირვანდელი სახე" [6]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://iberiamagazine.com/author/natokors/ჟურნალი. იბერია. ნატო კორსანტია ,,აფხაზეთის მეციხოვნენი". ოქტომბერი 19, 2018
2. https://georgiantravelguide.com/ka/drandis-ghvtismshoblis-midzinebis-tadzari
3. https://smr.gov.ge/uploads/Files/afxazeti.pdf ბეჟან ხორავა. ეთნიკური პროცესები აფხაზეთში. გვ. 30
4. http://meca.gov.ge/itst/_FILES//banners/afxazeti.pdf ჩემი აფხაზეთი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო N19, ივნისი, 2012 . შ. შარია. ილორის წმინდა გიორგის ეკლესია. გვ. 8
5. http://www.abkhazia.gov.ge კულტურული მემკვიდრეობა-საფრთხეები და გამოწვევები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. გამომცელობა ,,მერიდიანი" თბილისი. 2019. გვ. 6
6. https://www.radiotavisupleba.ge/a/istoriuli-kvali-afkhazetshi/26685317.html
7. https://www.qwelly.com/m/group/discussion?id=6506411%3ATopic%3A780420
8. https://matsne. gov.ge/ka/document/view/19132?publication=7 საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.

Georgian churches and Monasteries on the occupied territory of Abkhazia

Nani Mamporia
Associate Professor of Georgian Technical University.

Mariam Lejhava
Student of Georgian Technical University

Davit Uchava
Student of Georgian Technical University

Giga Mazmishvili
Student of Georgian Technical University

Summary

The article reviews our cultural heritage, our churches and monasteries found in a lumentable condition on the occupied territory of Abkhazia after Abkhazia war 1992-1993 inspired by Russia.

The article tells about the vandal activities done by Aphsua separatists and barbarians of Kremlin leading to damaging most of the unique monuments of cultural heritage.

They wipe out unique Georgian frescoes and old Georgian inscriptions off the walls of the monuments considered to be of outstanding value to the world culture. They purposefully alter them on the pretext of restoring them, in order to wipe out every trace of Georgia.

Occupants followed their predecessors' path – transforming Geographical names of Abkhazia – altering toponymics. Moreover, sharing the same standards and Russian ways of behaving , altering or destroying interiors and exteriors of cathedrals and churches. It was, and still, is directed at blotting out every trace of Georgian history, as well as falsificating it, Russianizing aboriginal inhabitants of Abkhazia, Abkhazians among them, and ultimate assimilating this part of Georgia. [1]

Keywords: Georgian frescoes, Restoration, Unique, Occupied, Cathedral, Ornaments, Architect.

სტარტაპ ეკოსისტემის განვითრების ხელშემწყობი ფაქტორები საქართველოში

მურჯიკნელი შოთა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტარტაპების განვითარებამ მნიშვნელოვანი სარგებელი მოიტანა სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკისთვის პრაქტიკიდან გამომდინარე ნათლად ჩანს თუ როგორ განვითარდა ურბანული რეგიონები სტარტაპების მეშვეობით. სტარტაპების განვითარებისთვის მხოლოდ კარგი იდეა არ კმარა არამედ მისთვის მნიშვნელოვანია გარემო და პირობები, შესაბამისად დაიწყო მისი ეკოსისტემების შექმნა სადაც ხდება ერთგვარად სტარტაპებისთვის გარემოს მოწყობა სადაც მათ ზრდა-განვითარების შესაძლებლობა აქვთ. სტარტაპ ეკოსისტემა ერთგვარად განიმარტება როგორც ადამიანების მიერ შექმნილი გარემო რომელიც მორგებულია სტარტაპებზე. სტარტაპ ეკოსისტემა ერთგვარი ეკონომიკური საზოგადოებაა რომელიც აკავშირებს ერთმანეთს ორგანიზაციებს და ინდივიდებს როგორებიც არიან მწარმოებლები და ინდივიდები. ეკოსისტემისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული დაგეგმვა რადგან კარგ ეკოსისტემაში შექმინილი კომპანიები მარტივად ხდებიან წარმატებულები. არსებობს მრავალნაირი თეორია თუ როგორი შეიძლება იყოს სტარტაპ ეკოსისტემა. სტარტაპებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმაოდგენს ასევე მეწარმეები, რომლებიც მოტივირებულნი არიან წამოიწყონ ეკონომიკური საქმიანობა ამის განვითარებას კი ხელს უწყოს ფინანსებზე ტექნოლოგიაზე და ინფორმაციაზე მაღალი წვდომა. სტარტაპ ეკოსისტემა ესაა ორგანიზაციების ქსელი - მომწოდებლების, დისტრიბუტორების, მომხმარებლების, კონკურენტების, სამთავრობო უწყებების და სხვა სტეიკჰოლდერებისა - რომლებიც ჩართულები არიან კონკრეტული პროდუქტის საზოგადოებისთვის მიწოდებით, თანამშრომლობის თუ კონკურენციის გზით. სტარტაპ ეკოსისტემის მთელი აზრი არის ის, რომ მასში ორგანიზაციები ახდნენ ურთიერთ ზეგავლენას, ანუ არიან ზეგავლენის როგორც სუბიექტნი ასევე ობიქტები. მასში იქმნება მუდმივად განვითარებადი ურთიერთობა, რომლის ყველა ერთეული უნდა იყოს მოქნილი და ადაპტური იმისათვის რომ გადარჩეს ამ ბიოლოგიურ ეკოსისტემაში.

საკვანძო სიტყვები: სტარტაპი, ეკოსისტემა, აქსელერატორი.

ძირითადი ტექსტი

1930 წელს, ბრიტანელმა ბოტანიკოსმა არტურ ტანსლიმ პირველმა წარმოგვიდგინა ტერმინი ეკოსისტემა, რომელიც აღნიშნავდა ორგანიზმების ერთობას, რომლებსაც აქვთ ინტერაქცია ერთმანეთთან და გარემოსთან. იმისათვის, რომ გაადარჩნენ, ეს ორგანიზმები უპირისპირდებიან ერთმანეთს ან ერთად მუშაობენ ხელმისაწვდომი რესურსებისათვის, თანა-არსებობენ და ერთად რეაგირებენ გარეგან პრობლემებზე. ბიზნეს სტრატეგმა, ჯეიმს მურმა, გადმოიღო ეს ბიოლოგიური კონცეფცია მის 1993 წლის ჰარვარდის ბიზნეს შეფასების სტატიაში "მტაცებლნი და მსხვერპლნი: კონკურენციის ახალი ეკოლოგია" , რომელშიც მან პარალელი გაავლო კომპანიებსა (რომლებიც ოპერირებენ მზარდად ურთიერთდაკავშირებულ კომერციულ სამყაროში) და ორგანიზმების ერთობას შორის , რომლებიც განიცდიან ადაპტაციას და ვითარდებიან იმისათვის, რომ გადარჩნენ. მურმა დაამტკიცა, რომ კომპანია უნდა განვიხილოთ არა როგორც ერთი, ცალკე მოქმედი სუბიექტი ინდუსტრიაში, არამედ როგორც ბიზნეს ეკოსისტემის წევრი, რომელშიც მონაწილეები სხვადასხვა ინდუსტრიის წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ. ტექნოლოგიური განვითარებისა და გლობალიზაციის ფონზე იცვლება მიდგომა ბიზნესის კეთებისადმი, და ბიზნეს ეკოსისტემის იდეის მიზანი, სწორედ იმისთვისაა რომ დაეხმაროს კომპანიებს გაიაზრონ თუ როგორ განვითარდნენ და მიაღწიონ წარმატებას ამ სწრაფად ცვალებად გარემოში. მურმა განსაზღვრა ბიზნეს ეკოსისტემა შემდეგნაირად: ეკონომუკური ერთობა, რომელიც ეყრდნობა ორგანიზაციებისა და ინდივიდების - ანუ ბიზნეს სამყაროს ორგანიზმების ურთიერთობას. ამ ეკონომიკური ერთობის წევრები აწარმოებენ დოვლათსა და მომსახურებას, საერთო ღირებულებით, მომხმარებლისათვის.

წევრი ორგანიზმები არიან ასევე მომწოდებლები, წამყვანი მწარმოებლები, კონკურენტები და სხვა სტეიკჰოლდერები. დროთა განმავლობაში, ისინი ერთად ავითარებენ საკუთარ უნარებს,

შესაძლებლობებს, როლებს და ეწყობიან იმ მიმართულებით რომელსაც ერთი ან რამოდენიმე ცენტრალური კომპანია დაადგენს. ლიდერის პოზიციებზე კომპანიები შესაძლებელია შეიცვალოს. ეკოსისტემის ლიდერის ფუნქცია არის დიდად დაფასებული ეკოსისტემის მონაწილეების მხრიდან, რადგან ის აძლევს საშუალებას მათ იმოძრაონ საერთო ხედვის მიმართულებით. ეკონომიკის ზრდისა და განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვა, სწორედ ამიტომ უნდა მოხდეს პოლიტიკური, სოციალურეკონომიკური, ორგანიზაციულ-სამართლებრივი, ფინანსური ფაქტორების სიღრმისეული შესწავლა, არსებული პრობლემების გაანალიზება და ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის შექმნა, უნდა შემცირდეს ადმინისტრაციული ბარიერები და შეზღუდვები, ამოქმედდეს ინვესტიციური პოლიტიკის და სახელმწიფოებრივი რეგულირების ხელშემწყობი მექანიზმები. ჯანსაღი სტარტაპ ესკოსისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლი უჭირავს 4 ფაქტორს:

- სახელმწიფო სექტორი
- კერძო სექტორი
- საგანმანთებლო სექტორი
- საკნონმდებლო ჩარჩო

საქართველოში 2012 წლიდან დღეის ჩათვლით სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ინვესტიციების სახით 11 მილიონი ლარისს ოდენობის გრანტი გაიცა სტარტაპებისთვს, რამაც გამოიწვია დაახლოებით 150 000 000 მილიონი ლარის გრანტის ინვესტიცია კერძო სექტორის მხრიდან.

ასევე უნდა აღინიშნოს კერძო სქტორის აქტიურობა რომელიც ეკოსისტემის ჩამოყალიბებისთვის სასარგებლო პროექტებს უწევს ორგანიზებას როგორიცაა:

- ჰაკათონები და ბიზნეს ბანაკები
- პრეაქსელერაცია და აკსელერაცია
- სტარტაპების სკაუტინგი და გარიგებები
- ფორუმები და კონფერენციები
- ტრენინგები და ვორქშოფები

სტარტაპ ეკოსისტემის ჩამოყალიბებაში საქართველოს თითქმის ყველა სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებში შეიქმნა საერთო სამუშაო სივრცეები, სხვადასხვა აქსელერაციის პროგრამები და ბიზნეს ინკუბატორები. 2016 წელს კი პროექტ „სილიკონ ველი თბილისის“ ფარგლებში დაარსდა „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი“, რომელიც წარმოადგენს პირველ კერძო მაღალტექნოლოგიურ ცენტრს საქართველოში. უნივერსიტეტი სთავაზობს საზოგადოებას უნიკალურ გამოცდილებას ბიზნესისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში. ეხმარება სტუდენტებს განავითარონ ლიდერული და სამეწარმეო უნარჩვევები და აძლევს მათ შესაძლებლობას და მოტივაციას, როგორც ლოკალურ ასევე გლობალურ ბაზარზე გასვლისა, სამეწარმეო ეკოსისტემის შექმნისა და ბიზნესის მაღალ ტექნოლოგიებთან ინტეგრირების გზით.

დასკვნა

რეგიონში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე საქართველო მნშვნელოვნად ჩამორჩება სხვა ქვეყნებს მაგალითისთვის ქვეყანა – სომხეთი, რომლის ტექ-ეკოსისტემა დიდ წარმატებას აღწევს, ყველაზე წარმატებულმა სტარტაპმა picart-მა არც ისე დიდი ხნის წინ 130 მილიონის, ხოლო DISQO-მ 85 მილიონი დოლარის ინვესტიცია მოიზიდეს, ასევე წლის დასაწყისში მოახერხეს რამდენიმე მილიონი დოლარის ინვესტიციის მოზიდვა SuperAnnotate, ServiceTiTan, Krisp და სხვა სტარტაპებმა. ჩვენთან პროცესები გაცილებით ნელა ვითარდება შესაბამისად ქვეყანაში კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს სტარტაპ მოძრაობა და მეტად იაქტიურონ როგორც კერძო, ისე სახელმწიფო თუ დონორმა ორგანიზაციებმა. საჭიროა მეტი ურთიერთთანამშრომლობა და სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მხარდაჭერა გაძლიერება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელია როგორც სამთავრობო, ის კერძო სექტორის მეტი ჩართულობა. სწორედ ესაა ის აუცილებელი პირობაც და ფორმატიც, რომლის გარეშეც მსოფლიოში ვერც ერთი ეკოსისტემა ვერ განვითარდა და რომლის გარეშეც, დიდი ალბათობით, ქართულ სტარტაპ-ეკოსისტემასაც გაუჭირდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება №206
2. https://www.startuperi.ge/ka/startups
3. https://www.entrepreneur.com/article/383960
4. https://btu.edu.ge/inovatsia-metsarmeoba/startapebiis-katalogi/
5. გულნაზ ესქომაიშვილი, ლია გიგაური, ნინო ტალახაძე - მეწარმეობის საფუძვლები
6. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2019 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში

Factors contributing to startup ecosystem development in Georgia

Murjikneli Shota
PhD student of Georgian Technical University

Summary

The development of startups has brought significant benefits to the economies of different countries. From practice, it is clear how urban regions have developed through startups. Not only a good idea is enough for the development of startups, but also the environment and conditions are important for it, therefore, it started to create its ecosystems where a kind of environment is created for startups where they have the opportunity for growth and development. The startup ecosystem is somehow defined as a human-created environment tailored to startups. A startup ecosystem is a kind of economic community that connects organizations and individuals such as producers and individuals. Strategic planning is important for the ecosystem because companies created in a good ecosystem easily become successful. There are many theories as to what a startup ecosystem might look like. The most important part for startups is also entrepreneurs who are motivated to start an economic activity and its development is facilitated by high access to finance, technology and information. A startup ecosystem is a network of organizations - suppliers, distributors, consumers, competitors, government agencies and other stakeholders - that are involved in delivering a particular product to the public, through collaboration or competition. The whole point of a startup ecosystem is that organizations have an influence on each other, that is, they are both subjects and objects of influence. It creates an ever-evolving relationship, all units of which must be flexible and adaptable in order to survive in this biological ecosystem.

Keywords: Startup, ecosystem, accelerator.

აგროტურიზმის ძირითადი შესაძლებლობები საქართველოში

ნოზაძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სინთეზის - აგროტურიზმის ბაზრის ძირითადი შესაძლებლობები საქართველოში, რომელიც წარმოადგენს ტურისტულ საქმიანობას სოფლად, არაურბანულ გარემოში და მისი ძირითადი წინაპირობაა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, სოფლის ტრადიციული ლანდშაფტი, გარემო და მასპინძელი. აგროტურიზმი, როგორც დასვენებისა და განვითარების ფორმა, მსოფლიოში აღიარებული მიმართულებაა, რომელიც კაპიტალისტური წნეხების, ურბანიზმის, არანორმალური სამუშაო რიტმის გათვალისწინებით სულ უფრო პოპულარული ხდება. ადამიანიები თავს სულ უფრო ხშირად აფარებენ ბუნებას, სოფელს, მონაწილეობენ სოფლის მეურნეობაში, უვლიან შინაურ ცხოველებს, მუშაობენ მიწაზე, ინტერესდებიან სოფლად შემორჩენილი უძველესი წეს-ჩვეულებებითა და რიტუალებით, რითაც ცოტა ხნით ნებაყოფლობით შორდებიან ცივილიზაციის დაძაბულ რიტმს და ბუნებასთან ყოველდღიური ურთიერთობით იკრებენ ძალებს. ნაშრომი მიმოიხილავს აგროტურიზმს, როგორც რეგიონის მრავალფუნქციური და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთ ალტერნატიულ გზას, რაზეც მეტყველებს აგროტურიზმის, როგორც განვითარების ერთი-ერთი ინსტრუმენტის ხსენება კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში, საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიაში და სოფლის განვითარების მხარდაჭერის მიმდინარე სამთავრობო და საერთაშორისო პროგრამებში. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში აგროტურიზმი განხილულია, როგორც დივერსიფიკაციის, არასასოფლოსამეურნეო დარგის განვითარების საშუალება, ხოლო დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების სტრატეგიაში - დივერსიფიცირებული, თემზე-დაფუძნებული ტურისტული აქტივობა, როგორც ბუნებრივი რესურსების დაცვისა და ადგილობრივ თემთან კომუნიკაციის მექანიზმი. მრავალფეროვანი კონტრასტული ბუნება, მდიდარი ფლორა და ფაუნა, დიდი სამონადირეო თუ სათევზაო სივრცე, ტყის ფონდის სიდიდე და უნიკალურობა, სამთო-სათხილამურო ტრასები, ისტორიული და ეთნოგრაფიული ძეგლები, სოფლად შემორჩენილი უნიკალური კულტურული თავისებურებები, წეს-ჩვეულებები, ტრადიციული რიტუალები და ცხოვრების წესი ქვეყანაში აგროტურიზმის მაღალ დონეზე განვითარების აუცილებელი წინაპირობებია.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, აგროტურიზმი, ტურისტი.

ძირითადი ტექსტი

“აგროტურიზმი“ თავდაპირველად ტოსკანაში, შემდეგ კი მთელს იტალიაში და მსოფლიოს იმ ქვეყნებში გავრცელდა, სადაც აგროტურისტული მეურნეობა და კულინარია ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის. კონკრეტული ტიპის საკვების და სასმელის წარმოება აგროტურიზმის სპეციფიკაა, შესაბამისად გარკვეული სურსათი და სასმელი პროდუქტის წარმოება და გაყიდვა, რაც თავის მხრივ, დამატებით ღირებულებას სძენს სპეციფიურ პროდუქტს, რეგულირდება აღნიშვნის ხარისხის ნიშნებით: პროდუქტის ადგილწარმოშობის (PDO), გეოგრაფიული აღნიშვნის (PGI), და ტრადიციულობის აღმნიშვნელი (TSG) ნიშნებით. ზემოაღნიშნულის კარგი მაგალითია შამპანიური და კონიაკი საფრანგეთში, გორგონზოლა და პარმაჯანო ყველი იტალიაში. ეს სტრატეგია უდევს აგროტურისტულ მარშრუტებს, როგორიც არის ღვინის, არტიზანული ყველის მარშრუტი, ლუდის ბილიკი, „ცედრას ბილიკი“ და ა.შ.

ტერმინი აგროტურიზმი (agritourism) დამკვიდრდა გასული საუკუნის 80-იანი წლებში, რომელიც ორი სახელწოდებით გვხვდება როგორც ლიტერატურაში ისე პრაქტიკაში: აგროტურიზმი (agrotourism) და აგრიტურიზმი (agritourism).

გერმანულენოვან ქვეყნებში მიღებულია ტერმინი "Bauernhoftourismus", რაც სიტყვა-სიტყვით გლეხის კარ-მიდამოს ტურიზმს ნიშნავს. გერმანელი სპეციალისტები აგროტურიზმს ბუნების ტურიზმის ნაწილად განიხილავენ. შვედეთში აგროტურიზმის განვითარების მოდელი მოიაზრება

ეკოტურიზმის კონცეფციის ქვეშ და აგროტურიზმის ელემენტები გამოყენებულია შვედეთის, როგორც ეკოტურიზმის საუკეთესო დანიშნულების მიმართულების წარმოსაჩენად. ლატვიასა და უნგრეთში აგროტურიზმი სოფლის ტურიზმის განუყოფელი ნაწილია. ლატვიაში აგროტურიზმის შესახებ კანონი სახელმწიფოს ავალდებულებს სოფლის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული გარემოს შენარჩუნებას, მდგრადი განვითარების, სოფლის ტურიზმისა და ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობას. ამერიკელი სპეციალისტები საერთაშორისო ტურიზმში ამ მიმართულების აღსანიშნავად გამოყოფენ ტერმინებს: აგროტურიზმი, ფერმერული ტურიზმი, ბუნების ტურიზმი და ა.შ.

ტურიზმი საქართველოს მრავალფეროვანი ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი და ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა, რომელიც ქმნის შემოსავლებს და ხელს უწყობს ქვეყნის სავაჭრო დეფიციტის კონპენსაციას. ალტერნატიული ტურიზმი - სოფლის, აგრო, ეკო, თემზე დაფუძნებული ტურიზმი ქვეყნისთვის აქტუალური თემა გახდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. შესაბამისად, სოფლის ტურიზმი, როგორც რეგიონის მრავალფეროვანი ეკონომიკის და სოფლის მრავალფუნქციური განვითარების ხელშემწყობი მიმართულება, სოფლის განვითარების სტრატეგიის, დაცული ტერიტორიებისა და მთის განვითარების სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი გახდა. გასულ წელს, ამ ნუსხას შეემატა ეროვნული ტყის სააგენტო, რომელმაც ტყის მრავალფუნქციური გამოყენების მიმართულებით შეიმუშავა ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია. ქვეყანაში მიმდინარე სოფლის და აგროტურიზმის განვითარების პროექტები ხორციელდება სოფლად სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის, ადგილობრივი მაცხოვრებლების გაძლიერების, მათი განვითარების და გარემოს დაცვის პროცესებში ჩართვის მიმართულებით. საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო, ტყის და დაცული ტერიტორიების ეროვნულ სააგენტოებთან და ეკოტურიზმის ასოციაციასთან ერთად მუშაობს ეკოტურიზმის სტრატეგიის დოკუმენტზე, რომლიც მოიაზრებს ტურიზმის ალტერნატიულ მიდგომებს, მათ შორის აგროტურისტული პროდუქტის განვითარების ხელშეწყობას საქართველოში, თემის ჩართულობის და თანამონაწილეობითი განვითარების პრინციპების ტურისტულ პრაქტიკაში დანერგვას. კორონავირუსის კრიზისულ და პოსტ კრიზისულ პერიოდში ტურიზმის სექტორი დიდი გამოწვევის წინაშე დადგა. შესაბამისად აღნიშნული მოითხოვს ძალისხმევას და ახალი ალტერნატიული გზების დასახვას. საერთაშორისო ექსპერტების აზრით, მიუხედავად ტურიზმის სწრაფად აღდგენის/რეგენერაციის უნარისა, უახლოესი ორი წლის განმავლობაში ქვეყნებში აქცენტი გაკეთდება შიდა და რეგიონალური ტურიზმის ხელშეწყობაზე და განვითარებაზე, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს გახდის აგროტურიზმის მიმართულებას.

აგროტურიზმის განვითარების ძირითად შესაძლებლობას განაპირობებს საქართველოს აგრარული მემკვიდრეობა - მდიდარი სასოფლო-სამეურნეო ტრადიციები, კულტურული ფლორის მრავალფეროვნება, ტრადიციული ლანდშაფტი, ქვეყნის ლამაზი ბუნება, მთიანი რელიეფი, ზღვის სანაპირო, სტუმარმასპინძლობის მაღალი კულტურა - ეს ის რეკრეაციული რესურსებია რაც ქვეყანაში აგრო და ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობას ქმნის. საქართველოში ათასწლეულების მანძილზე განვითარდა ევროპის და აზიის სუბტროპიკული და ზომიერი სარტყელების, ნოტიო-და თბილი, ცხელი და მშრალი კლიმატის ტიპებისთვის იყო დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო დარგები. ქართული ვაზი და ხორბალი, ხილი, ციტრუსი და სხვა არაერთი სახეობა, მაღალი კვებითი თავისებურებებით და ენდემიზმით ხასიათდება. ქვეყანაში მიწათმოქმედების უძველეს ტრადიციებზე მეტყველებს არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ძველი სასოფლო-სამეურნეო სამუშაო იარაღები და კულტურული მცენარეების ნაშთები. მათ შორის ძველი წელთაღრიცხვის ათასწლეულის, ასევე შემდგომი პერიოდის კულტურული ვაზის წიპწები, უძველესი ღვინის ჭურჭელი ქვევრი, ყურძნის გამოსახულებით რომელიც თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის ათასწლეულით საქართველოს ადგილობრივი ტრადიციების უნიკალურობა მის უწყვეტობაშია. სოფლის მეურნეობაში პროდუქტის მოყვანა, მოვლა-შენახვა დღემდე ტრადიციული მეთოდებით მიმდინარეობს. ამის კარგი მაგალითია ქვევრში ღვინის დაყენებისა და შენახვის უძველესი ტრადიციები რაც 2013 წლიდან იუნესკოს არა-მატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად იქნა აღიარებული. ორგანული გლეხური მეურნეობები, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციითა და მისი მოყვანის ტრადიციული მეთოდებით დამატებითი კომპონენტია, რაც ტურისტულ შეთავაზებას უფრო მიმზიდველსა და ღირებულს ხდის.

დასკვნა

უპირველეს ყოვლისა საქართველოს ტურისტული პოტენციალის: 102 კურორტი, 182 საკურორტო ადგილი, 2400 მინერალური სამკურნალო წყლის წყარო, 12000 ისტორიული და არქიტექტურული ძეგლი (მათგან 3 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში), 11 ეროვნული პარკი, 41 ბუნების ძეგლი, 2 დაცული ლანდშაფტი და აგროტურიზმის განვითარებისთვის სხვა საჭირო მრავალფეროვანი რესურსების გონივრული გამოყენებით ზემოაღნიშნული დარგის განვითარება უზრუნველყოფს უმნიშვნელოვანესი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პრობლემების გადაჭრას კერძოდ, შეამცირებს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მიგრაციას ურბანულ დასახლებებში, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, გაზრდის ადგილობრივი პროდუქციის საექსპორტო პოტენციალს, უზრუნველყოფს გლეხური მეურნეობების ბიზნესად ჩამოყალიბებას რაც საბოლოოდ გაზრდის დარგის ეკონომიკურ ეფექტიანობას, სასურსათო უსაფრთხოებას და ეკონომიკურ მდგრადობას. ყოველწლიურად მზარდი ტურიზმის სექტორის გათვალისწინებით აგროტურიზმს დიდი წვლილი შეაქვს სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და რეგიონული ეკონომიკის განვითარებაში, ამდენად, მისი ინსტიტუციონალური განვითარება ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტს, რომელიც საბოლოოდ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლად არსებული მცირე და საშუალო ბიზნესების ხელშეწყობის, ეკონომიკური მდგრადობის, პროდუქტების დივერსიფიკაცის და იდენტურობის პოპულარიზაციის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „საქართველოს აგროტურისტული ბაზრის პოტენციალის შეფასება და ანალიზი“ პროგრამა: ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში (JAWE). 2020წ.
2. „აგროტურიზმის სტრატეგია სამცხე- ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებისთვის“. ქ. თბილისი. 2016წ.
3. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“. თბ., 2013წ.

Basic opportunities of agritourisme in Georgiea

Tamar Nozadze

PhD Student of Georgian Technical University

Summary

The article discusses the main opportunities of the tourism and agricultural synthesis - agritourism market in Georgia. Agritourism is an activity that links the economic, social and environmental components of sustainability, strongly related to local communities and their attitudes towards tourism, so one of the solutions for rural areas can undoubtedly be agritourism. Agritourism can be seen as an innovative and diversifying strategy for farms, including recreational and leisure activities for tourists, with many economic and non-economic benefits for farmers, visitors and communities, with a significant emphasis on natural, organic, bio aspects, in any part of human activities, health and the environment, in a word on sustainability. In practical terms, agritourism is a complex activity, which is directly connected with other local activities. In a rural locality, tourism cannot be dissociated from the economic, social and cultural life of the community in which it manifests itself. This type of tourism is being based on three coordinates: space, people and products that are in a close correlation, unable to exist without each other. In modern conditions a special attention should have been drawn to the trends in tourism field, foreseeing of which is very necessary in agritourism. The primary phenomena that affect the development of agritourism are: 1. Low farm income; 2. Urbanization; 3. Redistribution of urban people's income to agritourist farms and in consequence to all rural people; 4. The state of rural infrastructure and level of urbanization; 5. Policy of local self-government. Georgia has a lot of opportunities and resources like a historical agriculture, high culture of hospitability, different types of traditions, various landscape of nature to develop agritourism, which will make a significant contribution to the country's food security, economic sustainability, popularization of local products and especially in improving the difficult socio-economic situation of small farms involved in the agriculture.

Keywords: agriculture, agritourism, tourist.

“Google”-ის გავლენა ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის პროდუქტის გაყიდვებზე საქართველოში

ტარყაშვილი ირაკლი
სტუ–ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი

მეტრეველი მარინა
სტუ–ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის “Google”-ის გავლენა ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის პროდუქტის გაყიდვებზე საქართველოში. ციფრული სამყარო ასეთი მრავალმხრივი, ყოვლისმომცველი და ეფექტიანი არასდროს ყოფილა. არნახულმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა შეამცირა დისტანცია და წარმოუდგენლად დააჩქარა ბიზნესპროცესების მართვა. სწორედ ამიტომ, ყველა ბიზნესისთვის, მათ შორის ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ბიზნესისთვის უმნიშვნელოვანესია ფეხი აუწყოს მსოფლიოს უახლეს გამოწვევებს, რათა მოახდინოს ეფექტიანი პოზიციონირება და მდგრადი განვითარება.

დავის საგანს არ წარმოადგენს, რომ “Google” არის ყველაზე მძლავრი ინფორმაციის მოძიების ინსტრუმენტი. კომპანიები, რომლებიც ავრცელებენ ინფორმაციას ინტერნეტში, ყიდიან ან რეკლამირებას უწევენ თავიანთ პროდუქტს, ყველა ღონეს ხმარობენ მათი პროდუქტი საძიებო სისტემის პირველ გვერდზე - წამყვან პოზიციებზე მოხვდეს.

“Google”-ის გამოყენებით პროდუქტისა და მომსახურების მოძიებისას გამოიყენება საკვანძო სიტყვები. ძებნის ველში საძიებო სიტყვის მოხვედრისთანავე “Google” გვთავაზობს ყველაზე მისაღებ და პოპულარულ ალტერნატივას. მომხმარებელიც, პროდუქტს რამდენიმე მოწინავე ვარიანტიდან ირჩევს. სწორედ ამიტომ, საინტერესო ხდება როგორ გავუწიოთ კონკურენცია იმ უამრავ საინფორმაციო მასალას, რომელიც მთელი მსოფლიოდან თავსდება ინტერნეტში. ნაშრომში განხილულია ინტერნეტში პოზიციონირების გზები ინფორმაციის საძიებო სისტემაში დასაწინაურებლად.

ასევე გაანალიზებულია ურთიერთდაკავშირებული კვლევების შედეგები და პასუხი გაეცემა შეკითხვას - როგორ ახდენს გავლენას ინტერნეტი, კონკრეტულად კი “Google”-ის პროდუქტები ადამიანთა გადაწყვეტილებაზე შეარჩიონ სამოგზაუროდ კონკრეტული დესტინაცია, მოიძიონ ინფორმაცია და განახორციელონ მოგზაურობა კონკრეტულ, მათთვის უცნობ ადგილზე. როგორც აღმოჩნდა, აღნიშნულში ძირითად როლს ავტორიტეტული ნათესავებისა და მეგობრების რჩევა თამაშობს. ისინი რჩევას ინტერნეტრესურსების საშუალებით გასცემენ და თავიანთ მოსაზრებას ციფრული მასალით ამყარებენ.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, სტუმარმასპინძლობის ბიზნესი, Google, Seo, Sem.

ძირითადი ტექსტი

როგორ ეხმარება “Google” სასტუმროსა და მოგზაურობის ბიზნესს

დღესდღეობით “Google” ყველაზე ფართოდგამოყენებადი და მძლავრი საძიებო სისტემაა. მიუხედავად იმისა, რომ კორპორაცია არ აზიარებს ოფიციალურ რიცხვებს, ვებგვერდი SEOTribunal.com იტყობინება, რომ “Google” ახორციელებს საშუალოდ 3.8 მილიონ ძიებას წუთში მთელ მსოფლიოში. ასევე “Google” პირველ ადგილს იკავებს გლობალურ ინტერნეტ ტრაფიკსა და ჩართულობაში alexa.com-ის მონაცემებით. (www.alexa.com, n.d.) Statcounter.com-ის 2021 წლის ნოემბრის მონაცემებით მსოფლიოს მასშტაბით ვებგვერდების 64.06%-ზე სწორედ “Google” Chrome-დან ხდება ნავიგირება. მას შემდეგ მხოლოდ მოდიან Safari, Microsoft Edge და სხვა ალტერნატიული ბრაუზერები. (datareportal.com, n.d.)



წყარო: ვებგვერდი datareportal.com

"Google"-ის რეალური ფუნქციაა ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და აღნიშნულის ბიზნესისთვის შეთავაზება ფინანსური სარგებლის სანაცვლოდ. აღნიშნული მეთოდოლოგია გამოიყენება თითქმის ყველა გლობალური ბიზნესის მიმართულებით, მათ შორის ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ბიზნესი გამოკვეთილი ლიდერია. (მეტრეველი, 2011)

რატომ არის "Google"-ში წარმატებით პოზიციონირება პრიორიტეტული ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ბიზნესისთვის?

საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ კვლევა ცხადყოფს, რომ საქართველოში შემოსული ვიზიტორთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოგზაურობის მოტივაციად ინტერნეტ რესურსებს ასახელებს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2019 წელს ვიზიტორებზე ჩატარებული კვლევის ფარგლებში, კითხვაზე რომელი წყაროებიდან მიიღეთ ინფორმაცია საქართველოს შესახებ? შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: მეგობრები და ნათესავები - 59.3%, გამოცდილება წინა ვიზიტიდან - 57.5%, სხვა ინტერნეტი - 15.3%, ტელევიზია, რადიო - 12.7%, ქართული წარმომავლობის პიროვნება - 7.2%, ორგანიზაცია, ბიზნეს პარტნიორი - 4.9%, ტურისტული კომპანია, ტუროპერატორი - 3.4%, www.facebook.com/georgiaandtravel - 3.1%, www.Georgia.travel - 2.8%, საქართველოს მთავრობის მიერ დაბეჭდილი საპრომოციო მასალა - 1%. (gnta.ge, n.d.)



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

რაც შეეხება 2019 წლის კვლევას თუ რომელი საინფორმაციო წყარო გამოიყენეს ქართველმა ვიზიტორებმა საზღვარგარეთ მოგზაურობისას, შედეგები ასე გადანაწილდა. ვიზიტორების 67.5%-მა ინფორმაცია მეგობრებისგან მოიძიეს, 49.4%-ის ვიზიტის წყარო წინა ვიზიტის გამოცდილება გახლდათ, 10.4%-მა კი ამისთვის ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით მოიძია, ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით ინფორმაცია 6.40% მიიღო. ტურისტული კომპანიისა და ტუროპერატორისგან მიღებულმა ინფორმაციამ 7.20% შეადგინა, ბიზნესპარტნიორი და სხვა ორგანიზაცია 0.8%. სხვა 0.1% (gnta.ge, n.d.)



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ინტერნეტრესურსების მეშვეობით მოგზაურობა დაახლოებით ვიზიტორების 10-15 %-მა გადაწყვიტა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით 2019 წელს საქართველოში 5,080,478 ვიზიტორი უშუალოდ ტურიზმისთვის შემოვიდა. ეს ნიშნავს რომ მინიმუმ 508,047-მა ადამიანმა ინფორმაცია უშუალოდ ინტერნეტრესურსების გამოყენებით მიიღო. ასევე აღსანიშნავია, რომ მეგობრებისა და ნათესავების რეკომენდაციები ძალიან მაღალ როლს თამაშობს გადაწყვეტილების მიღებაში. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ 59.3%-იც ინფორმაციის გადაცემა ინტერნეტისა და სოციალური ქსელების - მათ შორის "Google"-ის პროდუქტ "Youtube"-ის გამოყენებით განხორციელდა. რასაც თან აუცილებლად ახლდებოდა ვიდეოს გაზიარება და სხვადასხვა ტურისტული პლატფორმებით ინფორმაციის მოძიება.

Internews-ის მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ყოველდღიურად სრული მოსახლეობის მესამედი ინფორმაციის მისაღებად მოიხმარს ციფრულ რესურსებს. საინფორმაციო ვებგვერდებს იყენებენ მოქალაქეები: 18-დან 35-წლამდე 45%, 36-დან 55 წლამდე 44%, ხოლო 55 წელს ზევით - 20%. (GEORGIA An Information Ecosystem, 2021)

როგორ ვიპოზიციონიროთ "Google"-ში წარმატებით

"Google"-ის სისტემა ჩვენს ინტერესებსა და ქმედებებს სისტემატურად სწავლობს და შესაძლებლობას აძლევს ბიზნესს მომხმარებლის ინტერესებთან თანხვედრა მოახდინოს. ნებისმიერი წარმატებული ტურისტული ბიზნესისთვის ინტერნეტ სივრცეში პოზიციონირების ხარისხის განმსაზღვრელია თუ როგორაა წარმოდგენილი ე.წ "Google"-ის "SERP"-ში (Search Engine Results Page). "SERP"-ი გახლავთ აბრევიატურა რომელიც გულისხმობს საძიებო სისტემის შედეგების გვერდს. როდესაც ინდუსტრიის მოძიებისას ჩვენი ვებგვერდი მოწინავე პოზიციებზეა, მომხმარებელს უკვე ეჭვი აღარ ეპარება ჩვენი ბიზნესის მაღალ ხარისხზე, რადგან მოწინავე პოზიციებში ყოფნა არც ისე ადვილია. ასევე მომხმარებელი ნაკლებად გადადის "SERP"-ის მეორე გვერდზე და რელევანტურ ინფორმაციას პირველ გვერდზე მოძიებული ინფორმაციის შედეგად იღებს. მნიშვნელოვანია, რომ "Google"-ის სისტემების მიმართებაში არ უნდა გამოვრიცხოთ მძლავრი რეკლამირების შესაძლებლობა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ "Google"-ში წარმატებული პოზიციონირებისთვის სამი ძირითადი მიმართულება გამოიყენება, ესენია: "Seo", "Sem" და "Google"-ის დამხმარე აპლიკაციები.

რა არის, როგორ მუშაობს და რას ნიშნავს "SEO" და "SEM" ?

SEO არის მეცნიერულ საფუძველზე შექმნილი დარწმუნების ხელოვნება, რომელიც მიზნად ისახავს დაარწმუნოს მაძიებელი ინფორმაციის რელევანტურობასა და ავტორიტეტულობაში. მისი გამართულად ფუნქციონირებით საძიებო სისტემები, როგორიცაა "Google", "Bing" და "Yahoo" რეკომენდაციას უწევს ჩვენს კონტენტს და აწინაურებს -„SERP"-ზე. რაც ზრდის შესაძლებლობას ჩვენი კონტენტი უფრო ბევრმა ადამიანმა ნახოს.

"SEO" ოთხი ძირითადი ელემენტისგან შედგება. მისი მეშვეობით მარკეტოლოგები ოპტიმიზაციას უკეთებენ თავიანთ ვებგვერდზე. ოპტიმიზაციის ძირითადი ელემენტებია: Technical SEO, On-Page SEO, Content Creation და Off-Page SEO.

იმისათვის, რომ წარმატებით განვახორციელოთ "SEO"-ს ოპტიმიზაცია, საჭიროა ოთხივე

ელემენტის მეშვეობით განვახორციელოთ აქტიური მუშაობა (Varagouli, 2020).

"SEM"- საძიებო სისტემების მარკეტინგი წარმოადგენს სტრატეგიას, რომელიც საშუალებას გვაძლევს ფასიანი ტექნიკა გამოვიყენოთ ხილვადობის გაზრდის მიზნით. იგი მოქმედებს პრინციპით "PPC" (გადახდა თითო დაწკაპუნებაზე). პროცესი მიმდინარეობს "PPC" სარეკლამო პლატფორმების მეშვეობით, როგორიცაა: "Google Ads" და "Bing Ads", რათა გამოიყენოს ხელმისაწვდომი რეკლამის ფორმატები თქვენი სამიზნე აუდიტორიის მისაღწევად.

"SEM" - მოიცავს ისეთი მძლავრი რეკლამირების საშუალებებს როგორიცაა: Search Ads (text ads), Shopping Ads, Display Ads, Gmail Ads, YouTube Ads

როგორც ფასიანი რეკლამირების მძლავრი მექანიზმი, "SEM" საშუალებას გვაძლევს ვისარგებლოთ რიგი ტექნიკური უპირატესობებით, როგორიცაა: სარეკლამო ანგარიშის მართვა, სეგმენტაციისა და ოპტიმიზაციის შესაძლებლობა, შედეგების დეტალური ანალიზი.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გაანალიზებიდან გამოიკვეთა, რომ გლობალური კონკურენციის პირობებში "Google"-ის გავლენა საქართველოში არსებულ ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის პროდუქტებზე ინფორმირებასა და გაყიდვების ზრდაში განუზომლად დიდია. იმ ფონზე როდესაც ვიზიტორთა 15.3% მოგზაურობის შესახებ გადაწყვეტილებას ინტერნეტის საშუალებით იღებს, "Google"-ის ინსტრუმენტები წარმოადგენენ ფასდაუდებელ რესურსს, რომლის გამოყენების გარეშეც ინტერნეტსივრცეში წარმატებული პოზიციონირება ფაქტობრივად შეუძლებელია.

ამავე კვლევების მიხედვით დასტურდება, რომ ვიზიტორთა მოგზაურობის გადაწყვეტილებაზე მთავარი ზეგავლენის განმახორციელებელი პირები მეგობრები და ნათესავები არიან. მათი უმრავლესობა აქტიურადაა წარმოდგენილი ინტერნეტსივრცეში, ამასთან რჩევებს მოგზაურობაზე ინტერნეტის საშუალებით, ფოტო ან ვიდეო მასალის გაზიარებით გასცემენ. აღნიშნული გარდაუვალს ხდის ინტერნეტრესურსების როლის განუზომლად ზრდას მოგზაურობის გადაწყვეტილების მიღებაში.

კონკურენციისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ზრდის, ასევე ინტერნეტ რესურსების სანდოობის, ხარისხის ზრდის ტენდენციიდან გამომდინარე, ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის პროდუქტის ინტერნეტსა და მათ შორის ყველაზე დიდი რესურსის მქონე Google-ის პლატფორმებზე სწორი პოზიციონირება წარმოადგენს ეფექტიან და აუცილებელ მიზანს წარმატებული ბიზნესპროცესების საწარმოებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მეტრეველი, მ. (2011). ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები.
2. datareportal.com. (n.d.). datareportal.com. Retrieved from datareportal.com: https://datareportal.com/reports/digital-2022-mobile-duopoly-consolidates-grip?rq=google
3. (2021). GEORGIA An Information Ecosystem. Internews.
4. gnta.ge. (n.d.). https://gnta.ge/. Retrieved from https://gnta.ge/: https://gnta.ge/ge/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90/
5. Varagouli, E. (2020, jul). semrush.com. Retrieved from https://www.semrush.com/blog/seo-vs-sem/?kw=&cmp=WW_SRCH_DSA_Blog_Core_BU_EN&label=dsa_pagefeed&Network=g&Device=c&utm_content=515771354290&kwid=aud-391253447936:dsa-1057183189355&cmpid=11776868584&agpid=117384921514&BU=Core&extid=21444309548&adpos=&gclid
6. www.alexa.com. (n.d.). www.alexa.com. Retrieved from https://www.alexa.com/siteinfo/google.com: https://www.alexa.com/siteinfo/google.com

The impact of Google's on tourism and hospitality product sales in Georgia

Irakli Tarkashvili
Doctoral student at GTU Faculty of Business Technology

Marina Metreveli
Professor at GTU Faculty of Business Technology

Summary

This paper discusses the impact of modern information and communication technologies, including Google, on sales of tourism and hospitality products in Georgia. The digital world has never been so versatile and comprehensive. Unprecedented technological advances have reduced the distance and incredibly accelerated the management of business processes. That is why it is crucial for all businesses, including the tourism and hospitality business, to keep abreast of the latest challenges in the world in order to achieve effective positioning and sustainable development.

Undoubtedly, Google is the most powerful information retrieval tool. Companies that publish information on the Internet, sell or advertise their product, make every effort to get their product on the first page of the search engine - to get to the leading positions.

Keywords are used when searching for products and services using Google. Once a search term is entered in the search field, Google offers the most acceptable and popular alternative. The consumer also chooses the product from several advanced options. That's why it becomes interesting how we can compete with the huge amount of information material that is posted on the Internet from all over the world. The paper discusses how to successfully position yourself on the Internet and achieve the above goal - to promote our information in the search engine.

Interrelated studies are also analyzed to answer the question of how the Internet, and in particular Google products, influence people's decision to travel to a specific destination, search for information, and travel to a specific, unfamiliar place. As it turned out, the advice of authoritative relatives and friends plays a key role in this. They give advice through internet resources and base their opinion on digital material.

Keywords: Tourism, Hospitality Business, Google, Seo, Sem.

მარკეტინგის ანტომატიზაცია და მისი გავლენა ბიზნესის განვითარებაზე

ქინქლაძე რუსუდან
საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის ასოცირებული პროფესორი

გულისაშვილი ნანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

თანამედროვეობაში, როდესაც ყველაფერი გაციფრულებულია, სადაც არსებობს ხელოვნური ინტელექტი, მეტავერსი, NFT, ბლოკჩეინები, როდესაც თანამედროვე ბაზარი გაჯერებულია ისეთი ტექნოლოგიური კომპანიებით როგორიცაა: APPLE, MICROSOFT, AMAZON და არამარტო ტექნოლოგიური კოპანიებით, სადაც Fashion Week-იც კი ციფრულ ფორმატში და თანამედროვე ტექნოლოგიების VRI გამოყენებით მიმდინარეობს, გასაკვირი არ არის რომ ძალიან თავდაჯერებულად და ხმამაღლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძალიან დიდი კონკურენციის ხანაში ვცხოვრობთ და ჩვენი რეკლამის ხმა შესაძლებელია გაშვებისთანავე ჩაიკარგოს, თუ არ გვექნება სწორი სტრატეგია. თანამედროვე ბაზრის შესაძლებლობები, მისი ელექტრონული კომერციით და ბრენდების სიმრავლით, მომხმარებელს აძლევს არჩევანს, რომელიც აქამდე არასდროს ჰქონიათ. ასე რომ, კომპანიები ცდილობენ განავითარონ თავიანთი მარკეტინგული სტრატეგია, რათა ჰქონდეთ ლიდერი პოზიცია კონკურენტებთან მარკეტინგის ავტომატიზაციის საჭიროება დღეს დიდ კომპანიებში ერთადერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად შეგვიძლია გამოვყოთ.

ნაშრომში გამოკვლეულია მარკეტინგული ავტომატიზაციის გავლენა ბიზნესზე, უპირველეს ყოვლისა გაყიდვებსა და მომხმარებელთა გამოცდილებაზე ფოკუსირებით, იდენტიფიკაციასთან ერთად. მასში განხილულია მარკეტინგის არსი როგორც პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ავტომატურად მართავს მარკეტინგულ პროცესებს მრავალმხრივი ციფრული მარკეტინგული კამპანიების ფარგლებში. იგი თანამედროვე პერიოდის მზარდი ინდუსტრიაა. განხილულია მარგეტინგული ავტომატიზაციის ეკონომიკური ეფექტიანობა. აღნიშნულია, რომ კლიენტის გამოცდილება მარკეტინგის ავტომატიზაციის მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომხმარებელთა გამოცდილების გაღრმავებაში, მომხმარებელთა ლოიალობის შენარჩუნების პოტენციალში. ამ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობაა Journal of Theoretical and Applied Information Technology-ში გამოქვეყნებული კვლევის შესახებ, რომელიც ეხებოდა მარკეტინგის ავტომატიზაციის გავლენას მომხმარებლის გამოცდილებაზე. მოცემულია მარკეტინგული ავტომატიზაციის ძირითადი მიზნები და უპირატესობები, მისი დანერგვის ბარიერები. საკითხების განხილვის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარკეტინგის ავტომატიზაცია ხელს უწყობს კოორდინაციას, ამით მრავალი სოციალური მედიის კამპანია მრავალფეროვნების მიღწევის შანსების გაზრდას უზრუნველყოფს და ამ სივრცეში არსებული მომხმარებლების თავმოყრის შესაძლებლობას იძლევა, რომელიც გაფანტულია გლობალურ ბაზარზე.

საკვანძო სიტყვები. მარკეტინგის ავტომატიზაცია, მარკეტინგული სტრატეგია , ბიზნესი, მომხმარებლის გამოცდილება

ძირითადი ტექსტი

ბოლო დროინდელმა ტენდენციებმა ცხადყო, რომ მომხარებლები აღარ რეაგირებენ მასობრივ შეტყობინებებზე, ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ მათთვის პირადად შექმნილ კონტენტს, მათთვის მნიშვნელოვანი გახდა ბრენდის მიერ ინდივიდზე მორგებული პროდუქტი და კამპანიები, შეტყობინებები, რომლებშიც ხედავენ მათ საჭიროებას. ვინაიდან მომხარებელთა დიდი ბაზებისთვის, შეუძლიებელია შეიქმნას ადამინური რესურსით პერსონიზებული კონტენტი, მარკეტინგში ჩნდება ავტომატიზირებული მარკეტინგის, ე.წ მარკეტინგის ავტომატიზაციის საჭიროება და დღეს დიდ კომპანიებში ავტომატიზაცია ერთერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად შეგვიძლია გამოვყოთ.

მარკეტინგის ავტომატიზაცია არის პროგრამული უზრუნველყოფა ბიზნესისთვის, რომელიც

კომპანიებს სთავაზობს ინსტრუმენტებს, რომლებიც ეხმარება მათ დაამყარონ სტაბილური პერსონალიზებული კომუნიკაცია თითოეულ კონტაქტთან და ამით მოიპოვონ მათი ნდობა და გახადონ ისინი რეგულარულ მყიდველებად.

მარკეტინგის ავტომატიზაციის პლატფორმა აყალიბებს ყველა ინფორმაციას კლიენტების შესახებ, მათი პირადი მონაცემებისა და პრეფერენციების გამოყენებით. ამ უკანასკნელის თვალყურის დევნება ხდება სოციალურ მედიაში, პიროვნების მიერ მონახულებულ ვებსაიტებზე, შესყიდვების ისტორიაზე და ა.შ. ამის საფუძველზე სისტემა აფასებს პერსპექტივის მზადყოფნას განახორციელოს კონკრეტული შესყიდვა მოცემულ დროს. ამის შემდეგ, შეტყობინებები ეგზავნება გაყიდვების წარმომადგენლებს, რათა ისინი დაუკავშირდნენ შესაბამის ადამიანს საჭირო მომენტში.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ტექნოლოგია ავტომატურად ქმნის მიმზიდველ პერსონალიზებულ კონტენტს, რომელიც მიმართავს მომხმარებელს. თითოეული მათგანი იღებს შეტყობინებებს ზუსტად ისე, როგორც მათ სურთ, იქნება ეს ელექტრონული ფოსტით, SMS-ით თუ სხვადასხვა აპლიკაციის საშუალებით. რეკლამები ჩნდება არაინტრუზიული გზით, რათა მიიპყროს აუდიტორიის ინტერესი. ეს ხელს უწყობს ახალი ლიდერების მომზადებას და კლიენტების აღზრდას, სანამ ისინი მზად იქნებიან შესაძენად.

უნდა აღინიშნოს, რომ მარკეტინგული ინსტრუმენტების მიმართ ინტერესი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და ეს ტენდენცია, როგორც ჩანს, კვლავ გაგრძელდება.

როგორც ცნობილია, 2018 წელს Adobe-მ შეიძინა მარკეტინგის ავტომატიზაციის პროვაიდერი Marketo 4,75 მილიარდ დოლარად. Oracle-მ და Salesforce-მ ასევე გააკეთეს შესამჩნევი შესყიდვები მარკეტინგული ავტომატიზაციისთვის ბოლო ცხრა წლის განმავლობაში. Bloomreach-მა, როგორც ციფრული გამოცდილების პლატფორმის (DXP) პროვაიდერმა, შეიძინა Exponea 2020 წლის დეკემბერში, რომელიც გთავაზობთ მარკეტინგულ ავტომატიზაციას და CDP ინტეგრაციას.

2021 წლის სექტემბერში Intuit-მა გამოაცხადა Mailchimp-ის შეძენის გეგმა 12 მილიარდ დოლარად ნაღდი ფულით და აქციების ავანსებით. Mailchimp არის მომხმარებელთა ჩართულობისა და მარკეტინგის ავტომატიზაციის პლატფორმა, რომელიც მიმართულია მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებზე. სიუზან გუდარზი, Intuit-ის აღმასრულებელი დირექტორი, განმარტავს, რომ კომპანიის მიზანი იყო პლატფორმის გაფართოება ისე, რომ ის ყოფილიყო ბიზნესის ზრდის ცენტრში მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რადგან ეს ეხმარება მათ გადალახონ თავიანთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური გამოწვევები. Research and Markets.com-ის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით გლობალური მარკეტინგული ავტომატიზაციის ბაზრის ზომა, სავარაუდოდ, 2027 წლისთვის 8,42 მილიარდ დოლარს მიაღწევს. ეს ნიშნავს, რომ ინდუსტრია მოსალოდნელია გაფართოვდეს CAGR 9,8%-ით 2020 წლიდან 2027 წლამდე.

კლიენტის გამოცდილება მარკეტინგის ავტომატიზაციის მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომხმარებელთა გამოცდილების გაღრმავებაში, მომხმარებელთა ლოიალობის შენარჩუნების პოტენციალში.

ამ საკითხთხთან დაკავშირებით Journal of Theoretical and Applied Information Technology-ში გამოქვეყნდა კვლევა, რომელიც ეხებოდა მარკეტინგის ავტომატიზაციის გავლენას მომხმარებლის გამოცდილებაზე.

კვლევის თანახმად ერთ-ერთი რესპოდენტი ამტკიცებდა, რომ მარკეტინგის ავტომატიზაცია აუმჯობესებს კლიენტებთან ურთიერთობას პროგრამული უზრუნველყოფით განმეორებითი პასუხების გენერირებაზე ორიენტირებული და მორგებული კონკრეტული ინფორმაციის მეტად მოსაზიდად. კომპანიის, ბრენდის და მისი პერსპექტიიული მომხმარებლების" მარკეტინგის ავტომატიზაცია ხაზს უსვამს მომხმარებელთა თანამშრომლობის გაზრდას და კოორდინაციას პროდუქტის შექმნის პროცესში მათი შეტანის, განვითარების, გაძლიერებისა და შესაბამისად მათი გამოცდილების გაზრდისათვის.

ამრიგად, მარკეტინგის ავტომატიზაციით იზრდება ეფექტიანი კომუნიკაცია, რომელიც ორიენტირებულია ინფორმაციის პერსონალიზაციასა და შესაბამისად მომხმარებელთა აღქმის გაზრდისკენ კონკრეტულ ბრენდებში. მარკეტინგული ავტომატიზაცია მნიშვნელოვანია, რათა ის მომხმარებელთა გამოცდილების გაგებას უწყობს ხელს, რადგან ფოკუსირებულია მომხმარებლებთან

დაკავშირებული პროდუქტების რეკომენდაციით მთელ ბაზარზე, რითაც იზრდება მათი აღქმა და ბაზრის ცნობიერება.

ამავე ჟურნალში გამოქვეყნებულია კველვა ბიზნეს საქმიანობაზე მარკეტინგის ავტომატიიზაციის დადებითი გავლენის შესახებ. კვლევის თანახმად მარკეტინგის ავტომატიზაცია სულ უფრო და უფრო იზრდება, იძენს ფართო გამოყენებას ბევრ კომპანიაში, რომლებიც ცდილობენ გაზარდონ თავიანთი პროდუქტიულობა.

რესპოდენტების გამოკვლევისას გამოვლინდა, რომ ავტომატიზაცია ზრდის სასიცოცხლო ციკლს კამპანიებში, კრიტიკული წინსვლისთვის მომხმარებლის შენარჩუნების ინიციატივებს კონკრეტულ ბრენდთან და პროდუქტებთან მიმართებაში. მარკეტინგის ავტომატიზაცია ზრდის შანსს მომხმარებლებთან მიღწევისა და შესაბამისად გაყიდვების გაზრდის მიმართულებით. შესაბამისად, მარკეტინგის ავტომატიზაციის პროცესები აძლიერებს კომპანიის უნარს გაზარდონ თავიანთი ბაზრის წილი მეტი მომხმარებლის მოზიდვით, მომხმარებელებში ლიდერების და მოგების მარჟის გასაზრდელად.

დასკვნებმა გამოავლინა, რომ მარკეტინგის ავტომატიზაცია ხელს უწყობს კოორდინაციას, ამით მრავალი სოციალური მედიის კამპანია მრავალფეროვნების მიღწევის შანსების გაზრდას უზრუნველყოფს და ამ სივრცეში არსებული მომხმარებლების თავმოყრის შესაძლებლობას იძლევა, რომელიც გაფანტულია გლობალურ ბაზარზე.

კვლევით შესწავლილ იქნა ბიზნესზე მარკეტინგის ავტომატიზაციის ეფექტის პოტენციალი. ამის მისაღწევად მთავარი მიზნები მოიცავს გამოწვევების გაგებას. ეფექტიანობა კი მარკეტინგის ავტომატიზაციის შედეგად გაყიდვებში ლიდერი პოზიცია და მარკეტინგული ავტომატიზაციის მომავლის შეფასების გამოყენება გაყიდვის პრაქტიკაში და საერთო ორგანიზაციული მიზნის შესრულებაში. [1]

თანამედროვე ეპოქაში სწრაფი ტექნოლოგიური ინოვაციები, სადაც მომხმარებლები ტექნიკურად საზრიანები და ინტერნეტდამოკიდებულები არიან, მარკეტინგის ავტომატიზაცია არის გზაგასავალი, რადგან მათ ეძლევათ სხვადასხვა მიზეზები შესაძენად.

მარკეტინგული ავტომატიზაციის განხორციელების დროს კომპანიის ერთ-ერთი სარგებელი არის ასევე საკადრო ხარჯების შემცირება. როდესაც ორგანიზაცია იყენებს მარკეტინგის ავტომატიზაციის პროგრამულ უზრუნველყოფას, ერთ მუშაკს შეუძლია ეფექტური კონკურენცია გაუწიოს გაყიდვებს და მარკეტინგის განყოფილებას, რომელიც შედგება 50 ან მეტი პერსონალისგან.[2]

ეს შესაძლებელი გახდება მარკეტინგის ავტომატიზაციის პროგრამული უზრუნველყოფის უნარის ეფექტურად გამოყენებით, როდესაც შეცდომისკენ მიდრეკილი ადამიანებისაგან განსხვავებით, მრავალო ამოცანა შეიძლება შესრულდეს ნულოვანი შეცდომებით. მაგ., ავტომატური მარკეტინგის პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა ორგანიზაციებმა განსხვავებულად, ავტომატიზირებულად ჩაატარონ ელ-ფოსტის მარკეტინგული კამპანიები, რომლის დროსაც მილიონობით პერსონალური მარკეტინგული ელექტრონული წერილი შეიძლება გაიგზავნოს მომხმარებლების მეილებზე.

Emailmonday „მარკეტინგის ავტომატიზაციის საბოლოო სტატისტიკა“ 2022-ის მიხედვით: კომპანიების საშუალოდ 56% ამჟამად იყენებს მარკეტინგის ავტომატიზაციას. B2B კომპანიების 40% - გეგმავს ამ ტექნოლოგიის გამოყენებას მარკეტინგის ავტომატიზაციის მიღების:[3]

SharpSpring "Investor Presentation Jan 2019"-ის მიხედვით, აშშ-ს მარკეტინგის ავტომატიზაციის პროგრამული უზრუნველყოფის ინდუსტრია 2022 წელსთვის იქნება დაახლოებით $12.3 B ბაზარზე და გაიზრდება 20%+ით ყოველწლიურად .[4]

MarTech Alliance „Martech Report 2021/22“ (2022) აქვეყნებს სტატისტიკას სადაც აღნიშნულია, რომ

[1] Dalla Vecchia, M., & Marc K. Peter. (2018) Marketing Automation. In Business Information Systems and Technology 4.0, pp. 118-125.
[2] Mahmoud, A. A. M., & Yazan M. A., & Usama A. B. (2020). researchgate.net: IMPACTS OF MARKETING AUTOMATION ON BUSINESS PERFORMANCE
[3] https://www.emailmonday.com/marketing-automation-statistics-overview/#ftoc-heading-7
[4] https://www.emailmonday.com/marketing-automation-statistics-overview/#ftoc-heading-7

მსოფლიო MarTech ინდუსტრიის ბაზარს აქვს 344,8 მლრ. დოლარი, ჩრდილოეთ ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში 149,7 მლრ. დოლარი.

ორგანიზაციების თითქმის 50%-მა თავისი პლატფორმის გამოყენება პირველად ბოლო 4 წლის განმავლობაში დაიწყო. ეს გასაკვირიცაა, რადგან MAP-ები უკვე ხელმისაწვდომი იყო 15 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. – "Marketing Automation Platform Insights" (2021)

Social Media Today "State of Marketing Automation Survey Report"-ის (2019) კველვაზე დაყრდნობით მარკეტერების 75% ამბობს, რომ ამჟამად იყენებს მარკეტინგის ავტომატიზაციის მინიმუმ ერთ ტიპს. მარკეტოლოგების უმეტესობის მიერ მიღებული ავტომატიზაციის ხელსაწყოების დამზადების მიზნით.[1]

Apteco Ltd "Trend Report Data driven marketing 2015" -ს კვლევის მიხედვით 33% უკვე აქვს დანერგილი მარკეტინგული ავტომატიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა თავიანთ ბიზნესში და Faststats-ის პროგრამული უზრუნველყოფის მომხმარებლების რესპონდენტთა ნახევარი გეგმავს ან ისწრაფვის ამის გაკეთებას.

11% გეგმავს მარკეტინგული ავტომატიზაციის დაუყოვნებლივ განხორციელებას, ხოლო 19% მომავალ წელს. მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტმა თქვა, რომ მათ არ (3%) ან ნაკლებად სავარაუდოა (5%) განახორციელონ მარკეტინგული ავტომატიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა.

როგორც ცნობილია, შემოსავალი არის ძირითადი კრიტერიუმი, რომლითაც მარკეტოლოგები ფასდებიან. მთავარი მიზანი მარკეტერებს შორის, რომლებიც იყენებენ MAP-ს, არის გაყიდვების შემოსავლის გაზრდა. –"Marketing Automation Platform Insights" (2021)

მარკეტინგის ავტომატიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია გაყიდვების შემოსავლის გაზრდა (56%), მომხარებლის ინტერესის გაუმჯობესება (53%), მომხმარებლის მყიდველუნარიანობის გაზრდა (50%) და მომხმარებლის გამოცდილების/ჩართულობის გაუმჯობეება (52%). –"Marketing Automation Platform Insights" (2021)

Liana Technologies "The Benefits and Challenges of Marketing Automation" (2017) - რესპონდენტთა თითქმის 70% თვლის, რომ შეტყობინებების გაუმჯობესებული დამიზნება არის მარკეტინგის ავტომატიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა. [2]

e-commerce მარკეტერების 64% ამბობს, რომ ელექტრონული ფოსტის მარკეტინგი და მარკეტინგის ავტომატიზაცია ხელს უწყობს უფრო მეტ გაყიდვებს. webshop-ის ვიზიტორთა ზრდას, ჩართულობასა და უკეთეს ხედვას სამიზნე აუდიტორიაში ახორციელებს სესაბამისად 37%, 30% და 24%. Thuiswinkel.org and Spotler "e-commerce marketing Trendrapport" (2019)

Liana Technologies "The Benefits and Challenges of Marketing Automation" (2017)-ის მიხედვით მარკეტინგული ავტომატიზაციის მნიშვნელოვან უპირატესობებად მომხმარებელთა გაუმჯობესებული გამოცდილება (45,9%), პოტენციური კლიენტების გაუმჯობესებული ხარისხი (37,7%) და მომხმარებელთა გაზრდილი რაოდენობა (34,9%) ითვლება.

მარკეტოლოგების მოსაზრებით, მარკეტინგული ავტომატიზაციის სტრატეგიის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნებია:

პროდუქტიულობის ოპტიმიზაცია (43%)

მარკეტინგის ROI-ის (Return on Investment) გაზრდა (41%)

კამპანიის მენეჯმენტის გაუმჯობესება (40%)

მონაცემთა ბაზის ხარისხის გაუმჯობესება (39%)

მეტი მომხმარებლის შეძენა (39%)

შესრულების გაზომვა (37%)

მარკეტინგისა და გაყიდვების მორგება (24%)

SmartInsights and Getresponse "Email Marketing and Marketing automation Excellence 2018" კვლევის მიხედვით, ბიზნესის მფლობელებმა, აღმასრულებლებმა და მარკეტოლოგებმა სთხოვეს, დაედგინათ მათთვის მარკეტინგის ავტომატიზაციის ყველაზე დიდი სარგებელი, შედეგები ასე განაწილდა - დროის

[1] https://www.emailmonday.com/marketing-automation-statistics-overview/#ftoc-heading-7
[2] https://www.lianatech.com/resources/blog/survey-what-are-the-benefits-of-marketing-automation.html

დაზოგვა (30%), რასაც მოჰყვება წამყვანი გენერაცია (22%), შემოსავლების ზრდა (17%), მომხმარებელთა შენარჩუნება (11%), თვალყურის დევნება და მარკეტინგული კამპანიების მონიტორინგი (8%) და გაყიდვების შემცირებული ციკლი (2%)

Adestra Marketer vs Machine (2015) - მარკეტოლოგები აღნიშნავენ, რომ ავტომატიზაციის ყველაზე დიდი სარგებელი არის დროის დაზოგვა (74%), მომხმარებელთა ჩართულობის გაზრდა (68%), უფრო დროული კომუნიკაცია (58%) და გაზრდილი შესაძლებლობები გაყიდვების ჩათვლით (58%).[1]

მარკეტინგის ავტომატიზაციის პლატფორმის დანერგვისთვის მარკეტოლოგების 36% სჭირდება 6 თვეზე მეტი დრო, 12%-ს - 12 თვეზე მეტი თავისი MAP-ის განსახორციელებლად. – "Marketing Automation Platform Insights" (2021).

პერსონალიზებული შინაარსის მიწოდება და მარკეტინგული სისტემების ინტეგრაცია არის ყველაზე რთული ბარიერი მარკეტინგის ავტომატიზაციის წარმატებისთვის, ამაზე საუბრობენ მარკეტინგის გავლენის შემსრულებლების 44% და 43%. - Ascend2 "Optimizing Marketing Automation survey" (June 2018)

მარკეტინგის ავტომატიზაცია ელფოსტა და CRM არის ტექნოლოგიის ყველაზე ეფექტური სახეობები მარკეტინგული მიზნებისთვის, მარკეტინგული გავლენის შემსრულებლების 53%-ისთვის. - Ascend2 "Optimizing Marketing Automation survey" (June 2018). 42% თვლის, რომ მათ მეტი დრო უნდა დაეთმოთ მოთხოვნებში და გამოეყენებინათ საქმეები მარკეტინგული ტექნიკური პროექტებისთვის. – Statista "Marketing Tech Monitor" (2021)

მარკეტინგის ტექნიკური პროექტების 33%-ში, ხელსაწყოების შერჩევას, პროცესებს და კონცეფციის დადასტურებას მეტი დრო უნდა ჰქონოდა - Statista "Marketing Tech Monitor" (2021)

პროფესიონალების მხოლოდ 9% აცხადებს, რომ მათ აქვთ საკმარისი დრო მარკეტინგის ტექნიკური პროექტების ყველა პროექტის ფაზაში - Statista "Marketing Tech Monitor" (2021)

ტექნოლოგიის არაადეკვატური ინტეგრაცია (37%), გაზომვა და მეტრიკა (32%) მარკეტინგის ბიუჯეტის შეზღუდვები (29%) და არსებული ტექნოლოგიის გაუგებრობა (28%) არის მთავარი ბარიერი მარკეტინგული ტექნოლოგიების ინვესტიციებისა და გამოყენებისთვის – MarTech Alliance „Martech Report 2021/22" (2022).

მარკეტინგის ავტომატიზაციის წარმატების ყველაზე რთული ბარიერებია:

- პერსონალიზებული კონტენტის მიწოდება (44%)
- ყველა მარკეტინგული სისტემის ინტეგრირება (43%)
- წარმატებული სტრატეგიის შექმნა (38%)
- მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესება (37%)
- მარკეტინგული პროცესების გამარტივება (30%)
- გაზომვისა და მოხსენების გაუმჯობესება (30%)

მონაცემები შემუშავებულია – Ascend2 "Optimizing Marketing Automation survey" (June 2018) მიერ.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, თუ რატომ არის მარკეტინგის ავტომატიზაცია მნიშვნელოვანი თანამედროვე ბიზნესში.

როგორც, ზემოთ აღვნიშნეთ, მარკეტინგის ავტომატიზაცია არის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების პრაქტიკა, განმეორებითი მარკეტინგული ამოცანების მართვისთვის, კერძოდ: თქვენი კლიენტების მონაცემების შეგროვება თქვენს ვებსაიტზე მათი საქმიანობის საფუძველზე და კონტენტისა და შეტყობინებების მიზნობრივი მიზნებისთვის; ყოველკვირეული ან ყოველთვიური ელ.ფოსტის საინფორმაციო ბიულეტენების გაგზავნა თქვენი აბონენტებისთვის;

კონკრეტულ დროს შეხსენებების გაგზავნა მომხმარებლებისთვის, რომლებიც ტოვებენ SMS შეტყობინების, რომელიც შეიცავს ფასდაკლებას

მომხმარებლის დაბადების დღეზე მილოცვის შინაარსის დაგეგმვა და სოციალური მედიის არხებზე გამოქვეყნება .

[1] Rijn, J. V., (2022). email Monday: The Ultimate Marketing Automation statistics overview

ავტომატურ პროგრამულ უზრუნველყოფას შეუძლია დავალებების შესრულება წამებში და შეინახოს ეს ინფორმაცია. რაც კომპანიას საშუალებას აძლევს იყოს სწრაფი და რეაგირებდეს მომხამრებლის სურვილებზე, ამასთანავე ბიზნესს საშუალებას აძლევს უამრავი დავალება შეასრულოს შეცდომების გარეშე.

ამასთანავე მნიშვნელოვანია აღინიშნოს დროის, ადამიანური რესურსების დაზოგვა რაც მარკეტინგის ავტომატიზაციის მნიშვნელოვანი სარგებელია, ბიზნესში დრო ფული ღირს, შესაბამისად დროის მაქსიმალური გამოყენებისთვის კომპანიები მიმართავენ კადრების მომზადებას, რაც თავის მხრივ კომპანიის ბიუჯეტზე აისახება, რაც მეტია დაქირავებული თანამშრომელი, მით მეტია კომპანიის მიერ გაღებული ხარჯი, ხარჯი არ მოიცავს მხოლოდ ხელფასს, ეს არის როგორც ხელფასი, დაზღვევა და სამუშაო პირობების შექმნა თითოეულისთვის.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მარკეტინგის ავტომატიზაცია დაზოგავს დროს, ის ასევე დაზოგავს ფულს. იფიქრეთ ამაზე: თუ ბიზნესს უწევს ყველა ამ შეტყობინების დამოუკიდებლად გატარება, ამ ამოცანის მართვას დრო და ხალხი სჭირდება. მათ უნდა ჰქონდეთ წვდომა ელფოსტაზე, დაათვალიერონ ინფორმაცია და გამოაგზავნონ კონკრეტული შეტყობინებები სათითაოდ – ეს შეიძლება გახდეს ერთი ადამიანის სრულ განაკვეთზე სამუშაო, წერა და მათზე პასუხის გაცემა. ეს შესაძლებელია მცირე ბიზნესისთვის, მაგრამ რაც უფრო ფართოვდება და იზრდება მომხმარებელთა ბაზა, საჭიროა მეტი პერსონალი, რათა შეინარჩუნოს და თავიდან აიცილოს შეცდომები. ეს არ ნიშნავს, რომ კომპანიამ უნდა გაათავისუფლოს ყველა თანამშრომელი, თუ იყენებს მარკეტინგის ავტომატიზაციას. ამის ნაცვლად, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს გუნდის წევრები და მათი დრო უფრო ეფექტურად, ახალი იდეებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Anderson, T. (2022) . https://www.bluehost.com/: Marketing Automation Tools: Choose the Best for Your Business
2. Rijn, J. V., (2022). emailmonday: The Ultimate Marketing Automation statistics overview
3. Mahmoud, A. A. M., & Yazan M. A., & Usama A. B. (2020). researchgate.net: IMPACTS OF MARKETING AUTOMATION ON BUSINESS PERFORMANCE
4. Dalla Vecchia, M., & Marc K. Peter. (2018) "Marketing Automation." In Business Information Systems and Technology 4.0, pp. 118-125.
5. Jena, A. B., & Panda, S. Role of marketing automation software tools in improving or boosting sales. Splint International Journal of Professionals, vol.4, no.7, 2017, pp. 30–35.
6. Thomas. S & Thomas. B., (2017). Marketing Automation Foundation: Eliminating Unproductive Marketing
7. https://www.thehouseofmarketing.be/blog/yearly-marketing-survey
8. https://www.lianatech.com/resources/blog/survey-what-are-the-benefits-of-marketing-automation.html
9. https://sales-push.com/blog/marketing-automation-statistics/

Marketing automation and its impact on business development

Rusudan Kinkladze
Associate Professor of Georgian Technical University

Nana Gulisashvili
PhD student of Georgian Technical University

Summary

In modern times, when everything is digitized, where there is artificial intelligence, metavers, NFT, blockchains, when the modern market is saturated with technology companies such as APPLE, MICROSOFT, AMAZON and not only technology companies, where even Fashion Week is in digital format and using modern technologies VRI , It is not surprising that we can confidently and loudly say that we live in a time of great competition and our advertising voice can be lost at launch if we do not have the right strategy. Modern market opportunities, with its e-commerce and abundance of brands, give consumers a choice they have never had before. So companies are trying to develop their marketing strategy to have a leading position with competitors The need for marketing automation can be singled out as the only important tool in large companies today.

The paper examines the impact of marketing automation on the business, focusing primarily on sales and customer experience, along with identification.

The paper examines the impact of marketing automation on the business, focusing primarily on sales and customer experience, along with identification. It discusses the essence of marketing as software that automatically manages marketing processes within multifaceted digital marketing campaigns. It is a growing industry of the modern period. The economic efficiency of marketing automation is discussed. It is noted that the customer experience in the field of marketing automation plays an important role in enhancing the customer experience, in the potential of maintaining customer loyalty. This issue is discussed in a study published in the Journal of Theoretical and Applied Information Technology on the impact of marketing automation on user experience. The main goals and advantages of marketing automation, the barriers to its implementation are given. By discussing the issues, we can say that marketing automation facilitates coordination, thus increasing the chances of multiple social media campaigns achieving diversity and bringing together users in this space that is scattered in the global marketplace.

keywords. Marketing automation, marketing strategy, business, customer experience

გაყიდვიდან ნეირომარკეტინგამდე მოძრაობის დიალექტიკა

ქუთათელაძე რუსუდან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ჯორბენაძე ზურაბ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

გაყიდვა, მარკეტინგი და ნეირომარკეტინგი ერთი მთლიანი მოცემულობის სხვადასხვა ღირებულების მქონე მხარე არის. ამასთან თვითოეული მათგანისთვის მყიდველთან ურთიერთობა ნებსით თუ უნებლიეთ ამოსავალი თეზაა. ამ დროს გაყიდვა როგორც პროცესი და როგორც შედეგი ისე წარმოჩინდება. ასეთი სახის „გაორება“ სრულებით არ უშლის ხელს იმ ფაქტს, რომ უშუალოდ გაყიდვა ამავე დროს შესაბამისი ეტაპების გავლით იმავდროულად მარკეტინგულ სივრცეში ერთგვარი ფორმის ათვლის წერტილად გამოდის. სწორედ ამ „დამსახურებით“ კი გაყიდვისადმი ინტერესი ტრადიციულად ყოველთვის მაღალია.

გაყიდვის კატეგორიას მკვიდრად ეყრდნობა მარკეტინგი; იგი მის ფასეულობას თვისებრივად ანვითარებს და ახალ რეალობას აყალიბებს. ამ დროს მარკეტინგი საკმაოდ აქტიურია და გაყიდვის მიმართ „აგრესიულიც“ კი არის. ამიტომ იგი სრულად აცნობიერებს მის წინაშე მდგომ საერთო მოცემულობას, და შესაბამისად სხვა მოცემულობას აყალიბებს; კერძოდ, თანამედროვე მარკეტინგში წინწამოწეულია პროდუქტი, მომსახურება, ხოლო მომხმარებელი კი სიტუაციის ერთგვარი სახის „შემავსებელია“. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს გაყიდვის კატეგორიის განვითარების კანონზომიერი პროცესია.

მარკეტინგის ყველა მიმართულების საერთო მნიშვნელია პრაქტიკულარიზმი. ამ დროს თანამედროვე მარკეტინგი „აღიარებს“ მომხმარებლის ფარულ მოტივებს. ამ მომენტებს კი ლოგიკურად მომხმარებლის ქცევის და რეაქციის გათვლის შეცნობის აუცილებლობასთან მივყევათ. ამიტომაც დღის წესრიგში დგება მომხმარებლის ქცევისა და რეაქციის გათვლის შეცნობის აუცილებლობა. ეს ყოველივე საბოლოო ჯამში მარკეტინგის თვისებრივად სრულიად ახალი სახის - ნეირომარკეტინგის ჩამოყალიბების და რეალიზაციის მაპროვოცირებელი ფაქტორად გამოდის.

ნეირომარკეტინგი კონსოლიდირებული შინაარსით მომხმარებელთა ფარული მოტივებისა და მჯობინობის ანუ უპირატესობების მინიჭების გამოვლენის ხერხია. ის ორიენტირებულია მომხმარებლის ქმედების შეცნობაზე, ფარული მოტივების წვდომაზე, მათი რეაქციის განჭვრეტაზე. სწორედ ამ რეალობიდან მომდინარეობს ნეირომარკეტინგის მოცემულობა, ანუ მისი სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი.

გაყიდვიდან ნეორომარკეტინგამდე მოძრაობის დიალექტიკამ ახალი დაშვება წარმოშვა. ამ დროს კი შესაძლოა მარკეტინგმა „დაკარგოს“ თავისი ღირებულება. ამის დასტურად გამოდგება პრაქტიკაში რითეილის კატეგორიის გააქტიურება, რაც, საბოლოო ჯამში ახალი სახის წონასწორობის ჩამოყალიბებაზე მიანიშნებს.

საკვანძო სიტყვები: გაყიდვა, გაყიდვის დიალექტიკა, მარკეტინგი, მარკეტინგული მოცემულობა, ნეირომარკეტინგი, რითეილი.

ძირითადი ტექსტი

თითქმის საუკუნეზე მეტია რაც საზოგადოებამ სრულად გააცნობიერა გაყიდვის კატეგორია. დღეს ყველასთვის ნათელია გაყიდვის არსი კომერციული კუთხით, იურიდიული კუთხით, და, თუნდაც ბიზნესის კუთხითაც კი. ყველა მიმართებით გაყიდვა არის პროცესი და ამავე დროს ის შედეგია. ამ არსობრივი დატვირთვით შედის გაყიდვა მარკეტინგულ სივრცეში და მარკეტოლოგისთვის დაინტერესების სფეროს წარმოადგენს.

გაყიდვამ მარკეტინგის ჩამოყალიბების პროცესში საინტერესო როლი იტვირთა და კიდევაც შეასრულა. თვით ეს პროცესი გაყიდვის 5 კლასიკური ეტაპის გავლის „დამსახურებით“ წარიმართა.* ამ ეტაპების გავლის შედეგად მივდივართ ასეთ მოცემულობამდე: გაყიდვის პირველი ეტაპია მყიდველის გაცნობა ანუ კონტაქტის დამყარება; გაყიდვის მეორე ეტაპია - კლიენტის მოთხოვნების გამოვლენა. ამ ეტაპის მთავარი ამოცანაა გაიგონ ის თუ რა სურს კლიენტს და როგორ შესთავაზო ზუსტად ის, რაც მას სურს. ამისათვის საჭიროა პროდუქტის ან მომსახურების პრეზენტაცია;[1] ამდენად, გაყიდვების მესამე ეტაპია - პრეზენტაცია. მეოთხე ეტაპია - საწინააღმდეგო აზრთან მუშაობა. საწინააღმდეგო აზრი არ არის რაღაც თითიდან გამოწველილი რეალობა. კერძოდ, როცა მყიდველი აცხადებს რომ კარგია, მაგრამ მოვიფიქრებ - ეს ნიშნავს რომ მისგან საწინააღმდეგო აზრი მოდის და მას ვერ ახმოვანებს. ამ დროს აუცილებელია შეცდომებზე ორიენტაცია - გაუაზრებელი მოთხოვნების შეცნობა. მეხუთე ეტაპია გარიგების დამთავრება. აქ კი აქტიურობს გაყიდვების მენეჯერი და ისიც მოვალეა გარიგება დაამთავროს.

გაყიდვის ფუნქციონალურ-გენეტიკური დატვირთვა კიდევ უფრო მაღალია. მან „ასაზრდოა“ მარკეტინგის ოკეანე და ახალი რეალობა შეჰქმნა. ამ მოცემულობის გამო ფ. კოტლერი წერს: უბრალოდ გაყიდვა და მარკეტინგი როგორც გაყიდვა - ორი სხვადასხვა სახის დაშვებაა და მათი ერთმანეთში აღრევა დაუშვებელია; გაყიდვა მარკეტინგული აიასბერგის მხოლოდ და მხოლოდ მწვერვალია.

დღეს მომხმარებლის ქცევისა და რეაქციის გათვლის შეცნობის აუცილებლობა დგას. მისი ფარული მოტივებისა და მჯობინობის ანუ უპირატესობების მინიჭების გამოვლენა კი არსებითია. მომხმარებლისქმედების შეცნობა ფარული მოტივების წვდომაზე გადის, მათი რეაქციის განჭვრეტა კი - ახალ ღირებულებას აყალიბებს.

ამ რეალობაში ერთგვარ ხსნად გამოდის ნეირომარკეტინგი. ის შეძლებლობას იძლევა შევცნოთ თანამედროვე მარკეტინგის ღირებულებები; კერძოდ, გავიგოთ თუ რა მოტივი მოქმედებს მყიდველზე როცა იგი არარაციონალურ ან/და არაპრაქტიკულ შესყიდვების აკეთებს; რატომ ხდება, რომ ბრენდების ერთი ნაწილი კულტად ყალიბდება, მეორენი კი საქმეს თავს ვერც აბამენ; რა ფაქტორებს ძალუძს ძვირფასი პროდუქტის გაყიდვის ზრდა და მომხმარებლის სურვილზე როგორ მოქმედებს საქონლის ან საიტის დიზაინი მათი გამოყენების დროს.

ნეირომარკეტინგმა ცხოვრების წესზე გააკეთა აქცენტი - ცხოვრების წესი ხდება „ათვლის წერტილი“; ანუ, მარკეტიგის ფასეულობის შექმნის პროცესი ცხოვრების სტილის შექმნით ჩანაცვლდა. შედეგად ჩამოყალიბდა მოთხოვნა მაგალითად Red Bull-ის სტილზე ან თუნდაც BMW-ს სტილზე. ამგვარად, გაყიდვაზე სრულიად ახალი სახის შეხედულება დაფისირდა, ანუ ნეირომარკეტინგმა გაყიდვების ხელოვნება მოწინავე პოზიაციაზე გადაანაცვლა. [2]

გაყიდვის ხელოვნებამ მყიდველთა ქცევა ინტუიციური სივრცეში გადაიტანა. დაიწყო მომხმარებლის ქვეცნობიერებაზე ორიენტირება, ემოციების გამოწვევაზე ანუ ყიდვის პროცესის კომფორტულად წარმართვაზე მოხდა აქცენტირება. ასევე შეიცვალა პოტენციური მომხმარებლის „აზროვნების სტილი“ - იგი ცდილობს წარმატებული კომპანიის ნაწილი გახდეს. ეს ყოველივე ნათლად გამოვლინდა მსოფლიოს მსხვილი კორპორაციების - Procter & Gamble, Nestle, Unilever, L'Oreal, DaimlerChrysler, უდიდესი მსოფლიო კინო-ინდუსტრიის ბრენდი 20th Century Fox და ა.შ. მაგალითზე. ამიტომაც დღეს ბიზნესმა აქცენტი ნეირომარკეტინგის განშლაზე გადაიტანა.

ნეირომარკეტინგისთვის ყველაზე სასურველი გარემოა რითეილი ((Retail).[3] იგი ვაჭრობის ორგანიზაციის პრინციპია და დღეს საკმაოდ წარმატებით ვრცელდება. რითეილი საცალო ვაჭრობის წერტილზე, მაღაზიაზე რაღაცით წინმდგომია.

---

[1] Этапы продаж менеджера по продажам. https://salers.ru

[2] იხ. ფ.კოტლერი, გ.არმსტრონგი. მარკეტინგის საფუძვლები. თბ. 2015 წ. გვ. 5

[3] სხვათაშორის ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში „რითეილი“-ს ტერმინის ნაცვლად იყენებენ ტერმინს - „რიტეილ“-ს“. (იხ. მ.კობალავა. საცალო ვაჭრობა. დამხ.სახელმძღვანელო. 2013 წ. გვ.4). ამ პოზიციას იმეორებს სადისერტაციო ნაშრომში „გასაღების სფეროში არსებული ტენდენციები და პერსპექტივები საქართველოში“ სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი დისერტანტი ს. შერვაშიძე იხ. დისეტაცია. გვ. 72). მეტიც, „retail“-ს ანაცვლებენ retailing-ით (იხ. ნ.თოდუა. ბ.მღებრიშვილი. საცალო ვაჭრობა. (ლექციების კურსი) თბილისი 2017. გვ. 9). არა და ქართულ ბიზნესში მოქმედებს კომპანიები „რითეილი“-ს სახელით, მაგალითად, შ.პ.ს. "ქართული რითეილი“, სს „სმარტ რითეილი“, შპს „თერმა რითეილი“ და ა.შ.

ნეირომარკეტინგი ქვეცნობიერად მანიპულირებს მომხმარებლზე, მის აზრებსა და ემოციებზე. ნეირომარკეტინგით წარმოშობილი ნეიროვიზუალიზაცია ფართო შესაძლებლობას უხსნის მარკეტოლოგებს - ისინი ისეთ ინფორმაციას ღებულობენ, რომელიც ჩვეულებრივი ხერხებით მიუღწეველია. ამიტომ ნათლად მიანიშნებენ - ნეირომარკეტინგი ერთგვარად გაყიდვასა და მარკეტინგზე აგებული მონსტრია. ამ მოცემულობაში შექმნილი სინერგია გაყიდვების წინ არსებულ ბუნებრივ შიშს ასუსტებს, ხოლო თვით მარკეტინგი ახალი გამოწვევის წინაშე დგება.

დასკვნა

გაყიდვიდან ნეირომარკეტინგამდე არსებული გზა - გაყიდვების ეფექტიანობის ზრდის გზაა. მთლიანობაში ეს გზა სრულიად მარკეტინგის როგორც ზოგად ისე კონკრეტულ ღირებულებებს შეესატყვისება. ამასთან, იგი უფრო მეტიც კი არის: გაყიდვიდან ნეირომარკეტინგამდე განვლილი ყოველი ეტაპი დამოუკიდებელი ღირებულების მატარებელია და შესატყვისი შეცნობა სჭირდება.

ნეირომარკეტინგი ახალ ეპოქას ქმნის, ანუ ისეთ ეპოქას, სადაც გავლენის ხელოვნება მეცნიერებით არის განმტკიცებული. ამიტომ თანამედროვე დინამიურ სამყაროში კლიენტებთან ნდობითი ურთიერთობის აგება, იგივეა რაც სწრაფად მზარდი მოთხოვნებისა და კონტრპრეტენზიების სამყაროში მათი აგება. ამიტომაც სწორედ ნეირომარკეტინგის დახმარებით გაყიდვებისა და მარკეტინგის სფეროს პროფესიონალები შესძლებენ დიაგნოსტიკა გაუკეთონ იმ პრობლემებს, რომელსაც დღეს მყიდველები თავისდაუნებურად აწყდებიან.

თანამედროვე მყიდველთა პრობლემები მათი მოტივებიდან მომდინარეობს. ეს მოტივები სრულიად მატერიალურია. ეს მატერიალური მოტივები კი სათავეს მყიდველის არარაციონალური ან/და არაპრაქტიკული შესყიდვიდან, ბრენდების ერთი ნაწილის კულტად ქცევიდან, ხოლო მეორენის თავმოუბმელობიდან იღებენ. ასევე საყურადღებოა ძვირფასი პროდუქტის გაყიდვის შეუცნობელი ფენომენი, ან საქონლის დიზაინის მომხმარებლის სურვილზე ზემოქმედების ფაქტი.

აღნიშნულ მოტივთა სისტემა გაყიდვების გარშემო სრულიად სხვა შეხედულებას წარმოშობს. გაყიდვაზე ახალი შეხედულების ჩამოყალიბებიდან ახალ რეალობაზე გადართვამდე მანძილი უბრალოდ ძალზე მოკლე არის. ამიტომ უნდა ვაღიაროთ რომ იურისტის, სტომატოლოგის, არქიტექტორის, პოლიტიკოსის, მცხობელის, სარესტორნო ბიზნესის მეპატრონის და ა.შ. სხვათა წარმატება მეტწილად მათ პროფესიონალურ ოსტატობაზე კი არა, არამედ უშუალოდ მათ გაყიდვის უნარზე არის დამოკიდებული. აი სწორედ აქ და ამ დროს თავის სიტყვას ამბობს ნეირომარკეტინგი. სწორედ რომ ნეირომარკეტინგის დამსახურებით გაყიდვების ხელოვნება მოწინავე პოზიციას იკავებს.

ნეირომარკეტინგი არ ივიწყებს მარკეტინგს, მაგრამ ის რასაც მარკეტინგისთვის სრულიად ჩვეულებრივი და „ბუნებრივიც“ კი არის, ნეირომარკეტინგისთვის გარკვეულწილად არაფასეულია. ეს არ ნიშნავს რომ მარკეტინგი მოკვდა - არამცდა არა! უბრალოდ, მომხმარებელთა აზრების, გრძნობების, მოტივაციის, საჭიროებების და სურვილების შეცნობის გასაღები ნეირომარკეტინგში ძევს. ამ ფონზე იკვეთება ნეირომარკეტინგის მიზანი - ყიდვის ბიოლოგიის შესწავლა. ეს ყოველივე კი მეცნიერების ახალი დარგის ჩამოყალიბებაზე მიანიშნებს.

ლიტერატურა

1. ფ.კოტლერი, გ.არმსტრონგი. მარკეტინგის საფუძვლები. თბ. 2015 წ.
2. Тренинг по нейромаркетингу. Где находится <<кнопка>> купить в сознании покупателя?/ Патрик Ренвуазе, Кристоф Морен; [пер с англ Ю Бежановой]. – Москва : Эксимо, 2017. - 216 с. : ил. (Top Bizness Awards).
3. 6 приемов нейромаркетинга от PayPal, Netflix и Red Bull, которые вы можете внедрить в свой бизнес. https://geniusmarketing.me/
4. Этапы продаж менеджера по продажам. https://salers.ru

The dialectic of the movement from sales to neuromarketing

Kutateladze Rusudan
Professor of Georgian Technical University

Jorbenadze Zurab
Professor of Georgian Technical University

Summary

The road from sales to neuromarketing is a way to increase sales efficiency. On the whole, this path is fully consistent with both general and specific values of marketing. However, it is even more: Each stage from sales to neuromarketing is an independent value train and requires appropriate knowledge.

Neuromarketing is creating a new era, that is, an era where the art of influence is reinforced by science. Therefore, building a trusting relationship with clients in the modern dynamic world is the same as building them in a world of rapidly growing demands and counter-claims. That is why with the help of neuromarketing, professionals in any field of sales and marketing will be able to diagnose the problems that buyers face today.

The problems of modern buyers derives from their motives. These motives are entirely material - they stem from the irrational and / or impractical purchase of the buyer, as well as making the cult of one part of the brands, and the others not handling their business successfully. Also, these motives arise from the unknown phenomenon of selling a valuable product, or the consumer's desire influenced by a design of the goods.

This system of motives gives rise to a completely different view of sales. The distance from developing a new view of sales to switching to a new reality is simply too short. So we have to admit that a lawyer, a dentist, an architect, a politician, a baker's restaurant business owner, and so on. The success of others depends not only on their professionalism but also on their ability to sell. This is where neuromarketing comes into play. And, thanks to neuromarketing, the art of sales is at the forefront.

Neuromarketing does not forget about marketing, but what is completely normal for marketing is somewhat worthless for marketing. This does not mean that marketing is dead - No, not at all! Simply put, the key to knowing consumers' thoughts, feelings, motivations, needs and wants is in neuromarketing. Against this background, the goal of neuromarketing is to study the biology of buying. All this indicates the formation of a new field of science.

მომხმარებელზე ორიენტირებული ტექნოლოგიების მნიშვნელობა სასტუმრო მომსახურების ხარისხის განსაზღვრისათვის

ხმიადაშვილი ნინო
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

აბსტრაქტი

სასტუმრო მომსახურება და კმაყოფილი მომხმარებელი ტურისტული პროდუქტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. ნებისმიერი სასტუმროს წარმატება და მოგება მჭიდრო კავშირშია მისი მომხმარებლების კმაყოფილებასთან. მათი კმაყოფილება შეიძლება განისაზღვროს, როგორც რეიტინგი, რომელიც დაფუძნებულია მომხმარებელთა გამოცდილების შედარებასა და მათ თავდაპირველ მოლოდინებზე. მომხმარებელთა კმაყოფილება სასტუმროს სექტორის წარმატების ერთ-ერთ წამყვან ინდიკატორად ითვლება და მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც კომპანიის მომავალი შემოსავლის, ასევე სასტუმროს მომსახურების მოთხოვნის ზრდის მაჩვენებელზე, რაც დადებითად აისახება მომგებიანობასა და ხარჯზეც.

სასტუმრო ბიზნესისთვის კმაყოფილი მომხმარებელი ყველა ფუნქციური ერთეულის მუშაობის საბოლოო მიზანია. სასტუმროს ყველა რესურსისა და ყველა თანამშრომლის კონცენტრირება ორიენტირებული უნდა იყოს მომხმარებელზე, სწორედ მომხმარებელზე ორიენტირებულობამ უნდა უზრუნველყოს დამატებითი მოგება (მატერიალური ან არამატერიალური).

მომხმარებელზე ორიენტირებულობის ცნება თავისი არსით განსხვავდება კონკურენტუნარიანობის ცნებასთან იმ ასპექტში, რომ კონკურენტუნარიანობას მთლიანობაში განსაზღვრავს მისი ადგილი სამომხმარებლო ბაზარზე. მომხმარებელზე ორიენტირებულობის ამოსავალი წერტილი სწორედ რომ მომხმარებელთა მოლოდინზეა აგებული, რის შედეგადაც შეუძლია სასტუმროს თავის დამკვიდრება.

მომხმარებელზე ორიენტირებულობა - ნიშნავს სასტუმროს საშუალებას, მიიღოს დამატებითი და გრძელვადიანი შემოსავლები მომხმარებელთა გულითადი მოპყრობისა და მათი ეფექტური და სასიამოვნო მომსახურების შედეგად.

მომხმარებელზე ორიენტირებული ტექნოლოგია- ეს არის ტექნოლოგია, რომელიც დაფუძნებულია მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. მომხმარებელზე ორიენტირებული ტექნოლოგიის ძირითადი მიზანია ბიზნეს-პროცესების ეფექტურობის ამაღლება, რომელიც მიმართულია მომხმარებელთა მოზიდვას, შენარჩუნებასა და ხარისხიან მომსახურებაზე.

აღსანიშნავია, რომ მომსახურების მაღალი ხარისხი არ ითვლება სასტუმრო ბიზნესში მომხმარებელზე ორიენტირებულობის ძირითად გამოვლინებად, ძირითად ნიშნად. შესაძლოა, სასტუმროს ჰქონდეს მომსახურების მაღალი ხარისხი, მაგრამ ეს არ იყოს შესამჩნევი კონკრეტული მომხმარებლისათვის. მთავარია სიზუსტე, სისწრაფე, შემოქმედებითობა და განუმეორებლობა. თუ არა აღნიშნული ჩამონათვალი, კითხვაზე პასუხი მომხმარებლის ხელახლა მობრუნებაზე აღნიშნულ სასტუმროში მის კმაყოფილებაზე მომსახურებით, რჩება პასუხგაუცემელი ან უარყოფითი. სასტუმროს მთავარი ამოცანა სწორედ ისაა, რომ დაინტერესდეს კონკრეტული მომხმარებლის შეფასებით, სხვა შემთხვევაში, სასტუმრო და, ზოგადად, ბიზნესი დარჩება მხოლოდ პროდუქტზე, საქონელზე ორიენტირებული.

საკვანძო სიტყვები: მომსახურების ხარისხი, კონკურენტუნარიანობა, სასტუმრო, ბიზნესი, მომხმარებელზე ორიენტირებული ტექნოლოგიები.

ძირითადი ტექსტი

მომხმარებელზე ორიენტირებული ტექნოლოგიები სასტუმრო ბიზნესში ასრულებენ რამდენიმე ფუნქციას:

- კონკურენტუნარიანობის ფუნქცია - მომხმარებელზე ორიენტირებულობა ბიზნესის ყველა მიმართულებისათვის არ არის მთავარი, შესაძლოა, ზოგიერთი კომპანია ხელფასების ზრდაზე და შემოსავლებზე იყოს ორიენტირებული. მომხმარებელზე ორიენტირებულობა

კი, ესაა სწორედ ის საშუალება, როდესაც სასტუმრო იყენებს დამატებით რესურსებს მკაცრი კონკურენციის პირობებში ლიდერობისათვის;

- დამატებითი შემოსავლის მიღების ფუნქცია - როდესაც შემოსავალი შემოდის უშუალოდ მომხმარებლისაგან, ასევე სხვა საწარმოებიდან და ასევე ინფორმაციის, ცოდნის გაზიარებით სასტუმროსთან როგორ გააუმჯობესოს პროდუქტისა და მომსახურების ხარისხი, რაც უდავოდ დამატებითი შემოსავლების უტყუარი წყაროა;
- მომხმარებლების მოზიდვის ფუნქცია - თანამედროვე სასტუმროებმა მუდმივად უნდა იზრუნონ მაღალ კონკურენტუნარიან გარემოს შექმნაზე, რომელიც მათთან ახლოს მდგომ ყველა სასტუმროს არ გააჩნია, რადგანაც სწორედ მომხმარებელზე ორიენტირებულობის მიდგომა იძლევა არსებული გარემოს შენარჩუნებას ხანგრძლივად;

მომხმარებელთა ქცევასა და მათ მოთხოვნებს სხვადასხვა ფაქტორები განსაზღვრავს: მოტივაცია, განათლების დონე, ცხოვრების სტილი, დემოგრაფიული მონაცემი და სხვა.

სასტუმრო ბიზნესში ჩამოყალიბდა მომხმარებელთა ტიპოლოგია, კლასიფიკაცია. განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენენ „რთული“ ტურისტები-მომხმარებლები. მათთან მუშაობისას სასტუმროში ჩამოყალიბდა ერთგვარი ალგორითმი, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- მომხმარებლის ყურადღებით მოსმენა პრობლემის შემთხვევაში;
- მომხმარებელთან ერთიანობის, გვერდზე დგომის დემონსტრირება;
- მომხმარებლის მნიშვნელობის დემონსტრირება;
- ზოდიშის მოხდის ტაქტიკა;
- პრობლემის მოგვარების კონკრეტული გზების შეთავაზება;

სასტუმროებისათვის აუცილებელი გახდა კონცენტრირება არა მხოლოდ მომსახურების ხარისხზე, არამედ აუცილებელი და ძალიან მნიშვნელოვანია მომხმარებლებთან ურთიერთქმედების მექანიზმების სრულყოფა. მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯმენტი(CRM-Customer Relationship Management) წარმოადგენს მომხმარებელთა შეძენისა და მენეჯმენტის ბიზნეს სტრატეგიას, რომლის მიზანია გრძელვადიან პერიოდში მათი ღირებულების ოპტიმიზაცია. იგი გულისხმობს მომხმარებელზე ორიენტირებულ კულტურას სასტუმროში, რომლის მიზანია მარკეტინგის, გაყიდვებისა და მომსახურების ეფექტურობა.

CRM სისტემების სამი ძირითადი ამოცანა არსებობს: გაყიდვები, მარკეტინგი, მომსახურება.

მომხმარებელზე ორიენტირებულ ტექნოლოგიებს სასტუმროში განეკუთვნება :

- თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენება, რომელიც საშუალებას იძლევა და ხელს უწყობს აღრიცხვისა და მენეჯმენტის ყოველდღიურ განხორციელებას და მომსახურების მიწოდებას; მთლიანობაში სასტუმროს ოპერაციული სისტემის მუშაობისა და ეფექტურობის გაუმჯობესებას;
- სასტუმროების ფუნქციონირებას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შესაბამისად;
- კვების ხარისხი;
- მონაწილეობა საერთაშორისო ავიაკომპანიების სხვადასხვა ბონუს პროგრამებში;
- სასტუმროს იმიჯი, რომელიც პირდაპირ დამოკიდებულია პერსონალზე, რადგანაც, რაც უფრო პროფესიონალი პერსონალია, მით უკეთესია სასტუმროს სტატუსი;

თანამედროვე ადამიანური რესურსების სისტემა(HR-Human Resources) წარმოადგენს მომხმარებელზე ორიენტირებული ტექნოლოგიების კომპლექსს, რომელიც ხელს უწყობს პერსონალთან მუშაობას ყველა დონეზე, დაწყებული ოპერატიულიდან (მონაცემთა ყოველდღიური ჩაწერიდან) დამთავრებული სტრატეგიის შემუშავებით (კომპანიის განვითარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება). კარგად აშენებულ სისტემაში ამ ტექნოლოგიების მოქმედება პირდაპირ კავშირშია მომსახურების მაღალ ხარისხთან და სასტუმროს კონკურენტუნარიანობასთან.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომხმარებელზე ორიენტირებული ტექნოლოგიები ნებისმიერ სასტუმროში კონკურენტული უპირატესობის ფაქტორია, რომელიც თანაკვეთაშია მომსახურების ხარისხის მაღალ სტანდარტთან. ყოველივე ეს კი უდავოდ არის სასტუმრო ინდუსტრიის წარმატების მოდელი და აშკარად მნიშვნელოვანია ნებისმიერი ბიზნესისათვის და მათ შორის, სასტუმრო ბიზნესისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „International Cases in Tourism Management“ ,Susan Horner and John Swarbrooke, First published 2004, Copyright © 2004, Elsevier Ltd. All rights reserved
2. Назаретян А.Г. “Клиентоориентированность и качество гостиничных услуг”, Сборник статей XIII межвузовской научно-практическая конференции студентов и аспирантов «Молодёжь, наука, творчество - 2015». Омск: Омский государственный институт сервиса, 2015.
3. О. К. Ррончева. “Клиентоориентированные технологии в гостиничном сервисе”, Учебное пособие, Омск, ОГИС 2015.
4. Кусков А. С, Издательство: Дашков и К, 2010 г. „Гостиничное дело“, Учебное пособие
   1. 5.https://studme.org/62408/menedzhment/sistemy_upravleniya_vzaimootnosheniyami_klientami#660

The importance of customer-oriented technologies for determining the quality of hotel service

Khmiadashvili Nino
Doctor of Business Administration

Summary

Hotel Services and Satisfied Users are the most important elements of tourism products. Success and profit of any hotel is closely linked to its customer satisfaction. Their satisfaction can be determined as a rating based on comparisons of customer experience and their original expectations. Customer satisfaction is considered one of the leading indicators of the success of the hotel sector and play an important role as a company's future.

The customer for the hotel business is the ultimate goal of all functional units. Concentration of all resources and all employees of the hotel should be oriented on customer-oriented to provide additional profits (material or intangible). Customer-oriented concept is different from the concept of competitiveness in the aspect that the competitiveness of the whole is determined by its place of consumer market.

Consumer-oriented - means that the hotel means additional and long-term revenues as a result of consumers' heart-treatment and their effective and pleasant service.

Customer-oriented technology - this is a technology based on satisfying customer requirements. The main goal of customer-oriented technology is to raise the effectiveness of business processes aimed at attracting, maintaining and quality of consumers.

It is noteworthy that the high quality of service is not considered as the basic manifestation of customer-oriented in the hotel business, as a basic token. Perhaps the hotel has a high quality service, but it does not be noticeable for a specific customer. The main thing is accuracy, agility, creativity and obstacle. Whether the listing is answered, the answer to the question of the user's reinforcement service is to be unanswered or negative. The main task of the hotel is that it is interested in the specific user's assessment, in another case, the hotel and, in general, the business will remain only on the product, the goods oriented.

Keywords: Quality of service, competitiveness, hotel, business, customer -oriented technologies.

მარკეტინგისა და რელიგიის თანხვედრის ალგორითმის საკითხისათვის

ჯორბენაძე ზურაბ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დევიძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

მსოფლიოში ორასზე მეტი რელიგიაა ცნობილი. მათ შორის მრავალი რამ საერთოა, მრავალი - განსხვავებული. რელიგიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიძველით, ტრადიციებით, შინაარსით, ფილოსოფიური სიღრმით. უდიდესი, დახვეწილი რელიგიების - ქრისტიანობის, იუდაიზმის, ისლამის, ბუდიზმის, ინდუიზმის გვერდით არსებობენ ჩამორჩენილ ტომთა პრიმიტიული რელიგიური წარმოდგენები, კერპთა თაყვანისცემა, უმარტივესი რიტუალები.

რელიგიის, როგორც ერთ-ერთი უძველესი და ამავდროულად ძალზე მნიშვნელოვანი ისტორიული ფენომენის როლი საზოგადოებრივი ცნობიერების, აზროვნების, ცხოვრებისა და შემეცნების ჩამოყალიბების პროცესში უდაოდ ძალზე დიდია. მიუხედავად იმისა, რომ იგი უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სულიერ ცხოვრებას გამოხატავს, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნებოდა იმის დანახვა და შეფასებაც, თუ რა როლი ენიჭება რელიგიას ადამიანთა ყოველდღიურ (მატერიალურ) ცხოვრებაში.

რელიგია მნიშვნელოვანი ფაქტორია და ის დიდ გავლენას ახდენს, მარკეტინგულ საქმიანობაში. უცხოური ბაზრის შესწავლისას აუცილებელია გავიგოთ მოსახლეობის რწმენა, ტაბუ და ნორმები. რელიგია დიდ გავლენას ახდენს ხალხზე, მათ ქცევებზე, ჩაცმის სტილზე და ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში აისახება მარკეტინგულ რეკლამაზე, რადგან არასწორად გაკეთებული რეკლამა მომხმარებელს კი არ მიიზიდავს, არამედ ინტერესს დაუკარგავს. რელიგია ადამიანის ცხოვრების ის ფაქიზი ნაწილია, რომელზეც შეხება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.

რელიგიურმა რწმენამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მოხმარებლის ქცევზე, რა იყიდოს ან რა არ იყიდოს. მარკეტინგისთვის მნიშვნელოვანია გვესმოდეს რელიგიის გავლენა, სამომხმარებლო კულტურაზე, იმ ბაზრებზე, სადაც ისინი მოქმედებენ, რათა მარკეტინგული საქმიანობა იყოს უფრო მგრძნობიარე. რელიგიური შეხედულების ან კულტურის პატივისცემამ, შეიძლება სერიოზულად შეაფასოს კომპანიის ან ბრენდის რეპუტაცია. ამავდროულად, მარკეტინგის წარმომადგენლებს, რომლებიც ატარებენ რელიგიის გავლენას ადგილობრივ კულტურაზე, შეუძლიათ დიდი უპირატესობა მოიპოვონ მარკეტინგული შეტყობინებების და რელიგიური პრაქტიკის პოპულარიზციაზე.

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგი, ბრენდი, ბრენდინგი, მყიდველთა ქცევა, რწმენა, რელიგია.

ძირითადი ტექტი

თანამედროვე მარკეტინგმა, განსაკუთრებით კი ნეირომარკეტინგმა, ერთგვარი გადატრიალება მოახდინა მომხმარებლის, ანუ თითოეული ჩვენგანის აზრებში, გრძნობებში, მოტივაციაში, საჭიროებებსა და სურვილებში. თუ დასმულ საკითხს კონსტრუქციულად მივუდგებით, და ჩავწვდებით მოვლენების განვითარების არსს და ნიუანსებსაც კი, მაშინ, ჩვენ, როგორც მომხმარებელს, ყველა პირობა გვექმნება შევიცნოთ საკუთარი თავი სრულიად მარკეტინგულ მოცემულობაში და შესაბამისად ვიმოქმედოთ.

პროდუქტის ან მომსახურების ყიდვის პროცესი მთლიანობაში რაციონალურის, ანუ ცნობიერის, და ირაციონალურის, ანუ ქვეცნობიერის პროცესთა მთლიანობაა. ამ რეალობაში მყიდველის ქცევა ერთდროულად პროგნოზირებადიც არის და არაპროგნოზირებადიც. მაგრამ, ერთი რამ ფაქტია - ყველა მიმართებით ადამიანის თითოეულ გადაწყვეტილებაზე ემოციები უდიდეს გავლენას ახდენს.

მარკეტინგულ სივრცეში მომხმარებლის ყოველი ქცევა გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი ემოციების სიმბიოზია. ემოციების სივრცე ნოყიერი ნიადაგია მომხმარებლის პროვოცირებისათვის. ამ

პროცესს ყველაზე ნათლად წარმართავს ბრენდი - იგი ხომ ფ. კოტლერის მიხედვით მომხმარებლის გონებაში არსებობს. და, თუ ბრენდი იქმნება გონებაში, გამოდის, რომ იგი მყიდველისთვის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცევა.

მარკეტინგში ბრენდი თავისი თავის პოზიციონირებას მომხმარებლის რწმენაზე

დაყრდნობით ახდენს. შესაბამისად, ცნობილი ბრენდების მკაფიო ხედვა იმ დონეზე წარმოჩინდება, რომ მომხმარებელი არაორაზროვნად და ნათლად მასზე ორიენტირებული ხდება.

ბრენდმა მარკეტინგში შექმნა ახალი რეალობა: ფასეულობებთან მიმართებაში რწმენის არსებობა და მათი ფარული თანკვეთა სწორედ ბრენდის დამსახურებაა. ამიტომაც, სრულიად მართებულად უნდა მივიჩნიოთ მოსაზრება, რომ რწმენის ფაქტორი წითელი ხაზივით გასდევს მარკეტინგს, და, ამიტომაც, მარკეტინგისთვის რწმენაზე პედალირება დღეს მისთვის ეფექტიანიც კი არის.

რწმენა რელიგიის საფუძველია. ყოველი რელიგიური დაშვება მეტნაკლებად ასახვადია ყოფიერებაში, შესაბამისად, კონკრეტულად მარკეტინგულ სივრცეშიც. რწმენის ფაქტორიდან წამოსული რელიგიური მახასიათებლები - სამყაროს აღქმა, ქადაგების ფენომენი, რელიგიური სიმბოლოები, თუნდაც რელიგიური საოცრების ფენომენი, მარკეტინგში „სარკისებურად“ აისახება.

მარკეტინგში რელიგიური ელემენტების არსებობა ახალი რეალობა სრულებით არ არის - უბრალოდ, ეს ფაქტი მკაფიოდ დღეს წარმოჩინდა და მან ადექვატური დატვირთვა შეიძინა. სხვათაშორის ეს მომენტი ნეირომარკეტინგისთვის, როგორც მარკეტინგის ახალი მიმართულებისათვის - სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მაგრამ უშუალოდ კლასიკური მარკეტინგისთვის ტრიადა: პროდუქტი, გრძნობა და მომხმარებელი მეტადრე ღირებული გახდა.

თანამედროვე მარკეტინგი აღიარებს თეზას - პროდუქტი გრძნობებს მიეყიდება, ამ ნიშნულის აღიარება და შესაბამის სიმაღლეზე ასვლა, ჩვენი აზრით, სწორედ, მარკეტინგის რელიგიური ელემენტების მოძიების პროცესიდან იწყება. ამიტომაც, ჩვენი პოზიცია არის ცალსახად ერთმნიშვნელოვანი: მარკეტინგში რელიგიური ელემენტების არსებობა რაღაც მირაჟის რანგის მოცემულობა კი არა, არამედ იგი სრული რეალობაა და დროც სწორედ ამ აზრის სასარგებლოდ მოქმედებს.

მარკეტინგის რელიგიასთან თანხვედრა იწყება იმ პროცესის აღიარებით, რომ ბრენდის კატეგორიის გადასახედიდან რელიგიას და მარკეტინგს მკაფიო სახის დაშვებები და შესატყვისი ურთიერთკვეთა გააჩნიათ. ამ პოზიციის დასტურად მოვიყვანთ შემდეგს: დავიწყოთ იმით, რომ რელიგია და მარკეტინგი თანაბრად იბრძვის გავლენის სფეროებისთვის - ისინი ადამიანთა, ანუ ერთ შემთხვევაში თავის მიმდევართა, მეორე შემთხვევაში კი - მომხმარებლის გადაბირებისთვის იბრძვის. თუ ისლამის და ქრისტიანიზმის, ან იუდაიზმის ან ქრისტიანიზმის დამოკიდებულებას თავის მომხრეებისადმი დამოკიდებულებას გავიაზრებთ, იქვე დგას და გაგვახსენდება Mersedes-Benz და BMW მეტოქეობა, ან Coca-Cola და Pepsi, ან Puma-ს და Adidass-ის დაპირისპირება. და თუ რელიგიისთვის დაპირისპირება ყოფა-არყოფნის რანგში გადის, მარკეტინგი ამ დაპირისპირებას მთლიანობაში ახალი თაყვანისმცემლების მოზიდვის, მათი ერთგულების დემონსტრირების ფაქტად განიხილავს.

ყველა მსოფლიო რელიგია თქმულებას ან/და სასწაულს, შესაბამის რიტუალს ეყრდნობა, და თავის სახეს ამ გზით წარმოაჩენს. გარდა ამისა, რელიგია თავისი სიდიადის დემონსტრირებას ახდენს. ბუდას ტაძარი ბანგკოკში, ან წმინდა პეტრეს ტაძარი რომში, ან, თუნდაც სამების ტაძარი ჩვენთან - საქართველოში შესაბამისი რელიგიის საკუთარი დიდებულების დასტურია. ბრენდთან, ანუ მარკეტინგთან სრულად შესატყვისი სასწაულის, რიტუალის ან თქმულების წახნაგები ნათლად ჩანს იაპონური კორპორაციის Toyota-ს მაგალითზე, კორპორაციაზე რომელსაც მეოცე საუკუნის სასწაულს უწოდებენ. მის ემბლემაში ორი ოვალის შერევა, რომელიც ასო T-ს ჰქმნის და ამავდროულად სიჩქარის გრძნობას გადმოსცემს. ეს კი სასწაულის, ან რიტუალის ერთ კონკრეტულ მარკეტინგულ ხედვად უნდა განვიხილოთ. ქადაგების კუთხით ახალი მომხმარებლის გადმობირების საქმეში დასმულ მოცემულობას სრულად შეესატყვისება facebook-ის ან whatsapp-ის ქცევა, ანუ მარკეტინგული ფანდები. ორივე, ერთი სოციალური ქსელი, მეორე კავშირის უნივერსალური ფორმა, ყოველი მარკეტინგული სვლით ახალ მომხმარებლზე მუშაობს.

თითქმის ყველა რელიგია ამა თუ იმ სახის სიმბოლოების სისტემით მოიაზრება და მას სრულიად წარმატებით იყენებს. მაგალითად ქრისტიანიზმში ჯვარი, ხატი, ანგელოზი, ეკლის გვირგვინი და ა.შ.

თავისებური ბრენდინგია. მარკეტინგში ამ ყოველივეს შესატყვისია Harley Davidson-ის ხმის ასოციაცია ან Nike-ის სიმბოლოს გრძნობითი აღქმა. თუ Nike-ის სიმბოლო ხატის რანგის სიმბოლოს ასოციაციას იწვევს სპორტსმენებში და არა მარტო მათში, Harley Davidson კი „დელიკატურის“ და გამორჩეულობის ფაქტორის დამსახურებით მას თანაბარად ძალუძს ანგელოზის ასოციაცია შექმნას როგორც ახალგაზრდა, ასევე ხანდაზმულ მომხმარებლებში.

რელიგიაში საოცრებების ფენომენი, იდუმალების ფაქტორი ძალზედ რეალურია; უფრო მეტიც, ეს ფენომენი, ან, თუნდაც რელიგიური ფაქტორი, იმ დონეზე წარმოჩინდება, რომ შეუცნობელი და შეცნობილი თანაბარი ძალით რეალურიც კი ხდება. სწორედ, ამ გადასახედიდან ბიბლიის ან თორას იდუმალება სრულად შეესატყვისება ბრენდის იდუმალებას, ხოლო ბრენდის საოცრების ფენომენი კი თანასწორადია წმინდა გრაალის ფენომენთან. ამ ფონზე კი ჩვენ გვეძლევა საშუალება ცხადად მივანიშნოთ, რომ დღემდე ბურუსით მოცული წმინდა გრაალის არნახული ძლიერება, სრულად თანხვედრაშია Coca-Cola-ს საიდუმლოებასთან, კერძოდ, რეცეპტის საიდუმლოებასთან და მომხმარებლის ინტერესის შეუცნობელ ბურუსთან. მსგავსი მოცემულობები გხვდება Sony-ის ან Chanel-ის შემთხვევაში, როცა ეს კომპანიები მომხმარებელს რაღაც აუხსნელი დატვირთვის მინიშნებებს აწვდის: არავის არ აუხსნია, Sony Tninitron საიდუმლო, ან რაოდენ იდუმალია Chanel-ის მინიშნება პროდუქციის ინგრედიენტად უსუფთავესი მასალის გამოყენების თაობაზე.

ყოველ მსოფლიო რელიგიას თავისი რიტუალი გააჩნია. სწორედ, რელიგიური რიტუალი გამოდის მორწმუნეებზე ზემოქმედების, მათზე გავლენის ცნობიერ თუ ქვეცნობიერ ძალად. რელიგიური რიტუალი ადამიანისთვის ძლიერი ემოციური სივრცეა - საეკლესიო ქადაგება ან მხურვალე ლოცვა ყოველ მორწმუნეს თან სდევს.

რელიგიის ემოციურობის ფენომენიდან ბრენდის ემოციურობის რეალობამდე „მანძილი“ უბრალოდ არ არსებობს; მათი პარალელიზმი მარკეტინგს აიძულებს დაესეხოს რელიგიურ ინსტიტუციებს, და როგორც მიანიშნებს მარკეტოლოგი, ეს „ჯადოსნური“ და უხილავი ძალა ეფექტიანად გამოიყენოს.

დასკვნა

სარკისებური ნეირონები აქტიურდება არა მხოლოდ მაშინ, როცა სხვების ქცევას ვადევნებთ თვალს, არამედ მაშინაც, როცა ამის შესახებ ვკითხულობთ. განურჩევლად იმისა, ვაცნობიერებთ ამას თუ არა, რიტუალები, ცრურწმენები და რელიგია სწორედ ის ფაქტორებია, რომლებიც უდიდეს გავლენას ახდენს ჩვენს აზროვნებაზე რაღაცის ყიდვის მომენტში. მართლაც, როგორც ტვინის სკანირების შედეგებმა უჩვენა, ყველაზე დიდ წარმატებას ის პროდუქტები აღწევს, რომლებსაც ბევრი რამ აქვს საერთო რელიგიასთან. რა თქმა უნდა განვითარების გზით უნდა იაროს ცივილიზებულმა კაცობრიობამ, მაგრამ ყველას ავიწყდება, ის, ვისი დავიწყებაც არ ეგების... ღმერთი!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფ. კოტლერი, გ. არმსტრონგი. მარკეტინგის საფუძვლები. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი. 2015
2. მ. ლინდსტრომი. Buy.ლოგია. მითი და რეალობა იმის თაობაზე, რატომ ვყიდულობთ. გამომცემლობა პალიტრა L, 2018
3. როჯერ ბ. მეისონი და მარშელ შლანკე. კულტურის გავლენა მარკეტინგზე. 2014
4. მარსელ შლანკე და როჯერ.ბ მეისონი. კულტურის გავლენა მარკეტინგზე. 2014
5. Бренд как религия: как сделать такб чтобы на вас молились. http: smartandmarketing. com/
6. приемов нейромаркетинга от PayPal, Netflix и Red Bull, которые вы можете внедрить в свой бизнес. https:.geniusmarketing.me.
7. Как религия влияет на маркетинг? https://alsina-sa.com.

Marketing and religion matching algorithm

Jorbenadze Zurab
Associate Professor of Georgian Technical University

Devidze Tamar
Associate Professor of Georgian Technical University

Summary

There are more than two hundred religions in the world. Many things are common to them, many - different. Religions differ from each other in antiquity, traditions, content, philosophical depth. Along with the larger, more sophisticated religions - Christianity, Judaism, Islam, Buddhism, Hinduism - there are primitive religious representations of backward tribes, worship of idols, the simplest rituals.

The role of religion as one of the oldest and at the same time very important historical phenomena in the formation of public consciousness, thought, life and cognition is undoubtedly very great. Although it primarily expresses the spiritual life of man, it would be no less important to see and appreciate the role that religion plays in the daily (material) life of human beings.

Religion is an important factor and it has a great impact on marketing activities. When studying the foreign market it is necessary to understand the beliefs, taboos and norms of the population. Religion has a huge impact on people, their behaviors, their style of dress and all this is ultimately reflected in marketing advertising because incorrectly done advertising will not even attract customers but will lose interest. Religion is a delicate part of human life that requires great care.

Religious beliefs can influence consumer behavior, what to buy or what not to buy. It is important for marketing to understand the impact of religion on consumer culture, the markets in which they operate, to make marketing activities more sensitive. Respect for a religious belief or culture can seriously undermine a company or brand's reputation. At the same time, marketers who influence the influence of religion on local culture can take great advantage in promoting marketing messages and religious practices.

Published as represented by the authors

Given for production 24.06.2022. Signed for printing 28.06.2022. Size of paper 60X84 1/16. Approximately 30 pr.sh.

Publishing House “Technical University”, Tbilisi, Kostava 77

Verba volant,
scripta manent

იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 24.06.2022. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.06.2022. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 30.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

Verba volant,
scripta manent